

სოკნუბ სელუჟუეკუ



აქლოთიძეოღნობა
ძველო სელუთიძეოლოში
ღა მილი შქმღეოში
ღუნუთიანოების ჟნები
აქველოლი ღროოღან
XXსელუჟუემღე



მონოგრაფია ეხება საქართველოში წამალმცოდნეობის განვითარების უმთავრეს მომენტებს უძველესი დროიდან XX საუკუნემდე.

ავტორი ეყრდნობა ქართულ, რუსულ, გერმანულ და ლათინურ ენებზე არსებულ მრავალ ისტორიულ, ლიტერატურულ და მითოლოგიურ წყაროს, აგრეთვე საქართველოში სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებს.

სრულიად ახლებურადაა გაშუქებული მაღალაქემების როლისა და ღვაწლის საკითხი საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში, სათანადოდ არგუმენტირებულია ავტორის მიერ სოფელ წინარეხში და მდინარე კავთურას ხეობაში ექვსასი წლის წინანდელი საეკლესიო სამედიცინო კულტურის ერთ-ერთი კერის აღმოჩენა, სადაც მოქმედებდა ვარძიაში არსებული თახჩებიანი წამლის სასახლის ანალოგიური აფთიაქი.

მონოგრაფიაში წამალმცოდნეობის განვითარების ფონზე განხილულია სიმბოლიკისა და პერალდიკის საკითხები, დადასტურებულია ფარმაკოპიისა და კარაბადინის იდენტურობა შუა საუკუნეებში.

წიგნი ავტორის ათი წლის კვლევა-ძიების შედეგია და საქართველოში წამალმცოდნეობის განვითარების და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების პირველი ცდაა.

რ ე ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. იოსებ ქუარჩიშვილი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ავთანდილ გელაშვილი
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი ზურაბ შენგელია.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფარმაკევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ქეთევან მუჭირი.

წინასიტყვაობა

წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში, მისი ისტორიის შესწავლა და აღდგენა-განახლების გზების ძიება მრავლისმომცველი პრობლემური საკითხია.

კაცობრიობისათვის, საერთოდ, საინტერესო და საყურადღებოა დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩაყენება. ძველ ქართულ კარაბადინებში და საწმედიცინო ხასიათის წერილობით ძეგლებში დაცული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ყველა როდია დღეისათვის მეცნიერულად ახსნილი და სამკურნალო პრაქტიკაში დანერგილი. ამ მხრივ წარსულის გამოცდილებათა საიდუმლოების გახსნა დღესაც დაუცხრომელი შესწავლის საგანია.

ქართველ ერს უძველესი თვითმყოფადი სამედიცინო კულტურა და ტრადიციები გააჩნდა, რაზედაც მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ბრინჯაოსაგან დამზადებული სხვადასხვა მედტექნიკის იარაღები, გველის გამოსახულებიანი სამედიცინო დანიშნულების კერამიკული და ნეიტრალური რეაქციის მქონე მინის სხვადასხვა ჭურჭელი, რომლებიც თავის დროზე წამლის მოსამზადებელი სააფთიაქო დანიშნულების – კომპონენტების შესანახად ყოფილა გამიზნული.

წარმართული ეპოქის სამედიცინო აზროვნებაში ადგილი ჰქონია ამულეტის გამოყენების ცრურწმენასაც, ხოლო პერალდიკურ-სიმბოლური მეთოდებით ცხოველების გამოსახვის ტრადიციებს, რელიგიურ-ასტრალურ ზამყაროდან, რეალურ ორგანო-თერაპიულ-ენდოკრინული პრეპარატების გამოყენების საწყისებთან მიყვავართ. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი და სისტემატიკოსი, კურტ შპრენგელი თავის განთქმულ 5 ტომიან შრომათა კრებულის I ტომის პირველსავე ქვესათაურს იწევებს: „უძველესი კოლხური მედიცინით“. უძველესი მხატვრულ-პოეტური მეცნიერულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ლიტერატურული წყაროების მოშველიებით კ. შპრენგელი მეცნიერულად ასახულებს კოლხეთის დაბლობზე სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი ბაღ-წაღ-კოტის არსებობას. არაქართული წარმოშობის, ევროპელი ყომპეტენტური

შველევარის მიერ ასეთი ფაქტის აღიარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თანაც ეს როლის? ძვ. წ. II ათასწლეულში, XIV–XIII საუკუნეებში. 1984 წლის 21 ივლისს 33 საუკუნის შემდეგ ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე და რიონის დელტაში ლეგენდარული „არგონავტების“ მიერ განვლილი გზა გაიმეორა ტიმ სევერინმა. გემის ეკიპაჟის ხელმძღვანელი ტიმ სევერინი „არგოს“ გემბანიდან მიმართავს მილიონობით საბჭოთა ტელემასურებელს: „ბედნიერი ვარ, რომ „არგოს“ ნაოსნობა გემის მიხედვით წარიმართა (ტელეინტერვიუს გაცემა ძველი კოლხეთის ერთ-ერთ უძველეს კულტურის ცენტრში — ვანში მოხდა, ს. ს.). კაცობრიობის ისტორიას მრავალი საუკუნეა აღლევებს არგონავტების, ანუ ოქროს საწმისის მითის თეორია. და აი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მითი რეალურ საფუძველს ეყრდნობა და სინამდვილეს შეეფერება“¹ — ეს მეტად მნიშვნელოვანი ფრაზაა არა მარტო საქართველოს ისტორიული წარსულისათვის, არამედ ქართული სამედიცინო კულტურის წარსულის თვალსაზრისითაც. ამ ფრაზაში მოცემულია დედა-აზრი კოლხეთის მეფის აიეტის და მისი ეპოქის რეალობის შესახებ, ასევე „ჰეკატეს ბაღისა“ და „კურა მედიანას“ რეალობის შესახებ. კ. შპრენგელისეულ კონცეფციას ლეგენდარულ-მითოლოგიურ სამყაროდან რეალურ სამყაროში გადამოწყვადართ, ვინაიდან ტიმ სევერინის განმეორებითი მოგზაურობის შემდეგ ჰუმარიტად „მითი რეალურ საფუძველს ეყრდნობა“. კერძოდ, „კურა მედიანას“ და უძველესი კოლხური მედიცინის ფესვები 33 საუკუნის იქითაც შეიძლება ვეძიოთ.

მნიშვნელოვან შესწავლას მოითხოვს ახ. წ. შემდეგ ე. წ. „საეკლესიო მედიცინა“, რომელიც საქართველოში, როგორც ჩანს, ძლიერ განვითარებული ყოფილა. წერილობითი წყაროებით და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი წალკოტი — ედემის ბაღი გაშენებული ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ დღევანდელი კასპის რაიონის ტერიტორიაზე, სოფელ წინარეხში, მდინარე კავთურას ხეობაში.

საერთოდ, ქრისტიანულ ცივილიზებულ ქვეყნებში მტილთა და ბაღჩაბოსტნეულთა გაშენება ეკლესიების სამფლობელო რეგიონებში ტრადიციული ყოფილა.

საქართველოს მედიცინის, ფარმაციის და წამალთმცოდნეობის ისტორიის თვალსაზრისით „მაღალანთ ეკლესია“ და კოშკები ფრიად საინტერესო ძეგლები გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ეს ადგილები არაერთხელ აოხრებულა უცხო ტომების შემოსევის შედეგად, კოშკებზე, ეკლესიასა და ისტორიულ წერილობით წყაროებში მანინც იქნა შემონახული ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტები და ფაქტობრივი მასალები. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის, „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების, ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცუ-

¹ „ლიტერატურული საქართველო“. პარასკევი 31 (2316) 27 ივლისი 1984 წ.

ლი წყაროების და საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული სიგელ-გუჯარების შინაარსიდან ვიგებთ, რომ მდინარე კავთურას სანაპიროზე საკულტო რელიგიური ნაგებობა და შესაბამისი ტერიტორია XII საუკუნის მიწურულიდან აზნაურ ივანიძეებს ეკუთვნოდა, ხოლო „სოფლის ვითარების გამო“... „უმემკვიდრეოდ ქმნილი ივანიძეების“ ძვალშესალაგის ფეოდალურ მემკვიდრეებად XIV საუკუნის მიწურულში მოგვევლინენ ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები — მაღალაძეები. აკად. ვახტანგ ბერიძე მონოგრაფიაში „ძველი ქართველი ოსტატები“ მიუთითებს, რომ „მაღალაძეები — ქართლელი აზნაურების ძლიერი ფეოდალური გვარია, რომლის წარმომადგენლები სასულიერო და კულტურულ ასპარეზზე იღვწოდნენ. მათი ბუდე სოფელი წინარეხი იყო (ახლა კასპის რაიონშია, კავთურას ხეობაში). წინარეხს ზემოთ მათ ჰქონდათ რეზიდენცია სასახლით, კოშკებითა და ძველი ეკლესიით. ეს შენობები დღესაც მაღალანთ ეკლესიისა და მაღალანთ კოშკების სახელით არის ცნობილი. ეტყობა XV საუკუნიდან დაწინაურებულან, განსაკუთრებულ სიძლიერესა და კეთილმდგომარეობას XVII საუკუნეში მიაღწიეს“. მიუხედავად მაღალაძეების გვარის ასეთი შეფასებისა, როგორც ირკვევა, საქართველოს ისტორიაში მათი როლისა და ღვაწლის საკითხი ჯერჯერობით ჯეროვნად არაა შესწავლილი. მხედველობაში მაქვს ამ საგვარეულოს ღვაწლის გარკვევა საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში. ამ ასპექტში მთელი რიგი დაბრკოლებების დაძლევა მოგვინდა. პროვიზორის პოზიციებიდან საჭირო გახდა გავცნობოდით სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინას, რათა აგვეხსნა მაღალაძეების კოშკების საიდუმლოება საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის თვალსაზრისით.

აკადემიკოს ისიდორე დოლიძის რედაქციით გამოცემული „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომის ფურცლებზე ამ პრობლემატური საკითხების გარკვევისათვის მაღალაძეების საგვარეულოს შესახებ მნიშვნელოვანი დოკუმენტებია დაცული. საერთოდ, საქართველოს „საეკლესიო მედიცინა“ ჯერჯერობით ნაკლებად შესწავლილი დარგია, მით უმეტეს წამალთმცოდნეობის თვალსაზრისით. ამიტომაც დავგჭირდა, გავცნობოდით შესაბამის ლიტერატურაში ქართულ პერალდიკას, ზოგადად სიმბოლიკას და კონკრეტულად ირმისა და ცხერის სიმბოლიკის საკითხებს, ხელოვნებათმცოდნეობას, ძველი ქართული ასომთავრული ქარაგმული წარწერების ელემენტებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდს. აქვე მოგვიხდა ყურადღების გამახვილება ხელნაწერების შექმნის ტრადიციების ანალოგიაზე, საქართველოს პოლიგრაფიის ისტორიაზე, პირველი ქართული სტამბის დაარსებაზე და სტამბაში კალიგრაფ სოლომონ მაღალაძის მოღვაწეობაზე, შევისწავლეთ ძველი ქართული სფრაგისტიკა, კრიპტოგრაფიული კარაბადინები. შევეცადეთ ჩაგვეტარებინა აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ლითონის იარაღების შედარებითი ანალიზი თანამედროვე მედ-

ტექნიკის იარაღებთან, იმ მიზნით, რომ უნიკალური ნივთებისათვის მიგვენიჭებინა, სამედიცინო (მედტექნიკის) პრაგმატული ფუნქცია.

ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ნივთებს ვაძარებდით მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ალბომების ფურცლებზე გამოქვეყნებულ ფოტო-ნიმუშებს. ამ მეთოდით კვლევა-ძიებამ მკვეთრად დაგვარწმუნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს საერთაშორისო მეცნიერული კონტაქტები, რათა კომპლექსური შესწავლის საფუძველზე ზუსტად იქნეს განსაზღვრული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ამა თუ იმ ნივთების პრაგმატული ფუნქცია, თანაც საზოგადოება „იუნესკოსათვის“ უკვე მომწიფდა სიტუაცია, ცნობილი რომ გავხადოთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიების შედეგად აღმოჩენილი ზოგიერთი უნიკალური გველის რელიეფური გამოსახულებიანი კერამიკისა და მინის ჭურჭლების დანიშნულება, რათა გაანალიზებულ იქნეს სხვადასხვა წყაროები, რაც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ქართულ სამედიცინო წარსულსა და მის ისტორიაზე.

„საკლესიო მედიცინის“ ისტორიის ზოგიერთი მომენტის გაშუქებისათვის საჭირო გახდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის გვიანი შუა საუკუნეების პერიოდის მასალების მოშველიება. შევისწავლეთ სოფელ წინარეხისა და მდინარე კავთურას სანაპიროს ტერიტორიული ადგილები სამკურნალო მცენარეების გავრცელების ფარმაკო-ბოტანიკური თვალსაზრისით და არსებული ლიტერატურის შესაბამისად გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, საჭირო გახდა ამ ტერიტორიის შესწავლა ნიადაგმცოდნეობის თვალსაზრისითაც. ძეგლზე იურიდიული შეხების უფლების — ღია ფურცლის მიღების საფუძველზე ჩავატარეთ არქეოლოგიური გათხრები საზოგადოებრივ საწყისებზე. კოშკის მიდამოებში აღმოვაჩინეთ ვარძიაში არსებული აფთიაქის ანალოგიური თახჩებიანი ნაგებობა-წამლის სასახლე-აფთიაქი. მეცნიერულ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის დოცენტი ზურაბ შენგელია. ვაწარმოეთ გამოკვლევები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. მაღალაძეების კოშკებით ასეთი დაინტერესების მიზეზი გახდა მხოლოდ ორი წინადადება: „ქრისტე შეიწყალე მჩხრეკალი ამისა უღირსი მახარებელი ამინ“ და „მშრომლისა მახარებლისათვის შენდობაჲ ყავთ“ ეს წინადადებები დაცულია „სამკურნალო წიგნი-კარაბადინის (ფონდი Q № 877) 177 r და 219 v გვერდის არშიების ეპრაგმულ ხეცურ წარწერებში. მაშასადამე, თუ ხელნაწერში მახარებელი მაღალაძე „მჩხრეკალის“ და „მშრომელის“ ეპითეტებით იხსენიება, სავსებით ბუნებრივად დადგა დღის წესრიგში მაღალაძანთ ეკლესიის და კოშკების დეტალური შესწავლის საკითხი იმისათვის, რომ გავვერკვია საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში მახარებელ ოქროპირის — ძე მაღალაძის როლისა და ღვაწლის საკითხი, საჭირო გახდა ეპითეტების: „მჩხრეკალისა“ და „მშრომელის“ მნიშვნელობის პალეოგრაფიული ახსნა-განმარტება. ძალიან კარგი შედეგი მოგვცა მახარებელ მაღალაძის კოშკის.

ფრესკების ინფრანჭითელი ულტრაიისფერი და რენტგენოსკოპიული სხივებით შესწავლამ.

ძველის კვლევა-ძიების ჩატარებისას ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები ჩვენ ერთადერთ სწორ გზად გვესახება, რამაც საშუალება მოგვცა სწორად აგვეხსნა მალაქაძეების კოშკების საიდუმლოება, დაგვედგინა, რომ მალაქაძეების ეკლესიისა და კოშკების შემოგარენში მოქმედებდა „საეკლესიო მედიცინის“ – ანუ ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი და ძველი კერა. სწორედ აქ დაიწერა შუა საუკუნეების უნიკალური სამედიცინო ხელნაწერი „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (ფარმაკოპეა), მახარებელ ოქროპირის-ძე მალაქაძისა და ზაზა ციცის-ქე ფანასკერტელის უშუალო თანამშრომლობით. სავარაუდოა, რომ ეს მოხდა XV საუკუნის 70-80-იან წლებში. მახარებელ მალაქაძის თანავტორობის ვერსიას აძლიერებს შემდეგი არგუმენტები: მალაქაძის ეკლესიაში მოქმედებდა თახჩებიანი აფთიაქი, რომელიც ვარძიაში არსებული კლდეში გამოკვეთილი აფთიაქის შენობის – წამლის სასახლის ანალოგიურია. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია. ასევე, მდინარე კავთურას სანაპიროზე გაშენებული ყოფილა ედემის ბაღი – წალკოტი, სადაც თავდაპირველად, XII საუკუნის მიწურულიდან ივანიძეები, ხოლო შემდეგ, XIV საუკუნის დასასრულიდან, როგორც „ქართული სამართლის ძეგლების“ მიხედვით ირკვევა, მალაქაძეები სამკურნალო მცენარეებს აშენებდნენ. აქვე ყოფილა „მუნის სამკურნალო ეკლესია“ და „ძუძუს ხატი“ „დედა ღვთიას ეკლესიაში“.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში აღმოვაჩინეთ მეფეთ-მეფე კონსტანტინე II-ის მიერ 1491 წელს ფანიაშვილების მისამართით გაცემული სიგელ-გუჯარი, რომელიც თავიდან ბოლომდე სვეტიცხოველის ქადაგ მახარებლის ხელით არის დაწერილი. ამ ორიგინალური ერთადერთი ისტორიული წყაროსა და კარაბადინის ფურცლების პალეოგრაფიული ანალიზის (შედარება-შეჯერების) შედეგად დადგინდა, რომ კარაბადინის 1008 გვერდი უშუალოდ მახარებელ მალაქაძის ხელით არის დაწერილი. სხვა დამატებით არგუმენტებს მახარებლის თანავტორობის ვერსიის შესახებ ჩვენ მონოგრაფიის ძირითად ტექსტში და ცალკე ქვეთავებში შევვებით. ისტორიულ ძეგლების – მალაქაძის ეკლესიისა და კოშკების შესწავლის პროცესში ჩვენ ვსარგებლობდით კომპეტენტური სპეციალისტების: ისტორიკოსების, ხელოვნებათმცოდნეების, არქეოლოგების, გეოგრაფების, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების, მედიცინის ისტორიკოსების რჩევა-დარიგებებითა და კონსულტაციებით, ასევე ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალებით. 10 წლის კვლევა-ძიების შედეგად საგულისხმო და მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ. მიუხედავად ამისა, სავარაუდოა, რომ წინამდებარე ნაშრომი მაინც არ იქნება დაზღვეული ზოგიერთი უზუსტობისაგან. თუმცა ზოგიერთი კონიექტურა ინტუიციური ვარაუდზეა დაფუძნებული, ჩვენ მაინც ვვქირობთ, რომ წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი დაკავშირება მალაქაძეების კოშკებთან

უსაფუძვლო არ არის. ამ საიდუმლოთა ახსნა, და საერთოდ წამალთმცოდნეობა საქართველოში მდიდარი ფაქტობრივი მასალებით არის არგუმენტირებული. ყველა შენიშვნას და არგუმენტირებულ კორექტივას ავტორი გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში და, რაც მთავარია, მიიღებს, როგორც მეგობრულ რჩევა-დარიგებას. გავიხსენოთ, რომ ჩვენი წინაპარი, სოლომონ ალექსის-ძე მესხიშვილი საკუთარი თავმდაბლობისა და ხელნაწერის შემქმნელ-კალიგრაფთა უნებლიე შეცდომის შესახებ წერდა: „უკეთუ ცდომილი რაიმე იხილოთ, ნუ მიწყევთ ღვთისათვის, არამედ შემნდომელ მექმნენით ცდომისათვის. ვითარცა ცსა ვერ იხილავთ, რომ არა აქვნდეს მცირედი ღრუბელი. აგრეთვე ჩემ მიერ ნაჩხაბი ეგრეთ არს“. ასევე, ბატონიშვილი ვახუშტი „ქართლის ცხოვრების“ მეოთხე ტომის მეორე გვერდზე წინასიტყვაობაში „მკითხველთათვის სიტყუა რაასთვის არს შრომა ესე“ ციტირებას უკეთებს დამასკელი ბრძენის პლინი სტოიკის შემდეგ სიტყვებს: „არა არს უკეთესი ეგრეთი წიგნი, რომელიცა რაიჲ მისგან ნაწილი სარგებლისა არა მოვიდოთ“.

ყამირზე პირველი ხნულის გავლება უძნელესი პოზიციაა, რამდენადაც საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე ჯერჯერობით არავითარი ნარკვევი არ გამოქვეყნებულა. მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებში წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა პროფესორმა ილია თაბაგარმა, მაგრამ ეს შრომა ცალკე წიგნად არ გამოქვეყნებულა, ამიტომ მას ფართო მკითხველი ვერ ეუზიარა. ასე რომ, ჩვენი ნაშრომი პირველი ცდაა, რომელიც ფართო მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს. რა თქმა უნდა, ძნელია ქართველი ერის წამალთმცოდნეობის 4800-წლიანი ისტორია 40 თაბახის მოცულობის მონოგრაფიაში ჩაატო, მაგრამ წიგნის შევსება და გაფართოება-გაღრმავება მომავლის საქმეა. თუნდაც, ის ფაქტი, რომ კავკასიის მედიცინის მუშაკთა „სამედიცინო კრებულის“ 1866 წლიდან 1900 წლამდე მასალების შეტანა ამ ნაშრომში ამჯერად არ მოხერხდა, ეს თავისთავად წიგნის ნაკლია. სამაგიეროდ, მონოგრაფიაში შევიტანეთ ქვესათაური: „გერმანელი და ესტონელი პროფესორების როლისა და ღვაწლის საკითხი რევოლუციამდელ საქართველოში“.

საქართველოს ტერიტორიულ – რეგიონალური პრინციპის შესაბამისად სათანადო მასალების სიმცირის და ჯერჯერობით შეუგროვებლობის გამო, წამალთმცოდნეობის ისტორია სრულყოფილად ვერ გაშუქდა. ამ ასპექტით თითქმის არავითარი მასალა ტაო-კლარჯეთის მხარის შესახებ ხელთ არა გვაქვს. დღემდე არ იქნა შემონახული ისტორიული პირველწყაროები ზაზა ფანასკერტელის პირადი ცხოვრების შესახებ, თუნდაც ის ფაქტი, რომ სად მიიღო ზაზამ სამედიცინო განათლება, სამხრეთ საქართველოში, ქართლში, თუ საზღვარგარეთის კულტურის რომელიმე ცენტრში?

ამ კითხვებზე პასუხის გამცემი მასალა სამწუხაროდ ხელთ არ მოგვეპოვება.

ტექნიკური მიზეზების გამო ვერავითარი არქეოლოგიური მასალა ვერ იქ-

ნა დამუშავებული, რომელიც აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა გამოვლენილი. ეს, რა თქმა უნდა, წიგნის ნაკლია. ვეწვიეთ ბათუმში აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და მუხის კულტის ტრადიციების შესაბამისი უნიკალური ოქროს ნივთი ვიხილეთ, რომლის ფოტოსაც ვთავაზობთ მკითხველს.

ყურადღებით გავეცანით ბეგრატ ტეხოვის მიერ შედგენილ არქეოლოგიურ კატალოგს. სამხრეთ ოსეთის ისტორიული წყაროები და არქეოლოგიური მასალები მედტექნიკის იარაღის ფუნქციის მინიჭების თვალსაზრისით კვლავ დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი. ასევე, ფრიად საინტერესოა სვანეთის, აიასგილოს, თუშეთის, რაჭა-ლეჩხუმის და მთლიანად საქართველოს ყოველი კუთხის ახალი ეთნოგრაფიული მასალების წარმოდგენა წამალთმცოდნეობის ისტორიის თვალსაზრისით, რაც მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

გამოყენებული ლიტერატურის მითითებისას მოვიშველიეთ 3 მეთოდი: I. ტექსტის გამართვისას სქოლიოში მითითების წესი. II. ქვეთავის დამთავრებისას ბოლოში დართვის წესი და III. წყარო თვით ტექსტშია მითითებული.

გულითადი მადლობა აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს იმ კვალიფიციური დახმარებისა და კომპეტენტური რჩევა-დარიგებისათვის, რაც აუცილებელი იყო მაღალაძეების კოშკებზე კვლევა-ძიების წარმოებისათვის. გულითადი მადლობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. ოთარ ჯაფარიძეს არქეოლოგიურ ასპექტებში კონსულტაციისათვის. ამ ნაშრომის ერთ-ერთი თავის დადებითად შეფასებისათვის (რეცენზიისათვის), და საერთოდ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ზოგიერთ ნრვთებზე მედტექნიკის პრაგმატული ფუნქციის მინიჭებისას ჩვენი მოსაზრების გაზიარებისათვის.

დიდ მადლობას მოვასხენებ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს. ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, ცნობილ მეცნიერს, პროფ. ეთერ ქემერტელიძეს იმ აზრის გამოთქმისათვის, რომელიც მან გადმოგვცა ჩვენი გამოკვლევების წაკითხვისა და გაცნობის შემდეგ: „დიდი სიამოვნება მომანიჭა თქვენი მასალის წაკითხვამ. მაოცებს თქვენი შრომისუნარიანობა და კიდევ ერთხელ მივესალმები თქვენი ამ საერთო საქმით დაინტერესებას, ყველა თქვენ მიერ მოპოვებული იმფორმაცია უთუოდ სასარგებლოა“... როგორც ამ დასკენიდან ჩანს პროფ. ეთერ ქემერტელიძე მიზანშეწონილად მიიჩნევს საქართველოს ფარმაციის ისტორიის დაწერას და მას „საერო საქმით დაინტერესებას“ უწოდებს და კომპეტენტურობის თვალსაზრისით ასეთი შრომების რეცენზიას მედიცინის ისტორიკოსების მოვალეობად მიიჩნევს: „ამას ალბათ დიდი სიამოვნებით გააკეთებენ სათანადო დარგის სპეციალისტები“... „და კეთილის სურვილებითო“ დაასკვნის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ეთერ ქემერტელიძე.

ავტორი დიდ მადლობას მოახსენებს საქართველოს მედიცინის ისტო-

რიის აწ განსვენებულ ცნობილ მკვლევარებს: საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფ. იოსებ ქურჩიშვილს და პროფ. ავთანდილ გელაშვილს იმ უანგარო რჩევა-დარიგებისათვის, რომელიც მათ გამოიწიეს მაღალაქების კომპების საიდუმლოებათა გახსნისა და საერთოდ, ძველ საქართველოში წამალთმცოდნეობის ისტორიის შესწავლის პროცესში.

დიდ მადლობას მოვახსენებ ამ მონოგრაფიის ცალკეული თავების რეცენზენტებს: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორებს: საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეებს: პროფ. ავთანდილ იოსელიანს და პროფ. შოთა ხანთაძეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს თსუ-ს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეს, პროფ. ლევან მენაბდეს, თსუ-ს ბიოლოგიის კათედრის დოცენტს, ზურაბ შენგელიას, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატებს: ნუნუ მინდაძეს, ირაკლი სურგულაძეს და რამაზ პატარიძეს, ასევე დიდ მადლობას მოვახსენებ კონსულტაციებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფ. ედიშერ ხოშტარიას, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს: მ. მამაცაშვილს, ე. გაბიძაშვილს, მ. სურგულაძეს, ი. გაჩეჩილაძეს, თ. ბრეგვაძეს, განყოფილების გამგეს ლ. ქაჯაიას და სხვებს.

დიდი მადლობა საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მედიცინის ისტორიის ცნობილ მკვლევარს, პროფესორ ბორის დიმიტრის ძე პეტროვს, ჩემი მოკრძალებული შრომების დადებითად შეფასებისათვის, მდინარე კავთურას ხეობაში უძველესი ქართული „საეკლესიო მედიცინის“ კულტურის კერის არსებობის შესახებ დასაბუთებული მოსაზრების საკვებით გაზიარებისათვის და ამ სიანლის გამო საქართველოს ტელევიზიით „მომამბესა“ და „ვესტნიკში“ საჯარო გამოსვლის, აღიარებისა და ობიექტური მხარდაჭერისათვის.

დიდი მადლობა სცსს არქივის დირექტორს ზ. ჟვანიას, ასევე აწ განსვენებულ, კეთილსახსენებელ ლაშა ჯანაშიას. დიდი მადლობა ღია ფურცლის გაცემისათვის აკადემიკოს შოთა ძიძიგურს და არქეოლოგიაში რჩევა დარიგებებისათვის არქეოლოგებს: რ. რამიშვილს, დ. თუშაბრამიშვილს და სხვებს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პირველი ცნობები წამალთმცოდნეობის შესახებ საქართველოში უკავშირდება პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდს ისევე, როგორც ძველი ცივილიზებული ერების ისტორიულ-კულტურული წარსული მკიდროდ იყო დაკავშირებული ქვის ხანის ეპოქასთან, რომელიც ზოგადად კაცობრიობის ისტორიაში მეგალითური კულტურის პერიოდად არის ცნობილი. საქართველოში წამალთმცოდნეობის ევოლუციური პროცესი უნდა განვიხილოთ უძველესი ერების კულტურის ჩანასახების განვითარების პროცესებთან მკიდრო კონტაქტში. ასეთი შედარებითი ანალიზური მეთოდი საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ: მეურნეობისა და წამალთმცოდნეობის ელემენტები საქართველოში ჩანასახ აზროვნების განვითარების გარიჟრაჟზე. პირველი მასწავლებელი წამალთმცოდნეობისა თვით ბუნება იყო. ბუნების ისეთმა მოვლენებმა როგორც იყო: წვიმა, თოვლი, ქარი, სიციხე და სიცივე შეაგნებინა ადამიანს, უპირველეს ყოვლისა ტანსაცმლის — სამოსელის აუცილებლობა, რაც მას ეხმარებოდა გაცივებისაგან თავდაცვაში. ასე მაგალითად: თოვლში საჭირო გახდა ქალამანი, ცხერის ტყავით შემოსვა, შიმშილის დროს-ქამა. ბუნებრივია, ზოგიერთი მცენარის ნაყოფი იწვევდა სასიამოვნო შეგრძნებებს, ზოგიერთისა კი უსიამოვნოს, ვეჭვით კუჭის აშლას, ღებინებას, ერთი — ტყვილის დაყუჩებას, ან სისხლის დენის შეჩერებას, მეორე კი — დამშვიდებას — ძილს, ზოგიერთი შხამიანი მცენარის მომაკვდინებელი თვისება ადამიანმა ისეთი პრიმიტიული ექსპერიმენტის პროცესში დაადგინა, რომელიც ძნელბედობის და უფიცობის დროს სიცოცხლის ფასად უჭდებოდა. წამალთმცოდნეობა ადამიანის შრომისა და გამოცდილების პროცესში ყალიბდებოდა, როგორც კაცობრიობის მოწინავე გამოცდილება. ქართველი ტომები, ისევე როგორც სხვა უძველესი ტომები სარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად იყენებდნენ ნადირობისათვის განკუთვნილ ქვის იარაღებს. ცხოვრების ყოველდღიურმა პრაქტიკამ და მეგალითური ყოფის გამოცდილებამ ადამიანებს დაანახა, რომ მხოლოდ ქვის იარაღებით და მსგავსი პრიმიტიული ხელსაწყოებით არსებობა ყოველად შეუძლებელი იყო. დღის წესრიგში დადგა ე. წ. ლითონის იარაღების შექმნა, თანდათანობით ევოლუციური განვითარების გზით, ამ ეპოქამ ადამიანები ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანაში გადაიყვანა, რამაც დედისეული გვარის წარმოშობის, ანუ მატრიარქატის

ეპოქამდე მიგვიყვანა. გაჩნდა მიწათმოქმედება, წარმოების წესის განვითარება. შესაბამისად თან მოჰყვა წამალთმცოდნეობის განვითარება. მცენარეული წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალების გამოყენებაზე ლაპარაკია უძველეს ქართულ ზღაპარში „ამირანი“. აქ ვიკვებთ ისეთი მცენარის შესახებ ცნობებს. რომელსაც შესწევს უნარი მკედრის გაცოცხლებისა. თანამედროვე მეცნიერული მედიცინისა და ფარმაკოგნოზის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დაუჯერებელია ასეთი მცენარის რეალურად არსებობა, მაგრამ ბევრი მცენარის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ ფართოდ რომ გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში, ეს კაცობრიობის გამოცდილების და საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცდების უშუალო შედეგია. თანამედროვე პრაქტიკული მედიცინა ავადმყოფის გადასარჩენად უამრავ მედიკამენტს იყენებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წამლები — პარაპრატები მკურნალობა, რომლის გნოსეოლოგიური ფესვები III, II და I ათასწლეულიდან მოდის. ცნობილია, რომ ელინისტური ხანის მედიკოსი ჰეროდოლე გადამწყვეტ მნიშვნელობას მკურნალობაში წამლებს ანიჭებდა, ხოლო მისი მოწაფე ფილონ კოსელი — პრაქტიკულ დაკვირვებას. უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი მცენარეებისა და ბალახების მნიშვნელობა ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში, მათი გამოყენება ყოველგვარი გადამუშავების გარეშე ხდებოდა წამალთმცოდნეობის ადრეულ პრიმიტიულ ეტაპზე. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთები ნათლად გვიდასტურებს, რომ წამალთმცოდნეობა და მკურნალობის ხელოვნება ისევე ძველია, როგორც კოლხური-იბერიული ცივილიზაცია. სამთავროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი გველის გამოსახულებიანი ორსართულიანი კერამიკული საინფუზიო აპარატი, რომელიც ძვ. წ. ა. II ათასწლეულით თარიღდება. ეს უდიდესი მნიშვნელობის ნივთიერი საბუთია, რომელიც გვიდასტურებს, რომ ადამიანის სამკურნალოდ 3500 წლის წინათ ფართოდ იყენებდნენ მცენარეული წარმოშობის სამკურნალწამლო ნივთიერებებს მონახარშების ს.ს.ით. უცხო არ ყოფილა გამონაცემების (ინფუზუმ) მომზადების წესი. საგულისხმოა სწორედ ის გარემოება, რომ ახალი წელთაღრიცხვის პერიოდში შექმნილ სამედიცინო ხასიათის წერილობით წყაროებში მოცემულია რთული სითხეებიანი წამლის ფორმების მომზადების ზუსტი — ადეკვატური აღწერა კერამიკულ საინფუზიო აპარატებში, რომლებიც სპილენძის ქვაბზე იდგმებოდა და დუღილის შედეგად ხდებოდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ექსტრაგირება — გამოწვლილვა და ამ წესით მრავალკომპონენტიანი რთული სითხეებიანი წამლის ფორმის მომზადება. წამალთმცოდნეობის უძველეს კულტურაზე ვიკვანძვნივს ქართული კულტურის მტკიცე კონტაქტები შუმერულ, ბერძნულ, რომაულ, არაბულ და სხვა უძველესი ერების სამედიცინო აზროვნებასთან.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი მრავალსმეტყველი ლითონის იარაღები ძვ. წ. ა. II და I ათასწლეულში საქართველოში მოსახლეობა ეკონომიკურად და კულტურულად საგრძნობლად დაწინაურებულა, ამ პერიოდისათვის საყოფაცხოვრებო

დანიშნულების სხვადასხვა ნივთი შესრულებულია მაღალმხატვრული გემოვნებით. ბრინჯაოს ხანიდან საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია თრიალეთის ველზე უაღრესად ძვირფასი და მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული ოქროს სასმისი, თიხის ქვევრები გველის გამოსახულებით (არქეოლოგ ა. კუფტინის კოლექცია), განვითარებული ყოფილა ტრადიციული პერალდიკის და ასტრალური სიმბოლიკისათვის დამახასიათებელი ცხოველთა გამოსახვა. დადგენილია, რომ ცხვარი რიყრავისა და სიკეთის სიმბოლო ყოფილა. ამ მხრივ მრავლისმეტყველია ცხვრის თავით გამოსახული ოქროს უნიკალური ყელსაბამი, რომელიც თავისი უდიდესი მნიშვნელობით ნებისმიერი უცვლელი ერის ცივილიზებულ წარსულს დაამშვენებდა. ასევე მეტად მნიშვნელოვანია მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ოქროს ბეჭედი, ასკლეპიოსის თავის გამოსახულებით ჯოხზე დახვეული გველითურთ, რომელიც ბერძნულ-ქართული სამედიცინო ერთეულებში იყენებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბეჭედი სამეფო კარის ექიმ-მკურნალის კუთვნილება იყო თავის დროზე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია კერამიკისაგან დამზადებული უნიკალური ჭურჭელი გველის რელიეფური გამოსახულებით. საფიქრებელია, კერამიკულ ჭურჭელზე გველის გამოსახულება ამ ჭურჭელს ანიჭებს საფთვობა კომპონენტის შესახებ პრაგმატულ ფუნქციას — ე. ი. ეს ჭურჭელი გამოყენებული იყო სამკურნალ-წამლო ნედლეულის შესანახად. მრავლადაა ნაპოვნი ცხვრის გამოსახულების იდენტური თიხის ჭურჭელი. ჩვენ ხშირად გვხვდება ირმის გამოსახულებიანი ზალთები, თვით ბრინჯაოსაგან დამზადებული ირმის გამოსახულება. რამაც საბაბი მოგვცა ცალკე ქვეთავებში გველზარაყა ირმისა და ცხვრის სიმბოლიკაზე, რომელიც უსათუოდ სიცოცხლის გადარჩენის ძიებისა და მკურნალობის სათავეებზე მიგვანიშნებს. „ოქროს ვერძის“ ალეგორიული სახე შემთხვევითი არ უნდა იყოს ძველ ბერძნულ მითში „თქმულება არგონავტების შესახებ“. სამედიცინო თვალსაზრისით ძალიან საინტერესო პიროვნებაა კოლხეთის მეფის აიეტის შვილი მედეა, რომლის შესახებ დაწერილებით ცნობებს ვეფხისტყაოსნის არა ერთი ავტორი-მკვლევარი. მათ შორის საინტერესოა გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის კურტ შპრენგელის კონცეფცია, რის შესახებაც კომენტარი ჩვენ ცალკე ქვეთავში გვექნება.

საინტერესო საკითხია უძველესი ქართული მინის წარმოება და მისი პრაგმატიზმი სამედიცინო კომპონენტების შენახვის თვალსაზრისით.

საქართველო უძველესი ქვეყანაა მინის წარმოების თვალსაზრისით. მოკიქული ჭურჭლის გამოყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიზნით უკვე იწყება I ათასწლეულის ბოლოს და ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისში თანდათანობით ძლიერდება. ეს დადგენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი არაერთი მინის ჭურჭლით. საქართველოს ს. ჭანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში დაცულია უამრავი მინის ჭურჭლის კოლექციები, რომლებიც დღემდე სამედიცინო პრაგმატიზმის თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია. არადა, თვით მინის ჭურჭლის ნეიტრალური რეაქცია ხდის მას

უნიკალურ კურკლად. მინის კურკელში შენახული საფთვიაჟო სამკურნალწამლო ნივთიერება არ შედის კონტაქტში მინის კურკლის კედელთან, ამიტომ იგი თავს ინახავს, არ ფუჭდება, არ მძალდება. აქ მხედველობაშია მისაღები ჰერმეტიკობის დაცვა მინისავე მილესილსაცობიანი სარქველით. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ნაპოვნია მრავალმხრივ საინტერესო მინის კურკელი და კოლბები, რომლებიც თავის დროზე სამედიცინო მიზნით ყოფილა დამზადებული. ნაპოვნია მინის წვეთმზომები ე. წ. დოზატორები, რომლებიც უსათუოდ სითხოვანი წამლის ფორმების წვეთმზომების ფუნქციას ასრულებდნენ თავის დროზე. დღეისათვის ეს კურკელი ე. წ. სანელსაცხებლეებად არიან წოდებულნი. ასეც რომ იყოს, მინის კურკლის პრაქტიკული დანიშნულების საკითხის კვალს მაინც წამლების სასახლემდე — აფთიაქამდე მივყავართ. ძველ საქართველოში აფთიაქებს სურნელოვანი წამლების სახლს უწოდებდნენ. — აღმოსავლეთის ქვეყნებში არაბეთში, ირანში კი ასეთ წამლის სასახლეებს ე. წ. შუშკამბრის სახლებს უწოდებდნენ. ჩვენ წინამდებარე მონოგრაფიის გეგმის შედგენისას განვიზრახეთ გავვეშუქებინა, წამალთმცოდნეობის საკითხები ძვ. წ. ა. III, II და I ათასწლეულში, რომელიც ძირითადად ეყრდნობა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ნივთების ანალიზს, ასევე მითოლოგიურ თქმულებებს და არაქართულ წერილობით წყაროებს, და გავამახვილეთ ყურადღება ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ, როდესაც უფრო მდიდარი წერილობითი წყაროები, მითოლოგიური თქმულებები, ეთნოგრაფიული მასალებია და, რაც მთავარია, უკვე XI საუკუნიდან, მოგვეპოვება სამედიცინო შინაარსის ხელნაწერები — „უსწორო კარაბადინი“, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შუა საუკუნეებში სამკურნალწამლო ხელოვნებასა და მკურნალობის ორიგინალურ მეთოდებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს კარაბადინები და სამკურნალო წიგნები რელიგიის ბატონობის ხანაშია დაწერილი (XI-XIII-XV-XVI საუკუნეებში), ამ ძველ ქართულ კარაბადინებში ყურადღებას იპყრობს მკურნალობის ორიგინალური მეთოდები, წამლის ფორმების მრავალფეროვნება, მისი დამზადების ტექნოლოგიური პროცესების ორიგინალობა, მედიცინის სხვადასხვა დარგის განვითარების მომენტები, პროცესები: პროფილაქტიკის, გენეტიკის და წამალთმცოდნეობის მაღალი დონე, სადაც უსათუოდ ინახება რაციონალური მარცვალი, რომლის შესწავლა და სამკურნალო პრაქტიკაში დანერგვა თანამედროვე მკვლევარების შეუწელებელი ზრუნვის საგანია.

წამალთმცოდნეობის საბანი და აგოცანები

წამალთმცოდნეობა კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც მოიცავს წამალთფორმების ტექნოლოგიას, ფარმაკოგნოზის, ფარმაკოცენტულ ქიმიას, თვისებით და რაოდენობით ანალიზურ ქიმიას, ფარმაკოლოგიას, ტოქსიკოლოგიურ ქიმიას და ფარმაკოპეას. (შუა საუკუნეებში არაბული სამედიცინო ცივილიზაციის გავლენის გამო აღმოსავლეთ ქვეყნებში მას კარაბადინს უწოდებდნენ).

ცნობილია, რომ პირველი ფარმაკოპეა გამოვიდა ჩინეთში 502 წელს, რომელიც 7 ტომისაგან შედგებოდა და შეიცავდა 730 სახეობის სამკურნალო მცენარისაგან წამლის საშუალებათა რეიმზადება-აღწერილობას. ეს ფარმაკოპეა შეადგინა 22 ფარმაკოცენტო სპეციალისტისაგან შექმნილმა კომისიამ, რომელმაც შეაჯამა და კომპლექსის სახით წარმოადგინა მანამდე არსებული სამკურნალო ტრადიციები. ეს კი მოწმობს იმას, რომ მანამდე არსებობდა წამლების ფორმების პრიმიტიულად მომზადების წესების სარეკომენდაციო ხელნაწერი წიგნი.

წამალთმცოდნეობა უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, იგი საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა და მეცნიერულ სახეს ღებულობდა.

წამალთმცოდნეობის განმარტებამდე საჭიროა შევეხოთ ზოგადად ფარმაციას.

თანამედროვე გაგებით, ფარმაცია სამედიცინო სამკურნალო დისციპლინების კომპლექსია, რომელიც სწავლობს წამალთმცოდნეობის სხვადასხვა საკითხს. ეს იქნება ბუნებრივი რესურსები: მცენარეული წარმოშობის, მინერალური, თუ ცხოველური. ამ ბოლო დროს სინთეზურმა, ბაქტერიოლოგიურმა, სისხლის შემცველმა, იმუნურმა ელემენტებმა, ანტიბიოტიკურმა და პროსტაგლანდინურმა პრეპარატებმა ფართო ადგილი დაიკავეს თანამედროვე ფარმაციაში. ამჟამად წარმატებით ვითარდება ბიოფარმაცია და ფარმაკოკინეტიკა.

ცნობილია, რომ ძველი ეგვიპტის პაპირუსში მკურნალობის მითური ღვთაების ტოტას ფრესკის ქვეშ იყო წარწერა „ფარმაკი“, რაც „მხსნელს“, „მფარველს“ ნიშნავდა. ხოლო მედიცინის მამამთავარის პიპოკრატეს ეპოქიდან სიტყვა „ფარმაკონი“ წამალს ნიშნავს.

ძვ. წ. V-IV საუკუნეებიდან და ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან სიტყვის ფუძე „ფარმაკონ“ თანდათან გადავიდა მსოფლიოს ყველა ხალხში და დღეს ფარმაცია ნიშნავს სამკურნალოწამლო ნივთიერებათა მიღებასა და წამლის მომზადება-გაცემასთან დაკავშირებულ საქმიანობას. ზოგადად ამ საქმეს ემსახურება წამალთმცოდნეობაც, ასე რომ, წამალთმცოდნეობა და ფარმაცია

მკიდრო ურთიერთკავშირშია. „სახელმწიფო ფარმაცოპეა“ გახლავთ წამალთმცოდნეთა ოფიციალური, იურიდიული საკანონმდებლო სახელმძღვანელო წიგნი.

1971 წელს გამომცემლობა „მედიცინამ“ მოსკოვში გამოსცა ცნობილი რუსი მეცნიერის პროფ. ი. მურავიოვის სახელმძღვანელო სათაურით: „წამალთტექნოლოგია“, რომლის 26-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ტერმინი, „ფარმაცოპეა“ პირველად გამოჩნდა 1546 წელს, ლიონში დასტამბულ თხზულებაში. მანამდე ამ გამოთქმას ასეთი ოფიციალური საკანონმდებლო ხასიათი არ ჰქონდა. მანამდე არსებობდა ე. წ. დისპენსატორიუმები, რაც ნიშნავდა გაწონვას, დანაწილებას. 1546 წლიდან ტერმინმა „ფარმაცოპეამ“ უფრო დიდი ადგილი დაიკავა ფარმაცევტულ პრაქტიკაში. მან მიიღო საკანონმდებლო, იურიდიული ხასიათი. იგი გახდა ოფიციალური კრებული სავალდებულო სახელმწიფო სტანდარტების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება ყველაზე მნიშვნელოვანი წამალთფორმების ხარისხი. სტანდარტი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ნიმუშს — ნორმას“. ამავე გვერდზე პროფ. ი. მურავიოვი განმარტავს: „ასევე საკანონმდებლო დოკუმენტი იყო „კარაბადინი“, რომელაც 840 წელს გამოსცა სპარსეთში არაბმა ექიმმა საბორ-იბნ საალმა“ (უნდა იყოს „საპელმა“. ს. ს.). მაშასადამე, აქ უკვე გარკვევით პროფ. ი. მურავიოვი აიგივებს „ფარმაცოპეას“ და „კარაბადინს“. ევროპაში წამლების ხარისხისა და ნორმატივების საკანონმდებლო კრებულად ითვლება საღერნოელი ნიკოლოზ პრეპოდიტის თხზულება — „ანტიდოტარიუმი“, რომელიც გამოცემულია 1130 წელს. რუსეთში კარაბადინები, ანტიდოტარიუმები და ფარმაცოპეის ნიმუშები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა, რომლებსაც XVIII საუკუნემდე არ ჰქონდა ოფიციალური, იურიდიული ხასიათი. 1778 წელს რუსეთის სამედიცინო კოლეგიამ გამოსცა I სამოქალაქო „რუსეთის ფარმაცოპეა“, რასაც წინ უსწრებდა 1765 წელს გამოცემული „სამხედრო ფარმაცოპეა“.

რაში მდგომარეობს წამალთმცოდნეობის ამოცანა? წამალთმცოდნეობის ძირითადი ამოცანაა ორგანიზმზე წამლის მოქმედების, წამლის გამოწერის, დამზადების, დანიშვნის (მიღების წესების, სწორი დოზირების) შენახვისა და გაცემის წესების შესწავლა. ჩვენ წამალთმცოდნეობის ზოგადად განსაზღვრისას აღვნიშნეთ, რომ მისი ერთ-ერთი შემაღგენელი დარჯია ფარმაცოლოგია.

რა არის ფარმაცოლოგია?

ფარმაცოლოგია ნიშნავს მოძღვრებას წამლების შესახებ. ფარმაცოლოგიის საგანია წამლების მოქმედების მექანიზმის შესწავლა ცოცხალ ორგანიზმზე. ფარმაცოლოგიის ფუძე მკურნალობის ეგვიპტური ღვთაების — ტოტას ფრესკის ქვეშ მიწერილი სიტყვის ფუძიდან მოდის; „ფარმაცონ“ წამალი, „ლოგოს“ — აზრი — სწავლა.

სანამ წამალი ოფიციალურ აღიარებას მოიპოვებს. მანამდე მისი კომპონენტების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, დოზებს, ტექნოლოგიურ პროცესებს, რეგლამენტს, სტანდარტებს და საკანონმდებლო იურიდიულ წესებს სახელმწიფო პოზიციებიდან წამალთმცოდნეობაში სწავლობს ფარმაცოპეა... მაგრამ ამითაც არ ამოიწურება წამალთმცოდნეობის არსი. წამალთმცოდნეო-

ბის ერთ-ერთი იარაღია ანალიზური ქიმია, რომლის მიზანია იმ მეთოდების შესწავლა, რომელთა საშუალებით შესაძლებელია სამკურნალო ნივთიერების და წამლის ფორმის, როგორც ცალკეული შემადგენელი ნაწილების გამოკვლევა, ასევე მათი რაოდენობის დადგენა. მაშასადამე, ანალიზური ქიმია ორი ნაწილისაგან შედგება: თვისებითი ანალიზისაგან, რომელიც არკვევს, თუ რა შენაერთებისაგან და ელემენტებისაგან შედგება გამოსაკვლევი ობიექტი და რაოდენობითი ანალიზისაგან, რომელიც სწავლობს გამოსაკვლევ ობიექტში შემავალი კომპონენტების წონათა შეფარდებას და საზღვრავს მას რაოდენობრივად. არსებობს რეაქტივების მშრალი და სველი წესი. ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელდა წამალთფორმების ქრომოტოგრაფიული და რეფრაქტომეტრიული შესწავლის მეთოდები. იყენებენ სპექტროსკოპულ, გეოლოგიურ და პეტროგრაფიულ ანალიზურ მეთოდებსაც მინერალური და სხვა ბუნებრივი წარმოშობის ნედლეულის ანალიზისათვის. არსებობს ინდიკაციის ფერადი რეაქტივებიც. წამალთმცოდნეობაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია მცენარეული წარმოშობის ნედლეულის შესწავლას. სამკურნალო ნედლეულის ამ სფეროს სწავლობს წამალთმცოდნეობის სპეციფიკური დარგი, რომელსაც ფარმაკოგნოზია ეწოდება. („ფარმაკონ“ — წამალი, „გნოზის“ — ცოდნა). ე. ი. ფარმაკოგნოზია წამალთმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც შეისწავლის სამკურნალო მცენარეებს, მათ ანატომიურ და ქიმიურ შემადგენლობას. ფარმაკოგნოზიისათვის უმთავრესია მცენარეული წარმოშობის გლიკოზიდების, ალკალოიდების, ფლავონოიდების, მღებავი ნივთიერებების, საპონინების, ტანინების, ეთეროვანი და ცხიმოვანი ზეთების, ლიპიდების, კატეხინების, კუმარინების და სხვათა შესწავლა. მცენარე, როგორც სამკურნალო საშუალებამ, უხსოვარი დროიდან მიიპყრო ადამიანის ყურადღება. ძველ ჩინეთში „სამკურნალო ფარმაკოგნოზიის“ შექმნა ჩვ. წ. 3000 წლით ადრე მომხდარა, ამ ფარმაკოგნოზიურ წერილობით წყაროში 365-მდე სამკურნალო მცენარე ყოფილა აღწერილი, რომლებიც სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა. მიუხედავად წამალთმცოდნეობის არსის დეტალურად განხილვისა, მისი განმარტება ამომწურავად არ მიგვაჩნია, რადგანაც წამალთმცოდნეობა აწმყოშიც პერმანენტულად ვითარდება. წამალთმცოდნეობის განვითარება ადამიანთა აზროვნების, დროისა და სივრცის მსგავსად, ისევე უსასრულოა, როგორც მატერიის შემეცნების პროცესი — ცნობაერების მიერ ყოფიერების ადექვატურად ასახვის ფილოსოფიური პროცესი.

ძველად „სენთა კურნების“ საკითხი მოგვებისა და ქურუმების ხელში იყო, ცნობილია, რომ ბევრ ქვეყანაში ტაძრები და ეკლესიები სავადმყოფოების როლსაც ასრულებდნენ. ასე იყო ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში, ასურეთ-ბაბილონში და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში. შუა საუკუნეების აზროვნებაში გამეფებული რელიგია თრგუნავდა საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ძალებს. გამონაკლისი არც საქართველო იყო. ჩვენშიაც „სენთა კურნება“ „ჯუარისმტვირთველთა“ კომპეტენციაში შედიოდა. ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერები რელიგიის ბატონობის ხანაშია დაწერილი. რელი-

გიას ფ. ენგელსი აზროვნების ოპიუმს უწოდებდა. ეს კარგად ჩანს „სამკურნალო წიგნ-კარაბადინში“ (Q ფონდი № 877), რომლის 263-ე გვერდზე ასეთ ფრაზას ვკითხულობთ: „იცოდეთ, რომე ყოველსა ქველსა საქმესა უზეშთაე არს წინაშე ლეთისათა“. ან კიდევ: „აქ დაიწყების კარაბადინი თავით თმითგან ვიდრე ფერხისა ფრჩხილთამდლი... და წამალნი მათნი ბრძანებისა ლთისათა“. ამიტომ, ჩვენ ფაქტების კონსტატაციის საფუძველზე, ამ ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებს კრიტიკულად ვიხილავთ, ვცდილობთ, კარაბადინებში მოცემული რაციონალური მარცვალი ავსხნათ მატერიალისტური პოზიციებიდან და სწორედ ის ჩავთვალოთ განზოგადოების ღირსად. ახალი თანამედროვე მეცნიერული ექსპერიმენტით კვლავ აღვადგინოთ ძველებური მკურნალობის ზოგიერთი მეთოდი, ან სამკურნალო პრაქტიკაში ახლად დავენერგოთ იგი.


თუ როგორ მივაღწევთ ამას თანამედროვე წამალთმცოდნეობის პოზიციებიდან, დაე მკითხველმა განსაჯოს!

არქეოლოგიური მასალების სამედიცინო ასპექტები

ცნობილია, რომ არქეოლოგიური მასალა ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირველ წყაროს წარმოადგენს. მისი შესწავლის საფუძველზე ძველი ქართული მედიცინის ისტორიის არა ერთ საკითხსაც მოეფინა ნათელი. აღსანიშნავია ძელოვანი მასალის, ბრინჯაოს, კერამიკის, მინისა და სხვა ნივთების შესახებ არსებული გამოკვლევები (პ. ფირფილაშვილი, მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, მ. შენგელია, ი. ქურჩიშვილი და სხვ.). ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გრძელდება, ამასთან არქეოლოგ-სპეციალისტების მიერ სულ ახალ-ახალი მასალა ვლინდება, რაც მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით შესწავლას შიითხოვს. ამავე დროს გვხვდება ისეთი არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც ჭერ კიდევ არ გამხდარა შესწავლის საგანი, ზოგი საკითხი კი შეიძლება ახალი ცნობარის შუქზე სხვაგვარადაც იქნეს გააზრებული და წარმოდგენილი.

ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია მცხეთაში, არმაზისხევის სამაროვანზე 1944 წელს № 48 გრანიტის (პიროსის) ქვის სამარხში აღმოჩენილმა ოქროს ბეჭედმა. ბეჭდის გემაში — თვალში ჩასმულია ინტალიოს პირზე გამოსახული წვეროსანი მამაკაცის ბიუსტი. კომპეტენტური სპეციალისტების აზრით ეს არის ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი — მედიცინის მფარველი ღვთაება ასკლეპიოსი. ამგვარ განსაზღვრას განაპირობებს მამაკაცის მხრის გვერდითი ატრიბუტი — გველი. ეს არის ასკლეპიოსის ორკაბა კვერთხი (კერიკონი), რომელზედაც დაკლავილი გველია დახვეული.

ბერძნული მითის შინაარსის მიხედვით ასკლეპიოსი აპოლონის შვილია, რომელიც აღსაზრდელად კენტავრ ქირონს მიაბარეს. ამ უკანასკნელმა შესწავლა მას მკურნალობა, საოცარი წამლების დამზადება და მკედრის გაცოცხლების ხელოვნებაც კი. რომში ასკლეპიოსს ლათინურად ესკულაპუს უწოდებდნენ. მისი ქალიშვილები: ჰიგია და პანაკეა მამის დამხმარენი იყვნენ სამკურ-




„კურა მედიანა“. თანამედროვე მხატვარმა ელგუჯა ბერძენიშვილმა მითოლოგიური თქმულებების, მხატვრულ-პოეტური წყაროების შთაგონებით შექმნა ეს ორიგინალური გრაფიკული ნამუშევარი.

ნალო ხელოვნებაში. ჰიგეას გამოხატავდნენ გველით და თასით, რაც წარმოდგენას გვიქმნის ძველი წელთაღრიცხვით IV-III საუკუნეებში მედიცინის ემბლემის საკითხებზე.

მცხეთის არმაზისხევში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ბეჭდის გემაზე გამოხატული ასკლეპიოსი წმინდა ანტიკური სტილის ხელოვნების ნიმუშია. ასე რომ, მის ადგილობრივ ქართულ ნაწარმად მიჩნევა ძნელიაო — დაასკენიან კომპეტენტური გლიპტიკოსები. მართალია, საქართველოში მიბაძვის რეალითები სფრაგისტიკაში (გლიპტიკაში) არ არის გამორიცხული, მაგრამ ჩვენ ჯომ ოქრომჭედლობაში დასაბამიდანვე მდიდარი ტრადიციები გვექონდა არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ბეჭდის მატარებელი პირი, დაუფლებული



ეგვიპტელების ღმერთი ტოტა, რომლის იკონოგრაფიული ფრესკის ქვეშ იყო წარწერა — „ფარმაკონ“, რაც ეპოქალური გაგებით „მფარველს“, „მხსნელს“ ნიშნავდა, ხოლო ბიოკრატეს ეპოქიდან გამოიქმა ფარმაკონი უკვე წამალს ნიშნავს. იგი მთვარის, უამთას-ელის, ზომა-წონის, ჭანჭრთელობის (ე. ი. მედიცინის), დამწერლობის (იეროგლიფების გამომგონებელი), სამართლიანობის, სიბრძნისა და კურუმთა-ქურუმის ღმერთია. სურათზე იბისისთავიანი ტოტი. სურათი მითოლოგიური ლექსიკონიდან არის ამობეჭდილი.



ქალღმერთი გველებით, ეგეოსის ხანის და ძველი ხაბერძნეთის
ხელოვნება. სურათი აღმოჩენილია მსოფლიო ხელოვნების ძეგ-
ლების ალბომიდან. თარიღდება ძვ. წ. ა. II ათასწლეულით, გამო-
ცემლობა „ისკუსტვო“, მოსკოვი, 1970 წ.



თანაშედროვე მოქანდაკემ, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატმა, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა მერაბ ბერძენიშვილმა მითოლოგიური თქმულებების და მხატვრულ-პოეტური წყაროების შთაგონებით გამოაქანდაკა „მედეა შვილებით“. ძეგლი დგას ბიჭვინთაში.




გველის რელიეფური გამოსახულებით ორიარუსიანი კერამიკული საინფუდირო აპარატი. როგორც ჩანს იგი სპილენძის ქვაბზე იდგმებოდა, წარმართულ ეპოქაში II ათასწლეულში ამ მეთოდით ამზადებდნენ მონახარშებს და გამონაცემებს. ტურქელს სახელურზე ვერძის თავი აქვს მიჩაილული, რაც „ოქროს ვერძის“ კულტზე მიგვა-ნიშნებს.



უძველესი ქართული კერამიკული საინფუზიო აპარატი გველის რელიეფური გამო-
სახულებით და კერამიკული ქოთანის — კოკობის საინვენტარო №№ 12—54:2358, 12:64:5036
(ძვ. წ. ა. XV-XIV ს. ს. ჭანაშიას სსმუ).



ქალღმერთ ათინას გამოსახულება ოქროს ბეჭდის თვალზე. ერ-
წო-მავნარეთის სამაროვანი, ახ. წ. III საუკუნე. რამინ რამიშვილის
კოლექციიდან. ნაპოვნია 1908 წელს.




ქერამიკული ღერგი საში გველის რელიეფური გამოსახულებით. ნაპოვნია მცხეთაში წე. როვანის არქეოლოგიური გათხრებისას № 12 სამარხში. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებით. საინვენტარო № 051. სავარაუდოა, რომ მასში სამედიცინო დანიშნულების კომპონენტებს ინახავდნენ.




შუბის წვერი ორი გველის რელიეფური გამოსახულებით. სავარაუდოა, რომ იგი მოწამლული იყო ე. წ. „ისრის შხამით“, რომელიც საბრძოლო იარაღად გამოიყენებოდა. საქართველოს ს. ჭანაშვიას სსმფ.

ყოფილიყო სამედიცინო საქმეს. სავარაუდოა, რომ ასკლეპიოსის (იგივე ესკულაპის) თავით და ჯოხზე დახვეული გველის გამოსახულებით ბეჭედს მცხეთაში ატარებდა სამეფო კარის მკურნალი ექიმი. საფიქრებელია ისიც, რომ ეს პიროვნება სოციოლოგიურად პრივილეგიური მონათმფლობელური წრის მთავარი ექიმი იყო, ვინაიდან რიგითი ექიმი მოკლებული იქნებოდა ეკონომიურ სახსრებს, რომ მედიცინის ემბლემით მორთული ოქროს ბეჭედი ჰქონოდა საკუთარ გამგებლობაში. საერთოდ შეიძლება ასეც დაისყას საკითხი: ყველა ექიმს ექნებოდა კი უფლება, ბეჭდის მფლობელი ყოფილიყო თავისი რანგით? არსებობს საფუძველი, გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მცხეთაში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდის გემა მიგვანიშნებს ანტიკურ ხანაში საქართველოსა და საბერ-



კაურები აღმოჩენილი ძვ. წ. VI-V ს. სამარხებში სოფ. ვარსიშანთკარში (დუშეთის რაიონი). გამოიყენებოდა მაგიური ძალის ამულეტად ჩველი ბავშვების დასაცავად ავადმყოფობისა და ავი თვალისაგან (არქეოლოგ რამინ რამიშვილის კოლექციიდან).




სურ. I

მედიცინის ისტორიის ზოგიერთი მეკლერის აზრის ეს მახათები ქირურგიული ნემსებია. უფრო უპრიანი იქნებოდა ამ არქეოლოგიური ნივთებისათვის ქალამნის საკერავი მახათები გვეწოდებინა. სურათზე ქვემოთ, პორიზონტალურად მოთავსებული მახათი ხომ ახალ იარაგაუჩენდა ავადმყოფს (?). შეადარეთ თანამედროვე ქირურგიულ ნემსებს.


ძნეთ შორის მკიდრო სამედიცინო-კულტურულ კავშირზე, ასევე, ძვ. წ. ა. IV-III საუკუნეებში ოქრომკვდლობის და მეტალის მხატვრულად დამუშავების მაღალ დონეზე საქართველოში, რასედაც სხვა არქეოლოგიური ნივთებიც მეტყველებენ. ასკლეპიოსის გამოსახტულებანი გემაში ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. საქართველოშიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავალ ადგილზეა აღმოჩენილი ასკლეპიოსის გემები. ასე მაგალითად: ურბნისის, ნაქალაქარის და სამთავროს სამაროვნებში და სხვა.

ამჟამად, მკითხველის ყურადღებას გაკამახვილებთ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ექსპონატზე — გველის გამოსახტულებიან ქვის ჩუქურთმაზე (დაცულია მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). ეს მოჩუქურთმებული ქვა მოპოვებულია არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის მიერ 1949 წელს დასავლეთ საქართველოში სოფლების — გურიანთის, ვაშნარის და ბაილეთის მიდა-




სურათზე თანამედროვე მედტექნიკის იარაღი ქირურგიული მოხრილი ნემსი და ქირურგიული ძაფი, ნემსის დამპერი მარწუხითურთ. შეადარეთ ძველი ხარაზის, ან თერძის მახათებს...

ბოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ქვა თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნით, მისი სიმაღლეა 58 სმ, სიგანე 43 სმ, სისქე 18 სმ, შუაში ამოტვიფრულია კოპი, რომელზედაც სხვადასხვა თარგით ნატიფად ამოჭრილი ზიგზაგებია ჩაღრმავებული წერტილებით, სხვადასხვა მიმართულების ტალღების მსგავსი ზოლებით, კოპს ირგველივ შემოხვეული აქვს რელიეფური კულდამონასკველი გველის გამოსახულება. კულის, თავისა და ტანის ჭვარდინად ვადანასკვა, შესაძლებელია, უძველესი დამწერლობის მიხედვით, რაიმეს მიანიშნებდეს და თავისი შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობაც ჰქონდეს, რომლის გაშიფრვა ამჯერად არ მოხერხდა, მაგრამ ჩვენ სულ სხვა გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება. ქვის ჩუქურთმაზე რელიეფური გველის გამოსახვა შემთხვევითი არ უნდა იყოს. შესაძლებელია, აქ საქმე გვქონდეს მედიცინის ემბლემურ გამოსახულებასთან, ასევე სავარაუდოა, რომ ეს



ბრინჯაოს სამედიცინო (მედტექნიკის) ზელსაწყოები (ძვ. წ. II ათასწლეული) საინვენტარო № № 12-54:1787, 12-54:220, 12-54:1430, 12-54:1502 (ს. ჭანაშიას სსმფ).

ორნამენტი რელიგიური, ასტრალური სიმბოლიკაც იყო. გველის გამოსახულება სიბრძნის და ნაყოფიერების მაცნეც იყო. როცა მაგიური და შემდეგ საეკლესიო მედიცინა დომინირებდა ადრეული მონათმფლობელური და შუა საუკუნეების რელიგიის ბატონობის ხანაში, გველის გამოსახულება იმთავითვე ექსახურებოდა მთავარ პრინციპს: „წამალი შხამია, შხამი წამალია, განსხვავება მხოლოდ დოზებშია“. ცხადია, სწორედ სამკურნალო დოზა ენიშნებოდა ავადმყოფს გაჯანსაღების მიზნით. ცოცხალ არსებათა შორის გველის შხამი ოდითგანვე შიშის ზარსა სცემდა კაცობრიობას. მაგრამ სიცოცხლის დაზღვევის გზების ძიება კაცობრიობის აზროვნების გარიჟრაჟზე, ასტრალური რელიგიური რიტუალების პატივისცემით იყო გამოწვეული, რომლის ნიშნად გველი თავისთავად ფეტიშად იქცა. რელიგიური გველის გამოსახულებას, როგორც




სამაკური გველის თავის გამოსახულებით, ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრული, მცხეთის მხარეთმცოდნეობის არქეოლოგიური ფონდი.

ჩანს, აჩუქურთმებდნენ ქვის მთლელი ოსტატები — ხურო-კალატოზები. ჩვენი აზრით, აღნიშნული ჩუქურთმა 1500 წლის წინათ სამედიცინო ტიპის დაწესებულების შენობას უნდა ჰქონოდა ჩაშენებული კედელში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ვაშნარში იყო ქსენონის (საავადმყოფოს ტიპის) პოლიკლინიკის, ან წამლების საწყობის — აფთიაქის ტიპის შენობა, ან სხვა რაიმე სამკურნალო დაწესებულება, ვინაიდან მართო რელიგიურ-სარიტუალო დანიშნულების მიზნით ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ხუთი მეტრი სიგრძის კედელში (ასე ამბობენ ამ ადგილმდებარეობის შესახებ არქეოლოგები, სადაც ქვის ჩუქურთმა იქნა ნაპოვნი ნანგრევებში) ჩაეშენებინათ გველის გამოსახულებიანი ჩუქურთმა. საფიქრებელია ისიც, რომ ეს შენობა სამედიცინო განათლების მქონე პიროვნებას ეკუთვნოდა. ყოველ შემთხვევაში, ქვის ჩუქურთმაში რე-




მცხეთის 164 სამარხში აღმოჩენილი შინის უნიკალური ღონატორი — წვეთშრომი, რომელზედაც სამი გველის რელიეფური გამოსახულებაა. თარიღდება ახ. წ. II-III სს. არქეოლოგ გიორგი მანჭალაძის კოლექციიდან (ქ. მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი).
3. ს. სალუქვაძე



საფთოაქო უნიკალური დოზატორის — წვეთმზომის ზემოთა ტუჩი — ვერტიკალური ხედი, სადაც მოჩანს წერტილისოდენა ნახვრებით „დიფრაგმა“, საიდანაც სითხე წვეთ-წვეთობით გადმოედინება.

ლეფტური გველის გამოსახულება გვაძლევს საფუძველს, რომ ასე ვივარაუდოთ.


ესკულაბი — იგივე ასკლეპიოსის ძალიან ხშირად არის გამოქანდაკებული ჯოხზე დახვეული გაწვრთნილი გველებით. ცოცხალ ბიოლოგიურ არსებათა შორის გველი ყველაზე ძლიერი მომაკვდინებელი შხამის მატარებელია. ძლიერ ტოქსიკურია აგრეთვე ღრიანკალის, ანუ შორიელის შხამი, მაგრამ მომაკვდინებელ ტოქსიკურობაში გველის შხამს ვერცერთი სხვა ბიოლოგიური არსების შხამი ვერ შეედრება. მაინც რატომ არის გველი ასეთი ძლიერი შხამის გამომყოფი არსება? საქმე იმაშია, რომ გველს შხამი თავისივე არსებობისათვის სჭირდება, იგი თავდაცვის იარაღიც არის მისთვის და არსებობისაც. დადგენილია, რომ გველი ცბიერი არსებაც არის, იგი შენიღბულად ჩაუსაფრდება სხვადასხვა ცხოველს: როგორც კი კბენის შესაძლებლობის დისტანციაზე მიუახლოვდება, მაშინ იწყება მსხვერპლის ალაფი. ასე მაგალითად: მინდვრის თავგები მოუსვენრად და რბიან და ანადგურებენ მარცვლეულს, გველი ამ დროს მათზე ნადირობს. ნემსისებური „ენით“ კბენს თავს. ელვისებური სისწრაფით ახერხებს თავის სხეულში შხამის — ტოქსინის შეშვებას, თავი გარბის, გველი კი ამ დროს სრულიად უძრავად არის. მან იცის, რომ თავი შორს ვერ



ცილინდრული მინის მენზურა (ანტიკური ხანა). ნაოენია კოლხეთის დაბლობზე, ურგესი ანატოლი შუმილინის მიერ. ამჟამად ინახება მახარაძის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.




მცხეთის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა მოკიქული მინის კურკლები. საყარაულოა, რომ ასეთი მოკიქული კურკელი რბილი წამლის ფორმების — მალაჰობის და ლინიმენტების შესანახად იყო გამოიზნული. თარიღდება ახ. წ. III-IV საუკუნეებით.



ბრინჯაოს ბეჭელი ასკლეპიოსის გამოსახულებით (IV-III სს. ძვ. წ.). მცხეთის არქეოლოგიური ცენტრ-კოლექცია



ბრინჯაოს ბეჭელი ასკლეპიოსის გამოსახულებით (IV-III სს. ძვ. წ.). მცხეთის არქეოლოგიური ცენტრის კოლექცია.




ძველი ქართული ხელის ხასწორი წვრილი ხაწონებით, ნაპოვნია მცხეთის არქეოლო-
გიური გათხრების დროს, თარიღდება I-III საუკუნეებით. საინვენტარო № 12—54:120687.
შინის კოლბა და სითხოვანი წამლის ფორმების დოზატორი, საინვენტარო №№ 1—50:2575,
7—75:7. ს. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სსფ. თარიღდება I-III საუკუნეებით.



ახტალა (ახლა სომხეთის ტერიტორიაზე. XII ს. დასაწყისი). გელესის სამხრეთი ზორთულობა ჩუქურთმაში. რომელზედაც ოთხი გველია თავებზე და კუდით ურთიერთში გადასაკეული. ჩვენ მაღლობას მოვახსენებთ ცნობილ შეცნიერს, პროფ. პ. ზაქარაიას ამ ფოტოს გაღმრცემისათვის.

წაჯა... მართლაც, რამდენიმე სანტიმეტრის გარბენის შემდეგ თავი იწყებს ზარბაცს და სულ მალე უსულოდ ეცემა... ამის შემდეგ იწყება გველის მოძრაობა და მსჩვევრპლის გადაყლაპვა, ავტომატურად შხამი მასვე უბრუნდება თავის სხეულთან ერთად. ბუნებრივია, რომ გველის ემბლემური სიმბოლიკა დედამიწის იმ ქვეყნებში გაჩნდიბოდა, რომლებიც ტროპიკულ, ან სუბტროპიკულ სარტყელში მდებარეობენ, ხოლო ჩრდილოეთისა და ანტარქტიდის ყინულოვანი კლიმატის პირობებში გველის სამედიცინო სიმბოლოურ გამოსახვასთან საქმე არ გვექნებოდა. ამ სიმბოლოს ჩასახვა უშუალოდ არის დაკავშირებული უძველესი ხალხის უპირველეს ცივილიზაციასთან, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ხეთები, ბაბილონის სამეფო, ეგვიპტელები, ბიზანტიელები. საწართველო ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, სადაც გველის ემბლემური სიმბოლიკა შორეულ წარსულში იღებს სათავეს. იგი უპირველეს ყოვლისა, სიბრძნის და ნაყოფიერების სიმბოლო იყო როგორც წარსულში, ასევე ქრისტიანულ ეპოქაში.

მცხეთის სამთავროს სამაროვანში აღმოჩნდა ბრინჯაოს სხვა ბეჭედი, რომლის გემაში — თვალში მინანქარზე ამოტვიფრულია ასკლეპიოსის გამოსახუ-




ასკლეპიოსი ტრადიციულ ჯოხზე დახვეული გველითურთ. ბარელიეფი.

ლება. ეპოქა უსათუოდ ძვ. წ. ა. IV-III საუკუნეებია. აქ ასკლეპიოსი ფეხზე დგას და ორკაპა ჯოხზე გველებია დახვეული.

თუ ოქროს ბეჭედს სოციოლოგიურად პრავილეგირებული მთავარი ექიმი ატარებდა, სავარაუდოა, ბრინჯაოს ბეჭედს გემაში ასკლეპიოსის გამოსახულებით მცხეთაში შედარებით დაბალი რანგის მკურნალ ექიმს ეკუთვნოდა.

მცხეთის სამთავროს სამაროვანში აღმოჩნდა აგრეთვე გველის გამოსახულების იმიტაციით არა ერთი ბრინჯაოს სამაჯური, რაც რელიგიურ-ასტ-



ურბნისის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი შინის კოლბები. გვიანი ანტიკური ხანა (ს. ჭანაშვიას სახელობის სსმფ) საინვენტარო №-ს: 1—59:2272, 1—59:2255, 1—59:2251.


რალური დანიშნულების ამულეტი უნდა ყოფილიყო და სავარაუდოა, რომ თავის დროზე ეს ნივთი ამ მიზნისათვის ყოფილა დამზადებული.

გველის იმიტაციით სამაჭურებს თუ ავი სენისგან დამცველ ფუნქციას ანიჭებდნენ, აქაც ჩვენ საქმე გვაქვს მედიცინის ემბლემის სათავესთან.

ხშირად არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია ისეთი ნივთები, რომლებიც მოქანდაკე-მხატვრების იშვიათი ქმნილებებია და წარმოდგენენ სამედიცინო ემბლემებს.

ქველ საბერძნეთში სხვადასხვა ლარნაკზე ნაპოვნია კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილის მედეას გამოსახულება. სამედიცინო ემბლემური გამოსახვა ქრონოლოგიურად იწყება ჯერ „კურა მედიანას“ გამოსახვით, ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოს, შემდეგ ასკლეპიოსის ჯოხზე დახვეული გვილით. და მანაც ჰიგეას გამოსახულება გველით იქცა ყველაზე განზოგადოებულ მედიცინის ემბლემად. ზემოთ ჩამოთვლილი ყოველი ემბლემა შემთხვევით არ ითვლება მსოფლიო მედიცინის ემბლემად, რამაც თავისი ანარეკლი ჰპოვა მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ ოქროს და ბრინჯაოს ბეჭდებში, ასევე ბრინჯაოს სამაჭურებში და სხვა ნივთებში.

1976 წელს მცხეთის სამთავროს არქეოლოგიური გათხრების დროს არქეოლოგმა გიორგი მანჯგალაძემ მცხეთის სამთავროს № 164 სამარხში აღმოაჩინა ორიგინალური შინის კურკელი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებით არის დათარიღებული. არქეოლოგების მიერ ეს ორიგინალური კურკელი მიჩნეულია სანელსაცხებლედ. იგი გამჭვირვალე, მომწვანო შოკვითალო ფერისაა, იტევს 200 გრამამდე სითხეს. პირი გადაშლილი აქვს,




ქართული მინის ქილეები, სავარაუდოა, რომ ნეიტრალური რეაქციის მქონე მინის ჭურჭელი სამედიცინო (საფთოაქო) კომპონენტების შესანახად იყო გამოიწვლილი. საინვენტარო № № 100—05:76, 12—54:1010, 12—54:11070, 12—54:10817 (ს. ჯანაშიას სახ. სსმფ).

რომელიც ძაბრის შთაბეჭდილებას ტოვებს, ყელი შიდა მხრიდან შევსებულია მინისავე მასით — დიფრაგმით, რომელშიც მცირე დიამეტრის წერტილისებრი ნახვრეტია. ჭურჭელს გარშემო რელიეფურად შემოხვეული აქვს დაკლავნილი გველის გამოსახულება. ოდნავი დაზიანების მიუხედავად ადვილად შეინიშნება, რომ მასზე სამი გველია გამოსახული. არის მოსაზრება, რომ იგი რომის კონგლომერატული იმპერიიდან იმპორტის გზით არის შემოტანილი. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ორიგინალური მინის ჭურჭელი ადგილობრივად მცხეთისავე მიდამოებში იყოს დამზადებული, სადაც მინის წარმო-



გველის რელიეფურ გამოსახულებიანი ქვის ჩუქურთმა, მახარაძის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი. ნაოვნია სოულეაში: ვაშნარში, გურიანთაში და ბაილეთში არქეოლოგიური გათხრებისას (V ს.). არქ. გერმანე გობეჯიშვილის კოლექციიდან.



სითხოვანი წამლის და საკვების მისაღები ძველი ქართული კერამიკული ჭურჭელი — სასმისი (ს. ჭანაშვიას სახ. სსმფ. საინვენტარო № 7—38:34 I-IV საუკუნეებით თარიღდება).



მაგრატიონების სავარეულო გერბზე XVIII-XIX საუკუნეებში გამოჩნდა გველის გამოსახულება, რაც ნაყოფიერების, სიუხვის და მემკვიდრეობის შენარჩუნების სიმბოლიკით და პერალდიკით უნდა იქნეს ახსნილი. ფიცი სვეტიცხოვლის სამარხის ქვიდან არის გაღმოდებული.

ების არაერთი საამქროს ნაშთებია აღმოჩენილი. ყოველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში დამზადებული სამედიცინო დანიშნულების უნიკალური მინის კურკლის აღმოჩენასთან, რასაც გვაფიქრებინებს ძაბრის მსგავსი ტუჩი და ყელი, რომელშიც როგორც ჩანს, ისხმებოდა სითხოვანი წამლის ფორმა და საიდანაც წვეთების სახით ნელ-ნელა გამოდიოდა სითხე. თავის დროზე ეს ყოფილა მინის სამედიცინო კურკელი, სითხოვანი წამლის ფორმის წვეთშომი — დოზატორი, რომელიც მსხლის ფორმისაა და მას ბრტყელი ბოკო — დასადგმელი ძირი აქვს.

სავარაუდოა, რომ ნეიტრალური რეაქციის მქონე მინის კურკელი სამი გველის რელიეფური გამოსახულებით თავიდანვე სამედიცინო მიზნებისათვის იყო დამზადებული.

სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის მინის კურკლებს, როგორც ჩანს



მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძის კოშკში შემორჩენილია იკონოგრაფიული ფრესკა: „წმინდანის ვედრების კომპოზიცია“ გველისა და შვილი ცხვრის გამოსახულებით. ირმის, ცხვრის და გველის სიმბოლური გამოსახვა მაღალაძეების საგვარეულოს უკავშირდება, სიმბოლურ-პერალდიკური ტრადიციები კი საერთოდ წარმართული ეპოქიდან მომდინარეობს.

ხმარობდნენ სურნელოვანი ზეთების, სურნელოვანი სითხეების, სითხოვანი წამლის ფორმების, თუ საღებავების შესანახად, ამგვარი დანიშნულებისათვის, ქიმიური მდგომარეობის გამო, მინის ჭურჭელი ყველა სხვა ნივთიერებისაგან დამზადებულ ჭურჭელზე უკეთესი იყო, მას ნეიტრალური რეაქციის გამო უპირატესობა ჰქონდა, მასში მოთავსებული კომპონენტი რეაქციაში არ შედიოდა ჭურჭლის კედელთან. მინის ჭურჭელში ჰერმეტიულობის დაცვა ცვილის საცობის საშუალებით ალბათ ადვილად ხერხდებოდა.

გველების რელიეფურგამოსახულებიანი მინის ჭურჭელი ერთდროულად შესაძლებელია ყოფილიყო სანელსაცხებლაც, მაგრამ საყოფაცხოვრებო მინის ჭურჭელზე (მხედველობაში გვაქვს ჩვეულებრივი მინის ჭურჭელი) გველის გამოსახულება არ უნდა ყოფილიყო, და რომ ეს მსხლის ფორმის ჭურჭელი მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა იყოს, ძნელი წარმოსადგენია.



ყაზბეგის რაიონის სოფელ გერგეთში გლეხის ოდა სახლი გველის რელიეფური გამოსახულებითაა წარმოდგენილი, რომელიც ნაყოფიერების და სიუხვის სიმბოლოდ ითვლებოდა, ასევე ამუღეტის ცრუ რწმენაც იყო ჩადებული ამ სიმბოლოში. XVIII საუკუნის II ნახევარი.

საინტერესოა, VII საუკუნის ქართულ მხატვრულ ჰაგიოგრაფიულ პროზაში იოანე საბანის ძის „ჰაბოს წამება“-ში მოცემული ზოგიერთი დეტალი, რომლებიც შეეხება მკურნალობის საკითხებს: „და იყო იგი (ჰაბო. ს. ს.) ხელოვან, კეთილად შემზავებელ — სურნელთა მათ საცხებელთა... მაშინ მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი თვისი და იცხო ზეთი თავსა თვისსა და თქვა: მაშინ სადმე ვიყავი თვით მენელსაცხებლე, კეთილად შემზავებელ სუნელთა მათ საცხებელთა... ამიერთვან აღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწირობისა ჩემისა ზეთი, არამედ, ვითარცა... ბრძენმან სოლომონ მასწავლა მე: სუნნელებათა ნელსაცხებელთა“. ანდა კიდევ „... დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქვნდა სულნელებით... და წყლულებითა მისითა ჩვენ განვიკურნენით“, ძნელი გასაგები არ არის აქ მოყვანილი ციტატებიდან, რომ გამოთქმები: „მენელსაცხებლე“, „კეთილად შეზავებული“, „ამიერიდან აღარ ვიცხო განქარვებადი... ზეთი“, „...და წყლულებითა მისითა



პომპეუსის ედემის ბაღში ნაყოფით დახუნძლული ხე გველის გამოსახულებითურთაა წარმოდგენილი. სურათი ამოღებულია მსოფლიო ხელოვნების ძეგლების ალბომიდან. იხ. ხელოვნება ძველი ეტრუსკებისა და რომაელებისა.

ჩვენ განვიკურნებით“... და რაც მთავარია ფრაზა: „და იყო იგი ხელოვან, კეთილად შემზავებული სუნელითა და მათ საცხებელთა“. — უშუალოდ სამკურნალო მანიპულაციებთან დაკავშირებული გამოთქმებია. ამ მხატვრული წერილობითი წყაროს დამოწმებით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ თუ არქეოლოგების აზრით ეს უნიკალური მინის კურჭელი სანელსაცხებლე იყო, მის სამედიცინო პრაგმატულ ფუნქციას სხვა წყაროებიც ადასტურებენ.

დღესდღეობით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სითხოვანი წამლის ფორმების დოზირება ამ კურჭლის მექანიზმის პრინციპზეა დამყარებული. ასეთივე, მალამოების შესანახი სამედიცინო პრაგმატული ფუნქცია შეიძლება მივიჩნიოთ მცხეთის სამთავროს №№ 425 და 436 სამარხებში აღმოჩენილ სხვადასხვა ზომის კერამიკულ მოჭიქულ კურჭელსაც. რომელიც ახალი წ. ა. II, III საუკუნეებით თარიღდება. ზემოთ ჩამოთვლილი და დახასიათებული სამედიცინო დანიშნულების არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენა ნათლად გვიდასტურებს, ძვ. წ. ა. I ათასწლეულის ბოლოს და ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისშიაც მცხეთა ცივილიზებული ხალხის ცენტრი — დედაქალაქი იყო, სადაც ეპოქის შესაბამისად განვითარებული ყოფილა სამკურნალო ხელოვნება. ფრიად საინტერესო აღმოჩნდა ჟინვალის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები, რომლებიც უძველეს სამედიცინო ცივილიზაციაზე მიგვანიშნებენ.

საერთოდ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მინის კურჭლის და ბრინჯაოს იარაღების პრაგმატული სამედიცინო ფუნქციის განსაზღვრისას პ. ე. კრენდალისა და ი. ფ. კობატოვის სამედიცინო საქონელმცოდნეობის სახელმძღვანელოში (მოსკოვი, 1952 წ.) მოცემული მეცნიერული არგუმენტებით ჩვენში ამჟამად ძალიან ცოტა სპეციალისტი სარგებლობს. ამ მიმართულებით კვლევა-ძიებაზე მომავალში უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება, ვინაიდან არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იარაღები და სხვადასხვა კურჭლის შესწავლა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და მათი პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისას მიზანშეწონილი იქნება არქეოლოგებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დარგის კომპეტენტურმა სპეციალისტებმა, მათ შორის ექიმებმა, წამალთმცოდნეებმა, მედტექნიკოსებმა და ა. შ. ფეიქრობთ მათი მონაწილეობა ხელს შეუწყობდა მოპოვებული მასალის მეცნიერულ დამუშავებას.

არქეოლოგიური ნივთების ასეთი მეთოდით მეცნიერული შესწავლა ჩვენში ამჟამად განიცდის აპრობაციას და მას დიდი მომავალი აქვს, ვინაიდან ასეთი კომპლექსური მეცნიერული მიდგომის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენ გვერდის ნათელი სურათი იმისა, თუ ორი და სამი ათასი წლის წინათ და უფრო ძველდაც, რისთვის იყო დამზადებული ესა თუ ის ნივთი, გველის გამოსახულებიანი კერამიკული კურჭელი, მინის კურჭელი, ან ბრინჯაოს იარაღი?

1. ქართული პროზა, წიგნი 1, იონანე საბანისძე „ჰაბოს წამება“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ., გვერდი 123, 126, 136, 140.
2. გ. ლორთქიფანიძე. საქართველოს სახ. მუზეუმის გემის II კატალოგი. თბ., 1978 წ.
3. მცხეთა II, 1978 წ. ქ. თბილისი.
4. ქ. ჯაფარიძე. ურბნისის გლიტიკური ძეგლები, 1974 წ.
5. Памятники мирового искусства. Искусство этрусков и древнего Рима Москва, «Искусство», 1983.
6. ვ. გაფინიაშვილი. მეთოლოგური ლექსიკონი, 1972 წ.
7. П. Е. Крендаль, И. Ф. Кобатов — Медицинское товароведение. М., Медгиз, 1962.
8. З. Д. Грибанов, В. И. Георгадзе — Медицинские эмблемы. «Сабчота Санартвело», 1978 год.
9. И. И. Никобадзе, Ир. Я. Татишвили, И. Б. Курчишвили. «Основные этапы развития медицины в Грузии, «Мецниереба», 1964 год.
10. პ. ფიფილაშვილი, თრიალეთისა და მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ველოს გამოსახულებიანი კერამიკული ჭურჭლების დანიშნულების შესახებ. საქ. სსრ მეც. აკად. მოაზრე ტ. XIII, № 3 1957 წ.

მცენარეული წარმოშობის სამკურნალო წამლო ნედლეულის გამოყენება წამალმომცემობაში და სამკურნალო მცენარეების კულტივაცია კოლხეთის დაბლობზე — ჰეპატის ბაღში — წალკოტში
დ. წ. II ათასწლეულში

საქართველოს მედიცინის ისტორიის მკვლევარებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ კოლხეთის დაბლობზე გაშენებული ყოფილა „ჰეპატის ბაღი“, რომელშიც 40-ზე მეტ სამკურნალო მცენარეს აშენებდნენ, მსოფლიო მედიცინის ისტორიის გამოჩენილმა გერმანელმა მკვლევარმა და სისტემატიკოსმა კურტ შპრენგელმა, 1792 წელს გამოსცა „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორიის“ I ტომი, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი დაუთმო „უძველესი კოლხურ მედიცინას“¹ და ქართულ, იგივე „კოლხურ-იბერიულ მედიცინას“ უძველესი ცივილიზირებული ხალხების მედიცინის გვერდით მიუჩინა საბაბით ადგილი. კიდევ მეტი, მათ შორის — კოლხურ-იბერიულ მედიცინას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მიანიჭა და მსოფლიო მედიცინის ისტორიის პირველსავე ტომში პირველი ქვესათაური „უძველესი კოლხური მედიცინით“ იწყება. როგორც ფაქტებით ირკვევა (რაზეც დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი), სამკურნალო მცენარეების ბაღი, ანუ წალკოტი აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოფილა გაშენებული, მაგრამ ამჟამად ჩვენი მიზანია ფაქტების კონსტატაციის საფუძველზე ჩეროვანი ყურადღება მივაქციოთ ძვ. წ. II ათასწლეულში კოლხეთის დაბლობზე, მზის შვილის მეფე აიეტის და მისი მეუღლის ჰეპატეს მიერ სამკურნალო მცენარეების გაშენების ფაქტს.

ჯერჯერობით, მიუხედავად იმისა, რომ 1792 წ-დან თითქმის 200 წელია გასული, ქართველი მკითხველისათვის არ იყო ცნობილი იდენტური თარგმანი.

¹ Kurt Sprengel. Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneikunde 4, Aufgabe Bunds, Leipzig, 1846.

კ. შპრენგელის „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორიის“ I ტომის I ქვესათაურიდან: „უძველესი კოლხური მედიცინის“ ავტორს რა შინაარსის კონცეფციები ჰქონია მოცემული. თანაც, არაქართული წარმოშობის ავტორი — მკვლევარი რა საფუძველზე უთმობდა ერთ-ერთ უპირველეს ადგილს მსოფლიო მედიცინის ისტორიაში უძველეს კოლხურ-იბერიულ მედიცინას?

ამიტომაც მივმართეთ თხოვნით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას და მედიცინის ისტორიის ცნობილ მკვლევარს, გერმანელ მეგობარს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, გოტჰარდ შტრო-მაიერს, რათა ამ წყაროს დედანში გავცნობოდით. 1981 წელს მივიღეთ გერმანელი კოლეგისაგან 1846 წელს ქ. ლაიფციგში დასტამბული კურტ შპრენგელის პირველი ტომის პირველივე ქვესათაურის „უძველესი კოლხური მედიცინის“ 7 გვერდის ფოტოპირი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთან — გერმანისტ ნათელა ჭიბლაძესთან ერთად ეს წყარო ვთარგმნეთ და უჩრნალ „საბჭოთა მედიცინის“ 1982 წლის № 6-ში 62-65 გვერდებზე გამოვაქვეყნეთ მისი ქართული თარგმანი. რატომაც იქვე არ მოხერხდა სრული ტექსტის, ე. ი. 66-67 გვერდის მთლიანად გამოქვეყნება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ინტერესმოკლებული არ იქნება კურტ შპრენგელისეული ტექსტის მთლიანი ქართული თარგმანის შინაარსის გაცნობა. ამიტომაც აქვე მოგვყავს მთლიანი ტექსტი კ. შპრენგელის დედნიდან.

კურტ შპრენგელი


„გამოყენებითი სამკურნალო ხელოვნების ცდის ისტორია“¹ და

„უძველესი კოლხური მედიცინა“.

ინდური შივას ღეთისმსახურება შესაძლებელია კოლხეთშიც გავრცელდა. ანალოგიურ ბუნდოვან წარმოდგენებს ვხვდებით ძველ კოლხებსა და ეგვიპტელებში. ხოლო შემდეგ ფინიკიაშიც.

სანამ მიღეთელები სინოპს დააარსებდნენ (ძვ. წ. 650 წ.), საბერძნეთში გავრცელდა თქმულება ჩრდილოეთის ერთ საარაქო ქვეყანაზე, სადაც ჯადოქართა ოჯახი ბატონობდა, მისი წევრები აიეტი, პერსევსი, ჰეკატე, მედეა და კირკე მზის შვილებად იწოდებოდნენ. მოგვიანებით, სინოპში მოგზაურობისას, პონტოს (სამეფოს) აღმოსავლეთ სანაპიროსაც გაეცნენ. მოხუცი აიეტის ზღაპრულმა ქვეყანამ ახლა კოლხეთში გადაინაცვლა და შემდეგნაირად იქნა განმარტებული მეფის ოჯახის წევრთა ურთიერთობა: აიეტი და პერსევსი — ორივე მზის შვილები; ჰეკატე, ამ უკანასკნელის ქალიშვილი, მისთხოვდა აიეტს და მისგან გააჩინა მედეა და კირკე. ჰეკატე, ღამას ასული, შხამიანი ბალახების

¹ Kurt Sprengel. Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneikunde 4, Aufgabe Bunde, Leipzig, 1846.





*Kurt Sprengel,
D. und ordentl. Professor der
Medicin und Botanik in Halle
beyn. Bodekow in Pommern, 1768-1820*

ძველი ქართული მედიცინის დიდი მოამბე. პროფ. კურტ შპრენგელი. ფოტო მიღებულია ქ. პალედან, რისთვისაც ავტორი დიდ მადლობას მოახსენებს ცნობილ მწერალსა და მთარგმნელს აკაი გელოვანს ამ საქმეში დახმარების აღმოჩენისათვის.

აღმოჩენი, ძლიერ დახელოვნებული იყო მომავდინებელი და სამკურნალო საშუალებების შეზავების საქმეში. მისგან ისწავლეს მისმა ქალიშვილებმა ეს ხელოვნება. მედეას გრძნულს უწოდებდნენ. მან მოაზნადა წამალი, რომლითაც ოქროს ვერძის მცველი გველეშაპი დააძინა და იაზონს დიდი საქმეები ჩააღწინა.

მთელ ანტიკურ სამყაროში პონტო განთქმული იყო თავისი შხამიანი და სამკურნალო ბალახების სიუხვით, ასევე იბერიაც. აკონიტი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შხამიანი მცენარე იყო ძველ დროში, სტრაბონის ცნობით, უმთავრესად ქალაქ ჰერაკლიაში ხარობდა. თუკი ამაში იგულისხმება ამჟამად ამგვარადვე წოდებული მცენარის სახეობა, მაშინ სამხრეთ ტავრიდასა და საქართველოში მისი სამი სახეობა იზრდება: *Acositum Cameruni*, *A. Ricconiumi*, *A. ochrobuicum*, კოლხეთში ხარობს ოთხი სახეობა: *A. orientale*, *A. Confertiflorum*, *A. Rublicens*, *A. nasutum*, ხოლო საქართველოში ხარობს — 6 სახეობა: *A. tuscheticum* და *A. Brachynasum* (მაშასადამე ტილკირის 6 სახეობიდან, რომელიც ჩვენში ხარობს, კ. შბრენგელი მხოლოდ სამს ასახელებს. მათი სახელწოდებები ძველ და თანამედროვე ფარმაკო-ბოტანიკური ლექსიკონებიდან ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან, ს. ს.).

Colchicum-ს — სამკურნალო მცენარეს თავისი სახელწოდება ადგილის სახელწოდებიდან აქვს შერქმეული.

პონტოსა და კავკასიაში პონტოს აზალია¹ თხებისათვის იყო განსაკუთრებით მანე. ფუტკრები მისი ყვავილებიდან შხამიან თაფლს ამზადებდნენ (ქსენოფონტეს მიხედვით, ს. ს.). გრძნეულების ხელოვნებისათვის განსაკუთრებით გამოიყენებოდა ძალაყურძენა², რომლის ფესვებიც ლეინოსთან შერეული არცთუ უსიამოვნო ზმანებებს იწვევდა, რაც ხშირად სამ დღეს გრძელდებოდა, ხოლო მისი დიდი ღოზებით მიღება სიკვდილს იწვევდა (თეოფრასტეს მიხედვით). მანღრაგორას (შეიცავს ჰიოსცინამინს და სკოპალამინს, ს. ს.) გამაცოფებელი და დასაძინებელი ძალა კარგად იყო ცნობილი. ჩვეულებრივი ბელადონა (შმაგა, ანუ გიჟანა, ს. ს.) ხშირად გვხვდება კოლხეთში, სამხრეთ ტავრიდასა და საერთოდ კავკასიაში. ასეთი და ამის მსგავსი ბალახებით ეწეოდა მეფის ოჯახი კოლხეთში თავის გრძნეულ საქმიანობას. შხამსაწინააღმდეგო სა-

¹ Kurt Sprengel. Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneicunde 4, Aufgabe Bunds, Leipzig, 1846.

² ზოგი ავტორი იელს, ერიკსებრთა ოჯახის წარმომადგენელს, პონტოს აზალიას, არასწორი ფორმულირების გამო პონტოს არალიას უწოდებდა და, ამრიგად, პონტოს იელი მანჯურიაში ვალპკონდთ, მაშინ როცა შეე ზღვას წინაო, პონტოს ანუ ეუქსინის ზღვა ერქვა და აქედანვე წარმოდგება ტომინიმურად პონტოს იელის სახელწოდება (ს. ს.).

³ ძალაყურძენა, ბაღრიჯნის სახეობა, ბერძნულად თრონი, ლათინურად *Solanum*, ლათინური სიტყვიდან *Solamen* — იმედი, ნუგეში; *Solari* — დაყურჩება, ესაა მცენარეთა ჭგუფი, რომელშიც შედის ძალაყურძენა (*Persicum*), კარტოფილი (*Tuberosum*), ბადრიჯანი — ტიგილის დამაყურჩებელი მცენარეები, რომლებიდანაც მიღებული სოლანილი შხამიანი ალკოლოდი და რომელთა შორის ველური *Solanum nigrum* ძალაყურძენა გამოირჩევა განსაკუთრებული შხამიანობით. (ამ ტერმინების თარგმანების შესრულებაში ავტორი დიდ მადლობას მოახსენებს ცნობილ მწერალს აკაკი გელოვანს. ს. ს.).

Zweiter Abschnitt.

Zustand der Medicin bei den ältesten Völkern.

I. Aelteste kolchische Medicin.

1.

Es mag der indische Schiva-Dienst sich nach Kolchis verbreitet haben, oder nicht: wir finden ähnliche finstere Begriffe bei den alten Kolchiern und Aegyptern, die auch in Phöniciern wiederkehrten.

Ehe Sinope von den Milesiern gegründet war (650 vor Chr.)¹⁾, ging in Griechenland eine dunkle Sage von einem fabelhaften Lande im Norden (*asia, yavia*), woselbst eine Zauber-Familie herrsche, deren Mitglieder, Aeëtes, Perseus, Hekate, Medea und Kirke, Kinder der Sonne genannt werden²⁾. Später, als man Sinope öfter besuchte, lernte man die Ostküste des Pontus kennen, versetzte nun nach Kolchis ins Zauberland des alten Aeëtes³⁾, und gab nun folgende Verwandtschaft jener Herrscher-Familie: Aeëtes und Perseus, beide Söhne der Sonne; Hekate, des Letztern Tochter, heirathete den Aeëtes, und zeugte mit ihm Medea und Kirke⁴⁾. Hekate, die Tochter der Nacht⁵⁾, war die Erfinderin giftiger Wurzeln, und sehr erfahren in tod- und heilbringenden Mitteln⁶⁾. Von ihr hatten die Töchter jene Künste gelernt; Medea wird Zauberin (*μαγιστις*) genannt: sie bereitete gewisse Mittel, womit sie die Schlangen, Bewahrer des goldenen Felles, einschläferte, und den Jason zu grossen Unternehmungen feierte⁷⁾.

კურტ შარენგელმა ცივილიზებულ ერებს შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მიანიჭა უძველეს კოლხურ მედიცინას. ხუთ ტომეულის I ტომის I ქვესათურაა „უძველესი კოლხური მედიცინა“. წიგნის სათაურია „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორია“. ფოტოკოპირი მიღებულია ბერლინის მეცნიერებათა აკადემიიდან ჩვენი მეგობრის, პროფესორ გოტჰარდ შტრომოაერის დახმარებით.



კურტ შპრენგელის სურათის მეორე ვარიანტი, რომელიც მიღებულია ჰალეს უნივერსიტეტის სიძველეთა საცავიდან. ი. ბოლინგერის და პუაიფერის მიერ არის შესრულებული 1779 წელს სპილენძზე გრავეურის სახით. აღნიშნული სურათის მიკროფილმი ჩვენი თხოვნით გამოუგზავნა მწერალ აკაკი გელოვანს პროფ. ს. დიცმა, რაც ეროვნულ მადლიერების გრძნობებს აღძრავს გერმანელი მეგობრის მიმართ.

შუალეებესაც ეძებდნენ ისინი და საამისოდ სათანადო მცენარეებიც მოჰყავდათ, აშენებდნენ ისეთ მცენარეებსაც, როგორსაც მოგვიანებით მითრიდატეც იყენებდა. ორფიკული არგონავტების მოგზაურობაში მოცემულია ჰეკატეს ბოტანიკური ბალის (წალკოტის) მცენარეების შემდეგი სია: კეთილშობილი დაფნა, შინდი, ჭადარი, ასოფდელი, ბალის აოჯაელი, მრგვალი თავნასკვა, ვერბენა (ანუ ცოცხანა), ფრინტა, საფთიაქო სალბი, გონგოლა, ლავანდი, ყოჩივარდა (იგივე კვარაყენჩხა) კავკასიური სურო, იორდასალამი, პიტნა, თავშავა (ანუ ორიგანუმი), წიწმბატი (წიწმბატელა) (?), ზაფრანა, ურთხელი, ჩვეულებრივი ლობიო, ეკალიცი (ანუ ძიგურა), კამანია (ანუ ირაგა), ჩვეულებრივი გვირილა, სამკურნალო გვირილა, ყაყაჩურა, კორკოტინა — მოღოქა, საკპინაჭი, ძირთეთრა, თავკომბალა — ურიში (ანუ სურჩხა, სამკურნალო კატაბალხა (ანუ ვალერიანა), ყუნერტუო, წითელი იორდასალამი), ჭარელა, აკონიტი (ანუ ტილკირი). ზღვის ხახვი, კოლხიკი, ანუ უტუნა, პონტოს ახალია, კარტოფილი (?) (უფრო სწორად ძალყურძენა, ს. ს.), შმაგა (ანუ გიყანა), მანდრაგორა (ცალკეა ნახსენები მარადიულობისა და ნაყოფიერების სიმბოლო — კეთილშობილი მუხა, რომელზედაც ეკიდა „ოქროს ვერძი“, მაგრამ რატომღაც კურტ შპრენგელს ჰეკატეს ბალის კოლექციის ჩამოთვლისას მუხა ნახსენები არა აქვს. ს.ს.) პირველი წმინდა ასფოდელოსი ლათინურადც *Aspodelo* (ა. რამოსუს), რომელიც საფლავებზე იზრდებოდა, სიზმრების სამეფოში ხარობდა, სადაც მიცვალებულთა სულები ცხოვრობდნენ. შემდეგ ბალის არჯაყელია, კლიმენოსი, ანუ კლიმენონი (*Satinrus olimenus*), რომლის ნაწური წვენი სისხლდენის საწინააღმდეგო საშუალებად იყო გამოყენებული. ბერძნული ადიანტოს — ვენერას თმა (*Adiantum capillus eneris*), რომლის მეტსახელი „ნელსურნელოვანი“ არასწორია, ძალყურძენა (თრიონი) ზემოთ ეახსენეთ. მრგვალი თავნასკვა (*Cyperus rotundus*), რომლის ნელსურნელოვანი ბოლქვები გამოყენებულია „ერეტრული“ მალამოს დასამზადებლად: არისტერეონი; ამ სახით აღარსად გვხვდება, იგი პერისტერეონად იქცა. ესაა სუპინა, საფთიაქო ცოცხანა (*Sythrum virgamtum*), რომელიც ცოდვების მონანიების მიზნით ავგაროზად იხმარებოდა. ფრინტა ანემონი (*Anemone coronaria*), რომლის სამკურნალო ძალას დიოსკორიდე აქებს, სალვიას, ანუ სალაბს, ღვინოში ურევდნენ, როგორც აღმგზნებ (აფროდიოზულ საშუალებას). გონგოლა ერიზიომონის (*Sisimbrium poliaratum*) თესლი შხამსაწინააღმდეგო წამლად მიაჩნდათ. ციკლამინს პროზაიკოსებმა კიკლამინოსი უწოდეს. ესაა ქართული ყოჩივარდა (ლათინურად *Ciclamen vernum*). მისი სახესხვაობა ცნობილია, როგორც მათრობელა და მუცლისმოწყვეტის (აბორტის) ძლიერი საშუალება, მისი წვენი მუქი წითელია, ამიტომ იისფერსაც ეძახიან (*Joides*), ლავანდი სტოიქსასი ანუ სტიქასი. (*Lavandula Stechas* ჩრდილოეთ საბერძნეთში ხარობს და ცხარე შემადგენლობის გამო ყველაზე უფრო ცნობილ შხამსაწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა. იორდასალამი პეონია (*Peonia officinalis*) და კორონილა, ქალის ავადმყოფობისა და მენსტრუაციული ციკლის დარღვევის საწინააღმდეგო განთქმულ საშუალებად იყო ცნობი-

ლი. მის ფესვებს იდასტაქტილებს ეძახდნენ (ცნობილი ნიმუშების სახელობის ფესვები). პიტნა (სვანურად მინთე) (*Menthae aquatica*) — ტენცო, უხვად დატოტილი ბალახი, ჭრილობის წამლად იყო ცნობილი. მანდრაგორა, უკვე ვახსენეთ, პოლიონი, მწვავე სუნინანი, ძლიერ სურნელოვანი (*Teucrium montanum*) ჭარვალს სახეობა, აგრეთვე იფნურა, თავშავა ვახეხილი *Origanum vulgare*), მშრალი სახით გველნაკებენის უებარ წამლად ითვლებოდა, შველოდა სხვა შხამიან ცხოველთა ნაკებნსაც. მისი ძალის იმდენად ჯეროდან, რომ ტანზე იცხებდნენ და სწამლათ შხამიანი ცხოველი არ გაეკარებოდათ, ნელსურნელოვანი ზაფრანა, ცნობილია მისი საუკეთესო სახესხვაობა (*Crocus sativus*) სიცილიაში (ხარობს კოლხეთშიც. ს. ს.). მისი სამკურნალო ძალა ქალურ სნეულებათა წინააღმდეგ განთქმული იყო, ტყის წიწმბატი, კარბამონი, წიწმბატი (*Lepidium sativum*), უპირატესად მიდიური, ნაქები იყო, როგორც გესლიან ქვემძრომთა ძლიერი შხამსაწინააღმდეგო საშუალება. საამისოდ მის თესლსაც ყნოსავდნენ. კიმოსი, რომელიც დასახელებულია ჰეკატეს ბალის მცენარეთა შორის, ლომის კბილა ლეონდონთან ერთად იხმარებოდა სიყვარულის წამლად. ეკალიქი (*Smilax*), ეკალა-ძიგურა, აგრეთვე ურთხელი (*Taxus baccata*). და ჩვეულებრივი ლობიო (*Fasolus vulgaris*) სამკურნალო მცენარეთა შორისა დასახელებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინიც შხამსაწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდნენ. მთელს აღმოსავლეთში ეკალიქი განთქმული შხამსაწინააღმდეგო საშუალება იყო. უფრო გველის ნაკებენის სამკურნალოდ იხმარებოდა, ტყის ირაგა, კეთილშობილი გვირილა (*Anthemis nobilis*), გვირილა (*Matricaria chamomilla*) და ასფურცელა, სახელგანთქმული ყაყაჩურა, კერატი (*Glauceum luteum*) ბალბა ანუ (*Malva*). ტუხტის, ლათინურად (*Althea, Alcea*), მრავალი სახეობაა ცნობილი. საბა ქალბანა (*Ferula japonax*), პირთორა (*Heracleum Lupula*), აკლეპიონი (*Echinochloa tenuifolia*), რომელსაც აგრეთვე ფლეგინიროს უწოდებენ, კარპანოსი იგივე კარპენოსი¹ უნდა იყოს, რასაც გალენი აღწერს ორფიკულ არგონავტიკაში, როგორც ვალერიანა ტუბეროზას (?) ეს ბალი მდებარეობდა ფაზისთან, გარშემორტყმული იყო ცხრა საყენის² სიმაღლის კედლით და სამმაგი ბრინჯაოს

¹ კარპანოსი, იგივე კარპენოსი. კ. შპრენგელის მიხედვით, თითქოს მას გალენი აღწერს ორფიკული არგონავტიკის მიხედვით, როგორც ვალერიანა ტუბეროზას (?), წარმოუდგენელია ასეთი განმარტება, როგორც კ. შპრენგელისაგან, ასევე ე. გალენისაგან. კარპინუსი არის ლათინური სიტყვა და აღექანდრე მაყაშვილის მიერ შედგენილ, ქართულ ბოტანიკურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც რცხილა (იხილეთ ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონი. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961 წ., გვ. 66) რცხილას და კატაბალახას ერთმანეთში არევა ამ ორ ავტორიტეტს — არაფრით შეიძლებოდა მოსვლოდა, თანაც კატაბალახა — ვალერიანად იწოდება ლათინურად (*Valeriana*) და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეის X გამოცემის დახუცებული ტერმინოლოგიით მას ჰქვია (*Riroma cam Radicibus valeriana*), ამიტომ კ. შპრენგელის მიერ მოცემულ „ჰეკატეს ბალის“ „სამკურნალო მცენარეების კოლექციის“ განმარტებასა და თანამედროვე ფარმაკო-ბოტანიკურ ტერმინოლოგიას შორის არის ზოგიერთი შეუსაბამობანი, ს. ს.

² კ. შპრენგელს უწერია კლაფტერ-საყენი, ძველებური სიგარძის საზომი ერთეულით დაახლოებით 190 სმ-ია, ე. ი. 9 კლაფტერი დაახლოებით 17 მეტრი.

კიშკრით, რომელსაც შეეყავდით ბაღში, საზარელი გარეგნობის არტემიდა იცავდა, ხოლო ცეცხლისმფრქვევე თვალებიანი ძაღლები ყველას შიშის ზარს სცემდნენ. ამ წმინდა სავანეში შედწევა შექმლო მხოლოდ იმას, ვინც მოიტანდა ცოდვის გამოსასყიდოდ შეფთოვლილ რტოებს, შესწირავდა ზვარაკს, რასაც ტაძრის მსახური მავედრებელი ქურუმი, მედეა, მიიღებდა და სათუთად შეინახავდა.

საშინელ ღმერთქალს, ჰეკატეს მთელ კოლხეთში, ჰაფლაგინიამდე, ყველგან თავისი ტაძრები ჰქონდა. მის ქურუმებს მოჰქონდათ მისთვის საზარელი მსხვერპლი — შესაწირავი, რომელთა ერთი დასახელებაც კი თავზარს სცემდა ყველას. მის (ჰეკატეს, ს. ს.) ერქვა ბრიმო, იმ შიშისზარის გამო, რომელსაც მნიღველში იწვევდა და იმ საძაგელი სიზმარისეული მოჩვენებებისთვის, რასაც სიზმრებს უწოდებდნენ. მათ იწვევდა მანტრავარას, ბელადონასა და ძალუყურძენასაგან დამზადებული ჯადოსნური სასმელი.

ამ ჯადოსნურ ხელოვნებას რომ ჩასწვდომოდა (ზიარებოდა), იაზონმა გააჩაღა კოცონი ჩვეულებრივი ლიკიური ღვინის, მტირალი ტირიფისა და ეკლიანი კვინჩისაგან (ბერძნულად კედროს, ს. ს.), აგრეთვე ხეკრელისაგან და ალვის ხისაგან. მედეამ მაშინვე მოუტანა ტაძრიდან სურნელოვანი ყუთი საესე წამლებით და სინათლის ჯადოსნური სურათებით, გამოსახულებებით, საფლორით (ალისარჩული, ბერძნულად კნიკუსი).

ამრიგად, მედიცინა თავის საწყისებში დაკავშირებული იყო ჯადოსნობასთან; როგორც უწმინდესი და ამაღლებული წამალთხელოვნება, შემოდოდა იგი გამაჯანსაღებელი და საზარელი სახეებით და კეთილმყოფელ აღქმას ემატებოდა ცრუმორწმუნეობის საშინელი ძალა, რითაც ღვესაც არის ადამიანის მოდგმის უმცირესი ნაწილი დაბრმავებული.

საბერძნეთშიც გავრცელდა ეს თავდაპირველად ბნელი, ჯადოსნური მედიცინა, ანუ სამედიცინო მაგია. ვინაიდან თვით მედეა, რომელმაც დაჭრილი აროგონავტები მოარჩინა, კორინთოში ჩავიდა ურჩხულებიანი ეტლით, მან ათენში მოგვიანებითაც შემოინახა ეს კოლხური ღვთისმსახურება, სადაც ქალაქისა და კუნძულ ეგინის მკვიდრნი ეგინელები თავყვანს სცემდნენ ჰეკატეს, ელინებმა (ბერძნებმა) კი იგი არტემიდეს გაუთანაბრეს. ჯერ კიდევ პავსანიას დროს კორინთოშიც იღვა მისი ქანდაკება, პოლიკლისუსის მიერ გამოკვეთილი.

მთვარის ჯადოსნურ შუქზე დიდი გასაქანი ეძლევა ღამის მაცდურ ხელოვნებას. ამიტომ მთვარეს, როგორც კერპს, პონტოსა და მთელი მცირე აზიის ღვთაებასავე სცემდნენ თავყვანს. კაბირიაში იღვა მისი ყველაზე უფრო განთქმული ტაძარი. ეგვიპტის ერთ-ერთ უძველეს მეფეს მენეასი ერქვა. იესაიასი იხსენიებს ერთ კერპს მენისს (რომელიც, ალბათ, სილონში იყო გაღმერთებული) აქედან ჩანს, რა დიდად ყოფილა გავრცელებული მთვარის ღვთისმსახურება (კულტი).

მაგრამ როდესაც თეთრი ადამიანის სახესხვაობასთან ერთად, ცხოვრების უფრო ნათელი ცნებები და მხიარული ჩვევები გავრცელდა, მაშინ ძველი ღამის მოჩვენებები განდევნეს სხვა ღმერთებმა და ღვთისმსახურების ძველი წესი

ქუბრალო წესმა შეცვალა. უფრო გვიანდელი ხალხები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ ძველ ხალხებთან, როგორც ტანაისთან, აგრეთვე მდ. პალიოზე (მედიისა და ლიდის საზღვარზე) და პენეესზე უფრო აღრინდელ თეთრ სირიელებთან (ლეიკოსირით), რომლებსაც მოგვიანებით კაბადოკიელებს უწოდებდნენ, მხოლოდ ტავრის ქედი ყოფდა მათ შავი სეხნიებისაგან. პრომეთეს, იაფეტისა და აზიის ვაჟიშვილის დროიდან იწყება უფრო ნათელი პერიოდი კავკასიის ხალხებში. ცნობლია, როგორ მიუტანა პრომეთემ ფერულას — ქალბანას (ბალახია) ფულურო ღეროთი ცეცხლი ადამიანებს, რომლებიც მანვე შექმნა წყლისა და მიწისაგან და ჩაუნერგა მათ სიყვარული სიბრძნისადმი. რადგან იგი წინასწარმეტყველებისა და წამლობის ხელოვნებასაც მისდევდა, ათენელმა ფილოსოფოსებმა მისი ხსოვნისადმი პატივისცემა იმით გამოხატეს, რომ აკადემიასი საკურთხეველი აღმართეს. ამაზე მეტყველებს თქმულება არწივზე, რომელიც მას ღვიძლს უჩიჯგნიდა კავკასიონზე. ალევკორისტების აზრით იგულისხმება მდინარე აეტოს, რომელმაც დამუშავებული ნაყოფიერი მიწა წალეკა, ჰერაკულესმა დაიმორჩილა ის და გზა შეუუკვალა.

ამ ცნობაში ის მოხსენიებულია სკეითების მექედ. აქ ჰერაკლეზეა ლაპარაკი, მაგრამ სხვა გვიანდელი ფილოსოფოსები არწივში ნილოსს გულისხმობდნენ და პრომეთე ეგვიპტეში გადაჰყავდათ (რაც, რასაკვირველია, არაა სწორი. ს. ს.).

მის (პრომეთეს) დედას აზიას, ოკეანიდს, რომელსაც ჰესიოდე კლიმენეს უწოდებდა, კოლხები თაყვანს სცემდნენ. როდესაც ლაკედემონებმა (სპარტელებმა) ამ ღმერთს ათენა (აზია) შეარქვეს, ეს იყო ბერძნების მითოლოგიის გამარტივებისადმი მიდრეკილების შედეგი. მაგრამ თუკი პრომეთე ერთ-ერთი კაბორთაგანი იყო, რომლებმაც დემეტრეს (მიწათმოქმედების ქალღმერთის), ღეთისმსახურება (კულტი) შემოიღეს (კაბირებმა დემეტრეს აქსიეროსი უწოდეს), მაშინ სავსებით სარწმუნოა, რომ აზია, პრომეთეს დედა, იყო ქველმოქმედი, მიწათმოქმედების ღმერთი და აქედნად მშობელი, შემოქმედი და მარჩენალი ყველა შემდგომი მოკვდავი და უკვდავი მოღვმისა. ფრიგიასი აზიას, ოკორც კიბელეს, თაყვანსა სცემდნენ კურჩებზე, ბერიკინთის მთაზე. ფრიგიელები უწოდებდნენ მას მაიას, რაც გამოხატავდა შემოქმედის მიერ შექმნის ხალისს, (რომ რეა, კიბელე, აზია ფაზისის ღმერთი, რომელსაც კოლხეთში ეთაყვანებოდნენ, ერთი და იგივეა, ეს ექვევარეშეა). მისთვის წმინდა იყო ყურძნის მტევანი და მუხა. ფიზიკოსები უწოდებდნენ მას მიწას, ჰარმონიას, კავშირს (კვანძს), რაც ყველაფერს ერთად კრავს.

გარდა პრომეთესი და მისი დედისა, კავკასიის მცხოვრებლები დიდი მოწიწებით და გულწრფელი მადლიერების გრძნობით თაყვანსა სცემდნენ ჰერაკულესს, როგორც პრომეთეს მხსნელს, ავადმყოფობისა და მიწიერი ტანჯვისაგან განმათავისუფლებელს. ადგილობრივი მცხოვრებლებიც უპირველესად მას აღიარებდნენ. ის ამბავი, რომ სამყაროს მხსნელად აღიარებული ჰერაკლე ყველა სხვა ქველმოქმედი გმირის მსგავსად ინდური წარმოშობისაა, დამტკიცებუ-

ლი არ არის. (ნუთუ XVIII საუკუნის ბოლოს საკმაოდ იყო, რომ პერეკლე (პერაკლოტე) ბერძნული წარმოშობისაა? ს. ს.).

მოგვიანო თქმულება დიონისეზე, ანუ ბახუსზე ვრცელდება პარაპანისე-დან (თავდაპირველად ინდოეთიდან) და კავკასიიდან ფრიგიაზე, ლიდასა და თრაკიაზე გავლით საბერძნეთში. როდესაც ფრიგიელები და ლიდელები მიწათმოქმედებით, ხელოსნობით და ვაჭრობით გაძლიერდნენ, ერთ-ერთმა ვაჭარმა ტომმა შემოიტანა თეთრი ხალხების კავკასიური კეთილი ღმერთების კულტი და აგრეთვე ოლიმპური ასპარეზობანი პელოპონესში“.

წამალთმცოდნის კომენტარი კურტ იოახიმ კოლიპარკ შპრინგელის „უძველესი კოლხური მედიცინის“ მართული თარგმანის გამოც

გამოჩენილი გერმანელი ექიმი, ბუნებისმეტყველი, ბოტანიკოსი და მედიცინის ისტორიკოსი კურტ შპრინგელი (1766—1833) უძველესად ჰალეში მოღვაწეობდა, სადაც 1789 წლიდან მედიცინის კათედრას განაგებდა, 1797 წ. კი ბოტანიკის კათედრას. ორივე ამ დარგის ღრმა ცოდნამ, ერუდიციამ, განსწავლულობამ ბუნებისმეტყველების ისტორიაში და მითოლოგიაში საშუალება მისცა, შეექმნა თვალსაჩინო შრომები მედიცინის ისტორიის, ბოტანიკის და მონათესავე მეცნიერებათა სფეროში. მან დაწერა „პათოლოგიის სახელმძღვანელო“, „ბოტანიკის ისტორია“, „ახალი აღმოჩენები მეცნიერთმცოდნეობის სამყაროში“ (1819—1822) და მრავალი სხვა. მისი შრომები დაიბეჭდა ჰალეში, ამსტერდამში, ლაიფციგში... ამ შრომების უმეტესობა არაერთხელ გამოიცა. მაგალითად, 1815 წელს მეთოთხმეტეჯერ გამოვიდა „პათოლოგიის ისტორია“. მისი „ოპუსკულა“ (მცირე შრომები), ბიოგრაფიით გამოსცა როზენბაუმი ((1848 წ.) მსოფლიო მედიცინის ისტორიის დაწერისას კ. შპრინგელი თავისუფლად სარგებლობდა არაბული, ბერძნული, ლათინური, ინგლისური, ფრანგული, და რუსაკვირველია, გერმანული ლიტერატურის დედნებით, რაც მეცნიერის მრავალმხრივ ლინგვისტურ განსწავლულობაზე მეტყველებს. კურტ შპრინგელის ღრმა მეცნიერული ინტელექტი და ობიექტურობა შეუდარებელია. დიდა მისი დამსახურება მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის წინაშე. მან, როგორც ბოტანიკოსმა, როგორც პათანატომმა, განსაკუთრებით, როგორც მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელმა და სისტემატიკოსმა წარუშლელი კვალი დატოვა. შთამბეჭდავია მისი უანგარო სამსახური ქართული კულტურისადმი. მან მსოფლიოს ცივილიზებულ ერებს შორის ჭეროვანი ადგილი დაუთმო უძველეს კოლხურ-ბერძნულ მედიცინას. კართაგენის, ინდოეთის, არაბეთის, რომის, საბერძნეთის და სხვა ცივილიზებულ ერებთან ერთად ქართულ მედიცინას სრულიად დამსახურებულად ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მიაკუთვნა. თავისი განთქმული ხუთტომიანი შრომის: „გამოყენებითი სამკურნალო ხელოვნების ცდის ისტორიის“ პირველი ტომის I ქვესათური იწყება: „უძველესი კოლ-

ბური მედიცინით“. ასეთი ფაქტის აღიარება არაქართველი ავტორის მიერ უძველესი ქართული მედიცინის შესახებ თავისთავად მრავლისმეტყველია, რაც არგუმენტირებულია ისტორიული, მითოლოგიური და მხატვრულ-პოეტური პირველადი წყაროებით. მედიცინის მდგომარეობის ასახვას უძველეს კოლხეთში კ. შპრენგელი შესავალშივე 7 გვერდს უთმობს და სქოლიოში მითითებული და გამოყენებულია სხვადასხვა ენაზე დაწერილი 84-მდე ლიტერატურული წყარო.

მაინც რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი კურტ შპრენგელის ამ 7 გვერდიან გამოკვლევაში?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში კოლხეთის დაბლობზე 40-მდე სამკურნალო მცენარის კულტივირება ხდებოდა. ეს კი თავისთავად ძველი კოლხური მედიცინის მაღალ დონეზე მეტყველებს. რაც მთავარია, ცნობილი ყოფილა სამკურნალო მცენარეების ისეთი ფარმაცოლოგიური თვისებები, როგორცაა კოაგულაცია და ანტიკოაგულაცია. ასევე კარგად ყოფილა ცნობილი მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიერ ხელოვნური აბორტის გამოწვევა და ფარმაცოლოგიური შხამი — ნარკოტიკული და მომაკვდინებელი საშუალებები. დასაძინებელი — სედატიური და ანალგეტიკური საშუალებების მოსაპოვებლად ნედლეულის მოშენებაც კარგად სცოდნიათ. „პონტო განთქმული იყო მთელ ანტიკურ სამყაროში თავისი შხამიანი და სამკურნალო ბალახების სიუხვით“, — წერს კურტ შპრენგელი. ცნობილი ყოფილა შხამსაწინააღმდეგო ანტიდოტურ საშუალებათა მომზადების ხელოვნება, რომელსაც შემდგომ პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორიც იცნობდა. ცნობილი ყოფილა ყურძნის წვენის და ღვინის გამოყენება მიკროდოზებში, ძალყურძენასა და სხვა მცენარეების ნაყოფის მინარევებისაგან (სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად), როგორც ანალგეტიკური, ტკივილდამაყუჩებელი და ასევე, პირიქით, აღმგზნები — აფროდიოზული საშუალებები. იყენებდნენ წამლის მომზადებისას სინერგიზმის მეთოდს, იცნობდნენ წნევის და სიცხის დამწვევ, ოფლის მომდენ, ხველების საწინააღმდეგო და სხვადასხვა საგულე — კარდიოლოგიურ საშუალებებს.

ზოგიერთი სამკურნალო მცენარე ასტრალურ-სიმბოლური დანიშნულებიდან ყოფილა, რომლის სურნელოვან ზეთს ტანზე იცხებდნენ, ან სხეულზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ შხამიანი გველის კბენის თავიდან აცილების მიზნით.

კურტ შპრენგელი ქართული პერალდიკის ადრეული საფეხურის საწყისებს ეხება და წერს, რომ „კოლხეთში ეთაყვანებოდნენ ფაზისის ღმერთ აზასს... მისთვის წმინდა იყო ყურძნის მტევანი და მუხა“. საგულისხმოა, რომ მუხის კულტურისადმი თაყვანისცემა ქართველმა ხალხმა წარმართული ეპოქიდან ქრისტიანულ სამყაროშიაც შეინარჩუნა. თავდაპირველად საქართველოში „ქყონდიდი“ მუხის კულტის თაყვანისმცემელს და შემდეგ რელიგიურ-სარწმუნოებრივ თანამდებობას ნიშნავდა, ბოლოს იგი ფეოდალურად

პრივილეგირებულ საგვარეულოდ და ტოპონიმებადაც გადაიქცა. მუხის კულტის თაყვანისმცემლობას მრავალი მეცნიერული გამოკვლევა მიუძღვნა აკად. ივანე ჯავახიშვილმა. მუხა შუა საუკუნეებშიაც სიბერძნის და მარადიულობის სიმბოლო იყო. ამ ფაქტის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ გელათში დავით აღმაშენებლის ტანსაცმლის მორთვა მუხის რკოებით, ვინაიდან დავითი იყო დავარდომილთა და სნეულთა ქომაგი, საავადმყოფოების — ქსენონის მშენებელი. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ვაზის ყვავილობა“ „ბერამუხათი“ იწყება. თანაც მუხისა და ვაზის მტევანისადმი ჰერალდიკას და თაყვანისცემას სიმბოლურ სამყაროდან აშკარა რეალურ სამყაროში გადმოვყავართ. მუხის ქერქი ღღესაც გამოიყენება, როგორც ძვირფასი ნედლეული მთრიმლავი ნივთიერების — ტანიის მისაღებად. ტანიი კი მნიშვნელოვანი ეფექტური სამკურნალო საშუალებაა კუჭ-ნაწლავის და სტომატოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. ვაზის მტევნის ტკბილი წვენი — ბადაგი ნახსენებია ძველ ქართულ კარაბადინებში, როგორც აუცილებელი კომპონენტი გუარიშნების — რთული სითხოვანი წამლის მოსამზადებლად, მწარე გემოს შენიღბვის მიზნით. ამ ბოლო წლებში ქართველი მეცნიერების მიერ ღვინოში აღმოჩენილია ალკალოიდები. ღვინო კარაბადინებში ერთ-ერთი წამლის ფორმად არის ნახსენები, როგორც ბიოგენური სტიმულატორი, ხოლო შავი ღვინის ანტიანემიური თვისებები ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი. თუ კოლხეთის ღმერთებისათვის „წმინდა იყო ყურძნის მტევანი და მუხა“, ამ სიმბოლიკის გამოძახილით უნდა ავხსნათ ეს ფაქტი, რომ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხუროთმოძღვრების მიერ, რელიეფურად არის გამოქანდაკებული ვაზი და ყურძნის მტევნები, ამის მკაფიო მაგალითია სვეტიცხოვლის გარეთა კედელზე ვაზის გამოსახულება. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ნინო კაბადოკიელმა საკუთარი თმით დაწნა ჯვარი ვაზისა, რომლის მაგიური ძალით მოხდა მოქცევა, ანუ ქართველი ერის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება. რაც მთავარია, კურტ შპრენგელი უძველეს კოლხურ-იბერიულ მედიცინას ეხილავს ფაქტების ზუსტი კონსტატაციის საფუძველზე, დიალექტიკურად, ვინაიდან ისტორიული მოვლენები ეხება მისტიციზმის ბატონობის ხანას, ამიტომ ამ მოვლენებს ავტორი ხსნის მატერიალისტურად. კ. შპრენგელი წერს: „ამრიგად, მედიცინა თავის საწყისებში დაკავშირებული იყო ჭადოსნობასთან: როგორც უწმინდესი და ამაღლებული წამალთხელოვნება, შემოდიოდა იგი გამაჯანსაღებლად საზარელი სახეებით და კეთილმყოფელ აღქმას ემატებოდა ცრუმორწმუნეობის საშინელი ძალა, რითაც ღღესაც არის ადამიანის მოდგომა დაბრმავებული“. ეს ფრაზა ცრუმორწმუნეობის და მისტიციზმის ჯანსაღი კრიტიკაა. ფრიად საინტერესოა გავეცნოთ ქართველ მკვლევართა მოსაზრებას და კომენტარებს „ჰეკატეს ბაღში“ ჩამოთვლილი სამკურნალო მცენარეების შესახებ! „ჩვენს მცირე ნარკვევს ერთ მეტისმეტად საყურადღებო ვარაუდამდე მივყავართ“, — წერდა 1956 წელს პროფესორი პ. ბერაძე. „საქმე ეხება ძველ ბერძნულში აქამდე აუხსნელი ერთი სიტყვის, კერძოდ, მცენარის სახელს „ას-



ქართლის მეფე ფარნავაზი. მეფობდა ძვ. წ. IV-III საუკუნეებში.
მოქანდაკე ელგუჯა ამაშუცილი.



დავითის სტელის წახნაგი, რომელზედაც გამოსახულია ასომთავრული ქართული ანბანის განდიდების სცენა. მთავარანგელოზები: მიქელი და გაბრიელი ამაღლებენ ქართულ ანბანს. რ. რამიშვილი და გ. აბრამიშვილი ქარაგმული წარწერებით, ხელოვნებათმცოდნეობის სხვადასხვა არგუმენტირებული ასპექტებით და მოსაზრებებით ვარაუდობენ, რომ ქართული დამწერლობის თარიღმა 400-700 წლით უკან გადაინაცვლა და დაუკავშირდა იგი მეფე ფარნავაზ მწიგნობართუხუცესის ეპოქას — ძვ. წ. 284 წელს. გაირკვა, რომ ქართული ანბანის განდიდების თუ ამაღლების იდეა უკვე ა. წ. VI საუკუნეში არსებობდა, რაც 400 წლით უსწრებს იოანე ზოსიმეს მიერ დაწერილ ოდას „ქებაი დიდებულისაი ქართულისაი ენისაი“. ამავე დროს ეს არის ქართული დამწერლობის ყველაზე უფრო ძველი ასომთავრული (39) ასოთა რიგი. 5. ს. სალუქვაძე

АРАМЕЙСКОЕ ПИСЬМО

Зенд- жирли	Египет- ские папирусы	Значение	Зенд- жирли	Египет- ские папирусы	Значение
𐎀	𐎁 𐎂 𐎃	a	𐎄	𐎅 𐎆	i
𐎇	𐎈 𐎉	b	𐎊	𐎋 𐎌	m
𐎍	𐎎 𐎏	g	𐎐	𐎑 𐎒	n
𐎓	𐎔 𐎕	d	𐎖 𐎗	𐎘 𐎙	s
𐎛	𐎜 𐎝 𐎞	h	𐎟	𐎠 𐎡	e
𐎣	𐎤 𐎥	w	𐎦	𐎧 𐎨	p
IZ	𐎩 𐎪	z	𐎫	𐎬 𐎭	š
𐎮	𐎯 𐎰	b	𐎱 𐎲 𐎳	𐎴 𐎵	q
⊕ ⊙	𐎶 𐎷	t	𐎸	𐎹 𐎺	r
𐎼	𐎽 𐎾 𐎿	j	𐎻	𐎼	š
𐎿	𐏀 𐏁	k	𐏂	𐏃 𐏄	t

Примечание: В таблице показаны образцы «скелетного» алфавита из надписей Зенджирли (XI — VIII в. до христ. эры.) и более куривного в папирусах, найденных в Египте (V в. до христ. эры). Значения знаков показаны в 3-м столбце.

არამეული დამწერლობის ნიმუში. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ წარმართულ ეპოქაში ამ დამწერლობით ქართულები სარგებლობდნენ (71). მცხეთის „ბილინგვა“ (ორენოვანი წარწერა) პ. ინგოროვას და გ. წერეთლის გამოკვლევებით არამეული ასოებით ზოგჯერ ქართული სიტყვებია დაწერილი (იხ. გ. წერეთელი, „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, თბ. 1960 წ.) პროფ. ი. მეგრელიძე იმუშავებს თავის წიგნში აკად. ი. ორბელიის აზრს, რომ „სომხების ისტორია“ (ერთ-ერთი ვარიანტი) არამეული ასოებით იყო დაწერილი.

ფოდელს“ ეტიმოლოგიის გარკვევის შესაძლებლობას ქართული რეალობის საფუძვლებზე. ჭერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, არაუგვიანეს VIII საუკუნისა, ცნობილ ბერძნულ კლასიკურ ძეგლში — ჰომეროსის „ოდისეაში“ ნახსენებია „ასფოდელს“. ბოტანიკურ ლექსიკონში ეს მცენარე „Aspodelos Luteus“-ად იწოდება... მისი რაკველი სახელწოდებაა „მკვდრის ყვავილი“... ქვესკნელის სამეფოს გამგებლად ბერძნული მითოლოგია ჰეკატეს ოვლის. ჰეკატე კოლხეთის მეფის აიეტის მეუღლეა... ქვესკნელის სამეფოში „ასფოდელსი“ ხარობს. ამავე მცენარეს მიცვალებულთა საფლავებზე რგავენ¹. შემდეგ კი ასე დაასკვნის პროფესორი პ. ბერაძე. „აქამდე აუხსნელი ეტიმოლოგია სიტყვისა „ასფოდელის“ შეიძლება აიხსნას ქართული რიცხვითი სახელის ასისა და ფოთოლი — ფოთელის მიხედვით. ამ ახსნას ის გარემოება უჭერს მხარს, რომ ბოტანიკურ ლექსიკონში ამ მცენარის აღწერისას აღნიშნულია მისი ხშირიფოთლიანობა... ორფიკულ არგონავტიკაში... დასახელებულია „ჰეკატეს ბალი“... ამ ბალის ოცდაათიოდე სამკურნალო მცენარის ჩამოთვლა იწყება სწორედ „ასფოდელსი“ დასახელებით. ცნობილი ფაქტია, დაასკვნის ნკველიანი პ. ბერაძე. რომ ძველი ბერძნული სამყარო სამკურნალო და საწამლავ, თუ „ჯადოსნურ“ მცენარეებს უკავშირებს კოლხეთის სამ ქალს: ჰეკატეს, კირკესა და მედეას“¹.

ამ მოსაზრებას იზიარებს მედიცინის ცნობილი მკვლევარი ბაადურ რაჭველიშვილი, რომელიც წერს: „სამკურნალო მცენარეებს, რომლებიც საქართველოს საზღვრებს გარეთაც ცნობილია, შენარჩუნებული აქვთ ქართული სახელწოდების ძირი და ფუძე. ასე მაგალითად: „ასპოდელონი“ წარმოდგება ქართული სახელწოდება „ასფოთოლასაგან“ — ასფურცელასაგან, აგრეთვე ველური ხახვი ცნობილია „კოლხიკის“ სახელწოდებით („კავკასიის ხალხები“ რუსულ ენაზე, 1960, II ტომი, გვ. 534). (აქვე უნდა შევნიშნო, რომ ასფოდელსი და ასფურცელა სხვადასხვა ბოტანიკური ცნებებია — ს. ს.).

ამავე პრობლემას, სამკურნალო მცენარეების უცხოურ დასახელებაში ქართული სახელწოდების ფუძის შენარჩუნების საკითხს, შეეხო პროფესორი მიხეილ შენგელია თავის მონოგრაფიაში „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979 წელი). ავტორი სავსებით იზიარებს თავისი წინამორბედების: პანტელეიმონ ბერაძის და ბაადურ რაჭველიშვილის ვერსიებს ამ საკითხში და ავითარებს აზრს, რომ „კალა-მინთე“ უნდა ნიშნავდეს „ყველი პიტნას“, ვინაიდან სევანურად „მინთე“ პიტნას ნიშნავს. ჩვენი აზრით, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა „კალა-პიტნის“ ახსნა არა „ყველი — პიტნის“ ფუძით, არამედ სევანეთის უმაღლესი და უძველესი მთის სოფლის კალას საშუალებით. ისევე, როგორც ველური ხახვი „კოლხიკი“ ტოპონიმიკურად აშკარად მიგვანიშნებს მის კოლხურ წარმოშობაზე, ანალოგიური უნდა იყოს „კალა — მინთე“-ის სევანეთის სოფლის კა-

¹ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 29 ივნისი, 1956 წელი. პ. ბერაძე. „ფილოლოგიური შენიშვნები“.

ლას ტოპონიმური ფუძით ახსნის საიდუმლოება. ასეა თუ ისე, კურტ შპრენგელი თავისი განთქმული შრომის „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორიის“ I ტომის I ქვესათაურში „უძველესი კოლხური მედიცინა“ „ჰეკატეს ბაღის“ მცენარეების კოლექციის გაშიფრვისას ტოპონიმიკურად შემდეგი მცენარეების ქართული ფუძის შენარჩუნებაზე მიგვანიშნებს: „აზალია პონტიკა“ — პონტოს, ანუ შავი ზღვის იელი და არა „არალია პონტიკა“. ასო „z“-ის არასწორად გაგების გამო პონტოს იელი ზოგიერთ მკვლევარს მანჯურიაში გადაჰქონდა. „კოლხიკი“ — ველური ხახვის სახელწოდებაა, რაც პირდაპირ მიგვანიშნებს მის კოლხურ წარმოშობაზე. „კალა-მინთვ“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „კალა-პიტნის“ ტოპონიმით უნდა იქნეს ასხნილი, ხოლო „ასპოდლოს“ — როგორც უკვე ფილოლოგ პანტელეიმონ ბერაძის, მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარების დოც. ბაადურ რაჰველიშვილის და პროფ. მიხეილ შენგელას დაკვირვებების შედეგად ექვმი-შტანლად არის დადგენილი, ქართულადც ნიშნავს ასფოდლოს — სამკურნალო მცენარეს. XVII საუკუნის ქართულ პოეტურ ქმნილებებში ხშირად არის ნახსენები ასფოდლოსი.

ასე მაგალითად:

„როს მეფე დაქდეს დასებით,
ღვინოსა სმიდეს თასებით,
გული გვაქეს ამო სავსებით,
ასფოდლოსა მსგავსებით“

ფრიად საინტერესოა ერთი გარემოება: *Flores cinae* ასფოდლოსს, ხალხურ მედიცინაში ეწოდება ხვარაშანი, ანუ ჭიების დასაყრვენიბელი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების წამლის შემცველ სამკურნალო მცენარეს ასე ჰქვია ამ ბოლო წლებში. მაღალაძეების ოჯახს ქართულ მედიცინასთან შუა საუკუნეებში მტკიცე კავშირი ჰქონდა. XVII საუკუნეში მოღვაწე პაპუა მაღალაძეს ჰყავდა 6 ვაჭიშვილი და ერთადერთი ქალიშვილი ხვარაშანი. რაიმე საიდუმლოება ხომ არ იმალება ხვარაშან მაღალაძის და სამკურნალო მცენარის — ხვარაშანის ეტიმოლოგიაში?

ცხვრის სიმბოლიკა და ძველი ქართული მედიცინისა და ფარმაცუციის ისტორიის ზომიერითი საკითხი

ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკური თვალსაზრისით საინტერესო ცხველია ცხვარი. იგი უძველესი საკულტო სიმბოლოა. კეთილი საწყისისა და გარიყრაჟის განსახიერებაა, მაგიური ნიშანი და შესაწირი მსხვერპლია. ცხვრის სიმბოლოს დიდი ადგილი უკავია კოლხეთის მეფის აიეტის და მისი ქალიშვილის მედეას ლეგენდათა ვარიანტებში და რაც მთავარია, არგონავ-

ტების შესახებ მითოლოგიურ წყაროებში „ოქროს ვერძი“, იოანე ანტიოქელის ცნობების მიხედვით, იყო რეცეპტი ოქროს მოპოვების შესახებ.


„საქართველოს მედიცინის ისტორიის“ III ტომში ამ საკითხებს დეტალურად ეხებიან საქართველოს მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარები, პროფესორები: მ. სააკაშვილი და ავთანდილ გელაშვილი: „კოლხეთში ნესაქონლეობის, კერძოდ ცხვრის მოშენების ფართო გავრცელების შესახებ ცნობები ბიზანტიელ მწერლებსაც მოეძებნებათ. მათი ცნობით კოლხეთიდან ბერძნებს სცვა საქონელთან ერთად ტყავიც გაჰქონდათ.“¹

საქართველოს ტერიტორიაზე მეცხოველეობის განვითარებას არაერთი ისტორიული თუ არქეოლოგიური წყარო გვიდასტურებს, ძვ. წ. III, II და I ათასწლეულებში. ცნობილი მკვლევარის ვ. ლატიშვიის ცნობით ისტორიკოსი პერგამელი (მოღვაწეობდა ახ. წ. II საუკუნეში) ამტკიცებდა, რომ ხომალდ „არგოთი“ ლაშქრობა მოწყობილი ყოფილა ტყავზე დაწერილი ოქროთდამწერლობის (ოქროს მოპოვების, ს. ს.) წესის გასატაცებლად.

საქართველოს მედიცინის ისტორიის III ტომის 30-ე გვერდზე პროფ. მ. სააკაშვილი და ა. გელაშვილი გვიზიარებენ მოსაზრებას, რომ „არგონავტების“ ლაშქრობა ოქროს მოპოვების რთული ტექნოლოგიური პროცესის სახელმწიფოებრივი საიდუმლოების გასახსნელად უნდა ყოფილიყო მოწყობილი“. „მათივე აზრით, „ოქროს საწმისის“ ამბავი უნდა ეხებოდეს ძველი ქართული ჯიშის ცხვარს, რომლის მატყლი მეტად მაღალი ღირსებისა იყო“.

ვერძის თავის გამოსახულება გადაგრეხილი რქებით ძალიან ხშირად არის ნაპოვნი არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე. მათ შორის უნიკალურია ოქროს ყელსაბამი, რომელზედაც გამოსახულია რქებიანი ვერძის თავი. მასზე დამაგრებულია ოქროს ჭურჭელი — სანელსაცხებლე. ეს უნიკალური ნივთი თავისთავად მიგვანიშნებს არა მარტო ოქროს მოპოვების საიდუმლოების ცოდნაზე, არამედ ოქროს დამუშავების ხელოვნების გარკვეულ საფეხურზედაც. რაც მთავარია, ოქროს ვერძის თავი ყელსაბამზე გამოსახული უნდა ყოფილიყო, როგორც რელიგიურ-ასტრალური სიმბოლიკა, ავი სენისაგან დამცველი ავგაროზი — ამ მოსაზრებას ადასტურებს არაერთი ნივთი, რომლებიც აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად. არქეოლოგები: აკადემიკოსი ა. აფაქიძე, გ. გომბეჯიშვილი და ა. კალანდაძე თავის მეცნიერულ შრომებში დეტალურად იხილავენ ცხვრის თავის გამოსახულების მიზეზებს და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ქვასა და ლითონში ცხვარი ხელოვნების მუშაებს შემთხვევით არ გამოუქანდაკებიათ და გამოუსახავთ. ვინაიდან, ამავე ავტორების აზრით, „ცხვარი ერთი იმ ცხოველთაგანია, რომელთა გამოსახულებასაც ადამიანი ძველთაგანვე მიაწერდა ავი სულისაგან დაცვის უნარს, ცხვრის შემწეობით შეიძლებოდა ყოველგვარი სნეულების თავიდან აცილება... ცხვრის ან მისი თავის გამოსახულება წარმართულ სამყაროში მიჩნეულია თავისებურ ემბლემად, რომელსაც ხშირად

¹ მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, „საქართველოს მედიცინის ისტორია“, III ტომი, „საქმედგამი“, თბ., 1956 წ., გვ.



უუამილიანი ცულის მავარი ფრთებით აღჭურვილი „ცხვარჩიტა“. ძვ. წ. XV საუკუნე. არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის კოლექციიდან. ზემო რაქა, ბრილი. სამარხი № 3. ჩვენი აზრით, ამ დეტალზე ცხვრის რქების გამოსახულება ძველ საქართველოში „ვერძის კულტის“ ტრადიციებს არსებობით უნდა აიხსნას.

მიმართავდნენ პროფილაქტიკის მიზნით.¹ ცხვარი გახლდათ ასევე შესაწირი ზვარაკი, რელიგიურ-ასტრალური კულტი. აქედანაა გამოთქმაც: „მამა აბრამის ბატკანი“. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ცხვარი წარმართულ ეპოქაში და ახალი წელთაღრიცხვის შემდეგაც საკულტო ცხოველი იყო და მის გამოსახულებას აქანდაკებდნენ, როგორც მფარველ ავგაროზს. მედიცინის ისტორიის მკვლევარი პროფ. მ. შენგელია თავისი მონოგრაფიის „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის“ 78-ე გვერდზე მიუთითებს, რომ „სამთავროს თიხის ჭურჭელზე, რომლებიც ძვ. წ. X-VI საუკუნეებს განეკუთნება, სქემატურად გამოსახულია ცხვრის თავი, რაც ჭურჭელში ჩასხმულა წამლის თუ სამკურნალო ბალახეულის მფარველად გვევლინება. როგორც საკულტო ცხოველი, სიკეთის და ჯანმრთელობის მფარველი“². დადგენილია, ძვ. წ. II ათასწლეულში მეფე აიეტის მეფობის ეპოქაში XIV-XIII საუკუნეებში, ცხვარი კოლხეთსა და იბერიაში აღიარებული იყო ასტ-

¹ ა. აფაქცი, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე. „მცხეთა“, ტ. 1, გვ. 54.

² მ. შენგელია „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“. „საბჭოთა საქართველო“, გვ. 78. თბ., 1978.



ვერძის თავი. რიურაუის სიმბოლო. ღები (რაქა, ძვ. VIII-VII საუკუნეები). ს. ჭანაშვიას სახ. სსმფ. არქეოლოგ გ. გობეჩიშვილის კოლექცია.

რალურ სიმბოლოდ, და როგორც ადამიანთა ავი სენისაგან დამცველი ავგარო-ზი-მფარველი. საქართველოს ს. ჭანაშვიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არაერთი ნივთი შევისწავლეთ. ზოგი მათგანი თიხისაგან არის გამოძრწილი, ზოგიც კერამიკული წარმოებისაა. ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა ექსპონატმა, რომელიც თარიღდება ძვ. წ. XIV საუკუნით. იგი გამოწვევარი კერამიკისაგანაა დამზადებული. მას ზუსტად ცხვრის გამოსახულება აქვს და იმავე დროს თავის გამოსახულების ადგილას დატოვებული აქვს სატუჩე. დღეისათვის ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ ამ ჭურჭლის პრაგმატულ-პრაქტიკული ფუნქცია, მაგრამ ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს ცხვრის გამოსახულების (მოდელის) კერამიკული ჭურჭელი თავის დროზე რელიგიურ-მაგიური ძალი-საც იქნებოდა და, რაც მთავარია, სიბოვანი წამლის, ღვინის, ან თუნდაც სასმელი წყლის მიღებას, ალბათ, მაგიურ-ფსიქოლოგიური მომენტიც თან ახლდა. აქვეა გამოფენილი ბრინჯაოსაგან დამზადებული ოქროს ვერძის — კედილას გადაგრეხილი რქები. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ექსპონირებულია არაერთი ცხვარი, რომელთაგან ბევრი ქვაშია გამოქანდაკებული, ხოლო ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებიდან ცხვრები გამოსახულია ჩუქურთმების სახით ქრისტიანულ-რელიგიური დაწესებულებების არქიტექტურულ ნაგებობაზე. ასე მაგალითად, ბაგაატის სვეტის თავი ვერძის რქებითა და თავით არის დამშვენებული. არსებობს ვერსია, რომ ცხვრის, რო-



ბაგრატის ეკლესიის (XI ს.) კარიბჭის სვეტი ვერძის თავის გამოსახულებით არის
დამშვენებული. ამავე დროს ჩუქურთმა ოქროს ვენახითაა დამშვენებული, რაც ვაჟის
და ვერძის კულტის ტრადიციებზე მიგვანიშნებს.



„საქართველოში ახალმა არგონავტებმა იგრძნეს ჩვენი ხალხის დიდი ინტერესი არგონავტების, საერთოდ, ბერძნული მითოლოგიისა და ბერძნული წერილობითი წყაროებისადმი.

არქეოლოგიური გათხრების, სამუშეუშო ექსპონატების დათვალიერების, სვანეთში მოგზაურობის შედეგად მათთვის, კერძოდ, ტიმ სევერინისათვის, აშკარა გახდა ჩვენში უძველესი დროიდან ვერძის კულტის არსებობა. კულტის შექმნას კი რეალური საფუძველი ესაპიროება“ — წერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მარია ლორთქიფანიძე.

ფიქრები „არგონთი იასონის ნაკვალევზე“ ტელეგრაფის შემდეგ. გაზეთი „კომუნისტი“ 5 სექტემბერი, 1984 წელი, № 206 (19048).



ცხვრის ქანდაკება ქვაში. დგას საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ეზოში. ახ. წ. ეპოქაშიც ცხვარი შენარჩუნებული იქნა, როგორც რიურაუის სიმბოლო.


გორც წმინდა ცხოველის, სისხლის გადასხმის ცდები პირველად უძველეს კოლხეთში ჩაატარეს, შემდეგ ცხვრის სისხლის გამოყენების ეს ექსპერიმენტი ჰემატოლოგიაში რომელეზმაც სცადეს, მაგრამ ჩეხი მეცნიერის (იანსკის) მიერ სისხლის ჭვრუფების დადგენის შემდეგ ცხვრის სისხლის გამოყენება ადამიანის სამკურნალოდ აგლუტინაციის რეაქციის გამო ჰემატოლოგებმა უარყვეს. ძალიან ხშირად გამოსახვენ ცხვარს ფერწერულ ტილოზე. ასევეა გამოსახული ბიბლიური ლეგენდის შესაბამისად მაცხოვარი ბატონით ხელში, ანდა კიდევ „მწყემსი კეთილი“, რომელიც ცხვრებს მწყემსავს. ცხვრის გამოსახულება ხშირადაა იკონოგრაფიულ ფრესკებზე და ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ჩუქურთმებზე.

ცხვრის სამბოლიკის თემატიკური კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიქცეის საქართველოს მედიცინის ისტორიის მკვლევართა ნაშრომებმა და მეცნიერულ ჰოსაზრებათა სისწორემ. ასე რომ, ცხვრის სიმბოლიკის ახსნა ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევართათვის უცხო არ არის. ბუნებრივია, რომ ცხვრის ტყავს დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰქონდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, და სარგებლობდა ზოგიერთი უპირატესობითაც, სანამ მინის ქურქელი შემოვიდოდა პრაქტიკულ ცხოვრებაში. ცხვრის ტყავს მწყემსები იყენებდნენ ე. წ. გუდის სახით წყლის და ალკოჰოლური სასმელების სატარებლად. ასევე ყველის ჩასაღებლად. ეს პრაგმატიზმი საქართველოში ახლაც კარგად არის ცნო-



თბილისი. დიდოში. თიხის ჭურჭლები ცხვრის გამოსახულებით, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეები. ეს დეტალი ცხვრის კულტზე და მეთუნეობის ტრადიციებზე მიგვანიშნებს.


ბილი. სახელწოდება „გულის ყველი“ -- აქედანვე წარმოდგება. ცხვრის ტყავს იყენებდნენ ქალამნების შესაკერად, ასევე პრიმიტიული ქურქების შესაკერადაც. მატყლს იყენებდნენ ლეიბებისა და საბნების დასამზადებლად, ეს რა თქმა უნდა, უფრო მოგვიანებით მოხდა. მაგრამ როცა ქაღალდის დამუშავების ტექნოლოგიის პროცესი არ იყო ცნობილი, დამუშავებულ ცხვრის ტყავს იყენებდნენ ხელნაწერების შექმნისათვის. ფრანგული სიტყვა „პალიმფტესტი“ პირდაპირ მიგვანიშნებს ამ მიზნით ცხვრის ტყავის გამოყენების შესაძლებლობაზე. მეგრულ-ლაზურ და ქანურ გამოთქმებში მინიშნებულია, რომ ცხვრის ტყავს III, II და I ათასწლეულში „კირიბები“ ეწოდებოდა. ამ საკითხებს ყურადღებით განიხილავდნენ 1956 წელს „საქართველოს მედიცინის ისტორიის“ III ტომში აწ განსვენებულები: პროფ. მიხეილ სააკაშვილი და მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარი პროფ. ავთანდილ გელაშვილი. ეს საკითხი ჩაინოუცის ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ავტორები „კირიბების“ საკითხს განიხილავენ „კარაბდინელებთან“ ეტიმოლოგიურ კავშირში. ზემოთ დასახელებული მონოგრაფიის 37-ე გვერდზე ავტორები პირდაპირ წერენ: „კირიბის“ გაგების შესახებ ლიტერატურაში ძველთაგანვე სხვდასხვაგვარი შეხედულება გამოითქვა. ზოგს კირიბები წარწერების შემცველ მაღალ ბოძებად მიაჩნდა... ამ საკითხს უკანასკნელ წლებში სხვა მკვლევარებიც შეეხნენ და სრულიად სა-



ბ. ჭანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტის ოქროს ფონდი. ოქროს ყელსაბაში ცხვრის თავის გამოსახულებით და სანელსაცხებულე — ოქროს კურკლით. სავარაუდოა, ეს უნიკალური ოქროს სამკაული პრაქტიკული დანიშნულების ფუნქციას ასრულებდა, ამავე დროს იყო ამულტიცი. ახ. წ. II საუკუნე. საინვენტარო № 13—ან: 14,841 არქეოლოგ აღ. კალანდაძის არქეოლოგიური ფონდი (მცხეთა, არმაზის ხევი).



მწყემსი კეთილი. სურათი ამოღებულია მსოფლიო ხელოვნების ძეგლების ალბომიდან, რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში გავრცელებული იყო ცხვრის კულტი, რომელიც დასაბამს კოლხეთის „ოქროს ვერძის“ კულტიდან უნდა იღებდეს.



უივალის არქეოლოგიური ძიების დროს აღმოჩნდა უფროსი გამოსარჩილავი (გამოსაწმენ-
ლი) ბრინჯაოს ილარები (კოვზები) ვერძის თავის გაშოსახულებით. ვერძის თავი მელტეკნიკის
აარაღზე II ათასწლეულში? ვერძის კულტის და მედიცინის ურთიერთკავშირის დამამტკი-
ცებელი სავარაუდო არქეოლოგიური ნივთია.

მართლიანადაც. აპოლონიოს როდოსელის ცნობა — კირიბებზე ქართული
დამწერლობა უკვე I ათასწლეულში არსებობის ფაქტად იქნა მიჩნეული“.
არგუმენტისათვის მოჰყავთ ციტატა მაქს ბერტენიშვილის დისერტაციიდან
„ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“ (1940-1941 წლები). ეს საკითხი
უდავოდ ყველა ქართველ მკვლევარს აწუხებს, რომ საქართველო უძველესი
კულტურის ქვეყანაა, მათ შორის კოლხურ-იბერიული მედიცინა ერთ-ერთი უძ-
ველესია მთელს მსოფლიოში. საგულისხმოა, რომ ძვ. წ. IV-III საუკუნეებ-
ში მეფე ფარნავაზი „მწიგნობართუხუცესად“ იხსენიება ლეონტი მროველის
„ქართლის ცხოვრებაში“. დაძაფიქრებელია, თუ დამწერლობა არ გვექონდა, მაშინ
როგორ უწოდეს ფარნავაზს „მწიგნობართუხუცესი“? ანდა შეიქმნა თუ არა
V საუკუნეში ასომთავრული ქართული დამწერლობა, მაშინვე შეიქმნა ისეთი
შალღამხატვრული ნაწარმოები, როგორც „შუშანიკის წამება“ გახლავთ? ამ
მხრივ საინტერესოა, „ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლების“ ავტორის,



მახარებლის კოშკის იკონოგრაფიული ფრესკა — „ვედრების კო-
პოზიცია გველითურთ“ და „შვიდი ცხვრის შეწირვის სცენით“.



მახარებელ ნაღალაძის კოშკის პირველი სართულის ქერის მოხატულობა. პროფ. გრიგოლ წერეთლის აზრით მხატვრობა ეკუთვნის ვინმე მხატვარ აპოსტელოს. „ნონისა უენისა მხატვრისა აპოსტელოსი“, ამოკითხულია ბერძნულ წარწერაში. რასაკვირველია, თუ სწორია პროფ. გრ. წერეთლის კონიექტურა, შენიშნავს პროფ. ლეონ მელქისევედ-ბეგი. ქერში მოხატულია „უოვლად წმინდა იესო ქრისტე“.

ქართული ხელნაწერების ცნობილი მკვლევარის ელენე მაქავარიანის შრომები. 1962 წელს დასტამბულ ამავე მონოგრაფიის შესავალში იგი წერს: „ქართული ანბანის გრაფიკული საწყისების კვლევა მეტად რთული და ძნელი პრობლემაა, რადგან იგი უკავშირდება ძველ ქართულ დამწერლობას — ასომთავრულის შექმნის პერიოდს და ასო-მოხაზულობათა თავდაპირველ გრაფიკულ ფორმებს. დღეისათვის ახ. წ. ა-ს V საუკუნეზე აღრიანდელი ძეგლები ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი: ამიტომ ძალაში რჩება ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული აზრი: „სანამ ქართული დამწერლობის უფრო ძველი და უფველესი ძეგლები მიწის გულიდან ამოღებული არ არიან, მეცნიერს მსჯელობის დროს მეტისმეტი სიფრთხილე და განსაკუთრებული სამეცნიერო ღონეობით თავისი თავის მძიმე შეცდომისაგან შეძლებისამებრ უზრუნველყოფა მართებს“^{1, 2}, აქ მოყვანილი ციტატიდან ირკვევა, რომ I ათასწლეულში ყოფილა კირიბებზე წარ-

¹ ი. მაქავარიანი „ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები“ „ხელოვნება“, თბ., 1982, გვ. 7.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია თბ., 1949, გვ. 203-204.

წერები, მაგრამ დღეს ჩვენ არ ვიცით ეს უძველესი იბერიული დამწერლობა, იყო, თუ უძველესი იეროგლიფური დამწერლობა, რომლის არსებობის შესახებ ჰიპოთეზას გამოთქვამდა ცნობილი მეცნიერი პავლე ინგოროყვა. ამ საკითხის გარკვევა პალეოგრაფების კომპეტენციაში შედის. ჩვენთვის კი მთავარი ის გახლავთ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში კოლხეთში კირიბებზე ყოფილა წარწერები, მაგრამ ფრიად საინტერესო იქნება ფარმაციის ისტორიისათვის საბოლოოდ იქნეს გარკვეული სიტყვების: „კირბის“ და „კარაბადინის“ ფუძეების ეტიმოლოგიური კავშირი, რამდენად გვაძლევს საფუძველს „კარაბადინი“ აგნსათ ქართული ფუძით „კირბი“ ან, „კირიბით“? რა თქმა უნდა, საკითხის ამ ასპექტში დაყენება მართებულია. ავტორები მიუთითებენ 1953 წელს „რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებს“, გვერდი 83. ავტორი ვლ. სიჭინავა „ძველი კოლხეთის ისტორიიდან“: „ამ სამიოდე წლის წინ, ძველი კოლხეთის ისტორიის შესახებ, გამოქვეყნებული იყო საყურადღებო წერილი, სადაც კირბები ანუ იგივე „კირიბიში“ განხილული იყო როგორც ძველი ზანური სიტყვა, რომელიც კრავს ანუ კრავისას ნიშნავს“. „მაშასადამე, განაგრძობენ პროფესორები: მ. სააკაშვილი და ა. გელაშვილი, დაწერილი კირიბები... კრავის ტყავი ყოფილა“. ამ მოსაზრებას იზიარებდა აკადემიკოსი ივანე ჭავჭავაძე. „საქართველოში ძველად ყველა სხვა საწერ მასალაზე უფრო ტყავი ყოფილა მიღებული“ და შემდეგ მკვლევარები საკითხს ასეთ ასპექტში აყენებენ: „გვაქვს თუ არა ქართულში ცხვრის ტყავის სახელთან დაკავშირებული სიტყვა, რომელიც ამავე დროს წიგნს ნიშნავდეს?“ და იქვეა ასეთი პასუხი გაცემული: „ასეთ სიტყვად ჩვენი აზრით უნდა მივიჩნიოთ „კარაბადინი“, სიტყვა კარაბადინი, როგორც წიგნის სახელი, ძველ ქანურ-მეგრულ სიტყვა „კარბი“დან შეიძლება მომდინარეობდეს“. ასეთი მოსაზრება უსაფუძვლო არაა, თუ ჰეკატეს ბაღის კოლექციიდან, სამკურნალო მცენარის დასახელება აქვს ჩამოთვლილი გერმანელ მეცნიერს კურტ შპრენგელს და 36 მცენარეთაგან 4 ქართულ ტოპონიმსა და ქართული სიტყვის ფუძეზე მიგვანიშნებს, არ არის გამორიცხული, რომ „კარი“ და „კირიბი“ არაბულ-ქართული კულტურული ურთიერთობის შედეგად დემოგრაფიული კავშირის საფუძველზე აღმოცენებული, ასევე ინგლისურ ენციკლოპედიაში არსებითი სახელი „ხოზობი“ შეტანილია „ფაზანის“ სახელწოდებით, რაც ტოპონიმიკურად კოლხეთს და ფაზისს უკავშირდება. აქედან წარმოდგება რუსული „Фазан“-იც, მაგრამ, ჩვენი აზრით. გარდა სიტყვის ეტიმოლოგიური კავშირისა, ამ მნიშვნელოვან საკითხს სხვა დამატებითი ასპექტებითაც ესაჭიროება შემდგომი კვლევა-ძიება. ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანია კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის გარკვევა, რომელსაც ცალკე ქვესათაურში განვიხილავთ. რაც მთავარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის კოლექციაში დაცულია 1910 წელს გამოცემული ი. დ. იაგელოს უნიკალური არაბულ-სპარსულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონი, რომლის 1174-ე გვერდზე მოცემულია ზუსტი არაბული „კარაბადინის“ ბერძნულ-

ლათინური ადრეკვატური განმარტება „ფარმაკოპეის“ იდენტურობაზე. ეს საკითხი ჩვენ შევაჯერეთ ი. ა. რუბინჩიკის მიერ 1970 წელს გამოცემული სპარსულ-რუსული ლექსიკონის (გვ. 251-ე) მიხედვითაც და, ვფიქრობთ, საქართველოს მედიცინის ისტორიაში საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიოთ კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხი.

უებრუნდებით ცხერის სიმბოლიკის და ძველი ქართული მედიცინის ისტორიის ზოგიერთ საკითხს. როგორც ირკვევა, ცხვარი წმინდა ასტრალური ღმერთებრივი არსება იყო წარმართულ ეპოქაში და ავი სენისაგან ადამიანთა დამცველ ავგაროზად დარჩა ახალი წელთაღრიცხვის პერიოდშიც. ჩვენი აზრით, „ვედრების კომპოზიცია“ შარავანდელით მოსილი წმინდანის ირგვლივ შვიდი ცხერისა და ოდითგანვე ნაყოფიერებისა და მედიცინის ემბლემის სიმბოლოდ მიჩნეული დაკლანძილი გველის გამოსახვა, იმავე წმინდანის გვერდით შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. ასეთი იკონოგრაფიული ფრესკა საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში უნიკალურ აღმოჩენად მიგვაჩნია. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, ცხერის გამოსახვის ტრადიციებს თითქმის 4500 წლის ისტორია აქვს საქართველოში. ძველი ქართული მეტყველებით ცხერის ჯოგს დღესაც ფარას უწოდებდნენ. ფარა კი იგივე ფულს ნიშნავს, ფარა — ფულის სინონიმია. მაშასადამე, როცა აღებ-მიცემა და ყიდვა გაყიდვა ხდებოდა, ცხერის მეპატრონე — მეცხვარე, როცა რაიმეს იძენდა — ყიდულობდა, მას შეეძლო ფულის ნაცვლად ცხერის ფარა გადაეხადა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოში მეცხვარეობა ძველთაგანვე ყოფილა განვითარებული და სანამ ფული შემოვიდოდა ხმარებაში, მანამდე აღებ-მიცემა ცხერის ფარის საშუალებით ხდებოდა. საეკლესიო მედიცინის ქურუმს მახარებელ მაღალაძეს გაუზიარებია მრავალსაუკუნოვანი წინამორბედთა ტრადიციები და ცხვარი, რომ წმინდა ცხოველია, ამიტომ მისი გამოხატვა კედელზე საესებით დასაშვებ მოვლენად მიგვაჩნია, მით უმეტეს ცხერის ღმერთებრივ კულტს ემატება 7 ციური მნათობის შესაბამისი ასტრალური ციფრი — შესანიშნავი შვიდეული. 7 ცხერის გამოსახვა სწორედ ამ მოტივით უნდა ავხსნათ. რაც მთავარია, 6 ცხვარი ზრდადასრულებულია, ხოლო წმინდანის მარჯვენა ფეხთან დგას თავაწეული „უცოდველი მამა აბრაამის ბატანი“. გველის გამოსახვის ტრადიციებზე ჩვენ ცალკე ქვეთავში გვექონდა ლაპარაკი, მაგრამ მაღალაძეების დამატებით ეგვიპტერში კედლის იკონოგრაფიულ ფრესკაზე გველის გამოსახვას არაერთი ტრადიცია მიგვაინიშნებს, თუნდაც მცხეთის არქეოლოგიური გათხრის დროს, „კარის ექიმის“ ბექდის თვალში წაპყვნილი ადამიანის (ვარაუდობენ იგი ასკლეოპიოსია, ს. ს.) გამოსახულება ჯოხზე დახვეული გველით. ფრიად მნიშვნელოვანი ხდება ცხერის, როგორც რელიგიური ღმერთებრივი სიმბოლიკის სამყაროდან რეალური პრაქტიკული და მეცნიერული თვალსაზრისით ახსნის საკითხი და მისი დანოშნულება. თუ ცხვარს განვიხილავთ, როგორც თერაპიული ენდოკრინოლოგიური პრეპარატების მისაღები ნედლეულის წყაროს, მაშინ რელიგიურ-ასტრალური სიმბოლოდან რეალურ-პრაქტიკული მედიცინის სამყაროში აღმოვჩნ-

დებოლით ავტომატურად. ეს კი მეტ საფუძვლიანობას იძენს თანამედროვეობის მეცნიერული თვალსაზრისით. როგორც ირკვევა ოდითგანვე ცხვარი შემთხვევით არ ითვლებოდა წმინდა ცხოველად. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ცხვრის ხორცი უნიკალური საკვებია. ძველ საქართველოში ბატკანი დელიკატესად ითვლებოდა. იგი მითითებულია კარაბადინებში, როგორც დიეტეტიკური საკვები. ცხვრის რძე ყუათიანობით უმჯობესია ძროხის, თხის, ცხენის და ვირის რძეზე, თუ კამეჩის რძეში ცხიმოვანობა 7,7%-ია, ცხვრის რძის ცხიმოვანობა — 6,7%-ია, ცხვრის რძის საერთო მაჩვენებლები ჩამოუვარდება ირმის რძის საერთო მაჩვენებლებს. ცხვრის მატყლი ძვირფასი ნედლეულია თანამედროვე საფეიქრო მრეწველობაში. (ცხვრის ხორცის შესახებ იხილეთ კარაბადინები). ცხვრის ნაღველი გამოიყენება ორგანოთერაპიულ ქარხნებში, სამედიცინო ნაღვლის, ანუ ბილარინის დასამზადებლად, ცხვრის ნაწლავები ქირურგიაში კრილობის გასაქერ უნიკალურ ანთად ითვლება, ასევე ქართული ხალხური მუსიკალური საკრავი ინსტრუმენტების გასაწყობად უძველესი დროიდან გამოიყენებოდა და გამოიყენება დღესაც. მაგ: ჩონგური, ფანდური და სხვა ხალხური საკრავი. მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უნიკალური ჟღერადობით გამოირჩევა ცხვრის ნაწლავებისაგან დამზადებული სიმები. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეიაში შექმონდათ და ფარმაცოპეიის X გამოცემაში შეტანილია უნიკალური ფუძე-სალბუნებისა და მალამოების დასამზადებლად ვაზელინის კონსისტენციის მსგავსი ნედლეული — რომელსაც ეწოდება Lanolinum Anhydricum „უწყლო ლანოლინი“.

აი რა წერია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეის IX გამოცემაში (1961 წელი) 274-ე გვერდზე: „ლანოლინი წარმოადგენს გაუმყინდელ ცხიმის მაგვარ ნივთიერებას — ფუძეს, რომელიც მიიღება ცხვრის მატყლის განარეცხი — ნარეფი წყლისაგან. ლანოლინი შედგება რთული ეთერებისაგან, მალამოლეკულური სპირტებისაგან და მჟავებისაგან, ძირითადად ხოლესტერილებისა და იზოხოლესტერილებისაგან“. თანამედროვე საფთვობა სავალდებულო „ნომენკლატურა“ წარმოუდგენელია წყლიანი და უწყლო ლანოლინის გარეშე. ლანოლინზე მზადდება თანამედროვე აფთიაქებში მალამოების — სალბუნების და საერთოდ გარეგანი საცხების 40%-ზე მეტი წამლის ფორმა. ყურადღებას იქცევს მეორე გარემოებაც. ძუძუმწოვარა ბატკანი ითვლება ძალიან ეფექტურ ნედლეულად ენდოკრინული პრეპარატის აბომინის მისაღებად. აი რას წერს ამაზე ცნობილი საბჭოთა ფარმაცოლოგი პროფ. მ. დ. მაშკოვსკი თავის მონოგრაფიაში „სამკურნალო საშუალებები“ (მეორე ნაწილი. მეორე გამოცემა, გადამუშავებული და შევსებული. მოსკოვი, „მედიცინა“ 1977 წელი გვერდი 34). „აბომინი“ — პრეპარატი მიიღება ძუძუმწოვარა ხბოს და ბატკნების კუჭის ლორწოვანი გარსისაგან. აბომინი შეიცავს პროტეოლიტურ ფერმენტებს, გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, განსაკუთრებით, როცა აღინიშნება მჟავიანობის გადიდება კუჭის წვენი და დარღვეულია საჭმლის მონელების უნარიანობა. აბომინი ეფექტურია გასტრიტების, გასტროენტერიტების, ენტეროკოლი-

ტების და კუქნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დაავადების დროს“... ცხერის რვლები გამოიყენება გააქტივებული ნაწშირის — კარბოლენის მისაღებადაც. დაკონსერვებული და შესქელებული სისხლი — ჰემატოგენის სახით დღესაც გამოიყენება ჰემატოლოგიაში სისხლნაკლებობის სამკურნალოდ. დაკონსერვებული ნაღველი — ბილიარინი საფენებად — მარილების დაგროვების საწინააღმდეგოდ. ასე რომ, ცხვარი თანამედროვე ორგანოთერაპიული, ენდოკრინოლოგიური სხვადასხვა პრეპარატის მისაღებად ძვირფასი ნედლეულია, ხოლო კულინარული თვალსაზრისით, უნიკალური საკვები, მაშასადამე, ცხვარი მაშვრალი იყო და არის, მაშასადამე ოდითგანვე მისი სიმბოლური გამოსახვა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა.

ირმის სიმბოლიკა და ძველი ქართული მედიცინის და ფარმაციის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

საქართველოში სამკურნალო საშუალებების და წამალთდამზადების ისტორიის საკითხების შესწავლისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ირმის გამოსახულების სიხშირემ მატერიალური კულტურის ძეგლებზე. ირემზე მრავალსაყურადღებო ცნობას შეიცავს არასამედიცინო თუ სამედიცინო წერილობითი წყაროები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. სპეციალური ლიტერატურის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ირმის ორგანოებისა და ნაწილების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში ისტორიული თვალსაზრისით ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი.

რ. აგორც წყაროებიდან ირკვევა, ირემი ოდითგანვე სიკეთის საწყისად ითვლებოდა. ამ წარმოდგენის საწყისები პირველყოფილი რელიგიიდან იღებს სათავეს. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული იმ რელიგიურ სისტემასთან, რომელიც საუკუნეების მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების წესის მიხედვით იცვლებოდა და განსხვავებულ შინაარსს იძენდა. უფრო მოგვიანებით, არაღშვიათად ამ შინაარსში გარკვეული რაციონალური ელემენტებიც იკავებდნენ ადგილს, რაც უკვე ამოცდილებით მიღებულ ცოდნასთან იყო დაკავშირებული.

„რქას საერთოდ და ირმის რქას კერძოდ დიდი როლი ენიჭებოდა რიტუალებში. იგი ნაყოფიერების ღვთაებების ატრიბუტად ითვლებოდა, სწირავდნენ ხატს, ამაგრებდნენ დედაბოძზე, იმ მნიშვნელობით, რომ თითქოს რქა იცავდა ადამიანებს ავი სულისაგან“.¹

ირმის გამოსახულებანი გვხვდება თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ნივთებზე (II ათასწლეული), ირმის რქები აღმოჩენილი იქნა ურბნისის სამარხებში (XIV-XIII სს. ძვ. წ.) და სხვა ადგილებში.

ირმის სიმბოლურ სახესთან დაკავშირებით საყურადღებოა „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ცნობები, რომლებიც მეფე ფარნავაზის გამეფებას ეხება. მას ალექსანდრე მაკედონელმა მამა და ბიძები დაუხოცა და ქართლში

¹ ი. სურგულაძე, „ისტორიული სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში დედაბოძის დეკორის მიხედვით“, სავანდილატო ლინერტაცია. თბ., 1967, გვ. 133-134.

ბრძანებელ-მმართველად ცბიერი აზონი დაუნიშნა. ამ დროს ფარნავაზი გზა-
ჯვარედინზე დგას! მამისეული ტახტის დაბრუნებაზე ფიქრობს და თანაც ისეთ
ახალ მოკავშირეს ეძებს, რომელიც გამარჯვებას მოუტანს... და სწორედ ამ
დროს ნახა სიზმარი. როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ამბის
შინაარსიდან ირკვევა, „ესე ფარნაოზ სამი წლისა წარეტაცა დედას... კაცკა-
სიად და მუნ აღეზარდა... ესე ფარნაოზი იყო მხნე, ახოვანი და შუენიერი,
მონადირე და კისკასი და ჩაუჭი... ხოლო დღესა ერთსა იხილა სიზმარი ფარ-
ნაოზ, რათა განვიდეს სახლიდან და ვერ შეუძლო, მაშინ შემოადგა სარკმე-
ლითგან მზე და მთერტყა წელსა მისსა, განზიდა და გამოიყვანა ვარე და იხი-
ლა მზე მდებარე ქუეშე თვისსა! მოკოცა ცუარი მზესა და იცხო პირსა ზედა
ოვისსა“. ჭაბუკი ფარნავაზი სპარსეთში წასვლით ეძებს გამოსავალს... მაგ-
რამ, „განვიდა ნადირობად სანახებსა დიდმისასა, სტყორცნა ისარი ირემსა და
მოწყულული ირემი ივლტოდა ტფილისს.. ესწრა ბინდი და წვიმა მძაფრი და
ეძიებდა სვანესა: მაშინ პოვა ქუაბი, რომლისა კარი აღმოქოლვილი იყო, იკა-
ლა ჩუგლუგი და გადმოჰკოდა კარი, ხოლო შესრულმან მან შინა იხილა სა-
უნჯე დიდი ოქროსა და ვერცხლისა, და განიხარა ფრიად... ხოლო დაიპყრა
ყოველი საქართველო ფარნაოზ დასაბამითგან... შემოვიდა მცხეთას, იქნა მე-
ფედ და დაემორჩილნენ ყოველი საქართველოსანი... და ქნა საქართველო ცხრა
საერისთაოდ“.¹

ირემი სიკეთის სათავეა. ირემმა ფარნავაზი იქ მიიყვანა, სადაც ოქრო-
ვერცხლი იყო. ოქრო-ვერცხლით ჭაბუკმა ფარნავაზმა აზონის მხედრონი
გადმოიბირა, აჯანყება მოაწყო, მცხეთიდან ბერძნები განდევნა და მამისეულ
ტახტზე მეფედ დაჯდა.

აკაკიმკოს კორნელი კეკელიძის აზრით, ახალი წელთაღრიცხვის 540-
557 წლებს მიაკუთვნებენ მცხეთაში „ასურელი მამების“ გამოჩენას: „მოვი-
და შუა მდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზნელი განმანათლებელი ქართლისა
და განმწმენდელი სჯულისა. მშენებელი ეკლესიათა“. „ასურელ მამათა“ შო-
რის იოანე ზედაზნელი პირველია და იგი იხსენიება „განმანათლებლის“ და
„სჯულის განმწმენდის“ ეპითეტებით. თანაც იგი „ასურელ მამათა“ „წინამძ-
ლოლი“ და „მასწავლებელი“ ყოფილა მემატინანის ცნობით. მას მრავალმხრი-
ვი განათლება ჰქონია მიღებული და, რაც მთავარია, დახელოვნებული ყოფი-
ლა „სენთა კურნებაში“. მასთან მოჰყავდათ სნეულნი და საპყრები და იოანე
ზედაზნელი მათ კურნავდაო.

იოანე ზედაზნელის შემდეგ „განმანათლებლად“ და „რჯულის გამწმენ-
დად“ „ასურელ მამათა“ შორის რიგით მეორე მოიხსენიება მამა დავითი.

ლიტერატურული ნაწარმოები „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმინდისა
მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაი“, დავით გარეჯელის უდაბნოში მოღვა-
წეობას ეხება, იგი IX საუკუნის მიწურულსა და X საუკუნის დასაწყისით
არის დათარიღებული. წამალთმცოდნეობის და მკურნალობის თვალსაზრისით

¹ ქართლის ცხოვრება. ტ. IV ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედ-
ვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 55-56.



საინტერესოა ქაშის ბალოა, რომელიც ბრინჯაოსაგან არის დამზადებული და ძვ. წ მეორე ათასწლეულთ თარიღდება. ბალთის სიგრძე 8 სმ-ია, იგი არქეოლოგ შოთა ირემა-შვილის კოლექციას განეკუთვნება. საინვენტარო № 5, სამარხი № 5, სოფ. ნაბაკრები.

ამ წერილობით წყაროში საინტერესო მომენტებია გადმოცემული. კერძოდ, ის ფაქტი, რომ „მამადავითიდან“ დავითი გადასახლებულა უდაბნოში მის ერთგულ მოწაფესთან ლუკიანესთან ერთად და ერთ-ერთ ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლებულა, მათი საკვები მხოლოდ და მხოლოდ ბალახების ძირებიდან შედგებოდა, მაგრამ მხურვალე მზემ ბალახები გაახმო და მამა დავითი და ლუკიანე საკვების გარეშე დარჩნენ. ლუკიანე შესჩივლებს მას „ხორცის უძღურობაზე“, სწორედ ამ დროს მათ მოადგებათ სამი ფურ-ირემი, სამი ნუკრითურთ. დავითი ნებას რთავს ლუკიანეს ირემები მოწველოს. სასწაულით გაოცებული ლუკიანე წველის ირემებს და რძეს მამა დავითს მიართმევს, რომელიც რძეს ხაჭოდ აქცევს, მაშასადამე, უდაბნოში დავითმა და ლუკიანემ საკვები იშოვნეს! თანაც ირემები ოთხშაბათისა და პარასკევის ვარდა, ყოველდღე მოდიოდნენ ბერებთან. შემდეგ ვეშაპმა ირმის ერთი ნუკრი შექაჩა, მაგრამ დავითი ვეშაპს მეხს დაატეხს და ცოცხლად დაწვავს... მეუდაბნოეს კი ირემები ასაზრდოებენ.

როგორც მარი ბროსე მიუთითებდა: „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმინდისა ჩუენისა „დავით გარეჯელისაი“ ლეგენდარული ხასიათისაა, მასში მრავლად მოიპოვება მეტად საყურადღებო ისტორიული ცნობები“. საქართველოს მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, მედიც. მეცნ. დოქტორი, პროფესორი მიხეილ შენგელია წერს: „აბიბოს ნეკრესელი სირიელ მამათაგან ერთ-ერთია და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ისინი ერთი გარკვეული „სკოლის მოწაფეები“ არიან, მაშასადამე ერთი გარკვეული მსოფლმხედველობისა და აზროვნების თანაზიარიც უნდა იყვნენ“. ამრიგად — განაგრძობს მ. შენგელია, — ეს „მამანი“ უბრალო ფანატიკოს ბერებად კი არ ჩანან, რომლებიც „სასწაულებითა“ და „საკვირველებებით“ მოქმედებენ მხოლოდ, არამედ იმ დროისათვის პროგრესულ მოაზროვნებად და აზრისა და საქმის შე-

¹ მ. შენგელია. „ქართული მედიცინის ისტორია“, „განათლება“, თბ., 1970, გვ. 91.




„ქობულა ირმის ქანდაკება“. სურათი ამობეჭდილია ანკარის არქეოლოგიური მუზეუმის კოლექციიდან. თარიღდება ძვ. წ. ა. III ათასწლეულით. შეადარეთ საქართველოს ირმის სიმბოლიკის ნიმუშებს. იხ. ძველი აღმოსავლეთის ქვეუნების მსოფლიო ზელოვნების ძეგლების ალბომი.



ადამი სამოთხეში ედემის ბაღში — სიცოცხლის ხის გვერდით, ოქროს ვენახი მტევნებით არის დამშვენებული. ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა შორისაა ქობულდა ირემი, რაც ირმის სიმბოლიკის ტრადიციებით უნდა იქნეს ახსნილი.




ბრინჯაოში ჩამოსხმული ხარ-ირმების კანდაკება (წარმართული ეპოქა) ს. ჭანაშიას
სახ. სსმფ. საინვენტარო № 976-777, უვაროვას კოლექციიდან.



ქაშის ბალთა, რომელზედაც ხარირებთა კიდილია გამოსახული. ნაპოვნია სამთავროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად. თარიღდება II ათასწლეულით. ხ. ჭანაშიახ სახ. სსმუ საინვენტარო № 12-51:7300.


ჟოქმედად. ამიტომ მათთვის სრულიად ბუნებრივი იყო პრაქტიკული საეკი-
მო საქმიანობა მკურნალობის რაციონალურ საშუალებათა გამოყენებით“
იოანე ზედაზნელის, დავით გარეჯელის, შიო მღვიმელის, აბიბოს ნეკრესელის,
ზენონ აყალთოელის, ანტონ მარტყოფელის, იესე წილკნელის, თათე მამებე-
ლის, ისიდორე სამთავნელის, მიქელ ულიმბელის, პიროს ბრეტელის, ელია
დიაკონის და სხვა „ასურელ მამათა“ მიმართ ასეთი მოსაზრების გამოთქმა
შეიძლება საკმაოდ დამაჯერებლად მივიჩნიოთ, ვინაიდან შუა საუკუნეების
„საეკლესიო მედიცინის“ ტრადიციები და სამედიცინო წერტილობითი წყაროე-
ბიც ამას სავსებით გვიდასტურებენ, მითუმეტეს, ქრისტიანული რელიგიის კა-
ნონმდებლობის თანახმად „სენთა კურნება“, „ჯუარისმტვირთველთა“ კომპე-
ტენციაში შედიოდა.

მკურნალობით და სასწაულებით გაითქვა სახელი დავით გარეჯელმა და
უდაბნოში ხალხი მიიზიდა. ერთმა ბერმა შესჩივლა: „წყალი ნაღველივით
მწარეა და ისევე ამწარებს იმ ბალახებს და ნიახურს, რომელსაც იგი რწყავს“...
„დავითმა წყალი აკურთხა და მწარე წყალი ტბილად აქცია“... ყველა ეს სი-
კეთე კი ირმების მოწვევით დაიწყო. „დავით გარეჯელის“ გამოქვაბულში
დღემდეა შემორჩენილი ფრესკული და იკონოგრაფიული ხელოვნების არა-
ერთი ნიმუში. მათ შორის დასმულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ყურად-
ღებას იქცევს ლუკიანეს მიერ ირმების მოწვევის ამსახველი ფრესკა და ქვის
სვეტის ჩუქურთმა ხარ-ირმისა და რქებს შორის ქრისტეს გამოსახულებით.




ირმის რქისაგან დამზადებული რელიგიური ასტრალური სიმბოლო სამი ადამიანისა და 7 გველის გამოსახულებით. ზოგიერთი მკვლევარი, სრულიად დაუსაბუთებლად მას სისხლის ასაღებ ხელსაწყოდ მიიჩნევს, მაშინ, როცა იგი მხოლოდ ამულეტია. ურბნისის არქეოლოგიური გათხრების კოლექციიდან, საინვენტ. № 5-59:2205 (ძვ. წ. ა. II ათასწლეული).

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ 1972 წელს გამოსცა გურამ აბრამიშვილის „დავით გარეჯელის“ ციკლი ქართული კედლის მხატვრობაში“. ამ მონოგრაფიის 25-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „დავით გარეჯელის“ ლოცვის კომპოზიციის სურათზე მცირე ზომის ხეა აღმოჩენილი. აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის განმარტებით, ამ კომპოზიციაში ასახულია მწარე წყლის ტკბილად გადაქცევის სასწაული. ჩვენ ამ „მცირე ზომის ხეს“ მივაქციეთ ყურადღება და გარეგნული ნიშნების მიხედვით იგი სამკურნალო მცენარე მრავალძარღვა უნდა იყოს, რომელიც ქართულ ხალხურ მედიცინაში მკურნალობის მიზნით უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. ხოლო დღევანდელი პრაქტიკული მედიცინის თვალსაზრისით მასში მრავალმხრივ სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები შედის. აღნიშნულ წერილობით წყაროში შემთხვევითი არ უნდა იყოს აგრეთვე ფრიალ მნიშვნელოვანი სამკურნალო მცე-




ქობულა ირმები ჩაქვებით უვაროვას კოლექციიდან ძვ. წ. ა. I ათასწლეულის ბოლო, სინენბარო № 27—61:65, 27—61:68.

ნარის ნიახურის ხსენებაც. ვინაიდან „უსწორო კარაბადინში“ (XI ს.) და „სამკურნალო წიგნ-კარაბადინში“ (XV ს.) არაერთხელ არის ნახსენები ნიახურის თესლი, ღერო და ფესვები რთული სითხოვანი წამლის ფორმების მომზადებისათვის, როგორც აუცილებელი კომპონენტი, რომელიც შეიცავს შარდდამდენ ნივთიერებას აპიინს და ამიტომ ღვიძლის და თირკმლის დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენება. უამთა სულამ აღარ შემოგვინახა „დავით გარეჯში“ ისე მკვეთრად გამოკვეთილი თახჩები წამლებს დასალაგებლად, როგორც ვარძიასა და მალაღანთ ეკლესიის ეზოში, მაგრამ „დავით გარეჯის“ გამოქვეყნულში მაინც აშკარად შეინიშნება წამლების დასალაგებელი თახჩების ნანგრევები და ნაშთები. ასევე, ამავე წყაროს მე-12 გვერდზე ნახსენებია ასეთი ფრაზა: „წყალი ნაღველივით მწარეა და ისევე ამწარებს იმ ბალახებს და ნიახურს, რომელსაც ის რწყავს“. აქ საჭიროა გამახვილდეს ყურადღება „იმ ბალახების“ ჩორწყვის ცერემონიალსა და უშუალოდ სამკურნალო მცენარეზე — „ნიახურზე“, როგორც ფაქტზე. როგორც ჩანს, მიუხედავად რთული კლიმატური პირობებისა, „დავით გარეჯის“ არქიტექტურული კომპლექსის მიდამოებში მაინც ხდებოდა სამკურნალო მცენარეების მოვლა-მოშენება. „უსწორო კარაბადინის“ მე-60-ე გვერდზე ვკითხულობთ: „აიღე კამის ძირი და ნიახურის ძირი და ძირთაფლის ძირი“, ასევე 61-ე გვერდზე ვკითხულობთ: „აიღე ნიახურის თესლი და ანისონი და ძირთაფლის ძირი. ნიახურის ძირი და შალარ-



ირმის გამოსახულება ძეწვეებით უინვალის არქეოლოგიური გათხრების კოლექციიდან (ახ. წ. ა. III საუკუნე), საინვენტარო № 09-XXV-80-458, არქეოლოგ რამინ რამიშვილის კოლექციიდან.



გურიის დროშა (მუქი ვარდისფერი, სარჩული ყვითელი). მასზე გამოსახულია ირემი. მას ზევით შარავანდვით მოხილი ვარსკვლავია აღბეჭდილი. ირემი ღვთაებრივი სიკეთის სიმბოლოა (მან წარმართულიდან ქრისტიანულ სიმბოლიკაში შემოაღწია). ფოტო ამოღებულია მ. ვაბოლსკის წიგნიდან „საქართველოს პერალდიური სიმბოლიკა“. გამომც. „ხელოვნება“, თბ. 1980.

ჯაბარი ამათვანი წონა ათის დრამისა“. ამავე წყაროს 79-ე გვერდზე ქვესათაურში „მაჯუნი აფლონია ისრუმისაში“ ვკითხულობთ: „წამლები მისი: ბასლუბანჯი, რომელი არს ლენცოფისა თესლი და თეთრი პილპილი... აფიონი... ზაფრანი... ნიახურის თესლი“. „ნიახურის თესლი“... ნახსენებია აგრეთვე 112-ე გვერდზე, სადაც შემდეგი წერია: „ესე ყუელანი და შეუზილნეთ ნიახურისა წყლითა და კუერად დავქნათ და შევასუათ სიქანგუბანითა“. 135-ე გვერდზე წერია: „აიღებ ნიახურისა თესლსა“, ასე რომ, ნიახური ძველი ქართული სამკურნალო კარაბადინის ფურცლებზე ძალიან ხშირად იხსენიება, როგორც სამკურნალო მცენარე. აი თუნდაც 142-ე გვერდზე „ნიახურისა წუენითა ერთობილი ტანი დაიხილოს... ეშუელოს ღვითთა“, 430-ე გვერდზე დიეტეტის თვალსაზრისით ერთი საყურადღებო ცნობაა მოცემული „უს-




წებელდა. კანკელის ფილებზე გამოსახულია ხარ-ირემი, რქებშუა ქრისტეს გამოსახულებით და მასზე დადევნებული არწივით, რომელსაც ფეხზე თოკი აქვს შობმული, იქვეა სათნოების სიმბოლო ნუკრი, მარადისობის (მზის) დისკო. ცხენზე ამხედრებული მონადირე ხელში მოპარკვებული მშვილდისრით. აქვეა მცენარეულობით დამშვენებული ორნამენტი და ხოდაბუნების გამოსახულება. ჩუქურთმა VI საუკუნით თარიღდება. ქვაში ასეთი რელიეფური დეტალები ცნობილია რომელი და ეტრუსკული ხელოვნების ალბომებიდანაც.

წორო კარაბადინში“. „შიგნითა ფაშვი და წელები გვიან მოსაღნობია... მისი კამა მშრითა და სალაფითა, ნიახურითა და ზირითა და ანგიზონითა იყოს“: მაშასადამე, დიეტეტუკური კერძი ხაში აღამიანმა ნიახურთან და სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად უნდა შექამოსო. ასევე 443-ე გვერდზე ვკითხულობთ: რომ „თუ კაცს ღვიძლი სტიოდეს ან კუჭ-ნაწლავი (სტომაქი) და რძეს ღებულობდეს“, „ან კამოს სალაფითა და ნიახურითა, ან პიტნითა“, 439-ე გვერდზე ვკითხულობთ: „თესლი ნიახურისა მხურვალი და ხმელია მეორესა დაოაჯა შიგა, დედაკაცისა წესსა, მამაკაცისა თესლსა უმატებს, ღვიძლის ტკივილსა და თირკმელს შიგა რაც სენი იყოს მას დააწყნარებს“. ნიახურის თესლის, ფესვების და ფოთლების სამკურნალო თვისებები არაერთხელ არის ნახსენები XV საუკუნის კარაბადინ-ფარმაკოპეიაში (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, 1978 წელი პროფ. მ. შენგელიას გამოკვლევებითა და რედაქციით) მაგალითად: ამ წყაროს ქვესათურში „ყოველისა ფერისა თავის ტკივილისა“ 271-ე გვერდზე ნახსენებია: „ნიახურის ფურცელი და ბაბუნაჯი“. 272-ე გვერდზე: „ნიახურის ძირისა ქერქი“. 281-ე გვერდზე ნახსენებია, რომ ნიახური უძილობის წამალიც ყოფილა. 234-ე გვერდზე კი ნახსენებია როგორც თვალის დაავადების სამკურნალო



დავითგარეჯა. იკონოგრაფიული ფრესკა. დავითსა და ლუკიანეს
ირმების ჭოგი ესტუმრა (ერმაკოვის ფოტოკოლექციიდან. ინახება
საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).



დავითგარეჯა. იკონოგრაფიული ფრესკა. დავითი ნებას რთავს ლუკიანეს ირემი შოწველოს (ერმაკოვის ფოტოკოლექციიდან. ინახება ხაქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში).


საშუალება: „ნიახურისა წუენითა აბი შექენ ცერტუსისა ოდენი“... 390-ე გვერდზე ქეცსათაურში: „სხუა წამალი ხუელისა“-ს შემადგენლობაში: „ნიახური თხუთმეტი ღრამი“ შედის. „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 397-ე გვერდზე ნიახურის თესლი ნახსენებია „ყიისა და ხუნაყისა“ სამკურნალოდ. ხოლო 411-ე გვერდზე ნიახური შედის რთული წამლის ფორმების გუარიშნების შემადგენლობაში. რომელიც კუქ-ნაწლავის დაავადების სამკურნალოდაც გამოიყენებოდა. 451-ე გვერდზე ასეთ ფრაზას გვითხულობთ, „სამსა დღესა უკანით ეს ასუან, ცოტა წყალი ნიახურისა და კამისა... იმავე ქერის წყლითა, და კამის და ნიახურის ძირითა, და ნუშის ზეთითა ვარიონ და შეჭამონ ყურსი ვარდისა, და სტომაქის ტვიცილი ერთობ ძუელი იყოს. თურბუთისა ყურსი მიეცით მუდამ დოსა და კარაქსა კამდეს... მერმე ნიახური, პიტნა, სალაბი, თუითოსაგან სწორი. ამა წამლებისაგან გაურთიე“... ასე, რომ ნიახური შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში ხშირად ნახსენები სამკურნალო მცენარეა და იგი „დავით გარეჯელის“ ცხოვრების ამსახველ წერილობით წყაროებში შემთხვევით არ უნდა იყოს ნახსენები.

ახლა დავუბრუნდეთ ირმის სიმბოლიკის საკითხს. ამ მხრივ საინტერესოა შინდისფერ ქვაში გამოსახული გაქცეული ქორბუდა ირემი ვერტიკალურად უკანა ფეხებზე შემდგარი, შუაშია ვეფხვის გამოსახულება, რომლის სიმბოლო-
7. ს. საღეჯკაძე.




დავითგარჯა (V ს.). იკონოგრაფიული ფრესკა. „ლუკიანე წველის ირემს“.


რი გამოსახვის ტრადიციები ძალიან ხშირია ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში, გარდა ამისა სიმბოლოდ აქ გამოსახულია მეელი. ირემი სიკეთის სათავეა, ვეფხვი — სიმამაცისა, ხოლო მგლის გამოსახულება ასტრალურ სიმბოლოს უკავშირდება. შესაძლოა ეს ელემენტები, სიკეთის და ბოროტების ბრძოლის სიმბოლოდ იქნეს მიჩნეული. იგი ამშვენებს სვანური ტიპის კოშკს, სოფელ წინარეხში, რომელიც „სოლომონ მაღალაძის კოშკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. იგი მაღალაძეების ეკლესიის ძირითადი შენობიდან 300 მეტრით არის დაშორებული. მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით აღნიშნული ჩუქურთმა კიდევ უფრო მეტ შინაარსს შეიძენს... თუ მას მაღალაძეების გვართან და იმ ნაშთებთან ერთიან კომპლექსში განვიხილავთ, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა უკანასკნელ წლებში გამოვლენილი და ქართული მედიცინის განვითარების გარკვეულ საფეხურებთან არის დაკავშირებული. საგულისხმოა აგრეთვე, რომ მახარებელ II მაღალაძე ზაზა ციციის ძე ფანასკერტელის თანამედროვეა. ზაზა ფანასკერტელი ქართლში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა XV საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიც სამხრეთ საქართველოდან გადმოსახლდა ქართლის მეფეთ-მეფე კონს-



იბერეთის ღროშა (მწვანე ფერისაა, სარჩული ღია ყვითელი). გამოსახულია ირემი რქებს შორის ჭვრით, ზევით გვირგვინია, მის ქვევით კი ნახევარ მთვარის გამოსახულება, ალბათ მთვარის კულტის ნიშანი, იგრძნობა ირანული ზელოვნების გავლენის კვალი.




ბებუთაშვილების გერბი (ემბლემა — ფრინველის ტრადიციული სიმბოლო, ირემი და ხმალშემართული მკლავი).




თარხან-მოურავების გერბი (ემბლემა — მხედარი, ირემი, სავაჭარეულო ციხე-კოშკი და აფრააშეებული ზომალდი).




რაკოსვილობის გერბი (მეომრის ემბლემა ცენტრში, ქვემო წმინდა გიორგი. ზე-
 ვით სკვანო, რომელსაც ფარშეკურელი ხელი იფარავს. მარჯვნივ ციხე კოშკის ბა-
 ლოჯია. ქვემოთ ორი რუსული გვარის გერბების სიმბოლო. გერბზე გამოხატულია
 ასევე).



ქვეპედაქების გერბი (უმბლუმა საგვარეულო ციხე-კოშკი. ირემი, ლუზა, როგორც გემის სიმბოლო და ხმალაკურობილი ხელი).



ფლავანდიშვილების გერბი (ემბლემა ცენტრში, დამხობილ ნახევარმთვარეზე აღმართულია ჭვარი, და 7 ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ზემოთ სავვარეულო ციხე-კოშკი, რომელსაც იცავს შეციხონენ, მარჯვნივ სამი 8 ქიმიანი ვარსკვლავი, ქვემოთ ირემი).



სოლომონ რევაზის ძე მაღალაძის კოშკი, სოფ. წა-
ნარეხში, XVII საუკუნის დასაწყისის ნაგებობა.


ტანტინე II ბაგრატიონის წინადადებით. მაღალანთ ეკლესიის ეგვტერის კედელზე დღემდეა შემორჩენილი ვედრების კომპოზიცია — რელიგიურ-ასტრალური სიმბოლო შვიდი ცხვრის გამოსახულება და მედიცინის ემბლემა — 'ოაილაკნილი გველის გამოსახულება, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მაღალანთ ეკლესიის ეზოში ჩვენ მიერ აღმოჩენილი 500-მდე თახჩა, წამლის სასახლე სააფთიაქო კომპონენტების შესანახად. საკითხის ამ მხრივ განხილვა კიდევ უფრო მეტ დასაბუთებას იძენს, რათა ირემი, მისი გამოსახულება სიკეთის, ადამიანის კეთილდღეობის სიმბოლოდ წარმოვიდგინოთ და ამდენად იმ საქმიანობასთან კავშირში განვიხილოთ, რომლის უმთავრეს საზრუნავს ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენდა. როგორც აღვნიშნეთ, ქართული თვითმყოფადი ეროვნული პერალდიკური სიმბოლოს თვალსაზრისით, ფრიად საინტერესო ცხოველია ირემი. იგი კეთილი საწყისის სიმბოლოა, რომელიც ჯერ კიდევ წარმართული ეპოქიდან მომდინარეობს და ქრისტიანული კულტურის ბატონობის ეპოქაში კვლავ იმავე „კეთილი საწყისის“ სიმბოლო-



სოლომონ მაღალაძის კოშკის დასავლეთ კედელში ჩაშენებული ქვის ორნამენტი, ქობულა ირმის, ფრთოსანი ფასკუნჯის და ქვესენელის ძაღლის — მგლის გამოსახულება, რომელიც შესაძლებელია მაღალაძეების საგვარეულო ღვრბის ადრეულ ეტაპზე მიგვანიშნებდეს.

და ცნობილი, მაღალაძეების კოშკის კედელზე შინდისფერ ტრაპეციული ფორმის ქვაში „ირმის, ვეფხვის და მგლის“ სიმბოლო ბოროტებისა და სიკეთის ჭიდილის ასპექტებით უნდა აიხსნას.¹ ირები, როგორც „კეთილის საწყისი და სათავე“, ბრინჯაოს კოლხურ ბალთაზეა გამოსახული. ირმის სიმბოლო შემორჩენილია ატენის სიონში (VII ს.). „ციურ წყაროს ეწაფებიან ქობულა ირმები“. ცნობილია აგრეთვე ირმის რქებს შორის ქრისტეს გამოსახულება „და-

1 ვედვი შ. რუსთაველის პოემაში სიმამცის სიმბოლოდ არის მიჩნეული, მგელი — ზოგ შემთხვევაში მიჩნეულია „ქვესენელის ძაღლად“, ხოლო მეფე ვახტანგ გორგასლის რეინა ქვეზე მკურთხევის ძაღლის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, აქედანვე წარმოდგება მეფის სპარსული ზეპირდება — გორგასალი — „მგლისთავა“, სიტყვა უფრო დაზუსტებული განმარტებისათვის. ხელოვნებაში მოდრენება ეკუთვნით — ს. ს.



სვეტიცხოვლის კედელი (1677 წ.). ირმის თავის გვერდით არის მცენარეული ორ-
ნამენტი: გვიშრის ფოთლები და ხოდაბუნები, აქვეა ნიკოლოზ მაღალაძის შემორჩილური
წარწერა.

ცით გარეჯის“ კომპლექსიდან. ირმის გამოსახულება ამშვენებდა აგრეთვე „ბე-
ბუთაშვილების საგვარეულო გერბს“, სადაც გამოსახულია ირემი და ხმალშემარ-
ჯული ნეომრის მარჯვენა ხელი. ასეთივეა თარხან-მოურავის გერბი-ემბ-
ლემა: „მხედარი, ირემი, საგვარეულო ციხე-კოშკი და აფრიაშეებული ხომალ-
დი“. ირმის გამოსახულება ფალავანდიშვილების საგვარეულო გერბზეც, ასე-
ვე რატიშვილებისა და ქავჭავაძეების საგვარეულო გერბზეც. ირმის სიმ-
ბოლო ამკობდა იმერეთის დროშასაც, რომლის მწველზე ფერის სარჩულზე ღია
ყვითელი ირემი იყო გამოსახული რქებს შორის ჯვრით, და გვირგვინით. მის
ქვემოთ ნახევარმთვარის გამოსახულებაა, ალბათ, მთვარის კულტთან დაკავ-
შირებით. საინტერესოა გურიის მუქი ვარდისფერი ეროვნული დროშაც,
რომელსაც ყვითელი სარჩული აქვს, დროშაზე გამოსახულია ირემი, როგორც
სიკეთის სათავე, მის ზემოთ შარავანდედმოსილი ვარსკვლავია აღბეჭდილი.
ირმის სიმბოლოებმა სახემ, როგორც სიკეთის სათავემ, წარმართული ეპოქი-
დან ქრისტიანულ სიმბოლიკაში უცვლელად შემოაღწია. საქართველოს მედი-
ცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარები — პროფესორები: ი. ნიკობაძე,
ი. ტატიშვილი და იოსებ ქურჩიშვილი თავიანთ მონოგრაფიაში „მედიცინის
განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში“ (გამომცემლობა „მეცნიე-
რება“, თბილისი, 1964 წელი), 23-ე გვერდზე აღნიშნავენ: „ქართული ხალხუ-
რი მედიცინის მონაცემების მიხედვით ირქვევა, რომ ცხოველური წარმოშო-
ბის ორგანოებს: ქსოვილს და სისხლს ფართოდ იყენებდნენ სამკურნალო
პრაქტიკაში, საქართველოს ისტორიული წარსულიდან ცნობილია, რომ ფარ-
თოდ იყო გავრცელებული ისეთი ცხოველების და ფრინველების ორგანოე-
ბით მკურნალობა, როგორცაა: ირმის, დათვის, კურდღლის, თხის, მტრედის,
შერცხლის, ყვავის და სხვა ცხოველების ორგანო ნაწილებით მკურნალობა.
ირმის ორგანო ნაწილებიდან გამოიყენებოდა: სათესლე ჯირკვლები, რქები,
გამხმარი ნაღველი და ტყავი (სათესლე ჯირკვლებს იყენებდნენ მამაკაცური
უძლურების შემთხვევაში) დამწვარი ირმის რქის ფხვნილს ღებულობდნენ
ფილტვებიდან სისხლის ღენის შესაჩერებლად, შარდში სისხლნარევი დაავა-
დების და სისხლიანი კოლიტების დროს ირმის გამხმარი ნაღველი გამოიყე-
ნებოდა შიგნით მისაღებად და გარეგან საშუალებად შხამით მოწამვლის შემ-
თხვევაში, ირმის თასმას და ტყავს იყენებდნენ წითელი ქარის სამკურნალოდ,
თასპით აწარმოებდნენ შეხვევას წითელი ქარით დაზიანებული ადგილებისას“.

„სამკურნალო წიგნი კარაბადინის“ 323-ე გვერდზე ქვესათაურში „თუ
ფილენჯი ნაკრაობასა რაზედამე წაეკიდოს, ანუ ცხენის წაქცევაზედა, ანუ მალ-
ლით ადგილით ჩამოვარდნაზედა, ანუ ხმლითა, და ისრითა დაკოდილზედა, ანუ
ანრგითა ცემაზედა, ეს წამალი ქენ და იმა ადგილზედა დასდევ“. რთული
წამლის მოსამზადებლად მრავალ კომპონენტს შორის ჩამოთვლილია: „ირ-
ნისა ხორცი ასრე მოხარშონ, რომე ძვალისა გაეყაროს! მერმე ზეთის ხილისა
ზეთითა დაზილონ, თავსა შემოადგან საკვებად“. ირმის მოხარშული ხორცი
სამკურნალო წამალი ყოფილა, როგორც ძველი ქართული ჰერალდიკის თვალ-

საზრისით, ასევე შუა საუკუნეების მხატვრულ და სამედიცინო წერილობით წყარებში, სადაც ირემი სიკეთის სათავედ არის მიჩნეული. ფშავ-ხევსურეთის ძველი ქართული ხალხური სამედიცინო წყაროების მიხედვით, ირემზე ნადირობა, მისი ხორცის სამკურნალო თვისებით იყო გამოწვეული და იგი მოხსენიებულია ფოლკლორულ-პოეტურ ქმნილებებში: „ქარსა ირემსა სუკი კლავს“, ე. ი. ხარ-ირემზე სუკისათვის ნადირობდნენ (ნუნუ მინდაძე, „ქართული ხალხური მედიცინა“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1981 წელი. გვერდი 35-ე).

ასევე ირემი ჯადოსნურ ღვთაებრივ ძალად ითვლებოდა. „ირმის თასმის“ ზებუნებრივი თვისება ძველთაგანვე იყო ცნობილი. მონადირეს, გამგზავრებულს სანადიროდ, უეჭველად ირმის თასმებით შეკრული ქალამანი უნდა სცმოდა, ვინაიდან ეს თითქოს მონადირეს ნადირობისას ეხმარებოდა. რათა ტყვია მიზანში მოერტყა. ფშავ-ხევსურეთის ფოლკლორული მასალების მიხედვით მძიმე მოტეხილობის დროს არტაშნებს „ირმის თასმებით“ შეკერავენ და ასეთი მოტეხილობის დროს ძვალი ერთმანეთს შეეზრდებოდა და რაც მთავარია „ძვალის გამთელების“ პროცესიც დაჩქარდებოდა. საინტერესოა „სამკურნალო წიგნ-ფარმაცოპეაში“ 752-ე გვერდზე თავი ქვესათაურით - ქარი ირემთა მარგებელი“.

„რქა ირმისა როდეს აკმო სახლისა შინა, მეოტ იქნას გუელი. და როდეს შოილო ნაქლიბი ირმისა რქისა, დაგალოს და შესუსას, ერგოს ცხოოსა და გუნსა, ლუინისა თანა სუას. და თუ შესუსას ნახეწი რქისა მითკლისა წონი სიქორავსა ნახევარსა წყალსა თანა უზმამან, ერგოს დაცემასა, რგომა საჩინო, და იბოვების ირმისა გულსა შინა ბუალი, თუ ჩამოაკიდო (მკლა) ვსა, დაჰმარხოს შვილი და არა მოაგდოს. ყური ირმისა როდეს გააკმო და დახეწო და შვასუა ნახეწი მისი, ადგენს შვასასა და გააღუიძებს. და ესრევე იქმს ნახეწი ლართისა, როდეს შვასუა ლუინითა“.

თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 265-ე გვერდზე არჩევენ ავშანდაძის სიგელ-გუჯარის შინაარსი ფრიად საინტერესოა, რომელსაც. როგორც ჩანს, თავის დროზე იცნობდა მარი ბროსე. ამ სიგელ-გუჯარის ტექსტს უკლებლივ ბეჭდავენ თედო ჟორდანიას, თუმცა ავტორებს მარი ბროსეს და თედო ჟორდანიას ეპეი ეპარებათ სიგელის სინამდვილეში, მაგრამ როგორც იურიდიული დოკუმენტი მაინც გამოაქვეყნეს. იგი 1452 წლით არის დათარიღებული და დაწერილია „ხელითა მთავარ ეპისკოპოზისა დავითისითა“. როგორც საბუთის შინაარსიდან ირკვევა, სიგელი დავით აღმაშენებლის სიცოცხლეშია გაცემული გელათის მშენებლობისას. გელათის მშენებლობა 1130 წელს დამთავრდა და როგორც ცნობილია დავით აღმაშენებელი ვერ მოესწრო მისი მშენებლობის დამთავრებას; იგი 1125 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე. სიგელის გაცემის თარიღად 1120-1125 წლები უნდა მივიჩნიოთ და დავით აღმაშენებლის ეპოქასა და XV ს. ამ გუჯარის გადაწერის თარიღს შორის სხვაობა

320-330 წელია. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, რა თქმა უნდა, მოხდებოდა სიგელის შინაარსის შეცვლა (ან დამახინჯება), მაგრამ სიგელის ტექსტში ყურადღებას იქცევს წამალთმცოდნეობის თვალსაზრისით ერთი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი, ამიტომაც მოგვყავს ციტატა: „ოდეს დავბრუნდით, გაზოვიდა ავშანდაძის გვარი კაცი, დიდად ნამსახური მეფისა, როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალაკი დაღმა (გალავანის დაღმა) გარდავარდა, სამას და ხუთი აქიმი მისახეს და ვერ უშველეს. მაშინდა სხვა ერთი აქიმი შოვიდა ყველას უკანისა, მან ასრე თქვა „თუ ირმისა რძეშიგან დავაწვენთო (სხვა) არ ეშველებოა“. ქნეს მოკითხული: შელონდეს; წამოდგა კაცი; რქვა ავშანდაძეს: „უთქსო თორმეტი ფურ-ირემი მოწველო, სხვა ქვეყანასა ზედან არ იშოვებოა“ და მოილო ავშანდაძემან იპრიანა ღ-ნ, დარჩა აღმაშენებელი. ამისათვის შეგვიწყალენით ავშანდაძენი არჯევანს, კანდას დაღმა და გომს დაღმა, სადაც წვევისა წყალი შეერთვის ყვირილას, ფისისანს და ჩხარის, მას დაღმა სატყისმცველო წყალბოდ მოგვიცემია ავშანდაძის ძესათვის“. როგორც უკვე ვთქვით ამ საბუთში ყურადღებას იქცევს ირმის რძის სამკურნალო თვისებები და კერძოდ 306-ე ექიმის მკურნალობის დანიშვნა ხუროთმოძღვრისათვის: „თუ ირმისა რძეშიგან დავაწვენთო... ეშველებოა“ და როცა თორმეტი ფურ-ირმის რძეში აბანავეს არჯევან ავშანდაძე „დიდად ნამსახური მეფისა როდეს აღმაშენებელი გელათს ამშვენებდა... მიილო ავშანდაძემან იპრიანა დარჩა“. მშასადაძე, გელათის აღმაშენებელი ხუროთმოძღვარი არჯევან ავშანდაძე, რომელიც ხარაჩოდან გალაკანს გადაღმა გადავარდნილა და 305 ექიმი მის მდგომარეობას უიმედოდ თვლიდა, 306-ე ექიმმა ირმის რძით ხუროთმოძღვარი მოაბრუნა ამქვეყნად. აქ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცნობილი ხდება არა მარტო გელათის ხუროთმოძღვრის არჯევან ავშანდაძის ვინაობა, არამედ უძველესი ქართული ტრადიციების მიხედვით ირმის ჰერალდიკური სიმბოლიკაც — „ირემი — სიკეთის სათაგვა, ირემი კეთილი საწყისია“, ამ შემთხვევაში ხუროთმოძღვრის გადარჩენის „უკვდავების წყაროდ“ ირმის რძე არის მიჩნეული. ირმის რძის სამკურნალო თვისებები შუა საუკუნეებში კარგად ყოფილა ცნობილი. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ხარაჩოდან თვით დავით აღმაშენებელი გადავარდა... სიგელ-გუჯარის ტექსტის მიხედვით არჯევან ავშანდაძე გადავარდნილა და მას დაუნიშნეს ირმის რძის აბანებები, ხოლო გუჯარი აღმაშენებლისა მასვე მიუღია გელათის მშენებლობისათვის.

ხალხში შემორჩენილია ირმის სხვა ჯადოსნურ-მაგიური სიმბოლიკაც. მაგალითად, გურიის ცხვირის ცემინების დროს ადამიანს ასე დალოცავდნენ: „შგლის მუხლი, დევის ძალა, გახტომა ხარ-ირემისა“ (ე. ი. გადახტომა, სიმა-მაცე ხარი-ირემისაო), ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს, ნ. მინდაძეს ამავე ნაშრომის 87-ე გვერდზე გამოქვეყნებული აქვს წითელი ქარის შელოცვის თავისებური ფოლკლორული ვარიანტი, სადაც ნახსენებია არა მარტო „ირმის თასმა“, არამედ „მე ვიცი მაგის წამალი წითელი ფურის რძეო“. ხოლო წითელი ქარის გავრცელების საზღვრებს „ირმის თასმით შემოსაზღვრავდნენ, წითელი ქარი აღარ გაიზრდებაო“, მაშასადამე, ირემი თავისთავად დაავადე-

ბათა თავიდან აცილების მაგიურ ძალად ითვლებოდა. ირემი ნახსენებია „ამირანიანის“ ვალექსილ წერილობით წყაროში. „სანადიროდ წასულიყვნენ ამირან და ძმანი მისნი, გზად ირემი შემოაპყროდათ, ცას სწევდებოდა რქანი მისი“. არც ეს, უნდა იყოს შემთხვევითი ფრაზა. ძველ ხალხურ წყაროებში აღწერილია, რომ ირმის რქას დაწვედნენ და ე. წ. „რუჯის სუნს“, ანუ ქიმიურ ენაზე თუ ვიტყვით, დამწვარ „აკროლინს“ ბავშვებს ასუნთქებდნენ საღამომბით, რათა ავი სენი — უყმური არ შეპყროდათ.

ირმის მოწველა ან ირმის რძით აღამიანის გამოკვება, ქართული ხალხური ეპოსის მეტად გავრცელებული მოტივია. აქედან მას შემოუღწევია ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებშიაც და მას ჰქონდა თავისი ობიექტური ნიადაგიც... ირმის მოწველა-მოთვინიერება... რომელთა შორის ტიპობრივია ზღაპარი „ირმისა“ და მისი ვარიანტები (ალექსანდრე ღლონტი. „ქართული ხალხური ნოველა“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილ. ს.ი. 1966 წელი). „ირმისას“ მოკლე შინაარს იმავე წიგნში ასეთნაირად გავმოგვცემს ცნობილი ქართველი მკვლევარი პროფესორი ალექსანდრე ღლონტი „ღრმა სიბერეში მესულ ცოლ-ქმარს ვაჟი შეეძინა, მაგრამ უძღური ბერიკაცი მოკვდა, ხოლო „ცოლს მწუხარების გამო რძე დააკლდა და ბავშვის რჩენა აღარ შეეძლო. აილო და ბავშვი ერთ კოკლ ირემს მიაბარა. ბავშვი მიეჩვია ირემს. ტყეში თან დასდევდა და როცა მოუნდებოდა, ძუძუს წოვდა“... ამ ბავშვს ამიტომ „ირმისა“ დაარქვეს. ძველ ქართულ ზღაპრებში ირმის სიკეთეზე მეორე ასეთი ვარიანტია: „ერთ ქალს ხევში ჩვილი ბავშვი ჩაუვარდა. იმ ხევზე ერთმა ფურ-ირემმა გამოიარა, შვილს ეძებდა, ეს ბავშვი, რომ დაინახა შეებრა... მივიდა და თავისი ძუძუ პირში ჩაუღო... მოწოვა ძუძუ და ბავშვი გაჩუმდა. შემდეგ ირმისა ხელმწიფის შვილს დაუმეგობრდა, მათ ერთად იარეს და ერთი ზღვის პირას მიადგნენ ვაშლის ხეს. ირმისამ უთხრა ხელმწიფის შვილს — ჩამოაგდე ვაშლიო, ხელმწიფის შვილმა ვერ შეძლო. მაშინ ირმისამ მუჭი ჰკრა, ჩამოყარა ვაშლები და დასხდნენ საკმელად“... შემდეგ ირმისამ ღვებები წააჭია ჭრლობაში და თანაც სამი ღვევი დახოცა. სიმბოლიკური ჰერალდიკის და ქართული ზღაპრების შინაარსიდან ერთი რამ ნათელია, ირმის რძით გამოკვებილი ბიჭი — ფიზიკურად ძლიერი გაიზარდა და მას გოლიათური მონაცემები აღმოაჩნდა, რასაც ირმის რძის ყუათიანობას მიაწერდა ხალხი ოდითგანვე. კარგადაა ცნობილი ირმის რძის ქიმიური შემადგენლობაც. სპეციალურმა შესწავლამ დაამტკიცა, რომ ირმის რძეში სხვა შინაური და გარეული ცხოველების რძესთან შედარებით უფრო მეტია: ცხიმი, ცილა, შაქარი და სხვა კომპონენტი, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან:

ადამიანის და სხვადასხვა ცხოველის რძის ქიმიური შემადგენლობა
პროცენტობით 1, 2, 3, 4

	წყალი	ცხიმი	კაზეინი	ალბუმინი	რძის შაქარი	ნაკარი	მშრალი ნივთიე- რება
1. კალის რძე .	62,1	4,4	5,8	5,8	7,8	1,5	37,9
2. ბროხის “	88	3,2	2,8	0,6	4,6	0,8	12
3. ცხვრის “	82,1	6,7	1,0	1,0	4,6	0,82	7,9
4. თხის “	87,2	4,9	2,8	0,5	4,2	0,8	12,8
5. ცხენის “	95,5	1,1	1,2	0,7	6,1	0,4	9,5
6. კამურის “	81,8	7,47	5,85	0,25	4,15	0,87	18,59
7. ირმის “	64,2	19,7	8,69	2,2	2,6	1,4	35,8

1958 წელს ურბნისის სამაროვანის არქეოლოგიური გათხრების დროს ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ირმის რქა. მედიცინის ისტორიის მკვლევარი (პ. ფირფელიძე) ამ რქას სისხლის ასაღებ მედტექნიკის იარაღად მიიჩნევს, რასაც იზიარებს პროფ. მ. შენგელია. რას წარმოადგენს ეს „ირმის რქა“ და რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს მას? 1978 წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცა თინათინ კერესელიძის ნაშრომი „ძვლის ნივთების კატალოგი“. ამ მონოგრაფიის ერთ-ერთ თავში „სარიტუალო დანიშნულების ნივთი ურბნისიდან“ იგი რეტალურად აღწერს ირმის რქას: „რქაზე ერთი მიმართულებით ამოკვეთილია შეიდი გველი... მათ შორის ამოკვეთილია ადამიანთა სქემატური გამოსახულებები (სამი ფიგურა ზანუბითაა შესრულებული, სამი წერტილებით)“. ადამიანის და გველის გამოსახულება რქაზე, ზოგიერთის აზრით, თითქოს საშუალებას ვვაძლევს სამედიცინო ფუნქცია მივანიჭოთ ამ ნივთს. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სპეციალურად მოვინახულეთ ეს ნივთი და წარმოუდგენელია იგი მედტექნიკის იარაღი ყოფილიყო.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. კერესელიძე პირდაპირ წერს: „ურბნისში აღმოჩენილი რქა ასტრალურია... აღნიშნული რქა თავის შემკულობაში თითქმის მთელ ასტრალურ სიმბოლიკას შეიცავს“ და შემდეგ საბოლოო დასკვნა გამოაქვს: „ამრიგად განხილულია რქა საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთია“. როგორც ვხედავთ, ძვ. წ. II ათასწლეულით დათარიღებული ეს ირმის რქა სარიტუალო ნივთია და არა სისხლის ასაღები ხელსაწყო. წარმოუდგენელიცაა ამ თავბლაგვი რქით სისხლის აღება.

¹ Инохов В. С. «Химия молока и молочных продуктов», стр. 224, 227, изд. 1931 г. III изд.

² Давидов Р. Б. «Молоко и молочное дело», 1973 г. ст. 59. изд. II.

³ Дилаяни Г. Н. «Молочное дело», 1979 г., стр. 76, III изд.

⁴ Власов В. А., Осиповский Н. И., Попов К. Ф., Титова А. И. Учебник детских болезней. М., 1958 г. Таблица № 16, стр. 85.

საინტერესოა ბრინჯაოსაგან დამზადებული ქამრის ბალთა, რომელიც ძვ. წ. ა.-ის მეორე ათასწლეულით თარიღდება. იგი ამჟამად ინახება მცხეთის არქეოლოგიური მასალების ფონდში. მასზე ამოტიფრულია მთელი ცხოველთა სამყარო, განსაკუთრებით საყურადღებოა ხუთი ირემი, მათ შორის ორი ფურირემია და სამი ხაირირემი. ბალთაზე გამოსახულია მთელი სამონადირეო სიმბოლიკა, მათ შორის 18 მგელი, 6 სხვადასხვანაირი ფრინველი. ზუსტად ბალთის შუა ადგილზეა ამოტიფრული ნაყოფიერების, სიბრძნის და მედიცინის ემბლემა — დაკლაკნილი გველი და რაც მთავარია, მასზევეა გამოსახული „ბერიკები“, რომელთა შორის ზევითა ოთხიდან ერთ-ერთი ირმის რქას ჩასქიდებია, ხოლო ქვევით ორი ცეკვის რიტუალს ასრულებს. ეს უნიკალური ბალთა ასტრალური სამონადირეო სიმბოლიკით და სხვა ამგვარი რიტუალებით უნდა იქნას ახსნილი. ყურადღებას იქცევს ბალთის ირგვლივ ტალღისებრი ტვირთი. ეს ჩუქურთმა თრიალეთის ველზე ნაპოვნი სპილენძისაგან დამზადებული მონადირის სარტყლის ანალოგიურია. მასზე ხარ-ირმების ჭიდილია ამოტიფრული და სარტყლის არშიაზე ჩუქურთმათა ანალოგია ძვ. წ. ა.-ის ერთი და იგივე ეპოქის ტრადიციებისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი საქართველოში. მცხეთის არქეოლოგიური ფონდის ბალთაზე სამ ადგილასაა ამოტიფრული აგრეთვე მარადიულობის ნიშანი, — მზის დისკო, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება საქართველოს არქიტექტურულ ძეგლებზე, ბალთის სიგოძე 8 სმ-ია.

ირმის პოპულარობა ქართული ტოპონიმებითაც დასტურდება. ჩვენი აზრით, მინერალური წყლისათვის და მთავორიანი მშვენიერი საკურორტო ადგილისათვის „საირმის“ შერქმევა ირემთან დაკავშირებულ სამკურნალო სიმბოლოს გამოძახილი უნდა იყოს. თანამედროვე წამალმცოდნეობის თვალსაზრისით ირმის სიმბოლოს, რომელიც უძველესი წარმართული დროიდან ზომინარეობს, რეალური მიზეზი და მეცნიერული ახსნა აქვს.

XX საუკუნის საფთვითაქო სავალდებულო „ნომენკლატურაში“ არის მეტად ეფექტური ორგანოთერაპიული პრეპარატი — „პანტოკრინი“. აი რას წერს ცნობილი საბჭოთა ფარმაცოლოგი პროფ. მ. მაშკოვსკი: „პანტოკრინი ირმისა და შვლის გაუმაგრებელი (ზრდა — დაუმთავრებელი, ს. ს.) რქების სპირტიანი ექსტრაქტია, რომელსაც ღებულობენ, როგორც მატონიზირებელ საშუალებას საერთო გადაღლილობის დროს, განსაკუთრებით მძიმე ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ, როცა გულის კუნთი მოღუნებულია, სისხლის წნევა დაბალია, პანტოკრინი სამკურნალო პრაქტიკაში გამოიყენება სპირტიანი წვეთების ნაყენის სახით, ასევე კანქვეშ საინექციოდ და აბების სახითაც. პანტოკრინით მკურნალობა დადებით შედეგს იძლევა სხვადასხვა ხასიათის ჰორმონალური მოშლილობის დროსაც“. ასე რომ, როგორც ნედლეული, წყარო — ორგანო თერაპიული ენდოკრინული პრეპარატების მისაღებად, ირემი ფრიად სასარგებლო ცხოველია თანამედროვე სამედიცინო თვალსაზრისითაც.

ირმის სიმბოლოზე არსებული ისტორიული ხასიათის ცნობები, ცხადია,

ამით არ ამოიწურება. ჩვენი ძირითადი მიზანი იყო საკითხის წამოჭრა და მასთან დაკავშირებით ზოგიერთი ვარაუდის წამოყენება, რომელიც სოლომონ მაღალაძის კოშკზე ირმის გამოსახულებიანი ჩუქურთმის არსებობით არის ნა-
კარნახევი.

სატაძრო და საეკლესიო მედიცინის დამახასისებელი ფაქტები საქართველოში

სატაძრო და საეკლესიო მედიცინის საკითხებს საქართველოში პირველად ექიმი ლადო კოტეტიშვილი შეეხო. კერძოდ, 1938 წელს „საქბიომედგამში“ მისივე რედაქციით დასტამბულ „იადიგარ დაუდის“ თანდართულ გამოკვლევაში „მედიცინა ძველ საქართველოში“, XVI ს-მდე. იგი მე-5 გვედრზე შემდეგს წერდა: „ძველი ეგვიპტის, ინდოეთის, ჩინეთის და სხვა ძველი ტაძრების კედლებზე, ობელისკებზე, საფლავის ქვაზე მრავლად არის დარჩენილი „სატაძრო მედიცინის“ ნაშთები, სხვადასხვა იეროგლიფების, ნახატების, ბარელიეფებისა და ნაშთების სახით. საექიმო ინსტრუმენტები და ქირურგიული ხელსაწყოები და საექიმო სცენები, რომლებიც ამ ტაძრებზე არის გამოხატულნი, მოწმობენ მათ უძველეს წარმოშობას“. ეკვიც არ არის, საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და სამედიცინო ხელოვნება ყოველთვის ეპოქის მოთხოვნათა შესაბამის დონეზე იყო, რომელიც საუკუნეების მანძილზე განიცდიდა ევოლუციას. ქართული მედიცინის უძველესი ფესვები ძვ. წ. III, II და I ათასწლეულში უნდა ვეძიოთ. ამაზე მართებულ დასკვნას აკეთებს საქართველოს მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ავთანდილ გელაშვილი, „ექიმობისა და წამალთმკეთებლობის კვალი საქართველოში III ათასწლეულიდან არის დარჩენილი ასე, რომ სამედიცინო აზრისა და პრაქტიკული საექიმო დანმარების ისტორია საქართველოში 4000 წელიწადზე მეტ დროს მოიცავს. მართალია, განაგრძობს პროფ. ა. გელაშვილი, სრულად არ არის შემონახული უძველესი ხანის ქართველ ექიმთა ძოღვაწყოების ამსახველი ცნობები, მაგრამ, როგორც არქეოლოგიური მონაპოვრები, ლინგვისტიკური, მითოლოგიური და ფოლკლორული მასალები, ბერძენი და რომაელი ავტორების ნაწარმოებები, ქართული არასამედიცინო და სამედიცინო წერილობითი პირველწყაროები ადასტურებენ, სამედიცინო საქმიანობა და აზროვნება ჩვენში საუკუნეების მანძილზე მაღალ დონეზე ასულა და უაღრესად მრავალფეროვანი სამედიცინო კულტურა ჩამოყალიბებულა“. აქ მოყვანილი ციტატა საქართველოს სამედიცინო კულტურის სიძველის და მადანტურებელია. ხაზგასმით შეეხებებით ქართული მედიცინის ორ მეტად ხანგრძლივ პერიოდს, რასაც ზოგადი ცნება: „სატაძრო მედიცინა“ აერთიანებს. ჩვენი აზრით, ესაა წარმართული ეპოქის პერიოდი, ანუ ძვ. წ. III, II და I ათასწლეული ახ. წ. ა. IV საუკუნემდე და ახალი „ქართული საეკლესიო მედი-

ცინა“ ქრისტიანული სარწმუნოების IV-V საუკუნეებიდან გარდამავალ პერიოდამდე. ასეთი პერიოდიზაცია ნაკარნახევია მსოფლიო ისტორიაში კალენდარული ცვლილებების გამო. „სატაძრო მედიცინა“ ზოგადი ცნებაა, რომელიც რელიგიის ბატონობის ეპოქაში სამედიცინო დანაშარების აღმოჩენის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს. რელიგია კი თავისთავად ზოგადი ცნებაა, რომელშიც საერთოდ ღვთისმორწმუნეობა იგულისხმება. ეს რწმენა იქნება: ისლამურ — მაჰმადიანური, ებრაული, ბუდიზმი, თუ ბოლოს ქრისტიანული. ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებამდე ახლო აღმოსავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში რელიგიურ საკულტო დაწესებულებებს ზოგადად „ტაძარი“ ეწოდებოდა. საქართველოში და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში ქრისტიანულ-რელიგიურ საკულტო ნაგებობას ეკლესია ეწოდება (ეკლესიის დამატებითი ქართული სახელწოდებაც არსებობს „საფ-დარი“¹), ხოლო სიტყვა „მონასტერი“ იგულისხმება საეკლესიო ქვეგანყოფილება, სადაც წერა-კითხვის შესწავლის, ხელნაწერების შექმნის, მწიგნობრობის და საერთოდ განათლების საქმეს განაგებდნენ ბერები. ივერთა ათონის მონასტერი ასეთი საკულტო-რელიგიური კულტსაგანმანათლებლო ცენტრი იყო, რომლის დაარსებიდან 1000 წლისთავი ახლახანს აღნიშნა ქართველმა ხალხმა. ასე მაგალითად: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი და არა „ტაძართა“ მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი. მეორე მაგალითი. 1977 წელს საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჩატარდა „გერმანულ-რუსულ-საბჭოური სამედიცინო კავშირების“ საკითხებზე II საერთაშორისო სიმპოზიუმი, სადაც არაერთი საინტერესო მოხსენება იქნა წაკითხული. მათ შორის გერმანელმა მეცნიერმა გეორგე ხარეგმა წაკითხა მოხსენება ასეთი სათაურითა „ბიზანტიის ეკლესიისა და სახელმწიფოს როლი შუა საუკუნეებში ავადმყოფთა მოვლის სისტემის განვითარებაში“. მაშასადამე, როცა საუბარი ქრისტიანული სახელმწიფოს მედიცინას ეხება, მაშინ თანამედროვე ევროპული მედიცინის ისტორიის მკვლევარი, აკანონებს გამოთქმას „ეკლესიისა და სახელმწიფოს როლს“ და არა „ტაძრისა და სახელმწიფოს როლს“. ამ მოსაზრებას იზიარებდა საქართველოს მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფ. იოსებ ქურჩიშვილი, რის შესაბამისადაც „ტაძარი“ ზოგადი სექტანური ტერმინია და ქრისტიანული რწმენის საკულტო დაწესებულებას ეკლესია ეწოდება. ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი ფოლკლორული გამოთქმაც. დღეს საქართველოში იშვიათად გაიგონებთ გამოთქმას „სვეტიცხოვლის ეკლესია“, უფრო ხშირად ამბობენ, „სვეტიცხოვლის ტაძარი“, ანდა კიდევ, „გელათის ტაძარი“, „ბაგრატის ტაძარი“ და ა. შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი გამოთქმები წარმართული ეპოქის გამოთქმების ტრადიციების შესაბამისია, უფრო სწორად ამ გამოთქმათა მხატვრული ფორმა და წიგნიერი

¹ Тезисы докладов II Симпозиума по истории медицины СССР—ГДР. Русско-Советско-немецкие медицинские связи. Москва, 1977.

შსჯელბრძანების უკეთესია ვინმართ, „სვეტიცხოვლის ეკლესია“, „გელათისა და ბაგრატიის ეკლესია“, ამგვარად, ქრისტიანულმა მედიცინამ ბევრი დებულება შეინარჩუნა წარმართული ეპოქის მედიცინისაგან. „III და I ათასწლეულში ქართველ ექიმებს შეეძლოთ ტრეპანაციის გაკეთება, — წერს პროფ. ავთანდილ გელაშვილი, „ასევე მოტეხილი ძვლების ფრაგმენტების სწორად დაყენება, ჰქონიათ ბრინჯაოს ქირურგიული იარაღები, ამზადებდნენ მცენარეული, მინერალური და ცხოველური ნედლეულისაგან წამლებს. ყურადღება ექცეოდა საყოფაცხოვრებო ჰიგიენური წესების დაცვას. ამაზე მიუთითებს საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ჰიგიენური და სამკურნალო დახმარებების აბანოები, საკმაოდ რთულ რელიეფურ პირობებში აგებული წყალსადენები, კანალიზაციის სისტემები, და სხვა“. აქ მოყვანილი ფაქტები საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს წარმართული ეპოქის მედიცინის დონეზე. მაგრამ წარმართული პერიოდიდან თითქმის არც ერთი სატაძრო საკულტო ნაგებობა არ შემორჩა ქრისტიანულ ეპოქას. როგორც წესი, გაქრისტიანების შემდეგ ძველი კულტურის კერები პირწმინდად აღიგავა პირისაგან მიწისა და ამიტომ სატაძრო მედიცინიდან მხოლოდ აქა-იქ თუ წააწყდებით არქეოლოგიურ ნაშთებს, რომელიც სამედიცინო კულტურის უთუოდ ძალად დონეზე მიგვანიშნებს. ამ მხრივ ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა თავის ქალაზე ტრეპანაციის გაკეთებით მკურნალობის მეთოდი. 1957 წელს ექიმმა პ. ფირფილაშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტომი XVII, № 4, 1957 წელი) სათაურით „არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ზოგიერთი სადასტაქარო ირალის შესახებ“, ამ ნაშრომში ავტორი ეხება და თანამედროვე კვლევის მეთოდებით დეტალურად სწავლობს ისეთი რთული ოპერაციის ჩატარების ხელოვნებას, როგორცაა თავის ქალის ახდა. ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ საკითხის შესწავლა საქართველოში თითქოს დღის წესრიგში ექიმმა პ. ფირფილაშვილმა დააყენა. სინამდვილეში 20 წლით ადრე, 1938 წელს „იადიგარ დაუდის“ თანდართულ გამოკვლევაში ექიმი ლადო კოტეტიშვილი წერდა: „საერთოდ ეს საკითხი, „სატაძრო მედიცინის“ არსებობისა ჩვენში ჯერ მეცნიერულად არავის უკვლევია“ და შემდეგ: „აუარებელი არქეოლოგიური გათხრების საშუალებით მეცნიერება თანდათან აშუქებს პრეისტორიულ ეპოქას და პრეისტორიულ ადამიანთა ყოფაცხოვრებას. აუარებელი ჩონჩხებზე აღმოჩენილია... ტრეპანაციის ნიშნები. ბევრგან არსებობს ჩვეულება, რომლის წყალობითაც ტრეპანაციის უკეთებდნენ მიცვალებულის ქალას და ამომტვრეულ ძვალს ინახავდნენ ამუღეტად.“ საქართველოში ტრეპანაციით მკურნალობის მეთოდი გავრცელებული ყოფილა ებრაელებით დაავადებისას, რაც ნეიროქირურგიის ჩანასახებზედაც მიგვანიშნებს. „სატაძრო მედიცინის ეპოქაში“ იყო ცრუ რწმენა, რომ სულით ავადმყოფების განკურნება დასტაქრებს ტრეპანაციით შეეძლოთ. (ქირურგი-დასტაქარი აქედანვე უნდა იყოს წარმოშობილი. დასტაქარი სპარსული გამოთქმაა, ს. ს.) ასე, რომ ტრეპანაციის საკითხების შესწავლაში პრიორიტე-

ტი ეკუთვნით ლადო კოტეტიშვილს და მომდევნო პერიოდში ცნობილ მეცნიერს ს.პირიდონ ვირსალაძეს. თუმცა XX საუკუნის 50-იან წლებში და შემდგომი კვლევის შედეგად, ბევრი საინტერესო მასალა მოგვაწოდა მედ. მეცნიერებათა კანდიდატმა პ. ფირფილაშვილმა.

რასაკვირველია, კაცობრიობამ აზროვნების განვითარების გარიჟრაჟზე ნიაგნო წამალს და შემდეგ საჭიროდ ჩათვალა მკურნალობის აუცილებლობა დასაშვებია მოსაზრება, რომ მედიცინის ისტორია წამალთმცოდნეობით იწყება. დავუშვათ ხელის გაჭრის დროს ადამიანმა მიაგნო რომელიმე ფოთოლს, რომელმაც სისხლის დენა შეუჩერა. ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა კარგულადიის სათავესთან. ასეთ მიგნებათა ფაქტები კი უამრავი დაგროვდა წარმართული ისტორიულ ეპოქაში, რასაც ემატებოდა ცრუმორწმუნეობის ღვთაებრივი და მაგიური ძალა, რომლის მიზნობიდან დღესაც არ არის განთავისუფლებული ადამიანის მოდგმა. ამან კი ხელი შეუწყო „სატაძრო მედიცინის“ დამკვიდრებას და გაძლიერებას. თუ რომელიმე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების წყალობით ავადმყოფი გამოჯანსაღდებოდა, ამას უზენაეს ღვთაებრივ ძალას მიაწერდნენ. „ამიტომ მოგვები და სარწმუნოების მსახურები იყვნენ სატაძრო მედიცინის ქურუმებად... საქართველოშიაც აუარებელი იყო ამის დამამტკიცებელი ზნე-ჩვეულებანი: შელოცვები, მკითხაობა, ქადაგად დაცემა, სხვადასხვა ქვების, მცენარეების, ლვენტის, ფერადი ძაფების და სხვა თილისმების გამოყენება ავადმყოფთა მფარველი ღვთაებების, კეთილი სულისა და „ბატონების“ გულის მოსაგებად, ავადმყოფობის შესამსუბუქებლად, ავადმყოფის გადასარჩენად“, — წერდა 1938 წელს ლადო კოტეტიშვილი. წარმართულ ეპოქაში და კერძოდ II ათასწლეულში ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა კოლხეთის დაბლობზე „ჰეკატეს ბაღის“ არსებობის ფაქტი. ფრიად საინტერესო ისტორიული პიროვნებაა აღმოსავლეთ საქართველოს და კერძოდ ფშავ-ხევსურეთის ეპოსის პერსონაჟი „გველის მკამელი“, ანუ მინდია, რომელიც იცნობდა მრავალნაირი სამკურნალო მცენარეების ფარმაკოლოგიურ თვისებებს. როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, წარმართული ეპოქიდან „სატაძრო მედიცინის“ დამახასიათებელი საკულტო შენობები და ტაძრები საქართველოს ტერიტორიაზე აღარ შემოგვრჩენია, რაც აიხსნება წარმართული ეპოქის და ქრისტიანული სარწმუნოების ანტიგონისტური დამოკიდებულებით. არაერთი მოსაზრება არსებობს, რომ ძვ. წ. II და I ათასწლეულში იყო დღემდე უცნობი ქართული დამწვრობის ვარიანტი, მაგრამ თუ ამის შესახებ ფაქტობრივი მასალა და არქეოლოგიური დამამტკიცებელი ნივთი არ იქნა აღმოჩენილი, შესაძლებელია ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებამ მოსპო ძველი ცივილიზაცია და დაიწყო სრულიად განსაკუთრებული ქრისტიანული კულტურის თავიდან მშენებლობა. ჩვენ ამ ეპოქის მოვიხსენიებთ „საეკლესიო მედიცინის“ სახელწოდებით და შევხებით, როგორც ეკლესიებში, ასევე წერილობით და ფოლკლორულ წყაროებში დღემდე შემორჩენილ ფაქტობრივ მასალებს. საინტერესოა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სხვადასხვა ნივთები, რომლებიც

წარმოდგენას გვიქმნიან როგორც „სატაძრო მედიცინაზე“, ასევე „საეკლესიო მედიცინაზე“; მათ შორის პარალელურად თავისთავად საინტერესოა ცნება „საერო მედიცინა“, რომლის შესახებ ჩანაწერებს ჰიპოკრატეს ეპოქის წინაპერიოდში მივყავართ.

„საეკლესიო მედიცინის“ დამახასიათებელი ფაქტები საქართველოში, შედარებით, გაცილებით მდიდარ ფაქტობრივ მასალებზეა დაფუძნებული, რომელსაც საეკლესიო შენობების კედლებზე, ასევე წერილობით წყაროებში და მხატვრულ პოეტურ ქმნილებებში დაცული მასალები ადასტურებენ. ასე მაგალითად: V საუკუნის უძველესი ასომთავრულით დაწერილი იაკობ ურტაველის მხატვრულ ნაწარმოებში „წამებაჲ წმინდისაჲ შუშანიკისაჲში“ ნახსენებია ერთი მერთ მნიშვნელოვანი ფრაზა: „და მე ვარქუ წმინდასა შუშანიკს: „მიბრძანე და მოვბანო სისხლი ესე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თულთა შენთა შთაცუელ არს, და სალბუნი წამალი დაგდვა, რაითა, ჰე, ღამე თუ განიკურნე“.¹ ეს უპირველესი ქართული მხატვრული ნაწარმოები, იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ, „სალბუნი“-მალამო გაიგივებულია“ წამალთან და 1500 წლის წინად დაწერილ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებში წამლის სახე — გარეგანი მალამო ნახსენებია „სალბუნის“ სახით. V საუკუნიდან დასტურდება სამკურნალო დაწესებულებების, საავადმყოფოების, სამედიცინო განათლების კერების არსებობა, წერს თავის რეცენზიაში, — ჰროფ. ა. გელაშვილი, — აღსანიშნავია რომ, — საქართველოში ყოფილან მედიცინის ამა თუ იმ სპეციალობაში დახელოვნებული (დაინტერესებული) ექიმები: მკურნალი (თერაპევტი), დასტაქარი, ჯარა ექიმი (ქირურგი) მეშირიმი (ფროლოგი), ტაბბერი, იგივე დედათმომურავი (მეანი-გინეკოლოგი), რიგითი ექიმისაგან გამოყოფენ ხელოვან მკურნალს“. საგულისხმოა, რომ აქიმი-იგივეა, რაც თანამედროვე ექიმი, არაბული ცივილიზაციის გავლენის წყალობით დაფუძნებული ქართულ მეტყველებაში, რომლის შესატყვისი გამოთქმა უძველესი ქართული სიტყვა „მკურნალი“. შუა საუკუნეების საეკლესიო მედიცინისათვის დამახასიათებელი ფაქტები, როგორც ზემოთ ვიუწყებოდით უხვად არის შემორჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე. მათ შორის საინტერესოა კლდეში ნაკვეთი ქალაქები: დავით გარეჯი, უფლისციხე და ვარძია. დღეისათვის დავითგარეჯში „საეკლესიო მედიცინის“ დამახასიათებელი ფაქტები ძალიან ცოტა შემოგვრჩა. ცნობილია, რომ ასურელი მამების წარმომადგენლის დავით გარეჯის და მისი მოწაფის ლუკიანეს მოღვაწეობა, მხატვრულ ნაწარმოებში 400—500 წლით გვიან აისახა: „ცხოვრებაი და მოღვაწეობაი წმინდისა მამისა ჩუენისაი დავით გარეჯელისაი“ IX—X საუკუნეებით თარიღდება, ხოლო კლდეში ნაკვეთი ქალაქის „დავითგარეჯის“ მშენებლობა V—VI საუკუნეებით. ცნობილია, რომ დავით გარეჯელი ასურელ მამათა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. მის სამკურნალო საქმიანობას და მოღვაწეობას ჩვენ შევხებით ქვეთავში „ირმის

¹ იაკობ ურტაველი. მარტვილობა წმინდისა შუშანიკისაჲ, ი. აბულაძე. თბ., 1938, გვ. 2.

სიმბოლიკა და ძველი ქართული მედიცინის და წამალთმცოდნეობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. რაც შეეხება სხვა ფაქტობრივ მასალას, თუნდაც თახჩე-ბიანი გამოქვამულის არსებობას, სამწუხაროდ, ამ კლდეში ნაკვეთ საკულტო დაწესებულებაში დღემდე აღარ შემორჩენილა და მხოლოდ თახჩებიანი ნაგებობის ნაშთებია თუ შეიმჩნევა.

თახჩებიანი ნაგებობის თვალსაზრისით, ფრიად საინტერესო ძეგლია V საუკუნით დათარიღებული კლდეში ნაკვეთი ქალაქი „უფლისციხე“. არსებობს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, რომ „უფლისციხე“ გაცილებით ძველი დროის ძეგლია, მაგრამ საამისო არგუმენტირებული წყაროების უქონლობის გამო მას V საუკუნეს მიაკუთვნებენ. „საეკლესიო მედიცინის“ ამსახველ ნაშთებზე მუშაობას შეეუდებოდა 1974 წლიდან და ამ მისიით ვეწვიეთ ქართლის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მღვიმე ქალაქს „უფლისციხეს“, რათა მოგვეკვლია ამ ნაშთების კვალისათვის. ძეგლი იმდენად დანგრეულია, რომ თავდაპირველი სახით თითქმის აღარაფერს მოუღწევია ჩვენამდე. აღინიშნება მხოლოდ სათავსოების და ჩუქურთმების ნანგრევების ნაშთები, მომდევნო საუკუნეებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები და გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ეკლესიის აშენების ფაქტი. უფლისციხეში ნაპოვნი იქნა თახჩებიანი ნაგებობა, რომელიც ჩვენზე გაცილებით ადრე აღწერა ცნობილმა მკვლევარმა დავით ხახუტაშვილმა. პატივცემული მეცნიერი მედიცინის და ფარმაციის ისტორიის მკვლევარი არ არის და, ცხადია, იგი არ იქნებოდა საფთვიაჭო ტიპის ნაგებობის აღმოჩენით დაინტერესებული, მაგრამ მის მეცნიერულ შრომატევად გამოკვლევებს მაინც შეეხებოდა.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ 1965 წელს გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ხახუტაშვილის მონოგრაფია „კლდეში ნაკვეთი ქალაქი“, რომელიც ეძღვნება უფლისციხის შესწავლის უაღრესად დიდი მნიშვნელობის საკითხებს ქართველი ერის ისტორიაში. ამ მონოგრაფიის 30-ე გვერდზე მოთავსებულია ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილია ქვა-ფიქალით ნაშენები თახჩებიანი ორი მწყრივი. სურათზე აშკარად იგრძნობა, რომ ესაა ორიგინალური ნაგებობის ნაშთები დღეისათვის სახეზე მხოლოდ 30-მდე თახჩა შემოგვრჩა (იხ. შესაბამისი ფოტო). ეს თახჩები 20 სმ-ია დიამეტრულად, სიმაღლეშიც 20 სმ. მონოგრაფიის 32-ე გვერდზე დ. ხახუტაშვილი წერს: „სასახლის სამხრეთ აღმოსავლეთ მხარეს დაცულია კლდეში ნაკვეთი დარბაზი, რომელიც ადრე დანგრეულა, მაგრამ მოგვიანებით ნაგლეჯი ქვის კედლებით აღუდგენიათ. გათხრების შემდეგ გაირკვა, რომ დარბაზი ორ ნაწილად ყოფილა გატიხრული. მათგან ძირითადია აღმოსავლეთის სათავსო, რომლის კედლების საძირკველიდაა გადარჩენილი. ოთახის დასავლეთ კედელში მოწყობილია მცირე ზომის თახჩები, რის გამო მას „თახჩებიანი დარბაზი“ შეერქვა. დღეისათვის გადარჩენილია თახჩების ორი რიგი და მესამე რიგის იატაკი. კედლის დანარჩენი ნაწილი, სამწუხაროდ, დანგრეულია, თახჩების დანიშნულება ჯერჯერობით გა-

ურკვეველია. ასეთი დარბაზი, მაგრამ კლდეში ნაკვეთი, დაცულია ვარძიის ანსამბლშიც. ვარაუდობენ, რომ ვარძიის „თახჩებიანი გამოქვაბული“ აფთი-აქის მავგარი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. გამორიცხული არ არის, რომ უფ-ლისციხის „თახჩებიანი დარბაზიც“, რომელიც სასახლის კომპლექსში შედის, აფთიქის ნაგებობა იყო. მეორე მხრივ, შესაძლებელია, მასში კარის ბიბლი-ოთეკა და ოფიციალური საბუთების საცავი დაეინახოთ“. როგორც ვხედავთ, ავტორი პარალელს ავლებს ვარძიაში არსებულ თახჩებიან გამოქვაბულს — წამლის სასახლესა და უფლისციხეში აღმოჩენილ ანალოგიურ ნაგებობას შო-რის. აქ აშკარად იგრძნობა, როგორც ანალოგიურობის პრინციპი, ასევე სა-ვარაუდო მონაზრებათა დაშვება, ვინაიდან ვარძიის აფთიქის თახჩები და უფლისციხეში აღმოჩენილი თახჩებიანი ნაგებობა აშკარად იდენტურია, კონ-სტრუქცია ერთი აქვთ, მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ვარძიაში არსე-ბული თახჩები კლდეშია გამოკვეთილი, ხოლო უფლისციხეში არსებული თახ-ჩები ქვა-ფიქალით ერთმანეთზეა დაშენებული. რადგან შუა საუკუნეებში მა-ცივრის ტიპის დანადგარები არ არსებობდა, ამისათვის იყო აგებული ქვის თახჩები და ასეთ გრილ, თერმოლაბილურ პირობებში ჩვენი წინაპრები სა-აფთიქო ინგრედიენტებსა და კომპონენტებს ინახავდნენ, რომელთა შერევისა და შეზავების შედეგად, რა თქმა უნდა, სამკურნალო დოზების გათვალისწი-ნებით, წამლის ფორმებს ამზადებდნენ საეკლესიო მედიცინის მესვეურები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ზურაბ შენგელიამ 1952 წელს გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს სამკურნალო მცენარეები“ (საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობა, თბ., 1952 წ.) ამ მონოგრა-ფიის მე-6 გვერდზე ვკითხულობთ: „ქართული სამედიცინო ძეგლების მე-ტად მდიდარი შინაარსი და მათში ხმარებული სამედიცინო და სამკურნალო საშუალებათა ტერმინები ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში წამალ-მცოდნეობა და წამლის მომზადების ტექნიკა მაღალ დონეზე უნდა ყოფილი-ყო, ამასვე მეტყველებს ვარძიის ციხე-ქალაქი (XII ს.), სადაც აღმოჩენილია კლდეში გამოკვეთილი საღვამი, მრავალი უჯრით წამლების შესანახად“. ასე რომ, ვარძიაში აფთიქის ფუნქციონირების ისტორიული ფაქტის შესახებ პირ-ველი მეცნიერული მონაზრება გამოაქვეყნა დოცენტმა ზურაბ შენგელიამ. შემდეგ ამ საკითხზე 1958 წელს ნაშრომი გამოაქვეყნა ექიმმა პავლე ფირ-ფილაშვილმა სათაურით: „ვარძიის თახჩებიანი გამოქვაბულის დანიშნულების შესახებ“, 1970 წელს პროფ. მ. შენგელიას მიერ გამოქვეყნებულ მონოგრა-ფიაში „ქართული მედიცინის ისტორია“ (თბ. „განათლება“, 1970) 127-ე გვერ-დზე ასეთი ცნობა გამოქვეყნებული ვარძიის აფთიქის შესახებ: „ვარძიის კომპლექსში ყველაზე მნიშვნელოვანია VI სართულზე მდებარე აფთიქა (15—20-მდე კვ. მეტრი), მის კედლებში გამოკრილია ერთი და იმავე სიდი-დის 265 ნიში ჰორიზონტალური ძირითა და ნახევარწრისებრი თალით². ამ

¹ პ. ფირფილაშვილი. ვარძიის თახჩიანი გამოქვაბულის დანიშნულების შესახებ, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი XXI, № 3, 1958.

² მ. შენგელია. ქართული მედიცინის ისტორია, თბ., „განათლება“, 1970, გვ. 127.

ცნობებზე დაყრდნობით ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ვარძიის ციხე-ქალაქის კომპლექსში მოქცეული აფთიაქი, შევეცადეთ ზუსტად აგვეწერა დასახელებული წამლის სასახლე. ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს საინვენტარიზაციო აღწერილობით ვარძიის წამლის სასახლედ მიჩნეულია № 70-ე ოთახი, რომელსაც ესაზღვრება № 68 და № 69 დამატებითი სათავსოები — დაახლოებით 40 კვ. მეტრი ფართობით. ვინაიდან ეს ოთახები საგრძნობლად დაზიანებულია, ხოლო სამხრეთი მხარე ჩამონგრეული, ზუსტი ფართის დადგენა შეუძლებელია. საეარაუდოა, რომ ოთახები წამლის სასახლის დამატებით საწყობად იყო გამოყენებული.

საგანგებოდ შერჩეულ ღია ვარდისფერ ქვაში გამოკვეთილი წამლის სასახლე, რომელიც ვარძიის კომპლექსის VI სართულზე მდებარეობს, შემდეგი ზომისაა: № 70 ოთახის სიგრძე 450 სანტიმეტრია, სიგანე — 430, სიმაღლე — 210; მთლიანი ფართობი 19,35 კვ. მეტრია, სამივე ოთახის საერთო სავარაუდო ფართობი კი 60 კვ. მეტრია.

წამლის სასახლის აღმოსავლეთი კედლის სიმაღლე 210 სანტიმეტრია, სიგანე — 450.

აღმოსავლეთ კედელზე 91 თახჩაა ამოკვეთილი. ერთ-ერთის სიგანე 81 სანტიმეტრია, სიმაღლე — 55, ნახევარწრისებრი თალითა და მართკუთხა დაბოლოებით. აქვეა გამჭოლი ხერელი მცენარეული ხაშარის (აკილო) ჩამოსაკიდებლად. კლდეში შეჭრის სიღრმე 20-21 სანტიმეტრს აღწევს.

მეორე თაროს სიგრძე 61 სანტიმეტრია, მესამეის — 83, მეოთხესი — 80, II, III VI თაროების სიმაღლე 18-20 სანტიმეტრია, სიღრმე — 20 (თაროების ხუმერაცია პირობითია).

აღმოსავლეთ კედელზე, ზემოთ ჩამოთვლილი თაროების გარდა, გამოკვეთილია კიდევ 87 თახჩა, რომელთა სიგანე 25-30 სანტიმეტრია, სიმაღლე 25 (ნახევარწრისული თალით), კლდეში შეჭრის სიღრმე კი 21 სანტიმეტრია.

ჩრდილოეთ კედლის სიგრძე 430 სანტიმეტრია, სიმაღლე — 210. კედელში 67 თახჩაა, რომელთა სიგანე და სიმაღლე არათანაბარია, ზოგი მათგანის დიამეტრი 30—40 სანტიმეტრია, ხოლო ზოგისა კი 25-სმ. თახჩების სიღრმე 21 სანტიმეტრია.

დასავლეთ კედლის საერთო სიგრძე 450 სანტიმეტრი; სიმაღლე 210.

კედლის შუაში ამოჭრილია კარი, რომელიც წამლის სასახლეს 69-ე ოთახთან აკავშირებს (კარის სიგანე 48 სანტიმეტრია, ხოლო სიმაღლე — 98) 3. ფირფილაშვილის ცნობით, დასავლეთ კედელზე 44 თაროა¹, კედლის კარი კი მოგვიანებით უნდა იყოს ამოჭრილი.

ვარძიის წამლის სასახლის თაროების უმრავლესობა (ხუთი გრძელი თაროს გარდა) კლდეში შეჭრის სიღრმის მიხედვით სტანდარტულია (21 სანტიმეტრი), ხოლო სიგრძე-სიგანით — არასტანდარტული.

¹ 3. ფირფილაშვილი, ვარძიის თახჩებიანი გამოქვაბულის დანიშნულების შესახებ, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი XXI, № 3 1958, გვ. 380.

1283 წელს საქართველოში ძლიერი მიწისძვრის შედეგად ვარძიის კომპლექსი ერთობ დაზიანდა. დღეისათვის წამლის სასახლის სამხრეთ კლდე-კედლის მხოლოდ მესამედია შემორჩენილი, რომელზედაც 19 თახჩაა. იქვეა 112 სანტიმეტრიანი თარო, რომლის სიმაღლეა 24—28, ხოლო სიღრმე — 22 სანტიმეტრი.

კედლის საერთო ფართობი თავიდან 9,3 მ² იყო. რომლისგანაც მხოლოდ 3,15 კვ. მეტრია შემორჩენილი. თუკი ვივარაუდებთ, რომ წამლის სასახლეს სამხრეთის მხრიდან ჰქონდა ციხე-ქალაქთან დამაკავშირებელი კარი, რომლის ფართობი 1,42 კვ. მეტრი იყო, მაშინ ჩამონგრეული ყოფილა 9,3—3,15—1,42=2,46 მ²-ს. თუ შემორჩენილ 3,15 მ² ფართობზე 19 თახჩა აღირიცხება, მაშინ ჩამონგრეულ 4,46 მ² ფართობზე სავარაუდოა 26—27-მდე თახჩა.

ამგარად, ვარძიის წამლის სასახლეში აღმოსავლეთ კედელზე 91 თახჩაა, ჩრდილოეთზე — 67, დასავლეთზე — 44, სამხრეთზე — 19, სულ 221 თახჩა, (ამას ემატება ჩამონგრეულ კედელზე სავარაუდო 26—27 თახჩა). მაშასადამე თავიდან ყოფილა 247-248 თახჩა.

ასე, რომ პროფესორ მიხეილ შენგელიას განცხადება, თითქოს ვარძიის აფთიაქში „265 ნიში“ იყოს, თანაც „ერთი და იგივე ზომის“, სინამდვილეს არ შეესაბამება. არც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის პავლე ფირფილაშვილის ცნობა, „მოამბის“ 380-ე გვერდზე რომ წერია, თითქოს „ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ 192 პატარა და ხუთ დიდ თახჩას“ სწორი არ აღმოჩნდა. თახჩების ზუსტ რაოდენობას ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან იგი წამლის ფორმების მოსამზადებელი კომპონენტების და სააფთიაქო ქილების რაოდენობის მაცნეა. რაც შეეხება ზომებს, თითქოს აფთიაქის სიგრძე 3,77 მ, სიგანე, 2,91 მ, სიმაღლე 2,25მ-ია, არასწორია, ვინაიდან სქოლიოშივე მითითებულია, რომ „ანაზომი შესრულებულია კ. მელითაურის მიერო“! მაშასადამე, ზემოდასახელებულ ავტორებს ეს საკითხი ადგილზე არ შეუსწავლიათ. ჩვენი აზრით, აფთიაქის შესახებ მსჯელობა პროფესიონალი პროფესორის კომპეტენციაში შედის და სინამდვილის დადგენის თვალსაზრისითაც უფრო უპრაპანია, ვინაიდან XX საუკუნის 80-იანი წლები მეცნიერების ყველა სფეროში კომპეტენტურობის დაკანონების პროცესი გახლავთ, აქვე ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი: პროფესორი მიხეილ შენგელია რატომღაც 12 წლით ადრე გამოქვეყნებულ პავლე ფირფილაშვილის ნაშრომის პირველად წყაროზე არ მიუთითებს. ასევე, 1952 წლის ზურაბ შენგელიას უპირველეს წყაროზე სქოლიოში არაფერია ნათქვამი. ჩვენი არგუმენტირებული განცხადების საილუსტრაციოდ იხილეთ შესაბამისი ფოტოლოკუმენტები და ზემოთ დასახელებული წყაროების შესაბამისი გვერდები.

წამლის სასახლეში ამოთხრილია 14 ორმო, რომელთაგან თითოეულის სიგანე 25-35 სანტიმეტრია, ხოლო სიღრმე 25. აქვე, აღმოსავლეთ კედელთან, არის 3 მეტრი სიგრძის, 30-35 სანტიმეტრი სიღრმისა და 32 სანტიმეტრი სიგანის ორმო, რომლის დანიშნულების ზუსტად დადგენა ძნელდება. შესაძლებელია, აქ ხდებოდა მცენარეული ნაყოფის დაწნეხა ან დაქუცმაცება; იგი, ალ-



ვარძიის აუთიაქის კედლის აღმოსავლეთი მხარე. შეადარეთ რომაულ და ებრუსკულ კოლუმბარიუმს. მიუხედავად ოდნავი კონსტრუქციული მსგავსებისა, მათი პრაგმატული ფუნქცია ძირფესვიანად განსხვავდება ერთმეორისაგან.



ვარძია, აუთიაქის თახჩებიანი ინტერიერი.



ენტრუსკული და რომაული კოლუმბარიუმი. შედარებით ეარძიის და მაღალაძეების წამლის სასახლეს — აფთიაქს. მიუხედავად ოდნავი კონსტრუქციული მსგავსებისა, ამ ნაგებობათა პრაგმატული ფუნქცია ძირფესვიანად განსხვავდება ერთიმეორისაგან, მით უმეტეს ნეშტის კრეშაცია და ფურფლის შენახვა საქართველოში არასოდეს არ ყოფილა ტრადიციული რიტუალი. მაშ, რისთვის ააგებდნენ ჩვენი წინაპრები კოლუმბარიუმებს? ფოტო ამოღებულია მსოფლიო ზელოვნების ძეგლების ალბომიდან.

ბათ, საწნეხლის ფუნქციას ასრულებდა, ან კერამიკულ ქვევრებში მოთავსებული კონცენტრატების შესანახად გამოიყენებოდა. წარმოდგენილია, ეს ორმოები მტრედების საკვების მოსათავსებელ პრაგმატულ ფუნქციას ასრულებდა, როგორც ლ. მარუაშვილი და ვ. ხ. რაძე ვარაუდობენ.

სამხრეთ კედელზე არის 112 სანტიმეტრიანი თახჩა, რომლის სიმაღლეა 23 სმ, ხოლო სიღრმე — 32 სმ, შესაძლებელია. აქ მოტეხილობისათვის საჭირო არტაშნების ინახავდნენ (XII საუკუნეში უკვე გვხვდება მედტექნიკის ელემენტები და მისი შესანახი ადგილი აფთიაქში).

სავარაუდოა, რომ ამოთხრილ ორმოებში თავსდებოდა კერამიკის ან სხვა მასალისაგან დამზადებული ჭურჭელი. რომელიც იტევდა 20-30 კგ წამლის ფორმების მოსამზადებელ კომპონენტებს, ან სააფთიაქო ნედლეულს. თახჩებსა და ორმოებს უთუოდ სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა, ჰიგიენური თვალსაზრისით იატაკიდან თახჩებამდე დატოვებულია 50-70 სანტიმეტრამდე სიმაღლის თავისუფალი არე.

ვარძიის კომპლექსში მოქცეულ წამლის სასახლის №№ 68, 69, 70 თახჩებზე, ორმოებსა და იატაკზე ავიღე სინჯი იმის სავარაუდოდ, რომ თვისებით რეაქციებზე მივიღებდი დადებით შედეგს. სინჯი საანალიზოდ გადავეცი რესპუბლიკურ-საკონტროლო სააფთიაქო ლაბორატორიას, სადაც ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის გამგის კოტე სანდომისაშვილის ხელმძღვანელობითა და ქიმიკოს-ანალიტიკოს როზა კახაროვას მონაწილეობით ჩატარდა ქალაქზე ქრომატოგრაფიული ანალიზი. გამოკვლევას შედეგად დადებითი რეაქციები მიღებულია: სპილენძზე, რკინაზე, თუთიაზე, გოგირდზე, სულფატზე და სხვა. ასევე საინტერესოა, რომ ვარძიაში კედლებზე ჩამოღობილი წამლის შემადგენელი ნაშთები საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებენ თვისებით რეაქციებს თანაპოვნეობაზე. ამ მიმართულებით ქალაქზე ქრომატოგრაფიული ანალიზის ჩატარება საინტერესო აღმოჩნდა იმითაც, რომ წამლის სასახლიდან 25-30 მეტრის დაშორებულ ქანობიდან აღებული სინჯი ასეთ თვისებით რეაქციებზე უარყოფითია. შეფარდებითი ანალიზისათვის დამატებით სინჯი გავგზავნე შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის ლაბორატორიაში, პეტროგრაფიულ გეოლოგიურ-სპექტროსკოპული ანალიზის ჩატარებისათვის, სადაც მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის გამგის პროფ. ნ. სხირტლაძის ხელმძღვანელობით, ამავე კათედრის დოცენტ ო. ნადარეიშვილისა და სპექტროსკოპისტ მ. ახალკაციშვილის მონაწილეობით დადასტურდა სინჯში: სპილენძის, ტყვიის, თუთიის, კობალტის, ნიკელის და სხვა კომპონენტთა თანაპოვნეობა, თუმცა გამოირიცხა ვერცხლის, ქრომის, დარიშხანის, ბისმუთის და სხვა ლითონთა თანაპოვნეობა.

თახჩებზე მოთავსებული ჭურჭელი, რომელშიც წამლის ფორმები და მათი კომპონენტები ინახებოდა, კერამიკულიც იყო, ფაიფურისა და მინისაც. ეპოქის დეტალური ანალიზის შედეგები ჩვენ ასეთი განცხადების უფლებას გვაძლევს. ვარძიაში თახჩებიანი გამოქვაბულის დეტალურად შეს-

წავლის პროცესში ჩვენ შევისწავლეთ ზედა ვარძიაში გაცილებით ადრე X-XI საუკუნეებში აგებული ციხე-ქალაქი, სადაც დღემდე შემორჩენილია 30-მდე კლდეში გამოკვეთილი ანალოგიური თახჩა. ისინი დღეისათვის საგრძნობლად დაზიანებულია, მაგრამ თახჩების ნანგრევები მაინც ადვილად გასარჩევია. უფლისციხისა და ვარძიის კომპლექსში არსებული თახჩებიანი გამოკვეთილები — წამლის სასახლის ანალოგიური ნაგებობა აღმოვაჩინეთ „მალაღანთ ეკლესიაში“. „მალაღანთ ეკლესიაში“ ვალაენის კედლის ახლოს თახჩებიანი ნაგებობის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიისათვის. ვარძიის აფთიაქი კლდეში არის გამოკვეთილი, და მათი თახჩები ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან. უფლისციხისა და „მალაღანთ ეკლესიის“ ეზო-ვალაენში 500-მდე თახჩებიანი ნაგებობა — წამლის სასახლე მშენებლობის კონსტრუქციითაც ანალოგიურია (იხილეთ შესაბამისი ფოტოები). პატივცემულ მკვლევარ დ. ხახუტაშვილისათვის 1965 წელს არ იყო ცნობილი „მალაღანთ ეკლესიაში“ ანალოგიური თახჩებიანი ნაგებობის — წამლის სასახლის არსებობის ფაქტი, თორემ ალბათ მკვლევარი მაშინ ჩაატარებდა შედარებით ანალიზს უფლისციხის თახჩების და „მალაღანთ ეკლესიის“ თახჩებიანი ნაგებობა — წამლის სასახლესთან და უდავოდ დარწმუნდებოდა მათ სრულ მსგავსებაში. „მალაღანთ ეკლესიაში“ აფთიაქის აღმოჩენის ფაქტი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ამ ნაგებობას თავზე ადგას როგორც გუმბათი, პალეოგრაფიული საბუთი — 684-ფურცლიანი სამედიცინო ხელნაწერი „სამეურნალო წიგნი-კარაბადინი“. ეს არის დამატებითი და უტყუარი არგუმენტირებული წყარო, რომ მალაღანთ ეკლესიის შემოგარენში მდებარეობდა აფთიაქი, ხოლო ამ საგვარეულო წარმომადგენელს, მახარებელ ოქროპირის-ძე მალაღანთ მონაწილეობა მიუღია ზაზა ფანასკერტელთან ერთად ამ ხელნაწერის შედგენაში. დღემდე გამოკვლეული მასალების მიხედვით, მართალია, მახარებელ მალაღანთს, მხოლოდ გადაწერის ფუნქცია აქვს მინიჭებული, მაგრამ ასეც რომ იყოს, მის ფეოდალურ საგვარეულო ეკლესიაში 1368-გვერდიანი უნიკალური კარაბადინის ექმნის. ან გადაწერის ფაქტი, თავისთავად მრავლისმეტყველია, მით უმეტეს, აფთიაქი და კარაბადინი ერთსა და იმავე „საეკლესიო მედიცინის“ კერაში აღმოჩნდა. ეს ფაქტი ყოველგვარ ეჭვს ფანტავს, რათა ამ თახჩებიანი ნაგებობას — აფთიაქის დანიშნულება არ მივანიჭოთ. ამას ემატება მდინარე კავთურას ნაპირებზე წალკოტის — ედემის ბაღის ისტორიულად არსებობის ფაქტიც, ასევე ვედრების ფრესკის აღმოჩენა მანარებელ მალაღანთს კომპლექსში. არსებობს კიდევ სხვა დამატებითი საგულისხმო საბუთები, რაც მიგვანიშნებს „მალაღანთ ეკლესიაში“ შუა საუკუნეების მძლავრი „საეკლესიო მედიცინის“ კერის არსებობაზე. ასე თუ ისე, მკვლევარებს დღემდე ექვი ეპარებოდნენ უფლისციხეში აღმოჩენილი თახჩებიანი ნაგებობა იყო თუ არა აფთიაქი; გამოირიცხული არ არის, რომ უფლისციხის „თახჩებიანი დარბაზიც, რომელიც სასახლის კომპლექსში შედის, აფთიაქის ნაგებობა ყოფილიყო, მეორე მხრივ შესაძლებელია მასში კარის ბიბლიოთეკა და ოფიციალური

საბუთების საცავიც დავენახოთ“, — წერს დავით ხახუტაშვილი, ასევე გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. გ. მარუაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, თითქოს ვარძიაში არსებული თახჩებიანი ნაგებობა სამტრედე ყოფილიყოს. ასეთი მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება. შინაური მტრედების გაზომვამ ასეთი სურათი მოგვცა. ფრთაგაშლილი მტრედი 45 სმ-ს აღწევს, სიგრძეში 30-35 სმ-ს, ზოგიერთი მამალი ფრთაგაშლილი მტრედი 50 სმ-ზე მეტია, თახჩების სიმაღლე 20-სმ-ია, სიღრმე 25 სმ, რაც გამოორიცხავს თახჩებში მტრედების ფრთის გაშლას შეფრენა-გამოფრენის შემთხვევაში, ასეთ თახჩებში მტრედები „კუდსაც ვერ მოაბრუნებენ“ და ნუთუ ჩვენი წინაპრები ოდესმე იმდენად მოცლილები იყვნენ, რომ კლდეში თახჩები განოკეპეთათ მტრედების მოსაშენებლად? თანაც თახჩებში და ნიადაგზე არავითარი ფეკალური მასის ნაშთი არ იქნა ნაპოვნი. ასე რომ, ასეთი მოსაზრება ყოვლად დაუშვებელია. ზოგიერთმა არქეოლოგმა (ბ. მკვდლიშვილმა) ასეთი აზრიც კი გამოთქვა, თითქოს თახჩებში წმინდანების კვართს, ან წმინდანების სხეულის ძვლებს და ფერფლს ინახავდნენო. დაუჯერებელია, რომ XII საუკუნეში ივანიძეებს 500 წმინდანის კვართის, ძვლების ან ფერფლის შესანახად 500-თახჩებიანი ნაგებობა აეგოთ, ან საამისო საშუალება ჰქონოდათ უფლისციხესა და ვარძიაში V-XII საუკუნეებში? ჰყავდათ კი 500 წმინდანი ამ პერიოდისათვის? ეტრუსკული და რომაული ხელოვნების ფოტოალბომში გამოქვეყნებულია — ფერფლის და ბიუსტების შესანახი თახჩებიანი ნაგებობის ფოტოები (კოლუმბარიუმები), მაგრამ ამ კოლუმბარიუმის კონსტრუქცია ძირფესვიანად განსხვავდება მაღალაძეების ეკლესიაში, ვარძიაში და უფლისციხეში აღმოჩენილი წამლების შესანახი თახჩებისაგან. თანაც საქართველოში ნეშტის კრემაცია არასოდეს არ ყოფილა ტრადიციული, რომ კოლუმბარიუმების თაროებზე დაეღაგებიათ ჩვენს წინაპრებს რაიმე ჭურჭელში მოთავსებული წინაპრების ფერფლი. ძეგლზე მუშაობისას ეპევი შეგვეპარა, აგურის გამოსაწვავად ხომ არ იყენებდნენ ამ თახჩებს ჩვენი წინაპრები? ადგილზე ამ საკითხის შესასწავლად და საკონსულტაციოდ ჩამოვიყვანეთ კერამიკოსი-მხატვარი ოთარ მუხიგული, რომელმაც განაცხადა: „ამ თახჩებში ერთხელაც რომ დავანთოთ ისეთი ცეცხლი, შესაბამისი ტემპერატურით, რაც აგურის გამოსაწვავად ბრძმედში არის საჭირო, გაცივების შემდეგ ადგილზე არც ერთი თახჩა აღარ დარჩებაო“. ასე რომ, სამივე ადგილას: უფლისციხეში, ვარძიასა და მაღალანთ ეკლესიის თახჩებიან ნაგებობაში გამოორიცხულია ცეცხლის დანთების ფაქტი, ამიტომ იგი არც აგურის გამოსაწვავი ბრძმედი არ ყოფილა და არც სამტრედე „კოლუმბარიუმი“ მით უმეტეს არასოდეს!

კავთურას ხეობაში, მაღალაძეების ეკლესიის და კოშკების ახლოს, ჩვენ მიერ აღმოჩენილ თახჩებიან ნაგებობას ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე აღარებენ ვარძიაში უფრო ადრე აღმოჩენილ კლდეში გამოკვეთილ თახჩებს „ამ ორ ძეგლს ფორმები და განზომილებები ზუსტად ერთნაირი აქვთ“.¹

¹ ლ. მარუაშვილი, კ. ხარაძე ქუთაის სამტრედეები შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში. საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები XVI, 1985 წ. გვ. 144—149.

როგორც ჩანს, ამ ავტორებს ეს ძეგლები ადგილზე არ უნახავთ, რადგან ვარძიის თახჩებისა და მალაღანთ ეკლესიის „წამლის სასახლის“ განზომილებები სხვადასხვაგვარია, და ეს სხვადასხვაობა ჩვენ დეტალურად აღვწერეთ. ავტორები გვარწმუნებენ, რომ ასეთი თახჩებიანი ანალოგიური შენობა მხოლოდ ვარძიაში და მალაღანთ ეკლესიის შემოგარენშიაო, სინამდვილეში ანალოგიური თახჩები ჩვენ აღმოვაჩინეთ უფრო ძველი (XI საუკუნის ბოლოს, კლდეში გამოკვეთილი) ზედა ვარძიაში... ასეთივე თახჩების ორი მწკრივი აღმოჩენილია უფლისციხეში. ავტორები გვაწვდიან დამატებით ცნობებს, რომ ასეთი თახჩები არის საბჭოთა სომხეთის ტერიტორიაზე და ცენტრალურ ანატოლიაში, არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ ეტრუსკებს და რომაელებს ჰქონდათ „ანალოგიური“ კოლუმბარიუმები! ავტორები გვეხმარებიან „მალაღანთ ეკლესიის“ თახჩებიანი ნაგებობის დათარიღებაში და მას ვარძიის თახჩებიანი ნაგებობის მსგავსად XII—XIII საუკუნეების ნაგებობად მიიჩნევენ. ეს თუ ასეა, კარგია, მაგრამ ჩვენ რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, რომ მალაღანთ ეკლესიასთან არსებული „წამლის სასახლე“ XII—XIII საუკუნეებშია აგებული, ვერ ვნახეთ, გარდა ამისა, რომ სწორედ ამ პერიოდით თარიღდება ფეოდალ ივანიძეების მიერ ამ ხუროთმოძღვრული ძეგლის — ეკლესიის იშენება, რომელიც XIV საუკუნის მიწურულიდან მალაღანეების გამგებლობაში გადავიდა. შემდეგ ავტორები კატეგორიულად აცხადებენ, რომ ეს ორიგინალური შენობები „არავითარ შემთხვევაში აფთიაქები არ იყო“. დასანანია, რომ როცა ვარძიისა და მალაღანთ ეკლესიის თახჩებიანი ნაგებობის შესახებ მომზადდა საზოგადოებრივი აზრი, განმტკიცდა კიდევ მოსაზრება, რომ ეს თახჩები წამლის სასახლის ფუნქციას ასრულებდა. საქართველოს ქალაქების, რაიონების და სოფლების ყველა აფთიაქში გამოკრულია ჩვენი პლაკატები ზემოთ დასახელებულ ძეგლებში წამლის სასახლის — აფთიაქის არსებობის შესახებ, და მოსაზრება ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1952 წელს დოც. ზურაბ შენგელიამ გამოთქვა, 1985 წელს პატივცემულმა ავტორებმა გამოაქვეყნეს სტატია, არა თუ ზურაბ შენგელისა, პ. ფირფილაშვილის, მ. შენგელისა და ს. სალუქვაძის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, არამედ, ძველი ქართული სამედიცინო კულტურის საზიანოდაც. აბა, რას მივაწეროთ ასეთი აბსურდული მოსაზრებების გამოთქმა, რომ „ფრინველთა ნაკელი გამოიყენებოდა მონასტრის ბაღ-ბოსტნების გასაპოხიერებლად“. მაშინ როცა XI—XII საუკუნეებში, საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო, როცა მეცხოველეობა (ცხვარი, ძროხა, კამეჩი და სხვა) საკმარისი იყო საქართველოს ტერიტორიაზე მეცხოვრები, მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გამოსაკვებად, ამ დროს ვარძიის აფთიაქში „დაბუდებული“ 221 მტრედის ფეკალური მასით „მონასტრების ბაღ-ბოსტნებს“ აპოხიერებდნენ? თანაც თითოეული თახჩა თურმე განკუთვნილი იყო წყვილი მტრედისათვის, — ისინი იქ ბუდობდნენ და მრავლდებოდნენო. წყვილი კი არა, ერთი თავმოკვეთილი და ბოლოგაცლილი მტრედი თუ მოთავსდებოდა ამ თახჩაში, არაფერს ვაზბობ იმ ფაქტზე, რომ ასეთ მცირე თახჩებში, მტრედები შეფერენა-გამოფერენ-

სას, ვერც ფრთებს გაშლიდნენ, ვერც ბოლოს მოაბრუნებდნენ, რაც მთავარია „სათავსოს გახსნილი კედელი მტრედების შესაფრენ-გამოსაფრენად იყო გა- მიზნული“. ნუთუ არ ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „გახსნილი კედელი“ ამჟამად არის თორემ, სანამ ვარძია 1283 წელს მიწისძვრის შედეგად დაინგრე- ოდა, ეს კედელი დახურული იყო... ამ სათავსოში შესასვლელად ჩვენს წინაპ- რებს კარები ჰქონდათ! სოფელ წინარეხში აშკარად ემჩნევა აღმოსავლეთ მხა- რის კარების არსებობის კვალი და თუ „სამტრედეს“ გახსნილი კედელი, რო- გორც ავტორები გვარწმუნებენ, შესაფრენ-გამოსაფრენად იყო დატოვებული, შინაური კარბა და სხვა გარეული მტაცებელი ცხოველი „ამ გახსნილი კედლი- დან“ არ შეგვიჭამდა მიწასთან ახლო მდებარე თახჩებში ამ თქვენს „საფოსტო მტრედებს“?! შეიძლება ასეთი კატეგორიული განცხადება: როცა ავტორებს პრივილეგია ხელთ აქვთ, ქალაქმა ყოველივე უნდა აიტანოს, თორემ საქარ- თველოს ფარმაცევტული საზოგადოების წარმომადგენლებსაც რომ რაიმე ბეჭდითი სერტყვის ორგანო გვქონდეს, დავეუქვით „ფარმაცევტული გონების კარი“ მაშინ უფრო დეტალურად შეიძლებოდა ლაპარაკი და პოლემიკა, შუა საუკუნეებში წამლის სასახლეებს ვაშენებდით. თუ ჩიტრიკეები ვიყავით? ისე ისიც სათქმელია, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაქრილ ჯარის- კაცებს მალამო და წამალი უფრო დასჭირდებოდათ თუ 221 მტრედის ფეკა- ლური მასა? სავარაუდო-კონიექტურული მოსაზრების გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ მას დამტკიცება ესაჭიროება. ამ პუბლიკაციაში ავტო- რებს ვერავითარი დამაჯერებელი მტკიცება და რაიმე არგუმენტირებული ფაქტობრივი მასალა ვერ მოაქვთ, რომ ეს თახჩები „სამტრედების“ პრაგმა- ტულ ფუნქციას ასრულებდა „შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში“.

არქეოლოგიური გათხრების გაცრძელება და მალაქაძეების 'ეკლესიის საკვლევი რეგიონის დეტალური შესწავლა გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია.

ანალიზების ჩატარების შედეგად დადგენილია, რომ უფლისციხეში, ზე- და ვარძიაში, ვარძიასა და მალაქაძეების ეკლესიაში მოქმედებდნენ „საეკლე- სიო მედიცინისათვის“ დამახასიათებელი აფთიაქები — წამლის სასახლეები. ჯერჯერობით მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებთან არის აღმოჩენილი აფთიაქები, მაგრამ საეკლესიო მედიცინის შესწავლა გრძელდება. არ არის გა- მორიცხული, სხვა ეკლესიებთანაც აღმოჩნდეს ანალოგიური წამლის სა- სახლეები. ასევე, ფრიალ მნიშვნელოვანია იკონოგრაფიული ფრესკების დამ- შვენება სამკურნალო მცენარეებით, რომლებიც ძალიან ხშირად გვხვდება ეკლესიებში საქართველოს ტერიტორიაზე. ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ჯერჯერობით ვერ შევხვდით ასეთი ფაქტების კონსტატაციას და შესაბამის აღწერილობებს, ამიტომ ამ საკითხს შევეხებით ცალკე ქვეთავში: „სიცოცხლის ხე და სამკურნალო მცენარეები ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე“

ამჟამად ჩვენთვის ფრიალ საინტერესოა ქართულ ეკლესიებში სამედიცი- ნო ხელნაწერების შექმნის ტრადიციები და ფაქტები ეკლესიის ქურუმებისა და სამედიცინო კალიგრაფების მიერ. როგორც წინასწარი მონაცემებით ირკ-


ვევა, ამ სფეროში მდიდარი ფაქტობრივი მასალა დაგროვილი. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ვახუშტი ბატონიშვილი იმოწმებს მემატიანეს მეფე დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.წ.) შესახებ: „რამე თუ იყო გლახაკთა ქერივთა და ობოლთა მოყვარე სნეულთა თავმსახური ეკლესიათა და ქსენონთა მშენებელი“ (ქსენონი ნიშნავს საადამიერო — სასნეულოს, რომელიც ეკლესიებთან შენდებოდა. გელათის ეკლესიასთან თვით დ. აღმაშენებლის მიერ ყოფილა ქსენონი აშენებული, ს. ს.). ხოლო ქრონოლოგიურად უფრო ახლო მყოფი მემატიანე ისტორიკოსი კი აი რას წერდა დავით აღმაშენებელზე: „და კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტბილისა ღვთისა სახისა, კატმოყვარეობისა თვისისა: აღაშენა ქსენონი ადგილისა შემსგავსებულსა და შეენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვითოსა სახითა სენითა განცდილნი, და მოუმზადა ყოველი საკმარი მათი, უნაკლოდ და უხუებით, და განუჩინა შესავალნი და საღუაწნი მათნი ყოვლიდვე. თვით მივიდეს და მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვითოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, წყალობდის და ნატრიდის, განამჯნობდის მოთმინებისა მიმართ, მოაჩინის თავსითა კელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი საკმარი მათი, მისცის თვითოეულსა ოქრო საყოფინი და განაკრძალნის ზედამდგომელნი მათნი, და განაგის ყოველი საქმე მათი დიდათ შუენიერად და ღრმთის მსახურებით“.¹ როგორც აქ ციტირებული მასალის შინაარსიდან ირკვევა, სახელმწიფო სახსრების გამოყოფა დავრდომილთა და დასწავლულთა სამკურნალოდ კანონით ყოფილა დაშვებული და ასეთი ქსენონები, როგორც ირკვევა, საკულტო რელიგიურ დაწესებულებებთან შენდებოდა, ხოლო წამლის სასახლე-აფთიაქი მაღალადეების ეკლესიასთან ახლო აუშენებიათ. ეს აქსიომაა, ვინაიდან „სენთა კურნება“ შუა საუკუნეებში, ჭვარისმტვირთელთა კომპეტენციაში შედიოდა, იქვე ხდებოდა მკურნალობა და რაც მთავარია, წამლების წესების მომზადების საკრებულო წიგნები — კარაბადინები — სასულიერო პირების ღვაწლის შედეგად იქმნებოდა. ამ მოსახრებას სხვა ფაქტობრივ მასალასთან ერთად „ქართლის ცხოვრებიდან“ მოყვანილი ციტატაც გვიდასტურებს, თურმე დავით აღმაშენებელმა „განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად და ღრმთის მსახურებით“. ე. ი. ეს ყოველივე უზენაესი ძალის შემწეობით, ანუ ღრმთის მსახურებით ხდებოდა, რომელ სტატუსსაც თვით მეფეებიც ემორჩილებოდნენ. აქ აშკარად იგრძნობა, რომ შუა საუკუნეებში „საეკლესიო მედიცინა“ დომინირებდა. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ სემიტებს, ბალდადის ქრისტიანული სკოლის ლეიბმედიკმა და ამავე დროს ეპისკოპოსმა (სასულიერო პირმა. ს. ს.) აბულ ჰასან ჰეზატოლამ თაღმიდმა XII საუკუნეში დაწერა არაბეთის ყველა აფთიაქისათვის სანიმუშო კარაბადინი (ყ. შპრენგელის გამოკვლევული მასალების მიხედვით).

¹ ბატონიშვილი ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტომი I, თბ. 1955, გვ. 331.

ARBOR VITAE . და სამკურნალო მცენარეები ქართული მათერიალური კულტურის ძეგლებზე

„სამკურნალო წიგნ-კარაბადინზე“ მუშაობისას ჩვენი ინტერესი გამოიწვია ყინწვისის ეკლესიის დამატებითი ეგვეტერის კედელზე ზაზა ფანასკერტელის იკონოგრაფიულმა ფრესკამ, რომელიც სამკურნალო მცენარეებით არის დამშვენებული. გარეგნული ფარმაკო-ბოტანიკური მონაცემების მიხედვით ზაზას ფრესკის გამოსახულების ზემოთ აშკარად ჩანს დამაძინებელი ყაყაჩოს, ანუ ხაშხაშის მოხატულობა, მარჯვენა მხარეს — ბროწეულის ტოტები და ნაყოფი, ასევე უძველესი დროიდან სამკურნალო პრაქტიკაში ცნობილი სამკურნალო მცენარე ვარდკაქაქა, რომელიც ზაზას ფრესკის მარცხენა მხარეს ამშვენებს. დამაძინებელი ყაყაჩო, ანუ ხაშხაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალო პრაქტიკაში როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი სხვადასხვა რთული წამლის ფორმების მოსამზადებლად, იგი ითვლებოდა ტკივილ-დამაყუჩებელი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების ამფიონის მისაღებ ნედლეულად. ამფიონის მიკროდოზების გამოყენება ხდებოდა ანალგეტიკური — ტკივილგაყუჩების მიზნით. ხელოვნებათმცოდნეებისათვის საერთოდ მიღებული აზრია, რომ მხატვრები უმიზნოდ და შემთხვევით იკონოგრაფიულ ფრესკებზე არაფერს გამოხატავდნენ. მაშასადამე, ყოველ ფრესკულ იშვიათ ნიმუშზე პრაქტიკულად სამკურნალო მცენარეების გამოსახვის რეალური დედაზრი იყო ჩაქსოვილი, ან ისინი დეკორით დამშვენების და სიმბოლური გამოსახვის საშუალებად უნდა მივიჩნიოთ. შესაძლებელია მხატვარ-იკონოგრაფიკოსთა მიერ ყოველივე ზემოთ თქმული კომპლექსურ ხასიათს ატარებდა. ასეა თუ ისე, შუა საუკუნეების ქართულ მატერიალურ კულტურის ძეგლებზე, ყინწვისის ეკლესიის დამატებითი ეგვეტერის კედლის ფრესკა ერთადერთი როდია, როცა მხატვრულ ნაშუქებზე სამკურნალო მცენარეები ამშვენებდნენ. შუა საუკუნეების მედიკოს ენციკლოპედისტის, ბრძენთმთავრისა და მკურნალის ზაზა ფანასკერტელის ფრესკის სამკურნალო მცენარით დამშვენებაც შემთხვევითი არ უნდა იყოს (იხილეთ შესაბამისი ფოტო). აქ დედაზრი ნათელია. ფრესკას ამშვენებენ ის სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ძველთაგანვე სნეულთა სამკურნალოდ გამოიყენებოდა სააფთიაქო პრაქტიკაში. დადგენილია, რომ „სნეულთა კურნება“ შუა საუკუნეებში ეკლესიის მსახურთა კომპეტენციაში შედიოდა. ამგვარად შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ სწორედ ეკლესიებში, კედლებზე შემორჩა გამოხატული სხვადასხვა სამკურნალო მცენარის ნაშთი. ამ მხრივ მეტად საინტერესო ძეგლია V—VI საუკუნეებში კედელში ნაკვეთი ქალაქი — დავითგარეჯა. ამ ძეგლის შესწავლა საქართველოს მედიცინისა და სააფთიაქო საქმის ისტორიული წარსულის თვალსაზრისით ფრიად საინტერესო აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, „ასურელ მამათა“ ერთ-ერთი წარმომადგენლის დავით გარეჯელის მოღვაწეობის ანარეკლი ჰაგიოგრაფიულ და მხატვრულ ნაწარმოებში შედარებით გვიან, IX—X

საუკუნეებში აცხადებდა. ამ წერილობით წყაროში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ დავითგარეჯში ბალახების მორწყვა ხდებოდა, მათ შორის ხიახურისაც. ძველი ქართული სამედიცინო კარაბადინის ფურცლებს არაერთი ცნობა შემორჩა ხიახურის სამკურნალო თვისებების შესახებ. მას იყენებდნენ დიეტეტიკური საყოფაცხოვრებო თვალსაზრისითაც. დავითგარეჯის კომპლექსში კედელზე გამოსახულია სხვადასხვა მცენარე, მათ შორის ერთ-ერთი გარეგნულად ყველა მონაცემის მიხედვით მრავალძარღვა უნდა იყოს. ეს სამკურნალო მცენარე კი თანამედროვე ფარმაცო-ბოტანიკური თვალსაზრისითაც მრავალმხრივ საინტერესოა და იგი „დავითგარეჯში“ კედელზე შემთხვევით არ უნდა იყოს გამოსახული, მითუმეტეს, დავით გარეჯელი და ლუკიანე სამკურნალო სასწაულებს ახდენენ და „ასურელი მამების“ 7 მცენებრიდან ერთ-ერთი „სნეულთა კურნება“ იყო. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები სიძველეთა გამო, იკონოგრაფიული ფრესკები ძლიერ დაზიანებულია, ხოლო უცხო ტომთა თაჯების შედეგად ძეგლის მნიშვნელოვანი ნაწილი თითქმის დანგრეულია. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საცავში შემორჩენილია გასულ საუკუნეებში გადაღებული უამრავი ისეთი ფოტონეგატივი, რომლებიც ძეგლში დღეისათვის ფიზიკურად საერთოდ აღარ არსებობენ, ამ ფოტონეგატივების (ძირითადად ერმაკოვის ფოტონეგატივების ფონდი, ს. ს.) დათვალიერებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია არაერთმა იკონოგრაფიულმა დეკორმა, რომლებიც დამშვენებულია უამრავი სამკურნალო მცენარით. მსახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ღვთისმშობლის ვედრების კომპოზიცია“. იგი შარავანდელით არის მოსილი და მარჯვენა მხარეს ნაყოფდასხმული სამკურნალო მცენარეებითაა დამშვენებული (იხილეთ შესაბამისი ფოტო). სურათზე ადვილად გასარჩევია ბროწეულის ხე, რომელზეც აშკარად შეიძლება გაარჩიოთ 20-მდე ნაყოფი. ნაყოფთა რიცხვი შეიძლება თავიდან მეტი იყო, მაგრამ კედლის ჩამონგრევის და ჩამორცხვის გამო ფრესკის ეს ნაწილი დაზიანებულია. მარცხენა მხარეს ფრესკაზე ქოქოსის პალმაა გამოხატული. ღვთისმშობელი ვედრების პოზაშია გამოხატული ბროწეულის ნაყოფებით. „დავითგარეჯის“ კომპლექსში სხვაგანაც გვხვდება მაცხოვრის იკონოგრაფიული ფრესკა, რომელიც მარჯვენა და მარცხენა მხარეს აშკარად ნაყოფით დახუნძლული ბროწეულის ხეებით არის დამშვენებული. ფარმაცო-ბოტანიკური თვალსაზრისით ბროწეული, როგორც სამკურნალო მცენარე, უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალოდ. იგი მდიდარია ვიტამინებით, ლიმონის მჟავით, სათრიმლავი ნივთიერებით, ფრუქტოზით და სხვა. მნიშვნელოვანი სამკურნალო კომპონენტებით. ბროწეულს გემოკვების თვალსაზრისითაც ძველთაგანვე ფართოდ იყენებდნენ ქართულ კულინარიაში. ბროწეული ნაყოფიერების სიმბოლოდაც ითვლებოდა, იგი ხშირად ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ქონგურებზე რელიეფურად არის გამოჩუქურთმებული, ამიტომ, შემთხვევით არ უნდა იყოს გამოხატული დავითგარეჯში. ბროწეული გამოხატულია XV საუკუნის ნაბახტევის ხუროთმო-



ფინვალის 1971 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა აღმოჩენილი: ქიხ-
ვი სიცოცხლის ხის წინაშე, გამოსახულება ბეკდის თვალზეა. ახ. წ. III საუკუნე. არ-
ქეოლოგ რ. რამიშვილის კოლექციიდან.

ძღვრულ ძეგლზე. ქართული ხელოვნების ისტორიის მუზეუმში დაცულია ხაბახტევის ეკლესიის იკონოგრაფიული ფრესკის ასლი, „წმინდანების“ ფონზე აშკარად შეიმჩნევა ნაყოფიანი ბროწეულის ხის გამოსახულება. ფრესკას ეწოდება „ღღე განკათხვისა“. აქვე ნაბახტევის XV საუკუნის მხატვრობაში კედელი ბროწეულის ნაყოფიანი ხით არის დამშვენებული. ფრესკას ეწოდება „იაკობი და მორწმუნე ავაზაკები“. ზემო სენათში არის სოფელი ლაღამი, სადაც XII—XIII საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიის ნაგებობაა. იგი მოხატულია იშვიათი ფრესკებით და სიუჟეტებით. განსაკუთრებით საყურადღოებოა ლეგენდა ადამისა და ევას გამოიხურების სიუჟეტზე, რომელიც მედიცინის ისტორიის და სააფთიაქო საქმის წარსულის თემატიკის თვალსაზრისით შეტად მნიშვნელოვანია, ფრესკაზე გარეგნული ნიშნების მიხედვით სუბალპური და ალპური ზონისათვის დამახასიათებელი მცენარე შხამა უნდა იყოს გამოხატული, რომელზედაც შხამიანი გველია შემოხვეული, ოდითგანვე სიბრძნისა და განაყოფიერების სიმბოლოდ, რომ ითვლებოდა, ლეგენდის სიუჟეტი კაცობრიობის წარმოშობას, ევასა და ადამის სამოთხეში, ანუ ედემის ბაღში განცხრომას ეხება, აქვეა ნაყოფით დახუნძლული სამოთხის ეკლი. ეს იკონოგრაფიული ფრესკა სერიულ ხასიათს ატარებს... სწორედ ამ სიუჟეტს მოკ-



სვანეთი. XIII საუკუნით დათარიღებული ლაღამის ეკლესიის იკონოგრაფიული ფრესკა, სადაც გამოსახულია ევასა და ადამის გამიჯნურების სცენები. შხამა ბალახზე გველია შემოსხვეული, იქვეა სამოთხის ვაშლი; ლეღვი, რტოებგაშლილი ზეთის ხილი, ბროწეული, ლიკობოდუმის ხე და ავაკები. აქ სამკურნალო მცენარეების მთელი სერიაა გამოსახული. შეადარეთ ეტრუსკული და რომაული ხელოვნების ალბომში დაბეჭდილ ნიმუშებს.

ყველა ადამისა და გვას სამოთხის ვაშლით ცდუნების მომენტი. შემდეგ სურათზე გამოსახულია ნაყოფიანი ლეღვი. მისი სამკურნალო თვისებებიც კარგად არის ცნობილი თანამედროვე სამეცნიერო სამყაროსათვის, მით უმეტეს სამოთხის ბაღში იგი შემთხვევით არ უნდა იყოს გამოსატული. შემდეგი სცენა დათმობილი აქვს, ე. წ. ნატერის ხეს, იგი ყველა გარეგნული მონაცემის მიხედვით ლიკობოდუმის ხე უნდა იყოს. ამის შემდეგ ამ მრავალსმეტყველ შთაბეჭდვად ფრესკაზე გამოსატულია ნაყოფით დახუნძული ბროწეულის ხე, სხვადასხვა ბუჩქნარი და ბალახოვანი აგავეები, რომელიც სამხრეთ ამერიკის კონტინენტისათვის არის დამახასიათებელი. სვანეთში ეკლესიის ფრესკაზე საიდან მოხვდა ეს მცენარეები? საოცარია, მაგრამ ფაქტია! აქვეა სხვადასხვა სამკურნალო მცენარე, რომელთა ზუსტი სახეობის დადგენა დღესდღეობით შეუძლებელია.

დეკორატიული სამკურნალო მცენარეებით არის მოხატული სვეტიცხოვლის დასავლეთის კედელი. მათ შორის აღსანიშნავია კეთილშობილი დაფნა და ზეთისხილის რტოები. (იხილეთ შესაბამისი ფოტო). აქვეა დასაძინებელი ყაყჩაო — ხაშხაში, ხშირია კვიპაროსიც, რაც შემთხვევით არ უნდა იყოს გამოსატული. სვეტიცხოვლის გარეთა კედლებიც მნიშვნელოვნადაა დამშვენებული ორნამენტებით, სამკურნალო მცენარეების გამოსახულებით. გარეთა სამხრეთ კედელზე გამოჩუქურთმებულია ირმის თავი, რომლის მარცხენა მხარეს ხოდაბუნის უნდა იყოს რელიეფურად გამოკვეთილი, ხოლო მარჯვენა მხარეს მამრობითი გვიმრის ტოტები. სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე სიმეტრიულად მარჯვენა მხარეს არის გამოკვეთილი ირმის თავი, რომელსაც ამშვენებს წიწვოვანი მცენარეების გირჩები. ირმის თავებს შორის კე-



ადამი და ევა ედემის ბაღში სიცოცხლის ხესთან, რომელზედაც ნაყოფიერების სიმბოლო გველია შემოხვეული. სურათი ამობეჭდილია მსოფლიო ხელოვნების ძეგლების ალბომიდან. შეადარეთ სვანეთის სოფ. ლაღამის იკონოგრაფიულ ფრესკის სიუჟეტს.



ნაახტევის ეკლესია. ფრესკაზე გამოსახულია გიჟანა (შმაგა), ბროწეული, ადამის ქ. ავშანი (აბზინია), წმინდანებს შორის ლაელაფი უვაგილოპაში, შემდეგ არის იაჟუფუნა, ანუ სამფერა.

დელზე ამოქანდაკებულია „წმინდა სამება“, ხოლო ოდნავ ქვემოთ კარგად ცნობილი წარწერა სვეტიცხოვლის არქიმანდრიტ ნიკოლოზ მალალაძისა, რომელიც სვეტიცხოვლის ეკლესიის სარესტავრაციო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მაცნე უნდა იყოს. რაც შეეხება ირმის თავის გამოქანდაკების ფაქტს სვეტიცხოვლის კედელში, უთუოდ ეს მალალაძეების საგვარეულო პერალდიკის ტრადიციებიდან უნდა იყოს გამომდინარე. ირმის თავი ამჟამად რქებმომეტერეულია, რაც ჟამთა სვლის ხანგრძლივობით უნდა აიხსნას. ირემი, როგორც სიკეთის სიმბოლო და ავი სენისაგან დამცველი ავგაროზი, ჩვენ გავაშუქეთ გამოკვლევაში ქვესათაურით „ირმის სიმბოლიკა და ძველი ქართული მედიცინის და ფარმაციის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“.


ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების არაერთი ეკლესიის კედელზე არის გამოსახული ვაზის მტევნები, მათ შორის გამონაკლისი არც მცხეთის სვეტიცხოველია. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, სადაც ვაზის კულტურის მოშენებას ოდითგანვე მისდევდნენ. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ ვაზი კიდევ უფრო პოპულარული კულტურა გახდა. ცნობილია, რომ ნინო კაბადოკიელს ქრისტიანობის გავრცელებაში „ჯვარი ვაზისა“ ხელს უწყობდა. სამკურნალო ფარმაცო-ბოტანიკური თვალსაზრისითაც ვაზი საინტერესო მცენარეა.



დავითგარეჯა, ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ფრესკა. დეკორი. მარცხნივ ფინიკის ხით არის დამშვენებული, მარჯვნივ კი ბროწეულის ხის ნაყოფით დახუნძლული ტოტეებით.



დავით აღმაშენებელი იყო ქსენონთა (საავადმყოფოთა) მშენებელი, დავრდომილთა და ჭკრივ-ობოლთა მოწყალე. გელათის კედელზე მისი ფრესკა მუხის რკობითაა დამშვენებული.




დავათის სტელა. აღმოჩენილია 1960 წელს. სტელა
დამუშენებულია სიციხის ხის — მცენარეული
ორნამენტით. თარიღდება ახ. წ. VI საუკუნით. არქეო-
ლოგ რამინ რამიშვილის კოლექციიდან.



სვეტიცხოვლის დასავლეთ კედლის იკონოგრაფიული ფრესკა. ცენტრში გამოსახულია კეიპაროსები, ანუ გუნდის ხე და პალმა, ხოლო ქვემოთ დაფნისა და ზეთისხილის ტოტები.



„კვეტი ნათლისა“. იგი დამშვენებულია ხეის ნაყოფით, რომელიც გამოიყენებოდა ლუდის დასაყენებელ ნედლეულად საქართველოს შიან ზონაში. ამჟამად დგას საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ეზოში.



სვეტიცხოვლის ჩუქურთმა ვაზის მტევნებითა და მშენებელი, რაც ვაზის კულტის ტრადიციებთან უნდა იყოს დაკავშირებული.


ძველ კარაბადინებში ღვინო მიკროლოზებში ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად არის რეკომენდებული. ყურძნის ტკბილი წვენი-ბადაგი მრავალი სამკურნალო საშუალებების მწარე გემოს დაკარგვის მიზნით იყო რეკომენდებული, როგორც კომპონენტი რთული წამლის ფორმის მომზადების შემთხვევაში. ეს ფაქტიც ხშირად არის აღნიშნული ძველ ქართულ კარაბადინებში. ვაზის კულტის პატივისცემის აშკარა დემონსტრირებაა სვეტიცხოვლის კედლებზე ვაზის მტევნების გამოსახვა. ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის (ლ. მუჭირი) მიერ ღვინოში აღკალიდებია ნაპოვნია. ჭუმბერ გომიშვილის საკანდიდატო დისერტაციაში აღნიშნულია, რომ ღვინოში ავტორმა B და C ჯგუფის ვიტამინები აღმოაჩინა და საერთოდ ენოთერაპია, ანუ ღვინით მკურნალობა სამკურნალო პრაქტიკული მედიცინის უძველესი დარგია.

1792 წელს პალეში გამოცემული გამოკვლევის I ტომში „პრაგმატული სამკურნალო ხელოვნების ცდის ისტორია“, გერმანელი ავტორი კურტ



ნაბახტევის ეკლესიის მოხატულობა — „სამოთხის სცენა“. ღვთისმშობლის და
ზიბლოური პერსონაჟების ფრესკები დამშვენებულია შარავანდელით. ოქროს ვენახით,
ყურძნის მტევნებით, ბროწეულის და თურინჯის ნაყოფებით. სამკურნალო მცენარე-
ებით ფრესკების დამშვენება შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

შპრენჯელი ჰეკატეს ბალის მცენარეების კოლექციის კომენტარებისას ქვე-
სათაურში „უძველესი კოლხური მედიცინა“ ხაზგასმით აღნიშნავს, ; რომ
კოლხეთის ღმერთებისათვის წმინდა იყო „ყურძნის მტევნები და მუხა“. მუხის
სამკურნალო თვისებებიც საქართველოში უძველესი დროიდან იყო ცნობი-
ლი. იგი ღვთაებრივ მცენარედ ითვლებოდა საქართველოში, როგორც წარ-
მართულ ეპოქაში, ასევე ქრისტიანული სარწმუნოების პერიოდშიაც. კასპის
რაიონში, თემის ხეობაში მუხის კულტის თაყვანისცემის ნიშნად აგებულია
სამონასტრო კომპლექსი „რკონი“. მუხა არა მარტო სათრიმლაგი ნივთიერე-
ბის — ტანინის მისაღები ნედლეული იყო, არამედ სიმეგრის და მარადიუ-
ლობის სიმბოლოც, ამიტომაც შემთხვევითი როდია გელათში დავით აღმა-
შენებლის ცნობილი ფრესკის მუხის რკოებით დამშვენება. ეს უნ-
და აიხსნას მუხის არა მარტო დეკორატიული სილამაზით, არამედ მისი
როგორც მარადიულობის სიმბოლიკის და ფრიაღმნიშვნელოვანი სამკურნალო
მცენარის თვისებით. მუხის სიმბოლური გამოსახვა ქართულ მატერიალურ
კულტურის ძეგლებზე ხშირია. იგი ამშვენებს მრავალ იკონოგრაფულ ფრეს-



დავითგარეჯა. მაცხოვრის იკონოგრაფიული ფრესკა, მარცხნივ ყაყაჩოს ყვა-
ვილებითა მოხატული, მარჯვნივ ნაყოფით დახუნძლული ბროწეულის ხეა გამო-
ხატული (ერმაკოვის ფოტო კოლექციიდან).

კას. საგელისხმოა ერთი ეთნოგრაფიული ფაქტი, მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ცენტრში ახლაც არის შემორჩენილი ტოტემდამსხვრეული ათასწლოვანი მუხა. სოფლის ცენტრს ძველად „ჯვარი“ ეწოდებოდა. „ჯვარზე თავყანსა სცემდნენ მუხას“. ვაზის მტევნები გამოხატულია აგრეთვე ამავე რაიონის სოფელ აჰის წმინდა გიორგის ეკლესიაზე (XII—XIII საუკუნეების ძეგლი).

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია ჩუქურთმის დეტალის ნამსხვრევი, რომელზედაც გამოხატულია მუხის ფოთლები, ფიჭვის, გირჩები. სვიის ნაყოფები, რომელიც ვაზის მტევნებს მოგვაგონებს. სვიის „მტევნებს“—ნაყოფს ძველ საქართველოში იყენებდა მთის მოსახლეობა ალკოჰოლიანი ლუდის მავგარი სასმელის დასამზადებლად, რომელიც ფერმენტულიოგენური სტიმულატორიც იყო. სვიის ნაყოფით დამშვენებულია უზარმაზარი სვეტი, რომელიც აღმართულია ხელოვნების მუზეუმის ეზოში (იხილეთ შესაბამისი ფოტო).

ძველ ქართულ ზუროთმოდგრულ ძეგლებზე ასეთი ნიმუშების გამოსახვა სიმბოლიკის უძველესი გამოძახილით უნდა ავხსნათ. მთელი რიგი ქარ-




სვეტიცხოველი. ჩუქურთმაზე ქვაში გამოქანდაკებულია ვაზი და ყურძნის მტევნები, მსგავსი ჩუქურთმა გურიაში სოფელ აკის წმინდა გიორგის ეკლესიის ჭვარჭვა გამოსახული.



Изображение грузинского царя изъ Багратидовъ
на Синайской иконѣ.

სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს ეკლესიაში ბაგრატიონთა ერთ-ერთი წარმომადგენლის ხატი დამუშელებულია სიცოცხლის ხის ფოთლებით და სხვადასხვა სტილიზებული მცენარე-ებით, ზოგი ავტორი ვარაუდობს, რომ გამოსახულება დავით აღმაშენებლისაა, ზოგი კი თვლის გიორგი III-ეაო. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა „სიცოცხლის ხის“ სიმბოლიკა.



ქვის ჩუქურთმა (სვეტიცხოველი) ჟიქვის გირჩებით, სვიის ნაყოფით და მუხის ფოთლებითაა დამშვენებული. მცენარეული ორნამენტის და სიკოცხლის ხის თემატიკა ხშირად ვხვდება ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე.

თული ხეროთმომღვრელი ძეგლები არსებობს, რომლებსაც სამკურნალო მცენარეთა მთელი სიმბოლიკაა წარმოდგენილი. ასე მაგალითად: სამკურნალო მცენარეებია გამოხატული შარავანდედით მოსილ წმინდანების ფონზე „ტიმოთესუბნის ეკლესიაში“ (XII—XIII საუკუნეები). კედლის მხატვრობაზე მარცხნიდან მარჯვნივ გამოსახულია: 1. შშავა ანუ ვიყანა; 2. ბროწეული; 3. ისარა; 4. ადამის ხე; 5. ავშანი-აბზინთა; 6. ჯვრის შუა მუხა; 7. მის ქვევით დასაძინებელი ყაყაჩო -- ხაშხაში ყვავილობის სტადიაში; 8. იაყუყუნა, ანუ სამფერა ია. როგორც ჩანს, ამ ეკლესიაში სამკურნალო მცენარეების მთელი სერიაა წარმოდგენილი.

ასევე ფრიად საინტერესოა ნაბახტევის ეკლესიის II იკონოგრაფიული მხატვრობა, სადაც წმინდანების ფონზე გამოხატულია სამკურნალო მცენარეთა კომპოზიცია. კედელზე აშკარად არის გამოხატული ბროწეულის ნაყოფი, რომლის ტოტებს ჩახვევით ვაზი. ფრესკაზე ოქროს შემოდგომაა გამოსახული. ვაზის მტენები და ბროწეულის ნაყოფი მოყვითალო ფოთლებით არის დამშვენებული. წმინდანების ფონზე ციტრუსოვანი ელტურის — თურინჯის ტოტები და ნაყოფია. ბროწეულის ნაყოფია უამოქანდაკებული, აგრეთვე ბარაკონის ეკლესიის კედლებზეც.



XII საუკუნიდან ივანიძეების, ხოლო XIV საუკუნის დასასრულიდან მაღალაძეების საგვარეულო ეკლესიის ჩრდილოეთის კედლის იკონოგრაფიული ფრესკა: მათე, მარკოზი, იოანე და ლუკა. მათ ფრესკებს ამშვენებს ღილილო, გამოიყენებოდა სიცხის დამწვევ და ოფლის მომდენ საშუალებად სამკურნალო პრაქტიკაში, აქვეა მოხატული ბირკავა — აგრონომია, ეუპატორია სიყვითლისა და მალარიის დაავადების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

სამკურნალო მცენარეებით არის დამშვენებული მაღალაძეების ეკლესია. როგორც ცნობილია, მაღალაძეების ეკლესიის ძირითადი შენობა ძლიერ დანაინებულია. მათ შორის ფრესკული გამოსახულების უმრავლესობა თითქმის ჩამორეცხილია. ამიტომ ჩვენ არა გვაქვს საშუალება ფაქტობრივი მასალით ავხსნათ მაღალაძეების ეკლესიის მხატვრობის საიდუმლოება, თუმცა ფრანგ-შენებლის სახით შემორჩენილი ფრესკები მაინც გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ მაღალაძეების ეკლესიაშიც ადგილი ჰქონია სამკურნალო მცენარეების მოხატვის ფაქტებს. ჩრდილოეთ კედელზე მოხატულია ოთხი შარავანდედით მოსილი წმინდანი. ესენი უნდა იყვნენ ევანგელისტები: მათე, მარკოზი, იოანე და ლუკა. მათი ფრესკები მცენარეებით არის დამშვენებული. გარეგნული მონაცემების მიხედვით ამ ფრესკების გვერდით გამოსახულია ღილილო, რომელიც ძველ საქართველოში ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა ოფლის მომგვრელ და სიცხის დამწვევ საშუალებად, აქვე უნდა იყოს ბირკავა-აგრონომია ეუპატორია, რომელიც სიყვითლის და მალარიის სამკურნალოდ გამოიყენებოდა.



ბარაკონი, ჭერის გამოსახულება დამშვენებულია ბროწეულის ნაყოფით. ბროწეულის ნაყოფით დამშვენებულია ასევე სამთავისის ეკლესიის სამხრეთი კედელი.



რომაული და ებრუსული ხელოვნების ალბომში გამოქვეყნებული მინის კურკლები, დიამეტრალურად განსხვავდება საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ორიგინალური მინის კურკლისაგან. ფოტო ე. გივილაშვილისა.



ყინწვისის ეკლესიის დამატებითი ეგუტერის იკონოგრაფიული ფრესკა. „ზაზა ფანასკერტილი“. დამშვენებულია სამკურნალო მცენარეებით: დამაძინებელ ყაყაჩოთი — ხაშხაშით და ვარდკაქაით. სპეციალისტების აზრით, მხატვრობა XV საუკუნისაა. „ხოლო მცხეთის დასავლეთ და მტკვრის სამხრით ციციშვილი, რომელი ძუელიდევ მოვიდა ფანასკერტიდამ“. ქართლას ცხოვრება, IV ტომი, გვ. 34 (წერს ბატონიშვილი ვახუშტი).

მახარებელ მაღალადის კოშკში კედელზე გამოსახულია დეკორატიული ყვავილებიანი ვაზა, რომელშიც ჩაწყობილია თაიგულის კონა. ფრესკის ძლიერი დაზიანების გამო ძნელი გამოსარჩევია ყვავილების ზუსტი სახეობა. ყინფვისის ეკლესიის მსგავსად მაღალაძეების ეკლესიაში კედელზე გამოხატულია ყაყაოს, ანუ ხაშხაშის სტილიზებული ფოთლები. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე სამკურნალო მცენარეების ამოცნობა და თვით ფაქტის კონსტატაცია მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით სრულიად ახალი თემატკაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში მსგავსი გამოკვლევები ქართულ და უცხოურ ენებზე ვერ ვნახეთ, ამიტომ ამ სფეროში ჩვენ მიერ ნაწარმოები კვლევა-ძიება მოითხოვს შემდგომ დაზუსტებას. სამკურნალო მცენარეთა გამოსახვის ფაქტების თვალსაზრისით თითქმის ყველა ძეგლი უნდა იქნეს შესწავლილი, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მოკვლეულ იქნეს მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც საქართველოში „საეკლესიო მედიცინის“ შესწავლის თვალსაზრისით ხელს შეუწყობდა ჩვენი ერის ისტორიული წარსულის შესწავლასაც. სამკურნალო დეკორატიული მცენარეების გამოსახვის ფაქტები არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ ნივთებზედაც იქნა დადასტურებული. ეს სფერო კი მთლიანად უეუსწავლეელია. ასე მაგ., ცნობილი არქეოლოგის რამინ რამიშვილის მიერ ყინფის მდამოებში არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნია იშვიათი სიუჟეტი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნით არის დათარიღებული. გამოსახულება ბეჭდის თვალზეა, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ჩიხვი სიცოცხლის ხის წინაშე „სიცოცხლის ხე“ ფარმაკო-ბოტანიკური თვალსაზრისით თავისთავად საინტერესო თემატიკაა. შით უმეტეს, როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, თანამედროვე „ბუნებრივი შენაერთების ქიმიის“ მსოფლიო სიმპოზიუმის მონაწილე წამყვანი სპეციალისტები მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენებას სამკურნალო მიზნით, სინთეზურ პრეპარატებთან შედარებით, ერთხმად ანიჭებენ უპირატესობას. ხშირია შემთხვევები, როცა სინთეზური პრეპარატები იწვევენ სხვადასხვა ხარისხის ინტოქსიკაციას და ალერგიულ დაავადებებს. ამიტომაც სამკურნალო მცენარეების შესწავლა, მათი სამკურნალო თვისებების გამოკვლევა და პრაქტიკულ სამკურნალო ხელოვნებაში აღდგენა-დანერგვა მედიცინის მუშაკთა შეუწყობელი კვლევის საგანი იყო და არის.

ჩვენ ამ სამკურნალო მცენარეების ამოცნობას ვაწარმოებთ სხვადასხვა სამკურნალო მცენარის ატლასის ფურცლებზე ფერადი ფოტოების შედარებითი ანალიზის და ანალოგიის საფუძველზე. თუ რომელიმე ავტორი უკეთ ახსნის მათ მსგავსებას, უფრო დააზუსტებს ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე სამკურნალო მცენარეების და *Arbor Vitae*-ს ამოცნობას, ჩვენ მაღალი-რი დავრჩებით.

ჩვენთან, საქართველოში უძველესი ხელნაწერი „უსწორო კარაბადინი“ XI საუკუნით არის დათარიღებული ექიმ ლადო კოტეტიშვილის მიერ გამოკვლეული პირველწყაროების მიხედვით. ღღმდე ბურჰსით არის მოსილი „ექიმის სამცხისას“ — გრიგოლ ვაჩეძორელის ვიხაობის და მისი ძოღვაწეობის საკითხი. ცნობილია რომ მისი თხზულება ბერმა მარქარმა თარგმნა სომხურად 1462-1466 წლებში. ეს ხელნაწერი ამჟამად ერევნის მატენადარანში არის დაცული და პირველიდან 55-ე გვერდამდე მთლიანად წამალმცოდნეობას ეხება, ზოლო 55-დან 215-მდე პათოლოგიას და თერაპიას. მთარგმნელი ბერი მარქარი მიუთითებს: „ვინც ეს წიგნი წაიკითხოს, ან მით ისარგებლოს, შესთხოვოს ქრისტეს სიცოცხლე ვაჩესთვის, რომელიც ღვთით არს ექიმი სამცხისა“... ქართულ პალეოგრაფიულ ნარკვევებში ჯერჯერობით გრიგოლ ვაჩეძორელი ცნობილია, როგორც კალიგრაფი. მის მიერაა გადაწერილი გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათვის კაცისა“. იგი მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. თედო ჟორდანიი გრიგოლ ვაჩეძორელს XI საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს, ამასვე იზიარებს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე. „უსწორო კარაბადინი“ კი XI საუკუნის ხელნაწერად ითვლება. ბუნებრივად ისმება ასეთი კითხვა, ამ ისტორიულ პიროვნებას სომ არა აქვს რაიმე კავშირი „უსწორო კარაბადინთან“? ანდა ვიცით კი რაიმე ქანანელის ვინაობის შესახებ? ზემოთ გამოთქმულ ამ საეჭვო მოსაზრებებს დამტკიცება სჭირდება პალეოგრაფიულად და სხვა დამატებითი არგუმენტებით, რაც მომავალი კვლევა-ძიების საგანია.

ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებლებს, ანუ ევანგელისტებს: მათეს, მარკოსს, იოანეს და ლუკა მახარობლებს, რომლებიც IV საუკუნეში მოღვაწეობდნენ, როგორც სასულიერო წერილობითი წყაროების მიხედვით ირკვევა, მომღვწეო საეკლესიოებში უამრავი მიმბაძველი და იმიტატორი ჰყავდათ. 10-12 ასურელ მამათა-ქრისტიანულ სასულიერო პირთა მოღვაწეობა საქართველოს ისტორიაში შეიძლება ჩაითვალოს მომდევნო საუკუნეებში ევანგელისტების, მიმბაძველობის და საერთოდ ამ ტრადიციების ქრონოლოგიურ გაგრძელებად. სასულიერო პირებს: XIV-XV სს. მოღვაწის მახარებელ I მალაქის და XV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის მახარებელ II მალაქის ცხოვრებაც ამ ფაქტის მკაფიო მაგალითებია.

როგორც წესი, ქრისტიანული სექტის მქადაგებელთა კომპეტენციაში 10 მცნება შედიოდა. მათ მიმბაძველ ასურელ მამებს კი 7 მცნება ჰქონდათ. რომელთა შორის აღსანიშნავია: სენტა კურნება, შიშველთა შემოსვა, მშვიერთა დანაყრება და ა. შ.

სენტა კურნება ითვალისწინებდა მრავალნაირ საყურადღებო მეთოდს. ასე მაგალითად: ზოგადად ყოველგვარ სენს კურნავდნენ ასურელი მამები. მათ შორის სიბრძავეს, დეარდომილთ, მკვდრის გაცოცხლებასაც კი, რაც მხოლოდ და მხოლოდ თითქოს ღმერთის მაგიური ძალის შემწეობით ხდებოდა, რასაც თან ახლდა პრაქტიკული სამედიცინო-პრიმიტიული მეთოდებით

მკურნალობა. პრიმიტიული მეთოდებით მკურნალობას შემდეგ მოჰყვა სამედიცინო კარაბადინების შექმნა.

საქართველოს მედიცინის ისტორიაში ცნობილია სამედიცინო ხელნაწერების შექმნის ტრადიციები, როგორც საერო მედიცინის წარმომადგენლებისაგან, ასევე სასულიერო პირებისაგან, ან ევანგელისტების მიმბაძველებისაგან. მაგალითად, ჴანა ფანასკერტელი (XV ს.) და დავით ბატონიშვილი (XVI ს.) საერო მედიცინის წარმომადგენლები არიან. როგორც ჩანს, იყო ევანგელისტი სვიმონ კანანელი, რომელზეც ასეთი ცნობებია დაცული ძველ — ქართულ წერილობით წყაროებში. ამჟამად ხელთა გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ IV ტომში (ბატონიშვილი ვახუშტი: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1973 წ.). 62-ე გვერდზე ვკითხულობთ: „დაიპყრა ადერკიმ ყოველი საქართველო... ხოლო წარვიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი... ამით მოიღეს კვართი მცხეთას... და კუალად — ლ-ც წელსა მოვიდნენ მოციქულნი ანდრია პირველწამებული და სვმონ კანანელი. ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წავიდა. ხოლო სვმონ კანანელი მოკვდა მუნ და დაფლენ ნიკოფსიას“. ცნობილი მეცნიერი ი. ჭავჭავიძე გამოკვლევაში „საქართველოს ისტორიის“ I წიგნის 176-ე გვ. წერდა: „თანამედროვეთაგან გადმოცემული ცნობის მიხედვით IV ს-ის I ნახევარში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული“ და შემდეგ ლაპარაკია ისეთი ისტორიული მომენტის და საკითხის შესახებ, როგორც არის საქართველოს გაქრისტიანება, ანუ მოქცევა. ივანე ჭავჭავიძე მიუთითებს ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე დაცულ ისტორიულ წყაროებზე.

„ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობის მიხედვით, რომელსაც იზიარებს ცნობილი მეცნიერი ივანე ჭავჭავიძე, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების მიზნით ანდრია პირველწამებული და სვიმონ კანანელი მოვიდნენ საქართველოში და ისინი „ათ-თორმეტ მოციქულთაგანი“ იყვნენ. ცნობილია, რომ მეფე ადერკიმ თავის სამეფოში, ქრისტიანობის რჯულის დაუკითხავად ქადაგებისათვის სვიმონ კანანელი აწამა. იგი მოკვდა და „დაფლეს მუნ ქალაქსა ნიკოფსიასა საზღვარსა ბერძენთასა“. ამ ისტორიული ქრონიკებიდან 700 წლის შემდეგ საქართველოში კვლავ განმეორდა კანანელის მიმბაძველი ქანანელის პიროვნება, რომელიც XI საუკუნეში წერს მეტად დიდმნიშვნელოვან სამედიცინო ფარმაცოპეას — „უსწორო კარაბადინს“. ეს ბუნებრივად არის, ვინაიდან ევანგელისტთა მცნებაში შედიოდა: „შიშველთა შეშოსეა, მშიერთა დანაყრება, და რაც მთავარია, „სნეულთა კურნება“, ამიტომ სარწმუნოების სექტის ქადაგებას თან ახლდა სამკურნალო სასწაულები და სნეულთა კურნების როგორც ფალსიფიცირებული, ასევე პრაქტიკულად სარწმუნო მეთოდები. ამ ორი ისტორიული პიროვნების ურთიერთშედარებისას ირკვევა, რომ IV საუკუნეში „ნიკოფსიას დაფლეს სვიმონ კანანელი“, ხოლო XI საუკუნის ქართული წერილობითი სამედიცინო ძეგლის „უსწორო

კარაბადინის“ ავტორად ექიმ ლადო კოტეტიშვილის გამოკვლევის მიხედვით დადგენილია ქანანელი. ამჟამად გასარკვევია, არის თუ არა კანანელი და ქანანელი იდენტური გვარი და XI საუკუნის მოღვაწე, საეკლესიო მედიცინის განმანათლებელი, მკურნალი ქანანელი ფსევდოევანგელისტი, იმიტატორი, მიმბაძველი IV საუკუნეში მოღვაწე სვიმონ კანანელისა? ამ საკითხის გარკვევა ფრიად აქტუალურია ქართული მედიცინის ისტორიაში. მიმბაძველობისა და იმიტატორობის არაერთი შემთხვევაა აღწერილი ქრისტიანული სექტის ისტორიაში და ხელოვნებთმცოდნეები ამ საკითხს აქსიომად მიიჩნევენ. ასეთი მიმბაძველობა ქრისტიანულ სარწმუნოებაში ტრადიციად არის ქცეული, მაგრამ მართლწერის თვალსაზრისით ნამდვილად გასარკვევია კანანელის და ქანანელის ინდენტურობის საკითხი! ძველ ქართული ასომთავრული დამწერლობის მიხედვით „ქანი“ ჯერის გამოსახულებების მსგავსია, ნუსხური დამწერლობის მიხედვით „ქანი“ ოდნავ შეცვლილი და სტილიზებული ჯერის გამოსახულებას მოგვაგონებს, ხოლო მხედრული დამწერლობით „ქანი“ მხედრულითვე დაწერილ „ქანის“ ანალოგიურია. ეს ფაქტი შეიძლება საკმარისი იყოს „ქანანელისა“ და „ქანანელის“ ინდენტურობისათვის, ვინაიდან IV ს-დან XI საუკუნემდე, 700 წლის მანძილზე სავსებით დასაშვებად შეიძლება მივიჩნიოთ, „ქან“-ის და „ქან“-ის ასეთი მეტამორფოზული ცვლილება, მაგრამ კვლავ განსხვავებას და მსგავსებას დავუბრუნდეთ: ასომთავრული და ნუსხური „ქიუ“ სრულიად განსხვავდებიან „ქან“-ის და „ქან“-ისაგან, მაგრამ ძველი მხედრული „ქიუ“ ძალიან ჰგავს ძველი მხედრულითვე დაწერილ „ქენს“-ს, ძველი მხედრულით დაწერილი „ქანი“ თანამედროვე მხედრულით დაწერილ „ქენ“-ს და „ქიუ“-ს. ასე რომ, „ქანანელის“ და „ქანანელის“ მეტამორფოზული ცვლილება ძველ ქართულ დამწერლობაში სავსებით დასაშვებ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ვინაიდან ამ სამი ანბანის „ქანი“, „ქან“-ის და „ქიუს“ აბსოლუტურული მსგავსება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ასომთავრულით დაწერილი „ქანანელი“, ნუსხური დაწერილი „ქანანელი“ და უძველესი მხედრულით დაწერილი „ქანანელი“, რომლებიც შესაბამისად მოქმედებაში იყო V საუკუნიდან IX საუკუნემდე. IX საუკუნიდან XI საუკუნემდე და XI საუკუნიდან ძველი მხედრულის, ხოლო შემდეგ თანამედროვე მხედრულის გაბატონება და ამ ქრონოლოგიასა და გვარი „ქანანელის“ დამწერლობაში დასაშვებ ცვლილებებს შეესაბამება. ქართულმა დამწერლობამ ევოლუციის საძირკეები განვლო და თანამედროვე მხედრული ოდნავ სტილიზებული და გამარტივებული უძველეს მხედრულთან შედარებით. ქართული დამწერლობის ეტაპობრივად განვითარების ევოლუციის გზაზე სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ IV საუკუნეში მოღვაწე სვიმონ კანანელი არის ნამდვილი ევანგელისტი, ნინო კაბადოკიელის შემდეგ, ქრისტიანული სარწმუნოების უპირველესი მქადაგებელი, რომელიც მეფე ალერკიმ აწამა და სიკვდილის შემდეგ „დაფლეს ქალაქსა ნიკოფსიას“, ხოლო XI საუკუნის „ქანანელი“ „ფსევდოევანგელისტი, მიმბაძველი, იმიტატორი, სენთა მკურნებელი, XI საუკუნის „უსწორო

კარაბადინის“ საეკლესიო-სამედიცინო ფარმაკოპეის ავტორი. ასეთი მოსაზრებაც საეცებით დასაშვებად მიგვაჩნია, ვინაიდან შუა საუკუნეებში სამკურნალო საქმე არ იყო გამოყოფილი ეკლესიისაგან და ეკლესია განაგებდა სამკურნალო საქმეს. ეკონომიკური აღორძინების ეპოქაში, X-XI-XII საუკუნეებში, როგორც ვიცით ეკლესიებთან შენდებოდა ქსენონები — საავადმყოფოები და საავამყოფოებთან კი ბუნებრივია აფთიაქის ტიპის წამლის სასახლეც. მათი ნაშთები დღემდე შემორჩენილია დავითგარეჯში, უფლისციხეში, ზედა ვარძიაში, ვარძიაში და მალალანთ ეკლესიაში. სამედიცინო წიგნების დაწერის ტრადიციების გამგრძელებელი იყო ფსევდოპეანგელისტი ქანანელი. XI საუკუნით დათარიღებული „უსწორო კარაბადინის“ 36-ე კურცლის არშიაზე არა დედნის ხელით ვაკეთებულა მინაწერი... „ვინც ესე წიკითხო ცოდვილსა ქანანელს შენდობას უბრძანებდითო“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფსევდოპეანგელისტი ქანანელი (XI ს.) წერს წიგნს „უსწორო კარაბადინს“ და მხოლოდ ამ ერთადერთი წარწერიდან აკეთებს ქართული მედიცინის ისტორიის უპირველესი მკვლევარი ლადო კოტეტიშვილი რეზიუმეს: „თვითონ ქანანელი კი ავტორი ან უახლოესი გადამწერი უნდა იყოს ამ ძეგლისა“ და შემდეგ მთელი რიგი არგუმენტირებული მასალების მიხედვით ლადო კოტეტიშვილი დაასკვნის, რომ „ქანანელი დამწერია და არა გადამწერი აღნიშნული ძეგლისა“. მაშასადამე, ქრისტიანობის მქადაგებლის სეიმონ ქანანელის იდენტური და ოდნავ მეტამორფოზაქმნილი გვარი ქანანელი გამოჩნდა ასპარეზზე XI საუკუნეში. აქვე შევევრთ „წიგნი სააქიმოს“ ავტორობის, გადმოთარგმნის თუ გადაწერის საკითხსაც. ამ წიგნის კომენტარებისას ლადო კოტეტიშვილი ქვესათაურში: „მედიცინა ძველ საქართველოში, XIII საუკუნე“, მე-20 გვერდზე 1936 წელს წერდა: „გამოკვლევებისას ჩვენ დავემყარეთ მხოლოდ ტექსტის დეტალურ ანალიზს, რამაც სრულიად ხათელი გახადა, რომ წიგნი არაბულ ენაზეა დაწერილი, არაბი ექიმის მიერ. ამას ცხადად ადასტურებს: 1. ის არაბული ტერმინოლოგია, რომელიც ტექსტშია მოყვანილი, რაც შეეხება მის ქართულად მთარგმნელ ხოჯაყოფილს, იგი ნახსენებია მე-19, 56-ე 184-ე გვერდებზე ასეთი ეპითეტით: „ქართულად გადმოთარგმნილსა თუ გადმოკეთებულ, „საქიმო წიგნი“ ხოჯაყოფილმა და ა. შ. ასევე ნახსენებია ასეთი ფრაზაც, „რომ კარაბადინი ყოფილა გადმოთარგმნილი არაბული ენიდან თამარ მეფის დროს, XII საუკუნეში, მიტროპოლიტ ანტონ ჭყონდიდელის ბრძანებითო“. ვინ იყო ანტონ ჭყონდიდელი? რა თქმა უნდა საეკლესიო პრივილეგირებული ისტორიული პიროვნება. საგულისხმოა, რომ ჭყონდიდელი ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში რელიგიური თანამდებობა გახლდათ, რომელიც მომდევნო საუკუნეებში გვარად გადაკეთდა. ვიდრე უშუალოდ ანტონ ჭყონდიდელის ისტორიულ პიროვნებას შევეხებოდეთ, საჭიროა გავეცნოთ ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით სახელმწიფოებრივ ადმინისტრაციულ სტრუქტურას და თუ შეიძლება ასე ითქვას, საშტატო ერთეულებს: ზემოთ უკვე ნახსენები ისტორიული დოკუმენტის „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე

დაცულია მასალები: „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ და ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ დასახელებულ გამოცემაში უკვე მე-14-ე გვერდზე იწყება ასეთი ქვეთავი: „ზნეთათვის“, სადაც ლაპარაკია ადათ-წესებსა და ქართულ ზნე-ჩვეულებებზე. პირველ რიგში, ლაპარაკია ფარნაჯზ მწიგნობართუხუცესზე, როგორც მეფეზე — ხელმწიფეზე, ქვეყნის უზენაეს მმართველზე. იგი „არმაზის კერპად“ იხსენიება, რომელიც მეფის ზედწოდებაა. „მეფისა მორჩილება და სარწმუნოთ მის მიმართ ყოფა“ საერთო კანონად ითვლებოდა. შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემულია, რომ „წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქუეყანათა მიმართ და მის მიერ მოურჩენბაო“. თავიდან ერისთავიც თახამდებობა იყო, მომდევნო საუკუნეებში კი წარჩინებულთა გვარად იქცა. ძველ ქართულ სახელმწიფო სტრუქტურაში ასეთი ჩამოთვალა: „წესი მთავართა, წესი აზნაურთა, ხოლო ვაჰართა ბატვი იყო აზნაურთა ქვემეორე, ბატვი მსახურთა...“

შემდეგ სახელმწიფოებრივ აპარატში გათვალისწინებულია „ლაშქართათვის, საჰურველთათვის“, ნახსენებია ჩამოთვლაში. „ხელისუფალნი სპარსალართათვის, სახლთუხუცესთათვის, მსახურთუხუცესთათვის. მონათუხუცესთათვის, მანდატურთუხუცესთათვის, მეჯინბეთუხუცესთათვის, მეჰურჰლეთუხუცესთათვის, მსაჯულთუხუცესთათვის, ბაზიართუხუცესთათვის (მონადირეთათვის ბაზიარი მოწინაურებული შეგარდენით ნადირობას ნიშნავს. ს. ს.) მეჯინბეთათვის, ეზოსმოდღვართათვის, მეღვინეთუხუცესისათვის, მოლარეთუხუცესთათვის (საფინანსო საქმის გამგებელი, ს. ს.), მესტუმრეთათვის, ჭუარისმტვირთველთათვის, მდივანთათვის, ფარეშთუხუცესისათვის (ნოზი, საგებელი, სკამნი და

მ), ხუროთმოდღვართათვის... ეპისკოპოზისა, წანამძღვართათვის... ჭყონდიდელთათვის...“ (ჭყონდიდელი, როგორც უკვე ვთქვით, თავიდან თანამდებობა იყო, რომელიც მომდევნო საუკუნეებში პრივილეგირებულ ფეოდალურ გვარად იქცა. ს. ს.), მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, „ქართლის ცხოვრებაში“ მოყვანილი ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო აპარატში ჯანდაცვის უწყება „მკურნალთათვის“ ან „აქიმთათვის“ ცალკე ერთეულად არ იყო წარმოდგენილი. ეს კიდევ უფრო აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ შუა საუკუნეებში მკურნალობის საქმეს ეკლესია განაგებდა, სამკურნალო და სოციალურ-პიგიენტურ პრობლემებზე ლაპარაკია „ჭუარისმტვირთველის“ და „ჭყონდიდელის“ უწყებაში. ამიტომ ქართული მედიცინის და წამალთმოდენობის ისტორიკოსებისათვის ჭყონდიდელი თავისთავად საინტერესოა. „ჭყონდიდელი და იყო ამისი ხელისანი ქურთი-ობოლნი, და დავრდომილნი, უსამართლო-ქმნილი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი, ესე აუწყებდა ამათა ყოველსავე მეფისა, ესევე იყო მწიგნობართუხუცესი ყოველთა სამეფოთა მწერალთა ზეით თქმულისა!“ (ე. ი. ანტონ ჭყონდიდელი იყო მწიგნობართუხუცესი, რომელსაც შეეძლო ებრძანებინა ხოჯაყოფილისათვის „წიგნი სააქიმოს“ თავრმნის შესრულება, ს. ს.) „ეს მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა, ეკლესია-მონასტერთა და ლაშქართა მოწუევედ და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფესა. ესევე იყო ლაშქრობისა ჟამსა ბატოსნისა ჭუა-

რისა მძლუნებელი (თანაც, ჭყონდიდელი იყო დიდი საეკლესიო პირი -პატრონი-
სა ჭუარის მოძლუნებელი, ს. ს.) წინაშე სპათა და ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლე-
ლი, ანუ ჩახთაული, და ახალ წელს მაკვლევი მეფისა“. როგორც ზემოთ მო-
ცემული ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, ჭყონდიდელი დიდი სასულიერო პირის
თანამედლობა იყო, რომელიც დაერდომილთა და გაქირავებულ ქვრივ-ობოლ-
თა მდგომარეობას განაგებდა „პატრონებისა ჭუარისა მძლუნებელი წინაშე
პირის და ბრძოლისა ჟამსა“. ამ ტექსტის კომენტარით ნათელი ხდება, რომ
ჭყონდიდელი საეპოპოს და იდი თანამედობა იყო სახელმწიფო აპარატში, ახალ
წელს მეფის მეკვლეობა შეეძლო (ი. ა. ახალი წელი მიელოცა მეფისათვის,
ს. ს.) მაგრამ უფრო ზუსტად, რომ განვსახლვროთ საეკლესიო მედიცინის
სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი, საჭიროა გადავფურცლოთ ივანე ჭავჭავი-
ვილის „ქართველი ერის ისტორია“ და ენახოთ XI პარაგრაფში, 93-ე გვერდ-
ზე რა წერია ქვესათაურში: „ხეთა მსახურება და მეცნარეულობის ღვთაება“.
ივანე ჭავჭავივილი შემდეგს წერს: „ხეთა მსახურების“ შესახებ... „ყველგან,
ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ახლაც არის შემორჩენილი ამ მსახურე-
ბის ნაშთი, მეტადრე მუხის თაყვანისცემა იყო გავრცელებული. ხევსურებ-
სა და ფშაველებს, მაგალითად, სწამთ კრდეც, რომ არსებობს განსაკუთრებუ-
ლი „მუხის ანგელოზი“, ფშავე-ხევსურების დიდებაში და ლოცვაში. სხვათა
შორის ყოველთვის ითქმის ხოლმე, „დიდება მუხის ანგელოზსაც“. ქართლ-
შიც არის შემორჩენილი ბევრგან „ხეთა მსახურება“, მაგალითად, შეიძლება
დასახელებული იყოს განთქმული „რკონი“ (თემის ხეობა, გორის მაზრაში)
ცაცხვის უზარმაზარი ხე, მრავალი შესაწირავითა და თეთრი ძაფებით შემ-
კული მლოცველებისაგან, რომელსაც ხალხი დიდ თაყვანს სცემს“. (აქ უსა-
თუოდ ლაპარაკია, ე. წ. ნატვრის ხეზე, ს. ს.). აქ ნათლად ჩანს, რომ მუხა
სიმბოლოურად მარადიულობის გამომხატველი ღვთაება იყო. ამას ადასტურებს
თემის ხეობაში აგებული იშვიათი არქიტექტურული შენობა „რკონი“, რო-
მელიც მუხნარის, ანუ „რკონის“ სახელწოდებით იხსენიება დღესაც ქართვე-
ლი ერის ისტორიაში. მასალებს მუხის სიმბოლიკაზე ძველ საქართველოში
კვლავ ცალკე თავში განვიხილავთ. ახლა ენახოთ, რას წერს ივანე ჭავჭავივი-
ლი ამავე წყაროს 95-ე გვერდზე: „სამეგრელოში ხე მეცნარეთა თაყვანისცე-
მის არსებობის საუკეთესო დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს. ძველ საქართვე-
ლოში განთქმული იყო ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად „დიდ მუხა“. ხაშ-
ხავს და თავდაპირველად უეჭველია მუხის მსახურების სალოცავ ადგილად
უნდა ყოფილიყო. ახლაც აქ მუხის მაგიერ განთქმულია დიდი ცაცხვი. ყუ-
რადლების ღირსია, რომ ქართლშიაც „რკონში“ ცაცხვის ხეზე ლოცულობენ.
თუმცა თვით სიტყვა „რკონი“ ამტკიცებს, რომ აქაც თავდაპირველად მუხა
უნდა ყოფილიყო“... მუხის ღვთაებრიობის შესახებ დიდი მეცნიერის ივანე
ჭავჭავივილის ინფორმაციას სავსებით ვეთანხმებით და ვიზიარებთ, წამალთ-
ციოდნე-პროვიზორის პოზიციებიდან, ვინაიდან მუხა ძვ. წ. ა. XIV-XIII საუ-
კუნეებში ჰეკატეს წალკოტსაც ამშვენებდა არესის ჰალაკში. როგორც სამ-
კურნალო მეცნარე დღეისათვის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების ტა-

ნიწების მიღების ნედლეულს წარმოადგენს და მის ტოტზე ეკიდა ლეგეხდის ძიხედვით, საქვეყნოდ განთქმული „ოქროს ვერძი“ ცხვრის ტყავი, ანუ ოქროს მოპოვების საიდუმლოების წესი.

მუხის კულტი საკმაოდ არის გავრცელებული გურიაში, ერთ-ერთ უძველეს სოფელში ლიხაურში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ 791-ე გვერდზე წერს: „აქ მდინარისა და შემოქმედს შუა არის ციხე ლეხურისა მთის ძირს“. სწორედ ამ ციხესთან ახლოს მდებარეობს თანამედროვე, მაგრამ თავისი წარსულით ერთ-ერთი უძველესი სოფელი ლიხაური, სადაც არის XII—XIII საუკუნეებში აგებული ჯვრის „ღვთისმშობლის“ და სოფ. აჰის „წმინდა გიორგის“ ეკლესია. ამ სოფლის ცენტრს დღესაც „ჯვარს“ ეძახიან, ვინაიდან, აქ, ამ სოფლის ცენტრში სწორედ ჯვარედინად, პერპენდიკულარულად ჰკვეთენ ურთიერთის სოფლის გზები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ახ პირიქით. „შუა ჯვარზე“ ახლაც დგას კანდაკორძებული, ტოტებდამსხვრეული ბებერი მუხა. პოეტ ვარლამ ჟურულის აზრით „ბევრის მომსწრეა ლიხაურში ბერმუხა რომ დგას“, ხოლო მხატვარმა პეიზაჟისტმა მიხეილ ვარდიშვილმა 1965 წელს შექმნა ტილო „ლიხაურის ათასწლოვანი მუხა“. იგი ოდითგანვე სიმამაცის, გამძლეობის და მეხთან ბრძოლაში გამარჯვების სიმბოლოდ იყო მიჩნეული. აქვეა მრავალსაუკუნოვანი ცაცხვის ხე, რომელიც სამეგრელოში არსებული „ჰყონდიდის“ და „არკოში“ არსებული ცაცხვების ანალოგიურია, მაგრამ ტოპონიმიკური ადგილმდებარეობის თვალსაზრისით „ჰყონდიდის“, ანუ „დიდი მუხის“ დამკვიდრება სამეგრელოში შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, მითუმეტეს უძველესი ქრისტიანული წარსულით ჰყონდიდელი ნიშნავდა ჯუარისმტვირთველსაც; დიდ სასულიერო პირს, რომელიც კურირებას უეკთებდა დაერდომილთ. ქვრივ-ობლებს და იყო მწიგნობართუხუცესი ყოველთა „სამეფოთა მწერალთა ზეით თქმულისა“-ო. თანაც ლადო კოტეტიშვილი „წიგნი სააქიმოსის“ გამოცემისას წინასიტყვაობაში 23-ე გვერდზე იშველიებს ასეთი შინაარსის ისტორიულ წყაროს: „...ქრისტეს მიერ პატრონი ჰყონდიდელმან მისგან მწიგნობართუხუცესობამან პროტოი უპერტი-ძოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან კაცმან, გონებაი მოზაემან, და სარძნოთითა მსჯავრთა მართლმსაჯულმან და ხელისა მპყრობელმან ულონოთა და ქურიეთამან ქართულად მათარგმნინა მე მიწასა მათსა ხოჯა ყოფილსა“. ოოდის მოხდა ეს ამბავი? — სვამს კითხვას ლადო კოტეტიშვილი და იქვე იმორწმუნებს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის („ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914 წელი, გვერდი 611); „1206 წ. ქალაქი კარიც საქართველოს შემოუერთდა „აქამდისინ კარი თურქთა ჰქონდა. თამარ მეფე წარავლინა ლაშქარნი, გარემოსადგომად ცნეს თურქთა, დაავდეს კარი და ივლტოდეს“. აქ მოყვანილი ფაქტებიდან ირკვევა, რომ „წიგნი სააქიმოი“ XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება, რომელიც სასულიერო გავლენიანი პირის ჰყონდიდელის დავალებით უთარგმნია ხოჯა-ყოფილს. ვინაიდან კარის, ანუ ყარსის აღების შემდეგ ეს ხელნაწერი „ალა-

ფით“ ჩაუგდიათ ხელში ქართველებსო. მაშასადამე, ჩვენამდე მოღწეული XI საუკუნის ნუსხურით დაწერილი ქანანელის „უწორო კარაბადინი“ და ხოჯა-ყოფილის მიერ ნათარგმნი „წიგნი სააქიმოი“ სასულიერო პირების ღვაწლის შედეგად არის შექმნილი. ერთ შემთხვევაში დაწერილი და მეორე შემთხვევაში არაბულიდან გადმოთარგმნილი და შემდეგ ჩვენამდე მოღწეული, რაც განპირობებული იყო ამ ხელნაწერების ყოველდღიური პრაგმატიზმით — ყოველდღიური პრაქტიკული გამოყენებით. ეს გასაგებია. ამ დროს „სენთა კურნება“ ჯუარისმტვირთელთა და ჰყონდიდელთა კომპეტენციაში შედიოდა. — სხვაგვარად წარმოდგენაც კი არ შეიძლება ეტიკონით სამედიცინო ხელნაწერების დაწერის შესახებ შუა საუკუნეებში, ხოლო XIV-XV საუკუნეების სასულიერო პირების მახარებელ I და II მოღვაწეობა ამ წინამორბედთა ტრადიციების ქრონოლოგიურ გაგრძელებაში უნდა მივიჩნიოთ, რომელთა როლისა და ღვაწლის საკითხს ცალკე ქვეთავებში გავაშუქებთ.

მალაალქევის ვინაოგისა და ისტორიულ სარგებელზე მათი გამოჩენის თარიღისათვის

ცნობილი მეცნიერი თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში 190-ე გვერდზე 1377 წლით დათარიღებულ სიგელში გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ გუგუნი მაყაშვილის გუჯარი: „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ინლუქტიონისა მეფობისა ჩვენისა“... (იგულისხმება ბაგრატ დიდის შვილი გიორგი. 1377 წლიდან იგი კახეთის მეფე იყო, 1384—1393 წლებში იმერეთის მეფე, ხოლო 1393—1407 წლებში მას სრულიად საქართველოს მეფის ტახტი ეკავა და მეფე გიორგი VII იყო წოდებული. 1407—1411 წლებში იგი შეცვალა მისმა ძმამ კონსტანტინე I ბაგრატიონმა. ს. ს.) ...„ქელითა ჩვენისა კარის მწიგნობრისა მახარებელისათა“. მაშასადამე, 1377 წელს მახარებელი ყოფილა სამეფო „კარის მწიგნობარი“. სავარაუდოა, რომ ამ თანამდებობას მახარებელ მალაალქე ძალღწევდა სულ მეორე, მინიმალურს თუ ევიარაუდებთ, 20 წლის ასაკში. მაყაშვილების გუჯარს ამტიკებს კათალიკოსი ნიკოლოზი „მე დიდისა მონასტრისა მოძღვარი კათალიკოზი ნიკოლოზი — დამამტიკებელი ვარ მეფეთ ბრძანებისა ამის“, წერია ამ საბუთში. სამწუხაროდ, ეს საბუთი პირია და მისი პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის წარმოება შეუძლებელია. საინტერესოა ერთი საკითხი. მალაალქევის საგვარეულოში იყო თუ არა სხვა მახარებელი? თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში საამისო პირდაპირი პასუხი არ არის გაცემული. და ეს საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. მახარებელის ხელით დაწერილ მაყაშვილების საბუთს თედო ჟორდანიას ასეთ კომენტარს უკეთებს:

„არც ეს ნიკოლოზი და არც გიორგი მეფე ამ დროს ცნობილი არ არიან“... „ჩვენი აზრით, განაგრძობს თედო ჟორდანიას, ეს გიორგი მეფე უნდა იყოს ბაგრატ დიდის შვილი და თუმცა ის გამეფდა 1395 წელს, მამის სიკვ-

დილის შემდეგ, მაგრამ ალბათ, ის მეფის სახელით, მამასთან ერთად განაგებდა რომელსაჲმ ნაწილს საქართველოსას (კახეთის ნაწილს 1377 წელს, ხოლო 1384—1395 წლებში იმერეთისას). შესანიშნავია ის, რომ, განაგრძობს თედო ჟორდანია. გიორგი მეფედზე წოდებულია მამისავე სიცოცხლეში 1393 წელს“... „თ. დ. მყაჲვილმა გადმომცა ეტრატის გუჯარნიდამ სიტყვა-სიტყვით გადმოწერილის სიგელი გიორგი მეფისა მოცემული 1377 წელს“... ე. ი. თვით სიგელ-გუჯარის დედანი თედო ჟორდანიას ხელთ არ ჰქონია. სამაგიეროდ მას ჰქონდა „სიტყვა-სატყვით გადაწერილი გუგუნი მყაჲვილის გუჯარის ასლი. გადაწერისას საბუთის ზუსტ თარღის დავუშვათ არ მიეჲცია ყურადღება, მაგრამ მყაჲვილების სიგელის სინუსტეს ამტკიცებს სხვა საბუთი, კერძოდ, 1900 წელს მღვდელ პოლიეჲტოს კარბელაშვილის მიერ შედგენილი წიგნი: „იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი“. ამ წიგნის მე-80-ე გვერდზე მითითებულია, რომ ნიკოლოზი 1365—1377 წლებში ყოფილა „დიდისა მონასტრისა მოძღვარი კათალიკოზი“. სიგელს ამტკიცებს კათალიკოზი ნიკოლოზი. „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დაცულ 1391 წელს გაცემულ მეორე საბუთზე „გიორგის“, „ალექსანდრეს“ და „დიმიტრის“ ხსენება გუჯარის ბოლოს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ამ დროს კათალიკოზი სხვა არის, მაგრამ სიგელზე გიორგი მეფის ხელმოწერა ქრონოლოგიური, ისტორიული თარიღითაც დასტურდება. საფუძრებელია, რომ ეს გუჯარი ბაგრატ V მეფობის დროს, 1360—1390 წლებში უნდა იყოს გაცემული, მამამ ბაგრატ V გასცა გუჯარი, შვილმა გიორგი VII მამასთან ერთად ხელმოწერით დაამტკიცა იგი. ასეთი ვერსია საცხებით დასაშვებია, ვინაიდან გიორგი შემდეგ სრულიად საქართველოს მეფე ხდება, ასევეა გიორგის შვილი მეფე ალექსანდრე I დიდი, რომელიც გამეფდა 1412 წელს და 1443 წლამდე მეფობდა. საქართველოს მეფეთა ისტორიაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა მამა მეფეა და შვილი მეფის სახელით მოქმედებს და მცირე ასაკის მიუხედავად სიგელ-გუჯარზე მამასთან ერთად ხელს აწერს. ანდა კიდევ ერთი ძმა მეფეა და მეორე ძმა მოადგილე, ანუ ჯანიშინია. ასე მაგალითად: მეფე ვახტანგ VI ბაგრატიონი 1703—1714 წლებში იყო მეფე გიორგი XI ჯანიშინი, ანუ მოადგილე და გიორგი ქართლში 1676—1688 წლებში და კახეთში 1703—1709 წლებში მეფობდა. ვახტანგ VI მეფობა საქართველოს ისტორიაში ფორმულირებებულია 1703—1724 წლებით. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ამასვე ამტკიცებს 1391 წელს გაცემული მეორე საბუთი მალაშვილების მისამართით. ვიდრე დეტალურად შევხებოდეთ ამ საბუთს, სინანულწონილია შევეხოთ XIV საუკუნეში მალაშვილების მისამართით გაცემული პირველი საბუთის შინაარსს, რომელსაც შემოკლებით გადმოგვცემს თედო ჟორდანია. 1391 წელს მალაშვილების პირველი საბუთის შინაარსი თედო ჟორდანიას შესიერებაზეა დაფუძნებული. „ქრონიკების“ II ტომის 192-ე გვერდზე თ. ჟორდანია წერდა: „1391 წ. ამ წელს არის დაწერილი ქვემოთ დაბეჲდილი მალაშვილების მხედრულად ნაწერი სიგელი, რომელიც 1884 წელს ხელში ჩამივარდა და სამწუხაროდ შემოკლებით გადმოგ-

წერე. ახლა ეს სიგელი ხელთ არა გვაქვს და ამის გამო იძულებული ვარ, მისი შოკლე ნუსხა შემოვიტანო აქ“. მაშასადამე, ამ სიგელის შინაარსს რომ თავი დავანებოთ, საბუთის გაცემის თარიღი, რომ 1391 წელია და მალაღაძეების სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლის პერიოდი რომ XIV საუკუნეა, ამას ადანტურებს ამ ორი საბუთის შედარებითი ანალიზი: „ესე წყალობის წიგნი გიწყალობეთ... თქვენ მალაღაძეს ამილაბარს, დიმიტრის და გიორგის“... ხოლო ამავე თარიღით გაცემულ მეორე სიგელ-გუჯარში ვკითხულობთ: „ესე წიგნი... გიბოძეთ... საყრდის შეილსა ქადაგს მახარებელსა და თქვეთა შვილთა: მარკოხს, ზაქარიას და დავითსა“. I საბუთის დამწერია წირქველელი რატი, ხოლო II საბუთი კარის მწიგნობარმა იოანე ლიაქემ დაწერა.

მაშასადამე, XIV საუკუნის ბოლოს ერთი სიგელ-გუჯარი გაცემულია მალაღაძე ამილაბარზე დიმიტრიზე და გიორგიზე, ხოლო მეორე სიგელი ქადაგ მახარებელსა და მის შვილებზე: მარკოხზე, ზაქარიასა და დავითზე. თანაც 1377 წელს XIV საუკუნის უპირველესი საბუთი „გუჯარი მაყაშვილთა“ მახარებელს დაუწერია. მაშასადამე, საბუთები დათარიღებულია ერთი 1377 წლით და ორი 1391 წლის ქორონიკნით. ჩვენ ეს პირველადი წყაროები მიგვაჩნია არგუმენტირებულ საბუთად იმისა, რომ XIV საუკუნის ბოლოს მალაღაძეები პრივილეგირებული აზნაურები იყვნენ.

თედო ჟორდანიას ისტორიული თარიღების დადგენისას ფრთხილი მკვლევარი იყო, მის შესახებ 1967 წელს „ქრონიკების“ III ტომის შესავლის მე-6 გვერდზე სრულიად სამართლიანად შენიშნავდნენ პროფესორები შოთა ხანთაძე და გივი ჟორდანიას: „თ. ჟორდანიას ჩანაწერები ეკუთვნის მეტად დაკვირვებულ, მახვილი თვალისა და დიდი ერუდიციის მქონე მკვლევარს, რომლის მეცნიერული პატიოსნება და სურვილი ჭეშმარიტების მსახურებისა ყოველი ექვს გარეშეა“. მაშასადამე, თ. ჟორდანიას მთელი შემოქმედება საქართველოს ისტორიის შეგებებაა: ამიტომ საბუთები, რომელსაც იგი ეხება, სრულიად სარწმუნოა იმ შემთხვევაში, თუ მის ხელში მოხვედრილი პირველადი დოკუმენტი დაუზიანებელი და სრულყოფილი იყო! მალაღაძეების სიგელის ასლი 1884 წელს თ. ჟორდანიას ხელთა ჰქონდა და იგი გადმოგვცემს მის შოკლე შინაარსს.

ამ მონაკვეთში, თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში დაცულ საბუთებს მალაღაძეების შესახებ ჩვენ ასე დეტალურად იმიტომ ვეხებით, რომ მალაღაძეების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენას და მახარებელის მოღვაწეობის ქრონოლოგიას, მისი ავტობიოგრაფიული მონაცემების სიზუსტეს, პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ფარმაციის, სააფთიაქო საქმის და მედიცინის ისტორიისათვის, მით უმეტეს, რომ XV საუკუნით დათარიღებულ „სამკურნალო წიგნ-კარაბადინის“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q № 877-ის) 177r და 219v გვერდების არშიაზე მახარებელი იხსენიება „მშრომელის“ და „მჩჩრეკელის“ ეპითეტებით. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საბუთების მოშველიებით ცხადია, რომ XIV საუკუნის ბოლოს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდნენ მალაღაძეები, იგივე მალაღაშვილები. მით უმეტეს XV

საუკუნეში ივანიძეების საგვარეულოს წარმომადგენლებად თ. ყორღანის „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე საერთოდ აღარაფერია აღარ იხსენიება. XV საუკუნეში თანდათან აქტიურდებიან მაღალაძეების გვარის წარმომადგენლები. 1401 წელს იწერება საბუთი: „კარის მწიგნობრისა (ჩუენისა) მახარებლისათა“. საბუთებით ჩანს, რომ მახარებელი გვარად მაღალაძეა, მაგრამ კარაბადინის შექმნასთან მას თუ აქვს რაიმე საერთო, ამას პასუხი უნდა ვისცეს პალეოგრაფიულმა ანალიზმა და ამისათვის პირველ რიგში მისი ორიგინალური ხელნაწერი უნდა გვეპყრას ხელთ. 1411 წელს „დავით ბერისძემა ციხელმა... ოთარ ვარაზს... რომელმაც ვენახს გეყიდა აწ მე მოყიდე... მე მღვდელსა მონაზონსა მაღალაძეისა ზაბილონსა დამიწერია და მოწამე ვარ“... მაშასადამე, მაღალაძეები გენეტიკურად და ტრადიციულად მწერალ-კალიგრაფებია XV საუკუნის 20—30-იან წლებში, სიგელ-გუჯარების დამწერ-კალიგრაფთა ვინაობას ჩვენ გულდასმით გვეცანით, რათა, პირველ რიგში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მათი მოღვაწეობის ხანგრძლივობა დაგვედგინა და შემდეგ მათი ხელმოწერილი საბუთების ანალიზი მოგვეხდინა. დადგინდა, რომ ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ: მახარებელი მაღალაძე, ზაბილონ მაღალაძე, გერასიმე მაწყურელი, დემეტრე მარკოზაშვილი, კლიმი კაკლაჩაძე, გრიგოლის ძე დათუა და სხვა. მეორე მახარებელი მაღალაძე არ ჩანს სამოღვაწეო ასპარეზზე 30-იან წლებში, ხოლო 1441 წელს თვითონ მეფე ალექსანდრე I იძლევა განკარგულებას ანდერძის წიგნის დაწერისას, რომელიც დაიწერა... „ხელითა კაკლაჩას ძისითა“, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: ...„და ჩუენთა საფლავთ ზედა ოთხნი მეკუდრენი მწირელნი გაგვაჩინენ: ელიოზის ძე დიმიტრი, ჭუარისმტვირთველი მახარებელი... ზაქარია... ელიოზი“... ე. ი. ამ საბუთის მიხედვით მცხეთის სვეტიცხოველში 1441 წელს ჭუარისმტვირთველის თანამდებობა ეკირა მახარებელ მაღალაძეს. საინტერესოა გარკვეულ იქნეს: XIV საუკუნესა და XV საუკუნეში ნახსენები მახარებელი ისტორიულად ერთი და იგივე პიროვნებაა, თუ მეორე მახარებელიც არსებობდა? 1441 წლის თარიღით გაცემულია „მეფედ მეფე ალექსანდრეს“ და მისი მეუღლე „დედოფალთ დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა ვახტანგმა, დიმიტრი და გიორგი ესე წიგნი ვიბოძეთ თქვენ მაკუქას ძეთა ივანეს, ფრიდონს და თათარასა... მოსაქციელსა... მოურავი შენა ივანე ხარ და ვითა მოურავისა წესი არის, ეგრეთ ეკვდერსა და მეეკვდრეთა ამსახურებენ... დაიწერა კელითა... კლიმი კაკლაჩას ძისითა... მე მათი ჭუარისმტვირთველი მახარებელი მოწამე ვარ“. ამ საბუთის მიხედვით აშკარა ხდება, რომ მახარებელი მაღალაძე სამეფო კართან დაახლოებული პირი ყოფილა და ჭუარისმტვირთველის თანამდებობის მქონე, რაც მაშინდელი სახელმწიფოებრივი აპარატის სტრუქტურის შესაბამისად საკმაოდ პრივილეგირებულ სარწმუნოებრივ თანამდებობად ითვლებოდა. ამავე წლის თარიღით მახარებელი მაღალაძე იხსენიება მცხეთის ქადაგის თანამდებობის მფლობელად. ქადაგი და თანაც ჭუარისმტვირთველი კათალიკოზის შემდეგ, რიგით პირველი კაცის რელიგიური თანამდებობა ყოფილა. მიზანშეწონილად მიმაჩნია შევეხოთ კიდევ ერთ საბუთს,

კერძოდ ჰარმაულთა ანდერძის წიგნს. ვინაიდან ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი გაცემულია 1482 წელს (?), ამ საბუთს თვითონ თელო უორდანია შემდეგი შინაარსის კომენტარს უყებთ: „1442 წელს — ამ წელს უნდა იყოს მიცემული ელის... ზაალის ასული თურმანოვის ქალაღებში ჩვენგან პოწილი გუჯარი, რომელშიც ქვის: (1482 წ.) მოსენებულია კზ-ი შიო, მაგრამ, რადგან შიო ჩანს 1440—1446 წელს, ხოლო შემდეგ დროებში — კი არც ერთ სიგელში არ არის აღნიშნული, და გობელიძე ამიჩან, რომელიც უსათუოდ უნდა იყოს „გობალის ძე რამინ“ ამირეჯიბი, ჩვენს გუჯარებში ჩანს 1451 წ. (იხ. ჩვენი „ქრონიკები“ II 1451 წლის ქვეშ) ამის გამო ჩვენ გავგონია, რომ ამ გუჯარის ქრონიკონი უნდა იყოს „რ: (ძველი გამოსახულება ასოთა „ო“ და „ლ“ ერთმანეთ მოჰგავთ)“... და ამიტომ ამ საბუთს აუდო უორდანია 1442 წლით ათარიღებს. ამ პირველადი წყაროს თარიღის სისწორეს ჩვენ სავსებით ვიზიარებთ და რატომ? ჰერ ერთი ეს საბუთი პირია და გადმომწერს ქრონიკონის ზუსტი მაჩვენებელი ასოები სწორად არ გადმოუწერია. მეორეც, ეს საბუთი დედანი რომ იყოს, მაშინ არც თარიღი გახდებოდა სადავო და შედარებითი ანალიზის საფუძველზე პალეოგრაფიულოდაც გავარკვევდით, რომელი მახარებელის ხელით არის დაწერილი ეს საბუთი?

საქართველოს კათალიკოზთა სიაში, შიო II სწორედ 1440—1443 წლებში იხსენიება, ხოლო მეფე ალექსანდრე, ბერად შემდგარი, ათანასედ წოდებული, გარდაიცვალა 1443 წელს და დასაფლავებულია მცხეთის ეგვტერში. ეს საქართველოს კათალიკოზთა იერარქიის ისტორიიდან კარგად ცნობილი ფაქტია. ამ თარიღის სიზუსტეს ასე დეტალურად იმიტომ ვეხებით, რომ მახარებელს შეცდომით 1482 წელს მიწიჭებული აქვს ჰარმაულთა ანდერძის წიგნის გადამწერის ფუნქცია (?). თუ იგი 1377 წელს მწიგნობარი იყო, დაწერა გუჯარი მაცაშვილთა, მაშინ 1482 წელს ცოცხალი აღარ იქნებოდა, რასაც ჩვენ სხვა ქვეთავში შევეხებით დეტალურად. ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია დედნების შედარების საფუძველზე დადგინდეს არაერთი მახარებელის მოღვაწეობა მალალაძეების, იგივე მალალაშვილების საგვარეულოში.

1449 წელს გაცემულია მეფეთ-მეფე გიორგის აღაპის წიგნი: „ტომნი სოფელი სრულიად და უკლებლად... დაიწერა ხელითა მალალაძის გავლიშვილისა და მცხეთის ქადაგისა დიმიტრისათა“, ამ საბუთის მიხედვით მახარებელ მალალაძის გარდა, მცხეთის ქადაგი ყოფილა დიმიტრი. 40-იან წლებში ხომ არ გარდაიცვალა XIV საუკუნის მოღვაწე მახარებელი მალალაძე? მღვდელი და ქადაგი, მახარებლის ვაჟიშვილი დიმიტრი მამის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით ხომ არ დაინიშნა ქადაგის თანამდებობაზე 1449 წელს? ქადაგის თანამდებობა შთამომავლობაზე მემკვიდრეობით გადადიოდა. რა მოხდა 1449 წელს, მახარებელი ხომ არ გარდაიცვალა? ამის მტკიცე საბუთი ჩვენ არ გვაქვს. ამ კითხვას პასუხი მახარებელის დედნების აღმოჩენამ და პალეოგრაფიულმა ანალიზმა უნდა ვასცეს! ან მახარებელის გარდაცვალების სხვა საბუთის აღმოჩენამ. ხოლო 1451 წელს მეორდება სიგელ-გუჯარი გიორგი VIII (1446—1466 წ.წ.) დაწერილი „ხელითა წირუქელისძისა რატისა“ გაცემული

წულუკიძეების მისამართით. ჩვენ ვიცით, რომ უფრო ადრე 1391 წელს წირქვაულელმა მუშრინმა რატიმ დაწერა წყალობის წიგნი მალაქაძეების საგვარეულოს მისამართით¹. ძველსა და „ახალ“ საბუთს შორის სხვაობა ზუსტად 60 წელია, და ასეთი — დროის ხანგრძლივობა ასე თუ ისე დასაშვებია ერთი და იმავე პიროვნებებისათვის, კალიგრაფისათვის. დაეუშვათ „პირველი“ საბუთის დაწერისას რატი წირქვაულელი 20-25 წლისა იყო. საგულისხმოა, რომ 1453 წელსაც იხსენიება „ქრონიკების“ II ტომში სიგელის დამწერად მუშრინი: „სიგელი გიორგი მეფისა, რომლის პირი გერბიან ქალაქელ მთავრობისაგან შემოწმებული ჩვენ ხელთა გვაქვს“, წერს უორდანი. ამ წყალობის წიგნის მიხედვით ზევდგინს, გორის მოურავს ამირონდონს და ავთანდილ ქარუმიძეებს მიეცათ წყალობის წიგნი, რომელიც დაიწერა: „ხელითა წირქვაულელის ძისა მუშრინისა რატისითა“, ე. ი. 1391 წელსა და 1453 წელს შორის სხვაობა 62 წელია, ესეც ქრონოლოგიურად ლოგიკური საბუთია ერთი და იგივე კალიგრაფი-მწერლისათვის. ამით ჩვენ გვსურს „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დაცულ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. XV საუკუნის 50—60-იან წლებში იქმნება, ე. წ. სიცარიელე თედო უორდანიას „ქრონიკების“ II ტომში მალაქაძეების შიშართ, ვინიდან ამ გვარის წარმომადგენლებისათვის იქ რაღაც მიწებების გამო ჩნდება ე. წ. „ყრუ ინტერვალი“, ასე მაგალითად: 1460 წელს მეფე გიორგიმ ყურულის სახელზე გასცა სიგელი, რომელიც დაიწერა: „ხელითა კარის მწიგნობრისა ჩუენისა და ჯუარისმტვირთველისა ჯორაშვილისა გაბრიელისათა“. 1464 წელს მცხეთის სიგელს წერს: „ხელითა ლაყუარდის ძისა დანიელისათა“, „1466 წელს მეფეთ მეფე ბაგრატის ალაპის წიგნს წერს „ფრიად ცოდვილი მახარებელი“. ის ფაქტი, რომ ცოდვილმა მახარებელმა, დაწერა მეფეთ მეფე ბაგრატის ალაპის წიგნი, ანუ მცხეთას შემოწირა დიღმის გლეხნი „ესაბერი ზოსიმე და გეგელიშვილი“. საფიქრებელია, რომ ამ მახარებელს საერთო არაფერი აქვს XIV საუკუნის მახარებელთან, თუმცა ორივე აშკარად მალაქაძეა. 1477 და 1488 წლებში კვლავ ჩნდება ჰორიზონტზე მდივან-მწიგნობარი მახარებელ მალაქაძე. 1488 წელს დაწერილი ალაპის წიგნის შინაარსის მიხედვით დედოფალი გულშარი 14 ათას თეთრს წირავს სალაპედ ავგაროზის ძეს და ანდრიაშვილს სანამ ქვათახევის ტაძარი ეგოსო (ე. ი. იღვესო, ს. ს.) და დაიწერა იგი „ხელითა მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა“. ამ საბუთის დამწერი აშკარად სხვა მახარებელ მალაქაძეა.

ამ დროს ქართლის მეფე იყო კონსტანტინე II (1479—1505 წ.წ.) დემეტრეს ძე. საფიქრებელია, რომ 1472 წელს: „წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა მახარებელ მალაქაძისადმი“, სწორედ კონსტანტინე მეფის მდივან-მწიგნობრის მახარებელ ოქროპირის ძე მალაქაძის მისამართით გაიცა. თ. უორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 290-ე გვერდზე დაცულია ასეთი საბუთი: „თქვენ,

¹ „ქართული სამართლის ძეგლები“. აკადემიკოს ისიდორე დოლიძის რედაქციით. 1978, III ტ. 23. 215.

მცხეთისავე ყმათა მალალაშვილსა ოქროპირსა და თქუენთა შვილთა მღვდელსა მახარებელსა“... იხილეთ სიგელ-გუჯარი: „1472 წ. მალალაძეთა სიგელი მღვდელი იოანე ლიპისაგან დაწერილი“. (მაშასადამე, მახარებელი ოქროპირის ძე მალალაძეა და არა მახარებელი „ივანიასძე“ მალალაძე, როგორც ზოგიერთ მკვლევარებს აქამდე შეცდომით მიაჩნიათ მხოლოდ იმიტომ, რომ მალალაძეები უმემკვიდრეოლ დარჩენილი ივანიძეების ადგილ-მამულის ფეოდალური მემკვიდრეები იყვნენ, ს. ს.).

მითუმეტეს, მღვდელ ივანე ლიპის ხელით დაწერილი საბუთი 1472 წელს გაცემულია ოქროპირ მალალაშვილსა და მის შვიდ ვაჟიშვილზე. ამრიგად, დადგინდა, XIV საუკუნის 70-იანი წლებიდან მოღვაწეობდა XV საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისამდე მახარებელი პირველი მალალაძე, რომელსაც ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: მარკოზი, ზაქარია და დავითი, XV საუკუნის 40-იან წლებში ჩნდება მეორე მახარებელი მალალაძე ჭუარისმტვირთველის თანამდებობაზე.

დ ა ს კ ვ ნ ა

სამოღვაწეო სარბიელზე მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელთა გამოჩენა არაერთი საბუთის მიხედვით იწყება XIV საუკუნის 70-იან წლებში; ამ დროს გვარის მეთაურები არიან: ამილბარი, დიმიტრი და გიორგი მალალაძეები. ასევე საბუთებში ფიგურირებს მღვდელი მხარებელი, რომელიც „ყრმობიდანვე კათალიკოსმა მცხეთას აღეზარდა“,¹ XIV საუკუნის 90-იან წლებში, ისტორიული ჩანაწერების მიხედვით იგი უკვე ქადაგი, მღვდელი, და კარისმწიგნობარია. არსებობს ვერსია, რომ XV საუკუნის 40-იან წლებში მახარებელი უკვე ცოცხალთა შორის აღარაა, ვინაიდან მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი დიმიტრი უკვე ქადაგად იხსენიება მცხეთის სვეტიცხოველში. ეს თანამდებობა კი შთამომავლობაზე მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ სხვა ისტორიული საბუთების და სიგელგუჯარების მიხედვით XV საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისსა და 70-იანი წლების დასაწყისში კვლავ ფიგურირებს ფსევდოევანგელისტი მახარებელ მალალაძე, ისტორიული ჩანაწერების მიხედვით იგი მეორე მახარებელი მალალაძე უნდა იყოს, რომელიც საქმიანობით მიმბაძველი იმიტატორი, ევანგელისტია. იგი უპირველეს ყოვლისა მწიგნობარი, ქადაგი, კალიგრაფ-მწერალია, საეკლესიო მედიცინის ქურუმი, რომელსაც უკავშირდება ტაო-კლარჯეთიდან ქართლში გადმოსახლებული ზაზა ციცის ძე „დიდი ფანასკერტელი“ და მათი უშუალო თანამონაწილეობით იწერება „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერის არაშინაზე ქარაგმულ ხუტურ წარწერებში 177 და 219-ე გვერდებზე მახარებელი იხსენიება „მჩხრეკელისა“ და „მშრომელის“ ებითეგებით, რაც ქართული ხელნაწერების შექმნის ტრადიციების მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, ზოგჯერ

¹ იხ. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომი, 1391 წლის სიგელ-გუჯარი მახარებელ მალალაძესა შვილთა: მარკოზსა, ზაქარიასა და დავითის მისამართით, გვ. 192.

დამწერს ნიშნავს. ზოგჯერ გადაწერს. ამ შემთხვევაში ალბათ დამწერს და
ქანაავტორსაც, მაგრამ ამ მოსაზრებას სჭირდება დამტკიცება პალეოგრაფიუ-
ლი შედარებითი ანალიზით, რაც მომავალი კვლევა-ძიების საქმეა და მომდევნო
ქვეთაეებში უნდა გაშუქდეს.

პართული თქმულაზა მაღალაქეების ეკლესიის ქვეშ განძის არსებობის შესახებ¹

„გორის მაზრაში, სოფელ კავთისხევთან ახლო, გზის მარჯვენა მხარეს,
რომელსაც ქვათა ხევისაქენ მიეყვართ, მდებარეობს ერთი ძველი ეკლესია,
რომელიც „მაღალანთ ეკლესიის“ სახელით არის ცნობილი. ეს ეკლესია მა-
ღალაქეების (მაღალაქეების, ს. ს.) — წარჩინებულ ფეოდალების კუთვნილ მიწა-
ზეა და, რასაკვირველია, ამიტომ არის ცნობილი ასეთი სახელწოდებით“ (რო-
გორც ჩანს, ამ მასალების შემკრებმა ე. ს. სტალინსკიმ არ იცოდა, რომ XIII
საუკუნის დასაწყისში ეს ეკლესია ივანიძეების საგვარეულოს ძვალშესალაგი
იყო, ხოლო XIV საუკუნის ბოლოს ეს ტერიტორია ივანიძეების უმემკვიდრე-
ოდ გადაშენების „სოფლისა ვითარებისა გამო“ გადაეცათ აზნაურ მა-
ღალაქეებს. ს. ს.). ამ ეკლესიას აქვს საკმაოდ ვრცელი შემოგარენი გა-
ლავანი. ამ ზღუდე გალავანში იყო ქართველთა თავშესაფარი, როცა
მათ საშიშროება ელოდათ უცხო თავდამსხმელთაგან. ხალხში დარჩენი-
ლია ასეთი თქმულება: თრიალეთის მთებში, რომელიც ეკლესიისაგან საკ-
მაო მანძილით არის დაშორებული, გაყვანილი იყო გვირაბი ამ ეკ-
ლესიის გალავანამდე. მწყემსები, რომლებსაც ჯოგი ჰყავდათ წაყვანილი თრია-
ლეთის მთების საძოვრებზე, ამ გვირაბის საშუალებით რძეს აწვდიდნენ გა-
ლავანში თავშეფარებულ ქართველებს. იმასაც ამბობენ, რომ ამ ეკლესიის
შენობის ქვეშ მიწაში განძეულობა ინახებოდა. გლეხობას არაერთხელ უც-
დია განძეულობამდე მიედწია, მაგრამ შესასვლელი გზა — გვირაბში ამ გან-
ძეულობამდე ძალიან გრძელი ყოფილა და სანთელი ქრებოდა ჰაერის უკმა-
რისობის გამო, ამიტომ ადგილამდე მიღწევა, სადაც ეს განძეულობა იყო
შენახული, ვერავინ ვერ შეძლო, როცა სანთელი ჩაქრებოდა, ყველანი უკან
გამორბოდნენ კივილით, ეგონათ ავი სული აქრობდა სანთელს. ერთხელ გა-
მოჩნდა ერთი მედგარი, გულადი, რომელმაც სიბნელეში მიწისქვეშა გვირაბში
შეაღწია და იქიდან გამოიტანა ვერცხლისა და ოქროს ნივთები და იშვიათი მო-
ნეტები — ფული.

აი რას უყვება თავის შვილს, ამჟამად უკვე მოხუცი ეს გულადი: „ჩემს
ახალგაზრდობაში, არაერთხელ გამიგია, რომ მაღალაქეების ეკლესიის ქვეშ

¹ Приложение к газете «Кавказ». Юбилейный сборник к столетию присоеди-
нения Грузии к России 1801—1901 гг.

Материалы собрал Е. С. Сталинский. Издано под редакцией К. Н. Бегиче-
ва. Тифлис, 1901.

განძეულობა ინახებოდა, მაგრამ ავი სულის შიშით, იქ შესვლას ვერავინ ბე-
დავდა. მე ვიყავი გამბედავი. ავიღე იოანე ღვთისმეტყველის სურათი (ხატი),
საკემგზავრე იქეთკენ და ვუთხარი ჩემს თავს: ან გამარჯვება, ან სიკვდილი.
შაღლობა ღმერთს, ჩემს მიზანს მივალწიე. ავიღე ქოთანი, რომელშიც ბევრი
ვერცხლის და სპილენძის ფული იყო, ვიყიდე ამ ფულით ხუთი-ექვსი წყვი-
ლი გამწვევი ძალა — ხარ-კამეჩი. გავმართე გუთანი, დავიჭირავე მუშები და
ამგვარად გავმდიდრდი. მაგრამ ჩემი ბედნიერება ხანგრძლივად არ გამოდგა.
ჩემმა მეუღლემ ამ დილიდან მოსვენება და ძილი დაკარგა. როგორც კი ოღნავ
ჩათვლემდა, მაშინვე კვილის მორთავდა: „მიშველეთ! განძეული ჯადოქარი
მახრჩობს, ჯადოქარს სურს ჩემი დახრჩობა“-ო. თავდაპირველად ამ ამბავს
არავითარი ყურადღება არ მივაქციე, ვფიქრობდი, ყველაფერი მალე გაივ-
ლის-მეთქი, მაგრამ ამის შემდეგ მეც მსგავსი უბედურება დამატყდა თავს.
ყოველდღე მეჩვენებოდა, ვიღაც ბერიკაცი მოდიოდა ჩემთან და მეუბნებო-
და, ფული უკან წამელო, თორემ, ვიღაც დედაბერი მოვა და დამახრჩობს.
დავიწყე სიარული მკითხავ-მოლა-შემლოცველებთან, ბოლოს ვიფიქრე ველარა-
ვინ მიშველიდა ამ უბედურებაში, მაშინ ადდექი და დარჩენილი ფულით ავა-
შენე ეკლესია იოანე ღვთისმეტყველის სახელზე“.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ხალხური თქმულებიდან მაღალაძეე-
ბის ეკლესიის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ უსაფუძვლოდ არავითარი
ხალხური თქმულების შეთხზვა არ ხდება. ყოველ ხალხურ თქმულებაში სი-
მართლის მარცვალია. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მაღალაძეეების ეკლე-
სიის ძირითადი შენობიდან 300 მეტრის დაშორებით ამჟამადაც სახეზეა „სო-
ლომონ მაღალაძის კოშკი“ ირიბი სათოფურებით, რომელიც თავდაცვის მიზ-
ნით არის აშენებული, ხოლო ამ კოშკს ირგვლივ ახლაც შეიმჩნევა ზღუდე —
გალავნის ნანგრევები. მაშასადამე ხალხური თქმულების კეშმარტებას ზე-
მოთ აღწერილი ფაქტები ადასტურებს. როგორც ჩანს, ამ კომპლექსში უცხო
ტომების შემოსევების შემთხვევაში არსებობდა თავშესაფარი და საიდუმლო
გვირაბი, რათა ციხე-სიმაგრე წყლით და სხვა საკვები პროდუქტებით მომარა-
გებულიყო. ამისავე დამადასტურებელია საქართველოს ტერიტორიაზე არა-
ერთი ნაგებობის შემოგარენში საიდუმლო გვირაბით მდინარესთან დაკავში-
რების ფაქტები. ასე მაგალითად, ასეთი გვირაბის ნაშთები ახლაც არის ვარ-
ძიის ციხე-ქალაქის კომპლექსში. ასეთივე საიდუმლო გვირაბით სამცხე-საა-
თაბაგოში ზარზმის ეკლესია დაკავშირებული ყოფილა მდინარესთან, გვირაბის
ნანგრევების ნაშთები დღესაც სახეზეა უფლისციხეში, გრემში, რკონში და
შუა საუკუნეებში აგებულ უამრავ ციხე-კოშკში. ხოლო მაღალაძეეების ეკ-
ლესიის ქვეშ განძეულობის შესანახად გასაიდუმლოებული გვირაბის და ხე-
ლოვნური გამოქვაბულის არსებობის ისტორიული ფაქტი არ არის რეალურ
სინამდვილეს მოკლებული. როგორც ჩანს, მაღალაძეეები XIV—XV—XVI—
XVII—XVIII საუკუნეებში ბაგრატიონების ტახტთან დაახლოებული აზნა-
ურები და საკმაოდ პირილეგირებული ფეოდალები იყვნენ. ამიტომ, შესაძ-

ლებელია, მათი ფეოდალური ძვალშესალაგი „მალაანთ ეკლესია“ განძეულობის შესანახად საიმედოდ დაცულ ადგილად ითვლებოდა შუა საუკუნეებში. თუ სახაზინო თანხა არა, მათ საკუთარიც საკმაოდ ექნებოდათ, რომ განძეულობისათვის საიდუმლო შესანახი ადგილი აეშენებინათ. ასეთი ვარაუდი ჩვენ საესებით დასაშვებად მიგვაჩნია, რამდენადაც იმ დროს შემნახველი სალაროები და ცენტრალიზებული ფინანსური ოპერაციების ჩასატარებელი სახელმწიფო ბანკები არ არსებობდა. ამიტომ საიდუმლო განძსაცავის არსებობა სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.

მალალაქმები — მღვიან-მწიგნობარ-განმანათლებლები — ქართული მედიცინის მოღვაწენი

საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიაში დღესდღეობით ჭეროვნად შესწავლილი არ არის მალალაქმების, იგივე მალალაშვილების, როლისა და ღვაწლის საკითხი. თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ და აკადემიკოს ისიდორე დოლიძის რედაქციით გამოცემული „ქართული სამართლის ძეგლები“ III ტომის მიხედვით დაუადგინეთ, რომ მალალაქმები, იგივე მალალაშვილები, სამოღვაწეო სარბიელზე გამოჩნდნენ XIV საუკუნის ბოლოს, „სოფლის ვითარებისა გამო... უმემკვიდრეოდ ქმნილი ივანიძეების“ ძვალშესალაგის ფეოდალურ მემკვიდრეებად და მათი მოღვაწეობა ინტენსიურად გააგრძელა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში დაცულია ასეთი საბუთი: „თქვენ მალალაშვილსა ოქროპირსა და თქვენთა შვილთა მახარებელსა, ზოსიმესა, ალექსანდრესა, გერმანოზსა, დავითსა, გრიგოლსა, და ეგნატისა... მოგეცათ... ივანაას ძისეული მამული“¹, როგორც ამ საბუთით ჩანს. ოქროპირსა და მის შვიდ ვაჟიშვილს გადაეცა უმემკვიდრეოდ ქმნილი ივანიძეების ადგილ-მამული, უფრო ადრე კი ფიგურირებენ ამილბარი, ვიორგი და დიმიტრი.

„ქართული სამართლის ძეგლებში“ დაცული დოკუმენტის მიხედვით „წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა მახარებელ მალალაძისადმი“ (1470 წელს გაცემული) ვიკებთ: „თქვენ მალალაქმთა მღვდელსა მახარებელსა თქვენთა შვილთა, გერმანოზს, მარკოზს, ეგნატის, დიმიტრის და მოგეცით ქვათახევის სასაფლაო მისითა ბოსტნითა და წალკოტით“²... ამავე საბუთითვე ვადგენთ, „რომ ოქროპირ მალალაშვილის უფროს ვაჟს მახარებელს, მის ოთხ ვაჟიშვილთან ერთად, მიეცა ადგილმამული ქართლში (მცხეთის არმაზის გავლით:

¹ თ. ჟორდანია, ქრონიკები. II ტომი, 1472. გვ. 290. მალალაქმთა სიგელი მღ. ი. დოლიძის გადაწერილი.

² „ქართული სამართლის ძეგლები“, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები XI-XIX სს. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., მეცნიერებათა, 1970. გვ. 215.

კვათხევი, წინარეხი, კავთისხევი და სხვა) ამ სიგელგუჯარის ტექსტში წალოკტის ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგანაც ეს სიტყვა ისტორიულ წყაროებში, საერთოდ, იშვიათად გვხვდება. საყარაუდოა, რომ წალოკტში მალაღაძეები სამკურნალო მცენარეებს აშენებდნენ. თ. ყორდანის „ქრონიკების“ ჩანაწერები გვამცნობს, რომ მახარებელ მალაღაძე 1377 წლიდან 1442 წლამდე ქვათახევიში, წინარეხში, მცხეთასა და სვეტიცხოველში იყო „ქარის მდივან-მწიგნობარი“, „გუჯარისმტვირთველი“, „სახლთუხუცესი“, „სვეტიცხოელის ქადაგი“ და სხვა თანამდებობის მფლობელი. როგორც დავაღვინეთ დედნების პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის საფუძველზე მალაღაძეების საგვარეულოში XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა მახარებელი I, ხოლო XV საუკუნის II ნახევარში მახარებელ ოქროპირისძე მალაღაძე, მახარებელი II.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერის ფონდის Q—377-ის და 177r-ისა და 219V გვ.-ის არშიაზე ქარაგმული წარწერები პროფესორებმა: კ. გრიგოლიამ და ი. აბულაძემ ასეთნაირად გაშიფრეს: „ქრისტე, შეიწყალე მჩხრეკელი ამისა უღირსი მახარებელი, ამინ“ და „მშრომლისა მახარებლისათვის შენდობაი ყავთ“. მაშასადამე, ხელნაწერში XV საუკუნის II ნახევრის მოღვაწე მეორე მახარებელი, ანუ მახარებელი ოქროპირის ძე მალაღაძე „მჩხრეკელისა“ და „მშრომელის“ ეპითეტებით იხსენიება. წინამდებარე ხელნაწერზე თავფურცლის დაკარგვის გამო ავტორთა ზუსტი ვინაობის საკითხი ჭერჭერობით ბურუსით არის მოცული. ხელნაწერის ფურცლების არშიაზე მათი ვინაობა ქართველმა მეცლევარებმა ქარაგმული წარწერების შინაარსის მიხედვით ივარაუდეს. დღემდე გამოკვლეული მასალების მიხედვით აწ ვანსვენელის პროფ. კოტე გრიგოლია, პროფ. ილია აბულაძე და საქართველოს მედიცინის ისტორიის მეცლევარი პროფ. მიხეილ სააკაშვილი მის ავტორად ზაზა ფანასკერტელს მიიჩნევენ, ხოლო გადამწერად მახარებელ მალაღაძეს. პროფ. მიხეილ შენგელია ამ ხელნაწერის ავტორად ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს ასახელებს, ამავე აზრს იზიარებდა პროფ. დავით მამამთავრიშვილი და აქაც მეცლევარები გადამწერის ფუნქციას მახარებელ მალაღაძეს მიაკუთვნებდნენ. საგულისხმოა, რომ ფანასკერტელების გვარში ციციშვილების განშტოება XVI საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა, ხელნაწერი პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით კი — XV საუკუნეში დაიწერა.

ამ 1368-ვერდინანი ხელნაწერის ავტორთა ვინაობის ზუსტად გარკვევისა და ამ საპრობლემო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამ ჩვენი დიდი ინტერესი გამოიწვია. 1981 წელს ჩვენი ინიციატივით მალაღაძეების ძეგლის მდამოებში სოფ. წინარეხში (კასპის რაიონი) ჩავატარეთ არქეოლოგიური გათხრები.

მალაღაძეთა ეკლესიის დეტალური კვლევა-ძიების შედეგებმა და წერილობით წყაროებში დაცულმა დოკუმენტებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. 1979 წელს მალაღაძეების ეკლესიის ეზოს გალავანში მივაკვლიეთ ვარძიაში

არსებული აფთიაქის ანალოგიურ 500-მდე თახჩა-აფთიაქის კედლის ნანგრევებს. საინტერესო აღმოჩნდა ასევე მაღალაძეების ეკლესიის დამატებითი ეგვიპტის კედელზე „წმინდანის ვედრების კომპოზიცია“, აქვეა გამოსახული მედიცინის ემბლემა — დაკლავნილი გველი და ადამიანთა ფათერაკები-საგან დამცველი ავგაროზი — ასტრალური სიმბოლური გამოსახულება — შვიდი ცხვარი. აფთიაქის შენობის — წამლის სასახლის არქეოლოგიურმა გათხრებმა აღმოგვაჩინა ლითონის მასა — ბორწყალი და ბრინჯაოს „ნიჟარები“. არქეოლოგიური გათხრები გრძელდება.

სოფ. წინარეხში მაღალაანთ ეკლესიაში შემორჩენილია ფრესკა, რომელიც 1679 წლით არის დათარიღებული, და XIX საუკუნეში ცნობილმა რუსმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა (1810—1893 წ. წ.) გადმოხატა. ამ სურათზე ცენტრში წარმოდგენილია თეთრი ფაფუკი წვერით სახლთუხუცესი პაპუა მაღალაძე, მარჯვნივ ქალბატონი ელენე, ქალიშვილი ხვარაშანი და სახლთუხუცესი გიორგი. მარცხენა მხარეს ვედრების პოზაში გამოხატულია სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი ნიკოლოზი, სახლთუხუცესი რევაზი, კეთილსახსენებლები: პაატა, მამუკა, მდივან-მწიგნობრები: ზურაბი და ადამი.

ამ ადგილებში გავრცელებული მცენარეების სიმრავლის ფარმაკო-ბოტანიკურმა გამოკვლევამ, დოცენტ ზურაბ შენგელიას ხელმძღვანელობით, დაგვარწმუნა, რომ წალკოტში მაღალაძეები ნაირგვარ სამკურნალო მცენარეებს აშენებდნენ, ამის დამადასტურებელია ამჟამად აქ გავრცელებული სახით შემორჩენილი მათი ნაშთები და თვით „წალკოტის“ განმარტება — რაც ძალიან ლამაზ ბაღს ნიშნავს.

ქვთახევის ეკლესიაში დღემდე შემორჩენილია ფალოსის კულტი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აქ უშვილობას მკურნალობდნენ. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის გამოკვლევული მასალების მიხედვით სოფელ წინარეხში სვანური კოშკის მსგავსი ნაგებობა „სოლომონ მაღალაძის კოშკია“, რომლის კედელში ჩაშენებულია ტრაპეციული ფორმის შინდისფერი ქვა, სადაც რელიეფურად არის ამოტვიფრული ხარირემი, ვეფხვი და მგელი.

ქართული საგვარეულო ჰერალდიკის ტრადიციების მიხედვით, ამ შინდისფერ ქვაზე მაღალაძეების საგვარეულო გერბის ელემენტები უნდა იყოს გამოსახული.

ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. წარმართული ეპოქის III, II და I ათასწლეულში ირმის სიმბოლური გამოსახვა სიკეთის სათავედ იყო მიჩნეული და მკურნალობის ტრადიციების თვალსაზრისით ეს სიმბოლიკა ახალი წელთაღრიცხვის პერიოდშიც იგივეს გულისხმობდა, შუა საუკუნეებში ირმის გამოსახულება ამშვენებდა ბებუთაშვილების, რატიშვილების, თარხან-მოურავების, ფალავან-დიშვილების, ქაჭკვაძეებისა და სხვა ფეოდალთა საგვარეულო გერბებს. იმავე საუკუნეში ვეფხვი სიმამაცისა და საგმირო ჰეროიკული ბრძოლის სიმბოლოდ ითვლებოდა. ხშირია ლომების გამოსახვის ტრადიციებიც.

შუა საუკუნეებშივე ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხშირად არის რელიეფურად გამოსახული ფრთოსანი ფასკუნჯები — ვეფხვები,

ხოლო „ქვესკნელის ძალის“ — მგლის გამოსახულებას ძველ საქართველოში, ტრადიციულად, ბრძოლისუნარიანობის, ფიზიკური ძლიერების და ბოროტებასთან შეურიგებლობის ბრძოლის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. „ამრიგად ვახტანგს შეექმნა მუზარადასა ზედა წინ მგელი და უკან ლომი“. ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე, აქედანვე წარმოდგება მეფე ვახტანგის სახელის სპარსული ჰედწოდება „გორგასალი“ — მგლის თაეა. მამასადაძე, კოშკზე გამოსახულია სიკეთის, სათნოების და სამედიცინო ტრადიციების სიმბოლური სათავე ქორბუდა ირემი, ძლიერების სიმბოლო მგელი და ბოროტებასთან სიკეთის ჰეროიკული ბრძოლის სიმბოლო — ვეფხვი. „სოლომონ მაღალაძის კოშკის“ სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს მწვანე და შინდისფერ რომბის მსგავს ქვებზე რელიეფურად არის გამოსახული ტრადიციული კომპოზიცია: „წმინდა გიორგი ამარცხებს ურჩხულს“, ესეც სიკეთისა და ბოროტების შეურიგებელი ბრძოლის სიმბოლოდ უნდა ავხსნათ. მაღალაძეების ეკლესიის სამალავ ჰერში, ანუ აღსავლის კარების ნატეხზე აღმოვაჩინეთ ფერწერული ტილო, რომელზედაც მხედრული წარწერაა „მახარებელი“. ჩვენი აზრით, ესაა ფსევდოევანგელისტი მახარებელი მაღალაძე, რადგან საგვარეულო ეკლესიის საკურთხევლის კარებზე ბერის სურათს უსაფუძვლოდ არ გამოსხატავდნენ, თანაც მახარებელს და ისიც მაღალაძეების ეკლესიაში. რაც შეეხება ამ უნიკალურ ფარმაკოპეაზე „დიდმან ფანასკერტლმანის“ და „ჩვენ პატრონ ზაზა მკურნალთან“ ერთად ქარაგმულ წარწერებში მახარებლის ხსენება „მხარეკელის“ და „მშრომელის“ ეპითეტებით. არ უნდა იყოს შემთხვევითი, მით უმეტეს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ არგუმენტებთან ერთად მახარებელ მაღალაძე ქრონოლოგიურად უფრო ახლოა ანალოგიური სამედიცინო წყაროების დაწერის ტრადიციებთან. მაგალითად: „უსწორო კარაბადინის“ (XI ს.) ავტორის ქანანელის გავლენას აშკარად განიცდის ეს „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, ხოლო ჭუარისმტვირთველ ანტონ ჰყონდიდელის დავალებით ხოჯაყოფლის მიერ გადმოქართულებულ „წიგნი სააქიმოსის“ ტრადიციებთან, მახარებელ პირველის ასაკი უფრო უახლოვდება სამედიცინო ხელნაწერების შექმნის ტრადიციებს ქართლში, ვიდრე ზაზა ციციის ძე ფანასკერტელის ტაო-კლარჯეთიდან გადმოსახლება. მაგრამ ამ მახარებელ მაღალაძეს და მის ხელნაწერებს პოლეოგრაფიულად საერთო არაფერი აღმოაჩნდა ამ კარაბადინთან. თუმცა პირველ მახარებელ მაღალაძეს პრიორიტეტი ეკუთვნის მაღალაძეთა შორის ხელნაწერების შექმნაში. იგი მწერლობისა და მწიგნობრობის ტრადიციების საფუძვლის ჩამყრელია. ფანასკერტელები ხომ ქართლში მხოლოდ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. ზაზა ფანასკერტელი XV საუკუნის II ნახევრის მოღვაწეს — მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეს უკავშირდება. უსათუოდ მხედველობაშია მისაღები პროფესორების: კოტე გრიგოლისა და ილია აბულაძის მიერ 1950 წელს გამოკვლეული და გამოქვეყნებული პალეოგრაფიული ანალიზის შედეგები, რომლის მიხედვით წინამდებარე ხელნაწერის 1008 გვერდი ერთ ავტორს მიეკუთვნება, ხოლო 360 გვერდი მეორეს



მალაქების კოშკების საერთო ხედი სოფელ წინარეხში (კასპის რაიონი).

(ავტორთა ნუსხა პირობითია. ს. ს.) ფრიად საინტერესოა იმის გარკვევა, თუ ამ გვერდებიდან რომელი ეკუთვნის მახარებელ ოქროპირის ძე მალაქეს და რომელი ზაზა ციციის ძე ფანასკერტელს? ამის გარკვევა ჩვენთვის შესაძლებელი გახდა მახარებელ ოქროპირის ძე მალაქის ხელით დაწერილი ფანიაშვილების გუჯარის აღმოჩენის შემდეგ, რომელსაც ცალკე ქვეთავში განვიხილავთ. ამჟამად უფლებამოსილი ვართ, განვაცხადოთ, რომ ქართული მედიცინის ისტორიას შეემატა ახალი მოღვაწე, რომელსაც იოიო წვლილი შეუტანია ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლების შექმნაში და საკმაოდ მძლავრი სამედიცინო კერის დაარსებასა თუ ივანიძეების მიერ შექმნილი ტრადიციების გაგრძელებაში. დღესდღეობით შეიძლება ერთნაირი უფლებით ვამტკიცოთ, რომ „სამკურნალო წიგნი კარაბაღინის“ ავტორები არიან მახარებელ მალაქე და ზაზა ფანასკერტელი. უფრო მეტიც, არსებობს მრავალი საბუთი, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ მალაქეთა ოჯახი ერთ-ერთი იმათგანია, სადაც ტრადიციულად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა საერთოდ და, კერძოდ, მედიცინის დარგში. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა „წიგნი სააქიმოსის“ ერთ-ერთი ვარიანტის სათავგადასავლო ისტორია. ლადო კოტეტიშვილის მიერ ეს წიგნი XII—XIII საუკუნის ხელნაწერად არის დათარიღებული, მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ XV—XVI ს-ების მიჯნაზე გადაწე-



„წიგნი სააქიმოს“ სატიტულო გვერდზე არის წარწერა: „არქიმანდრიტი გერმანე“, რომელიც შეიძლება გერმანე ოქროპირის ძე მაღალაძე იყოს. იგი მოღვაწეობდა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე და ხელნაწერო კვირსინისეისა და სხვა მონაცემების მიუხედავად ამ ეპოქით თარიღდება. არქიმანდრიტობა კი მაღალაძეების საგვარეულო თანამდებობა იყო (?). მაღლოგრაფიული მტკიცება ამ ეტაპზე არ მოხერხდა. გერმანე ერქვა მახარებელ II მაღალაძის ერთ-ერთ ვაჟსაც. ვინ იყო „არქიმანდრიტი გერმანე“?

რილი პირი ხუცური დამწერლობით. ფონდი S № 1476. ამ ხელნაწერის მე-6 გვერდზე ორიგინალურად გამოკვეთილია: „არქიმანდრიტი გერმანე“. ბუნებრივია იბადება კითხვა. „ვინ არის არქიმანდრიტი გერმანე?“ XV-XVI საუკუნეებში თანამდებობრივ ტრადიციებს და საგვარეულო პირთა სახელის კვალს ისევ მაღალაძეებთან მივყავართ. გერმანე — მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძის ერთ-ერთ ძმას და ერთ-ერთ შვილსაც ერქვა. ისტორიულ სასკოლებში იგი ქადაგის თანამდებობაზედაც იხსენიება „დაიწერა ხელითა ქადაგიშვილისა გერმანესითა“. მაშასადავე, გერმანოზი — გერმანე გვარად მაღალაძეა და მისი შვილი პროფესიონალი მღვიან-მწიგნობარია, სიგელ-გუჯარების დამწერი. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ნიკოლოზი XVII საუკუნეში რეგიონალური საბუთებით იხსენიება სვეტიცხოვლის არქიმანდრიტის თანამდებობაზე. სვეტიცხოვლის მამასახლისი ნიკოლოზი შემთხვევით ვერ აახდებოდა საფიქრებელია, რომ ქადაგი გერმანოზ მაღალაძე შემდგომში არქიმანდრიტი გახდა და „წიგნი სააქიმოს“ ხუცური ვარიანტი, ან მის მიერვე გადაწერილი, ან მისი ფეოდალური საკუთრების მიმინიშნებელია მე-6 გვერდზე წარწერა „არქიმანდრიტი გერმანე“. რა თქმა უნდა, ამ ვერ-

სიას ესაჭიროება დამატებითი პალეოგრაფიული არგუმენტირებული მტკიცებანი, მაგრამ მდივან-მწიგნობრობის და კალიგრაფობის ტრადიციებს კარაბადინის შედგენაში ემატება მალაქაძეების არქიმანდრიტის მემკვიდრეობითი თანამდებობა. თვით წარწერა კი ვეაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გერმანე მალაქაძის ღვაწლთან, რადგან მისი უფროსი ძმა მახარებელი სამკურნალო წიგნის შედგენის თანამონაწილეა. ამ სავარაუდო არგუმენტებს ემატება გერმანოზ ოქროპირის ძე მალაქაძის მოღვაწეობა XV—XVI საუკუნეების მიჯნაზე და ეს სამედიცინო ხელნაწერიც ამ პერიოდით თარიღდება. თუ „არქიმანდრიტი გერმანე“ მახარებლის ერთ-ერთი უმცროსი ძმა არ არის, მაშინ შესაძლებელია ეს გერმანე — მახარებლის ერთ-ერთი ვაჟიშვილია, რასაც პასუხი პალეოგრაფიულმა შედარებითმა ანალიზებმა უნდა გასცეს.

შუა საუკუნეებში „სენთა კურნების“ საკითხი „ჭუარისმტვირთველთა“ კომპეტენციაში შედიოდა. რელიგიის ბატონობის შესაბამისად, მალაქაძეების ეკლესიის შემოგარენში მოქმედებდა ჯანმრთელობის დაცვის კერა, სადაც შეიქმნა XV საუკუნის შესანიშნავი ძეგლი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“: „კაცთა ყველა ჰირის“... სამკურნალოდ, „აჯეთ თმითგან ვიდრე ფერხისა ფრჩხილთამდი“, რომელიც უხვად შეიცავს წამლების მომზადების წესებს, საფთვობა საქმის უნიკალურ ცნობებს.

„წიგნი სააქიმოს“ გადაწერის კვალს გერმანე ოქროპირის ძე, ან გერმანე მახარებელის ძე მალაქაძესთან მივყავართ.

მასალები კავთუხრას ხეობაში წალკოტის, ანუ ქვემის ბაღის არსებობაზე

მალაქაძეების, იგივე მალაქაშვილების ღვაწლისა და როლის საკითხი საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიაში ფრიალ აქტუალურია. ისტორიული მასალებით ვგებულობთ, რომ მალაქაძეების სამედიცინო ტრადიციებს საფუძველი XII—XIII—XIV საუკუნეებში იფანიძეებმა მოუშადადეს.

დღემდე შემორჩენილი ისტორიული დოკუმენტებით დადგენილია, რომ მალაქაძეების მოღვაწეობა იწყება XIV საუკუნის ბოლოს და მათი ფეოდალური კრივილეგია ინტენსიურად გრძელდება XVIII—XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, ანუ საქართველოს მედიცინის ისტორიაში კარგად ცნობილი „გარდაწავალი პერიოდის“ ბოლომდე. ეს საკმაოდ ვრცელი ისტორიული მონაცემთა და ამ საუკუნეებში არაერთი მალაქაძე-მალაქაშვილი ეწეოდა „სენთა“ შვილო საქმეების თაოსნობას. გამომკვემლობა „მეცნიერებამ“ 1970 წელს კამოსცა „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომი, აკადემიკოს ისიდორე დოლიძის რედაქციით, მის მიერვე თანდართული შენიშვნებით, საძიებლებით და კომენტარებით. ამ წიგნის 213-ე გვერდზე გამოქვეყნებულია № 36 საბუთის ტექსტი, რომელიც 1470 წლითაა დათარიღებული, და სათაური შემდგენარად იკითხება: „წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მალაქაძისადმი“, მაგრამ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის მიხედვით (გამოცა 1897 წელს) მალაქაძეები სამოღვაწეო ასპარეზზე XIV

საუკუნის მიწურულში ჩნდებიან და 1377 წელს ერთ-ერთი წარმომადგენელი ამ გვარისა წერს: „გუჯარი მაყაშვილთას“ „ხელითა ჩუენისა კარის მწიგნობრისა მახარებლისათა“, ე. ი. მეფე ბაგრატ დიდის შვილის მეფე გიორგის კარზე ერთ-ერთი მაღალაძე სახელად „მახარებელი“ „კარის მწიგნობრის“ ეპითეტით იხსენიება, ხოლო 1391 წელს: „მეფეთ მეფე გიორგისა ძემან პატრონმან მეფე ალექსანდრე“... „და ნიშანი გიბოძეთ და მოგეცით თქუენ ჩუენისა საყდრის შვილთა ქადაგსა მახარებლისა“... და ეს სიგელი „დაიწერა ხელითა წირქუა-ლელი მუშრებისა რატისითა“.

„ქართული სამართლის ძეგლების“ ფურცლებზე დაცულ წერილობით საბუთებში ვგებულობთ, რომ მდინარე კავთურას ხეობაში ივანიძეებს XI!—XIII—XIV საუკუნეებში წალკოტი ჰქონიათ გაშენებული. სავარაუდოა, რომ ამ ედემის ბალ-წალკოტში ივანიძეები სამკურნალო მცენარეებსაც აშენებდნენ, რომელიც სხვა მატერიალურ ფასეულობასა და სამონასტრო ძეგლების ნაგებობასთან ერთად მაღალაძეებს გადაეცათ. 1391 წელს გაცემული მეორე სიგელის საშუალებით ვადგენთ, რომ „ქადაგსა მახარებელსა, თქვენ შვილთა მარკოზსა და ზაქარიასა და დავითს“!... გადაეცა ადგილ-მამულები მდ. კავთურას ხეობაში... „დაიწერა ხელითა კარისა მწიგნობრისა ჩუენისა იოანესითა“, (ლაპარაკია მღვდელ იოანე ლიაძის შესახებ, ს. ს.) და შემდეგ ხელმოწერა მეფე ალექსანდრესია. იქვეა ვაქოშვილები: გიორგი და დიმიტრი. მასასადამე, ამ საბუთის მიხედვით XIV საუკუნის ბოლოს ფსევდოევანგელისტი, მიმბაძველი ანუ იმიტატორი, ევანგელისტი იოანე მახარობლისა, რომელიც IV საუკუნეში მოღვაწეობდა, ქადაგი მახარებელი, იგივე მაღალაძე „კარის მწიგნობარი“ ყოფილა. მისი კრიტიკიუმა: მწიგნობრობა, სენთა კურნების ცოდნა ისტორიულ საბუთებში არ ჩანს. მას სახელად ჰქვია ევანგელისტის ზედწოდება „მახარებელი“. 1472 წელს გაცემული საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ მაღალაძეები XV საუკუნეში ფეოდალურ აღორძინებას აღწევენ სასულიერო-საეკლესიო თვალსაზრისითაც და ადგილ-მამულებსაც იძენენ პირად ფეოდალურ გამგებლობაში. როგორც ზემოთ ითქვა, „ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომის 213-ე გვერდზე 1470 წლის თარიღით გაცემულ სიგელში სათაურით: „წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მაღალაძისადმი“ ტექსტში წერია: „ბრძანებითა და ნებართვითა ღმრთივ გუერგუნოსანისა მეფედ-მეფისა ბაგრატიისითა და სრულიად მცხეთიშვილთა ჩუენთაგან კითხვითა და მოწმეობითა“... და შემდეგ ასეთნაირად აჯილდოებენ მაღალაძეების გვარს: „თქუენ მაღალაძეს ძეთა მღვდელსა მახარებელსა და თქუენთა შვილთა გერმანოზს, მარკოზს, ეგნატის და დი-

1-2 ამ ორი საბუთის შედარებისას, მახარებელს ერთ შემთხვევაში ჰყავს სამი შვილი: მარკოზი, ზაქარია და დავითი. მეორე შემთხვევაში კი — თოხი — გერმანოზი, მარკოზი, ეგნატი და დიმიტრი. პალეოგრაფიულად იქნა ჩვენს მიერ დადგენილი, რომ ორ სხვადასხვა ისტორიულ პიროვნება — მახარებელ მაღალაძესთან გვაქვს საქმე, ერთ-ერთი მათგანი I მახარებელი მაღალაძე მოღვაწეობდა XI-V საუკუნეებში, II მახარებელი XV საუკუნის II ნახევარში.

მიტრის, შვილთა და მომავალთა სახლისა და ქვენითა ყოველათვე“... და შემდეგ ბოძებულ სიგელში ახსნილია ვითარება მაღალაძეების გვარის დაწინაურებისა. კერძოდ: „ივანიას ძისა სახელი მოშლილიყო და უნათესაო და უძეოდ გარდაევილია“... და მათი (ე. ი. ივანიძეების გვარის უკანასკნელი შტოს წარმომადგენელი, ს. ს.) „ქადაგისა დიმიტრისათვის... იგიცა უნათესაო დარჩა“... ამიტომ „და ვინათგან შენ (მაღალაძის გვარის ერთ-ერთი თავკაცი მახარებელი, ს. ს.) მცხეთასა და კათალიკოსთა მცირე ყმა აღეზარდე და თქვენი სახლი და მამული ძველთაგან სხუაგანისა მცხეთისა იყო, ივანიას ძეთა და ქადაგისა დიმიტრისა შედეგად მათსა სახლსა და მამულსა ზედა შეგიყუანეთ და დაგსურთ ივანიაძეთ. ივანიას ძისა და ქადაგის დიმიტრის წესითა“ და საქმითა“ „ივანიასძედ ივანიასძისა“ (უსათუოდ 1472 წელს სიმტიციის წივის განახლებზეა ლაპარაკი, ივანიძეების ადგილ-მამულის მაღალაძეებისათვის შემკვიდრების გადაცემასზე, თორემ ეს შემკვიდრება მათ ხომ 1391 წელს მიიღეს? ძველსა და ახალ სიმტიციის წიგნებს შორის სხვაობა 81 წელია? ს. ს.). ამის შემდეგ, ტექსტში ჩამოთვლილია მდ. მტკვრის სანაპირო რეგიონის მთელი რიგი ტოპონიმები სოფლებისა და ადგილ-მდებარეობისა, რომელსაც ბოძებული ადგილ-მამული მოიცავდა. მათ შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ შემდეგ ფრაზებს: „და მოგეცით: (ამავე წყაროს „ქართული სამართლის ძეგლების“ 215 გვერდის მიხედვით) კავთისხევის სასახლე ეკლესიითა... ქალთა, ქვათახევის — სასაფლაო, მისითა ბოსტნითა და წალკოტითა“.¹ აი ეს „წალკოტი“ არის ფრიად მნიშვნელოვანი სიტყვა, როგორც საქართველოს მედიცინის, ასევე ფარმაციის ისტორიის და კერძოდ ფარმაკო-გნოზის თვალსაზრისით, ვინაიდან აქ ლაპარაკია წალკოტზე — ედემის ბალზე, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ამ „წალკოტში“ სამკურნალო მცენარეების მოშენებაზე უნდა იყოს ლაპარაკი. სამკურნალო მცენარეების ნაშთები გაველურებული სახით ქვათახევის ეკლესიის და სოფელ წინარეხის ველებზე, მდინარე კავთურას ნაპირებზე და მაღალანთ ეკლესიის შემოგარენში აშკარად შეიმჩნევა დღესაც.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „ადწერა სამეფოსა საქართველოსა“ (თბილისი 1941 წელი თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) 55 გვერდზე კავთისხევის შესახებ წერს: „ნიჩბისის დასავლეთით ხევი კავთისა. გამოდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის სამხრეთიდან (ლაპარაკია მდინარე კავთურაზე, ს. ს.), ქვათახევამდე ვენახოვანი, ხილიანი. ქვათახევს არს მონასტერი ყოვლის წმინდისა, გუმბათიანი, შვენიერნაშენი: ზის არქიმანდრიტი და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი, ზამთარ თბილი. გარემოს

¹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H 1352, წყალობის წიგნი დავით კათალიკოზის მახარებელ მაღალაძისადმი“ 1470 წელი. დედანი. ფოტო ქვეყნდება პირველად.

მთა ტყიანი, შენობა მრავალნი — მას შინა შეჰყარა ლანგთემურ მოწესენი (მაშასადამე საეკლესიო დარგის მსახურნი. ს. ს.) და შეასხა ეყვანნი (რომელნი იტყოდნენ: „ვია ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვეელარუნებინა“) და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ხელნი, ფერხნი, თავნი და გვამნი. არავინ შევალს ფეხცმული, არამედ ფერხშიშველნი, სიწმინდისათვის, ამას ზეით, დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა, მაღალს კლდესა ზედა შენი. კავთას ქვეით ერთვის ამ ხევს ხევი გუდარეხისა. წინარეხის აღმოსავლეთი და გომიჯვრის ზეით არს მონასტერი ლავრა, გუმბათიანი, შვეთიერს ადგილს და აწ უქმად. გუდარეხის — ხევზედ არს თვალივის სასახლე ძეფეთა ნაშენობა დიდი.¹ ასეთნაირად, დეტალურად აღწერს ამ ადგილმდებარეობის გეოგრაფიას და არქიტექტურული ძეგლების განლაგებას ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც დაასკვნის რომ: „ხევზედ არს თვალივის სასახლე ძეფეთა ნაშენობა დიდი“. ამ ადგილმდებარეობის შესწავლისას ჩვენ დავინტერესდით კლიმატით და ვისარგებლეთ მ. კორძაბიას მეცნიერული გამოკვლევით.² ჩვენი საკვლევი რაიონი ზღვის დონიდან არის 600 მეტრის სიმაღლეზე და ტერიტორიულად შივა ქართლის ბარის კლიმატურ ზონაშია. აქაური რელიეფი ხელს უწყობს ზამთარში თერმული ინვერსიების გადიდებას და ჰაერის ქვედა ფენების გადანაცვლებას. ნიადაგი თოვლის საბურველით იფარება. თვიური ტემპერატურა შიდა ქართლის ბარის ქვედა ნაწილში 0,5—0,7°-ით უფრო დაბალია, ვიდრე მის ირგვლივ მდებარე მთათა ფერდობებზე. ზამთარი აქ მნიშვნელოვნად უფრო ცივია. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა 23—24° უდრის, შემოდგომა 2,0—2,5°-ით თბილია. გაზაფხულზე ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი შეიძლება დაეცეს 25°-მდე, ხოლო აბსოლუტური მინიმუმებიდან საშუალო 14-15°-ს უდრის. წლიურად ყინვიან დღეთა რიცხვი მერყეობს 90—100-ის ფარგლებში. იანვარში მინიმალური ტემპერატურა 0°-ზე დაბალია. ამ რაიონის უმეტეს ტერიტორიაზე საშუალო დღელამური ტემპერატურა ჩვეულებრივად აღემატება 10°-ს. ქარი რაიონის უმეტეს ნაწილში წლის ყველა სეზონში საკმაოდ მნიშვნელოვანია და საშუალოდ წლიურად დაახლოებით 4 მ/წმ უდრის. დასავლეთის ქარი ჩვეულებრივ გრილია და ნესტიანი, რომელსაც ზოგჯერ იშვიათად ტონური ხასიათი აქვს. აღმოსავლეთის ქარები კი აქ მეტწილად ზაფხულის თვეებში იცის, რომელიც ხშირად ცხელია, ეს მშრალი ატმოსფერული ნალექების რაოდენობა საკვლევ რაიონში 500—525 მმ-ს არსად არ აღემატება. თვიური ნალექების რაოდენობა უდიდესია მაისში (70—100 მმ), უმცირესი კი იშვიათია, რაც 25 მმ არ აღემატება. რაიონის ტერიტორია თოვლის საბურველით წელიწადში საშუალოდ 40—50 დღეა დაფარული, რომლის საშუალო სიმაღლე 10 სმ-ია. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე ამ რაიონში დაახლო-

¹ „ქართლის ცხოვრება“. IV ტომი, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „საბჭოთა საქართველო, თბ., 1973 წ., გვ. 300.

² მ. კორძაბია, საქართველოს ჰავა. თბ. 1961.

Handwritten text in Georgian script, likely a manuscript page. The text is dense and appears to be a historical or religious document. The script is in a traditional Georgian hand, possibly from the 17th or 18th century. The page is framed by a dark border, suggesting it is a scan of a physical document.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახ. ბელაწერტა ინსტიტუტის ფონდი. H-1352 „წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მალაღისადმი“, საბუთი დედანია, თარიღი 1470 წელია, კალიგრაფი უცნობია. ფოტო ქვეყნდება პირველად. მალაღიების მისამართით გაცემულ, ჭერჭერობით ცნობილ სიგელ-გუჯრებში, მხოლოდ მახარებელ მეორე მალაღის მისამართით გაცემულ ამ საბუთის ტექსტში იხსენიება სიტყვა „წალკოტი“ — ძალიან ლამაზი ბაღი.

ებით 70% უდრის, ზამთარში 80—85%-ით დაბალია. აბსოლუტური სინოტივე იანვარში საშუალოდ 5—6 მმ უდრის, უდიდესი ივლის-აგვისტოში 19—20 მმ.

აი სწორედ ასეთი ჰავა ხელს უწყობს ამ ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ჭაგეკლიანი მცენარეულობის გავრცელებას.

წინამდებარე გამოსაკვლევი რეგიონის დეტალების შესწავლის მიზნით ვისარგებლეთ მ. საბაშვილის მეცნიერული ნაშრომით¹, ვინაიდან ნიადაგ-მცოდნეობის თვალსაზრისით შესაძლებლობა გვეძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ ამ გამოსაკვლევ რეგიონში ველურად მოზარდი და კულტივაციის გზით სამკურნალო მცენარეების მოშენების შესაძლებლობებზე. საკვლევი რაიონი მოქცეულია აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ტყის ნიადაგების ზონაში, კერძოდ თრიალეთის ქედის ჩრდილო და აღმოსავლეთ ფერდობთა რაიონის ფარგლებში. აღნიშნული ზონა მდებარეობს საქართველოს ტყე-ველისა და მთა-მდელოთა ზონების შორის. თავისი დასერილი რელიეფით იგი ველის ზონას ესაზღვრება და მისი ქვედა საზღვარი 800 და უფრო ნაკლები მეტრის სიმაღლემდე იწევს, იგი მიეკუთვნება თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობების საშუალო მთიან ზოლს, ტყის ყომრალი, ე. წ. გამწარებული ყომრალი ხიადაგების რაიონს. აქ მონაწილეობენ პალეოზური, იურული, ე. წ. ცარცული ქანები, რომლებიც ერთმანეთს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ენაცვლებიან. აქ გაბატონებულია იურული ასაკის ქვიშა-ქვები და კირნარ-თიხოვანი ფიქალები, რომლებიც ძირითადად ნიადაგწარმოქმნელ ქანებს წარმოადგენენ. კასპის რაიონის ნიადაგები შესწავლილი აქვთ გ. ახვლედიანსა და ს. ცინცაძეს. ტყის ყომრალ ნიადაგებს ყველაზე მეტი ადგილი უკავიათ მთა-ტყის ზონის შუა ნაწილში, ფოთლიანი ტყის სარტყელში. ეროზიული პროცესების ძლიერი განვითარების გამო, ციკაბო ფერდობებზე, იმ ადგილებში, სადაც ტყეების უსისტემო კაფვა მიმდინარეობდა, დიდი ადგილი უკავია მცირე სისქის, სატყეო განვითარებულ და ზოგან ძლიერ ჩამორეცხილ ნიადაგებს ეროზიულ ზედაპირზე ქანების გაშიშვლებით. უფრო ნაკლებია აქ ნიადაგის განვითარება, მეტია ეროზიული პროცესების ინტენსივობა და ამის გამო შედარებით დიდია მეორე სისქის და სუსტად განვითარებული ნიადაგების ფართობი, ალაგ-ალაგ ზედაპირზე ქანების გაშიშვლებით, კირქვების გაშიშვლების ადგილებში გამოსაკვლევ რაიონთა საკმაოდ დიდი ფართობი უკავია ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს, ხოლო ხეობებში ალუვიურ ნიადაგებსაც. ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სუბალპური და ზოგიერთი ალპური მცენარეების კულტივაცია აქ სამკურნალო მიზნითაც ხდებოდა. მცხეთის და არმაზის რეგიონში, რომ ედემის ბაღი იყო გაშენებული, ამას ადასტურებს ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება“. კერძოდ ყველა ტექსტის შეჯერებით ახლახან სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქ-

¹ მ. საბაშვილი. საქართველოს სსრ ნიადაგები. თბ., 1965, გვ. 30-37.

ციით გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ IV ტომის ფურცლებზე (77—89 გვ. ს. ს.) არის ცნობები იმაზე, რომ ჯავახეთის გავლით მცხეთას მისულმა ნინო კაბადოკიელმა, თავი შეაფარა მეზალის სახლს. რამდენიმე დღის შემდეგ მეზალის სამკურნალო მცენარეებით, ზაბილონის ქალწულმა წმინდა ნინომ, არა თუ უმკურნალო ნანა დედოფალს, არამედ ფსიქოლოგიურადაც მოამზადა ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად, შემდეგში ასევე მიიღო ქრისტიანობა მირიან მეფემ, და სწორედ ეს პერიოდი ქართველი ერის ისტორიაში ცნობილია წარმართული ეპოქიდან მოქცევად, ანუ გაქრისტიანებად. მასასილამე, აქედან შეიძლება, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ IV—V საუკუნეებში მცხეთაში ყოფილა სამკურნალო მცენარეების ბაღი. ამიტომაც დაგვანებტერესა „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომის ფურცლებზე ნახსენებმა სიტყვამ „წალკოტი“. ცნობილი მეცნიერის ილია აბულაძის მიერ შედგენილი ძველი ლექსიკონის მიხედვით „წალკოტი“ თავისთავად ედემის ბაღს, ყვავილნარს, ძალიან ლამაზ ბაღს ნიშნავს.

ყური დაუვდლოთ, რას წერს ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ გამოკვლევაში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ 29-ე გვერდზე... „ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთის ხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი (გარგარი), ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა (შავი თუთა), ბუსტული (კულტივირებული ფშატი, იგივე საკმეველის ხე. ს. ს.) ქლიავი მრავალგვარი, ლეღვი, ბალი, ალუბალი, მსხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი (ველური, ს. ს.), ნესვი მელსაპენონი (გოგრასებრთა ოჯახის წევრთა წარმომადგენელია), პუმპულა (საბოსტნე კულტურა), კიტრი. ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყემალი, ზღმარტლი, ფშატი, ხურმა, წაბლი, კრიკინა (გარეული ვაზი), ალუბალი, ბლამწარა, ჭალოოჯი, მაქალი, პანტა, კუნელი, ჯახველი, (ცირცველი), წიფელი, დათვის სხალა, დათვის თხილა, დათვის ბაბა, კოწახური, მაყვალი მრავალგვარი, ნიგოზი და სხვანიცა. ხოლო მთისანი არიან: მოცხვარი, კლდისმერსენი, ყოლო, უელი (იელი), და სხვანიც მრავალნი. სავარდეთა ყვავილნი მრავალნი: ვარდნი წითელი, ყვითელი და თეთრი, მიხაკი, სუმბული, ნარგიზი, ზამბახი, ყაყაჩონი მრავალგვარნი და კვალად სხვანიცა მრავალნი ყვავილნი სხვადსხვა გვარნი და ფერნი. ხოლო ველთა: ია, ყოჩხვარდა, ნეგო (საღებავი მცენარე), მიხაკი, შროშანა და სხვა მრავალნი, ვიდრე ას ფერამდე და ას გვარამდე. მტილთა (ბოსტნეულთა): ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვი, პრასი, ბოლოკი, ოხრახუში, სტაფილო, ქინძი, ჯორა, მაკედონი, კომბოსტო, ლახანა (თაგჩახვეული კომბოსტო) სერდელი და სხვანიცა. ხოლო ტყეთა და ველთა არიან მრავალნი, სურნელნი, საზამთროდ საკმარნი ბალახნი, მხოლოდ წოდებულნი და თესლნი ვითარცა: სატაყური, ასპანახი (ისპანახი) და სხვანი ვითარცა კლიავი და ტყიურა და მისთანანი მრავალნი“. ასეთია წალკოტის მრავალფეროვნება.

საკვლევი ტერიტორია კასპის (ქართლის რაიონს ეკუთვნის). აკად. ნ. კეცხოველის მეცნიერული შრომების მიხედვით ამ რაიონის მცენარეული საფა-

რი წარმოდგენილია შემდეგი ტიპებით: ჯაგეკალნი ველი (ძირითადად თავანი), აბზინდიანი ველი, ქსეროფიტები, მუხნარ-რცხილნარი (ძირითადად თავანი), წიფლნარი (ძირითადად თავანი), სუბალპების ტყე (თრიალეთზე), მაღალაქეების კოშკების ტერიტორია კი წარმოდგენილია მუხნარ-რცხილნარით, აბზინდიანი ველის ელემენტებით, ჯაგეკალიანი ველით და აბზინდიანებით. მდინარე კავთურას სანაპირო ზოლში გვაქვს კალის ტყე, რომელსაც ადამიანის გავლენა ძლიერ ეტყობა. ანთროპოგენური გავლენა ძლიერ ეტყობა მაღალაქეების კოშკის შემოგარენსაც, მით უმეტეს რვა საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ან კი როგორ შეინახა თავი ამ მიდამომ, რომელსაც ძალზე ახლოს ესაზღვრება სოფ. წინარეხი. საშეშე, სამშენებლო და საქიგოვე მასალა პირველ რიგში ამ ადგილებიდან გადიოდა, რაც კარგად ჩანს საკმაოდ დიდ ფართობებზე შექმნილი ახობით და გაჩენვის შემდეგად წარმოშობილი ბუჩქნარით. ატმოსფერული ნალექებიც ხომ ამ ტერიტორიაზე ნაერთოდ მცირეა, მაგრამ ნიადაგი ნაყოფიერია. ყოველივე ეს ხელს უწყობს მცენარეული საფარის განვითარების საქმეს. თუ მაღალაქეებს თავიანთი სამოსახლოს ირგვლივ როზარიუმი — წალოტი ჰქონდათ შექმნილი, ყველაფერი ეს წარმოებდა მხოლოდ იმ დამატებითი ირიგაციით, რასაც ისინი აღწევდნენ ხელოვნურად შექმნილი ტბით, რომელიც იკვებებოდა ატმოსფერული ნალექებით და კავთურიდან შემოყვანილი სარწყავი სისტემით. ერთი სიტყვით დღეისათვის მიდამო უკაცურია და ძველი იერი თითქმის წაშლილია. ერთადერთი მას თუ აღვადგენთ, მხოლოდ ძველ ნაგებობათა ნაშთებით და მცენარეული დერივატებით. აქ, რომ აღრე კულტურული მცენარეები ჰქონდათ მოშენებული, ამას ადასტურებს ამ ტერიტორიაზე გაველუჩებულად შემორჩენილი სხვადასხვა სამკურნალო მცენარეები, ხშირი ტყე და სარწყავი სისტემის ნაშთები მდინარე კავთურას სანაპიროზე.

ფარმაკო-ბოტანიკური და ფარმაგნოზიური სამეცნიერო-ექსპედიციის გამოკვლევების შედეგად ამ რეგიონში გამოვლინდა შემდეგი სამკურნალო მცენარეები:

- | | |
|----------------|---------------------------|
| 1. აბრეშუმა | - Cuscuta |
| 2. აბზინდა | - Artemisia absinthium L. |
| 3. აბუსალათინი | - Ricinus Communis L. |
| 4. ანწლი | - Sambucus ebulus L. |
| 5. ასკილი | - Rosa L. |
| 6. ალუბალი | - Cerasus vulgaris Mill. |
| 7. ბამბა | - Gossypium |
| 8. ბალბა | - Malva silvestris L. |
| 9. ბროწეული | - Punica granatum L. |
| 10. ბირკავა | - Agrimonia eupatoria |
| 11. ბეჭონდარა | - Thymus L. |
| 12. ბაბუაწვერა | - Taraxacum officinale L. |
| 13. გოგრა | - Cucurbita |

- | | | |
|-------------------|------------|---|
| 14. დიდგულა | — | — Sambicus nigra L. |
| 15. ვარდკაპა | | — Cihorium intubus |
| 16. ვირისტერფა | | — Tussilago farfara L. |
| 17. ზღმარტლი | | — Mespilus germanica |
| 18. თავშავა | | — Origanum vulgare L. |
| 19. ია | | — Viola L. |
| 20. იფანი | ბაზილიკა | — Fraximus |
| 21. კამა | | — Anethum groveolens L. |
| 22. კაკალი | | — Juglans regia L. |
| 23. კუნელი | | — Crataegus L. |
| 24. კოწახური | | — Berberis vulgaris L. |
| 25. კულმუხო | | — Inula helenium L. |
| 26. კრაზანა | | — Hypericum |
| 27. კომში | | — Cydonia oblonga Mill. |
| 28. კატაბალახა | | — Valeriana officinalis L. |
| 29. ლემა | | — Datura stramonium L. |
| 30. ლენცოფა | | — Hyoscyamus niger L. |
| 31. ლურჯი ზამბახი | | — Iris germanica |
| 32. ლობიო | | — Phasoleolus |
| 33. მათიტელა | | — Polygonum aviculare L. |
| 34. მაჟალო | | — Malus orientalis (Uglitz.) Juz. |
| 35. მარწყვი | | — Fragaria vesca L. |
| 36. მოლოქა | | — Malva pегlectawaler. |
| 37. მზესუმზირა | მზესუმზირა | — Helianthus annusis L. |
| 38. მხოხავი ქანგა | | — Agropyrum repens (L.) P ₁ B ₁ |
| 39. ნიორი | | — Allium sativum L. |
| 40. პიტნა | | — Mentha piperita L. |
| 41. პირშუმშხა | — | ≡ Armoracia rustinaca (Lam.) Gaef. tn. |
| 42. ყოლო | | — Rubus idaeus |
| 43. რძიანა | | — Euphorbia L. |
| 44. სვინტრი | | — Polygonatum glaberimum |
| 45. სურო | | — Hedera helix L. |
| 46. სელი | — | — Linum L. |
| 47. ტუხტი | | — Althaca L. |
| 48. ტირიფი | — | — Salix L. |
| 49. ტარხუნა | | — Artemisia dracunculus |
| 50. ფუტკარა | | — Digitalis ferruginea L. |
| 51. ფარსმანდუკი | | — Achillea millefolium L. |
| 52. ფიჭვი | — | — Pinus L. |
| 53. ფურისულა | | — Daucus |
| 54. ფითრი | | — Viscum album L. |

- | | |
|------------------|---|
| 55. ქართული მუხა | – <i>Quercus iberica</i> stev. |
| 56. ქრისტესისხლა | – <i>Clelidonium majus</i> |
| 57. ქინძი | – <i>Coriandrum sativum</i> L. |
| 58. ქერიფქლა | – <i>Verbascum</i> L. |
| 59. ქაცვი | – <i>Hyppophaë des</i> L. |
| 60. ღანძილი | <i>Allium ursinum</i> L. |
| 61. ღვია | – <i>Juniperus</i> |
| 62. ყვითელი ძიძო | – <i>Melilotus officinalis</i> (L.) Desr. |
| 63. შროშანა | – <i>Convallaria transcaucasica</i> Utk. |
| 64. შინდი | – <i>Cornus mas</i> L. |
| 65. შვიტა | – <i>Equisetum arvense</i> L. |
| 66. ცერეცო | – <i>Foeniculum vulgare</i> Mill. |
| 67. ცაცხვი | – <i>Tilia</i> L. |
| 68. ძახველი | – <i>Viburnum opulus</i> L. |
| 69. ძირთაფლი | – <i>Glycyrrhiza glabra</i> L. |
| 70. ძაღლყურძენა | – <i>Solanum nigrum</i> L. |
| 71. წიწაკა | – <i>Capsicum annuum</i> L. |
| 72. წიწმატურა | – <i>Capsella bursa-pastoris</i> Med. |
| 73. წიფელი | – <i>Fagus</i> |
| 74. ჭანჭყატი | – <i>Evonymus</i> |
| 75. ჭინჭარი | – <i>Urtica dioica</i> L. |
| 76. ხისტაბელა | – <i>Heleborus Caucasicus</i> , |
| 77. ხარის ძირა | – <i>Polipodium vulgare</i> |
| 78. ხეშავი | – <i>Rhamnus catharhica</i> L. |
| 79. ხაშხაში | – <i>Papaver gorniferum</i> L. |
| 80. ხანკკოლა | – <i>Lipimus</i> |
| 81. ჯადვარი | – <i>Orchis</i> L. |

აბრეშუმა — *Cusluta* — ეს პარაზიტი მცენარე ქართულ ხალხურ მედიცინაში თითქმის უხსოვარი დროიდან გამოიყენება, როგორც ჭრილობების შემზორცებელი და სისხლდენის შემწყვეტი საშუალება. ახლა მეცნიერულ მედიცინაშიც იყენებენ პარენხიმატოზული სისხლდენის დროს.

აბზინდას — *Artemisia absinthium* — ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან იყენებს, როგორც ჭიის გამომდევნ საშუალებას, რისთვისაც მის თესლებს თაფლში ურევენ.

აბუსალათინი — *Ricinus Communis* L. — ქართლშია გავრცელებული, ყოველად დაუშვებელია მაღალაძეებს არ სცოდნოდათ, რომ აბუსალათინის ზეთი გამოიყენებოდა, როგორც კუჭ-ნაწლავთა დაავადებების სამკურნალო საშუალება, როგორც კუჭის სამოკმედო, კუჭის გამწმენდი საშუალება. იგი შედიოდა რთული წამლის ფორმების გუარიშნების და სიქანგუბანების შემადგენლობაში.

ახწლი — *sambucus ebulus* L — ეს სახეობაც კარგადაა წარმოდგენილი მაღალაქვების კოშკის შემოგარენში, რომლის ნაყოფთა სპირტიან ნაყენს წარმატებით იყენებენ კუჭის შემკვრელ საშუალებად ღღესაც.

ასკილი — *Fructus Rose* — ქართულ კარაბადინებში თითქმის ყველგანაა მოხსენიებული, ხოლო ქართულ-ხალხურ მედიცინაში ღღესაც კი მრავალმხრივი გამოყენება აქვს, როგორც შარდმდენ და თირკმელების დაავადებათა საწინააღმდეგო, მასვე ხმარობენ ოფლის მომგვრელ, ხველების საწინააღმდეგო საშუალებად და სხვა.

ალუბალი — *Cerasus vulgaris* Mill. — მის ნაყოფს იყენებენ სისხლნაკლოვანების დროს წველების სახით, მწარე წამლების დასატკბობად და სხვა.

ბამბას — *Gossipium* — იყენებენ სისხლის შესახერებლად, მცირე რაოდენობით კანის დაავადების პრაქტიკაში და სხვა ქირურგიულ პრაქტიკაში კრილობების შესახვევადაც.

ბალბა — *Malva* უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში, როგორც კრილობების შესახორცებელი საშუალება, გამოიყენებოდა ხველების და კუჭნაწლავის დაავადებათა საწინააღმდეგოდ, ქალთა პრაქტიკაში და დიეტოკაში.

ბროწეული — *Punica granatum* L. — საკვლევი რაიონის კულტურაში აქვთ შეტანილი, მაღალაქვებსაც ექნებოდათ თავის როზარიუმში, ბროწეულის წვენი, შარბათი, მაშერაბი და სხვა დავით ბატონიშვილსაც მრავლად აქვს მოხსენიებული, წვენის და რუბის სახითაც. მათ ხმარობენ ყელის ტკივილის წინააღმდეგ, აგრეთვე, როგორც ანტიკოაგულაციურ საშუალებას. გართულებული მენსტრუაციის დროს და ჭიის გამომდენად.

ბირკავა — *Agrimonia eupatoria* — ჩვენი ხალხი მას მრავალმხრივ იყენებს, როგორც ჭიის გამომდენს, ციების და სიყვითლის საწინააღმდეგო საშუალებას, აგრეთვე ტყავის გამოსაქნელად, მთრიმლავად და საღებავად, ხმარობენ კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს და სხვა.

ბექონდარა — *Thymus* — საკვლევი რაიონში უხვადაა გავრცელებული, იგი გამოირჩევა თავისი სურნელოვანი სუნით, ხალხურ მედიცინაში იყენებენ ოფლის მომგვრელ და ჭიის გამომდენ საშუალებად.

ბაბუაწვერა — *Taraxacum officinale* L. — ამ ადგილებში ფრიალ გავრცელებული მცენარეა, რომელიც ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია, როგორც შარდმდენი საშუალება, მეცნიერულ მედიცინაში კი სამკურნალო საქმისთვის მის ფესვებს იყენებენ.

გოგრა — *Cucurbita* — მას და მის თესლს ხალხი იყენებს ღვიძლის და თირკმელების დაავადებათა დროს, ჭიის გამომდენად, და სხვა. ის ბევრ კარაბადინშია მოხსენიებული.

დიდგულა — *sambucum nigra* L. — წინარების შემოგარენის ტყის პირებზე გვხვდება, რომლის ნაყოფს ქართულ ხალხურ მედიცინაში შარდმდენად იყენებენ. მის ყვავილს კი — მეცნიერულ მედიცინაში ოფლის მომდენად.

ვარდკაპა — *Cihorium intubus* L. — საკვლევე ტერიტორიაზე დღესაც ფართოდაა წარმოდგენილი. დავით ბატონიშვილი მას თავის კარაბადინში ხშირად იხსენიებს. ხალხი დღესაც ხმარობს მას სიმსივნის დასაცხრომად, ხურეების წინააღმდეგ, ტკივილების დასაყუჩებლად და სხვა.

ვირისტერფა — *Tussilago farfaria* L. — ხშირია საკვლევე რაიონში, ჩამონაშალ ადგილებზე, მდინარე კავთურას ფერდობებზე და სხვა. ქართულ ხალხურ მედიცინაში მის ფოთლებს იყენებენ თავის ტკივილისა და ქავანას წინააღმდეგ, ასევე სიცხის დამწეოდ, მეცნიერულ მედიცინაში კი ამოსახველებლად.

ზღმარტლია — *Mespilus germanica* L. — ჩვენს ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია როგორც შემკვრელი საშუალება კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, ასევეა მოხსენიებული კარაბადინებშიც.

თავშავა — *origanum vulgares* — ქართულ ხალხურ მედიცინაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, რომელსაც მეტწილად ყვავილობის პერიოდში ხმარობენ, მენსტრუაციის ციკლის შეკავების, თავის ტკივილის, ქოშინის, ჭკვალეების, კუჭ-ნაწლავთა დაავადების შემთხვევაში და სხვა. ასევე იყენებენ მას მეცნიერულ მედიცინაში.

ია — *Viola* — და საერთოდ იების შარბათს ძველი კარაბადინები მრავალი სენის მკურნალად გვისახავს და ასეც იხსენიება: „ყოვლის სენისა და ჭირისა წამალი და აქიმი არისო და სწორედ მარგე ყუვილი არის ამა იის შარბათი“-ო. ხალხი იის ფესვებს დღესაც წარმატებით იყენებს.

იფნის — *Fragaria vesca* L. -- ფოთლებს, ქერქსა და ნაყოფს საქართველოში იყენებენ ნახარშის ან ნაყენის სახით ციების დროს, ჭიების გამომდენად და თირკმელების დაავადებათა წინააღმდეგ, კვირტების ნაყენს კი რევმატული ანთების დროს.

კამა — *Anethum graveolens* — დავით ბატონიშვილი მის თესლთა წყლიან ნაყენს მრავალმხრივ იყენებს, როგორც თვალის დაავადების საწინააღმდეგო, რძის მომგვრელ, შარდმდენ, ციების საწინააღმდეგო და ა. შ. საშუალებას.

კაკალი — *yuglans regia* — კარაბადინებში გამოიყენება ფილენჯის წინააღმდეგ, პირღებინების, ფილტვებისა და გულის დაავადების შემთხვევაში. ქართულ ხალხურ მედიცინაში დღესაც წარმატებით სარგებლობს.

კუნელი — *Crategus* — გამოყენებულია პირღებინების წინააღმდეგ, ასევე გულისა და შარდმდენ საშუალებად, ხალხში ამ მხრივ დღესაც პოპულარულია.

კოწახური — *Berberis* — ქართულ კარაბადინებში ეს მცენარე ფართოდაა წარმოდგენილი, როგორც სურავანდის, გულის დაავადებების, შარდის შეუკავებლობის, ელენთის, ღვიძლის, თირკმელების დაავადების სამკურნალოდ, ის შედის, ე. წ.: „საყმაწვილოს“ წამლის შემადგენლობაში და სხვა.

კულმუხოს — *Inula helanium* L. — ჩვენი ხალხი იყენებს კუჭ-ნაწლავის აშლილობის, წყალმანკის დროს და სხვა.

კრაზანას — *Hyperieus* — ქართველი ხალხი იყენებს: სისხლიანი ნახველის წინააღმდეგ — ტუბერკულოზის დროს, კრილობების შესახორცებლად და სხვა.

კომში — *Cydonia Vulgaris* — საკვლევე რაიონში უხვდაა წარმოდგენილი, ხოლო მაღალაძეების კომის შემოგარენში დღესაც ბევრი გვხვდება ველური სახით. მას ჩვენი ხალხი კარგა ხანია იყენებს ყელის დაავადების პრაქტიკაში (თესლების ნახარშს), ხოლო ნაყოფს ხველების წინააღმდეგ.

კატაბალახა — *Valleriana officinalis*L. მისი მონახარში უძველესი დროიდან იყო ცნობილი, ძირითადად მკურნალობაში მისი ფესვები გამოიყენებოდა. შეუძლებელია, რომ მაღალაძეებს ეს მცენარე წალკოტში არ ჰქონოდათ, რამდენადაც იგი უძველესი დროიდან გამოიყენება, მით უმეტეს, იგი ამ მიდამოებში ველურადაც არის. დავით ბატონიშვილი მას ურჩევს სილამწვრის, ნიკრისის ქარებისა და სიმსივნეებით გამოწვეული ტკივილების დასაცხრომად, ასევე ნერვიული სისტემის დასამშვიდებლადაც, დღესაც დიდად იყენებენ მეცნიერულ მედიცინაში.

ლუმა — *Datura Stramonium* L. — რუდერალური მცენარეა, ხალხურ მედიცინაში მის ფოთლებს იყენებენ ასთმის დროს, ხოლო ფესვებს ტკივილდამაყუჩებლად და საერთოდ სასუნთქი გზების სპაზმების საწინააღმდეგოდ, ასევე ძლიერი ხველების დროს.

ლენცოფა — *Hyosciamus niger* L. — მის თესლს ხალხი ურევს თაფლის სანთელში და კარიეზულ კბილში იღებს ტკივილების დასაყუჩებლად. ის ქანანელისა და სხვათა კარაბადინებში ბასრულ-ბანჯის სახელწოდებითაა მოხსენიებული და უნიშნავენ როგორც ტკივილების დამაყუჩებელ, ცოფის, ავი ზნისა და კრუნჩხვითი ტკივილების წინააღმდეგ.

ლურჯი ზამბახი — *Iris germanica* L. — კბილის დაავადებათა პრაქტიკაში იყენებენ, რისთვისაც მის ფესვურებს ხმარობენ.

ლობიო — *Fhasoleolus* — როგორც დიეტეტიკური კვების პროდუქტი უძველესი დროიდან იყო გამოყენებული. იგი ჰეკატეს ბალის კოლექციაშიც მოიხსენიება.

მატიტელა — *Poligonum* — ამ გვარში შემავალ სახეობებს ქართველი ხალხი უძველეს დროიდან იყენებს, დიზენტერიის, გადაჭარბებული მენსტრუაციის, კუჭ-ნაწლავთა აშლილობის, შესიებული ადგილების დასაცხრობად. აგრეთვე ქავანას, ქეცის, ჩირქოვანი წყულულების შესახორცებლად. მშობიარობის შემდეგ სისხლდენის შესაჩერებლად და სხვა.

მაქალო — *Malus orientalis* — ჩვენი ხალხი უხსოვარი დროიდან იყენებს სისხლის მოსამატებლად, მადის აღსაძვრელად და ბავშვებში კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. მას მეცნიერულ მედიცინაშიც იყენებენ.

ჟოლო — *Rubus idacus*, მას იყენებდნენ ხალხურ მედიცინაში მუცლის ტკივილის და კუჭნაწლავის აშლილობის დროს, ასევე სასუნთქი გზების დასამებლად, ძირითადად ნაყოფი გამოიყენებოდა საკვებად, ხოლო ფესვების ნახარში მარილების დაგროვების და სახსრების ტკივილის საწინააღმდეგოდ.

მოლქა — *Malva pегlecta* Waler. — ჩვენი ხალხი ხმარობს მას რძეში ნახარშს ყელის დაავადებისა და წითელი ქარის წინააღმდეგ, ასევე ვენერიული დაავადებების დროს და სააბორტოდ.

მარწყვი — *Fragaria Vesca* L. — დავით ბატონიშვილი ამბობს: „მარწყვი მხურვალი და ხმელია, კაცმა რომე მარწყვი დანაყოს და წყალი გადმოჰხადოს და ამის წყლითა კაცმან საქმელი ჰქაოს, ყუითლისა და შავის იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის და თუ კაცსა მუცელშია ჰქა ასნია, იმას ყველას დაჰხოცავს და გადმოჰყრის“. ხმარობენ მის ნაყოფსა და ფოთლებს, როგორც შარდგამომდენს და საშარდე გზებში კენკების დამშლელს.

მესესუმზირას — *Helianthus annuus* L. — ზეთი მრავალმხრივია გამოყენებული ხალხში და მეცნიერულ მედიცინაშიც, როგორც უნიკალური ფუძე.

მხოხავი ჰანგა — *Agropurum repens* L. — ქართულ ხალხურ მედიცინაში შარდმდენად იყენებენ, ასევე — მეცნიერულ მედიცინაშიც.

ნიორი — *Allium Sativum* L. — უხსოვარ დროიდანაა გამოყენებული, როგორც სამკურნალო საშუალება. მას ქანანელი და დავით ბატონიშვილი მრავალმხრივ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც ჰიის გამომდენს, როგორც პროფილაქტიკურ საშუალებას ცხვირხახის დაავადებათა პრაქტიკაში და სხვა.

პიტნა — *Menthae piperita* L. — ამ მცენარის ყველა სახეობას იყენებენ ჩვენი ხალხი, როგორც ოფლის მომგვრელ საშუალებას ჩაის სახით, ასევე წნევის დამწვეად, გულის, კუჭ-ნაწლავის და ნაღვლის გზების დაავადებათა შემთხვევაში, იყენებენ საკულინარო და საშაქარლამო საქმეში, მეცნიერულ მედიცინაში. მას მრავალ ნაკრებ წამალთფორმების შემადგენლობაში ნახავენ.¹

პირშუშა — *Armeracia rustinaca* L. — საქართველოს პირობებში ხშირად შეხვდებით, უნდა ვიგულისხმოთ, მაღალაქებსაც ექნებოდათ. მას ხალხი იყენებს მალის მომგვრელად და კანის გაშალიზიანებლად.

რძიანა — *Euphorbia* — ქართულ ხალხურ მედიცინაში უხსოვარ დროიდანაა გამოყენებული, როგორც კუჭის ასაშლელი საშუალება, ასევე იხმარება კანის აქერცვლისა და ქაენას წინააღმდეგ.

სვინტრი — *Polygonatum Glaberrimum* — უძველეს დროიდან გამოყენებული სამკურნალო მცენარეა საქართველოში, მის ფესვებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი სამკურნალო თვისება ხალხში და მას იყენებენ, როგორც მოტეხილობების, ასევე ნარძობის წინააღმდეგ.

სურო — *Hedera Caucasigena* — იყენებდნენ ჰრილობების სამკურნალოდ, ასევე ტკივილდამყუჩებლად. მისი ნახარში ღრძილების ტკივილის და დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

სელი რუდერალური — *Lynum usitatimum* — ჩვენი ხალხი მის თესლს რძეში მონახარშის სახით იყენებს დაეყილი და დამწვარი ადგილების დასაამებლად, აგრეთვე ყელის დაავადების დროს. მის ზეთს ხალხი ხმარობს ცოფიანი ძაღლისა და მორიელის მიერ ნაკბენ ადგილებში ჩასახულ მალამოდ, კუჭის ასაშლელად, ეგზემის წინააღმდეგ.

მას იყენებენ ტუბერკულოზის, ციების, სიფილისის დროს, წყლულებისა

¹ ზ. შენგელია. სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში. გამოცემლობა „საბ-კოთა საქართველო“, თბ., 1983.

და კრილობების შესახორცებლად, აგრეთვე ანტისკორუტულ საშუალებად და სხვა.

ტუხტი — *Althaeae* — ამ ადგილებში ფართოდაა წარმოდგენილი, რომლის ფესვებს შორეული წარსულიდან იყენებენ ნახარშის სახით, როგორც ამოსახველებელ და სუნთქვის შემამსუბუქებელ საშუალებას, მის ნაყოფს ქალები სვამენ ლოყების გასაწითლებლად. მას დღესაც ფართოდ იყენებენ მეცნიერულ მედიცინაში.

ტარხუნა — *Artemisia dracunculus L.* — ცნობილი იყო მისი მადის მომგვრელი თვისებები, ამიტომ მას იყენებდნენ საკვებად, ხოლო ნახარში სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებთან გამოიყენებოდა, როგორც გამამხნეველი მასტიმულირებელი საშუალება.

ფუტკარა — *Digitalis* — ქართული ხალხი მის ფოთლებს ნახარშის სახით იყენებდა შარდდამდენ საშუალებად, დღესათვის კი მას წართოდ იყენებენ გულის დეკომპენსაციური მოვლენების დროს.

ფარსმანდუკი, ყვავისკულა — *Achillea millefolium L.* — უძველეს დროიდან იხმარება საქართველოში, როგორც სისხლის დენის შემაჩერებელი და კრილობის შემხორცებელი საშუალება, ხმარობენ ციების საწინააღმდეგოდ და სხვა. ის ახლაც ფართოდ გამოიყენება ღვიძლისა და კუჭის დაავადებათა პრაქტიკაში. ასევე იყენებენ მას მეცნიერულ მედიცინაშიც.

ფიჭვი — *Pinus* — საკვლევ რაიონში მცირედაა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც ვგვხვდება თითო-ოროლა ეგზემპლარის სახით რცხილნარ-მუხნარში. მისი გამოყენების შესახებ კარაბადინში წერია: „ვიც ფიჭვის კევი წამხდარსა ფრჩხილზედა დაიდვას და შეიხვიოს, იმ ფრჩხილსა წააგდებს და სხვა კი ფრჩხილსა ამოუყვანს“-ო.

ფურისულა — *Daucus* — ქართულ ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ ხველების საწინააღმდეგოდ, განსაკუთრებით ბავშვთა პრაქტიკაში ბადაგთან ერთად.

ფითრი — *Viscum album* — ეს პარაზიტი მცენარე საქართველოში ყველგანაა ცნობილი, მაღალაძეების კოშკის შემოგარენშიც კი არის. ქართულ-ხალხურ მედიცინაში ფითრს ებილეფსიის წინააღმდეგ იყენებენ, მეცნიერულ მედიცინაში — კი წნევის დამწვევად.

ქართული მუხა — *Quercus iberica* — ქართულ ხალხურ მედიცინაში მუხის ქერქს იყენებენ ღრძილების გასამაგრებლად, პირში გამოსავლებად კუჭის შემკვრელად და სხვა. საქართველოში არსებობდა მუხის კულტაყვანისმცემლობა.

ქრისტესისხლა — *Chelidonium mayus L.* — ქართულ ხალხურ მედიცინაში შორეულ წარსულიდან იყენებენ მას კრილობათა შესახორცებლად, ღვიძლისა და ნაღვლის გზების ანთების დროს, სიყვითლის შემთხვევაში, ჭორფლის

საწინააღმდეგოდ, იგი შედის სიმსივნეთა საწინააღმდეგო ნაკრების შემადგენლობაში. მას ღღეს მეცნიერულ მედიცინაში ფართოდ იყენებენ.

ქაცვი — *Hypponhae des L.* — სამკურნალო თვისებები ხალხური მედიცინისათვის ცნობილი იყო, როგორც კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალო საშუალება, ასევე კუჭის სამოკმედო წამლად ითვლებოდა, აჩქარებდა კრილობების შეხორცებას.

ქინძი — *Coriandrum sativium L.* — მას ხალხი უხსოვარი დროიდან იყენებს. დავით ბატონიშვილი კი გვიჩვენებს თავის ტკივილის, სისხლდენის, გულის რევმის, მწარე ბოყინის და ხუნაგის დროს.

ქერიფქლა — *Verbascum* — მაღალაძეების კომპლექსის შემოგარენში უხვადაა წარმოდგენილი. იგი გამოიყენებოდა როგორც ამოსახველებელი საშუალება, გარდა ამისა, შედის ოფლის მომგვრელთა ჩანის შემადგენლობაშიც.

ღანძილი — *Allium ursinum L.* — ქართლში ფრიად გავრცელებული მცენარეა. მას ძირითადად მხალად და მწნილად ხმარობენ, მაგრამ მისი ფოთლებით ხშირად იხვევენ კრილობებს, სწრაფად შეხორცების მიზნით, ასევე ჭამენ დაავადებებისაგან თავდაცვის მიზნით.

ღვიას — *Iuniperus* — ხალხურ მედიცინაში იყენებენ შარდ-სასქესო გზების დაავადებათა დროს, სითვისისა და რევმატული ანთების შემთხვევაში, აგრეთვე შარდსაღენ და ჩირქოვანი კრილობების შემხორცებელ საშუალებად. დავით ბატონიშვილი ამბობს: „ვიწყა ესე ჯორის ძუა დაუქეჭკოს და ღვიას წყლითა მოადუღოს, გაწუროს და თბილთბილის ან წყლითა ოყნა ქნას, აუძოსა და წელის ტკივილსა და ძველსა ქარსა ყუელას გაუგდებს“.

ძირტკბილა — *Glycyrrhiza glabra L.* — უძველესი დროიდან იყო ცნობილი მისი დამამამებელი თვისებები სასუნთქი გზების კატარის დროს, ასევე როგორც ნახარშთან ერთად ბრონქიალური ასთმის სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა.

ძიძო — *Melilotus officinalis* — გამოსაკვლევ რაიონში ფართოდაა (ველურად) წარმოდგენილი, ქართველი ხალხი მას დიდი ხანია იყენებს, როგორც წყლულისა და კრილობების საუკეთესო შემხორცებელ საშუალებას. მას ღღესაც იყენებენ საქართველოს ყველა კუთხეში, შეტანილია მეცნიერულ მედიცინაშიც.

შროშანა — *Convallaria* — ამ მცენარეს ხალხურ მედიცინაში წყალმანკის საწინააღმდეგოდ ხმარობენ, აგრეთვე შარდგამომყოფად და სხვა. ეს მცენარე კუმულიაციის თვისებით ხასიათდება.

შინდი — *Cornus mas* — ჩვენი ხალხი მას კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს იყენებს, როგორც შემკვრელ საშუალებას, კარაბადინებიც ამავე მიზნებისათვის გვიჩვენებს, მაგრამ მას ჯულაბის სახით გულისა და ღვიძლის დაავადებების დროსაც გვიჩვენებს.

შვიტა — *Equisetum* — ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ შარდმდენ და საშარდე გზებში არსებული ქვების დამშლელად, მეცნიერულ მედიცინაშიც იხმარება საშარდე გზებში არსებული ქვების დამშლელად.

ცერეოს — *Foemiculi* — საქართველოს ყველა კუთხეში ამრავლებენ, რომელიც ხშირად კამაშიც კი ერევათ და მის მსგავსადაც ხმარობენ, განსაკუთრებით, როგორც საკმლის მომწიფებელი სისტემის მოსაწესრიგებლად, ასევე ხველების დროს, ხშირად გამოიყენება თანამედროვე მედიცინაშიც.

ცაცხვი — *Tilia* — ხშირია აქაურ ტყეებში, რომლის ყვავილის ნახარშს ხალხი იყენებს ოფლის მომგვრელად და სიცხის დამწეველად.

ძახველი — *Viburpum opulus L* — ამ გვარში შემავალ სახეობებს ხალხი იყენებს როგორც ხველების შემაჩერებელ და მადის მომგვრელ საშუალებას, აგრეთვე საშვილოსნოდან სისხლდენის შემთხვევებში და სხვა, მაღალაქეთა კოშკის ირგვლივ ეს მცენარეები უხვად იზრდება.

ხის ტაბელა, ძირტკბილა — *Grycyrhiza glabra L.* — ამ სახეობას უძველეს დროიდან იყენებენ, ჰიის გამომდენად, ხველების დროს და სხვა, განსაკუთრებით ბავშვებში, ის შედის, ე. წ. „საყმაწვილოს“ წამლის შემადგენლობაში და სხვა.

წიწკა — *Capsicum annum* — მას ხალხი იყენებს მადის აღმძვრელად, ციების წინააღმდეგ, კანის გამოღიზიანებლად და სხვა. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ძველი ქართული კარაბადინები.

ძალყურძენა — *Solanum pseudopersicum Pojark*, უძველესი დროიდან იყო ცნობილი მისი დამამწიფებელი-სედატიური მოქმედება ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე, მას იყენებდა მედეა ყურძნის წვეთთან ერთად ტყვეების დასამწიფებლად. ძალყურძენას ახასიათებს ჰიების დამყრევივინებელი თვისებებიც, ამიტომ ხალხურ მედიცინაში მისი ხმარება ფართოდ იყო გავრცელებული.

ხაქიჰორა-წიწმატურა — *Capsella bursa — pastoris Med* — მას შავბოლოკას მსგავსად იყენებენ, ასევე სისხლის დენის შემაჩერებლად და განსაკუთრებით დიეტეტიკაში.

წიფელს — *Fagus* — საქართველოში უხსოვარი დროიდან იყენებენ სამკურნალოდ. დავით ბატონიშვილი ურჩევს სხვა მცენარეულ ზეთებთან შერეულ წიფლის ზეთს, ნიგვზისა, ნაყვისა და წიფლის ზეთების ჰამა, და მტკივნასა აღაგსა შეცხება, ფილენჯისა და ყოველისფრის ქარისათვის მწოვედ კარგი არისო. მისივე სიტყვებით წიფლის ზეთი უებარი საშუალებაა ღვიძლისა და თირკმელის ტკივილის დროს და შედის „ხანთალას ზეთის“ შემადგენლობაში, რომელსაც მუცელში ჰიის, ან გველის ჩაძრომის დროს, აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის დასაამებლად, თმის ცვენის შესაჩერებლად იყენებენ. მეცნიერულ მედიცინაში დღეს მისგან იღებენ გვიაიკოლს.

ხაშხაში — *Papaver Sovnifarum* — უხსოვარი დროიდან იყენებენ, მისი სურათი ამშვენებს ზაზა ფანასკერტელის ფრესკას. იგი თითქმის ყველა კარაბადინშია შეტანილი. მისი თესლის სქელ, რძისფერ ექსტრაქტს იყენებენ, როგორც ტკივილების დამაყურჩეველ ანალგეტიკურ საშუალებას.

ხარისძირა — *Helleborus Caucasicus* — მას იყენებდნენ, როგორც ცენტრალური ნერვიული სისტემის აღმგზნებ საშუალებას. ცნობილი იყო მისი

შარდლამდენი თვისებები, გულის დაავადებისა და დეკომპენსაციური მოვლენების შემთხვევებში ძირითადად ნახარშის სახით, ასევე ვეტერინარიაში ცხენის ზურგზე იარების მოშუშების დასაჩქარებლად.

ხანჭკოლა — *Liolnus* — მას იყენებდნენ ნახარშის სახით საქონლის კბენარის მოსაშორებლად, ხოლო ნაყოფს გამოწვლილის — მწარე გემოს გამოკლის შემდეგ (ძირითადად ხშირი გარეცხვის გზით) საკვებად, როგორც კუჭ-ნაწლავის და კოლიტის დაავადების საწინააღმდეგოდ.

ჰინჭარი — *urtica dioica* L. — საქართველოში მეტად გავრცელებული და ცნობილი ხალხური საშუალებაა. მას იყენებენ სიმსივნეთა დასაცხრომად, რევმატიული ანთებისა და სქესობრივი უძლეურობის დროს, ხალხი ხმარობს ავითამინოზური დაავადებების დროს და სხვა.¹

ხეშავი — *Rhamnus Cetrarctica* L. — აქ, ბუჩქნარში უხვადაა წარმოდგენილი, რომლის ნაყოფს ქართულ-ხალხურ მედიცინაში კუჭის აშშულელ საშუალებად იყენებენ. ასევე ხმარობენ მას მეცნიერულ მედიცინაშიც.

ჯადვარი — *orchis* — წინარების ტყეებში საკმაოდაა წარმოდგენილი, რომლის ტუბერაკებს ქართველები დიდი ხანია იყენებენ სიმსივნეების და კრილობების სამკურნალოდ, ასევე კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, სასქესო ორგანოთა აღმგზნებლად და სხვა. კავთურას ხეობის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, როგორც ჩანს იძლეოდა ოპტიმალურ პირობებს, რომ აქ მაღალაძეებს ბოტანიკური ბაღი — წალკოტი გაეშენებიათ.

ამის დამადასტურებელია ამჟამადაც ველური სახის შემორჩენილი სხვადასხვა სამკურნალო მცენარეები და ხშირი ტყე.

საერთოდ, ზაზას და მახარებლის კარაბადინში ბევრი სამკურნალო მცენარე არ გვხვდება იმ სახელწოდებით, რომლებითაც ისინი დღეს არის ცნობილი, რაც აიხსნება საიდუმლო-ფეოდალური ხასიათით და ფეოდალური მონოპოლიით. რაც მთავარია, ძველქართულ სამედიცინო ხელნაწერ-კარაბადინებში შესასწავლია სამკურნალო მცენარეების ტერმინოლოგიის საკითხები, ასევე საჭიროა მათი თანამედროვე მეცნიერული ანალიზი ფარმაკოგნოზის თვალსაზრისით, ვრცელი და სრული ანოტაციებითურთ. ყოველივე ეს მომავალი კვლევა-ძიების საინტერესო თემატიკაა. ამჟერად ასე მცირე პრიმიტიული განმარტებებით უნდა დაკმაყოფილდეთ, ვინაიდან ტექნიკური მიზეზების გამო სხვანაირად შეუძლებელია.

აღმოსავლეთ საქართველოს გამოსაკვლევ რეგიონში ზემოთ მოხსენებულ წერილობით წყაროებში სიტყვა წალკოტი შემთხვევით არ უნდა იყოს ნახსენები. ჩენი ინიციატივით და დოკ. ზურაბ შენგელიას თანამონაწილეობით ჩატარებულმა ფარმაკო-ბოტანიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ კავთურას ხაობაში წალკოტი ყოფილა გაშენებული, სადაც სუბალპიური და ალპიური ზონისათვის დამახასიათებელ უამრავ სამკურნალო მცენარეებს აშენებდნენ.

მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გერ-

¹ ზურაბ შენგელია — სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983 წ.

მანელი მეცნიერი კურტ შპრენგელი ისტორიული წერილობითი წყაროების მოშველებით ადასტურებს ანალოგიური წალკოტის არსებობას (მეორე ათასწლეულში ძვ. წ.) კოლხეთის დაბლობზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიიდან მივიღეთ კურტ შპრენგელის ნაშრომის „გამოყენებითი სამკურნალო ხელოვნების ცდის ისტორიის“ I ტომის ანაბეჭდი, სადაც ლაპარაკია უძველეს კოლხურ მედიცინაზე. კურტ შპრენგელის მიხედვით კოლხეთის დაბლობზე წალკოტი, ანუ ჰეკატეს ბალი ყოფილა გაშენებული. კურტ შპრენგელი დიდი ავტორიტეტია, ამიტომ ჩვენ სიტყვასიტყვით მოვიტანეთ მისი პირველი ტომიდან ქვესათაურის — „უძველესი კოლხური მედიცინის“ შინაარსის ქართული თარგმანი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ კოლხურ-იბერიულ მედიცინას უძველეს ცივილიზირებულ ერთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მიაკუთვნა მსოფლიო მედიცინის ისტორიის გერმანელმა სისტემატიკოსმა.¹

სამონასტრო მებაღეობა რუსეთში არნოლდ რეგელის მიხედვით და ისევ წალკოტის არსებობის შესახებ მდინარე კავთუარას ხეობაში

XIX საუკუნეში გამოცემული წიგნის² ავტორი არნოლდ რეგელი 148-ე გვერდზე სამონასტრო ბაღების შესახებ ჩვენთვის საინტერესო ცნობას გვაწვდის. როგორც ირკვევა, სამონასტრო ბაღების ტრადიციები საერთოდ ქრისტიანულ საკულტო დაწესებულებებთან ახალი წელთაღრიცხვიდანვე დაწყებულია და გვიანი შუა საუკუნეების ბოლომდე გაგრძელებულა. თავისი მნიშვნელოვანი გამოკვლევის 148-ე გვერდზე არნოლდ რეგელი მიუთითებს, რომ „შუა საუკუნეების რუსეთში XVI საუკუნის ბოლომდე საერთოდ მებაღეობის საკითხებში, როგორც დასავლეთ რუსეთში, ასევე იტალიურ აღორძინებამდე პირველი ადგილი ეკავა სამონასტრო მებაღეობას... ბევრი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით რომ გვემსჯელა, სასულიერო პირებს საერთო საშთამომავლო ცივილიზაციაში მიუძღვით უდიდესი წვლილი აგრონომიის განვითარების მხრივ და განსაკუთრებით რუსულ მებაღეობაში... მონასტრის მესვეურებმა პირველებმა დაიწყეს ყვავილნარის გაშენება, იღებდნენ რა მავალითს და ხელმძღვანელობდნენ რა ბიბლიიდან და უწოდებდნენ ასეთ ყვავილნარებს ედემს, ანუ უფრო სწორად ედემ-ქალაქს“.

¹ ამ ტერიტორიის ფარმაცო-ბოტანიკური შესწავლა ჩატარებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის დოცენტის ზურაბ შენგელიას ხელმძღვანელობით და ჩვენი უშუალო თანამონაწილეობით 1980-81 წლების გაზაფხულსა, ზაფხულსა და შემოდგომაზე, რისთვისაც ბუტროი დიდ მადლობას მოახსენებს დოცენტ ზურაბ შენგელიას გაწეული კვალიფიციური შრომისა და მეგობრული დახმარებისათვის.

² Арнольд Регель. Изящное садоводство и художественные сады. Историко-дидактический очерк. Издание Г. Б. Винклера. С.-Петербург, 21 февраля 1886 г. Хромо-типография Е. Л. Евдокимова.

„ვემნიდით ჩვენ (ე. ი. სლავები), ვერტოგრაღებს და ბაღელსო“. ა. რეველს მოყვანილი აქვს ფაქტები, რომ სასულეო პირები იყვნენ სამონასტრო ბაღელის გაშენების ინიციატორები და სახელდობრ ისინი მისდევდნენ მევენახეობას. სამონასტრო მებაღეობაში მისდევდნენ ხილვენეკროვანი ნაყოფის მომცემი მცენარეების მოშენებას, მათ შორის ისეთი სამკურნალო მცენარეებისას, რომლებიც მდიდარი იყო ვიტამინი „C“-ით. ამ მცენარეებს დიეტური და საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდათ. ა. რეველი მონაგრაფიის 150-ე გვერდზე მიუთითებს: „ვადმოცემით რუსეთის სამონასტრო ბაღებში XVII საუკუნის დასაწყისში ალუბლის ნერგები შემოუტანია წმინდა ვასილი კესარიელის სამშობლოდან რომელიღაც ქართველ პატრიარქს“.

„ვაშლის ბაღებით განთქმული იყო კურსკი, ტულა, ორიოლი და სხვა საზღვრეთა ადგილები. ფსკოვსა და სასწაულთმოქმედ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში 1473 წელს გაუშენებიათ ვაშლის ბაღები.“

მოსკოვის სამონასტრო ბაღების გაშენება დაწყებულია XIV საუკუნის პირველ წლებში. საგულისხმაო, რომ, — განაგრძობს არნოლდ რეველი, — სამონასტრო ბაღები გამოირჩეოდნენ მდიდრული დეკორაციულობით და კომფორტაბელობით, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა მნახველები, მეფეები და მეფის ცოლები, როცა ისინი ასეთ სავანეში მოდიოდნენ“. რა თქმა უნდა, იქვე ყოფილა მიშენებული მონასტრის ნაგებობა. რომელიც ბლთან ერთად ბოიართა გამგებლობაში შედიოდა. ა. რეველის მონაცემებით, ასეთი ბაღების მშენებლობა მოდალ ქცეულა და ბოიარებს შორის შეჯიბრიც კი გამოცხადებულა უფრო კარგსა და ლამაზად მორთულ სამონასტრო კომფორტაბელური ბაღის გაშენებაზე, რის გამოც მთელი მოსკოვის მიდამოები ბაღნარად გადაქცეულა. კიევისა და ვიშგოროდის მანკობლადაც გაშენებული ყოფილა სამონასტრო ბაღები, სადაც მოყავდათ ვაშლი, მსხალი, ატამი, კერამი, ყოლო, ალუბალი, ხურტკმელი, მოცხარი, და სხვა სამკურნალო მცენარეები; მათ, როგორც ჩანს, საყოფაცხოვრებო დიეტური დანიშნულება ჰქონდათ, როგორც ავიტამინოზური დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ საშუალებებს. როგორც ამ მონაცემებით ირკვევა. რუსეთში XI საუკუნეში უკვე ადგილი ჰქონია სამონასტრო ბაღების მშენებლობას და მასში ნაყოფის მომცემი მცენარეების კულტივაციას. ამით იმის თქმა გვიწევს, რომ საესებით ბუნებრივია, სუბალპურ და ალპურ ზონაში მდინარე კავთურას ხეობაში მაღალაქებებს მოეშენებინათ სხვადასხვა ნაყოფის მომცემი მცენარეები და ხილვენეკროვანისა და ბაღჩა-ბოსტნეულის პარალელურად სამკურნალო მცენარეები (როგორც ნედლეული), წამლის ფორმების მოსამზადებლად. წალკოტის მოშენება რელიგიურ საკულტო დაწესებულებების სამფლობელო ტერიტორიაზე, საფიქრებელია, რომ საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნითაც ხდებოდა, ამიტომ მაღალაქების ეკლესიის შემოგარენში წალკოტის ხსენება სიგელ-გუჯრებში არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს და მით უმეტეს სხვა ქრისტიანულ ქვეყნებშიც — (მოსკოვსა და კიევში) რუსეთის მაგალითზე ასეთი სამონასტრო ბაღების გაშენებას საკანონმდებლო ხასიათი ჰქონია.

მახარებელ მაღალადის კოშკში შემორჩენილი უნიკალური
ფრესკის მნიშვნელოვანობისათვის

შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის მახარებელ ოქროპირის ძე მაღალადის კოშკი ერთ-ერთი საინტერესო ნაგებობა გამოდგა. კოშკის პირველი სართულის კედლებზე უამთა სვლას გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია მრავალმხრივ მნიშვნელოვანმა და საინტერესო უნიკალურმა ფრესკებმა. ისინი ფრიად საინტერესო არა მარტო, როგორც კედელზე მხატვრობის ტრადიციებისა და ხელოვნების უნიკალური ნიმუშების, არამედ, როგორც მდიდარი მასალა საეკლესიო მედიცინის თვალსაზრისით. როგორც ზემოთ ეიუწყებოდით კოშკის აღმოსავლეთ კედელზე გამოსახულია XV საუკუნეში მცხოვრები მაღალაძეების ოჯახი — ოქროპირ მაღალაძე თავის 7 ვაჟიშვილთან ერთად. დღეისათვის 7 ძმიდან მხოლოდ 5 ძმის სურათია შემორჩენილი. დასავლეთ მხარეს გამოსახული ყოფილა XVII საუკუნის მაღალაძეების ოჯახი. კერძოდ, ფრესკაზე გამოსახულია ცენტრში პაპუა მაღალაძე და მისი 6 ვაჟიშვილი, ერთი ქალიშვილი — ხეარაშანი და მეუღლე ელენე. დღეისათვის მხოლოდ ძმების და სიძის, გიორგის ფრესკაა შემორჩენილი. სამხრეთ კედელზედაც მაღალაძეთა საგვარეულოს რეალურ-ისტორიულ პიროვნებათა ფრესკებია შემორჩენილი, მაგრამ მათი ვინაობის დადგენა ამჟამად შეუძლებელია შესაბამისი წარწერების უქონლობის გამო. დასავლეთ კედელზე, ფრესკების სახით გამოსახული არიან პაპუა მაღალადის ოჯახის წევრები, ოღონო ზემოთა მხარეს შემორჩენილია ერთი უნიკალური ფრესკა, რომელიც თავისთავად მრავალსმეტყველია. ფრესკის შუა ნაწილში წარმოდგენილია შარავანდელით მოსილი წმინდანი ვედრების პოზაში, მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოხატულია ადამიანების ავი სენისაგან დამცველი ავგაროზი რელიგიურ-ასტრალური სიმბოლო 7 ცხვარი. მნახველთა ყურადღებას იქცევს აქვე გამოხატული ოდიტგანვე ცნობილი მედიცინის ემბლემა — დაკლავნილი გველი. ასეთი სიუჟეტური კომპოზიცია უნიკალურია საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში. თანაც იგი შემთხვევით არ უნდა იყოს აქ გამოსახული. კოშკი თავისთავად ეგვიტერის დანიშნულებისათვის უნდა იყოს მოხატული, იმ კოშკში, სადაც კათოლიკე მახარებელ მაღალაძე უნდა იყოს დაკრალული. ამიტომ აქ ცხვრების და გველის გამოსახულება წმინდანის ირგვლივ სამედიცინო ემბლემაური სიმბოლოების თვალსაზრისით უნდა იქნეს ახსნილი, რომელიც წარმართული და მაგიური ეპოქიდან მომდინარეობს არამარტო საქართველოში, არამედ ყველა ცივილიზებულ ქრისტიანულ ქვეყანაში და ეს სიმბოლოური ფრესკა ამავე ტრადიციების ქრონოლოგიურ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ.

რა თქმა უნდა, გველის გამოსახულება ფრესკაზე პირდაპირ მედიცინის ემბლემაზე მიგვანოშნებს. ასეთი გამოსახულება ეგვიტერში პირველად როდი გვხვდება. ფრესკის თემატიკა თავისთავად სიმბოლოურია და მას შემთხვევითი ხასიათი არ შეიძლება ჰქონოდა თავის დროზე. ამიტომ, ჩვენი აზრით,

საკირია გულდასმით განვიხილოთ გველის გამოსახვის ტრადიციები საქართველოში. ცხვრის სიმბოლიკის საკითხები თავისთავად ასევე საინტერესო თემატიკაა მედიცინის ისტორიის თვალსაზრისითაც, ჩვენ ამ თემატიკას ცალკე გამოკვლევა მივუძღვენით სათაურით: „ცხვრის სიმბოლიკა და ძველი ქართული მედიცინის და ფარმაციის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. გველის გამოსახვა ხომ, როგორც ძველი წელთაღრიცხვის წარმართულ ხანაში, ასევე ქრისტიანობის დამკვიდრებიდანაც, მედიცინის ემბლემად ითვლებოდა. ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში მედიცინის ერთ-ერთ მამამთავარს ასკლეპიოსს, რომელიც რომში ესკულაპის სახელით იყო ცნობილი, ჰყავდა მოშინაურებული გველები და ისინი ჩვენამდე მოღწეულ მასალებში წარმოდგენილია ჯოხზე დახვეული სახით. მისი ქალიშვილი ჰიგეა ლამბაქით გველს რძეს ასმევს. ეს სიუჟეტი კი მედიცინის საერთაშორისო ემბლემად არის მიჩნეული მსოფლიოში. გველის გამოსახულება ხშირია საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ სხვადასხვა კერამიკულ ჭურჭელზე. ამ ჭურჭლის შესწავლას თუ პრიმიტიული კრიტერიუმით მიუვლდებით, გამოირკვევა, რომ გველის გამოსახულება კერამიკულ ჭურჭელზე იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ეს ჭურჭელი თავის დროზე სამედიცინო დანიშნულებისათვის იყო დამზადებული. ამ მხრივ უნიკალურია ძვ. წ. II ათასწლეულით დათარიღებული ორიარუსიანი უნიკალური კერამიკული საინფუზორი აპარატი და არქეოლოგ ა. კუფტინის მიერ თრიალეთის ველზე აღმოჩენილი გველის გამოსახულებიანი სხვადასხვა ჭურჭელი, სადაც გველის გამოსახვა ეხმიანება სამედიცინო სიმბოლიკას, ასევე, გველი ნაყოფიერების და სიუხვის ნიშანიც იყო, მაგრამ გველის გამოსახვა ძირითადად მაინც მედიცინის ემბლემის გამოსახვას ემსახურებოდა. გველის გამოსახულებიანი კერამიკული ჭურჭელი, რომელიც ამჟამად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია დაცული, სამედიცინო ფუნქციის მინიჭების თვალსაზრისით (ზოგიერთი მათგანი) შეისწავლა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა პ. ფირფილაშვილმა.

მაღალაძეების ეკლესიის ეზოში დამატებით ეგვეტერში იკონოგრაფიულ ფრესკაზე გველი შემთხვევით არ უნდა იყოს გამოსახული. იგი სამედიცინო ემბლემურ მისიას, ვედრების და 7 ცხვრის შეწირვის მომენტის აღბეჭდვას უნდა ემსახურებოდეს საქართველოს „საეკლესიო მედიცინის“ ისტორიაში.

ქართული ხელნაწერების კალიგრაფია — კარის მწიგნობარი — მახარებელ I მაღალაძე

საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი, ექიმი ლადო კოტეტიშვილი 1936 წელს „წიგნი საქიმოაჲ“ თანდართული გამოკვლევის ქვესათაურში: „მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნემდე“ წერდა „სატაძრო მედიცინისა და მაგიური მედიცინის კვალი იმდენად აშკარა და ნათელია, დღესაც კი შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ, რომ მედიცინა

ძველ საქართველოში უძველესი, წარმართული დროიდან მომდინარეობს“. და მათი ქურუმების ისტორია დღესაც განსაკუთრებული შესწავლის საგანია. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში სამკურნალო დარგი არ იყო გამოყოფილი ეკლესიისაგან, იგი წარმართავედა არა მარტო მკურნალობის და წამალთმცოდნეობის საქმეს, არამედ განაგებდა წერა-კითხვის გავრცელებას, საერთოდ მწიგნობრობას, ხელნაწერების შედგენას და ამ მიზნით მცენარეული და ქიმიური წარმოშობის საღებავებს მელნად იყენებდნენ. საერთოდ „სხეულთა კურნების“ საქმე „ჯუარისმტვირთველთა“ კომპეტენციაში შედიოდა. XI საუკუნის უნიკალური სამედიცინო ძეგლის „უსწორო კარაბადინის“ ავტორი ქანანელი სასულიერო პირი ყოფილა, რაც ამავე ხუცური წყაროს 36-ე გვერდის არშიაზე მხედრულად მინაწერი ანდერძიდან ირკვევა: „ღმერთო შეიწყალე ფრიალ ცოდვილი... ვინც ესე წაიკითხოთ ცოდვილსა ქანანელს (შენდობას) უბრძანებლით“. სტილი ანდერძისა და ვედრება აშკარად ღვთისმორწმუნე პიროვნებისაა: „ღმერთო შეიწყალე“. ასევე, XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებული უნიკალური „წიგნი სააქიმოა“ ჯუარისმტვირთველ სასულიერო პიროვნების ანტონ ჭყონდიდელის დავალებით და ინიციატივით გადმოუქართულებია ხოჯაყოფილს. ამ დროს საეკლესიო მედიცინა აშკარად უფრო ძლიერი იყო საერო მედიცინაზე. საეკლესიო მედიცინის ქურუმების: ქანანელის, ანტონ ჭყონდიდელის და ხოჯაყოფილის მოღვაწეობასა და სამედიცინო „კარაბადინების“ შედგენის ტრადიციებთან მახარებელ I მაღალაძის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად უფრო ახლოა დაკავშირებული, მაგრამ მახარებელ I, ანუ მაღალაძეების სავგარეულოს XIV—XV საუკუნეების წარმომადგენელს თუ ჰქონდა რაიმე კარაბადინი დაწერილი ან გადაწერილი, ჩვენთვის უცნობია. ფაქტია, რომ ასეთ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. თედო ჟორდანაის „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დაცულია ისტორიული დოკუმენტი, რომლის მიხედვით მაღალაძეები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდნენ XIV საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე ინტენსიურად მოღვაწეობდნენ, როგორც განმანათლებლები, ჯუარისმტვირთველნი და არა მარტო წერა-კითხვის მცოდნენი, არამედ სანიმუშო კალიგრაფები, რომელთა შორის უპირველესია მახარებელ I მაღალაძე. ისინი ტრადიციულად მრავალნაირ საერო საქმეებს მისდევდნენ. 1391 წლის თარიღით მაღალაძეები ხდებიან უმემკვიდრეოდ ქმნილი ივანიძეების ძვალშესალაგის ფეოდალური მემკვიდრეები, რომელიც მეფე ალექსანდრემ უბოძა მათ, „სოფლისა ვითარების გამო უმემკვიდრეოდ ქმნილი ივანიძეების გვარის“ გადაშენების გამო და ეს სიგელი „დაიწერა ხელითა წირქუალელი მუშრბისა რატისითა“. მაღალაძეებს შორის თავიდანვე გამოირჩეოდა ერთ-ერთი უპირველესი და უგანათლებულესი მღვდელი მახარებელი, რომლის მოღვაწეობა თავისთავად საინტერესო ბიოგრაფიაა. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ანუ „ქართლის ცხოვრების“ IV ტომის ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973, 341-ე გვერდზე წერია: „წინარეხის

აღმოსავლეთით და გომისჯუარის ზევით არს მონასტერი ლავრა, გუმბათიანი, შუენირსა ადგილს და აწ უქმად. გულარების ხევზედ არს თუალივს სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი“. ამ ნაგებობის და ამ მიდამო ადგილებში „მალაღანთ ეკლესიის“ ეზოში მნახველთა ყურადღებას იქცევს დამატებითი ეგვიპტური. ტრადიციულად ასეთი მინაშენი ეკლესიებთან სარწმუნოებრივად წარჩინებულ პირთათვის შენდებოდა. „მალაღანთ ეკლესიის“ ეზოს დამატებით ეგვიპტური, მახარებლის კოშკში, ძალიან საინტერესო იკონოგრაფიული ფრესკებია, ეს იშვიათი ფერწერული ნიმუში ჟამთა სვლას გადაურჩა, ჩვენამდე მოაღწია. მახარებელს კოშკის დასავლეთ კედელზე გამოსახულია „წმინდანის ვედრების კომპოზიცია“. შარავანდღით მოსილი, წმინდა ბერი მთელი სხეულით არის წარმოდგენილი. მის გვერდით, მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ფრესკა დამშვენებულია ასტრალური სიუჟეტით: კედელზე დახატულია ადამიანთა ავი სენისაგან დამცველი ავგაროზი — შვიდი ცხვრის გამოსახულება.


გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საეკლესიო იკონოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში ასეთი სამედიცინო სიუჟეტური კომპოზიცია იშვიათია და უნიკალური. ამას ისიც ემატება, რომ დამატებითი ეგვიპტურის ორსართულიანი ნაგებობის პირველ სართულზე ადვილად გასარჩევი სამაროვანის ქვა დევს. ლოდის ქვეშ მოჩანს ადამიანის ძვლები. ამჟამად მკითხველთა ყურადღება გვინდა მივაქციოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც დიდ როლს ითამაშებს საქართველოს მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ისტორიაში. წინაპარ მედიკოსთა შორის მხოლოდ ზაზას ფრესკა გვაქვს. შთამომავლობას აღარ წემორჩა ქანანელისა და ხოჯაყოფილის სურათები. „მალაღანთ ეკლესიის“ სამალავ ჭერში (სხვენზე) აღმოჩნდა საკურთხევის, ანუ აღსავლის ჩუქურთმიან ხის კარების ნატეხზე დაკრული ფერწერული ტილო, რომელზედაც გამოსახულია სასულიერო პირი შრომის პროცესში. სურათის აღმოჩენა ძალიან საინტერესოა. თანაც სად? მალაღაძეების საგვარეულო ეკლესიაში, სხვენზე — ჭერში, სამალავ სათავსოში, გარეული მტრედების და ფრინველების ფეკალური მასით დაფარულ ჩუქურთმიან ხის კარების ნატეხზე. როგორც ირკვევა, ჩვენმა უცნობმა წინაპარმა სურათის შთამომავლობისათვის შემონახვაზე იბრუნა. იგი წრიული ფორმისაა 19 სმ დიამეტრით. თემატიკა უსათუოდ შუა საუკუნეებიდან მოდის, მაგრამ ტილოზე იშვარად იგრძნობა XVII—XVIII საუკუნეებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების კვალი. დღეისათვის სურათი ძლიერ დაზიანებულია, თუმცა გასაკვირი ის არის, ჟამთა სვლას იგი როგორ გადაურჩა? მიუხედავად სიძველისა (ცნობილ მხატვარ-რესტავრატორის სოფიო მიჩაშვილის აზრით, ფერწერული ნიმუში არა უგვიანეს XVIII საუკუნეს განეკუთვნება), სურათზე აშკარად სასულიერო პირია გამოსახული, ვინაიდან შუა საუკუნეებში ეკლესიაში საკურთხევის, ანუ აღსავლის კარებზე ბერს სრულიად უსაფუძვლოდ არ გამოხატავდნენ (ლაპარაკია სურათის გამოსახვაზე მალაღაძეების საგვარეულო ფეოდალურ ეკლესიაში. ს. ს.). ტილოზე განათლებული მწიგნობრის დაბრძენი ბერის პორტრეტი გამოსახტული, თეთრი, ფაფუკი წვერით, ხელში ორბის

ფრთის კალმით. აქვეა დახატული უცხო ფრინველი ზეაწეული ფრთებით. თავის მონახტულობით იგი ორბი უნდა იყოს. მკაფიოდ მოჩანს თავის, თვალის და მოკაუჭებული გრძელი ნისკარტის გამოსახულება. ფრინველს ნისკარტით უჭირავს წითელი ელიფსური ტიპის რგოლი. წითელ რგოლზე ჩამოკიდებულია სამეღნე. ტილოზე ის არაჩვეულებრივი იშვიათი ფერწერული სიუჟეტია გაბოსახული, რომელიც ევანგელისტებისათვის იყო დამახასიათებელი. ვადაშლილი წიგნი დევს მაგიდაზე, მაგიდასთან სკამზე ზის შინდისფერ სამოსელსა და მწვანე ფერის მოსასხამში, თმა-წვერ დათოვლილი ბრძენი მოხუცი. იგი შრომის პროცესშია წარმოდგენილი. ორბის ფრთით რალაცას წერს. იგი დახატულია უცნობი ფერმწერის მიერ. ადამიანის სახისა და ორბის ფრთის კალმის ოდნავ ზემოთ, შეიძლება გამაღიღებელი ლინზით ამოიკითხოთ: მხედრულით დაწერილი: „მახარებ“. ოდნავ ქვემოთ გადმოტანილია „ელი“. „მახარებელი“, ასეთი სიუჟეტი დამახასიათებელია ევანგელისტების: მათე, მარკოზის, იოანეს და ლუკასათვის, რომლებიც მოიხსენიებიან ბიბლიაში მოთხრობილ ქრისტეს მოციქულ მწიგნობართა შორის ჯერ კიდევ IV საუკუნეში. შუა საუკუნეების ხერმითმოდგურულ ძეგლებზე მათი შარავანდედით მოხილი სახეები ხშირად არის გამოსახული. თავიდან ჩვენც ასე გვეგონა, რომ იოანე მხარობელის სურათის გამოსახვასთან გვქონდა საქმე. ხელოვნებათმცოდნეებისათვის ცნობილია, რომ ევანგელისტებს უამრავი იმიტატორები და მიმბაძველი გამოუჩნდა მომდევნო საუკუნეებში. თანაც მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ბიბლიაში მოხსენიებულ ქრისტეს მოციქულების პორტრეტზე შუა საუკუნეების დასაწყისსა და შემდეგ საქართველოში ტრადიციულად კეთდებოდა ასომთავრული და ხუცური წარწერები, ხოლო გვიანი შუა საუკუნეების ბოლოს, მხედრული წარწერები ფერწერულ ტილოსა და ფრესკულ გამოსახულებებზე — იშვიათად, ან სრულებით აღარ მეთრდება. საქრისტიანო ქართულ ეკლესიებში ფსევდოევანგელისტების, იმიტატორების მოღვაწეობის ფაქტები უამრავია შუა საუკუნეებში, თანაც მათ ღვაწლიც უფასდებოდათ და ამიტომ აქაც ერთ-ერთი ფსევდოევანგელისტის, იმიტატორის, მიმბაძველის მახარებელ მაღალაძის სურათის გამოსახვასთან უნდა გვქონდეს საქმე. ყოველ შემთხვევაში ეს სურათი იმითაც არის ძვირფასი, რომ იგი ნათელსა ჰყვენს ქართული ფერწერული ხელოვნების მაღალ დონეს შუა საუკუნეებში. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია საღებავების ქიმიური მდგრადობა, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში სურათის დაზიანების მიუხედავად მაინც შესაძლებელი ხდება სახის დეტალების გარკვევა, რომლის საფუძველზე პრაგმატიკოსმა მხატვარმა რობერტ გოგოლიშვილმა მოახერხა ამ იშვიათი სიუჟეტის რესტავრაცია. როგორც ჩანს, მახარებლის სურათი მაღალაძეების საგვარეულო ეკლესიაში აღსაველის, ანუ საკურთხევის კარებს ამშვენებდა, ან დამატებით ეგვტერის კარებზე იყო გაკრული. ასეთი ფაქტები იშვიათად როდი ხდებოდა შუა საუკუნეებში, პრივილეგიურ ფეოდალთა ძვალსაშესაღაც საგვარეულო ეკლესიებში. მაგალითად, კედელზე ფრესკული სურათების წარმოჩენის მკაფიო შემთხვევები გვხვდება დავითგარეჯში — დე-


მეტრე თავდადებული და თამარ მეფე, ვარძიში — მეფე გიორგი III და თამარ მეფის იშვიათი ფრესკები, გელათში — დავით აღმაშენებლის ფრესკა. წმინდა ნიკოლოზის, ანუ ყინწყვისის ეკლესიაში, დამატებითი ევკტერიის კედელზე გამოსახულია შუა საუკუნეების მედიკოს-ენციკლოპედისტი „ზაზა ფანასკერტელი“ მთელი ტანით, შესაბამისი ასომთავრული ქარაგმული წარწერით. ზარზმაში სვეტზე გამოსახულია სვანეთის მთავარი — ერისთავი. იერუსალიმში ამ რამდენიმე წლის წინათ აღმოჩენილია მეჭურჭლეთუხუცესი შოთას ფრესკა, ვარაუდობენ, რომ იგი შოთა რუსთაველის სურათია. ჩვენი აზრით, „მალაღანთ ეკლესიაშიც“ ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე, ვინაიდან სვეტიცხოვლის ქადაგი, მდივან-მწიგნობარი და ჭუარისმტვირთველი მახარებელი მალაღაძე შედარებით ნაკლებად პრივილეგიური „ქარის მწიგნობრობის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო და ამიტომ მისი სურათი ეკლესიაში საკურთხეველის, ანუ აღსავლის კარებზე იქნა გამოსახული ფერწერული ტილოს სახით. ასეთი ვერსიის დაშვება ჩვენ ამ სურათის პოვნამ და მასზე შესაბამისმა მხედრულმა წარწერამ „მახარებელი“ გვაფიქრებინა. მახარებელი მალაღაძე თავისთავად მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება ჩანს. მისი სამოღვაწეო ეპოქა მოიცავს 1377—1440 წლებს. მაშასადამე, იგი უფრო ახლოა შუა საუკუნეების სამედიცინო კარაბადინების შექმნის თუ გადმოქართულების ტრადიციებთან, ვიდრე XV საუკუნის II ნახევარში ზაზა ფანასკერტელი ქართლში. მალაღაძეების საგვარეულოდან ეს მახარებელი პირველი კალიგრაფია, რომელიც ქარის მწიგნობრობის ფუძემდებელია და საერთოდ მწიგნობრობის ტრადიციის დამაარსებელი მალაღაძეების საგვარეულოში.

თედო უორდანიას ქრონიკების II ტომის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მახარებელ მალაღაძეს შემდეგი სიგელ-გუჯრები და ანდერძის წიგნები დაუწერია: 1377 წელს — „გუჯარი მაყაშვილთა“... „კელითა ჩვენისა ქარის მწიგნობრისა მახარებლისათა“. სამწუხაროდ, ამ გუჯარის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, მხოლოდ პირია მოღწეული და საბუთის პალეოგრაფიული შედარების საშუალება აღარ გვაქვს, ხოლო 1391 წელს ეს მახარებელი მეფე ალექსანდრეს მიერ გაცემულ სიგელში მოიხსენიება როგორც ქადაგი და გვარად მალაღაძე. ჰყავს სამი ვაჟიშვილი.

1401 წელს ამ მახარებელს დაუწერია ბაგრატიონების შეწყნარების სიგელი ბეგარიდან გლეხის განთავისუფლების შესახებ: „აწ აროდეს ეთხოვებოდეს არა ჩვენგან და შემდგომად... სხუათა მეფეთაგან... დაიწერა... ხელითა მწიგნობრისა (ჩუენისა) მახარებლისათა“. ჩვენამდე ამ ხელნაწერის დედანია მოღწეული და იგი ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (იხილეთ შესაბამისი ფოტო. ს. ს.) ამ საბუთის — დედანის შედარებამ კარაბადინის ფურცლებთან დაგვარწმუნა, რომ XIV—XV საუკუნეების მოღვაწეს მახარებელ I მალაღაძეს საერთო არაფერი აქვს ზაზა ფანასკერტელსა და მის კარაბადინთან. მაშასადამე, ამ მახარებელს კარაბადინის შედგენაში მო-



XIV-XV საუკუნეების მოღვაწის, სვეტიცხოვლის ქალაგის, მახარებელ პირველი მაღალაძის ბელნაწერი-დედანი. აქვე უჩინდება ქრონიკების მიხედვით ეს საბუთი მეფეთ-მეფე მაგრაბ დიდის შვილის, გიორგი მეფის აღაბის წიგნია, თარიღდება 1101 წლით, სესხ არქივის დედნების ფონდი № 1145, საბუთი № 532. ნას ქალაქგრაფიულად საერთო არაფერი არ აღმოჩნდა კარაბაღის (Q ფონდი № 877) ფურცლების ბელნაწერთან, მაგრამ მახარებელ პირველი კარის მწიგნობარია და მცხეთის სვეტიცხოვლის ქალაგი, ამავე დროს წერაკოზვის და მწიგნობრობის ტრადიციების ერთ-ერთი ფუძემდებელი მაღალაძეების საგვარეულოში.



თავიდან ივანიძეების, შემდეგ „მალაღანთ ეკლესიის“ ორიგინალური ჩუქურთმები ქვა-
ში. მარჯვნივ და მარცხნივ სტილიზებული ფარშევანგებია გამოკვეთილი.

ნაწილესა არ მიუღია. ეს პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის შედეგად აშკარად დადგინდა.

1415 წელს „კარის მწიგნობარს“ მახარებელს დაუწერია „გუგუნი კაჩი-მიძის ანდერძის წიგნი“... „ჩემის სულის სამლოცველოდ“. ესეც პირია, დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, ამიტომ სავარაუდოა, რომ იგი მახარებელ მაღალაძის ხელით არის დაწერილი.

1441 წელს კლიმი კაკლაჩაძე წერს მეფე ალექსანდრე პირველის — დიდის (1412—1443 წ. წ.) ანდერძის წიგნს და ამ ანდერძის წიგნის მოწამება: „შეეკუდრე, ჭუარისმტვირთველი მახარებელი“. აი, ეს მახარებელი ჩანს მაღალაძეების საგვარეულოში ისტორიულად და ქრონოლოგიურად II კალიგრაფად, რომელიც სამოღვაწეო სარბიელზე გამოდის XV საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. ეს პალეოგრაფიულად დადასტურდა, ვინაიდან ჩვენ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო სახ. არქივში აღმოვაჩინეთ ორი სხვადასხვა პალეოგრაფიულად განსხვავებული მახარებლის ხელნაწერი, ერთია XIV-XV ს-ის მიჯნაზე მოღვაწე, ხოლო მეორის მამის სახელიც ისტორიული საბუთით ცნობილია და იგი მეფის კონსტანტინე II კარზე მდივან-მწიგნობარი მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეა. ამიტომ ჩვენ გულდასმით გავეცანით XV საუკუნის 40-იანი წლებიდან ყველა საბუთს, რომლებიც ამ მდივან-მწიგნობრის ხელით არის დაწერილი და ცალკე გამოკვლევა მივუძღვევით მისი მემკვიდრეობის შესწავლას.

საეკლესიო მემკვიდრის ქუჩაში და სამემკვიდრეო ხელნაწერების კალიგრაფი — მახარებელი ოქროპირისძე მაღალაძე

მაღალაძეების საგვარეულოს შესახებ ჩვენამდე მოღწეული ისტორიული საბუთებით ნათლად ირკვევა, რომ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა კარის მწიგნობარი და ქადაგი მახარებელი I მაღალაძე. XV საუკუნის I ნახევრის მიწურულიდან სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდება მეორე მახარებელი მაღალაძე, რომელიც მღვდელი, ქადაგი, ჭუარისმტვირთველი და მდივან-მწიგნობარი ყოფილა. აი, ეს მახარებელი ჩანს მაღალაძეების საგვარეულოში ისტორიულად მეორე კალიგრაფად, რომელიც სამოღვაწეო სარბიელზე გამოდის XV საუკუნის 40-იან წლებში.

„ქართლის ცხოვრების“ IV ტომის ფურცლებზე ქვესათაურში „ზენი და ჩეხულბანი საქართველოსანი“ მოცემულია ძველი საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურა და სახელმწიფო მმართველობის აპარატის უწყებები შესაბამისი საშტატო ერთეულებითურთ. მათ შორის „ჭუარისმტვირთველთათვის“ შემდეგი წერია: „ჭუარისმტვირთველ, ეს მოასწავებდა კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა, და შერისხვაცა ამის მიერ იყო მეფისაგან“. მაშასადამე, „ჭუარისმტვირთველი“ უფლებამოსილი ყოფილა მოეწვია კათალიკოსები და ეპისკოპო-

სებო. ასე რომ, იგი საკმაოდ პრივილეგირებული პიროვნება ყოფილა სამეფო კარზე. ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ირკვევა, რომ „ჭუარისმტვირთველს“ ემორჩილებოდა კათალიკოსი, ეპისკოპოსი. ეს თუ ასეა... გამოდის, რომ „ჭუარისმტვირთველები“ საეკლესიო საქმეების კურატორები ყოფილან. ხოლო სასულიერო პირის „ჰყონდიდელის“ უფლება-მოვალეობის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ IV ტომის 27-ე გვერდზე მეტად საყურადღებო მასალებია დატული. „და იყო ამისი ხელისანი ჭურთხვა-ობოლნი, და დადგრო-მილნი, წესამართლო-ქმნილნი. შეწუხებულნი და შეჭირებულნი: ესე აუწყებდა ამითა ყოველსავე მეფესა. ასევე იყო მწიგნობართუხუცესი. „ყოველთა სამეფოსა მწერალთა ჴევით თქმულთა. ესე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია-მონასტერთა და ლაშქართა მოწუევად და ახალ წელს მაკვლევი მეფისა“. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ჭუარისმტვირთველი მახარებელი მაღალაქე ბაგრატიონთა სამეფო კარზე გავლენიანი და პრივილეგირებული პიროვნება იქნებოდა. ქრონოლოგიურად ეს მახარებელი მეორე XV საუკუნის I ნახევრის 40-იან წლებში მღვდელი ყოფილა, ხოლო 1441 წელს უკვე ჭუარისმტვირთველად იხსენიება. 1441 წელს კლიმი კაკლახაძე წერს მეფე ალექსანდრე I წყალობის წიგნს: ივანე. გახტანგ და თამარ მაკოჰაძის მისამართით. ამ სააღაპე წიგნის გაციმის მოწამე ყოფილა ეს II მახარებელი, მაგრამ იგი ხელს აწერს საბუთზე კათალიკოსის შემდეგ II იურიდიულ პიროვნებად (?) თ. უორდანის „ქრონიკების“ 250-ე გვერდზე ასეთი ტექსტია დატული... ამა მეფეთა და კათალიკოზთა განჩენილსა მე მათი ჭუარისმტვირთველი მახარებელი მოწამე ვარ“, ე. ი. 1441 წელს მახარებელი მაღალაქე სასულიერო თანამდებობის თვალსაზრისით ძლიერ დაწინაურებულა და ბაგრატიონთა კარზე ჭუარისმტვირთველი გაშხდარა. შუა საუკუნეებში საქართველოს კონსტიტუციური სტატუსისა და სახელმწიფო სტრუქტურის საშტატო უწყების მიხედვით ჭუარისმტვირთველი საკმაოდ პრივილეგირებული კაცი ყოფილა მეფესთან სარწმუნოების კურირების თვალსაზრისით და. როგორც ჩანს, ჰყონდიდელთან ერთად მას ევალებოდა წერა-კითხვის გავრცელებისა და ჯანმრთელობის საკითხების მოგვარებაც. 1442 წელს, ედილაშვილს ჰარმალის მიმართ გაუცია ანდერძის წიგნი, ვინაიდან ედილაშვილებს: „ერთისა ქალის მეტი ჩუენი ნათესავი აღარა ღარჩა და იგი შენ მოგციით და ჩუენ შვილად და მიმამულედ შემოგყვანეთ და დაგიწერეთ ჩუენი მკვიდრი და მოუღვივარი მამული მცხეთას“, „დაიწერა... ჰქს: რო: ...ხელითა მაღალაძის მცხეთის ქადაგის მახარებლისათა და მოწამეც არის“. ამ საბუთით მტკიცდება, მახარებელს ჭუარისმტვირთველის თანამდებობასთან ერთად 1442 წელს ქადაგის თანამდებობაც ჰქონია. მასვე დაუწერია ჰარმალთა ანდერძის წიგნი. „1466 წელს ლიხტიმერის და ლიხტამერისაგან მეფეთ მეფემან ბაგრატ ვასცა ანდერძის წიგნი“ და აღაპის ტექსტც დაიწერა: „ხელითა ფრიად ცოდვილისა მახარებლისათა“. თ. უორდანის „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დატული საბუთებით ირკვევა, რომ მახარებლები 1377 წლიდან იყვნენ: „კარის მწიგნობარი“, მღვდელი, „ჭუარის




იგორ გილაგენდორფის ფოტოგადაღებით და ირაკლი იაკობაშვილის დახმარებით მახარებლის კოშკის აღმოსავლეთ კედელზე აღმოჩნდა XV საუკუნის ისტორიულ პიროვნებათა იკონოგრაფიული ფრესკა: მახარებელი, ღვთისმშობელი, გრიგოლი, ეგნატი და გერმანოზი. ეპიტაქსი სვლას ჩამოურეცხავს მათი მამის ოქროპირ მალაღამის, მისი უფროსი შვილების: ალექსანდრესა და ზოსიმეს ფრესკები. ოქროპირის მეუღლის ვინაობა ჭერჭერობით დაუდგენელია. ფოტო გადაღებულია რენტგენოსკოპული, ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სხივებით განათების ფონზე.



იგივე ფრესკა რესტავრაციის შემდეგ, რესტავრირებულია მხატვარ ანდრო ბოჭორიძის მიერ.

მტვირთველი“ „მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგი“ და „მდივან-მწიგნობარი“. ეს ფაქტები იმიტაც არის საინტერესო, რომ მახარებლები, მაღალაძეთა საგვარეულოდან გამოირჩეოდნენ, როგორც ფრიად განათლებული მწიგნობარნი და სასულიერო თანამდებობზე მათი დაწინაურება არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს. 1472 წელს მაღალაძეთა სიგელი, მღვდელი ივანე ლიაძისაგან დაწერილი, მრავალმხრივ საინტერესო საბუთია, და მთავარი მაინც ისაა, რომ II მახარებელის მამას სახელად ისტორიულ საბუთებში ოქროპირი ერქვა „თქვენ მაღალაშვილსა ოქროპირს და თქვენთა შვილთა მღვდელსა მახარებელს“, ხოლო 1441 წელს კლიმი კაკლანაძის ხელით დაწერილ საბუთზე მახარებელის ხელის მოწერით და ამ პირველადი ისტორიული საბუთების პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზით გაირკვა, რომ 1441 წლის შემდგომ მახარებელის ხელმოწერილი საბუთები ეკუთვნის XV საუკუნის II ნახევრის მოღვაწეს მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეს. მხედველობაში გვაქვს ასევე 1466—1477 და 1488 წელს გაცემული სიგელების დაწერა და ხელმოწერა: „ხელითა მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა“. 1492 წელს მეფე კონსტანტინეს მიერ გაცემულ საალაპე წყალობის წიგნის მიხედვით, რომელიც იწერება: „ხელითა ივანიაძისა მცხეთის ქადაგისა მახა-



უფლისციხე, შიდა ქალაქი. თახჩებიანი ნაგებობა ორსვეტიანი ღარბაზის (სასახლის) კომპლექსში.

უფლისციხე (V საუკუნე), არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა აფთიაქის თახჩებიანი ნაგებობის ნაშთები. იხ. ღ. ხახუთაშვილი „ქლდეში ნაკვეთი ქალაქი“, თბ. გამომცემლობა „ნაკადული“, 1967 წ.

რებლისათა“. ჩვენ გავარკვევით, რომ XV საუკუნეში არაეინ ყოფილა ისეთი პიროვნება მალალაძეთა შორის, რომელსაც სახელად რქმეოდეს ივანია და მით უმეტეს მის ცაქოშვილს რქმეოდეს მახარებელი. აქ პირველ რიგში ლალაპარაკია იმაზე, რომ მახარებელი მალალაძეა, მისი მამის სახელი ოქროპირია და არა „ივანე“. ივანისძე რომ არ იყო მახარებელი, ეს ჩვენ დავადგინეთ ისტორიული საბუთებით. (იხ. გამოკვლევა სათაურით „სამედიცინო ხელნაწერის სამკურნალო წიგნი — კარაბადინის შექმნაში მახარებელი მალალაძის მონაწილეობის საკითხისათვის“). ვინაიდან სიგელის შინაარსის მიხედვით კათალიკოზ აბრაჰამს ნება ეძლევა წისკელის მშენებლობისა, თანაც „ვენახი იყიდეთ „ჩუენსა სამკვიდრებლსა“, ამბობს გუჯარის ტექსტში მეფე კონსტანტინე „კათოლიკე — საყდარსა პატივად შემატებოდა“... „და რა გუარცა თქვენ შეგიწირავთ... არ შეგეცვალოს“... აქ ნათლად გარკვეულია, რომ კონსტანტინე II მეფობის წლების ქრონოლოგიაზეა ლაპარაკი და ამ დროს არაერთი საბუთით ირკვევა, რომ მდივან-მწიგნობარია მახარებელ ოქროპირის ძე მალალაძე და იქვე „ქრონიკების“ II ტომის 192-ე გვერდის სქოლიოში მითითებულია ასეთი შინაარსის მეტად მნიშვნელოვანი წყაროს განმარტება, „ახალი ივანია-ძე“ ე. ი. ამბობს თედო ჟორდანიანი, — „ახლად დადგენილი ამოვარდნილის ივანის ძის მაგიერ, როგორც მაგალითებრ ამგვარსავე შემთხვევაში ხიმშიაშვილი ამოვარდნილის აბულეთის ძის ადგილ-მა-



მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში აფთიქის შენობის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ბორწყალი მაშა-პინცეტი და ბრინჯაოს ნიჟარები.

შულის (მემკვიდრეობით. ს. ს.) მიმღებელი იწოდებოდა „ახალ აბჯღეთის ძედ“ (იხილეთ ქვემოთ 1405 წლის ქვეშე). ე. ი. „ივანის-ძე“ ივანიძეების ადგილ-მამულის მემკვიდრეობას ნიშნავს და არა ივანე-ს შვილობას. ქრონიკების II ტ. 320-ე გვერდზე ჩამოთვლილია ქართლის ტერიტორიის მრავალი ტოპონიმი და შემდეგ ასეთი ფრაზა გვხვდება: კავთისხევი საქადაგო ივანიასძისა“. (მამული მაღალაძეთ რომ ეკირათ“). აშკარაა, რომ აქ ივანიძეების ადგილ-მამულის მემკვიდრეობაზეა ლაპარაკი მაღალაძეების მხრივ და არა იმაზე, რომ მახარებელი „ივანიასძე“ იყო, თითქოს მახარებელის მამას ივანე რქმეოდეს.

ახლა სასურველია, დავებრუნდეთ ამ ხელნაწერის პირველ მკვლევართა კომენტარებს და გავარკვიოთ, რა არგუმენტების საფუძველზეა დადგენილი ამ წიგნის ავტორობის და გადამწერის ფუნქციის მინიჭების საკითხები.

1950 წელს „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ კომენტარებისას ხელნაწერების ცნობილი მკვლევარი პროფ. კ. გრიგოლია ამ წიგნის შესავლის მე-9 გვერდზე წერდა: „აქ სულ ცოტა ორი სხვადასხვა ხელი გამოირჩევა. ა. მსხვილი. მომრგვალო ლამაზი ხელი (წიგნის შესავალშივე მოცემულია სურათი — ფრაგმენტი: „კარაბადინის“ დასაწყისი, „მახარებელის ხელი“). ს. ს.) ბ. შედარებით წვრილი და საშუალო სილამაზის ხელი (მეორე ფრაგმენტი „კარაბადინის“ ერთ-ერთი გადამწერი ხელი. ს. ს.) თითოეული ხელი თავის მხრივ გზადაგზა თვალსაჩინო სახეცვლილებებსაც იძლევა“. შემდეგ ამავე გვერდზე სკოლიოში მითითებულია რომ: „მსხვილი მომრგვალო ლამაზი ხელით დაწერილია 1-დან 24-მდე; 117-დან 254V-მდე; 259-ე დან 268V-მდე“, ე. ი. ამ პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად, რომელიც უშუალოდ კარაბადინის

ფურცლების ურთიერთშეფარდებით მეთოდს ემყარება, გამოდის, რომ 360 გვერდი, რომელიც ავტორის ხელით არის დაწერილი, ხოლო „შედარებით წერილი და საშუალო სილაშაზის ხელით არის დაწერილი“ „268V-დან 311-მდე, და 445V-დან ბოლომდე“ ე. ი. 684 ფურცლამდე, ე. ი. 1008 გვერდი. აქ მდგომარეობას ართულებს შემდეგი გარემოება. დაეუშვათ ერთი ავტორის მიერ დაწერილია I-დან 268 გვერდამდე. მაშინ ვიტყვით, ერთმა ავტორმა დაწერა პირველი ნახევარი და ბუნებრივია მეორე ნახევარი, მოცულობით ორნახევარჯერ მეტი ტექსტისა, ავტომატურად მეორე ავტორს დარჩებოდა, მაგრამ აქ ადგილი აქვს გადახტომებს 25 გვერდიდან 116-მდე, 155-დან 228-მდე, 269-დან 351-მდე. 325-დან 444-მდე; ხოლო 445-დან 684 ფურცლამდე კი თანამიმდევრობა დაცულია. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ხელნაწერს თავფურცელი საერთოდ არა აქვს, ხოლო 26 ფურცელი დაკარგულია და მას ჩვენამდე აღარ მოუღწევია. რომ შეგვძლებოდა გვერდიდან ახალ გვერდზე განსხვავებული ხელნაწერის გარჩევა, მაშასადამე, შევძლებდით ფურცლებზე კალიგრაფიული სხვაობის გარჩევასაც, მაგრამ პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად მაინც გარკვეულია, რომ ხელნაწერის 360 გვერდი ერთი ავტორის ხელით არის დაწერილი, ხოლო 1008 გვერდი მეორე ავტორის ხელით (ავტორთა ნუმერაცია პირობითია. ს. ს.) „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 329-ე გვერდის III სტრიქონი გამორჩეული სინგურით ასე იკითხება: „ქრისტე, ადიდე პატრონი ფანასკერტელი ზაზა“, 339-ე გვერდზე გამორჩეულად. წითლად კვლავ ასეთი შინაარსის მხედრულად დაწერილი სტრიქონია: „ქრისტე ღმერთო, ადიდე პატრონი ჩვენი ზაზა მკურნალი“. აი, ეს ერთადერთი ძველი ქართული სიტყვა „მკურნალი“, გვაფჩრებინებს რომ, ზაზა ციციის-ძე ფანასკერტელი ამ სამკურნალო წიგნ კარაბადინის, არამარტო დამკვეთი და მომგებელია, არამედ ამ ფარმაცოპეის ორიგინალურად შედგენის ინიციატორი, კონსტრუქტორი და რედაქტორი. ამავე დროს, როგორც მკურნალი, ხელნაწერის შექმნის უშუალო მონაწილეა. სავარაუდოა, რომ ამ ხელნაწერის 360 გვერდი უშუალოდ მისი ხელითაა დაწერილი. ამ მოსაზრებას იზიარებენ პროფესორები: კ. გრიგოლია, ი. აბულაძე, ხოლო პროფ. მ. სააკაშვილი მას ავტორის ფუნქციას აკისრებს. ამ მხრივ საინტერესოა საერთოდ ხელნაწერის შექმნის ტრადიციები შუა საუკუნეებში. როგორც წესი, ხელნაწერებს ქმნიდნენ კალიგრაფები — პროფესიონალი მხნბეელები, რომლებიც ეკლესიებთან არსებულ სავანმანათლებლო უწყებებში მუშაობდნენ. ზაზა ფანასკერტელი იყო საერო პიროვნება, „ერისთავთ—ერისთავი“, „სახლთუხუცესი-“, „დიდი ფანასკერტელი“, ფეოდალურად პრივილეგირებული ისტორიული პიროვნება. თანაც მისი მისამართით ორჯერ იხსენიება უძველესი ქართული სიტყვა „მკურნალი“. ძნელად დასაჯერებელია, რომ ასეთმა პრივილეგირებულმა პიროვნებამ, უთავადესმა თავადმა ჯერ დაწერა ეს „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ და შემდეგ მახარებელს გადააწერინა: ეს მაშინ, როცა შუა საუკუნეებში საწერი

ქალაღი საკმაოდ დეფიციტური იყო. ამიტომ საეკევა ერთი ხელნაწერის შექმნაზე ჩვენს წინაპრებს ქალაღდის ორმაგი ხარჯი გაეწიათ, ეს მაშინ როცა ასეთი მოცულობის ხელნაწერის შექმნა შუა საუკუნეებში მიახლოებით ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საშუალო სიღიღის ეკლესიის აშენებისათვის საკირო და თანატოლი თანხა ჯდებოდა. სწორედ ამიტომ ჩვენ მიგვაჩნდა, რომ მახარებელ მაღალაღის პოზიციის გარკვევას და მის მოღვაწეობას, ზაზა ფანასკერტელთან ერთად, კვლავ სკირდება ისეთი დამატებითი არგუმენტები და გამოკვლევები, რაც საქმის ჭეშმარიტ ვითარებასა და XV საუკუნის უამთასვლაში გაგვარკვევს. ეკვი გვეპარება, რომ ამ ხელნაწერზე მომუშავე პირველ მკვლევარებს ზუსტად გამოერკვიათ მახარებელის როლისა და დეაწლის საკითხი, რადგან ჭერჯერობით რატომღაც მახარებელის მამის სახელიც კი არ არის ზუსტად ამოცნობილი. და სრულიადაც არ არის ჭერჯერობით მხედველობაში მიღებული ის ისტორიული სინამდვილე, რომ არსებობდა მახარებელი პირველი და მახარებელი მეორე მაღალაღეების საგვარეულოში, რასაც დაღებითი პასუხი უნდა გასცეს პაღეოგრაფიულმა ანალიზმა. თედო უორდანიას „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დაცული ისტორიული პირველადი წყაროები ძალიან ზერელედ არის გამოყენებული და აშკარად არალოგიკური დასკვნებია გამოტანილი.

თბიღისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. მ. შენგელია მთლიანად ზაზა ფანასკერტელს თვის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ აეტორად და თანაც „ციციშვიღის“ დამატებითი გვარით, ხოლო გაღამწერის ფუნქცია მინიკებული აქვს მახარებელ ივანეს ძე მაღალაღეს (?), არსებობს არაერთი არგუმენტირებული ფაქტი, რომ ზაზას ერთ-ერთი თანაეტორი იყო XV საუკუნის II ნახეგრის მოღვაწე ფსევდოევანგელისტი, ჭუარისმეტეირთველი მხარებელ ოქროპირის-ძე მაღალაღე. ასეთი ეერსიის უფლებას გვაძლევს, უპირველეს ყოვღისა კალიგრაფი-მწერლების მოღვაწეობის ტრადიციები საეკლესიო დაწესებულებებში და რაც მთავარია, 1171-ე და 219V-ე გვერდების არშიაზე ნუსხური წარწერების შინაარსი: „ქრისტე, შეიწყაღე მჩხრეკალი ამისა უღირსი მახარებელი ამინ“, და „მშრომღისა მახარებღისათვის შენდობაე ყავთ“. ჩვენთვის აშკამად სრულიად არ არის გარკვეული ამ ხელნაწერის პირველი მკვლევარები რატომ შემოიფარგღნენ ამ ფრაზების შინაარსის გაცნობის შემდეგ მხოლოდ იმ აზრით, რომ კალიგრაფ-მწერალს მახარებელს მხოლოდ და მხოლოდ გაღამწერის ფუნქცია მიანიკეს? ამ საკითხზე თავისი აზრი გამოთქვა პროფ. კ. გრიგოღიამ, „აშკარაა, მახარებელი ამ კარაბადინის გაღამწერია. უფრო კი ის მსხვიღი, — განაგრძობს პროფ. კ. გრიგოღია, — ლამაზი მხედრული ხეღის პატრონი ჩანს“. ამგვარად, ამ მნიშენლოვანი სამედიცინო ხელნაწერის 1008 გვერდი გაღაუწერია მახარებელ მაღალაღეს, მაგრამ ასეთი მოსაზრების „ღამამტკიცებღმა სხვა წერიღობითმა დოკუმენტებმა სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწეღსო“. თუმცა მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მახარებღლის პირადი ფაქსიმიღეს არსებობა ხელნაწერზე (მკვლევარების მიერ) ერთხმად

არის აღიარებული და მათი ვარაუდი ზედმიწევნით ზუსტი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, პროფ. კ. გრიგოლიას აინტერესებდა მახარებელი მაღალადის ხელნაწერი დედნის „პალეოგრაფიული შეფარდებითი ანალიზი, „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ რამდენიმე ფურცელთან, თუნდაც იმის გამოსარკვევად: 180 თუ 504 ფურცლიდან, რომელი ეკუთვნის მახარებელ მაღალადეს და რომელი ზაზა ფანასკერტელს? ამის გამოკვლევა ჩვენთვის ძალიან საინტერესოა(!) პროფ. მ. შენგელია ამ წიგნზე არავის თანავეტორობის აზრს არ იზიარებს. იგი მხოლოდ მახარებელ მაღალადეს აღიარებს ერთ-ერთ გადამწერად და 1978 წელს გამოქვეყნებულ თავისი გამოკვლევის მე-11-ე გვერდზე ქვესათაურში: „ხელნაწერის გადამწერნი“ მახარებელ მაღალადეს „ივანიას ძეს“ მხოლოდ გადამწერის ფუნქციას ანიჭებს. მახარებელის მამას, რომ ოქროპირი ერქვა, გავარკვიეთ და ეს საბუთი იმდენად სარწმუნოა, რომ იგი დავას აღარ უნდა იწვევდეს. პროფ. კ. გრიგოლია წერს: „სამწუხაროდ, მახარებელის მიერ დაწერილ დედნებს ჩვენამდე აღარ მოუღწევია და ამდენად მისი ხელის (ხელნაწერის. ს. ს.) შედარების საშუალება აღარ გვაქვს“-ო. ეს განცხადება სწორი არ აღმოჩნდა. მართალია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ საბუთებში ასეთი დოკუმენტი არ არის, მაგრამ საქართველოს ცენტრალურ სახ. საისტორიო არქივში დედნების ფონდის 1448 №63-ე საბუთის აღმოჩენამ ბევრ საიდუმლოებას ახადა ფარდა, რაც დღემდე ბურუსით იყო მოცული. ვიდრე უშუალოდ ამ დედანზე ვისაუბრებდეთ, საჭიროა გავარკვიოთ ზაზა ფანასკერტელის ვიხაობა. ვაჩიძორის მღვიმეში (ტაო) აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი საბუთებიდან ჩანს, ზაზა დიდი თანამდებობის პირი — მექურჭლეთუხუცესი ყოფილა. ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლეული მასალების მიხედვით მისი ქართლში ჯადმოსახლება 1465-67 წლებში მომხდარა მეფეთ მეფე კონსტანტინე II-ის ინიციატივით. (იხილეთ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (დედნების ფონდი № 1448, საბუთი № 63-ის ფოტოპირი. ს. ს.). ეს სავსებით არგუმენტირებული და ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული დასკვნაა, ვინაიდან ბაგრატიონებსა და ფანასკერტელებს შორის XV საუკუნეში კეთილმეგობრული, ნათესაური დამოკიდებულება სუფევდა. ვახტანგ IV ბაგრატიონს ცოლად ჰყავდა ფანასკერტელის ქალი სითი-ხათუნი. ერთიანი საქართველოს მეფეთა ქრონოლოგიური რიგიდან ცნობილია, რომ ვახტანგ IV სრულიად საქართველოს მეფის ტახტი ეპირა 1443 წლიდან 1446 წლამდე. იგი მეფე ალექსანდრე I დიდის (1412—1443 წ. წ.) ძე — ვაჟიშვილი იყო. „ქართლის ცხოვრების“ IV ტომის 282—283 გვერდზე დაცულია ასეთი შინაარსის ისტორიული საბუთი: „მეფესა ამას უთხრეს შუენიერება და სიკეკლუცე ფანასკერტელის ასულის სითი-ხათუნისა. ეტრფილა მეფე და ჰოუყვანა ცოლად და ჰყო მასთან ქორწილი ჭეროვანი და შეიყუარა ფრიად“. როგორც ისტორიული საბუთებით ირკვევა 1445 წელს გარდაიცვალა სითი-ხათუნი: „ყოულად ამასვე წელსა მოკუდა დედოფალი სითი-ხათუნი და დაფლა მეფემან ბანას. ამის შემდგომად იმეფა ვახტანგ წელი ერთი მწუხარებით ცოლისათვისასა. გარნა მეფობდა კეთილად განგებითა ქუეყნისთა, მერე გარ-

დაიცვალა კ-სა ჩუმე, ქართულსა რ-ლგ და არა დაუტევა ძე, არც ასული, და დაფლეს ბანასავე ცოლისათვისსათანა“. როგორც ბაგრატიონთა დინასტიის მეფობიდან არის ცნობილი, ალექსანდრე I დიდს ჰყავდა ვაჟიშვილები: ვახტანგი (იგივე მეფე ვახტანგ IV) და დემეტრე. ამ დემეტრეს ვაჟი კონსტანტინე (იგივე ქართლის მეფე კონსტანტინე II) ქართლის სამეფო ტახტზეა 1479—1505 წლებში. თუ ფანასკერტელები ბაგრატიონების სამეფო ტახტთან დამოყვრებული გვარი იყო, მაშინ სავსებით ბუნებრივია ზაზა ფანასკერტელის ქართლში ოჯახით გადმოსახლება და ქართლის მეფე კონსტანტინე II სიგელით მზოვრეთიდან ნიჩბისამდე უამრავი ადგილ-მამულების ბოძება და სხვა ფეოდალური პრივილეგიების მინიჭებაც. ე. ი. ზაზა ფანასკერტელის ქართლში გადმოსახლება შემთხვევით არ მომხდარა XV საუკუნის მეორე ნახევარში. პროფესორები: ილია აბულაძე, კოტე გრიგოლია და მიხეილ სააკაშვილი პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით „სამკურნალო წიგნ-კარაბადინს“ XV ს-ით ათარიღებენ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, წინამდებარე ძეგლი ტაოში დაიწერა თუ ქართლში? მახარებელ ოქროპირის-ძე მალალაძის ქართლში ხანგრძლივი მოღვაწეობის ისტორიული ფაქტი გვაძლევს საფუძველს, რომ „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“ ქართლში დაიწერა. ამ მოსაზრების არგუმენტირებისათვის საჭიროა მოვიშველიოთ ქარაგმული წარწერების შინაარსი და თვით მეორე მახარებელ მალალაძის მოღვაწეობის სავარაუდო ეპოქა. 1441 წელს კლიში კაკლანაძის ხელით დაწერილ საბუთზე კათალიკოსის შემდეგ ასეთი შინაარსის ხელმოწერაა: „ქ. ამა მეფეთა და კათალიკოსისა განჩენილსა მე მათი ჭუარის მტვირთველი მახარებელი მოწამე ვარ“. 1472 წელს გაცემულ სიგელში: „წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მალალაძისადმი“ ირკვევა, რომ მახარებელი მალალაძე XV საუკუნის II ნახევარში ეწეოდა ნაყოფიერ საეკლესიო მოღვაწეობას: მხხრეკელობას და მწიგნობრობას. ამ ქრონოლოგიით ვლინდება მახარებელ მალალაძის სიახლოვე საეკლესიო მედოცინასთან და მისი მოღვაწეობა ზაზა ფანასკერტელთან ერთად. ამიტომ მახარებელ მალალაძის თანამონაწილეობას „სამკურნალო წიგნ-კარაბადინის“ შედგენაზე ადასტურებს პროფ. კოტე გრიგოლიას და პროფ. ილია აბულაძის მიერ გაშიფრული ნუსხანუსტური წარწერები. კერძოდ, ძეგლის 177r გვერდის არშიაზე მიწერა: „ქრისტე, შეიწყალე მხხრეკალი ამისა უღირსი მახარებელი ამინ“, ხოლო 219 v გვერდის არშიაზე წარწერა გვამცნობს: „მშრომელისა მახარებლისათვის შენდობაჲ ჰყავთ“. მაშასადამე, ფსევდოევანგელისტი, მახარებელი კარაბადინში ორჯერ იხსენიება „მხხრეკალისა“ და „მშრომელის“ ზედწოდებით. თუკი ვივარაუდებთ, რომ შუა საუკუნეებში ავტორებს საერთოდ ასეთი მოკრძალება ახასიათებდათ საკუთარი თავის წარმოჩენის შემთხვევაში, სრულიად ბუნებრივია მახარებელ მალალაძის თანაავტორობის საკითხი დაეაყენოთ დღის წესრიგში. „სამკურნალო წიგნი -- კარაბადინი“ ყველაზე სრულყოფილი სახით არის მოღწეული ჩვენამდე, რასაც პირველ რიგში უნდა ვუმადლოდეთ ვახტანგ VI ბაგრატიონს, ვინაიდან 1709

წელს ფურცლებად დაშლილი და დაკარგვის საშიშროების წინაშე მყოფი ეს წიგნი სწორედ მან ააქინძვინა. ამ ფაქტით დასტურდება, რომ წინამდებარე კარაბადინი უზენაესი დანიშნულების იყო და ბაგრატიონთა სამეფო კარის მდიდრობისათვის სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენდა. თუნდაც იმიტომ, რომ ემიგრაციის დროს ვახტანგ VI, როგორც პირადი საკუთრება თან წაიღო იგი რუსეთში. ამ ძეგლის სხვა ვარიანტები ჭკრჭკრობით ცნობილი არ არის, ამიტომ იგი, სრულიად სამართლიანად, ორიგინალად უნდა იქნეს მიჩნეული.

„სამკურნალო წიგნ-კარაბადინის“ 177-ე და 219-ე V გვერდების არ-შიაზე არსებულმა ქარაგმულმა წარწერებმა, სადაც მახარებელი იხსენიება „მჩხრეკალის“ და „მშრომელის“ ზედწოდებით, ჩაგვაფიქრა და შევეცადეთ ანალოგიური ფაქტების მოშველიებით აგვესხნა მახარებლის როლისა და ღვაწლის საკითხი. ჩვენ პირველ რიგში დავინტერესდით „მალაღანთ ეკლესიის“ ნაგებობით და ადგილმდებარეობის გამოსაკვლევი რეგიონის შესწავლით. ინტუიციით ვფიქრობდით, რომ თუ მახარებელ ოქროპირის ძე მალაღამემ, თუნდაც მხოლოდ მექანიკურად გადამწერმა, მონაწილეობა მიიღო ამ 1368-გვერდიანი სამედიცინო კარაბადინის — ფარმაკოპეის შედგენაში, მაშინ „მალაღანთ ეკლესიის“ საფეოდალოში ხომ არ შემორჩა ჯანმრთელობის დაცვის კერის არსებობის ნიშნები? მით უმეტეს, წერილობით წყაროებში მოხსენიებულია, რომ მათ ივანძიებისაგან სხვა მატერიალურ ფასეულობებთან ერთად ფეოდალურ გამგებლობაში გადაეცათ — „წალკოტი“ — როზარიუმში, ეღემის ბაღი, სადაც საფიქრებელია, რომ სამკურნალო მცენარეებსაც აშენებდნენ. ძიების შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

1943 წელს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“ XIV ბ ტომში 195-ე გვერდზე წერს: „აღმოსავლეთის მხრივ გალავანს კიდევ ერთი კოშკის ნანგრევი ეკვრის, გალავნის გარეთაც, მთის კალთებზე, ჭინჭრითა და ბუჩქნარით დაფარულ ადგილას ძლივსღა შესამჩნევი რაღაც ნაგებობის კვალი ჩანს“.

1943 წელს გააფთრებული ომი იყო. თანაც პატივცემულ მკვლევარს, ვახტანგ ბერიძეს სააფთიაქო საქმის ისტორიის კვლევა იმ პერიოდში ალბათ ნაკლებად აინტერესებდა, ხოლო საქართველოს მედიცინის ისტორიის მკვლევარები დღემდე საერთოდ არ დაინტერესებულან „მალაღანთ ეკლესიის“ ტერიტორიის სათანადო შესწავლით. 1979 წელს ჩვენ სწორედ ამ „ძლივსღა შესამჩნევ რაღაც ნაგებობის კვალში“, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოვაჩინეთ საქართველოს სააფთიაქო საქმის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი შენობა, ვარძიაში არსებული აფთიაქის მსგავსი, ნახევრად სარდაფის ტიპის სამკურნალო პრეპარატების მომზადებისათვის და ნედლეულის შენახვისათვის განკუთვნილი საწყობი — წამლის სასახლე — აფთიაქი. მას 10 მ² ფართობი უკავია, თითოეულ კედელზე განლაგებულია 20 სმ-იანი მართკუთხა ქვაფუძალით ნაშენი თახჩების 9 რიგი. ოთხივე კედელზე 500-მდე ქვაფუძალით ნაშენი თახჩა აღმოჩნდა, აღმოსავლეთის მხრივ აფთიაქში შე-

სასველელი კარებია, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო დიდი მოცულობის სა-
თავსოს უკავშირდებოდა. საზოგადოებრივ საწყისებზე ჩვენი ინციტივიით,
რაც ვაითხარა, ისიც ძალიან საინტერესოა, ვინაიდან მიწის ზემოთ მხოლოდ
მესამედელია მოჩანდა ისეთი თახჩებისა, როგორიც ვარძიაში არსებულ წამლის
სასახლე-აფთიაქშია. არქეოლოგიური გათხრების პროცესში, როგორც უკ-
ვე ზემოთ ითქვა, თახჩების რაოდენობამ 500-ს მიაღწია. მიწის თხრის პრო-
ცესში ბარის პირს ამოჰყვა ლითონის მაშა, ე. წ. „ბორწყალი“, რომელიც, აღ-
ბათ, თავის დროზე „პინცეტის“ დანიშნულებას ასრულებდა და მასზე, რო-
გორც ჩანს, დამაგრებული იყო ბრინჯაოს ნიჟარები — ყალიბები, რომელიც
20 გრამამდე სითხეს იტევს. მათი უშუალო დანიშნულების განსაზღვრა თა-
ნამედროვე მედტექნიკის იარაღების და სამედიცინო ფუნქციის მინიჭების
თვალსაზრისით ძნელია. პინცეტი-მაშა, ანუ ბორწყალის ფუნქციები სავ-
სებით გასაგებია, მაგრამ ნიჟარებისა — დაზუსტებას საჭიროებს. საქართ-
ველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში უფრო მეკვეთად რომ
იქნეს გარკვეული საეკლესიო მედიცინის ქურუმის, სეგტიცხოვლის ქადაგის,
მდივან-მწიგნობრის, მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძის პიროვნების რო-
ლი, მისი ღვაწლისა და კალიგრაფ-მწერლობის საკითხი, მიზანშეწონილია,
შეგვხონთ XIV საუკუნეში მაღალაძეების ფეოდალური აღორძინების ეპოქას,
რომელსაც ფაქტობრივად ნიადაგი მოუშადა თვით მახარებელ პირველმა.

„ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომის ფურცლებზე დაცულია
არაერთი საბუთი, რომელიც XVII საუკუნეში მაღალაძეების ძლიერი ფეოდა-
ლური გავლენის დამადასტურებელია. რაც მთავარია, მაღალაძეების კოშკის
კედელი მოხატული ყოფილა მთელი საგვარეულოს წარმომადგენელთა სუ-
რათებით, რომლებმაც მართალია ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ უკვე სვლას ეს
ფრესკები ჩამოურეცხავს, წაუშლია და ძლიერ დაუზიანებია, დღეისათვის
მხოლოდ ზოგიერთი მათგანია სახეზე. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა ცნო-
ბილი რუსი მხატვრის გრიგორი გრიგორის ძე გაგარინის (1810—1893 წ. წ.)
საშვილიშვილო ღვაწლი. როგორც ირკვევა, მაღალაძეების ოჯახის იკონოგრა-
ფიული ფრესკა XIX საუკუნეში მას გადმოუხატავს. მაგრამ, არავინ იცის,
სად ინახება ამჟამად მაღალაძეების კოშკის კედლის ფრესკის გაგარინისეული
ასლი. ჩვენდა საბედნიეროდ, გ. გ. გაგარინმა პარიზში 1847 წელს გამოსცა
უნიკალური ალბომი. სწორედ ამ ალბომის ფურცლებზეა დაცული საქართ-
ველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი
მაღალაძეების ოჯახის გ. გ. გაგარინის მიერ გადმოხატული ფრესკის ფერადი
რეპროდუქცია. ეს იკონოგრაფიული ფრესკა თავისთავად საინტერესო ქმნი-
ლებია, როგორც კედლის მხატვრობის, ასევე საქართველოში „საეკლესიო მე-

1 იურიდიული საბუთის — ღია ფურცლის მიღების შემდეგ ჩვენ საზოგადოებრივ საწყის-
ებზე ჩაუბარეთ არქეოლოგიური გათხრები, არქეოლოგ ბაადურ მკვდლიშვილის თანდას-
წრებით და კონსულტაციით. ესარგებლობთ შემთხვევით და ღია ფურცლის გაცემისათვის დიდ
მადლობას მოვასწენებ აკადემიკოს შოთა ძიძიგურს და ბატონ ბაადურ მკვდლიშვილს არქეო-
ლოგიურ ღიებში მონაწილეობისათვის.

დიცინის," ტრადიციების თვალსაზრისით. XVII საუკუნეში კედელზე სახვითი ხელოვნების ასეთი იშვიათი ნიმუშის შექმნა, გარკვეულ ეკონომიკურ და ფინანსურ ხარკებთან იქნებოდა დაკავშირებული. როგორც ფაქტები მეტყველებენ, ამ მხრივ საკმაოდ შეძლებული ფეოდალები ყოფილან მაღალაქეები. თანაც ირკვევა, რომ შთამომავლობისთვის საკუთარი სახეების შემონახვის სურვილთან ერთად შესაძლებელი ყოფილა დამატებით ეგვიპტეში კოშკის კედლებზე ფრესკების სახით ავტოპორტრეტების გამოსახვა. უდავოა, რომ ქრისტიანული ეკლესიის ქართული კათოლიკური განშტოება ასეთ ნებართვას განსაკუთრებული დამსახურების მქონე საგვარეულოს თუ მისცემდა (რათა ფარმწერ მხატვრებს ასეთი სამუშაოები შეესრულებინათ). ხოლო მაღალაქეების პრივილეგია XVII საუკუნეში იმდენად დიდი ყოფილა, რომ სვეტიცხოვლის არქიმანდრიტ ნიკოლოზ მაღალაქეს საქართველოს კათალიკოსის თანამდებობა ეპირა 1677 წელს.

ფრესკების შესწავლის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია მაღალაქეების დამატებით ეგვიპტეში, ანუ მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაქის კოშკში აღმოსავლეთ კედელზე გამოსახულმა ანალოგიურმა იკონოგრაფიულმა ფრესკამ, რომელიც უამთა სვლამ შემოგვინახა დღემდე. სამწუხაროდ, მაღალაქეების საგვარეულოს როლისა და ღვაწლის საკითხი შეუსწავლელია საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის თვალსაზრისით. რატომღაც, „სამკურნალო წიგნ — კარაბადინის“ მხოლოდ ერთ-ერთი გადამწერის ფუნქცია აქვს მინიჭებული ფსევდოევანგელისტ მახარებელ მაღალაქეს. რა თქმა უნდა, თუ კარგად შევისწავლით და გავაანალიზებთ შუა საუკუნეებში იმ ტრადიციებს და მაღალაქეების საგვარეულოს მრავალასპექტიან მოღვაწეობას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მახარებელი არ ყოფილა უბრალო გადამწერი კალიგრაფი, იგი საეკლესიო მედიცინის კათოლიკე ქურუმი იყო, ხოლო ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი მცნება გახლდათ „სენთა კურნება“ — სწორედ ამას ეხმაურება მისი უშუალო მონაწილეობით კარაბადინის შედგენის ისტორიული ფაქტი. მაღალაქეების კოშკის დასავლეთ კედელზე XVII საუკუნეში მოხატული იკონოგრაფიული ფრესკა დეტალურად განვიხილეთ და გავარკვიეთ მისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს მედიცინისა და სააფთიაქო საქმის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით იხილეთ ნარკვევი „ქართული სამედიცინო ჰერალდიკის ქურუმი — ნიკოლოზ მაღალაქე“. ამჯერად გვინდა გულდასმით განვიხილოთ აღმოსავლეთ კედელზე მაღალაქეების კოშკში — XV საუკუნეში მოხატული იკონოგრაფიული ფრესკა, რომელიც გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობისაა, ვიდრე დასავლეთ კედელზე XVII საუკუნეში მოხატული ფრესკები. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს დასავლეთსა და აღმოსავლეთ კედლებზე ფრესკების თემატური ანალოგიურობა. როგორც ჩანს, XVII საუკუნეში ისევ იდენტურად მოუხატავთ დასავლეთ კედელზე მაღალაქეების ოჯახის წევრები ფრესკების სახით, როგორც იგი ყოფილა მოხატული აღმოსავლეთ კედელზე 200 წლის წინათ 7 ძმის მაღალაქის და მათი მამის ოქროპირ მაღალაქის თავკაცობით. ჩვენ დავადგინეთ, რომ მა-

დალაძეები სამოღვაწეო სარბიელზე XIV საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ. XV საუკუნეში კი მათი ფეოდალური პრივილეგია თანდათან გაძლიერდა, ამიტომ საგულისხმოა, რომ ამ ფრესკული ხელოვნების იშვიათი ნიმუში XV საუკუნეში უნდა იყოს მოხატული. ამ დროს გვარის მეთაურია ოქროპირ მაღალაძე (იგივე მაღალაშვილი). თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 290-ე ფურცელზე დაცული ასეთი საბუთი: „კათალიკოზმან. დავით... გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა ზაგრატიისთა... თქუნს, მცხეთისავე ყმათა, მაღალაშვილსა ოქროპირსა და თქუნთა შვილთა: მღვდელსა მახარებელსა, ზოსიმესა, ალექსანდრეს, გერმანოზს, დავითს, გრიგოლს და ეგნატის და ძმათა, შვილთა და მომავლთა სახლისა თქუნისთა ყოვლადვე: შეგიწყალებთ და მოგეცით... მიუღვევარი კავთის ხევს ივანისძისეული მამული... აწ დღეისითგან წაღმა გქონდეს გიბედნიეროს... მაღალაშვილს ოქროპირსა და თქუნთა შვილთა“... ამ სიგელით ირკვევა, რომ XV საუკუნეში მაღალაშვილები საკმაოდ დაწინაურებული აზნაურები ყოფილან. წყალობის წიგნი თავიდან, როგორც ჩანს, ოქროპირ მაღალაშვილსა და მის შვიდ ვაჟიშვილზე ყოფილა გაცემული XV საუკუნეში, რომელსაც ჩვენამდე დედნის სახით აღარ მოუღწევია. სამაგიეროდ ჩვენამდე მოაღწია ამ საბუთის ასლმა, რომელიც თავის დროზე მღვდელ იოანე ლიაძეს დაუწერია. როგორც XV საუკუნეში გაცემული ამ საბუთის შინაარსიდან ირკვევა, ოქროპირ მაღალაძე, იგივე მაღალაშვილი, კათალიკოსის ახლო ნათესავი ყოფილა და ამავე დროს მცხეთის მკვიდრი. ამიტომ, როცა ივანიძეები უმემკვიდრეოდ დარჩნენ, ოქროპირ მაღალაძის წინაპრებს გადაეცა „ივანიძეების“... ადგილ-მამული“, რომელიც XIV საუკუნის ბოლოს მოღვაწე მახარებლის, ამილბარის, დიმიტრის და სხვა მაღალაშვილების შთამომავლები არიან XV საუკუნეში. (თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დაცული საბუთების მიხედვით დადგენილია, რომ მაღალაძე — მაღალაშვილები ქართლში და, კერძოდ, წინარეხში აბსოლუტურად იდენტური გვარებია, ს. ს.). როგორც ფაქტობრივი მასალით ირკვევა, XV საუკუნის დასაწყისში მაღალაძეების საგვარეულო თანდათან ძლიერდება, ამის შედეგად უნდა მივიჩნიოთ დამატებითი ეგეტერის აღმოსავლეთ კედელზე შეიდი ძმა მაღალაძისაგან დღემდე შემორჩენილი 5 ძმის ფრესკა. საგულისხმოა, რომ თავიდან ცენტრში იყო გამოსახული ოქროპირ მაღალაძე, მარჯვენა მხარეს ვედრების პოზაშია სასულიერო პირი მახარებელი, მის შემდეგ — დავითი, გრიგოლი, ეგნატი და გერმანოზი. სამწუხაროდ, შემორჩენილი აღარაა პირადად ოქროპირისა და მარცხენა მხარეს ჩვენი ვარაუდით მოხატული მეუღლის, და ვაჟიშვილების: ზოსიმესა და ალექსანდრეს ფრესკული სურათები, რაც მთავარია, ოქროპირისა და მისი შვიდი ვაჟიშვილის ფრესკებიდან ხუთი ვაჟიშვილის გამოსახულება სახეზეა, რომლის აღდგენა-რესტავრირება და კონსერვაცია არ იქნება ძნელი. მომავალში აქ მუზეუმის გახსნისათვის ფრიად საჭირო იქნება ამ ფრესკული იშვიათი ნიმუშების აღდგენა-რესტავრირება. მაღალაძეების კოშკების საიდუმლოებათა შესწავლისას გულდასმით გავეცანით აკად. მარი ბროსეს, პროფ. დიმიტრი ბაქრაძისა და პლატონ იოსელიანის

გამოკვლევებს; აგრეთვე ლეონ მელქისედეკ-ბეგის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილისა და სხვა ავტორთა შრომებს. ჩვენი გაკვირვება გამოიწვია ერთმა გარემოებამ: დამატებითი ეგვიპტის კედლის მხატვრობას ზოგადად თითქმის ყველა მკვლევარი ეხება. განსაკუთრებით ეგვიპტის დასავლეთ კედელზე გამოხატულ პაპუა მალააძის ოჯახის წევრების ფრესკებს, მაგრამ არავინ ეხება აღმოსავლეთ კედელზე გავროშებიან¹ მალააძეების ფრესკებს. გრიგოლ წერეთლის მიერ გაშიფრული ბერძნული წარწერების შინაარსიდანაც ირკვევა, რომ ამ ფრესკების მხატვარს აპოსტოლო რქმევია. სხვა რაიმე ბიოგრაფიული ცნობები ამ მხატვარზე ჯერჯერობით არ გავაჩნია. ჩვენი წინამორბედი მკვლევარები არ დაინტერესებულან „მალააძანთ ეკლესიის“, როგორც „საეკლესიო მედიცინის“ კერის, შესწავლით და, ბუნებრივია, ჯეროვანი ყურადღება არც მიექცა ეგვიპტის აღმოსავლეთ კედელზე გამოსახულ იკონოგრაფიულ ფრესკებს. რა თქმა უნდა, ფრესკების შესწავლაში უწინ ვერ იყვნებდნენ ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს. ჩვენი განცდილება გამოიწვია ფრესკების ორიგინალური მკვლევარის იგორ გილგენდორფის მიერ ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენული სხივებით ძლიერ დაზიანებული ფრესკების განათებამ, მათზე სახეების გამოჩენამ, რომლებზედაც აშკარად შეიმჩნევა მხედრული წარწერა „მახარებელი“, რომლის ქვეშ ვედრების პოზაში გამოსახულია სასულიერო პირი, გვერდით კი ძლიერ დაზიანებულ ფრესკის აწერია: „დავითი“, მის გვერდით „გრიგოლი“, შემდეგ „მანათი“ და სულ ბოლოს, მხედრული წარწერაა „გერმანოზი“, ამ ფრესკების „გეროკა“ იგორ გილგენდორფის ახალი მეთოდით ძიების შედეგია. მაშასადამე ჩვენ ვეაქვს XV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეების მალააძეების ოჯახის ფრესკა.

ძნელად გასარჩევი მამაკაცების ფრესკები მოხატულია აგრეთვე ეგვიპტის სამხრეთ კედელზე. როგორც ჩანს, აქ შუა საუკუნეების მალააძეების საგვარეულოს რეალური ისტორიული პიროვნებებია წარმოდგენილი, რომელთა ვინაობის დადგენა ამჯერად შეუძლებელია. კედელზე რომ ნამდვილად მალააძეებია, იმითაც დასტურდება, რომ ფრესკები უბრალოდ. შარავანდედის გარეშეა წარმოდგენილი. ამგვარად, მალააძეების საგვარეულოდან წმინდანად აღიარებული შარავანდედით მოსილი არც ერთი ფრესკა არ არსებობს. ქერზე მოხატულია შარავანდედით მოსილი „იესო ქრისტე ყოვლის მპყრობელი“ შესაბამისი ბერძნული წარწერით, რომელიც გრ. წერეთელმა გაშიფრა.

ჩვენთვის, მედიცინის მუშაკათვის, ფრიალ საინტერესოა მახარებელ ოქროპირისძე მალააძის იკონოგრაფიული ფრესკების დღემდე შემორჩენის ფაქტი. მაშასადამე ფსევდოვანგელისტის, მახარებლის სურათის ორმა ვარიანტმა მოაღწია ჩვენამდე: პირველი — მახარებელ მალააძის გამოსახვა საკურთხევლის, ანუ აღსავლის კარებზე, ხოლო მეორე — კოშკის აღმოსავლეთ კედელზე. მახარებლის ღვაწლი წლების მანძილზე თანდათან გაი-

1 შენიშვნა: გავროში — თეასამკაულის გარეშე, ქოჩრებით გამოხატული ფრესკები.

ზარდა, იგი ჯერ ჟუარისმტვირთველი გახდა, მერე მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგი და კარის მწიგნობარი, ბაგრატიონების სამეფო კართან დაახლოებული სასულიერო პირი, ამიტომ ღირსი გახდა საგვარეულო ეკლესიის აღსავლის კარებზე გამოეხატათ, რაც თავისთავად მის მიმართ სასულიერო უწყებაში გარკვეული პრივილეგირებული მდგომარეობის გამოვლინებით უნდა აიხსნას. XV საუკუნის მოღვაწე მალალაძეებიდან სხვა ძმების დამსახურება სამედიცინო სამყაროში ჯერჯერობით უცნობია, ამიტომ ჯერჯერობით მიზანშეწონილად ჩაეთვალეთ თავი შეგვეკავებინა მათი ფრესკების დეტალური ანალიზისაგან. ხელნაწერ ფონდ S № 1274-ზე მე-6 გვერდზე არის ორიგინალური წარწერა „არქიმანდრიტი გერმანე“. თუ „წიგნი სააქიმოას“ გადაწერაში რაიმე წვლილი მიუძღვის მალალაძეების საგვარეულო წარმომადგენელს გერმანეს, ეს მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას და პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის საფუძველზე დამტკიცებას, რომ „გერმანე არქიმანდრიტი“ გვარად მალალაძეა? საინტერესოა, XV-XVI საუკუნეებით დათარიღებული „წიგნი სააქიმოის“ ხელნაწერად გადაწერილი ხელნაწერი იდენტური აღმოჩნდება თუ არა გერმანე მალალაძის ხელნაწერისა (?!). ჯერჯერობით მხოლოდ სამოღვაწეო ეპოქის ქრონოლოგია ემთხვევა ურთიერთს: ხელნაწერის გადაწერის დრო და გერმანე ოქროპირის ძე მალალაძის მოღვაწეობა. გერმანოზი მახარებელ ოქროპირის ძე მალალაძის ერთ-ერთი უმცროსი ძმა იყო. ზუსტი არგუმენტირებული საბუთი, რომ XII-XIII საუკუნეებში ზოგჯერ ფილის მიერ გადმოქართულებული „წიგნი სააქიმოას“ ასლის გადაღება XV-XVI საუკუნეებში გერმანე მალალაძეს ეკუთვნოდეს, ხელთ არა გვაქვს. გარდა იმისა, რომ ამას გვაფიქრებინებს მხოლოდ კარაბადინების შექმნაში მახარებელ მალალაძის ტრადიცია და ხელნაწერის პალეოგრაფიული მონაცემები, ჰვირნიშნები და ხელნაწერის ასაკი, გერმანე მალალაძის XV-XVI საუკუნეებში მიჯნაზე მოღვაწეობაც ემთხვევა ამ ფაქტებს. გასარკვევი რჩება პალეოგრაფიულად პირადი ფაქსიმილეს შედარებითი ანალიზი, ვინ არის ეს „არქიმანდრიტი გერმანე?“ ასეთი კვლევა-ძიება მომავლის საქმეა, რათა გაცილებით ღრმად შევისწავლოთ საერთოდ მალალაძეების გენეალოგიის საკითხები. ერთი კი ნათელია, XV საუკუნეში მოღვაწე შვიდი ძმიდან სახეზეა მხოლოდ ხუთი ძმა მალალაძის და მათ შორის გერმანოზის ფრესკა. XVII საუკუნის მალალაძეების ოჯახის 6 ძმის, ერთი დის — ხვარაშანის, მამის — ჰაპუა მალალაძის, ქალბატონ ელენეს და დღემდე უცნობი პიროვნების გიორგის ფრესკების შედარებისას მათ შორის განმასხვავებელი ერთი დეტალი შევამჩნიეთ. XVII საუკუნეიდან მიღებული იყო იკონოგრაფიულ ფრესკებზე თავსამკაულით — ჩალმებით გამოსახვის ტენდენცია და ტრადიციები: როგორც მამაკაცები, ასევე მანდილოსნები თავსამკაულითა და ქუდებით, ჩალმებით არიან წარმოდგენილნი (გამოხატულები), რაც ვახტანგ შაჰნაზავის მეფობის და აღმოსავლური კულტურის, კერძოდ, სპარსული ხელოვნების გავლენით უნდა აიხსნას. სულ ცოტა, 200 წლის წინანდელი წინაპრების ფრესკები, როგორც წესი, უქუდოდ, გავროშებით არის მოხატული. ასეთი დეტალების ანალიზი

ხელოვნებათმცოდნეების და საქართველოს ხელოვნების ისტორიის შემსწავლელ კომპეტენტურ სპეციალისტთა მსჯელობის საგანია. ჩვენ კი მხოლოდ ასეთი ფაქტის ზუსტი კონსტატაციით შემოვიფარგლებით. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილი უამრავი ფაქტიდან?

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მწიგნობრობის ტრადიციები მაღალაძეების საგვარეულოდან. ტრადიციულად ისინი მწიგნობრობის საკითხებში კომპეტენტურნი ყოფილან. ასევე „საეკლესიო მედიცინისა“ და სამედიცინო ხელნაწერების შექმნის ტრადიციებით მახარებელი მაღალაძე ავტორმატურად იმსახურებს, ახლოს იყოს მკურნალ ზაზა ფანასკერტელთან. იგი კომპეტენტური სპეციალისტი განსაზღვრავს საეკლესიო მედიცინისა, პროფესიონალი კალიგრაფი, რის გამოც ზაზა ფანასკერტელი მასთან ამყარებს საქმიან ურთიერთობას. თვით მახარებელის ხსენება ხელნაწერზე „მხხრეკელის“ და „მშრომელის“ ეპითეტებით უდავოს ხდის მის უშუალო მონაწილეობას ამ ხელნაწერის შედგენაში, მაგრამ არა როგორც უბრალო გადაწყვერისას, როგორც აქამდე მიიჩნდათ, არამედ პოტენციური თანაავტორის, სატაძრო მედიცინის ქურუმისა. თანაც ხელნაწერების შექმნის ტრადიციების მიხედვით დადგენილია, რომ ამ საქმეს ეკლესია განაგებდა. ეკლესიებთან იყვნენ კომპეტენტური მხხრეკელები და მკლბანელ-კალიგრაფები. ხშირია შემთხვევა, როცა პრივილეგირებული პირები დაკვეთას აძლევენ ამა თუ იმ კალიგრაფს ხელნაწერის შექმნის თაობაზე. მაღალაძეების საგვარეულო კომპეტენტური ირმის სიმბოლური გამოსახვით დავადგინეთ, რომ ირემი სიკეთის სათავეა და სამედიცინო ტრადიციებს ესადაგება. მდინარე კავთურას ხეობაში „წალკოტის“ არსებობის ისტორიული ფაქტი და, რაც მთავარია, „მაღალაძეთა ეკლესიის“ შემოგარენში — ვარძიაში არსებული წამლის სასახლის — აფთიაქის ანალოგიური ნაგებობის აღმოჩენის ფაქტი, ასევე წმინდა ბერის ვედრების კომპოზიცია — 7 ცხერისა და გველის გამოსახულებიანი ფრესკა, საფუძველს გვაძლევს ასეთი დასკვნისათვის: „სამკურნალო — წიგნი — კარაბადინი“ ქართლში დაიწერა, სეგეტიცხოველში, ან მაღალაძეების ეკლესიაში, სადაც „საეკლესიო მედიცინის“ ძლიერი კერა მოქმედებდა.

ამას ემატება ჩვენთვის დღემდე უცნობი დედნების ფონდის № 1448-ის № 63 საბუთის მიგნება. კერძოდ, კონსტანტინე მეფეთ-მეფის მიერ გაცემული 1491 წლით დათარიღებული „ფანიაშვილების გუჯარი“, რომელიც თავიდან ბოლომდე მახარებელ მაღალაძის ხელით არის დაწერილი. დღემდე უცნობი ამ ორიგინალის აღმოჩენამ და დედნის პალეოგრაფიულმა შედარებამ კარაბადინის იმ ფურცლებთან, რომელიც ამავე კალიგრაფ მახარებელ მაღალაძეს ეკუთვნის, გავგარკვია, რომ ხელნაწერის ფ. Q № 877-ის 1008 გვ-ის დამწერლობა ეკუთვნის მახარებელ მაღალაძეს, ხოლო 360 გვერდი მკურნალ ზაზა ფანასკერტელს, თუმცა ზაზას ორიგინალი, ხელნაწერი რომ აღმოჩნდებოდა, ამას უფრო დაბეჭიბებით განვაცხადებდით. ამჟამად მხოლოდ ვარაუდზეა დაფუძნებული ასეთი მოსაზრება, რაც დღემდე არსებული მტკიცე ისტორიული საბუთის გარეშე გამოთქმული და იგი მხოლოდ შემ-

დგომი კვლევები საგანს წარმოადგენს. დღემდე გამოკვლეული მასალების მიხედვით უფლებამოსილები ვართ, განვაცხადოთ შემდეგი: წინამდებარე კარაბადინი დაიწერა მახარებელ მაღალადის და ზაზა ფანასკერტელის უშუალო მონაწილეობით და ეს უნიკალური ხელნაწერი — კარაბადინი გახლავთ სემიტურად, და ფარმაკოპეა — ლათინურად.

სამედიცინო ხელნაწერის „სამკურნალო წიგნის — კარაბადინის“ შემსნაში მახარებელ მაღალადის მონაწილეობის საკითხისათვის

ჩვენს გამოკვლევაში, რომელიც თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში დაცულ საბუთებზე არის დაფუძნებული, გამოვარკვით მაღალაძეების, იგივე მაღალაშვილების ისტორიულ სარბიელზე გამოჩენის თარიღი. კერძოდ, მაღალაძეები სამოღვაწეო სარბიელზე გამოდიან XIV საუკუნის ბოლოს „სოფლისა ვითარებისა გამო უმემკვიდრეოდ ქმნილი ივანიძეების გვარის ძვალ-შესალაგის მემკვიდრეებად“, და სოფელ წინარეხში ღებულობენ ადგილ-მამულს და ივანიძეების ეკლესიას (იხილეთ ეს გამოკვლევა). ამიტომ ჩვენ ყურადღება მივაქციეთ პროფ. მ. შენგელიას 1978 წელს გამოცემული „სამკურნალო წიგნ — კარაბადინის“ მე-11 გვერდზე ავტორის სიტყვებს: „მამასაღმე, გადამწერი ტექსტისა მახარებელია“. შემდეგ პროფ. მ. შენგელია იმოწმებს პროფ. კ. გრიგოლიას და პროფ. ი. აბულაძის გამოკვლეულ მასალებს: „1482 წელს მახარებელს ჰარმალთა მიერ მირთმეული ანდერძის წიგნი გადაუწერია“ (რასაკვირველია, დაუწერია და არა „გადაუწერია“, გადაწერასა და დაწერას შორის დიდი განსხვავებაა. ეს საბუთი თავის დროზე დედანი იყო, ს. ს.), სადაც იკითხება „დაიწერა რო ხელითა მაღალადის მცხეთის ქადაგის მახარებელისათა და მოწამევ არის“ და იქვე: „1492 წელს კი მახარებელს კონსტანტინე მეფის მიერ მცხეთის კათალიკოზისათვის მიცემული სიმტიციის წიგნი გადაუწერია“, (კონსტანტინე მეფის მდივან-მწიგნობარი-კალიგრაფი წერდა. ამ შემთხვევაში მან დაწერა მეფის კარნახით და არა „გადაწერა. ასეთი პალეოგრაფიული ტერმინების ხმარებისას საჭიროა მეტი სიფრთხილე. ს. ს.) და კვლავ იქვე: „დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ინდუქტიონისა მეფობისა ჩვენისასა მეთხუთმეტე ქ — კსნა: რო: ხელითა ივანიასძისა მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა“, და აქ მოყვანილი საბუთების საფუძველზე პროფ. მ. შენგელია ასეთ დასკვნას აკეთებს: „ამ საბუთთა შემდგენი მახარებელი და ძეგლის გადამწერი უსათუოდ ერთი და იგივე პიროვნებაა: ეს საბუთი კი საშუალებას იძლევა დამატებითი ცნობები გაირკვას მახარებლის ვინაობის შესახებ, კერძოდ, ირკვევა, რომ ის კონსტანტინე მეფის კარზე მდივან-მწიგნობრის როლს ასრულებდა. მისი გვარია მაღალაძე, მამის სახელია ივანია, თანამდებობით მცხეთის ქადაგი“. ჩვენ ხელთა გვაქვს თედო ჟორდანიას „ქრონიკები“ — II და III ტომი და ამავე დროს აკადემიკოს ისიდორე დოლიძის რედაქციით გამომცემლობა „მეცნიერებაში“ 1970 წელს დასტამბული „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომი. ამ წიგნებში დაცული სარწმუნო წყაროების მიხედვით და განსაკუთრებით საკუთარ სახელ-

თა საძიებლების მიხედვით, თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში, რომელიც მოიცავს ეპოქას: 1213 წლიდან 1700 წლამდე, საერთოდ არ არის მოხსენიებული მაღალაძეების, იგივე მაღალაშვილების გვარში პიროვნება, რომელსაც სახელად რქმეოდეს იოანე და მას ყავდეს შვილი „მახარებელი“, ხოლო „ქართული სამართლის ძეგლების“ 493-ე გვერდზე ერთ-ერთ გუჯარში ნახსენებია სახლთუხუცესი მაღალაშვილი იოანე და ეს საბუთი დათარიღებულია 1634 წლით. ბუნებრივია, XVII საუკუნის პიროვნების, იოანე მაღალაშვილის ვაჟი მახარებელი, XV საუკუნეში ჭარმაულის ანდერძის წიგნს ვერ დაწერდა, ანუ როგორც პროფ. მ. შენგელია უწოდებს ვერ „გადაწერდა“ (?), მით უმეტეს, თუ მის ვაჟს სახელად არ რქმევია მახარებელი.

შემდეგ, ამავე წყაროს 666-ე გვერდზე მაღალაშვილი იოანე ნახსენებია 1710 წელს: „სამეხელი ნიკოლოზის და ქრისტეფორე რუსთაველის მიერ ყმის დანებების წიგნში“, ხოლო 1810 წელს ერეკლე მეორის ვაჟიშვილი ანტონ მეორე კათალიკოზი იოანე მაღალაშვილს ათავისუფლებს მეტეხის მოურავობის თანამდებობიდან: „უწყსოსა და უკანონოდვე ქცევისათვის“. (ინილეთ „ქართული სამართლის ძეგლები“, III ტომი, გვ. 1110). სხვა იოანე მაღალაშვილი საკუთარ სახელთა საძიებელში ვერა ვნახეთ. ამით იმის თქმა გეინდა, რომ ასეთი კატეგორიული განცხადება „ჭარმაულთა ანდერძის წიგნის და კონსტანტინე მეფის მიერ მცხეთის კათალიკოზისათვის მიცემული სიმტკიცის წიგნისა და „სამკურნალო წიგნ — კარაბადინის“ გადამწერი, (დაუკვირდით პროფ. მ. შენგელიას კატეგორიულ განცხადებას „უსათუოდ“ ს.ს.) ერთი და იგივე პიროვნებააო“. ზედმეტ გაბედლებად მიგვაჩნია, და რატომ? ასეთი კატეგორიული განცხადებისათვის ჩვენ ხელთ უნდა გვქონდეს, პირველ რიგში მახარებელ მაღალაძის დედანი, როგორც ჭარმაულთა ანდერძის წიგნისა, ასევე კონსტანტინე მეფის წყალობის წიგნის დედნისა და შედარებითი პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად განვაცხადოთ „ამ საბუთთა შემდგენი მახარებელი და ძეგლის გადამწერი უსათუოდ ერთი და იგივე პიროვნებაა“. და რაც მთავარია, ხელთ უნდა გვქონდეს ზაზა ფანასკერტელის მიერ დაწერილი კარაბადინის დედანი და მახარებლის მიერ გადაწერილი პირი და საბუთების პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის შემდეგ უნდა გავაკეთოთ ასეთი დასკვნა, დღემდე ცნობილი და გამოქვეყნებული მასალების მიხედვით. ასეთი დედანი პროფ. მ. შენგელიას ხელთ არა აქვს, ამიტომ პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის გარეშე ასეთი კატეგორიული განცხადება „უსათუოდ ერთი და იგივე პიროვნებაა“, თანაც „ივანის ძეაო“, უსაფუძვლოა. აქ მხედველობაშია მისაღები I მახარებლის გარდაცვალების თარიღიც. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მეორე ტომში დაცული საბუთების მიხედვით სრულიად არგუმენტირებულად დავადგინეთ, რომ I მახარებელი მაღალაძე სამოდვაწყო სარბიელზე გამოჩნდა XIV საუკუნის ბოლოს, სახელდობრ 1377 წელს, როგორც „მაყაშვილის გუჯარის“ დედნის დამწერი და შემდეგ მათი საგვარეულოს მისამართით იწერება მღვდელ ი. ლიძის მიერ გუჯარი 1391 წლის

თარიღით. არის აგრეთვე 1391 წელს „წირქუალელი მუშრბისა რატისა“ მიერ დაწერილი მეორე გუჯარი მაღალაძეების საგვარეულოს მისამართით. ამის შემდეგ დაწყებული 1440 წ. ვიდრე 1492 წ. მახარებელი II მაღალაძე ინტენსიურად მისდევს მწერლობას თოქმის 52 წლის მანძილზე, არის მახარებლის ხელით დაწერილი საბუთები XVI საუკუნის დასაწყისშიც. ყოველ შემთხვევაში, საბუთებით ასე ჩანს და ჩვენი აზრით მახარებელი I გარდაიცვალა 80 წელს მიტანებული XV საუკუნის 30-იან წლებში. არის მეორე ვერსიაც: XV საუკუნის 40-იანი წლების შემდეგ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა მეორე მახარებელი მაღალაძე, ვინაიდან XIV საუკუნეში მოღვაწე მახარებლის ვაჟიშვილი დიმიტრი უკვე სვეტიცხოვლის ქადაგად იხსენიება და ასეთი თანამდებობა კი მამის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით გადადიოდა შთამომავლობაზე (?). დანარჩენ შემთხვევაში ხელნაწერ Q ფონდის № 877-ზე მომუშავე მკვლევარებს, მაღალაძეების საგვარეულოში მოღვაწე მახარებლის დისლოკაცია და ისტორიულად მახარებელი მამის, შვილის, ძმისშვილის, ან შვილიშვილის მოღვაწეობა არ მიუღიათ მხედველობაში. წარმოდგენილიცაა, XIV საუკუნის მოღვაწე მახარებელი მაღალაძე და XV საუკუნის დასასრულის მოღვაწე მახარებელი მაღალაძე ქრონოლოგიურად ერთი და იგივე პიროვნება რომ იყოს. მაინც რას წარმოადგენს ჭარმაულთა ანდერძის წიგნი? ესაა ასლი, სამწუხაროდ დედანი არ არის, ამიტომ პალეოგრაფიულად არაფრის თქმა არ შეიძლება, თანაც გადამწერს თარიღი სწორად არ გადაუწერია. „1412 წელი“, ამ თარიღს შემდეგ კომენტარს უკეთებს თედო ყორღანია „ქრონიკების“ II ტომის 252-ე გვერდზე: „ამ წელს უნდა იყოს მიცემული ელის — ჯაალის ასულის თურმანოვის ქაღალდებში ჩვენგან პოვნილი გუჯარი, რომელშიც ქკს: რო: (1482 წ. მოხსენებულია კ-ში შიო. მაგრამ რადგან შიო ჩანს 1440—1446 წ.; ხოლო შემდეგს დროში კი არც ერთს სიგელში არ არის აღნიშნული, და გობელიძე არიმან უსათუოდ უნდა იყოს „გობელიძე რამინ“ ამირეჯიბი, ჩვენს გუჯარებში ჩანს 1451 წ.“. (იხ. ჩვენი „ქრონიკები“ II, 1451 წლის ქვეშე) ამის გამო ჩვენ ვგვონია, რომ ამ გუჯარის ქკ-ნი უნდა იყოს :რლ: (ძველი გამოსახულება ასოთა: „ო“ და „ლ“ ერთმანეთს მოჰკავს)“, ასე წერდა თედო ყორღანია 1897 წელს ამ საბუთის თარიღის შესახებ. მაშასადამე, დედნიდან ასლის გადაღებისას ჭარმაულთა ანდერძის წიგნი ქორონიკონი დამახინჯდა. ამ ანდერძის წიგნში წერია: „ესე... ანდერძის წიგნი მოგეც მე ელიდაშვილმა მისრი შენ ჭარმაულს ჭარმაულსა მღვდელს ი-ეს... კითხვითა და ბრძანებითა ქართლის კჯ-ისა შიოსითა და ყოველთა მცხეთის შვილთა... მას უამსა, ოდეს საქმე უნათესაოდ შეიქმნა, ჩუენი სახლი და მამული ერთი და გაუყოფელი იყო; ერთისა ქალის მეტი ჩუენი ნათესავი აღარა დარჩა და იგი შენ მოგეცით და ჩუენად შვილად და მემამულედ შემოგეყვანეთ და დაგიწერეთ ჩუენი მკვიდრი და მოუღვევარი მამული მცხეთას; რაც ჩუენსა სახელსა ჰქონებია, მისითა სახელოთი და სამცხეთიშვილო კარსანს, ჭუარს, ფოსუს, ოროტას, კუტალას და ძაგუნაკორთა, რაცა საყრდისაგან ჩუენი გექონებია, ხატისწობენა... რაგუარაც მეფეთა და



ძლიერ დაზიანებული მახარებელ ოქროპირის-ზე მაღალაძის ფრესკა, გადაღებულია იგორ გილგენდორფის მიერ ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენოსკოპული სხივებით.



„მახარებელ ოქროპირის-მე მაღალამე“, ფოტო რესტავირებულია ანდრო ბოკოი-
ძის და გიორგი ავსაჩანიშვილის მიერ, იგორ გილგენდორფის მიერ გადაღებული იკო-
ნოგრაფიული ფრესკის დედიდან. მამის სახელი ოქროპირი დადგენილია ისტორიული
სიგელ-გუჯრის ტექსტის მიხედვით. „თქვენ მაღალამესა ოქროპირსა და თქვენსა
შვილსა მღვდელსა მახარებელსა...“ (იხ. 1472 წ. თ. უორდანიას „ქრონიკების“ II ტ.
გვ. 290).

კ-თავან სამკედროდ გვქონებია... ამისი მოწამენი... არიან: მცხეთისა ამი-
ლახორი გობელიძე ამირან, ჯ-ის მტვირთველი გიორგი, მოლარეთ უხუცესი
გიორგიშელი და სულთა — მამა კვირილეს შვილი დიმიტრი, ელიოზის ძე მამა-
გული. ცოცხასძე მესტუმრე კახა (?), მთვარას ძე ამირინდო... დაიწერა ქს:კრო:
(რლ: ?) ხელითა მალაქის მცხეთის ქადაგის მახარებლისათა და მოწამეცა
არს“. მკითხველი ადვილად რწმუნდება თედო ჟორდანიას სემეტიკართევ,
რომ იგი დაიწერა არა 1482 წელს, არამედ 1442 წელს, რაც კავსებით შესაძ-
ლებელია თარიღობრივადაც, ვინაიდან ამ დროს მახარებელი I სულ ცოტა
80 წლის მოხუცი იქნებოდა, მაქსიმალური ასაკი, რომ ვივარაუდოთ იმ პერი-
ოდისა, როცა იგი პირველად გამოჩნდა 1377 წელს სიგელ-გუჯარების დამ-
წერად, კარის მწიგნობრად მცხეთის სვეტიცხოველში და წინარეხში მალა-
ლაძეების საგვარეულო ეკლესიაში. მეფე კონსტანტინე II-ს მიერ დავალებულ
კარგ ტყავზე წარჩინებული მხედრულით ნაწერ 1482 წელს დათარიღებულ მცხე-
თის სიგელში (საბუთი № 480) „იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოს-
ნი და მღვდელთმთავარნი“, მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი 98-ე გვერდ-
ზე ადასტურებს: „აბრაჰამ მეორე აბლაკისძე. ამის დროს ეკურთხა მეორედ
1492—1495 წ. წ. მეფედ კონსტანტინე. ამ დროს კონსტანტინემ მოახდინა
კრება კათალიკოსთა და სამეფოს დიდებულთა და წარჩინებულთაგან. ერ-
თიანი საქართველოს მეფე კონსტანტინე ამ დროს აქტიურად მოქმედებს და
ცდილობს ტახტი გააძლიეროს, მაგრამ ამ წლებში, რომელი მახარებელი
მალაქაძეა მეფის მდივან-მწიგნობარი? ეს ნამდვილად პალეოგრაფიულადაა
გასარკვევი, თუმცა „ივანიას ძე“ მახარებელი, ასეთი ისტორიული პიროვნება
ნამდვილად არ არსებობდა ამ დროს საეკლესიო სამართლის ძეგლებს ხელს
იწერს „ქადაგიშვილი გერმანე“. (?) ასე მაგალითად: „ქვლივიძეთა საალაპე წიგნი
1492 წელს დაიწერა „ხელითა ქადაგიშვილითა გერმანესითა“. ამ დროს სიმტ-
კიცის წიგნებს წერენ: „ფრიად ცოდვილი ფალავანდამვილისითა“, ხოლო
1488 წელს მონასელის ძის წიგნს წერს: „გადაგი“ (რატომღაც ქადაგის ნაცვ-
ლად „გადაგი“ წერია. ს. ს.) მახარებლისათა“. საესებით სავარაუდოა, 1492
წელს მახარებელ მალაქაძეს დაეწეროს მეფე კონსტანტინეს მიერ გაცემუ-
ლი სიმტკიცის წიგნი კათალიკონისადმი, მაგრამ ამ მახარებლის მამის სახე-
ლი რომ „ივანიასძე“ იყოს, ყოველად შეუძლებელია. რაც მთავარია „ივანიას-
ძე“ სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მახარებელ მალაქაძის მამას იოანე
ერქვა. „მამის სახელია „ივანია““, როგორც ეს პროფ. მ. შენგელიას წარმოუდ-
გენია. აი, თუნდაც კლდე ერთი ფაქტი, ავიღოთ თ. უორდანიას ქრონიკების
II ტომის 223-ე გვერდზე გამოქვეყნებული მასალა, რომელიც 1417 წლით
არის დათარიღებული: „მეფეთ მეფემან აღექსანდრე... გიბოძეთ თქვენ ჩუცნსა
კარის მწიგნობარსა მუშრბის ურდოველაშვილს სუმბატს: პირველადაც მა-
მისა თქუენისათვის სიგელითავე გვებოძა ძაგნაკირნათა დაფირასძეული მა-
მული... აწ შეგიწყალებთ და დაგსვით დაფირას ძედ, და... მათის გუარისა
აღარვინ იპოვებოდა... გქონდეს მკვიდრად მამული... არავინ დაგეცილოს...
დაიწერა... ხელითა კარისა ჩუცნისა მწიგნობრისა ბეთლემის ძისა სოკრატის-



საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა კობა გურულმა ჩვენი თხოვნით ფრესკიდან აღადგინა და გამოქედა „მხარებელ ოქროპირისძე მაღალაძე“.

სათა“. მიზნსადავ, მეფე ალექსანდრეს კარის მწიგნობარს მუშრბის ურდო-ველაშვილს სუშმატს სიგელ-გუჟარი მიეცა, იურიდიულად დაუქანონდა, გა-უფორმდა, თანამედროვე გავებით ორდერი მიეცა, ან ნოტარიუსით დაუმ-ტკიცდა... დაფირასძისეული მამული... დაგვით დაფირაქეთ“. ზუსტად ასეთი ტექსტია დედანში მოყვანილი, მაგრამ ამ საბუთის მიხედვით გვაქვს კი უფლება სუშმატ ურდოველაშვილის მამის სახელი „დაფირას ძედ“ წარმოვიდგინოთ? რატომღაც ასეთნაირად დავაქანონეთ: „სუშმატ დაფირას ძე ურდოველაშვი-ლი მეფე ალექსანდრეს კარის მწიგნობარი“. რა თქმა უნდა, ასეთი მოსაზრე-ბა და თვით ეს ფრაზაც აშკარად მცდარია. მახარებელის მამას ჩვენამდე მოლ-წეული შესაბამისი საბუთით ერქვა ოქროპირი, მახარებელი უფროსი ვაჟია ოქროპირისა. ოქროპირ მალალაძეს კიდევ ჰყავდა ექვსი ვაჟიშვილი, რომლებ-საც გადაეცათ „უმემკვიდრეოდ ქმნილი მამული ივანიძეებისა“, ზუსტად ისე, როგორც ხიმშიაშვილების უმემკვიდრეოდ გადაშენებული აბულეთის ძის „ადგილ-მამულის მიმდებელ-ჩამხარებელი იწოდება: „ახალ აბულეთის ძედ“. ისევე, როგორც უმემკვიდრეოდ გადაშენებული „დაფირაძის მამულის მფლო-ბელი ვახდა სუშმატ — ურდოველაშვილი“, — წერდა თედო უორდანი. ანალოგიურია ოქროპირ მალალაშვილის, იგივე მალალაძის და მისი 7 ვაჟი-შვილის მდგომარეობა „ივანიძეების“ მისამართით. მართალია, მახარებელი მა-ლალაძე იყო მცხეთის ქადაგი, მაგრამ „ივანიას ძე“, ანუ ივანიას ვაჟიშვილი არასოდეს ყოფილა. ამგვარად ამ საკითხის წარმოჩენა აშკარად მცდარია და ისტორიული წყაროების არასწორ ფორმულირებას, არასწორ გაგებას ნიშ-ნავს, ვინაიდან იგი იყო მახარებელი ოქროპირის ძე მალალაძე, თანაც არა კარაბადინის უბრალო გადაშენი, როგორც აქამდე მიაჩნდათ ზემოთ ჩამოთ-ვლილ მკვლევარებს, არამედ ზაზა ფანასკერტელის ერთ-ერთი პოტენციური თანაავტორი, ქართული საეკლესიო მედიცინის ქურუმი, ფსევდოევანგელისტი „უსწორო კარაბდინის“ ავტორის — ქანანელის და „წიგნი სააქიმოჲს“ მთარ-გმნელის ხოჯაყოფილის ტრადიციების ქრონოლოგიურად გამგრძელებელი, კალიგრაფი — მწერალი. ასე რომ, ზაზა ციციის ძე ფანასკერტელთან ერთად, როგორც თანაავტორი XV საუკუნის 70-იან და შესაძლებელია 80—90-იან წლებშიც მოღვაწეობდა საეკლესიო მედიცინის ქურუმი, მახარებელი ოქროპი-რის ძე მალალაძე: „მდივან-მწიგნობარი“, „ჩუარისმტვირთველი“ და „მცხეთის სვეტიცხოველის ქადაგი“ და არა „ივანიას ძე მახარებელ მალალაძე“. რა-ტომ? რასაკვირველია ეს საკითხი დამატებით განმარტებას მოითხოვს. ფრიად საინტერესოა 1950 წელს პროფ. კ. გრიგოლიას მიერ გამოკალეული და გამოქვეყნებული მოსაზრებანი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ შესავალ-ში. მე-12 გვერდზე მას მოყავს თედო უორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 809—810-ე გვერდებზე არსებული მასალა (1482 — წლის თარიღით), ის ეხება „სააღაბე წიგნს“, რომელიც მიაერთვა მცხეთის აბრაჰამ კათალიკოზს მეფე კონსტანტინემ. ეს ისტორიული საბუთი დაწერილია: „ხელითა ივანიას ძისა მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა“ და იქვე ასეთი დასკვნა გამოაქვს პროფ. კ. გრიგოლიას „აქედან თითქოს მისი მამაშვილობაც ირკვევა (დაუუკვირდეთ

პატივცემული მკვლევარის პროფ. კ. გრიგოლიას სიფრთხილეს „თითქოს მისი მამაშვილობაც ირკვევა“... ს. ს.) ის, — განაგრძობს კ. გრიგოლია, ივანიას ძე უოფილა, სამწუხაროდ მახარებლის მიერ დაწერილ დედნებს ჩვენამდე აღარ მოუღწევია და ამდენად მისი ხელის შედარების საშუალება არა გვაქვს. მაგრამ, საფიქრებელია, წინამდებარე კარაბადინიც კონსტანტინე მეფეთა-მეფის დროს ცნობილი მწიგნობრის მახარებლის ხელითაც იყოს დაწერილი“. ჩვენც ზუსტად ასე ვთვლით.

როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, ჩვენამდე მოღწეულია საბუთი, რომლითაც ირკვევა, რომ XV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეს მახარებლის მამას ერქვა ოქროპირი და, ჩვენი აზრით, ეს წიგნი არა მარტო მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძის ხელით არის „გადაწერილი“, არამედ 1008 გვერდი დაწერილია უშუალოდ მის მიერ, იგი ერთ-ერთი უპირველესი თანააქტორია ამ უნიკალური ფარმაცოპებისა. ასეთი განცხადების უფლებას გვაძლევს ახლად აღმოჩენილი მახარებელ მაღალაძის ხელით დაწერილი უნიკალური საბუთი, რომლის შესახებ საუბარი გვექნება ცალკე ქვეთავში, რაც პალეოგრაფიულ შედარებით ანალიზზე იქნება დაფუძნებული. მაგრამ თედო უორდანის „ქრონიკების“ II ტომში დაცული საბუთების მიხედვით XIV, XV და XVI საუკუნეების საბუთებში საერთოდ არ არის პიროვნება მაღალაძეების გვარის კაცთა შორის, რომელსაც სახელად იოანე რქმეოდა (!) მაშ რა საფუძველი აქვს თ. უორდანის „ქრონიკების II ტომის ფურცლებზე (გვ. 310-ე) როცა ასეთ ფრაზას წერს: „ხელითა ივანიას ძისა მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა“? საქმე შემდეგშია. ამავე წიგნის 192-ე გვერდზე 1391 წლის თარიღით დაცულია საბუთი მღვდელი იოანე ლიაძის მიერ დაწერილი, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „გვირგვინოსანისა მეფეთ მეფისა გიორგისა ძემან პატრონმან მეფეთა ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა გიორგი და დიმიტრი ესე წიგნი გიბოძეთ და მოგეცით თქუენ ჩუენისა საყდრის შვილთა ქადაგსა მახარებელსა და თქუენთა, შვილთა მარკოზსა და ზაქარიასა და დავითსა: სულ-კურთხეულს მამაჩვენს, მეფეთა-მეფეს გიორგის, მცირე ყმა მცხეთას აღეზარდე: სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანიძის ძეთა (დავუკვირდეთ ფრაზას, ივანიძის ძეთა ს. ს.) საქადაგო სახლი და სახელი უმემკვიდრეო ქმნილი იყო და მამა ჩუენსა და ჩუენთა გვართა და კათალიკოზთა მას ზედა ახლად ივანიას ძეთა (ივანიას ძედ?) და ქადაგად განჩინე და შეეყვანეთ და რაცა კავთისხვეს და მცხეთასა საყდარს საქადაგო მამული, შესავალი და სახელი იყო. თქუენთვის მოებოძა. აწ ჩუემცა შეგიწყალეთ და დაგიბტყიეთ მით წესითა, როგორცა კათალიკე მცხეთისა საყდრისა და ჩუენთა გუართა სანატრელთა მეფეთაგან განჩინილი და გარიგებული არის საღთოთა წესითა სამართლიანითა მამულითა და სახელითა... გიბედნიეროს ღმერთმან თქუენს ძეთა ქადაგსა მახარებელს“.

„ახალსა ივანის ძესა“, ე. ი. ახლად დადგენილი ამოვარდნის ივანიძის მავიერ“, როგორც მავალითებრ, განმარტავს სქოლიოში ამ გარემოებას თედო უორდანია „ქრონიკების“ II ტომის 102—103 გვერდებზე, ამგვარსავე შემო-

ხვევაში ხიშთიაშვილი ამოვარდნილის აბულეთის ძის ადგილმამულის მიმღებელი იწოდება „ახალ აბულეთის ძედ“.

ასევე, თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 213-ე გვერდზე 1405 წლის თარიღით გაცემულ სიგელ-გუჯარში დაცულია ასეთი შინაარსის საბუთი: „ამილახვარი ხიშთია“ „პირველ აბაზას ძე მარალელი“ (ე. ი. წინათ აბაზას ძეთა მამულზე მეუფროსედ დადგენილი (ახლა, ამ 1400 წლიდან „აბულეთის ძედ დაუსვამთ“, ე. ი. აღბათ ამოვარდნილი აბულეთის ძეთა ჩაუბარებიათ ადგილმამული“). მამასაღამე, მახარებელი მაღალაძე არის ოქროპირ მაღალაშვილის უფროსი ვაჟიშვილი, ისტორიულ საბუთებში ზუსტად შემონახულია მისი მამის სახელი და დანარჩენი მ ძმის სახელი: ზოსიმე, ალექსანდრე, გერმანოზი, დავითი, გრიგოლი და ეგნატი. აი ეს საბუთიც, რომელიც დაცულია თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 290-ე გვერდზე, მოგვყავს იგი მთლიანად: „1472 წ. მაღალაძეთა სიგელი, მღ. ი. ლიპის მიერ დაწერილი:

„ქ. თავდებობითა და შუამდგომლობითა... ჩუენ ქრისტეს ღთისა მიერ ქართლისა კალათიკოზმან დავით ესე უკუნისამდე გასათავებელი და რასაგინდავე უამთა ქცევა-გამოცვალებათა შინა მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი მოგობოძეთ ნებითა ღვთიე გვირგვინოსნისა მეფეთა-მეფისა ბაგრატისათა და კითხვითა და ნება-დართვითა ყოველთა მცხეთიშვილთათა თქუენ, მცხეთისავე ყმათა, მაღალაშვილისა ოქროპირსა თქუენტა შვილთა: მღვდელსა მახარებელსა, ზოსიმესა, ალექსანდრეს, გერმანოზს, დავითს, გრიგოლს და ეგნატის და ძმათა შვილთა და მომავალთა ხახლისა თქუენისათა ყოველთავე: შეგიწყალეთ და მოგეცით მცხეთისა მკვიდრი და მიუღვეარი კავთისხევს ივანისძისეული მამული და სამცხეთიშვილო წილი, რაც ერთ ძმათაგანსა მიხუდებოდეს სამამამთავრო, მითვე წესითა, როგორც ძველთაგან ივანისა-ძეთა და ქადაგსა დიმიტრის ქონებია ჩოჩეთსა, რაც ივანისძისაგან ნახუილი მამული... და მიწანი ზერტი და ქადაგს დიმიტრის მიწრობით ქონდეს მისითა სახელითა, ეკლესიათა, ჭურმარნითა, მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, მინდვრითა, სანადიროთი, ჭალითა, საბარითა(?) სახმარითა, უხმარითა, საქებრითა და უძებრითა და მისითა მიდგომითა სამართლიანითა ერთობ ყოვლითა, და გორსა ფურუჯაული დივნის ძე ბეთლემისა მიდგომითა სამართლიანითა სრულიად და უკლებად. აწ დღესითგან წაღმა გქონდეს და ვიბენდიეროს ღთ-ნ საყდრისა და ჩუენის ერთგულად და სამსახურსა შინა თქუენ მაღალაშვილს ოქროპირსა და თქუენტა შვილთა... და თუ ვისმე ამ მამულის ნიშანი ქონდეს, მტკიცითა ამით სიგელით გავიმტყუენებია... ვინაღდან სამკვიდროდ ქადაგს დიმიტრის ქონდა, იგი სრულიად უმკვიდრო იქმნა, ესრეთ რომელ არც არა მისი ნათესავი დარჩა, და ვერავინ მოვესარჩლოს ვერა ადამის ტომი კაცი, როგორც საყდრისაგან და ჩუენგან მტკიცედ და სამკუიდროდ ბოძებული არის, არა შეგეცვალოს, არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომთა ჩუენტა მომავალთა კ-წათგან და არცა სხუათა მებატრონეთაგამ და თუ ვინმე ამისად შლად ხელ ყოს, შერისხდო შენ, დაუსაბამოო მამაო და ძე და სულო წმინდაო! დამამტკიცებელნი ღთ—

აკურთხნეს და წმინდამან დედა — ქალაქმან. დაიწერა წიგნი ესე ქკ-ს.: რიხელითა ფ-დ ცოდვილისა ქართლის მ-კჲსა და ი-ესითა (იოანესითა) ხელჩართულად: „ქ“ზი“...

ამ საბუთით აშკარად გარკვეულია ის, რომ სიგელ-გუჯარი დაწერილია ივანე ლიპის მიერ, მაგრამ საბუთის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ მახარებელ მალაქიძის მამის სახელი ოქროპირია. ეს უდავო ფაქტია. ხოლო ფრაზა თ. უორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 310-ე გვერდზე: „ხელითა ივანიას ძისა მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა“, ზუსტად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ „უმემკვიდრეოდ ქმნილი“ ივანიას — ძეგნის, ანუ ივანიძეების ადგილ-მამულის „ივანისძეთა ნაქონები... მამული... გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ახალსა ივანიას ძეს (ე. ი. ახალ ივანისძეს ს. ს.) ქადაგსა მახარებელსა“. სწორედ ამ ტრადიციების გამო მახარებელი ოქროპირის ძე მალაქაძე იხსენიება ივანიას-ძედ, როგორც ივანიძეების ადგილ-მამულის ფეოდალური მემკვიდრე, აქ აშკარად გვარჯეა ლაპარაკი და არა მამის სახელზე. რაც შეეხება ეპითეტებს „მჩხრეკელი“ და „მშრომელი“, აგრეთვე სხვა დამაჯერებელი არგუმენტები გვაფიქრებინებს, რომ მახარებელ ოქროპირის-ძე მალაქაძე თანაავტორია და არა უბრალო გადაამწერი, მით უმეტეს, როგორც გაირკვა, იგი ივანიას ძე არასოდეს ყოფილა. რაც მთავარია, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში საწერი ქალაქი დეფიციტი იყო. ამიტომ წარმოუდგენელია ზაზა ფანასკერტელს დაეწერა ეს კარაბადინი და შემდეგ გადასაწერად გადაეცა მახარებელ მალაქაძისათვის(?). ერთი ხელნაწერის შექმნაზე ქართველი ფეოდალები შუა საუკუნეებში ნამდვილად ვერ დახარჯავდნენ ორმაგ საწერ ქალაქს (I) მით უმეტეს სენტაკურნების საიდუმლო, ფეოდალურ მონოპოლიურ ხასიათს ატარებდა შუა საუკუნეების საქართველოში, ამიტომ ჩვენი აზრით, ზაზა ფანასკერტელი მომგებელი ავტორია ამ კარაბადინისა. ასედაც არის ეს საკითხი ფორმულირებული აკად. კ. კეკელიძის მიერ შედგენილ ხელნაწერების საცნობარო კატალოგში, ხოლო ჩვენი აზრით, მახარებელი მალაქაძე თანაავტორი კალიგრაფი — მწერალია. თანაც იგი იყო საეკლესიო მედიცინის ქურუმში, სვეტიცხოვლის ქადაგი¹ და პროფესიონალი მდივან-მწიგნობარი. უურადსაღებია ერთი დეტალი: ფანასკერტელები ერისთავთ-ერისთავები იყვნენ მზოვრეთიდან ნიჩბისამდე. მასხადაძე, მალაქაძეების ეკლესია და მათივე ტერიტორიული რეგიონი ფანასკერტელების საბრძანებლო გამგებლობაში შედიოდა. ამიტომ ზაზას შეეძლო უშუალოდ დავალება მიეცა მახარებლისათვის კარაბადინის შედგენის თაობაზე, მით უმეტეს მახარებელი ამ მხრივ კომპეტენტური კალიგრაფი და მდივან-მწიგნობარი იყო ტრადიციულად.

¹ ქადაგი — ხატის მსახური, რომელსა შეეძლო ვითომ ხატთან ურთიერთობის დამყარება, ქაოჯაღ დატემა. ქადაგად დატემა“ სასულიერო პირის მიერ „სენთა კურნებასაც“ უნდა ნაშავდეს ხატის შემწეობით — ს. ს. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ტომეული. 1926 წელი.

**„მჩხრეკალისა“ და „მშრომლის“ ეპითეტების სწორად გაგებისათვის
საპარტიველოს მდივანისა და შარბაციის ისტორიაში**

ქართული პალეოგრაფიული ტერმინების შესწავლა წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში შემონახული ბევრი სიტყვის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არაა გარკვეული. კერძოდ, ზოგჯერ კამათს იწვევს „მჩხრეკალის“ მნიშვნელობა, ვინაიდან არცთუ იშვიათად „მჩხრეკალს“ მექანიკურ ვადამწერად მიიჩნევენ. რაც სწორი არ უნდა იყოს.


„ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინების“¹ ავტორი მ. სურგულაძე გვამცნობს, რომ „მჩხრეკალი“ ნაწარმოებია ზმნისაგან — „ჩხრეკა“. იგი იმორწმუნებს ი. ჯავახიშვილის სიტყვებს: „ჩხრეკა ხშირად მხოლოდ გულწრფელი თავმდაბლობის, ან ზრდილობიანად ქცეული თავმდაბლობის გამოხატვლი იყო“. მართლაც მჩხრეკალებს საერთოდ განსაკუთრებული შოკრძალეობა და თავმდაბლობა ახასიათებდათ, მით უფრო მაშინ, როდესაც პრივილეგირებული პიროვნებებისათვის ხელნაწერებს ამზადებდნენ.

„უფრო გვიანდელ მასალებში ჩხრეკა უკვე ძიებას, შესწავლას ნიშნავს“, წერს მონოგრაფიის 82-ე გვერდზე მ. სურგულაძე. სხვა ანდერძ-მინაწერების მაგალითზე ავტორი დასძენს, რომ „მჩხრეკელი ნიშნავს გამოძიებელს, შემსწავლელს, ვინაიდან ჩხრეკის მეორეული მნიშვნელობაა ძიება, გამოძიება, შესწავლა“.


აკად. კ. კეკელიძეს „მჩხრეკელის“ საგანგებო განმარტება არ მოუცია, მაგრამ მისი აზრით, ეს ტერმინი შესაძლებელია ვადამწერის გარდა, სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა“. ეს ფრიალ საინტერესო დაკვირვებაა. მართლაც, შეუძლებელია „მჩხრეკალი“ ყველა შემთხვევაში მხოლოდ მექანიკურად ვადამწერს ნიშნავდეს. ჩვენ ეს გვიანტერესებს მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი საკითხების გასარკვევად. როგორც ცნობილია „სამკურნალო წიგნ კარაბადინის“ ხელნაწერის (Q № 877) ერთ-ერთ გვერდზე (177 r) იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე მჩხრეკელი ამისა უღირსი მახარებელი, ამინ“. ამ ანდერძ-მინაწერში „მჩხრეკალი“ მხოლოდ ვადამწერს არ უნდა ნიშნავდეს. ამ შემთხვევაში მახარებელს მხოლოდ ვადამწერის ფუნქციას თუ მივანიჭებთ, მაშინ ამ ისტორიული პიროვნების როლსა და ღვაწლს ერთობ დავაყნიებთ. ხელნაწერის მომგებელი, დამკვეთი „პატრონი მკურნალი“ ზაზა ფანასკერტელია და მახარებელი მისდამი იჩენს შოკრძალეობას, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ იგი კარაბადინის მხოლოდ მექანიკური ვადამწერია. ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის. მტკიცე საბუთი იმისა, რომ კარაბადინი ზაზას დაწერილია და შემდეგ მახარებლის მიერაა ვადამწერილი, ჩვენ არა გვაქვს.

მ. სურგულაძე წერს: „მჩხრეკალები“ მხოლოდ დედნის შერჩევით არ

¹ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები თბ., „მეცნიერება“ 1978, გვ. 5



საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დედნების ფონდი № 1418. საბუთი № 1076, დაწერილი კალიგრაფ კლიმი კაკაჩაძის ხელით. საბუთი 1411 წლით თარიღდება (ხელს აწერენ: კათალიკოსი შიო, ჭუარისმტვირთველი მახარებელ მეორე მაღალაძე, გობირახისძენი და სხვები). პალეოგრაფიულად მტკიცდება, რომ საბუთის ბოლოს ერთი წინადადება მთლიანად მახარებელ მეორე მაღალაძის ხელითაა დაწერილი, — ხ. ს. დედნის ფონტი ქვეყნდება პირველად.



„მაღალანთ ეკლესიის“ მარჯვნივ მდებარეობს მახარებლის კოშკი, რომელშიც შემორჩენილია მაღალაძეების საგვარეულოს ისტორიული პიროვნებების იკონოგრაფიული ფრესკები და იქვე უნდა იყოს დაკრძალული მახარებელ მაღალაძე. ეს ნაგებობა ორსართულიანია. ფრესკები შემოგვრჩა პირველ სართულზე (მეორე სართულის რესტავრაცია მომხდარა 1936 წ. მ. ბოკორიძის მახალების მიხედვით).

იფარგლებოდნენ. ისინი ადგენდნენ ახალ კრებულსაც. სანიმუშოდ მოვიყვან XIV საუკუნით დათარიღებულ ხელნაწერის ანდერძს: „ოთხისა თუ ხუთისა დედნისაგან ვწერდი, ნათხოვისა სხვა და სხვა მონასტრისაგან და ვამსა თავსა ვერ ვიპოვი დედაი“. მაშასადამე, მხხრეკალმა ოქროპირმა გამოიყენა 4—5 ნუსხა და ისე შექმნა ახალი ხელნაწერი. როგორც ირკვევა, მას შეუკრებია წმინდანთა ცხოვრების ცალკეული ფაქტები და მათგან შეუქმნია დედნებისაგან განსხვავებული წესით შემდგენილი ახალი კრებული. ასეთი მხხრეკალი ხომ არ ნიშნავს უბრალო გადამწერს? „რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ამ ხელნაწერის შემქმნელი არ არის უბრალო გადამწერი, იგი არის მისი შემდგენელი რედაქტორი“, — ასკენის მ. სურგულაძე. ასეთი მაგალითი სხვაც ბევრია ცნობილი. ეს გვაძლევს უფლებასა და საფუძველს ვიკითხოთ, მახარებელ მალალაძეს რატომ უნდა მივაწეროთ მხოლოდ კალიგრაფის ფუნქცია? იგი ხომ თავისთავს „მშრომელადაც“ იხსენიებს (219 V) გვ? „მშრომლისა მახარებლისათვის შენდობაჲ ყავთ“. ვფიქრობთ, მახარებელის წვლილი კარაბადინის შექმნაში (ზაზა ფანასკერტელთან ერთად) მეტი უნდა იყოს. ზაზა ავტორია თხზულებისა და მომგებელი ხელნაწერისა, მახარებელი კი თანაავტორი და კალიგრაფი. ჩვენ მიერ მიგნებული ერთი საბუთი (საქართველოს სსრ, ცსს არქივის საბუთი ფონდი № 1448, საბუთი № 63) გვიდასტურებს, რომ 1008 გვერდი ამ ხელნაწერისა უშუალოდ მახარებელ ოქროპირის ძე მალალაძის ხელით არის დაწერილი. საეარაუდოა, რომ მას უსარგებლია ქანანელის „უსწორო კარაბადინით“ და სხვა წყაროებით, რაც მექანიკური გადამწერისაგან ნაკლებ მოსალოდნელია. აქ ადგილი აქვს სამედიცინო აზროვნების ქრონოლოგიურ გაგრძელებას, როგორც ზაზა ფანასკერტელის, ისე მახარებელ მალალაძის მხრივ. სამწუხაროდ, ზაზა ფანასკერტელის ხელწერა ჩვენთვის უცნობია და არ შეგვიძლია გავარკვიოთ 180 ფურცელი მის მიერაა დაწერილი, თუ აქაც საქმე გვაქვს მალალაძეების საგვარეულოს რომელიმე სხვა კალიგრაფთან, რომელიც გვერდში უდგას მახარებელს და ეხმარება ზაზას დაკვეთის შესრულებაში? მახარებელი რომ საეკლესიო მედიცინის კომპეტენტური სპეციალისტია, ამას გვიდასტურებს ვარძიის აფთიაქის ანალოგიური ნაგებობის აღმოჩენა მალალაძეების ეკლესიის შემოგარენში, წალკოტის ფუნქციონირება კავთურას ხეობაში და მახარებელის ეგვიპტურში შვილი ცხვრისა და გველის გამოსახულება (სამწუხაროდ, მალალაძეების ეკლესიის ეგვიპტურში არ შემორჩა ბევრი რაოდენობით ფრესკები და წარწერები, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო მათი როლისა და დეაწლის საკითხი ქართული მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში).

ზაზა ფანასკერტელის ავტორობის ვერსიას აძლიერებს სიტყვა „მკურნალი“, რომლითაც იგი იხსენიება „სამკურნალო წიგნი“ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში: „ქრისტე ღმერთო, ადიდე პატრონი ჩვენი ზაზა მკურნალი (339 V)“. ბუნებრივია, ეს მახარებელის სიტყვებია. ეს შეეძლო ეთქვა მახარებელს,

¹ ვინ უწყის, კალიგრაფი ოქროპირი რომელი საგვარეულოს წარმომადგენელია, იქნებ, იგი მალალაძე XV ს. მოღვაწე?

ვინაც დაუწერა და მიაართვა პატრონს ხელნაწერი — კარაბადინი. იგივე მახარებელი თხზულების II ნაწილის (177 r) დასაწყისში ზაზა ფანასკერტელს „ბრძენთმთავრის“ ეპითეტით იხსენიებს. საფიქრებელია, მახარებელმა ასო-მთავრულის, ნუსხურის და მხედრული დამწერლობის კარგი ცოდნით, აგრეთვე სხვა მონაცემების წყალობით, მიიღწია ახლო დამოკიდებულებას ზაზა ფანასკერტელთან. მახარებელ მალაქძე, რომ არ ყოფილიყო კომპეტენტური პიროვნება, მაშინ რატომ დაუკავშირდებოდა ტო-კლარჯეთიდან ქართლში გადმოსახლებული „მკურნალი ზაზა“ ამ კალიგრაფს? ქადაგი საეკლესიო მედიცინის მსახურს ხომ არ ნიშნავს?

ვუბრუნდებით ისევ „მჩხრეკალის“ ხსენებას X საუკუნის ხელნაწერებში, კერძოდ, ცნობილი მოღვაწის იოანე — ზოსიმეს მიერ მომზადებულ კრებულში. „იოანე — ზოსიმე საკუთარ თავს ხშირად უწოდებს „მჩხრეკელს“. ძნელი დასაჯერებელია, რომ იოანე — ზოსიმე მხოლოდ გადამწერია. მეცნიერებაში სწორადაა შენიშნული, რომ მისი მონაწილეობა ხელნაწერების შექმნაში სრულიად სხვადასხვაგვარია. იგი შეიძლება გადამწერიც იყოს და გამმართველიც, ტექსტის შემარჩევიცა და რედაქტორიც“. ამის ანალოგიით ვფიქრობთ ძნელია კატეგორიული მტკიცება, რომ „მჩხრეკალი“ ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ მექანიკურად გადამწერს ნიშნავს. მ. სურგულაძე ერთ ხელნაწერთან დაკავშირებით წერს: იოანე — ზოსიმეს „ამ ხელნაწერის მაგალითზე სავსებით ნათელია, რომ „მჩხრეკელი“ ნიშნავს გაცილებით მეტს, ვიდრე უბრალოდ გადამწერს“. ვფიქრობთ, მახარებელის მაგალითზეც იგივე შეიძლება ვთქვათ. თუ არა ერთ შემთხვევაში „მჩხრეკალი“ ავტორს და რედაქტორს ნიშნავს, მახარებელ მალაქძის შემთხვევაში რატომ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ მექანიკურად გადამწერს?

ვფიქრობთ, რომ კარაბადინის მკვლევართა მიერ მახარებელ მალაქძის როლის განსაზღვრისას დაშვებულია უზუსტობა. ამას გვაფიქრებინებს „მჩხრეკელის“ შინაარსი, აგრეთვე წალკოტისა და აფთიაქის ფუნქციონირება მდინარე კავთურას ხეობაში. და რაც მთავარია, დღეს ხელთ გვაქვს მახარებლის ხელით დაწერილი „ფანიაშვილის გუჯარი“, რომლის პალეოგრაფიული ანალიზი ახლებურად წარმოგვიდგენს მახარებელ მალაქძის როლსა და ღვაწლს. „მკურნალ“ ზაზა ფანასკერტელის დაკავშირება მახარებელთან შემთხვევითი არ იყო. ზაზა ფანასკერტელი — ბრძენთმთავარი მკურნალი, კარაბადინის კონსტრუქტორი, ავტორი, ხელნაწერის მომზადებელი, მახარებელი თანაავტორი და კალიგრაფი, 1008 გვერდის უშუალოდ დამწერი და არა გადამწერი, როგორც დღემდე ეგონათ.

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 177 r და 219 v გვერდზე, როგორც უკვე ცნობილია, მახარებელი იხსენიება „მჩხრეკელის“ და „შრომლის“ ეპითეტებით. ამ სიტყვების მნიშვნელობა რომ სწორად გავგოთ, საჭიროა გავეცნოთ აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის შრომებს.

1967 წელს გამოცემილია „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მნიშვნელოვანი მონოგრაფია სათაურით: „ძველი ქართველი ოსტატები“. ამ წიგნში პატივცემული მკვლევარი წარმოგვიდგენს

ერის კულტურის წარსულის წინაპრებს: ხუროთმოძღვრებს, მხატვრებს, ოქრომქედლებს, ოქრომქანდაკელებსა და განსაკუთრებით კალიგრაფ-მწერლებს. ავტორი თვითონვე ასე გვაუწყებს: „...ხუროთმოძღვრებს მიემატა კიდევ რამდენიმე მშენებლის, რამდენიმე ათეული ოქრომქედლისა და მხატვრის სახელები, ყველაზე მეტი ადგილი კი კალიგრაფებმა დაიჭირეს“. და იქვე: „წიგნის გადაწერისას კალიგრაფის სახელის მოწერა წესად იყო მიღებული... „აჲ ყველა ძველი ოსტატი არაა აღნუხსული“... „ახევე IX—XV საუკუნეთა კალიგრაფების... XV—XVIII ს-ში სახელითა და გვარით ცნობილ კალიგრაფთა და მდივან-მწიგნობართა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათი ამბავის მოყოლა ერთ უზარმაზარ ტომს მაინც მოითხოვდა“... 67-ე გვედრზე პატივცემული ავტორი გადმოგვცემს ერთ-ერთი კალიგრაფის მოკლე ისტორიას: „გრიგოლ კალიგრაფი, რომელმაც 1538 წელს „პატრონისა და სახელგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილისა... სულკურთხეულის ზაალის (ე. ი. ზაზას ს. ს.) შვილისა პატრონისა ქაიხოსროსა ბრძანებითა“ — გადაწერა აწყურის მარხვანი (ფონდი H 1608), წიგნის ანდერძის თანახმად გრიგოლი ცხოვრობდა „სამცხეს, აწყურისა ღვთისმშობლისა სამკვიდრებელსა აწყურისა ქალაქსა“ და აღზრდილი ყოფილა აწყურისავე მონასტერში. „გრიგოლი კარგი კალიგრაფი იყო“, — წერს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, მისი წიგნი 39,2 X 6,5 სმ 19-1 ფურცელი ქალაქი (ფრიალ წერილი, ლამაზი ნუსხურითაა ნაწერი, ორ სვეტად, მორთვა-შელამაშვების აშკარა სურვილით. ამას მოწმობს სინგურის სახედაო ასოების განლაგებაც, მათი მოხაზულობაც (ზოგი ბურთულეებითა და თაროებითაა შემკული) ზოგი ასო დიდია, საგანგებოდ დაწნულ დაჭრელებული. ფერადი, ხელნაწერს თარიღი უზის. (ფ. 131 ასომთავრულით): „დაიწერა ესე წიგნი ქრონიკონისა სკვ“ (226 + 1312 = 1538). (სსმ ხელნ. აღწ. — IV, გვ. 122—123). მასასადამე, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე სავეტით იზიარებს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში დაცულ კალიგრაფ გრიგოლის დაწერილ საბუთს რომ... „აწყურისა, ღვთისმშობლისა სამკვიდრებელსა“ საბუთი: „პატრონისა და სახელგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილისა“, იმის შესახებ, რომ განშტოება ფანასკერტელების გვარში ციციშვილებისა წარმოშობილა XVI საუკუნეში, კერძოდ 1538 წელს ქაიხოსრო ზაზას-ძე (ზაალის-ძე) ფანასკერტელის ინიციატივით. პროფ. კ. გრიგოლია 1538 წელს თვლიდა ფანასკერტელთა გვარში ციციშვილების განშტოების წარმოშობის თარიღად. იგი 1950 წელს „სამკურნალო წიგნის — კარაბადინის“ შესავალში მე-19 გვედრზე წერდა: „ზაზას შემკვიდრებებს უკვე XVI საუკუნის დამდეგიდან, ალბათ, ახალი ვითარების გამო ახალი საგვარეულო სახელიც მიუღიათ... ამიერიდან ისინი ისტორიულ წყაროებში მხოლოდ ამ სახელით (ციციშვილები ს. ს.) არიან ცნობილი... 1588 წელს ისინი უკვე ფანასკერტელები კი არა, არამედ ციციშვილები ყოფილან“. მარხვანი დაიწერა „ხელითა გრიგოლისითა“ ეს კი მნიშვნელოვანი მომენტია ქართლში გადმოსასწავლელ ფანასკერტელთა საგვარეულოს ისტორიაში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „სამკურნალო წიგნ-კარაბადინის“ ავტორად მიჩ-

ნეული ზაზა ფანასკერტელი XV საუკუნეში ჭერ კიდევ არ იწერებოდა „ციციშვილად“ (?!) საკითხავია პროფ. მ. შენგელია XV საუკუნეში დაწერილი „სამყურნალო წიგნი — კარაბადინის“ ავტორად ზაზა ფანასკერტელს ციციშვილის დამატებითი გვართ, რომელი ისტორიული პირველადი წყაროს საფუძველზე წარმოგვიდგენს? სხვა პირველადი საბუთი, ისტორიულ წერილობითი წყარო XV საუკუნით, რომ თარიღდებოდეს, ჭერჭერობით ხელთ არ გვაქვს (1). ფანასკერტელების გვარში ციციშვილების განშტოების საკითხს ჩვენ კვლავ ცალკე ქვეთავში შევხვებით.

აკ. ვახტანგ ბერიძის ამ წიგნში მოყვანილი სხვა ფაქტებიდან დასტურდება, რომ „მჩხრეკალები“ არ ყოფილან უბრალო კალიგრაფები, ისინი კვალიფიციური, დახელოვნებული სპეციალისტები ჩანან ქართულ მწიგნობრობაში. თუმცა არის ფაქტები, როცა ისინი ლებულობენ დაკვეთას პრივილეგირებული ფეოდალებისაგან ხელნაწერის გადაწერის, ან შექმნის თაობაზე. კალიგრაფი — „მჩხრეკალები“ აწარმოებდნენ ძველი, უკვე არსებული ხელნაწერის როგორც გადაწერას, ასევე ამ ხელნაწერთა შესამჩნევ გადახალისებას ახალი მასალებით და ეპოქალური თანმიმდევრულობით სრულყოფდნენ მას. მონოგრაფიაში „ძველი ქართველი ოსტატები“ უხვად არის მოცემული ფაქტები კალიგრაფ-„მჩხრეკელთა“ ტრადიციებსა და მათ საქმიანობაზე. ასე მაგალითად „შატბერდის მონასტერში XI საუკუნეში მოღვაწეობდა მწერალი და კალიგრაფი გრიგოლ ვაჩეძორელი, რომელმაც გადაწერა გრიგოლ ნოსელის თხზულება „დაბადებისათვის კაცთა“. ამ ხელნაწერის 210-ე გვერდზე არის მინაწერი: „დაიწერა დიდსა ლავრასა შატბერდს... ხელითა ფრიად ცოდვილის გრიგოლ ვაჩეძორელისათა. უცბად ჩხრეკისათვის და რაი დამეკლოს, შემინდევით“. არის სხვა მასალები, რომ გრიგოლ ვაჩეძორელი მხოლოდ ვადამწერის ფუნქციებს არ ასრულებდა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიაში. სომხურ წყაროებში გრიგოლ ვაჩეძორელის შრომები, როგორც ჩანს უთარგმნიათ და იგი იხსენიება „გრიგოლ ვაჩეს“ და „ექიმო სამცხისას“ ეპითეტებით.

ლადო კოტეტიშვილი 1940 წელს „უსწორო კარაბადინის“ პუბლიკაციის წინასიტყვაობის და შესავლის 26-ე გვერდზე მიუთითებდა, რომ „სომხური მედიცინის მკვლევარი პროფ. ლ. ა. ოგანეზოვი თავის წიგნის 124-ე გვერდზე უჩვენებს: „ჩვენ ხელთა გვქონდა ერთი ხელნაწერი ეჩმიაძინის ბიბლიოთეკისა, რომელიც ეკუთვნის 1462-66 წლებს და შინაარსიც შეიცავს 1-55 გვერდზე წამალთმცოდნეობას და შემდეგ 55-დან 215-ე გვერდამდე კი პათოლოგიას და თერაპიას. ხელნაწერს ბოლოში ჰქონია შემდეგი მინაწერი:“ ეს ძვირფასი და სასარგებლო წიგნი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ბუნების განხილვას, მის სხვადასხვა ავადმყოფობებს და მათ მიზეზებს, დაწერილია ჩვენ ძუძუმძების მიერ მარქარისაგან და თარგმნილია გრიგოლისაგან. ვინც ეს წიგნი წაიკითხოს, ან მით ისარგებლოს, შესთხოვოს ქრისტეს სიცოცხლე ვაჩესთვის, რომელიც ღვთით არის ექიმო სამცხისა“¹⁻².

¹ ქანანელი, უსწორო კარაბადინი, 1940 წ. გვ. 26—27.

² (იხ.: Л. А. Оганезов, «История медицины в Армении», Эреван, 1928 г.).

აქ მოყვანილ ციტატას 1940 წელს ასეთ კომენტარს უკეთებს ექიმი ლადო კოტეტიშვილი: „მკვლევარს (ე. ი. ლ. ა. ოგანეზოვს ს. ს.) არ ესმის, თუ რა შუაში უნდა იყოს აქ სამცხის განთქმული ექიმი ვაჩე. ჩვენ კი გვგონია და ამას მინაწერი ნათლად უჩვენებს. რომ წიგნის ავტორი გრიგოლი და ვაჩე ერთი და იგივე პიროვნებაა. ვაჩე ან გვარია, ან სახელწოდება გრიგოლისა, რომელიც ქართველი ექიმი და იმდენად ცნობილი, რომ მისი საექიმო თხზულება XV საუკუნის II ნახევარში ითარგმნება სომხურად ვინმე ბერ მარქარის მიერ“. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება აქ მოყვანილი ციტატებიდან? ფაქტია, სამცხეში ყოფილა ექიმი გრიგოლი და მისი შედგენილი კარაბადინი XV საუკუნეში ბერ მარქარის სომხურად უთარგმნია. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მონოგრაფიაში ფიგურირებს XI საუკუნის მწერალი და კალიგრაფი გრიგოლ ვაჩეძორელი. რომელსაც გადაუწერია გრიგოლ ნოსელის თხზულება „დაბადებისათვის კაცთა“. სომხური თარგმანი ერთადერთი წყაროა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ გრიგოლ „ვაჩე“ ზედწოდებით სამცხის ექიმი ყოფილა. არ არის გამორიცხული, რომ XI საუკუნის მოღვაწე გრიგოლ ვაჩეძორელი და სამცხის ექიმ გრიგოლ ვაჩეს თხზულების სომხურ თარგმანში მოხსენიებული ეს ისტორიული პიროვნება ერთი და იგივე იყოს. რა თქმა უნდა, ამას პალეოგრაფიული მონაცემებით და სხვა დამატებითი არგუმენტებით კვლავ სჭირდება დასაბუთება, რისი გარკვევის შემდეგ შესაძლებელია ქართულ სამედიცინო კულტურულ წარსულს XI საუკუნეში ქანანელთან ერთად შეემატოს სამცხის ექიმის და კალიგრაფის გრიგოლ ვაჩეძორელის სახელიც, იგი ხომ კარაბადინის შედგენაში კომპეტენტური ავტორი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, „გრიგოლ ვაჩე“ და „გრიგოლ ვაჩეძორელი“ ისტორიულად რომ ერთი და იგივე პიროვნებაა, ასეთი ვერსია საკვებით დასაშვებად მიგვაჩნია.

ასევე ცნობილია კალიგრაფი მხჩრეკელი X საუკუნის მოღვაწე: „გაბრიელ კალიგრაფი“, რომელმაც გადაწერა „ჭრუჭის I ოთხთავი“, რომლის ბოლოს მიწერილია: „დაიწერა წმინდაი ესე სახარებაი შატბერდს ხელითა უცხად მხჩრეკალისა გაბრიელისათა“. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მიერ გამოკვლეული სხვა მასალებით ირკვევა, რომ XI საუკუნეში მოღვაწეობდა „კალიგრაფი იოანე“, იგივე „უცხად მხჩრეკალი კალიგრაფი“, მას გადაუწერია „ევესტათე მცხეთელის ცხოვრების — ნუსხა“, რომლის 197-ე გვერდზე წერია: „ლოცვა ყავთ იოანესათვის უცხად მხჩრეკალისათვის და დაკლებული ყოველი შემინდევით“. ტრადიციულად კალიგრაფი და „მხჩრეკალი“ ანუ მხჩრეკელი ხშირად, ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოთქმული არსებითი სახელის მიმდევრობითი ფორმებია და ზმნა „დაჩხრეკვა“ დაწერა აქედანვეა ნაწარმოები. საეკლესიო უწყების მსახურნი ხშირად თავმდაბალი უპრეტენზიო ქველმოქმედი მუშაკები იყვნენ და თავისთავს მოკრძალებით წარმოაჩინებდნენ. როგორც ამ ტრადიციების ანალიზით ირკვევა, კალიგრაფისა და მხჩრეკელის სახელწოდებაში იგულისხმებოდა უკვე არსებული ხელნაწერის გადამწერიც, და ასევე სრულიად ახალი თხზულების შემქმნელი. კალიგრაფებს არა მარტო გარეგნულად ლამაზი კალიგრაფიით გამოიყავდათ ქართული ანბანი (ასომთავრული,

ხუცური, მხედრული), არამედ შინაარსითაც მნიშვნელოვან შედეგებს ქმნიდნენ.

ძველად მკურნალობის საქმეს ეკლესია განაგებდა, ამიტომ, ბუნებრივია, სამკურნალო წიგნები ჭუარისმტვირველთა, მჩხრეკელთა ინიციატივისა და დეაწლის შედეგად იწერებოდა.

ასევე საინტერესო პიროვნებაა „დავით რექტორი“ იგივე დავით ალექსის ძე მესხიშვილი (1745—1824 წ. წ.), რომელიც ფაქტიურად განათლების საქმეს განაგებდა და იგი თელავის სემინარიის რექტორად დანიშნა უშუალოდ ერეკლე II. იგი იყო კალიგრაფი, მჩხრეკელი, პედაგოგი, კომენტატორი, პოპულარიზატორი, რესტავრატორი, ლიტერატორი და თავის დროის მრავალ ასპექტიანი ენციკლოპედისტის მოღვაწე.

ცნობილი რუსთველოლოგი და საზოგადო მოღვაწის ეუკოლ ბერიძის გამოკვლეული მასალებით, დავით რექტორი (მესხიშვილი) საკუთარ ლექსებსაც წერდა, იგი სულხან-საბას ლექსიკონის შემკვები და კომენტატორიც ყოფილა. არის საბუთი, როცა დავით რექტორი თავის თავს მჩხრეკელად წარმოგვიდგენს (?!).

ქართული ხელნაწერების შექმნის ისტორიაში, ასევე საინტერესო კალიგრაფი და დახელოვნებული ოსტატი ყოფილა ავგაროზ ბანდაისძე, რომელსაც შეძლებია წიგნის დაწერა ხუცურად, ეტრატის შექმნაც, წიგნის აკინძვაცა და მხატვრულად გაფორმებაც. ტყავის ყდის შეკერვა და თანამედროვე პოლიგრაფიულ ენაზე წიგნის გამოცემისათვის ყველა საჭირო პროცედურის შესრულება. თანაც ეს როდის? XIV საუკუნის მეორე ნახევარში. აქ ავგაროზ ბანდაისძე მოგვაგონებს ცნობილ რომაელ ფენომენს ცეზარს. თუ ცეზარს შვილი საქმის კეთება შეეძლო ერთდროულად, ქართველ ავგაროზ ბანდაისძეს ხელნაწერების შექმნისას 10-მდე საქმის კეთება შესძლებია. „წყალობითა... თვინიერ მოძღვარისა ხელოვნება ესე ვითარცა“... ასე, რომ ავგაროზ ბანდაისძე ბრწყინვალე მწიგნობარი კალიგრაფი, შუა საუკუნეების მრავალასპექტიანი ფენომენი იყო, რომელიც ხელნაწერების შექმნის ისტორიაში ენციკლოპედისტის კვალს აჩნევს ქართულ კულტურას და იხსენიება „მჩხრეკელის“ ეპითეტით!

„ხელი სწავლაი ხუცობისაი
ხელი მეორე მწიგნობრობისაი
ხელი მესამე წერაი ხუცურისაი
ხელი მეოთხე შექმნაი ეტრატისაი
ხელი მეხუთე შეკერაი წიგნისაი
ხელი მეექვსე მხატვრობაი
ხელი მეშვიდე მკერვალობაი
ხელი მერვე ტყავის კერვისაი
ხელი მეცხრე ხუროვნობისაი
ხელი მათე მსოფლიო მუშაობისაი“


ბატონ ვახტანგ ბერიძის აზრით „მსოფლიო“ აქ უნდა ნიშნავდეს საერისკაცო, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ამ ფაქტებით ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ შუა საუკუნეებში მჩხრეკელები, მწერლები, იგივე კალი-

გრაფები, უბრალო გადამწერები კი არ ყოფილან, არამედ მრავალმხრივი მოღვაწე-განმანათლებლები და ეს მოსაზრება თითოეულ მათგანზე მეტ-ნაკლებად ვრცელდება. მაღალაძეებზე კი განსაკუთრებით, ხოლო ჭუარის-მტვირთველ და მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგ — მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძეზე მითუმეტეს... საინტერესოა ერთი მომენტი. ჩვენამდე მოაღწია 1401 წლით დათარიღებულმა დედანმა, სახელდობრ ბაგრატიონების სამეფო კარის ალაპის წიგნმა, რომელიც უშუალოდ ჭუარისმტვირთველ მახარებელის ხელით არის დაწერილი. ამ პირველადი წყაროს დედანის პალეოგრაფიულმა ანალიზმა ჩვენ საშუალება მოგვცა, რომ გავგვერკვია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. მაღალაძეების საგვარეულოში XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა მახარებელ პირველი (პირველი პირობითი აღნიშვნაა ს. ს.) მაღალაძე, რომლის მამის სახელი უცნობია, ხოლო XV საუკუნის მეორე ნახევარში მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძე, რომელიც ფრიად საინტერესო პიროვნებაა საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიისათვის. მახარებელი ფაქტობრივად ევანგელისტი იოანე მახარობლის მიმბაძველია.

ქრისტიანული სექტის ცივილიზირებულ ქვეყნებში ხშირად გვხვდება სახელი გიორგი და ამ ფაქტით ძნელია ვივარაუდოთ, რომ ვისაც ეს სახელი ჰქვია, „წმინდა გიორგის“ იმიტატორი იყოს, მაგრამ მახარებელის შემთხვევა უნიკალური მაგალითი უნდა იყოს. თუ ევანგელისტებს: მათეს, მარკოსს, იოანეს და ლუკას ოთხივეს დამატებით „მახარობელი“ ეწოდებოდა, მას, მაღალაძეს უშუალოდ ბიბლიურ-ევანგელისტური სახელი ჰქვია — „მახარებელი“ და საქმიანობითაც იგი ფსევდოევანგელისტია. როგორც ჩანს, მახარებელ მაღალაძე წერდა სხვადასხვა საერო და სასულიერო წიგნებს, რომლებმაც სამწუხაროდ ჩვენამდე ვეღარ მოაღწია. ისტორიული საბუთების მიხედვით მახარებელ პირველი მაღალაძე პირველი მწიგნობრობის ფუძემდებლად მოველინა მაღალაძეების საგვარეულოს XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე. მან მოუშადა მდივან-მწიგნობრობის ტრადიციებს ნიადაგი, როგორც „კარის მწიგნობარმა“. მის ტრადიციებს აგრძელებს მაღალაძეების საგვარეულოს არაერთი კალიგრაფი და მათ შორის მახარებელ II, ანუ მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძე, რომელიც ზაზა ფანასკერტელთან ერთად თანამონაწილეა „სამკურნალო წიგნ-კარაბადინის“ შედგენისა. იგი საკუთარ თავს „მჩხრეკალს“ და „მშრომელს“ უწოდებს, კარაბადინის 177 r და 219 v გვერდებზე. იგი არის „სენთა მკურნალი“ და სააფთიაქო საკანონმდებლო წიგნის, წამლების მომზადების წესთა კრებულის — ფარმაკოპეის შედგენის თანაავტორი და მისი უშუალო „მჩხრეკალი“ და „მშრომელი“, ზაზა ციციძე ფანასკერტელთან ერთად, ან, შესაძლებელია იგი „დიდი ფანასკერტლის“ შეკვეთას ასრულებდეს(?).

კალიგრაფ მჩხრეკელებთან ერთად დამკვეთები ღებულობდნენ თუ: არა უშუალო მონაწილეობას ხელნაწერის შედგენაში ეს კიდევ საკითხავია? ამ საკითხის ნაწილობრივი ახსნის თვალსაზრისით გავიხსენოთ ისტორიული ფაქტი, რომელიც ერთ მჩხრეკელს ეხება.

კალიგრაფი იოანე ავალიშვილი XVII საუკუნის დასაწყისში ქვაბთხევის იგივე ქვათახევის არქიმანდრიტად, ანუ იგივე წინამძღოლ-მამასახლისად იხსენიება. 1609 წელს მას ქეთევან დედოფლის (ქეთევან წამებულის) დავალებით ბრძანებით გადაუწერია: „იბაკონი ღვთისმშობლისანი“, რომელსაც ასეთი ანდერძი აქვს მიწერილი: „ქრისტე, აღიდე ორთავე შინაცხოვრებითა და ამზეგარძელე დედოფალთდედოფალი პატრონი ქეთაონ, რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმინდაი ესე წიგნი დღითი-ღღე სალოცველი ქრონიკონისა სუჲ... ხელითა ფრიად ცოდვილისა ქუათახევისა წინამძღვრისა იოანესითა“. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მონოგრაფიის მე-14 გვერდზე გამოქვეყნებულ ამ მასალას თუ შევადარებთ „სამკურნალო წიგნი-კარაბადინის“ 177 r გვერდზე ასომთავრულ წარწერის შინაარსს, ასეთ ანალოგიურობას დავინახავთ: „ქრისტე ღმერთო, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი ფანასკერტელი ზაზა, ამინ“ და „ქრისტე ღმერთო აღიდე ორთავე შინა ცხოვრებითა და ამზეგარძელე დედოფალთ-დედოფალი პატრონი ქეთაონ“... ფაქტია, რომ ქეთევან წამებულის ბრძანებით იოანე ავალიშვილმა გადაწერა „იბაკონი ღვთისმშობლისანი“, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია არავის, რომ ეს ხელნაწერი უშუალოდ ქეთევან დედოფლის (წამებულის) მიერ იყოს დაწერილი და მისთვის ავტორის ფუნქცია მიენიჭებინათ. ზაზა ციციის ძე ფანასკერტელს უშუალოდ რომ დაეწერა „სამკურნალო წიგნი-კარაბადინის“ II ნაწილი, მაშინვე შესავალშივე, ბუნებრივია ვერ მიმართავდა საკუთარ თავს სიტყვებით: „ქრისტე ღმერთო, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი ფანასკერტელი ზაზა, ამინ“. ან კიდევ 329-ე გვერდზე სინგურად მახარებელი წერს „...აღიდე პატრონი ზაზა ფანასკერტელი“ ეს შეეძლო კალიგრაფს, მწერალს მახარებელ ოქროპირის ძე მალალაძეს დაეწერა „ერისთავთ ერისთავის“, „ბრძენთმთავარ“, „მკურნალ“ ზაზა ციციის ძე ფანასკერტელის მიმართით. ამ კარაბადინის სხვა ქარავმულ წარწერაში ვკითხულობთ: „ქრისტე შეიწყალე, ჩვენი პატრონი ზაზა“. ხელნაწერების შექმნის ტრადიციების შესაბამისად, არცერთ ავტორს საკუთარი თავისთვის ჭერჭერობით არ მიუმართავს „ჩვენი პატრონის“ ეპითეტებით. ასევეა 339-ე გვერდზე სინგურით გამორჩეული წარწერის შინაარსი: „ქრისტე ღმერთო, აღიდე პატრონი ჩვენი ზაზა მკურნალი“, ზაზა, როგორც მკურნალი — აქიმი (თანამედროვე გაგებით ექიმი) დიანტიერესებულია ყოველდღიურად საჭირო სამკურნალოწამლო პრეპარატების მომზადების სარეკომენდაციო წესების კრებული — ფარმაკოპეა სამკურნალო წიგნი ჰქონდეს ხელთ, როგორც პირადი საკუთრება. ზაზა შემკობილია „ბრძენთმთავარის“ ეპითეტით, რაც ქართლში მთავარ ექიმს ნიშნავდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზაზა ერთ-ერთი ავტორია ამ ხელნაწერისა, მაგრამ პალეოგრაფიული რაიმე საბუთი ასეთი ვერსიის დაშვებისათვის ჩვენ დღეს-დღეობით ხელთ არა გვაქვს. ყოველივე ზემოთთქმული ჩვენს, ისე არ უხდა გავიგოთ, რომ ზაზა ფანასკერტელის როლი და დეაწლი დავაკნინოთ საქართველოს მედიცინის ისტორიაში. პირიქით, თუ არა ზაზა, შთამომავლობას სა-



„სამკურნალო წიგნი — ფარმაკოპეის“ 62-ე და 63-ე გვერდებს შორის აღმოჩნდა ჩაღებული ვახტანგ VI ანდერძის ტექსტი. ფურცელზე ჩვენ შევნიშნეთ სამი ნახევარ-მოფარის კვირნიშანი, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი, რაც ხელნაწერზე საამყინძაო სამუშაოების ჩატარების თარიღს — 1709 წელს ადასტურებს.

ერთოდ, არ ექნებოდა ეს უნიკალური სამკურნალო წიგნი-ფარმაცოპეა. მკურნალი ზაზა ფანასკერტელი მომგებელი ავტორია ამ ხელნაწერისაო, წერდნენ პროფ. ილია აბულაძე, პროფ. კოტე გრიგოლია და პროფ. მ. სააკაშვილი, მაგრამ მათ ხელთ არ ჰქონდათ „ფანაშვილების გუჯარი“ დედანი მახარებელის ხელით დაწერილი და მაღალაძეების ეკლესიის და კავთურას ხეობის გამოსაკვლევით რეგიონის დეტალური ანალიზის შედეგები, თორემ არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ იმ კონცეფციით, რომ მახარებელისათვის ამ ხელნაწერის მხოლოდ გადამწერის ფუნქცია მიენიჭებიათ. იოანე ავალიშვილი წერს: „ამ ზეგარბილ დედოფალთ-დედოფალი პატრონი ქეთათონ“. მახარებელი წერს: „ქრისტე ღმერთო აღიდე ორთავე შინა ცხოვრებითა... პატრონი ზაზა მკურნალი“. ამ ფრაზების შედარებისას აშკარად იგრძნობა დამკვეთთა მიმართ მოკრძალების და პატრონთა მისამართით თავყვანისცემის ტრადიციების ანალოგიურობა კალიგრაფების მხრივ... რაც შეეხება ევანგელისტ იოანე მახარებელს (IV საუკუნის მოღვაწეს), მას მრავალი მიმბაძველი, იმიტატორი: ჰყოლია შუა საუკუნეებში. ასე მაგალითად, XVI საუკუნეში ვამეყ დადიანის დავალებით მოქმედებდა ორი ბერი: გაბისულავა ანდრონიკე და ქვაბალია მახარებელი, რომლებმაც წალენჯიხის მონასტერი მოხატეს (ალბათ ქიაჩის მონასტერზეა ლაპარაკი ს. ს.) ე. წ. პალეოგოსთა დამახასიათებელი ხელოვნების გავლენით. „დღემდე შემორჩენილ ტექსტში შემდეგი იკითხება“ — წერს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე: „მახარებელი ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა და ვევედრებით მაცხოვარსა, რათა გვიხსნას ჩვენც დღესა მან განკითხვისასა“... მაშასადამე, IV საუკუნის ქრისტეს მცნების მქადაგებლებს: მათე, მარკოზ, იოანე და ლუკა მახარებლებს მიმბაძველები ჰყავდათ, არა მარტო საქმით, არამედ, როგორც ირკვევა, მათ სახელადაც ევანგელისტების დამატებითი სახელი „მახარებელი“ ერქვათ უმეტესად. განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები შუა საუკუნეებში. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს ამ მეტად მნიშვნელოვან და შრომატევად გამოკვლევაში დასახელებული ჰყავს ბევრი კალიგრაფი, ხუროთმოძღვარი, რომელთა საგვარეულოდან გამოდიოდნენ კალიგრაფი მწერლები და ზოგჯერ ერთი და იგივე პიროვნება თითქმის ყველა იმ პროფესიას ფლობდა, რაც წიგნიერებასთან და ეკლესიის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. ამ საგვარეულოთა ჩამოთვლაში ტრადიციული გვარებია: უპირველეს ყოვლისა მაღალაძეები, მესხიშვილები, მიქაძეები, გაბაშვილები, ბედისმწერლიშვილები და სხვები, რომელთა საგვარეულოს წარმომადგენლები საუკუნეების მანძილზე ეწეოდნენ კვალიფიციურ შრომას საქართველოს კულტურულ წარსულში. ამ არასრულ სიაში, რომელიც შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს, განხილულია '60-მდე არქიტექტორ — ხუროკალატოზ ოსტატის, 40-ზე მეტი ოქრომჭედლისა და მხატვართუხუცესის ცხოვრება, ყველაზე მეტი რაოდენობით — 150-ზე მეტი წარმოდგენილია მწერლები — კალიგრაფები, განსაკუთრებით საყურადღებოა აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მეცნიერული გამოკვლევები მაღალაძეების საგვარეულოს მისამართით. ჯერ კიდევ ამ საუ-

კუნის 40-იან წლებში გამოქვეყნდა ამ საგვარეულოს შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მაღალაძეთა მრავალასპექტიანი ოჯახის მოღვაწეობის შესახებ. აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის I გამოკვლევა: „წინარეხი, გომისჯვარისახორი,“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, IV, № 6 1943, გვ. 609—610. ასევეა მოცულობით მცირე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გამოკვლევა სათაურით: „წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVII—XVIII საუკუნეებში“ (სსრ მოამბე, XIV, 1947, გვ. 195—217) და მისივე ნაშრომი: „მაღალაძეთა ეკლესია“, „ქართული ხელოვნება“, 1959 გვ. 206—207. მიზანშეწონილად მიიჩნია მაღალაძეთა ოჯახის ტრადიციების უფრო მკაფიოდ გაცნობისათვის, მოვიყვანოთ ციტირება აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მონოგრაფიიდან „ძველი ქართველი ოსტატები“.

„მაღალაძეები — ქართლელი აზნაურების ძლიერი ფეოდალური გვარი, რომლის წარმომადგენლებიც სასულიერო და კულტურულ ასპარეზზე იღვწოდნენ. მათი ბუდე სოფელ წინარეხში იყო (ახლა კასპის რაიონშია, კავთურას ხეობაში). წინარეხს წემოთ მათ ჰქონდათ რეზიდენცია სასახლით, კოშკებითა და ძველი ეკლესიით. ეს შენობები დღესაც მაღალაძეთა ეკლესიისა და მაღალაძეთა კოშკების სახელითაა ცნობილი. ეტყობა, XV ს-დან დაწინაურებულან, განსაკუთრებულ სიძლიერესა და კეთილმდგომარეობას XVII ს-ში მიაღწიეს. ამ საუკუნის მეორე ნახევარში გვარის მეთაური ანიკოლოზ ქადაგის მამა პაპუა მაღალაძე, „დიდისა და კაცთა მობაძვისა კათოლიკე ეკლესიისა სვეტიცხოვლისა სახლთუხუცესი“. მისი ანდერძის თანახმად იგი ქართლის მეფეებთან და კათალიკოსებთან დაახლოებული პირი ყოფილა. ბევრი მამული შეუძენია, ბევრი უშენებია, დიდად გარჯილა თავისი საგვარეულოს ნივთიერი და საზოგადოებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად“.

თანამედროვე მკითხველს მაღალაძეების საგვარეულოს, როლისა და ღვაწლის შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აქვე გამოვაქვეყნოთ პაპუა მაღალაძის ანდერძის ტექსტი უცვლელად, რომელიც 1936 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის IX ბ ტომში იყო გამოქვეყნებული გიორგი ბოჭორძის მიერ 51-დან 58- გვერდამდე. აი ეს ტექსტიც. გ. ბოჭორძე (ტფილისი)

ანდერძი პაპუა მაღალაძისა 1681 წლისა

„1928 წელს პოეტმა გიორგი ლეონიძემ გადმომცა რამდენიმე ძველი საბუთი, ჩამოტანილი ოღლა ხიმშიაშვილის მიერ სოფ. წითელქალაქის (ყოფ. ახალქალაქის) მცხოვრებ ჯაქარია ნიკოლოზის ძე მაღალაშვილის სახლიდან. ეს საბუთი მე მოვათავსე საქ. ცენტრარქივის ძველ საბუთთა სექციაში, ნადაც ვმსახურობდი იმჟამად. მათში განსაკუთრებული მნიშვნელობისა აღმოჩნდა ერთი, სახელდობრ ანდერძი მიცემული სვეტიცხოვლის სახლთუხუცესის პაპუა მაღალაძის მიერ თავის შვილებისადმი.“

აღნიშნული ძეგლის შესახებ მე წავიკითხე მოხსენება საქ. საისტორიო ხაზ-ბის 1929 წ. აპრილის 20-ს გამართულ საჯარო სხდომაზე.

ანდერძი წარმოადგენს „შავხელად დაწერილი“ დედნიდან, ანუ შავიდან, „კახელად დაწერილი“ პირს, რომელსაც რამდენიმე (ოციოდე) სიტყვა ასონაკლული გამოჰყოლია; იგი გრაგნილია, დაზიანებული თავში; ზომით არის 2,1×16 სმ; დაწერილია მოთეთრო ქაღალდის ხუთ ერთმანეთზე გადაბმულ კეფზე ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით, შავი მელნით, ხოლო ადვილადგილ (ზოგიერთი სიტყვა) სინგურით (წითურით); განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი, თარიღად უზის 1681 წელი, აღრიცხულია 226 ფონდის 5038 №-ით.

ანდერძი დაწერილია პაპუა მაღალაძის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. მას ბოლოში აქვს მინაწერი პაპუას გარდაცვალების (1681 წლ. ივნისის I-ლის) ახლო დღეებისა.

ანდერძი წარმოადგენს პაპუას თავგადასავალს, მისი მუშაობა-მოღვაწეობის აღწერას. მას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი შეიცავს ძვირფას მასალას საქართველოს მეურნეობისა და მოსახლეობის ისტორიისათვის; მასში ნათლად გამოსახულია სვეტიცხოვლის მდგომარეობა, ანუ უკეთ — მისი ერთი მხარე, 1640—1680 წლების პერიოდისა. თავის შინაარსით ის მოგვაგონებს: მელიქისედეგ კათალიკოსის სიგელს 1020 წლისა და ნიკორწმინდის სიგელს მე-XI ს.-სას.

ანდერძის მიმცემი პაპუა მაღალაძე ცნობილი პირია, იგი გვხვდება მრავალ სიგელ-გუჯარსა და სხვა საბუთში, მაგალითად: საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყ. №№ 1613 Ad, 1667 Ad; საქართველოს ცენტრარქ. ფ. 226, №№ 2239, 5062 და სხვა. ის მოხსენებულია აგრეთვე სოფელ წინარეხის ზემოთ მდგომ ე. წ. „მაღალანთ“ ძეგლების წარწერებში, სახელდობრ: ბეთლემის ღვთისმშობლის ეკლესიის აღმოს. კედლის წარწერაში (სარკმლის მარჯვნივ) ვკითხულობთ: „დამბადებელი შეიწყალო ნიკოლოზ მაღალაძეს დედა ელენე და მამა პაპუა ქს ს ტნის“ (1679 წ.) გარდა ამისა იგი მთელი თავისი ოჯახით დახატული ყოფილა იქვე ეკლესიასთან მდგომ სამრეკლო კოშკში. ანდერძის მინაწერში ვკითხულობთ: „გავედ ამ უხანოს სოფლისაგან... და დაიდგა გვამი ჩემი ბეთლემის მღთის მშობელთან სამრეკლო არის და მე შევმზადე საყდრად წმიდისა ნიკოლოზ მღვდელთ მოძღვრისა და იმას ზედათ ქორედათ კოზმა დამიანესა“-ო. ეს სამრეკლო დგას ეკლესიის ეზოზედვე, სამხრეთით, იგი კოშკის სახედ ნაგები ქვირკირის ორსართულიანი კამაროვანი შენობაა ჰხურავს კრამიტი. ქვედა სართული ოთხკამარიანია (თითო თითო მხარეს), ზედა რვაკამარიანი (ორ-ორი თითო მხარეს) ეს კამარები დღეს უმეტეს ნაწილად ამოგებულია. ქვედა სართულის კარის დას.-ით, ზედას სამხ.-თით. ქვედა სართული მართლაც სამწირველო — ეკლესიად არის გადაკეთებული. მხატვრობა არის საეკლესიო და საერო ხასიათისა; ყველა ძლიერ დაზიანებულია. საერო მხატვრობა მოთავსებულია დასავლეთ კედელზე. იგი შეიცავს პაპუასა და მისი ოჯახის წევრთა სურათებს, ეს სურათები ოთხმოცდა ათი წლის წი-

ნათ ჯერ კიდევ მთელი ყოფილა. ისინი გადმოუხატია კედლიდან გ. გაგარინს. მათ თავს ზემოთ აქვთ მხედრული წარწერები.

დღეს ამ სურათების უდიდესი ნაწილი საშინლად დაზიანებულია, ხოლო ოთხი სურათი კი, სახელდობრ: თვით პაპუას, ელენესი, ნიკოლოზისა და ხორაშანისა თითქმის სულ მოცილებულია და მოსპობილია.

ამათში ელენე, როგორც ეს ზემოთ მოყვანილი ბეთლემის ეკლესიის აღმოს. კედლის წარწერიდან ჩანს, პაპუას თანამეცხედრეა. იგი დახატულია აგრეთვე იგივე (ბეთლემის) ეკლესიის კანკელზე ბერძნული წარწერით, მაგრამ იქაც დაზიანებულია. დანარჩენები — ნიკოლოზ, რევაზ, პაატა, მამუკა, ზურაბ, ადამ, ხერაშან — შვილებია, ყველა ისინი მოხსენებული არიან ანდერძშიაც. პაპუა ამბობს: „ექვსი შვილი მყვანდა“-ო. ამ რიცხვში, ექვი არ არის, იგი გულისხმობს მხოლოდ ვაჟიშვილებს, ქალიშვილი, ხერაშან. კი სათვალავში არა ჰყავს მიღებული. მაგრამ სურათზე არის კიდევ ერთი, მე-8, პირი, სახელდობრ; ჩრდილ. მხარეს დახატული გიორგი, რომელიც მისივე მახლობელი ნათესავი უნდა იყოს. (ჩვენი აზრით იგი სიძე — ხვარაშანის შეუღლე უნდა იყოს ს. ს.) იგივე პაპუა ამბობს. 6 შვილი „ერთი ბერი“ მყვანდა და „ხუთი ერი“-ო; ბერი, როგორც ზემოთხსენებული, გაგარინის მიერ გადმოღებული, სურათიდან ჩანს, არის ნიკოლოზი, ის საეკლესიო შესამოსელშია გამოსახული, იგი ცნობილი პირია: ეს არის განმახლებელი აღნიშნული ბეთლემის ეკლესიისა (მისი სახელი, ს. ს.), იკითხება ამ ძეგლის აღმოს. კედლის ოთხ წარწერაში და მოხსენებულია აგრეთვე მრავალ სიგელ-გუჯარსა და სხვა (ისტორიულ საბუთებში ნიკოლოზ არქიმანდრიტის სახელით იხსენიება. ს. ს.).

პაპუას, ანდერძის მიხედვით უცხოვრია 56 წელიწადი. დაბადებულია 1623 წელს (1681—58=1623): გარდაიცვალა 1681 წლის ივნისის 1-ს. იგი ძლიერი და მოქმედი პიროვნება ყოფილა, მას ორმოც წელიწადზე მეტი უმსახურნია სვეტიცხოვლისათვის: მოსწრებია ოთხ ხელმწიფეს — თეიმურაზ I, როსტომს, ვახტანგ V, ანუ შაჰნავაზ I, და გიორგი XI, ანუ შაჰნავაზ II, ოთხ კათალიკოსს: ევდომოზ დიასამიძეს, ქრისტეფორე ურდუბეგაშვილს, დომენტი II ბატონიშვილს და ნიკოლოზ ამილახორიშვილს. პაპუას მრავალი სოფელი აუშენებია და მრავალი საქმე გაუკეთებია. მის აშენებულ სოფელთაგან ნაწილი დღესაც არსებობს, ნაწილი ამოვარდნილია. მაგ. სოფ. ფაშანი დღესაც არის კახეთში, არის აგრეთვე ალაიანი ქართლში, ბეშქენაშენი, აწინდელი ბეშთაშენი და სხვა. ამოვარდნილია და აღარ არსებობს ნაქულბაქევი დიღომთან და სხვა.

ვბეჭდავთ ტესტს უცვლელად; მხოლოდ თავში ვედრება გამოვტოვეთ და განკვეთილობის ნიშნის მაგიერ ყველგან სასენი ნიშანი ვიხმარეთ. სინგურით დაწერილი სიტყვები აწყობილია შვად“. წერდა 1929 წელს ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე.

„(ქ)... მე.. მაღალაძე სახლისხუცესი დიდისა და ცათა მობაძავისა კათო-
ლიკე ეკლესისა (უნდა იყოს: ეკლესიისა) სვეტისა ცხოველისა და კუართისა
საუფლოსა (უნდა იყოს: საუფლოსა) დიდისა დედაქალაქისა მცხეთისა სა-
ხელითა პაპუა — ჯერ ვაჟებ მეუფესა და მერმე მოგახსენებ თქვენ ჩემთ ძმა-
თა და შვილთა, ნათესავთა, ძმისწულთა და ძისწულთა. ვჟი კაცი ვჟიჟი,
რომ ჯერა, თისაგან, მერმე ხელმწიფეთაგან და კათალიკოზთაგან, როდეს მო-
მეცა განსაგებელად ადა გასარიგებლად მამული მცხეთისა ქართლსა და კა-
ხეთს, რანიც მამულინი და აგარაკნი მცხეთისანი არიან და იყუნენ. ღ-თნ უწ-
ყის და იმ დიდის განკითხვის დღემან, რომელსაც მოგახსენებ, პატრონო,
ძმანო, შვილო და ამხანაგო, მოყუარენო და ყმანო, მართალს მოგახსენებ;
ტყუილი მრუდის წესია, მართალს მრუდი არ მართებს. დიდი ერთგულება,
სამსახური და სიამოვნე მქონდა ჩემს დროს (უნდა იყოს: დროის) ხელმწიფეთა.
ბატონს თეიმურაზს ჰქონდა ქართლი და კახეთი მაშინ; იმისი მერმე როსტომ
მეფემ ქართველმა ბატონმა, დაიკირა ქართლი და კახეთი; მერმემ მისი, რო-
დესაც სოფელმა მისი ვალი მოსთხოვა მასუკან ბედნიერის შაჰნავაზ ხემწი-
ფისა, რომელსა ვახტანგვა ეწოდებოდა და ძესა მასთა კახთა მეფესა არჩილ,
დღეს ამ დაუდგომელმან და მუნათმან (უნდა იყოს: მუნათმან.) სოფელ-
მან მისებური ჩარხი უკუღმა გარდაქცია (უნდა იყოს: გარდააქცია) და გან-
ვიდა ამიერ მეფე შანავაზ და წარვიდა წინაშენ თვალ უხვად განმკითხველი-
სა, დაჯდა მეფედ და პატრონად ხელმწიფე. ძე მათი, მეფე გიორგი, ქართლის
პატრონად და გამგებელად მე ამ ბედნიერთა და სახელ მაღალთა და ხმაღ
ძლიერთ ხელმწიფეთაგან ჩემად უღირსად ჩემთვის პატივ წყალობა უხვად
მბოძებლნი, ღ თნ ბედნიერი და მოწყალენი ხელმწიფენი სასუფეველში
ამყოფოს და მათს ძეთ მათებრივ ურიცხვად და მტერ მოურეველად საქართ-
ველო აპყრობინოს ძეთა და ტომთა მათთა. რომელნიც კათალიკოზნი ჩემს
დროს კათალიკოზნი იყუნეს დიასამიძე პატრონი ევდემოზ, ურდუბეგასშვილი
პატრონი ქრისტიფორე და ბატონიშვილი პატრონი დომენტი დ ამილახორის-
შვილი პატრონი ნიკოლოზ — მეც მათი ნების მყოფელი და მამებელი (უნდა
იყოს მამებელი) და ისინიც ჩემნი კეთილის მყოფელნი და ყოველთ უმეტე-
სად ბატონიშვილი პატრონი კათალიკოზი (უნდა იყოს კათალიკოზი) შემდეგ
ასონაკლული სიტყვები აქაც და ქვემოდაც ჩვენ მიერ აღდგენილია საბუთის
დამწერის მართლწერით გ. ბ.) ასრე, რომე თქუენმა მზემა, მსმენელნო,
ცხრამეტს წელიწადს უმაღ მონანი ვიყუენით და იმისაგან დრამის წონა მე
არა მწყენია და ჩემგან ურიგო იმას არა მოხსენებია რა; ძმისა და შვილის
ალაგს მხედველი თვალი ჰქონდა ჩემზედა და ტკბილი გული, ექვისი შვილი
მყუნდა, ასრე იმან კეთილად სახსენებელმან დაზარდნა, როგორც თავისი
ტომნი და ნთესენი (უნდა იყოს: ნათესაენი) ერთი ბერი და ხუთი ერი, ბერი
საბეროს სწავლით გასწვლა, (უნდა იყოს გასწავლა) როგორც თვითონ ეკად-
რებოდა და ერნი საღვთოთა და საეროთა. მე არა თვის (უნდა იყოს: თავის)

ქებით მოგახსენებ, ჩემო პატრონო და ნათესავო, და არც დაყუედრებიოთა, მაგრამ რომ არმოგახსენო, ჩემი ენა კი დადუმდა და, თუ ამ წიგნმა არ მოგახსენოთ ჩემი ჰირნახული და სახელი, ვინლა მოგახსენებთ, ან ბატონსა, ან შეილთა, ან ნათესეთა (უნდა იყოს: ნათესავთა) და ან მოყუარეთა. ახლა ჩემს ჰირნახულს მოგახსენებ: ავაშენე კახეთის შილდის ბოლოს, სოფელი ფაშანი და დავასახლე თორმეტი კომლი კაცი: წისქვილითა და წყლითა კიდევ ბატონიშვილმა კათალიკოზმა თავის ძმისწულს, მეფეს არჩილს, შაბადინი სთხოვა და მოართვა, წაველ; დიდი ჰირი და პატივი (უნდა იყოს პატივი, იგივე პატივი — უპატიურად და შეჭირვებით პყრობა (საბა) გარდავიკიდე: დიდროვანი რუები გავიყვანე, წისქვილი ავაბრუნვე, მრავალი თათარი და სომეხი დავასახლე (პაპუა ინტერნაციონალისტი ყოფილა ს. ს.) ასრე გავკე, სიყუდილს ცოტას მოურჩი. ავაშენე მაშვერზედ (უნდა იყოს: მაშვერაზედ) სოფელი ველკეთილი. ავაშენე ქციაზედ თავმგვრალა. ავაშენე დიომს აქეთ სოფელი ნაქულბაქევი, რომე ქვა ქვაზედ არ დებულა, ღ' თნ უწყის. ავაშენე გორის პირს აშენდა. ავაშენე ფრცის პირს ბერძენაული. ავაშენე თრიალეთის სოფელი ბეშქენშენი. ავაშენე თრიალეთის სოფელი პიტები. ავაშენე თრიალეთის სოფელი კლონეთი წყლითა და წისქვილითა. ავაშენე ორი კარგი მარანი ძეგვსა. ავაშენე ერთი კარგი მარანი წეროვანს, აღიანში (უნდა იყოს აღიანში) და ციხედიდს და ატენს საწნახლეები, რომ მისთანა ქართლში არავის აქვს ამებში არც ეთს (უნდა იყოს: ამებში არც ერთს) ალაგს ქვა ქვაზედ არ ყოფილა, არც ხე, არც ხილი, ბატონი კათალიკოზი (უნდა იყოს კათალიკოზის) ბრძანების მეტი არა გამიჩრია რა. ამდენი ჰირნახული მისის მინდომითა და ჩემის საქმითა და გარჯითა მიქნია და ჰირი და სამსახური დაგვიდებია სეგტს ცხოველზედა. ვინც ბატონი კათალიკოზი დასხდენ, რაც ამ დროს ან ბატონმა კათალიკოზმან და ან ჩვენა შენობა და ჰირნახული ექენით, ნამეტანს ნუ მოინდომებთ, ამოდონიც კმარს. ავაშენე კავთის ხევს, წყალზედ, სოფელი შუბანი წყლითა, წისქვილითა, ავაშენე წყლუთი, დავასახლე სამი კომლი კაცი; სრული ტყე გავკაფე თეთრითა და ფასითა და ისრე სარჩო გაუყენე. ავაბრუნვე კავთის-ხევს, წყალზედ, წისქვილი ხუთი, დავასახლე კუამლი კაცი სამი. ავაბრუნვე ჩოჩეთს წისქვილი ოთხი და დავასახლე კუამლი ხუთი. ვიყიდე და დავასახლე ნიაბთ კომლი კაცი შვიდი. ვიყიდე მოურავის ყმისაგან ნიაბს მიწა და ასეთი ზვარი ავაშენე, რომ ჩემობას ხუთასი კოკა გამოვიდოდა. ავაშენე ერთი სხვა დიდი კარგი ზვარი, რომ ჩემს ამხანაგს უკეთესა (უკანასკნელი ორი სიტყვა უნდა ეწეროს: ამხანაგს უკეთესი) არა ჰქონდა. ძმა გამეყარა გედევან ღა ის იმას დავანებე ძმობის სიყვარულითა: ძმა სჯობდა მამულსა. გაუყავ და მივეც ჩემ ძმებსა ბეჟანსა და გედევანს — ჩემი ნასყიდი და დასახლებული თექვსმეტი კომლი კაცი. ავაშენე ნიაბს, საყდარს დაბლა, კარგი ვენხი, (უნდა იყოს: ვენახი) რომ სამასის კოკის ადგილი ჰქონოდა. დავასახლე ზერტს სამი კომლი კაცი. ავაშენე იქვე ერთი წისქვილი. ვიყიდე კავთის-ხევს ორი საკომლო ფარდაბტი (ფარდაბტი, იგივე პარტახ-

ტი — ამოვარდნილი ადგილი ვენხი (უნდა იყოს: ვენახი) და ასრე გავაკეთე, ახალშენსა სჯობდა. ვიყიდე კიდევ კავთის-ხევის ორი ზოდებუნი—ერთი თელას-თანა ქვლივიძისგან და ერთი ღვარისაში შიხიდარიშვილისაგან. ვიყიდე კიდევ ნიაბთ... ორი დიდი და კარგი მიწა: კიდევ უწინ ნიაბური გასყიდული, ვიყიდე კიდევ სიონის ბოლოს ლიბუაშვილისაგან ერთი კარგი მიწა, ვიყიდე კიდევ ჩოჩეთის ბოლოს ქიყუაპიაშვილისაგან ორი კარგი მიწა. წინარეხს, სადაც ვსახლობვარ ჩემნი ძმანი და შვილნი, სრულ თეთრით ვიყიდე სასახლე და გარშემო, ზოგი კი აუტო მოურავისაგან და ზოგი მოურავის ყმისაგან, პირველადაც ჩემი იყო დაკარგული და მეორეთ ვიყიდე. ვიყიდე ციხედიდს მიწა და ავაშენე ვენახი. ვიყიდე არმაზის ბოლოს საფიჩხულე და მიწა. ვიყიდე დიდომს ვენხი (უნდა იყოს: ვენახი) და საწისქვილო. მცხეთას ალაგი მქონდა, მაგრამ უშენო იყო; ავაშენე კარგი დარბაზი, მარანი და სხვა სახლები, ეზო და ბოსტანი ვიყიდე აღიანში (უნდა იყოს აღიანში), ერთი კარგი ვენხი (უნდა იყოს ვენახი) ციცი (საგულისხმებელია: ციციშვილი) ნასყიდათ ერთი ხუცესი მომცა, ჭაქანძე, დავასახლე ნასყიდზედა საგარეჯოს თვალსა (საგარეჯოს ყოფ. მცხოვრების ლევან მამისაშვილის სიტყვით დღეს სიტყვა, „თვალ“ ადგილობრივ აღარ შენახულა, მაგრამ არის სიტყვები, სადაც მისი ნაშთი მოსჩანს სახელდობრ: თვალთავი — ადგილია, სადაც 10—15 კომლი მოსახლე ცხოვრობს, და თვალთხევი — საგარეჯოს მთავარი ხეია. (ბატონიშვილმა ბატონმა ლევან დამაყენა სასაფლოსთვის (უკანასკნელი ორი სიტყვა უნდა ეწეროს: სასაფლაოს თავის) სარქარდ მცხეთას, და აუშენე და ჰირიცი ვენახე, და მიბოძა სომხითს (უნდა იყოს სომხეთს) ზატისოფლის მოურაობა საბოლოოდ (უკანასკნელი ორი სიტყვა უნდა ეწეროს მოურაობა საბოლოოდ) და სამკუიდროთ. ვიშოვნე ციხედიდი სამოუროთ (უნდა იყოს სამოურაოდ) და სამი კომლი კაცი ყმადა: იქვე ბეთუთშვილი და გელხაურები, მიბოძა დედოფალმა ერთი იმერელი გლეხი ზახუტა და დავასახლე მცხეთას. ავაშენე წინარეხს ორგან სასახლე ასეთი, რომე უკეთესი ჩემს ტოლს კაცს არავისა ჰქონდა ქვევრითა, მარნითა, ბალ-ბოსტნითა, შესავლითა და გამოსავლითა. ერთი სასახლე, ძმა გამეყარა ბეჟან, იმას დავანებე და ჩემთვის კიდევ ცარიელი ალაგი ავაშენე. ავაშენე ქალაქს სასახლე საჯინიბოთა, მარნითა და ეზოთა. ავაშენე ნიაბთ კარგი დიდი საწნახელი, სასახლე საჯინიბო... (აქედან დაწყებული ქვემოთ 13 სიტყვის ფარგალში აზრი გაწყვეტილია, საფიქრებელია, რომ დამწერს შვიდან კახელად გადმოწერის დროს, სიტყვები უნდა გამოჩინოდეს კომენტარი ეკუთვნის გ. ბოქორიძეს (მიბოძა მეფე შაჰნავაზ საჯილდოვოთ შვიდი კაცი დამრჩა შვილი თან მიახლა თრიალეთს ნასოფლარი ახალშენი. ვიშოვნე აღიანში წყლითა და წისქვილითა (იხ. წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ მე-V-ს მიერ პაპუა მალალაძისადმი — საქ. ცენტრარქ. ფ. 226, № 2239. სხვაგან ან ცოტა მიწა, ან ვენხი, (უნდა იყოს ვენახი) ან უუნჯი — ვერცხლი და ოქრო და სპილენძი, ან კაცი და ან იარაღი, რაც მიყიდნია, და მიშოვნია, რომ ყუელი ამო-

1 პაპუა ბალ-ბოსტანს ტომონიურად მხოლოდ წინარეხში ასხენებს? ბალ-ბოსტანის ხსენება საინტერესო ფაქტია ფარმაკოგნოზის თვალსაზრისით! (ს. ს.).



პაპუა მაღალაძე და მისი მეუღლე ელენე. სურათი გადმოსღებულა მახარებლის კოშკის ფრესკიდან მხატვრობა ეკუთვნის აბოსტელოს. ფრესკის ასლი შესრულებულია გ. გ. გაგარიინის შიერ.

მეხსენებია, დიადამბავი გაგრძელდებოდა. აწე, ღთის გულისათვის, აგრძელებდი-თი ორსვე სოფელს კეთილს გიზამს, ვინც ჩემი პირნახული წაიკითხოთ და ამბავი მოიხსენოთ, შენდობა მიბრძანეთ, ჩემო ბატონო და ნათესავნო. მე ექმწიფეთა და პატრონით სიამოვნით და სამსახურით ვქენით ეს ამდონი საქმე და პირნახული, თორემ მე რა შემეძლო? თქვენც სიკეთესა და პატრონით ერთგულობასა და სამსახურს ეცადენით. მე ასე მომიხსენებია და გავსულფარ უხანოს სოფლისაგან, გამოვესალმე მზესა და მთოვარესა, სახლსა და სამყოფსა, პატრონთა, მოყუარეთა, ამხანაგთა და მოწასა, შვილსა რევაზს და ნიკოლოზს, ადამს, ხორაშუნას და ზურაბს. შვილნო, მიტირეთ და მიხმოვნებდით, მამაშვილობის მადლსა, მეც მრვალი (უნდა იყოს მრავალი) პირი და პატიჯი მიქნია თქვენთვის რჩომისათვის და სიკეთისათვის. მეფობასა გიორგისასა მეხუთესა.¹ ქკ-სა ტნით; ადამს აქეთ შვილიათასათხმოდაცხრასა. (აქედან იწყება მინაწერი რომელიც დაწერილია სხვა ხელით გ. ბ.) გავედ ამ უხანოს სოფლისაგან და მივალ წინაშენ მეუფისა ქრონიკონსა ტნით, ივნისის ერთსა. და დაიდვა გვამი ჩემი ბეთლემის ღმთის მშობელთა, რომ სამრეკლო არის, და მე შევემზადე საყდრად წმინდისა ნიკოლოზ მღვდელთ მოძღვრისა და იმას ზედათ ქორედათ კოზმა დამიანესა. და ჩემთან წევს საყუარელი ძე ჩემი მამუჯა; ახლა რომ ქება მოვახსენოთ, ჩვენგან რაღა მოგეხსენებათ, თორემ დიდებულთაგანაც დიდათ სანატრელი (სიტყვის მე-6 ასოს შემდეგ ადგილი გათხუნულია მელნით) შვილი იყოს, და ჩემს უწინარეს ოთხის წლით მიმეფარა თვალთაგან ჩემთა და მე პატიოსნის ცოლისა, და შვილების სიკვდილმა ასეთ სენს შემყარა სევდამან, რომ ვეღარ გადაერჩი და მეც მათთან მივედ განსვენებად. უწინ პატა (უნდა იყოს პატა) დამეხრჩო წყალში. ფციის ბოლოს ფრონე შე ბანობდენ (უკანასკნელი ორი სიტყვა უნდა ეწეროს: ფრონეში ბანობდენ) ყმაწვილები, და იმან დამიკოდა გული. მერმე დედა იმისი დაამეკარგა ამ სოფლიდან და იმან მამშალა. მერმე მამუჯა მომიკლა ღალატით ავმა კაცმა და სევდამ ცხოვრება დამალევინა და განმიყუანა ამიერ. კაი ძმები დამეხოცენ, ბეჟან და გედევან. უთუოდ სევდა ზარბაზნისაგან უფრო ძალიან ეცემის, თქვენმა მზემან, კაცსა და დაუფანტავს გონსა და სიბრძნესა და მოშლის კეთილისა და დიდებისაგან; მე ამათმა სევდამ მომკლა, თორემ სიბერე შორს იყო ჯერ ჩემგან; ორმოცდა თერამეტის წლისამ დაუტევე ეს უხანო სოფელი. წერილი ბრძანებს: „სენნი მეფეთაცა დამდაბლებელ ექმნებთან“; მეფეთა არა, გლახკათაცა სასიკვდინე ყოფს; ეგრეთ ჩემზედა მოიწია სევდა სენტა მიერ და მოვაკლდი უფალთა ძმათა, შვილთა, მოყასთა (უნდა იყოს მოყუასთა) და ყმათა. ვინც შენდობით მომიხსენოთ, ღთს მკდარი (უნდა იყოს მკვდარი) გიცხოვროს და ცოცხალი გიმზეგრძელოს“. აქ მთავრდება პაპუა მალალაძის ანდერძი.

„მცხეთის ქადაგის თანამდებობა მალალაძეებს ადრევეც საგვარეულოდ ჰქონდათ, ახლა მათ გვარს ეკუთვნის აგრეთვე კათალიკოსთა სახლთუხუცესობა, ღვენთვის ის უფრო საინტერესოა, რომ ამავე გვარში მემკვიდრეობით

ხელობად იქცა მდივან-მწიგნობრობაც. თვალსაჩინო პიროვნება იყო პაპუას ვაჟი ბერი ნიკოლოზი, სვეტიცხოვლის ქადაგი, დომენტი კათალიკოსის მიერ აღზრდილი, კაცი დიდად ენერგიული, თავისი მამის მსგავსად მაშენებელი და შემკეთებელი კოშკებისა და ეკლესიებისა, ხელნაწერთა მომკვებელი და შემწირველი და თვითონაც კალიგრაფი (მისი გადაწერილია სასულიერო ისწულებათა კრებული, ხელნაწ. ინსტ. ფ. A. 904). მისი სახელი გვხვდება XVII საუკუნის მიწურულის საბუთებში, ხატებზე, მის მიერ შეკეთებული მაღალანთ ეკლესიის კედელზე (ნიკოლოზ კალიგრაფის შესახებ ჩვენ ცალკე გამოკვლევებში გვექნება ლაპარაკი. ს. ს.) „ნიკოლოზის ძმა იყო ადამ მაღალაძე, რომელიც „საკათალიკოზო კარის მდივანად ჩანს 1667—1693 წლებში“ (ა. ბაქრაძე).

„ნიკოლოზის ბიძაშვილი (პაპუას შვილის რევაზის ძე სოლომონი, რომელიც XVII—XVIII სს-თა მიჯნაზე ცხოვრობდა, უკვე 1702 წელს კათალიკოსის მდივან-მწიგნობარ — მაგლობელი იყო, წერდა საბუთებს, იმავე დროს ცნობილი კალიგრაფი განლავთ (ხელნაწ. ინსტ. ფონდი S—286, ბესარიონ ორბელიანის გრდემლი, ლამაზი მხედრულით დაწერილი, S—3683, ვახტანგის სამართლის წიგნების ერთ-ერთი უძველესი ნუსხა — ასეთივე მხედრულით ნაწერი, და სხვა.) მონაწილეობდა ვახტანგ VI სტამბის საქმიანობაში (ფიქრობენ, რომ მან დაამზადა სასტამბო მხედრული შრიფტისათვის ხელნაწერი ნიმუში). სოლომონის აშენებულია 1716 წ. მაღალანთ ეკლესიის სამრეკლო. 1736 წ. იგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

ამავე ხანებში მონაწილეობდა დომენტი კათალიკოსის მდივან-მწიგნობარი ზურაბ მაღალაძე, უფრო მოგვიანებით, XVIII საუკუნეშივე მეორე ნიკოლოზ მაღალაძე, ანტონ კათალიკოსის კარის პროტოპაპ-მდივან-ქადაგი: 50-60-იან წლებში ეკვდებოდა მისი ნაწერი საბუთები, 1761 წ. „სამეფოსა ქალაქსა პეტერბურხს“ მას გადაუწერია კრებული სამეცნიერო (სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი; სიტყვისგება სოკრატისი) ხელნაწ. ინსტ. ფონდი H 1053 (მხედრული წარწერა) XIX ს-ის მიჯნაზე გვხვდება იოსებ მაღალაძე — მდივან-მორდალი (მორდალი — ბეკდის მცველს — მატარებელს ნიშნავს). მაღალაძეთა მიერ გადაწერილი საბუთები ბევრგანაა გამოქვეყნებული, მაგ.:

I ე. თაყაიშვილის საქართველოს სიძველეები, ტ. I, II, III, ს. კაცაბაძის ისტორიული საბუთები, თ. ჟორდანიას „ქრონიკები“.

2. ხელნაწ. ინსტ. აღწ.—I, 1960, გვ. 310, სსმ ხელ. აღწ.—III, გვ. 51—52.

1. ქ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 112—114.

2. ლ. მენაბდე, ძვ. ქართ. მწერლ. კერები, I, გვ. 201—202.

3. ა. ბაქრაძე XVI—XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი, პალეოგრაფიული ძიებანი I, თბ. 1965, გვ. 7—32 (ამ ნარკვევში მკითხველი იპოვის დაწვრილებით ცნობებს, როგორც მაღალაძეთა გვარის შესახებ, ისე მდივან-მწიგნობართა სხვა „დინასტიებზედაც“) კომენტარს უკეთებს აკად. ვ. ბერიძე, ა. ბაქრაძის ნაშ-

რომს. მახარებელი — კალიგრაფი — ცხოვრობდა XVII ს-ში. (თ. უორდანიას „ქრონიკების“ II ტომის მიხედვით პირველი მახარებელი XIV—XV საუკუნეების მოღვაწეა, ხოლო მეორე მახარებელი მაღალაძე XV ს-ის II ნახევარში მოღვაწეობდა, თუ, მახარებელი XVII საუკუნეში მოღვაწეობდა, ალბათ იგი სხვა მახარებელია, და თუ ნამდვილად მაღალაძეა, ეს დამატებითი კვლევა-ძიებით პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზით უნდა იქნეს დადასტურებული და დამტკიცებული (ყოველ შემთხვევაში აქ აუცილებელია მისი ხელნაწერების პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზი. ს. ს.) მისი სახელი შემოგვინახა გიორგი წულუკიძის გადახერილმა წიგნმა — ესაა მარხვანი, ხელნაწ. ინსტ. 1476. (28,8, 20,4 სმ, 246 ფურცელი, ქალაქი). ნაწერი ნუსხურია, ორ სვეტად, შავი მელნით; თავიდან ბოლომდე ერთი ხელით არაა შესრულებული, ძაგრამ მსგავსი კი არის, იაე, რომ, შესაძლებელია მაინც, ერთი ოსტატის ნაწრომი იყოს. ასოები სრულიად შეეულია. დაგრძელებათა და ყოველგვარ გაკვრა-გამოკვრათა გარეშე, წვერილი და ძალიან ლამაზი (ზოგი ნაწილი მაინც), უსამკაულოდ. ბოლო ფურცლის ანდერაში შემდეგია ნათქვამი: „...შეიწყალე და ღირს ყავე ნაწილთა შენთასაი წულუკიძე გიორგი რომლისა ბრძანებითა და გულმოდგინებითა დაიწერა წმიდაი და სულთა განმანათლებელი სული და ყოველთურთ უნაკლო მარხვა-ზატკი...“ შემდეგ, ორ სტრიქონად:

„საბრალო, ცოდვილისა მახარებლისა ნაწერი ჰვიან, ხოლო ხორცი და ხელნი საფლავსა შინა ლებთან“. (ეს მახარებელი თუ გვარად მაღალაძეა, პალეოგრაფიულად ჭერჭერობით გარკვეული არ არის, ს. ს.).

„ეს ფორმულა მცირე ვარიანტებით, განაგრძობს აკად. ვახტანგ ბერიძე, საუკუნეთა მანძილზე გვხვდება ხელნაწერებში“.

ასეთი წარწერა გვხვდება კარაბაღის 176 V გვერდზე, არა დედნის. ხელით საფიქრებელია, რომ იგი XVII საუკუნეში კალიგრაფ არსენის მიერ იყო მიწერილი... „ხოლო ხელი მწერლისა ამის მიწისა შინა ლებების და ნაწერი მისი ჰიგიეს უკუნისამდე ამინ“. H 1053-ს წიგნს აქვს ერთი მინაწერი (ფურც. 12). რომელიც სხვა ხელნაწერთა ზოგ მინაწერთან ერთად, მოწმობს, თუ როგორი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ ჩვენი ძველი ოსტატები — კალიგრაფები თავის საქმეს. ამ ფურცლებზე ნაწერი ცოტა გათხუპნულია და ქალაქს თითის ანაბეჭდი აჩნია. მახარებელს იქვე, ქვემოთ არშიაზე მაუწერია: „ქარში გამოვედი, წიგნი შემეშალეს, მე ნურავინ დამწყევვ, ვინც ეს წიგნი შეშალა, ის დასწყევლეთ“.

სსმ. ხელნ... აღწ... — V, 1955, გვ. 17—18¹.

ჩვენ მიერ ციტირებული ამ ფრაზებიდან კარგად ჩანს, რომ მაღალაძეები იგივე მაღალაშვილები, კარგად დაწინაურებული ფეოდალური გვარი ყოფილა და ამ გვარის მესვეურები საქართველოს ქრისტიანული სარწმუნოების სათაო დაწესებულებების ეკლესიაში — სვეტიცხოველში საკმაოდ გავლენიანი

¹ ე. ბერიძე „ძველი ქართველი ოსტატები“ საბჭოთა საქართველო თბ. 1967, გვ. 150—51—52—53.

პირები იყვნენ. რა თქმა უნდა, ამ საგვარეულოსათვის მნიშვნელოვანი ტრადიცია, იყო ზოგადად მწიგნობრობა და კონკრეტულად წერა-კითხვის ცოდნის ტრადიცია, უპირველეს ყოვლისა, ხელნაწერების შექმნა და სხვა საშვილიშვილო საქმეების მოთავეობა. მათ შორის „სენთა კურნება“ და სამედიცინო წიგნების შექმნა „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ მაგალითზე. ასევე, პირველ ქართულ სტამბაში სოლომონ მაღალაძის მოღვაწეობა შემთხვევითი არ ყოფილა. ეს ფაქტი მაღალაძეების ტრადიციების ქრონოლოგიურ-პერმანენტული გაგრძელება ყოფილა XVIII საუკუნის დასაწყისში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩვენ მერ აღმოჩენილი თახჩებიანი ნაგებობა გვარწმუნებს, რომ მაღალაძეთა კოშკების შემოგარენში ავადმყოფთა სამკურნალოდ წამლების მომზადებისათვის ფეოდალური აფთიაქი — წამლის სასახლე ჰქონდათ XII საუკუნის მიწურულიდან ივანიძეებს და XIV საუკუნის დასასრულიდან მაღალაძეებს, რაც საეკლესიო სამკურნალო ტრადიციებზე — ანუ „სენთა კურნებაზე“ მეტყველებს. ასევე „ქართული სამართლის ძეგლების“¹ III ტომის ფურცლებზე (218-ე გვ.). მაღალაძეების სიკელ-გუჯარში ნახსენები სიტყვა „წალკოტი“ გვაფიქრებინებს, რომ მაღალაძეები, მდინარე კავთურას ხეობაში სამკურნალო მცენარეების მოშენებას აწარმოებდნენ, რაც შესაძლებელია მემკვიდრეობით ივანიძეების ოჯახიდან გადმოეცათ. როგორც ირკვევა, სუბალპური და ალპური მცენარეების მოშენებისათვის აქ ხელსაყრელი პირობები იყო.

ახალგამოვლინილი მასალები მახარებელ მაღალაძის შესახებ

„სამკურნალო წიგნის (კარაბადინის)“ ხელნაწერს (ფონდი Q № 877) აღ. ხანანაშვილი XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებდა, ილ. აბულაძემ და კ. გრიგოლიამ იგი XV საუკუნისეულად მიიჩნიეს. მართალია, ხელნაწერის არც ერთ ფურცელს ჰვირნიშანი არა აქვს, მაგრამ ტექსტის პალეოგრაფიული თვალსაზრისის შესწავლითა და ზოგიერთი დამატებითი ცნობის გამოყენებით ილ. აბულაძემ და კ. გრიგოლიამ სასებით სწორი დასკვნა შემომუშავეს.

ხელნაწერის ქალაქის შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ თითქოს იგი ს.მ.იულო წარმოების იყოს. „სამკურნალო წიგნის (კარაბადინის)“ შესავალში კ. გრიგოლია წერდა: „წიგნი მოსქო თეთრ ქალაღღზეა დაწერილი. დიდად საყურადღებოა, რომ ხელნაწერის მთელ სიგრძეზე ჰვირნიშანი არსად არ ჩანს. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ ქალაღღი ევროპული არ არის. შესაძლებელია, ის ადგილობრივ, საქართველოშიაც იყოს დამზადებული“².

¹ „ქართული სამართლის ძეგლები“, III ტომი, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები. თბ. „მეცნიერება“, 1970 წ. წყულობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მაღალაძისადმი“, 1470 წ. გვ. 213.

² И. Б. Курчишвили, К. С. Салуквадзе. Новые материалы о Махаребели Магаладзе, как соавторе медицинского манускрипта XV в., «Лечебная книга — Карабадини». Материалы II съезда фармацевтов Азербайджана, Баку 24—25 ноября 1983 г.

³ ზაზა ფანასკერტელი. სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), თბ., 1950, გვ. 8.

საქართველოში ქალაქის საამქროს არსებობას (XV საუკუნეში) ზოგი მეცნიერი არ ეთანხმება, რადგან ეს ისტორიული წყაროებით არ დასტურდება.


რ. პატარიძის გამოკვლევის — „ქალაქის გადამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში“² 49-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ამ საკითხის გაყოფა კ. გრიგოლია „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევის“ შესავალში ამბობს: „ძველ საქართველოში საკუთარი ქალაქი ჰქონიათ. საამისო წარმოება აქ დიდად განვითარებული ყოფილა. თავისი ძირითადი თვისებებით (სისქე, სიმკვრივე, სითეთრე და სხვა). ქართული ქალაქი არც ერთი სხვა ქვეყნის საუკეთესო ქალაქს არ ჩამოუვარდებოდა“. და იწვევს: „რა საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას კ. გრიგოლია, არ ვიცი“.

გამორიცხული არ არის, რომ, ისეთი უძველესი კულტურის ქვეყანას. როგორც საქართველოა, სადაც ოდითგანვე მაღალ დონეზე იყო დამწერლობა და ხელნაწერების შექმნის ტრადიციები. ასევე ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლიონების დამუშავება. ჰქონოდა ქალაქის საკუთარი წარმოებაც. მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა არსად ჩანს.

ასე რომ. სამეცნიერო ლტერატურაში, მართალია. გვხვდება მსჯელობა ძველ საქართველოში (XV ს.) ქალაქის წარმოებაზე, მაგრამ ეს ჯერ დამტკიცებული არ არის. კარაბაძის 684 ფურცლიდან არც ერთს რომ არა აქვს გერნიშანი, ეს, მართლაც, სავალალოა — ძნელდება ხელნაწერის ზუსტად დათარიღება. ჩვენ შეგნიშნეთ მხოლოდ ერთი გერნიშანი — სამი ნახევარმთვარე — იმ ჩამატებულ ფურცლებზე რომელზედაც ვახტანგ მეექვსის ხელით დაწერილი ანდერძია მოთავსებული 62 და 63 გვერდებს შორის (ეს ანდერძი თარიღდება 1709 წლით). რ. პატარიძემ დაგვიდასტურა: ასეთი გერნიშანი XVII საუკუნის ან, უკიდურეს შემთხვევაში, XVIII საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ქალაქისათვის არის დამახასიათებელი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა საყურადღებო გარემოებამ. ილ. აბულაძემ და კ. გრიგოლიამ გაარკვიეს, რომ მახარებელი ისტორიულად მაღალაძეებს სავგარეულოს წარმომადგენელთა საკუთარი სახელია, მაგრამ მათ არ უჩვენებიათ, თუ რამდენი მახარებელია ცნობილი მაღალაძეების სავგარეულოდან. ჩვენს გამოკვლევაში „სამკურნალო წიგნი (კარაბაძისი)“ — ხელნაწერის მომზადებაში მახარებელ მაღალაძის მონაწილეობის საკითხისათვის“, გავარკვიეთ. რომ მახარებელის მამას არ რქმევია იოვანე და XV საუკუნეში ასეთი პიროვნება მაღალაძეების სავგარეულოში საერთოდ არ ყოფილა. ალბათ, მხოლოდ უმემკვიდრეოდ გადასული ივანიძეების ადგილ-მამულის მიმღებლები იწოდებოდნენ „ივანიასძეებად“ XV საუკუნის პირველ წლებში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ 1377 წლიდან 1472 წლამდე მოღვაწეობდა ერთი და იგივე მახარებელი და თუ სხვა შემთხვევაში იხსენიებოდა სახელი მახარებელი, გვეგონა, რომ საბუთის განახლებასთან გვეკონდა საქმე. ასეთი მოსაზრება სწორი არ აღმოჩნდა. ჩვენ მიერ საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო

² „პალეოგრაფიული ძიებანი“, I, 1965, გვ. 45-46.



ზურაბ მემპარიაშვილი, „მედეა“. გამოფენილია საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის
ინსტიტუტში.

არქივში მიკვლეულმა ორმა საბუთმა ეს აზრი შეგვიცვალა (ამ საბუთების ღირსება და მნიშვნელობა ადრე ცნობილი არ იყო). მათი ზოგადი შესწავლითაც კი ცხადია და არასპეციალისტის თვალთაც კი ადვილი გასარჩევი, რომ ხელთა გვაქვს ორი სხვადასხვა მახარებლის მიერ დაწერილი საბუთები.

კარაბადინის გამოცემაზე შესავალის სახით დართულ გამოკვლევაში კ. გრივოლია წერდა: „სამწუხაროდ, მახარებელის მიერ დაწერილ საბუთთა დედნებს ჩვენამდე აღარ მოუღწევია და ამდენად მისი ხელის შედარების საშუალება არა გვაქვს.“¹ ამჟამად ვითარება შეიცვალა. საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში აღმოჩნდა ორი მეტად მნიშვნელოვანი საბუთი. რომელთაგან ერთი დათარიღებულია 1401 წლით, მეორე — 1441 წლით.


1401 წლის საბუთი არის ბაგრატ დიდის (1360-1393) ვაჟის, მეფე გიორგი VII (1393-1407) მიერ გაცემული ანდრძი, რომელიც თავიდან ბოლომდე მახარებლის ხელითაა დაწერილი (სცსს არქივის ფონდი № 1448, საბუთი 532). იგი მნიშვნელოვანი დედანია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ერთ-ერთი მახარებლის ხელწერა, უფრო მეტიც, განვასხვაოთ ორი მახარებლის ხელწერა და გავარკვიოთ ამ კალიგრაფთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლები. ეს კი საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რომელი მახარებელია ფარმაკოპეის (კარაბადინის) შექმნის თანამონაწილე (ხელნაწერის შემსწავლელნი ჩვეულებრივ ერთ კალიგრაფ მახარებელს სახელებდნენ და მას მიიჩნევდნენ კარაბადინის გადამწერად).

თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში მახარებლის შესახებ დამოწმებულია არაერთი საბუთი XIV, XV და XVI საუკუნეებისა, კალიგრაფ მახარებლის შესახებ გვხვდება XVII საუკუნეშიც. აუცილებელია იმ მახარებლის ვინაობის ვარკვევა, რომელიც კარაბადინის გვერდებზე იხსენიება შესრულებულ ხუტურ-არწერებში „მჩხრეკელისა“ და „მშრომელის“ ეპითეტებით. საკითხის შესწავლა-

დიდად დაეკუთვნება პროფ. შ. ხანთაძის მითითება, როდესაც მას სარეცენზიოდ მიუტანეთ ნაშრომი „მალაღაძეების ვინაობისა და სამოღვაწეო სარბიელზე მათი გამოჩენის თარიღისათვის“, მან შენიშნა, რომ 95 წლის მანძილზე ერთი მახარებელ მალაღაძის მოღვაწეობა საეპკოვა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ხნის მანძილზე დასაშვებია რამდენიმე მახარებლის — მამის, ძმისშვილის, ან შვილისშვილის მოღვაწეობა. ამ ვარაუდს ადასტურებს ჩვენ მიერ მიკვლეული, მახარებლის ხელით დაწერილი მეფე გიორგი მეშვიდეს 1401 წლის საბუთი. საგულისხმოა, რომ 1377 წელს „მაყაშვილთა გუჯარის“ დამწერი „კარის მწიგნობარი“ მახარებელია,² ხოლო 1391 წელს ეს მახარებელი უკვე ქადაგის თანამდებობაზე იხსენიება და მას ჰყავს შვილები: მარკოზი, ზაქარია და დავითი. მის სახელზეა გაცემული უმემკვიდრეოდ გადაშენებული ივანიძეების ადგილმემკვიდრის მემკვიდრეობაზე სიგელ-გუჯარი, რომელშიც იგი „ახალ ივანიძედ“ იხსენიება, ხოლო 1401 წელს გიორგი მეფის ალაპის წიგნი თავიდან ბოლომდე,

1 ზ. თანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), 1950, გვ. 12.

2 სამწუხაროდ, „გუჯარი მაყაშვილთა“ დედანი არ არის, პირია. ამიტომ პალეოგრაფიულ ანალიზის ჩატარება შეუძლებელია.



XIII საუკუნის დასაწყისიდან ივანიძეების და XIV საუკუნის მიწურულიდან შალაღაძეების საგვარეულო ეკლესიის ხერთო ხედი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მახარებლის ხელით არის დაწერილი. სავარაუდოა, რომ ერთსა და იმავე მახარებელ მაღალაძესთან გვაქვს საქმე, ვინაიდან 1391 წელს მახარებელი იხსენიება ქადაგის ზედწოდებით და იგივე გვარად მაღალაძეა („მაჲაშვილთა გუჯრის“ დედნის უქონლობის გამო ამის პალეოგრაფიული ანალიზით დადასტურება შეუძლებელია), მაგრამ ამავე თარიღით საბუთებში ფიგურირებენ: ამილიბარ, დიმიტრი და გიორგი მაღალაძეები. სამი ისტორიული საბუთის ანალიზი და განსაკუთრებით 1401 წლის საბუთის მახარებლის მიერ დაწერის ფაქტი უფლებას გვაძლევს გამოვსვინათ მოსაზრება, რომ XIV საუკუნის ბოლოს მაღალაძეების საგვარეულოდან სამოღვაწეო სარბიელზე გამოჩნდა „კარის მწიგნობარი“ და „ქადაგი“ კალიგრაფი მახარებელი (პირობითად ჩვენ მას ვუწოდებთ მახარებელ პირველს).

1401 წლის საბუთი შევედარეთ კარაბადინის ხელნაწერს (ფონდი Q № 877). ცხადი ვახდა, რომ მათ შორის არავითარი დამთხვევა არაა; ზოგადად შედარებამაც ნათელიყო, რომ დამოწმებული ხელნაწერი (კარაბადინი) არაა დაწერილი XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე მახარებელ მაღალაძის მიერ (ჩვენ ვარაუდი გაიზიარეს და დაგვიდასტურეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა: თ. ბრეგვაძემ, ე. გაბიძაშვილმა და მ. მამაცაშვილმა).

სულ სხვაგვარად გამოიყურება ჩვენ მიერ არქივში მიკვლეული ერთი საბუთის პალეოგრაფიული ანალიზის შედეგები. ამ მხრივ საყურადღებოა 1441 წლის თარიღით ტყაუზე მხედრულად ნაწერი მცხეთის სიგელი (საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდი 1448, საბუთი № 1976). სიგელი გაცემულია მეფეთ-მეფე ალექსანდრესა და დედოფალთ-დედოფალ თამარის მიერ. სიგელში ჩამოთვლილია მათი შვილები: ვახტანგი, დიმიტრი და გიორგი. სიგელის შინაარსი გვაუწყებს, რომ იგი ჩვეულებრივი სააღაპე საბუთია (არქივის ცნობარში იგი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „1441 წლის სითაინის წიგნი — ალექსანდრე მეფე და მანუქასძენი“). მასში ვკითხულობთ: „აწცა თარხანნი და შეუვალნი იყვენით თვინიერ ამისა, ყოველ წელიწადსა ერთსა ცალსა ღუინოსა და ოთხსა ზურგიელსა მცხეთას მოიღებდი... და მეეკუდრეთა და გლახაკსა პურს აჰმევიით“. დაწერილია ეს საბუთი: „ხელითა... კლიმი კაკლაჩას ძისათა“. სიგელს ამტკიცებს კათალიკოსი შიო ხელის მოწერილი: „ქ. ამა მეფისა ბრძანებით ჩუენ... ქ. ს. — ზი შიო კანონით ვამტკიცებ“, შემდეგ საბუთზე სხვა პირის ხელმოწერაა: „ქ. ამა მეფეთა და კ-ჴთა განჩენისა მე მათი ჭუარისმტვირთველი მახარებელი მოწამე ვარ“. საბუთს ხელს აწერს „ჭუარისმტვირთველი მახარებელი“. რა არის აქ მთავარი და საინტერესო?

საბუთი მთლიანად კლიმი კაკლაჩაძის ხელითაა დაწერილი, მაგრამ აქვეა დაცული რეასიტყვიანი წინადადება კათალიკოს შიოს ხელით დაწერილი და დამოწმებულია მისივე ფაქსიმილეთი, ხოლო შემდეგ თორმეტსიტყვიანი წინადადება დაწერილია „ჭუარისმტვირთველი მახარებლის“ ხელით. საყურადღებოა, რომ ჩვენთვის საინტერესო პიროვნება მახარებელ მაღალაძე 1441 წელს სააღაპე წიგნის გაცემის მოწამეა, მან როგორც „ჭუარისმტვირთველმა“, მეფის

ილაპი და კათალიკოს შიოს განჩინება დაამოწმა. მაშასადამე, ჩვენ ხელთ გვაქვს მხარებელ მალაღამის ფაქსიმილე და მის მიერ დაწერილი თორმეტსიტყვიანი საბუთი. ეს სალაპე წიგნი ფრიალ საინტერესოა იმითაც, რომ კათალიკოს შიოს შემდეგ „ჯუარისმტვირთველი მხარებელი“ 1441 წელს პირველი სასულიერო პირია.

როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, ამ ორი დედნიდან ერთი დათარიღებულია 1401 წლით, მეორე — 1441 წლით.

ჩვენთვის საინტერესოა პირველი საბუთი. იგი დაწერილია კალიგრაფ მხარებელ პირველის მიერ. ბოლოში ვკითხულობთ: „დაიწერა ქ. კს: პთ: ნოემბრისა კვ ხელითა მწიგნობრისა (ჩუცნისა) მხარებლისათა“. მასზე ჩანს ჰვირნიშანი — თევზის გამოსახულება ისეთი, როგორც კონსტანტინე მეფის (1479-1505) მიერ ზაზა ფანასკერტელისათვის მიცემულ სიგელზეა შენიშნული რ. პატარიძის მიერ. ამ სიგელის დედანი ხელთა გვაქვს და მისი შედარება აუცილებელია 1441 წლის მცხეთის სიგელთან (№ 1976 საბუთთან), განსაკუთრებით თორმეტსიტყვიანი წინადადების ასოების მოხაზულობასთან. შედარებისას ერთი რამ აშკარად ირკვევა. საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა მხარებელთან. 1401 წელს საბუთი დაწერილია მხარებელ პირველის მიერ და მას საერთო არაფერი აქვს არც კარაბადინთან (Q № 877) და არც 1441 წელს კლიმი კაკლაჩაძის მიერ დაწერილ საბუთთან, სადაც თორმეტი სიტყვა დაწერილია სხვა მხარებლის ხელით. ირკვევა, რომ ამ თორმეტსიტყვიანი წინადადების არც ერთ ასოს არაფერი აქვს საერთო 1401 წელს პირველი მხარებლის მიერ დაწერილ საბუთთან. მაშასადამე, ჩვენ მიერ პალეოგრაფიულად დადგინდა ორი მხარებლის (პირველისა და მეორის) არსებობა. სულ სხვაგვარად გვესახება 1441 წლით დათარიღებული საბუთის მნიშვნელობა. ეს საბუთი საქართველოს სსრ ცენტრალურ საისტორიო არქივში, როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, ასეა ფორმირებული: „1441 წლის სითარხნის წიგნი — აღექსანდრე მეფე და მკაუჭაძენი“. ჯერჯერობით მეორე მხარებლის ხელნაწერი მემკვიდრეობიდან მხოლოდ ეს ერთადერთი საბუთია ცნობილი. მას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ზემოდამოწმებული თორმეტსიტყვიანი წინადადების ასოების მოხაზულობას (ი.ქ. ამა მეფეთა და კ-ზთა განჩენილსა მე მათი ჯუარისმტვირთველი მხარებელი მოწამე ვარ“). ამ თორმეტიოდ სიტყვისა და Q № 877-ის 177 გვერდის შედარებისას აშკარად იგრძნობა ხელის მსგავსება. ი. აბულაძისა და კ. გრიგოლიას მიერ ეს გვერდი (177 r) აღიარებულია მხარებლის ნაწერად. პალეოგრაფიული ანალიზიც ამასვე გვიდასტურებს: 1441 წელს კლიმი კაკლაჩაძის ხელით დაწერილ საბუთებზე მხარებლის მიერ მიწერილ სიტყვებსა და კარაბადინის 177 r გვერდზე მხედრულად დაწერილ ასოთა პალეოგრაფიული მსგავსება უდავოა. ასე, მაგალითად, ბანისა და ზენის, ინის, ღონისა და ანის გადაბმის ტექნიკა აბსოლუტურად იდენტურია. ღონს თავზე აწერია ანი. ასეთივე მსგავსება ანისა და რაეს გადაბმისას, ხოლო სიტყვების „მოწამე“ და „მოწყალებანი“ შედარებამ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ერთსა და იმავე კალიგრაფ მხარებელთან გვაქვს საქმე. ყურადღებას იქცევს ასო წილის ხაზს ქვემოთ დაწერის მა-

ნერა და ასო ჰანის გამოხატვის იდენტურობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წერის ტექნიკა უთუოდ XV საუკუნისაა. მახარებლის მოღვაწეობაც XV საუკუნისაა. მახარებლის მოღვაწეობას XV საუკუნის 40-იან წლებში ადასტურებს სხვა საბუთიც, რომელიც თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 249-ე გვერდზეა გამოქვეყნებული. იგი იმავე კლიმი კაკლახაძის ხელით არის დაწერილი, კათალიკოსად იქაც შიო იხსენიება და, რაც მთავარია „ჩუარისმტვირთველი“ კვლავ მახარებელია. გასარკვევი რჩება მთავარი: გვაქვს თუ არა რაიმე საბუთი, რომ ეს „ჩუარისმტვირთველი“ მახარებელი გვარად მალაქაძე? საბედნიეროდ გვაქვს. მართალია, ორიგინალს ჩვენამდე აღარ მოუღწევია, მაგრამ გვაქვს 1442 წლით გაცემული საბუთის პირი, რომელიც გვამცნობს ედილაშვილების მიერ ჭარმაშულთათვის ადგილ-მამულების დამტკიცებას. იგი „დაიწერა ხელითა მალაქაძის მცხეთის ქადაგის მახარებლისათა და მოწამე არის“. მასა-სადამე, XV საუკუნის 40-იან წლებში მახარებელი II იხსენიება მალაქაძედ, მცხეთის ქადაგად და ამავე დროს „ჩუარისმტვირთველად“ არაერთ საბუთში. ჟონაც 1440-იან წლებში მოღვაწე სასულიერო პირის — მახარებელ მალაქაძის ხელწერა მსგავსია კარაბადინის (Q № 877) არაერთი გვერდის ასოთა მოხაზულობისა. „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე გარკვეულია, რომ ჭარმაშულთა ანდერძის წიგნის დაწერა და გაცემა მოხდა 1442 წელს და არა 1482 წელს, როგორც ეს ეგონათ ადრინდელ მკვლევარებს. ეს საბუთი 1442 წელს გაუციათ კათალიკოს შიოს განკარგულებით. უპირველეს ყოვლისა ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ კათალიკოსი შიო 1482 წელს ცოცხალთა შორის აღარ იყო, ვინაიდან იგი 1446 წელს გარდაიცვალა. მახარებელ პირველსა და მახარებელ მეორეს შორის განსხვავებას ადასტურებს სხვა საბუთებიც, მაგრამ „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დამოწმებული საბუთები არ გვაძლევს შესაძლებლობას. რომ ზუსტად გაირკვეს რამდენიმე მახარებლის მოღვაწეობა. იქ მხოლოდ ამ მხრივ ეპქმისატანი საბუთებია გამოქვეყნებული. ქრონოლოგიურად წარმოუდგენელია ერთი და იმავე პიროვნებისათვის ისეთ ხანგრძლივ სამოღვაწეო პერიოდში (115 წელი) 1377 წელს „მაყაშვილთა გუჯრის“ დამწერი, „ქარის მწიგნობარი“ მახარებელი და 1441-1442, 1477-1488-1492 წლებში საბუთების დამწერად მოხსენიებული მახარებელი ერთი და იგივე მახარებელ მალაქაძე იყოს. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ საბუთებში მამის სახელის ხსენება ხშირათადად გვხვდება. საკითხის გარკვევაში გვეხმარება „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომის 213-ე გვერდზე ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებული საბუთი — „წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მალაქაძისადმი“. ტექსტში დატულია ფრიად საყურადღებო ცნობა: „თქუნენ მალაქაძეთა მღვდელსა მახარებელსა და თქუნენსა შვილთა: გერმანოზს, მარკოზს, ეგნატის და დიმიტრის...“ ამ საბუთით აშკარად ჩანს, რომ საქმე ეხება მალაქაძეების საგვარეულოს მეორე წარმომადგენელს — მახარებელ მეორეს, რომელსაც ჰყავს ოთხი ვაჟიშვილი: გერმანოზი, მარკოზი, ეგნატი და დიმიტრი. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში დამოწმებულ საბუთში, რომელიც XIV საუკუნეში, კერძოდ 1391 წელს არის გამოცემული, მახარებელი იხსენიება ქადაგის ზედწოდე-

ბით, მას ჰყავს სამი ვაჟიშვილი: მარკოზი, ზაქარია და დავითი. ამ ორი საბუ-
თის შეჯერებისას ირკვევა, რომ XIV-XV საუკუნეებში მაღალაძეთა საგვარეუ-
ლოში ფიგურირებს ორი სხვადასხვა მახარებელი მ:ალაძე. პირველი მახარე-
ბელი ქადაგის თანამდებობაზეა 1391 წელს, ხოლო მეორე მახარებელი 1441-42
წლებში ქადაგია და „ჭუარისმტვირთველიც“, ხოლო 1470 წელს მახარებელი
მღვდელია. „ქრონიკების“ მეორე ტომში „1472 წლის ქვეშე“ იკითხება: „თქვენ
მაღალაშვილსა ოქროპირსა და თქვენსა შვილსა მღვდელსა მახარებელსა“. აქ
უკვე აშკარად ირკვევა, რომ მახარებელ მეორის მამის სახელია ოქროპირი. აი,
სწორედ ეს მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძე არის საინტერესო პიროვნე-
ბა მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის თვალსაზრისით, სწორედ იგია თანამო-
წაწილე კარაბადინის შედგენისა — მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძე და
არა მახარებელ „ივანიასძე“ მაღალაძე. აქვე უნდა გაირკვეს XV საუკუნის 40-იანი
წლების მახარებელი და 70-იან წლების მახარებელი ნამდვილად ერთიდაიგივე
პიროვნებაა, თუ იყო მესამე მახარებელიც? 1441 წელს კლიმი კაკლაძის ხე-
ლით დაწერილი საბუთი გვაწვდის თორმეტსიტყვიან წინადადებას, რომელიც
მახარებელ მეორის ხელით არის დაწერილი. მეორე მახარებლის ნაწერის შედა-
რება-შეჭერება კარაბადინის ხელნაწერის გვერდებთან, როგორც ზემოთ აღწერ-
ნეთ, კალიგრაფის იგივეობას ავლენს, მაგრამ თორმეტსიტყვიანი წინადადებით
ძნელია დაბეჭოთებთ იმის მტკიცება, რომ არ არსებობდა მახარებელი მესამე,
ყოველ შემთხვევაში 1441 წელს გამოცემულ საბუთზე ხელის მომწერი („შე
მათი ჭუარისმტვირთველი მახარებელი მოწამე ვარ“), მეორე მახარებელია. მა-
ხარებელ პირველს ჰყავს სამი ვაჟიშვილი: მარკოზი, ზაქარია და დავითი, ხოლო
მახარებელ მეორეს — ოთხი ვაჟიშვილი: გერმანოზი, მარკოზი, ეგნატი და დი-
მიტრი.

ამგვარად, სახეებით დასტურდება ილ. აბულაძის და კ. გრიგოლიას მოსაზ-
რება კარაბადინის ხელნაწერის შექმნაში მახარებელ მაღალაძის თანამო-
წაწილეობის შესახებ, მაგრამ გასარკვევი რჩება XV საუკუნის ბოლოს, კონს-
ტანტინე მეფის კარზე მოღვაწე მდივან-მწიგნობარი მახარებელი და კარაბადი-
ნის შედგენის თანამოწაწილე. ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი მახარებელ II
ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა?

ამის დამტკიცებასაც პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზი სჭირდება,
ვინაიდან მახარებელი რქმევია ძალიან ბევრ საგვარეულოთა წარმომადგენლებს
XV-XVI საუკუნეებში: ასე, მაგალითად. ცნობილია: მჟედლიძე მახარებელი,
წიქარიძე მახარებელი, ბოყამაძე მახარებელი, თათელი მახარებელი, ვაშაყმაძე
მახარებელი, ფურცელაძე მახარებელი. მახარაძე მახარებელი, ჩივაძე მახარე-
ბელი, ზუმბულაძე მახარებელი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მახარებელი
ერქვა ბევრ კალიგრაფს, მინც შესაძლებელი ხდება კონსტანტინე მეფის კარ-
ზე მოღვაწე მდივან-მწიგნობარ მახარებლის ხელნაწერის შედარება კარაბადინ-
თან. საქართველოს სსრ ცენტრალურ სახ. საისტორიო არქივში მივაგენით მახა-
რებლის ხელით დაწერილ საბუთს (№ 63, ფონდი 1448). ფაქტობრივად ეს
ერთადერთი საბუთია, რომელიც სამედიცინო სამყაროსათვის საინტერესო

მხარებელ ოქროპირის-ძე მალალაძის მიერ არის დაწერილი. იგი გაცემულია კონსტანტინე მეფის მიერ 1491 წელს. მას ჰქვია „ფანიაშვილების გუჯარი“. მართალია, ამ საბუთს სამედიცინო სამყაროსთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ იგი მოგვყავს მთლიანად თავიდან ბოლომდე, რადგან მას, როგორც მახარებლის ხელით დაწერილს პალეოგრაფიული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. „ფანიაშვილების გუჯარში“. ვკითხულობთ: „სახელისა: და: ღვთისათა: მეფედ მეფისა კონსტანტინესაგან: და: ძეთა: ჩუენთა: გ-გი (გიორგისა): ბაგრატიისა: და: დიმიტრისა: ბრძანებითა და შეწევნითა ღვთისათა აფხაზთა: და: ქართველთა: კახთა: რანთა: და: სომეხთა: მეფისა შანშა: და: შირვანთა ყოველისა. ჩრდილოეთისა და საქართველოსა. მტკიცედ ხელმწიფედ მპყრობელ მქონებელთასა მოვიდეს წინაშე ჩუენსა. ჩუენი დიდად ერთგულნი და ძალისაებრ მათისა დიდად ნამსახურნი ფანიასშვილნი: აღბულა და ძმანი მისნი: ნუგზარ, სეფედავლე, ჩუბინი და კახაბერი. გვიაჩნეს და მოგვახსენეს, რათამცა ერთგულობა ნამსახურთა მათთა სამუქფოდ. ჩუნცა მათთვის წყალობა გუეყო და სიგელითა ამით შეგუეწყალნეს ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და მოუბოძეთ რუის საყდრისუბანს ელიასშვილი: მისითა სასახლითა, ვენახითა, ჭურ-მარნითა, საქნავითა, ნასყიდლთა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, საფრხულითა, სახადირთა, სახმარითა და უხმარითა, საძებრითა და უძებრითა და მისითა შემდგომითა სამართლიანთა სრულად. :და: უფლებად გიბედნიეროს ღ-ნ თქვენ ფანიაშვილთა აღბულას, ნუგზარს, სეფედავლეს, ჩუბინს, და კახაბერსა, ძმათა შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთა :ჰ: რუის საყდრისუბანს ელიასშვილი მისითა მამულითა, სახელითა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, შიგნით და გარეთა ჭურ-მარნითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, სახნავითა, მინდორითა, საფრჩულთა და ნასყიდითა, სახმარითა და უხმარითა, საძებრითა და უძებრითა მისითა მზღვრითა და მომდგომითა სამართლიანითა არა შეგეცვალოს და არამ შეგეშალოს, არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან და არ სხუათა მებატრონეთაგან და პიროვან გვიბრძანებია. მშლელი და უცვლელი მტკიცედ გ-ბულისა ამის ჩუენისა მვნიერ სიმტკიცისა და თან დგ-მისგან კდუ დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქკ-ს :რ-თ: ხელითა მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა“.

აი ეს საბუთი დაწერილია მახარებელ ოქროპირის-ძე მალალაძის მიერ. ამ საბუთის შედარებამ Q № 877-თან დაგვიდასტურა, რომ კარაბადინის 1008 გვერდი მახარებელის დაწერილია.

მაშასადამე. პალეოგრაფიული ანალიზით დამტკიცდა, რომ კარაბადინის 504 ფურცელი მახარებლის დაწერილია. „ფანიაშვილების გუჯარის“ აღმოჩენით გადაწყდა, რომ მახარებელ ოქროპირის-ძე მალალაძის თანამონაწილეობით არის შედგენილი კარაბადინი. დავერჩა გამოსარკვევი, თუ ხელნაწერის 360 გვერდი რომელი კალიგრაფის მიერ არის გადაწერილი თუ დაწერილი?

პირველი ვახლავთ კარაბადინის შედგენაში ზაზა ფანასკერტელის უშუალო თანამონაწილეობის ვერსია. ხომ არ არის ეს 360 გვერდი უშუალოდ მის მიერ დაწერილი? ამის დასამტკიცებლად საჭიროა აღმოჩენილ იქნეს ზაზა ფანასკერ-

ტელის რომელიმე ხელნაწერი და კარაბადინის შესაბამის ფურცლებთან პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის შედეგად გაირკვეს მისი იდენტურობის საკითხი. იქნებ 1368 გვერდიანი კარაბადინის 360 გვ. უშუალოდ ზაზა ფანასკერტელის დაწერილია, ხოლო დანარჩენი ნაწილი, როგორც ეს უკვე გარკვეულია, დაუწერია მახარებელს, ამ საიდუმლოებას ამოხსნიდა ზაზა ფანასკერტელის ორიგინალის აღმოჩენა. სამწუხაროდ, ჩვენ ზაზას ფაქსიმილესაც კი ვერ მივაგენით ვერც ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციებში და ვერც საქართველოს სსრ ცენტრალურ საისტორიო სახ. არქივის საბუთებში. 1008 გვ-ს გადამწერი რომ მახარებელი მაღალაძეა ეს გადაწყვეტილად მიგვაჩნია, კვლავ გასარკვევია 360 გვ. გადამწერის ვინაობა, ხომ არ ეხმარებოდა მახარებელს რომელიმე უმცროსი ძმა, ან რომელიმე ვაჟიშვილი? მაღალაძეების საგვარეულოს წარმომადგენლები ტრადიციულად ხომ კალიგრაფები და მწიგნობრები იყვნენ? საჭიროა დავძებნოთ მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძის ვაჟიშვილებისა (გერმანოზის, მარკოზის, ეგნატისა და დიმიტრის) და ძმების ხელნაწერები და შევუდაროთ კარაბადინის იმ 360 გვერდს, რომელიც აშკარად არ ეკუთვნის მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძეს, სამწუხაროდ, ამ საბუთების პოვნის პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. სათანადო საბუთების უქონლობის გამო ეს პრობლემა ღიად რჩება და ამ მიმართულებით ძიება უნდა გაგრძელდეს.

ყურადღებას იქცევს ვარძიის თახჩებიანი გამოქვაბულის — წამლის სასახლისა და მაღალაძეების თახჩებიანი ნაგებობის — აფთიაქის კონსტრუქციული შესავსება. თახჩების კონსტრუქცია აბსოლუტურად იდენტურია. ცნობილია, რომ ვარძიის მიდამოებში ცხოვრობდნენ ივანიძეები და სამხრეთ საქართველოში ამ საგვარეულოს წარმომადგენლები დღესაც ცხოვრობენ მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში. ქართლში მცხოვრები ივანიძეები კი XIV საუკუნის ბოლოს უმემკვიდრედ გადაშენდნენ. როგორც ჩანს, XII-XIII და XIV საუკუნეებში სამცხისა და ქართლის ივანიძეებს გენეტიკური კავშირი ჰქონდათ, ისინი არქიტექტურულ ნაგებობებს ერთად აშენებდნენ. რასაც წამლის სასახლის — აფთიაქის კონსტრუქციული ანალოგიურობა გვაფიქრებინებს.

ჩვენი აზრით, მთავარი გახლავთ, XV საუკუნეში მაღალაძეების საგვარეულოს წარმომადგენლის, მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძის თანამეგობრობა ზაზა ციციის ძე ფანასკერტელთან და უნიკალური ფარმაკოპეის — კარაბადინის შექმნის ფაქტი (ამ ისტორიულ წერილობით წყაროში 1008 გვერდი დაწერილია მახარებლის მიერ).

შემონახული არქიტექტურული ნაგებობის — აფთიაქის და წერილობითი საბუთის — კარაბადინის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში, კავთურას ხეობაში შუა საუკუნეებში ყოფილა საქართველოს კულტურის კერა საერთოდ, და მედიცინისა განსაკუთრებით.

თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 202-203-ე გვერდებზე გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი საბუთი არაგვის ერისთავების სამოღვაწეო სარბიელზე გამოჩენის ქრონოლოგიისა და მათი ვინაობის შესახებ. ირკვევა, რომ არაგვის ერისთავების ერთი შტო გვარად შაბურისძეები ყოფილან „სული ყოველთა ერისთავთა შაბურისძეთა კურთხეულ, იყავ უკუნისამდე“ ვკითხულობთ ამ ერთ-ერთ უძველეს საბუთში, რომელიც დათარიღებულია 1398 წლით. მაშასადამე, შაბურისძეთა ხსენება გვხვდება XIV საუკუნის მიწურულში და ისინი საკმაოდ დაწინაურებულ ერისთავებად ჩანან არაგვის ხეობაში. ჩვენთვის ფრიალ საინტერესოა შაბურისძეთა ხსენება XV საუკუნის II ნახევარში, როგორც ბაგრატიონების სამეფო ტახტთან დაახლოებული ერისთავებისა. ვამეყ შაბურისძის ერთ-ერთ ვაჟიშვილს (შესაძლებელია ნუგზარ ერისთავს) მეფე გიორგი VIII ქალიშვილი ჰყოლია ცოლად, ხოლო ბაგრატიონებთან დამოყვრება-დანათესავება შაბურისძე-ერისთავთა საკმაოდ დაწინაურებაზე და ფეოდალურ პრივილეგიაზე მეტყველებს. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ეს არ არის მთავარი. ჩვენი ყურადღება მიიქცია 1465 წელს ვამეყ შაბურისძის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის და კათალიკოს მარკოზის მიმართ შეწირული მამულების წიგნის შინაარსმა, რომელიც დაწერილია „ხელითა მახარებელ ოქროპირისშვილის“ მიერ.

ვინ არის ეს კალიგრაფი „ოქროპირისშვილი მახარებელი“?

თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 285-ე, 286-ე გვერდებზე ამ საბუთში ვკითხულობთ: „...ესე წიგნი მოგახსენეთ (მცხეთას) და ქაჯს მარკოზს, ჩუენ შაბურისძეთა ერისთავმან ვამეყ და სარო და ძეთა ჩუენთა გიორგი (გ-ი), ომარ, მიქამან, ვარამ და ნუგზარ“. მაშასადამე, აქ ისიც ირკვევა, რომ ისტორიული პაროვნება. „ნუგზარ ერისთავი“ გვარად შაბურისძე ყოფილა. მცხეთისათვის მამულების შეწირვა გამოწვეული ყოფილა იმ გარემოებით, რომ: „საპატიოდ შეგვწყაულეს პატრონმან მეფეთ-მეფემან გ-გი (გიორგი) და მათი ასული ჩუენისა შვილისათვის გვიბოძეს და მოგუცეს დიდი მოსანახავი სასჯუალო და საკანონო საქმეისო“... და ამიტომ... „ყველა უფლებამ ამა წესითა, რა გუარცა სხუანი მცხეთის მამულნი თარხანნი და ხელშეუალნი არიან, მითვე წესითა არავისი ხელი შევიდეს... დაიწერა... მოქცევისა მეთოთხმეტესა ქ-ისა რნგ აბრილსა ოცდასამსა ხელითა ოქროპირისშვილისა მახარებლისათა“. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სცს არქივში აღმოჩნდა 1491 წლით დათარიღებული ფანიაშვილების გუჯარი საბუთი № 63 (დედნების ფონდი № 1448). ეს ერთადერთი დედანი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, მახარებელ ოქროპირის-ძე მალაღძის ხელითაა დაწერილი და მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის მიერაა გაცემული ქართლის ფეოდალების მიმართ, მისი კარაბადინთან შედარებისას პალეოგრაფიულად დამტკიცდა 1008 გვერდის მახარებლის ხელთან იდენტურობა. ამჟამად ფრიალ საინტერესოა პალეოგრაფიული ანალიზი ამ საბუთისა. რათა გავარკვიოთ, მეფე გიორგი VIII კარზე მოღვაწე კალიგრაფი „ოქროპირისშვილი მახა-

რებელი“ და კონსტანტინე II-ის კარზე მოღვაწე მდივან-მწიგნობარი მახარებელ ოქროპირის-ძე მალაღაძე ერთი და რეივე პიროვნება ხომ არ არის? მაგრამ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის 285-286-ე გვერდებზე გამოქვეყნებული ეს საბუთი როცა შევამოწმეთ, სამწუხაროდ იგი დედანი არ აღმოჩნდა. სცსს არქივში იგი ასლების ფონდში ინახება (ფონდი № 1449, საბუთი № 1486), ამიტომ პალეოგრაფიულ შედარებითი ანალიზის ჩატარების საშუალება არ გვაქვს. მაგრამ ამ საბუთში მაინც არის ერთი მეტად საყურადღებო დეტალი. გადამწერი აღნიშნავს, რომ ამ სიგელის დედანი „ჩინებულს ტყავზე ლამაზი ხელით მხედრულად ნაწერია“. ფანიაშვილების გუჯარის დედნის და Q ფონდის № 877-ის კაობ-ცენის 1008 გვერდის ნიჟედვით ჩვენ უკვე ვიცით, რომ მახერბელ მალაღაძეს დრად ლამაზი ხელწერა ჰქონდა, თანაც მახარებელ მალაღაძის მოღვაწეობის სავარაუდო პერიოდი ემთხვევა ვანეყ ნაზარისძის (ერისთავის) მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ადგილ-მამულების შეწირვის თარიღს. ვლანდნა კლდოიძის საბუთი, რომელიც ნახევლი მახარებელ მალაღაძე თავისთავს უწოდებს „ოქროპირისშვილს მახარებელს“ და არა „ივანიასძე“ მახარებელს, თანაც ისტორიულ საბუთებში არ ჩანს სხვა გვარის წარმომადგენელი კალიგრაფი „ოქროპირისშვილა მახარებელი“ 1465-იან წლებში (?).

ასევე იბადება კითხვა ვინ არის „ქართლის კათალიკოზი“ მარკოზი?

სამ არ არის იგი მახარებელ მალაღაძის ბიძა, ან ბიძაშვილი, ან ბაბუის ძმა? XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრებ მახარებელ I მალაღაძეს 1391 წელს მეფე ალექსანდრეს მიერ გაცემულ წყალობის წიგნის შინაარსის მიხედვით თუ ვიმჩველებთ, მას ჰყოლია შვილი მარკოზი, „თქუნ ჩენის საყრდის შვილთა ქადაგა მახარებელსა და თქვენთა შვილთა: მარკოზსა, ზაქარიასა და დავითსა“: „სამ არ არის ეს ის მარკოზი, რომელიც 1465 წელს კათალიკოსად იხსენიება? ამ პიროვნების შესახებ ჯერ-ჯერობაში ძალიან ცოტა ინსალები გვაქვს. ვანეყ ნაზარისძე ერისთავის შეწირვის წიგნის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მალაღაძეები ტრადიციულად, მემკვიდრეობით, ისტორიულად სასულიერო პირები იყვნენ და ამიტომ არ არის გამორიცხული ქართლის კათალიკოსი მარკოზი გვარად ყოფილიყო მალაღაძე და მახარებელ ოქროპირისძე მალაღაძის ახლო ნათესავი, თანაც ორივე, ბაგრატიონებთან დაახლოებული პირი. ვანეყ ნაზარისძე-ერისთავის მიერ მცხეთის შეწირვის წიგნის დამწერი — კალიგრაფი, რომ ცნობილი მდივან-მწიგნობარი მახარებელ ოქროპირისძე მალაღაძეა, ამას გვიდასტურებს 1472 წელს „დავით კათალიკოსის წყალობის წიგნი ოქროპირ მალაღაძისადმი“, რომელიც მღვდელი ივანე ლიპის ხელით არის დაწერილი და ამ საბუთში ვკითხულობთ: „...თქუნ მცხეთისავე ყმათა, მალაღაშვილსა ოქროპირსა და თქვენთა შვილთა: მღვდელსა მახარებელსა, ზოსიმესა, ალექსანდრეს, გერმანოზს, დავითს, გრიგოლს და ევანჯის“. ამით ჩვენ საბოლოოდ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ „ბრძენთმთავარი“ და „მკურნალი“ ზაზა ფანასკერტელის თანამოსაქმე, მისი დაკვეთის შემსრულებელი და მისივე სამედიცინო სკოლის წარმომადგენელი იყო მახარებელ ოქროპირის-ძე მალაღაძე და არა მახარებელი „ივანიასძე“. ამავე დროს, ჩვენ ხელს, რომ გვეკონდეს საბუთი,

კარაბადინის დედანი, ზაზას მიერ დაწერილი, დავეუშვათ XV საუკუნის II ნახევარში და მომდევნო საუკუნეში იგი გადაეწერა მახარებელს, მაშინ სადავო არაფერი იქნებოდა, მაგრამ დღემდე ცნობილი ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერის ვარიანტების ავტორთა და გადამწერ კალიგრაფთაგან განსხვავებით ზაზა ფანასკერტელი და მახარებელ II მალაქაძე თანამედროვენი არიან, ისინი ორთავენი XV ს-ის II ნახევარში მოღვაწეობდნენ, ამიტომ ხელნაწერი მათი ერთობლივი მოღვაწეობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

მის არის „იადიგარ დაუღის“ კალიგრაფი?


ძველი ქართული სამედიცინო კარაბადინებიდან ყველაზე ნათლად ავტორობის საკითხის გადაწყვეტისათვის მასალები მოგვეპოვება მეფე დავით ლუარსაბის-ძე ბაგრატიონის შესახებ. იგი მეფობდა 1569-1578 წლებში. „კუალად... გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი...“ და უკუღმართი ბედისა გამო 1579 წელს: „დავით წარვიდა წინაშე ხონთქარისა სტამბულს... და შემდგომათ ქათა რაოდენთამდე მოკვდა დაუღხან მუნ“¹... ვარაუდობენ რომ „დაუღხანი“ სტამბოლში 1583-84 წლებს შორის უნდა გარდაცვლილიყო. საფიქრებელია, რომ „იადიგარ დაუღის“ დაწერისათვის მასალები მას საქართველოშიაც შეუგროვებია, მაგრამ კარაბადინის შესავალში დავით ბატონიშვილი წერს: „და ამა ორისა თათრულისა წიგნისაგან ერთი ქართული წიგნი გადმოვთარგმანეთ, და ჩუენსა გადმოთარგმანებულსა წიგნსა ჩუენცა სახელად „იადიგარ დაუღი“ დავარქუით, ვითამცა ჩემი სახე და ჩემი მოსაგონებელი“... ან კიდევ: „აწე ვინცა ამა წიგნითა და ამა წამლებითა უაქიმოთ... კაცი მორჩეს... მე ცოდვილსა და უღირსსა დაუღხანს ნუ დაგვივიწყებთ“ — ხოლო კიდევ ერთი ციტატის მოშველიებით უფრო ნათელი ხდება ამ სამედიცინო ხელნაწერზე დავით ბაგრატიონის როლის, ღვაწლის და რაც მთავარია ავტორობის საკითხი: „აწე ესე წამლები... ამა შარბათსა სახელად შარბათ ფიქიაი დავარქვით, ამისათვის რომე ამა შარბათებითა ორმოცსა გვარსა სენსა ეწამლების... და ესე წიგნიცა თავით ბოლომდისინ მე უღირსმან დავსწერე და ეს შარბათიცა თავივე გამოვიღე... წიგნზედა სარჯელო და სახელი, ჳირი და ჳირნახულობა, ყველა კვემეორე დამიწერია... ვინცა მე შენდობა მიბრძანოთ, ღმერთმან თქუენცა შეგინდნეს თქვენი ცოდვანი... და აღნად ქნას ჩემი სასჯელი და ჳირნახული თქვენზედა“. აქ მოყვანილი ციტატებიდან ნათელია, რომ დაუღხანს ბევრი სამედიცინო წიგნი წაუეითხავს, ბევრი სპარსული თუ თურქული ლიტერატურული წყარო უთარგმნია, უწარმოებია შეჭერება და შედარება, მიუმართავს კომპილაციისათვის, ერთი სიტყვით უწარმოებია მეცნიერული კვლევა-ძიება, გულთან მიუტანია „წუხილი სხვათა წუხილისა გამო“... ავტორი წერს: „საქრისტიანოშიცა მრავალი ასეთი კაცი ვნახეთ, რომე უხელობითა და უცოდინარობითა მოკუდა და დაწიანდა... მის სენისა ჳირის წამალი... ვნახეთ და წავიკითხეთ... მერმე ჩუენც

¹ „ქართლის ცხოვრება“, VI ტომი გვ. 410—411.


შაბებდეთ და შევეცადინეთ, ამისათვის რომ თავად ესე შადლი არის, რომე კაცმან კაცი სარჯელისა და სიკუდილისგან დაიხსნას და მოარჩინოს... და ამგვარი მეცადინეობით და გატაცებით თურქეთში გადახვეწილ მეფე დავით ბაგრატიონს 1579-84 წლებში დაუწერია ეს მნიშვნელოვანი სამახსოვრო სამედიცინო კარაბადინი „იადიგარ დაუდი“. სტამბოლიდან საქართველოში დედანმა როგორ შემოაღწია დღემდე უცნობია ყველასათვის, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია ამ ხელნაწერის პირმა, რომლის ანდერჰ-მინაწერის მიხედვით ორკევეა, რომ გადაწერილია როსტომის მეფობის პერიოდში 1634-1658 წლებში, დედნის დაწერიდან დაახლოებით 60-70 წლის შემდეგ. ეს ხელნაწერი ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q ფონდი, № 270). იგი გადაწერილია ლამაზი მხედრულით, კალიგრაფი დღემდე უცნობია, ვფიქრობდით, რომ გადამწერი იქნებოდა ქრისტეფორე ამილახორი, „კაცი ღირსი საყდრისა“, რომელიც დაახლოებული პირი იყო როსტომ მეფესთან, მაგრამ პალეოგრაფიული შედარებით ანალიზის საფუძველზე ასეთი განცხადებისათვის უფლებამოსილი ჯერჯერობით ვერ ვართ. ძიება გრძელდება. ვაწარმოებთ როსტომ მეფის დროს ცნობილი ზოგიერთი კალიგრაფის ხელის შედარებას „იადიგარ დაუდის“ ფურცლების ტექსტებთან.

სულ სხვაგვარად გამოიყურება „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილების ოჯახში აღმოჩენილი ვარიანტის ხელნაწერის კალიგრაფის ამოცნობის საკითხი. საქმე შემდეგშია: „იადიგარ დაუდის“ მანამდე ცნობილი ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი შეისწავლა და 1938 წელს გამოსცა ექიმმა ლადო კოტეტიშვილმა. ეს ხელნაწერი სრულყოფილი არ არის. იგი უნდა შეიცავდეს 290 ფურცელს და შეიცავს 260 ფურცელს (!). მაშასადამე, 30 ფურცელი ხელნაწერისა დაკარგულია. ამ ხელნაწერის კალიგრაფის ვინაობის ამოცნობა ლადო კოტეტიშვილს აღარ უწარმოებია. მან ძირითადი, ხელნაწერის ავტორის ვინაობის საკითხი მტკიცედ და ექვიმუტანლად გაარკვია, ისე რომ, ასე საფუძვლიანად დღემდე ცნობილი არც ერთი ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერის ავტორის ვინაობის საკითხი ვერ არის გარკვეული.

ამ რამდენიმე წლის წინათ აკადემიკოს ალექსანდრე ალადაშვილის ოჯახში აღმოჩნდა, დღემდე უცნობი „იადიგარ დაუდის“ თითქოს სრულყოფილი ვარიანტი. „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილებისული ვარიანტი აკადემიკოს ალექსანდრე ალადაშვილის ვაჟმა, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ცნობილმა მეცნიერმა, პროფ. ვახტანგ ალადაშვილმა გამოკვლევებისათვის და ზოგიერთი დეტალის დაზუსტებისათვის გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მედიცინის ისტორიის ცნობილ მკვლევარს, პროფ. იოსებ ქუჩუჩიშვილს. მისივე ვარაუდით „იადიგარ დაუდის“ ამ ვარიანტს, არც ერთი ფურცელი არ აკლია და იგი ივანე მღვდლის, მიხეილ სარაჯიშვილის მიერ ამოკონსპექტებულ და ნიკოლოზ ბაღინოვის მიერ გადაწერილ „იადიგარ დაუდის“ ვარიანტებზედაც შედარებით უფრო სრულყოფილია. რაც მთავარია, დღემდე ცნობილ ამ ხელნაწერის ათ-



ისტორიული ცნობების მიხედვით „ილიჯარ დაულის“ ავტორის დავით ბატონიშვილის დაბადების თარიღი 1539-1540 წლებია, ხოლო გარდაცვალების თარიღი მიხედვით (13-15 წლის ასაკში) 1563-1564 წლებია. კალიგრაფი შემდეგ გადმოგვცემს Q ფონდი № 270-ის ბოლოში არსაზე გაკეთებულ მინაწერში: „აწე ამა მალამებისა, და დედან წიგნშია (დედანი) ვერცა თავისა და ვერცა ბოლოსა ვერ შევიტყუე, თუ სხვა სად ეწერა. სამი ფურცელი ცუდად ეგდებოდა და რა იმასია ეწერა უკლებობისათვის არ დავწერეთ. როსტომ მეფის ბედნიერებითა ქაღალდი ბევრი იყო და სხვას არას დავწარღვით და აქ დავწერეთ, და რაცა აკლდეს თუ სხვაგან იპოვით თქუენ ჩაუმატეთ ალაგი „აქუს“. მაშასადამე, ამ მინაწერის მიხედვით ირკვევა, რომ გადაწერა მოხდა 1031-1036 წლებში, როცა როსტომს საქართველოს ტახტი ეკავა, დაახლოებით 60-70 წლის შემდეგ დედნის დაწერიდან... დედანი ჩვენამდე მოღწეული არ არის, მაგრამ საინტერესოა ვინ იყო როსტომის მეფობის პერიოდში კალიგრაფი ამ კარაბადინისა?



„ილიგარ ღაუღის“ უძველესი ვარიანტი, გადაწერილი როსტომის მეფობის წლებში (1634-1656), კალიგრაფი უცნობია. ოღნავი მსგავსება აღმოჩნდა კათალიკოს ქრისტეფორე ამილახორის ხელთან. „ილიგარ ღაუღის“ ფონდი № 270-ს აკლია 30 ფურცელი. ხელნაწერი უნდა იყოს 200 ფურცელი, სახეზეა 200 ფურცელი, ე. ი. 520 გვერდი, უნდა იყოს 680 გვერდი.

დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ


დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ

დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ


დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ

დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ
დავით აღმაშენებლის ხელოვნებასა და მისი ხელოვნების შესახებ

S-IV S ფონდი № 3108 ხელნაწილი ნაბა ორბელიანის მიერ თარგმნილი „ქი-
ლილა და დამანა“ კალიგრაფი ნიკოლოზ ალექსის ძე მესხივილი (1700 წელი),
წიგნადრეთ „ილიგარ დაულის“ ფურცლების ხელნაწერს.



„იალიგარ დაულის“ Q ფონდი № 281 d ვარიანტი. 31 r გვერდი. გა-
 დამწერია ნიკოლოზ ბაღინოვი. „ცოცხლისა ამის მწერალს, ტიტუ-
 ლიარნი სოვეტიცის ნიკოლოზ მოსე ქე ბაღინოვს შენდობას მიბრძა-
 ნებლით ქმანო, შვილიო და მამანო“. შეადარეთ ალადაშვილებსე-
 ულ ვარიანტს. მსგავსება ავტოგრაფისა არის, მაგრამ იდენტურობა
 არ იქნა დადგენილი...



ვახტანგ VI ანდერძი დატოვდა „უსწორი კარაბადინის“ მხედრულ ვარიანტზედაც.
ბალეოგრაფიული იდენტურობა ამ ორი ანდერძის ტექსტისა აშკარაა.



1712 წელს დასტამბულ „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში ვახტანგ VI თავის ავტობიოგრაფიულ თხრობაში აღნიშნავს, რომ იგი „ძის ძე“ ყოფილა სახელგანთქმული ვახტანგ V-ისა, რომელიც ზოგჯერ შაჰნავაზის სახელითაც მოიხსენიება საქართველოს ისტორიაში, ასევე ვახტანგ VI თავისთავს უწოდებს: „ძმისწულმან ქებულის არჩილისაგან და ღიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისაგან და ძემან ღიდად პატიოსნის ლევანისამ“, ლევანი ვახტანგის მამაა, (რომელიც „ლევან მირზას“ ზედწოდებითაც არის ცნობილი, ხ. ს.)... „და დედისა ჩემისა.. თუთა გურიელის ასულის“... და იქვე ვახტანგ VI გვაწვდის ცნობას, რომ მისი მუდღე რუსულადანი ყოფილა „ჩერქეზ ბატონის ასული“. აქვეა მოცემული წამალთმცოდნეობის ტერმინოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფრაზა: „განკურნა წყლული უწამლო: რომელი ვკვირდა სნებანი“.

ვე ვარიანტზე უფრო სრულყოფილი და უნაკლოა. პროფ. იოსებ ქურჩი-შვილთან ერთობლივი კვლევა-ძიებისას დაეინტერესდით. როგორც ამ ხელნაწერის პალეოგრაფიული მონაცემებით, ასევე Q ფონდი, № 270-ის გვერდებთან შედარებით ანალიზით, ასევე, ჩვენი ყურადღება მიიქცია „იადიგარ დაუდის“ ერთ-ერთი ბოლო 498 ვერსო გვერდის ანდერძ-მინაწერ-მა „ღ-თო შეიწყალე მონა ღვთისა ნიკოლოზი“. რა თქმა უნდა, დავეჭვდით. ეს ნიკოლოზი ხომ არ არის მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი? ამ საგვარეულოს კალიგრაფთა შორის ცნობილია ნიკოლოზ პაპუას ძე მალალაძე, XVII ს-ის მოღვაწე და საქართველოს კათალიკოსი, მაგრამ პალეოგრაფიული მონაცემების და ჰერონიშნების მიხედვით ალადაშვილებისეული ვარიანტი „იადიგარ დაუდის“ XVIII საუკუნით თარიღდება. ამიტომ პალეოგრაფიულად ხელი ნიკოლოზ პაპუას ძე მალალაძისა სრულებით არ შეეძარა ამ სამედიცინო ხელნაწერს, შემდეგ. ვცადეთ ნიკოლოზ სოლომონის ძე მალალაძის ხელთან პალეოგრაფიული ანალიზის ჩატარება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერის ასაკი — „იადიგარ დაუდისა“ და ნიკოლოზ სოლომონის ძე მალალაძის მოღვაწეობისა თანხვედრილია, პალეოგრაფიულად არც ამ კალიგრაფის ხელნაწერთან იქნა დადასტურებული რაიმე იდენტურობა. შემდეგ მიქაძეების საგვარეულოს კალიგრაფ ნიკოლოზის ხელს შევადარეთ „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილებისეული ვარიანტის ფურცლების ტექსტი, არც აქ იქნა დადგენილი რაიმე იდენტურობა. ცნობილია, რომ ნიკოლოზ მესხიშვილი არის ანჩისხატის ცნობილი დეკანოზის ალექსი მესხიშვილის ვაჟიშვილი. მღვდელ პ. კარბელაშვილის მონაცემებით, ანჩისხატის ეკლესიაში ალექსი დეკანოზის ვაჟიშვილი, ნიკოლოზი მოღვაწეობდა, რომელმაც გადაწერა სულხან საბა ორბელიანის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანა“ (S ფონდი № 3183), ანტონ პირველის „გრამატიკა“ (H ფონდი № 2256) და ვარაუდობენ ანტონ I-ის „თუნე“ (Q-57). რომ (ეს ხუცური ხელნაწერიც) ანჩისხატის დეკანოზის შვილის, ნიკოლოზ ალექსის ძე მესხიშვილის გადაწერილია. სავარაუდოა რომ „იადიგარ დაუდის“ ხელნაწერის გადაწერა, მოხდა XVIII ს-ის II ნახევარში, ამ ხელნაწერის დათარიღებაზე მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ახლახან გარდაცვლილი პროფ. ი. ქუჩიშვილი თვლიდა, რომ ხელნაწერი XVII ს-ის მიწურულის და XVIII ს-ის მიჯნაზეა გადაწერილი. ხელნაწერთა ინსტიტუტის კომპეტენტური მეცნიერ თანამშრომლები თვლიან, რომ ხელნაწერი მესხიშვილების სკოლის წარმომადგენლის ხელით არის გადაწერილი XVIII ს-ის II ნახევარში. ჩვენ ბევრი გეცადეთ, პალეოგრაფიული იდენტურობის საფუძველზე დაგვედგინა ნიკოლოზის ვინაობა, თუ რომელი საგვარეულოს კალიგრაფია იგი და როდის მოღვაწეობდა ეს პიროვნება? როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის შედეგად იგი არც მალალაძეების და არც მიქაძეების საგვარეულოს ნიკოლოზის ხელს არ შეეძარა. დავგრჩა გასარკვევად. ნიკოლოზ ალექსის ძე მესხიშვილის ხელის შედარების შედეგად ხომ არ დადგინდება „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილებისეულ ვარიანტთან იდენტურობა? საქმე შემდგეშია. პალეოგრაფიაში არაპროფესიონალის თვალთაყ ადვილი დასადგენია. რომ ანტონ პირველის „გრამატიკა“ და ანტონ პირველის

„თუენი“ პალეოგრაფიული შედარებისას ხელის სხვადასხვაობის ელემენტებს გვაძლევს, რომლებიც 1769 წელს არის გადაწერილი. ანტონ I „გრამატიკა“ აშკარად დიდი მონდომებით და ლამაზი მხედრულით არის გადაწერილი, რომელიც ასოთა ზოგიერთი მოხაზულობით მაღალაქეების კალიგრაფ მწერალთა ხელს ემსგავსება. ეს არცაა გასაკვირი. მესხეთიდან ქართლში, და კერძოდ ანჩისხატის ეკლესიაში გადმოსასლებული მესხიშვილები, წერა-კითხვას და კალიგრაფ-მწიგნობრობას მაღალაქეებისაგან სწავლობენ, ამიტომ ხელის მსგავსება და სტილის ერთიანობა აშკარად შეიმჩნევა. თვით ანტონ I „გრამატიკის“, „თუენის“ და „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილების ვარიანტის ფურცლების ტექსტების შედარებისას აშკარად შეინიშნება მკვეთრი პალეოგრაფიული განსხვავება. ძნელია აბსოლუტური იდენტურობის დადგენა. შესაძლებელია, რომ „იადიგარ დაუდი“ შედარებით გვიან არის გადაწერილი კალიგრაფ ნიკოლოზ მესხიშვილის მიერ, შედარებით მდარე ხელით, თანაც იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ კალიგრაფს ახალგაზრდულ ასაკში ლამაზი ხელწერა აქვს, რასაც ინარჩუნებს შუაწლის ასაკამდე, ხოლო ხანდაზმულობის ასაკში კალიგრაფი ხელწერას აშკარად ცვლის. ჩვენ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილებისეული ვარიანტი ნიკოლოზ მესხიშვილის ხელითაა გადაწერილი, მხოლოდ საკითხის დასმის წესით და არ ვთვლით ამ პრობლემას საბოლოოდ გადაწყვეტილად! ასეთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს „ქილილა და დამანას“ ბოლოს ასეთი შინაარსის ანდერძ-მინაწერი: „ადიწერა ქალაქსა ტფილისს, ხელითა ანჩისხატის დეკანოზის-ძის ნიკოლოზისათა“, ანტონ I „გრამატიკის“ ბოლოს ასეთი შინაარსის ანდერძ-მინაწერია: „ადიწერა ქალაქსა ტფილისს, კელითა ანჩისხატის დეკანოზის-ძის ნიკოლოზისათა“, ხოლო „თუენის“ ბოლოს ასეთი შინაარსის ანდერძია მინაწერი: „ადიწერა კელითა, ანჩისხატის დეკანოზი ალექსის-ძე ულუღირსის მღუდლის ნიკოლოზისათა“. ამ ანდერძ-მინაწერების ტექსტების შედარებისას „იადიგარ დაუდის“ (ალადაშვილებისეული ვარიანტის) ტექსტებთან იგრძნობა აშკარა მსგავსება. ეს თუ ასეა ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს მესხიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლის ნიკოლოზის ხელთან. პალეოგრაფიული მსგავსებით სავარაუდოა, რომ ალადაშვილების ოჯახში აღმოჩენილი „იადიგარ დაუდი“ გადაწერილია ნიკოლოზ ალექსის ძე მესხიშვილის მიერ დაახლოებით 210-220 წლის წინათ, ხოლო Q ფონდი № 270 გადაწერილია დაახლოებით 320-340 წლის წინათ, ჭერ-ჭერობით უცნობი კალიგრაფის მიერ. ამიერიდან შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მესხიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლებს სხვა სასახლო ეროვნულ განმანათლებელ საქმიანობებთან ერთად კარაბადინის გადაწერაშიც მიუღიათ მონაწილეობა და ამ საქმეშიც კომპეტენტური ყოფილა ნიკოლოზ მესხიშვილი. შეადარეთ „იადიგარ დაუდის“ ტექსტი „ქილილა და დამანას“, ანტონ I „გრამატიკის“ და „თუენის“ ბოლოს ნიკოლოზ ალექსის ძე მესხიშვილის ხელით შესრულებულ ავტოგრაფულ ანდერძ-მინაწერებს, ასევე ნიკოლოზ პაპუას-ძე და ნიკოლოზ სოლომონის-ძე მაღალაქეების და ნიკოლოზ მიქაძის დედნებს. მხედველობაშია მისაღები ის ვარაუდობა,

რომ ალადაშვილებისეული „იადიგარ დაუდი“ მთლიანად არ შეედარა ხიკოლოზ ბალინოვის მიერ გადაწერილ „იადიგარ დაუდის“ არც ერთ ვარიანტს, (დღემდე მოღწეულია 6 სხვადასხვა ვარიანტი), რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდებიან. ერთ-ერთი მათგანი „E“ ვარიანტი ზუსტად 1824 წლით თარიღდება. ნიკოლოზ ბალინოვის ვარიანტებია: „A“ პრიმა, Q ფონდი № 281, „D“ ვარიანტი და Q ფონდი 245 „E“ ვარიანტი. საფიქრებელია „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილებისეული ვარიანტი „ტიტულარნი სოვეტნიკის“ ნიკოლოზ ბალინოვის სიცოცხლის ბოლო წლების ნამოღვაწარი იყოს, რომლის დათარიღების საკითხი XIX საუკუნის I ნახევრის ბოლო წლებს არ სცილდება და კალიგრაფის ხელნაწერი აშკარად იცვლება ხანდაზმულობის ასაკში.

რას წარმოადგენს დაუდ ხანის „იადიგარ დაუდი“?

ლადო კოტეტიშვილის განმარტებით „დაუდ ხანის შრომა „იადიგარ დაუდი“ არის „მცირე“ საეკიმო წიგნი, მეცნიერულ პოპულარული ხასიათისა და არა კარაბადინი“. ისეთი კომპეტენტური მკვლევარისაგან, როგორც ბატონი ლ. კოტეტიშვილი გახლდათ ცოტა დაუჩერებელია მისგან ასეთი განცხადება და რატომ?

„იადიგარ დაუდის“ პუბლიკაციისას თანდართულ ტექსტში ხელნაწერის კომენტარისას ლადო კოტეტიშვილი წერდა: „მეორე ნაწილი შეიცავს დიეტეტიკას საკმელებსა, მაჭუნებსა და შარბათებსა გამცნებს და გიანბობს... მესამე ნაწილი... ყოვლის ფერისა სენებისა და სატკიერისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“... განა „მაჭუნები და შარბათები“ და საერთოდ „წამლებსა გამცნებს“, „კარაბადინში“ წამლების მომზადების წესების შესახებ მოთხრობილი სამედიცინო რეკომენდაციები არ გახლავთ? მეორე ადგილას ამავე ძეგლის კომენტარისას ავტორი წერდა: „რის მიხედვით უწერდნენ წამლებს, ან რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ძველად ქართველი ექიმები მკურნალობის დროს... რომ მკურნალობის დროს ისინი მისდევდნენ პოლიფარმაციის პრინციპს ანუ ბევრი წამლის ერთად გამოწერას“... „მკურნალობის პრინციპი მაინც სადა, მიზანიც უბრალოა და მარტივი, წამლეულობის საშუალებით უნდა დაცულიყო წონასწორობა“. და შემდეგ დაუკვირდეთ ავტორისეულ ფრაზას „წამლეულობა, რომელიც ხმარებულია წინამდებარე წიგნში (ლაპარაკია „იადიგარ დაუდის“ შესახებ, ს. ს.) მზადდებოდა უმთავრესად მცენარეულობისაგან და სხვადასხვა ხილისაგან. გამოყენებულია, აგრეთვე ქიმიური წამლებიც“. და შემდეგ „ფარმაკოლოგიურ თვისებათა მიხედვით მთელი ეს წამლეულობა ლაგდებოდა შემდეგ ჯგუფებად: მუხლის დასალბობნი, სისხლის უკუმეყენებელნი, გამაგრილებელნი, გამახურებელნი, სარწყევებელნი, მომსიკობელნი, მოსამწიფებელნი, გამომრწყავნი და სხვა... წამლების დამზადების დროს გამოყენებული იყო თითქმის ყველა ის წესები, რომლებიც დღესაც არიან ხმარებულნი. მაგ: გახმობა. დალბობა. მოხარშვა, გამოწურვა, დანაყვა, გალესვა, დაჭეღვა, დასორსოლოვება, სუნისა და გემოს გაკეთება და სხვა“¹. თანა-

¹ დავით ბუბრატიონი — იადიგარ დაუდი გამომეძლობა „საბჭოთა საქართველო“ 1995 II გამოცემა. გვ. 39, 84—85.

მედროვე წამალთმცოდნეობის პოზიციებიდან ადვილი დასადგენია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მანიპულაციები ძველი ქართული კარაბადინების ტიპის ხელნაწერებში ჩამოთვლილი რეკომენდაციებია. ამით ჩვენ ვაყენებთ საკითხს იმ ასპექტში, რომ ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების შესწავლისას საჭიროა კომპლექსური მიდგომა. მათ შორის წამალთმცოდნე სპეციალისტის პოზიციის გათვალისწინება. ექ. ლადო კოტეტიშვილი თავად წერდა: „არავინ იფიქროს, რომ ჩატარებული მუშაობა ჩვენ უნაკლოდ მიგვაჩნდეს, ნაკლი უსათუოდ გვაქვს, რადგან ყოველი ახალი ძეგლის გამოქვეყნებით მატულობს პასუხისმგებლობაც, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს“... „ილიგარ დაუდის“ მთლიანი ტექსტის დეტალური ანალიზი ჩვენ გვაძლევს საშუალებას (რა თქმა უნდა სხვა ძველ სამედიცინო ხელნაწერ კარაბადინთან შედარებით ნაკლებად, ს. ს.) რომ 50% ტექსტისა დათმობილი აქვს ძველი ფარმაცოპეის ტიპის და ზასიათის რეკომენდაციებს და ამიტომ ასედაც უნდა იქნეს ფორმულირებული ეს საკითხი თანამედროვე მეცნიერების წინაშე, რომ დავით ბატონიშვილის წინამდებარე სამედიცინო ხელნაწერი „ილიგარ დაუდი“ კარაბადინია. კარაბადინისა და ფარმაცოპეის იდენტურობის საკითხები ევროპის მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ 1800 წელს პალეში გამოცემული „მსოფლიო მედიცინის ისტორიის“ მეორე ტომის 347 გვერდზე დამაჯერებლად გაარკვია გერმანელმა მეცნიერმა, კურტ შპრენგელმა და სამწუხაროდ საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიაში, კარაბადინისა და ფარმაცოპეის იდენტურობის საკითხი (ზოგიერთი ჰკვლევარის მისამართით ვამბობ, ს. ს.) ჯერჯერობით არ არის გარკვეული, რომ ქართული სამედიცინო ხელნაწერი-კარაბადინები შუა საუკუნეებში ფარმაცოპეის იდენტური ცნებით წარმოთქმული ძველი ტერმინებია, რაც დავას აღარ უნდა იწვევდეს: (იხ. ჩვენი გამოკვლევა „ფარმაცოპეისა და კარაბადინის იდენტურობის საკითხის გარკვევისათვის საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში“) რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ XI საუკუნის „უსწორო კარაბადინს“, XIII საუკუნის „წიგნი სააქიმოსის“, XV საუკუნის „სამკურნალო წიგნ-კარაბადინს“ და XVI საუკუნის „ილიგარ დაუდის“ იგივე მნიშვნელობას ვანიჭებდეთ, როგორსაც X გამოცემა თანამედროვე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეას, ვინაიდან VII, VIII, IX და X სსრკ-ს სახელმწიფო ფარმაცოპეის გამოცემებშიაც კი მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილებებია შეტანილი და ამიტომ ძირეული განსხვავებები, რასაც 900 წლის მანძილზე განიცდიდა წამლების მომზადების წესების საკრებულო წიგნები (კარაბადინები), არც უნდა იყოს გასაკვირი. უდავოა, რომ კარაბადინების არქიტექტონიკა, კონსტრუქცია და რედაქციული შენიშვნები საუკუნეების მანძილზე ინვეწებოდა.

**ერთხელ კიდევ ფარმაცოპეა-კარაბადინის ავტორთა
მინაობის შესახებ**

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ პირველი მკვლევარები: პროფ. კ. გრიგოლია და პროფ. ი. აბულაძე თავიანთ გამოკვლევებში დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ზაზა ფანასკერტელის ავტორობის საკითხს. რაც მთავარია, კვირინიშნების,

ქალაღის დამუშავების ტექნოლოგიის, მხედრული დამწერლობის ტრადიციების და სხვა პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ისინი ადასტურებენ, რომ ეს ხელნაწერი შექმნილია XV საუკუნეში, რაც საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიოთ.

ფანასკერტელების გვარში, რომ ციციშვილების განშტოება XVI საუკუნეში და კერძოდ 1538 წლიდან წარმოიშვა, ეს აწყურელი კალიგრაფ-მწერლის გრიგოლის მარხვანის ტექსტიდან ირკვევა (იხილეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H — 1698 და ილია აბულაძის ქართული წერის ნიმუშები. თბ., 1949, გვ. 207) და ამიტომ ტაოდან ქართლში გამოსახლებული ზაზა ფანასკერტელი XV საუკუნეში არ მოიხსენიებოდა ციციშვილის დამატებითი გვარით, თუმცა 1520 წლიდან მერაბი, რომ ციცი ფანასკერტელის ძედ, ციციშვილად იწოდებოდა, ესეც ისტორიული საბუთებით არის დადასტურებული. „ამიერიდან ისინი ისტორიულ წყაროებში, მხოლოდ ამ სახელით არიან ცნობილი“, — წერს პროფ. კ. გრიგოლია. ცნობილია, რომ XVI-XVII და XVIII საუკუნეებში არაერთი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მოღვაწეობდა, და მართა XVII საუკუნეში — ხუთი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. ამიტომ ისტორიული სინამდვილის თვალსაზრისით სამედიცინო სამყაროსათვის ყველაზე საინტერესო ზაზა გახლავთ „ერისთავთ-ერისთავი“, „ბრძენთმთავარი“ და „მკურნალი“ „დიდი ზაზა ფანასკერტელი“, რა თქმა უნდა, „ციციშვილის“ დამატებითი გვარის გარეშე. 1950 წელს „საქმედგამის“ მიერ პროფ. მ. სააკაშვილის რედაქციით დასტამებული ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“ — (კარაბაღინის) ტექსტის გამოკვლევის წინასტყვაობის მე-12-ე გვერდზე პროფ. კ. გრიგოლია ეხება ამ ხელნაწერის არშიებზე წარწერების შინაარსს, ბოლოდან მეორე აბზაცზე შემდეგ ფრაზას წერს: „ავტორი ყველგან, ზაზას ღიღებას შესთხოვს ქრისტეს: „პატრონი“, „ჩუენი პატრონი“ — უწოდებს და „ბრძენთმთავრისა“ და „მკურნალის“ ეპითეტებით ამკობს მას“. ვინ არის ეს ავტორი? მაშასადამე, „ავტორი“ ზაზა ფანასკერტელი თავისთავს „მკურნალის“ „პატრონის“ და „ბრძენთმთავრის“ ეპითეტებით ვერ მიმართავდა (?). ასევე, ქართული ხელნაწერების ტრადიციების მიხედვით კალიგრაფ-მწერლებს პირველსავე პირში ხელნაწერზე პროავტორე (საკუთარ თავზე) არასოდეს დაუწერია მსგავსი მინაწერები. აქ უსათუოდ ადგილი აქვს მეპატრონის, მეცენატის, ფეოდალურად პრივილეგირებული „ერისთავთ-ერისთავის“ მიმართ მხრებკალ-კალიგრაფ-მწერლის მოკრძალებას და თავყენისცემას.

„ავტორი ყველგან ზაზას ღიღებას შესთხოვს ქრისტეს“ — წერს პროფ. კ. გრიგოლია. ცხადია ამ ფრაზის მიხედვით ავტორად წარმოდგენილია მახარებელ მაღალადე. ამავე მოსაზრებას, მაგრამ ვადამწერის ფუნქციის მინიჭების თვალსაზრისით, ამავე წყაროს 21-ე გვერდზე გამოთქვამს პროფ. ილია აბულაძე: — „გადამწერი მისთვის (ე. ი. ზაზა ფანასკერტელისათვის ს. ს.) ქოისტეს ასე შესთხოვს: „დიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი ფანასკერტელი ზაზა“... „არ დავსცილდებოდით სინამდვილეს, — განაგრძობს ილია აბულაძე, — თუ მივიჩნევთ, რომ ზაზა უბრალო მოხელე მკურნალი კი

არ არის, არამედ ის საგანგებოდ განსწავლული პირია, შესაძლოა საკუთარი წვლილის შემტანიც კი, მშობლიური მედიცინის დარგში. (დაუკვირდეთ ფრაზას, რომელსაც გვაწვდის ცნობილი მეცნიერი პროფ. ილია აბულაძე: „შესაძლოა საკუთარი წვლილის შემტანიც კი მშობლიური მედიცინის დარგში“ ე. ი. „წვლილის შემტანი“ და არა მარტო ავტორი ამ წიგნისა ს. ს.) იქნება ეს საკუთარი დამატებანი თუ მასალის განკარგვა და რედაქცია“ (?). ამ ხელნაწერის 186 გვერდზე და ხელნაწერის 11-ე, 37-ე, 38-ე გვერდებზე გადამწერი მიგვიერთობს რაღაც „სხვა კარაბადინის“ გამოყენებაზე. ეს ფრიალ საინტერესო ფრაზა, ვინაიდან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ აშკარად განიცდის მთავრულით დაწერილ, ფსევდო-ევანგელისტ ქანანელის „უხსწორო კარაბადინის“ გავლენას, თანაც გვერდების უმრავლესობის შეკრება-შედარებისას დიდი გულმოდგინება არ არის საპირო, რომ ხელნაწერებს (ფონდი Q № 26 და ფონდი Q № 877) შორის აშკარა მსგავსება დაინახოთ, თუმცა XI საუკუნის ძეგლი 470 ნაბეჭდ გვერდს შეიცავს, ხოლო XV საუკუნის ხელნაწერი 721 ნაბეჭდ გვერდს. „თუ ასეა, — წერდა 1950 წელს პროფ. ი. აბულაძე ამ ხელნაწერის გამოცემაზე დართული ნარკვევის 22 გვერდზე. — მაშინ გამოდის, რომ მკურნალ ზაზა ფანასკერტელს მისთვის (ლაპარაკია ჭუარისმგვირთველ მწერალ მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძეზე ს. ს.) შეუკვეთია დაემზადებინა სრული კარაბადინის ნუსხა, რომლისთვისაც გადამწერს გამოუყენებია სხვადასხვა კარაბადინი“. აქ მოყვანილი ციტატებიდან აშკარად ჩანს, რომ ზაზა ფანასკერტელი უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია, სრულფასოვანი კარაბადინი ეპყრას ხელთ, ვინაიდან იგი მკურნალია. მეორე: ზაზა ფანასკერტელი არის კარაბადინის კონსტრუქტორი, რედაქტორი. მას აღარ აკმაყოფილებს 400 წლის წინათ შედგენილი ქანანელის „უხსწორო კარაბადინის“ დონე და იგი თხოულობს ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისი უფრო სრულყოფილი კარაბადინის, როგორც ყოველდღიურად სახმარი წამლების მოსამზადებელი წესების სარეკომენდაციო კრებულის — ფარმაკოპეის შექმნას. შესაძლოა: ზაზა ავალებს სვეტიცხოვლის ქადაგს. „ჭუარისმგვირთველს“. „მდივან-მწიგნობარს“, სატაძრო მედიცინის ჭურუმს მახარებელ მაღალაძეს კარაბადინი დაუწეროს. მეოთხე: შუა საუკუნეებში მკურნალობის, მწიგნობრობის და ხელნაწერების შექმნის საკითხებს ეკლესია განაგებდა, ამიტომ შესაძლებელია და თვით ფაქტიც ადასტურებს, რომ ამ დავალებას ასრულებს მახარებელი და ამას იმსახურებს „მკურნალი“ ზაზა ფანასკერტელი თავისი მდგომარეობით. როცა მახარებელი „უხსწორო კარაბადინის“ ფურცლებიდან უშუალოდ იწერს წამლების მომზადების წესებს, მაშინ იგი, რა თქმა უნდა, უბრალო გადამწერია. ე. ი. კალიგრაფი-მწერალია, მაგრამ, როცა ხელნაწერს ახალ მეთოდებს ამატებს და ეს ფარმაკოპეა-კარაბადინი (ხელნაწერი Q № 877) თითქმის ორჯერ მეტა XI საუკუნის ხელნაწერზე, მაშინ მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძე ვადამწერ-კალიგრაფთან ერთად თანაავტორ მწერალ-კალიგრაფის როლში გვევლინება. რა თქმა უნდა, XX საუკუნის 50-იან წლებში ზემოთ დასახელებულ მკვლევართათვის ცნობილი არ იყო ის ფაქტები, რომ სოფ. წინარეხში მაღალაძეების

კოშკების შემოგარენს ამშვენებდა ვარძიაში არსებული თახჩებიანი წამლის სასახლე — აფთიაქის ანალოგიური ნაგებობა 500-მდე თახჩით, არ იყო ცნობილი, რომ „ქართული სამართლის ძეგლების“ ფურცლებზე დაცულია მასალები მდინარე კავთურას ნაპირებზე გაშენებულ „წალკოტის“ შესახებ, არც ის, რომ მაღალაძეების კოშკის კედლებზე განგებამ შემოგვინახა „წმინდანის ვედრების კომპოზიცია“, დაკლანილი გველის და შვიდი ცხვრის გამოსახულებით, რომ ამავე კოშკის კედლებზე XV საუკუნის შვიდი ძმა მაღალაძის იკონოგრაფიული ფრესკიდან დღემდეა შემორჩენილი ხუთი ძმის ფრესკული სახე, ხოლო XVII საუკუნეში, 1679 წელს მოხატული პაპუა მაღალაძის ოჯახის 10 წევრიდან, დღემდეა შემორჩენილი 6 ძმა მაღალაძის ფრესკული სურათი და, რაც მთავარია, რუსი მხატვრის გ. გ. გაგარინის 1847 წელს პარიზში გამოცემული უნიკალური ალბომის ფურცლებზე დაცულია ფერადი რეპროდუქცია პაპუა მაღალაძის ოჯახის 10 წევრის. ასევე, ქვათახევის მონასტერში დღემდე შემორჩენილია ფალონის კულტი, რაც ამ დაწესებულებაში უშვილო ქალების მკურნალობაზე მიგვანიშნებს. და, რაც მთავარია, XIV საუკუნის მიწურულიდან მაღალაძეთა, იგივე მაღალაშვილთა საგვარეულოს ტრადიციები ცხადყოფენ, რომ ისინი იყვნენ სახლთუხუცესები, „ჯუარისმტვირთველები“, მდივან-მწიგნობარ-ქადაგ-მგალობლები და სასულიერო განმანათლებელი პირები, ხოლო XVII საუკუნის მოღვაწეს ნიკოლოზ პაპუას-ძე მაკალაძეს საქართველოს კათალიკოსის თანამდებობა ეჭირა. ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტები მიგვანიშნებენ, რომ ზაზა ციციის-ძე ფანასკერტელი ამ ხელნაწერის შექმნის ინიციატორი და რედაქტორ-ავტორია, ხოლო კალიგრაფი-მწერალი და თანავტორი უშუალო „მშრომელი“ და „მჩხრეკალი“, ამ ფარმაკოპეა-კარაბადინისა არის მახარებელი ოქროპირის-ძე მაღალაძე, იგივე მაღალაშვილი, რამეთუ 219 V გვერდზე გვიტოვებს ანდერძს: „მშრომლისა მახარებლისათვის შენდობაა ჰყავთ“.

ყური დავუვღოთ დავით ბაგრატიონის (მეფობდა 1569—1578 წ. წ.) განცხადებას, რომელიც თვით „იადიგარ დაუდის“ ფურცლებზეა დაცული და თუ ეს ხელნაწერი 60—70 წლის შემდეგ არის გადაწერილი როსტომის მეფობის დროს (1634—1658 წლები), კალიგრაფი გვერდს ვერ უვლის მეტად მნიშვნელოვან ანდერძს, რომლის საფუძველზე უფლებამოსილნი ვართ დაუდინანი, იგივე დავით ლუარსაბის-ძე ბატონიშვილი ამ ხელნაწერის შემდგენელ — ავტორად გამოვაცხადოთ. ხელნაწერში ვკითხულობთ: „აწე ესე წამლები... ამა შარბათსა სახელად შარბათ ფიქიაი დაუდი (შარბათ დაუდი, ანუ ავტო შარბათი, ს. ს.). დავარკვით, ამისათვის რომე ამა შარბათებითა ორმოცსა გვარსა სენსა ეწამლების და მერე სრულად ესე წიგნიცა თათრულის წიგნი-დაღმან მე უღირსმან გადმოვათარგმანე, და ესე წიგნიცა თავით ბოლომდისინ მე უღირსმან დავსწერე (ე. ი. თავით ბოლომდისინ მე უღირსმან დავსწერეო, თანაც გადმოუთარგმნია, მასთან ერთად კომპილაციაც უწარმოებია. ს. ს.) და ესე შარბათიც თვითვე გამოვიღე (მაშასადამე, ერთ-ერთი ვარიანტი (რეცეპტი) შარბათისა მასვე შეუდგენია ს. ს.) და ჩემი ამა წიგნზედა სარჩელო და სახელი, ჳირი და ჳირნახულობა ყუელა ქუემორე დამიწერია და იჳი გიმბაზოს, ვინც

შენდობა მიბრძანოთ ღმერთმან თქუენცა შეგინდეს თქუენი ცოდვანი და შეარგოს და... თქუენზედა აღნად ქნას სასჯელი და კირნახული ჩემნი“. ან კიდევ, „იადიგარ დაუდის“ 1938 წელს გამოქვეყნებული ტექსტის 96 გვერდიდან შეიძლება ასეთი ციტატა მოვიყვანოთ „...და ამ ორისა თათრულისა წიგნისაგან ერთი ქართული წიგნი გადმოვათარგმანეთ, და ჩუენსა გადმოთარგმანებულსა წიგნსა ჩუენცა სახელად იადიგარ დაუდი დავარქუით, ვითამცა ჩემი სახე და ჩემი მოსაგონებელი“. ხოლო 98-ე გვერდზე შემდეგს ვკითხულობთ: „აწე ვისცა ამა წიგნითა და ამა წამლებითა უაქიმით... კაცი მორჩეს... მე ცოდვილსა და უღირსსა დაუდხანს ნუ დაგვივიწყებთ“.

აქ მოყვანილი ციტატებიდან ნათელია, რომ კარაბადინის შემდგენელი და ავტორი „დაუდ ხანია“. სამწუხაროდ, ასეთი, ნათლად დამადასტურებელი საბუთები ზაზა ფანასკერტელის ავტორად გამოცხადებისათვის ჩვენ ხელნაწერ Q ფონდ № 877-ზე არ გვაქვს, მაგრამ კონიექტურას და სიტყვებს: „მკურნალი“-ს და „ბრძენთმთავრის“-ს მნიშვნელობას ზაზა ფანასკერტელის ავტორობისაკენ მივყავართ, ხოლო „მჩხრეკალის“ და „მშრომელის“ ეპითეტებს მახარებელ II ოქროპირის ძე მალალაძის თანავტორობისაკენ.

განსხვავება, ჩვენამდე მოღწეული ყველა ძველი სამედიცინო ხელნაწერი კარაბადინებისა ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ მკურნალი ავტორი ზაზა და ქადაგ მჩხრეკალი მახარებელი თანამოსაკენი და თანამედროვენი არიან, რომლებიც XV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდნენ. ამიტომ „სამკურნალი წიგნი — კარაბადინი“ დედანია და მისი მსგავსი პირი ჭერჭერობით უცნობია. ეს სამედიცინო ხელნაწერი ძველ ქართულ კარაბადინებს შორის ყველაზე სრულყოფილია და ყველაზე ვრცელია.

„ბრძენთმთავრისა“ და „მკურნალის“ ზაზა ფანასკერტელის მოღვაწეობის თარიღის დადგენისათვის და მისი სამედიცინო მემკვიდრეობის მნიშვნელობისათვის

ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ვაჩიძორის მღვიმეში (ტაო-კლარჯეთი) ნაპოვნი საბუთიდან ჩანს, რომ ზაზა ფანასკერტელი მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა. რასაკვირველია მეჭურჭლეთუხუცესობა დიდი მატყვი იყო XV საუკუნეში და თანაც საგულისხმოა, რომ ამ თანამდებობას სრულიად ახალგაზრდა კაცი ვერ მიაღწევდა „აშკარაა ისიც, — წერდა პროფესორი კოტე გრიგოლია, — ზაზას ამგვარი დაწინაურება სამეფო კარის წინაშე მისი ერთგული სამსახურის შედეგი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ“¹. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლეული მასალების მიხედვით მეჭურჭლეთუხუცეს ზაზა ფანასკერტელის ტაო-კლარჯეთიდან ქართლში გადმოსახლება 1465-67 წლებში მომხდარა. ამას ადასტურებს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული საბუთი № 64 (ფონდი 1448) კონს-

¹ ზაზა ფანასკერტელი „სამკურნალი წიგნი — კარაბადინი“ მ. სააკაშვილის რედაქციით. გამომცემლობა „საქმედგამი“, წინასიტყვაობა, გვერდი 10, თბ., 1950.


ტანტანე მეფის გაცემული სიგელ-გუჯარი ზაზა ფანასკერტელისადმი, კალცრაფ ზაქარია თუმანიშვილის მიერ დაწერილი (იხ. შესაბამისი ფოტო).

აღნიშნული საბუთის მთლიანი შინაარსი გამოქვეყნებულია 1950 წელს პროფ. კ. გრიგოლიას მიერ (ხელნაწერი ფონდი Q 877-ის გამოკვლევისას და კომენტარებისას). ეს ზაზა ფანასკერტელის ქართლში გადმოსახლებისთან დაკავშირებით ერთადერთი საბუთი გახლავთ. იგი აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა ფანასკერტელების უძველეს სამფლობელოში ტაოკლარჯეთში და ამიტომაც მოგვყავს მთლიანად: «ჩუენ ღთისაგან შეწყალებულმან და პატივცემულმან იასიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან პატრონმან კონსტანტინე ესე სიმტიციე და სიგელი დაგიწერეთ, მოგეცით და მოგახსენებთ თქუენ ჩუენისა თავადსა ფანასკერტელს ზაზას და თქუენთა შვილთა ქაიხოსროსა, გიორგის, სიაოშს, მერაბ და ზაქარიას მას უამსა ოდეს ჩუენისა სიყვარულისათვის შავშეთს თქუენი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთგულოდ და ჩვენ მოგახსენეთ კუედურეთს ორბოძლეულისეული მამული, რომელი ხოსაშვილისა ბაღათარს ჰქონდა სასახლე ჭურმარანი და ზუარი მეზურითა გლეხნი ბარამაშვილი, ქაბიაშვილი, შულღასძე, ესტატა, კონარტული ვათაზური, ქილი აბუსერიძე, ლაფაური მამული, პირშელაური, მახარაული და ტეტაური, ზოგანო ხაბულაშვილი და კეხისჭუარს მეთევზიშვილი, მათეშვილი ბოლღია, სარგისაშვილი და ხაბიაშვილი მათითა მამულითა და გამოსავლითა ორბოძლეულსა პაპისა თქუენისათვის ეღაბატა და მისი მამული ნასისხლად მიეცა და განაღმაცა თქუენ გქონდა სამკვდროდ, ამას გარეთ მოგახსენებთ და დაგიმტიციებთ სრუ (ღაღ და უკლებლად) მამული ქუახრელი, უფლისციხე და კარალეთი მისითა ეკლესიითა, სასახლითა, ჭურმარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, სათიბითა, ტყითა, სანადირითა, მთითა, ბარითა შესავალ-გამოსავლითა და მისითა მიდგომითა და სამართლიანითა საძიებრითა ყუელათა მკვდრად სამამულოდ, საბოლოოდ და უცილებელ-უსარჩლელად ყოვლის ადამის ნათესავთაგან, ვითა თქუენისა მკვდრისა მამულისა სანაცუალოსა და ჩუენგან თქვენთვის სამკვდროდ ბოძებულსა მამულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს და, თუ ვინ დაგეცილოს, მისი პირი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ და გქონდეს თქუენ ჩუენსა ერთგულსა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქუენთა შვილთა: ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბის და ზაქარიას, შვილისშვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთა კუედურეთს ორბოძლეულისეული თქვენი ნასისხლი რაცა ხოსაშვილსა ბაღათარს ანუ კუედურეთს ჰქონია კეხის ჭუარს და ამა სიგელშიგა გიწერია სრულიად და უკლებლად ამის გარეთ... მამული ქვახურელი, უფლისციხე და კარალეთი სრულიად და უკლებლად როგუარცა თქუენსა მკვიდრსა მამულსა მართებს აგრე ხელგეწიფების გასაყიდად, გაზითვებად, შეწირვად, თანა შეტანად და რაც ფერად გინდა, არავინ გვიბრძანებია ამისი მოცილე და მოსარჩლე არაცა შეუნელებელ და დამაკლებელი კიდეც გვთარხნებია ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან, ასრე რომ საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვბოდეს არა დიდი და არა ცოტა და ჩვენი მოხელე ამა თქუენთა მამულთა შიგა

ვერსად შევიდეს ვერცაჲინ რა საქმე დაიკლოს. ასე ყოველივე ჩუენგან ასრე გაგითავდეს და არას უამისა გამოცულილობისათვის არ მოგეშალოს, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. დაიწერა მტკიცე ნიშანი ესე ჩუენი ქრონიკონსა რ-მე ხელითა მდივან მწიგნობრისა თუმანიშვილისა უღირსისა საბრალოს ზაქარიასითა დიდი ულუფა სრულიად და საბოლოოდ ამგვეთია ასრეთ, რომე არასოდეს და არას უამიგა დიდი ულუფა არ გეთხოვოს კონსტანტინე (?). მეფე ვამტკიცებ“. ამ სჯულის მხედვით ზაზა ფანასკერტელი XV საუკუნეში ქართლში — კერძოდ ხედღურეთში ორბორძლეულში დამკვიდრებულა, რომელიც წინათ ბალათურ ზო.აშვილს ჰქონდა (სასახლე, ჭურ-მარანი და ზუარი). ამ ტექსტში ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი. სამფლობელო რეგიონში შედის მახარებელ მაღალანის მამული, მაშასადამე საერთოდ მაღალაძეების ადგილ-მამული მტკერის მარჯვენა სანაპიროზე ფანასკერტელთა გამგებლობაში შედიოდა. ასეთი მოსაზრება არც არის გასაკვირი, ვინაიდან ზაზა ფანასკერტელი მეჭურჭლეთუხუცესი და ერისთავთ-ერისთავი იყო. ასევე, პროფ. კ. გრიგოლიას და პროფ. ილ. აბულაძის მიერ სარწმუნო ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ მეფე კონსტანტინეს მიერ ტაოს მკვიდრი, ზაზა-ციციის-ძე ფანასკერტელის ქართლში გადმოსახლება XV საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 1465 წელს შემთხვევით არ მომხდარა. ვახტანგ IV ცოლად ჰყავდა ფანასკერტელის ქალი სითიხ-თუნი და თუ ფანასკერტელები ბაგრატიონებთან დამოყვრებული გვარი იყო, თანაც წერილობით წყაროებში თუ იგი იხსენიება: „დიდმან ფანასკერტელმან“-ისა და „ერისთავთ-ერისთავის“-ებითებებით, სავსებით ბუნებრივია. ზაზას ქართლში გადმოსახლებაც. ეს მოსაზრება ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებათა იდენტურია. რაც ისტორიულ წყაროზეა დაფუძნებული. გრიგოლ კალიგრაფის მიერ გადაწერილი აწყურულ მარხვანის 131-ე ვერსო გვერდის მიხედვით: „პატრონისა და სახელგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილთა“, (1538 წელს) XVI საუკუნის 30-იან წლებამდე ფანასკერტელების გვარში განშტოება „ციციშვილებისა“ საერთოდ არ ჩანს. ამ საკითხის გარკვევა საინტერესოა, როგორც ისტორიული სინამდვილის დადგენის, ასევე ციციშვილების გვარის გენეტიკის თვალსაზრისით. მით უმეტეს, მედიცინის ისტორიაში, ეს საკითხი ჯერჯერობით მთლიანად გარკვეული არ არის. დღეისათვის არსებობს მეცნიერთა ერთმანეთის საწინააღმდეგო გამოკვლევები, სახელდობრ, ამ საკითხის გარკვევა საინტერესოა ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერის ავტორთა ვინაობის დადგენისათვის, როგორც არის XV საუკუნის უნიკალური ფარმაკოპეა „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q № 877). როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის წევრმა თ. ჭყონიამ 1945 წელს ეს ხელნაწერი აღმოაჩინა ქ. გორკის საოლქო ბიბლიოთეკაში. თუმცა ამ ხელნაწერის არსებობის შესახებ უფრო ადრე იუწყებოდა ცნობილი მკვლევარი. „პროვაც-დოცენტი“ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი, რომლის შესახებ სხვა ქართველმა მკვლევარებმა



უინჯვისის ეკლესიის დამატებითი ეგუტერის იკონოგრაფიული ფრესკა, „ბრძენთთავარი“ და „მკურნალი“ „ზაზა ფანასკერტელი“ დამუშევენებულია სამკურნალო მცენარეებით: დამაძინებელი ყაყაჩოთი — ხაშხაშით და ვარდკაქკით, სამოსელი მოჩითულია ასკილის ყვავილებით.



ფანასკერტელ-ციციშვილების საგვარეულო გერბი. გერბზე ლიტერა „S“-ია გამოსახული, თუ გველი? ჭერჭერობით დამტკიცებული არ არის, მაგრამ ფანასკერტელთა სამედიცინო ტრადიციები გვაფიქრებინებს, რომ გერბზე გველი შეიძლება იყოს გამოსახული.



იკონოგრაფიული ფრესკების ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენოსკოპული სხივებით მკვლევარი იგორ გილგენდორფი. მარცხნივ თამარ მეფის ფრესკა გადაღებული ჩვეულებრივი ფოტოთი, მარჯვნივ „თამარ მეფე“ იგორ გილგენდორფის ფოტოს მიხედვით გადაღებულია: ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენოსკოპული სხივებით.

არაფერი იცოდნენ. 1950 წელს ამ ხელნაწერის მეორე ნაწილი 177-დან 684 ფურცლამდე გამოიკა მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, პროფ. მიხეილ სააკაშვილის რედაქტორობით, სადაც „სამკურნალო-წიგნი კარაბადინის“ ავტორად პროფ. კოტე გრეგოლიას და პროფ. ილია აბულაძის მიერ გამოკვლეული მასალებით დადგენილია ზაზა ციცის ძე ფანასკერტელი, რის საფუძველსაც თითქოს გვაძლევს არშიაზე მიწერილი ქარაგმების შინაარსი, ხოლო ამ ხელნაწერის პირველი ნაწილი 1-დან 176 ფურცლამდე გამოიკა პროფ. დავით მამამთავრიშვილის რედაქტორობით და დოც. მ. შენგელიას კომენტარებით, სადაც წიგნის ავტორად მიჩნეულია ზაზა ფანასკერტელი — „ცოცხელი“. პროფ. მ. შენგელიამ ამ ნაშრომის („სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“



ჩვენი თხოვნით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა კობა გურულმა გამოკედა თით-
ბერზე, შუა საუკუნეების ენციკლოპედიისტი მკურნალი და ბრძენთმთავარი „ზაზა ფანას-
კერტელი“.

ნი“) ქვესათაურში: „ავტორი — ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი“ ავტორად ასახელებს მხოლოდ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს და ხელნაწერის ერთ-ერთ გადამწერად „სვეტიცხოვლის ქადაგს მახარებელ ივანიას ძე მაღალაძეს“. ცნობილი მკვლევარების. პროფ. ილია აბულაძის და პროფ. კოტე გრიგოლის საკმაოდ არგუმენტირებული მონაცემების და გამოკვლეული მასალების მიხედვით ხელნაწერის ფონდი Q № 877, სრულიად სამართლიანად XV საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ. ამ ხელნაწერის არშიაზე, არაერთი ქარაგმული წარწერით ბევრგან არის ნახსენები „ზაზა ფანასკერტელი“, „ჩვენი პატრონი ზაზა“, „მეურნალი ზაზა ფანასკერტელი“, „ბრძენთმოთავარი ზაზა“ და ა. შ., მაგრამ არსად არ არის ნახსენები პირველ წყაროში „ზაზა ფანასკერტელი“ „ციციშვილის“ დამატებითი გვართ. ისტორიული წყაროების მიხედვით ზაზა მხოლოდ ციციის ძე, ანუ ციციის ვაჟიშვილი იყო. აწყურის მარხვანის წერილობითი საბუთით ზუსტად ირკვევა, რომ ასეთი განშტოება ფანასკერტელების გვარში 1538 წლიდან წარმოშობილა. ამ მეტად მნიშვნელოვან პირველად წყაროს ჩვენ დეტალურად შევხებით, მაგრამ ასევე ფრიალ მნიშვნელოვანია თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დატული საბუთები ფანასკერტელ-ციციშვილების შესახებ. თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში 399-ე გვერდზე. 1558 წლის თარიღით სუმონ მეფის მიერ გაცემულ მცხეთის სიგელში (საბუთი № 503) ვკითხულობთ: „დაიწერა ხელითა ფანასკერტელ-ციციშვილის სახლთუხუცესისა ზაზასითა“. მამასადამე XVI საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 1558 წელს ზაზა იხსენიება „სახლთუხუცესის“ ეპითეტით, თანაც უკვე ფანასკერტელ-ციციშვილის გვართ. არის თუ არა ეს ზაზა ფანასკერტელი ციციშვილი და ზაზა ფანასკერტელი ერთი და იგივე პიროვნება და XV ს-ის მეორე ნახევარში დაწერილი კარაბადინის, იგივე ფარმაკოპეის ავტორიც?

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროების და თვით ხელნაწერში არსებული დოკუმენტების ანალიზით. შეიძლება ამ საკითხს ნათელი მოეფინოს და იგი საბოლოოდ გაირკვეს. თუ 1465 წელს ქართლში გადმოსახლებული ზაზა ფანასკერტელი, დაეუშვათ, 30 წელს გადაცილებული და 40 წელს მიახლოებული კაცი იყო, ხუთი ვაჟიშვილის მამა, სრულიად უბრალო გაანგარიშებით შეიძლება დავადგინოთ, რომ 1558 წელს იგი არ შეიძლება ცოცხალი ყოფილყო. $1558 - 1465 = 93 + 35 = 128$ წელს (?). სუმონი გამეფდა 1557 წელს, ამიტომ სავსებით შესაძლებელია: „ინდუქტიონთა მეფობისა ჩვენისა მეორესა“ მას გაეცა წყალობის სიგელი. რომელიც „დაწერა სახლთუხუცესმა ფანასკერტელმა-ციციშვილმა ზაზამა“ 1558 წელს. წინამდებარე კარაბადინი — ფარმაკოპეა, რომ XV ს-ის მეორე ნახევარში დაიწერა, ეს უკვე კომპეტენტურმა სპეციალისტებმა დაადგინეს, და იგი აქსიომად არის მიჩნეული, მაგრამ XVI ს-ის მეორე ნახევარში სუმონ მეფის სიგელის დამწერი „სახლთუხუცესი ზა-

ზა“ და ამ კარაბადინის ავტორად მიჩნეული ზაზა ფანასკერტელის ვინაობის დადგენა კვლავ გასარკვევია, თუნდაც იმიტომ, რომ „დიდი ზაზა ფანასკერტელი“ ამ დროს სულ ცოტა 128 წლის კაცი იქნებოდა (?), ამიტომ ეს ორი ზაზა, უდავოდ სხვადასხვა ისტორიული პიროვნებაა.

საინტერესოა აგრეთვე, თედო ჟორდანის „ქრონიკების“ II ტომის საბუთი, რომელიც 1648 წლით თარიღდება, სადაც ციციშვილების სახლთუხუცესი ყაია წერს: „ძმამან ჩუენმა ქაიხოსრო და როსტომ და იესე... ასე რომ დმერთმა გავგწირა... ჩემი ძმა ზაზა ჩემს შვილს იესეს შემოაკვდა“. მამასადაძმე, 1648 წელს ზაზა ციციშვილი მოკლა ქაიხოსროს ვაჟმა იესემ, ზაზა ციციშვილი თავისი დლით არ მომკვდარა. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რომელი ისტორიული პიროვნების, ზაზა ციციშვილის სიკვდილზეა ამ დოკუმენტში ლაპარაკი? ამის გარკვევისა და ანაქრონიზმის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა ქრონოლოგიურად ამ ორი ისტორიული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული ისტორიული მონაკვეთის შედარებითი ანალიზი. სამედიცინო სამყაროსათვის საინტერესო „დიდი ზაზა ფანასკერტელის“ პიროვნების, „მკურნალის“, სხვა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილებისაგან გამოყოფა. აუცილებელია ვინაიდან ჩვენ რამდენადაც გადავიხრებით ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ამ ხელნაწერის ავტორობის შესაძლებლობისაკენ, იმდენად ავტომატურად ვშორდებით მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეს, თუნდაც როგორც ვადაძმურს, მით უმეტეს თანავტორობის ვერსიას კი მთლიანად. თ. ჟორდანის „ქრონიკების“ II ტომის მიხედვით მახარებელ I მაღალაძემ დაწერა „გუჯარი მაჟაშვილთა“ 1377 წელს (?) და, ბუნებრივია, 1482 და 1492 წლებში იგივე მახარებელ მაღალაძე ველარ გადაწერდა ამ კარაბადინს, მით უმეტეს ჰარმაულთა ანდერძის წიგნს, როგორც ამაში გვარწმუნებს პროფ. მ. შენგელია. ვინაიდან მახარებელი 1377 წელს სულ ცოტა 20 წლის ხომ მაინც იქნებოდა, როცა ეს გუჯარი გადაწერა, 1482—1377=115+20=135 წ. (?). ბუნებრივია 135 წლის კაცი წიგნის გადამწერი და შრომისუწარაიანი ველარ იქნებოდა, თუნდაც 125 წლის რომ ყოფილიყო, თანაც XVI-XVII საუკუნეებში 7 სხვადასხვა ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილია ნახსენები ისტორიულ წერილობით წყაროებში. აი თუნდაც 1661 წლის თარიღით თ. ჟორდანის „ქრონიკების“ II ტომის 478 გვერდზე რა წერია: „წმინდა ნიკოლოზის ძველ დანგრეულ ეკლესიაში (ლაპარაკია ყინწვისის ეკლესიაზე. ს. ს.) საფლავის ქვაზე იკითხება: „ქ. ესე თავად... უთავედსი ფანასკერტელ-ციციშვილი... სახლთუხუცესი... პატრონი ზაზა... ქონების დიდების... პატრონი“... აქ რუსთველოლოგებისათვის საინტერესო საბარათიანოს სპასპეტ ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილზეა ლაპარაკი, რომელიც მოკლეს სამეფო კარზე 1671 წელს. დაბოლოს კიდევ ერთი დოკუმენტი: „ქრონიკების“ II ტომის 511 გვერდზე 1691 წლის თარიღით ნ. ანთაძის მიერ გელათში გადაწერილი საბუთი, კერძოდ ციციშვილების მიერ გაცემული სიგელ-გუჯარი, რომელიც ეხება XVII-XVIII საუკუნეებს. ს პოლიტიკურ მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს: „ჩვენ ფანასკერტელმან ფარხადან ძმამან ჩვენმა ზაზამა (ესე სიგელი მოგეცით) თქვენ ორ-

ბელისშვილს სულხანს... რომ მეფის არჩილის და მეფის გიორგის სურვილით ჩვენ და თქვენ პირი გავაერთოდ, ამისათვის, რომ რა ჩვენ და ბიძა ჩვენი ციცი გარდავაკიდენით, თქვენ ამათკენ დარჩით“ ე. ი. 1691 წელს ციციშვილების ერთი შტოს მიერ სიგელის მიცემა მომხდარა სულხან-საბა ორბელიან-შვილზე მაშინ, როცა სულხანი 37 წლის იყო და იგი ციციშვილების მეორე შტოს მხარეზეა (სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1668 წელს ხოლო 1725 წელს მოსკოვში გარდაიცვალა. ს. ს.). შემდეგ ასეთი წერილობითი საბუთია დატული ამავე წყაროში: „ახლა რადგან ისინი ბატონსა და ქართველობაზედ ასე დამნაშავედ და მუხანათად დარჩნენ... მეფემ... ჩვენი გაერთიანება მიინდომა“. აქვე იხსნიება მხარებელ მალააქის შორეული შთამომავალი „სახლ-უხუცესი რევაზი“, რომელსაც დიდი სპილენძის თასი მიართვის მხედრული წარწერით: „კენეტკის საქმე და გამაერთიანებელი ვარო“ (კენეტკის, იგივე გენეტკის შთამომავლობით რელიქვიაზე უნდა იყოს ლაპარაკი. ს.). ტაოდან გადმოსახლებული „დიდი ფანასკერტელი“ რომ თითქოს ციციშვილი იყო, არის ერთადერთი ვერსია. რასაც ეყრდნობა პროფ. მ. შენგელა. კერძოდ „ქრონიკების“ II ტომის 397 გვედზე 1520 წლის თარიღით ქვათახევის № 2 სიგელზე (საბუთზე) ასეთი წარწერა იკითხება: „მე ძემან: დიდისა: ფანასკერტელისა: ციცის: შვილისა: პატრონისა ზაზასა ძემან ცოდვილმან მერაბ... ამ საბუთების შესაბამისად მივყვეთ ქრონიკების დეტალურ ანალოზს. როცა 1465 წელს ზაზა ქართლში გადმოსახლდა. დაუშუათ 30-35 წლის მამაკაცი იყო. თუ კონიექტურა ზაზას დაბადებისა 1420-25 წლებია. მაშინ „დიდი ფანასკერტელი“ 40 წელზე მეტისაც ყოფილა (?). თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის მასალების მიხედვით 1558 წელს, სკიმონ მეფის მიერ გაცემულ მცხეთის სიგელი (№ 503 საბუთი) დაწერილია: „ხელითა ფანასკერტელ-ციციშვილის სახლუხუცესისა ზაზასითა“. ამ საბუთის მიხედვით ზაზას ასაკი ასეთია 1558—1465=93 წელი+30=123 წელი (?). ბუნებრივია 123 წლის კაცი შრომისუნარიანი ვერ იქნებოდა! ხოლო 1520 წელს დიდი ზაზა ფანასკერტელს სულ ცოტა 100 წლის მოხუცი მაინც იქნებოდა (თუ 1465 წელს, როცა ტაოდან ქართლში გადმოსახლდა 35 წლის იყო. ს. ს.). ესეც საკითხავია 1520 წელს იგი ცოცხალი იყო თუ არა? უფრო სწორი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ცოცხალთა შორის აღარაა, ვინაიდან ზაზას ვაჟი მერაბი დამოუკიდებლად მოქმედებს (?). მით უმეტეს, ტაოდან გადმოსახლების დროს, ზაზა შეიძლება 40 წელზე მეტისაც იყო (?). არის კიდევ ერთი საბუთი გელათისა, ნ. ანთაძის მიერ დაწერილი, რომელიც როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ეხება ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს: „ჩვენ და ბიძა ჩვენი ციცი გარდავაკიდენით... თქვენ იმათკენ დარჩით (ე. ი. 1691 წ. სულხან-საბა ორბელიანი ციციშვილების ერთი შტოს მხარეზეა, ს. ს.) „და ჩვენ ფანასკერტელმან-ციციშვილმან ფარსადან ძემან ჩვენმა მოლარეთუხუცესმა ბ. ვახტანგ მერაბიფეთუხუცესმა ბ. პაატამ ამიღბარ და შვილმა ჩვენმა ზაზამა“. ამ საბუთის მიხედვით 1691 წელს ფანასკერტელ-ციციშვილების ერთი შტო სთხოვს სულხან ორბელიანს (იგივე ორბელიანს. ს. ს.), გადავიდეს მათ მხარეზე და ზურგი

შეაქციოს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს. აქ სრული ალოგიკურობა იქმნება, თუ დისლოკაციას არ მოვახდენთ კარაბადინის ავტორსა „დიდ ზაზა ფანასკერტელსა“ და მომდევნო საუკუნეების ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს შორის, ვინაიდან $1691 - 1465 = 226 + 30 = 256$ (?) ე. ი. მეხუთე და შეიძლება მეათე თაობის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილზეა ლაპარაკი. კომპენტენტური. სპეციალისტების: პროფესორ კ. გრიგოლის და პროფესორ ილ. აბულაძის მიერ დადგენილია, რომ „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ XV საუკუნის მეორე ნახევარშია დაწერილი. ამას ადასტურებს არა მარტო პალეოგრაფიული მონაცემები, არამედ თვით მახარებელ II მაღალაძის მოღვაწეობა 1441 წლიდან. ამ თარიღს და შესაბამის ისტორიულ საბუთს ჩვენ ცალკე ქვეთავში შევვხებით. ცნობილია რომ „კარაბადინის“ 177 r და 219 v გვერდებზე მახარებელი იხსენიება „მჩხრეკელის“ და „მშრომელის“ ეპითეტებით. მაგრამ რომელი მახარებელ მაღალაძეა ეს ისტორიული პიროვნება? ამ საკითხზე პასუხის გაცემისათვის ცენტრალურ საისტორიო სახელმწიფო არქივში ჩვენ მიერ აღმოჩენილ იქნა მნიშვნელოვანი ორი საბუთი, რომლებმაც საშუალება მოგვცა პალეოგრაფიულად დაგვედგინა, რომ XIV-XV საუკუნის მიჯნაზე მოღვაწეობდა მახარებელ I მაღალაძე და XV საუკუნის მეორე ნახევარში კონსტანტინე მეფეთ-მეფის მდივან-მწიგნობარი მახარებელი II მაღალაძე. აი სწორედ მახარებელ II მაღალაძე არის საინტერესო პიროვნება საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიისათვის. „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ ჩვენი წინამორბედი მკვლევარების მიერ არ იყო მიღებული მხედველობაში ის გარემოება, რომ მაღალაძეების საგვარეულოში ორი სხვადასხვა მახარებელი მოღვაწეობდა, მაგრამ მათ ინტუიციით, პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის გარეშე ამოიცნეს, რომ ეს მახარებელი მაღალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელია. თუმცა მახარებელ მაღალაძეს მხოლოდ გადამწერის ფუნქცია მიანიჭეს ამ კარაბადინისა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მათ არ უწარმოებიათ კავთურას ხეობის ტერიტორიის და მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენის კვლევა-ძიება და რაც მთავარია, მათ ხელთ არ ჰქონდათ მახარებელ II მაღალაძის ხელით დაწერილი „ფანაშვილების გუჯარის“ დედანი. რამდენადაც ჩვენ მახარებელ მაღალაძეს მხოლოდ გადამწერის ფუნქციას ვანიჭებთ და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს ავტორობისას, ამ შემთხვევაში უნებლიეთ ვამცირებთ ამ ძეგლის სიძველეს და ხელოვნურად ვჭმნით შთაბუქდილობას, რომ ეს წიგნი XVI საუკუნეში დაიწერა (!), მით უმეტეს ამ საუკუნეში ნამდვილად მოღვაწეობდა არაერთი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. ამგვარი ვერსია თანდათან გვაშორებს ისტორიულ სინამდვილეს — ავტორთა ზუსტ ვინაობას ამ ხელნაწერზე. ფაქტია; რომ ყველა მონაცემების მიხედვით ეს ხელნაწერი XV საუკუნის II ნახევრის ძეგლია. თუ ზაზა, დაეუშვათ 1465 წელს 40 წლისა იყო (ეს ასაკი მაინც საორიენტაციოა, ვინაიდან ისეთი ავტორიტეტის მოპოვებას, როგორც ზაზა ფანასკერტელს ჰქონდა, მთლად ახალგაზრდა კაცი ვერ მოახერხებდა. თუნდაც ჯერ სამედიცინო განათლების მიღება და შემდეგ მკურნალობის ხელოვნების საქმეში შესაბამისი

გამოცდილების შექმნა. თანაც მეფეთ-მეფე კონსტანტინეს დაინტერესება, რომ ზაზა ტაოდან ქართლში გადმოსახლებულიყო და შუაგული ქართლის ვეებერთელა ტერიტორია საჩუქრად მიეღო? რა თქმა უნდა, ეს ფაქტი უსაფუძვლოდ არ მომხდარა (ამიტომ 40 წელი ასეთი წარმატების მისაღწევად მინიმალური ასაკი უნდა იყოს, ს. ს.). სრულიად მარტივი ლოგიკით გამოდის შემდეგი: 1558—1465=93 წელი, ამას პლუს ზაზას მინიმალური ასაკი 30 წელი, სავარაუდოა 40 წელი, გამოდის, რომ 1558 წელს იგი 123 წლის იყო, როცა დაწერა სვიმონ მეფის მიერ გაცემული სიგელი! კიდევ მეტი: 1648 წელს იგი 213 წლის ყოფილა, ხოლო 1661 წელს 246 წლის. ბუნებრივია, რომ აქ ადგილი ჰქონდა შთამომავლობით ქრონოლოგიურ ტრადიციულ მონაცვლეობას: ზაზა ქაიხოსროს *ცე* და *ა*. შ.. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელით და გვართ შთამომავლობით მონაცვლეობას, სადაც სამოღვაწეო-სავარაუდო ასაკის მაქსიმუმში 70-80 წლით უნდა განისაზღვროს. ასეთი მოსაზრება საესებით ბუნებრივია და ისტორიული დოკუმენტებითაც დასტურდება, რომ ტაოდან გადმოსახლებული ზაზა ფანასკერტელი, XV საუკუნეში ციციშვილად არ იყო დებოდა, ამას ადასტურებენ თვით ამ პირველადი წერილობითი წყაროს არსებზე ქარაგმული წარწერები: „მკუთნალი ზაზა ფანასკერტელის“ ეპითეტები, ხოლო, რაც მთავარია, ყინწვისის დამატებითი ეგვიპტის კედელზე, სამკუთნალო მცენარეებით დამშვენებულ ზაზას ფრესკულ გამოსახულებაზე გარკვევით იკითხება ასომთავრული წარწერა: „ფანასკერტელი ზაზა“. მაშასადამე, ქარაგმულ წარწერებსა და პირველად საბუთებში ზაზა ფანასკერტელი არსად იწოდება ავტორად, მით უმეტეს, ციციშვილად. მოვიყვანოთ ყველა ქარაგმული წარწერების შინაარსი: „სამკუთნალო წიგნი — კარაბადინიდან“: 177r გვერდის ტექსტის მეორე ნაწილი ზაზასადმი მიმართული სიტყვებით იწყება მთავრულად დაწერილი: „ქრისტე ღმერთო, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი ფანასკერტელი ზაზა, ამინ“.

ამავე 177-ე გვერდზეა II ქარაგმული ხუცური წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე მჩხრეკალი ამისა უღირსი მახარებელი, ამინ“.

მაშასადამე 177 რექტო გვერდზე ზაზა ფანასკერტელი „ბრძენთმთავრის“ ეპითეტით იხსენიება, მახარებელ ოქროპირის-ძე მალაქაძე „მჩხრეკალის“ ეპითეტებით.

215-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ქრისტე ღმერთო, აღიდე შენმიერთა ფანასკერტელი ზაზა“.

329-ე გვერდზე წერია: „ქრისტე ღმერთო, აღიდე პატრონი ჩვენი ზაზა მკუთნალი“.

339-ე გვერდზე: „ქრისტე ღმერთო, აღიდე ფანასკერტელი ზაზა ამინ“ და 391-ე გვერდზე: „ქრისტე აღიდე პატრონი ზაზა ფანასკერტელი“. ამ სინგური წარწერების შინაარსის მიხედვით ცხადია ზაზა ფანასკერტელის უპირატესობა მახარებელ მალაქაძესთან შედარებით, მაგრამ ავტორად ამ ხელნაწერზე არც ერთი და არც მეორე არ მოიხსენიება, მით უმეტეს ზაზა ფანასკერტელი ციციშვილად პირველად წყაროში XV საუკუნეში არსად ნახსენები არ არის (?),

ხოლო 1538 წლიდან არაერთი ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილია მოხსენიებული ისტორიულ წერილობით წყაროებში.

1959 წელს დოც. მ. შენგელია თავისი გამოკვლევის მე-12 გვერდზე წერს: „მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელნაწერი უეპველად XV საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება“ და იქვე „უფრო უზუსტად ამ საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებს“. მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძის შესახებ ჩვენ ხელთ არსებული საბუთების მიხედვით შეიძლება გავიზიაროთ მოსაზრება, რომ ხელნაწერი განეკუთვნება XV საუკუნის II ნახევარს. მაგრამ არ არის გამორიცხული ეს ხელნაწერი 70-80-იან წლებში, რომ დაწერილიყო. სავარაუდოა ისიც, რომ XV საუკუნის 70-80-იან წლების ბოლოს, როგორც საბუთებიდან ირკვევა ერთმანეთს დაუკავშირდნენ მახარებელი ოქროპირის-ძე მაღალაძე და ტაოდან გადმოსახლებული ზაზა ციცის ძე ფანასკერტელი. სავარაუდოა, რომ 60-70-იან წლებში „ჯვარის-მტვირთველი“ და სვეტიცხოვლის „ქადაგი“ მახარებელ II მაღალაძე ზაზა ფანასკერტელის თანატონილი იქნებოდა. ან კიდევ მეორე ვერსია: XIV—XV საუკუნის ფსევდოგვანგელისტ მახარებელ I მაღალაძეს XV ს-ის II ნახევარში ჰყავდა შთამომავალი ოქროპირი და მას შვილი მახარებელი. მახარებელი, რომ ოქროპირის ძეა და არა ივანიას ძე ეს ჩვენ უკვე დავადგინეთ, მაგრამ ვერსია, რომ ორი სხვადასხვა მახარებელ მაღალაძე მოღვაწეობდა, ამ ხელნაწერზე მომუშავე პირველი მკვლევარების მიერ საერთოდ არ იყო მიღებული მხედველობაში პროფესორები: ილია აბულაძე, კოტე გრიგოლია. მიხეილ სააკაშვილი და დავით მამათვარიშვილი მხოლოდ ერთადერთი ისტორიული პიროვნების, მახარებელ მაღალაძის მოღვაწეობას აღიარებენ, ხოლო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. მ. შენგელია მახარებელ „ივანიას ძე“ მაღალაძის მოღვაწეობას აღიარებს, რაც აშკარად მცდარია და მახარებელი ივანიას-ძე მაღალაძე, ასეთი მოღვაწე XV საუკუნეში ფიზიკურად არ ჩანს. ამის დამამტკიცებელი პირველადი წყაროები ჩვენ ხელთა გვაქვს (!) აქ ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი სავარაუდო დეტალი, რომლის საფუძველზე უნდა გაირკვეს, ზაზა ფანასკერტელი „ციციშვილის“ დამატებითი გვართ „სამკურნალო წიგნ—კარაბადინის“ ავტორი იყო თუ არა? ამის გარკვევისათვის ფრიად საინტერესოა, როდის მომხდარა ფანასკერტელების გვარში ციციშვილების განშტოება? ისტორიული წყაროების მიხედვით ეს მომხდარა 1538 წელს ზაზა ფანასკერტელის უფროსი ვაჟის ქაიხოსროს ინიციატივით. (საბუთში ზაზას ვაჟიშვილებს ჩამოთვლა ქაიხოსროთი იწყება: ქაიხოსრო, გიორგი, სიოში, მერაბი და ზაქარია. ამიტომ ბუნებრივია, ქაიხოსრო ფანასკერტელი ზაზას უფროსი ვაჟიშვილია. ს. ს.) „ამიერიდან (ე. ი. 1538 წლიდან. ს. ს.) ისინი, წერს პროფ. კ. გრიგოლია (ფანასკერტელების. ს. ს.) ისტორიულ წყაროებში მხოლოდ ამ სახელით (ციციშვილებად ს. ს.) არიან ცნობილი“. ამის დამამტკიცებელია H № 1698 მარხვანის 131 ვერსო გვერდზე დაწერილი საბუთი, რომლის საფუძველზე 1538 წ. „ქაიხოსროს ბრძანებითა“

„ფრიად ცოდვილი გრიგოლი“ წერს ასეთი შინაარსის ანდერძის წიგნს: „დაიწერა კელითა ფრიად ცოდვილისა გრიგოლისათა. სამცხეს აწყურის დ-თის მშობლისა სამკვიდრებელსა, აწყურისა ქალაქსა და მონასტერსა და სახელგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილისა“ (ამ ფრაზას უზის თარიღი 1538 წლიდან აწ ციციშვილისა, ს. ს.) პატრონის სულეუთხეულის ზაალის შვილის პატრონისა ქაიხოსროს ბრძანებითა“. როგორც აქედან ჩანს, 1538 წელს ისინი უკვე ფანასკერტელები კი არა, არამედ ციციშვილები ყოფილან“, — დაასკვნის პროფ. კ. გრიგოლია.

ამ პრინციპულ საკითხებს ჩვენ კვლავ ცალკე ქვეთავში შევეხებით და დავსაბუთებთ 4 პირველადი წყაროს მოშველებით, ვინაიდან ისტორიული სინამდვილე საბოლოოდ იქნეს გარკვეული, დადასტურებული და გაზიარებული. ბუნებრივია, იზადება კითხვა, რამ განაპირობა ფანასკერტელების გვარში ციციშვილების განშტოების წარმოშობის აუცილებლობა?

„ქართული სამართლის ძეგლებში“ დაცულია არაერთი საბუთი იმის შესახებ, რომ მატერიალურ ფასეულობისა და მიწის ნაკვეთზე არაერთხელ წამოჭრილა დაეა ფეოდალ ფანასკერტელ-ციციშვილებს შორის, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ნივთი, ეკლესიის შენობა, ან მიწის ნაკვეთი? და იყო მათ შორის გაუთავებელი შინაური ომები. ბუნებრივია ქაიხოსრო ზაზას ძე ფანასკერტელი, როგორც უფროსი ვაჟიშვილი, დაინტერესებული იქნებოდა ფეოდალური მონოპოლიების შენარჩუნებით. ამიტომ ალბათ ციცი ფანასკერტელის შვილიშვილმა გამოიჩინა ინიციატივა და იზრუნა ფანასკერტელთა გვარში ციციშვილების განშტოების წარმოშობისათვის. სავარაუდოა, რომ მის უფროს ვაჟიშვილს ერქვა ზაზა, რომელიც 1558 წ. იხსენიება, სახლთუხუცესის თანამდებობაზე და, შესაძლებელია, (საბუთებშიაც ასე ჩანს. ს. ს.) იგი იყო პირველი ზაზა ფანასკერტელი, დამატებითი გვარით — ციციშვილი. ყოველ შემთხვევაში პირველადი ისტორიული საბუთებით ასე ჩანს. და ამიტომ სავსებით ბუნებრივია ასეთი დასკვნის გამოტანა: 1465 წელს ტაოდან ქართლში გადმოსახლებისას ქაიხოსრო, ზაზას უფროსი ვაჟიშვილი, 10 წლის რომ ყოფილიყო, მაშინ 1538 წელს იგი იქნებოდა $35 + 38 = 73 + 10 = 83$. 83 წლის ქაიხოსრო ფანასკერტელის უფროსი ვაჟიშვილი 1558 წელს სავსებით შესაძლებელია სახლთუხუცესი ყოფილიყო. რომელიც სულ ცოტა 50 წელს მიტანებული მამაკაცი იქნებოდა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ — ქაიხოსრო ფანასკერტელის უფროსი ვაჟი ზაზა არის „პირველი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი“, რომელიც იყო ალბათ ტაოდან ქართლში გადმოსახლებული ზაზა ციციშვილის ძე ფანასკერტელის შვილიშვილი და პირველი ციციშვილი XVI საუკუნის 30-40-იან წლებში. ციციშვილების განშტოება. როგორც ჩანს, ნაკარნახევი იყო ფეოდალური მემკვიდრეობის შენარჩუნებით ამა თუ იმ ისტორიულ საფეოდალო რეგიონზე, ასევე საეკლესიო ნაგებობაზე ფეოდალური პრივილეგიის იურიდიულად შენარჩუნებისა და დაკანონებისათვის.

„ბრძენთმთავარი“ და „მკურნალი“ „ზაზა ციციშვილი ფანასკერტელის“ საშვილიშვილო მოღვაწეობაზე სხვა ამაგიც მიგვანიშნებს. ხელნაწერი „სწავლა-

ნი იოანე ოქროპირისა“—ზე მზრუნველობა, რომელიც შთამომავლობას მისი ზრუნვის შედეგად შემორჩა. ქალაქის ტექნოლოგიურად დამუშავების ტრადიციის, პალეოგრაფიული მონაცემების და ხელნაწერის კალიგრაფიული სტილის მონაცემების ანალიზის მიხედვით, ეს საკითხი შესწავლილი აქვს საქარელოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ე. მეტრეველს, რომელიც ამ ხელნაწერს XV საუკუნით ათარილებს და გვაწვდის ამ წერილობითი წყაროს 190-ე გვერდის არშიაზე ქარაგმული წარწერის გაშიფრულ ასეთ შინაარსს:

„აღიღე, ღმერთო, ბატონი ფანასკერტელი ზაზა ორთავე ცხოვრებითა“... „ეს წიგნი ყოველივე ბატონმა ზაზამ შემოჰკრიბნა“. მასასაღამე. ზაზა ფანასკერტელი არა მარტო სამედიცინო კარაბადინის — ფარმაკოპეის შექმნის ინიციატორია, არამედ იგი ამდიდრებს მშობლიური მხატვრული ლიტერატურის ფონდს სხვა ძველი მხატვრული ლიტერატურით, კერძოდ, „სწავლანი იოანე ოქროპირისა“, მან „შემოჰკრიბნა“ და შემოგვინახა. ზაზა ქეშმარიტად ბრძენთმთავარია და ისტორიული ფაქტის მიხედვით კოლექციონერი მწიგნობარი, საკუთარი წიგნთსაცავის და რელიკვიური ძველი ხელნაწერი წიგნების შთამომავლობისათვის შემონახვის დაუცხრომელი მებრძოლი, „ერისთავთ-ერისთავი“, „ღიღი ფანასკერტელი“, „მკურნალი“, „ჩვენი პატრონი“. ამ ეპითეტების მიხედვით აშკარად იგრძნობა ზაზა ფანასკერტელის უპირატესობა, მახარებელ მალაქასთან შედარებით, მაგრამ როგორც ავტორი იგი არ მოიხსენიება არც ქარაგმულ წარწერებში, და არც ერთ წერილობით წყაროში, მით უმეტეს „ციციშვილად“ — XV საუკუნის არც ერთ წერილობით წყაროში. მაგრამ ზაზა ფანასკერტელის პრივილეგიების შესახებ სხვა დოკუმენტები მეტყველებენ, რომელიც გამოკვლეული და გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომებში.¹ 95-დან 110 გვერდამდე დ. ბერძენიშვილის შრომაში „ფანასკერტელთა საგვარეულოს ისტორიიდან“, რომელიც ეხება 1958 წლის ქართლის ექსპედიციის მონაპოვართა შორის სოფელ ქვემო წერაქვიდან უცნობ წარწერებს, სადაც ნახსენებია „ღიღიან ფანასკერტელმან“, ხოლო ამ ნაშრომის 105 გვერდზე ავტორი საკითხს ასეთნაირად სვამს: „როდისღა გახდნენ ფანასკერტელები ციციშვილებად?“ და იქვე ასეთი პასუხია: „ცხადია გვარი მოდის სახელი „ციცი“დან, რომელიც, ალბათ, მამამთავრი იყო ფანასკერტელთა ქართლში გადმოსული ერთი შტოსი, განსხვავებით იმ ფანასკერტელებისაგან, ტაო-შავშეთში რომ შემორჩნენ თავის მკვიდრ მამულსო“. აქედან ირკვევა რომ ქართლში გადმოსახლებული ფანასკერტელები ფეოდალურად პრივილეგირებული პირები არიან, რომელთა შორის გამოირჩევა ზაზა ფანასკერტელი, ასევე მოხსენიებული არიან ზაზა ფანასკერტელის ვაჟიშვილები: ქაიხოსრო, გიორგი, სიაოში, მერაბი და ზაქარია, მაგრამ ქვემო ქართლის ფანასკერტელებს შორის ყველაზე გამოჩენილი პიროვნება და ცენტრალური ფიგურა მაინც „ღიღი ფა-

¹ „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. I ტომი.

ნასკერტელი ზაზა“. არის მასალები, სადაც ციცი ზაზას ძმად იწოდება; ხოლო სხვა ისტორიული წყაროების მიხედვით და პროფ. მ. შენგელიას აზრით, ციცი ზაზას მამაა, პროფ. მ. შენგელიას მოსაზრება თითქოს ფანასკერტელების გვარის განშტოებისას XV ს. ზაზა ფანასკერტელი „პირველი ციციშვილია“, დამტკიცებული არ არის. საამისო არგუმენტირებული საბუთი, რომ „დიდი ზაზა ფანასკერტელი“, „მკურნალი ზაზა ფანასკერტელი“ „ციციშვილიც“ არის, XV საუკუნეში ამის დამამტკიცებელი პირველადი ისტორიული წყარო ჭერჭერობით არ ჩანს (?). ხოლო ლიტერატურულ ნარკვევებში რატომღაც ავტორები არ ითვალისწინებენ გრიგოლ კალიგრაფის მარხვანს (H — 1698). „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ კი XV საუკუნის ნაწარმოებია. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში 1520 წელს უკვე იხსენიება ფანასკერტელების გვარში ციციშვილების განშტოება, მაგრამ ეს ხომ უკვე XVI საუკუნეა? ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ზაზა ფანასკერტელის ისტორიული ღვაწლი საქართველოს ისტორიაში ეხინდება, პირიქით, ზაზა ფანასკერტელი მზოგრეთში მცხოვრები ციციშვილების უშუალო წინაპარია და ეს საკითხი დავას აღარ იწვევს, მაგრამ ზაზა ფანასკერტელი დამატებითი გვარით „ციციშვილი“ XV საუკუნეში არ იწოდებოდა. ზაზას ბიოგრაფიულ ცნობებს ნათელს ჰფენს მისივე მრავალასპექტიანი მოღვაწეობა, არის წერილობითი წყაროები, სადაც მას, უწოდებდნენ „შეიქურტლეთუხუცეს“, „ერისთავთ-ერისთავს“, „დიდ ფანასკერტელ ზაზას“ და „მკურნალს“. ზაზა ფანასკერტელი იმავე დროს, არის მხედართმთავარი, სამხედრო მოღვაწე „ჩვენი პატრონი“ ხუროთმოძღვარ-არქიტექტორი, საეკლესიო ნაგებობათა აღმშენებელი და რესტავრატორი. XV საუკუნის II ნახევარში მისივე ზრუნვით არის წმინდა ნიკოლოზის, იგივე ყინწყვისის ეკლესია რესტავრირებული და ეკლესიაზე მიშენებულია დამატებითი ეგვტერი, სადაც კედელზე ფრესკული ხელოვნების იშვიათი სინატიფით არის გამოსახული „ფანასკერტელი ზაზა“. ეს იკონოგრაფიული ფრესკა ეკლესიის მაკეტით ხელში თავისთავად მრავლისმეტყველია, ფრესკიდან მარცხნივ ასომთავრული წარწერაა „ფანასკერტელი ზაზა“, მაგრამ არსად ამ პირველად წყაროში გვარი „ციციშვილი“ არ იხსენიება. წარწერა თავისთავად ქარაგმულია, ვინაიდან გვარში „რაე“ გამოტოვებულია და, რაც მთავარია, დღემდე არავის გაუმახვილებია ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან დეტალზე. ფრესკის ირგვლივ მოხატულია სამკურნალო მცენარეები: ვარდკაქა, ბროწეული და დამამძინებელი ყაყაჩო — ხაშხაში, რაც შემთხვევით მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. იგი საქართველოს „საეკლესიო მედიცინის“ მკურნალობის სიმბოლიკის გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება უნდა იყოს. ასევე, ზაზას ტანსაცმელი ასკილის ყვავილის მსგავსი ყვავილებითაა მოჩითული, რაც საყურადღებო დეტალია! ზაზა ფრესკაზე გამოსახულია ეკლესიის მაკეტით (მარცხენა ხელით უჭირავს) ხოლო მარჯვენა ხელით ვედრების პოზაშია. ეს კი რელიგიის ბატონობის და შუა საუკუნეების ე. წ. „საეკლესიო მედიცინის“ ჰერალდიკით ან სიმბოლიკით უხდა აინხნას. ზაზა ხანდაზმულობის ასაკში ბერად ხომ არ აღიკვეცა?

ზაზამ ჩაატარა სოფელ წერაქვის დარბაზული ტიპის ორნავიანი ეკლესიის

შენობის სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის მაცნეა ასომთავრულით ქვაზე ქარაგმული წარწერა, სადაც უპირატესობა ენიჭება ფრაზებს: „მეო ხელობითა... ვიწყე მე... დიდმან ფანასკერტელმან...! მეორედ განახლება(დ)... საჭიროდ და სამლოცველოდ“... ასეთნაირად გაშიფრულ ტექსტს გვაწვდის ზემოთ დასახელებული კრებულის 97-ე გვერდზე მკვლევარი დ. ბერძენიშვილი. ეს ყველაფერი ჩვენ უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ზაზა ფანასკერტელი არა მარტო „მკურნალი“ და „ბრძენმთავარი“ იყო, არამედ მრავალმხრივ ერუდირებული, შუა საუკუნეების უგანათლებულესი პიროვნება, მხედართმთავარი, ხუროთმოძღვარი-არქიტექტორი, აღმაშენებელი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მწიგნობარი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, საქართველოს გაერთიანებებისათვის მებრძოლი, შემთმეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის ერთგული, მისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის თავდადებული მებრძოლი, მემამულე ფეოდალი, მიწათმოქმედი, აბანოებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებელი, ქველმოქმედი, მეცენატი, სასიკეთო საქმეთა მოთავე, წინამძღოლი, ფართო მასშტაბის ერუდირებული, მრავალსაპექტიანი ენციკლოპედისტ-განმანათლებელი ერისთავთ-ერისთავი. მისი მთავარი კრიტერიუმი მაინც ავადმყოფთა მკურნალობაა, რომლის მკაფიო დამადასტურებელი დოკუმენტია კარაბაღინის — ფარმაკოპეის ორიგინალურად შედგენის ფაქტი. იგი ამ წიგნის შედგენის ინიციატორი და კონსტრუქტორია. ტრადიციების მიხედვით საფიქრებელია, რომ „ერისთავთ-ერისთავი“, „პატრონი ზაზა“ ამ წიგნის დამკვეთი მომგებელი ავტორია და მახარებელ მაღალაქე თანავტორი მწერალი. ასეთი შემთხვევები იშვიათად როდი ხდებოდა შუა საუკუნეებში, მაგრამ ანალოგიური ფაქტებისაგან განსხვავებით ზაზა ფანასკერტელი „მკურნალია“ და ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ იგი დამკვეთ მომგებელთან ერთად 360 გვერდის უშუალო დამწერი იყო. ზაზა ციციძე ფანასკერტელი, ანუ „დიდი ზაზა ფანასკერტელი-მკურნალი“, ასე უნდა შევიდეს იგი საქართველოს მედიცინის ისტორიაში.

მისი სამედიცინო მეცნიერული მემკვიდრეობა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული, იგი კარგად იცნობდა წინამორბედთა: ქანანელის, ხოჯაყოფილის, ბერძენი პიპოკრატეს, რომელი გალენის და მსოფლიო მედიცინის სხვა კლასიკოსთა შრომებს. თუ იცნობდნენ ზაზა და მახარებელი ავიცენას. რომელიც ქართულ სამედიცინო ხელნაწერში „სინაისძე აქიშად“ არის ცნობილი?

თუ, სინაისძე აქიში“ XV საუკუნეში სხვა ეპითეტითაც იხსენიებოდა ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში, ამის გარკვევა ამჯერად ვერ მოხერხდა, რაც მომავალი კვლევა-ძიების საგანია.

„სამკურნალი წიგნი — კარაბაღინში“ მოცემულია ცნობები: შინაგან სნეულებათა და სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკის, ეტიოლოგიის, პედიატ-

¹ სოფელ წერაქვის ორნაინი ბაზილიკის ასომთავრული ქარაგმული წარწერა ოიგით IV პირველადი წყაროა, სადაც ზაზა XV საუკუნეში „ციციშვილის“ დამატებითი გვართ არ მოიხსენიება — ს. ს.

რიის, ემბრიოლოგიის, დერმატოლოგიის, ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკის, თერაპიის, ქირურგიის, ონკოლოგიის, დიეტეტიკის, ფარმაკოგნოზის, ფარმაკოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიის, კოსმეტოლოგიის შესახებ, წიგნში ნახსენებია სხვადასხვა სამედიცინო იარაღები, შესახვევი მასალები და საერთოდ, მოცემულია „კაცთა ყველა ქირის“ და „თავით თმითგან ვიდრე ფერხისა ფრჩხილთამდი“ სამკურნალო რეკომენდაციები. წიგნში წინა პლანზეა წამოწეული დაავადებათა საწინააღმდეგო სამკურნალო წამლის ფორმების ნაირსახეობათა მომზადება, რაც ავტორთა ფართო ჰორიზონტსა და ენციკლოპედიურ განსწავლულობაზე მეტყველებს.

თუ რას წარმოადგენს ეს სამედიცინო ხელნაწერი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ წამალთმცოდნეობის თვალსაზრისით, ამ მხრივ, ჯერ-ჯერობით საქართველოს მეცნიერული ფარმაციის არცერთ წარმომადგენელს თავისი მოსაზრება წერილობით არ გამოუთქვამს. ეს მაშინ, როცა საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიაში ფარმაკოპეის და კარაბადინის იდენტურობის საკითხიც კი ჯერჯერობით გაურკვეველია, რომ არაფერი ვთქვათ სხვა უფრო მნიშვნელოვან გლობალურ საკითხებზე.

„ფარმაკოპეის“ და „კარაბადინის“ იდენტურობის საკითხი მეცნიერულად დაასაბუთა მსოფლიო მედიცინის ისტორიის სისტემატიკოსმა, გერმანელმა მეცნიერმა კურტ შპრენგელმა თავისი ხუთტომიანი განთქმული შრომის II ტომის 347-ე გვერდზე „გამოყენებითი სამკურნალო ხელოვნების ცდის ისტორია“ (პალე, 1800 წელი), მანვე დაადგინა, რომ არაბულ ენაზე პირველი კარაბადინი, ანუ ფარმაკოპეა დაიწერა IX საუკუნეში საბორ იბნ საჰელის მიერ, ხოლო XII საუკუნეში არაბეთის ყველა აფთიაქისათვის სანიმუშო კარაბადინი დაწერა ქ. ბლდადის ქრისტიანული სკოლის ეპისკოპოსმა თალმიდმა.

საქართველოს მედიცინის ისტორიის სისტემატიკოსის ლალო კოტეტიშვილის სიტყვებით: „კარაბადინი“ — არაბული სიტყვაა და ნიშნავდა ფარმაკოპეას, ანუ წამლების დამზადების წესების შემცველ წიგნს“. მას მხედველობაში ჰქონდა „უსწორო კარაბადინი“ და ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოი“.

„სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“ განსაკუთრებული სტრუქტურისაა და სათაურიდანვე ჩანს, რომ სამკურნალო წიგნისა (ქართულად) და კარაბადინის (სემიტურად) უნიკალური სინთეზია.

იგი ორიგინალურად შედგენილი ფარმაკოპეა გახლავთ. რომელშიც რეკომენდებულია მრავალფეროვანი წამლის ფორმების მომზადების მეთოდები. ასე, მაგალითად: თრიაყები, ანუ მოწამვლია სწინააღმდეგო ანტილოტების ე. წ. „მითრიდატუმის“ მომზადება, როგორც ადაპტაციის, შეგუების, შეჩვევის და შხამის გასანეიტრალებელი ანტილოტური საშუალება, რომელიც შემდგომში ევროპის ქვეყნების ბევრ სახელმწიფო ფარმაკოპეებსაც ამშვენებდა. მეომრები და თვითონაც რომ შეჩვეულნი, ადაპტირებულნი ყოფილიყვნენ ამგვარი შხამების მიმართ, ასეთნაირ ანტილოტებს საკუთარ თავზე ცდიდნენ. კარგადაა ცნობილი პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი (132-63), რომლისგანაც წარმოდგება სახელწოდება — „მითრიდა-

ტუმი“. მისი მომხადების საიდუმლოებას, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ შუა საუკუნეების დიდი ქართველი ენციკლოპედისტი-მკურნალი ზაზა ფანას-კერტელი და სატაძრო მედიცინის ქურუმი მახარებელ მაღალაძე.

წამლის სხვადასხვა ფორმებიდან აღსანიშნავია: კვერაყები ანუ აბები, მაჯუნი, ანუ წამლის წამალი, ფანჯანოში, ანუ მაჯუნის სახესხვაობა, ლათი, სან-თლები, გუარიშნი, ანუ კუქის სამოქმედო საშუალებები, იარაჯი, ანუ თავლზე დამზადებული მოსქო კონსისტენციის შიგნით მისაღები და გარეგანი შესაზელი წამალი, მატბუხი, ანუ რთული წამლის ფორმა, აბის სახესხვაობა შიადი, ყურ-სები ანუ ტაბლეტები. სალოკელნი, აკარსლი, ანუ კუერნი, ლინიშენთი, ანუ შე-საზელი წამალი, მცენარეული ზეთები, სიქანგუბანი — ლეიძლის წამალი, ში-ადების სახესხვაობა — ფათლზე მომზადებული ნახარში, სხვადასხვა ენდო-კრინული ორგანოთერაპიული პრეპარატები, შარბათები, ანუ ტკბილი ბადა-გი-სირაფები, მწნილები — მცენარეული ნაყოფისაგან დამზადებული კუქ-ნაწლავის დიეტური საყვები, სალბუნი — მალამო, ანუ საცხი, მულლაბი სით-ხოვანი წამლის ფორმა, რომელიც ოპიუმს შეიცავდა, იყენებდნენ აგრეთვე სამედიცინო წურბლებსაც. ტლემბა შიგან განხვევას — კომპრესს, ღვინო ერთ-ერთ წამლად არის ნახსენები. ნახსენებია აგრეთვე რთული და მარტივი ფხვნილები.

„სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“, რომელიც შეისწავლეს და გამოკვლევე-ბი დაურთეს პროფესორებმა ი. აბულაძემ და კ. გრიგოლიამ, II ნაწილი 1950 წელს გამოიცა მ. სააკაშვილის რედაქციით, ხოლო 1959 წელს დოცენტ მ. შენ-გელიას გამოკვლევით და პროფ. დ. მამამთავრიშვილის რედაქციით, 1978 წელს კვლავ გამოიცა გაერთიანებულის სახით (გამომცემლობა „საბჭოთა საქართვე-ლო“) პროფ. მ. შენგელიას გამოკვლევებით, კომენტარებითა და რედაქციით, საგულისხმოა, რომ ამ გამოცემაზე თანდართული სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი ეკუთვნის პროფესორ იუსტინე აბულაძეს, რომელმაც იცოდა ირა-ნული და ნაწილობრივ არაბული და არა პროფ. მ. შენგელიას — როგორც ეს არა სწორად ამ გამოცემის სატიტულო გვერდზეა აღნიშნული. ამ პუბლიკა-ციაზე თანდართულ ნასარგებლებ ლიტერატურაში, ირანისტ პროფ. იუსტინე აბულაძის ნაცვლად, არმენოლოგი პროფ. ილია აბულაძეა მითითებული. ავ-ტორმა ლექსიკონის შემდგენელი ირანისტი ვერ გაარჩია არმენოლოგისაგან (?).

უნიკალურ ხელნაწერს „სამკურნალო წიგნი — კარაბადინს“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მედიცინის ისტორიაში და მისი დეტა-ლური მეცნიერული ანალიზი თანამედროვე სამედიცინო სამყაროს მუშაკების შეუწელებელი ზრუნვის საგანია.

„მკურნალი ზაზა ფანასკერტელი“ იხსენიებოდა თუ არა

XV საუკუნეში „ციციშვილის“ ლამაზბიტი გვარით?

ამ კითხვას პასუხი უნდა გაცეს ჩვენამდე მოღწეულმა იმ პირველდამა ისტორიულმა წყაროებმა, რომლებიც XV საუკუნით თარიღდება. ასეთი ერთ-ერთი უპირველესი საბუთი გახლავთ აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ვაჩიხორის მღვიმეში მიგნებული სიგელ-გუჯარი გაცემული მეფეთ-მეფე კონ-

სტანტინე II ბაგრატიონის მიერ 1465-67 წლებში, ზაზა ფანასკერტელის ტაო-კლარჯეთიდან შუა ქართლში გადმოსახლების შესახებ¹.

ამ სიგელ-გუჯარში ზაზა ორჯერ არის ნახსენები: „ჩუენსა თავადს ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა: ქაიხოსროს, გიორგის, სიოაშს, მერაბს და ზაქარიას“. გრაგნილის მეორე ადგილას ვკითხულობთ: „თქვენ ჩვენსა ერთგულსა თავადს ფანასკერტელსა ზაზას“... ეს პირველადი წყარო დაწერილია „ქელითა მდივან-მწიგნობრისა თუშანიშვილსა უღირსისა საბრალოს ზაქარიასითა“. როგორც ხედავთ ზაზა ფანასკერტელი ამ პირველად საბუთში არ იწოდება ციციშვილის დამატებითი გვარით. ამ საკითხის გარკვევისათვის მეორე და მნიშვნელოვანი პირველადი წყარო გახლავთ უნიკალური სამედიცინო ხელნაწერი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“². 1950 წელს ამ ხელნაწერის II ნაწილის გამოცემისას: პროფ. ი. აბულაძე, პროფ. კ. გრიგოლია, პროფ. მ. სააკაშვილი სამართლიანად აღნიშნავენ ზაზა ფანასკერტელის ღვაწლს ხელნაწერის შექმნის თაობაზე, მაგრამ მათ დასრულებული და დამტკიცებული დებულებას ხელნაწერის ავტორის შესახებ არ ჩამოუყალიბებიათ. მათი აზრით ზაზას ავტორობის ვერსიას აძლიერებს „ბრძენთმთავრისა“ და „მკურნალის“ ეპითეტები, ხოლო „ციციშვილის“ დამატებითი გვარის შესახებ კი ისინი საერთოდ არაფერს არ წერდნენ.

ზაზა ფანასკერტელი, რომ თითქოს ციციშვილადაც იწოდებოდა XV საუკუნეში ამ მოსაზრებას აშკარად გამოთქვამს პროფ. მ. შენგელია. სანამ ჩვენ ღრმად ჩაეწვდებოდით ამ პირველად წყაროებში, თავადაც ასე გვეგონა და კრიტიკული გაანალიზების გარეშე ბრმად ვიზიარებდით პროფ. მ. შენგელიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კარაბადინის ფურცლებზე სინგურად ქარაგმულ ასომთავრულ, ხუცურ და მხედრულ წარწერებში არაერთხელ ნახსენები ზაზა ფანასკერტელი თითქოს „ციციშვილის“ ზედწოდებითაც იხსენიებოდეს XV საუკუნის ისტორიულ წყაროებში.

აი რას წერს პროფ. მ. შენგელია 1978 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტამბულ „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ თანდართული აპარატის ტექსტში მე-11 გვერდზე, ტექსტში ვკითხულობთ:

„ხელნაწერი თავნაკლულია, მაგრამ მისი მეორე ნაწილის დასაწყისი აშკარად მიუთითებს ავტორის ვინაობაზე. გარდა ამისა თვით ტექსტში რამდენჯერმე არის განმეორებული ზაზას სახელი „მკურნალისა“ და ბრძენთმთავრის³ ეპითეტებით“. აქვე შევნიშნავთ, რომ „ბრძენთმთავრის“ ეპითეტით ზაზა მხოლოდ ერთხელ იხსენიება 177 რეჟტო გვერდზე, აი ეს წარწერაც: „ქრისტე ღმერთო აღიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი ფანასკერტელი ზაზა ამინ“. სხვა წარწერებში არსად არ მეორდება სიტყვა „ბრძენთმთავარი“. ხელნაწერის 215-ე გვერდზე ცალკე სტრიქონად სინგურად ხუცურად ვკითხულობთ: „ქრისტე ღმერთო აღიდე შენმიერთა ფანასკერტელი ზაზა“.

¹ იხილეთ სცს არქივის დედნების ფონდი № 1448, საბუთი № 64.

² ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q № 877.

329-ე გვერდზე მხედრულად სინგურად სწერია: „ქრისტე აღიღე პატრონი ფანასკერტელი მკურნალი ზაზა“.

339- გვ. ცალკე სტრიქონად მხედრულად სინგურად წერია: „ქრისტე ღმერთო აღიღე პატრონი ჩუენი ზაზა მკურნალი“.

385-ე გვერდზე დამწერის ხელით (მასარებლის ხელზეა ლაპარაკი, ს. ს.) წერია: „ქრისტე აღაღე პატრონი ფანასკერტელი ზაზა“.

აი ყველა წარწერები ზაზა ფანასკერტელის შესახებ ამ პირველად წყაროში. როგორც ხედავთ აქ წერია: „ბრძენთმთავარი ზაზა ფანასკერტელი“, „ფანასკერტელი ზაზა“, „პატრონი ფანასკერტელი მკურნალი ზაზა“, „პატრონი ჩუენი ზაზა მკურნალი“ და „პატრონი ზაზა ფანასკერტელი“. არსად „ციციშვილი“ დამატებითი გვარით ფანასკერტელების გვერდით აქ არ იხსენიება. მხოლოდ ზაზა „მკურნალის“ ხედწოდებით ორჯერ არის ნახსენები ამ პირველად წყაროში. მიუხედავად იმისა, რომ კარაბადინის გვერდებზე დატულ, ზემოთ ჩამოთვლილ ამ წარწერების შინაარსს იცნობს პროფ. მ. შენგელია, მე-12 გვერდზე ის მაინც ასეთი შინაარსის „დასკვნას“ აკეთებს: „ამგვარად, ხელნაწერმა, გარდა იმ დროის ღრმა მეცნიერული სამედიცინო ტრაქტატისა, შემოგვინახა დიდი ქართველი ექიმის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელიც“. მკითხველი ადვილად რწმუნდება, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პირველად წყაროებში „მკურნალი ზაზა ფანასკერტელი“ არსად „ციციშვილის“ დამატებითი გვარით არ იხსენიება. განა შეიძლება მუხრანის ბაგრატიონების შტოს წარმომადგენელი ვახტანგ V შახნავაზი XVI საუკუნეში საქართველოს მეფე იყო? ეს ხომ ისტორიული ფაქტის უგულებელყოფაა?

ჩვენი ყურადღება მიიქცია ყინწვისის დამატებით ეგვტერში დაცულმა „ზაზა ფანასკერტელის“ იკონოგრაფიულმა ფრესკამ, რომელიც სამკურნალო მცენარეებით არის დამშვენებული. აქაც ასომთავრული ქარაგმული წარწერა აშკარად გვიდასტურებს, რომ „ფანასკერტელი ზაზა“ XV საუკუნეში „ციციშვილის“ დამატებითი გვარით არ იხსენიებოდა. მაშ საიდან აკეთებს პროფ. მ. შენგელია დასკვნას, რომ მკურნალი ზაზა ფანასკერტელი ციციშვილიც იყო? 1520 წლის თარიღით თედო ჟორდანიას ქრონიკების II ტომის ფურცლებზე გამოქვეყნებულია ერთ-ერთი ცნობა, სადაც ზაზას ვაჟი მერაბი თავის თავს ასეთნაირად იხსენიებს: „მემან დიდისა ფანასკერტელისა ციციშვილისა და პატრონისა ზაზას მემან ცოდვილმა მერაბ“ — ამ საბუთის მიხედვით მერაბი უწოდებს თავის თავს ფანასკერტელ-ციციშვილს და ამ დროს დიდი ზაზა ფანასკერტელი“ ცოცხალთა შორის აღარც უნდა იყო, ვინაიდან მერაბი დამოუკიდებლად მოქმედებს. და მეორეც 1520 წელი უკვე მეთექვსმეტე საუკუნეა, ამ დროს კარაბადინი სულ ცოტა 40 წლის წინათ იქნებოდა დაწერილი და სავარაუდოა, რომ ზაზამ შეიძლება ცოცხლად მოაღწია XVI საუკუნის მხოლოდ დასაწყისამდე.

პროფ. მ. შენგელია იმავე წყაროში იქვე წერს: „ამგვარად ზაზა უკანასკნელი წარმომადგენელია ფანასკერტელთა გვარისა და პირველი ციციშვილია“. ეს წინადადება სრული ალოგიკურობაა, ვინაიდან ფანასკერტელ-ციციშვილების

შტო მოდის XVI საუკუნიდან, და აღსანიშნავია, ისიც რომ XVII საუკუნეში 5 სხვადასხვა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მოღვაწეობდა. ამ საგვარეულოს შტომ XX საუკუნემდე მოაღწია და დღეს არა ერთი ციციშვილი საკუთარ თავს სრულიად სამართლიანად ფანასკერტელ-ციციშვილების შტოს გენეტიკურ შთამომავლად თვლის.

„დიდი ზაზა ფანასკერტელი“ სრულიად სამართლიანად ითვლება მზოვრეთის ფანასკერტელების თავკაცად, მაგრამ იგი პირველი ფანასკერტელ-ციციშვილი არ არის, როგორც პროფ. მ. შენგელიას წარმოდგენია. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენამდე მოღწეულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელიც აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა და იგი დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. სახელდობრ ეს არის H ფონდი № 1698 აწყურელ კალიგრაფის მიერ გადაწერილი. ამ „აწყურულ მარხვანში“ 131 V (ვერსო) გვერდზე ასეთი შინაარსის წერილობითი წყაროა დაცული „პატრონისა სახელგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილისა... სულკურთხელის ზაალის შვილისა პატრონისა ქაიხოსროს ბრძანებითა“. ამ ფრაზას თარიღი უზის. „დაიწერა ესე წიგნი ქრონიკონისა სკვ“... 1967 წელს აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მიერ გამოცემული მონოგრაფიის „ძველი ქართველი ოსტატების“ 76-ე გვერდზე გაშიფრულია ეს ქრონიკონი $226 + 1312 = 1538$. მაშასადამე, ფანასკერტელების გვარში ციციშვილების განშტოება 1538 წელს წარმოიშვა. სვიმონ მეფის კარზე ჩანს მდივან-მწიგნობარი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი¹, რომელიც „მკურნალი“ და „ბრძენმთავარი“ დიდი ზაზა ფანასკერტელის შვილის-შვილია და პირველი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. ყოველი ზემოთ თქმული ისე უნდა გავიგოთ, რომ კარაბადინის ერთ-ერთი ავტორი და ხელნაწერის დამკვეთი მომგებელი „დიდი ზაზა“, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პირველად წყაროებში არ იწოდება ციციშვილად, იგი მზოვრეთის ფანასკერტელ-ციციშვილის შტოს უშუალო თავკაცია. თუმცა მის მამას, რომ სახელად „ციცი“ ერქვა ჭერეჭერობით ასეთი პირველადი საბუთი ნაპოვნი არ არის, რაც შეეხება პროფ. მ. შენგელიას მოსაზრებას. რომ ციციშვილების გვარი ნაწარმოებია სახელი „ციცისაგან“ ეს არგუმენტირებულია. ამავე აზრს იზიარებს ისტორიკოსი დ. ბერძენიშვილი და ეს აზრი არსებითად მისაღებია, რომ გვარი ციციშვილი სახელი „ციცი“-საგან არის ნაწარმოები. საგულისხმოა ერთი გარემოება, რომ ქართლში იხსენიება მზოვრეთის ციციშვილების შტო, რომლის თავკაცია ზაზა ფანასკერტელი, მაგრამ ნიჩბისის ციციშვილები მზოვრეთის ფანასკერტელ-ციციშვილების შტოს ნათესავეებადაც კი არ ითვლიან თავიანთ თავს. (?!).

ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ისტორიული პირველადი წყაროების მოშველიებით სამედიცინო სამყაროსათვის საინტერესო ისტორიული პიროვნე-

¹ იხ. თ. ერქვანას ქრონიკების II ტომი, 1558 წ. მცხეთის სიგელი № 503, გვ. 399. „ქრონიკონს სნე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეორესა (sic), კელითა ფანასკერტელის ციციშვილის სახლთხუცუესისა ზაზასითა“. — ს. ს.

ბა ზაზა ფანასკერტელი იხსენიებოდა „ერისთავ-ერისთავის“, „ბრძენთმთავარის“, „დიდი ზაზა ფანასკერტელის“ და „მკურნალის“ ზედწოდებით. მომდევნო საუკუნეებში არაერთი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მოღვაწეობდა და „დიდი ზაზა ფანასკერტელისათვის“ ხელოვნურად დამატება ციციშვილის გვარისა ამ საგვარეულოს ისტორიულ პიროვნებათა როლისა და ღვაწლის არეგულარეებს და ანაქრონიზმს გამოიწვევდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა, მკაცრად დაგვეცვა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და პირველადი წყაროების ისტორიული სიზუსტე, რომლის მიხედვით, როგორც უკვე ზემოთ ჩამოვთვალეთ კარაბაღინის დამკვეთი მომგებელი ავტორი იყო ზაზა ფანასკერტელი. თანა-ავტორი, როგორც პალეოგრაფიულად, ისე სხვა დამატებითი არგუმენტებით იქნა გარკვეული მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძე.

ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო წიგნის სახე ისტორიიდან

რუსთველოლოგიაში კარგა ხანია ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ძვირფასი ხელნაწერი (Q № 1082), რომელიც მწერალ ალექსანდრე ორბელიანს (1802-1869) ძღვნად მიუერთმევია მთავარმართებელ მ. ვორონცოვისათვის.

ხელნაწერის ისტორია ვრცლად გადმოგვცა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ლეონიძემ გამოკვლევაში: „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი“ (გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ. 1958, გვ. 187-280). მანვე გაარკვია, რომ ეს ხელნაწერი ხელთ ჩავარდნია ვახტანგ მეხუთის (შაჰნავაზის) ვაჟიშვილს, ბატონიშვილ ლევანს. ბატონიშვილი ლევანი, იგივე ლევან შირაზა, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ VI (1675-1737) მამაა. ეს ხელნაწერი XVIII საუკუნეში ვახტანგ VI პირადი საკუთრება ყოფილა, „მაგრამ ხელნაწერს თავდაპირველად სხვა მემკატრონე ჰყოლია, მეცენატი, რომლის შეკვეთითაც ეს ხელნაწერი იქნა გადაწერილი“, წერდა გ. ლეონიძე (გვ. 189).

რუსთველოლოგიაში. ასევე კარგადაა ცნობილი ხელნაწერის გადამწერის იოსებ ტფილელის (იოსებ სააკაძე) ვინაობა. ზოგიერთი ცნობით, იოსები გამოჩენილი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ძმისწულია, ზოგით კი — მისი შვილიშვილი. ისტორიულ წყაროებში იგი „ბაზათა-შვილის“ ზედწოდებითაც იხსენიება.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ ვეხებით ამ ხელნაწერის ისტორიას, მაშინ, როცა საუბარი გვსურს საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაზე, კერძოდ, ვინილავთ „სამკურნალო წიგნთან“ (კარაბაღინთან) მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძისა და ზაზა ციციშვილის ძე ფანასკერტელის დამოკიდებულებას?

გ. ლეონიძის გამოკვლევაში გვხვდება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ერთი დეტალი, რომელიც XVII საუკუნეში ფანასკერტელ-ციციშვილების მიერ ხელნაწერების შექმნის ტრადიციას ეხება. მიუხედავად ხელნაწერში შემონახული ერთი ლექსის ზოგიერთი ტაეპის დაზიანებისა, გ. ლეონიძეს მაინც




მარცხნივ „სამკურნალო წიგნი — ფარმაკოპეა“ ფონდი Q № 877 და მარჯვნივ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდი № 1082, „ვეფხისტყაოსნის“ ზაზასეული ვარიანტი. ამ ხელნაწერი წიგნების ფანასკერტელ-ციციშვილების საგვარეულო წიგნსაცავიდან ბაგრატიონების გამგებლობაში გადახდის ისტორია ერთმანეთის ანალოგიურია. ისინი ალბათ კონფისკაციის გზით ჩამოერთვათ ფანასკერტელ-ციციშვილებს ზაზას სამეფო კარზე მკვლელობის შემდეგ — 1671 წელს და ამ ძვირფას ხელნაწერებს პირველად ვახტანგ V შაჰნავაზი დაუფლდა, შემდეგ ლევან მირზა, ვახტანგ V ვაჟი და ბოლოს ლევან მირზას ვაჟი ვახტანგ VI, რომელმაც შეძლებისდაგვარად ეს ხელნაწერები შთამომავლობას შემოუნახა.

სწორად ამოუკითხავს ტექსტი და ზუსტად დაუდგენია ადრესატის ვინაობა. გ. ლეონიძე წერდა: „სტრიქონის კიდურში აფხეკილი ასოს გათვალისწინებით ძკითხება „აზასა“. საბედნიეროდ, შესაძლო ხდება აღდგენა დაზიანებული სიტყვისა „აზასა“, რომელსაც წინ წაშლილი „ზ“ ასო უზის“. მაშასადამე, ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერში, თუ ამჟამად ვკითხულობთ — „ვაქებთ კაცსა ბრძენსა, ჳკვით ხავსესა ლევან მირზასა“ — (ლექსის რითმის შესაბამისად) „ზა-ზასა“, „მაზასა“, „რაზასა“) გ. ლეონიძე თავდაპირველად ტექსტს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „ვაქებთ კაცს ბრძენსა, ჳკვით ხავსეს, სარდალ სახლთხუცეს ზაზასა“ და მკვლევარის საბოლოო დასკვნა ასეთია: „მაშასადამე, ლევანის მაგიერ ხელნაწერში პირველად დაწერილი ყოფილა „სარდალ სახლთხუცესი ზაზა“, რომელიც ამ ხელნაწერის პირველი მომგებელი, ანუ შემკვეთელი ყოფილა“. გ. ლეონიძემ დაადგინა, რომ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს, XVII საუკუნის მოღვაწეს, „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა შეუკვეთია კალიგრაფ იოსებ ტფილელისათვის. თავის მხრივ, იოსებ ტფილელს, სასოტბო პოეტური ქმნილებით განუდიდებია „სარდალი სახლთხუცესი ზაზა“. „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერი მეცენატ ზაზას ასე ასხამს ხოტბას:



„ატენის ხეობის სოფ. ბობნევის კოშკების ეკლესია აუშენებია, მოუხატინებია 1688 წელს, იმ დროის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს „დიდმოურავიანის“ ავტორს იოსებ ტფილელს (სააკაძეს). აქვეა მოთავსებული იოსებ ტფილელის პორტრეტული გამოსახულებაც... მის (ბობნევის ეკლესიის — ს. ს.) კედლებზე დაცულია ფრესკული მხატვრობა“. აქვეა ორი წარწერა: ერთი ლაპიდარული, მეორე ფრესკული. განგებამ შემოგვინახა ჩვენი დიდი წინაპრის გიორგი სააკაძის შთამომავლის იოსებ ტფილელი-სააკაძის ფრესკა. ატენის ხეობის სოფელ ბოშურთან წმინდა მარიაშის (ღვთისმშობლის) ეკლესიაში ყოფილა ხის კანკელი, რომელიც მოჩუქურთმებულია ლამაზი არშია ორნამენტით. კანკელის თავზე ამოკრილი ყოფილა ასომთავრული წარწერა:

„მელო ცხოვრებისაო, აღიდგ ორთავე ცხოვრებასა შინა პატრონი ფანასკერტელი ზაქარია“. ზაქარია ზაზას უმცროსი ვაჟი იყო. მასადაამე, ფანასკერტელების სამბრძანებლო რეგიონი XV საუკუნეში ატენის ხეობამდეც აღწევდა, თუ ფანასკერტელების მომდევნო თაობის შთამომავალ ზაქარიაზეა ლაპარაკი? ამის გარკვევა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.



საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გამოფენილია ფერწერული ხელოვნების ნიმუში და მას აწერია: „ციციშვილი. XIX საუკუნე“ და მეტი არაფერი. ფერწერული ტილოს დათარიღებასა და ზაზა პაპუნას-ძე ფანასკერტელ-ციციშვილის შევლელობის თარიღს შორის სხვაობა თითქმის 160 წელია, მაგრამ იოსებ სააკაძის ხოტბითი პოეზიის შინაარსსა და ფერწერულ ტილოს სიუჟეტს შორის დიდი მსგავსებაა: „როს ცხენზე ნახავთ თქვენც იტყვიოთ ერთ კაცად ესეც კმარისო“. ან კიდევ:

„ჭერ ჰაბუკი არს, არ არის ოცდაათისა მეტია“.

ვინ უნდა იყოს თეთრ ცხენზე ამხედრებული ეს ჰაბუკი „ციციშვილი“?

„როს ცხენზე ნახავთ, თქვენც იტყვიო, ერთ კაცად ეხეც კმარისო, გავონილსა სჭობს ნახული, მისთვის არ გაიკმარისო, ნადირობის დროს ნადირმან ვარეთ ვერ გაიკარისო“.

ან კიდეც:

„ჩერ კაბუჯი არს, არ არის ოცდაათის წლის მეტია, მნახათვის ტურფა სანახი, შენებთი შესაპურტია, ლხინს მოუვრობს, სეველა გულთაგან არა აქვს დაუშრეტია, ომის დღეს მისთა მეგრძოლთა დამცემი, დამარტია. მაპაცად არის მეგრძოლი, რაჴმთ ურცხვენად შემნახავია დროშისა ჴურგი მაგარი, მტერზე მან არ ყოს ჴავია, ხჭობს გვართა ნამუხისითვის რომ ისახელოს თავია, მეგრძოლთა სისხლის შორევესა შიგან აცუროს ნავია“.

ან კიდეც:

„ძნელი საქმის ქნა ამისგან ადვილად შესაძლებია“.

იოსებ ტფილელის ამ პოეტური ქმნილებით საკმაოდ არის წარმოდგენილი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის რაინდული ბუნება. ზაზას ასეთი პოეტურ-მხატვრული სახის შექმნით იოსებ ტფილელი არა მარტო კალიგრაფად გვევლინება, არამედ XVII საუკუნის ქართული სახობტო პოეზიის წარმომადგენლადაც. ბუნებრივია, ისმება კითხვა, რომელი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი იყო ამ ხელნაწერის პირველი მებატრონე.

შემორჩენილი მასალების მიხედვით 1465-1467 წლებში ტაო-კლარჯეთიდან ქართლში გადმოსახლდა ფანასკერტელების შტოს ერთი წარმომადგენელი ზაზა ციციის ძე ფანასკერტელი, რომელიც „სამეურნალო წიგნის“ ხელნაწერში იხსენიება („ბრძენთავარი“, „პატრონი ჩენი ზაზა მკურნალი“, „პატრონი ზაზა ფანასკერტელი“ და სხვა). ხელნაწერთა ინსტიტუტში დატული საბუთის (ფონდ H — 1698) მიხედვით, რომელიც 1538 წლით არის დათარიღებული, ეს ზაზა ფანასკერტელი XV საუკუნეში ჯერ კიდევ არ იხსენიებოდა ციციშვილად. ასეთი განშტოება ფანასკერტელების გვარში წარმოშობილა 1538 წლიდან. („პატრონისა და სახელგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილისა“ ქაიხოსროს ბრძანებით მარხვანი „დაიწერა კელითა ფრად ცოდვილისა გრიგოლისითა“), ხოლო უფრო ადრე, 1520 წელს მხოლოდ ერთხელ იხსენიება დიდი ზაზა ფანასკერტელის ვაჟი მერაბი იგივე ციციის ძე „ციცის შვილად“.

„...მე. ძემან: დიდისა: ფანასკერტელისა: ციციის: შვილისა: პატრონისა ზაზას ძემან ცოდვილმან მერაბ... შემოგწირე... მონასტერსა... (ლაქერსს)... კავთისკეცს ერთი კუამლი გლეხი ცხადიასშვილი გიორგა... ამა წესითა, რომე სულკურთხეულისა მეფისა კონსტანტინეს ძისა მეფეთ-მეფისა პატრონისა დავითისა, მისთა ძმათა და ძეთა დამოწმებითა და ბრძენთა ჩარგაზაშვილისაგან ვენაჟი და სახლკარი ვიყიდე და აგრეთვე ათისა დღისა მიწა... იგი ვენაჟი და მიწანი ამა ცხადიასშვილისა მივსცენ და დავესახლენ ჩუემისა სულისა საადაპედ ნოემბრისა:იჴ“ (იხ. თ. ელზდანიას „ქრონიკები“, წიგნი II 1897, გვ. 847). ამ მოსაზრებას ადასტურებს პროფ კ. გრიგოლია, რომელიც 1950 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში წერს: „როგორც ჩანს, 1588 წელს ისინი უკვე ფანასკერტელები კი არა, არამედ ციციშვილები ყოფილან“ პროფ.

კ. გრიგოლიას მიერ დადგენილი თარიღი ფანასკერტელების საგვარეულოში ციციშვილების განშტოების წარმოშობის შესახებ, აქსიომაა, თუნდაც იმიტომ, რომ „სამკურნალო წიგნის“ მინაწერებში და, რაც მთავარია, ყინწვისის ეკლესიის ეგვიტორში, სამკურნალო მცენარეებით დამშვენებულ ზაზას ფრესკაზე გარკვევით იკითხება: „ფანასკერტელი ზაზა“. ეს ზაზა ფანასკერტელი რუსთველოლოგებისათვის საინტერესო ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის (XVII ს) სულ ცოტა 200 წლის წინანდელი წინაპარია.

უტყუარი ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ XVII საუკუნეში მოღვაწეობდა რამდენიმე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. თავისი გამოკვლევის 195-ე გვერდზე გ. ლეონიძე წერდა:

„პირველი ზაზა: 1609 წლის გმირი — ყირიმელ თათრებთან ბრძოლაში მოკლული მეტეხის ბოლოს („დიდმოურავიანი“).

მეორე: ძმა სახლთუხუცესის ციციშვილის ყაიასი, რომელიც 1648 წ. მოუკლავს ყაიას შვილს იესეს.

მესამე: პოეტის, ნოდარ ციციშვილის ძის ფარსადანის უფროსი შვილი ზაზა.

მეოთხე: ზაზა ციციშვილი, „სპასხეტი საბარათიანოსი“, სარდალ სახლთუხუცესი, ძე სარდალ სახლთუხუცესი პაპუნასი.

მეხუთე: ამ ზაზას შვილის უთრუთის ძე — ზაზა, რომელიც ჩანს XVII ს. მიწურულში“.

მამასადამე, XVII საუკუნეში რამდენიმე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მოღვაწეობდა, მაგრამ მათ შორის მთავარი პოეტისა და კალიგრაფის იოსებ ტფილელის თანამედროვე იყო.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, როგორც იოსებ ტფილელი გვამცნობს, განთქმული ვაჟკაცი ყოფილა. აი როგორ აისახა მისი საგმირო საქმეები „შაპნავაზიანში“:

„შეიჭრა, ჭარი გაწუთიდა, არ მოუცუალა ფეხია,
კაცი კაცსა ზკრა სროლითა, თითქმის ლახურსა ეხია“.

რა თქმა უნდა, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი საგმირო საქმეებმა განადიდდა. „და იქცეოდა ამაყად ზაზა სპასხეტი მეფესა ზედა“, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი. „ამისთვის ინება მეფემან წრთვნა მისი და მოიყვანა იგი. არამედ ძემან მეფისმან გიორგიმ, რომლისთვის შეესმინათ, უგვანოდ ინება შეპყრობა მისი. ხოლო იგი მოწველითა ხანჯლითა მიეტევა მონათა მისთა და მოკლა ფავლენისშვილი. ამისთვის მოკლეს იგიცა ბრძანებითა გიორგი მეფის ძისათა... ხოლო სპასხეტიცა შემდგომად მისა მისცეს თამაზ ყაფლანისშვილს“ (ქართლის ცხოვრება IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 455).

მამასადამე, ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილი ტრაგიკულად დაღუპულა. „თუმცა იგი დამნაშავე არ იყო“ — მიუყვარძობებლად გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი.

თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში 511-ე გვერდზე დაცულია ცნობა, რომელიც 1691 წლით არის დათარიღებული და იქ შემდეგს ვკითხულობთ: „ახ-

ლუ, რადგან ისინი (ე. ი. ფანასკერტელ-ციციშვილები. ს. ს.) ბატონსა და ქართველებზედ ასე დამნაშავედ და მუხანათად დარჩნენ და მეფემ გიორგიმ ჩვენი გაერთება მოინდომა, ჩვენ ასე გაგიერთდით... ასე მიმართავს ციციშვილების ერთი შტო ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს. ეს ფრაზა იმიტაცაა საინტერესო, რომ თუ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მკვლელობა ბაგრატიონთა კარზე მოხდა 1670-71 წლებში, ბუნებრივია, ფანასკერტელ-ციციშვილების საგვარეულოს განაწყენება ბაგრატიონთა მიმართ 70-80-იან წლებში მოხდებოდა. მაშ როგორღა მოხვდა „სამკურნალო წიგნი“ ვახტანგ VI პირად გამგებლობაში?

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაკრძალვა ყინწვისის ეკლესიაში (თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის მიხედვით) 1661 წლით არის დათარიღებული. გ. ლეონიძე ამ თარიღად 1670-71 წლებს მიიჩნევს. „ქრონიკების“ II ტომის 478-ე გვერდზე ვკითხულობთ: „წმინდა ნიკოლოზის ძველ დანგრეულ ეკლესიაში საფლავის ქვაზე იკითხება: ქ: ესე: თავადთ: უთავადესი: ფანასკერტელი-ციციშვილი:.. სახლთუხუცესი პატრონი ზაზა: მე:.. თ—მ დისა: ქონებისა: დიდებისა: პატრონი იყო... ერი: აუჩნდა—ნდა ღმერთ: გარისსებულმან—ღ—ნ: აგვისრულთ (?) წმეაკოდინეს (?) რაც— სასახლე და გალავანი ნი-ს ნიკოლოზის — გავათლევინე“.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ ისტორიული ფაქტებიდან? უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მნიშვნელოვანი ტრადიცია. სახელდობრ, იოსებ ტფილელი არის პოეტა და კალიგრაფი. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი არის X-VII საუკუნის მეორე ნახევრის ძლიერი ფეოდალი: „თავად უთავადესი“, „ქონებისა და დიდებისა პატრონი“, „სარდალ სახლთუცესი“.

მანასადამე, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის შეეძლო სახსრების გამოწახვა. ქალაქის შექმნა და სხვა დამატებითი ხარჯების გაწევა, რაც ძვირადღირებული ხელნაწერის დამზადებასთან იყო დაკავშირებული. როცა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მოკლეს „ბრძანებითა გიორგი მეფისა ძისათა“, მაშინ მისი სახლ-კარი აუთხრებიათ და ქონების კონფისკაცია მოუხდენიათ ბაგრატიონებს. (გ. ლეონიძე იმორწმუნებ ცენტრალურ არქივში დაცულ საბუთს: „როდესაც სარდალი ზაზა მოკლეს, მაშინ შაჰნავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგელები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდაო“). როდესაც ზაზამ ბაგრატიონთა კარზე დანაშაული ჩაიდინა, „ხანჯლითა... მოკლა ფავლენისშვილი“ და ამის შემდეგ ისიც მოკლეს, მისი ოჯახი დაარბიეს. საფიქრებელია, სასახლის აკლებისა და ქონების კონფისკაციის დროს მდიდრულად შემკულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერსაც წაიღებდნენ ბაგრატიონები. ასე მოხვდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ვახტანგ V (შაჰნავაზის) ერთ-ერთი შვილის ლევანის (ლევან მირზას) ხელში. რა თქმა უნდა, ხელნაწერზე ზაზას სახელს ამოფხკდნენ. „სარდალ სახლთუცეს ზაზას“ მაგივრად ხელნაწერზე გაჩნდა „ლევან მირზას“ სახელი. იხილეთ Q ფონდი № 1082-ის 181r გვერდზე კრიმინალი. ზაზას ნაცვლად „ლევან მირზა“ დაწერილი პოეტურ სტრიქონში (იხ. შესაბამისი ფოტო).

ამრიგად, ვახტანგ V (შაჰნავაზის) ნადავლი შემდეგ აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი შვილის ლევან მირზას ხელში, ხოლო ლევან მირზას პირადი საკუთრება კი მემკვიდრეობით მის ერთ-ერთ ვაჟს ვახტანგ VI ერგო. (ვახტანგ VI 1712 წელს ეს ხელნაწერი გამოიყენა „ვეფხისტყაოსნის“ სტამბური წესით გამოცემისას).

ვფიქრობთ, ფარდა ეხდება საქართველოს მედიცინისა და სააფთიაქო საქმის ისტორიისათვის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერის (ფონდი Q № 877) ისტორიასაც. როგორ მოხვდა ეს ხელნაწერი ვახტანგ VI პირად ბიბლიოთეკაში? ხომ არ ვდგავართ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ანალოგიურ სათავგადასავლო ისტორიის კვალის სათავესთან?

ცნობილია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში „სამკურნალო წიგნი“ ვახტანგ VI ოჯახის საკუთრება იყო. როცა იგი რუსეთში წავიდა, როგორც ჩანს, სამედიცინო სამყაროსათვის ფრიად საინტერესო ეს უნიკალური ხელნაწერი თან წაიღო, რომელიც თ. ჭყონიამ ქ. გორკის საოლქო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა 1945 წელს.

ვფიქრობთ, რომ იოსებ ტფილელის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნისა“ და „სამკურნალო წიგნის“ ამ უნიკალური ხელნაწერების ბაგრატიონების ოჯახში მოხვედრის სათავგადასავლო ისტორია ანალოგიურია. ზაზას მოკვლისა და მისი პირადი ქონების კონფისკაციის შემდეგ ეს ხელნაწერი იასაულების საშუალებით ბაგრატიონებმა ჩაიგდეს ხელთ. ირკვევა, რომ 200 წლის წინათ, XV საუკუნეში, ადგილი ჰქონდა ანალოგიურ მოვლენას. როგორც ზაზას დაკვეთით იოსებ ტფილელმა XVII საუკუნეში გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“, ასევე მახარებელ ოქრობირის-ძე მალალაძემ, მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგმა, „ჩუარისმტვირთველმა“ მდივან-მწიგნობარმა, ცნობილმა კალიგრაფმა, საკუთარი „აფთიაქის“ მფლობელმა სოფელ წინარეხში, იქვე წალკოტში სამკურნალო მცენარეების მოშენების ინიციატორმა, ზაზა ციციის ძე ფანასკერტელის დავალებით აქტიური მონაწილეობა მიიღო „სამკურნალო წიგნის“ ხელნაწერის შექმნაში. XIV-XVIII საუკუნეებში მალალაძეები ტრადიციულად მდივან-მწიგნობრები იყვნენ და, როგორც ჩანს, სამედიცინო ლიტერატურაშიც კომპეტენტური იყოფილან. ჭერჭერობით საიდუმლოებითაა მოცული S ფონდი № 1476 ხელნაწერის „წიგნი სააქიმოსის“ მე-6 გვედრზე ორიგინალურად დაწერილი „არქიმანდრიტი გერმანე“. ვინ უნდა იყოს XV-XVI საუკუნეების ეს მოღვაწე? საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში მოღვაწეობდა მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი მახარებლის უმცროსი ძმა გერმანე. საგვარუდლოა, რომ ეს სასულიერო პიროვნება მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი იყოს. XII-XIII საუკუნეებში ხოჯაყოფილის მიერ ნათარგმნი „წიგნი სააქიმოსის“ XV-XVI საუკუნეებში გადაწერილ ამავე ხელნაწერის მე-6 გვედრზე მიწერილი „არქიმანდრიტი გერმანე“ შესაძლებელია ნიშნავდეს გერმანე მალალაძის მიერ გადაწერას, ან მისი წიგნთსაცავის კოლექციას ეკუთვნოდეს ეს ხელნაწერი. ამ ვერსიას სხვა დამატებითი არგუმენტებით და პირადი ფაქსიმილეს ამოცნობის საშუალებითაც ესაპიროება დამტკიცება, რაც მომავალი კვლევის საგა-

ნია. ასევე საფიქრებელია პროფ. ვახტანგ ალადაშვილის „იადიგარ დაუდის“ ხელნაწერი ვარიანტი, რომელსაც ბოლოში აწერია „ქრისტე შეიწყალე მონაღვთისა ნიკოლოზი“. ვინ არის ეს ნიკოლოზი? ეს საკითხიც გაურკვეველია ჭრჭერობით საქართველოს მედიცინის ისტორიაში. Q ფონდი № 877-ის ხელნაწერის მისამართით უკვე გარკვეულია, რომ „ჩუარისმტვირთველმან“ მახარებელმან და „მკურნალმან ზაზა ფანასკერტელმან“ ერთობლივი მუშაობით შეადგინეს ეს უნიკალური ფარმაცოპეა — XV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ან 80-იანი წლების დასაწყისში.

ზაზა ციცი-ძე ფანასკერტელი იყო „მეჭურჭლეუხუცესი“ და „ბრძენთ-შთავარი“ „მკურნალი“, ე. ი. გაცილებით უფრო ძლიერი და პრივილეგირებული ფეოდალი, ვიდრე მახარებელი ოქროპირის ძე მალაძე, თანაც მეცენატობა ფანასკერტელთა ოჯახს, როგორც ჩანს, XII საუკუნიდან მოყოლებული XVI და XVII საუკუნეებში ტრადიციულად ახასიათებდათ. შეიძლება პარალელის გავლება XV საუკუნის მოღვაწეებს: მახარებელ ოქროპირის ძე მალაძესა და ზაზა ციცი-ძე ფანასკერტელსა და XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეებს: იოსებ ტფილელსა და ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილს შორის. ამ ისტორიულ მოღვაწეთა შორის ქრონოლოგიურად 200 წელია განსხვავება, მაგრამ ფაქტების შედარებისას ადგილი აქვს ხელნაწერების შექმნის ტრადიციების, როგორც ანალოგიას, ისე განსხვავებასაც. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ იოსებ ტფილელი არ იყო მხოლოდ უბრალო კალიგრაფი. იგი ცნობილი პოეტიცაა. ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილს, რა თქმა უნდა, არ მიუღია „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერაში უშუალო მონაწილეობა. იგი დამკვეთია, ხელნაწერის შექმნის ინიციატორია, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ზაზასეული ხელნაწერი, ისე „სამკურნალო წიგნი“, რომელიც XVII საუკუნეში ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის საკუთრება ყოფილა, კონფისკაციის გზით მოხვედრილა ბაგრატიონების ოჯახში. ისიც ირკვევა, რომ XVII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილი, XV საუკუნეში ქართლში გადმოსახლებული ზაზა ციცი-ძე ფანასკერტელის შთამომავალი ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია ეს 1368-გვერდიანი უნიკალური ფარმაცოპეა, ფანასკერტელების პირადი საკუთრება, ციციშვილების ოჯახში შემონახული რელიკვიად, როგორ გადავიდოდა კონფისკაციის გარეშე „ლევან მირზას“, ხოლო შემდეგ მისი შვილის ვახტანგ VI ხელში? თუნდაც იმიტომ, რომ XVII საუკუნეში ბაგრატიონებსა და ფანასკერტელ-ციციშვილებს შორის არ ჩანს ისეთი მეგობრული ურთიერთობა, რომ ასეთი უნიკალური, ძვირად ღირებული ხელნაწერი საჩუქრის სახით გაცემულიყო ფანასკერტელებისაგან მუხრანის ბაგრატიონებზე და კერძოდ ლევან მირზაზე და ვახტანგ VI-ზე?

„ეს ძვირფასი ხელნაწერი, წერდა 1950 წელს პროფ. კ. გრიგოლია, — თავის დროზე ვახტანგ მეფის ხელშიაც ყოფილა და მის განახლება-აღსადგენად, მას დიდი ამაგი დაუდევს. ამ მხრივ დიდად საგულისხმოა ქალაქის ერთი ფურცელი, რომელიც იქ 62-63 გვერდებს შორის ბატის ფრთის კალამთან ერთად

ჩადებული აღმოჩნდა და რომელსაც ვახტანგის ხელით შესრულებული ჩანაწერი დღესაც ამშვენებს: „ჩ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკრვევინეთ სახსრად და სასარგებლოდ კაცთათვის და საქიარად ყოველთა, ქ. კსტუზ¹.“ ამ საბუთით ირკვევა რომ 1709 წელს ამ ხელნაწერის ფურცლები „თვითეულად მოშორებული“ ყოფილა. მაშასადამე, ხელნაწერი ძლიერ დაზიანებული ყოფილა. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ხელნაწერი ძალიან ძველია. მართლაც, მისი დაწერის თარიღად უნდა მივიჩნიოთ XV საუკუნის 70-იანი წლების მიწურული, ან უკიდურეს შემთხვევაში, 80-იანი წლების დასაწყისი, ვინაიდან მახარებელი მაღალაძე უფრო გვიან მოხუცი იქნებოდა, ხოლო უფრო ადრე კი ზაზა ციცის ძე ფანასკერტელი ქართლში არ ცხოვრობდა. ასე რომ, შესაძლებელია ვიფიქროთ, ქართლისა და ტაოს მკვიდრთა: მაღალაძისა და ფანასკერტელის მცხეთაში ერთობლივი შრომის შედეგად დაიწერა ეს 1368-გვერდიანი წიგნი, რომელიც ვანიცდის ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ (XI ს) და ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოსის“ (XII-XIII სს.) გავლენას. პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით კარაბადინის ხელნაწერი კომპეტენტური სპეციალისტების (პროფესორების: ი. აბულაძე და კ. გრიგოლია) მიერ XV საუკუნით არის დათარიღებული. ჩვენ მიერ ფანიაშვილების გუჯარის აღმოჩენა ამ თარიღს ზუსტად ადასტურებს და, რაც მთავარია, ფანიაშვილების გუჯარი და მახარებლის ხელით დაწერილი კარაბადინის 1008 გვერდი პალეოგრაფიულად ურთიერთს ედრება. პალეოგრაფიულ მონაცემებს, რომ თავი დავანებოთ, ხელნაწერის მინაწერებში იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე მჩხრეკელი ამისა უღირსი მახარებელი, ამის“ და „მშრომლისა მახარებლისათვის შენდობაჲ ყაფთ“. ხელნაწერს „მჩხრეკელი“ და „მშრომელი“ მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძე — სტაძრო მედიცინის ქურუმი XV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა წინარეხსა და მცხეთაში. ზაზა ციცის ძე ფანასკერტელის ტაოდან ქართლში გადმოსახლება აკადემიკოს ექ. თაყაიშვილის გამოკვლეული მასალების მიხედვით, 1465-1467 წლებში მომხდარა. ეს მახარებელი II, ზაზას თანამოსახლეს, ამიტომ XV საუკუნის 70-იანი წლების მიწურული და 80-იანი წლების დასაწყისი მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძისა და ზაზა ციცის-ძე ფანასკერტელის ხელნაწერზე ერთობლივი მუშაობის პერაოდად უნდა მივიჩნიოთ.

აკადემიკოსი ეფთიმიე თაყაიშვილი და საქართველოს შუა საუკუნეების მედიცინის ისტორიის ჯოჯივრთი საკითხი

საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიის შესწავლით დაინტერესებისას, ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის

¹ ზაზა ფანასკერტელი. „სამეურნალო წიგნი“ (კარაბადინი). თბ., სახელგამი, 1950 წ. შესავალი. მ. სააკაშვილის რედაქციით.

ღვაწლი ამ სფეროში. მედიცინის ისტორიის საკითხების აქტუალობა და კვლევა-ძიება მხედველობის არედან უყურადღებოდ არ გამორჩენია აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს და აქაც საშვილიშვილოა მისი ღვაწლი. მართალია, მას უშუალოდ საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევა-ძიება არ უწარმოებია, მაგრამ მის მიერ მოპოვებულ ისტორიულ პირველად საბუთებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიისათვის.

თედო ჟორდანის „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე დაცულია ძუნწი ცნობები ფანასკერტელთა საგვარეულოს როლისა და ღვაწლის შესახებ. მედიცინის ისტორიაში და რუსთველოლოგიაში კარგად არის ცნობილი XVII საუკუნის თვალსაჩინო პიროვნების, ზაზა პაპუნას-ძე ფანასკერტელი-ციციშვილის მოღვაწეობა. კერძოდ. მან იოსებ ტფილელ-სააკაძეს, კალიგრაფ-მწერალსა და პოეტს „ვეფხისტყაოსნის“ სანიმუშო ვარიანტი გადაწერინა, რომელიც ახალდაარსებულ ქართულ სტამბაში 17:2 წელს ვახტანგ VI გამოიყენა შოთა რუსთველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ სტამბური წესით გამოცემისათვის. (დღეისათვის ეს ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში Q ფონდი № 1082). ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ისტორიული წარსულიდან დადგენილია, რომ XVII საუკუნეში ვახტანგ V შაჰნავაზის შვილებსა და ფეოდალ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს შორის შინაგანი წინააღმდეგობანი და უთანხმოებანი წარმოშობილა. ბაგრატიონთა სამეფო კარზე მომხდარი ინციდენტის და შეხლა-შემოხლის დროს. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი „სახლთუხუცესი“ და „სპასპეტი საბარათიანოსი“, მოუკლავთ, მისი სახლ-კარიც დაუბრუნებიათ და აუოხრებიათ. მემკვიდრე გადმოგვეცმს, რომ ზაზა არ იყო დამნაშავე, მაგრამ ამ შინაური ომის დროს ტოკლარჯეთად ნ ქართლში გადმოსახლებული ამ საგვარეულოს შტოს მთელი რიგი ისტორიული საბუთები — ხელნაწერები და სიგელ-გუჯარებიც განადგურებულა. ამიტომ ქართლში მცხოვრებ ფანასკერტელთა ისტორიის საკითხები ბურჟუსით იყო მოსილი. როგორც დღეისათვის ირკვევა, სამედიცინო სამყაროსათვის საინტერესო ისტორიული პიროვნება XV საუკუნის მოღვაწე, „მკურნალო“ და „ბრძენთმოთვარი“ ზაზა ციცის ძე ფანასკერტელი, წინაპარი ყოფილა XVII საუკუნის მოღვაწის „სახლთუხუცესის და საბარათიანოს სპასპეტის“, ზაზა პაპუნას-ძე ფანასკერტელ-ციციშვილისა. წინააღმდეგ შემთხვევაში XV საუკუნეში შექმნილი კარაბადინი ამ ოჯახში რელიკვიად შემონახული არ აღმოჩნდებოდა XVII საუკუნეში.

ექვთიმე თაყაიშვილმა ამ საუკუნის 30-იან წლებში ფანასკერტელთა ძირითად სამფლობელოში, სამხრეთ საქართველოში, ტოკლარჯეთში აღმოაჩინა მეფეთ-მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის (1479-1505 წლები) მიერ ფანასკერტელების მისამართით გაცემული სიგელ-გუჯარი, რომლის შინაარსის მიხედვით ნათელი მოეფინა სამედიცინო სამყაროსათვის საინტერესო ისტორიული პიროვნების, ზაზა ფანასკერტელის ვინაობას და ნაწილობრივ გაიკვ



აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი მახარაძის რაიონის სოფელ ღიბაურში. მოქანდაკე ა. გომართელი, არქიტექტორი რ. გოგოლიშვილი.

მისი საშვილიშვილო მოღვაწეობა საქართველოს მედიცინის ისტორიაში. ეს სიგელ-გუჯარი ერთადერთია ზაზა ფანასკერტელის შესახებ. (სტკს არქივის ფონდი № 1448 საბუთი, № 64 კალიგრაფ ზაქარია თუმანიშვილის ხელით დაწერილი 1467 წელს). დასაძალი არ არის, რომ თუ არა ტაო-კლარჯეთში ექვთიმე თაყაიშვილის მაღალკვალიფიციური მეცნიერული ექსპედიციის მერ ვაჩიძორის მღვიმეში ამ სიგელ-გუჯარის აღმოჩენა, თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა მკურნალ ზაზა ციციის-ძე ფანასკერტელის შესახებ, არა და საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიაში „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, იგივე ფარმაცოპეა, ეს 1368-გვერდიანი ხელნაწერი ყველაზე სრულყოფილი ნიმუშია დღემდე ცნობილ ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა შორის. ამ ხელნაწერის თანაავტორის, მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგის, მახარებელ ოქროპირის-ძე მალალაძის როლისა და ღვაწლის საკითხები დღემდე სწორად არ იყო გარკვეული. იგი შეცდომით მხოლოდ კალიგრაფ-გადამწერად იყო მიჩნეული. სინამდვილეში ზაზა ფანასკერტელს მახარებელის სახით ჰყავდა მისივე სკოლის მიმდევარი-თანაავტორი და სატაძრო მედიცინის ქურუმი, მეფეთმეფე კონსტანტინე II-ის მდივან-მწიგნობარი, მაღალაძეების საგვარეულოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოპოვებულ ამ ერთადერთ მასალაზე დაყრდნობით, 1950 წელს „სამკურნალო წიგნის — კარაბადინის“ გამოცემისას, მნიშვნელოვანი გამოკვლევები და შესაბამისი აპარატის ტექსტი დაურთეს (ხელნაწერი Q ფონდის № 877-ის 176-დან 684 ფურცლამდე) პუბლიკაციას აწ განსვენებულმა პროფესორებმა: ილია აბულაძემ და კოტე გრიგოლიამ, რომლებიც ძირითადად ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოკვლეულ მასალებზე და მის მიერვე მოპოვებულ პირველ წყაროებზე გახლავთ დაფუძნებული.

საქართველოს სს რესპუბლიკამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო და საქართველოს მედიცინის ისტორიის საზოგადოებამ აღნიშნეს შუა საუკუნეების დიდი ქართული მედიკოს-ენციკლოპედისტის, ზაზა ციციის-ძე ფანასკერტელის დაბადებიდან 550 წლისათვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მომავალში ზაზას და მახარებლის იუბილე ერთად უნდა აღინიშნოს.

ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანმა საბუთმა, რომელიც აწყურელ მწერალ-კალიგრაფ გრიგოლს ეკუთვნის. ყურადსაღებია ის ფაქტი რომ, ეს სასულიერო ხელნაწერი „აწყურული მარხვანი“, ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა იმერეთში და ამჟამად იგი ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. აკადემიკოს ექ. თაყაიშვილის მაღლიან კალამს ეკუთვნის არაბული სიტყვის „კარაბადინის“ ქართულად ახსნის ცდა. „შავი წიგნის“ ე. წ. „Чёрнокнижие“-ს ტრანსკრიპციით. თავის დღიურებში და მოგონებებში, რომელიც მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურში გატარებულ ბავშვობას ეხება, ექ. თაყაიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოფლად მკურნალობა და წამლის ფორმების მომზადება ხდებოდა კარაბადინებში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად. ძირითად ნედლეულს წამლის მომზადებისას წარმოადგენდა სამკურნალო მცე-

ნარეების ძირები, ფოთლები, ყვავილები და ნაყოფი. საერთოდ კი ფარმაკოპეის და კარაბადინის იდენტურობის, ანუ იგივეობის საკითხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ პირველად მეცნიერულად ახსნა მსოფლიო კლასიკური მედიცინის ისტორიის მკვლევარმა და სისტემატიკოსმა, ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა კურტ შპრენგელმა.

; „ძველი ქართული მედიცინა ორგანული ნაწილია ქართული კულტურისა“ — წერდა საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი და სისტემატიკოსი ექიმი ლადო კოტეტიშვილი. მეცნიერული გამოკვლევებისას იგი სარგებლობდა ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული შრომებით და მის მიერვე აღმოჩენილი პირველადი წყაროებით.

ბერძნული სიტყვა „აფთიაქი“-ს ქართული შესატყვისის დადგენისათვის

თავდაპირველად სიტყვა „აფთიაქი“ ბერძნულ მეტყველებაში ჩაისახა და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამჟამად აფთიაქი საერთაშორისო ინტერნაციონალური სიტყვაა და ნიშნავს სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებას, სადაც ექიმის წერილობითი მომართვის — რეცეპტის საფუძველზე მზადდება წამალი და მომხმარებელზე გაიცემა. თანამედროვე აფთიაქებში უმეტესად მზა წამლის ფორმებია, რომლებიც ჯერ ფარმაკევტულ ქარხნებში სერიული წესით მზადდება და შემდეგ აფთიაქებიდან გაიცემა. საბჭოთა კავშირში აფთიაქები საკავშირო და რესპუბლიკური ჯანდაცვის სამინისტროებს ექვემდებარებიან, რომელთაც განაგებენ უწყებანი: საკავშირო და რესპუბლიკური მთავარი სააფთიაქო სამმართველოები. აფთიაქი არსებობს ძირითადად ორი ტიპის: „ღია“ ე. წ. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი აფთიაქები, რომლებიც ემსახურებიან მთელ მოსახლეობას და გასცემს წამლებს ექიმის ყველა რეცეპტის ზრუნვით მოსახლეობაზე პოლიკლინიკური მკურნალობისათვის. ღია აფთიაქებში ხდება აგრეთვე მზა წამლის ფორმების, ზოგიერთი სამედიცინო იარაღების და სანჰიგიენის საგნების გაცემა მომხმარებელზე. დახურული ტიპის აფთიაქები ძირითადად ექვემდებარებიან სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებებს, საავადმყოფოებს, ჰოსპიტალებს და ისეთ სამკურნალო უწყებებს, რომლებიც ავადმყოფებს ძირითადად სტაციონარული წესით მკურნალობენ. არსებობს აგრეთვე პომეოპათიური აფთიაქები, სადაც მიკროდოზებში გასცემენ მედიკამენტებს პაციენტებზე. ამ ბოლო წლებში დაარსდა პედიატრიული — ბავშვთა აფთიაქებიც. აფთიაქები ფუნქციონირებენ ვეტერინარულ უწყებებსა და სხვადასხვა პირობებშიაც. აფთიაქებში ყველაფერი წარმოებს მოქმედი სახელმწიფო ფარმაკოპეის შესაბამისად, რომელსაც ექვემდებარება ჯანდაცვის უწყების ყველა მუშაი. ფარმაკოპეა არის საკანონმდებლო წიგნი, წამლების წესების მომზადების, შენახვის, გაცემის, სტანდარტების, ინდიკაციის, დოზების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობის მითითების შესახებ. ფარმაკოპეა სახელმწიფო საკანონმდებლო შინაგანაწესია.

როგორც ცნობილია, პირველი აფთიაქი ყოფილა VIII საუკუნეში არა-

ბეთის ქალაქ ბალდადში. რუსეთში პირველი აფთიაქის გახსნის თარიღია 1581 წელი.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, მაგრამ აფთიაქის გახსნის ზუსტი თარიღი დღესდღეობით დადგენილი არ არის. ასევე დაუდგენელია, თუ ქართული ტერმინოლოგიის მიხედვით ბერძნული-ლათინური სიტყვის „აფთიაქის“ შესატყვისად ძველად რა სიტყვა იხმარებოდა. არის ზოგიერთი ასეთი გამოთქმა „წამალხანა“, რომლის ფუძე წამალი მართალია ქართულია, მაგრამ ტერმინოლოგიური დაბოლოება აშკარად სპარსულ გავლენაზე მიგვანიშნებს. ვარძიაში აფთიაქის ისტორიულად არსებობის დადასტურების საქმეში მნიშვნელოვანი შრომა გავწიეთ. როგორც აღვნიშნეთ, ვარძიაში არსებული თახჩებიანი გამოქვაბულის ანალოგიური ნაგებობა აღმოჩენილია უფლისციხეში. მაშასადამე, იქ V საუკუნეში აფთიაქის ტიპის დაწესებულება მოქმედებდა. მდინარე კავთურას ხეობაში, სოფელ წინარეხში მალაქაძეების ეკლესიის შემოგარენშიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოვაჩინეთ ანალოგიური თახჩებიანი ნაგებობა, სადაც ქვაფიქალით ნაშენები 500-მდე თახჩა აღირიცხება, ძირითადად 20 სმ² ღიამეტრით. უფლისციხეში, ვარძიასა და მალაქაძეების ეკლესიის შემოგარენში აღმოჩენილი თახჩების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი სტანდარტული თვალსაზრისითაც ანალოგიურია და თახჩების ღიამეტრის ზომაც ყველა ნაგებობისათვის თითქმის ერთნაირია — 20. სმ². მაგრამ ჩვენს დაინტერესებას იწვევს ერთი მეტად საინტერესო ვარემოება. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული სამკურნალო ხელნაწერი წიგნები XI, XII-XIII, XV, XVI საუკუნეებით თარიღდება და კარაბადინებში უამრავი ტერმინია ნახსენები, სამწუხაროდ, ვერსად შევხვდით სიტყვა აფთიაქის ხსენებას. ვერც იმ სიგელ-გუჯარებში, რომლებიც გვაუწყებენ ივანიძეების უმემკვიდრეოდ გადაშენებას და მათ ფეოდალურ მემკვიდრეებად მალაქაძეების მიჩნევას. სიგელ-გუჯარში (Hd № 1352 „წყალბობის წიგნი დავით კათალიკოზისა მახარებელ მალაქისადმი“ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი) წალკოტი არის ნახსენები, მაგრამ აფთიაქი, ან მისი რაიმე შესატყვისი კი არა. ამიტომ ჩვენ რაიმე წერილობითი საბუთი ამ თახჩებიან ნაგებობის შესახებ, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მისი დათარიღებისათვის, ხელთ არ გვაქვს.

თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის და „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომის ფურცლებზე დაცულია ძუნწი საბუთი, რომ ივანიძეები სამოღვაწეო სარბიელზე XII საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ. აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე ივანიძეების საგვარეულო ძვალშესალავ ეკლესიის მშენებლობას XII საუკუნით ათარიღებს, ამის დამადასტურებელია არაერთი ნიშანდობლივი არგუმენტი, რომელთა შორის თვით ეკლესიის ჩუქურთმით და გეგმით ზუსტად განსაზღვრავენ არქიტექტორები ეკლესიის ნაგებობის აგების თარიღს, ასაკს და მშენებლობის ეპოქას. ყოველ შემთხვევაში ივანიძეების ეკლესიის აშენების თარიღი XIII საუკუნის დასაწყისია. სამწუხაროდ, ივანიძეების საგვარეულოს წარმომადგენლებს, თუ რა კავშირი ჰქონდათ საქართველოს „საეკლესიო მედიცინასთან“, ამის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. არსებობს

:მხოლოდ ერთ-ერთი წერილობითი საბუთი, სადაც ნახსენებია სიტყვა „წალკო-ტი“. „წალკოტის“ ნომენკლატურის დადგენამ და მდინარე კავთურას ხეობის საეკლევო რეგიონის შესწავლამ ფარმო-ბოტანიკური, ნიადაგმცოდნეო-ბის, გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების თვალსაზრისით, დაგვარწმუნა, რომ სუბალპური და ალპური ზონისათვის დამახასიათებელი ყველა სამკურნალო და საყოფაცხოვრებო (ბახჩეულ-ბოსტნეული) მცენარეების მოშენების შესაძ-ლებლობა ჰქონდათ ივანიძეებს კავთურას ხეობაში. ივანიძეებს რომ წალკოტი ჰქონდათ, ეს სათუო აღარ არის, მათ წალკოტის შესაბამისად აფთიაქის ტიპის თახჩებიანი ნაგებობაც უნდა ჰქონოდათ, ვინაიდან XII საუკუნე საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ალორძინების პერიოდი, ამი-ტომ, ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ აღმოჩენილი (1979 წელს) თახჩებიანი ნაგებობა მალაქაძეების ეკლესიაში XII საუკუნის მიწურულთ უნდა იქნეს დათარიღე-ბული. ამას ემატება ამ ეპოქაში ასეთ ნაგებობათა მშენებლობის ტრადიციები. ვარძიაში კლდეში გამოკვეთილი თახჩებიანი ნაგებობა ანალოგიურია ივანი-ძეებისა და შემდეგ მალაქაძეების ეკლესიის შემოგარენში აღმოჩენილი თახჩე-ბიანი ნაგებობისა. იქნებ ამ თახჩებიანი ნაგებობის — აფთიაქისათვის საჭიროა რაიმე ქართული შესატყვისი გამოკვებნოთ?

გამოკვებნოთ თუ ქართული მდიდარი „სიტყვის კონიდან“ რაიმე შევარ-ჩით? შევარჩით, თუ რასაც ჩვენი წინაპრები ეძახოდნენ ის აღვადგინოთ? აი ამ საკითხების გარკვევა ფარმაკევტული ტერმინოლოგიის თვალსაზრისით ფრიად აქტუალურია ამჟამად. ჩვენი წინაპრები აფთიაქს ქართულად საწამ-ლეთს, ანუ წამლის სასახლეს ეძახოდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა გავეცნოთ საქართველოს ფილოლოგიური და გრამატიკულ-ლინგ-ვისტური ასპექტების კვლევის პატრიარქის, აკადემიკოს აკაკი შანიძის აზრს: „სადაური სიტყვაა აფთიაქი?

ქართულია? არა, ქართული არ არის. იგი ძალიან ჰგავს რუსულ „Апте-ка“-ს, მაგრამ რუსულიდან არ მოდის. ქართული აფთიაქიც და რუსული „Апте-ка“-ც სხვადასხვა გზით მოდიან. ბერძნული „აპოთეკე“-საგან, რომლის მერ-მინდელი გამოთქმა აპოთიკი იყო და ნიშნავდა „საწყობს“. აი ეს აპოთეკე (ანუ აპოთიკე) არის ის სიტყვა, რომელიც საბერძნეთიდან სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა და აღინიშნა დაწესებულება, სადაც წამლებს ამზადებენ და ყი-დიან. მას ზოგ ენაში წამლების სახლი ჰქვია (სპარსულად იგზახანა, ხომხურად დელატუნ), რაღა წამალი? წამალი სამკურნალო საშუალებაა, მაგრამ ყოველ-თვის? წამალი სასიკვდილე საშუალებაც არის. მოიწამლაო, საწამლავი დალიაო, რომ ვამბობთ, ესეც წამალ-სიტყვისაგან წარმომდგარი სიტყვა არის...

წამალს ეძახოდნენ აგრეთვე მასალას, რომლითაც ხატავდნენ ადამიანებს და ხატებს. ამჟამად მას რუსულ „Краска“ სიტყვის გავლენით საღებავს ეძა-ხიან... როგორც ჩანს წამალს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონია, ერთი მათგანია და შეიძლება ითქვას უმთავრესიც, წამალი სამკურნალო საშუალებაა“. აქ მოყ-ვანილი ტექსტიდან აშკარაა, რომ აკადემიკოსი აკაკი შანიძე აფთიაქს წამლების სახლს უწოდებს. აფთიაქი სპარსულად ყოფილა „იგზახანა“ და სომხურად „დე-

ლატუნა“, ჩვენც ასე ვთვლით, რომ ვარძიაში არსებული თახჩებიანი ნაგებობა წამლის სასახლეა (იხ. ბროშურა ს. სალუქვაძე „ვარძია — წამლის სასახლე“, „ხელოვნება, 1979)¹, მაგრამ აფთიაქი, რომ ქართულად წამლის სასახლეა ამას სხვა ისტორიული არგუმენტები და ძველი ქართული მეტყველებით სკირდება დამტკიცება. უპირველეს ყოვლისა ბერძნულ-ლათინურ ტრანსკრიფციას, „აფთიაქს“ ქართული მდიდარი ლექსიკონიდან შესაბამისი ქართული გამოთქმა „წამლის სასახლე“ შეუფარდდეს, ტერმინოლოგია იდენტურია და აქ სადავო არაფერი უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ნაგებობა — სახლია, სადაც წამლები მზადდება და გაიცემა. ბერძნულ-ლათინურ ენაზე მას „Anoteca“ ეწოდება, ე. ი. წამლის სასახლიდან (საწყობიდან) ხდება წამლის გაცემა.

აფთიაქი — წამლის სასახლე გაცილებით უკეთესი ქართული სახელწოდებაა, ვიდრე „წამალხანა?“, „წამალხანა“, „ჩაიხანა“, „ლუღხანა“ აშკარად სპარსული მეტყველების გავლენაზე მიგვანიშნებს, მაშინ, როდესაც „წამლის სასახლე“ ფუძით ქართულია და უფრო უპრიანია აფთიაქს ასე ეწოდოს ქართულად.

ტერმინოლოგიის: აფთიაქისა და წამლის სასახლის დაკანონებისას მიზანშეწონილად მიმაჩნია გავეცნოთ ანდრო ლეკიაშვილის ერთ-ერთ საყურადღებო ნაშრომს,² რომელშიც ავტორი ფართოდ იყენებს არაბულ-სპარსულ ლექსიკონებს და მხატვრულ-პოეტურ ქმნილებებში ნახსენებ ტერმინებს არაბულ-სპარსული მეტყველების მიხედვით. ავტორი აღგენს, რომ „დასტურმარალი“ და „მუშამბრის სახლი“ აფთიაქის დაწესებულების იდენტური ტერმინებია. აქვე ყურადღებას იქცევს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ამ შრომათა კრებული 193-ე გვერდზე სქოლიოში ასეთი ტექსტია: „აღსანიშნავია, რომ ვარძიის კომპლექსის ერთ-ერთ „ოთახში სწორედ კედლებში დატანებული მრავალრიცხოვანი თახჩების არსებობა საფუძველს აძლევს მკვლევარებს, რომ ამ აფთიაქში ოდესღაც მონასტრისეული „წამლის სასახლე“ დაინახონ... რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ფრაზიდან? უდავოა, რომ მკვლევარი ანდრო ლეკიაშვილი არ იცნობს ჩვენს ნაშრომს „ვარძია — წამლის სასახლე“ (თბ. „ხელოვნება“, 1979), თორემ იგი გამოყენებულ ლიტერატურაში დაგვასახელებდა და ამგვარად მცდელობაც ეცოდინებოდა აფთიაქის შესაბამისად ქართულად „წამლის სასახლის“ დაკანონების შესახებ. ამიტომ ჩვენი და ა. ლეკიაშვილის ტერმინოლოგია „წამლის სასახლე“, „წამლის სახლი“ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოქვეყნდა, რაც აზრთა დამთხვევას ნიშნავს. მკვლევარი ა. ლეკიაშვილი ცდილობს დაგვარწმუნოს თითქოს აფთიაქის ქართული იდენტური შესატყვისები იყოს „მუშამბრის სახლი“ და „დასტურ მარალი“, მაგრამ ეს ისევე არაბული და სპარსული მეტყველების გავლენით უნდა აეხსნათ. ასე მაგალითად: თანამედროვე აფთიაქში ხშირად გვაქვს მოსახლეობაზე გასაცემი „კლეონკა“ (რუსულად) და ქართულად „მუშამბა“. რუსული „კლეონკა“, როგორც ავტორი, ამავე ნაშრო-

1 ს. სალუქვაძე. ვარძია — წამლის სასახლე. „ხელოვნება“, თბ., 1970 წ.

2 თბილისის უნივერსიტეტის შრომები: ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა. ეთნოგრაფია. ანდრო ლეკიაშვილი. „დასტურმარალის“ ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის — მუშამბრის სახლი, თბილისი, 1982 წ. გვ. 188-195.

მის 188-ე გვერდზე განმარტავს „მუშაობა — არაბული გამოთქმა ყოფილა, ნიშნავს მსგავსი ბადისაა, უკრა-უკრათ, ცხრილის მსგავსი ნახატი, ანუ გაკრული ჩუქურთმად ქერზე ანუ კედელზე“. აქ ავტორს ზედმიწევნით ზუსტად აქვს „მუშაობის“ განმარტება და ამის შემდეგ განა შეიძლება „მუშაობის სახლი“ ქართული მეტყველებით აფთიაქად წარმოვიდგინოთ? რა თქმა უნდა აქ აშკარად არაბულ ტერმინოლოგიაზეა ლაპარაკი. აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც. რომ XVII საუკუნეში ბაგრატიონების უძველესი შტოს წარმომადგენელთა შორის ლუარსაბი უკანასკნელი მეფე იყო. მას შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე დაიწყო ბაგრატ VII-ის და როსტომის მეფობის პერიოდები. ხოლო 1658 წლიდან მუხრანის ბაგრატიონების და კერძოდ ვახტანგ V შაჰნავაზის მეფობა. ეს იყო ეპოქა სპარსული გავლენის გაძლიერებისა, ამიტომ ვახტანგ VI სასახლე, რომელიც სპარსული კორუფციის გამო იწოდებოდა — „მუშაობის სასახლე“, სავარაუდოა, რომ სამეფო კარზე მოქმედებდა აფთიაქი — წამლის სახლად“. ჩვენთვის, როგორც საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის ფრიად საინტერესოა XVII საუკუნის მხატვრულ-ლიტერატურული ძეგლის, „რუსულადიანის“ ტექსტში წამლის სასახლის დეტალური აღწერა, რომელიც „წამლის სასახლის“ შესახებ შედმიწევნით ზუსტ ცნობებს გვაწვდის: „აწ ამას ზეით იმ სახლისა აშია ევლო და ისევ ირგველივ თახჩა და მერმე კიდევ აშია. ამ აშიაზედ სულ სხვადასხვაგვარი სურები და გულბანდები იდგა, ასე რომ თითი არ გამოეცვლებოდა შუა, ზოგი მარტივის იაგუნდისა და ზურმუხტისა და ლალისა, რაც თვალია ყველასი, და ზოგი მურაპა ზოგი მინანქარი, ზოგი ამბარზე მოჭრილი, ზოგი საია, ...აგრეთვე წვრილი და მსხვილი სასმელები სულ პატრონის თვალისა იყო და სულ ასე სურნელის არყებით იყო სავსე, რომ არაფერი სურნელი არა აკლდა რა. იმის ზეით რომ თახჩები იყო (გამოჩნდა აფთიაქის-წამლის სასახლისათვის დამახასიათებელი ტერმინი თახჩა! — კლდეში გამოკვეთილ თაროს ნიშნავს, რაზედაც წამლებს და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს ალაგებდნენ ჩვენი წინაპრები, ს. ს.) ჭულ სხვადასხვა ფერად-ფერადი ჩინური ეწყო — ზოგი ნადირისა სახეზედ გაკეთებული, ოქროთ მოქედილი, ოქროს თავებითა, სულ სხვადასხვა ფერის მაჭუნებითა და შარბათებით სავსე (აქ აშკარად წამლის სასახლე — აფთიაქზეა ლაპარაკი, ვინაიდან მაჭუნი კარაბადინებში არაერთხელ არის ნახსენები. როგორც რთული სითხოვანი წამლის ფორმა, ხოლო „შარბათებით სავსე“ ირანულ-თურქული მეტყველების მიხედვით შარბათი — ყურძნის ტკბილი წვეინია — ბადაგი. რომელიც წამლის მწარე გემოს შენიღბვის მიზნით ხშირად არის ნახსენები შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ხელნაწერ კარაბადინებში, ს. ს.) იმის ზეით აშიაზე მურასა იარაღი იდგა. რაც სააქიმო არაყები თუ ზეთები, რაც კაცთათვის სარგოდ მეცნიერ აქიმიზაგან თქმულა ან გაკეთებულა (ტექსტში ფრიად საინტერესოა უძველესი ქართული გამოთქმა, „მკურნალის“ შესაბამისი არაბული გამოთქმა „აქიმი“, თანაც მეცნიერის ზედწოდებით. ტექსტი ამ მხრივ უნიკალურია, ს. ს.) ყოვლისფერისთანა იყო და თავის-

1 თახჩა სპარსული სიტყვაა და ქართულად კლდეში გამოჭრილ თაროს ნიშნავს.

თავისი სახელი ინდურად ზედ ეწერა. თუ ეს არი და ამ სენს არგებს წამლის სა-
სახელწერა ლაპარაკი აშკარად, ვინაიდან „ამ და ამ სენს არგებსო“,
აწ ამაში სადაც ცარიელი ალაგი დარჩენილიყო, რომელი რომელს ალაგას გა-
ზოგუებოდა. ისრე ზოგან ოყა იდგა (ოყა თათრულია. სასწორს უნდა ნიშნავ-
დეს ს. ს.), ზოგან ქუზა, ზოგან წვრილი კოლოფი... ისე გაწყობით იყო და ის
ზეითა თახჩა და აშია, რომ რაგინდ თვალი დაგვეკვირვებინა. არ შეატყობდა,
თუ დგა რამე. და რომ ზეილამ ხელი წაგვესვა, გაღვსილი გეგონებოდა ერთი-
მეორეზე. არც წინ იდგა და არც უკან, ოღონდ თვითოს თითის ოდენი ალაგი
კი იყო. რომ ჩამოიღებოდა და შეიღებოდა, მაგრამ ისიც ასე რიგად იყო, რომ
თუ მწე არ გახინჯავდა კაცი, ვერას შეატყობდა ის წვრილი, რაც იდგა, ასე
შემოკრებილი იყო, რომე რაც მცენიერის კაცისაგან თითქმის და ანუ გულის-
საგან მოიგონებდა, ყოველი სურნელი და ყოვლის სნეულის სამთელეზელი იყო.
რომ არა აკლდა რა“. აქ კომენტარის სახით შეიძლება ითქვას, ყამოს აღმწე-
რა გვაწოდის ცნობას, რომ XVII საუკუნეში გვექონია ისეთი წამლის სასახლე
„ყოვლის სნეულის (ავღმყოფის, ს. ს.) სამთებელი (გამოსაჯანსაღებელი, ს. ს.)
იყო“, რომ არავითარი სააფთიაქო კომპონენტა „არა ნივთი რა აკლდა რაო“
წამლის სასახლის ასეთი ზედმიწევნით აღწერის ტექსტი ერთადერთი და უნი-
კალურია, რომელიც, დატულია „რუსუდანიანში“. საქართველოს ტერიტორიაზე
დებულესი აფთიაქების აღმწერ ავტორთა ქრონოლოგიური რიგი ასეთია: 1952
წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ზურაბ შენგელიამ
გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს სამკურნალო მცენარეები“. ამ მონოგრა-
ფიის მე-6 გვერდზე ვკითხულობთ: „ქართული სამედიცინო ძეგლების შეტად
მდიდარი შინაარსი და მათში ხმარებული სამედიცინო და სამკურნალო წამლო სა-
ნუალებათა ტერმინები ცხადყოფს. რომ ძველ საქართველოში წამალთმცოდ-
ნეობა და წაქლის მომზადების ტექნიკა მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო.
ამას ამტკიცებს ვარძიის ციხე-ქალაქი (XII საუკუნე) სადაც აღმოჩენილია
კლდეში გამოკვეთილი აფთიაქისათვის განკუთვნილი სადგომი, მრავალი უჯრით.
წამლების შესახადა“. ამგვარად, ვარძიის აფთიაქის ფუნქციონირების ისტო-
რიული ფაქტის შესახებ პირველი მეცნიერული მოსაზრება გამოაქვეყნა დოც.
ზურაბ შენგელიამ. შემდეგ ამ საკითხს შეეხო 1958 წელს ეჭიმი ჰავლე ფირ-
ფილანფილი „ვარძიის „თანჩიანი გამოქვაბულის“ დანიშნულების შესახებ“.
რომელიც საკითხს ასეთნაირ ასპექტში აყენებს: „ზემით მოყვანილი მასალებ-
ბისა და ცნობების საფუძველზე იხადება შემდეგი მოსაზრება: „ვარძიის „თან-
ჩიბიანი გამოქვაბული“, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი პატარა თახჩებით
გამოირჩევა ვარძიის ყველა სხვა სახის გამოქვაბულისაგან, ხომ არ არის იმ-
დაგვარი ხასიათის ნაგებობა. როგორცაა ზემოთ ხსენებული ცნობა გულისხ-
მობს“? ექიმი პ. ფირფილაშვილი იმთავითვე ორკოფულ კითხვას სვამს ვარ-
ძიის თახჩებიან გამოქვაბულზე. თანაც თვითონვე ეწეობს, იყო თუ არა აფ-
თიაქის ტიპის ნაგებობა და იქვე სქოლიოში განმარტავს რომ „თანჩიბიანი გა-

მოქვაბული“ არაა შესწავლილი. ეს მაშინ, როცა 6 წლით ადრე გამოქვეყნდა დოც. ზურაბ შენგელიას უპირველესი მოსაზრება, რომ ვარძიის თახჩებიანი გამოქვაბული აფთიაქის ტიპის ნაგებობა იყო, ეს მეცნიერული წყარო მას ხელთ ჰქონდა!

1970 წელს ვარძიის თახჩებიან გამოქვაბულს შეეხო პროფ. მიხეილ შენგელია და თავისი მონოგრაფიის „ქართული მედიცინის ისტორია“ („განათლება“, თბ. 1970) 127-ე გვერდზე გვადლევს ჩამოყალიბებულ აზრს ვარძიის კომპლექსში აფთიაქის ისტორიულად მოქმედების ფაქტის შესახებ. პროფ. მიხეილ შენგელია წერს: „ვარძიის კომპლექსში ყველაზე მნიშვნელოვანია VI სართულზე მდებარე აფთიაქი (15-20-მდე კვ. მეტრი ფართობის ოთახი). მის კედლებზე გამოკრძობილია ერთი და იმავე სიდიდის 265 ნიშა თორიზონტალური ძირითა და ნახევარ წრისებური თაღით. როგორც ჩანს, თითოეული ნიშა განკუთვნილი იყო თითო სამკურნალო წამლო საშუალებისათვის“. აქ ციტირებული მასალიდან აშკარად ჩანს, რომ ვარძიაში აფთიაქი არსებობდა. 1978-79 წლებში ვეწვით ჩვენ ვარძიის გამოქვაბულს და დეტალურად აღვწერეთ თახჩებიანი ოთახი. დავაზუსტეთ თახჩების რაოდენობა, ამავე დროს იატაკიდან და თახჩებიდან ხის დანით ავიღეთ ანაფხეკები, შევავაროვეთ მინის ჭურჭელში და გამოვიკვლიეთ იგივეობის რეაქციებზე მოსალოდნელი ლითონების თანაპოვნირებაზე ქრომატოგრაფიული მეთოდით, რესპუბლიკურ საკონტროლო სააფთიაქო ანალიზურ ლაბორატორიაში. ამავე ეპოქის XI საუკუნის წერილობით წყაროში ქანანელის „უხსორო კარაბადინის“ ფურცლებზე ნახსენებ იმ კომპონენტთა ძიებით ვხელმძღვანელობდით, რომელიც, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში წამლის ფორმების მოსამზადებლად გამოიყენებოდა. მხედველობაში გვაქვს: სპილენძის, რკინის, გოგირდის, რკინის უნაგის, სულფატების, ალუმინის და სხვა მტკალების თანაპოვნირება. კონიექტურა დადასტურდა, სინჯებში ნაპოვნი იქნა ზემოთ დასახელებულ ლითონთა კვალი. აღსანიშნავია, რომ აფთიაქის შენობიდან 50-70 მეტრის დაშორებით აღებულმა ქანობის სინჯმა ასეთ ლითონებზე უარყოფითი რეაქციები მოგვცა და თანაპოვნირება არ დადასტურდა. კონტროლის, უფრო სწორად გადაკონტროლების და შედარებითი ანალიზის შედეგების ჩატარებისათვის სინჯი საანალიზოდ გადავეციეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრას (კათედრის გამგე პროფ. ნ. სხირტლაძე), სადაც გეოლოგიურ-სპექტროსკოპიული ზუსტი ანალიზის შედეგები დაემთხვა რესპუბლიკურ საკონტროლო სააფთიაქო ანალიზური ლაბორატორიის შედეგებს. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ 1204 წლიდან 1283 წლამდე, ე. ი. ქანამ ვარძია მიწისძვრის შედეგად დაინგროდა, 80 წლის მანძილზე ვარძიის ამ თახჩებიან გამოქვაბულში მოქმედებდა აფთიაქი. თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე შეუძლებელია, თახჩაზე, ან უფრო იატაკზე წამალი არ დაღვროდათ, ან წამლის შესანახი ქილა არ გასტეხოდათ. ამგვარად, იქ, რა თქმა უნდა, წამლის კომპონენტის კვალი დარჩებოდა. ანალიზის შედეგებმა ასეთი ვარაუდი გაამართლა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, ჩვენ ავტორ-მკვლევართა შორის, ვარძიაში აფთიაქის არსებობის: ზ. შენგელიას (1952 წ.) ექიმ პ. ფირფილაშვი-

ლის (1958 წ) და პროფ. მ. შენგელიას (1970 წ) შემდეგ რიგით მეოთხე მკვლევარი ვართ, რომლებთან ერთად ვიზიარებთ და დამატებითი არგუმენტებით ვადასტურებთ ვარძიაში აფთიაქის არსებობის ისტორიულ ფაქტს. ვარძია — უცხოტომთა შემოსევის დროს სამხედრო თავშესაფარი, საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური განძეულობის და ფულადი სახსრების ოქრო-ვერცხლის და სხვა ძვირფასი მეტალის და საერთოდ სავალუტო სიმდიდრის შესანახი ადგილი იყო. ამავე დროს იგი მნიშვნელოვანი რელიგიური საკულტო დაწესებულებაა მწიგნობრობის თვალსაზრისით, სადაც მდიდარი წიგნთსაცავი ბიბლიოთეკა ყოფილა. ვარძია ამავე დროს მეომართა თავშესაფარი იყო, სადაც დაჭრილთა სამკურნალო ქსენონი მოქმედებდა. ბუნებრივია ამგვარ საყოფაცხოვრებო სატრაპეზოების და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებების მომსახურე პერსონალს და მღვდელ-მონაზვნებს დასჭირდებოდათ მედიკამენტოზური მომსახურება. ამიტომ უდავოა ასეთ მასტაბურ თავშესაფარს დარელიგიური კულტურის ცენტრის ექნებოდა სამკურნალო საშუალებების შესანახი თახჩები, აფთიაქი — ანუ წამლის სასახლე. ამგვარი წამლის სასახლე ვარძიის გარდა სხვა რელიგიურ საკულტო დაწესებულებაშიც იყო უსათუოდ: ანალოგიური თახჩები ნაპოვნია კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეში და მაღალანთა ეკლესიის შემოგარენში. რაც შეეხება დავით გარეჯს, იქ ამგვარი თახჩები მთლიანად დანგრეულა და მხოლოდ თახჩების ნანგრევების კვალია შეიმჩნევა აქა იქ. ვარძიის თახჩებიანი გამოქვაბულის კონსტრუქციულად ანალოგიური ნაგებობა, როგორც ზემოთ ვიუწყებოდით მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში იქნა აღმოჩენილი. ეს ორიგინალური ნაგებობა, რომ წამლების შესანახი დაწესებულება იყო, ამას აძლიერებს ის ფაქტი, რომ მაღალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელმა მახარებელ მაღალაძემ მონაწილეობა მიიღო ზაზა ფანასკერტელთან ერთად წამლის ფორმების მოსამზადებელი წესების საკრებულო წიგნის შედგენაში. ეს დამტკიცებულია პალეოგრაფიულად.

იბადება კითხვა, საბოლოოდ რა დავარქვით ამ თახჩებიან შენობებს?

აკადემიკოს აკაკი შანიძის განმარტებით ბერძნული სიტყვა აფთიაქის შესატყვისია წამლების სასახლე. მკვლევარი ანდრო ლეკიაშვილი „დასტურმარალის“ და „მუშაშპრის სახლის“ ქართული შესატყვისის გარკვევისას ვარძიის თახჩებიან ნაგებობას ნაშრომის 193-ე გვედრზე „წამლის სახლს“ უწოდებს. ეს ტერმინი ჩვენ მიერ გამოქმნილი აფთიაქის ქართული შესატყვისის ანალოგიურია. ამიტომ, ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ვარძიის თახჩებიან გამოქვაბულს და ივანიძეებისა და მაღალაძეების საგვარეულო ეკლესიის შემოგარენში აღმოჩენილ თახჩებიან ნაგებობას — აფთიაქს — წამლის სასახლას სახელწოდებით მოვიხსენიებდით მომავალში.

„პარაბადინისა“ და „შარმაკოპის“ ილენაშრობის საკითხის

ბარაკვიპისნათვის საქართველოს მედიცინისა და

შარმაპიის ისტორიაში

ფრიად საჭიროა გაირკვეს, წინამდებარე ხელნაწერი „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ (ფონდი Q № 877) იყო თუ არა საეკლესიო მედიცინის და ბაგრა-

ტიონთა სასახლის კარზე წამლები მომხადობის წესების სარეკომენდაციო წიგნი — ფარმაკოპეა? ამ ხელნაწერზე მომუშავე ავტორებს: პროფ. კ. გრიგოლიას, პროფ. ი. აბულაძეს, პროფ. მ. სააკაშვილს და პროფ. მ. შენგელიას დღემდე გამოქვეყნებულ მასალებში ასეთი განმარტება არ მოუციათ; ხოლო „სამკურნალო წიგნის“ ეპითეტებით ამ წყაროს ისინი ერთხმად იხსენიებენ ისე, რომ ფარმაკოპეისა და კარაბადინის იდენტურობის საკითხი არ არის განმარტებული: ძველად კარაბადინს უადრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა“ წერდნენ პროფესორები: ი. აბულაძე, კ. გრიგოლია და მ. სააკაშვილი.

1950 წელს პროფ. მ. სააკაშვილის რედაქტორობით გამოქვეყნდა წიგნი, რომელსაც დიდი ასოებით აწერია: „სამკურნალო წიგნი“, ხოლო წერილი შრიტითაა მოცემული ამ წიგნის არაბული სახელწოდება „კარაბადინი“, — „ფარმაკოპეა“ (!) რატომღაც სრულებით არ არის მიღებული მხედველობაში. 1959 წელს გამოქვეყნებულ ამ წიგნის ყდაზე აწერია: „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“. I ნახევარი 1-დან 176 გვერდამდე გამოცა დოქ. მ. შენგელიას მიერ თანდართული კომენტარებით (რედაქტორი პროფ. დ. მამათავარიშვილი) 1978 წელს გამოქვეყნდა „საბჭოთა საქართველოში“ კვლავ გამოსცა გაერთიანებული სახით ეს მნიშვნელოვანი სამედიცინო ხელნაწერი პროფ. მ. შენგელიას გამოკვლევებითა და რედაქტორობით, სადაც გამოყენებულია ძირითადად პროფ. იუსტინე აბულაძისა და ილ. აბულაძის მიერ შედგენილი განმარტებითი ლექსიკონები უა აქაც იგივე სათაურია „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“. წინამდებარე ხელნაწერი რომ კარაბადინია და მომდევნო საუკუნეებშიც ამავე სახელწოდებით იხსენიებოდა, ამას ადასტურებს ვახტანგ VI ბაგრატიონის ხელით 1709 წელს დაწერილი დოკუმენტი: „კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკრევინეთ საჯსრად და სასარგებლოდ კაცთათვის და საჯსრად ყოველთა“. ასე რომ, ამ ხელნაწერის შინაარსს, რომ არ შეეხებოთ. XVIII საუკუნის დასაწყისში იგი იწოდებოდა კარაბადინად, რასაც იზიარებენ ზემოთ დასახელებული ავტორი-მკვლევარები. საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი ევანი ლაღო კოტეტიშვილი საგვებით იზიარებს იმ აზრს, რომ ძველი ქართული „კარაბადინები“ იმთავითვე ფარმაკოპეული დანიშნულების საკანონმდებლო საფუძვალზე წიგნები იყო და იგი 1935 წელს წერდა: „კარაბადინი თავისი პირვანდელი გაგებით საფუთაქო წიგნი იყო და შეიცავდა წამლეულის დამზადების წესებს“... მაგრამ „კარაბადინების“ და „ფარმაკოპეის“ იდენტურობის საკითხზე ღრიად საინტერესოა მსოფლიო მედიცინის ისტორიის სისტემატიკოსის, ძველი მედიცინის და განსაკუთრებით არაბული მედიცინის ისტორიის გამოჩენილი მეცოდნის, კომპეტენტური სპეციალისტის, გერმანელი მეცნიერის კურტ შპრენგელის მოსაზრება. ცნობილია, რომ კურტ შპრენგელმა დაწერა ხუთტომიანი გამოკვლევა „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორია“, რომლის პირველი ტომი გამოიცა პალეში 1792 წელს. თავის ცნობილ გამოკვლევაში „მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნემდე“ ლაღო კოტეტიშვილი „წიგნი საქიმოი“-ს 33-ე გვერდზე წერდა: „რადგანაც ავტორის (კურტ შპრენგელის, ს. ს.) აზრს გადაშკრელი მნიშვნელობა აქვს (ლაღო კოტეტიშვილს

მხედველობაში ჰქონდა კურტ შპრენგელის პოზიცია „კარაბადინის“ და „ფარმაკოპეის“ იდენტურობის შესახებ. ს. ს.), ამიტომ ამავე წყაროს 34-ე გვერდზე ნოუყვს ციტატა კურტ შპრენგელის ნაშრომის II ტომის 317 გვერდიდან გერმანულ ენაზე. აი თარგმანი ამ ტექსტისა: „პირველი კარაბადინი დაიწერა არაბულ ენაზე ქალაქ ჭონდიზაბურის სკოლის ზედამხედველის საბორ იბნ საჰელის მიერ IX საუკუნეში, რომელსაც შემდგომში მრავალრიცხოვანი მიმდევრები გამოუჩნდნენ. უფრო ცნობილი გახდა კარაბადინი შედგენილი XII საუკუნეში ქრისტიანი ეპისკოპოსის ბაღდადის ხალიფის ლეიბ მედიკოსის, აბულ ჰასან ჰეზატოლამ აბნ თალმიდის მიერ. ეს წიგნი გახდა ნორმატივების საცნობარო არაბეთის ყველა აფთიაქებისათვის“.

მასწავლამე. კურტ შპრენგელი, როგორც არაბული და მსოფლიო მედიცინის ისტორიის მკვლევარი და ამავე დროს კომპეტენტური სპეციალისტი. სავსებით იზიარებს იმ აზრს. რომ „კარაბადინი“ სააფთიაქო საცანონმდებლო წიგნია არაბულად და ფარმაკოპეა ჰქვია ლათინურად. აი როგორ კომენტარს უკეთებს ამ საკითხს ექიმი ლადო კოტეტიშვილი: „აქედან ნათელია, რომ სახელწოდება „კარაბადინი“ პირველად შემოსულა არაბეთში IX საუკუნეს მეორე ნახევარში და ეკუთვნის საბორ იბნ საჰელს. რომელიც ჭონდიზაბურის (ქალაქი იყო არაბეთში) საექიმო სკოლის ზედამხედველი ყოფილა. მას ეს სახელწოდება მოუცია პირველ დისპენზატორიუმისათვის. რომელიც წამლეულის დამზადების წესებს შეიცავდა. შემდეგ XII საუკუნეში განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა აბულ ჰასან ჰეზატოლამ იბნ თალმიდის კარაბადინი, რომელიც შემდგომში სანიმუშო ყოფილა არაბეთის აფთიაქებისათვის“... „მასწავლამე „კარაბადინი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავდა ფარმაკოპეას. ანუ წამლეულის დამზადებას წესების შემცველ წიგნს“. არაბული და მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებლის და სისტემატიკოსის კურტ შპრენგელის არგუმენტარებულ განმარტებას „კარაბადინის“ და „ფარმაკოპეის“ იდენტურობის შესახებ სავსებით იზიარებს საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი ექიმი ლადო კოტეტიშვილი. მსოფლიო მედიცინის მკვლევარების მიერ ფარმაკოპეის და კარაბადინების იდენტურობის საკითხი აქსიომად არის მიჩნეული და ამ საკითხს, საერთოდ. სადისკუსიოდ არ თვლიან, მაგრამ 1981 წლის ყურნალ „საბჭოთა მედიცინის“ № 2-ში გამოქვეყნებული სტატიის „მეტი სიზუსტისა და კეთილსინდისიერებისათვის მეცნიერებაში“ ავტორები: პროფ. მ. შენგელია, პროფ. ბ. ჭუმბურიძე და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ფირფილაშვილი არა თუ იზიარებენ კურტ შპრენგელის და ლადო კოტეტიშვილის ამ აქსიომას — ფარმაკოპეიაა და კარაბადინის იდენტურობის შესახებ, არამედ ამ სტატიაში ყურნალის 65-ე გვერდს პირველსავე აბზაცზე ასეთი დასკვნა გამოაქვთ: „ავტორმა (ე. ი. პროვოზორმა ს. ს.ლუქვაძემ) „უსწორო კარაბადინი“ (ფონდი Q 26) ფარმაკოპეად „მედიკოსთა სახელმწიფო საკანონმდებლო წიგნად“ გამოაცხადა, მაშინ როცა ის მხოლოდ სამკურნალო წიგნია, სადაც მოცემულია როგორც თერაპია, ქირურგია. ნერვოპათოლოგია, ისე რასაკვირველია ფარმაკოლოგიაც და არა ფარმაკოპეა, როგორც ავტორი „გვარწმუნებს“.

ან რას ნიშნავს „მედიკოსთა სახელმწიფო საკანონმდებლო წიგნი?“ აქ მოყვანილი მათი ციტატის შინაარსიდან მთავარია გაირკვეს, რომ ავტორი ს. სალუქვაძე სავსებით იზიარებს გერმანელი მეცნიერის კურტ შპრენგელის და ქართველი მკვლევარის ლადო კოტეტიშვილის იმ აქსიომას, რომ ფარმაკოპეა და კარაბადინი იდენტური ცნებებია და ჩვენ კი არ გამოვიგონეთ და დავარქვით „უსწორო კარაბადინს“ ფარმაკოპეა, არამედ არაბეთში IX საუკუნის მეორე ნახევარში საბორ იბნ საჰელის წამლეულის გამანაწილებელ წიგნსა და წამლეულის წესების შემცველ წიგნს ერქვა კარაბადინი, ანუ ფარმაკოპეა, ხოლო XII საუკუნეში აბულ ჰასან ჰებატოლამ იბნ თალმიდის კარაბადინი სანიმუშო ყოფილა არაბეთის ყველა აფთიაქისათვის. „უსწორო კარაბადინი“ XI საუკუნის უნიკალური სამედიცინო ხელნაწერი რომ უზენაესი დანიშნულების ყოფილა, ამასზე თვით სათაური „უსწორო კარაბადინი“ მეტყუალებს. და, თანაც, ჩვენ გაიზარაეთ ამ კომპეტენტურ სპეციალისტთა მოსაზრება, ფარმაკოპეის და კარაბადინების იდენტურობის შესახებ. ამგვარად, ამ ავტორებს, ალბათ არ წაუკითხავთ ზემოთ დასახელებულ მეცნიერთა კორიფეების არგუმენტირებული მოსაზრებანი ფარმაკოპეის და კარაბადინების იდენტურობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაგვადანაშაულებდნენ ამ საკითხის უცოდინარობაში. მით უმეტეს ჩვენ პროვიზორის (წამალმემკოდნე სპეციალისტის) პოზიციებიდან კომენტარი გავუკეთეთ XI საუკუნის ქანანელის „უსწორო კარაბადინს“ და მას უზენაესი ფუნქცია მივანიჭეთ დავით აღმაშენებლის ეკონომიკური და პოლიტიკური აღორძინების ეპოქაში. იმავე დროს ავტორები აცხადებენ „სად არსებობდა იმ დროს ასეთი წიგნი?“ სწორედ განგებამ შემოგვიანახა ეს უნიკალური სწორუპოვარი ფარმაკოპეა, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (ფონდი Q 26). მაშინ (XI-XII საუკუნეებში) ჯუარისმტვირთველის და ჰყონდიდელის კომპეტენციაში შედიოდა მწიგნობრობა და „სენთა კურნების“ საკითხები, ვინაიდან ასეთი იყო იმ დროს სახელმწიფო აპარატის საშტატო სტრუქტურა. საერთოდ ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში „სენთა კურნება“ საეკლესიო უწყების მესვეურთა გამგებლობაში შედიოდა და „უსწორო კარაბადინი“ შუა საუკუნეებში ეკლესიის საკანონმდებლო წიგნს წარმოადგენდა. ამჟამად კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება და სარწმუნო არგუმენტირებული წყაროების საფუძველზე ლადო კოტეტიშვილის მიერ ეს წიგნი XI საუკუნის ძეგლად არის მიჩნეული. საკითხს რომ ნათელი მოეფინოს, საჭიროა ჩავიხედოთ უცხო სიტყვათა ლექსიკონში და ამოვიკითხოთ, რას ნიშნავს სიტყვა „ფარმაკოლოგია“ და რას ნიშნავს სიტყვა „ფარმაკოპეა“?

მაგრამ სანამ ამას გავარკვევდეთ, გადავშალოთ ნებისმიერი გვერდი ქანანელის „უსწორო კარაბადინისა“, სადაც 18-მდე სხვადასხვა წამლის ფორმების მოსამზადებლად ფარმაკოპეული რეკომენდაციებია მოცემული და წავიკითხოთ ერთ-ერთი მათგანი. „უსწორო კარაბადინის“ 190-ე გვედრზე ბოლოდან მეორე აბზაცში შემდეგი წერია: „მისი წამალი: მუდამ ცხუირსა შიგა ლე-

ლოფირსა ზეთსა ჩაუშვებდი, მუდამ შაყიყა და საჯღოში მითა დაიზილოს და გასახსნელიცა მიეცით აფთიომონისა მათბუნისა. „მისი შექმნა“ ანუ მისი მომზადება როგორ ხდება? „აიღე: შავი ალილა ოცი ღრამი კურკისაგან გამოღებული, აფთიომონი ათი ღრამი, ჩამიჩი და ქიშმიში ოცოცი ღრამი კურკისაგან გამოყენებული, სინამაქი შვიდი ღრამი, თურბითი თეთრი ოთხი ღრამი, ესე ყუელა სამითა ლიტრი წყლითა მოადუღე მანამდის რომე სამიე მუტყულად მოეყაროს მერმე მუტყალი ყარიყონი, ორი დანგი საყაშუნია, ნახევარი დანგი შავი ხარბაყი ესე დანაყე და ამა მატბუნსა შიგან გაურჩე და შეასვი“. ასეა ამ კარაბადინში აღწერილი მრავალკომპონენტისანი რთული ნახარშის — მატბუნის მომზადება. შემდეგ: „თუ კაცსა ავადმყოფისაგან უძილობა დაემართოს“, „ყარი და ნიშანი მანახულიასი“, ანუ მკურნალობას ისეთი ფსიქონერვული დაავადებისა, რომელსაც დღეს ნელანქოლია ჰქვია, აღწერილია დიაგნოზის დასმის წესი და მოცემულია მკურნალობის რეკომენდაცია. ან კიდევ გადავფურცლოთ „უსწორო კარაბადინი“, აი რა წერია 283-ე გვერდზე: „გულისა ტკივილი თუ სიგრილისაგან იყოს... მისი წამალი: ძლიერი და ძნელი ღვინო ასუით და მისი ტანს ბალახნითა ზეთითა და ან თეთრი ნავითა შეზილეთ მუშქი შაქრითა აჭამეთ, სურნელსა მწვანელსა უსუნებდეს, მერმე სოდი და ყარანფული ორივე დანაყონ და ვაშლისა შარბათშიგა გაურჩეთ და მიეც რომე ჰამოს და მერმე ესე შარბათი და ესე წამალი კიდეცა ასუით და გულზედა ტლეცა დასდვან და საჭმელად შემწვარსა ტრედისა ხუნდსა აჭმევდით და ხანდახან ცხუირის ხორცსაცა აჭმევდნენ შემწვარსა. და ესე დევაღმუშქი შეუწვით და აჭამეთ“, ამ რეკომენდაციაში მკურნი ნატურალური ღვინის მიღება. რა თქმა უნდა მიკროდოზებში, სამკურნალოდ არის მიჩნეული, ასევე, მოცემულია რეკომენდაცია: ავადმყოფს სურნელოვანი — არომატული მცენარის სურნელებით ასუნთქონ, დაიცვას დიეტა, გაიკეთოს გულის არეში ტლე. ანუ კომპრესი, ხოლო „დევაღმუშქი შეუწვით“ იგულისხმება: „ყუსტი, სუმბული ყუელთა სწორ სწორი ქენ, დანაყე და მურტისა მაგრე არის და თუ კარგი ღვინითა შეასვა ისიც მარგე არის“. ან კიდევ „უსწორო კარაბადინის“ 450-ე გვერდზე „ყარი მარტო წამლებისა“... „რაც აქა წამლები ვთქვა, არცა ათისაგან ერთი არ გვითქვამს, მრავალი სხვა არის, უთქმელი დარჩა, თუ ყუელა ერთ პირად დაგვეწერა, ერთობ გაგრძელდებოდა, რაცა დავსწერეთ ყუელთა გამორჩეული არის, კარგი და მუდამ სახარებელი. წინანდელი ბრძენი აქიშნი შეიყარნეს და ზოგი ფერი იცნეს სულითა და სახითა რომე ერთმანეთს ემოწმებოდეს და მათი სახელები ამა წიგნშიგან დაწერეს, მაგრამ ესე, რომე წამლები გამოგვირჩედა და დაგვიწერია მოკლედ გამორჩეული ესე არის რაცა სამუდამოდ იხმარების, და კაცსა რა მორჩების, თვითო ეს არის და ადვილად იშოვების, და ისი სხვა რომე არა დაგვიწერია ამისათვის, რომე ძნელი არს და არ იშოვების. აქიმის ოსტატობა ეს არის, რომელიც ესე წამალი კარგად იცნოს ფერითა, გემოთა და სულითა. წამლები ქვეყანაზე და მრავალფერი არის ერთმანეთის მსგავსი და ასეთიც ბევრი არის, ერთმანეთშიგა გაურთვენ. ერთობ ოსტატი კაცი უნდა რომე შეიგნას ზოგი ძირი, ზოგი ყუაელი, ზოგი, ფურცელი, ზოგი

თესლი, ზოგი ხე, ზოგი ტყავი“... ასე ლაკონურად გადმოგვცემს ქანანელი 900 წლის წინანდელ წერილობით წყაროში წამალმცოდნეობის ხელოვნებას. „აქი-მის ოსტატობა ეს არის რომელიც ეს წამალი კარგათ იცნას“. ამ კომენტარის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩინა ჩავიხედოთ უცხო სიტყვათა ლექსიკონში, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1955 წელს ი. ვ. ლეხინისა და პროფ. ფ. ნ. პეტროვის რედაქციით. 721-ე გვერდზე წერია „ფარმაკოლოგია ბერძნულია. ფარმაკონ — წამალი, ლოგოს — ცოდნა, მეცნიერება სამკურნალწამლო ნივთიერების ორგანიზმზე მოქმედების შესახებ“. მაშასადამე, ფარმაკოლოგია სწავლობს სამკურნალო ნივთიერების ორგანოზე მოქმედებას, მას შემდეგ, როცა იგი ორგანიზმში მოხვდება. აგრეთვე რა სახის ფარმაკოლოგიურ ცვლილებებს გამოიწვევს ესა თუ ის წამალი. და თუ როგორ უნდა მომზადდეს იგი სწორი ფარმაკოლოგიური დოზით, ამას სწავლობს ფარმაკოპეა და არა ფარმაკოლოგია! ამავე „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ 722-ე გვერდზე წერია: „ფარმაკოპეა (ბერძნულია „ფარმაკონ“ წამალია „პეია“ „ვაკეთებ“) ოფიციალური სახელმძღვანელო ფარმაცევტებისათვის, დაკანონებული აღწერა წამლის მომზადებისა, შენახვისა და გაკონტროლების შესახებ, მითითება მაქსიმალური დოზებისა, აგრეთვე ჩამოთვლით სამკურნალო ნედლეულისა და ნივთიერებებისა, რომელიც უნდა ინახებოდეს აფთიაქში“. ასეთია თანამედროვე კლასიკური განმარტება ფარმაკოპეისა. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ 900 წლის წინათ დაწერილ ქანანელის „უსწორო კარაბადინს“ იგივე მოთხოვნები წაუყუენოთ და იგივე ფუნქციები მივანიჭოთ. რაც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეის თანამედროვე X გამოცემას: პრეპარატების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების დადგენის, სტანდარტიზაციის და მედიკამენტების კლასიფიკაციის მხრივ. მაგრამ წინამდებარე „უსწორო კარაბადინი“ რომ შუა საუკუნეებში ფარმაკოპეის ფუნქციას ასრულებდა, ეს საკმაოდ არგუმენტირებული ფაქტია. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ფარმაკოპეის თანამედროვე გამოცემა საკანონმდებლო ხასიათისა და იგი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით არის დამტკიცებული, როგორც ოფიციალური სახელმძღვანელო, ჯანდაცვის სამინისტროს უწყების ყველა მუშაკისათვის. ჩვენ თანამედროვე X გამოცემა სახელმწიფო ფარმაკოპეისა და XI საუკუნის „უსწორო კარაბადინის“ შედარებითი ანალიზი არ დაგვიყენებია დღის წესრიგში, უბრალოდ კარაბადინის და ფარმაკოპეის ინდეტურობიდან გამომდინარე ვთვლით, რომ „უსწორო კარაბადინი“ შუა საუკუნეებში ფარმაკოპეის დანიშნულებას ასრულებდა და ასეც იყო უსათუოდ, ხოლო ფარმაკოპეა, რომ „უსწორო კარაბადინია“ ეს უკვე საკმაოდ ფაქტებით და ისტორიული წყაროებით არის დამტკიცებული.

ვახტანგ VI ანდერძი გვატყობინებს: „კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკრევენეთ“. კარაბადინის ყოველდღიურმა საჭიროებამ, როგორც წამლების მოსამზადებელი რეკომენდაციების წიგნმა — ფორმაკოპეულობამ განაპირობა ამ ძეგლის გადარჩენა, თორემ სამედიცინო ხასიათის წიგნები უსათუოდ სხვატ ბევრი დაიწერა შუა საუკუნეებში, მაგრამ მათ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

удостоенъ БОЛЬШОЙ ЗОЛТОЙ МЕДАЛИ на Туркестанской юбилейной сельско-хозяйствен. и научной выставкѣ въ 1909 году.

ПОЛНЫЙ ПЕРСИДСКО-АРАБСКО-РУССКІЙ СЛОВАРЬ

(Составить 1 часть индустанско-русскаго словаря).

СОСТАВИЛЪ

Полковникъ И. Д. Ягелло.

съ содѣйствіемъ Штаба Туркестанскаго военнаго Округа.

ТАШКЕНТЪ.

პოლკოვნიკი ი. დ. იაგელოს მიერ შედგენილი სპარსულ-არაბულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონის თავფურცელი. ისლამური ენციკლოპედიის V ტომის I 844 გვერდზე განმარტებულია, რომ კარაბადინის, ან კარაბადინის ფუძე არაბულიდან და სირიულიდან მომდინარეობს და შეესაბამება ბერძნულ ტერმინს — „ატრაქტატს“ — მიცნიერულ თხზულებას.

ПЕРСИДСКО-РУССКИЙ СЛОВАРЬ

В ДВУХ ТОМАХ

Свыше 60 000 слов

Под редакцией Ю.А. РУБИНЧИКА

С приложением грамматического очерка персидского языка

فرهنگ فارسی بروسی

در دو جلد

حاوی بیش از ۶۰ کلمه

بمصحیح و اهتمام پوری روبینچیک

بضمیمه شرح مختصر دستور زبان فارسی

1070 წელს მოსკოვში ი. ა. რუბინჩიკის რედაქციით გამოვიდა ირანულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონი, სადაც 60000-ზე მეტი სიტყვაა განმარტებული.

قدمت [fədmat fədmāt] IV дѣяности; 2) дѣятельность (напр. *супр(бм)*); стаж; خدمت ~* службный стаж; вѣдуга лет; 3) приоритѣт. کردن (کردن) [fārdānāde]: ~ செய்யоболитъ, संबолѣть приийт, пожѣло-зять

قدم پيما [fādāpimā] см. قدم شمار قدمگه [fādāmgāh] 1) отпечаток погѣ (святых, пророков, шмакѣ и т. п.); 2) редко уборная. قدنا [fādānā] (пж. ~ آينه*) трюмо (зеркало).

قد قديالا [fādōqāla] см. قد و بالا [fād(ā)]. قدوس [fādūs] безгрѣшный, чѣстый (элитет боа).

قدوقات [fādōqāmat] см. قدويالا [fād(ā)].

قدوم [fādūm] кшижн. прибытие, приход, прѣзд.

قدومه [fādūmā] бот. желтушник (*Erysimum officinale*).

قده [fādā] кшижн. 1) руководитель; предводитель; вождь; 2) образец, примѣр для подражания.

قدی [fādī] во весь рост; в рост человека; ~ آينه* трюмо; ~ تصوير* портрѣт во весь рост.

قدی [fādī] разг. 1) упрямство; настойчивость; 2) гордость, надменность; 3) своенравность; непокорность.

قدیمه [fādīmā] см. قدیم ~ قرون* дрѣвние века

قدیمی [fādīmī] старѣй, старѣннѣй; дрѣвнѣй; ~ زبانهای* дрѣвние языки.

قدیمیها [fādīmīhā] предки. قر [fār] разг. 1) кокѣтничанье; жемѣнничанье; 2) телодвиженія (во время танца живота); □ قر دادن а) кокѣтничать; жемѣнничать; ломаться; б) дѣлать движенія животом, извиваться (во время танца живота).

قر [fār] I разг. со вмѣтнпюй, имѣющій вмѣтнпю (о металлической посуде); قر شدن получать вмѣтнпю (напр. о посуде); قر کردن дѣлать вмѣтнпю (напр. на посуде را); ◊ قر کردن обманывать, соблазнять, совращать.

قر [fār] II разг. 1. грѣжа; 2. страдѣющій грѣжей.

قر [fār] III см. قرق [fārqar] I; قر زدن бормотать, ворчать.

قرا [fāra] см. قره [fārā].

قرا [fāra] мн. от قریه

قراء [fāra] мн. от قاری


قرب [fārb] уст. иожны.

قربادین [fārabādīn] уст. 1) фармакопѣя; 2) фармакология.

قرباغي [fārabāgi] название тюркской мелодш.

قربت [fārabāt] 1) родство, родственные отношенія; ~ سببی ~* пскрѣнное родство; ~ نسبی крѣвное родство; 2) близость, сходство;

o. a. რუბინჩიკის ლექსიკონის 201-ე გვერდზე მეორე სვეტში ბოლოდან მესამე აბ-
ჯაცზე მოცემული განმარტებით ირანული „კარაბადინი“, ლათინური „ყარაბაკოპის“ სინონი-
შეა, ასე რომ 1931 წელს ეურნალ „საბჭოთა მედიცინის“ № 2-ში, 65-ე გვერდზე გამოქვეყ-
ნებული „ბრალდება“ ჩვენი მისამართით უსაფუძვლოა.



ჩვენს ამს ქმ-ღების
ქანობაშია.
ან სხვა და სხვა ხარვეზებში,
ქანობა ამათვე ვთქვამთ.

Полный текст
с 1870-1880 гг. в архивах
и т. д.

„უსწორო კარაბადინის“ მხედრული ვარიანტის სატიტულო გვერდის ფოტო-პირი, მიღებულია ქ. ლენინგრადიდან ჩვენი თხოვნით. აქ არსებული წარწერითაც შტკიცდება კარაბადინისა და ფარშაქოების იდენტურობის საკითხი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთი მკვლევარის მკდარი პოზიციის გარკვევა, არა მარტო კარაბადინისა და მისი ბერძნულ-ლათინური სინონიმის იდენტური ცნების — ფარმაკოპეის შესახებ, არამედ ძველი ქართული სამედიცინო წერილობითი წყაროების არასწორად ფორმულირების გამოც, წაძალატეპნოლოგიის თვალსაზრისით. თავის მეცნიერულ შრომაში: „ვებრძიის თახჩე-ბიანი გამოქვაბულის დანიშნულების შესახებ“ ექიმი პ. ფირფილაშვილი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყურნალი „მოამბე“, 1958 წ. ტომი № 3) წერს: „უხსრო კარაბ:დინში“ ვხვდებით წამლის 7 ფორმას, მაგალითად: 1. აბი, 2. მათბუხი, 3. ფხვნილები, 4. იარაჯები (მაღამო), 5 ყურსი (ტაბლეტები), 6. თრიაყი, 7. მაჭუნი. ეს განცხადება არასწორია, ვინაიდან „უხსრო კარაბ:დინში“ ვხვდებით: 18 დასახელების წამლის ფორმას, აი მათი სახელებიც: 1. მათბუხი — სითხოვანი წამლის ფორმა, 2. სალოკელნი, ანუ „კარამელი“, 3. ყურსები, ანუ ტაბლეტები, 4. კუერი აბი, ანუ აკარსლი, 5. საცხი — მაღამო, ანუ სალბუნი, 6. მულაბი — სითხოვანი წამალი, რომელიც ამფიონს შეიცავს, 7. მაჭუნი — რთული სითხოვანი წამალი, 8. იარაჯი — აუღულარ თაფლზე მომზადებული შიგნით მისაღები წამალი და გარეგანი — საცხიც იყო, 9. ტლევებსა შიგან გახვევა ანუ „კომპრესია“, 10. აბი „პილულები“, 11. შარბათები, ანუ ბადაგი „სიროპი“, 12. სიქანგუბანი — ლეიძლისათვის სამკურნალო წამლის ფორმა, 13. სამედიცინო წურბლით მკურნალობა, 14. კოტოში, 15. წამლები — მცენარეული ზეთებზე, 16. თრიაყები ანტილოტები და სხვადასხვა ფხვნილები, 17. გუარიშნები — რთული წამლის ფორმაა, რომელიც მრავალი ინგრედიენტებისაგან შედგება, 18. ღვინო, დასახელებულია ერთ-ერთ წამლის ფორმად. მაშასადამე, როგორც ხედავთ ყოფილა არა შვიდი, არამედ თერაფტი წამალთ ფორმა. ამავე ნაშრომში 379-ე გვერდზე ავტორი წერს: „XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დამდეგისათვის წამლების დამზადების საქმე საქართველოში, როგორც „წიგნი სააქიმოა“-დან ჩანს წინ წასულა. ამ დროისათვის წამლის ფორმას უკვე 11-მდე მიუღწევია“. არც ეს განცხადებაა სწორი... ამ წიგნის კომენტარისას ქართული მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი და სისტემატიკოსი ლადო კოტეტიშვილი 23 წამლის ფორმას ასახელებს. აი მათი სახელები: „1. მაჭუნი, 2. მატბუხი, 3. მაღამო, 4. გვარიშნი, 5. ნაყი, 6. აბი, 7. იარაჯი, 8. საფუფი, 9. რუბი, 10. ჭულაბი, 11. ყურსი, 12. აფშარი, 13. დაქლური, 14. შარაბი, 15. შარბათი, 16. ლუაბი, 17. შაფი (შიაფი), 18. წყალწვენი, 19. ლუყი, 20. ფარაჯი, 21. ფუხთა, 22. მოჭარიბი, 23. ფოლოსი. ამ წამალთა ფორმები მცენარეებისაგან მზადდებოდა, იყო ქიმიური წამლებიც“. მხედველობაშია მისაღები 24-ე წამლის ფორმა „მითრიდატუმი“, მართალია, თანამედროვე წამალთა ტექნოლოგიის თვალსაზრისით შარაბები და შარბათები, საფუფი და წყალწვენი ერმთანეთისაგან ალბათ ნაკლებად განსხვავდებიან, მაგრამ შუა საუკუნეების: ეპოქაში ეს ნაისახეობები მაინც მრავალფეროვნებებზე მიგვანრნებს. ასე რომ, ექიმ პ. ფირფილაშვილის განცხადება თითქოს „წიგნის ხაჯიმოში“ 11 წამლის ფორმა იყოს“ სინამდვილეს არ შეესაბამება.

1945 წელს თ. ჭყონიამ ქ. გორკის საოლქო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა ქართული სამედიცინო აზროვნების იშვიათი ძეგლი — „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, წერილობითი წყაროებით დადგენილია (პროფესორები ი. აბულაძე, კ. გრიგოლია, ს. ს.), რომ XV საუკუნეში მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრალო ეკლესიის ქადაგმა, მახარებელ მალალაძემ, მონაწილეობა მიიღო „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ შექმნაში. ამას მოწმობს ამ წიგნის 177r და 219v გვერდების არშიაზე ქარაგმული წარწერა, რომელშიც მახარებელი „მჩხრეკელის“, და „მშრომელის“ ზედწოდებითაა მოხსენიებული.

ძველი ქართული სამედიცინო კულტურის, მისი მდიდარი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, რომლის ავტორი, ზაზა ციციის ძე ფანასკერტელი „ბრძენთმთავარი“ შუა საუკუნეების დიდად განსწავლული, გონიერი და მრავალმხრივი მოღვაწე იყო, რაც მთავარია, მისი სამედიცინო მეცნიერული მემკვიდრეობა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე გახლავთ დაფუძნებული, იგი კარგად იცნობდა წინამორბედთა: ქანანელის, ხოჯაყოფილის, ბერძენი ჰიპოკრატეს, რომელიც გალენის და მსოფლიოს მედიცინის სხვა კლასიკოსთა შრომებს.

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინში“ მოცემულია ცნობები: დიაგნოსტიკის, შინაგან სნეულებათა და სხვადასხვა დაავადების ეტიოლოგიის, პედიკატრიის, ემბრიოლოგიის, უროლოგიის, პროქტოლოგიის ოტო-რინო-ლარინგოლოგიის, ნევროპათოლოგიის, დერმატოლოგიის, ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკის, თერაპიის, ქირურგიის, ონკოლოგიის, დიეტეტიკის, ფარმაკოგნოზის, ფარმაცევტული ქიმიის, კოსმეტოლოგიის შესახებ. წიგნში ნახსენებია სხვადასხვა სამედიცინო იარაღები, შესახვევი მასალები და საერთოდ. მოცემულია „კაცთა ყველა ქირის“ და „თავით თმითგან ვიდრე ფერკისა ფრჩხილამდე“ სამკურნალო რეკომენდაციები. წიგნში წინა პლანზეა წამოწეული დაავადებათა საწინააღმდეგო სამკურნალო წამლის ფორმების ნაირსახეობათა მომზადება, რაც ავტორთა ფართო პორიზონტსა და ენციკლოპედიურ განსწავლულობაზე მეტყველებს.

იგი ორიგინალურად შედგენილი ფარმაკოპეა გახლავთ, რომელშიც რეკომენდებულია მრავალფეროვანი წამლის ფორმების მომზადების მეთოდები. ასე მაგალითად: თრიაყები, ანუ მოწამლის საწინააღმდეგო ანტიდოტების ე. წ. „მითრიდატუმის“ მომზადება, როგორც ადაპტაციის, შეგუების, შერჩევის და შხამის გასანეიტრალბელი ანტიდოტური საშუალება, რომელიც შემდგომში ევროპის ქვეყნების ბევრ სახელმწიფო ფარმაკოპეებსაც ამშვენებდა. მეომრები და თვითონაც, ადაპტირებულნი რომ ყოფილიყვნენ ამგვარი შხამების მიმართ, ასეთნაირ ანტიდოტებს საკუთარ თავზე ცდიდნენ. ამ მხრივ კარგადაა ცნობილი პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი (132-63), რომლისგანაც წარმოდგება სახელწოდება — „მითრიდატუმი“, მისი მომზადების საიდუმლოებას, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ შუა საუკუნეების დიდი ქართველი ენციკლოპედიტი-მკურნალი ზაზა ფანასკერტელი და მახარებელი მალალაძე.

წამლის სხვადასხვა ფორმიდან აღსანიშნავია: კვერაყები, ანუ აბები, მაჯუნი, ანუ წამლის წამალი, ფანჯანიონში, ანუ მაჯუნის სახესხვაობა, ლათი, ანუ სანთლები, გუარიონი, ანუ კუქის სამოქმედო საშუალებები, იარიჯი, ანუ თაფლზე მომზადებული მოსქო კონსისტენციის შიგნით მისაღები და გარეგანი შესახელი წამალი, მატბუზი, ანუ რთული სითხოვანი წამლის ფორმა, აბის სახესხვაობა — შიადი. ყურსები, ანუ ტაბლეტები, სალოკელნი, ანუ კუერნი, ლინიონთი. ანუ შესახელი წამალი, მცენარეული ზეთები, სიქანგუბინი — ღვიძლის წამალი, შიადების სახესხვაობა, თაფლზე მომზადებული ნახარში, სხვადასხვა ენდოკრინული ჰორმონალური ორგანოთერაპიული პრეპარატები, შარბათები. ანუ ტკბილი ბადაგი — სიროფები, მწნილები — მცენარეული ნაყოფისაგან დამზადებული კუქ-ნაწლავის დიეტური საკვები, სალბუნი — მალამო, ანუ საცხი, მულაბი — სითხოვანი წამლის ფორმა, რომელიც ოპიუმს შეიცავდა, იყენებდნენ აგრეთვე სამედიცინო წურბელას, კოტოშებს, „ტლევებსა შიგან გახვევას“, კომპრესს, ღვინოს. ნახსენებია აგრეთვე ფხვნილები და 25-მდე წამლის ფორმა.

შუა საუკუნეების ქართული სამედიცინო ხელნაწერებიდან მნიშვნელოვანი ძეგლია XVI საუკუნის წერილობითი წყარო, ქართლის მეფე ლუარსაბის უმცროსი ვაჟის დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი Q № 270).

წიგნში ფართოდ არის მოცემული პრაქტიკული ღონისძიებანი და მკურნალობის მეთოდები. იგი ქართული სამედიცინო აზროვნების ქრონოლოგიური განვითარების მაცნეა. ამ წიგნის პირველ განყოფილებაში ძირითადად ლაპარაკია დიეტეტიკაზე და სხვადასხვა წამლის ფორმებზე, მესამე განყოფილებაში ავადმყოფობანი და მათი მკურნალობაა წინა პლანზე წამოწეული. გამახვილებულია ყურადღება პრაქტოლოგიაზე და ფსიქოთერაპიაზე. წამლის ფორმების სიმრავლიდან წიგნში დამატებით აღინიშნება შარბათების სახით ტკბილი დიეტეტიკური მურაბების გამოყენება, როგორც დიეტეტიკის (ნორმალური კვერის), ასევე მკურნალობის თვალსაზრისით, რასაც ლადო კოტეტიშვილი კომენტარისას უწოდებს „ჩვენი განსწავლული წინაპრების ბრძნულ გონებაშახვილობას“, და აცხადებს „ძველი ქართული მედიცინა ორგანული ნაწილია ქართული კულტურისაო“.

როდის დაიწერა პირველად ფარმაცოპეა?

ლაიფციგის უნივერსიტეტის სახელგანთქმულმა გერმანელმა მეცნიერმა, ეგვიპტოლოგმა ებერსმა XIX საუკუნეში აღმოაჩინა უნიკალური პაპირუსი, რომელიც პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით თარიღდება ჩვენს ერამდე 2000 წლით ადრე. იგი დაწერილი ყოფილა მეფე Re-ser-ka-ს Amenophis-ს დროს. ეს ეგვიპტური პაპირუსი ებერისისავე ცნობით არის: „წიგნი წამლეულობის მომზადებისა სხეულის ყველა ნაწილისათვის“. 502 წელს ჩინეთში გამოვიდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ფარმაცოპეა. ეს ფარმაცოპეა შექმნა 22 ჩინელმა ფარმაცევტმა. XII საუკუნეში როჯერსმა იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში, მოაწყო

რამდენიმე აფთიაქი, ხოლო მისმა შვილიშვილმა ფრიდრიხ IV 1224 წელს ნეაპოლში გამოსცა პირველი სააფთიაქო კანონმდებლობა. თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (გარდა ჩინეთისა) რეცეპტების გამოწერა და დიაგნოსტიკა ლათინურ ენაზე წარმოებს. ინტერნაციონალური საერთაშორისო სამედიცინო ენა ლათინურია.

როგორ მოხერხდა ეს?

რომის იმპერიის ეკონომიკური და პოლიტიკური აღორძინების ეპოქაში ძვ. წ. I ათასწლეულში დაპურობილ ქვეყნებში ადმინისტრაციულ და სახელმწიფო ენად ლათინური იქცა. ამან ხელი შეუწყო მის საერთაშორისო ენად გადაქცევას და ლათინური იქცა კიდევ მედიკოსთა ინტერნაციონალურ ენად. რომელშიც უამრავი ბერძნული სიტყვებიცაა. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე გაძლიერდნენ არაბები. ცნობილია, რომ არაბები (სარკინოზები, იგივე — სემიტები), VII საუკუნიდან მოყოლებული ოთხასი წლის მანძილზე ბატონობდნენ საქართველოში, რამაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საქართველოს სამედიცინო აზროვნებაზე. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ქართული გამოთქმა „სამკურნალო წიგნი“ სავსებით შეესაბამება ლათინურ ფარმაკოპეას და სემიტურ — კარაბადინს. (კარაბადინი სემიტურად მაჰმადიანური რელიგიის მიხედვით შეწირვის წესს გულისხმობდა), რუსეთში პირველი ფარმაკოპეა გამოიცა 1866 წელს, ცოტა ადრე იყო დასტამბული „რუსეთის სამხედრო ფარმაკოპეა“. ფარმაკოპეისა და კარაბადინის იგივეობის საკითხი დაასაბუთა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა კურტ შპრენგელმა თავის ხუთტომიან შრომაში „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორია“ (ტომი II, 1800, ჰალე. გვ. 347) საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებლის და სისტემატიკოსის ექიმ ლადო კოტეტიშვილის სიტყვებით „კარაბადინი — არაბული სიტყვაა და ნიშნავდა ფარმაკოპეას, ანუ წამლების დამზადების წესების შემცველ წიგნს“. ასევეა განმარტებული ი. დ. იაგელოს რედაქციით 1910 წელს გამოცემულ „სრულ სპარსულ-არაბულ-რუსულ ლექსიკონის“¹ 1174-ე გვერდზე კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხი: „კარაბადინი — წამლის შემადგენელი, შხამსაწინააღმდეგო, ფარმაკოპეა, ხელოვნება წამლის მომზადებისა“. და 1970 წელს მოსკოვში ი. ა. რუბინჩიკის რედაქციით გამოცემული „სპარსულ-რუსულ ლექსიკონის“² 261-ე გვერდზედაც „კარაბადინი — ფარმაკოპეა“. ასევეა განმარტებული ხ. კ. ბარანოვის არაბულ-რუსულ ლექსიკონში.³ (სამი ლექსიკონის მოშველიება, ჩვენი აზრით, საკმარისი არგუმენტია ამ საკითხის გარკვევისათვის, ს. ს.).

¹ Полный персидско-арабско-русский словарь. Составитель полковник Ю. Д. Ягелло. Ташкент, 1910 г. стр. 1174.

² Персидско-русский словарь в двух томах. Выше 60 000 слов. Под редакцией Ю. А. Рубинчика 1970 г. Москва, стр. 261.

³ Х. К. Баранов. Арабско-русский словарь около 12 000 слов. М., изд. «Русский язык» 1977 г. стр. 629. «Карабადინи — фармакопея».

როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი და სისტემატიკოსი ლადო კოტეტიშვილი „წიგნი სააქიმოას“ წინასიტყვაობაში: „მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნემდე“, 1935 წელს წერდა: „ნათელია რომ აქ წამლეულის დამზადებასთან გვაქვს საქმე... აი ამ გავებით კარაბადინებით მკურნალობა ბევრად უფრო ხალხურია... მაშასადამე, კარაბადინი თავისი პირვანდელი გავებით სააფთიაქო წიგნი იყო და შეიცავდა წამლეულობის დამზადების წესებს... მაშასადამე, კარაბადინი არაბული სიტყვაა და ნიშნავდა ფარმაცოპეას, ანუ წამლეულის დამზადების შემცველ წიგნს“... „ამ ხასიათის წიგნებს ირანულად და სომხურად „ახრებადინი“ ჰქვია, არაბულად და ქართულად კი „კარაბადინი“, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ეს სიტყვა უშუალოდ არაბეთიდან არის შემოტანილი. ეს გარემოება ამტკიცებს არაბეთისა და საქართველოს უშუალო მეცნიერულ-კულტურულ კავშირს“. მაშასადამე, საქართველოს მედიცინის ისტორიის სისტემატიკოსის, ექიმ ლადო კოტეტიშვილის განმარტებით ძველი ქართული კარაბადინი ნიშნავდა ფარმაცოპეას, ანუ წამლების მომზადების წესების შემცველ წიგნს. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ (გამოიცა 1949 წელს სახელგამის მიერ) 187-ე გვერდზე წერია: „კარაბადინი — სამკურნალო წიგნია“.

მანარებელ ოქროპირის ძე მალაღაძისა და ზაზა ციციის ძე ფანასკერტელის კარაბადინი, რომ უნიკალური კონსტრუქციის ფარმაცოპეა იყო XV საუკუნეში, ამის დასამტკიცებლად კიდევ ერთი ფაქტი მოვიშველიოთ. 1979 წელს პროფ. მ. შენგელიამ გამოსცა წიგნი „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“. ამ წიგნის 176-ე გვერდზე ავტორი წერს: „მითრიდატმა მოიგონა შესანიშნავი ანტიდოტი „მითრიდატუმი“, ხოლო შემდეგ ავტორი ასახელებს თარიღს: „1648 წელს ნიკოლაოს კულაპეერი, რომელმაც ინგლისურ ენაზე შეადგინა ფარმაცოპეა, საქაოდ ღიდ შეფასებას აძლევს მითრიდატუმს, ის წერს, რომ „მითრიდატუმი“ ეფექტურია, როგორც შხამსაწინააღმდეგო საშუალება და სპობს ყველა მუხანათური, ვერაგული მედიკამენტების მავნე მოქმედებას“. სასიამოვნოა, რომ პონტოს მეფე მითრიდატე VI ეგპატორის (132-63 წ.წ. ძვ. წ.) სახელობის წამალმა ინგლისურ ფარმაცოპეაში შეაღწია, მაგრამ თავისავე წიგნის 177-ე გვერდზე პროფ. მ. შენგელია წერს: „ინგლისში 1677 წელს გამოვიდა ფარმაცოპეის III გამოცემა, მისი ავტორი იყო ვილიამ სალმონო. სალმონოს მიერ შედგენილ ფარმაცოპეას ამშვენებდა მითრიდატუმი (?)... 1788 წელს ინგლისის ფარმაცოპეიდან ამოღებულ იქნა მითრიდატუმი, გერმანულიდან 1884 წელს, ხოლო ევროპულ ქვეყნებში კი 1844 წლამდე შექმონდათ კვლავ“. და ამ სრული ალოგიურობის გარკვევის მიზნით კვლავ მისივე ფრაზები მოვიყვანოთ, რომელსაც პროფ. მ. შენგელია წერს ამ წიგნის 178-179 გვერდზე: „წიგნი სააქიმოას“-ში რამდენჯერმე გამოქვეყნებულია „მითრიდატოსის მაჭფნი“... და შემდეგ: „მაგრამ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“, როგორც ძირითადად ფარმაცოლოგიური ხასიათის ძეგლში (დაუკვირდით ფრაზას „ძირითადად ფარმაცოლოგიური ხასიათის ძეგლში“ და არა ფარმაცოპეაში, ს. ს.) იგი (მაშასადამე, „მითრიდატუმი“, ს. ს.) მოცემულია თავისი შემადგენლობით.

აქ ის 40 სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერების ნაერთად არის წარმოდგენილი. ჯილბერტ ვატსონის წიგნში, როგორც ვნახეთ, ჩამოთვლილია მითრიდატუმის 85 შემადგენელი ნივთიერება“. მაშასადამე, რა გამოდის? მახარებელ-მაღალაძის და ზაზა ფანასკერტელის მიერ შედგენილ კარაბადინის „მითრიდატიუმში“, რომელშიც 46 კომპონენტია (ე. ი. XV საუკუნეში შედგენილი ქართული ფარმაკოპეა, რომელიც სულ ცოტა 200 წლით უსწრებს ნიკოლას კულპეპერის ფარმაკოპეას და 220 წლით უფრო ძველია ვილიამ სალმონოს ფარმაკოპეაზე და სინერგიზმის თვალსაზრისით უფრო რთული ანტიდოტური წამლის ფორმაა და თარიღობრივადაც უპირველესი, ეს თურმე ფარმაკოპეა არ არის (!) ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ფარმაკოპეებს ამშვენებს „მითრიდატიუმ“, ხოლო შუა საუკუნეების მედიკოს ენციკლოპედისტის, ზაზას და მახარებლის მიერ ორიგინალური კონსტრუქციით შედგენილ კარაბადინს, რომ ამშვენებს „მითრიდატიუმ“ და 25-მდე (გარდა სტერილური ხსნარებისა, ანტიბიოტიკების და ვიტამინებისა, თითქმის ყველა წამლის ფორმა) სხვადასხვა წამლის ფორმების მოსამზადებელი რეკომენდაციებია ლაკონურად ჩამოყალიბებული, იგი თურმე ფარმაკოპეა კი არა „ფარმაკოლოგია“ ყოფილა, როგორც პროფ. მ. შენგელიას აქვს წარმოდგენილი. ასეთი მსჯელობა და კომენტარები წამალთ-ტექნოლოგიაზე, ცოტა არ იყოს უცნაურია. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ — ეს კარაბადინი ორიგინალურად შედგენილი ფარმაკოპეა იყო, რომელშიც მრავალფეროვანი წამლის ფორმების მომზადების მეთოდებია რეკომენდებული. საერთოდ, ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების — კარაბადინების კონსტრუქცია ასეთია: I. სნეულების განსაზღვრა, ანუ დიაგნოზის დასმა. II. სამკურნალო წამლის ფორმების ზუსტი ნუსხა რეცეპტებში. ინგრედენტების ჩამოთვლა, დოზების ზუსტად ჩვენებით და ტექნოლოგიური პროცესების აღწერილობებით. III. წამლის მიღება, ანუ მკურნალობის წესი — დარიგება ე. წ. *Detur Sygnetur* და IV. ჰიგიენური კვება და დიეტა.

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინში“ ჩამოთვლილი წამლის ფორმების ნაირსახეობა ნათლად ადასტურებს კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხს. ამიტომ წინამდებარე ხელნაწერი (ფონდი Q № 877) საქართველოს მედიცინის ისტორიაში უნდა შევიღეს: საეკლესიო მედიცინის ქურუმის, მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძის და შუა საუკუნეების მედიკოს-ენციკლოპედისტის, ზაზა ციციის-ძე ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი ფარმაკოპეა“, ანუ კარაბადინი — არაბულად და ფარმაკოპეა — ბერძნულ-ლათინური სინონიმით.

დასკვნა

XI საუკუნის სამედიცინო ხელნაწერი, ფსევდოევანგელისტ ქანანელის „უხსორო კარაბადინი“ ამ ეპოქის ფარმაკოპეა იყო. მისი კონსტრუქციისაგან განსხვავდება და არაბული მედიცინის აშკარა გავლენას განიცდის ჟღარისმტვირ-

თველ ანტონ ჰეგელიძის დაავლებით ხოჯაყოფილის მიერ გადმოთარგმნილი XII-XIII საუკუნეების სამედიცინო ხელნაწერი „წიგნი სააქიშოა“. (ჩვენამდე მოაღწია XV-XVI საუკუნეების პირმა, ს. ს.).

ძველი სამედიცინო ხელნაწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სატაძრო მედიცინის ქურუმის. ფსევდოევანგელისტის. მახარებელ ოქრობირის ძე მალაღამისა და შუა საუკუნეების ენციკლოპედისტი მკურნალის ზაზა ციცის ძე ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ (XV საუკუნის ძეგლი), ეს ხელნაწერი შუა საუკუნეებში ორიგინალური კონსტრუქციის უნიკალური ფარმაცოპეა გახლდათ. ექვეპარეშეა, რომ დავით ლუარსაბის ძე ბაგრატიონის წიგნი „იადიგარ დაუდი“ XVI საუკუნეში სამკურნალო წიგნსა, კარაბადინის და ფარმაცოპეის შერწყმის უნიკალური ნიმუშია.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების კონსტატაციის საფუძველზე ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში სააფთიაქო-საკანონმდებლო-ფარმაცოპეის შედგენისას სწორედ ასეთი ტრადიცია ყოფილა გაბატონებული შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში. ზედმიწევნით ზუსტადაა ასახული დაავადების კლინიკური სურათი. იქვეა მოცემული მისი ეტიოლოგიის მოკლე მიმოხილვა. აღწერილია სწორი დიაგნოზის დასმის სხვადასხვა მეთოდები. ხელნაწერებში 70% მდე ეთმობა წამლის ფორმების მომზადების ზუსტ ადეკვატურ აღწერას, სახელდობრ წამლის ფორმების შემადგენელი კომპონენტების ზუსტ ჩამოთვლას, მათი დოზირების სწორი მითითებას და, რაც მთავარია, მომზადებისას ტექნოლოგიური პროცესების საეალდებულო რეგლამენტების დაცვას.

რაც შეეხება შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ხშირ შემთხვევაში კარაბადინის სახელწოდების ხსენებას. იგი უნდა აიხსნას სემიოტური კულტურისა და არაბულ-ქართული კულტურული ურთიერთობის გავლენით. თანამედროვე ვაგებით კი მთელ მსოფლიოში სამედიცინო ტერმინოლოგია და რეცეპტების გამოწერა ლათინურ ენაზე ხდება, რაც უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ რომის იმპერიამ მთელი მსოფლიოს ცივილიზაციაზე მოახდინა ზეგავლენა, როცა მათი კონგლომერატული იმპერიის ბატონობის პერიოდში ლათინური ენა ადმინისტრაციულ და სახელმწიფო ენად ითვლებოდა. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ გარდა ჩინეთისა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამედიცინო სამყაროში რეცეპტებს დღესაც ლათინურ ენაზე წერენ. უცხო სიტყვათა ლექსიკონის შედარებითი ანალიზის შედეგად დადგენილია. რომ არაბული სიტყვა „კარაბადინი“ ბერძნულ-ლათინური სიტყვის „ფარმაცოპეის“ იდენტური ცნებაა. ამჟამად, როცა სამედიცინო სამყაროს ინტერნაციონალურ მსოფლიო ენად ლათინური ითვლება. სავსებით კანონზომიერი იქნება, თუ შუა საუკუნეების ზემოთ ჩამოთვლილ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებს ფარმაცოპეის სახელწოდებით მოვიხსენიებთ. რომელთა ზუსტი ქართული განმარტება იქნება — „სამკურნალო წიგნი“. ანუ წამლების ფორმების მომზადების წესების სარეკომენდაციო კრებული — არაბულად იგივე კარაბადინი.

ენოთერაპიის საკითხები ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერ კარაბადინეზში

ენოთერაპია, ანუ ღვინით მკურნალობა მედიცინაში უძველესი მეთოდია. ენოთერაპიის ფუძემდებელია ასკლეპიოსი, იგივე ესკულაპე (ძვ. წ. 128-56 ს. ს.)¹ ვაზის კულტისადმი თაყვანისცემა საქართველოს შორეულ წარსულში იწყება, რაც შენარჩუნებულ იქნა ახალი წელთაღრიცხვის შემდეგაც. ცნობილია, რომ კაბადოკიელმა ქალწულმა წმინდა ნინომ ვაზისაგან დაწნა „ჭჯარი ვაზისა“, რაც დაეხმარა მას საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებაში, გავრცელებასა და დამკვიდრებაში. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, სადაც გამოიყვანათ და ახარებდნენ სხვადასხვა ვაზის ჯიშებს. „საქართველო მეფენახეობის ქვეყანაა“ — ასეა ფორმულირებული ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში და მსოფლიოში.

2100-მდე უნიკალური ვაზის ჯიშია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ამპელოგრაფიულ ლაბორატორიაში, სადაც განსაზღვრულია, საფუძველი ჩაეყაროს ამპელოგრაფიულ ბაზაზე არსებულ სხვადასხვა ყურძნის ჯიშიდან დამზადებული ღვინოების კოლექციის ფონდს.

ენოთერაპიის საკითხებს ფართო ადგილი უკავია ძველი ქართული სამედიცინო ხასიათის ხელნაწერებში და კარაბადინეზში. ღვინო დიდ ბიოგენურ სტიმულატორად ითვლებოდა ძველთაგანვე, მას ახასიათებს ფერმენტული ზეგავლენის უნარი საკმლის მომწელებელ სისტემაზე, მცირე დოზებში ღვინო დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, შავი ღვინო მოქმედებს ენდოთელო რეტიკულურ სისტემაზე, როგორც სისხლის ჰემოგლობინის და საერთოდ, როგორც სისხლის მომმატებელი საშუალება, ანემიის, ანუ სისხლნაკლებობის დროს. ენოთერაპიის საკითხებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი „უსწორო კარაბადინეზში“. ქართველი მეცნიერის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ლევან მუჯირის შრომებით დადგენილია, რომ ღვინო შეიცავს დღემდე უცნობ ნივთიერებას — ალკალოიდებს, რასაც ენოთერაპიული თვალსაზრისით პერსპექტიული სამკურნალო მნიშვნელობა ენიჭება.

მკითხველთა ყურადღებას იქცევს 1940 წელს ექიმ ლადო კოტეტიშვილის რედაქციით გამოცემულ ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ 457-ე გვერდზე „ბევრი ღვინის სმის“ უარყოფით შედეგებზე მსჯელობა, ანუ ალკოჰოლიზმთან ბრძოლის და მიკროდოზებში ღვინის მიღების ფერმენტულ მასტიმულირებელ საკითხებზე ყურადღების გამახვილება. კარაბადინის ფურცლებზე გატარებულია დედააზრი- „ბახუსის მონა ლოთია“.

„ბევრი ღვინის სმითა გული ავესების და ძარღვებშიგა სენს შეიქს და კაცისა არართი ღარიზი მოარჩოს. ასრე რომე ცეცხლი ენთებოდეს და კაცმან ბევრი შეშა დააყაროს ნედლი და დაავსოს, ისრევე ბევრი ღვინო სტომაქისა და გულის სინათლეს დაავსებს კაცი მოკულების. რა ბევრი ღვინო ჩავა დამძი-

¹ ვახტანგ გიორგაძე, ლევან სანიკიძე, ძველი მსოფლიოს სამედიცინო ქრონიკება, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974, გვ. 70.

მღებობის სტომაქი და ღვიძლი და საკმელი შიგა დაღებობის, კაცი ველარ მოიუნრობს და სტომაქი და ღვიძლი წახლებობის. ისი ავი ხილთი კაცს კიდევ მოემატების და შიგავე შერჩების სნება და სიშმაგე დაემართების და გულმწყრალი შეიქნების, თვალშიგა მღერა დაუწყოს და ძილშიგა შეშინება შექნას. და ძილი არა დია მოეკიდოს. დიდსა ღვინოსა სვამს ტვინშიგა შევარდების და იქიდაღმა შეიქნების ყველა.

და როცა ღვინისაგან სენი იქნების, იმასცა მოგახსენებ: ერთი რომე ყელი გასივდების და მოუქირებს, მეორე ნიკრისი, მესამე ფილენჯი რომე ხელფეხი აუთრდოლდეს და თავი და მაჯაში წახდინოს და ღვიძლსა სნება შეაქნას, მეოთხე თისყა და თავის ტკივილი და კბილისა, და მხურვალე სიმსივნე ფერად ფერადი ცივება და ცხელება და ესეცა ერგების, რომე თვალისა წუეთისა გახეტქოს.

იცოდი რომე ღვინო მხურვალე და ნედლია. და სიმხურვალისაგან ცივი რამე ბუხარი გამოუჩნდეს და რაცა სიმხურვალე იქნების, რომე თმისა ძირშიგა გაიაროს და ტანშიგა, მისი სიგრილე და სისველე დარჩების. თუ სიმხურვალე კიდევ დარჩობილიყოს სტომაქშიგა იმის სიგრილესა, სინედლესა ტვინშიგა გაიღებს კაცის კეფასა. გრილია და ისიც იქვე მიემატების და მისგან ბევრი სენი დაემართების, თავის თავსა ბნელა შეაქვს. (თუ) ამას ცოტა სიხმე ჰქონდეს რომე თავშიგა მისულია მამინ მალიხოლიაცა¹ წაეკიდების, მას ჰვიან რომე კაცი ანაზღად საუშაშიგა და ბნელსა და სხვას რასმე საოცნებელსა ჩავარდეს. თუ კაცისა გული და კეფა ცხელი იყოს ძველი და ახალი ღვინო რომე მოდუღებული იყოს, ისი მხურვალე და ხმელი არის და მისი ბუხარი იმა დამაღშიგა გავა და მისგან თავქედი შეექნების, ასე რომე რას უზნობდეს და არა იცოდეს. თუ მხურვალე და ნედლი იყოს, ისი თავშიგა გასულა და მერმე მისგან სიმსივნე დაემართოს, ისი სისხლი იქნების და ცივება და ხურვება გამოაჩინოს, რომე კაცმა შეიტყოს.

რომე სიცოცხლე სულისაგან იქნების და მისი სული აქიმთა (თ) ჰქვსცა როგორაცა ქარია ასრე არის კაცისა გულშიგა, და როგორცა ღვინოსა სვამს ბევრსა, ის სისხლში გაერევის და მერე ღვინო სისხლი წავა ღვიძლისა და ძარღვებისა კვალი საესე (იქნების და) არღარა ჩავარა. მერმე წამოვა გულისაკენ და ისი სული გულშიგა არის და რა ღვინო მიმართებს სულსა გზა აღარა აქუს. მერმე გამოვა სული და ღვინო ჩადგების და კაცი მოკულების, და ღვინისაგან სიკუდილი ამას ჰქვიან, ასრე ღვინისაგან მკუდარი ბევრი ნახულა. სული ფირტვისაგან გამოვა და რაცა კაცი ღვინითა აივსების იმას სულისა სახლსა მოუქირებს და ფილტვი ხუნეშას დაიწყებს...“ ღვინის სიკეთისა და მავნებლობის შესახებ ბევრი აზრია გამოთქმული ცნობილი მსოფლიო მედიკოსების მიერ.

უძველესი დროის გამოჩენილმა ექიმმა, თანამედროვე ფიტოთერაპიისა და ქირურგიის მამამ კლავდიუს გალენმა (ახ. წ. 131-201) ქ. პერგაონში მოღვაწეობის პერიოდში პირველმა გამოიყენა ღვინის ხსნარში დასველებული საფენე-

¹ წერია „მაღახეცა“. ს. ს.

ბი დაკრილ გლადიატორთა სამკურნალოდ. შედეგი მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა.

ჰომეროსი „ილიადაში“ იხსენიებს ორ მეომარ ექიმს — მაქაონსა და პალადირს (ასკლეპიოსის შვილებს, ს. ს.), რომლებიც დაკრილებს ღვინოს აძლევდნენ, აგრეთვე მას იყენებდნენ ჰრილობების შესახვევად.

ჰიპოკრატე არა მარტო კარგად არჩევდა სხვადასხვა ტიპის ღვინოს, არამედ მას ძალ-ღონის აღმდგენელ საშუალებადაც მიიჩნევდა.

ენოთერაპიული მკურნალობით გატაცებული ყოფილან ცნობილი რომაელი რიტორი ასკლეპიადი (იგივე ბერძენი ესკულაპი), არმან გოტიე, ალბერტონი, როსი. საინტერესო ცნობებს იძლევა ძველი დროის კაბადოკიელი ექიმი არეტოსი და სხვ.

ცელსიუსი თავის საექიმო თხზულებაში (De re medica) იხილავს სხვადასხვა სახის ღვინოს და რჩევა-დარიგებას იძლევა მათ არომატიზაციაზე, განსაკუთრებით აღნიშნავს ცნობილ Malsum-ის ტიპს (თაფლიანი ყურძნის ღვინო). ენოთერაპიის ეს საკითხები შეგროვებული აქვს მკლევარ თ. სიხარულიძეს მონოგრაფიაში „ექიულები ღვინოზე“¹.

შევხოთ ღვინის ზოგიერთ ფარმაკოლოგიურ თვისებას.

ღვინის, როგორც სითხის, ბიოქიმიური სტრუქტურა, ანუ სისტემა რთული კომპლექსია. იგი შეიცავს ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს, სპირტებს, ალდეჰიდებს, რთულ ეთერებს, აცეტალებს, ფენოლურ, კოლოიდურ, აზოტოვან, მინერალურ ნივთიერებათა ჯგუფებს, აგრეთვე მთელი რიგი ხასიათის ნივთიერებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ღვინის სურნელოვან ბუქეტს. რა თქმა უნდა, ღვინის საბოლოო სახით შექმნაზე ტექნოლოგიურ-ქიმიური პროცესების დროს ნივთიერებანი განიცდიან მრავალ ფუნქციონალური, სტრუქტურული ხასიათის გარდაქმნებს, რაც საბოლოოდ იწვევს ქიმიურ ნივთიერებათა კომპლექსურ ჰარმონიას, სურნელოვანი, კვებითი დანიშნულების სითხის — ღვინის შექმნას. ღვინო თავისი სპეციფიკური მოქმედებით იწვევს ზემოქმედებას ორგანიზმის ფიზიკურ და მორალურ ფუნქციებზე. ღვინოს მიეწერება როგორც წაენე, ისე სასარგებლო თვისებები. ვეხებით ალკოჰოლიზმს, რომელსაც მხოლოდ ზიანი მოაქვს, ვიხილავთ ღვინის სასარგებლო თვისებებსაც, მისი გამოყენების შესაძლებლობებს ენოთერაპიული მკურნალობის თვალსაზრისით.

ფარმაკოლოგიურად ეთილის ალკოჰოლი, ეთილის სპირტი, რომელიც ღვინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, განსაზღვრავს ორგანიზმის აღზნებადობა-დაუძღურებას. ძირითადი დატვირთვა გულის, სისხლის მიმოქცევის, კუნთების, ნივთიერებათა ცვლის სისტემაზე ვრცელდება, ბოლოს კი ორგანიზმის მთელ სისტემას მოიცავს.

ალკოჰოლი სწრაფად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის მიერ, უერთდება სისხლს და ვრცელდება მთელ ორგანიზმში. ალკოჰოლი იუანგება უშუალოდ ღვიძლის ნივთიერებათა ცვლის შედეგად. მაგალითად, 70 კგ წონის ადამიანი ერთ სა-

¹ თამაზ სიხარულიძე, ეტულები ღვინოზე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979 წ.

ათში უანგავს 7 კგ ალკოჰოლს, ამავე დროს ორგანიზმში შედის საკვები ნივთიერება 50 კილოკალორიის რაოდენობით. 3-5 %-იანი ალკოჰოლის ხსნარები პედიკინაში გამოიყენება როგორც საკვები სწორი ნაწლავიდან მკურნალობისას. მიღებული ალკოჰოლის საერთო რაოდენობიდან 10 % ფილტვებით შეისუნთქება, 10 % გამოიყოფა შარდის საშუალებით.

ორგანიზმზე ალკოჰოლის მოქმედება დამოკიდებულია მის კონცენტრაციაზე, სხვადასხვა სიდიდის განცალკევებულ ნერვულ უჯრედთა კვანძებზე — განგლიონებზე, აგრეთვე ეთანოლის მომატებასა და მოშორებაზე. რამდენადაც ეთანოლის მოშორება პრაქტიკულად მუდმივია, ალკოჰოლის სწრაფი მიწოდებით თავის ტვინში მისი კონცენტრაცია მატულობს. ალკოჰოლი სისხლის უჯრედებიდან თავის ტვინში გადადის კანონზომიერად და ა. შ. არომატული ნივთიერებანი რეფლექტორულად მოქმედებენ უშუალოდ გემური ორგანოების ნერვებზე და იწვევენ პირის ღრუსა და კუჭში არსებული ჭირკვლების სეკრეციის გაძლიერებას.

ღვინო ბქტერიოციდული და ანტიტოქსიკური თვისებების შემწეობით ერთ-ერთი პროფილაქტიკური საშუალებაა კუჭ-ნაწლავთა ინფექციის დროს. ღვინის ტანიდები ლორწოვან გარსს იცავენ ინფექციისაგან, შესწევთ უნარი შეადედონ ნაკაწრი. ღვინის პროფილაქტიკური მოქმედება აღინიშნება მალარიის პლაზმოდუმის პროცესში (უგარსო პროტოპლაზმური მასა, ლორწოვან სოკოსნაირთა უჯრედების გროვა). სწორედ ამ პროცესში გამოიყენებოდა ენოთერაპიული ღვინო — ქინაქინით. ღვინოსთან ნაზავი პრეპარატი ქინაქინა ძლიერი ეფექტური საშუალება იყო მალარიით დაავადებულთა მკურნალობისას. ღვინო ენერგიული ბიოკატალიზატორია ტიფოზური ციებ-ცხელების დროს. იგი ორგანიზმში ახდენს დამცველ საშუალებათა მობილიზაციას. სასურველია, მისი მიცემა აღინამიურ მდგომარეობაში მყოფთათვის.

აღსანიშნავია, რომ სუფთა ყურძნის ღვინო, ანდა გაზავებული წყალში, აფერხებს კუჭ-ნაწლავთა პათოგენური მიკრობების მოქმედებას, აძლიერებს ამილოლიტურ და პეპდიტურ ფუნქციას, რომელიც მოქმედებს საკმლის მომწვლელი ჭირკვლების მუშაობაზე დაბალმეჯივიანობის დროს.

ღვინო მიკროდოზებში მეტად სასარგებლოა ბრონქული და ფილტვების გრიპოზული დაავადებების დროს. იგი ძლიერ ეფექტურია პნევმონიის (ფილტვების ანთება, ინფექციური) შემთხვევაში და მოხუცთა მკურნალობისას.

ტუბერკულოზით დაავადებულ ავადმყოფთა მკურნალობა ღვინით უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე სპირტით, რადგან ღვინო მდიდარია ტანინებით, მინერალური მარილებით (Fe, Mn, K, Ca, P და სხვ.), შეიცავს გლიცერინს და მთელ რიგ ბიოკატალიზატორებს.

იგი გამოიყენება ავადმყოფის ანემიურ და ქლორემიულ მდგომარეობაში. ოპერაციის დროს შოკის, გულს წასვლისა და გრძნობის დაკარგვისას, ასფიქსიაში — სუნთქვის შეკერის, გაგუდვის, სულის შეხუთვის დროს მიკრო დოზებში.

კითხვით მიმართეს სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტთან არსებული უმაღ-

ლესი სამედიცინო სკოლის სამედიცინო-პროფილაქტიკური განყოფილების გამგეს დოქტორ სალვატორე ლუციას, რომელიც არის ავტორი შრომისა, „ღვინო, როგორც საკვები და წამალი“.

კითხვა: — რატომ სვამს ადამიანი ღვინოს?

დოქტორი სალვატორე ლუცია პასუხობს — ადამიანი ღვინოს სვამს დაძაბული მდგომარეობის შესასუსტებლად, დეპრესიულ მდგომარეობაში, რის გამოც იგი სიტყვაცაზმულია და გამართობი. ძველ მედიცინაში იგი იწვევედა ადამიანის დამშვიდებას და ძილის მომგვრელი თვისებებით ხასიათდებოდა.

ღვინო არის სითხე, რომელიც ითვლება ფუნქციონერად საკვების მონელების პროცესში, ღვინის ფერმენტული გავლენა უდავოა.

ზოგიერთი ავტორის აზრით თითქოს დადგენილია, რომ ღვინის ორგანიზმში მოხვედრისას ღვიძლის ფუნქცია უმჯობესდება. იგი კარგად მოქმედებს ღვიძლის დეზამინირების პროცესსა და ღვიძლის ზოგიერთ დეტოქსიფიკაციის ფუნქციაზე. იგი აუმჯობესებს ღვიძლის უნარს, რათა მოახდინოს ლიპიდების მეტაბოლიზმი, შესაძლებელია დააჩქაროს ჰეპატიური ენზიმების აქტივობა, მაგრამ ასეთი დადებითი გავლენა ღვინისა ღვიძლზე კლინიკური ცდებით არ დადასტურდა, ამიტომ თ. სიხარულიძის ზემოთ მოყვანილი მოსაზრების გაზიარება ღვინის შესახებ მიუღებელია.

ღვინო გამოიყენება დიაბეტის კლინიკური მკურნალობის დროს. დადასტურებულია, რომ ღვინო (სუფრის თეთრი, მშრალი) არა მარტო შეტანილი უნდა იქნეს ასეთი ავადმყოფის დიეტურ მენიუში, არამედ ღვინო ამ შემთხვევაში ხასიათდება სასურველი ფარმაცოლოგიური თვისებებით, რომლის დროსაც ხდება კარბოჰიდრატების მთლიანი ასიმილაცია, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს გლუკოზიდებისა და კეტონების დაქვეითებულ გამოყოფას (არანორმალური მაღალი შედგენილობის შაქრის შემცველობისას შარდში). ამდენად მიზანშეწონილია განსაზღვრული რაოდენობით თეთრი მშრალი ღვინო ავადმყოფი დიაბეტიკების მკაცრი დიეტის დროს.

მიზანშეწონილია აგრეთვე ღვინის მიწოდება ავადმყოფებისათვის, რომელნიც დაავადებულნი არიან ნიკრისის ქარით, რომლის დროსაც ხდება შარდმკვავე მარილების დალექვა სახსრების ქსოვილებში, რაც იწვევს სამოძრაო აპარატის პერიოდულ ან მყარ დარღვევას.

ღვინო სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობის დროს. იგი აუმჯობესებს გულსისხლძარღვთა სისტემის მოქმედების ფუნქციას. როგორც საკვებს, ღვინოს გააჩნია ძლიერ მსუბუქი აბსორბირებული კალორიები, ღვინის დინამიკური აქტივობა ძალიან დაბალია, ამდენად იგი არ იწვევს გულის სისხლძარღვთა დატვირთვას საკმლის მონელების პროცესში. ზოგიერთი ღვინის მქროლავი კომპონენტების აღდგენილებს გააჩნია არტერიის მსგავსი ზემოქმედება ორგანიზმზე (ისინი მოქმედებენ სისხლის წნევის დაქვეითებაზე). ამდენად თერაპიული თვალსაზრისით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სისხლის მაღალი წნევის დროს. ღვინის პოლიფენოლიები და ტანიინები კაპილარებზე მოქმედებისას ხასიათდება ისეთივე თვისებებით, როგორც ვიტამინი P, ე. ი.

ამაგრებენ კაპილარის კედლებს, არბილებენ მათ დაჭიმულობას და ცვლიან კაპილარებში სისხლის დენას, რაც დიდი მნიშვნელობის ფარმაკოლოგიური თვისებაა სისხლძარღვთა დაავადების დროს.

ნატრიუმთან შედარებით ღვინოში კალიუმის შემცველობა სასურველს ქმნის ჰიპერტონიკებისა და გულით დაავადებულთათვის მის დიეტურ მენიუში გათვალისწინებას, რამდენადაც კალიუმი ითვლება ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად არითმიის დროს. იგი უშუალოდ ზემოქმედებს გულის კუნთის მოქმედების ტონზე.

დიურეზის (შარდის გამოყოფა) — შარდის წარმოქმნისა და გამოყოფის დროს უროლოგიური კვლევისას თეთრი ტიპის ღვინოების მოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე წითლისა. ასეთი სურათი დამახასიათებელია მძაფრ და ქრონიკულ ფორმაში თირკმლის განსაკუთრებული ანთებითი პროცესის, აგრეთვე თირკმლის უუნარობის დროს, როდესაც მას არ შესწევს უნარი სისხლიდან გამოყოფს ნივთიერება, რაც გამოწვეულია ჰიპერტონიით. ტკბილი თეთრი ღვინის მოქმედების სიძლიერეს განსაზღვრავს მასში შემავალი ბიტარტრატის შემცველობა, ხოლო წითელი ტიპის ღვინის მოქმედება მიეწერება ტანინს.

ორსულობის პროცესის დროს ღვინო რეკომენდებულია როგორც გემოვნების მომგვრელი საშუალება. თუმცა აუცილებელია მთელი რიგი სიფრთხილის დაცვა.

ღვინო მოხუცებში თრგუნავს სიბერის უძლურებას, ასუსტებს შიშს და დაძაბულობას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და სხვ.

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ღვინით მკურნალობისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ სუბიექტური, კერძოდ, ავადმყოფთა დამოკიდებულება ღვინის შეთვისების, მოქმედების მხრივ.

როგორც ყველა წამალი, ღვინოც მკურნალობისას დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული. რა თქმა უნდა, ზემოჩამოთვლილი დაავადებების მთელ რიგ რთულ ფორმებში ღვინო შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული. ღვინო რეკომენდებული არ არის ან შეზღუდულია მისი გამოყენება:

1. ნეფროზის დროს (თირკმლის ანთებითი პროცესი, როდესაც ადგილი აქვს სისხლდენას).

2. ლვიძლის ცეროზის დროს (ლვიძლის შემაერთებელ ქსოვილოვანი გადაგვარება).

3. ალერგიის დროს (აწეული მგრძობელობისას).

4. კუჭის წყლულის დროს და სხვ.

გადავხედოთ საინტერესო ცნობებს, რომელსაც ძველი სამედიცინო ფარმაკოპეა იძლევა:

პირველი არაოფიციალური რუსული ფარმაკოპეა, რომელიც გამოიცა 1763 წელს პეტერბურგში, იწოდებოდა „Аптека для российского флота или роспись въсьмъ мужным“. აქ მითითებულია სხვადასხვაგვარი არაყი, რომლებიც დამზადებული იყო ათასგვარი ბალანისაგან.

«Вадки: из ложечной травы, душистая, из нашатыря, войновая

двойная водка, из купороса, войновая из селитры, вейновая из купороса или белые капли Гофмановы из сосновых шишек».

სპეციალურ თავში მოცემულია სხვადასხვა შედგენილობის წამლების სია, სადაც მითითებულია ჭაფურისა და ღვინის სპირტის ნარევეზე, როგორც დოქტორ ბალდინგერის საწებელი. აქვეა მითითებული სამკურნალო ღვინოების შესახებ.

1913 წელს სამხედრო-სანიტარული სასწავლო კომიტეტის მიერ პეტერბურგში გამოცა რუსეთის სამხედრო ფარმაკოპეა:

«Российская военная фармакопея» с. Петербургъ, 1913.

აღსანიშნავია, რომ ავადმყოფი მეზღვაურებისათვის დიეტურ პირობებშიც კი გათვალისწინებული იყო ყურძნის ღვინო.

Лазаретная корабельная пища и питье состоят в следующем:

1. в жидких кашах из всяких круп;
2. в похлебках, варенных из живых кур, или из свежей телятины, а когда не имеется, то из сухеных кур;
3. в киселях из хлеба, из гороху;
4. в крутой каше с маслом коровьим;
5. в свежем хлебе, сухарях и соли;
6. в питье из всяких круп;
7. в виноградном вине, уксусе и меде и т. д. ...

ფარმაკოპეაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამედიცინო თვალსაზრისით სხვადასხვა სახის მალალი ხარისხის ნეიტრალური სახის ღვინოების გამოყენებას.

სჯობს გადავფურცლოთ ეს ფარმაკოპეა:

თეთრი ღვინო

Vinum album

Бълое вино

Бльдно или янтарно-желтая жидкость, уд. в. 0,9908 до 1.010 пріятного запаха, сладковато-кислого вкуса, содержащая въ 100 к. ц. отъ 7 до 12 грм спирта, от 0,75 до 2,5 грм. экстракта и отъ 0,75 до 0,382 грм. золы.

ქინაჰინიანი ღვინო

Vinum Chinae

Хинное вино

Tincturae chine — 100

Vini xerensis — 400

Объ жидкостн смъшнвают, даютъ отстояться въ продолженію около 7 дней и процъживають сквозь бумагу.

Прозрачная, буро-красная жидкость горького вкуса.

Получается не меньше 480 г. вина.

მადერა

Vinum Madeirense

Мадера

Светло-буровато-желтая, прозрачная жидкость, уд. в. 0,9947 до 1,0050, слабо сладкого вкуса, содержащая в 100 к. ц. отъ 12 до 18 грм. спирта, от 3 до 6 грм. экстракта и от 0,13 до 0,40 грм. золы.

მალაგა

Vinum Malacense

Малага

Буровато-красная, прозрачная жидкость уд. в. 1.037, до 1,095, приятного запаха и сладкого вкуса, содержащаяся в 100 к. т. отъ 12 до 16 грм. спирта, от 10 до 15 грм. экстракта и от 0,14 до 0,30 грм. золы.

პეპსინის ღვინო

Vinum Pepsini

Пепсинное вино

Pepsini – 12

Glycerini – 12

Deidi hydrochloricidiluti – 2

Vini abbi – 274

Попсинъ растирають съ глицерином, прибавляя понемногу сначала вина и затѣмъ соляной кислоты, смѣшиваютъ съ остальнымъ виномъ, оставляють стоять 6 сутокъ, иногда взбалтывая, и процеживаютъ сквозь бумагу.

Прозрачная желтоватая жидкость приятного вкуса.

10 грм. бѣлка куриного яйца, лежавшего 10 минут въ кипящей водѣ, протертого сквозь металлическое сито, предназначенное для просѣивания крупныхъ порошковъ, смѣшиваютъ съ 100 к. ц. воды 50°, 2,5 грм. пепсиннаго вина и 1 грм. соляной кислоты, и оставляють при температурѣ от 40° до 45°, при частомъ помѣшиваніи. Черезъ 4 часа весь бѣлокъ долженъ раствориться и жидкость можетъ содержать лишь незначительное количество нерастворившихся, полупрозрачныхъ пленокъ.

Получается не меньше 280 г. пепсиннаго вина.

პორტუგალი

Vinum Portense

Портвейн

Буровато-красная, прозрачная жидкость, уд. в. 1,0018 до 1,0180, содержащая в 100 к. ц. от 15 до 22 грм. спирта, отъ 6 до 10 грм. экстракта и отъ 0,18 до 0,35 грм. золы.

წითელი ღვინო

Vinum rubrum

Красное вино

Темно-красная, прозрачная жидкость, уд. в. 0,9907 до 0,011, прѣтного, сладковато-кислого, слегка вяжущего вкуса, содержащая въ 100 к. ц. от 7 до 12 грм. спирта, от 0,75 до 3,5 грм. экстракта и отъ 0,075 до 0,338гр м. золы.

ღვინო ღებინებისათვის

Рвотное вино

Stibio-kaliitartarici – 1

Vini xerensis – 249

Рвотный каень растворяють в хересь и растмворъ, процъживають сквозь бумагу.

Прозрачная, буро-желтая жидкость.

Получается не меньше 240 г. рвотного вина.

Сохраняется съ предосторожностью (список Б) въ хорошо закупоренныхъ склянкахъ.

Высший однократный приѣмъ 1,75.

Высший суточный приѣмъ 6,0..

ხერესი

Vinum Xerense

Хересь

Свѣтло-буровато-желтая, прозрачная жидкость, уд. в. 0,990 до 1,004 своеобразного, пріятного запаха и слабо-сладкого вкуса, содержащая въ 100 к. ц. отъ 12 до 20 грм. спирта, отъ 1,9 до 7,3 грм. экстракта и отъ 0,20 до 0,92 грм. золы.

(«Россійская фармакопея». с. Петербургъ. Изданне К. Л. Риккера, 1910; «Россійская военная фармакопея». с. Петербургъ, 1913).

ასეთი სახის ღვინოები სამკურნალოდ მოხსენიებულია ძველი ფარმაკოპეის ფურცლებზე.

როგორც ვხედავთ, სამკურნალოდ მითითებულია მაღალი ხარისხის როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთის ნატურალური თეთრი, წითელი, მადერის, მალაგის, პორტუგენისა და ხერესის ტიპის ღვინოები. აღსანიშნავია, რომ ასეთი სამკურნალო ღვინოები (ღვინო ქინაქინით, პეპსინიანი ღვინო და ღვინო ღებინებისათვის) მოითხოვდა სპეციალურ შემზადებას, რომლის დამზადების რეცეპტურა დეტალურადაა მითითებული. გარდა ამისა, ღვინოები უნდა ყოფილიყო გამჟვავადე, ჯიშისათვის დამახასიათებელი შედგენილობით, სურნელებითა და გემოთი. მითითებულია დასაშვები რაოდენობით ისეთი ქიმიური ნივთიერების შემცველობა, როგორცაა გოგირდოვანი მჟავა (H_2SO_3) 100 გრამზე არა უმეტეს 0,006 გრამისა, გოგირდმჟავა (H_2SO_4) — 0,092 გრამისა; მქროლავი მჟავა (გადაანგარიშებული ძმარმჟავაზე) არა უმეტეს 0,03 გრამისა.

სასტიკად იკრძალებოდა ისეთი ნივთიერებების შემცველობა, როგორცაა სალიცილის მჟავა და სახარინი.

სამკურნალო ღვინოები ექვემდებარებოდა ლაბორატორიულ კვლევას და აუცილებლად უნდა განსაზღვრულიყო ნივთიერებების ხვედრითი წონა, სპირტიანობა, ექსტრაქტი, მინერალური ნივთიერებებიდან — ნაცარი, გოგირდოვანი მჟავა, გოგირდმჟავა, მქროლავი მჟავიანობა; შემოწმება ფერადოვნებაზე (ხომ არ იყო ღვინო ხელოვნურად შეფერადებული); აგრეთვე სალიცილის მჟავასა და სახარინზე. ფარმაკოპეაში დეტალურადაა მითითებული აღნიშნული ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდიკა. მითითებულია აგრეთვე ღვინის ნაყენი და ე. წ. პურის ღვინო.

სამედიცინო პრაქტიკაში ამჟამად და ძველად დიდი გამოყენება აქვს ღვინის სპირტის 40, 70, 90, 95 %-იან ხსნარს. მისი დანიშნულება მრავალგვარია, ხოლო გამოყენება — მრავალმხრივი.

აღსანიშნავია, რომ მკაცრი კონტროლის ქვეშ აფთიაქის ლაბორატორიებში ხდებოდა ეთილის სპირტის ანალიზი.

ღვინის სამკურნალო გამოყენების თვალსაზრისით საინტერესო იქნება განვიხილოთ XIII საუკუნის ქართული სამედიცინო ძეგლი „წიგნი სააქიმოჲ“. წიგნს ერთვის ექიმ ლადო კოტეტიშვილის შესავალი და მედიცინა ძველ საქართველოში (XIII საუკუნე), სადაც დეტალურადაა განხილული მთელი რიგი აქტუალური საკითხები. ასეთებია: „ფილოსოფიურ-მედიკური კონცეპცია“, „ემბრიოლოგიურ-ბიოლოგიური ცნობანი“, „ანატომიური და ფიზიოლოგიური ცნობები“, „თავისა და ტვინის ვითარებაი და შეტყობაი“, „ძვალთა ვითარებაი: თარქები, ნივთი და სათოლავი“, „ჰიგიენა და პრაფილაქტიკა“, „ლიაგნოსტური ცნობარაი“, „ზოგადი პათოლოგია“, „კერძო პათოლოგია და თერაპია“, აგრეთვე ლექსიკონი (ლექსიკონის წყაროები), პირთა სახელების საძიებელი, JNDEX MEDICAMINUM, ავადმყოფობათა საძიებელი და ბოლოსიტყვაობა. წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა ღვინის გამოყენების საკითხს სხვადასხვა დაავადების მკურნალობის საქმეში. ღვინოს, როგორც სამკურნალო სითხეს, ღვინო — წამალს, ღვინო — საკმაზავს სხვადასხვა დაავადების მიმართ წამლების დამზადებისას.

მასში დასახელებულია: „ძუელითა ღვინითა“, „ძნელისა ღვინისა ძუელი-სა“, „ღვინოი ესე ყველაი“, „ყოველითა ღვინითა“, „ძლიერსა ღვინოსა“, „ძალიანსა ღვინოსა“, „კარგსა ღვინოსა“, „ღვინოისა წყალსა“, „ღვინოისა წყალრეულსა“, „ღვინოი წყალგაურეველი“, „ღვინოი ძნელი უწყლოი“, „სუნელითა ღვინითა“, „სუნელი ღვინოი“, „ტკბილსა ღვინოითა“, „ღვინითა შემგბრითა“, „შემგბარსა ღვინოსა“, „გაპრილი ღვინითა?“, „დანაყილი ღვინო?“, „მიშქადარვი ღვინითა“, „მიშადარვი მწარე ღვინოსა“, „ჩამიჩისა ღვინოი“, „მეკრვალთა ღვინითა“, „ჰამოისა ღვინოსა“ და სხვ.

მკურნალობისას ღვინო სხვადასხვა წესით გამოიყენებოდა: „ღვინითა შეზილოს“, „ღვინითა დაალობს“, „ღვინოი წყალსა გაურიონ“, „ორთქლი ღვინისაი“, „ცოტაი ღვინოი დიდადსა წყალსა გაურიოს“, „ღვინითა შებგოლონ“,

„ღვინითა დაასოვლონ“, „ღვინოისა წყალსა სმიდეს“, „ძველსა ღვინისა წყალ-
გაურეველსა სმიდეს“, „ძუელითა ღვინითა გაგალოს“, „პირი ღვინისა ორთქლი-
სა მიუპყრას“, „პურსა ღვინითა დამბალსა კამდეს“, „ღვინითა გააღნოს“,
და სხვ.

რა თქმა უნდა, რაოდენობრივ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა:
„ღვინოსა ცოტასა სმიდეს“, „ერთი ყურსი შეგმბრითა ღვინითა“, „ნიგვზისა
ოღენი ღვინითა იხმაროს“ და სხვ. ღვინო გამოიყენებოდა როგორც დამამარე
საშუალება სხვადასხვა წამლის დამზადებისას. იგი თითქმის ყველა დაავადების
დროს გამოიყენებოდა.

როგორც ვხედავთ, ენოთერაპიული მკურნალობა ძველ საქართველოში
მაღალ დონეზე იდგა. გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის მრავალფეროვანი ტი-
პის ღვინოები.

მკითხველს ვაწოდებთ გვერდების მითითებით, სხვადასხვა დაავადების
დროს ღვინით მკურნალობის შესახებ მასალებს („წიგნი ხააქიმოჲ“, ლადო კო-
ტეტიშვილი, „მედიცინა ძველ საქართველოში“, XIII საუკუნე. საქართველოს
სახელმწიფო გამომცემლობა „სახელგამი“, 1936 წ.).

გადავხედოთ იმ ექიმთა სიას, რომლებიც იძლევიან რჩევა-დარიგებებს:
ბაყრატი — Hippokrates — დაიბადა 460 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და
გარდაიცვალა 377 წ. თესალიის ქალაქ ლარისში.

არისტოტელე — Aristoteles — ცხოვრობდა 384-322 წწ. ჩვენს წელთა-
ღრიცხვამდე.

კალინოზ — Claudius Calenus — 131-201 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

იონა — Iohannes Mesue — 777-857 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

მასარჯუა — Maserdchavaih — 680 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით, იყო ებ-
რაელი ექიმი.

მაჰმად ზაქარიაჲ ძე, მუჰამედ — Muchamed Arrasi, Muchamed Ebn
Sechariah — 923 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

ანდრომახოს — Audromchus — 54-60 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იყო
რომის პირველი არხიატრი.

აბუჯარიზ — Abu Dschafar — ცხოვრობდა X საუკუნეში ჩვენი წელთა-
ღრიცხვით.

თიადიყ, თიადუყ, თიადოყ — Theodocus — 690 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.
ბერძენი ექიმი ერაყში.

ფოლის, ფოლოს — Fales, მილეტელი — 636-546 წწ. ჩვენი წელთაღრი-
ცხვით. იყო იონიის სკოლის ექიმი.

მასოის ძე — Mesue der jungere — ცხოვრობდა XI საუკ. დასაწყისში
ჩვენი წელთაღრიცხვით.

არბიასიოს, არჯიასიოს — Oribasius — 336-423 წწ. ჩვენი წელთაღრიცხ-
ვით. სახელგანთქმული ექიმი პერგამიდან.

მადანელი, მადანი, მადანიური — Aëtius Amidenus — 577 წ. ჩვენი
წელთაღრიცხვით.

თებით ყურა, თებით ყურაისძე — Thabeth ebn Korah — 835 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

არხიჯანოს, არხიჯანის, არქელანის — Archigenes von Aramed — 97 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

დავჯანი — ვინაობა უცნობია.

ჰუნან — Uhonamin ebn Iskak — 804-877 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

მესიაი, მისია — Mesu eltere — IX ს. ცნობილი ნესტორიანელი.

იზნიმასა, იზნიმას — Aliben Abbas — ცხოვრობდა X საუკუნეში.

რუფოს, რუფას, როკის — Rufus ეფესიდან — 97 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ცხოვრობდა რომში, გამოჩენილი ეკლექტიკოსი იყო.

სინაისძე — Ebn Sina — 980-1036 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით. წარმოშობით ხორასნელი (ავიციანა).

ისაკ, ისაყ — Irak ben Solemanel Israili — 940 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით (XXI, XXII, ლ. კოტეტიშვილი).

127 გვ. მაღანი იტყვის: „...კურნებაი მისი იგი არს, რომელ სუდი სურნელითა ღვინითა შეაგზოს და პატრუკი მავით დაასოვლოს და ცხვირთა შემოსდვას...“ („ცხვირთა გაბერილობისა ვითარებაი“).

128 გვ. აბუჯარიბ იტყვის: „და თუ სპილენძისა თობალი და თეთრი არჯასპი და გორიხი თვითონისაგან სამისა ღრამისა წონი... ყველაი დანაყოლი ღვინითა შეწილოს და ტილოსა მჩუარისაგან პატრუკი შეგრიხოს და ამა წამალსა თანა შესცხოს, და ცხვირთა შემოსდვას და იცხოს“... (პ. „არ ყნოსებაი ცხვირთაი სიმხურვალითა რაი იყოს“).

129 გვ. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: „...და სინედლე გაიხსნას და პირი ღვინისა ორთქლსა მიუპყრას და სიქანგუბინითა და სპანძელისა თესლითა ღარღარაი ქნას...“ (პ. „არყნოსებაი ცხვირთაი სიმხურვალითა რაი იყოს“).

129 გვ. ფილოს იტყვის: „იგი არს, რომელ ფაჩარი და ძმარი და ყარანფული თვითონისაგან უკიაი ერთი ყველაი სურნელსა ღვინოსა შიგან შეაბგოლოს და ცხვირთა შემოვლოს, და თუ პატრუკი ამით დაასოვლოს და ცხვირთა შემოსდვას ერგების...“ (პა. „ცხვირთა სიმყრალე და ნასორი შიგან რომელ იყოს“).

130 გვ. მასაიძე იტყვის: „...და თუ ფაჩარი და ყაბანფული და პიტნაი დანაყოლი, შემგბარსა ღვინოსა გაპრიოს და ცხვირთა შეუშვას, კარგი არს“ (ვითარებაი ბევარისა და ნასორისა ცხვირთა შიგან იქნების“).

130 გვ. მესევა იტყვის: „...მაშა თუ ამით რომელ გვითქვამს არ გამრთელდეს, იგი ხორცმეტი ასათა მოჰყვეთის, და ასაი სადაც ტაქროისა კურკელსა ჰქვიან, და მაშინ ღვინოი ჩაასხას და თეთრითა მალამით კურნოს“.

მასაისძე იტყვის: „კურნებაი ცხვირისა დავასირისა იგი არს, რომელ სპილენძისა თობალი შემგბრითა ღვინითა გაგალონ და ცხვირისა შესცხონ, რომელ მანკი დაამციროს და განწმინდოს“... („ვითარებაი ბევასირისა და ნასორისა ცხვირთა შიგან იქნების“).

133 გვ. როფი იტყვის: „...ხამს რომელ ხაშხაშისა შემგბრითა ღვინითა და გაზრდილითა იხმაროს...“ (პვ. „სურდოი რომელსა ჰქვიან ზუჟამი და ნაწლავი“).

139 გვ. მასაისძე იტყვის: „სისუსთე ანუ სიმსივნე ღრძილთაი რაი სინედ-ლით იყოს, ბროწულისა ყუვაკილი ღვინითა შიაგბოს და პირისა მით ბანდეს“... („ღრძილისა სიმსივნე რომელ სიგრილისაგან იყო“).

142 გვ. მუჰამედ ზაქარიასძე იტყვის: „სირნებაი მისი იგი არს, რომელ ნე-ლისა ჭულაბითა არწყვიოს და მაშინ სიქანგუბინითა იღარღაროს, და ყმაწვილთა პირთაგან წყლისა დენისა კურნებაი იგი არს, რომელ აყაყიი ვარდის წყალსა ანუ შემგბარსა ღვინოსა შიგან დააღბოს, რომელ გადნეს შიგან და მაშინ ეამ-ეამ პირსა შეუცხებდენ, ხამს რომელ ძიძიი საქამადსა ცოტასა ჰამდეს, და სქელ-თა და უღნობთა საქამადთა ერიდებოდეს. და ნატიფთა მიეღტვოდეს (ჟ. „წყლი-სა დენაი პირისგან მძინარესა“).

143 გვ. კურნებაი მისი რა სიმხურვალისაგან: „...და თუ სიმსივნე თხამლად შექმნილ იყოს ლეღვი შეაგბოს და ცოტაი მური მას წყალსა გაპრიოს, და ცო-ტაი შემგბარი ღვინოი გაპრიოს, ცოტაი იისა ზეთი და ყველაი ნელად გაატვოს, და პირსა შავით გამოირეცხიდეს, რომელ სიმსივნე დაარცხვოს და ახალითა სძითა პირსა გამოირეცხიდეს, და თეთრი მალჰამაი და აფიონი და ვარდისა ზეთი შემოსდვას“ (ჟა. „გასივებაი პირისაი სიმხურვალისაგან თუ იყოს“).

148 გვ. მასარჯოა იტყვის: „...და მაშინ ანაკუეთისა წყლითა და ქართლისა წყლითა შემგბრითა ღვინითა, ვარპარამის წყლითა იღარღარებდეს...“ (ჰე. „ქა-მისა ჩამოსულია რომელსა ჰქვიან სასაი თუ სიმხურვალისგან იყოს“).

155 გვ. ქალინოს იტყვის: „...და თუ სისხლისა ამოღებისა თანა მკერდი სტკიოდეს ესევე წამალი ღვინითა დააღბოს და მანკისა ადგილსა იცხოს ერგე-ბის“... (რ. „სისხლისა ამოსვლაი ხორხისგან და რწყევითა ამოყოლაი სისხლი-საი“).

156 გვ. ფოლოს იტყვის: „იგი არს, რომელ უზმამან გულანგუბინი ჰამოს და ლეღვსა შემგბარსა და ჩამიჩსა ნუშისა ზეთითა ჰამდეს და მუხუდოს წვენ-სა და ტრედის ხუნდსა შორაბითა შექმნილსა ჰამდეს და შემგბარსა ღვინოსა იხმარდეს კარგი არს“... (რა. „ხველაი რაი სიმხურვალისაგან იყოს ანუ სიგრი-ლისაგან“).

157 გვ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: „იგი არს, რომელ მიწყით ცხელსა აბაგოისა შიგან მივიდოდეს და დიდხან დაზმიდეს შიგან; რომელ დიდი ოფლი გამოეცეს, და მაშინ ძუელსა ღვინოისა სმიდეს და კალიითა იხმარებოდეს და წვადსა ჰამდეს, და რაიცა წყლითა შექმნილი იყოს მის უხდურსა თანასა ნუ ჰამს, და კალიაი იხმაროს“ (რბ. „ხველაი რომელ სიხმელისაგან იყოს ანუ სინედ-ლისაგან“).

160 გვ. თებით ყურაი იტყვის: „...და ჩამიჩისა წყალი და თაფლისა წყალი და შემგბარი ღვინოი მას დია ერგების“ (რდ. „ფირტვისა გასივებაი რომელსა ჰქვიან დათარაი, რაი სიმხურვალისაგან იყო“).

165 გვ. „კურნებაი მისი რომელ სიგრილისა ანუ სინედლისაგან იყო“... „...ანუ მიშქადარვი ღვინითა შეგბარი ანუ ვარდის წყალი და ალვი და მას-ტაქი ჰამოს“... (რც. „გულისა ტკივილი რომელ სიგრილისა ანუ სიმხურვალისა, ანუ სინედლითა, ანუ სიმხელისაგან ქნილ იყო“).

166 გვ. მუჰამედ ზაქარიას ძე იტყვის: „რომელ სურნელი ღვინოი სუას, რომელ შიგან ცოტაი მხურვალი სანელეხელი ჩართული იყოს“.

167 გვ. ჯალინოს იტყვის: „და თუ მიშქადარვი მწარე ღვინოისა თანა გაპარიოს, დრამისა წონი ერთად ჰჰამოს ერგების“... (რთ. „გულისა ფეთქაი რომელსა ჰქვიან არაბულად საფაყანი“).

ჩვენამდე მოაღწია ამ ხელნაწერის „წიგნი სააქიმოჲ“ ნუსხა ხუცურმა ვარიანტმა, რომელიც XV-XVI საუკუნეების მიჯნაზეა გადაწერილი. მე-6 ვერსო გვერდზე თითქოს კრიპტოგრაფულად არის გამომწვევად მიწერილი მსხვილი ასოებით ფაქსიმილე: „არქიმანდრიტი გერმანე“. ამ ორი ხელნაწერიდან ენოთერაპიის საკითხები უფრო ვრცლად გაშუქებულია „წიგნი სააქიმოჲს“ ფურცლებზე და შედარებით ძუნწი ცნობებია ღვინით მკურნალობის შესახებ ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ ფურცლებზე, თუმცა აქ უფრო გამახვილებულია ყურადღება ალკოჰოლისტებისა და ღვინის სმის მავნე გავლენაზე. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ გვეწარმოებია შედარებითი ანალიზი, მახარებელ მაღალაძისა და ზაზა ფანასკერტელის კარაბადინში როგორი ანარეკლი ჰქოვა ენოთერაპიის საკითხებმა. მით უმეტეს გაშუქება პირველ ხელნაწერში XI საუკუნეშია წამოჭრილი, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ენოთერაპიის საკითხი ფართოვდება „წიგნი სააქიმოჲს“ ფურცლებზე და ხელნაწერი ფონდი Q № 877 დაახლოებით 400 წლით გვიან არის დაწერილი „უსწორო კარაბადინთან“ შედარებით და 300 წლით გვიან „წიგნი სააქიმოჲსთან“ შედარებით.

| პარალელების გავლებისა და შედარებითი ანალიზის ჩატარების მიზნით მოგვყავს ზუსტი ტექსტი დატული მხარებელ მაღალაძის და ზაზა ფანასკერტელის კარაბადინის 1978 წლის პუბლიკაციის 772-ე გვერდზე „ქარი და ხანიათი ღვინოისა“, სადაც ვკითხულობთ:

„ღვინო მრავალფერია. ჩამიჩისა არს, დანასკუდისა არის, ყურძნისაგან არის, ბრინჯისაგან არის, და ქრთილისაგან იქნების, ლელუისაგან იქნების და ყოვლისა ფერისა ტკბილისაგან იქნების. ზოგი უფრო მკურვალაი იქნების, ზოგი უფრო გრილი, და ყოველსა ყურძნისა ღვინო უკეთესი იქნების. და ღვინო, რომელი დაძუელდების, უკეთესი და უმსუბუქესი იქნების. ღვინო ყურძნისა არაერთი ღარიზასა (!) მოუმატებს და სტომაქსა შიგა ფიცხლა მოიდნობის, და ქარი გატეხოს სტომაქსისა, ძარღუები მოაფართოს და, რაც ასო იყოს, ყოველსა შიგა იაროს. და შეკვრით რომე იყოს, გაქსნის სტომაქსისა და ტანისა ბუხარი დააწყნაროს და ზაფრასა ბალამსა უშუელოს, და ძარღუებსა შიგა რაცა ავი სისხლი იყოს, გამოიღოს. და კაცი რომე ნიადაგ ჰამდეს და ვერა გაძღებოდეს, მას, და არა სუქდებოდეს, მასცა ერგოს. ქარისაგან რომე ყოლინჯი იყოს, ისიცა გაქსნას. და ძალხულისაგა უშუელოს და გული გაამხიარულოს და რაცა ამას ზემოთ სწერია, სახელდობით ნიშნისა ქუემოთ. თუ კაცი ღვინოსა ნაჩუევი იყოს და აღრას სუას, რაცა კარგი სწერია, ისდონი ერთი სენი შერჩების კაცსა, გაუმძღაერდების და მოჰკლავს კაცსა, რაცა ღვინისაგან ძალი ჰქონებია და

1 თამაზ სიხარულიძე — ეტიულები ღვინოზე, „საბჰოთა საქართველო“, თბ., 1979 წელი.

სენი გაყრია, კიდევ გაძლიერდების და კაცი ველარა დარჩების. რასაცა კაცსა ან-
დაზითა ლუინო ესუას და თავი შეენახოს მისგან, სიმრთელე ჰქონდეს. თუ მერ-
მე დაიწყოს ჰარბობა ლუინისა იმა ანდაზაზედა, რაცა პირველად სიმრთელე
ყოფილიყოს, ისი ყუელა სენად და სნებად შეექნას. ვისცა ლუინისა სმითა გუ-
ლი ავესების და ძარლუებშიგა სენსა შეიქს, და კაცისა არართა ლ(ა)რიზი მო-
არჩოს; აგრე რომე ცეცხლი ენთებოდეს, და კაცმან ბევრი შეშა დააყარო(ს)
ნედლ(ი) და დაავსოს, ისრევე ბევრი ლუინო სტომაქისა და გულისა სინათლესა
დაავსებს, და კაცი მოკუდების. რა ბევრი ლუინო ჩავა, დამძიმდების სტომაქი,
და ლუიძლი და საკმელი შიგა დალპების, კაცი ველარა მოიდნობს, კაცისა სტო-
მაქი და ლუიძლი წაკდების, და ისი ავი ხლიტი კიდევე მოემატების, და შიგავე
შერჩების სნება, და სიშვავე დაემართების და გულმწყრალი შეიქნების, და
თუალსა შიგა მლიერი დაუწყოს და ძილშიგა შეშინება დაუწყოს, და ძილი არა
ღია მოეკიდოს. ესე ყუალი მისგან იქმნების, როდეს დიდსა ლუინოსა სომს,
ტუინშიგა შევარდების და იქიდალმან იქმნების ყუალაი.

და როცა ლუინისაგან სხუა სენი იქმნების, მასცა მოგახსენო. — ერთი
რომე ყელი გაუსივდების და მოუჭირებს; ერთი — ნიკრისი; ერთი — ფილენ-
ჯი, რომე კელ-ფერკი აუთრთოდეს და თავი მაჯაში წაახდინოს, და ლუიძ-
ლისა სნება შექქნას; ერთი — ისთისყაი და თავისა ტკივილი და კბილისა, და
მკურვალაი სიმსივნე ფერად-ფერადი, და ცივება და ცხელება ესეცა ეგების,
რომე ერთისა თუალისა წუთსა გახეტქოს. იცოდი, რომე ლუინო მხურვალაი და
ნედლი. და სიმხურვალისაგან ცივი რამე ბუხარი გამოუჩნდეს და, როცა სიმ-
კურვალე იქნების, რომე თვისა ძირშიგა გაიაროს, და ტანშიგა მისი სიგრილე
სისუელე დარჩების. თუ სიმკურვალე კიდევე დარჩომილიყოს სტომაქსა შიგა,
იმა სიგრილისა სინედლესა ტუინშიგა გაიღებს. კაცისა კეფაცა გრილია და ნედ-
ლი, და ისიცა იქი მიემატოს, და მისგან ბევრი სენი დაემართების. თუ ის თავსა
ბნედასა დაუწყებს, თუ ამასა ცოტა სიკმე ჰქონდეს, რომე თავშიგან მისულა, მა-
შინ მილახური შექქნას (მას ჰქუიან, რომე ანასდად კაცი ბნელსა საუბარსა და
სხუასა რასმე ოცნებაშიგა ჩავარდეს). თუ კაცისა გული და კეფა ცხელი იყოს,
ძველი და ან ახალი ლუინო რომე მოდუღებული იყოს, ისი მხურვალაი და კმე-
ლია, და იმისი ბუხარი იმა დამლაშიგა გავა. მისგან თავჭედი შეექნების, ასრე
რომე კაცი რასა უზნობდეს, არა იცოდეს. თუ მხურვალაი და ნედლი იყოს ისი
თავშიგან გასულა, მერმე მისგან სიმსივნე ისი სისხლი იქნების, და ცივება და
ხურეება გამოაჩინე. და კაცმა შეიტყო, რომე სიცოცხლე სულისაგან არის და
ისი სული აქიმთა გუერცა, როგორაცა ქარი ასრე არის კაცისა გულშიგა რო-
გორლაცა ლუინოს სუამს ბევრსა, ისი სისხლშიგა გაერევის, და მერმე სისხლი
წავა ლუიძლსა და ძარლუებსა, ყოველი სავსე არის და აღარა ჩავა რა. მერმე
წამოვა ლუინო გულისაკენ და ისი სული გულშიგან არის. და რა ლუინო მი-
მართებს სულსა, გზა აღარ აქუს. მერმე გამოვა სული. და ლუინო ჩავა მისსა
ადგოლსა და კაცი მოკუედების ლუინისაგან. სიკუდილი ესე არის. ასრე ლუი-
ნისაგან მკუდარი ბევრი ნახულან, სული ფირტუსა შიგან გამოვა და რაცა კაცი
ლუინითა აივსების, იმას სულისა სახლსა მოუჭირებს, და ფირტუო კუნეშასა

დაიწყებს. კაცსა ასრე ჰკონია, ვითა მოვისუენებო და დაწეების, და დაუჭირავს სულსა გზასა და კაცი მოკედების. თუ სტომაქი გრილად ჰქონდეს, საკმელი ველარა მოინდოს და სული ნიადაგ მკავე აბოყინოს. და თუ ვერა მოედნოს, მისთანა სატკივარი სჭირდეს, წყალი სუას, რომ ქარი შეექნას. მისი ისევე სჯობს, რომე ცოტა ცოტა ღუინო სუას, სხუა ღუინო, თუ რასთან ფერი არის. ღუინო მხიე და მომუავო იყოს და კაცი სუმიდეს, სტომაქიდაღმა ფიცხლა გაიარს, ძარღუები ფიცხა გაიცლების, მერმე ტუი(ნ)შიგა გაუჭდების და ფიცხლა სიმრთელე და მიავდოს და ფიცხლა მოაფხიზლოს.

ღუინო თეთრი ერთბ მჭურვალე არის. და თუ კაციცა მჭურვალე იყოს, მისი სმა არა ერგების, და კაცსა შარდისა ალაგსა გასწმედს.

ღუინო წითელი უფრო მჭურვალეა თეთრისაგან. ღუინო ლლისფერი უფრო მჭურვალეა ყუითლისაგან, და ლლისფერისაგან უფრო წითელია, მას ესე უმჭურვალე იყოს. ესე ღუინო მან სუას, ვისცა ბალღამი სჭირდეს. ღუინო ცეცხლისფერი, როცა ღუინო იყოს, ყულასა მჭურვალ(ი)ა. ღუინო მყრალი მისი სულ(ი) არა არის; და თხელი ღუინო იყოს, სტომაქიდაღმა გუიან გაიარს. ამისი სუმა მჭურვალსა კაცსა არგებს.

ღუინო რომე კარგი სუნი უდიოდეს, თუ კაცსა ხიფაყანი სჭირდეს, მას არგებს. კაცი რომე დაბნდებოდეს და კაცი რომე სტომაქზედა ავად იყოს მასცა არგებს. ღუინო, რომელი კარგი სული არა უდიოდეს, ტუინსა აწყენს და რაცა ტუინშიგა მისგან დაემართების, სტომაქსა ავად მოუტდების.

ღუინო, რომე გამოდ მორჩილი იყოს და მოთხე, მჭურვალსა კაცსა არგებს. ღუინო ტკბილი კაცსა გა(ა)ხურვებს, სტომაქით გუიან გავა, მუცელსა და ტანსა შეჰკრავს, ტყირბსა გაადიდებს, გული და გულისპირი დააღბოს, კაცი გა(ა)სუქოს. ღუინომ მწარე ხურვალე არის და სტომაქზედა მარგე, საკმელსა თუ შეკვრით იყოს, მას გააკნის. მსუქანსა კაცსა უკეთა მოუტდების. ღუინო რომე პირსა ეკიდებოდეს, ისი უფრო ძნელი და, მძიმე არს. ღუინო რომე პირშიგან უგემური იყოს, იგი ავია და მისგან ტანშიგან სატკივარი გამოვაჩნდების.

ღუინო რომე აუდუღებულად დადგომილი იყოს, ისი მაშუნეა და ფიცხლა მოიდნობის და კაცსა ფიცხლად დაათრობს. მისი ცოტა იყოს და გული გაუმხიარულოს, და სისხლი დაწმინდოს, გულსა და ტანსა ძალი მისცეს.

ღუინო მოდუღებული ორი ფერის არის ერთი — მწარე, ერთი — ტკბილი, დაასხამს. ღუინო ბარისა უფრო მჭურვალ(ი)ა და მაძლოსი, ვირემ მთისა. ღუინო უფრო მჭურვალ(ი)ა და კმელი. და კაცი გუიან დაითროს, II გულსა გაამქიარულებს და ბერსა კაცსა არგებს, რომე გრილი და მსუქანი იყოს, სტომაქით გუიან გავა. კაცსა გააჭურვებს, გულისათვის (?) კარგია, მუცელსა გაკნის გულისა და ღუიძლისა გზა გაკნას, ბუშტსა და თირკმელშიგა ქვა გამოაჩინოს. ღუინო ახალი სტომაქზედა ქარიანი არის და გუიან გავა, ტუინსა დააღბობს, ფერად-ფერადსა სიზმარსა აჩუენებს, ტანსა და მუცელსა დააღბობს.

ღუინო ძუელი მჭურვალე და კმელია, სტომაქსა არგებს, ქვასა განეთქს. ამისი სმა მსუქანსა კაცსა არგებს.

ღუინო ჩაშიჩისა მისი სიმჭურვალე და სინეღლე ყურძენსა ცოტად ჩამო-

უკდების. კაცი რომე სიმკურვალისაგან, მას არა ესმის, სტომაქზე და ქარიანი არის.

ლუინო ხურმისა მკურვალი და რბილი არის. გულსა კარგად მოუხდების, კაცსა მოაწყურვებს და შეჰკრავს. და სევდაშიგა გაერევის სისხლსა გა(ა)შავებს და სტომაქსა ძალსა მისცემს და გაასუქებს და ყოლინჯსა არგებს... ლუინო ბარისა უფრო მკურვალი(ა) და მადლოსი, ვირემ მთისა. ლუინო კაობისა უფრო თხელი იქმნების და კაცისა ტანშიგა უფრო რბილია; და კაცისა სტომაქი რომე მკურვალი და კმელი იყოს, მას არგებს. და (ლ)უინო, რომე კლდიანისა და ქუიშიანისა ალაგისა იყოს, უფრო მძიმე არის და მისი სისუფლე ცოტა იყოს".

როგორც აქ მოყვანილი ფაქტებიდან ადვილად ირკვევა, მახარებელ მადლაძისა და ზაზა ფანასკერტელის კარაბადინში მკაფიოდ არის გარკვეული ღვინის როგორც დაღები, ისე უარყოფითი თვისებები. ამავე დროს ამ ხელნაწერის გვერდებზე ხშირად ნახსენებია „ძველი ღვინო“, როგორც საუკეთესო საშუალება — ბიოგენური სტიმულატორი და რთული სითხეოვანი წამლის ფორმების აუცილებელი კომპონენტი. ინტერესმოკლებული არ იქნება შევეხოთ ენოთერაპიის საკითხს XVI საუკუნის უნიკალურ სამედიცინო ხელნაწერში დავით ლუარსაბის ძე ბაგრატიონის, ანუ როგორც იგი თავის თავს უწოდებს, დაუდ ხანის იადიგარში — სამახსოვროში, ანუ როგორც ეს წიგნი არის ფორმულარებული ექიმ ლადო კოტეტიშვილის მიერ 1938 წლის პუბლიკაციაში: „იადიგარ დაუდი“.

ამ წიგნის 184-ე გვერდზე ბოლო აბზაციდან შემდეგ ვკითხულობთ: „ღვინო, პირველსა წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, კაცსა ამისი სმა გააანურვებს და წამოაქვხებს, კაცსა გაამხიარულებს, წელთა და თირკმელთა გაანურვებს, კაცსა მწოედ დედაკაცთან მისულას მონადომებს, კაცსა სისხლსა და თესლსა ორსავეს ბევსრ ჩაუყენებს და თვითან ეს ღვინოცა კარგ სისხლად გარდაიქცევის.“

მაგრა თუ კაცი ბევრს ღვინოსა სვამს, კაცსა აწყენს და ღვიძლს დაუკოდს, თავსა და ხელფეხსა აუთრთოლებს, თუალთა ცრემლთა და წუწსა მოადენს. მაგრა აქიმთა და შემტყობთა კაცთა ღვინო და მარილი ერთგან დაუდებია და ღვინოცა მარილისათვის მიუშგავსებია, ამსთვის რომე ორივე მხურვალნი და ხმელნი არიან. თუ კაცი საკმელშიგა მარილსა ცოტასა და ზომიერად ჩაურევს, გემოცა კარგი ექნების და კაცსაცა კარგად დააშუნდების. და თუ კაცი საკმელშიგა ბევრს მარილს ჩაურევს და ან მლაშესა იქს, კაცსა აწყენს და არცა კაცსა იამების, ისრევე ესე ღვინო არის, თუ კაცი ცოტასა სვამს და ზომიერსა, კაცსა კარგად დააშუნდების, და თუ კაცი ბევრსა სვამს მწოედ აწყენს, და კაცი ღვინის არაიქი შეიქმნების. აგრევე თუ კაცი ღვინოსა პირვიწროსა სამლითა სვამს.

„ძმარი, მესამე წილშიგა გრილი და ხმელი არის, კაცმან რომე ამა ძმარსა უსუნოს, ამისი სუნება ტვინისა დამალსა მწოედ არგებს, და კაცსა რომე ან სისხლისაგან და ან საფრისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს, და ეს ძმარი კაცმან ან საკმლითა კამოს და ან საფეთქელსა და თავზედ შემოიციხოს, თავის

ტივილსა მაშინვე უშველის, მეტადრე მაშინ, რომე ამა ძმრითა ან სანდალი და ან ფუფალი, ან თინი მითხუმი შეიცხონ. ან სალათას თესლი დანაყონ გაურიონ გილი არმანი და ამითა იმა სამისაგან ერთ ერთი გამოლესონ და ისრე შეიცხონ. კაცსა რომე სიცხისა ან სიმხურვალისაგან ან ლვიძლი, და ან სტომაქი სტიოდეს და ეს ძმარი ან საკმელშიგან გაურიონ, და ან შაქრითა შარბათად შექმნან და ისრე სევან და ამავე სანდლითა და ან გილი არმანითა და ან სალათას თესლითა ტლედ ქნან და გულსა და ლვიძლზედა შემოსდვან, მაშინვე თავისა, ლვიძლისა და სტომაქის ტივილსა სამსავე უშველის. კაცი რომე ან სისხისა და ან იარაყნისაგან და ან სხვის ჳირისაგან სივდეს და ეს ძმარი დასცხო. მაშინვე სიმსიენესა დააცხრობს.

კაცი რომე ნამთურალევი იყოს და ან ხუმატი იყოს და ამა მიზეზითა თავი სტიოდეს და ძმრიანი საკმელი ჳამოს, ან ძმრიანი შარბათი სევას, მაშინვე გულს უჟუჳყრის და საკმელს კიდევ აღრე მოანდომებს, კაცსა მუცელშიგა შეჳკრავს.

კაცმან რომე ამა ძმრითა და შაქრითა სიქანჯუბინი ქნას და სევას, ყოვლის სიმხურვალის სენის წამალი არის და უშველის. ვინცა ძმარი და ყაყაჩოს წვენი თავზედა შემოიციხოს, თავის ტკივილს უშველის“. ასე რომ, ენოთერაპიის საკითხები ფართოდ არის გაშუჳებული როგორც ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში: „წიგნი სააქიმოი“-ს ფურცლებზე უხვად არის ფილოსოფოსთა და მედიკოს ექიმთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ენოთერაპიის საკითხებზე.

ენოთერაპიის საკითხები აგრეთვე გაშუჳებული არის მომდევნო საუკუნეების ძველ ქართულ სამედიცინო კარაბადინებში. მხედველობაში გვაქვს XV საუკუნის ხელნაწერი „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ და XVI საუკუნის „იადიგარ დაუდი“.

* * *

ჩვენ ზემოთ დეტალურად შევეხეთ „უსწორო კარაბადინში“ ღვინის მავნე გავლენას ადამიანის ორგანიზმზე.

საქართველოს მედიცინის ისტორიკოსების კომპეტენტურ მკვლევართა შორის ექვს არ იწვევს, რომ „უსწორო კარაბადინი“ ქართული ეროვნული ნაწარმოებია, თუმცა ზოგიერთი ტერმინოლოგიის თვალსაზრისით იგი აშკარად განაცდის არაბული და სპარსული ენების გავლენას. „უსწორო კარაბადინის“ ორპა ვარიანტმა მოაღწია ჩვენამდე. ერთი გახლავთ Q ფონდი № 26 ხუტური დამწერლობით, რომლის გადამწერის ვინაობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით, და თუ ეს ხელნაწერი XI საუკუნით თარიღდება და იგი დავით აღმაშენებლის ეკონომიკური და პოლიტიკური აღორძინების ეპოქას უკავშირდება, დადგენილია, რომ ეს ხელნაწერი მომდევნო საუკუნეებშია გადაწერილი და ჩვენამდე ამ წიგნის ორიგინალს არ მოუღწევია. ასევე ჩვენამდე მოღწეულია „უსწორო კარაბადინის“ მხედრული ვარიანტი, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ქ. ლენინგრადის განყოფილებაში ინახება (K-23). ეს ხელნაწერი ნუსხახუტური დამწერლობიდან გადაწერილია მხედრულად. კალიგრაფი-გადამწერის ვინაობა

უცნობია, მაგრამ იგი გადაწერილია XVII საუკუნეში მეფე-პოეტის ვახტანგ VI-ის დავალებით, ხელნაწერის ბოლოს მიწერილია შემდეგი საყურადღებო შინაარსის ანდერძი: „ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან ვახტანგ, დავაწერინეთ კარაბადინი ესე საკითხავად და სამყოფად დარბაზსეფეთა ჩვენთა. ერთი ფურცელი აკლდა და მისი ვერსად ვიპოვეთ რომ დაგვეწერინა“. ამ ხელნაწერის მიკროფირი გამოწერილია ჩვენ მიერ აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ქ. ლენინგრადის განყოფილებიდან. ვვარაუდობდით, რომ პალეოგრაფიული ანალიზით შეიძლებოდა გადამწერი კალიგრაფის დადგენა, მაგრამ ვარაუდი არ გავვიმართლდა. ლაღო კოტეტიშვილის მიერ დადგენილია, ხელნაწერი ფონდი S — 1274 „წიგნი სააქიმოა“ ნათარგმნია ხოჯაყოფილის მიერ XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისში არაბული ენიდან. თანამედროვე მედიცინის ისტორიის მკვლევარები ძლიერ ჩააფიქრა იმ ვარემოებამ, რომ არაბულ ენაზე ასეთი დედანი ჰერეჯობით არ იქნა აღმოჩენილი, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის ვარემოება, რომ ეს სამედიცინო ხელნაწერი არაბულიდან არის ნათარგმნი.

შეძლებისდაგვარად ჩვენ თამაზ სიხარულიძის მონოგრაფიის „ეტიუდები ღვინოზე“ და სხვა დამატებითი არგუმენტებით გავაშუქეთ ენოთერაპიის საკითხები ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში. ამჟამად კი დღის წესრიგში დგება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქ. ლენინგრადის განყოფილებაში დატული ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერის გაცნობა და მათი ანალიზი, როგორც პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის თვალსაზრისითაც. განვიხილოთ ქ. ლენინგრადიდან მიღებული ზოგიერთი საყურადღებო ცნობა, რომლის შესწავლა და საერთოდ, აქ დატული ხელნაწერების ფონდების მეცნიერული ანალიზი ფარმაციის ისტორიის მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს.


ლენინგრადში დაცული ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერები მკვლევარს ელოდება

საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქ. ლენინგრადის განყოფილებაში ინახება არა ერთი ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერი-კარაბადინი, მათ შორის „ქორის და ცხენის“ ვეტერინარული კარაბადინი — ფარმაკოპეა, ასეთივე შინაარსის ხელნაწერი: „წიგნი ცხენთა ცნობისა და აქიმობისა“. ჩვენ თხოვნით მივმართეთ თსუ-ს ფილოლოგიური ფაკულტეტის ასპირანტს, ქეთევან ბაზერაშვილს, ქ. ლენინგრადში სანეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს ამოეწერა და ჩამოეტანა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქ. ლენინგრადის განყოფილების ქართული სამედიცინო ხელნაწერების სრული ნუსხა, რუსულად ორბელის მიერ შედგენილი ცნობარიდან. ეს თხოვნა ქ. ბაზერაშვილმა შეგვისრულა. მან ჩამოგვიტანა ცნობები ქართული სამედიცინო ხელნაწერის შესახებ. გაირკვა, რომ იქ ინახება ქართული სა-

მედიცინო ხელნაწერების მდიდარი კოლექცია, თითქმის იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. როგორც ირკვევა ეს ხელნაწერები ძველად აღწერილი იყო სხვა ნუმერაციით, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში ჩატარდა ქართული ხელნაწერების ხელმოკრედ აღწერა და მოხდა მათი ახალი საინვენტარო ნომრით გადამისამართება. ასე მაგალითად: ქანანელის „უხსორო კარაბადინი“ ძველად იყო ფონდი K-23 (ნიკო მარის კოლექცია. 1703-1712 წლები. მხედრული. 600 გვერდი). ამ ხელნაწერის ახალი მისამართია საინვენტარო № 360 K-13.

სამწუხაროდ, ამ ხელნაწერის ბოლო ორასი გვერდი დაკარგულია, ხოლო მე-600-ე გვერდზე დაიკარგა ვახტანგ VI ხელით მინაწერი ანდერძი და ფაქსიმილე. ეს კი მეტად საინტერესო და საჭირო დოკუმენტი იყო ხელნაწერი Q ფონდი № 877 სამკურნალო წიგნ-კარაბადინის 62—63-ე გვერდებს შორის ჩატოვებული ვახტანგის ანდერძთან პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის ჩატარების თვალსაზრისით.

საქმე შემდეგში: 1940 წელს „უხსორო კარაბადინის“ პუბლიკაციის თანდართულ აპარატის ტექსტში ექიმი ლადო კოტეტიშვილი 27-ე გვერდზე წერდა: „ხელნაწერი ამჟამად შეიცავს 600 გვერდს... ხელნაწერის ბოლოში, დატოვებულ ფურცელზე არა დედნის ხელით გაკეთებულია შემდეგი წარწერა: ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ დავაწერინეთ კარაბადინი ესე საკითხავად და სამყოფად დარბაზ სეფეთა ჩვენთა, ერთი ფურცელი აკლდა და მისი ვერსად ვპოეთ რომ დაგვეწერა“. თუ ამ ანდერძის ტექსტს შევადარებთ ქ. გორკის საოლქო ბიბლიოთეკაში აღმოჩენილ სამედიცინო ხელნაწერ „ს. წ. — კარაბადინის“ Q ფონდის № 877-ის 62—63 გვერდებს შორის კარაბადინის ტექსტთან შედარებით არა დედნის ხელით დაწერილ სიტყვებს: „ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითოეულად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკვრევენეთ სახსრად და სასარგებლოდ კაცთათვის და საკსრად ყოველთა“. თხრობის სტილი და შინაარსი მიგვიყვანს ვახტანგ VI ამ ორი წყაროს შინაარსობრივ და ქრონოლოგიურ იდენტურობასთან. ეს საკითხი საქართველოს მედიცინის ისტორიაში ჩვენამდე ცნობილი არ იყო. ჩვენი მიზანი იყო ამ ორი ტექსტის პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის ჩატარება. ჩვენდა სამწუხაროდ ქ. ლენინგრადიდან ჩვენი თხოვნის საფუძველზე მიღებული ფოტოპირები მთავრდება მე-400-ე გვერდზე. ფონდ K-13-ს აკლია 400 გვერდიდან 600 გვერდამდე, ასი ფურცელი ე. ი. 200 გვერდი დაიკარგა და ამჟერად ვახტანგის ავტოგრაფი ამ ხელნაწერისა ჩვენ ვერ მივიღეთ, რაც ართულებს ამ საქმის პალეოგრაფიულად შესწავლას და საბოლოოდ გადაწყვეტას. ჩვენ ყოველივე მომავალი ძიების საგნად მივიჩნიეთ. ჩვენდა საბედნიეროდ ამ საკითხზე დროულად უზრუნია საქართველოს მედიცინის ისტორიის ცნობილ მკვლევარს პროფ. ავთანდილ გელაშვილს და მას ამ ხელნაწერის ფოტოპირები 1955 წლის დეკემბერში საქართველოში ჩამოუტანია. ამ საინტე-



„უსწორო კარაბადინის“ გარეგანი ხედი. საბჭოთა კავშირის შეცნობისათვის აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქ. ლენინგრადის აღმოსავლეთის ქვეყნების ხელნაწერების განყოფილების ფონდი K-18.

რესო საკითხის გარკვევის მიზნით ჩვენ წერილობითი თხოვნით მივმართეთ საქართველოს მედიცინის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაციას და პირადად პროფ. მ. შენგელიას, რათა გვენახა, ქ. ლენინგრადიდან მიღებული სამედიცინო ხელნაწერის „უსწორო კარაბადინის“ ფოტო-ასლები და პალეოგრაფიულად ერთმანეთისათვის შეგვედარებინა „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ ანდერძის ტექსტთან. ვარაუდი გამართლდა. ამიერიდან პალეოგრაფიულად იქნა დადგენილი, რომ ამ ორი ანდერძის ტექსტი უშუალოდ ვახტანგ VI ხელით არის დაწერილი. (იხილეთ შესაბამისი ფოტოები). გასარკვევი დარჩა ვინ იყო „უსწორო კარაბადინის“ გადაწერი-კალიგრაფი? ინტუიციით ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს ისტორიული პიროვნება შესაძლებელია ყოფილიყო სოლომონ რევაზის ძე მალალაძე. ვახტანგ VI დაახლოებული პიროვნება, მაგრამ მსგავსების მიუხედავად პალეოგრაფიული იდენტურობა არ დადასტურდა.

ჩვენ ხელთა გვაქვს სცსს არქივიდან მიღებული სოლომონ მალალაძის ხელით დაწერილი რამდენიმე საბუთი. პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის შედეგად დადასტურდა ოდნავი კონსტრუქციული მსგავსება, და არა აბსოლუტური იდენტურობა. ასე რომ, „ვახტანგის სკოლის“ რომელი კალიგრაფის ხელით არის გადაწერილი „უსწორო კარაბადინი“ 1703-1714 წლებში, კვლავ გაურკვეველია. რაც შეეხება პერიოდს, რომ XVIII საუკუნის I ათწლეულში მოხდა ამ ხელნაწერის გადაწერა „სეფე დარბაზის“ რომელიღაც წევრის მიერ ეს იქიდანაც ჩანს, რომ ვახტანგ VI თავისთავს უწოდებს საქართველოს „ბატონიშვილ გამგებელს“ და „პატრონს“ მეფის ჯანიშინს — მოადგილეს და არა თვით მეფეს. ასე რომ, „უსწორო კარაბადინის“ გადაწერის დრო დადგინდა, გადაწერის ვინაობა კვლავ დასადგენია, ასევე, დადგენილია ხელნაწერი Q ფონდი, № 877-ის აკინძვის თარიღი. შემდგომი კივლევა-ძიების საკითხია „ბერი ეგნატაშვილის“ ვინაობის დადგენა. ხომ არ წარმოდგება განშტოება „ბერი ეგნატაშვილი“ ეგნატე ოქროპირის ძე მალალაძისაგან? ამას პალეოგრაფიულად და გენეტიკურად დადგენა ესაპიროება ისტორიული საბუთების საფუძველზე, რომელიც ჭერჭერობით ხელთ არა გვაქვს, ისე სავარაუდოა, რომ გვარი „ეგნატაშვილი“ სახელი ეგნატესაგან წარმოდგება.

ფრიად საინტერესოა ქ. ლენინგრადის ინსტიტუტში დატული 9 სამედიცინო ხელნაწერის არსებობის შესახებ ცნობის მიწოდება ქართველი მკითხველისათვის.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი II. ახალი საინვენტარო № 120 ფონდი, E-25 ძველი საინვენტარო ფონდი E-546-193 კარაბადინი არაუგვიანეს 1803 წლისა.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი III. საინვენტარო № 141 ფონდი, E-46 ძველი ფონდის მიხედვით E-38 კარაბადინი. მხედრული მინაწერი. როგორც ირკვევა ეს არის „დაუღხანი“, იგივე „იადიგარ დაუდი“, კალიგრაფი უცნობია. 1785 წლისა (ეს ვარიანტი სრულიად უცნობი ხელნაწერია საქართველოს მედიცინის ისტორიის საზოგადოებისათვის, ს. ს.).

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი IV. ახალი საინვენტარო № 200 ფონდი, E-105. ძველად ფონდი E-134 გ. ბროსეს კოლექცია აქიმების წიგნი ანბანური

- ცნება პირველ ასოზედ გამოთქმული) მხედრული. XVIII საუკუნე, ან XIX საუკუნის დასაწყისი? (ესეც უცნობი ხელნაწერია, ს. ს.).
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი V. ახალი საინვენტარო № 104 1823-38 წ. რეცეპტები და შელოცვები (ესეც უცნობი ხელნაწერია და საკიროა ეს ხელნაწერები შევისწავლოთ და გამოვცეთ, ს. ს.).
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი VI. (ახალი საინვენტარო № 10, 1819 წელი) რეცეპტები (ესეც უცნობი ხელნაწერია, ს. ს.).
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი VII. ახალი საინვენტარო № 76 ფონდი, C-49 ძველი ფონდი, H-1316 რეცეპტი XIX საუკუნე (ესეც უცნობი ხელნაწერია, ს. ს.).
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი VIII. საინვენტარო № 43 ფონდი, C-16. ძველი ფონდი, C-23, G(Y)-196 თეიმურაზის კოლექცია ქორის კარაბადინი XVIII-XIX საუკუნეები მხედრული (ესეც მკითხველისთვის უცნობი კარაბადინია, ს. ს.).
- ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი IX. ახალი ინვენტარი № 411 ფონდი, ძველად M-48, G-194 თეიმურაზის კოლექცია ცხენის კარაბადინი 1788 წელი. კატალოგის მიხედვით 1816 წელი (ესეც მკითხველთათვის უცნობი კარაბადინია, ს. ს.).

ასე რომ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქ. ლენინგრადის განყოფილებაში დაცული ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერები საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიის მკვლევარებისათვის საინტერესო კვლევის ობიექტია, რომელიც ელოდება ამ საკითხების შემსწავლელ ენთუზიასტებს და შესაბამის პუბლიკაციებს, — ვინაიდან საზოგადოების ფართო მასებისათვის ამ ხელნაწერების შინაარსი უცნობია.

წამალთფორმები, მათი უმადგენელი კომპონენტები და მომზადების ტექნოლოგიური პროცესები ძველ ქართულ კარაბადინებში

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ძირითადი ტექსტის თითქმის 60%-ზე მეტი დათმობილი აქვს წამალთფორმების მომზადების პროცესების აღწერას, უმადგენელი კომპონენტების ზუსტი დოზირების მითითებას და წამლებით მკურნალობის ხანგრძლივობის განსაზღვრას.

ეკიმ ლადო კოტეტიშვილის რედაქციით 1940 წელს დასტამბულ ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ მე-5 გვერდზე ვკითხულობთ: „ესე უსწორო კარაბადინი მრავალგვარად ჭირნახული არს და სნეულიცა მრავალი მოურჩენია, დიდთა ხენთაგან დაჰმომებული. ასეთი მარგებელი წამლები დაგვიწერია“. 900 წლის წინათ შედგენილ ამ კარაბადინში ქანანელი დიდი სიფრთხილით გამოყოფს ქვეთავს 32-ე გვერდზე: „აჲ შხამიანი წამლები დავსწერეთ რომე რიდება უნდა და მიცემა არ უნდა“. ამ ქვეთავში ავტორი დიდ სიფრთხილეს იჩენს და წამლის უშუალო მომხმარებელს შეახსენებს, რომ შხამების მიღებისას დიდი

სიფრთხილეა საკირთო: „ესე რომე აქა სწერია ცოტა ცოტა ამისთვის დავსწერეთ, რომე შხამიანი არის და მას სიფრთხილე უნდა“.

ქანანელს ჩამოთვლილი აქვს ამ პირველად წყაროში 25-მდე ძლიერმოკმედი შხამი. თანამედროვე წამალთმცოდნეთა ყურადღებას იქცევს ძლიერმოკმედი შხამების გამოყენებისას სიფრთხილე და მოხმარებისას ზუსტი დოზირება. ამავე ტექსტში ვკითხულობთ: „თუ ამ წამლებისაგან დაამეტებ და ან მარტოსა მისცემდე შხამად შეერგების. თუ ღონე არა გქონდეს და მისცემდე სიფრთხილით მიეც: ჭავჭი, ზააჯი, აფიონი, ჭაბაღანგი, როხამი, ბარჯეული მურდასანგი, საპონი, ფნდანა“ და ა. შ.

...„ეერთსა დღესა ორჯერ წამალი არას ღონითა არ მიეცემის საფათერაყო არის იცოდეთ“... „ამისათვის თქუეს ინდოელთა აქიმთა ვითა კაცისა შენობა, სიმტკიცე და სიმაგრე მუცელი არის და წელწული“ („წელწულის ქვეშ ნაწლავები იგულისხმება, ხოლო „მუცლისა“ და „წელწულის“ ქვეშ მთლიანად კუჭ-ნაწლავი და საკმლის მომნელებელი სისტემა, ს. ს.), ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ პირველი წამლის ფორმა, ანტიდოტი — თრიაყის და გასახსნელი წამლის შემდეგ, რომელიც 54-ე გვერდზე არის ნახსენები, გახლავთ იარაჯი. როგორი წამლის ფორმაა იარაჯი?

ლექსიკური განმარტება ამ სიტყვისა ამ წყაროში არ არის მოცემული, მაგრამ საფიქრებელია ეს გამოთქმა სემიტური წარმოშობისაა და სავარაუდოა იგი სპარსულ მედიცინაშიაც ამავე სახელით იხსენიება. ამ უცხო სიტყვის „იარაჯი“ ფუძის ქართული შესატყვისია „წყლული“ და მინც თანამედროვე წამალთმცოდნეობის თვალსაზრისით იარაჯის განმარტება უნდა ვეძიოთ თვით იმავე ტექსტში, რომელშიც მოცემულია მისი, როგორც წამლის ფორმის მომზადების ავტორისეული რეკომენდაცია. ასე მაგალითად: „იარაჯი გალინოზისა დიდისა“. როგორც ზემოთ ვიუწყებოდით დიდი რომაელი ექიმი კლავდიუს გალენი (131-201 წ.წ.) ქართულ კარაბადინებში იხსენიება გალინოზის, ან ჭალილოზის სახელწოდებით. მაშასადამე, კლავდიუს გალენის მიერ მომზადებული იარაჯი: „არგებს ფილენჯსა და ლაყუასა და რომე დახაშმებული იყოს და ასონი გამხმარნი ესხნენ და შენადგამნი და ვერა შეიძვროდეს და ვის ხელნი და ფეხნი მოუფლოსდნენ და თრევით შეითრეოდნენ და ზე ვერა აემართებოდეს და ვის მარჯვენა კერძი მიწებული იყოს და ანუ მარცხენა და მჯავში არა უკრთოდეს. ერგების მას ყველას რგებითა საჩინოთა: („ლაყუასა და რომე დახაშმებული იყოს“, როგორც ჩანს საუბარია მძიმე ნევროპათოლოგიურ დაავადებებზე — დამბლაზე ანუ „პარალიჩზე“, ს. ს.) აიღე: (იწყება იარაჯის მომზადების გალენისეული რეკომენდაცია, ს. ს.) შამიანდალი და ღარიყონი და თავვისა ხახვი და ვაშაკი და საყმუნია და ხარის ძირა შავი რომელ არს ფარიკონი და ფარიფიონი ამათგანი წონად დრამი თექსუმეტ თექსუმეტისა და ჭავშირი და აფთიმონი აკრიტი და მუქელი ეპედი და ქამდრეოსი და აფრასალიონი და სალიხა ამათგან წონა ცხრა ცხრა დრამისა და ზარეგანდი გრძელი და მური და საქბინაჯი და პილპილი შავი დარიფილფილი და პილპილი თეთრი და კილაპონი და ქალბანა და ყანტარიონი და ფატრა სალიონი ამათგანი წონა ხუთხუთისა დრა-

მისა, საბრის კუტერი და ზაფრანი ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა შეკრიფენ ესე, თაფლითა შეზილენ და ჰიქისა ჰურჰელშიგან ესე წამალნი ყუელანი დანაყენ და გაცერ და პერულ მოხდილითა თაფლითა შეზილე ჰიქის ჰურჰელში ჩადეე და შესუმა მისგან სრული წონა ოთხ-ოთხის დრამისა წყლითა თბილ-თბილითა. ან აფთიმონის ნაგზობითა სარგებელისა არის ნებითა ლთისაგან“. ახლა პარალელისმისა და ანალოგისმის მიზნით წავეყიფთხოთ რა წერია „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 155-ზე გვერდზე „ნიშანი ირაჯისა გალიანოზისა დიდისა“:

„ერგების ფილენჯსა და ლაკუასა და ვინ შეხანმებელიყო და ასონი გამემარესხნენ და შენადგამნი ვერ შეიძროდეს და ვის კელი და ფერკნი მოფოლხუებოდინ და თრევეთ შეითრევენეს და ვერა გაემარებოდეს და ვისდა მარჯუნა კერძი მიღებულყოს, ანუ მარცხენა და მჯასა არა უკროდეს და ვის ფსელი გამოვიდოდეს უნებლად ერგების მას და ყოველსა რგებითა საჩინოთა, ნებითა ღ(მრ)თისათა.

აილო: შემალანდალი და ლარიკონი და თაგუის ხახუი შემწუარი და ვაშაკი და საკამუნია და კარის ძირი შავი, რომელ არს ფარიკონი და აფარბიონი, ამათგანი წონი დრამისა თექუსმეტ-თექუსმეტისა და ჯავაშირი და აფთიმონი და აკლიტი და მუკლიჩეაუდი და ქამანდრეოსი და აფრასიონი და სალიხა, ამათგანი ცხრა-ცხრისა დრამისა და ზარეევანი გრძელი და მური და საქბინჯი და პილპილი შავი და დარ(ა)ფილფილი და პილპილი თეთრი და კილამონი და ქალბანა და კასტორიონი და ფატრასალიონი, ამათგანი წონი ოთხ-ოთხისა დრამისა და საბრის კუტერი და ზაფრანი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა დრამისა. შეჰკრიბნენ ესე წამალნი ყოველნი, დანაყენ, დასცრნე და პერულმოკდილითა თაფლითა შეზილენ და ჰიქისა ჰურჰელსა ჩასდვა. შესუა, სრული წონი II ოთხისა დრამისა წყლითა ტფილითა, ანუ აფთიმონისა ნაგზობითა, სარგებლისა არს ნებითა დმრთისათა“. აქ მოყვანილი ფაქტებიდან აშკარაა ტექსტების იდენტურობა.

მამასადამე, იარაჯი 28 სამკურნალო მცენარისგან შემდგარი რთული წამლის ფორმაა, რომელიც უნდა დაინაყოს, ასევე უნდა გაიცრას და შემდეგ თაფლთან ერთად აიზილოს და ჰიქის ჰურჰელში უნდა მოთავსდეს და ოთხი-ოთხი დრამი თბილი წყლით უნდა მიეცეს ავადმყოფს. ხაზგასმულია აფთიმონის დამატებაც. რომელიც ამფიონი, ანუ ოპიუმი უნდა იყოს. ასეთია კლავდიუს გალენის იარაჯის მომზადების წესი და მიღება. იარაჯები ასევე მზადდებოდა მუცლის სამოქმედოდ, ანუ „გასახსნელი მუცლისანი“, რომელიც მოსქო კონსისტაციის მქონე წამლის ფორმა იყო, იარაჯებს ამზადებდნენ გარეგანი მოხმარების მიზნითაც, ძირითადად იარაჯს — წყლულის სამკურნალოდ. იარაჯებს ამზადებდნენ შემარცვლებულეზსაც. „იარაჯი დამარცვლული წლამდის გაძლებსო“. და „თაფლითა შეზელილი მაჯუნის ოდენსა გაძლებს“. შესძლებისდაგვარად გაირკვა იარაჯების მომზადების წესები. რაღა მაჯუნი?

„უხწორო კარაბადინის“ 78-ე გვერდზე მითითებულია, რომ მაჯუნი კენკოვანი დაავადების სამკურნალო რთული წამლის ფორმაა. მაჯუნი „დაფშნის ქუასა, რომელიც იყოს ყრმათა და მამათასა“. მისი მომზადების წესი ასეთია:

„აილე: აფიონი და აფთიმონი და თახუის ყუერი, სუმბული ტიბი და კილაპონი სინი, ზანჯაბილი სინი, დარიფილფილი, ზაფრანა ამის ყუელასაგან წონა დრამისა ოთხოთხისა და ლემის თესლი წონა დრამისა ოთხისა და ავარპა წონა დრამისა ორისა და ნახევარისა და ღუნალ ბალასანი ხალისი გამოცდილი წონა დრამისა ოცდაათისა, დანაყენ ეს წამალნი ცალკე-ცალკე გაცერ მტკიცისა საცერითა და ღუნალ ბალახანი თანა შერივით, რაზომნი წამალნი იყუნენ. სამი ნაწილი თაფლი პერულ მოხდილი იყოს და მითა შეზილონ და ვერცხლის ჭურჭელსა ჩადვას და იხმაროს შემდგომად ექუსის თვისა შესმა სრული მამათათვის, რომელსა ბუშტში იყოს ქვა, წონი ორი დანგისა, ხუთის დრამის წონითა ბროწეულის წყლითა. ყრმათა მცირეთა წონა დანგისა ერთისა ღვინით გაზავებულითა, იქმოდეს ამას ვიდრე დაიფშუნას ქვა და ფსელსა გამოჰყუეს თანა, სარგებლიანი და საკურველია ნებითა ღვინისათა“, მაშასადამე. კენკოვანი და ავადების დროს მაჯუნის მომზადება ხდება 14 კომპონენტისაგან, მათ შორის ორგანოთერაპიული კომპონენტი თახვის ყუერი და 13 დასახელების სამკურნალო მცენარის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება ემატება: ლემის თესლი და ბალისანის ზეთი ერევა ურთიერთს. დანაყვისა და გაცრის შემდეგ მზადდება თაფლზე და ემატება ბროწეულის წყალ-ღვინო, რომლებიც ვერცხლის ჭურჭელში ინახება. მაშასადამე, როგორც წესი იარაჯი და მაჯუნი მზადდება ცივი წესით. მოცემულია მაჯუნის მომზადების სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც დაავადებათა მკურნალობის შესაბამისად, სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება. ასე მაგალითად, 79-ე გვერდზე მოცემულია „მაჯუნი აფლონია ირუში“.

„ესე მაჯუნი არის სურდოსა, უშველის თავისასა და ყოველსა სატკივარსა უშველის ნებითა ღთისათა. და რაც ფერი ყოლინჯი არის უშველის და პირდაღმა რომ სისხლსა ამოიღებდეს მას უშველის, და სისხლსა რომ იყუანდეს მასაც უშველის და შეჰკრავს, და დედაკაცსა რომე მეტად წესი დაემართების მასაც უშველის, ნამყენად რომ ბევრის ჰამისაგან, იყუანდეს მასაც უშველის, ბუასილისა ქარსა უშველის, ხელი რომ უთრთოდეს უშველის და სარასმა უშველის რომელ არს თავქედი და ტყიარის ქარისა და ღვიძლი რომე სიგრილისაგან სტიკოდეს მასაც უშველის და კიპზედა რომ სჩხვერდეს მასაც უშველის და სიგრილითა რომე ფსელს უჰკრევდეს მასაც უშველის, მრტილსა რომე ყუერი გაუსივდეს და თიქარს უშველის. წამლები მისი: ბასრულბანჯი რომელი არს ლენცოფისა თესლი და თეთრი პილპილი თვითოსაგან ოცოცი მუტყალი. აფიონი ათი მუტყალი, ზაფრანი ხუთი მუტყალი, ნიახურის თესლი სამი მუტყალი, სადაჯი ინდი, აბაბლისანი, აყირყარა თვითოსაგან თვითო მუტყალი. ფარფონი ერთი მუტყალი. ეს წამლები ყუელა დანაყე და ცალკეცალკე გაცერ თაფლი მოადლეთ, ამ წამლებისა სამი წონა, პერული მოჰხადე, გაანდლეთ და გაურივით ესე წამლები და დაზილე და ექუსსა თვისა ქერშიგან ჩადგით და მერმე ჰამოს მისგან დიდმან კაცმან ერთი მუტყალი და ცოტამან ნახევარ მუტყალი და მისგან უმცროსმან ერთი დანგი და მარტილმან ნახევარ დანგი. ყოლინჯისათვის კამის თესლი მოადლეთ და მითა შეასვი, და ტყიარისათვის სიქანგუბინითა და ღვიძლისათვის ანისუნითა თირკმლის ტკივილისათვის და ბუშტის ტკივილისა-

თვის კამის თესლითა და პირდაღმან სისხლის ამოღებისათვის თუთუბითა შესვით“.

როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ირკვევა, ასეთი მაჭუნი გამოიყენებოდა სურდოს სამკურნალოდ „თავის და ყოველსა სატიკვარს უშველისო“, „დედაკაცსა რომე მეტად წესი დაემართების მასაც უშველის“, სიმსუქნესაც და ბუასილსაც შველის, ღვიძლის ფუნქციის გაძლიერებას ეხმარება. მაჭუნი მითითებულია შარდის გაძლიერებით გამოყოფის მიზნითაც. „თიპკრისა და ყუერის ტკივილის დროს“ მაჭუნი ეფექტური სამკურნალო საშუალება ყოფილა.

საინტერესოა კლავდიუს გალენის მიერ შეზავებული მაჭუნი, რომელიც ეფექტური ყოფილა შარდის შეკავებისას, ღვიძლის და ელენთის დაავადებისას უ. კ.¹ 81-ე გვერდზე ქვესათაურში: „ნიშანი მაჭუნისა გალიანოზისა“ გკითხულობთ: „ილაოიასა, არგებს სიგრილესა თირკმელთა ბუშტისასა და ვის ფსელი წვეთ-წვეთადი მოსდიოდეს მას არგებს და გახუამს ნესუტთა და ყოვლისა ღვიძლისასა და დააცხრობს სიმსივნესა და ვის სკირდეს უფსმელობა მასაც უშველის. აიღე: პილპილი თერთი და პილპილი შავი და ჰამამ, და ქუშტი და სუმბული ტიბი და ძირის ლერწამი, სადაჯი ძინდი და ზაფრანი და ნიახურის თესლი და ანისუნი და აყარყარა და ჰინჭრის თესლი და ტეგნის თესლი ამისი ჭოვლისაგნით სწორი წონა დანაყე ეს წამალნი და პერულ (მოხდილითა) თაფლითა შეზილე და ჰურქელსა ჩაზდევე, როდეს გინდოდეს იხმარე. შესმა მისგან, ვის თირკმელთა რაც სკირდეს, მუტყალი ნიახურის წყლით. ვის გამოუეიდოდეს ფსელი უნებურად აფრასიზონის წყლითა ნაგბოლითა ანუ კამის წყლითა, რომელსა დეეყენებოდის ფსელი ქურქუჰობისა თესლისა წყლითა თბილითა, სასარგებლო არის ეს წამალი ნებითა ღთისათა“. როგორც აქ მოყვანილი ტექსტიდან ირკვევა მაჭუნების მომზადება ხდებოდა მექანიკური დაქუცმაცებისა და გაცრის შემდეგ თაფლში არევიით. მაჭუნების მომზადებისას მოხარშვა და გაცხელება სამკურნალო მცენარეების ფოთლების, ყვავილების, ნაყოფების, ქერქის ან ფესვებისა საერთოდ არ ხდებოდა. ასე მაგალითად „მაჭუნი ხოსრო მეფისა“:

„ნიშანი მაჭუნისა ერგების ტკივილსა ღვიძლისასა და იქმს საქმესა საყურველსა, და არს ესე საცნაური მაჭუნი ხოსრო მეფისა თუ ღმერთსა უნდეს: აიღე, სუმბული ტიბი და სადაჯი ჰინდი, რევანდისნი, ჯუნტიანა, ბერძნული დარუ ფილფილი, ამათგანი სწორი წონა დანაყენ ეს წამალნი, გაცერ, შაქრითა და პერულ მოხდილის თაფლითა შეზილენ და ჰურქელსა ჩადევე და როდეს გინდოდეს იხმარე შესუმა სრული მიტყალისა წონა კამის წყლით ან ნიახურის წყლით, ერგების ნებითა ღთისათა“. ასევე „უსწორო კარაბადინის“ 86-ე გვერდზე მოცემულია „მაჭუნი ფალასობა“, ანუ „სიცოცხლის მაჭუნი ქართულად“, ტექსტი ვკითხულობთ: „ამა მაჭუნსა ქართულად ჰქვიან სიცოცხლის მაჭუნი. კაცსა სიკუდილამდისნი მართლად ამყოფებს. რაცა ბალღამის სენი არის ყველას უშველის და საკმელს მონადომებს და აზიმას ძალს მისცემს (აზიმა) მისა ჰქვიან რომე საკმელს აქარებებს, ბაყლიანთა ამოაღებინებს, სლოკინსა დააწყნა-

¹ უ. კ. ჰანანელის „უსწორო კარაბადინი“.

რებს. კეთა გონებას ძალზედა მოიყუანს. თუ კაცსა შეუკავდა და ფსელი გას-
ლიოდეს მას უშველის, და მამაცობასა მოუმატებს, კბილები რომ ეძროდეს მას
დაამაგრებს, წელის ტკივილსა უშველის და გაუმაგრებს, სახსართა ტკივილსაც
უშველის, ამისი წამლები პილპილი და დარი ფილფილი, ზანჯაფილი, დარიჩი-
ნი, ამილა, ბალილა, ჰეიტრა, ზარაფანდი მეგრული, ბაბუნჯისა ძირი, მალზი,
ჯალღოზა, ინდოური ნიგუზის გული, ხასიათი ხალიბ, ამათგანი თვითოსაგან
თვითო უკია, ასრე ქნას რომე ჩამიჩისა გურკა გააგდონ და ხორცი დააღბონ
და ეს წამლები დანაყონ და გაცრან და ამა წვენითა დააღბონ და მათი ყუელას
წონა თაფლი მოხდილი გაურვიეთ, და ამისი ჭამა ორი დრამი უნდა“. ძველ
ქართულ კარაბადინებში მოცემულია რთული წამლის ფორმა — მაჯუნის სა-
ხესხვაობა ე. წ. „გუარიშნი“, რომელიც სამკურნალო მცენარეებისაგან განსხვა-
ვებით ფურის ერბოსთან ერთად ისმევა, „ნიშანი გუარიშნისა იტრიფილისა უფ-
როსისა“. ერგების ტკივილსა თირკმელთა და ბუშტისასა და გაუხურვებს ტან-
სა. დააშვენებს ფერსა და გაასწორებს შეზავებულობასა კაცისასა და შემატე-
ბასა ზურგისა წყალისა და მონდომებასა საჭამადისა და გაწმენდს სტომაქსა,
გაიღებს ქარსა და გააქარებებს თონმასა და უუამოდ თმისა და წვერის თათრად
არ გამოშვენასა. და უთქუამთ ძველთა მკურნალთა, ვითა რადვიან იხმაროს
იტრიფილი უფროსი ზამთარსა და იტრიფილი უმცროსი ზაფხულსა. და ამა-
ზედა აბანოს შევიდოდეს. სიქანგუბინსა სმიდეს რა მოსწყურდეს, რომე არა
მოემატოს სხვა გუნება გუნებასა ზედა და ურვიელ იქმნას ყოვლისა საღმობი-
საგან, გაუგრძელდების მზე სიმთელესა ზედა დარჩების მშვიდობით ვიერე სი-
კუდილამდე წამალი ესე არს აიღე: პალილა ქებული და შავი კეკელა მსუქანი
და ამლაჩი გურკისაგან გამოწმენდილი, ბალილაჩი გაწმენდილი და ქერქი ამ-
ლაჯისა და პილპილი შავი ამათგანი წონა ოცდაათისა დრამისა, დარიფილფილი
წონა დრამისა ოცდახუთისა, ზანჯაფილი და ბოგზიდანი და ბასბასა და შეი-
თარაჯი ჰიდი და სენიტრის ძირი რომელ არს აშყუაული, რომელი დიაცა გაა-
სუქებს და წამალი არის რომელთა სანთა საფირ ჰქვიან. (აიღე) ალარდენი მკა-
ვისა ბროწეულისა და ქუნჯითი გაქუცვნილი ესე ყუელა დრამისა ორმოც ორ-
მოცისა, ბამანი თეთრი და ბამანი წითელი ესე წონა დრამისა ხუთ ხუთისა, შე-
იკრიბენ ეს წამლები, დანაყე გაცერ და ფურთა შესვარენ ანუ ნუშისა ზეთითა
და პერულ მოხდილითა თაფლითა შეზილეთ და ქურქელსა შიგან ჩადევ და
როდესაც გინდოდეს იხმარეთ შესმა მისგან წონა დრამისა ორისა სამსა დრა-
მამდისინ ნელთბილითა წყლითა, სარგებელი არის ამის ყოვლისათვის რომე
გვიხსენებია, (ნებითა) „თისათა“. უსწორო კარაბადინში“ მოცემულია ქვეთავი,
სადაც გაერთიანებულია: კარი მაჯუნებისა და იარაჯებისა, მაშასადამე, შუა
საუკუნეებში კარგად სცოდნიათ სინერგიზმის მეთოდით მკურნალობა.

უ. კ. 93-ე „კარი მაჯუნებისა თარგმანთა და იარჯთა“. „ჯერარს რომე დანა-
ყეთ წამალნი მათნი. ხმელნი, ყოველნი ცალკე ცალკე და გაცერ შარითა ან საც-
რითა მტკიცითა, შარის მსგავსითა და წამალნი რომელნი არიან გაურვიენ გო-
მიზთანი ვითა მური და საქბინჯი, ჯავშირი, ვაშაყი და გუნდრუკი და აფიონი
გამოწურულნი ყოველნი ვითა ლაფითის გამოწურვილი ან აფსინდისა და სხვა-

ნი მსგავსნი მისნი ჭერარს რათა აიხუნენ წამალთა წინას, დანაყე მოხომე. ლი-
ლად და კიქისა კურკელსა ანუ ქუზასა და დაასხა ზედა ღვინო ძველი ასრე
რომე ზედა მოადგეს, მერმე დანაყენით წამალნი და როდეს შეზელის ქამსა
იყოს, იგი ღვინითა დამბალნი წამალნი თაფლშიგა ჩაასხენ რომელი ჭერ იყუ-
ნენ გასადგენელად და დასალბობელად. შემდგომად პერულისა მოხდისა და
ცეცხლთაგან უკმოდებისა და მოურივეთ რომე ერთად შეერივნენ, მერმე შე-
რივენ სხვანი წამალნი თაფლითა და ზაფრანი და მუშკი და მზავისი ამათი ჩა-
ურთენ თაფლსა, წამალთა ყოველთა ჩართვისასა უკანის, შემდგომად წყლითა
განდგენისა“. ძველ ქართულ კარაბადინებში გათვალისწინებულია ავადმყოფთა
ფსიქოლოგია მკურნალობის დროს. უ-კ-ის 145-ე გვერდზე ვკითხულობთ:
„სნეულსა ასეთსა ნურას უამბობ რომე სძულდეს; და თუ სნეულსა ძალი სუს-
ტი იყოს, ასეთი საკმელი შეუწყვიეთ და წამალი, რომე ძალი მისცეს და აქიმი
მეცნიერი უნდა იყოს და შემტყუეთ“... თუ იარაჯი, მაჯუნი და სიქანგუბანი ყვე-
ლა შექანიკურ დამუშავებას: გაცრას და თაფლში არევას ექვემდებარება, სულ
სხვაგვარად გამოიყენება მათბუხის მომზადების წესი. უ. კ. 56-ე გვერდზე მო-
ცემულია ქვესათაური „ივ. „კარი მათბუხისა“ სადაც ვკითხულობთ: „მათბუხი
ბუზურგ არგებს: საფრას, სევდას და ბაღდაშსა. ავსა და მრავალსა სისხლსა
ტანისასა. ავსა, ტანშიგა რომე სატკივარი იყოს და ღვიძლზედა რაც გამოეხსას
და ტყირაშიგან რაცა სენი იყოს გამოსწმენდს, და სტომაქსა ძალსა მისცემს. და
გულსა დასწმენდს და ავი წყალი რაც იყოს შიგნით, გაიღებს, და კაცი რომე
მწოდე ქშინედექს უშველის და გულის ძგერას არგებს. დაიჭირე: ალილა ყვი-
თელი და ალილა ქაბული, ბალილა და ამულა ამათგანი შვიდ შვიდი დრამი.
ტყავ გამჭურალი ალილა შაქი, ბასვინჯა აფთიმონი და ანისონი და შასთარა
ამათგანი თვითოსაგან ხუთ ხუთი დრამი, სინამაქი ამისგან რვა დრამი ხვარას-
ნული ჩამიჩი თხუთმეტი დრამი და ყვითელი ლეღვი ათი მარცვალი და სინჯითი
ოცდაათი მარცვალი და სიფსიტონი ათი დრამი. ია და ვარდი და ასლისუსი
ამათგანი თვითოსაგან ხუთ ხუთი დრამი და ლისონლამანი, მრავალ ძარღუას
თესლსა ჰქვიან, ლაბლაბო, ამა თვითოსაგან ოთხოთი დრამი, თურბუთი, გულ-
ნარამა თვითოსაგან სამსამი დრამი. მეექვსე წამლები სამის ლიტრის წყლით
აადღულე ასრე რომე სამოცი დრამი დარჩეს. მაშინ თაფლი, თაბრინდი, ხიარ-
შამბარი ამათგანი ათათი დრამი, ეს სამივე თბილის წყლითა დამბალი გამოწუ-
რეთ და წყალი ამა ნადუღებსა წამლებშიგან გაურვიეთ და ღარიყონი მასტა-
ქი და ინდოური მარილი ამა თვითოსაგან ნახევარ ნახევარი მუტყალი, და სა-
ყამუნია დანგ ნახევარი დანაყეთ გაცერით და ერთმანეთსა შიგან გაურვიეთ,
და თბილის წყლით შეასვით.

წინათ სამსა დღესა ფარეზი უნდა იყოს ამა წესითა, ფარეზი, რომე პურსა
ნურცა სჭამს და საღამ საღამოს თვითონ ჯამს მსუქანსა ხარშოსა სჭამდეს და
ორთლ სამს წყალღვინოს შესევმდეს. და წყალი რასთონიცა უნდოდეს სვას და
რაყამცა წამალი შესვას ორნივე მკლავნი შეუქრას როგორაცა ქვეშეთ საქმობა
დაუწყოს მაშინ მკლავნი გაუხსენით. და რაყამ წამალი დაღმა გამოვიდეს, ბა-
ზარყატუნი თბილის წყლითა დაალბეთ და შიგან შაქარი გაურვიეთ და გამო-

წურეთ და შეასვით და ზირაქირსნითა ვარია შეუქენით და იგი აკამეთ. იმა დღესა ლეინოსა ნუ სვამს, წყალი სვას.

და ვინ იცის კაცი გუნება გრილი იყოს, მაშინ სპანძლისა თესლი შეასვას ბაზაყატუნისა ალაგსა. და მსუქნისა ცხურისა ხორცსა, დედლისა ქათმის ხორცსა აკმევდით.

და თუ გაზაფხული იყოს, მზის ამოსულისა ყამსა ასვით ესე მათბუხი. და თუ ზაფხული იყოს ცისკრისაგან უწინ ასვით. და თუ შემოდგომანი იყუნენ, მზე რომ კარგად ამოვიდეს მაშინ ასვით. და თუ ზამთარი იყოს ერთი ყამი რომ გამოვიდეს მაშინ ასვით, ეს მათბუხი. და მარიამობის თვეს არ ესმის და კვირიკობისა თვესა ოციოთგან ვიდრე მარიამობის თვეს გარდამავლამდის წამალი არ ესმის. აგრეთვე ქრისტიანობის თვესა ათიდგან ვიდრე თებერვალსა ათამდის არ ესმის. სასმელი უნდა შეასოთ, და რაყამს ააღებინო კაცსა გვიან დაუწყოს საქმობა. წამალი ესე ქენით. აიღე: ანისული და წყლით მოადღულე და იმ წყალშიგან ზირი შამბრისას გული და თარან გუბინის ხუთ ხუთი დრამი გალესე და გაწურე და ცხეცხელი შეასვი და ორნივე ბარკალი, ხათმი დანაყე და თბილი თბილითა წყლითა მოადღულე, იმით დაბანე, და მუცელი და გულის პირი რბილის საზელით დაუზილე.

და თუ არა გახსნას მერმე კოლინჯისათვის გასახსნელი შიფები რომ სწერია ის ააღებინე. რბილი საზელი ეს არის: ბატის ქონი, ქათმის ქონი, ნუშის ზეთითა და ანუ შირბახტის ზეთითა დაადნევ და იმით დაუზილე.

თუ წამლობა ერთობ ძალი უყოს და მწოვედ გახსნას, ასე რომე ერთობ შეაწუხოს კაცი. მისი ესე ქენით ანაზდა რომე ფერხები ცივის წყლითა დაბანე. თუ არა უშველოს რა კიპს ქვევით დაბანე ცივის წყლითა და მერმე ბაზარ ყატუნა მოხალე — ანუ სიქანგუბინითა ან ბიის შარბათითა გაურვიე და აკამე. და თუ იმით არ შეკრას კვერცხის ყვითელი გული ძრმით მოადღულე რომე კარგა მოიხარშოს და პურით ის აკამეთ, ძალს მისცემს და კიდევ შეკრავს. და თუ არ შეიკრას შემიფარელი ყურსი მიეც. და თუ იმან არ უშველოს ერთი მუტყალი გილერმანი ბიის შარბითა შეასვი. და თუ ის რომ იყუანდეს ასეთი იყოს, რომე ბალდამსა გვანდეს, სონიჯი მოხალე და სიქანგუბინითა შეასვი და ცოტა დანაყილი ზინლიჯანიც გაურვიე ერთსა დღესა ორჯერ წამალი არას ღონით არ აედების და არცა მიეცემის, საფათერაყო არის იცოდე.

მერმე ესეცა იცოდით რომე, ნამეტნავად მუცლის გახსნა ფათერაკი არის წელწულსა დახვეწის და გაათხელებს და დაადნობს, თუ გაიხურებების წელი კაცი აღარ დაჩჩების და თუ არ გაიხვრიტების ძალი დააკლდების და თვალსა დაუბნელებს. სიარულსა დააკლებს. ამისთვის თქვეს ინდოელთა აქიმთა ვითა კაცსა შენობა, სიმტკიცე და სიმაგრე მუცელი არის და წელწული ესე ყუელა მუცლად ავის კაცისთვის არის დაწერილი იცოდეთ.

ქაფია მათბუხი ზაფრასა გაიღებს და გაარღვევს და გასწმენდს და ცხელსა ხურვებისათვის კარგი არის და მისი წამლები: სინამაქი შვიდი დრამი და ია ხუთი დრამი გინა ხმელი იყოს, გინა ნედლი, ინდაიბის თესლი და ლილიფარი თვითოსაგან სამსამი დრამი, უნაბი, ხმელი სიფისტანი, შავი გავალო თვითოსა-

გან ოცოცი მარცვალი, თიმრინდი ინდოური ტყემალი არის, ათი ღრამი, უკურ-კო, და წითელის ვარდის ფურცელი ოთხი ღრამი და ის წამლები მანამდის ადუ-ღე, სინამდის მესამედი დარჩეს და უკუ მოდგით ცეცხლთაგან ბატა დატყლიყე და გაწურე და მოიღე ხიარი შამბარი თხუთმეტი ღრამი და იმა წამლებისა წვეწვიგან ქათმის ჩინჩახუთ დატყლიყეთ მანამდის, სადამდის წვეწვი გამოვი-ლოდეს, თარამგუბინი იმავე წვენსა შიგან თხუთმეტი ღრამი, ქათნითა, მოური-ვე, ამავე წვენსა შიგან გამოწურეთ და მერმე ვისცა უნდოდეს ისი მათბუხი, ორსა დღესა იფარეზოს, და მესამესა დღესა ასეთ.

ესე მათბუხი მჯღომისათვის კარგია და ცხელბა ხურვებისათვის კარგია. მისი წამლები სინამაქი ხუთი ღრამი, ბანავსაქი ხუთი ღრამი, ლელოფარის ფურცელი ოთხი ღრამი, უნაბი ოცი მარცვალი, ინდაიბისა თესლი სამი ღრა-მი, ხაგაზის თესლი სამი ღრამი, ისი წამლები სამი მუტყალთა წყლითა ადუ-ღეთ მანამდისინ, სანამდის მუტყალად მოიყაროს და მერმე შირინიშტი თხუთ-მეტი ღრამი, თარანგუბინი თხუთმეტი ღრამი ამა წვეწვიგან მანდლითა გაწუ-რეთ და დაატყლიყეთ და შეასვით ერთი სასმელი.

მათბუხი მუფდი არგებს ფერად ფერადსა ქარსა მხურვალსაცა, და გრილ-საცა, სახსარი რომე სტკიოდეს მასცა არგებს და ქშინვასაც უშველის და ბო-ყინსა დააწყებინებს. თირკმელი რომ სტკიოდეს მას უშველის და ბოვასირსა უშველის და ზაფრას დააწყენარებს. ამისი წამლები, აიღე: ყუითელი ალილა, ქა-ბული ალილა ბალილა, ამულა თვითოსაგან ნახევარ უკია, გულგამოდებული, თხუთმეტი მისხალი აფსინთა, ბაზარყატუნისა ფურცელი, ძირტკილა, ბასვაჯი, შასთარა, ანისონი, აფთიმონი, სურინჯანი, თვითოსაგან ოთხ-ოთხი ღრამი, შა-ყაყული, ჩამიჩი, ია, ვარდი თვითოსაგან შვიდ შვიდი ღრამი, შავი ჩამიჩი ათი ღრამი, ხმელი ლელვი ათი მარცვალი, სინჯითი ოცდაათი მარცვალი, ინჯასი ოცი მარცვალი. ეს წამლები რაც გვითქვამს ერთბირად ორს ლიტრას წყალში დაალ-ბოს ერთსა ღამესა და დილას და ადუღეთ ეს წამლები და ეს წყალი მანამდი, სანამდის ორი ლიტრა წყალი სამოცს ღრამად მოიყარებოდეს, მასუკანითა შვი-ლი ღრამი სირხიშტი და შვიდი ღრამი თარანგუბინი ეს ორივე ცოტად თბილის წყლით დაალბონ და გაწურონ, იმა სამოცისა ღრამის წყლისაგან გაურიონ, მა-შინ ლარიყონი თეთრი, თურბუთი, ინდოური მარილი, და თუ არ იშოვებოდეს მისად ნაცულად აქაური მარილი ქნას თვითოსაგან ნახევარ ღრამი, დანგ ნახე-ვარი საყმუნია, დანგ ნახევარი მასტაქი ეს წამლები დანაყეთ და ამ სამოცსა ღრამს წყალში გაურივეთ, ცოტად ნელთბილი ვისაც უნდოდეს შესვას და ორივე მკლავი შეუქარ და მერმე კიდევ გაუხსენ, მკლავის შექურა ეს არის რომე გული უფრო არ აეშვების.

მათბუხი ბანავშ. კაცსა რომე გვერდი სტკიოდეს არგებს, და ხუელასაც არგებს და ყელსა რომ მოუქიროს რამე მასაც არგებს. დაიჭირე: ია, ხმელი სიფისტონი თვითოსაგან თვითო ღრამი და ხვარასანი ჩამიჩი თხუთმეტი ღრა-მი, ასლისუხი ხუთი ღრამი ქუნჯითისა თესლი ოცდაათი მარცვალი, ანისუნი, ზულფა თვითოსაგან ხუთი ღრამი, ხათმი, ხუბაზ, ფარისიაოშან თვითოსაგან ხუთი ღრამი ეს წამლები ორსა ლიტრა წყალშიგან ჩაყარე და ერთს ღამესა

დაალბე და მერმე აღულე ვირემ სამოცს დრამზედა მოიყაროს და თხუთმეტი დრამი თაფლი და თხუთმეტი დრამი ხიარ შამბარი ამა ნედლეგბსა წამლებში- გან გაუირივე, დაწმინდონ და გაწურონ და ერთი მუტყალი იარაჯფეყრა, დანგ ნახევარი საყმენია დაზელილი შიგ გაუირივე და შეასვი. თუ იარაჯფეყრა არ იყოს ყარიყონი, თურბითი, ალიჭირუმი, ხურმისა თესლი, ყაისი, ეს ყუელა კოკობში ჩაყარე წყლითა აავსე და ცომითა ასე მოუგლისე პირი და მოადულე, ასრე რომე მესამედი დარჩეს და იმა წამლისაგან თვითოს თასსა გამოსწურვდეთ და თარანგუბინითა გალესე და სამსა დღესა შეასმევდეთ.

მულლაბი მათბუხი მუფდისა: რევანდი და სინამაქი ერთი პეშვი, თუხმაქანი ერთი პეშვი, ტუხტისა თესლი და მისი ყვავილი, ბაბუნაჯი, ჰულაბი, სტაფილოს თესლი, თურბული, ნახევარ დანაყილი დარიყონი, ნახევარ დანაყილი ბალილა კურკა გამოღებული, ნახევარ დანაყილი თარანგუბინი, შირიხიშტი, შავი გავალო, თაბრიხილი, უნბა ეს ყუელა დაიჭირე იმავე წესითა, კიკობშიგან ჩაყარე წყლითა აავსე, თავს ჯამი დახურე და ცომით მოუგლისე და აღულე ვირემ მესამედად ჩაიყრებოდეს და იმავე წესით ასმევდეთ...

იზ. მათბუხნი რომელნი არა გასახსნელნი არიან. უწინათი ნიშანი ზოვაფასი და ტაბიხისა ერგების ყოველთა მკრდოვანთა და ყოველსა ძველსა და ახალსა ტკივილსა, ფირტუვსა და ხუელასა და ვის ხივილი იყოს ფიცხელი და რომელი სიტყვასა ვერა აწევდეს. და ვერცა დიიძინებდეს, სიფიცხითა ტკივილისათა და შეჭირვებისათა ნებითა ღვთისათა. აიღე: კამის ძირი და ნიახურის ძირი და ძირთაფლისა ძირი, გაქუტურცნილი ამათგანი წონით ოცოცი დრამისა და შარალჯაბბარი წონით ათისა დრამისა და ხატმისა თესლი და ბაბუყელას თესლი ამათგანი წონით რვა რვას დრამისა და კამის თესლი და ანისონი ამათგანი წონა ოთხთხი დრამისა და ფუკა, ალაღხირი და სალიხა ამათგანი წონა ოროლი დრამისა, გომიზი არაბი და ქათირა წონა ხუთხუთის დრამისა და ია ხმელი ორი დრამისა და გომიზი ნუშის, წონა სამსამისა დრამისა და ზოვაფა ახალი ხმელი წონა ათის დრამისა და შუქა და ბადვარდი ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა, სიბისთანა წონა ოცის დრამისა და ზიბბი ჰაქისაგან გამორჩეული წონა ორმოცის დრამისა, შეჭკრიბენ ეს წამლები და ქვისა ქოთანსა შიგან ჩაასხი და ან თანგირითა და ზედ ათი ლიტრა წყალი დაასხი, დაგბოთ ვიჩემ დარჩეს მისგან სამი ლიტრა და დასწურო და აიღებდე მისგან ყოველთა დილათა ბაღდადურისა ლიტრისა ნახევარსა და ზედა სამის დრამის წონასა ნუშის ზეთსა ჩაასხმედი და შესევმდეთ დილეულად დაერგების თუ ღრთსა უნდეს.

სხვა მათბუხი ერგების ტკივილსა ღვიძლისასა, ხუელასა და ნაზლასა რომელი შეექნების მკერდსა შინა, თავისა სურდოსაგან და ესე სარგებლისა არის ყოველთა გულთა მხურვლთათუის და ცხროთა დამწვართა, რომელი შეხვდების ჰაბუკთა და ვინ კუნესოდეს, ტკივილისა მარჯვენითა კერძისასა სიმხურვალისა გზითა და ყოვლისა შეეშალოს ტანი დედათაგანსა და კუნესოდეს შეიწრებასა მკერდისასა და გააქარვებს ხუელასა ძველსა ნებითა ღრთისათა აიღე: ნიახურისა თესლი და კამის თესლი და ძირთაფლის ძირი. გაქუტურცნილი კამის ძირი, ნიახურის ძირი და შალარჯაბბარი ამათგანი წონა არის დრამისა და ზოვაფა ხმე-

ლი წონა ხუთის დრამისა და ნესვის თესლი და ნიახურის თესლი ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა და ლაქი ბუზური რომელი არის საღებავი ამათგანი წონა ორის დრამისა და ფუკა ალაღირი წონა სამის დრამისა და კიტრის თესლი და ხატმის თესლი, ამათგანი წონა ოთხოთხისა დრამისა და სიბისთანა და ქლიავი გაქუცილი და ზიბიძი ჰაკისაგან გამორჩეული ამათგანი წონა ოთხოთხის დრამისა შეკრიბენ ეს წამლები და ქვისა ქოთანში ჩაასხენ ან თანგირითა წმინდათა და ზედან დაასხით ბალდადურისა რვა ლიტრა წყალი დაგბო ვირემ ორი ნაწილი წავიდეს და მესამედი დარჩეს, მერმე გაწურეთ და კურკელსა შიგან ჩაასხით და აიღე მისი წყლისაგან ყოველთა დღეთა ბალდადურისა ლიტრის ნახევარი და ჩაურთევით შიგ ნუშის ზეთსა, ფუსტუყისასა ერთად შერეულსა სუთის დრამისა წონასა და შესვას დილა საღამოს ერგების, როდეს სხვას შეიძლება დღეს ან თხუთმეტსა, კარგია, გამოცდილი ნებითა ღთისათა.

მათუხი რომელი არიან შესარგებლნი. ჯერ არს რათა გასწმინდეთ წამალნი მიწისა და ნაცრისა და ლერისა მათისაგან და სხვა რაცა იყოს მას შიგან და შეაგბოლეთ ქვისა ქოთანსა შიგან, თიხისასა და უმჯობეს არს რათა არა ეწიოს გესლი და შეუგზნა ქვეშე ცეცხლი და გაწვისა შემდგომად ჩაყარე ესე წამალნი შეკაზმულნი მისთვის შეასვით ნელთბილი.

მათუხნი არა გასახსნელნი რომელნი ერგებიან ხუელსა და ტკვილთა მკერდისათა. გასწმინდე წამალნი ვითა ნიშანი მიგვიცემა და შეაგბე კარგად და თუ იყოს შესუმა ზაფხულის, შეაგბო, რაზომიც გეყოფოდეს დღისა და ღამისა, რათა არა დამეავდეს და გაირყუნას. თუ იყოს შესმა მისი ზამთრის, სიცივე არის, არ ვარგა სმა, მისთვის რომე სიცივე გარყუნის“. ასეთია მათუხების მომზადების საერთო წესი.

ძველ ქართულ კარაბადინებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ მაგარ წამლის ფორმას, როგორც არის აბი, piluli უ. კ. 65-ე გვერდზე მოცემულია „კარი აბისა რომელ არს მარცულები (აბისა), ნიშანი მარცულისა რომელსა ჰქვია აბი და ერგების ყოველსა ტკვილსა სტომაქისასა და თავისასა და გასწმენდს ტანსა ყოვლისა დაკრებულობისაგან და სენისაგან და ერგების ჰაბუკთა და ბერთა, დაშვენების ყოველსა გუნებასა მხურვალსა და გრილსა, და იმისი აღება სარგებლიანია და კარგი ყოველთა ჟამთა. როდესაცა ვინ უნდოდეს დაშვენების უფრო ზაფრიანსა ბუნებისათა კაცთა და გამოსწმენდს თვალისა სიბნელესა და მოუმატებს სინათლესა, დაშვენების ბალდმიანთა კაცთა და ერგების იარაყანსა და ესე მოეხმარების ვრც ტანისა (სიმრთელე) უნდოდეს ღ'თსა უნდა აიღე იარაჯ ფეყრა წონა ხუთის დრამისა, ხალილაბი, კვერცხის გული და მარილი ნავთისა და აფთიმონი. აკარატი და თუთბუთი თეთრი, ფუკა, აღხირი და აფსინთისა გამოწურვილი, ზაფრანა და ღარიყონი და საყმუნია დანამასტაქი შემწვარი და ვარდი წითელი და ქათირა და მუყლი: ამათგანი წონა თვითო მიტყალი შეკრიბენ ესე წამლები დანაყე გაცერ შაქრითა და ძაღლის ყურძენას წყლითა შეზილეთ და მარცულად დაქენით და ჩრდილში გაახმეთ შესმა მისგან წონით ორის დრამისა და უმცრო და უფრო ნებითა ღ'თისათა“.

აბი, როგორც წამლის ფორმა მრავალკომპონენტური მაგარი და რთული

წამლის ფორმა ყოფილა, რომელშიც შედის სხვადასხვა მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები: კვერცხის გული და მარილი ნავთისა. დღევანდელობის თვალსაზრისით „ნავთის მარილი“ ძნელი დასადგენია რა არის, მაგრამ მთავარია, რომ აბებს ფართოდ იყენებდნენ სამკურნალო პრაქტიკაში.

როგორც ჩანს შუა საუკუნეებში არსებობდა ოკულოლოგიაში ფრიად მნიშვნელოვანი სამკურნალო აბი, რომელიც მხედველობის დაზიანების და თვალის დაავადების სამკურნალოდაც გამოიყენებოდა. „სხვა აბი თვალთათვის კარგია“. დიკირე: ორი დანგი საბრი, ორი დანგი შამიანდალი, ორი დანგი მაჰმუდა. ორი დანგი აფსინდის თესლი, ორი თანგი მისტაქი დანაყე, გაცერ და ნიახურას წყლით აბდ შექენ და შრდილში გაახმე და ჩაანთქმეინე ძალად, ასრე რომე კბილი არ დაადგას“.

როგორც კარაბადინის ფურცლებზე გამოქვეყნებული რეკომენდაციებიდან ირკვევა აბები მზადდებოდა: „აბი ფეხის ტკივილისა“, „აბი ხველევისა“, „აბი პირის სახის გამრუდებისა“ (სამწვერა ნერვის ანთებაზე უნდა იყოს ლაპარასადაც ვკითხულობთ: „ნიშანი კვერისა რომელსა ჰქვიან ავარსალ ქაქაბდან, კი. ს. ს.) „აბი ღვიძლის ტკივილისა და ბუასილისა“, „აბი ჰიპის ტკივილისა“, „აბი ფილენჯისა“ და სხვადასხვა აბები ფსიქონერგული დაავადებისა, რომელთა მომზადების ტექნოლოგიური პროცესები ერთმანეთის მსგავსია, კერძოდ, თითქმის ყველა ფარმაცოპეულ რეკომენდაციას ახლავს საერთო ფრაზა „დანაყე, გაცერი, შეზილე და აბი შექენ მიეცი ნახევარი მიტყალი, მიეცი ერთი მიტყალი“. ნიშანდობლივია, რომ აბების მიცემა მიტყლობით არის განსაზღვრული.

„უსწორო კარაბადინის“ ფურცლებზე ყურადღებას იქცევს წამალთ ფორმების მრავალფეროვნება.

„კარი მეთერთმეტე: წამლების აღებისა.

კარი მეათამეტე: წამლის აღებისა.

კარი მეათათომეტე: წურილის წამლებია.

კარი მეათხუთმეტე: იარაგების გასახსნელისა.

კარი მეოქვსმეტე: მათხუხისა ზაფრასა, სეფადა და ბალამს უშველის.

კარი მეჩვიდმეტე: ერგების ყოველთა ტკივილთა და საღმობათა და წამალი გვერდით უწერია სამკურნალო.

კარი მეცხრამეტე: თითით სალოკელი წამლები. გვერდით უწერია.

კარი მეოცე: ყურსებისა გარჩევით, წამლები თან უწერია.

კარი მეოცდართე: სიცხის ტლევებისა დაცილილი.

კარი მეოცდაროე: მაქუნითა გაკეთებისა, რომე კაცსა სიმართლესა მატებს. მაქუნებისა თარგმანთა და იარაგთა.

კარი მეოცდასამე: შარბათებისა რომელი არგებს ვარამსა.

კარი მეოცდაოთხე: სიქანგუბინისა და ღვიძლისათვის.

კარი მეოცდახუთე: ცხროთა წამალთა .შეტყობისა და ლოციისა“.

საგულსხმთა, რომ სტერილური, საინექციო ხსნარების გარდა — თითქმის ყველა წამალ ფორმების მომზადების რეკომენდაციებია მოცემული. ამ მხრივ საინტერესოა, რომ თანამედროვე წამალთ ტექნოლოგიის თვალსაზრისით „ტაბლეტის“ — მაგარი წამლის ფორმის შესაბამისი გახლავთ ყურსი, ანუ კვერი, თანამედროვე ვაგებობით ლათინური გამოთქმის „ტაბულეტის“ ქართული შესატყვი-

სი — კვერაცია, რომელსაც უძველესი ქართული სამედიცინო წერილობით წყაროს — ქანანელის „უნწორო კარაბადინის“ ფურცლებზე ყურსი ეწოდებოდა. ამავე წყაროს 70-ე გვერდზე მოცემულია ქვესათაური „კარი ყურსებობა“. სადაც ვკითხულობთ: „ნიშანი კვერისა რომელსა ჰქვიან აკარსალ ქაქებდან, არის ესე უმჯობისა. არგებს ყოველთა ტკივილთა მუცელთათა დახსნილობასა გარდამეტებულსა და გურემასა შემთხვეულსა. ერგების ტკივილთა ყურთასა, როდეს დაადგინო ამისგანი, კერატისა წონა ქაბრის წყლითა დააჩვილო და ჩაუშვა ყურსა შიგან დაუყუდებს ტკივილსა. და ერგების დედათა და რომელთა გამოუვიდოდეს სისხლი წიდოვნებისა დიადი, გადამეტებული. როდეს შესმიდენ ამისგანსა ყოველთა დღეთა კუერს მიყ რტის სასმლითა, და ხველისათვის შესევას იის სასმლითა და ხსნილობისათვის გარდამეტებულსა, კვერი ერთი ბაზარ-ლატუნისა ლაბითა შესევას, და ვინ სისხლსა დაჯდებოდეს ბიის წყლითა შესასვი ერთი კვერი, და ვის გველმან და ან ღრიანჯალმან უტეს ტევანისა წყლითა. და ახლად გახსნის მუცელსა როდეს სევას უკუდავის წყლითა რომელსა ჰქვიან ბაჟ-ლათთა ჰამაკან ანუ კასუმისა წყლითა. და ერგების ტკივილსა საშოთასა, თაფლ-წყლითა. და იმისათვის წოდებულ არს ამას და ესე სახელი რა ოდენ აჯობის და საღობასა არა იჯობინების თუ ღთსა უნდეს. აიღე: მური და მთახუის ყვე-რი და სუმბული ტიბი და თიხა ბერძნული, დაბეჭდული, და სალიხა და თივა ვაცისა ძირი, ამათგანი წონა ოთოთხისა ღრამისა და ზაფრანა და ქუშტი და აფი-ონი ამათგანი წონა ხუთხუთისა ღრამისა, ხაშხაშის თესლი წონა ექუს ექუსის ღრამისა, დოკო და ანისონი და ზოფა და ლემის თესლი და კუქუმბარა და ნიახურის თესლი ამათგანი წონა ღრამი რვა რვისა. შეკრიბენ ესე წამლები ხმელნი დანაყენ და გაცერ და წამალნი რბილნი ღვინითა განადგინე და მერმე შეერივენ ყოველნი და კვერად დაქენ, და წონა ყოვლისა კვერისა ნახევა მიტყა-ლისა იყოს და ჩრდილში გაახმე, შექმნა მისგან კვერი ერთი ნიახურის წყლითა ან სხუითა რომლითამე რომელ გვიხსენებია, თუ ღთსა უნდა არგებს“.

ყურსის, ანუ აკარსალის შექმნისას გამოჩნდა სრულიად ახალი კომპონენტი „თიხა ბერძნული“, რომელიც დამხმარე ნივთიერების როლს უნდა თამაშობდეს წამლის შემადგენლობაში. „თახუის ყუერი“ როგორც მოუცილებელი კომპო-ნენტი ყურსების შემადგენლობაში შედის. აქაც არის ნაკარნახევი გახმობა, დანაყვა, გაცერა და ყურსების შექმნისას ღვინო აუცილებელი კომპონენტი „და წამალნი რბილნი ღვინითა განადგინე და მერმე შეერივენ ყოველნი და კვე-რად დაქენ... და ჩრდილში გაახმე“. როგორც კვერაცები — აკარსალი ნიახუ-რის წყლით ისმეოდა. ყურსები მზადდებოდა: „მუშკისა“ კბილის ძირის და-სამაგრებლად, პირის ღრუს დაავადების სამკურნალოდ, „პირიდან რომე ავი სული ამოსდიოდეს იმასაც არგებსო“. „ყურსი მური არგებს დედაკაცისა წესი რომ შეკურით იყოს“. „ყურსი ქაფური არგებს თავის ტკივილს, სტომაქის სიმ-სივნეს, ცხელებასა და ღვიძლსა“. „ყურსი სუმბული არგებს გულის ძალი შე-კურით იყოსო“. შემდეგ დედანში ჩამოთვლილია: „ყურსი ბუზურგ“, „ყურსი თაბაშირი“, „ყურსი ქარვა“, „ყურსი ბანავაშა“, „ყურსი ქარბი“, „ყურსი რე-ვანდისა“, „ყურსი ლაქისა“, „ყურსი უფულ“, „ყურსი აფიონი“ და ყოველი

ყურის მომზადებისას ნახსენებია: დალობა, გაფუება, გომიზის გადნობა, „მაო შინა გომიზი“ იყენენ და ა. შ.

„უხწორო კარაბადინში“ მთელ რიგ სამკურნალო საშუალებათა შორის ნახსენებია „კარი ტლევებისა“. თანამედროვე გაგებით აშკარად კომპრესზე უნდა იყოს ლაბარაკი. მაშასადამე, ამ უძველეს კარაბადინში შემონახულია კომპრესის შესაბამისი ძველი ქართული სიტყვა „ტლე“. ქართულ მეტყველებაში დღესაც გაიგონებთ ასეთ გამოთქმას „ტლედ დაგედები“, „ტლედ დაგადნები მხოლოდ ეს საქმე მომიგვარე“. აშკარაა, რომ ამ სიტყვის ეტიმოლოგია მამებლობიდან, დაამებიდან მოდის. ამასვე გვიდასტურებს კარაბადინის 74-ე გვერდზე გამოთქმული წერილობითი თხრობა: „ტლე მხურვალი, არგებს კაცსა რომე ბაღმითა სავსე იყოს და ტანშიგან რომ მძიმეთ იყოს და ათრთოლებდეს და ცხვირსა რომ წყალი სდიოდეს ნიადაგ... ტლე მისი რომე კაცსა ხორცი რბილად სივლდეს და სისხა სჭირდეს, დაიჭირე: საბარი, მორისყუდ, აყაყია და შაფი მამისა ესე ჭუმლად დანაყე და კუერცხისა ცილაშიგან დაზილებთ და ვარდის ზეთითა და ვარდის წყლით და ძმრით, ნაცრით ყუელა ერთად აურივეთ და ტლედ ქენით და სადაც ტკიოდეს იქ დაადევიოთ“. ან კიდევ „ტლე ხატმისა“. „სიცხე რომე იყოს გულსა და ღვიძლსა ზედა კარგად არგებს და გული რომე ტკიოდეს და სიმხურვალისაგან გაურივეთ და ტირიფის ფურცელი დანაყეთ და ცოტა წყალი გაურივეთ და კაკის საკუნეტელი და ძაღლის ყურძენა დანაყე და გაურივე, სამოსელზედ შესცხე და გულზედ გარდააკარ“. ანდა კიდევ ტლეს შემოდების შესახებ ასეთი ტექსტია დაცული კარაბადინის 75-ე გვერდზე „ჩერარს რა დანაყენ და დასცრა და შეზილო წყლით თანგირათა შინა ცეცხლთა ზედა (შემოდგა) და შემდგომად მისი გაადნო ცვილი (თაფლის სანთელი, ს. ს.) ზეთისა თანა და ჩაურთნე, ვირე ცეცხლთა ზედა დგეს, და შემოსდვა ზედა“...

ეკვი არ არის, რომ „ტლევსა შიგან გახვევა“ კომპრესის დანიშნულებას ასრულებდა ძველ საქართველოში.

შარბათი ხშირად არის ნახსენები, როგორც უხწორო კარაბადინში, ასევე „წიგნი სააქიმოს“ ფურცლებზე და რაც მთავარია XV საუკუნის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ ფურცლებზე. შარბათები ნახსენებია XVI საუკუნის ხელნაწერშიც, დავით ლუარსაბის ძე ბატონიშვილის „იაღიგარ დაუდის“ ფურცლებზე. ძირითადად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებში შარბათი რთული შემადგენლობის სითხოვანი წამლის ფორმებია, რომლებიც შეიცავს ბაღაგს ან შაქრიან ხსნარს და ყვავილებისაგან, მცენარეული ნაყოფის ძირების და ფოთლების დუღილის შედეგად მიღებულ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. „უხწორო კარაბადინის“ 94-ე გვერდზე გამოქვეყნებულია ქვეთავი: „კარი შარბათებისა“ სადაც ვკითხულობთ: „შარაბი ბანავშა, ბიასა ჰქვიან. შარაბი იისა არგებს რომე ვარამი ღვიძლსა შიგა იყოს, მას გაიღებს და აცხელებდეს და ახველებდეს და აქმინებდეს ყველას უშველის. გულის პირი სტკიოდეს მასაც უშველის და ღვიძლსა სატკივრისაგან გამოიყვანს და მუტელსა შეულობს. წამლები მისი: აიღე ნედლია ნახევარ ლიტრა ბიის გული 10 დრამი, ქათირა 20 ლრამი, ხათმის თესლი 10 დრამი, სამყი არაბი 10 დრამი, ეს ყუელა წამლები

ნახევარზედა დანაყე და სამსა ლიტრასა წყალშიგა დააღბე და ერთსა დღე და ღამესა, და მერმე მოადღუღეთ ასრე რომე ნახევრად მოიყაროს და შეწურე და წამლები შეტყლიყოს და გაყარე. მაშინ ნახევარ ლიტრა შაქარი გაურჩიეთ და ადღუღეთ წყნარად შესქელებამდის, მისგან შესმა ხუთმეტი დრამი ქერის წყლითა.

უსწორო კარაბადინის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულია შარბათის უამრავი ვარიანტი, „შარბათი ვარდისა“: იმათი ხასიათი ეს არის, ზაფრისაგან რომე არ-წყევდეს მას უშველოს, სტომაქსა ძალსა მისცემს, გულსა ძალსა მისცემს ზაფ-რასა დააწყნარებს და სისხლსა დააწყნარებს. და თავსა რო ბრუ ესხმოდეს მას უშველოს და გულისა სისუსტესა უშველოს. აიღე ნედლი (ვარდი) მათი ფურ-ცელი და წრუილად დაქერ და ნახევარზედა დანაყე და რასთონიცა იყოს, მათი ორი ზომა წყალი დაასხი და ადღუღე რომე ნახევრად მოიყაროს, მერმე გა-მოწურე და მისი წონა შაქარი გაურივე ადღუღე და პერული მოხადე, სადამდის ხელი თაფლივითა შესქელდეს მისგან შესმა უზომოდ ცივითა წყლითა მიტყა-ლი ერთი. ასევე შარბათი ლელოფარი, შარბათი ისრიმისა სასმელისა, შარბათი ფშატისა, შარბათი ბროწეულისა და შროშანისა მეტად საინტერესოა და ამი-ტომ მოგვეყავს ტექსტი მთლიანად 97 გვერდიდან. შარბათი შროშანისა. ხასია-თი მისი. ერგების შავისა ნაღულისა უფალსა და ვის გულის ძგერა იყოს და ვის სტომაქი შეუსუსურებული იყოს და ერგების დედათა უძლებთა რომელ-თა ეშინოდეს ყრმისა ვნებისაგან და ვის გულსა შეიღებდეს და დაეცემოდეს და ცნობა წაუვიდოდეს, სარგებლისა არის ნებითა ღთისათა აიღე: შროშანი თეთრი თოვლივითა ასი (დრამი) და გამოარჩივე მისისა თესლისაგან და ძირი-საგან და გასწმინდო მტურისაგან რომელი ზედა იყოს მჩურითა სვლისათა წმინდასა სამოსელსა ზედა გაფინო დღესა და ღამესა და მერმე აილო ქუშტი-ბარი დარიჩისა და ლერწამი, და სადაჯი გინდა და ყარანფული ამათგანი წონა ხუთხუთისა დრამისა, და სუმბული ტიბი და მამითა ამათგან წონი ათათისა დრამისა და ქარვია წონი რვისა დრამისა და მარილი ანდრანი წონი ხუთისა დრამისა და ბალანსისა ზეთი წონი ათისა დრამისა, და კუქუმბრა წონი ოცისა დრამისა დანაყონ წამალნი ხმელნი ხოშრად და გაადგინო კუქუმბრა ბალანსისა ზეთითა და კიქისა ქურქელს შიგა შაფდ შექმნა შროშანი და დაეხსნა დღესა და ღამესა, რათა გავიდეს წამალთა გემო შროშანთა გემოშიგა. და შემდგომად მისა აილო ღუინო ძუელის ძული და იყოს ზეგნისა და არ მუშამასი ათი ლიტრა და ჩაურთო შიგა ზაფრანი წონი სამის დრამისა და (მუშკი ხალისი წონი ორის დანგისა) და შერივე და ჩასხმა მას ქურქელსა ზედა რომელსა შიგა იყოს შრო-შანი და პირისა მოჰკრა და მოგოზო თიხითა და ბზითა წრუილითა და თმითა შეზღელილითა, რომე ქარი არა შეუვიდეს და დადგი ჩრდილსა ადგილსა საშუალ-სა ჰაერისასა და დასცვა ექუსსა თვესა, შემდეგ იხმარო ვითა ნიშანი მოგვი-ცემია. შესმა ძალსა ზედა სამისა დრამისა წონი თუ გინდეს ხუთამდენ, სარგე-ბელი არს და გამოცდლი ნებითა და ღთისათა“.

შემდეგ არის შარბათი თურინჯის, თუთის, ნიგუზისა, მურტისა, ვაშლისა, ბიისა, დინარისა, ლიმონისა, აბზინდისა, ანუ აბსანთინისა, თაფლისა, ხანდიკო-ნისა, სხალისა, ყურძნის რუბისა, პიტნისა, უნაბისა, სუმბულისა, ხაშხაშისა, რე-

ვაჯისა, შარბათი ჭულაბისა. შარბათების შესახებ ფართოდ არის საუბარი XV საუკუნის ძეგლში „სამეურნალო წიგნ — კარაბადინში“, რომელიც იწყება 225 გვერდიდან და გრძელდება 239 გვერდამდე, აქ ლაპარაკია პარალელურად შარბათებზე. „სამეურნალო წიგნი — კარაბადინში“ 225-ე გვერდზე წერია შემდეგი: „იხსა შარბათისა ხასიათი, არგებს ვარამი, რომე ლუიძლზედან იყოს. მას არგებს და ახუელებდეს და აქმინეებდეს, ყუელასა უშუელის — გულისა პირი სტიკოდეს, მასცა უშუელის და ლუიძლსა სატიკვირისაგან გამოიყვანს და მუცელსა შეულობს წამლები მისი.

აიღე: ნედლი ია ნახევარი ლიტრა, ბიისა გული ათი დრამი, ქათირა ოცი დრამი, ხათიმისა თესლი ათი დრამი, სამყიი არაბი, ათი დრამი. ესე ყუელაი წამლები ნახევარზედან დანაყეთ და სამსა ლიტრასა წყალშიგან დაალობ ერთსა. დღესა და ერთსა ღამესა. მერმე მოადუღე ასრე, რომე ნახევარზედან მოაყიროს და შწურე და წამლები შეტყლიპე და გაყარე. მაშინ ნახევარი ლიტრა შაქარი გაურვიეთ და ადუღეთ წყნარად შესქელებამდის. მისგან შესუა, თხუთმეტი დრამი ქერისა წყლითა შესუით“. შარბათების მომზადების შესახებ დეტალური რეკომენდაციებია მოყვანილი „იადიგარ დაუღის“ 293 გვერდიდან 608 გვერდამდე, სადაც ლაპარაკია შარბათების შემოდგენელ ნაწილებზე, მომზადების დროზე, გაზაფხულზე, ზაფხულზე და შემოდგომაზე და შესაბამისად ზამთარში ტექნოლოგიურ პროცესზე, რაც მთავარია „იადიგარ დაუღი“ ერთადერთი უძველესი სამედიცინო წყაროებს შორის, სადაც ნახსენებია „გამოხდილო წყალი“. ტექსტში შემდეგს ვკითხულობთ: „წყალი გამოჰხდეთ, და ესე გამოხდილი წყალი ერთი პირი წამოადუღეთ და ამთა კეთი მოჰხადეთ და კუერცხის ცილითა დაახალისეთ“. ხოლო „იადიგარ დაუღის“ (1938 წლის პუბლიკაციის) 593-ე გვერდზე მოცემულია (ოგ) კარი 73-ე „ფერად-ფერადისა შარბათებისა ხასიათების და შექმნისა გაამობოს“. შემდეგ მოცემულია ტექსტი, რომელშიც ვკითხულობთ: „აწე ყოვლისა ფერსა შარბათსა თავ თავისავ ყუავილსა ხილისა და ბალახის ხასიათი აქუს. აწე შარბათის შექმნის წესი და რიგი ასრე არის, რომე ერთი წელიწადი ოთხი ფასლი არის ვითარცა გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და ვისცა ამა შარბათისა შექმნა უნდოდეს ასრე უნდა: თუ ესე შარბათები ზამთრის დღეთა შექნან, ყოვლისა ამა ხილებისა, ბალახებისა და წამლებისა ძირები უნდა ჰქნათ. თუ გაზაფხულზედა შექნათ, ყოვლისა ამა ხილებისა და ბალახებისა ახლის ფოთლისა და ზაფხულის ყუავილისაგან უნდა ჰქნათ, და თუ შემოდგომაშიგან შექნათ, ყოვლისა ხისა და ბალახის ხილებისაგან უნდა ჰქნათ და რომელიცა ან ხილი ან ყვავილი და ან ბალახები და ან ამისივე ძირები და თესლები ნედლი იყოს, რომე ამათგან წვენი გამოიხდებოდეს, დანაყონ და წყალი გამოხადონ და რარიგადცა შარბათის შექმნის წესი და რიგი იყოს და ან ამა წიგნიგა დაგვეწეროს, იმრიგად შარბათები ქენით. და რომელიცა ან ხმელი ბალახები და ძირები, ან ხმელი თესლები და ხმელი ყუავილები იყოს, რომე მისგან წყალი არ გამოვიდეს, დაჯექვე და წყალი დაასხო და მანამდისი ადუღონ, რომე იმა თესლებისა და ბალახებისა ძალი და ხასიათი ყუელა ამა წყალმან გამოიღოს, მერმე კარგად ამოკყლიტეთ და გაწურეთ და

რარიგადაცა შარბათის შექმნის წესი და რიგი იყოს, და ან ამა წიგნშიგა დაგვეწეროს, იმრიგად შარბათები ქენით.

აწე ამა შარბათებისა შექნა ასრე უნდა: რომლისაცა შარბათისა შექნა გინდოდეს ამ რიგად წყალი გამოჰხადეთ, და ეს გამოხდილი წყალი ერთი პირი წამოდულეთ და ქაფი მოჰხადეთ, და მერმე, თაფლისა გინდოდეს თუ შაქრისა, ესეცა წამოდულეთ და ამათაცა ქაფი მოჰხადეთ და კუერცხის ცილითა დაახალასეთ, და თაფლისა გინდოდეს თუ შაქრისა ორი წილი ან თაფლი და ან შაქარი უნდა ჰქნათ და ერთი წილი რომლისაცა წამლისა შარბათი გინდოდეს მისი წვენი, და თაფლისა გინდოდეს თუ შაქრისა ამ რიგად შექნათ, რომე მისი წესი და რიგი ამა წიგნშიგა სწერია.

ბოლო გრილის სენის შარბათები თაფლითა და მხურვალის ბალახებითა უნდა შექმნათ, და მხურვალის სენის შარბათები შაქრითა და გრილის წამლების წყლით უნდა ჰქნათ.

და რომელიცა შარბათები მუტელშიგა შესაკრავად გინდოდეს, თაფლითა უნდა ჰქნათ, და თუ მუტელშიგა გასახსნელად გინდოდეს, და შაქრითა. და ესე შარბათები თაფლითა ჰქნათ თუ შაქრითა ამდენი და ასრე ზომიერი ჩაჟრივე რომე ესე შარბათი მწოვედ ტკიბილი არ იყოს და წყნარად და ნელად მანამდისი უნდა აღუღონ რომე, რისაცა შარბათსა შეიქმოდეთ მისმან სულმან ამოდენა დაიწყოს და მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს.

და შაქარი იყოს თუ თაფლი, იმა წამლის გემო შეეტყობოდეს და, თუ ესე შარბათები ზამთრის დღეთა შექმნათ. უფრო მოთხო უნდა შექმნა და თუ ზაფხულის და ან სამგზავროდ შექმნათ, უფრო მოსქო შექენათ, ამისათვის რომე არ დამეავდეს.

და რა ესე შარბათები ავადმყოფსა კაცსა ასვთ, ასრე უნდა გრილი შარბათები კიდევე გრილის ბალახების წვენითა გამოჰხადოს და ამა წყლებითა გალესო და ისრე ასვა. და რა ნივთიცა წონითა ეს შაქრის შარბათი იყოს ორი ამა შარბათის წონა, ამა გრილის ბალახების წვენი ქენით გაუღესეთ და ისრე ასვით, გავზაბანის წყლითა, ან ლულუფრის წყლითა, ან უშახუნისა და მქაუნას წყლითა, ბოლო რომელიცა იყოს, ამ რიგად რომე დაგვიწერია, გაუღესონ და ისრე ასვან, და რომელიცა მხურვალი შარბათები იყოს კიდევ იმავე რიგად მხურვლის ბალახების წყლითა გაუღესონ და ისრე ასვან ცერეცოსა, კამასა, ტუხტისა და ან გვირილას წყლითა გაუღესონ და ისრე ასვან. და თუ ესე მხურვალის ბალახების წყლები არ დაგესწრას იმავე რიგად ერთსა წონასა შარბათზედა ორი წონა თბილი წყალი დაასხან შარბათად გაუღესონ და ისრე სვან. და ვისცა ეპირებოდეს, და ან ამა შარბათის სმა უნდოდეს. თორმეტის დირჰამიდალმან ოცდახუთსა დირჰამამდისინ უნდა სვან. რა ნივთიცა ავად მყოფსა გულმან და სტომამქმან გაიწყოს და მოიხდინოს იმდენი უნდა ასვან. და თუ ამა შარბათებსა წყლის მაგიერად წვიმის წყალსა უზამთ, მწოვედ სჯობს და წყლისაგან უფრო სუბუქიც არის და ადრეცა მოიდნობს.

სანდლის შარბათის ხსიათი გრილი და ნედლი არის. კაცსა რომე ღვიძლი სტაოდეს და ან მჯდომისა და ღვიძლისაგან ნაწყენად იყოს. ან კაცსა სურა-

ვანდი გულსა და სტომაქშიგა ჩამოუეიდეს და ესე სანდლის შარბათი. ასეა, მჭდომსა და ლეიძლსა ორსავე უშველის. იარაყანსა და სურავანდსა ორსავე არგებს. კაცსა რომე ლეინისაგან ლეიძლი და ან ფირტივი სტიკოდეს და დაკოდლი ჰქონდეს, ლეიძლსა და ფირტუსა ორსავე გაუმართლებს. კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან გული და ლეიძლი წვასა დაუგდებს და სიცხესა და სიმხურვალესა დაავსებს. კაცი რომე მწოვედ მუტელშიგა გახსნით იყოს, მუტელშიგა შეჰკრავს, კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები სტიკოდეს, ამას უშველის.

კაცსა რომე მწოვედ რწყევა აუვარდეს და ესრე შარბათი სევს რწყევასა და წყურვილსა ორსავე უკუთვდებს, რწყევასა დაუქერს და გულსა მოუსვენებს და მოუგრილებს. კაცსა რომე ვარამი სჭირდეს და ან შიგნით და ან გარეთ სივდეს და ესე სანდლის შარბათი ასეა, მწოვედ კარგად უზამს.

კაცსა რომე სიმხურვალისაგან სისხა სჭირდეს და კიდეცა სივდეს და ან შეტისა სისუსტისაგან კაცსა გული უფეთქდეს და უთრთოდეს, მისთვის კარგი არის, და ყოვლის მხურვალის ენისათვის კაი და მარგე წამალი არის.

აწე ამა სანდლის შარბათის შექნა ასრე უნდა. მოიტანე რომელიცა შარბათად სანდლი გინდოდეს და ვარდის წყლითა ვალესეთ და რა ნივთიცა ესე სანდლის წვენი იყოს, ორი ამსანდლის წონა შეჰარი ჩაავდეთ და ნელად და წყნარად აღუღეთ, რაჟამცა მოსქელდეს და ყავშზედა მოვიდეს გარდმოვიღე და სანდლის შარბათი იქნების, როდისცა გინდოდეს სევმდი, ყოვლის მხურვალის სენის წამალია.

რევეანდი ჩინის შარბათის ხასიათი მწოვედ გრილი და ნედლი არის, კაცსა რომე ლეიძლი სტიკოდეს და ან ფირტივი ლეინისაგან დაკოდლი და დაპობილი ჰქონდეს, ან სიცხისა და სიმხურვალისაგან კაცსა გული და ლეიძლი ეწოდეს და ორჯერ და სამჯერ კაცმან ზედაზედ უზმომან ესე შარბათი სევს, ამას ყუელასა უშველის და გულისა და ლეიძლის წვასა გაუშვებს და ლეიძლისა და ფირტივის ტკივილსა უშველის.

და თუ კაცსა ლეინისა და სიმხურვალისაგან ლეიძლი დაპობილი აქუს იმას ისრევე ერთმან ერთზედა გამოაბას. კაცსა რომე მჭდომი და ან ცხელი ვარამი სჭირდეს და კაცი სივდეს, მწოვედ კარგად უზამს, სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს.

კაცსა რომე სნება ან ცხელება ან იარაყანი, ან მხრვალი სისხა ან ხაფაყანი სჭირდეს და ლეიძლისაგან ავად იყოს, ან ყუეავილმან და ასპამან დაჰყაროს და ამა რევეანდისა შარბათი ასეა, ან წყალშიგა დაალბონ და უშაქროდ ამა რეთანდის წყალი ასეან ლთისა შეწვენითა მაშინვე ყუელასა უშველოს, და ყუეავლი არის თუ ასა, მაშინვე გარ გამოყრის.

კაცი რომე მუტელშიგა შეკურით იყოს და ან შარბათად და ან წყალშიგა დამბალი სევს, მაშინვე მუტელშიგა გახსნის და სიცხესა და სიმხურვალესა ყუელასა თან გაატანს, და კაცსა ავის ხილთისაგან გასწმენდს, და რაცა სიმხურვალისა სენია ან საოფლე, ან ცხელება, ან ლეიძლი, ყუელასათვის აქიმი და წამალი არის.

აწე ამა რევანდის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე რევანდი ჩინი და წრიულად დაკერ და რა ნივთიეა გინდოდეს წყალი დაასხი და ერთსა ღამესა ამა წყალშიგა ამყოფეთ, და მეორესა დილასა გაწურე და რა ნივთიეა წონითა ესე რევანდის წყალი იყოს ორი ამა წყლის წონა შაქარი მოიტანე, ცოტა წყალი დაასხი, მოადლუე და ქაფი მოჰხადე და კევრცხის ცილითა დაახალისე და მერმე ისი რევანდის წყალი შიგ ჩაასხი, წყნარად და ნელად ადლუეთ, რაჟამცა მოსქელდეს, მოვიდეს, გარდმოილე და რევანდის შარბათი იქნების, ვისცა უნდოდეს და ან ეკირებოდეს ამა რევანდისა შარბათისაგან ოთხის დირჰამიდალმან ათსა დირჰამიდალსი სვან, რა ნივთიეა კაცისა გულსა და სტომაქსა დააშუანდეს. და როდისცა ამა შარბათისა სმა გინდოდეს, ერთსა კოვზსა ამა შარბათზედა ორი კოვზი წყალი დაასხან, გალესონ და ისრე სვან მწოვედ კაია.

კოწახურის შარბათი გრილი და ხმელი არის, კაცსა რომე სისხლი სვარბოდეს და ესე კოწახურის შარბათი სვან სისხლსა დაუწმენდს და მოაკლებს, გულსა და სტომაქსა ძალსა მისცეს, ღვიძლსა მეტის მეტად ამთელებს და აჰბუჟებს.

კაცსა რომე ღვინისაგან თავი სტკიოდეს ან ემთილა იყოს და ესე შარბათის სვან ამას ორსავე უშველის. კაცი რომე მუცელშიგა ვახსნით იყოს მუცელშიგა შეჰკრავს, რწყევასა და წყურვილსა, გააგდებს და ვაჟარებს, და რაცა კაცის წვლებშიგა ტკივილი არის, ყუელას გაუგდებს, და კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, და ან სისხლს არწყევდეს და ესე შარბათი სვან, ორსავე უშველის. ჯერ ამა შარბათსა ისი სჯობს, რომე ესე კოწახური ცოტად დაჟეკონ, ვარდის წყალი შიასხი და სქამო.

აწე ამა კოწახურის შექნა ასრე უნდა: მოიტანე კოწახური დანაყე და წვენი გამოჰხადე და რა ნივთიეა წონითა ესე კოწახურის წვენი იყოს ორი ამისი წონა ქაფმოხდილი შაქარი ჩაასხი, მოადლუე, რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს გარდმოილე და კოწახურის შარბათი იქნების ვისცა უნდოდეს ცივის წყლით გალესონ და მუდამ სვან.

უნაბის შარბათის ხასიათი გრილი და ნელდი არის, სიცხისა და სიმხურვალისათვის მწოვედ კარგი არის. სისხლსა დასწმენდს და საფრას დაავებს. კაცსა რომე სისხლისა და სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს, და ამა უნაბის შარბათი ასეა, თავისა და საფეთქლების ტკივილსა უშველის.

კაცსა რომე ხველა სკირდეს. მითვის მწოვედ კარგია, გულსა და მკერდსა დაუღობობს. კაცსა რომე ხაფაყანი სძირდეს, ხაფაყანსა მწოვედ კარგად უზამს. კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს. მაშინვე გახსნის. მუცელსა და წვლებსა, გულსა და სტომაქსა დაუღობობს და გულს უკუჰყრის, სურდოსა და სურავანდისათვის მწოვედ კარგი არის. ყუავილიანსა, ცხელებიანსა, სნებიანსა და იარაყნიანსა კაცსა რომე ამა უნაბის შარბათი ასეთ, ოთხსავე კარგად უზამს.

კაცსა რომე სიმხურვალისაგან ტანზედა ჰყრიდეს, მითვის მწოვედ კარგი არის და ყოველსა მხურვალსა სენსა არგებს. მაგრა მწოვედ გამხსნელი არის და შეიღსა, რვასა ღლესა უკანა რომე კაცსა გახსნისაგან აღარ ემინოდეს და მაშინ ასეან, მწოვედ კარგად უზამს და კარგად მოუხდების. აწე ამა უნაბის შარ-

ბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე კაი უნაბი და ცოტა დაჯეჯე და ერთსა ღამესა წყალშიგა დაალბე და მეორეს ღღესა ასრე მოხარშონ, რომე უნაბი კარგად დადნეს და ძალი სრულად წყალშიგა გამოვიდეს და მერმე კარგად ხელითა გამოკეცილონ და წმინდასა ცხრილშიგან გაავლონ და ამრიგად გაწურონ და ამა უნაბის წყალი რომე ასი ღირპამი იყოს, ასსა უნაბის წყალშიგან ოცდაათი ღირპამი შაქარი უნდა გაუროო და ნელად და წყნარად აღულონ, როდისცა მოსქელდეს და ან ყავამზედა მოვიდეს გარდმოიღონ და უნაბის შარბათი იქნების, როდისცა სასმელად უნდეს ერთსა კოვხსა ამა უნაბის შარბათშიგა ორი კოვზი ცივი წყალი დაასხან, გალესონ და სევან, ამა სენებს არგებს.

ასეთი ფართო ადგილი უკავია ძველ ქართულ კარაბადინებში შარბათების მოსამზადებელ რეკომენდაციებს და შარბათებით მკურნალობის მეთოდებს. კრიტიკული თვალსაზრისით საჭიროა ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ ყურადღების გამახვილება. კარაბადინებში დაავადებათა ჩამოთვლაში და შესაბამის დიაგნოსტიკურ ხერხებში არ არის მოცემული კუჭუკანა ჯირკვლის დაავადების და შაქრიანი დიაბეტის კლინიკური სურათი, მაგრამ შაქრიანი დიაბეტის დაავადებისათვის დამახასიათებელ სიმპტომზე — „პირის სამშრალეზე“ და საჭმლის მონელების ბიოგენურ სტიმულატორზე კაპარის წნილზე მაინც გვხვდება საუბარი.

„უხწორო კარაბადინის“ ფურცლებზე მრავალფეროვან წამალთ ფორმებს შორის 110-ე გვერდზე მოცემულია ფარმაკოპეული რეკომენდაცია და შესაბამისი ქვესათაური „კარი ხიჯანგუბანიხა“. ტექსტში შემდეგს ვკითხულობთ: „ნიშანი მისი არგებს ღვიძლის სისუსტესა და კაცსა რომ არ ემშეოდეს, საჭმელსა მოანდომებას (აშკარაა რომ სიქანგუბანი მადის მომგვრელი და ღვიძლის დაავადებათა სამკურნალო საშუალება ყოფილა, ს. ს.).“

აიღე: ორი ლიტრა წყალი და ერთი ლიტრა კარგი ძმარი, თაფლი ერთი ლიტრა მოადუღე და პერული მოხადე სანამდის შესქელდეს მისგან შესმა უხმოსა ცივი წყლითა ექუსი მიტყალი გააყენოს და თუ კაპრისა წვენი დაასხას იგი ეჯობინების“. მაშასადამე, ღვიძლის სამკურნალო პრეპარატის და კუჭნაწლავის ექსტრაქტის ბიოგენური სტიმულატორი — წამლის ფორმა სიქანგუბანი შედარებით მარტივი შემადგენლობის ყოფილა. მასში შედის ძმარი, თაფლი და გამოჩნდა უნიკალური შემადგენლობის მცენარე „კაპრისას წვენი“.

რა არის კაპრის წვენი? სამკურნალო მცენარე კაპრი ხშირად იხსენიება არა მარტო კარაბადინებში არამედ მალალაძეების მიერ გაცემულ საალაპე წიგნების ტექსტებში. საქართველოს სსრ ცენტრალურ საისტორიო არქივში მუშაობისას ჩვენ წავაწყდით XVII საუკუნის მალალაძეების საალაპე წიგნის ტექსტში ასეთ მსჯელობას „ყოველსა რელიგიურ ღღესასწაულსა მოიტანდე ორ ზურგიელსა, საპალნე ღვინოსა კუდის პურს კაპრის წყლისა და ეკლესიის მსახურთა და ქერივობოლთა დანაყრებამდეო. თანამედროვე გაგებით კაპრის წყალი არის ფრიად გავრცელებული ჯონჯოლი. როგორც ირკვევა თანამედროვე საყოფაცხოვრებო კულინარიაში ჯონჯოლის წნილი შემთხვევით არ არის დიეტური საკვები, ქართული კულინარიის ტრადიციები მიგვანიშნებს, რომ კაპრის წნილი, ანუ ჯონ-

ჯოლი შეიცავს უნიკალურ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, მოქმედ ბიოგენურ სტიმულატორს. საკითხის დასმის წესით საჭიროა ჯონჯოლის ექსტრაქტი როგორც დაწნილებამდე, ასევე დაწნილების შემდეგ, იქცეს კლინიკური ექსპერიმენტის ობიექტად, მით უმეტეს ბუნებრივი შენაერთების ქიმიის სპეციალისტები უპირატესობას ანიჭებენ მცნარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებით მკურნალობას. კაპრის წნილის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები გამოირჩევიან თირკმელში და შარდის ბუშტში კენჭოვან დაავადებათა სამკურნალოდ, რაც ასევე თანამედროვე კლინიკური ექსპერიმენტის შედეგებით უნდა იქნეს დადასტურებული და ამ ასპექტში გამახვილდეს ყურადღება მეცნიერული კვლევა-ძიების თემატიკის თვალსაზრისით.

არის სხვა მოსაზრება, რომ ქართლში კაპარი ჯონჯოლს არ ნიშნავს და იგი ველურად მოზარდი ვაზფხულის მცენარეა.

მკითხველთა ყურადღებას იქცევს „უხწორო კარაბადინის“ 168-ე გვერდზე გამოქვეყნებული ფრაზა „სახელითა ღვთისითა აქა დაიწყების კარაბადინი. თავით თმითგან ვიდრე ფერხით ფრჩხილთამდის, რაც სენი არის, ყუელას ნიშანი და წამალნი ცალცალკე გვერდს უწერენ გამოჩენითა“. მაშასადამე, XI საუკუნის ამ ფარმაკოპეულ ტრაქტატში მოცემულია დაავადებათა აღწერა — მოკლე ანოტაცია და შემდეგ თავიდან ფეხის ფრჩხილამდე გვერდით უწერია წამლებით მკურნალობა. 1978 წელს გამოცემულ მახარებელ-მალაქძისა და ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 263-ე გვერდზე ვკითხულობთ: „სახელითა ღვთისითა დაიწყეთ ყოველ სენთა ნიშანი, რომელნი არიან კაცისა ასოთა შიგან, თავით, თმითგან, ვიდრე ფერხისა ფრჩხილთამდი. რაცა სენნი და საღმობანი არიან ყულასი ნიშანი ცალ-ცალკე სწერია — მათნი მიზეზნი და საქმენი, და წამალნი მათნი ბრძანებითა ღრთისათა“. რა თქმა უნდა, ამ ორი ფრაზის შედარებისას აზრთა ანალოგიურობა აშკარად იგრძნობა წამლებით მკურნალობის შესახებ „თავით თმითგან ვიდრე ფერხისა ფრჩხილთამდი“, მაგრამ XI საუკუნიდან XV საუკუნემდე 400 წლის მანძილზე მომხდარა აზრობრივი განვითარება, კერძოდ, „რაც სენნი და საღმობანი არიან ყულასი ნიშანი... მიზეზნი და საქმენი „ცალ-ცალკე წერიაო“ ე. ი. დაავადების გამომწვევ მიზეზზე — ეტიმოლოგიაზე და მკურნალობაზეა აქცენტი გადატანილი, თუმცა აბსოლუტური სულის დამწვებისა და რელიგიის ბატონობისაგან XV საუკუნეშიაც არ არის თავისუფალი ქართული სამედიცინო სამყარო. დაავადების მკურნალობისას მორალური ზემოქმედებისა და ზეშთაგონების მიზნით პირდაპირაა მითითებული კარაბადინის ფურცლებზე ასეთი ფრაზა „იციოდეთ, რომე ყოველსა ქველსა საქმესა უზეშთაე არს წინაშე ღთისა“, ეს ფრაზა დაწერილია უშუალოდ მახარებელ ოქროპირის ძე მალაქძის ხელით. ამას ადასტურებს ფანიაშვილების სიგელ-გუჯარის და კარაბადინის პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზი. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მახარებელი საეკლესიო მედიცინის წარმომადგენელი იყო.

XI საუკუნეში უცხო არ ყოფილა სკლეროზის მკურნალობა. უ. კ.-ში 186-ე გვერდზე პირდაპირ მითითებულია „კაცს რომე სიტყუაე ავიწყდებოდეს და

რაცა შეინახედედს ისიცა დაავიწყდებოდეს... მას ერგების, რაცა თაქედისა წა-
მალი დაგუიწერიაო“. დიდი ადგილი აქვს კარაბადინის ფურცლებზე დათმო-
ბილი ისეთი ნეიროფსიქიური დაავადების მკურნალობას, როგორც არის მე-
ლანქოლია — იგი ნახსენებია „მანახულიას“ სახელწოდებით. ასევე ძნელია და-
ასახელო დაავადება თანამედროვე მედიცინაში, რომელსაც მეტნაკლებად არ
იცნობდნენ შუა საუკუნეებში ქართველი მედიკოსები. ასე მაგალითად: გინე-
კოლოგიაში. სტომატოლოგიაში, ოტოლარინგოლოგიაში და ნებისმიერ მე-
დიცინის დარგში და მანაც ფართო ადგილი უკავია კარაბადინებში გულსისხლ-
ძარღვთა დაავადებების მკურნალობის საკითხებს. ასევე, ქანანელი ეხება პროქ-
ტოლოგიის საკითხებს, ინვაზიური დაავადების, ანუ ჭიის დაყრვივების სხვადა-
სხვა ხერხებს და ფართოდაა წარმოდგენილი ონკოლოგიური და მიკრობიო-
ლოგიური საკითხები. კარაბადინის ფურცლებზე გამოქვეყნებული ყველა ფარ-
მაკოპიული რეკომენდაცია წამლების მომზადების შესახებ უნდა გადაისინ-
ჯოს მეცნიერულ-კრიტიკული თვალსაზრისით. საუკეთესო რაციონალური მარ-
ცვალი უნდა ავიღოთ და აღვადგინოთ ისინი თანამედროვე ჯანდაცვის სამსახე-
რში, მცდარი და მისტიკური დავგმოთ. აი ასეთი კრიტიკული კრიტერიუმით
უნდა იქნეს საერთოდ განხილული შუა საუკუნეების ქართული სამედიცინო
ხელნაწერი კარაბადინები.

წამალთ ფორმების ნაირსახეობის თვალსაზრისით როგორც უკვე ზემოთ
ითქვა. ყურადღებას იქცევს 1940 წელს ექიმ ლადო კოტეტიშვილის რედაქციით
გამოქვეყნებული ქანანელის „უხწორო კარაბადინის“ 460-ე გვერდზე გამოქვეყ-
ნებული ქვესათაური „იბ“ კარი მარტო წამლებისა“. ამ ქვესათაურში ყურად-
ღებას იქცევს სამკურნალწამლო მცენარეული წარმოშობის ნედლეულის ჩა-
მოთვლა ანბანის მიხედვით. მარტო ა-ნის მისამართით ჩამოთვლილია 29
სამკურნალო მცენარე, რომლებსაც ახლავს მოკლე ანოტაცია მათი სამკურნა-
ლო თვისებების შესახებ. სამკურნალო მცენარეების დასახელება არაბულია
და მისი ლექსიკონური ქართული განმარტებები ამ წიგნში ავტორის მიერ არ
არის მოცემული.

„კარი ბანთა“-ში ჩამოთვლილია 11 დასახელების სამკურნალო მცენარე.

„კარი ვანთა“-ში მხოლოდ ერთი დასახელების მცენარეზეა ლაპარაკი: „გაზ-
მას გრილი და ხმელია, თუ კაცს ცხვირს ანუ ქვევით სისხლი მწვეთ სდიოდეს,
არგებს და კბილი რომე ეძროდეს და ვარდებოდეს მას უშველის“. სამწუხაროდ,
ამ სიტყვის „გაზმას“ მნიშვნელობა თაობათა შორის გნოსეოლოგიური კავში-
რის გაწყვეტის გამო დაკარგულია, რომელიც ძვირფასი ყოფილა როგორც
კოაგულაციის, აგრეთვე სტომატოლოგიის თვალსაზრისით, აღდგენის საშუალე-
ბა არ გვაქვს. „უხწორო კარაბადინის“ ამ ქვესათაურში „იბ კარი მარტო წამ-
ლებისა“-ში ჩამოთვლილია 125 დასახელების სამკურნალო მცენარე. საგუ-
ლისხმოა, რომ ცალკეულ წამლის ფორმების მომზადებისას ჩამოთვლილია სხვა-
დასხვა დასახელების სამკურნალო მცენარეები, რომლის ჩამოთვლა მთლიანად,
რა თქმა უნდა, ამ ქვეთავში არ გვხვდება. წამალთფორმების დასახელება და

მრავალფეროვნება „უსწორო კარაბადინში“, რაც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ, ამით არ ამოიწურება.

„უსწორო კარაბადინის“ 414-ე გვერდზე გამოქვეყნებულია მასალები ქვესათაურში „მე კარი და ნიშანი ძარღვის გახსნისა, კოტოშისა და წურბლის მოკიდებისა და ხასიათი მათი“, სადაც ლაპარაკია სისხლის გამოშვების წესებზე და ანატომიურად არის მითითებული ის ადგილები, რომელიც შეიძლება ქირურგიული ჩარევით გაიხსნას და ზედმეტი სისხლი იქნეს გამოშვებული. „სისხლის გაღება“ მკურნალობის უნიკალურ ფორმად ითვლებოდა ძველ საქართველოში, რაც ჰიპერტონული დაავადებით მკურნალობის თვალსაზრისით დღესაც მნიშვნელოვანია. თანამედროვე გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს კარდიოლოგების მიერ ზოგჯერ აღირიცხება სისხლის ჰიპერტონული წნევის ისეთი მაღალი დონე, რომ თანამედროვე სისხლის წნევის საზომი აპარატებით აღარ იზომება. ასეთი ჰიპერტონული კრიზების დროს ვითარდება სისხლის ჩაქცევები თავის ტვინში (ინსულტი), რომლის დროს ძნელია მდგომარეობიდან ავადმყოფის გამოყვანა. ასეთ დაავადებათა მკურნალობისას ჩვენს წინაპრებს ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდათ სისხლის გამოშვება. ე. წ. „ხელის გახსნა“, რომელიც სისხლის წნევას ავტომატურად დაბლა სწევდა. ასეთი მკურნალობის მეთოდი დღესაც შენარჩუნებულია თანამედროვე კლინიკისტიების მიერ. და თუ უიფადი არ ჩანდეს, კოტოში მოჰკიდე კეფაზე და მისსა ხანაცვლოსა სისხლსა ის გამოიღებს“. მასასადამე, კოტოშებით მკურნალობა უცხო არ ყოფილა. აქვეა მითითებული კლავდიუს გალენის მიერ მოწოდებული მეთოდი კოტოშებით მკურნალობისას „და უიფადის ხანაცვლოთ ჭაღონუხსა ორთავე ბექთა შუა უთქვამს კოტოშის მოკიდება. და თუ ყელი სტკიოდეს ორთავე მხარტა შუა კისრის ბოლოს მოჰკიდოს კოტოში“. ასეთია კოტოშებით მკურნალობის მაგალითები „უსწორო კარაბადინის“ ფურცლებზე. ფრიად საინტერესოა „უსწორო კარაბადინის“ ფურცლებზე დაცული რეკომენდაცია წურბელებით მკურნალობის შესახებ. 415-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ხასიათი წურბლისა, რა წურბელსა მოიკიდებდის. მუცელი გახსნით უნდა იყოს, და მუეიანისგან და მლაშისაგან ფარეზი უნდა, მაშინ არგებს, თვარა უმისოდ არას არგებს. იცოდეთ როცა ფერი მუნ იყოს, და სისხლის, ზაფრის, ყველას არგებს. რა დავარდეს ის ალაგი წყლითა და ძმრით მოიბანოს. თუ აღრე დავარდნა უნდოდეს და არ დავარდეს, ნატეხარი დანაყე და ზეთ შესცხე წყლითა, და დავარდების. ანუ კირი შემოსდევ და ან გულნარი ძაღლის ყურძინსა წყლით დასდევ. თუ აკი ალაგი იყოს და წურბელი არ მოეკიდოს, სისხლი დასცხე იმ ალაგას და მოეკიდების. თუ ერთობ მოეკიდოს, მარალ წყალი წასცხევ და ფიცხლავ დავარდების. და წურბლის მონაკიდზედა რომე „კოტოში მოიკიდოს ერთობ მარგე არის“.

ასეთი რეკომენდაციებია დაცული 900 წლის წინათ დაწერილ ამ კარაბადინში კოტოშებითა და სამედიცინო წურბელებით მკურნალობის შესახებ. „უკ“-ის ფურცლებზე გამოქვეყნებულია მასალა, თუ შეიძლება ასე ითქვას ერთი მეტად უცნაური წამლის ფორმის შესახებ. მას ეწოდება „სალოკელინი“ ანუ „აქა

ლოკიათა“. რომელნი არიან სალოკიალნი თითთა რომელნი ერგებიან ყოველ-
თა ტკივილთა, საღმობთა შედედებულთა ტანისათა და ვყოთ ესე სიტყვა გა-
მოკრებული თუ ღ' თისა უნდის. ნიშანი ლოკისა რომელი არს ნაცვისა და ერ-
გების ყოველსა ფილტუსა და ხივილსა და რომელნი იხველიდნენ მყარლსა
ნერწყუსა, და ყოველთა ხუელასა ძველსა სარგებელისა არს თუ ღმერთს უნდეს
აილე: ქათირ და ნაჟუი. გაქურცუილნი და ირსია რომელი არს ღვალო მათგანი
სწორი წონა და სალსაელის თესლი და მუკლი ჰეუდი მათგან სწორი წონა
და სელის თესლი მოკლული და თამრალირონი გაწმენდილი მარცულისა კურ-
კისავან და თესლისაგან, გომიზი არაბი და ბიისა გურკისა ლაბა ამათგან წონა
ოცდაათისა დრამისა და ძირ თაფლისა რუბი წონა დრამისა და ფანიდის გომიზი
წონა ორმოცდაათისა დრამისა შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყეთ, გაცერით და
ყურძნისა რუბითა შესქელებულთა შეზილეთ, ან თაფლითა პერულ მოხდილი-
ქა, ერგების ესე ლოყია ვის მკერდი შევიწროებოდეს და დადასა ხუელასა და
ფირტუისა დიდსა ხივილსა, რომე ვერ ერგებოდეს დათმობდა, აილოს ამისგან.
დილა საღამოს კარგი და გამოცდილია თუ ღოსა უნდეს“.

ნიშანი ლოყისა არის შამბალიისა ერგების ხუელასა და მკერდსა და ვი-
საც გაუძნელდეს სულისა ღება და ვისა უნდეს ხმის გაკეთება ნებითა ღთისითა.
აილე: სელის თესლი წონა ოცის დრამისა და ნუში ტკბილი წონა ოცი დრამისა
და ქათირა და ძირთაფლის გამოწურვილი და ნაჟევი გაქუცვილი და ბალდი რო-
მელი არს ნუში წურილი, მწარე, მოხალული და ნიშასტაგი ღამეს დაალბე და
მერმე აადულე ასრე რომე სამოცსა დრამზედა მოდგეს, მერმე შიგ ოცი დრა-
მი თაფლი გაურიე და გაწურე და მასუკანის ნახევარ დრამი ყარიყონი და ნა-
ხევარ დრამი თურბუთი, ნახევარ დრამი ალიქირუმი ერთი დანგი ინდოური
მარილი, ესე გაწურვილიგა გაურიე და შეასვით და ფარეზი ისრევე ქნას
როგორც „ზემო მათუხებშიგან სწერია“. რა თქმა უნდა, თანამედროვე „კარა-
მელებსაგან“ განსხვავდება ეს უძველესი წამლის ფორმა — სალოკელი: ასე
მაგალითად: თანამედროვე ლევორინის, ან სხვა რომელიმე პრეპარატის კარა-
მელი მკვრივი სალოკელი წამლის ფორმაა, რომელიც ენის ქვეშ იდება და და-
უშვით სტომატიტის — პირის ღრუს ანთების და პირის ღრუში სოკოვანი და-
ავადების სამკურნალოდ არის განკუთვნილი. „უკ“-ის რეკომენდაციის შესაბამი-
სად სალოკელი წამლის ფორმის მომზადებისას იღებენ, როგორც ტექსტშია მო-
ცემული, მცენარის თესლებს, ქათირას გომიზს და დაახლოებით 18 დასახლე-
ბის კომპონენტს, რომლებსაც ერთად ადუღებენ, ხარშავენ ასქელებენ, ყურძ-
ნის სიროფით, ან პერულ მოხდილი თაფლით და ასე შესქელებულ ბადაგზე
დადუღებულ, ან თაფლზე დადუღებულ მოსქო კონსისტენციის წამალს აძლე-
დნენ სალოკეად: ფილტვებში ხიხინის დროს, ასევე როდესაც ადამიანს „დიდი
ზუელა“ აწუხებდეს, ან კიდევ „ხუელების დროს ამოჰყრიდეს მყარლსა ნერწყ-
უსა და ყოველსა ზუელასა ძუელსა“. ეკვი არ არის, რომ სალოკელ წამლებს
აძლეოდნენ შუა საუკუნეების მკურნალები ავადმყოფებს, რომლებსაც სასუნ-
თქი გზების მწვავე და ქრონიკული კატარი აწუხებდათ. დღესაც კომპის ნა-
ყოფის თესლისაგან დამზადებული ლორწოვანი ხსნარი სასუნთქი გზების ანთე-

ბის და ხველების დამაწყნარებელ საშუალებად ითვლება არა მარტო ხალხურ, არამედ კლასიკურ მედიცინაში, „უსწორო კარაბადინის“ ფურცლებზე მოცემულია სალოკელთა და მათბუხთა წამლის ფორმების გაერთიანებული მეთოდით მკურნალობა. სალოკელ წამლის ფორმების მომზადების და ამ მეთოდით მკურნალობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი მახარებელ მაღალაძისა და ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ ფურცლებზე. 186-ე გვერდზე მოცემულია ქვესათაური: „კარი ლოკთა, რომელ არიან სალოკელნი“ და 190-ე გვერდზე მოცემულია 14 ნაირი სალოკელი წამლის ფორმების მომზადების ვარიანტები, რომელთა ტექნოლოგიური პროცესები ძირითადად ერთნაირია და ყოველ მათგანში გათვალისწინებულია კომპონენტების შეკრება გარკვეული პროპორციით, დანაყვა, გაცრა და „ყურძნის რუბითა შესქელება“ და შეხილვა, პერულუმოხდითა თაფლთა. პარალელშიზის და შესაბამისი ანალიზის მიზნით მოვიყვანოთ „სამკურნალო წიგნი კარაბადინის“ 178-ე გვერდზე მოცემული რეკომენდაცია სალოკელი წამლის ფორმის მომზადებისა და მკითხველი ადვილად დაარწმუნდება, რომ XV საუკუნეში ზაზა ფანასკერტელის დაკვეთით კარაბადინის შედგენისას მახარებელ მაღალაძის მიერ შედგენილი ტექსტი იდენტურია ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ მოთხრობილი ტექსტისა, რომელიც გახლავთ ფარმაკოპეული რეკომენდაცია სალოკელი წამლის ფორმის მომზადებისას. „სამკურნალო წიგნი კარაბადინის“ 187-ე გვერდზე ვკითხულობთ: „კარი ლუოკთა, რომელ არიან სალოკელნი“. დავიწყოთ თქუმად, შეწვენითა ღმრთისათა, ლუოკთა, რომელი არიან სალოკელნი, რომელნი ერგებიან ყოველთა ტკივილთა და საღმობათა შედებულთა ნატისათა და ვყოთ ესე სიტყუა გამოკრებულად, თუ ღმერთსა უნდეს. ნიშანი ლუოკისა, რომელ არის ნაუვისა. ერგების ყოველსა ფლიტუიანსა და სიმლისა რომელნი, იყუელდენ და ამოყრიდნენ მყრალსა ნერწყუსა და ყოველსა ქუელასა ძუელსა, კეკელ(ი)ა დასარგებლისა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ქათირა და ნაჟუი გაქურცილი და ირსა, ამათგანი სწორი წონი და სელისა თესლი და მუკლიაუდი, ამათგანი სწორი წონი და სელისა თესლი მოკალული თამარალირონი გაწმენდილი მარკლუისა და თესლისაგან და გურკისაგან და გომიზი არაბი და ბიესა გურკისა დაბა, ამათგანი წონი ოცდაათ-ოცდაათისა ღრამისა და ძირთაფლისა რუბი, წონი ოცისა ღრამისა და ფანიდი სიგზი, წონი ორმოცდაათისა ღრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი, დანაყენ. დაცრენ და ყურძნისა რუბითა შესქელებულითა შეხილნე. ანუ თაფლითა პერულუმოკლითა. ერგების ესე ლოკი, ვის მკერდი შეიწრებოდეს და ღიადსა კუელსა ფირტუსა და ღიადსა ხივილსა, რომელ ვერეგებოდეს და თმობა აიღოს ამისგან დილა მწუხრი. კეკელ(ი)ა და სარგებელისა ნებითა ღმრთისათა“. ამ ტექსტებს შორის მსგავსება არის, მაგრამ სალოკელი წამლის ფორმის მომზადებიდან 400 წლის განმავლობაში, სალოკელი წამლის ფორმებს დამატებია 13 ვარიანტი. „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ მიხედვით ეს ვარიანტებია:

“1. ნიშანი ლუოკისა, რომელ არს ტაბაშირისა, 2. ნიშანი ლუოკისა, რო-

მელ არს შამბალითისა, 3. ნიშანი ძირთაფლისა ლუოკისა, 4. ნიშანი ლუოკისა, რომელ არს სელისა თესლი, 5. ნიშანი ლუოკისა ერგების ყოველთა ტკივილთა, 6. ნიშანი ლუოკისა სხუისა, 7. ნიშანი თავუის ხაბუის ლუოკისა, 8. ნიშანი ლუოკისა ერგება ჩხუილთა, 9. ნიშანი ზოვფასა ლუოკისა, 10. ნიშანი კუქუმბრისა ლუოკისა, 11. ნიშანი ქუშაისა ლუოკისა, 12. ნიშანი ბამბისა გურკისა ლუოკისა, 13. ნიშანი ლუკიოსისა, რომელ არს ნაჟუისა“.

როგორც ჩანს ყივანა ბეელისა და მკერდის ტკივილის დროს მზადდებოდა თავუის ხახვისა და თავუის თანაბარი წონის *anna partes*, იხარშებოდა თანგირზე და საჭიროებისამებრ ხმარობდნენ ლოკვის წესით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ როგორც დღეს გვაქვს ყელის ტკივილისათვის სამკურნალოდ ფარინგოსკტი, განსაცვიფრებელია, მაგრამ ჩვენ ფაქტების კონსტატაციის საფუძველზე ვიღვენთ, რომ მახარაბელის და ზაზას კარაბადინში მოცემულია „ნიშანი ძირთაფლისა ლუოკისა“, რომლის შინაარსი აშკარად მიგვანიშნებს, რომ არა მარტო ხველების და მკერდის ტკივილის სამკურნალოდ მზადდებოდა, არამედ „მასა დასრულსა“ მიგვანიშნებს, რომ ხმის წართმევის დროსაც იყენებდნენ ჩვენი წინაპრები, ყელის მკურნალობის მიზნით. ამავე წყაროს 188-ე გვედრზე მოცემულია ასეთი რეკომენდაცია: „აიღე ძირთაფლისა რუბი დანშენდილი კეკლა, და ქალბანა და ქთისა თეთრი და ნუში მწარე გაფქურცილი და კამისა თესლი და ანინოსი ამთვანი სწორი წონი. დანაყენ დაცრენ და თაფლი შეაზილნე და კურქელსა ჩასდვა და ლოკოს მისგან დილა მწუხრისა“. აქვეა მოცემული ამოსახველებელი სალოკელის დამზადების წესი: „რომელიც ამოყროდეს კუელსა კმელსა“. ასეთ სალოკელში შედის ძირითადად სელის თესლი, ქათირას გომიზი და ძირთაფლას ძირის თანაბარი რაოდენობა. მითითებულია სალოკელ წამალთა შორის ნუშის ზეთის გამოყენება, ფურთა ერბოს გამოყენება, კვერცხის გული და თაფლი ყველგან აუცილებელი ბაზისია — ფუძეა ყველა სალოკელი წამლის ფორმის მომზადებისა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მახარებელ მაღალაძესა და ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნ — კარაბადინში“ ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა შორის, ყველაზე სრული ნუსხაა მოცემული წამალთფორმების მომზადების და ნაირფეროვნების თვალსაზრისით. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეხეთ იმ წამლის ფორმებს, რომლებიც ნახსენებია „უსწორო კარაბადინში“. „წიგნი სააქიმოსი“-ში „სამკურნალო წიგნ — კარაბადინში“ და „იდიგარ დაუდში“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ ყველაზე მდიდარია ნაირფერი წამლის ფორმებით ამ კარაბადინში 119-ე გვედრზე მოცემულია ფარმაკოპეული რეკომენდაცია „სარგებლი ყოვლისა სენისა“ და შემდეგ გამორჩევით საუბარია: „ნიშანი წამლისა. რომელსა ჰქუიან ღათი“. როგორი წამლის ფორმაა ღათი? ტექსტში ვკითხულობთ: „ერგების ყოველსა ტკივილსა, შედებულსა გუამთა შიგან კაცთასა, თავითან ვირემ ფერკთამდე სარგებელია, ნებითა ღმრთისათა“. ეკვი არ არის, რომ „შედებულსა გუამთა შიგან კაცთასა“ უნდა იყოს სანთელი — „სუპოზი-

ტორია“. მაგრამ როდესაც გავვეცანით ლათის მომზადების ტექნოლოგიას იგი თანამედროვე „სუპოზიტიორიებისაგან“ ძირფესვიანად განსხვავდება. არ გვაქვს ისეთი რეკომენდაცია, რომ იყოს მოქმედი ნივთიერება და ბაზისი — ფუძე ფორმის მიმცემი — კაკოს ცხიმი. ამავე დროს მიღების წესი ისეთი, ლათი რომ უშუალოდ თანამედროვე სანთლების იდენტური გამოთქმა იყოს, არ დასტურდება. სიტყვა „ღათის“ შემდეგ პირდაპირ ასეთი ფრაზაა დედანში. „ერგების ყოველსა ტკვილსა, შედებულსა გუამთა შიგან კაცისა“. შემდეგ კი წამლის ფორმის მომზადების კომპონენტების ჩამოთვლის, დოზირების მითითებისა და ტექნოლოგიური პროცესების მითითებისას ჩვენ ადვილად ვრწმუნდებით, რომ „ღათი“ რთული სითხოვანი, მრავალ კომპონენტიანი წამლის ფორმაა: „ნიშანი წამლისა, რომელსა ჰქუთა ლათი: ერგების ყოველსა ტკვილსა, შედებულსა გუამთა შიგან კაცთასა, თავითგამ ვირემ ფერკთამდე მარგებელია, ნებითა ღმრთისათა.

აიღო: აფიონი, წონი ოთხისა დრამისა და სუმბული და კაკულა და პილ-პილი თეთრი და კარის ძირი და აკარკარა და ლემისა თესლი, ამათგანი წონი ორ-ორისა დრამისა და ზაფრანი, წონი ერთისა დრამისა. დანაყენ ესე ყოველნი კიდეს კიდე და II შარი-50გ25-თა დაცრენ და ყოველნი ერთგან შერიენ და თაფლითა პერულმოკდილთა შეზილენ. შესმა მისგან მითკლისა ნახევარი, ვიდრე თავი სტკიოდეს და არს ესე საოხნითა ღრძილთა ტკივილისათვის და კუე-ლასა და ტკვილსა სტომაქისასა და შავასასა და კუელა სურდოსა და ფაწალასა და ტკვილსა გუერდისასა და ღუძლისასა და შემოკლებასა სულისასა და ცნობისა მისულასა და თუხმასა და დიადსა წიღოვნებასა და მუცელ თიიანსა და ბავსირსა და ვასვასა უწინათ, ხოლო ვის თავი სტკიოდეს, უწოთ ამისგანი ცხურთა ქერისა ნახევრისა ზომი, შემებრისა მარხანგოშისა წყლითა და ვის სტკიოდეს თავი და კბილნი და ღრძილნი ერვანდის ზომა ღრძილთა საოხნეთა ქუეშე დაიჭიროს და წყალსა მასსა ჩასთქემდეს; და ხუელასა ძუელსა და ახალსა, ქერისა ზომი კამასა წყლითა და ზ(ა)რევანდისა წყლითა ხურგითა ერთითა და ტკვილსა გულისასა და სტომაქისა პირთასა, ქერისა ზომი ძირასა წყლითა¹. ასეთია ლათის მომზადების სანიმუშო წესი.

ყურადღებას იქცევს „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“-ს 121-ე გვერდზე მითითება იმის შესახებ, რომ ლათი და მაჯუნდი ანალოგიური წამლის ფორმები ყოფილა. ტექსტში ვკითხულობთ: „ნიშანი მაჯუნდისა, რომელ არს წუნწუბისა“. ერგების ცხროთა ძუელთა ჟამგარდასულთა ვითა ცხრო მეოთხისასა რომელ მოუვა წელიწადმდე და გაძნელების მისი კურნება — და ვითა ცხრონი, რომელნი მოუვლენ სიცივითა ყოველთა დღეთა და ერგების სტომაქსა გაგრილებულსა, რომელსა შინა გამრავლდენ ქარნი და ვერა აღნობდეს საჭამადსა და ვის ტანი მოუსუსტრებულიყო საღმობათაგან სიგრილისა.

1 აიღო: პილპილი თეთრი, წონი ექუსისა დრამისა და ლემისა თესლი და კორდამანაი და გუნდრუკი თეთრი და მური არაბი, ამათგანი წონი თორმეტ-თორმეტსა დრამისა, აფიონი და წუმწუბა, კვერცხის გული, ამათგანი წინი ხუთ-ხუთისა დრამისა და ზაფრანი და დარ(ა)ფილფილი და ქუშტიბარი და ზარე-

ვანდი გრძელი და თივა კაცის ძირისა ქერქი და აფარბიონი, ამათგან წონი სამ-სამისა ღრამისა. შეჰკრიბენ ესე წამალნი ხმელნი, დანაყენ, დაცრენ შარითა, და დაალბენ გომიზ მური და გუნდლუკი და აფიონი ლუინითა ძუელითა და შეიზილენ და პერულმოკდილითა თაფლითა შეპრიენ და კიქისა ჭურჭელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იხმარე. შესუშა მითკალი ერთი კამას ძირისა წყლითა, სარგებელია, ნებითა ღმრთისათა“. როგორც მოყვანილი ტექსტებიდან ირკვევა ლათი ამ შემთხვევაში მზადდება მექანიკური წესით, ყოველგვარი გაცხელების გარეშე. ლათის მომზადებისას იღებენ რამდენიმე კომპონენტს, აფიონს, ზაფრანს, სუმბულს, ხარის ძირას და სხვა სამკურნალო მცენარეს, რომლებსაც ნაყავენ, შემდეგ ცრიან და პერულ მოხდილი თაფლით შეზელენ და ღებულობენ „პერ ოს“ გზით. ასე რომ, ლათი მართალია, „ერგების ყოველსა ტკივილს, შედებულთა გუამთა შიგან კაცისა“ მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ლათი თანამედროვე გაგებით „სუპოზიტორიებს“, სანთლებს ნიშნავდეს. იგი მოსქო კონსისტენციის შიგნით მისაღები რთული წამლის ფორმა ყოფილა.

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ ფურცლებზე ყურადღებას იქცევს ისეთი რბილი — მრავალკომპონენტური წამლის ფორმის მომზადების რეკომენდაციები, როგორც არის „ლინიმენტები“. ცნობილი საბჭოთა მეცნიერი პროფესორი ი. მურავიოვი თავის მონოგრაფიაში „წამალთა ტექნოლოგია“ 630-ე გვერდზე ზუსტად განმარტავს ფარმაციის თანამედროვეობის თვლსაზრისით ლინიმენტს, როგორც წამლის ფორმის რაობას. „ლინიმენტი მოსქო კონსისტენციის გარეგან სახმარე წამალია, რომელიც შედგება მოქმედი ნივთიერებებისაგან და დამხმარე ემულგატორისაგან — მცენარეული ზეთისაგან. ასე მაგალითად, ალოეს ლინიმენტში შედის 78 ნაწილი ალოეს კონსერვირებული წვენი, 11 ნაწილი აბუსალათინის ზეთი, 11 ნაწილი ემულგატორი № 1 და 0,1 ნაწილი ევკალიპტის ეთეროვანი ზეთი“. ასეთია ლინიმენტის მომზადების საშუალებით კომპონენტების ძირითადი შემადგენლობა, რომელსაც ულტრაბერების შემრევი მანქანები ამზადებენ მექანიკური წესით. XV საუკუნეში ქართული მედიკოსები იცნობდნენ ლინიმენტის მომზადების წესს და მის შემადგენელ კომპონენტებს: ს. წ. კ.-ის (სამკურნალო წიგნი — კარაბადინის) 199-ე გვერდზე გამოქვეყნებულია ქვესათაური „კარი ლიდიმედოასა, რომელ არიან გარე შესაცხებელნი წამალნი“. „ნიშანი ლიდიმედისა, რომელსა ჰქუიან ფოლომქიონ და ერგების, რომელთა ელმოდეს და სჭირს წყლით შაკეობა და მუცელნი მათნი გასივებულიყუნენ, შეიღვას ესე მუცელსა ყოველგან და რომლისა გარყუნილიყოს შეზავებულობა ღუიძლისა სიცივისაგან და ერგების ტკივილსა სტომაქისასა გრილისასა, რომელი შეჰამაღსა ვერა იდნობდეს, ნებითა ღმრთისათა“.

აიღე: ცვილი და გომიზი ფიჭუისა და მუკლი აზრაკი და ვაშაკი და კორდმანა, რომელ არს ქარვა ველური და ჭავზა სარო, ამათგან წონი ღრამისა ორმოც-ორმოცისა და ჰამამა, წონი ღრამისა თორმეტისა და სუმბული ტიბი და ზაფრანი და მური და გუნდრუკი, ამათგანი წონი ღრამისა ექუს-ექუსისა და რომელი დასანაყელია დანაყე და რომელი გასადნობელია, გააღნევე ლიტრისა

ნახევრითა საროსა თაფლითა და ზედა შეიღვა, ვითა ნიშანი მიგუიციემა, ერგების, თუ ღმერთსა უნდეს“.

თანამედროვე ლინიმენტის¹ და 500 წლის წინათ ცნობილი ლინიმენტის მომზადების ტექნოლოგიაში ბევრი რამ, ცხადია, საერთოა: ლინიმენტი მაშინაც მზადდებოდა მრავალი კომპონენტისაგან, ფორმის მიმცემ საშუალებად გამოიყენებოდა თაფლის სანთელი „ცვილი, ფიჭვის გომიზი... ორმოც ორმოც ღრამი“. სხვა კომპონენტების დამატების შემდეგ ხდება ამ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცველი სამკურნალო მცენარეების დანაყვა. შემდეგ თაფლის სანთელთან ერთად მათი „გასადნობელია“ — ე. ი. ცეცხლზე მოხარშვა და ლიტრანახევარი თაფლის დამატება და მტკივნეულ ადგილზე „ზედა შეიღვას“, როგორც გარეგანი საშუალება.

ასევე ლინიმენტების მომზადებისას ჩამოთვლილია სხვადასხვა ვარიანტები და სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების კომპონენტებით ლინიმენტების შეზავება: ასე მაგალითად: „ნიშანი ლიდიმედისა, რომელი საცნაურა არს ამითვე სახითა და საკრამატონი, რომელი ერგების სტომაქისა მოფოლხუბესა და სიუსუსურესა სტომაქისა მუცლისა და ასოთა ტკივილისათუის, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ნიახურისა თესლი და კორღმანა და სული და მარზანგოში და ნანხუა და ბავრუკი წითელი და ვაჟი და ანისონი და ულაბა, ამათგანი წონი ღრამისა თორმეტ-თორმეტისა და ცვილი, წონი ღრამისა სამოცდაათისა და ამურთისა თესლი, წონი ღრამისა შუილისა და გომიზი ფიჭუისა, წონი ღრამისა თორმეტისა და ზროხისა ცმელი გამდნარი, წონი ღრამისა ოცდაათისა. დანაყენ ესე წამალნი და გაცრენ და გაადნო ცვილი და ცმელი და მარზანგოში ეგრე ჩაურთო და ალატროსა ზეთი რაზომ კმა იყოს II და ეგრევე იწამლო, სარგებელ ეყოს, ნებითა ღმრთისათა. II“. ანდა კიდევ ასეთი ვარიანტი:

„ნიშანი ლიდიმედისა აფსინდისა ერგების სტომაქისა ტკივილსა და სიმსივნესა მისსა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: აფსინდი და მასტაქი და საბრი და ლადანი და შაშპრამი; ამათგანი წონი ხუთ-ხუთისა ღრამისა და ცული, წონი ათისა ღრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყე, დასცრენ და გაადგინო ცული ნარდისა ზეთითა, რაზომი ეყოფოდეს. ესე წამალნი ჩაურთენ, იწამლო, თუ ღმერთსა (უნდეს)“. ან კიდევ:

„ნიშანი ლიდიმედისა, რომელი ნიკრისიანთა ერგების საჩინოდ, ნებითა ღმრთისათა“.

ესე შეჰქმენ. ლეკუი ძაღლისა მრთელი და კუ დიდი ესე ქოთანსა ჩასდგენ და ბერძულითა ზეთითა ააგსნე. რომელ ზედა მოეჭყეს და ზედა დააბურო ქოთანნი და აღულო, ვირემ დაჩულებს და მერმე დასწურო და ჭურჭელსა ჩასხა და მერმე, როდეს გიკმდეს, მატყლი დაასოვლო და მტკივანსა ფერხსა ზედა დასდვა და შეუხუთო, კეკელია არს და გამოცდილი, ნებითა ღმრთისათა“.

„სამკურნალო წიგნ — კარაბადინის“ 221-ე გვერდზე მოცემულია რეკომენდაცია „კარი სიქანგუზანთა და შიადთა“. ასეთი წამლის ფორმების მომზადე-

¹ ე. ა. მურავიოვი, „წამალთა ტექნოლოგია“, გამომცემლობა „მედიცინა“. მოსკოვი 1971. რუსულ ენაზე. გვ. 630.

ბის ფარმაკოპეული რეკომენდაცია მოცემულია „უსწორო კარაბადინის“ ფურცლებზედაც, როგორც აღენიშნეთ სიქანგუბანები ღვიძლის ტკივილისა და კუჭნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენებოდა. „უ. კ.-ში“ სიქანგუბანების მომზადების მითითებისას (X არის შიაფთა მომზადება, ხოლო „ს. წ. კ-ის“ ფურცლებზე სათაურში მითითებულია შიაფების მომზადება, მაგრამ ტექსტში იგი მთლიანად სიქანგუბანების მომზადების ტექნოლოგიურ პროცესებთანაა გათანაბრებული. პარალელის გავლებისას ადვილად ვერწმუნდებით, რომ „უ. კ.-ის“ სიქანგუბანების და „ს. წ. ს.-ის“ სიქანგუბანების მომზადების ფარმაკოპეული წესი ერთი და იგივეა. I სამედიცინო წყაროში ჩამოთვლილია შემდეგი ქვეთავები: „კარი სიქანგუბანი სადასა“, „სიქანგუბანი უსულ“, „სხვა სიქანგუბანების ხასიათი“, „სიქანგუბანი ბუზურ“: „ნიშანი გახსნილსა სიქანგუბანისა“, „ნიშანი ჭულაბისა შესქერისა შაქრითა“ (მაშასადამე, ჭულაბი განხილულია სიქანგუბანის გვერდით, რაც გვაფიქრებინებს რომ ჭულაბი სიქანგუბანის ანალოგიური წამლის ფორმაა, ს. ს.). შემდეგ მოცემულია „სიქანგუბანი შესაკრავი“, ისევე „გასახსნელი სიქანგუბანი“, სიქანგუბანი უსულ“ და ბოლოს „სიქანგუბანი ბუზურ“, რომელიც მოსდევს „კარი ცხროთა“. „ს. წ. კ-ში“ კი მოცემულია შემდეგი თანმიმდევრობა: „ნიშანი სიქანგუბანისა შექმნისა თაფლითა“, „ნიშანი სიქანგუბანისა შექმნისა შაქრითა“, „ნიშანი გამხსნელისა სიქანგუბანისა“, „სიქანგუბანი სადა“, „სიქანგუბანი იესიულ“, „სიქანგუბანისა ხასიათი“ 4-ჯერ არის განმეორებული ტექსტში, ხოლო „უ. კ-ის“ „სიქანგუბანი ბუზურ“ და „ს. წ. კ-ის“ „სიქანგუბანი ბუზურ“-ში იგარძნობა მსგავსება, მაგრამ კომპონენტების რაოდენობაში აშკარად შეიმჩნევა განსხვავება. „ს. წ. კ-ში“ მოცემულ ტექსტში ყურადღებას იქცევს „უ. კ.-ის“ 111-ე გვერდზე მოცემული „სხვა სიქანგუბანის ხასიათი“ ტექსტი სადაც ვკითხულობთ: „ღვიძლისა სისუსტესა არგებს და ყაცსა რომე არა ეშეოდეს საჭამადსა მოანდომებს. აილე ორი ლიტრა წყალი და ერთი ლიტრა ძმარი და ერთი ლიტრა თაფლი, ადულე და პერული მოხადე („პერული მოხადე“ ხშირად ეხვდებით ასეთ გამოთქმას ტექსტში, ჩვენი აზრით „პერული“ უნდა იყოს დუდილის შედეგად წარმოშობილი „ქაფის“, „ნაღლის“ მოხდა „მოქაფვა“ სამზარეულო ხელსაწყო ქაფქირით, ს. ს.). ვირემ შესქელდეს, მისგან შესმა უზმოსა ცივითა წყლითა. ექუსი მიტყალი. გაყენე და შესვახ-და თუ კაპრის წვენი დაასხას იგი ეჯობინების“. ხოლო „ს. წ. კ-ის“ 224-ე გვერდზე ქვესათაურში „სხვა სიქანგუბანისა ხასიათი“ ვკითხულობთ: „ღვიძლისა-სისუსტესა არგებს და კაცსა რომე არა ეშეოდეს შეჭამადსა მოანდომებს: აილე ორი ლიტრა წყალი, ერთი ლიტრა ძმარი, ერთი ლიტრა თაფლი. ადულე და პერული მოხადე, ვირემ შესქელდეს მისგან შესმა, უზმოსა ცივი წყლითა ექუსი მიტყალი. გა(ა)ყენეთ და შესოს, თუ კაპრისა წვენი დაასხა, იგი ეჯობინების“.

ეკვი არ არის, რომ ეს ტექსტები იდენტურია.

„ს. წ. კ-ში“ სიქანგუბანების შემდეგ მოდის „კარი შარბათებისა“, ხოლო „უ. კ-ში“ „კარი ცხროთა“.

„უ. კ.-ისგან“ განსხვავებით „ს. წ. კ-ში“ 239-ე გვერდზე მოცემულია ახალი ქვესათაური: „კარი შესაკმართა მწნილთა, ანუ გამოზრდილთა“. სიტყვა

„მწილი“ ქართულ ფოლკლორულ მეტყველებაში დღესაც გავრცელებული გამოთქმაა, რომელშიც იგულისხმება დიეტური მცენარეული წარმოშობის საკვები. „მწილი“ გურიაში გავრცელებული დიეტური საკვებია, რომელსაც ამზადებენ გაზაფხულზე პრასისაგან, პრასის ნერგს ფესვებამდე მთლიანად მოთხრიან, გულმოდგინდით გარეცხავენ, შემდეგ აწარმოებენ ე. წ. „მოწალვას“ ანუ სანახევრო მოხარშვას — ქვაბში წამოდულუბამდე და შემდეგ ლამაზად კონებს აკეთებენ, რასაც უმატება, როგორც წესი, ღვინის ნატურალური ძმარი, ცოტაოდენი დაფნა, ნიახურის ღეროები ფოთლებითურთ და ასევე ოდნავ მოხარშული წითელი პატარხალი. ყოველივე ამას უმატებენ ცოტაოდენ მარილს, კამას, თიხის ღერგში თავსებენ და ერთი კვირის შემდეგ ე. წ. პრასის მწილი მზად არის, რომელსაც გააჩნია მადის მოძგვრელი თვისებები და რაც მთავარია მწილი კუჭის სამოკმედო საშუალებაა. იგი აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას. სურვილისამებრ ხდება პრასის მწილის შეკაჭვვა დანაჟილი ნივრებით, ქინძით და სხვა ძველი ქართული ტრადიციებისამებრ საკმლის სანელსაცხებლო კომპონენტებით. ამავე წესით ამწილებენ ნორს, კომბოსტოს თვით კაპრს — იგივე ჯონჯოლს, პამიდორს და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მცენარეულ პროდუქტებს. დღევანდელი ხალხური ტექნოლოგია მწილების დამზადებისა ძირფესვიანად განსხვავდება იმ მწილებისაგან, რომელიც „ს. წ. კ-შია“ მოცემული. ამ წამლის ფორმის ფარმაკოპეულ რეკომენდაციაში შემდეგს ვკითხულობთ: „დავიწყეთ შეწვევითა ღმრთისათა თქუმად ნიშანთა სასუმელთასა შესაქმართასა, რომელნი ერგებიან მრთელთა და სნეულთა და გამოსაზრდელთა და შესაქმართა და ვახსენეთ ნიშანი წინა პირველთა მკურნალთა და უკანათანი, რაი ოდენ პირველთა მკურნალთა ეთქუა შექმნა ყოველთა სასუმელთა ღუინითა და ყვეს თაფლისა და ყამისა ამის ჩუენისათა, აკრიბეს ღუინო და ყვეს თაფლისა ადგილსა შაქარი და ამისთვის ქნეს ესე, რაოდენ ერაკისა ჰა(ე)რნი ცხელნია და ცან ესე და გამოიძინე ქმნა, რომელთა გინებს. ნიშანი სიქანგუბანისა შექმნისა თაფლითა ერგების მრთელთა და სნეულთა, ნებითა ღრმთისათა. აიღე: ქერქი ამისა ძირისა ნედლისა და ნიახურისა ძირი, ამათგანი თუითო ლიტრა და კამისა თესლი და ანისონისა თესლი და ნიახურისა თესლი. ამათგანი ოთხ-ოთხი უმკია. შეჰკრიბენ ყოველნი და დაასხი ზედა ათი ლიტრა ძმარი თეთრისა ღუინისა, უკეთესი, ხოლო რომელი იყოს და გასწყდეს დღესა და ღამისა და მერმე ქვისა ქოთანსა ჩაასხი, ეგეთადვე ცეცხლთა ზედა დასდგა დააგბო, ვირემ წავიდეს მესამედი II უფროცა და მერმე დასწურო ძმარი მათი ძირთა და თესლთაგან და გასწყდე. ვირემ დაწმდეს და მერმე აიღე თაფლი პერულმოკილი რვა ლიტრა და ესე შემგბარი ძმარი მას ზედა ჩასხა ქვისა ქოთანსა წმიდასა და შეუგზნა ქუეშე ცეცხლი ლბილი და პერულსა მოკიდე ყამითი ყამად და აგბო ვირემ შესქელდეს და შეიქმნას, ვითა გინდეს და უკმოილო ცეცხლთაგან და ჩაურთო მცირედი ზაფრანი, რომელ ფერი დაუშუენდეს და ქიქისა ჭურჭელსა ჩაასხი და როდეს გინდეს, იკმარო კეკელა არს, თუ ღმერთსა უნდეს...“

ნიშანი სიქანგუბანისა, შექმნისა შაქრითა, ერგების მხურვალთა, ნებითა ღმრთისათა. აიღე: თესლები ესევე და ძირები და აგბო, ვითა ნიშანი მიგუთე-

მია პირველსა ნიშანსა შიგან და თაფლისა ადგილსა შაქარი ჰყო. დააგბო, ვირემ შესქელდეს, რაზომცა გინდეს და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასხა და იკმარო, თუ ღმერთსა უნდეს. სპეციალისტების ყურადღებას იქცევს „სუინტრის ძირისაგან“ წამლის ფორმის ფარმაცოპეული რეკომენდაცია. რომელშიც შემდეგს ვკითხულობთ: „ნიშანი აშკაყულისა გამოზრდილისა, რომელ არს სუინტრის ძირი. ერგების, თუ ღმერთსა უნდეს. აიღე: სუინტრის ძირი ნედლი, გაქურცნილი ორი ლიტრა დასჩხუებო ნემსითა სხულითა და წყალსა ჩასდვა და მცირედი მარილი ჩაურთო და გასწყდე ერთსა კუირესა და მერმე გამოუცვალო მარილ-წყალი კუირესა ერთსა სხუასა და გამოილო და მისურსა ზედა გაჰყვნო ღღესა და ღამესა, ვირე დაწრდეს წყალი მისი. მერმე თაფლსა შიგან ჩასდვა კუირესა ერთსა სხუასა და როდეს გათხელდეს თაფლი და შეიქმნას ვითა წყალი, ჩასდვა ხუა თაფლი ორსა კუირესა და მერმე გამოილო და ჩასდვა სხუა თაფლი მესამედ და მერმე აილო სხუა თაფლი, რაზომი დაფარვიდეს და თანგირავთა ჩასხა და ჩაურთო ორისა დრამისა წონი ზაფრანი და ორისა დრამისა წონი კარამფული და სამისა დრამისა წონი ზაფრანი და ორისა დრამისა წონი ზანჯაბილისანი. დანაყენ ყოველნი და დაცრენ და ჩაურთენ ამას თაფლსა და აღუღო კეკელად ვირემ შესქელდეს და უკმოილო ცეცხლთაგან და გასწყდე, ვირემ გაგრილდეს და მერმე ესე სუინტრისა ძირი შიგან ჩაყარო გაგრილდეს და მერმე ესე სუინტრისა ძირი შიგან ჩაყარო მას თაფლსა, რომელ ესე წამალნი ჩაგეყარნენ და ჭიქისა ჭურჭელსა ჩასხი და დამარხო და როდეს გინდეს იკმარე, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა. ერგების სიუსურესა თირკმელთასა და შესწევს დიაცსა თანა მისულსა და შეუმატებს ფერსა და გაუძლიერებს შავსა და ესე ერგების ნოტიათა ამას ზედა, იცოდე, თუ ღმერთსა უნდეს. ს. წ. კ-ის 241-ე გვერდზე მოცემულია „ნიშანი ნიგოზისა და იქმების პურისა უწინა და უკანას. სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა. აიღე: ნიგოზი ნედლი, რაზომი II გინდეს, რომე ჭერეთ არა გამაგრებულიყოს და დასჩხუებდი ნემსითა კეკელად და ჩასდვა მარილწყალსა და გამოუცვალებდე მარილწყალსა ყოველსა ღღესა და ჰქმნა ესე ყოველთა ღღეთა ათსა ღღესა და მერმე გამოილო მარილი წყლისაგან და მისურასა შიგან გააფინო ჩრდილსა და მერმე თხელსა თაფლსა შიგა ჩასდვა უგბილსა და შასწყდე შიგან კუირასა ერთსა და გამოუცვალებდე თაფლსა სამსა კუირასა და მერმე აიღე თაფლი კეკელა პერულმოკდლი და ჩაურთო კილამონი და ზანჯაბილი და დარ(ა)ფილფილი და კარამფული, ამათგანი სწორი ნაწილი და ზაფრანი ნახევარ ნაწილი. ესე წამალნი დანაყენ და დაცრენ და ჩაურთენ და დასდვა ცეცხლთა ზედა, რომელ შესქელდეს და უკმოიღე ცეცხლთაგან და გასწყდე, ვირემ გაგრილდეს და მერმე ნიგოზი ამას თაფლსა ჩასდვა და როდეს გიკმდეს, იკმარო, სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა“, თანამედროვე კულინარული თვალსაზრისით კაკლის მურაბის მომზადების ზოგიერთი დეტალი ანალოგიურია XV საუკუნეში უკვე ცნობილი ე. წ. „კაკლის წნილის“ მომზადებისა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თაფლის გამოყენება მასში ამჟამად სრულიად აღარ ხდება. „კარი შესაქმართა მწნილთა, ანუ გამოზრდილთა“ შემდეგი ქვესათაურებია ჩამოთვლილი: „ნიშანი ჭულან ჭაბინისა გამოსაზრდელთა თაფლითა

და არს“. „ნიშანი ჯულან ჯაბინისა შესაქმრისა შაქრითა. ნიშანი იის გამოზრდილისა“, „ნიშანი აშაკულისა გამოზრდილისა, რომელ არს სუინტრის ძირი“, „ნიშანი ნიგუზისა გამოზრდილისა ერგების“, „ნიშანი ხალილაგისა გამოზრდილისა ქაბულისა“, „ნიშანი ბალილაჯისა გამოზრდილისა“, „ნიშანი ზანჯაბულისა გამოზრდილისა თაფლითა“, „ნიშანი აყიროსა გამოზრდილისა“, „ნიშანი გუნდისა გამოზრდილისა“, „ნიშანი ბიისა გამოზრდილისა“, „ნიშანი ბოლოკისა გამოზრდილისა“, „ნიშანი ბადრიჯნისა გამოზრდილისა“, როგორც ვხედავთ ამ მცენარეებისაგან მზადდებოდა წნილები. მათ შორის დღევანდელი ბოლოს თვალსაზრისით დიეტური კვებისათვის ბევრი მათგანი ფრიალ საჭირო ნედლეულია და ძველად „მწნილებს“ მოსამზადებლად სამკურნალო მცენარეული ნაყოფები გამოიყენებოდა: ვაშლი, ბია, ბოლოკი და ბადრიჯანი იმთავითვე სამკურნალო მცენარეებად იყვნენ მიჩნეული, რომლებიც დღეს საკვებ-კულინარულ და დიეტტიკურ საკვებად არის მიჩნეული, რაც საუკუნეების მანძილზე ხალხური გამოცდილების და სიბრძნის დაგროვების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული: „ნიშანი ვაშლისა გამოზრდილისა ერგების სტომაქსა და გულსა შალსსა და აშუნდს დედათა უძლებთა II რომელთა ყმისა ვნებასაგან ეშინოდეს, ნებითა ღმრთისათა“.

„აიღე: ვაშლი ტბილი, მაგარი დიად უმაგრესი, ხოლო რომელ იყოს ვაშლთა შიგან და დასხუებო ნემსითა თანასთანას და მარილწყალსა შინა დააღბო სამსა დღესა და მერმე გამოუცვალებდე მარილწყალსა ყოველსა დღესა ერთჯერ, ვირმე გასრულდეს ათი დღე, და მერმე დააღბო უმარილოსა წყალსა შიგან, რომელ წავიდეს მარილენობა მის და მერმე თაფლსა ჩასდვა გამოუცვალებდე თაფლსა, ვითა ნიშანი მიგუიციეშია, ვირმე გასქელდეს და მერმე აიღო თაფლი, რაზომი დაფარვიდეს და ჩაურთო ზაფრან და კარამფული, ამათგანი სწორი წონი და შეჭრიო ვაშლსათან და ჰიქისა ქოთანსა ჩასდვა და როდეს გინდეს იხმარო, თუ ღმერთსა უნდეს“. სხვა ვარიანტი წნილის მომზადების ტექსტში შემდეგნაირად არის ასახული.

„ნიშანი ბიისა გამოზრდილისა. ერგების სიუსუსურესა სტომაქისასა და გახსნის შავსა და შეკრავს მუცელსა, ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ბია, რაზომი გინდეს და დასჭრა და გასწმიდო გელისა და გურკისაგან და ჰქმნა ეგრე II ვითა ვაშლი გექნას და ჰურჰელსა ჩასდვა და იკმარო. რასათვის ნიშანი მიგუიციეშია. კეკელა არს და სარგებლისა ნებითა ღმრთისათა. ანდა კიდევ ბოლოკის წნილის მომზადების ფარმაკოპეული რეკომენდაცია ასეთნაირად არის მოცემული დღემდე.

„ნიშანი ბოლოკისა გამოზრდილისა ერგების ბევრსა სტომაქისასა და ჰყუირილსა მისსა და აშუნს, ვის უნდეს თხევისა ნებითა ღმრთისათა.

აიღე: ბოლოკი და გაჭურცნა და დასჭრა და ჰქმნა ეგრე, ვითა ნიშანი მიგუიციეშია სტაფილოვანისა და ჩაურთნე შიგა იგივე წამალნი. რა მისგან ჩაგერთნენ და ჰუევრსა ჩასდვა და როდეს გინდეს, იკმარე ნებითა ღმრთისათა“.

„ნიშანი ბადინჯარისა გამოზრდილისა. იკმების თაფლითა სხუათა თაფლიანთა თანა, თუ ღმერთსა უნდეს.

აიღე: ბადინჯანი, ჰქმნა ეგრე, ვითა ნიგუზისა, კეკელა არს, თუ ღმეროსია უნდეს“.

„დასრულდეს ნიშანი გამოსაზრდელთან თაფლითა ძალითა ღმრთისათა, და ჭე(რ)არს, რათა სცნა, ვითარად ყოველნი, რომელნი გამოიზარდებიან თაფლითა, კმანან. დალბობა მარილწყლითა, რომელ შემწიფდნენ და მერმე ეგრე, როდეს გამოიღო მარილწყალისაგან II და ჩასხნე წყალსა წმიდასა, რომელ არა იყოს მარილი მას შინა და მერმე ჩასდგა თაფლსა და სცნა, ვითარად ერაკის მარილწყალისა გამოღებისასა უკანას ამათ გამოსაზრდელთასა უწინა ჩასხენ და შაბსა შინა, რომელ არს დანასკუდისა. დაამებენ მითა და მერმე ჩასდებენ თაფლსა შიგან: ამის ყოვლისასა უკანას, განა ესე ნიშანი რომელ ჩუენ მიგუიციეშია უკეთა და უსარგებელის ტანისათვის და უკეთუ გინდეს, რათა თაფლი მასხადა არა გაგიკდეს. აიღე იგი თაფლი, რომლისაგან ესე გამოზრდილნი გამოგეკურნენ და ქოთანსავე უკუნაქციო და აგბო, ვირემ შესქელდეს, ვითა პირველივე თაფლი და საქმედვე შეაგლო და არა გაგიკდეს, მისვანი არა-რა მასხად. დასრულდა თქუმა მწწნლთა და რომელთა ჭერ არს გამოზრდა სრულებით, შეწეენითა ღმრთისათა“.

წამლის ფორმების ნაირსახეობა „სამკურნალო წიგნ- კარაბადინში“

ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერი — კარაბადინების წამლის ფორმების ზოგადი და შეფარდებითი დახასიათება ჩვენ წინა ქვეთავეში განვიხილეთ, მაგრამ ხელნაწერი Q ფონდი № 877 ამ მხრივ ყველაზე სრულყოფილია, ამიტომ განვიხილავთ 25-მდე წამლის ფორმების ძირითად კომპონენტებს, დოზებს, რეგლამენტს და წამლის ფორმების მომზადებისას ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც წარმოდგენას გვექმნის მაშინდელ სამედიცინო აზროვნების დონეზე, წამალთფორმების ნაირსახეობაზე, მკურნალობის მეთოდებზე და ნაწილობრივ შედეგებზედაც.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებს შორის, ზაზა ფანასკერტელის და მახარებელ მალალაძის „სამკურნალო წიგნ — კარაბადინში“, XV საუკუნის ამ წერილობით წყაროში, შუა საუკუნეებისათვის მართლაც გასაოცარი და ნაირფეროვანი წამლის ფორმების მოსამზადებელი რეკომენდაციებია მოცემული. სტერილური საინექციო ხსნარების, ანტიბიოტიკების და ვიტამინების გარდა დღესაც ძნელია წარმოიდგინო წამლის რომელიმე ფორმა, რომლის შესახებ საფუძვლიანი რეკომენდაცია არ იყოს მოცემული ამ უნიკალურ ფარმაკოპეიაში. წამლის ფორმების მომზადებისათვის ძირითადად რეკომენდებულია სამკურნალო მცენარეული ნედლეული, ასევე პერულმხოხილი თაფლი, თეთრი ცვილი, დინდგელე, ქიმიური წარმოშობის სხვადასხვა მარილი, ვერცხლი, ოქრო, გოგირდის შენაერთები, რკინის წიდა და ძალიან ხშირად გვხვდება ცხოველური წარმოშობის ორგანოთერაპიული ჰორმონების შემცველი ჭირკვლები, ირმის რქა, სხვადასხვა ცხოველების გამხმარი ნაღველი, მერცხლის მულაბი, მერცხლის ნაცარი, მტრედის ხუნდი (მტრედის

ბარტყი) და ღვინო, რომელიც ძირითადი კომპონენტია წამლის ფორმისა და ა. შ. წამლის ფორმების ნაირსახეობა მოცემულია ამ სამედიცინო ხელნაწერის, როგორც პირველ, ასევე მეორე ნაწილში, „კარაბადინის“ II ნაწილში გრძელდება „კაცთა ყველა ჰირის“ სამკურნალო წამლის სხვადასხვა ფორმა „თავით, თმითგან ვიდრე ფერხისა ფრჩხილამდე“.

უპირველესი წამლის ფორმა, რომელიც ამ კარაბადინის ფურცლებზე გვხვდება არის „კარი თრიაყებისა დიდისა“. ანუ ანტიდოტებისა (იხ. გვ. 93) აქვეა ქვესათაური: „შექმნა წამლისა, რომელსა სახელი ჰქუიან ფიფალ მეფისა“ (იხ. გვ. 97) ასევე „შექმნა წამლისა რომელსა სახელი ჰქუიან ნაბოძვარი ღმრთისა“ (იხ. გვ. 98).

თრიაყების, ანუ ადაბტაციური ანტიდოტის შესახებ, მასალები გვხვდება I ათასწლეულის ბოლოს მითრიდატე VI ევპატორის ეპოქაში. XV საუკუნის „კარაბადინის“ ამ ქვეთავში, „როგორც რთული მაჯუნის“ შესახებ, საუბარია „ნიშანი მაჯუნისა რჩეულის მათროლიტოსი“ (იხ. გვ. 113—114). კლავდიუს გალენის სამედიცინო მემკვიდრეობას რომ კარგად იცნობდნენ ქართველი მედიკოსები, იქიდან ჩანს, რომ მის სახელს „გალიანოზის“ ზედწოდებით იხსენიებენ. „ნიშანი მაჯუნი გალიანოზისა“ (იხ. გვ. 117).

ასევე ნახსენებია „თიადუკ მკურნალი“ ანუ „თიადიკო მკურნალი“, რომლის ვინაობის დადგენა ჭერჭეროვით არ მოხერხდა. თრიაყების ვარიანტების რაოდენობა ამ ქვეთავში 74-მდე აღწევს. (იხ. კარაბადინის შესაბამისი გვერდები 93-დან 152-მდე).

ამ კარაბადინში წამალთფორმების II ქვეთავში მოცემულია „კარი გუარინშთა“ (იხ. გვ. 131) „გუარინშები“ ძირითადად სითხოვანი, მრავალკომპონენტიანი წამალთფორმებია, რომელთა შორის არა ერთი სახელობითი (საავტორო) მინიშნებებია: „გუარინში იტრიფალისა უფროსისა“ (იხ. გვ. 134) „გუარინში იტრიფალისა უმცროსისა“ (იხ. გვ. 138), ანდა კიდევ, „ნიშანი გუარინშისა, რომელ არს გუარინში სოლომონისა დავეთისძისა“ (გვ. 138), „ნიშანი გუარინშისა ამბროსი დიდისა“ (იხ. გვ. 140). აქვეა ჩამოთვლილი მცენარეული წარმოშობის ნედლეულზე დამზადებული „გუარინშები“: „გუარინში ვაშლისა“, „გუარინში ქუშტისა“ „გუარინში თურინჯისა“, „გუარინში სულისა“, „გუარინში პიტნისა“, „გუარინში ქარვისა“, „გუარინში შაქრისა“ და სხვა გუარინშები, რომელთა საერთო რაოდენობა 44-მდე აღწევს ამ ქვესათაურში.

მესამე წამლის ფორმა სამედიცინო ხელნაწერ Q ფონდ № 877-ში არის, „კარი იარაჯთა და გასახსნელნთა წამალთა“ (გვ. 152).

ამ ქვეთავში 21 იარაჯის ვარიანტია მოცემული, რომლებიც ძირითადად კუჭის სამოქმედო საშუალებებია და ამავე დროს გამიზნულია, როგორც ჰიის დამაყრვენიბელი საშუალება. ამ მხრივ აღსანიშნავია „იარაჯი გალიანოზისა დიდისა“ გვ. 155), ასევე ნიშანი „გასახსნელისა წამლსა, რომელ არს წამალი გალიანოზისა“ (იხ. გვ. 159), აქვეა „გასახსნელი წამალი კარგი — სოლო-

მონისი“ და ა. შ. „ნიშანი გასახსნელისა წამლისა გალიზონისა, რომელ არს ფიფიაპიდი“. (გვ. 160) რომლებიც რბილ წამლის ფორმებს უნდა მივაკუთვნოთ.

შემდეგი წამლის ფორმებიდან ამ კარაბადინში აღსანიშნავია „კარი წაძალთა გასახსნელთა, მატბუხთა სარგებელთა“ (იხ. გვ. 162).

ამ ქვეთავის ტექსტიდან აშკარად ირკვევა, რომ მატბუხი რთული სითხოვანი წამლის ფორმაა, რომელშიც 33 მცენარეული წარმოშობის ნედლეული შედის. აი ზოგიერთი მთვანი: სინამაქი, სომხური ელევანტი, კამის თესლი, ნიახურის თესლი, წითელი კოდი, ია, დაფნის ძირი, ლელუი მსუქანი, შათრაჯ ხმელი. „შეპკრიბე ყველა, ესე წამალნი, ქვისა, ქოთნისა შიგა ჩასდვა ანუ თანგირათვა წმინდათა და ზედა ბალდადურითა ექუსი ლიტრა წყალი დაასხი წმიდა და აგბო, ვირე მისგან ორი ნაწილი წავიდეს და ერთი ნაწილი დარჩეს და მესამე წაურთო ზედა და ქოთანი ჯერეთ ცეცხლსა ზედა დგეს, თხუთმეტისა დრამისა წონი, აფთიმონი აკრიტი და ვამორჩეული შეშისა მისისა და ნაცრისაგან და აღულო, ვირე დარჩეს მისგან ლიტრა ერთი და უმცროცა, და დასწურო და ოდეს გინმდეს ამათ სხუათა ღიდროვანთა იარაჯთაგანი შესუამდე, შეასუა მით აფთიმონისა მატბუხითა, რომელ უწინა ვაკსენებთ და თუ არა ჩაერთო ესე რომელთა ჩუენ ვახსენებთ და არიან ეს წამალნი“ (იხ. კარაბადინი“, გვერდი 162—163).

აქვეა ნახსენები „მულაბი“, „მულაბი დიდისა მატბუხისა“ (იხ. გვ. 170). ამ ქვეთავში სულ 12 სხვადასხვა მატბუხის ვარიანტია აღწერილი და შემდეგ მოცემულია „კარი მატბუხთა რომელნი არა გასახსნელნი არიან“. სათაურებში და ტექსტში მოცემული რეკომენდაციებიდან აშკარად იგრძნობა, რომ ამ მატბუხთა ძირითადი ფარმაკოლოგიური თვისება ნაღვლის ბუშტის და ღვიძლის სამკურნალო თვისებებით გამოირჩევიან. ასევე, ნახსენებია „ნიშანი მატბუხისა სხუისა ფანალისაითა (ელენთისა, ს. ს.) სიმსივნისა“. სულ მოცემულია 5 ვარიანტი მატბუხთა მომზადებისა.

ამის შემდეგ „კარაბადინში“ მოცემულია ქვეთავი „კარი შესამარცხლებელთა და შიფთა“ (იხ. გვ. 174) ექვი არ არის უძველესი ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის მიხედვით „მარცვალი“, მაგარი წამლის ფორმაა, რომელიც თანამედროვე გაგებით აბების, კვერაკების (ტაბლეტების ს. ს.) ან კაფსულების სახესხვაობა უნდა იყოს. ეს წამალთფორმები ძირითადად გამიზნული ყოფილა თავბრუსხვევისა და შაკიკის სამკურნალოდ (ნევროპათოლოგიური და ნეიროფსიქიურ დაავადების ფარმაკოლოგიური საშუალებანი). „ნიშანი გალიზონისა“ (გალენისა ს. ს.) („ნიშანი წამლისა, ძლიერისა, რომელ არს მარცვალი წყლითა მაკეთა“ (გვ. 177) საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში შარდდამდენ საშუალებაზეა საუბარი. იქვეა მარცვლის მომზადების შესახებ წესი, „რომელიც ერგების წყლითა მაკესა“, არის „მარცვალი“ ნიკრისის ქარის დაავადების სამკურნალოდ. აქვეა „ნიშანი მარცვლისა, ერგების სიმკერალესა პირსა“, ჩვენ წინაპრებს სცოდნიათ ისეთი მარცვლის მომზადება „ერგების ოდეს ენასა ქუეშე დაიდვასა“, „მარცვალი ერგების ტკი-

ვილსა ფირტუისასა“... „დაამებს სულსა პირისასა“. ამ ქვეთავში მოცემული მარცვალთა მომზადების წესი ოცდათორმეტნაირია.

შემდეგი წამლის ფორმა, რომლის მომზადების წესი და ფარმაკოლოგიური სამკურნალო თვისებებია აღწერილი ამ კარაბადინში, გახლავთ „კარი ლუოკთა, რომელ არიან სალოკელინი“ (იხ. გო. 186). სალოკელი წამლის ფორმების ძირითადი კომპონენტებია: ქ — თირას გომიზი, საზამთროს თესლი, „ნაჟუის მარცვალი“ 6-7, სამკურნალო მცენარე, ექუსი დრამისა ოდენობით, შემდეგ კი წამლის ფორმის მომზადებისათვის „შეკრიბე ესე წამალნი, დანაყენე დაცრენ, და ნუშისა ზეთისა შესუარნე ანუ ეზოთა ფურთათა ათისა დრამისა წონითა და პერულმობდლთა თაფლითა შეზილო და ჭურჭელსა შიგან ჩასდვა. შესუმა, სრული წონი სამი დრამისა ზოგაფთისა ნაგბოლითა, რომელ უწინა, ნიშანი მიგუიცივია ანუ ვირისა სძითა ორისა დრამის წონითა, კეკელია ანუ სარგებლისა არს ნებითა ღმრთისათა“. (გვერდი 187).

ასეთი წამლის ფორმები ძირითადად ენიშნებოდა ავადმყოფებს ფილტვების დაავადების შემთხვევაში, ხველების და სასუნთქი გზების გაღიზიანების დროს, „და მოყრიდნენ მყარლსა, ნერწყვსა, და ყოველსა ხუელასა ძუელსო“, ასევე „მკერდის სიშქისის“ დროსაც, როცა „სისხლსა ნერწყუსა ამოპყროდეს და ვის ხუელასთანა... და შეიპირებდნენ და მკლდებოდიან“. სალოკელ წამლის ფორმებიდან მოცემულია 14 ვარიანტი. ასე მაგალითად: „ნიშახი ძირთაფლისა ლუოკოისა“ და ა. შ.

შემდეგი წამლის ფორმა, რომელზედაც ლაპარაკია „სამკურნალო წიგნ — კარაბადინში“ არის „კარი აკრასათა, რომელ არიან კუერნი შესაქმნელნი“ (იხ. გვ. 191). ასეთი წამლის ფორმები ძირითადად მექანიკური წესით მზადდებოდა, რომელიც ზოგ შემთხვევაში 16-მდე კომპონენტს შეიცავდა. აქედან 15 იყო მცენარეული წარმოშობის ნედლეული, ხოლო მეთექვსმეტე თავის „კუერი“. წამალი მზადდებოდა ცივი წესით უცეცხლოდ. ძირითადი მანიპულაციები იყო დანაყვა, დაცრა (გაცრა), შერევა, შეზელვა „კვერად დაქნა“ და გახმობა ჩრდილში. ე. ი. ამ შემთხვევაში ფიზიკურად მაგარ წამლის ფორმაზეა ლაპარაკი. „კუერი“ ზოგჯერ გარეგანი სახმარი იყო, ასე „მაგალითად: საფეთქელზე წასასმელი, რომელშიც ოპიუმი (დამაძინებელი ხაშხაში) შედიოდა, სხვა შემთხვევაში „კუერის მიღება“ ხდებოდა „ნიახურის წყლით“, ან შესმა „ზეგნურითა ღვინითა“. ასეთი „კუერი“ ენიშნებოდა ავადმყოფებს „მჯდომის“, „ბუშტის“ და „თირკმელის“ ტკივილისას. „კუერი ერგების ვინ სისხლსა ფსამდეს“ ვის „კოლინჯი სტკიოდეს“, ერგების „ფაწასლასა გასიეებულსა“ და ა. შ. ამ კარაბადინში „კუერთა შექმნის და ნიშანთა“ 22 ვარიანტია მოცემული.

რაცთ IX წამლის ფორმა კარაბადინში არის „კარი ლიდიმელთასა, რომელ არიან გარე შესაცხებელნი წამალნი“. წამალთექვსმეტი ოდენობის ტერმინოლოგიის თანახმად ამკარაა, რომ მოსქო კონსისტენციის გარეგან შესაზელ რბილ წამალზეა ლაპარაკი, ასეთი ტერმინი, ლინიმენთი, გამოთქმაც არაბულიდან უნდა მოდიოდეს. „ლინიმენთები“, როგორც ჩანს მზადდებ-

ბოდა „ნიკრისნთა დავადებულთათვის“, „ყუერის გასივებულთა“, „სიმსივნეთა შემთხვეულთა“, „დაამწიფებს სიმსივნეთა“ „გახეთქს სიმსივნეთა“, „ერგების მუცელის წყლულობასა“, „სიმსივნესა ყურისა“, „ერგების ლუიძლსა მტკიანსა“, „ერგების წაკუეთილსა ძარღვსა მახუილითა“, „ამორდომალსათა და მოტეხილთა“ და ა. შ. „კარი ლიდიმედლასა“-ში მოცემულია ამ წამლის ფორმის 48 ვარიანტი.

„სამკურნალო წიგნ — კარაბადინში“ ფართოდ არის რეკომენდაციები მცენარეული წარმოშობის ცხიმოვანი და არომატული ზეთების გამოყენების შესახებ.

ჩამოთვლილია:

ნარდის ზეთი

მურტის ზეთი

ბაბუჯანის ზეთი

აფსინდის ზეთი

ცერეცოს ზეთი

ღარიკონის ზეთი

შროშანას ზეთი

ნიგეზის ზეთი

სელის ზეთი

ჰინლაკოკის ზეთი

ზეთის ხილის ზეთი და ა. შ.

კარაბადინში 22 სახის ზეთია ჩამოთვლილი, რომლებიც სხვადასხვა დაავადებათა საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა ქართველი მედიკოსების მიერ XV საუკუნეში.

რიგით XI წამლის ფორმა, რომლის შესახებაც კარაბადინში არის საუბარი ეს გახლავთ „კარი სიქანგუბინთა და შიაფთა“ (იხ. გვ. 221). სიქანგუბინი ცხელი წესით მომზადებული მოსქო კონსისტენციის რთული წამლის ფორმაა, რომლის მომზადებისას ძირითადად მცენარეული წარმოშობის ნედლეული გამოიყენება, რასაც ემატება ცხარე ძმარი, წყალი და ქოთანში ინარშება სანამ ერთი მეოთხედი არ აორთქლდება, შემდეგ ემატება პერულოზნილი თაფლი რვა ლიტრი და ისევ დუღდება, დროგამოშვებით ხდება მოქაფვა — ქაფის მოხდა, რომელშიაც 11 სხვადასხვა სამკურნალო მცენარის თესლი, ფოთოლი და ძირი ინარშება. სულ ბოლოს ზაფრანა ემატება. დაახლოებით ასეთივეა შიაფთა მომზადების ტექნოლოგიური პროცესი. ამ ქვეთავში სულ 11 სხვადასხვა ვარიანტია სიქანგუბინთა და შიაფთა მოსამზადებლად.

XII წამლის ფორმად მახარებლისა და ზაზას ფარმაკოპეიაში მოცემულია (იხ. გვ. 225) „კარი შარბათებისა“. შარბათები აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი წამლის ფორმებია, რომლებიც ძირითადად სითხოვან, მრავალკომპონენტიან წამლის ფორმას განეკუთვნება. ამ წამლის ფორმები, როგორც წესი შექარზე მზადდება. აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც „შარბათი“, ანუ ბადაგზე მომზადებული წამლის ფორმა. შარ-

ბათების მომზადების სხვადასხვა ვარიანტი ამ წერილობით წყაროში 41-მდე აღწევს, რომელთა შორის პოპულარულია მცენარეულ ნედლეულზე მომზადებული შემდეგი შარბათები:

1. იის შარბათი
2. ვარდის შარბათი
3. ლელოფაროს შარბათი
4. ისრიმის შარბათი
5. ფშატის შარბათი
6. ბროწეულის შარბათი
7. შროშანის შარბათი
8. თურინჯის შარბათი
9. ნიგვზის შარბათი
10. მურტის შარბათი
11. ვაშლის შარბათი
12. ბიის შარბათი
13. ლიმონის შარბათი
14. აფსინდის შარბათი
15. თაფლის შარბათი
16. ხანდიკონისა, ანუ თაფლუკის შარბათი
17. მსხლის შარბათი
18. ყურძნის რუბისა შარბათი
19. პიტნის შარბათი
20. უნაპის შარბათი
21. სუმბულის შარბათი
22. მუშკისა შარბათი
23. ხაშხაშის შარბათი
24. კოწახურის შარბათი
25. ქლიავის შარბათი
26. პანდრის შარბათი
27. დემოკრიტეს შარბათი

„იკარი შესაქმნათა მწნილთა, ანუ გამოწრდილთა“. მწნილები „რომელნი გამოიზარდებიან თაფლითა და იხმარებიან სნებათა შინა... შემთხვეულთა ტანსა შინა კაცთასა“... ამავ გვერდზე მოცემულია „ვარდის მწნილის მომზადების დეტალური აღწერა „რომელიც ერგების ტკივილსა სტომაქისასა სინოტიესა შეკრებულსა... დაყოფილთა ღუიძლისათა და ერგების სიმსივნესა ფანალისასა“... „აიღე. ვარდი გამოწრდილი მისისა გურკისა და თესლისაგან, რაზომი გინდეს და გაათინო წმინდასა სამოსელსა ზედა ჩრდილსა შიგან რეთსა დღესა და მერმე აიღე ყოვლისა ლიტრისა ვარდისა ხუთის ლიტრა და ნახევარი თაფლი პერჯლმობდილი. და თუ თაფლი ცხელი იყოს და შექმნას ვარდისა ფურცელი ვითარცა ტყავი და შეპრავნეს ქურაზასა შინა ანუ ულოდისა კეკელად, მერე ჟღლიმო ხელითა და ქუევერსა ჩასდგა ცხელსა და თხელ-

თა მჩუხითა მოჰკრა ზედა და მოუტრედე ყოველსა დღესა, რომელ არა დამ-
ჯავდეს. იქმოდე ამას ორ თუე და მზისაგან შინა შემოღებისა ჟამსა აიღე
ყოველისა ლიტრისათუის ორი ღრამისა წონა მასტაქი და ნახევარი ღრამისა
ზაფრანი ორივე დანაყილი ჩაურთო შიგან და შეპრიო კეკელად და ზედა მოჰ-
კრა და დამარხო და როდეს გინდეს იკმარო“.

კარაბადინის ფურცლებზე შემდეგ ნახსენებია იის მწნილი ან „გამოზრ-
დილი“ „სუნიტრის ძირის“ მწნილი, „ნიქუბისა“, „ბალილაჯისა“, „ზანჯაბუ-
ლის“, „აყიროს“, „გუნდის“ ხის გამოზრდილი, „სტაფილოს“, „თურბუთის“, „ვა-
შლის“, „ბიის“, „ბოლოკის“ და „ბადრიჯნის“ გამოზარდილისა, ანუ, მწნილთა,
რომლებიც გამოიყენებოდა „სიუსუსურესა თირკმელისა“, „ერგების ტკივილსა
სტომაქისასა და ვის გულსა ძგერას იყოს“... „ქარსა ბავასირისასა“, „ვის გა-
ეგრძობოდეს თირკმელი“, „აყიროს წნილი“ ერგების დამწვრობას სტომა-
ქისასა“, ერგების სტაფილოვანისა გამოზარდილისა თაფლითა სივრილესა თირ-
კმელთა და ბუშტისასა და გააძლიერებს ფსელსა და იქმების ვითა სხუა თაფ-
ლი“... წნილები სარგებელი ყოფილა „გულის ძგერისა“ და „სტომაქის ბერ-
ვის“ დროს...

კარაბადინის 245-ე გვერდზე მოცემულია ქვესათაური „ქარი მოწამლულ-
თა საკურნებელთა წამალთა“.

ამ ქვესათაურში ძირითადად ლაპარაკია ძლიერ მოქმედი შხამების განე-
იტრალებაზე და თვით წამლით მოწამლვის შემთხვევებზე. „კაცმა რომ ზო-
მისაგან ნამეტნავი წამალი ჰამოს და აწყინოს და ანუ მოწამლული იყოს
კაცი ამა ნიშნითა შეიტყუების“. შემდეგ ტექსტში მოყვანილია ზაქარია აქი-
მის რეკომენდაციები, რომელიც ძირითადად არაბული ტერმინოლოგიით არის
გადმოცემული. ამ ქვესათაურის შინაარსი ძალიან უახლოვდება ამავე ხელნა-
წერის 93-ე გვერდზე გამოქვეყნებულ „ქარი თერიაკებისა დიდისა“-ს შინა-
არსს. შესაძლებელია 1709 წელს ვახტანგ VI სტამბაში წიგნის ხელმეორედ
აქინძვისა და გვერდების პაგინაციის დროს მოხდა ფურცლების გადანაცვლე-
ბა. ამჟამად კი „მოწამლულთა საკურნებელი წამლების“ ქვეთავი ცალკეა
ხელნაწერში მოცემული, სადაც ძირითადად მკურნალობა პირლებინებით და
კუჭ-ნაწლავის გაწმენდით ხდება. ნახსენებია ტკბილი წვენების მიღება, ჯუ-
ლაბის და პერულმობდილი თაფლის მიღება, „ხელის გახსნა“ ე. ი. ვენიდან
სისხლის გამოშვება. ასევე „ხარშო იყოს საქმელი და ნიგვზისა ზეთი და დარი-
ჩინი ჩაურთონ“. ამ ქვეთავში აღწერილია 33 ცალკე შემთხვევა შხამთაგან მოწა-
მლვისა და 33-სავე შემთხვევაში ცალ-ცალკეა მკურნალობის მეთოდი მოცემუ-
ლი, „მისი წამალი“-ს ქვეშ დაწერილია შესაბამისი ტექსტი, რომელშიც მოწამ-
ლისთვის დამახასიათებელი სიმპტომების აღწერაა. ასე მაგალითად, „თუ კაც-
სა ასეთი ტუინი ექამოს, როგორაც ნიგოზი დამძალბებულიყოს მისი ნიშანი ეს
იყოს შიგნით ყიასა შიგან. მღიერი გამოესხას და ხმა სხუაფერად იქცეს და
მარჯუნა გუერდი სტკიოდეს და ტანშივა ქავილი შექმნას — მისი წამალი
ესე არს, რომე რუბი სუას თაფლნთელთა ცერეცოს წუნითა შესუსას და პირ-
სა წაიკლებიშოს (მოანთხიოს) და შარბათი რუბისა და ტუტისა შარბათი თეთრი

შაქრითა სუას. მისი საკმელი გავალოთა და ბროწეულისათა ოსპისა შეკამადი იყოს“ (გვერდი 248). აქ, ამ ქვეთავში მთავრდება კარაბადინის პირველი ნაწილი და 200-მდე სამკურნალო მცენარის განმარტებითი ლექსიკონის შემდეგ იწყება კარაბადინის მეორე ნაწილი, რომლის ტექსტში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ანატომიური ორგანოების თითოეულ ნაწილზე, „თავის თმიდან ფეხების ფრჩხილთამდე“, და იქვე, 226-ე გვერდზე, მოცემულია ასეთი ქვესათაური: „ნიშანი ყოვლისა ფერისა თავის ტკივილისა“. ამ ქვეთავში ეტალონად „ჰიპოკრატეს და გალენის მკურნალობის მეთოდებია მიჩნეული: „ასე ბრძანებენ ღიღნი ბრძენნი ბაგრატ და გალიანე“... „ბაგრატ ბრძენი ასრე ბრძანებს, ვითა ასორმოცი სენი მალასისაგან და ბალღმისაგან დაიბადებისო“. და ტექსტში მოთხრობილია წამლების შესახებ: „ლარღარა მალასისა“, „მათფუნისა ნუსხა“, რომლის 22 ვარიანტია მოცემული თავის ტკივილის სამკურნალოდ. შემდეგ კარაბადინის ტექსტი ეხება „უძილობას“, რომლის დროსაც ავადმყოფს დამაძინებელი ხაშხაშის შარბათს ასმევდნენ, რაც ალბათ ნარკოზიანის იწვევდა, ამიტომ დღეისათვის ეს მეთოდი სახსებში მიუღებელია. ასევე, მოცემულია რეკომენდაცია: „თავსა რომე ბრუ ესხმოდეს“, „შაკიკისა და ნასყვარ-თავი სტკიოდეს, ხან ერთკე და ხან მეორესა კერძსა“... 285-ე გვერდზე იწყება თავის ტკივილის წამლების ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, ზოგიერთი რეკომენდაცია პრიმიტიულია, და თანამედროვე მეცნიერული ფარმაციის თვალსაზრისით მიუღებელი. ასე მაგალითად: მერცხლისაგან წამლის მომზადების ტექსტში იგრობა რელიგიის და ცრუმორწმუნეობის აშკარა გავლენა, ხოლო „წეროს ნაღველით“ მკურნალობაში და „კატის რძის“ ცხვირში ჩაწვეთებაში, შესაძლებელია იყოს რაიმე ეფექტური ნივთიერება თერაპიული მკურნალობისათვის. ამ ქვეთავში ძირითადად მრავალნაირი ნევროპათოლოგიური დაავადების მკურნალობის მეთოდია მოცემული, რომელთა საერთოდ ჩამოთვლა და კომენტარი თანამედროვე წამალთექნოლოგიის თვალსაზრისით გარკვეული მიზეზების გამო ვერ ხერხდება. ამჟამად ჩვენ შევეცდებით ჩამოეთვალათ არასრული ნუსხა იმ წამალთფორმებისა, რომელიც კარაბადინის II თავშია ჩამოთვლილი.

წამლები საცხებელი პირსა ზედა ჰორფლისათვის

სიგონჯე და კურნება მისი

ც. კარი მერვე — მანახულისი, და ნიშანი მისი, და წამალნი მისნი ნიშანი მანახულისი

წამალნი მისნი

ნიშანი და კურნება სარასი

ფილენჯისა ნიშანი და წამალი

კარი თუალისა, ნიშანი მისი და წამალნი მისი

კარი ყურისა ტკივილისა

ნიშანი წამლისა... მისრი

კარი (მეთოთხმეტე) ნიშანი ცხუირისა

სტუა წამალი ამა სურდოსა
კარი (მეთხუმეტე) პირისა, ბაგეთა კბილთა
პირშიგა სენის შეექნას და პირი უყროლდეს
ხუნაყი ნიშანი და წამლობა მისი
კაცსა ანასდუელად ხმა ჩაუარდეს
სხუა წამალი მკერდისა და ხუელისა
(კარი ოცდამეერთე) ნიშანი ღარღარათა
ნიშანი წამლისა, რომელ არს გამაგრილებელი ყვისა და პირისა
სტომაქი და აგებულება მისი ბოყინებანი მისნი... რაცა ტკივილი წაეკი-

დების

სალმობანი მისნი
წამალი... ჰაბალისითა და ანჯუდანიითა
წამალი ბოსტნეულთა
წამალი... უპანიითა
წამალი... ირსათა
წამალი... ფალფალმუნი
წამალი... დასადებელნი სტომაქსა გარეთ
შექმნა მარამისა... ბოკილითა
ზეთები, შექმნა ნარდიომის ზეთისა
შექმნა ზეთისა სოსანისა
შექმნა ზეთისა კომშისა
შექმნა ზეთისა ხლისასა
შექმნა ზეთისა ასისა
შექმნა ზეთისა კუსტისა
აწ კარი სლოკინისა დავიწყოთ და მოგახსენოთ
წამალი სლოკინისანი
გული... აგებულება მისი, საქმენი მისნი და ხასიათი მისი ტანშიგა
შექმნა წამლისა კეისრისა
შექმნა შილთისა ოქროთა
წამალი გულისა ძგერისა, ბერვისა და ჭყურილისათვის
ტლე, გულისა ტკივილისა
წამალი გულისა ტკივილისა — გასახსნელი
ფირტუისა... აგებულება, საქმენი მისნი სატკივარ... ნიშანი, წამალნი
წამალნი ფირტუისა და კუელისა
...ლუიძლი... აგებულება... საქმენი.. გუნება. სარგონი ტანსა შიგან...
სენი და სატკივარნი და წამალნი მისნი
წამალნი... ლუიძლისანი
შექმნა წამლისა ქუშტისა
შექმნა წამლისა ჭინტიანისა
შექმნა წამლისა რევანდისა
წამალი სარგოი სიფიცხისათვის... ლუიძლისა შიგან და ნასკუთათვის

წამალი სიმსივნისათვის... ლეიქსა შიგან და სტომაქისა კურვებისა
ნალველი, აგებულება მისი, საქმეი მისნი, სარგებელი მისი და ზიანი მისი,
ტკივილი მისნი და წამალნი მისნი

წამალი სარგო ყუითლისათვის

წამალი გუნიანისათვის

წამალი, რომელი ერგებიან გუინს:

წამალი, რომელი გამოიღებ გოანსა გაქელით

წამალი, რომელი გახსნის ნასკუთა და გამოიღებს გოინსა

წამლები საწრობელი გოინიანთათვის, რომელ იყოს თუალთა შიგან
ნაკელენი... აგებულება მისი, საქმეი მისნი, კნობა მეცლისა...

წყულულებანი

ქციეკანი და ტეხანი და ტკივილი მისნი... და წამალნი

წამალი... ერგების წყულულობასა ნაწლევთა

კოლინჯი... ნიშანი და სატკივარნი... კურნებანი და წამალნი მისნი

წამალნი კოლინჯისანი

მაჯუნი... თუ კოლინჯისაგან მეცელი შეკრული იყოს

ნიშანი ჰიისა

აყიროს თესლისა ჰიისა წამალი

სხუა წამალი წურილისა ჰიისა

სხუავე ჰიისა წამალი

სხუა წამალი ჰიისა, რომელ მეცელს შიგან იყოს

თირკმელი... ადგილი... აგებულება... სანებელი... წამალნი მისნი

წამლები... ტკივილთა თირკმლისათა

წამალი... რომელ გამოიღებს ფსელსა და გასტებს შირიმსა

წამალი... სარგო თირკმელთა... ლეიქლისა ტყირბისათვის... უფსმელო-

ბისათვის

წამალი გამოიღებს ფსელსა... დააჩლობს შირიმსა

ბუშტი... აგებულება... ბუნება... სნება... მიზეზნი... კურნებანი და

წამალნი

მისნი

კურნება მისი და წამლები მისი

კეთრი... სურსილი და მლიერი

წამალი... მისი

კარი და ნიშანი ზურგის ტკივილისა მოდრეკისა და არყანისა... თეძოთა

ტკივილი

წამალი არყანისა

გასახსნელი ტლე

ნიშანი და წამალ, რომე კაცსა ბალმისაგან ქმინეიდეს და იყვანდეს

სხუა წამალი გულისა და სტომაქისა

ნიშანი სარწყევლისა, რომე სტომაქი გაწმიდოს

წამალი... ბაგრატის შექმნილი

კარი და ნიშანი, ლუინომა რომე აწყინოს
მალამა თეთრი... უშუელის მლიერსა
მალამა თეთრი... კორცი ამოზარდოს
მალამა თეთრი... უშუელის... დაკოდისა დამწუარსა, მლიერსა
მწუანე მალამა
სხუა მალამა მწუანე

შავი მალამა... ყოვლისა დაკოდისა
შავი მალამა... კორცი ამოზარდოს
მალამა... სპილენძისა
ნიშანი, რომე კაცი შხამიანითა ისრითა დაკოდონ
წაშლნი... რა კაცი შხამიანითა ისრითა დაკოდონ
ნიშანი ყოვლისა ფერისა დამწურისა
კურნებანი მისი

კარისა და ნიშანი ყოვლისა ფერისა სიმსენისა
ნიშანი სიმსივნისა

წამალნი... მისნი
წამალი სარგო სიმსივნისა მხურვალისათვის
სამო დედაკაცისა... აგებულეობა... სენი და ტკივილნი მისნი... შვილისა
შექნა და ტკივილნი ძუძუსანი... წამალნი ღათნი
წამალნი მისნი

წამალი... დიაცისა დასაორსულეებელი
წამალი სიმსივნისათვის... ძუძუთა შობისა შედეგად, სძისათვის ოდეს
გაყინოს შიგა და გაუსივდეს
წამლები რომელი სძესა უმატებს დედათა

წამალი... მამაცობისა
თავისათვისა და წურერისა სენთა კურნება და წამალ-
წურერი და თმა სცუიოდეს, მელის სნება ჰქუიან
წამალნი რომელ თმათა... ამოავლენს
წამალი... ერგების ტილსა და წილსა
წამალი... ერგების ქარტლსა
წამალი მძოვირისა
თმისა საღებავნი

წამალი თმისა სიქმისათვის
თმისა საღებავნი

ნიშანი წამალთა ზუნებათანი, გრილთა და მკურვალთა
სახელები წამალთა და თარგმანი მათი (სამკურნალო მცენარეებზეა ლა-
პარაკი ს. ს.)

კარი ყოვლისა ფერისა თესლისა
წამალნი წყლულისანი, მედგრისა და მკდომისა გამოსახეთქელნი
წამალნი ურვილისანი და მტრცნელისანი და წყლითა მანკეობისანი და
კეთრისანი და მოვიწყებისანი

მაჭუნი... ღუიძლის ტკივილისა, ზმასტისა და სტომაქისა ტკივილსა
მაჭუნი სრელინჯანისა
მაჭუნი ქამუნიასი
მაჭუნი რკინისა ბაყლისა... უშუელის ბოასირსა და ქარსა
მაჭუნი ჩამიჩისა
მაჭუნი საკავში... მეფისა მაჭუნი
მაჭუნი... სტომაქისა სიგრილისა
მაჭუნი კულიავისა
წამალი გრილი, სარგო ტკივილისათვის
ოყნა... ერგების ტკივილსა ფერდისა და ნიკრისისასა
ოყნა... ფერდთა ტკივილისათვის... ნასურისა ძარღუისათვის და ნიკრი-
სისათვის.

კარაბადინის 747-748 გვერდები დამომობილი აქვს ქვესათაურს: „სახე-
ლები წმალთა და თარგმანი მათი“. სულ 125 დასახელებაა რეგისტრირებუ-
ლი ამ ქვესათაურში. მაგალითად: „ზოვაფა ცხერის კურგალი“, „შაბოტი არს
მუდარანგი“ და სხვა. ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილია სამკურნალო მცე-
ნარეები „წამლის“ სინონიმით, რაც თანამედროვე ფარმაცოგნოზის თვალსაზ-
რისით მეტად მნიშვნელოვანი დეტალია. რა თქმა უნდა, აქ არავითარი ანბა-
ნური წესი არაა დაცული, სამკურნალო მცენარეებიდან აქ ჩამოთვლილია:
ველური ნიორი, წყაცის თესლი, სუინტრის ძირი, დაფნის თესლი, ველური
ნიახური, სტაფილოს თესლი, ქათირას გომიზი, ქარქუეტას ყვავილი, მრავალ-
ძარღვას თესლი, თუთუბო, გამხმარი ყურძენი — „ქიშიში“ ნახსენებია
„ზიზის“ სახელწოდებით, თავისი ხახუი, მდოგვი, ბროწეულის ყვავილები,
გვირილა, უკვდავას თესლი, კოწახური, მწარე ნუში, შროშანისა ძირი, ტენცო
პიტნა, ვაიციწვერა, ასკილი, მაცუალი, შხამა, ფითრი, თეთრი ლედვი, ნესვი,
თეთრი ვაშლი, მრავალძარღვა, ტირიფი, ფშატი, და სხვა სამკურნალო მცე-
ნარეები, რომლებიც ამ ქვესათაურში განმარტებითი ლექსიკონის სახით არის
ჩამოთვლილი, ჯერ მათი არაბულ-სპარსული დასახელებაა და შემდეგ მათი
ქართული შესატყვისები. რა თქმა უნდა, კარაბადინის 1368 გვერდზე გაცილე-
ბით მეტია დასახელებული სამკურნალო მცენარეები, ვიდრე ამ მცირე მო-
ცულობის ლექსიკონშია მოყვანილი და ამ სამკურნალო მცენარეების ბო-
ლომდე გაშიფრვა ირანისტების და სემიტოლოგების კომპეტენციაში შე-
დის, რომელიც მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

კარაბადინის 750-ე გვერდზე მოცემულია ქვესათაური „კაცისა და ყოვ-
ლისა პირუტყვისა და ფრინველისა და იძრვითისა ხასიათი“.

ტექსტში საუბარია ცხენის რძის სამკურნალო თვისებების შესახებ, ჩეე-
ნი წინაპრების აზრით ცხენის რძით საშოს გამოერეცხვის შემთხვევაში „გაწ-
მინდოს საშო მჯდომთაგან“. აქ გამოთქმა „მჯდომის“ ქვეშ უნდა იგულისხმე-
ბოდეს ინფექციის გამომწვევი, დაავადების გამომწვევი მიკრობებისაგან გაწ-
მენდა. მაშასადამე, ცხენის რძეს შესაძლებელია ახასიათებდეს ბაქტერიოცი-

დული და ბექტერიოსტატიკური თვისებები. შემდეგ კარაბადინში ხაზგასმითაა ნახსენები ძროხის რძე.

ასევე, ჩამოთვლილია ვირის რძის, ვერძის ტენის, საერთოდ ცხვრის და ბატუნის ხორცის სამკურნალო თვისებები. 752-ე გვერდზე მოცემულია:

- „კარი მარგებელი თხათა შინა“
- „კარი მარგებელი აქლემთა შინა“
- „კარი ირემთა მარგებელი“
- „კარც მარგებელი ლომთა შინა“
- „ლაფლაფისა ხორცისა და კუერცხისა შინა“
- „კარი მარგებელი აფთართა შინა“
- „კარი მარგებელი დათეთა შინა“
- „კარი მარგებელი თაგუთა შინა“
- „კარი მარგებელი ქურცინთა შინა“
- „კარი მარგებელი გრძაბლთა შინა“
- „კარი მარგებელი ქათამთა შინა“
- „კარი მარგებელი ღერღელთა შინა“
- „კარი მარგებელი შამამსა და შაფნისა და ქედანთა და ასკატაკთა შინა“
- „ლაფლაფისა კორცისა და კუერცხისა შინა“
- „რგომა ყუავემთა“ „კარი მარგებელი კაკაბთა“
- „სირთა საშოსა შინა“
- „ქონთა შინა“
- „ლამიობთა და მერციალთა შინა“
- „თაკუისა შინა“
- „კირჩხიბთა მდინარეთა და კუსა სიკანკარისა“
- „თევზის წებოს და წყალსა მლაშესა“
- „მყუართა და მლიერთა შინა“
- „ძეგლთა და მათ ტყავთ“
- „ღრინაკალთა“
- „ღურცთა ყურძლისა“
- „კარი რძეთა ყოველთა“ და
- „კარი ერბოთა და სუელითა“
- სამოცდამერვეში საუბარია
- „კარი ყოვლისა ფერისა თესლისა“ სადაც ხორბლის თესლს ბადალი არ

აქვს.

- !
- „პირველად ხორბალი ვახსენოთ“
- „ქათო ხუარბლისა“
- „ქერი“
- „ბრინჯის პური“
- „ფეტვი“
- „მუხუდოს“
- „ბაჯილა“

„ოსპი“

„ლობიო“

„ლობიო წითელი“

შემდეგ მოცემულია ხორცეულის კლასიფიკაცია
ხორცეულთა შორის ჩამოთვლილია:

„კრავის ხორცი“

„თიკნის ხორცი“

„ფურის ხორცი“

„აქლემის ხორცი“

„ცხენის ხორცი“

„ჯეირნის ხორცი“

„ირმის ხორცი“

„კარი მარგებელი მგელთა შინა“

მოკლედ, საქმე ეხება ჰიგიენას და კულისარას, რომელთა კომენტარი ჰიგიენისტების კომპეტენციაში შედის.

აქვეა შეგნეულთა კლასიფიკაცია და გარეულ ფრინველთა ზორცის დახასიათება.

წამალთფორმების ტექნოლოგიის თვალსაზრისით და საერთოდ წამალთ-მცოდნეობის პოზიციებიდან ვერ დავეთანხმებით პროფ. მ. შენგელიას იმ განცხადებაში, რომელსაც იგი აცემს, „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 1978 წელს გამოქვეყნებულ თანდართულ აპარატის ტექსტის მე-7 გვერდზე... „მეორე ნაწილი (ლაპარაკია კარაბადინის მეორე ნაწილზე, ს. ს.) კი წარმოადგენს მედიცინის კერძო ნაწილს“.

რას ნიშნავს „მედიცინის კერძო ნაწილი?“ ავტორი ამ ფრაზას არ ხსნის! ანდა 49-ე გვერდზე გამოქვეყნებულია ასეთი განცხადება: „ზაზას წიგნი სპეციალური „სამკურნალო“ დანიშნულებისაა და ამიტომ მასში აღნიშნული საკითხები ძალიან მოკლედ განხილულია“. მაშასადამე, ზოგადი მედიცინის საკითხები ძალიან მოკლედ განხილული ამ ხელნაწერში. სინამდვილის თვალსაზრისით უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ავტორს განეცხადებია: ხელნაწერის 1368 გვერდი სავსეა წამლის ფორმების მოსამზადებელი წესების რეკომენდაციებით. კარაბადინში მოცემულია მოკლედ ადამიანის ანატომიური აღნაგობა, მოცემულია თითოეული ორგანოს მოკლე პათოლოგიური მდგომარეობის სურათი და ძირითადი აქცენტი წამლით მკურნალობაზე გამახვილებული.

ამ შემთხვევაში მთავარია გაირკვეს პოზიცია, რა შინაარსის ხელნაწერი გვიპყრია ხელთ „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ სახით?

ხელნაწერს წითელი ზოლივით მიჰყვება წამლებით მკურნალობის რეკომენდაციები. ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებებით და ანალიზით წამლების მოსამზადებელი წესების აღწერილობას საერთო ტექსტის 70 %-მდე უჭირავს. ამიტომ მას ეს წიგნი „კარაბადინი“ სემიტურად და „ფარმაცოპია“ ლათინურად.

აქვე უნდა შევხვით ერთ ცნობილ დებულებას, რომელიც „მკურნალის“, „აქიმის“ და „ბრძენის“ იდენტურობას შეეხება. ბრძენის, მკურნალის და აქიმის იდენტურობის საკითხი — დასტურდება თვით ამ კარაბადინის ტექსტში, არა ერთი ეპიზოდის მიხედვით. ასე მაგალითად: კარაბადინის 264-ე გვერდზე წერია: „და ასერ ბრძანებს ბაგრატ და გალიანოზ ბრძენი“... „და თუ მკურნალი რეგუენი არის, ვერ მოუხდების მკურნალობას“. მაშასადამე, ბაგრატ (ჰიპოკრატე ს. ს.) და გალიანოზ (კლავდიუს გალენი ს. ს.) ამ ქართულ სამედიცინო ხელნაწერში „ბრძენის“, ეპითეტით იხსენიება. 265-ე გვერდზე კი მითითებულია: „ბაგრატ მკურნალი ბრძანებს“, ხოლო სპარსულად და სემიტურად „აქიმი“ — რომ ქართულად მკურნალს ნიშნავს ეს საერთოდ აღიარებული აქიმიზა.

ცნობილი მკვლევარის პროფ. იუსტინე აბულაძის განმარტებით „აქიმი — არაბული და სპარსული გამოთქმაა, ქართულად ნიშნავს ბრძენს, მეცნიერ ფილოსოფოსს, ქართლში კი მკურნალ ექიმს“. მაშასადამე, ზაზა ფანასკერტელის მისამართით გამოთქმული ეპითეტ — „ბრძენთმთავარი“ ნიშნავს ექიმების მთავარს, ანუ მთავარ ექიმს, მეცნიერ ფილოსოფოსს — ბრძენ კაცს, ე. ი. ზაზა ფანასკერტელი დღევანდელი გაგებით XV საუკუნის II ნახევარში ყოფილა ქართლის მთავარი ექიმი. და თუ „ფანიაშვილების გუჯარის“ ტექსტში დაცულ მეფეთა-მეფის კონსტანტინე II ბაგრატიონის ერთ ფრაზას „ყოვლისა ჩრდილოეთსა და საქართველოსა მტკიცეთ ხელმწიფედ მპყრობელ მქონებელთასას“ მნიშვნელობასა და შინაარს დაუუკვრადებით, გამოდის, რომ ზაზა ფანასკერტელი სრულიად საქართველოს მთავარი ექიმი ყოფილა.

1945 წელს თ. ჭყონიამ ქ. გორაკის საჯარო (საოლქო) ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა ქართული სამედიცინო აზროვნების იშვიათი ძეგლი — „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“.

მახარებელ მალაქაძისა და ზაზა ფანასკერტელის ამ წერილობით წყაროში 25-მდე წაჭლის ფორმაა ჩამოთვლილი. აი მათი სახელები:

1. თრიაყები, ანუ მოწამელის საწინააღმდეგო ანტიდოტების ე. წ. „მითრიდატუმის“ მომზადება, როგორც ადაპტაციის, შეგუების, შეჩვევის და შხამის გასანეიტრალებელი ანტიდოტური საშუალება, რომელიც შემდგომში ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ სახელმწიფო ფარმაკოპეებსაც ამშვენებდა XVII-XVIII საუკუნეებში. მეომრები და თვითონაც, რომ შეჩვეულნი, ადაპტირებულნი ყოფილიყვნენ ამგვარი შხამების მიმართ, ასეთნაირ ანტიდოტებს საკუთარ თავზე ცდიდნენ, ამ მხრივ კარგადაა ცნობილი პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი (132-63), რომლისგანაც წარმოდგება სახელწოდება — „მითრიდატუმი“, მისი მომზადების საიდუმლოებას, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ შუა საუკუნეების დიდი ქართველი ენციკლოპედისტი — მკურნალი ზაზა ფანასკერტელი და მახარებელი მალაქაძე.

2. კვერაკები, ანუ აბები.

3. მაჯუნი, ანუ წამლის წამალი.

4. ფანჯანოში, ანუ მაჯუნის სახესხვაობა.

5. ღათი, ანუ კუქნაწლავის სამკურნალო საშუალება.
6. გუარიშნი, ანუ კუქის სამოქმედო საშუალებები.
7. იარაჯი, ანუ თაფლზე დამზადებული მოსქო კონსისტენციის შიგნით მისაღები და გარეგანი — შესახელი წამალი.
8. მატბუხი (მონახარში), ანუ რთული სითხოვანი წამლის ფორმა.
9. აბის სახესხვაობა — შიაფი.
10. ყურსები, ანუ ტაბლეტები.
11. სალოკელნი.
12. აკარსლი, ანუ კუერნი.
13. ლინიმენთი, ანუ შესახელი წამალი.
14. მცენარეული ზეთები.
15. სიქანგუბინი — ღვიძლის წამალი.
16. შიაფების სახესხვაობა თაფლზე მომზადებული ნახარში.
17. სხედასხვა ენდოკრინული ჰორმონალური ორგანოთერაპიული პრეპარატები.

18. შარბათები, ანუ ტკბილი ბადაგი — სიროფები.
19. მწნილები — მცენარეული ნაყოფისაგან დამზადებული კუქ-ნაწლავის დიეტური საკვები.
20. სალბუნი — მალამო ანუ საცხი.
21. მულაბი — სითხოვანი წამლის ფორმა, რომელიც ოპიუმს შეიცავდა.
22. სამედიცინო წურბელები.
23. ტლევებსა შიგან გახვევა — კომპრესი.
24. რთული და მარტივი ფხვნილები.
25. ღვინო ერთ-ერთ წამლად არის ნახსენები. ზოგჯერ კი წამლის მომზადების აუცილებელ კომპონენტად. ნახსენებია აგრეთვე ყელში გამოსავლები წამლის ფორმები ანუ „ნიშანი ღარღარათა“, ასევე ცნობილი ყოფილა „შარბათისა ოყნა ქენ“ და სხვა. წამალთფორმების სრულ ნუსხას ცალკე თავში შევხვდებით.

დავით ბატონიშვილის XVI საუკუნის წერილობით ძეგლში — „იადიგარ დაუდი“ ნახსენებია ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სამკურნალო წამლის ფორმები და გამახვილებულია ყურადღება ე. წ. პროქტოლოგიურ საშუალებებზე, გამოჩნდა კულინარიული თვალსაზრისით საინტერესო საკვები მურაბებიც. საერთოდ რა შეიძლება ითქვას შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებზე?

მიუხედავად იმისა, რომ ეს კარაბადინები რელიგიის ბატონობის ხანაში შექმნილი ძეგლებია, მათში მაინც უხვადაა მოცემული მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო მიგნებები. მართალია ქართული მედიკოსებისთვის ცნობილი არ იყო ვიტამინები, მაგრამ ფარმაცოპეულ დარიგებებში ჩამოთვლილია ისეთი სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ვიტამინებს შეიცავენ. ზშირად გვხვდება საუბარი ასკილის სამკურნალო თვისებებზე. როგორც ირკვევა, კარგად იყო ცნობილი ნარკოტიკული ანალგეტიკები და ამ-

ფიონის ალკალოიდების ტკივილ გამაყუჩებელი თვისებები. ცნობილი ყოფილა ანტაგონისტური დამოკიდებულების ბიოლოგიურად აქტიური მცენარეები: ასე მაგალითად: ხშირად გვხვდება ისეთი სამკურნალო მცენარეების სახელები, რომელთა მონახარშები კუჭნაწლავის შემკვრელ საშუალებად გამოიყენებოდა, და პირიქით, ცნობილი ყოფილა ნაწლავების პერისტალტიკის, ვიბრაციის გამაძლიერებელი ნაზი საფალარათო სამკურნალო მცენარეები.

რთულ მონახარშებში, რომლებიც მრავალ მცენარეულ კომპონენტს შეიცავდა, ჩამოთვლილია ისეთი მცენარეები, რომლებიც სასუნთქი გზების დამაამებელ საშუალებებად გამოიყენება დღესაც: ტუხტი, კომში, მწყემსის ჩანდა და სხვა.

საერთოდ კარაბადინების შედგენის არქიტექტონიკა ხასიათდება დაავადების კლინიკური სურათის აღწერით, დიაგნოზის დასმით და შემდეგ მოცემულია მკურნალობის მიზნით დეტალური აღწერა წამლის ფორმის მომზადებისა. ყურადღებას იქცევს ადამიანის სხეულის ცალკეული ორგანოების დაავადებათა აღწერა და მათი მკურნალობა. ასე მაგალითად: თვალი, ყური. ყელი, გული, ღვიძლი. კუჭ-ნაწლავი, სწორი ნაწლავი, თირკმელი, ნაღვლის ბუშტი, შარდის ბუშტი, სასქესო ორგანოები. გინეკოლოგიური დაავადებები. სტომატოლოგია. საერთოდ თავის ტკივილის და კერძოდ. პირის, ზაგის. კბილის, ცხვირის, ხანის, სტომაქის, დიაფრაგმის, ფილტვის, ელენთის, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ინვაზური დაავადება კუჭნაწლავისა, თეძოს ტკივილი, სიმსივნეების და სხვა ჯაავადებანი.

ძველ ქართულ კარაბადინებში ზომა-წონის საკითხისათვის

ძველ ქართულ სამედიცინო კარაბადინებში ხშირად იხსენიება ზომა-წონის სხვადასხვა ერთეული, რომლებსაც აღმოსავლეთის ქვეყნებში იყენებდნენ:

1. მისხალი ტოლია 4.25 გრამისა
ზოგ შემთხვევაში 4,484 გრამისა
2. უკია, იგივე უნცია ტოლია 30,0 გრამისა
ზოგ შემთხვევაში 22,075 გრამისა
3. კერატი ტოლია 0,33 გრამისა
ზოგჯერ 0,236 გრამისა
4. დანგი ტოლია 1,0495 გრამისა
ზოგ შემთხვევაში 1,332 გრამისა

ზოგჯერ ძველ კარაბადინებში იხსენიება იოტი — იოტისოდენი, ერთი პევეი — ერთი მუჟა, „ერთი მიტყალი“, „თითო დრამი“, „წყალი ორი სიქორაგი“, „ათისა დრამის წონი“ და ა. შ. ლაღო კოტეტიშვილი „წიგნი სააქიმოს“ ფურცლებზე ზომა-წონის ერთეულებს შემდეგნაირად განმარტავს:

1. დანგი — 3 კერატი.

2. კერატი — 4 ქრთილი (ქერის მარცვალი)
3. ღრაპქმა — 4 ღრაში
4. ღრაში — 4 დანგი
5. მიტყალი 1, 1/2 ღრაში.
6. უკია — 12 ღრაში
7. პეშვი — ერთი მუქა
8. ლიტრა — წინათ უღრიდა 400 გრამს დაახლოებით
9. ზანი წინათ უღრიდა 300 გრამს დაახლოებით.
10. თასი უღრიდა დაახლოებით ერთ თანამედროვე ჩაის ჰუქას.

შუა საუკუნეების ზომა-წონის ერთეულებზე უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნეს, საჭიროა გავცნოთ თანამედროვე სამედიცინო ლიტრატურაში დანერგილ ზომა-წონის ტერმინოლოგიის მოკლე ისტორიას...

1919 წლის 14 სექტემბრიდან საბჭოთა რუსეთში დაკანონდა წონის მეტრული სისტემის გამოყენება.

წონის მეტრულ სისტემაში უმცირესი ერთეული არის გრამი, რომელიც არის 1 სმ³ გამობდილი წყლის წონა 4°C-ზე და შესაბამის გეოგრაფიულ განედზე. ამრიგად სანტიმეტრის დახმარებით, რომელიც არის სიგრძის საზომი ერთეული, გამოყვანილია წონის საზომი ერთეული და ამიტომ უწოდებენ ათწილადურ საწონთა სისტემას, რადგან წონათა რაოდენობა სამივე შემთხვევაში გამოსახულია ათწილად რიცხვებში, რასაც ასასიათებს მთელი რიცხვი და მისი ნაწილები. ამ სისტემას ფრანგული სისტემა ეწოდება, რადგან ასეთი წონის ერთეულები საფრანგეთში იქნა შემოღებული და მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. წონის მეტრული სისტემის დაკანონებამდე იყენებდნენ ე. წ. „ნიურნბერგის საფთიაქო წონას“, რომელსაც ძირითადად საფუძველი XII საუკუნეში ჩაეყარა. ამ სისტემაში ყველაზე გავრცელებული ტერმინოლოგიური ერთეულია „გრანი“ (Granum) რომელიც ხორბლის ან ქერის ერთი მარცვლის წონის თანატოლია. „ნიურნბერგის საფთიაქო წონის“ სისტემაში არის ლათინური, ბერძნული, და არაბული გამოთქმები. ამ სისტემის საწონებს და სასწორებს გააჩნიათ რომაული ციფრებით აღნიშვნის ნიშნები და შესაბამისი ტერმინები. ასე მაგალითად:

- | | |
|-------------------------|---------------------|
| 1. უნცია — Uncia | 2. ღრაქმა — Drachma |
| 3. სკრუპული — Scrupulum | გრანი — Granum |

მათ აქვთ შესაბამისი პირობითი აღნიშვნის ნიშანი, რაც აქ ვერ მოგვეყავს ტექნიკური მიზეზების გამო.

ნიურნბერგის ზომა-წონის სისტემაში უმცირესი ერთეული არის — „გრანი“ რაც თანამედროვე ჩვეულებრივი გრამის 1/16 ნაწილს შეადგენს. გრანის გადაყვანა შეიძლება ათწილადებში და იგი ტოლია 0,0625 გრამისა, უფრო შემოკლებით 0,06-ით აღნიშნავენ. ერთი სკრუპული — იგივე 20 გრანია, რაც ათწილადი წონით შეადგენს 1.25 გრამს. თუ გვინდა „ნიურნბერგის წონა“ გადავიყვანოთ ათწილადურ წონის მეტრულ სისტემაზე, საჭიროა ისინი ჯერ გადავიყვანოთ გრანებში (ე. ი. 1 სკრუპული 20 გრანია) და

მიღებული გრანების რაოდენობა გადავამრავლოთ გრანის ერთეულ წონაზე.
ე. ი. $0,0625 \times 20 = 1,25$ გრამს.

ამრიგად ერთი სკრუპული ათწილადი წონით ტოლია $1,25$ გრამისა.
რამდენია დრაქმის წონა?

1 დრაქმა ტოლია სამი სკრუპულისა, სამი სკრუპული ტოლია 60 გრანისა
 $0,625 \times 60 = 3,75$ გრამისა.

რამდენია უნციის წონა?

1 — უნცია ტოლია 8 დრაქმისა, იგივე 24 სკრუპულისა, იგივე 480 გრანისა.

მაშასადამე, $0,0625 \times 480 = 30,0$ გრამს.

რამდენია გირვანქის წონა?

ერთი გირვანქა ტოლია 12 უნციისა, იგივე 96 დრაქმისა, იგივე 288 სკრუპულისა, რაც 5700 გრანის თანატოლია.

ამრიგად $0,0625 \times 5700 = 300$ გრამს.

სამოქალაქო ზომა-წონის სისტემაში გირვანქა 400 გრამის ტოლია. ზომა-წონის ეს ერთეულები გაშიფრულია ი. ტრანის მიერ $1876—1880$ წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებში; ასევე ცნობილი საბჭოთა მეცნიერის პროფ. ი. მურავიოვის მონოგრაფიის „წამალთექნოლოგიის“ $346—347$ გვერდებზე. ასევე, აკად. ი. ქუთათელაძის მონოგრაფიაში „სამკურნალოწამლო ნივთიერებათა ტექნოლოგია“, და ს. შუბინის მონოგრაფიაში „წამალთფორმების ტექნოლოგია“. ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ავტორები ეყრდნობიან პაგერის ტომებში გამოქვეყნებულ პირველ წყაროებს.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერ კარაბადინებში გვხვდება ამ ტერმინების შესაბამისი გამოთქმები. ასე მაგალითად: მახარებელ მალალაძის და ზაზა ფანასკერტელის ფარმაკოპეაში 750 -ე გვერდზე მოცემულია „ქარი სამოცდამეექვსე“ (საზომნი).

ავტორები მიუთითებენ: „თუ სწონიდე ესრეთ წონე, თუ ზომდე ესრეთ ზომე“.

ტექსტი ასე იწყება: „ექუსი კერატი ნახევარ დანგსა ჰქუიან. და ასი თირი ექუსისა დრამისა და ოთხისა დანგისა წონი არს. და კუზტი ერთი, არს ცაბეტი უკმია. აღმოსავლეთისაგან მზისა ვიდრე დასავლამდე სამი გადაქცევა არს. და ერთი გარდაქცევა სამათასოთხას ორმოცდაოთხი ასპარეზი არს. ასპარეზი ერთი სამ ათას სამასხოცამეტი ფრასხი არს. ფრასხი ერთიათას ორასსამოცდარორი მილიონი არს. მილიონი ერთი ათასთერთმეტი ნაბიჯი არს. ნაბიჯი ერთი ცხრა ტერფი არს და ტერფი ცხრა გოჯი არს. და გოჯი ოთხი ქერი არს. ორი ქერი ფრჩხილი ათი ქერი დანგი არს. დანგისა მესამედსა პაშტა ჰქუიან“...

ძნელი არ არის იმის დადგენა, რომ ერთი მარცვალი ხორბლის და ერთი მარცვალი ქერის წონა თანატოლია, ხოლო ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ნახსენები ტერმინები „ნიურენბერგის სააფთიაქო ზომა-წონის სისტემას“ უახლოვდება, ყოველ შემთხვევაში ტერმინოლოგიის ეთნიკური კავ-

შირი და ზომა წონებში დამთხვევის სიახლოვე აშკარაა რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფ. ი. ა. მურავიოვის მონოგრაფიაში (გამომცემლობა „მედიცინა“ მოსკოვი 1971 წელი გვ. 346) „წამალთ ტექნოლოგია“, სადაც გამახვილებულია ყურადღება თანამედროვე ზომა წონის სისტემაზე, რომელიც ძირითადად ლათინურ ტერმინებს ეყრდნობა: „დეცი“ სიტყვა-სიტყვით ათს ნიშნავს — მნიშვნელობით მეთედსაც, „სანტი“ — ასია შეიძლება მეასედ, „მილი“ — 1000 და შეიძლება მეთათსედ. ამ პრინციპზე დაყრდნობილი თანამედროვე წვრილსაწონების სერიული წესით გამოშვება ცენტი გრამიდან 1 გრამამდე, 1 გრამიდან 1 კგ-მდე და 20 კგ-მდე და ა. შ. პროპორცია ძირითადად ათით იცვლება. ასეთი წესით გამოშვებულ წვრილსაწონებს გააჩნია ცდომილების კოეფიციენტები, რაც სახელმწიფო სტანდარტების მეორე კლასის სწავსტესს და დასაშვებ უზუსტობას შეეხება...
0,1 ლათინურად დეციგრამია, 0,01 ცენტიგრამია, 0,001 დეციმილიგრამია.
ამჟამად ეს ზომა-წონის ერთეულები საერთაშორისო სტანდარტების შენაშადისად არის დამზადებული და სააფთიაქო სისტემის მუშაკები ამ პრინციპით ამზადებენ წამალთფორმებს.

მოწამვლის საწინააღმდეგო — ანტიდოზების, ანუ თრიაყების, მომზადებისა და მკურნალობის მიზნით მათი გამოყენების საკითხები ძველ ქართულ კარაბადინოში

მოწამვლის საწინააღმდეგო ანტიდოზების, ანუ თრიაყების, მომზადებისა და მკურნალობის მიზნით მათ გამოყენებას დიდი ადგილი აქვს დათმობილი, ძველ ქართულ კარაბადინებში. როგორც ირკვევა შხამსაწინააღმდეგო პრეპარატების დამზადებას და სასწრაფო დახმარების დროულ აღმოჩენას შუა საუკუნეებში დიდი ყურადღება ექცეოდა.

1940 წელს ლადო კოტეტიშვილის რედაქციით გამოცემული ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ 408 გვერდზე მოცემული მასალები ეხება მოწამვლის თავიდან აცილებისა და აგრეთვე მოწამვლის შემთხვევაში მკურნალობის აღმოჩენის საკითხებს. კერძოდ, ქვესათურში: „კარი მოწამულისა და წამალი მისი“ ლაპარაკია, რომ უზმოზე მიღებული შხამი უფრო სამიშია და იგი შეწოვის შემდეგ გულთან ადრე აღწევს და ადამიანი „აღარ დარჩება“. ასეთ შემთხვევაში როგორც წესი საჭიროა „პირღებინება“, ანუ „კიდევ პირს წაიგდებინოს“.

საკითხის დეტალურად შესწავლისათვის საჭიროა გავეცნოთ როგორი მეთოდებით მკურნალობდნენ მოწამულ ადამიანებს 900 წლის წინათ: „კაცი რომ მოწამლოს უფროთხილდებოდეს. ეს მოწამლე სამფერი არის.

თუ მოწამლვისაგან ეშინოდეს მლაშესა საკმელსა და მჟავესა ნუ სჯამს, ერთობ ძნელსა ღვინოსა ნუ სჯამს და ნურცა მსუყესა საკმელსა ამისათვის ზომე რაც საკმელი გვითქვამს ძნელი ღვინო თუ ის საკმელი ამაშია გავერიოს მისი გემო არც ერთშიგ არ გამოჩნდება.

თუ სხვის კაცისას საკმელად მოვიდოდეს და იქ მოწამლვას მოელოდეს



ნიჟორელატი პინტოელი.

შინა რამე ჰამოს, ამისათვის, რომე თუ უზმა იქნების სული აღარ ეცემის და ველარც არას შეიტყობს, და თუ უკამია რომე სული ეცემის და ნულარა სჰამს.

თუ უზმა იმ შხამიანს საკმელსა სჰამს, იმავე წამს გულს ეცემის და აღარა წამალი არარ მოეკიდების, თუ ნაკამი იყოს ის შხამიანი საკმელი აგრე მისცენ მას ეწამლების. ამისათვის რომე შხამი გულისაკენ ვერ წავა და ნაკამი შიგ იქნების, და ესეც იქნების, რომე რა საკმელი და შხამი არეულად იყოს სტომაქშიგა საკმელმან აჯობოს და კაცი დარჩეს.

თუ წასულამდის საკმელი ჰამოს მერმე შხამი ველარას აწყენს. წამალი მისი რომე შხამი ჰამოს და ვერ აწყინოს კაცსა; აილე: გული ნიგუზისა წმინდა ექუსი მიტყალი, ხმელი სადღვის ფურცელი და მარილი თვითოსაგან თვითო მიტყალი და ლელვი ერთის ნიგუზის ოდენი და ისი წამლები იმითა დაზილე და შეკამე. და თრიაყი არაბი თუ პირველად ჰამოს, შხამი აღარ მოეკიდების.

თუ შხამისა ჰამას უკანით ჰამოს, მაშინცა მარგე არის.

თუ შეიტყო რომე შხამი ეჰამოს ნამეტნავად პირს წაიგლებინოს და მერმე ბევრი რძე შესვას, თუ რძის შესმაზედ კიდეც გული ეშლებოდეს, კიდეც ამოილოს, თრიაყი თხინ შეჰამოს და პირს წაიგლებინოს და მერმე ბევრი რძე შესვას და გამოსწმენდს. თუ ნამეტნავად მოსწყურდეს ყინულის წყალი დალიოს ვარდის ზეთითა შესვას და კიდეც პირს წაიგლებინოს. და ნუ დაიძინებს. თუ საკმელი მოუნდეს, მრავალი ჰამოს და პირს წაიგლებინოს“.

როგორც აქ მოყვანილი ციტატებიდან ირკვევა, „უსწორო კარაბადინში“

მოცემულია ზოგადი ცნობები ანტიდოტებისა და თრიაყების მომზადებასა და მნიშვნელობაზე. რაც მთავარია თრიაყი არაბული წარმოშობის წამლის ფორმაა, რასაც ტექსტი პირდაპირ მიუთითებს „თრიაყი არაბი“. „უსწორო კარაბადინში“ მინც ძუნწი ცნობებია მოცემული თრიაყების და მოწამელის საწინააღმდეგო ანტიდოტების შესახებ, რასაც ვერ ვიტყვით მახარებელ მაღალადისა და ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ შესახებ. XI საუკუნიდან XV საუკუნემდე, 400 წლის მანძილზე ანტიდოტების, ანუ თრიაყების მომზადების ხელოვნება დიდად განვითარებულა. რაც მთავარია ანტიდოტებს მიუღია სპეცდასახელება — „მითრიდატუმი“, რომელიც პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის სახელთან არის დაკავშირებული. ანტიდოტის, ანუ თრიაყის იგივე — „მითრიდატუმის“ სახელწოდება არ გვხვდება „უსწორო კარაბადინში“. მითრიდატუმის ხსენება გვხვდება XII-XIII საუკუნეების „წიგნი სააქიმოას ფურცლებზე. კერძოდ 88-ე გვერდზე ქვემოდან მე-3 აბზაცის ბოლოს ასეთი ფრაზა გვხვდება ქვესათაურში. „მტერთა დაცემაი რაი გრილთა ყართაგან იყოს“.

...„ყოვლისგან უმჯობესი იგი არს რომელ თრიაყი ოთხ წამალი აქამონ, და ვარდი და სანდალი და ვარდის წყალი და ქაფური უსუნოს და ლედლისა ნუშითა და ნიგზუითა კამდეს. („მითრიდატუმის“ კომპონენტები: ლედი, ნიგოზი, ვარდის ზეთი, ვარდის წყალი და სხვა ანალოგიურია „უსწორო კარაბადინში“ ნახსენები ანტიდოტისა. ს.) და თუ მგზავრობდეს მოსუბუქდების ეს ქირი. და ეგრე ხამს რომელს სუკამდსა ცოტასა კამდეს და, რაი შვიგენეს მანკი ძნელი არს მათრედიტოსისა თრიაყი იხმაროს ღია ერგების“. მაშასადამე, „მტერთა დაცემას“ დაავადების, ანუ ისეთი მიმე ფსიქიური დაავადების დროს, როგორც არის ეპილეფსია, სამკურნალოდ გამოიყენება „მითრიდატოსის თრიაყი“. ამავე წყაროში მოხსენიებულია „მითრიდატოსის შაჭუნი“. მაგრამ „წიგნი სააქიმოასში“, წერს პროფ. მინჯელ შენგელია მონოგრაფიაში „უძველესი კოლხურ-იზბრიული მედიცინა“ 176-ე გვერდზე — „არსად არ არის თვით მითრიდატუმის შემადგენლობა მოცემულიო“. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ექიმი ლადო კოტეტიშვილი 1936 წელს „წიგნი სააქიმოას“ გამოქვეყნებისას თანდართულ გამოკვლევაში 35-ე გვერდზე მიუთითებდა: „უკანასკნელ 50-ე რვეულიდან სამი ფურცელიდაა დარჩენილი, ისიც ძალიან დაზიანებული“, ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ „წიგნი სააქიმოას“ ჩვენამდე სრულყოფილი სახით არ არის მოღწეული. თანაც ჩვენამდე მოღწეულია XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ნუსხურით გადაწერილი ვარიანტი, რომელიც „არქიმანდრიტი გერმანეს“ მიერ უნდა იყოს შესრულებული. „წიგნი სააქიმოას“ პირველი მკვლევარი ლადო კოტეტიშვილი კარაბადინების შესახებ ასეთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის: „ქართული კარაბადინების შესწავლამ ცხადყო, რომ კარაბადინი თავისი პირვანდელი მნიშვნელობით საექიმო წიგნი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ საფთვიაქო წიგნი, რომელიც შეიცავდა წამლეულის დამზადების წესებს, როგორც დღეს ფარმაკოპეა... ასე რომ თანდათან კარაბადინი იქცა მარტივ პოპულარულ საექიმო წიგნად“.

მაშასადამე, სამკურნალო წიგნი და კარაბადინი სინქრონიზმის შედეგია, სადაც მოცემულია მოკლე ცნობები დაავადებათა ეტიმოლოგიის და კლინიკური სურათის შესახებ, დეტალურად არის აღწერილი წამლებით მკურნალობა და წამლის ფორმების მომზადების ტექნოლოგიური პროცესები ღოზების ზუსტი ჩვენებით.

1978 წელს გამოქვეყნებულ „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 93-ე გვერდზე მოცემულია: „კარი თრიაყებისა დიდისა“, სადაც ლაპარაკია მკურნალ ადარნაკოს მიერ შექმნილ თრიაყის შესახებ, რომელიც „არგებს ყოველსა მოწამულსა“. ამ ქვეთავში შემდეგს ვკითხულობთ: „თრიაყის ხასიათი. არგებს ყოველსა მოწამულსა, ღრიაწკალ ნაკებნსა უშუელის, გუელ ნაკებნსა უშუელის, მორიელ ნაკებნსა უშუელის და ცოფ ნაკებნსა ძაღლისა უშუელის და ყოველსა ცოფ ნაკებნსა და ბრაზიანსა უშუელის და ცხრო, რომელ ბაღმისა და ქარისაგან იყოს, მას უშუელის და ყოველსა სიგრილისა სენსა უშუელის და მანკანაცსა უშუელის და ღორთელსა უშუელის და მრავალსა ფერსა უშუელის სიგრილისასა. და ესე თერია შექმნა ადარნაკოს მკურნალმან.“

„შექმნა მისი: აილე კუერი ასკილისა ორმოცდა ექუსი მუტყალი და კუერი, რომელი იქნების გულისა ფრიად კორცითა და კუერი ადრომონანი და პილპილი თეთრი და აფიონი კარგი, თუითო ოცდაოთხი მუტყალი, ნიორი ველური, რომელსა სახელსდებენ მკურნალნი ასკოდარონი, და ვარდი კმელი, ტეგნის თესლი ველურისა და ირსა და ღარიყონი, დარასონი და რუბი სატკებურისა ძირისა და ბალასნისა ზეთი, თუითო თორმეტი მუტყალი. მური კარგი და ფასისონი და ნიახურის თესლი მთისა, და უსტუხუდოსი, ქუშტიბარი, თეთრი პილპილი თეთრი დარ(ა)პილპილი და საკმელი და ლიანხატრი, რომელსა ჰქუიან მუშკი, ტაბაშირი და კევი ბელეკონისა და მასტაქი და სალიხა და სუმბული თუითო ექუსი(ი) წონა, ჯიონტინე, დაჯ(ა)და, ლობანი და სასლოსი, პიტნა მთისა და თესლი აზრისა და თესლი ნანხუასა და ქამ(ა)დროსა, და ლ(ა)ხტარი, რომელსა ჰქუიან ვაციწუერი. ამისი გამოწურვილი აილე და სადაჯი და ანისონი და ფოა და კამის თესლი, ლემი და შაფის ბეკედი და კატრინი, რომელ არს არჯასბაგინი, ესე შემწუარი და ამამა და აფრაკონი და ვაჩი და ბალასნის თესლი და გომიზი არ(ა)ბი და კორდმონა, თუითო ოთხი მუტყალი, დოკო, რომელ არს ველურის სტაფილოს თესლი და ჯავაშირი და საქბინჯი და მუყელი და ყანტრონი და ზ(ა)რევანდი გრძელი და ჯუნდა ბედ(ა)სტ(ა)რი, თუითო ორი მუტყალი, ოთხი მუტყალი ზაფრანი. ჩაავდე ზაფრანი, ჯავშირი, მური და აფიონი და საკმელი ჩა(ა)გდე ლუინოსა, დაყავ ერთი ლამე, მერმე დაადნე, რომე შეიქმნას თივა მ(ა)რ(ა)მა და და(ა)დნე მას ზედა კევი ბელეკონისა დ(ა) კინა თაფლითა. დანაყენ კალკატრონი, კიდე დაგალენ სნიცა წამალნი და შესუენ თაფლითა პერულმოკდილითა. დანაყ(ე)ნ წურილად და ჩადევე ჭურჭელსა კიქისასა და ნუ იკმარებ ექუს თუემდის და ესე წამალნი შეაკზმენ გაზაფკულ“.

როგორც აქ მოყვანილი ფაქტებიდან ირკვევა თრიაყის მომზადებისას საკურო ყოფილა 60-ზე მეტი კომპონენტი, მათ შორის თაფლი და ღვინო „ჩაავდე ლუინოსა დაყავ ერთი ლამე“... „დაადნე მას ზედა კევი ბელეკონისა და კი-

ნა თაფლითა^ა. არის აგრეთვე ზოგიერთი დასახელების სამკურნალო მცენარე, რომელიც ორჯერ მეორდება.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერ კარაბადინებს შორის მხოლოდ XV საუკუნის ამ ხელნაწერშია მოცემული თრიაყების მომზადების საიდუმლოება. ამის შემდეგ მასხარებელ მაღალაძისა და ზაზა ფანასკერტელის კარაბადინში მოცემულია „შექმნა ასკილისა კუერისა“. „შექმნა წამლისა, რომელსა სახელი ჰქუან ფიფოდ მეფისა“. აქვეა მოცემული რეკომენდაცია „შექმნა წამლისა, რომელსა სახელი ჰქუიან ნაბოძვარი ღმრთისა „აქვეა მოცემული „წამლის-წამლის“, ანუ მაჭუნების მომზადების წესი, რომელსაც ჩვენ ცალკე თავში შევებებით.

113-ე გვერდზე საგანგებოდ არის მოცემული რჩეული მაჭუნის, ანუ „ნიშანი მაჭუნისა რჩეულისა, რომელ არს საჩინო წამალი მათროდიტოსი“. სადაც გკითხულობთ: „მაჭუნი ღვიძლისა, მკერდის სიმსივნისა“.

ნიშანი მაჭუნისა რჩეულისა, რომელ არს საჩინო წამალი მითრიდატოსი: ერგების ღვიძლისა ნესულთა დაყოფილებასა და სიმსივნესა შემთხუეულსა მკერდსა შინა და მუცელსა სისხლის ჩასულასა ასოთა შიგან შიგნით, რომელ შემთხუევის ჩამოჭრისაგან, II ანუ ცემულობისა, ანუ შეტყუეჯილობისა და ამის ესე ვითარისა გუარისა მსგავსისაგან და ქამოსისა დამპლობასა დაკსნილობასა ძუელსა და ბერვასა მუცლისასა და ტკივილსა მუხლთა, წუივთასა და წელთა, დაწურილთა წუივთასა და ქარსა კოლინჯისასა და გალუიძებს შიჰვასა საჭამადისასა და გამრთელებს ყოველსა ტკივილსა, რომელ შემთხუევის შავისა ნაუღელისაგან და გააფიციბებს სინათლესა ყოველსა ვინ ამისგან აიღოს.

დააშუენებს ფერსა ტანისასა, გააღნობს ქვასა, რომელი შეიქნების თირკმელთა შიგან და ბუშტსა, გაასწორებს შეზავებულობასა გულისასა, რომელ არს თუალი სისწორისა და არა გასწყდების ბუნებათა, თუმცა ერთმანეთსა შეეშალნეს და გა(ა)ძებს რაშასა და ვასეასსა და წარევენასა და შეაქცევს ცნობასა ტანისაგან გასრულსა და დასცავს ყრმასა საშოსაშინა ღიაცისასა და დაიცვას ყოვლისა მოწამელისაგან. რომელნი მომკლველნია და ურვილისაგან დაიკსნის ვინ სასიკუდინოსა წამალსა შემთხუეულიყოს და ამისთვის დასდვა მათრედიტოს ფილაფოზმან, რომელმან შექმნა წამალი ესე. სახელი მკსნელი განსაცდელისაგან, რომელ თუინიერ ბადებულისასა სხუისა (...) ლისაგან იკსნის ნებითა ღმრთისათა“.

აიღო: მური არაბი და ქათირა და ზაფრანი და ლარიკონი და ზანჯაბილი და კილამონი, ამათგანი წონა ათ-ათისა დრამისა და სუმბული ტიბი და გუნდრუკი და ათხრისა ძირი და ღუანალ ბალასანი და ასტოხოდისი და ზოვფრა და ქუშტიბარი და ქალბალასანი და ასტოხოდისი და ზოვფრა და ქუშტიბარი და ქალბანა და გომიზი ნაყუისა და დარ(ა)ფილფილი და თახუის ყუერი და აფიონი კასტიდოსისა გამოწურვილი, რომელ არს ვაციის წუერი და კუქუმბრა ბერძნული და უდალ ბალასანი და ბუტმისა გომიზი და სადა ჭეპანდი, ამის ყოვლისაგან წონი დრამისა რვა-რეასა სალიხა და პილპილი შავი და პილპილი თეთრი და აქალიმელიქი და ფილიონი და ნიორი ველური და დოკო და ბა-

ლანსის თესლი და წამალი, რომელსა რქუიან კოფიონი, რომლისა ნიშანსა ვის-სა ჩუენ ვაკენებთ და შემდგომად მისსა და მუკიეჰუდი, ამჟღავანი წონი დრამისა შუილ-შუიდი და სუმბული ბერძული და მასტაქი ბერძული და გომიზი არაბი და ფატარა სალიონი, რომელ არს ველურისა ნიახურისა თესლი და კურდმანი, რომელ არს ქარვა ვარეული და კამას თესლი და ვარდი წითელი კმელი და ჭანტიანე ბერძული და დიაკაცის მანონი, რომელ არს ბასბასაი, ამათგანი წონი დრამისა ხუთ-ხუთისა და ანისონი და მოთანმტიკიო, რომელ არს ფარიკონი და სიკანუტრისა მუტლისა სკუი და თირკმელნი, ამათგანი წონი გრამისა ოთხ-ოთხისა და ნახევრისა და ასარონი და ფოი ამათგანი წონი დრამისა სამ-სამისა და ტეგნა ხმელი, წონი დრამისა ორ-ორისა, შეჰკრიბე ესე წამალნი გომისთვან კიდევ, დანაყნე, დასცრნე შარითა, დააღბნე გომიზნი ლუინითა ძუელითა და მერმე პერულმოკილითა თაფლითა შეზილნე. უწინა წამალნი დუნალ ბალსანითა შესუარენ. შესუმა ამის წამლისა, წონი ნახევარ დრამისა, ვიდრე მითკლისამდე კეც(ე)ლია და გამოტლილი, ნებითა ღმრთისათა“.

აქ მოყვანილი ციტატებიდან ნათელია, რომ XV საუკუნის მოღვაწეების მახარებელ მალაქისა და ზაზა ფანასკერტელისათვის დაწვრილებით იყო ცნობილი „მითრიდატოსის“ მომზადების სრული რეცეპტურული ნუსხა, რომელშიც 52 სხვადასხვა კომპონენტი შედიოდა, მათ შორის 50 სამკურნალო მცენარეა, ხოლო ორი ორგანოთერაპიული წარმოშობის — ორგანო ნაწილები: „თახუის ყუერი“ და „თირკმელნი“, რომელიც ძველ ღვინოზე და თაფლზე მზადდებოდა. „მითრიდატოსის“, როგორც წამლის ფორმა, დავადების პროფილაქტიკისთვისაც მიიღებოდა და რაც მთავარია, როგორც „წამლის წამალი“ ადაბტაციის, შეჩვევის, შეგუების, ტოქსიკური მზამების განეიტრალების მიზნითაც. „მითრიდატუმის“ მიღება შუა საუკუნეებში ულტრამოდურ წამლის ფორმად გადაიქცა. 1979 წელს გამოქვეყნდა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პროფ. მიხეილ შენგელიას მონოგრაფია: „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“, რომელშიც ავტორი ფართოდ მიმოიხილა მითრიდატიუმის ისტორიას: „მითრიდატუმში, მისი გავრცელება და გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მედიცინაში უძველესი დროიდან XX საუკუნემდე“. ამ ქვესათაურში პროფ. მ. შენგელია წერს: „მითრიდატუმში ანტიკური მსოფლიოს სამკურნალო საშუალებათა შორის ყველაზე პოპულარული იყო და იგი თითქოს XIX საუკუნის ბოლომდე გავრცელებული იყო ევროპასა და აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ქვეყანაში და მიჩნეული იყო უნივერსალურ საშუალებად მოწამვლისა და მზამების საწინააღმდეგოდ და მთელ რიგ დავადებათა სამკურნალოდ“.

აქ მოყვანილი ციტატიდან ნათელია, რომ „მითრიდატუმში“ გამოიყენებოდა ადაბტაციის, შეჩვევის, შეგუების, ანუ მზამის განეიტრალებისათვის. ამავე მონოგრაფიის 191-ე გვერდზე ავტორი, პროფ. მ. შენგელია წერდა. „მითრიდატე პონტოელის სახელთან არის აგრეთვე დაკავშირებული ადამიანის ბუნების ისეთი საიდუმლოების გამოცნობა, როგორიც იმუნიტეტია“. იმუნიტეტი აშკარა

1 მ. შენგელია, „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979 წელი, გვ. 154.

მიკრობიოლოგიური ცნებაა, რომელიც ანტაგენის, ანტისხეულ და ფაგოცატოზის მექანიზმთან არის დაკავშირებული, როცა ვირულენტობა შესუსტებული მიკრობი გამოიწვევს ადამიანის ორგანიზმში ინფექციურ დაავადებას შედარებით იოლ ფორმებში, რომლის შედეგად ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნებიან იმუნური სხეულები და განმეორებითი ინფექციის დროს ისინი ბეფერულდაცვით ფუნქციებს ასრულებენ და ადამიანი მეორედ ავად აღარ ხდება. დაუშვათ ყვავილის ინფექციური დაავადებით. ასეთ რეზისტენტობას, გამძლეობას მიკრობიოლოგები უწოდებენ შეუვალობას. იმუნიტეტს. რა თქმა უნდა, „მითრიდატუმის“ ქიმიურ კომპლექსში არ არის ცოცხალი მიკროელემენტები, რომელთაც შეეძლოთ იმუნიტეტის გამომუშავების უნარი ცოცხალ ორგანიზმში. ამჟამად „მითრიდატუმის“ ემსახურებოდა იმთავითვე ადაპტაციის, შეჩვევის, შეგუების პრობლემის საუკუნეების მანძილზე. ეს საკითხი ჩვენ გავარკვეით. (იხილეთ „ეურნალისტაკის საკითხები“ 7-8 ტომი. თსუ. თბილისი, 1981 წელი. გვერდი 540-547) მოუხდევად იმუნიტეტისა და ადაპტაციის სწორად ვერ განხილვის მიღმა პროფ. მ. შენგელიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოგვცა „მითრიდატუმის“ გავრცელებისა და ევროპის ქვეყნების ფარმაკოპეიაში მისი შეტანის ქრონოლოგიური მასალები ინგლისელი მეცნიერების: ჯილბერტ ვატსონის, უილიამ კულპეპერისა და სხვათა ორიგინალურ შრომებზე დაყრდნობით.

„მითრიდატეს, რომ თავიდან აეცილებინა მოწამელის საფრთხე. ყოველდღიურად საკმელთან ერთად ღებულობდა საწამლაგის საწინააღმდეგო საშუალებას, რამაც საბოლოოდ გამოუმუშავა მას იმუნიტეტი (აქ უსათუოდ ადაპტაციაზეა ლაპარაკი, ვინაიდან ყოვლად შეუძლებელია საწამლაგსაწინააღმდეგო საშუალებას შეეძლოს იმუნიტეტის გამომუშავება? ასეთი ფარმაკოლოგიური პროცესი მხოლოდ შეჩვევით. შეგუებით. ადაპტაციით უნდა იქნეს ახსნილი, ს. ს.). სავესებით არგუმენტირებულ კონცეფციად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარის პროფ. მ. შენგელიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ რთული სითხოვანი წამლის ფორმის თრიაყის — იგივე მითრიდატუმის სიტყვის ეტიმოლოგიური საფუძველი პონტოს მეფე მითრიდატე VI ნებატორის სახელთან არის დაკავშირებული. ამასვე ადასტურებს არა ერთი საზღვარგარეთელი მეცნიერი. რომ „მითრიდატუმი“ და მითრიდატე პონტოელი, ეთნიკური ცნებებია. რომ „მითრიდატმა მოიგონა შესანიშნავი ანტიდოტი სამეფო მითრიდატუმი“. ცნობილია, რომ 1649 წელს ინგლისურ ენაზე ნიკოლაუს კულპეპერმა შეადგინა ორიგინალური ფარმაკოპეა, ამ ფარმაკოპეაში დადებითი შეფასება მოცემული სპეციფიკური წამლის ფორმის „მითრიდატუმის“ შესახებ. რაც მთავარია, „მითრიდატუმი“ XVII საუკუნეში გამოჩნდა ინგლისურ ფარმაკოპეაში, 1677 წელს ინგლისში გამოვიდა ვილიამ სალმონის მიერ შედგენილი ფარმაკოპეა. (მესამე გამოცემა) რომლის საფუძველზე შემდეგი შეფასება მიეცა „მითრიდატუმს“: „მითრიდატუმი“ კურნავს და იცავს ორგანიზმს სნების შეყრისაგან“. ცნობილია რომ XVII საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნის ბოლომდე ევროპის ბევრი სახელმწიფო ფარმაკოპეის ფურცლებს ამშვენებდა „მითრიდატუმი“, როგორც ორიგინალუ-

რი წამლის ფორმა. ამით ჩვენ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი. XII-XIII საუკუნეების „წიგნი სააქიმოას“ ფურცლებზე არა ერთხელ იყო ნახსენები „მითრიდატუმი“, ხოლო XV საუკუნით დათარიღებულ მახარებელ მაღალაძისა და ზაზა ფანასკერტელის მიერ ორიგინალურად შედგენილი 1368 გვერდიან ფარმაკოპეაში დაახლოებით 200 წლით ადრე იყო შეტანილი რთული ანტილოტი „თრიაყი“ და რთული სითხოვანი მრავალკომპონენტური წამლის ფორმა „მითრიდატუმი“. ჩვენამდე მოღწეულ „წიგნი სააქიმო“-ს ფურცლებზე არ არის მოცემული „მითრიდატუმის“ შემადგენელი კომპონენტები, მაგრამ მახარებელს და ზაზას ზედმიწევნით ზუსტად სცოდნიათ „მითრიდატუმის“ კუპაყი და ზუსტი შემადგენლობა რეცეპტისა. მაშასადამე, „მითრიდატუმის“ ფარმაკოლოგიური თვისებების ცოდნის თვალსაზრისით ქართველი მედიკოსები 200 წლით ადრე ერკვეოდნენ „მითრიდატუმის“ მოზადებაში და მისი სამკურნალო მიზნით გამოყენების საკითხში. სამწუხაროდ, ეს მეცნიერული უპირატესობა ევროპის ცივილიზირებული ქვეყნების სახელმწიფო ფარმაკოპეებთან შედარებით, ქართველი მედიკოსის ისტორიის მკვლევარების მიერ ჭრჭერობით განაწილებული არ არის და ასეთი ქრონოლოგიური უპირატესობა სხვა ახალი პუბლიკაციების დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. მაშასადამე, „მითრიდატუმი“ XV საუკუნეში ქართველი მედიკოსების მიერ იხსენიებოდა „საჩინო წამლის“, „მაჯუნისა ჩჩეულისა“ და „თრიაყების“ სინონიმებით, რომლის ძირითადი შემადგენელი კომპონენტები იყო მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. არის მაჯუნების სხვადასხვა სახესხვაობაც, რომლებიც შეიცავდნენ ქიმიურ ნივთიერებებს და სხვადასხვა ქიმიურ მარილებს, სოდას, გოგირდს, (წემწუმას) და ა. შ. სხე მაგალითად:

„ნიშანი მაჯუნსა, რომელსა პრქუნ აზრაი. ერგების ყოველთა წამალთა რომელ შე(ე)მთხუევის ტანსა შიგნითა და გარეგნით და ერგების ტკივილსა ნიკრისისასა და შენადგამთასა, დაფშუნის ქვასა თირკმელთა და ბუშტისასა და შეუქმნია აზრას ნიშანი ამის წამლისათვის და უც წიგნი ამისი საკუთრად, თუ ღმერთსა უნდეს.

აილრ. ამაჲ წონი ღრამისა ხუთისა და ათხრისა ძირი, წონი ოთხისა ღრამისა და მური, წონი ხუთისა ღრამისა და აკარკარაი, წონი ორისა ღრამისა და ნახევრისა და დოკო, წონი ოცდარორისა ღრამისა და ზაფრანი, წონი თურამეტისა ღრამისა და ნახვრისა და კუქუმბრა ბერძული, წონი ექუსისა ღრამისა და ნახევრისა და ფატრა სალიონი, წონი ოთხისა ღრამისა და კამას თესლი და მუკლი, აზრაკი, ამათგანი წონი ორ-ორისა ღრამისა და ნახევრისა და გუნდრუკი. წონა შუიდისა ღრამისა და ნახევრისა და თესლი და ხაშხაშისა თესლი, ამათგანი წონი ოცდაათ-ოცდაათისა ღრამისა და სუმბული ბერძული. წონი ღრამისა შუიდისა, და ვარდი წითელი და ტეგნა კმელი, ამათგანი წონი სამ სამისა ღრამისა და ალატროი, წონი სამისა ღრამისა და ანისონი და ასარიონი და კორღმანაი, ამათგანი წონი ორ-ორისა ღრამისა და აფიონი, წონი ღრამისა ორისა და ნახევრისა და პილპილი, წონი ღრამისა ოცისა და რევანდისინი და სა-

დაჯიპინდი და ბალასანის თესლი, ამათვანი წონი ათ-ათისა დრამისა ბალადუ-
რისა თესლი, წონი სამისა დრამისა და ლაქებუჭური, წონი ხუთისა დრამისა
და კილამონი წონი ოთხისა დრამისა და ოიწონი, ორისა დრამისა და სუმ-
ბული ტიბი, წონი შუიდისა დრამისა და ბერძული თიკა, წონი ათისა დრამისა
და რუდნესავარდი, წონი დრამისა და ბერძული თიკა, წონი ათისა დრამისა და
რუდნესავარდი წონი ორისა დრამისა და ნახევრისა და წუნწუბა ზღუისა, წონი
ოთხისა დრამისა და ჯ.ბტიანე ბერძული, წონი შუიდისა დრამისა, პულდულდი,
წონი ორისა დრამისა და კრამფული წონი ხუთისა დრამისა, და შეჭკრიბენ ეს
წამალნი, დანაყენ, დაცრენ და პერულხდილითა თაფლითა შეზილენ და ჭურ-
კელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს, იხმარე, შესმა სრული წონი დრამისა ძალსა
ზედა ყოვლისა კაცისასა და ვითარი ვის უკმდეს. ერგების ყოველთა საღმო-
ბითა შემთხელთა შავისა ნავდელისათა და თელგმისა, თუ ღმერთსა უნდეს“. **გვერდი 115-116.** ასევე საინტერესოა კლავდიუს ვალენის მაჯუნი. (იქვე, გვერდი 117).

„ნიშანი მაჯუნისა ვალიანოზისა, რომელი ერგების სიგრილესა თირკმელ-
თასა და ბუშტიასა და ვის ფსელი უწოდის, გაუხუამს დაყოფილთა ნესტუი-
თა ღვიძლისათა და გა(ა)დნობს სისხოსა ფაწალისასა და ერგების, ვის ფსელი
უნებლად გამოვიდოდეს და ვის საგებელთა შიგან ფსმიდეს და ვის ფსელი
დაეყენებოდეს და ირგებენ ამას მიზეზიანნი ტანითა ამათთუის, რომელ გუი-
სენებთან სარგებელთა საჩინოთა, ნებითა ღმრთისათა.

აილო: პილპილი თეთრი და პილპილი შავი და ჰამამა და შუქტი და სუმ-
ბულტიბი და ძირასა ლერწანი და სადაჯიანდი და ზაფრანი და ნიახურის თეს-
ლი და ანისონი და აკრკარა და ჯინჭრისა თესლი და ტეგანის თესლი ამის ყოვ-
ლისაგანი სწორი წონი. დანაყენ ესე წამალნი, დაცრენ და პერულმობდილთა
თაფლითა შეზილო და ჭურკელსა ჩასდვა და ოდეს გინდეს იხმარო, შესუმა
მისგან(ნ) ვის თირკმელთა რამე სპირდეს, მითკალი ნიახურის წყლითა და ვის
შამოუვიდოდის ფსელი უნებლიეთ, აფრასონისა წყლითა და ნაგბოლითა, ანუ
კამას წყლითა და, რომელთა დაეყენებოდეს ფსელი, ჭურქუნჩოფისა თესლი-
სა წყლითა და სხუათა სნებათა, რომელნი გუიხსენებთან წყლითა ტფილითა და
ესე სარგებელსა არს, ნებითა ღმრთისითა. „ანტიდოტების ხსენება გვხვდება
XVI საუკუნის სამედიცინო წერილობით წყაროში „იადიგარ დაუდი“, რომე-
ლიც ექიმ ლადო კოტეტიშვილის თანდართული გამოკვლევებით და ვ. ეგნა-
ტაშვილის რედაქციით გამოიცა საქბიომედიცინის მიერ 1938 წელს თბილისში.
ამ წიგნის 567-ე გვერდზე უშუალოდ არ არის ნახსენები „მითრიდატუმი“ ან
კიდევ ანტიდოტი, მაგრამ ქვეთავი „იზ“ კარი 67-ე. მაჯუნებისა და ფულნიანე-
ბისა ხასიათსა გაიმბობს „თრიაყი“ იგივე „თერიაყო“ ნახსენებია „თრიაქის“
სახელწოდებით. ამავე ქვეთავშია მოცემული: „ესე მაჯუნი ჯალიანოზისგან“. **საპიროა**
გავეცნოთ ზოგიერთ დეტალს, რომ წარმოდგენა გვექონდეს „თრიაყი-
სა“. თრიაქისა და ანტიდოტის ზოგიერთი კომპონენტების მსგავსების შესახებ.

„თრიაქი ფარიყის ხასიათი ეს არის, კაცსა მჭუალი პირდეს და ამა თრიაქი
ფარიყისაგან ნახევარი ღირჰამი ან ვარდის წყლითა გაუღესო და ისრე ასეა,

ან ისრე აკამო, კუალსა უსათუოდ უშველის, მოწამლულსა კაცსა რომე ამავ-
რიგად ასვა და ან აკამო, საწამლავს გააქარებებს და ოფლად გამოიღებს. აგ-
რეთვე რაგინდარა სენი კაცსა ან ბალღომისაგან და ან სევდისა და სიგრილი-
საგან სკირდეს და ესე თრიაქი ფარიყი ამავე რიგად ან აკამოს და ან ასვას,
ამრიგსა სენებსა ყუელასა უშველის.

კაცსა რომე ბალღმისა და ან სევდისაგან თავი და საფეთქლები ტკიოდეს
და ამავ რიგად ვარდის წყლითა გალესოს და სვას და ზედაცა შეიცხოს. თავისა
და საფეთქლის ტკივილსა ორსავე უშველის.

კაცსა რომე გული და სტომაქი სტკიოდეს, და ბალღმისა და სიგრილისაგან
გული უფეთქდეს და უძგერდეს, და ან თანგ ნაფასისა და ხაფაყანისა სენი სკირ-
დეს და ამავ რიგად ან ასვა და ან აკამო, ყუელასა უშველის, ფილენჯსა და
ფილენჯის ქარსა, მონობასა, მიკრისსა და ბნედასა ამას ყუელას კარგად უზამს
და უშველის. სისხლიანსა კაცსა რომე ამავ რიგად ან ასვა და ან აკამო და
მსივანსა ალაგსა ზედაცა დასცხო, მაშინვე სიმსივნეს გააქარებებს და სისხლს
უშველის.

კაცი რომე ხუელასა სისხლსა ატანდეს, და კაცსა ხმა ჩაუვარდეს, იმას
ორსავე უშველის. კაცი რომე უჩუხმან და ან თიაქარმან მუცელშიგა შეკრას
და მისი ლავი და ქარი გულსა და სტომაქსა შემოეჭიდოს და ამავ რიგად ან
ასვან და ან აკამონ, მაშინვე კაცსა მუცელშიგა გახსნის, და გერჩივნოს შარდ-
ზედა შეკრას და გერჩივნოს მუცელშიგა შეკრას, ორისთავისვე მწვოვედ კარ-
გი არის და ორსავე გზასა გაუხსნის, და თუ მწოვედ გახსნილი არის, შეკერავს,
და თუ მწოვედ შეკრული არის და გახსნის. და კაცი რომე სისხლზედა იარე-
ბოდეს და ამავ რიგად ქამოს, უსათუოდ სისხლსა მოსწყუეტს და უშველი.

კაცსა რომე შირიმი სკირდეს და ამავ რიგად აკამო, შირიმის ქეასა და-
ლენეს და გამოყრის. და დედაკაცსა რომე დედათ წესი შეეკრას და ამავ რიგად
ან ასვან და ან აკამონ, მაშინვე დედათ წესსა ჩამოუშლის. და ორსულსა დედა-
კაცსა რომე მუცელშიგა შვილი მოუყვდეს და ვეღარ დაეხსნას და ნახევარი
ღორკამი ესე თრიაქი ფარიყი გაუღესონ და ასვან, მაშინვე მარტვილი დავარ-
დების.

ბრაზიანმან ძალღმან რომე კაცსა უკბინოსა და გუელმან და ან მორიელ-
მან უცეს და ამავ რიგად ან ასვან ან აკამონ და ნაკებენზედაცა დასცხონ, სა-
მისავე ნაკებენსა უშველის და გააქარებებს, და ყოვლის გრილის სენის აქიმი
და წამალი არის. აწე ესე თრიაქი თარიყი რასაც ძველიდან დიდის ხნისა არის
ისი სჯობს. და თუ კაცი ამათ თრიაქი თარიყსა ბარსა ალაგსა შეინახავს, თხუთ-
მეტსა წლამდისი ძალსა და ხასიათსა იმატებს, და თუ მთასა ალაგსა შეინახავს
ხოლსა და ხასიათსა ოცდაათ წლამდისი იმატებს და ორმოცსა წლამდისი ამავ
ძალსა და ხასიათზედა დადგების, და არცა ძალსა და არცა ხასიათსა აღარ იკ-
ლებს. და რა ორმოცი წელიწადი გამოვა, ესეცა სხვებსა მაჟუნისავითა შეიქ-
ნები.

აწე აქიმთა და მეცნიერთა ეს თრიაქი ფარიყი აღამის ტომისათვის დუმს-
გავსებია, რომე მარტვილი ოცდაათსა წლამდისი მატებაშიგა იყო და ყოვლსა

წელიწადსა ძილი და ძლიერება ემატოს, და ოცდაათსა წელიწადსა უკან ორ-
მოცსა წლამდი იმავ კაცობაზედა დადგეს. და ორმოცსა წელიწადსა უკანა სი-
ბერე დასძლევს და ძილი მოაკლდების, ამავე რიგად ამა თრიაქი ფარიყის საქმე
არის, ვაი უხანო სოფელო!“.

„მაჭუნი აღრაბის ხასიათი ეს არის რომე, მოწამლულსა კაცსა რომე ამა
მაჭუნი აღრაბისაგან ერთი ღირჰამი ვარდის წყლითა გაულესო და ასეა, მო-
წამლესა უშველის და საწამლავსა ოფლად გამოიღებს“.

„ესე მაჭუნი ჭალინოზისაგან არის გამოღებული, რომე ძალითა ღთისათა
ხაფაყანსა და გულის ძვერასა. გულის თრთოლასა სამაჲე უშველის. მოიტანე
დანამასტაქი ოცდა 5 ღირჰამი, სილინჯა და უდი ათ ათი ღირჰამი, ზაფრანი
შვიდი ღირჰამი, მიხაქი და სუმბული ექუს ექუსი ღირჰამი ჰილი, თეთრი და
შავი ფილფილი და დარი ფილფილი სამ სამი ღირჰამი, დარიჩინი სანანებელი,
ყუსტი, ბალასნისა და მარსინის ხილი ორ ორი ღირჰამი, შინაურის იის ძირი
ერთი ღირჰამი. ხოლინჯანი და ასარუნი ნახევარ ნახევარი ღირჰამი, ასრე უნდა
სრულად ეს წამლები წმიდად დანაყონ და გაცრან და რა ნივთიცა წონითა
სრულად ეს წამლები იყოს, მოიტანე სამი ამა წამლების წონა თაფლი და
წყნარად და ნელად ადღე, ქაფი მოჰხადე. და რა ჟამცა თაფლი მოსქელდეს
და ყავემზედა მოვიდეს სრულად ეს წამლები თაფლშიგა ჩაყარე და კარგად
ამოზილე, შეინახე და ჭალინოზის მაჭუნი იქნების, და ამა მაჭუნისაგან ორ-
მოცსა ღღემდის ყოველსა დაწოლის დროსა სამსა ღირჰამსა აჰმევედით და
ღთითა ხაფაყანს უშველის“. „ჭალინოზის მაჭუნის“ ხსენება აშკარად რომაული
მედიცინის გავლენის შედეგია, რომელიც უშუალოდ ცნობილი რომაელი ექი-
მის კლავდიუს გალენის სახელთან არის დაკავშირებული. აქ არ არის თრიაყის
ზუსტი შემადგენელი კომპონენტები ჩამოთვლილი, მაგრამ ეს კრიპტოგრაფი-
ული, საიდუმლოების შენახვის გამო შეიძლება ხდებოდეს. თუმცა აშკარად ლა-
ბარაქია მოწამლული კაცის მკურნალობაზე, „მაჭუნი აღრაბის ხასიათი ეს არის
რომე, მოწამლულსა კაცსა... ვარდის წყლით გაულესო და ასეა მოწამლულსა,
უშველის და საწამლავსა ოფლად გამოიღებს“.

მამასადამე, ანტიდოტების, ანუ თრიაყების და მითრიდატუმების სრული
ნუსხა და კუბაქი ყველაზე სრულყოფილი სახით მოცემულია მახარებელ მალა-
ლახისა და ზაზა ფანასკერტელის ფარმაკოპეაში. მასში მოცემული წამლის
ფორმების მომზადების წესები და განსაკუთრებით ნედლეულის მიზანდასა-
ხულად გამოყენება თანამედროვე ექსპერიმენტალური მედიცინის თვალსაზრი-
სით განახლებულ კვლევა-ძიებას საკუროებს.

გენეტიკის ზოგიერთი საპიოთხი ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში

გენეტიკის (ჯიშის) და შთამომავლობითი ნიშნების გადაცემის საკითხი
თანამედროვე მედიცინის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი აქტუალური სა-
კითხია. ავადმყოფის ისტორიის შედგენისას თანამედროვე მკურნალები —
მედიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შთამომავლობითი დაავა-

დების და გენეტიკურად მისი რეციდივების — განმეორების საკითხებს. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გენეტიკის საკითხებზე დადად არის გამახვილებული ყურადღება, რაც ცნობილი რომაელი ექიმის კლავდიუს გალენის სახელთან არის დაკავშირებული. ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში და, კერძოდ „უსწორო კარაბადინის“ 29-ე გვერდზე კლავდიუს გალენი ჯალინოზ აქიმის სახელით არის მოხსენიებული. „ჯალინოზ აქიმი იტყვის რომე ათ ფერი სენია რომე კაცსა დაემართების, რომე გვარისაგან გამოჰყვების და იმა ათსა სენსა არავისთვის არ ეშველების, ამისათვის რომე მათთა ჩამომავალთა სჭირვებია და მათი გვარი არის. აწ მათსა შვილსა გამოაჩნდების. მათგან ერთია უუამოდ და აღრე გათეთრდება. (მაშასადამე, აღრე ახალგაზრდობაში გაქალაჩავება გენეტიკური თანდაყოლილი თვისება შეიძლება იყოს, ს. ს.). მეორე შობითაგან სიყრუე, მესამე შობითაგან სიბრმე (ე. ი. დაბადებიდანვე ბრმა). მეოთხე ბარსი (ნაკლული — ხეიბარი — მახინჯი), მეხუთე ქაშოეთისა რომე მისსა გუარსა სჭირვებოდეს (შესაძლებელია ქოშინზე და ბრონქიალურ ასთმაზე იყოს ლაპარაკი, ს. ს.). მეექვსე — გამშაგება რომელ არს მალიხულია ე. ი. გაიყება, მილანქოლია, ჰევიდან გადასვლა შესაძლებელია გენეტიკურ ხასიათს ატარებდეს), მეშვიდე — სიკოჭლე. მერვე — ნაყირისი (უწესოდ მძძრობა, ღორმუცელობა), მეცხრე — დიყა (სამწუხაროდ, ლექსიკონებში ამ სიტყვის განმარტება ვერსად ვნახე). მეათე — ვარამი — ჯავრი — სევდიანობა (ე. ი. უხასიათობა, გულჩათხრობილობა).

ესე იცოდით ჯალილოზ ამას მოგახსენებს რომე სენისა გვარი ორი ფერია, ერთი ესე რომე გვარისაგან წყვილდს მისსა გვარსა სჭირდებოდეს, მეორე ესე რომე ანასდათ დაემართოს“.

მაშასადამე, XI საუკუნის ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლში „უსწორო კარაბადინში“ დაავადებათა მთელი რიგი ორ ჯგუფად არის დაყოფილი. ერთი რიგი გენეტიკურ-თანდაყოლილი ხასიათისაა, ხოლო მეორე რიგი შექმნილი, ანუ ინფექციურია. ამ დაავადებათა მკურნალობა დიდად არის დამოკიდებული ექიმის — მკურნალის განსწავლულობაზე და დიაგნოზის სწორად დასმის შემდეგ სამკურნალო საშუალების სწორად შერჩევაზე.

„უსწორო კარაბადინის“ 30-ე გვერდზე ასეთი შინაარსის ფრაზაა: „აწე ერთი აქიმობისა ოსტატობა ეს არის, რომ ამ სენსა რომელი წამალი უკეთ მოუხდების და კარგად და ან რომელი მართებს რომე უყოს და კარგად გუნება გავლოს რომე საფათერაკოდ არ მოხდეს“. მახარებელ მაღალაძისა და ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნ — კარაბადინის 177-ე გვერდზე მითითებულია ბერძენი მკურნალის ჰიპოკრატეს და რომაელი ექიმის გალენის კონცეპციები, მხოლოდ ჰიპოკრატე მოხსენიებულია „ბაგრატის“ სახელით, ხოლო გალენი „გალინოზ ბრძენის“ სახელით „და ასრე ბრძანებს ბაგრატ და გალინოზ ბრძენი, ვითა ამის ყოვლისა თანა სიბრძნე და ჰკუა უნდა ჰქონდეს და იკმაროს და, მკურნალი რეგუენი არის, ვერ მიხდეს მკურნალობასა“. მაშასადამე, ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მოცემულია დაავადებათა კლინიკური სურათის აღწერა ანამნეზის მეთოდით — გამოკითხვით დიაგნოზის დასმა, გამო-

ყენებულია ორგანოლექტიური და ქიმიური მეთოდებით დიაგნოზის დასმა და იქვეა მოცემული წამლის მომზადების სარეკომენდაციო წესები: დოზირებისა და ტექნოლოგიური პროცესების დაცვის ჩვენებით „წიგნი სააქიმოას“ პუბლიკაციაზე თანდართული გამოკვლევის 33-ე გვერდზე 1936 წელს ექიმი ლადო კოტეტიშვილი წერდა: „ქართული კარაბადინის შესწავლამ ცხადყო, რომ კარაბადინი თავის პირველ მნიშვნელობით საექიმო წიგნი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სააფთიაქო წიგნი, რომელიც შეიცავდა წამლეულის დამზადების წესებს, როგორც დღეს — „ფარმაკოპეა“. ამ განმარტებიდან ძნელი არ არის იმის გარჩევა, რომ ძველად კარაბადინები ფარმაკოპეის დანიშნულებას ასრულებდნენ, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გულდასმით, დეტალურად განვიხილოთ წამალთმცოდნეობის და ტექნოლოგიური პროცესების დაცვის საკითხები ძველ ქართულ კარაბადინებში.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის თანამებრძოლი

ქართველი ერის ისტორიაში დრამატიზმით და ტრაგიკული მომენტებით არის აღსავსე გამოჩენილი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. 1609 წელს გიორგი სააკაძე უკვე თბილისის მოურავია და ლუარსაბ მეფესთან დაახლოებულნი და დამოყვრებული პირი. მეფე ლუარსაბ ბაგრატიონი (1606-1615 წ.) დიდი მოურავის — გიორგი სააკაძის ბიძე იყო. როგორც ცნობილია, ისტორიული წყაროებით, გიორგის დისაგან მას შემკვიდრე არ შესძენია.

ისტორიული წყაროების მიხედვით დადგენილია, რომ გიორგი სააკაძის ერთ-ერთი თანამებრძოლი იყო ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ტურკლებზე დაცულია ასეთი მასალა: მეფე ლუარსაბ საზაფხულო სადგომს იყო ცხირეთის ციხეში... ოსმალთა ჯარმა გამოვლო ჯავახეთი, თრიალეთი, გასწყვიტა ქართველი ყარაულები და მოულოდნელად მანგლისს მოატანა. აქედან მტერი... ლუარსაბ მეფის ხელში ჩაგდებასა და შემდეგ შიდა ქართლის დაპყრობასა აპირებდა¹. ამ ყოფნა-არყოფნის მომენტში საქვეყნოდ ცნობილია თევდორე მღვდელის გმირობა. ოსმალ-თათრებმა სოფელ კველთას მღვდელი დაიპირეს და მეგზურობა უპრძანეს. მან სიცოცხლის ფასად მტერი ცხირეთის ციხეს ააცდინა და სულ სხვა გზით წაიყვანა, ეს გაუგეს ოსმალ-თათრებმა და იგი ხმლით აკლწეს. ლუარსაბ მეფემ კი ციხეში გამაგრება მოასწრო. მასთან ერთად ციხეში იყო დიდი მოურავი — გიორგი სააკაძე, რომელმაც შექმნილ სიტუაციაში სწრაფი და სწორი ორიენტაცია მოა-

¹ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, პროფ. ნიკო ბერძენიშვილი, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, I. „საქართველოს ისტორია“, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. აკადემიკოსი სიმონ ჯანაშიას რედაქციით. თბილისი. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა — 1943 წ. გვ. 296.

ხერხა. ციხიდან ჭარის შეკრების მიზნით მათ შიკრიკები დაუგზავნიათ. პირველი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი გამოცხადებულა მეომრებითურთ. „მოვიდნენ ახლობელი თავადებიც თავისი უმებით. გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი მოთარეშე მტრის მცირე რაზმს ეკვეთნენ და მუსრი გააფლეს მათ“ — კვითსულობთ საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. როგორც ვხედავთ, პირველი წეტაკებისას გიორგი სააკაძეს და ზაზა ციციშვილს გაუმარჯვიათ, მაგრამ სოფელ მეტეხთან მეორე შეტაკებისას ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მოუკლავთ. ბუნებრივია იზადება კითხვა. ვინ არის ეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, რომელიც ქართლის მეფე ლუარსაბის „ამოღყოფისათვის“ ასე თავდადებით იბრძვის?

თედო ყორღანის „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე 399-ე გვერდზე 1558 წლის თარიღით მცხეთის სიგელის №503-ის საბუთის გადამწერად იხსენიება ფანასკერტელთა გვარში ციციშვილების განშტოება. საბუთში პარდაპირ ასეა მითითებული: ინდუქტონსა მეფობისა — ჩუენისა მეორესა (ლაპარაკია სუიმონ I მეფეზე 1556-1569 წ. ს. ს.) კელითა ფანასკერტელის-ციციშვილის სახლთუხუცესისა ზაზასითა“ — დაიწერა სიგელ-გუჯარი. ეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი უნდა იყოს ტაოდან ქართლში გადმოსახლებული „დიდი ზაზა ფანასკერტელის“, იგივე „ბრძენთმთავარი ზაზა ფანასკერტელის“ ვაჟის, ქაიხოსრო ფანასკერტელის უფროსი ვაჟიშვილი და ფანასკერტელების საგვარეულოში პირველი „ზაზა ფანასკერტელი“, „ციციშვილის“ დამატებითი გვარით. იგი ქაიხოსროს — ძეა, რომელსაც 1558 წელს სუიმონ მეფის კარზე „სახლთუხუცესის“ თანამდებობისათვის მიუღწევია, ვინაიდან ფანასკერტელებს თავისი პრივილეგიებული მდგომარეობით ავტომატურად ერგებოდათ „სახლთუხუცესის“ თანამდებობა ე. ი. ეს ზაზა „დიდი ზაზას“ შვილიშვილია, თანაც პირველი ზაზა ფანასკერტელია ციციშვილის დამატებითი გვარით. და თუ 1558 წელს იგი სახლთუხუცესია, ბუნებრივია, ამ დროს სულ ცოტა ეს ზაზა 30 წლის კაცი მაინც იქნებოდა, თუ მეტის არა. ბუნებრივია, 1558 წელს თუ ზაზა 40 წლის კაცი იყო, 1609 წელს იგი 91 წლისა იქნებოდა. 91 წლის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი შედარებით ახალგაზრდა გიორგი სააკაძის თანამებრძოლი ვერ იქნებოდა. ამ დროს არც ქაიხოსრო, არც მერაბი, არც სიაოში, არც გიორგი და არც ზაქარია (შვილები: დიდი ზაზა ფანასკერტელისა) ცოცხალთა შორის აღარ იქნებოდნენ. სავარაუდოა, რომ ზაზა ქაიხოსროს ძე, ან მერაბის ძე, ან სიაუმის ძე და ა. შ. ფანასკერტელ-ციციშვილის ვაჟის შვილიშვილი, ან „დიდმან ზაზა ფანასკერტელის“ შვილიშვილის შვილი იყო გიორგი სააკაძის თანამებრძოლი. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ქართველი მხედრთმთავრები ან უთანასწორო ბრძოლებში იღუპებოდნენ და მოხუცებულობას მათ ვინ დააცლიდა, ან კიდევ ადრეულ ასაკში სპასილარობას მათთან შედარებით ახალგაზრდა კაცს გადააბარებდნენ ხოლმე. ცნობილია, რომ თორნიკე ერისთავი 40 წლის ასაკში ბერად შედგა და ივერთა ათონის მონასტერში მშენებლობას და მწიგნობრობას მიჰყო ხელი. XV საუკუნის ისტორიული მოღვაწის, „მკურნალ“ ზაზა ფანასკერტელისაგან განსხვავებით, XVI-XVII საუკუნეებში არაერთი ზაზა

ფანასკერტელ-ციცუშვილი იხსენიება. XVII საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ასეთი ისტორიული პიროვნება იყო ზაზა ფანასკერტელ-ციცუშვილი. იგი „ბაბათა-შვილის“, ანუ იოსებ ტფილელის (იგივე იოსებ სააკაძის) პოემის „დიდმოურავიანის“ მიხედვით სოფ. მეტეხთან 1609 წელს ოსმალ-თათრებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. მაშასადამე, იგი „მკურნალ ზაზა ფანასკერტელის“ III თაობაა, შესაძლებელია IV თაობაც, რომელიც იბრძოდა მხედართმთავარ გიორგი სააკაძესთან, ლუარსაბ მეფის ტახტის გადასარჩენად და გმირულად დაეცა ომის დროს სოფ. მეტეხთან.

დაბადების თარიღისა და მამის სახელის ზუსტად დადგენა ჭერჯვრობით ვერ შევძელით შესაბამისი საბუთის ხელთ უქონლობის გამო.


ქართული სამედიცინო კერალდიკის ჟურნალი — ნიკოლოზ გალაღაძე

ჩვენს გამოცვლევაში ქვესათაურით „ირმის სიმბოლიკა და ძველი ქართული მედიცინის და ფარმაციის ისტორიის საკითხები“ დეტალურად შევცხენთ საერთოდ ირმის გამოსახვის ტრადიციებს ძველ საქართველოში და შევეცადეთ აგვეხსნა მისი ქრონოლოგიური კავშირი მაღალაძეების საგვარეულოს პერალდიკასთან. დავრწმუნდით, რომ სოლომონ მაღალაძის მერყეამის ტიპის კოშკზე შემთხვევით არ არის გამოსახული ქორბუდა ირემი, ფრთოსანი ფასკენჯი-ძალგულოვნების სიმბოლო და მგელი. სეციციზოვის კედელზე გამოსახული ირმის თავებზე დაკვირვებით საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მაღალაძეების საგვარეულოს პერალდიკის თვალსაზრისით ირმის გამოსახვა შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

როგორც ამ ბოლო წლებში აღმოჩენილი მასალებით ირკვევა, შუა საუკუნეების კალიგრაფ-მჩხრეკელთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება XVII საუკუნის სასულიერო მოღვაწეს — ნიკოლოზ პაპუას ძე მაღალაძეს. ჩვენამდე მოღწეული მასალები აშკარად მეტყველებენ ამ პიროვნების ფართო ეოლდიციაზე და მის სამედიცინო ღვაწლზე, რასაც ადასტურებს უპირველეს ყოვლისა „მაღალაძის ეკლესიის“ კედელზე დღემდე შემორჩენილი წარწერები (იხ. შესაბამისი ფოტოდოკუმენტები): „ქ. მე. მონამან ღმრთისამან ნიკოლოზ ქადაგმან მაღალაძემ. ვიწყე შენებად მეორედ წმინდისა ამის ტაძრის ყოვლადწმინდის დიდებულისა დედის ჩემის ელენეს შესანდობად. მამაჩემის პაპუას მოსახსენებლად ქრონიკონის ტნიე (350 + 15 = 365 + 1312 = 1677. ივლისისა 21“. აქვეა მეორე ქარაგმული წარწერა (იხილეთ შესაბამისი ფოტოდოკუმენტი): „ქ. დამბადებელ შვიწყალე ნიკოლოზ მაღალაძეს დედა ელენე და მამა პაპუა. ქრონიკონს ტნიზ“. 350 + 17 = 367 + 1312 = 1679 წელს. და სულ ქვემოთ მაღალაძის ეკლესიის აღმოსავლეთის საკურთხევლის გარეთა კედელზე ასეთი წარწერაა: „ქრისტე მოიხსენიე. უფალო, ნიკოლოზ მაღალაძე“. მაღალაძეების ეკლესიის დამატებით ეგვიპტურში კედლის მხატვრობა ფრიალ საინტე-

რესო, როგორც ფრესკული მხატვრობის ტრადიციების, ასევე საქართველოს „აეკლესიო მედიცინის“ ისტორიის თვალსაზრისით. შუა საუკუნეების ქართული სამედიცინო ხელნაწერების კალიგრაფ-მწიგნობრებიდან მახარებელის ფრესკა ერთადერთია. და თუ ჩვენამდე ნიკოლოზ პაპუას ძე მალალაძის ფრესკამ მოაღწია, ამას რუს მხატვარ გ. გ. გაგარინს უნდა ვუმაღლოდეთ, რომელმაც პაპუა მალალაძის ოჯახის 10-ვე დედამამიშვილი გადმოხატა და 1847 წელს ფერადი რეპროდუქციის სახით გადმოსცა პარიზში. ამ ალბომის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ დღეს იგი დედნად ითვლება და ამ ასლიდან შესაძლებელია კედლის მხატვრობის აღდგენა. გ. გაგარინის გადმოხატულ ფრესკაზე ცენტრში წარმოდგენილია თეთრი ფაფუკი წვერით სახლთუხუცესი პაპუა მალალაძე, მარჯვნივ ქალბატონი ელენე, ქალიშვილი ხვარაშანი და სახლთუხუცესი გიორგი (ისტორიული ჩანაწერების მიხედვით გიორგი პაპუას შვილად არ იხსენიება, ამიტომ, შესაძლებელია, იგი სიძეა, ხვარაშანის მეუღლე, ს. ს.), მარცხენა მხარეს ედრების პოზაში გამოხატულია სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი ნიკოლოზი, სახლთუხუცესი რევაზი, შემდეგ სურათზე გამოსახულნი არიან: პაატა, მამუკა, ზურაბი და ადამი. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი გვქონდა მიგვეკვლია მალალაძეების ოჯახის იმ იკონოგრაფიული ფრესკისთვის, თუ სად იყო თავიდანვე ეს ფრესკა მოხატული? ზუსტი პასუხის გამეცემი პიროვნება ვერ ვნახეთ! სურვილი ფრესკის პოვნისა განუსაზღვრელი იყო და ინტერესი კი დაუოკებელი. ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით ფრესკების კვლევის ლაბორატორიის გამგეს, იგორ გილგენდორფს.

როგორც ცნობილია, ი. გილგენდროფი ფართოდ იყენებს თანამედროვე ფიზიკისა და ქიმიის მიღწევებს კედლებზე დაზიანებული და ძველი ფრესკების შესწავლისათვის. ჩვენი თხოვნით ქართული ფრესკული კულტურის შესწავლის ერთუზიასტმა, პატივეცემულმა იგორ გილგენდროფმა, მთელი რიგი აპარატურისა და დენის წყაროს მომცემი ძრავის კომპლექტი წინარეხში მალალაძეების ეკლესიის ეზოში ჩამოიტანა. მას ასისტენტობას უწევდა ახალგაზრდა სპეციალისტი ირაკლი იაკობაშვილი. დავიწყეთ ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენოსკოპული სხივებით კედელზე მოხატული ფრესკების განათება და გადაღება. ამ მეთოდით მალალაშვილების საგვარეულოს ფრესკების შესწავლის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ ხელთა გვაქვს იგორ გილგენდროფის მიერ გადაღებული ფოტომასალები. ნაპოვნია ის იკონოგრაფიული ფრესკა, რომლისგანაც გ. გ. გაგარინმა გადმოხატა XVII საუკუნეების მალალაშვილების ოჯახის წევრთა სურათები. უნდა ვივარაუდოთ, რომ კედლის მხატვრობის გადმოხატვა გ. გაგარინის მიერ მოხდა XIX საუკუნის 30-იან წლების ბოლოს, ან 40-იანი წლების დასაწყისში. მკითხველს, რომ ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს მალალაძეების ოჯახის იკონოგრაფიულ ფრესკაზე, დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს ჩავატაროთ შედარებითი ანალიზი დედანსა და რეპროდუქციას შორის. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გ. გ. გაგარინის მიერ კედლიდან ფრესკის გადმოხატვის მომენტიდან გასულია 150 წელი. ამ ხნის განმავლობაში ფრესკის დედანი მეტისმეტად და-



XIII საუკუნის დასაწყისიდან ივანიძეების და XIV საუკუნის მიწურულიდან მაღალაძეების საგვარეულო ძეგლის საერთო ხედი. მარჯვნივ მოჩანს მახარებლის კოშკი, სადაც შემოგვრჩა ისტორიული ფრესკები.



სვეტიცხოვლის არქიმანდრიტის, ნიკოლოზ პაპუას-ძე მაღალაძის პორტრეტი (ვაგარიანის მიხედვით). მისი ინიციატივით სვეტიცხოვლის კედელში ჩაშენებულია ქვაში გამოქანდაკებული ირმის თავები. ეს ფაქტი საგვარეულო ჰერალდიკის ტრადიციებზე უნდა მიგვანიშნებდეს.



ლაპიდარული წარწერა მაღალაძეების ეკლესიის კედელზე: „დამბადებლო, შეიწყალე ნიკოლოზ მაღალაძეს ღვთა ელენე და მისი მამა პაპუა“.



სვეტიცხოვლის კედელში ჩაშენებულია ქვის ორნამენტი ირმის თავის გამოსახულებით და მარჯვნივ და მარცხნივ მცენარეული ორნამენტით, რომელიც ხოდაბუნების შთაბეჭდილებას ტოვებს, აქვია ნიკოლოზ მაღალაძის მემორიალურ-ლაპიდარული წარწერა, რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ირმის სიმბოლიკა მაღალაძეების საგვარეულოს უკავშირდება.

ნია. ჭაჭი. სმარტოვანის ხმელეთა. ჭ. ქიათ. მანგოი ი. ნ. 1
 ზეზნის წიგნთ. სწავსა; ია. ნაქია. ჭ. ზვითა. 2 ვერთოფა. ჭ. ფ
 ქსანძი. ჭ. ნაია. ფიქრ. სე. აქირულძა. წიგნი. ვეფხძს.
 ზ. მაღლქუღას. სხეულს. საქართოფ — ს. ვეფ. თეიფ
 ანძას. ჭ. ძას. ამძას. ჭ. სქელწად. ჩენიღს. ვილ. მსს
 ურს. ვნთ. ვეფს. ირავლისა. ჭ. პეტრეძას. ღიღს. ღობი
 ცუფლისა. ვარძლოა. ვეფს. ც. ამს. ვეფს. ძა. ანგანძა: —
 ულია. სეფძს. სქელძა. ჭ. პეტრეძის. ვლიყ. ჭაგ. მაღლ
 ამს. ნიქლანძასა: ციფეს. ფსკრეღსა. ზ. ჭ. აქათ
 რღნეა. ექსა. აქმე; ი. ღსამითეან: ვიღრე. აქმეღე.
 წელნი. ვარღსროლ. იყრეს: — ჭს: მ: გ:

ნიკოლოზ პაპუას-ძე მაღალაძის ხელით დაწერილი საბუთი, რომელსაც ახლავს მისი პირადი ფაქსიმილე — ხელრთვა. დედნების ფუნდი № 1448, საბუთი № 627.



ზიანებულა. მთელი კორპუსით მხოლოდ ადამ მაღალაძის გამოსახულებაა შემორჩენილი. ფრესკის ცენტრალური ნაწილიდან აღარაფერია დარჩენილი. შეინიშნება სასულიერო პირის სამოსელი — ანაფორა, რომელიც ნიკოლოზ არქიმანდრიტის სამოსელის ნაშთია. ცენტრში პაპუა მაღალაშვილის გამოსახულება საერთოდ ჩამორეცხილია. არაფერია დარჩენილი ელენეს და ხვარაშანის ფრესკიდან. მარჯვენა მხარეს ადამიანის მხოლოდ თავის გამოსახულებაა შემორჩენილი და მის ქვემოთ მარჯვენა მხარეს სამოსელის ძნელად გასარჩევი ნაშთილა შეინიშნება. აქ რომ ნამდვილად გიორგი მაღალაძის ფრესკა იყო გამოსახული, ამას ადასტურებს გ. გაგარინის რეპროდუქცია, რომლის მარჯვენა მხარეს ფეხებ ქვეშ ფრანგულად აწერია



პაპუა მალაღობის ოჯახის დედამიწეელების ფრესკა, ამჟამად საგრძნობლად დაზიანებულია. ფრესკიდან ჩამორეცხილია ნიკოლოზი, პაპუა, ელენე, ზვარაშანი და გიორგის მხოლოდ თავის გამოსახულებაა შემორჩენილი. ფოტო გადაღებულია ი. გილგენდორფის მიერ.




რუსმა მხატვარმა ვ. გ. გაგარინმა (1810-1888 წწ.) მახარებელის კოშკის კედლიდან გაღმობათა პაპუა მალაღობის ოჯახის ათივე წევრი და 1847 წელს პარიზში გამოცემულ ალბომში მოათავსა ფერადი რეპროდუქცია. მარცხნიდან მარჯვნივ: ადამი, ზურაბი, მამუკა, პაატა, რევაზი, ნიკოლოზ არქიმანდრიტი, პაპუა სახლთუბუცესი, მეუღლე ელენე, ქალიშვილი ზვარაშანი და გიორგი (ხიძე?!). ისტორიული ჩანაწერებით სახლთუბუცესის ქალი ელენე მოგვედარა 1672 წელს?!. თვით პაპუა კი 58 წლის ასაკში 1681 წელს.



სვეტიცხოველი. სამხრეთ კედლას გარეთა ფასალი. ირმის თავებს შორის ქვაშია ანოტიფრული ნიკოლოზ მალაქაძის ანდერძის ტექსტი, რომელიც ასე შთავრდება. „ღმერთო, შეიწყალე ნიკოლოზ მალაქაძე“. ეს ქარაგმული მხედრული წარწერა 1878 წლით თარიღდება. სვეტიცხოვლის კედელზე ასეთი წარწერა მალაქაძეების საეკლესიო ფეოდალურ პრივილეგიაზე მიგვანიშნებს. სავარაუდოა, რომ ნიკოლოზმა ცკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა.

„Yeorges“, საერთოდ ეს ნახატი ასეთი წარწერა — ანოტიციით არის ახსნილი: „ნახატი რომელიც არის გამოსახული „პრანცი“ მალაქაძეების რეზიდენციაში“. ფრანგულ წარწერას ადასტურებს ფრესკაზე მალაქაძეების ოჯახის წევრების გამოსახულების თავზე ქართული მხედრული წარწერა. სახის მარცხენა მხარეს „გიო“ და სახის მარჯვენა მხარეს „რგი“ — „გიორგი“. სხვა ფრანგულ წარწერებთან ერთად მათემატიკური სიზუსტით დაცულია შესაბამისი ქართული მხედრული წარწერებიც, რომლებიც პაპუა მალაქაძის ოჯახის წევრების გამოსახულებებს ზუსტად მიგვანიშნებს. მისი პორტრეტის მარცხენა მხარეს მხედრული წარწერა ასე იკითხება „ნიკოლოზი“ და, როგორც უკვე ვთქვით მისი სახის გამოსახულებიდან კედელზე აღარაფერი შემორჩენილა, არის მხოლოდ ტანსაცმლის ანაფორის ფრაგმენტი. ფრიად საინტერესოა საეკლესიო ჩაცმულობაში შემოსილი ნიკოლოზ მალაქაძე ვედრების პოზაში. როგორც სასულიერო ჩაცმულობის მიხედვით კომპეტენტური სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ დროს ნიკოლოზ მალაქაძე ჯერ კიდევ არ არის სრულიად საქართველოს კათალიკოსი. იგი მცხეთის სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი, წინამძღოლი და ქადაგია. ყურადღებას იქცევს ფეხსაცმლები. ფრესკის 8 წევრს, 6 მამაკაცსა და 2 მანდილოსანს ელენესა და ზვარაშანს, ყველას მალაქაძეებისა და ქოშები აცვიათ. რასაკვირველია, ყველანი წარმოდგენილნი არიან თავსამკაულებით: მამაკაცები ქუდებით — ჩალმებით და ქალები მანდილით. ნიკოლოზი ყველა ძმისაგან 30. ს. სალუქვაძე.




ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდ A—904-ის 206 ვერსო გვერდზე შემონახული ნიკოლოს სოლომონის ძე მალალას პირადი ფაქსიმილე.


განსხვავებულ საეკლესიო მსახურის სამოსელშია წარმოდგენილი. იგი მორთულია სტიქარით, ეპიტრახილით, გამოწყობილია ფენოლით, ენჭერით და მიტრით. იგი წარჩინებული მღვდლის ფენოლშია გამოწყობილი და არა სამღვდელმთავრო ბისოში. რაც მთავარია, მას ფეხთ აცემა წკაპუნები, უქუსლო „ფოსტლები“, ეს მაშინ, როცა მის მამას პაპუას, დედას ელენეს და ყველა დედამამიშვილს მალალქესლიანი მდიდრული ქოშები მოსავი. ესეც ქრისტიანული სარწმუნოების კათოლიკური განშტოების ჩაცმულობის ტრადიციებზე მიგვანიშნებს (XVII საუკუნეში ისტორიულ წერილობით წყაროებში მალალაძეები კათოლიკებად იხსენიებიან, ს. ს.). სურათზე პაპუა მალალაძე თეთრი ვერცხლისფერი წვერ-ულვაშით არის წარმოდგენილი. ნიკოლოზი შავთვალ-წარბა. სანდომიანი გარეგნობის მამაკაცია. როგორც ჩანს, მას ჩაუტარებია 1677-79 წლებში მისი წინაპრების საგვარეულო ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები. განუახლებია „მალალანთ ეკლესიის“ შენობა და კედლის მხატვრობა. ფრიად საგულისხმოა ამ მხრივ სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ კედელზე რელიეფურად ამოტვიფრული მხედრული ასოებით ქარაგმული წარწერა, რომელიც საქართველოს მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით ჯერჯერობით შესწავლელია და გასაანალიზებელია. რასაც კვლავ ზედმიწევნით შევხებით. გ. გ. გაგარინის ნახატის მიხედვით მარცხენა მხარეს ფრესკაზე მალალაძეების ეკლესიის დამატებით ეკედერში ადვილად იკითხება მხედრული წარწერა „რევაზი“, ფრესკიდან შემორჩენილია ქუდისა და მარჯვენა თვალ-წარბის გამოსახულება, ხოლო ქვემოთ მარჯვენა ფეხის გამოსახულების ფრაგმენტი. დედანში იკონოგრაფიულ ფრესკაზე მეტი აღარაფერია შემორჩენილი სახლთუხუცესი რევაზის კორპუსის გამოსახულებიდან. რევაზის შემდეგ, წელზემოდ გამო-




მაღალაძეების ეკლესიის კედელზე შემორჩენილია ახალი წარწერა: „ქრისტე მოიხსნე უუალო სიკულის მაღალაძე“.



მდივან-მწიგნობარ-ქადაგ-მაგლობლის სოლომონ რევაზის ძე მაღალაძის ლაიკდარული მემორიალური ანდერძი — წარწერა ქვაზე, სოლომონ მაღალაძის კოშკზე სოფელ წინარეხში. სოლომონ მაღალაძემ დაამზადა ქართული სასტამბო შრიფტის პირველი ესკიზები ვახტანგ VI მიერ დაარსებული პირველი ქართული სტამბინათვის (იხ. ქრისტინე შარაშიძის შრომები). სამწუხაროდ, „სოლომონ მაღალაძის შრიფტი“ უპირველესი ქართული სტამბური ბეჭდვის ვარიანტია, რომელიც დღეს რატომღაც მისივე სახელით აღარ იხსენიება. (ლაპარაკია ქ. თბილისში დაარსებულ სტამბაზე, — ს. ს.).



მარცხნივ „სამკურნალო წიგნი — „ფარმაკოპეა-კარაბადინი“ (XV ს.) Q ფონდი № 877 და მარჯვნივ „უსწორო კარაბადინი“ (XI ს.) Q ფონდი № 28. ორივე ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.



მალაქაძეების ცელესიის შემოგარენში აფთიაქის უენობის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ბორწყალი მამა-პინცეტი და ბრინჯაოს ნივარები.

Die Geschichte des Apothekenwesens in Georgien und der Beitrag deutscher Pharmazeuten

Manuskriptvorgang · 30. Juli 1979

S. S. SALUKWADSE

Anschrift des Verfassers: Sokrat S. Salukwadse, Tbilisi,
Übersetzung aus dem Russischen: Dr. phil. Gotthard Seidemann,
DDR - 1190 Berlin, Moosstr. 63

Georgien ist das Land einer alten Kultur, in der Zeit des Mittelalters blühten in ihm nicht nur die Architektur und die Malerei, sondern auch verschiedene Zweige der Wissenschaften wie die Mathematik, die Astronomie, die Chemie, die Physik und die Medizin. In den Chroniken des georgischen Lebens und in den Mythen des alten Griechenlands gibt es Andeutungen darüber, daß Aietes, der König der Kolchis, das Geheimnis der Goldgewinnung früher kannte als die Griechen und daß es in seinem Reich einen Garten der Hekate gab, der durch seine Heilkräuter berühmt war. Medea, die Tochter des Aietes, soll der Wirkung dieser Kräuter kundig gewesen sein, ihr tragisches Schicksal fand in dem Drama des Euripides einen beredten Ausdruck (Abb. 1).

Nicht minder tragisch gestaltete sich auch das politische Leben des alten Georgien, wo sich ununterbrochen römische, persische, arabische, mongolische, türkische und andere Eroberer einander ablösten. Bei ihren Feldzügen wurden historische Denkmäler schonungslos vernichtet, gingen manche Kostbarkeiten der materiellen Kultur unwiederbringlich verloren. Dennoch geht aus den erhaltenen Zeugnissen hervor, daß das Apothekenwesen in Georgien relativ früh entwickelt war. Wie bekannt, ließ König Roger im 12. Jahrhundert in Neapel einige Apotheken einrichten, und sein Enkel Friedrich II. erließ im Jahre 1224 eine erste Apothekenordnung. Für das 11. Jahrhundert ist die Existenz einer Apotheke in dem von georgischen Mönchen bewohnten Iberischen Kloster auf dem griechischen Athosberg bezeugt. Von 1184 bis 1212 regierte in Georgien Königin Tamar, die Chronisten nennen diese Periode „das goldene Zeitalter“. Um diese Zeit



Abb. 1 Medea, die ihre Kinder tötet, nachdem sie von ihrem Ehemann Iason verlassen wurde. Die Skulptur im Stempel von Paros ist eine Arbeit des griechischen Bildhauers Metaxos Berseeschaki.




Abb. 2 Die in der Feinokkerne Apotheke im Feinokkernekomplex von Wandara

საქართველოს წამალმცოდნეობის ისტორიის შესახებ ცნობები ჩვენ მიერ გამოქვეყნდა
1979 წ. ურუნალ „ფარმაცოტიონე პრაქსის“ ფურცლებზე (გლრ).

სახელებით, შედარებით დაუზიანებლად არის შემორჩენილი, პაატას ფრესკა. | ახის ნაკეთები აშკარად შეიძლება გავარჩიოთ, კარგად მოჩანს ქული, რომლის ზემოთ მხედრული წარწერაა „პაატა“. დაუზიანებელია მარჯვენა თვალი-წარბი და შუბლი, ამოფხეკილია მარცხენა თვალის მიდამო. ცხვირის გამოსახულება შეიძლება ნახევრად გაარჩიოს კაცმა. მარჯვენა ლოყა ძლიერ დაზიანებულია. კარგად მოჩანს უღვაშის მარცხენა მხარე და საერთოდ წვერ-უღვაში, თავ-ყელი, კაბა-სამოსელი და ვედრებით აპყრობილი მარჯვენა ხელი. ქულის ქვეშ აშკარად ჩანს გრძელი თმა — გავროში. შედარებით უფრო კარგად მოულწე-ვია ჩვენამდე მამუკას ფრესკულ გამოსახულებას, მარჯვენა ხელით ვედრების პოზაში თითქმის მუხლამდე გამოსახულებით არის გასარჩევი. თუ პაატას მო-თეთრო ფერის სამოსელი აცვია, მამუკას ტანსაცმელი უფრო კონტრასტულია, ხეი შავი ფერისაა. ქულები ყველა ძმას თითქმის ერთნაირი ახურავთ. მამუკას ფრესკის ზემოთ აღვილად გასარჩევი მხედრული წარწერაა „მამუკა“. კარგად შეგვიძლია გავარჩიოთ შუბლი, წარბები და მარჯვენა თვალი, მარცხენა თვალი ამოჩიქნილია, ცხვირის მხოლოდ ნესტოებიღა შემორჩენილია. მარჯვენა ლოყა ამოფხეკილია და დაკაწრული. კარგად იკითხება წვერ-უღვაშის გამოსახულე-ბა. მამუკას შემდეგ ფრესკაზე გამოსახული მთელი სხეულითაა ზურაბ მალა-ლაძე. მას ზუსტად პაატას ფერის სამოსელი აცვია, მხოლოდ სამოსელი სხვა-დასხვა ფერის, პაატასაგან განსხვავებული ჩითილებითაა მოხატული. ზურაბი მარჯვენა ხელით ვედრების პოზაშია წარმოდგენილი. აღვილად გასარჩევად მოჩანს სხეულის მთლიანი კორპუსი, ქული, რომლის ზემოთ მხედრული წარ-წერა ასე იკითხება „ზუ აბ“ საკუთარ სახელში „რაე“ ამოჩიქნილია. მაგრამ გ. გაგარინის რეპროლექციას და დედან-ფრესკის შედარებისას ძმები მალა-ლაძეების ისტორიული თანმიმდევრობა ზუსტად არის დაცული. ასე ემთხვევა ურთიერთს გ. გაგარინის მიერ გადმოღებული ასლი და შუა საუკუნეებში, დღეისათვის უცნობი ქართველი მხატვრის მიერ მოხატული ფეოდალების — მალალაძეების ეს იკონოგრაფიული ფრესკა. ზურაბის გამოსახულებიდან და-ცულია შუბლის და წარბების მონაკვეთი. სამწუხაროდ. ორივე თვალი ამო-ჩიქნილია. მოგრო წვერის, მარჯვენა ლოყისა და თავ-ყელის დღემდე შემორ-ჩენა იმედს გვაძლევს, რომ სარესტავრაციო მუშაობის ჩატარების შედეგად ზუსტად აღდგება ეს ფრესკა. თითქმის ყველაზე სრულყოფილად დღემდე მო-აღწია ადამ მალალაძის იკონოგრაფიულმა ფრესკამ. ოდნავ დაზიანებულია თვალების მიდამოები, ბაგე-ტუჩის. ლოყისა და ცხვირის ნესტოს გამოსახულე-ბაზე, აშკარა ნაკაწრი შეინიშნება. ადამის ქულის გამოსახულება, ამოფხეკილია. საერთოდ ამ ფრესკიდან მხოლოდ ზურაბ მალალაძის ქულია თითქმის დაუზიან-ებლად ჩვენამდე მოღწეული. სხვა ქულების (ჩალმების) გამოსახულება ოდ-ნავ დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ადამ მალალაძე თავისი ძმე-ბის მსგავსად მარჯვენა ხელით ვედრების პოზაში არის წარმოდგენილი. ფრეს-კული ხელოვნების ეს უნიკალური ნიმუში საგრძნობლად დაზიანებულია უკვდა-ვების ვაი-მამიებელთა მიერ. ფრესკა დამახინჩებულია სხვადასხვა მიჩხაპნილი სახელებით. ცნობილი კვალიფიციური სპეციალისტის, იგორ გილგენდროფის

შიერ გადაღებული იკონოგრაფიული ფრესკა, მდებარეობს მახარებელ მაღალაძის კოშკის დასავლეთ მხარეს, შესასვლელი კარების თავზე. ფრესკების ქუდებით (ჩაღმებით) და თავსამკაულებით გამოსახვა ირანულ კულტურის გავლენით და ასიმილაციით უნდა ავსნათ.

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი, რომ აკადემიკოს ალექსანდრე ალდაშვილის ვაჟიშვილის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვასტანგ ალდაშვილის პირად ბიბლიოთეკაში ინახება სამედიცინო უნიკალური ხელნაწერი: „იადიგარ დაუდი“, რომლის 498 ვერსო გვერდზე სრულიად გარკვეულად ანდერძის სახით წარწერაა: „ღმერთო შეიწყალე მონა ღვთისა ნიკოლოზი“. (იხილეთ ამ ფრაგმენტის ფოტოპირი), კვირნიშნებისა და პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით ხელნაწერი XVIII საუკუნით არის დათარიღებული. ამ ხელნაწერის ღირსება ის არის, რომ თუ XVI საუკუნის დავით ლუქსაბისძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) წიგნი „იადიგარ დაუდი“ ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული, XVIII საუკუნეში გადაწერილი ამ წიგნის ყველა გვერდი და ფურცელი უნაკოდ არის მოღწეული ჩვენამდე. XVII საუკუნეში გადაწერილ XVI საუკუნის „დედას“ — „იადიგარ დაუდს“ აკლია რამდენიმე გვერდი, ხოლო XVIII საუკუნეში ამ პირისაგან გადაწერილ ერთ-ერთ ალდაშვილისეულ ვარიანტს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელიც ხელთა გვაქვს, შედარებით მთლიანია. ვინ არის ამ წიგნის კალიგრაფ-მწერალი ნიკოლოზი?

XVIII საუკუნეში ცნობილია ნიკოლოზ მაღალაძე პროტოპაპ-მდივან-მორდალი. ბუნებრივია. იბადება კითხვა. აქ რომელ ისტორიულ პიროვნება ნიკოლოზზეა ლაპარაკი? ან ეს ნიკოლოზი ნამდვილად მაღალაძეა? აქ მხედველობაშია მისაღები ორი არგუმენტირებული ფაქტორი: პირველი, რომ „სენთა კურნება“ „ჯუარისმტვირთველთა“ კომპეტენციაში შედიოდა. ამ მხრივ აშკარად პრივილეგირებული პიროვნება იყო სვეტიცხოველის არქიმანდრიტი, სწუ მამსახლისი ნიკოლოზ მაღალაძე, რომელიც შემდეგ მოვლენათა განვითარების გამო საქართველოს კათოლიკოსი გახდა 1679 წელს. იგი იყო გამოჩენილი მდივან-მწიგნობრისა და კალიგრაფი-მწერლის მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძის უმუშალო, ან რომელიმე ძმისწულის მომდევნო შთამომავალი. „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომის მონაცემების მიხედვით ნიკოლოზ მაღალაძე პაპუა მაღალაძის უფროსი ვაჟიშვილია, ეს თანმიმდევრობა ღაცულია გ. გ. ვაგარიანის მიერ პარიზში გამოცემული ალბომის რეპროდუქციაზეც. პაპუას გვერდით მარცხნივ პირველი დგას ნიკოლოზ არქიმანდრიტი, შედარებით ახალგაზრდა, შავი წვერ-ულვაშით და სასულიერო სამოსლით, რომელსაც კალთაზე ჯვრის გამოსახულება ამშვენებს — მამამისი პაპუა, ღრმა მოხუცებული კაცი ფრესკაზე გამოსახულია თოვლივით თეთრი წვერით¹. XVII საუკუნეში მაღალაძეები დიდად პრივილეგირებულები იყვნენ. ის ფაქტი რომ 1676-77 წელს ნიკოლოზ მაღალაძე განაგებდა მცხეთის საკათალიკო-

¹ პაპუა მაღალაძე 58 წლისა გარდაიცვალა. (ს. ს.).

სო ეკლესიას დომენტი II კათალიკოზის (1660-1676 წ.წ.) სიკვდილის შემდეგ, ხოლო იყო საქართველოს კათალიკოსი, თავისთავად მრავლისმეტყველია. აისი ზრუნვის შედეგად არის განახლებული და აღშენებული წინარების მშენებელი ბეთლემის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც დღეს მეტსახელად „მალაღაანთ ეკლესიის“ სახელით არის ცნობილი ისტორიულ წყაროებში. ნიკოლოზი მბაჟა მალაღაძის უფროსი ვაჟიშვილია და რატომღაც მღვდელი. პ. კარბელაშვილის მიერ შედგენილ წიგნში: „იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი“¹ იგი წარმოდგენილია ადამ მალაღაძის ვაჟიშვილად. აღმოსავლეთ კედელზე, ზევით კამარის ქვეშ წარწერა მხედრულია, რომელიც თითქოს გვაუწყებს, რომ ნიკოლოზის მამა ადამი იყოს, რაც ჩვენ ამ ქარაგმული წარწერის არასწორად ამოკითხვით შეიძლება ავსხნათ, მაშინ როდესაც ნიკოლოზის დედის სახელი ელენე სწორად არის მოხსენიებული. ამ თარიღის გაშიფრვის შედეგად ფარდა ეხდება 1677 წელს ნიკოლოზ მალაღაძის მიერ წინარეხში „მალაღაანთ ეკლესიაზე“ ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოს და შესაბამისი ქარაგმული მხედრული წარწერების შინაარს, რომ ამოკითხვის დროს უსათუოდ დაშვებულია შეცდომა, რაც ასე უნდა იკითხებოდეს: „მე კათალიკოზმან ქართლისამ ქადაგმან მალაღაძემ ადამს აქეთ (უნდა იყოს ქრონიკონის ქარაგმული ნიშანი, მაშასადამე: ადამს აქეთ და არა ადამის ძემ აღვაშენე) მაშასადამე განვაახლე საყდარი ესე „ტაძარი ყოვლად წმინდისა აღიდე სული დედისა ჩემისა ელენესი“, (სწორია: ელენე იყო ნიკოლოზის დედა. ს. ს.) შესანდობლად მამისა პაპუასა მოსახსენებლადა ქ-კს-ტნიე“. ეს მომზდარა 1677 წელს და ამ საყდრის მშენებლობა თუ სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარებია არქიმანდრიტ ნიკოლოზს. იგი იქვე ყოფილა დასაფლავებული, საყდრის ეზოში და საფლავის ქვაზედ გამოსახული ყოფილა ცხენზედ მჯდომარეო, გვაწვდის ცნობას მღვდელი პ. კარბელაშვილი. ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც, ძალიან „მცირე ხნობით“ იყო ნიკოლოზი კათალიკოსის თანამდებობაზე, ზუსტად რა მოხდა, ჭერჭერობით არ არის ცნობილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალისტები ჭერჭერობით არ დაინტერესებულან ნიკოლოზ მალაღაძის პიროვნების შესწავლით. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ სვეტიცხოვლის საკურთხეველის კედლის გარეთა მხარეს ქარაგმულ მხედრულ წარწერას (იხ-თ შესაბამისი ფოტო). კედელზე რელიეფურად არის ამოტვიფრული შარავანდელით მოსილი სამი წმინდანის გამოსახულება „წმინდა სამება“. მათი სურათის ქვეშ არის ჩაშენებული ტრაპეციული ფორმის ქვა. ამ განიერი ქვის ქვედა ძირი აშკარად დიდია ზედაზე. ამ ქვაზე სრულიად აშკარად არის ამოკვეთილი შემდეგი შინაარსის მხედრული ქარაგმული წარწერა: „მეფობისა გიორგის დროს ქ. ადამს აქათ შვიდი ათას ასოთხმოცდა ექვსსა, ქრისტეს აქათ (ექვსას?) საშიოცდა იბ ქკს ტნიზლოთ შეიწყალე ნიკოლოზ მალაღაძე“ სვეტიცხოვლის კედლის წარწერაზე შემდეგი მინიშნებებია:

¹ პ. კარბელაშვილი, „იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი“. ტფილისი, 1980, გვ. 126-127.

იბ 12

ქს — ქრონიკონს,

ტნ — 350

იზ — 17,

ღ — თო — ღმერთო

სამყაროს შექმნიდან ქრისტემდე — 5508 წ.

სამყაროს შექმნიდან დღემდე — 7490 წ.

მზის მოქცევა — 19.

მთვარის მოქცევა — 28 წ.

მზის და მთვარის დამთხვევის წელი $19 \times 28 = 532$

532 — დიდი ინდუქტიონი, ანუ მოქცევა,

$532 \times 2 = 1064$ — ორი მოქცევა.

$532 \times 3 = 1596$ — სამი მოქცევა და ა. შ.

$532 \times 14 = 7448$ — 14 მოქცევა.

$532 \times 15 = 7980$ — 15 მოქცევა.

ე. ი. 1940 წელს დამთავრდა 14 მოქცევა.

1941 წელს დაიწყო 15 მოქცევა.

1941 წელს არის 15-ე მოქცევის I წელი, ანუ I ქრონიკონი.

ამგვარად წარწერის თარიღის გამოანგარიშება შესაძლებელია შემდეგნაირად დადგინდეს.

1982 წელი არის 15-ე მოქცევის 42 წელი ანუ 42 ქრონიკონი სამყაროს შექმნიდან (აღამიდან) $= 7186$, ე. ი. ქრისტეს შემდეგ იქნება $7186 - 5508 = 1678$. ჯამოდის რომ წარწერა გაკეთებული ყოფილა 1678 წელს. სხვანაირადაც შეიძლება ამ თარიღის დადგენა. 1408 წელს დამთავრდა მე-13 მოქცევა $1678 - 1408 = 270$ ე. ი. 1678 წელი (წარწერის თარიღი) არის 14-ე მოქცევის 270-ე ქრონიკონი. ამ ქრონიკონის გაშიფვრასთან დაკავშირებით შესაძლებელია სვეტიცხოვლის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების თარიღიც იყოს შემონახული. სვეტიცხოვლის კედელზე გამოსახული ირმის თავები ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ძალაღაქეების საგვარეულო სიმბოლო სიკეთის სათავე და ავი სულისაგან დამცველი ავგაროზი — ქორბუდა ირეშია. სვეტიცხოვლის კედელზე, იქ, სადაც მხედრული წარწერაა ნიკოლოზ მალალაძის ინიციატივით გაკეთებული, კედელში ჩაშენებულია ირმის თავები, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს მალალაქეების საგვარეულო სიმბოლოსა და მედიცინის ძველ ქართულ ჰერალდიკაზე. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქ მოყვანილი ფაქტებიდან და XV-XVII საუკუნეების მალალაქეების ოჯახებს შორის ბარალელების გავლებით? „მალალანთ ეკლესიაში“ დამატებითი ევტერის კედელზე იკონოგრაფიული ფრესკა „წმინდანის ვედრების კომპოზიცია“, შვიდი ცხვრისა და მედიცინის ემბლემის — დაკლანილი გველის გამოსახულებით უნიკალურია, უდიდესი მნიშვნელობისაა სამედიცინო ენციკლოპედიური ხასიათის კარაბაღინ-ფარმაკოპეის შედგენაში მახარებელ ოქროპირის ძე მალალაძის მონაწილეობა, „მალალანთ ეკლესიასთან“, „მთის კალთებზე, კინკრითა და ბუჩქნარით და-

ფარულ ადგილას ძლივსღა შესამჩნევ ნანგრევებში“ აფთიაქის შენობის ნაშთების აღმოჩენა ძლიერი არგუმენტია. ამავე დროს „წალკოტის“ ანუ ედემ-ბალის ისტორიულად არსებობის გამო როგორც ირკვევა აქ იყო სუბალპური ზონის მცენარეების მოშენებისათვის ოპტიმალური პირობები, რასაც ადასტურებს ამ არემარეში 80-მდე გაველურებული სამკურნალო მცენარის ამჟამად აღმოჩენა. ქვათახევის ეკლესიაში ფალოსის კულტი, როგორც ჩანს, უშვილო ქალების ლოცვა-ვედრებას ემსახურებოდა, მახარებელ მალაქის დამატებით ეგიპტოსის კიდელზე მალაქაძეების (XVII საუკუნე) ოჯახის ფრესკის ნაშთების დღემდე შემორჩენა, ამავე კოშკში ხუთ ძმა მალაქაძეების (XV საუკუნე) ფრესკების შემორჩენა და, მათ შორის, მღვდელ მახარებლის სურათის ვედრების პოზაში ჩვენ მიერ აღმოჩენა, საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შუა საუკუნეებში რელიგიის ბატონობის ხანაში მალაქანთ ეკლესიაში მძლავრი საეკლესიო მედიცინის კერა მოქმედებდა, სადაც დაიწერა „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ ზაზა ფანასკერტელის და მახარებელ მალაქის მიერ. სოლომონ მალაქის კოშკზე ირმის ეფეხის და მგლის ეპოსახულებებით ჩუქურთმაა ჩაშენებული. მალაქაძეების საგვარეულო სიმბოლკის გამოსახულების გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ნიკოლოზ მალაქის მიერ სვეტიცხოვლის კედელში ირმის თავის გამოქანდაკების და კედელში ჩაშენების ფაქტი. ასე რომ, XVII საუკუნეში სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი და შემდეგ კათალიკოსი ნიკოლოზ პაპუას ძე მალაქაძე ყოფილა ტაძრების რესტავრატორი, სანაქებო საქმეების მოთავე, ქველმოქმედი და საგვარეულო სამედიცინო ჰერალდიკის ქურუმი, სვეტიცხოვლის კედელში საგვარეულო გერბის ერთ-ერთი ნიშნის — ირმის თავის ჩაშენების ინიციატორი, რაც დასტურდება შესაბამისი მხედრული წარწერით, ისტორიული ქრონიკონით, ამასთან, ალად-შვილების ვარიანტის „იადიგარ დაუდის“ გადაწერის ფაქტი ნიკოლოზ მალაქის მიერ პალეოგრაფიულად არ დადასტურდა, რასაც ცალკე ქვეთავში შევგებთ.

მალაქაშვილების მოღვაწეობა ვახტანგ VI მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში

საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დიდია ვახტანგ VI დამსახურება. მან უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოახერხა მრავალი საშვილიშვილო საქმის მოთავეობა, მათ შორის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელია 1705 წელს პირველი ქართული სტამბის დაარსება, სადაც 1712 წელს დაიბეჭდა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ქართული წიგნები. ქართული პოლიგრაფიის ისტორიაში ოქროს ასობით არის ჩაწერილი უნგრელი ხალხის შვილების ქართველი ერი-სადმი უანგარო დახმარება და სამსახური. დაახლოებით 1779-1783 წლებში ერეკლე II სასახლეში, დონ რეინეგსმა (იაკობ რეინეგსი, 1744-1793 წ.წ.) ეროვნებით გერმანელმა და უნგრეთის მოქალაქემ გახსნა აფთიაქი და სამედიცინო სასწავლებელი, უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“

გმირების ფერწერულმა დასურათებამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ქართულ სტამბაში წარმატებით მოღვაწეობდა მიხაილ უნგროვლანელი, რომლის როლი და ღვაწლი კვლავ დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს. მაღალაძეების საგვარეულოს შემსწავლელი ქართველი მეცნიერების მირ დადგენილია, რომ მაღალაძეები წარმატებით თანამშრომლობდნენ ვახტანგ VI მიერ დააარსებულ ქართულ სტამბაში, ეს ისტორიული პიროვნება გახლავთ მდივან-მწიგნობარი-ქადაგ-მგალობელი სოლომონ რევაზის ძე მაღალაძე (1687-1738 წ.წ.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ია გაჩეჩილაძე თავის გამოკვლევაში წერს: „დიდი სამუშაოები ჩაატარა ვახტანგ VI ქართული სტამბის მოწყობის საქმეში. ამ მიზნით მან უცხოეთიდან მოწვეულ მესტამბეს დაავალა სტამბის მოწყობა, რაც გულისხმობდა ქართული შრიფტის დამზადებასაც. ცხადია, უცხოელ მესტამბეებს მისთვის სრულიად უცნობი ენის ასოების (ხუცური და მხედრული) გაკეთების დროს ხელთ ექნებოდათ ქართველი კალიგრაფების ხელით დამზადებული ხელნაწერის ნიმუშები“. ქართველი მეცნიერის, ქრისტინე შარაშიძის მეცნიერული გამოკვლევებით და არგუმენტირებული კონიექტურით უკვე დადგენილია, რომ პირველი ქართული სასტამბო შრიფტი სოლომონ რევაზის ძე მაღალაძის ესკიზების მიხედვით არის დამზადებული. ქრისტინე შარაშიძის მონოგრაფიაში „პირველი სტამბა საქართველოში“¹ (1709-1722 წ.წ) 122-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ამ რამდენიმე წლის წინათ ვახტანგის სტამბის მხედრულ შრიფტთან მსგავსებით ჩვენნი ყურადღება მიიპყრო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერმა (S: 3683)ჯერ კიდევ არ ვიცოდით ხელნაწერის რაობა, როდესაც მის პირველ გვერდზე (1-40 გვ) მოთავსებული „საძიებლის“ ხელმა ვახტანგის სტამბის მხედრულ შრიფტთან მსგავსებამ გაგვაოცა. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნების კრებული გამოდგა. ჩვენთვის საინტერესო „საძიებლის“ დამწერის ვინაობას გვაუწყებს მის ბოლოში მეტად წვრილად მიწერილი ცნობა: „ზანდუკისა ამის დამწერი მაღალაძე სოლომონ“. მაშასადამე, მაღალაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელს სოლომონ მაღალაძეს, მანუსკრიპტების შექმნის ტრადიციების გათვალისწინებით, უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში, ეპოქის მოთხოვნის შესაბამისად პირველს დაუმზადებია ქართული პოლიგრაფიული შრიფტის ესკიზები წიგნების დასასტამბავად. აქვე, ყურადღებას იქცევს მეორე დეტალი, რომელიც მაღალაძეთა საგვარეულოს მეორე წარმომადგენელს ეხება, და რომელიც მიგვანიშნებს სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნისა და სტამბური წესით მის გამოცემებზე. კერძოდ, 1711 წელს დასტამბულ სასკოლო სახელმძღვანელოს თავფურცელზე ვკითხულობთ შემდეგი შინაარსის მხედრულ წარწერას: „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა... ამ დაბეჭდილი ქართულისა ენასა ზედა ჟამსა მეფობისა უ ის ა უ ის ა ქაიხოსროსა: (ქართლის ტახტზე ნამდვილად მეფობდა ქაიხოსრო 1709-11

¹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1955.

წლებში, ს. ს.) და შრომითა: გამგებლისა მის — ისა უ ის ს უ ის ა ვახტანგი-სსა: „შემოკლებით თქმული და გარიგებული გერმანე მღვდელ მონაზონისა: კელითა მიხაილ სტეფანესძისა უნგროვლანელისითა: ქალაქსა ტფილისისასა: ჩლია“: საეარაუდოა, რომ ეს „შემოკლებით თქმული და გარიგებული გერმანე“ მაღალაძეა, რომელიც XV-XVI საუკუნის მიჯნაზე მოღვაწეობდა. ასევე „მღვდელ მონაზონისა“ არის მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძის გვარის წარმომადგენელი, მახარებლის უმცროსი ძმა, ან შვილი, რომელიც XV-XVI საუკუნის მიჯნაზე მოღვაწეობდნენ, ხოლო მღვდელ-მონაზონი გერმანე XVIII ს-ის ათი-ან წლებში მოღვაწეობს დავითგარეჯში, დაინტერესებულია წიგნების შექმნით და გამოცემით და თავის ძმიშვილთან, თუ ბიძაშვილთან, სოლომონ რევაზის ძე მაღალაძესთან აქტიურად მოღვაწეობს ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში. ისტორიული ჩანაწერების მიხედვით გერმანოზი მდივან-მწიგნობრად იხსენიება XVII საუკუნის წყაროებში, ხოლო XVIII ს-ს დასაწყისში მისი შთამომავალი მღვდელ-მონაზონი გამხდარა. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“¹ III ტომის 42-ე გვერდზე ასეთი საბუთია გამოქვეყნებული: ქკ-სუ (1712 წ.) ქ. მ. ე-ფ-დ ცოდვილმან მღვდელ-მონაზონმან გერმანემ ფრიადი სურვილი და ტრფიალება მქონდა წიგნისა ამის, და ახალციხელი მღვდელი იოანე გავგზავნე ვარძიას და იმან მიყიდა წმინდა ეს ესე მათეს თავის თარგმანი. ფასი მივეც შვიდი თუმანი, ორი თუმანი თავის გასამრჯელო, ხუთი მილათუნი მოსაცხოვრებელი, ხუთი მილათუნი შესაკრავი. მაგრამ თუ მეცნიერი კაცი გასინჯავს ფასი არა აძევს. ვინც იხილვიდეთ შენდობით მომისხენბდეთ“. გერმანოზი უმთავრესად მაღალაძეთა საგვარეულოს საკუთარი სახელია და თანაც XVIII საუკუნის დასაწყისში სხვა მღვდელ-მონაზონი გერმანოზი, თანაც მწიგნობარი არა ჩანს სამოღვაწეო ასპარეზზე ამ პერიოდისათვის. მით უმეტეს, XV-XVI საუკუნეებში მოღვაწეობდნენ გერმანოზ ოქროპირის ძე და გერმანე მახარებლის ძე მაღალაძეები. გერმანე ოქროპირისძის სურათი დაცულია მახარებლის კოშკში. გერმანოზი ერთ-ერთი მდივან-მწიგნობარი იყო XVII საუკუნეში და იგი დავითგარეჯის „გერმანე არქიმანდრიტად“ არც წოდებული. სტრაგისტის — ცნობარში შემონახულია ცნობა მისი ბეჭდის შესახებ. მახარებელ მაღალაძის კოშკში ცნობილმა სპეციალისტმა ივორ გილგენდროფმა აღმოგვაჩინა XV-XVI საუკუნეების მოღვაწის გერმანოზის იკონოგრაფიული ფრესკა. ასე რომ, პირველ ქართულ სტამბაში მაღალაძეები არ ღალატობენ თავიანთ ისტორიულ ტრადიციებს და წინაპართა მწიგნობრობას ინტენსიურად აგრძელებენ. თანაც მხარში უდგანან მუხრანის ბაგრატიონთა წარმომადგენლის ტახტის მემკვიდრეს, მწიგნობარ მეფე-პოეტს, ვახტანგ VI, რომლის დამსახურება დიდია ხელნაწერი ფონდი Q № 877-ის შთამომავლობისათვის შემონახვის საქმეში. ჩვენ ქვესათაურში „ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულოს წიგნთსაცავის ისტორიიდან“, გავარკვეით თუ როგორ მოხვდა ეს კარა-

¹ თ. ჟორდანიას „ქრონიკები“. III ტომი. „მეცნიერება“, თბ., 1967 წ. გვ. 42.

ბადინი ქართლის მეფის ვახტანგ V შაპნავაზის (1658-1675 წ.წ.) ოჯახის წევრების. კერძოდ, ლევან მირზას ხელში. დადგენილია, რომ სამეფო კარზე, როცა ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილი მოკლეს, მაშინ კონფისკაციის წესით „ვეფხისტყაოსნის“ (Q ფონდი № 1082-ის) მსგავსად, ქართლის მეფის ვახტანგ V შაპნავაზის ძის გიორგის თაოსნობით, ფანასკერტელ-ციციშვილებს ჩამოერთვა კარაბადინიც. ცნობილია ისიც, რომ ამ შინაური ომის დროს განადგურდა ფანასკერტელების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ისტორიული სიგელ-გუჯრები. ბუნებრივია ბიძის, მეფე გიორგი XI (1676-1488 წ.წ.) და მამის ლევან მირზას (შაპუღლიხანის, ჭანიშინის) მემკვიდრეობით კარაბადინი შვილის მეფე ვახტანგ VI პირად გამგებლობაში გადავიდოდა. 1709 წელს ვახტანგმა ფურცლებად დაშლილი ეს კარაბადინი ააქინძვინა და როგორც ჩანს, რუსეთში ემიგრაციის დროს თან წაიღო. რუსული კულტურის წიაღში ამ ხელნაწერმა კარგი თავშესაფარი პოვა და ამგვარად იგი გადაარჩა. ხელნაწერ-კარაბადინმა ჩვენამდე მოაღწია, რასაც ვახტანგ VI მამულიშვილურ ზრუნვას უნდა ვუმაღლოდეთ. ყურადღებას იქცევს ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი. ფანასკერტელებსა და ბაგრატიონებს შორის არსებობდა შინაგანი წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა, ასევე, ქართული სამართლის ძეგლებში აღრიცხულია არაერთი კონფლიქტი თვით ფანასკერტელ-ციციშვილებს შორის (შინაური ომი). მაღალაძეებს შორის კი თითქმის 600 წლის მანძილზე ვერავითარი შინაური კონფლიქტის ფაქტი ვერა ვნახეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში. ისინი მოკრძალებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ სამეფო ტახტისადმი და თავის მხრივ სიგელ-გუჯრებშიც ამ კეთილი სამსახურის საკომპესაციოდ არაერთი წყალობის წიგნია გაცემული ბაგრატიონების სამეფო უწყებიდან მაღალაძეების საგვარეულოს მისამართით. მაშასადამე, საუკუნეების მანძილზე მაღალაძეები ერთგულად შრომობდნენ: კარის მწიგნობრის, ჭუარისმტვირთველის, ქადაგის, მდივან-მწიგნობარ-მაგლობლის, სახლთუხუცესის, მორდალის (ბეჭდის მატარებლის) არქიმანდრიტის და სხვა ამგვარ პრივილეგირებულ თანამდებობებზე. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების აღმშენებლობასა და სარესტავრაციო სამუშაოებს ატარებდნენ, პოლიტიკურად მტკიცე და მორალურად სანდო ისტორიული პიროვნებები იყვნენ, რომლებიც დღენიადაც ილწვოდნენ საქართველოს კეთილდღეობისათვის, განათლებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის. ქართული ხელნაწერების მკვლევართა მიერ ზუსტად დადგენილია, რომ სამკურნალო წიგნ-კარაბადინის (ხელნაწერი ფონდი Q № 877) აქინძვა მოხდა 1700 წელს ახალ დაარსებულ ქართულ სტამბაში ვახტანგ VI დავალებით, რაც მისივე ანდერძის ტექსტის ბოლოს თარიღის მიწერით არის ამოცნობილი.

მესხიშვილებისა და მაღალაშვილების შთამომავლები —
პროფესორის ნ. მელიქიძის მიმოხილვა

მესხიშვილების საგვარეულოდან საინტერესო პიროვნებაა ამ საგვარეულოს ტრადიციების გენეტიკური გამგრძელებელი სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი (1815-1860 წ.წ.). „1832 წელს სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი ჩაირიცხა მედიკო-ქირურგიული აკადემიის მოსკოვის განყოფილებაზე და, ამავე დროს, ისმენდა ლექციებს ვეტერინარიაში. ექიმის და ვეტერინარის წოდება მიენიჭა 1836 წელს. სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ საკუთარი თხოვნით განაწილებული იქნა კავკასიაში — სამხედრო ნაწილში, № 15 ქართულ სახაზინო დივიზიაში, რომელიც სამხედრო პოსპიტალიდან იმყოფებოდა“¹. 1840 წლიდან სარდიონ ალექსი-მესხიშვილი მოღვაწეობდა თელავისა და სიღნაღის მაზრებში ექიმად. ასევე იგი მუშაობდა თბილისის მაზრის ექიმად. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური პროფილაქტიკური სამუშაოს გატარების მიზნით, ექიმი სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, იზრუნებდა მოძვე სომხეთის დედაქალაქ ერევანში. იგი იყო ფართო პორიზონტისა და მასშტაბების მრავალსპექტიანი კვალიფიციური სპეციალისტი. რაც მთავარია მწიგნობრობა და მთარგმნელობითი საქმიანობა მამა-პაპათაგან ტრადიციულად მოსდევდა. „ს. მესხიშვილი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა“¹ — წერენ საქართველოს მედიცინის ისტორიის IV ტომის ავტორები: პროფესორი მიხეილ სააკაშვილი, პროფესორი ავთანდილ გელაშვილი, დოცენტი ლამარა კვიციანი და დოცენტი ცილა ჩხეიძე. ავტორებს მხედველობაში ჰქონდათ სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მთარგმნელობითი საქმიანობა, ასევე მისი მოღვაწეობა მაშინდელ ყურნალ „ცისკარში“, სადაც თავის დროზე გამოქვეყნებულია ს. მესხიშვილის თარგმანები: გოეთეს, შილერის, შექსპირის და სხვა ცნობილი ავტორების მხატვრულ-პოეტური კმნილებებიდან. ყოველივე ზემოთ თქმული მიგვანიშნებს ექიმ სარდიონ ალექსი-მესხიშვილის ლინგვისტურ განსწავლულობაზე. მას ზედმიწევნით კარგად სცოდნია გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენები. ფრანგულიდან თარგმნილი ეყენი-სიუს დიდი რომანი „მომავალი ვარა“ იმდენად მაღალკვალიფიციურად ყოფილა შესრულებული, რომ ყურნალ „ცისკარის“ რედაქცია წერდა: „ეს რომანი ჩვენ წავეკითხეთ და სახალხო ენით არის ნათარგმნი“. ეს საბუთი დაცულია საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის ფონდებში.

ექიმი სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ქართველთა საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა. იგი სრულიად ახალგაზრდა 45 წლისა გარდაიცვალა. დაკარგულია შუამთის მონასტერში.

¹ მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, ლ. კვიციანი, ც. ჩხეიძე, საქართველოს მედიცინის ისტორია, IV წიგნი პირველი, XIX საუკუნე. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960 წელი, გვერდები 125, 136-137.

მამა-პაპური ტრადიციების გენეტიკური გამგრძელებელია გრიგოლ გრიგოლისძე მაღალაშვილი, რომელმაც უმალესი სამედიცინო განათლება მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში 1868 წელს. სამედიცინო განათლების შემდეგ გ. მაღალაშვილი მეშობას იწყებს მიხეილის საავადმყოფოში. გრიგოლ მაღალაშვილი „სარგებლობდა დიდი პოპულარობით და ავტორიტეტით, როგორც კარგი სპეციალისტი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, აქტიური მონაწილეობა მიუღია საქართველოში ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დაარსებაში“, წერენ გ. მაღალაშვილის როლისა და ღვაწლის შესახებ საქართველოს მედიცინის ისტორიის I ტომის 137-ე გვერდზე აწ განსვენებული პროფ. სააკაშვილი, პროფ. ავთანდილ გელაშვილი, დოც. ლამარა კვიციანი და დოც. ცილა ჩხეიძე. რაც მთავარია, იმ დროისათვის მას ზედმიწევნით კარგად სცოდნია ანტისეპტიკური რეაქტივების ბაქტერიციდული თვისებები, რასაც ამტკიცებს მისი მოხსენების შინაარსი: „წყალბადის ზეჟანგის გამოყენება დიზენტერიის დროს“. რომელიც მას წაუციფრებავს კავკასიის საექიმო საზოგადოების სამეცნიერო სხდომაზე. გრიგოლ მაღალაშვილი პირველი ქართველი ენდოკრინოლოგია, რასაც მოწმობს მისი კლინიკური დაკვირვების შედეგად გამოტანილი მეცნიერული დასკვნა სათაურით: „უშაქრო დიაბეტის შემთხვევა“. გ. გ. მაღალაშვილი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცების ქადაგი და პროპაგანდისტი ყოფილა. მაღალაშვილების, იგივე მაღალაშვილების საგვარეულოს ზოგიერთი წარმომადგენლები XIX საუკუნეში ხშირად მაღალოვების გვარიანად მოიხსენიებიან.

მაღალაშვილებისა და მესხიშვილების ურთიერთთანამშრომლობა პართულ ხელნაწერებზე

XVII საუკუნის ქართული მანუსკრიპტების შექმნის ისტორიაში მესხიშვილებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. მღვდელ პ. კარბელაშვილის ცნობით მესხიშვილები წარმოშობით მესხეთიდან ყოფილან. სამხრეთ საქართველოს XVII საუკუნეში ძლიერ ავიწროებდნენ თურქი დამპყრობლები, რამაც მღვდელ პეტრე მესხის ემიგრაცია გამოიწვია შუაგულ ქართლში. „მღვდელი პეტრე მესხი მოჰყვა თავის ცოლშვილის სამცხიდან ხელით უქმნელი ანჩისხატსა“, წერდა 1902 წელს პ. კარბელაშვილი. „1674 წელს კათალიკოზმა დომენტიმ (ლაპარაკია დომენტი II კათალიკოსზე 1660-1676 წწ) მეფე ვახტანგ V (1658-1675) ბიძაშვილი „კაცი ღირსი საყდარისა“ მისცა ადგილი კანდელაკისა ანჩისხატის ტაძარში... პეტრე მესხი... მიიცვალა 1680 წელს“. მაშასადამე, პეტრე მესხი პირველი სამცხელია, რომელიც ქართლში და, კერძოდ, თბილისში გადმოსახლდა 1674 წელს. იმავე მღვდელ პ. კარბელაშვილის ცნობით პეტრე მესხს დარჩა შვილი გრიგოლი, რომელიც პროფესიით მხატვარი და ანჩისხატის დეკანოზი ყოფილა. მესხიშვილების დამსახურებაზე ქართული კულტურის წინაშე საინტერესოა აკადემიკოს კორნელი

კეკელიძის აზრი: „მესხიშვილთა გვარმა... მისცა ქართულ მწერლობას მთელი რიგი გამოჩენილ მოღვაწეთა, რომელთაც შექმნეს შესანიშნავი კალიგრაფიული სკოლა და ხელი შეუწყვეს ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებას XVIII-XIX სს-ში, როგორც ახალ თხზულებათა თარგმნით თუ დაწერით, ისე უკვე არსებულთა გადაწერით“.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე თავის ცნობილ მონოგრაფიაში „ძველი ქართველი ოსტატები“ („საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967 წელი) 154 გვერდიდან 164 გვერდამდე განიხილავს კალიგრაფ მესხიშვილების როლისა და ღვაწლის საკითხს. „გრიგოლის შვილი“ იყო ალექსი, რომლისგანაც იწყება სახელგანთქმულ კალიგრაფთა რიგი“. XVII-XVIII საუკუნეებში ანჩისხატის ტაძარი ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთი ცენტრი ხდება.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, მესხეთიდან გადმოსახლებულ პეტრე მესხის შთამომავალი გრიგოლი უკავშირდება მაღალაძეების პროფესიონალ კალიგრაფთა წარმომადგენლებს. ამყარებს მათთან კონტაქტს და მისი შვილი ალექსიც მაღალაშვილისაგან ლეზულობს განათლებას. იგი სწავლობს ხელნაწერების შექმნის ხელოვნებას, როგორც ხუტურ, ასევე მხედრულ დამწერლობას. მთელი რიგი ხელნაწერების პალეოგრაფიული შედარებით ანალიზი ნათლად მეტყველებს, რომ კალიგრაფ ნიკოლოზ პაპუას ძე მაღალაძის და ალექსი გრიგოლის ძე მესხის (მესხიშვილის) ხელნაწერები ერთმანეთისაგან ძნელი გასარჩევი ხდება, იმდენად დიდია მაღალაშვილების კალიგრაფიული სკოლის ზეგავლენა მესხიშვილების სკოლაზე. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ია გაჩეჩილაძე ამ ორი სკოლის თანამეგობრობის შესახებ მეტად საყურადღებო მასალებს გვაწვდის: „XVIII საუკუნის დასასრულიდან მაღალაშვილები ანჩისხატის ეზოში სახლობენ: ცნობილია, რომ ამ პერიოდისათვის ანჩისხატის მახლობლად მესხიშვილები დასახლდნენ: ამ ორი საგვარეულოს სიახლოვესა და თანამოღვაწეობასაც ამ დროიდან უფრო მტკიცედ ჩაეყარა საფუძველი“. ამ საკითხზე შთამბეჭდავად ლაპარაკობს მღვდელი პ. კარბელაშვილი თავის გამოკვლევაში „ძველი ანჩისხატის ტაძარი“. „XVIII საუკუნეში კათალიკოსის მახლობელნი ორნი საგვარეულონი მესხიანთი და მაღალაშვილნი, დიდით-პატარამდე ჩინებულნი მწერალ-მწიგნობარნი და მხატვარნი იყვნენ... (ისინი) წინ უძღოდნენ მწერალ მწიგნობრობასა, გალობისა და სტამბის წარმატების საქმესა საქართველოში, მესხიანთ-მაღალაანთ გვარმა დაიცვეს ჩვენამდე საუკეთესო გალობა, ხელი წერისა, კლო სახარებისა და სამოციქულოს კითხვისა“. (პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი. ქ. თბილისი, 1902 წ. გვერდი 27).

საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიისათვის ამ ორი საგვარეულოს ურთიერთთანამეგობრობის ფონზე ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალის გარჩევა დგება დღის წესრიგში. როგორც უკვე მოგახსენეთ, აკადემიკოს ალექსანდრე ალადაშვილის ვაჟის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვახტანგ ალადაშვილის პირად ბიბლიოთეკაში ინახება უნიკალური სამედიცინო ხელნაწერის „იადიგარ დაუდის“ ას-31. ს. სალუქვაძე.

ლი-ხელნაწერი. აღნიშნული ხელნაწერი, XVI საუკუნის ძეგლია და ეკუთვნის დავით ლუარსაბის ძე ბატონიშვილს (ბაგრატიონს). „იადიგარ დაუდი“ 1938 წელს გამოსცა საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელმა და სისტემეტიკოსმა ექიმმა ლადო კოტეტიშვილმა. პუბლიკაციას თანდართული აქვს შესაბამისი აპრატი გამოკვლევებითა და კომენტარებით. ამ ხელნაწერს I ვარიანტს. რომელიც როსტომ მეფის (1632-1658 წ.წ.) დროს არის გადაწერილი. 26 ფურცელი აკლია, რაც თავისთავად ხელნაწერის ნაკლებზე მიუთითებს, ხელნაწერას ავტორისეული დედანი დაკარგულია. ალადაშვილების ოჯახში შემონახული ხელნაწერი „იადიგარ დაუდი“ ასლის ასლია და იგი გადაწერილია XVII საუკუნეში. ეს პალეოგრაფიულად არის დადგენილი და თანაც ხელნაწერს არც ერთი გვერდი არ აკლია, იგი ხელნაწერი ასლია იმ ორიგინალისა, რომელიც XVI საუკუნეში ავტორმა დავით ბაგრატიონმა შექმნა. XVIII საუკუნის ამ კარაბადინს ბოლოში ასეთი მინაწერი აქვს: „ღმერთო შეიწყალე მონა ღვთისა ნიკოლოზი“ სავარაუდოა, რომ ეს „მონა ღვთისა ნიკოლოზი“ იყოს რომელიმე ნიკოლოზ მაღალაძე, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწეობდა. ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ XVII-XVIII საუკუნეების მოღვაწეების: ნიკოლოზ პაპუას ძე მაღალაძის, ნიკოლოზ სოლომონის ძე მაღალაძის, სვეტიცხოვლის არქიმანდრიტის და პროტოპაპ-მდივან მორდალის ხელი და პალეოგრაფიულად არც ერთი ნიკოლოზ მაღალაძის პირადი ხელწერა არ შეეძარა „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილების ვარიანტს ხელნაწერს. ხელნაწერი XVIII საუკუნით თარიღდება და ამ დროს მესხიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლებს შორისაც არის კალიგრაფი, რომელსაც სახელად ერქვა ნიკოლოზი. ხოლო ამ დროისათვის მაღალაძეებს სულ ცოტა 300 წლამდე ხელნაწერების შექმნის ტრადიცია ჰქონდათ და კარაბადინების შექმნის თვალსაზრისითაც მაღალაძეები უფრო კომპეტენტურნი იყვნენ. რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები მთავარი დეტალი. მესხიშვილები აშკარად განიცდიან მაღალაშვილების კალიგრაფიული სკოლის ზეგავლენას და ხელნაწერთა შექმნის ხელოვნებას მესხიშვილები მაღალაშვილებისაგან არიან დაუფლებულნი. XVII-XVIII საუკუნეებში სამოღვაწეო ასპარეზზე კი ჩანს ნიკოლოზ მიქაძე, მაღალაძეების საგვარეულოს გარდა, რომელსაც შეეძლებოდა სამეურნალო წიგნის კარაბადინის „იადიგარ დაუდის“ გადაწერა, მაგრამ პალეოგრაფიულად მაღალაშვილების და მიქაძეების კალიგრაფებიდან ალადაშვილების „იადიგარ დაუდის“ ვარიანტის ხელწერა იდენტური არაა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში არის არაერთი ხელნაწერი, რომლებიც ეკუთვნით მაღალაშვილებს და ისინი შემოწირულია მესხიშვილების ოჯახიდან, ანდა პირაქით, ეკუთვნით მესხიშვილებს და შემოწირულია მაღალაშვილების ოჯახიდან. „მესხიშვილების და მაღალაშვილების სიახლოვეთ აიხსნება ის გარემოება, რომ მესხიშვილისეულ ხელნაწერებს ზოგჯერ მაღალაშვილების ოჯახში დაუღვევთ ბინა, მაგ. მესხიშვილისეული ხელნაწერი ანტონ I-ის გრა-

მატიკა (N 1115) სალომე მაღალაშვილის მიერ არის შემოწირული. დიდი კულტურული ტრადიციების მქონე მაღალაშვილების ოჯახში გადამწერლობა და ხელნაწერთა შევსება — ოჯახის საგვარეულო საქმიანობა იყო — წერს ია გაჩეჩილაძე. სოლომონ ალექსის ძე მესხიშვილი (1742-1808 წ.წ.) საკუთარი თავმდაბლობისა და ხელნაწერის შემქმნელ კალიგრაფთა უნებლიე შეცდომების შესახებ წერდა: „უკეთუ ცდომილი რაიმე იხილოთ, ნუ მიწყევთ, ღვთისათვის, არამედ შემნდომელ მექმნენით ცდომისათვის. ვითარცა ცასა ვერ იხილავთ, რომ არა აქვნდეს მცირედი ღრუბელი, აგრეთვე ჩემ მიერ ნაჩხაბი ეგრეთ არს“.

ასევე კალიგრაფი-მწერალი და საზოგადო მოღვაწეა მისი უმცროსი ძმა დავით ალექსის ძე მესხიშვილი (1745-1824 წ.წ.), ანუ მეტსახელად „დავით რექტორის“ ზედწოდებით ცნობილი მწიგნობარი და მეფე ერეკლე II კარზე დიდი განმანათლებელი. მესხიშვილები საერთოდ უნაგარო და უწყინარი ქველმოქმედი მოღვაწენი ყოფილან, რომელთა სამოღვაწეო ადგილი ანჩისხატის ეკლესიაა. მოვლენათა განვითარების და ღრობის ცვალებადობის გამო „დავით რექტორს“ სამოღვაწეოდ თელავში გადაუნაცვებია. ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და ენის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით მას ბევრი უსიამოვნო ეპიზოდები გადაუტანია. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე აგრეთვე გაიოზ რექტორს.

მაღალაძეების საგვარეულოში, როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, ნიკოლოზ პაპუას ძე და სოლომონ რევაზის ძე მაღალაძეები, XVII-XVIII საუკუნეების ბიძახზე მოღვაწეობდნენ. ნიკოლოზი 1676—77 წლებში კათალიკოსი იყო. სოლომონი კი, ისტორიული ჩანაწერების მიხედვით, 1702 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოსის მდივან-მწიგნობარ-მგალობელი. დღეისათვის უკვე გარკვეულია და საყოველთაოდ ცნობილია მისი მოღვაწეობა ვახტანგ VI დაარსებულ სტამბაში. არ არის გამორიცხული, რომ ალექსი გრიგოლის ძე მესხიშვილის უმცროს ვაჟს სახელი სოლომონი, სახელგანთქმული მამულიშვილის სოლომონ მაღალაძის პატივისცემით დაერქვა, თუმცა „სოლომონ ბრძენის“ ზეგავლენით ამ სახელს ხშირად არქმევდნენ ქართულ ოჯახებში ახალშობილ ვაჟებს.

ზემოთ მოყვანილი ისტორიული ფაქტებიდან აშკარად ირკვევა, რომ მაღალაშვილები და მესხიშვილები მეგობრები იყვნენ საუკუნეების მანძილზე, რომელთა შორის მწიგნობრობა და ხელნაწერთა შექმნის ტრადიციების ქრონოლოგიური უპირატესობა მაღალაშვილების მხარეზე იყო. XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა პროტოპაპ-მდივან-ქადაგი ნიკოლოზ მაღალაძე, ისტორიული ჩანაწერების მიხედვით ნიკოლოზი, მდივან-მწიგნობარ ქადაგ-მგალობელის სოლომონ მაღალაძის ვაჟიშვილია. ა. ბაქრაძის მეცნიერული გამოკვლევების მიხედვით „XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი“-ს მიხედვით ნიკოლოზ სოლომონის ძე მაღალაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა 1741-1769 წლებში. ნიკოლოზ მაღალაძე თავისთავად საინტერესო პიროვნებაა, როგორც მწიგ-

ჩობარი, კალიგრაფი და გენეტიკურად მაღალაშვილების ტრადიციების გამგრძელებელიც.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში დაცულია ნიკოლოზ სოლომონის ძე მაღალაშვილის მიერ დაწერილი ორიგინალი. ფონდი A 1053 ხელნაწერი „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი, სიტყვისგება სოკრატესი“ გადაწერილი 1761 წელს. როგორც ჩანს, ეს ხელნაწერი ნიკოლოზ მაღალაშვილს პეტერბურგში ყოფნის დროს დაუწერია. „აღიწერა წიგნი ესე სამეცნიერო სამეუფოსა ქალაქს პეტერბუხს ნუსხათ ჩემ მიერ მაღალაძის, პროტოპაპ-მდივან-ქადაგ ნიკოლოზისაგან, თვესა მარტსა და, ჩლია, ქ-კსა უმთ“ — ამ ხელნაწერის გვერდების და ალადაშვილების პირად ბიბლიოთეკაში შემონახული „იადიგარ დაუდის“ გვერდების შედარებისას არაპროფესიონალური თვალითაც კარგად იგრძნობა, რომ სხვადასხვა ავტორების ხელნაწერთან გვაქვს საქმე. პალეოგრაფიული ანალიზით „იადიგარ დაუდი“ არ არის დაწერილი არც ნიკოლოზ პაპუას ძე მაღალაძის და არც ნიკოლოზ სოლომონის ძე მაღალაშვილის მიერ. საფიქრებელია, რომელიმე მათგანის მიერ გადაწერილ პირს ჰქონოდა წარწერა „ქ. შეიწყაღე მონაო ხვთისა ნიკოლოზი“ და მესხიშვილების სკოლის ნიკოლოზ კალიგრაფმა პატივით მოიხსენია მისი წინამორბედი კალიგრაფი ნიკოლოზი? ყოველ შემთხვევაში ალადაშვილების „იადიგარ დაუდის“ ვარიანტში მოხსენიებული ნიკოლოზი შეიძლება იყოს მიქაძეების ან მესხიშვილების სკოლის წარმომადგენელი, რასაც პასუხი პალეოგრაფიულ-შედარებითა ანალიზმა უნდა გასცეს.

გენერალ პ. ციციანოვის — იზივე პ. ციციოვილის ზრუნვა

ქ. თბილისში აშთიაპის გასხნის თაობაზე


XVIII-XIX საუკუნეებში, ციციშვილები რომ ციციანოვებად იწოდებოდნენ ეს ქართველ მეკლევართა შორის დავას არ უნდა იწვევდეს. მითუმეტეს ეს ვრცელდება გენერალ პავლე ციციანოვისა და ციციშვილის იდენტურობის მაგალითზე. ჩვენ ქვეთავში: „ზ. ფანასკერტელის მოღვაწეობა XV ს-ში და მისი სამედიცინო მეგვიდრეობის მნიშვნელობა“, გავარკვეით ამ ისტორიული პიროვნების როლი სამედიცინო ხელნაწერის შექმნის საკითხში. კერძოდ, მკურნალ ზაზა ფანასკერტელის ზრუნვის და ინიციატივის შედეგად, შეიქმნა შუა საუკუნეებში ყველაზე სრულყოფილი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მიგნებული ხელნაწერის (H ფონდი № 1698) საფუძველზე დავადგინეთ, რომ ფანასკერტელთა გვარში ციციშვილების განშტოება წარმოშობილა 1538 წელს, (იხ. მარხვანის 131 V გვერდი), მარხვანი ზაზა ფანასკერტელის უფროსი ვაჟის ქაიხოსრო ფანასკერტელის ინიციატივით და დავალებით არის გადაწერილი ნუსხურით, გრიგოლ კალიგრაფის მიერ: „განთქმულთა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილთაო“. ზა-

ზა ფანასკერტელი კი მრავალმხრივ განვითარებული „ბრძენთმთავარი“ ყოფილა, რომელიც მწიგნობრობას კარგად უთავსებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეთა მოთავეობას. სამწუხაროდ, დღემდე არ არის არავითარი ცნობა, ჰქონდა თუ არა მკურნალ ზაზა ფანასკერტელს ფეოდალური ქსენონი — სასნეულო, იგივე საავადმყოფო და ამ სასნეულოში წაშლის სასახლე — აფთიაქი ანუ. როგორც ძველად უწოდებდნენ სურნელოვანი — მაშკამბრის სახლი. სამაგიეროდ მისი თანაავტორის, მახარებელ მალაქაძის ეკლესიის შემოგარენში აღმოჩნდა წაშლის სასახლე 500-მდე თახჩით. აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე „შრომათა კრებულის“ I ტომში, 292-ე გვერდზე წერდა: „უკვე რამდენიმე წელმა განვლო მას შემდეგ, რაც განვიზრახეთ საქართველოს ფარმაციის ისტორიის მასალების შეგროვება. ჩვენი სურვილი იყო შეგვექმნა ტოტად თუ ბევრად მთლიანი სურათი იმისა, თუ როგორ ჩამოყალიბდა საქართველოში ფარმაციის საქმე და როგორ ვითარდებოდა იგი. მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით დასახული მიზნის მთლიანად მიღწევა შეუძლებელი გახდა, რადგან ასეთი რთული საკითხის დამუშავება მოითხოვს, არა მარტო იმ წიგნსაცვებისა და საარქივო მასალების გადათვალიერებას, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოიპოვება, არამედ აუცილებელი ხდება საზღვარგარეთ გამგზავრებაც. ყოველივე ეს დიდ დროსა და ხარჯებს საჭიროებს“¹. აქ მოყვანილი ციტატიდან, აშკარაა, რომ მისი საკვლევი თემატიკის სიმრავლეთა შორის, ზგი ქართული ფარმაციის შესწავლითაც ყოფილა დაინტერესებული და ასეთი ისტორიის დაწერის აუცილებლობას აყენებდა დღის წესრიგში ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში. ამ მისიის წარმატებით გადაწყვეტის მიზნით მასალების შეგროვების დაწყების პრიორიტეტი მასვე ეკუთვნის. ამავე ნარკვევში, აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე სავესებით იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სამკურნალო საქმეს გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში ეკლესია განაგებდა. ამის საილუსტრაციოდ იგი წერდა: „როგორც წყაროებიდან ჩანს, საქართველოში ფარმაციის საქმის ჩამოყალიბებაში არა მცირე ღვაწლი მიუძღვით კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც XVI-ე საუკუნიდან მოყოლებული იგზავნებოდნენ საქართველოში... რომლებიც კარგად იყვნენ გაცნობილი მკურნალობის საქმეს“. ეს ფაქტი და აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის კომენტარი ადასტურებს, რომ საქართველოში „სენთა კურნება“ ეკლესიის მსახურთა კომპეტენციაში შედიოდა და გარდამავალ პერიოდამდე საეკლესიო მედიცინა უფრო ძლიერი იყო საერო მედიცინაზე. ეს კი, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ძველი კარაბადინები უფრო ხშირად სასულიერო პირების ღვაწლის შედეგად იქმნებოდა. 247 წლის წინათ, 1740 წელს, სამეფო აფთიაქი სწორედ კათოლიკე მისიონერებს გაუხსნიათ, რომელსაც — სპარსული ტერმინოლოგიის ზეგავლენით „წამალთხანა“ ეწოდებოდა. ეს სიახლე საქართველოს ფარმაციის ისტორიაში გამოკვეთული აქვს მრავალმხრივ საინტერე-

¹ იოველ ქუთათელაძე, შრომათა კრებული, „მეცნიერება“, 1972, „მასალები საქართველოში ფარმაციის ისტორიისათვის“. გვ. 292-ე.

სო ჰეკლევეარს. მიხეილ თამარაშვილს. ამ აფთიაქმა ერეკლე II სასახლის კარზე 1755 წლამდე იარსება და ჯაქარაჯელოს ქოიტიანული და კათოლიკური ეკლესიის აზრთა სხვადასხვაობის გამო, 1755 წელს „ქართული ეკლესიის ყრილობის დადგენილების თანახმად ყველა კათოლიკე მისიონერი გახდებოდა იქნა საქართველოდან“, — წერს საარქივო მასალების შესაბამისად აკ. იოველ ქუთათელაძე. როგორც ჩანს, კათოლიკეები საქართველოდან კი არა, თბილისიდან იყვნენ დათხოვნილი, თორემ ახალციხის საფაშოებში ისინი კვლავ განაგრძობდნენ საეკლესიო მოღვაწეობას. ამის შემდეგ ერეკლე მეორის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა დონ-რეინეკი, იგივე დონ რეინეკსი, ეროვნებით უნგრელი მკურნალი (ზოგი მონაცემით იგი გერმანელია) და მან ერეკლე მეორის სასახლეში 80-იანი წლების დასაწყისში მოაწყო სამკურნალო სკოლა და აფთიაქი. „განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იაკობ რეინეკსი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა 1779-1783 წლებში... ი. რეინეკსი დაიბადა 1744 წელს. გარდაიცვალა 1793 წელს. იგი დასაფლავებულია პეტერბურგში ლუთერიანთა სასაფლაოზე“¹. როგორც ისტორიული წყაროებითაა ცნობილი, ალა-შაჰმად-ხანმა თბილისი აიკლო 1795 წელს, ამ პერიოდიდან დედაქალაქ თბილისში აფთიაქი არ მოქმედებდა 1806 წლის 28 თებერვლამდე. დედაქალაქში სამხედრო დანიშნულების აფთიაქის გახსნის ისტორიული მისია წილად ხვდა ფანასკერტელ-ციციშვილების გენეტიკურ შთამომავალს — ინფანტერიის გენერალს, პ. ციციანოვს. როგორც ისტორიული წერილობით და საარქივო მასალებით ირკვევა „თავადი პ. ციციანოვი ამას აღნიშნავს (ე. ი. აფთიაქის გახსნამდე სამკურნალოწამლო საშუალებების უქონლობა, ს. ს.) წერილობით შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ რაპორტში და დასძენს, რომ, როგორც საქართველოს სამკურნალოწამლო სამმართველოს მიერ მის სახელზე გამოგზავნილი რაპორტის პასუხიდან ჩანდა, სამმართველო ითხოვდა ცნობას საქართველოში აფთიაქისათვის დასაარსებლად გათვალისწინებული საჭირო სახლის, და ბაღის შესახებ და რომ მან (პ. ციციანოვმა, ს. ს.) აცნობა სამმართველოს, რომ ადგილი აფთიაქის შენობისათვის შეიძლება გამოყოფილ იქნეს, ხოლო რაც შეეხება აფთიაქისათვის საჭირო ბაღს. ასეთად იგი სახავს მარიამ დედოფლის ბაღს... თავადმა პ. ციციანოვმა მოხსენებას დაურთო სამმართველოს მიერ შედგენილი აფთიაქისათვის საჭირო ოთახების განლაგების გეგმა და შენობის ასაგები ხარჯთაღრიცხვა“. ამასთანე აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე აღნიშნავს ზოგიერთ დაზუსტებულ წვრილმანებს იმის შესახებ, რომ თავად პ. ციციანოვს „წამლების მომარაგების კრიზისის შესამსუბუქებლად“, გადაუცია ცნობა საქართველოს სამკურნალოწამლო სამმართველოს წამალთმომსახურების მდგომარეობის შესახებ და საჭირო თანხის გამოსაყოფად. შემდეგ, თავადი პ. ციციანოვის ზრუნვის შედეგად ირკვევა, რომ მიღებულია სამკურნალო საშუალებები და სააფთი-

¹ დოკ. რამაზ სურმანიძე, იაკობ რეინეკსი ექიმი — დიპლომატი. „საბჭოთა მედიცინა“, № 2, მარტი-აპრილი, 1983 წელი.



ინფანტერიის გენერალი ციციანოვი. იგივე პაულუ ციციშვილი, რომლის ინიციატივით ქ. თბილისში 1903 წლის 23 თებერვალს ეიწმე მენტოევის ბინაში გაიხსნა აფთიაქი. პ. ციციშვილი აფთიაქის გახსნას ვერ მოესწრო.

აქო კომპონენტები. მაგრამ მოხმარების წესების უკოდინარობის გამო ავადმყოფები იხოცებოდნენ. მაშასადამე, თავად ციციანოვის მოხსენებაში მოცემულია ზუსტი ანარეკლი XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე რა სირთულეები ყოფილა წამალთმომსახურების საქმეში და კერძოდ შესაბამისი კადრების არსებობის გამო. „ამიტომაც: — წერს აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე საარქივო მასალებზე; დაყრდნობით, — პ. ციციანოვი თავის მოხსენებაში „აუცილებელ საქიროებად თვლის აფთიაქის გახსნას“. როგორც საარქივო მასალების ანალიზის მიხედვით ირკვევა, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველს მოახსენეს, „რომ საქართველოში მყოფ. როგორც ჭარს, ისე სამოქალაქო უწყების მოხელეებს უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, ესაქიროებათ წამლით დახმარებაო და ამ მიზნით მას მიზანშეწონილად და ღრთულად მიაჩნია აფთიაქის გახსნა და მასთან ბოტანიკური ბალის გაშენება“. საარქივო საბუთებში გენერალი პ. ციციანოვი იხსენიება შემდეგი წოდებით: „საქართველოს მთავარმართებელი, ინფანტერიის გენერალი პ. ციციანოვი“, და მას უკვე მიუჩენია აფთიაქის შენობის ასაშენებლად ადგილი. ე. ი. თავად პ. ციციანოვის რაპორტის დაწერის შემდეგ გამოინახა ადგილი აფთიაქის ასაშენებლად. მასვე მიუღწევია საქმაო სოლიდური თანხის გამოყოფისთვისაც და ქ. ტობოლსკის აფთიაქის ანალოგიურად, მომხდარა აფთიაქის საშტატო ერთეულების დამტკიცება და შესაბამისი ხელფასის ფონდის გამოყოფაც. პ. ციციანოვის აფთიაქის გახსნის ნებართვის მიღწევის თარადად, დღემდე ცნობილი საარქივო მასალების მიხედვით, მიჩნეულია 1805 წლის 5 მაისი. მაშასადამე, საქართველოს დედაქალაქ თბილისში სამხედრო დანიშნულების აფთიაქის გახსნის თაობაზე „*нѣтъ по сѣму*“ „Александр“, სანკეტერბურგიდან განკარგულება გაიცა 1805 წლის 5 მაისს, ამ თარიღიდან საქირო გახდა 9 თვე იმის მოსამზადებლად, რომ 1806 წლის 28 თებერვალს ვინმე მუნტოევის ბინაში გახსნილიყო გენერალ პ. ციციანოვის ზრუნვის შედეგად ქ. თბილისში სამხედრო დანიშნულების აფთიაქი, სადაც, როგორც შემდგომ ირკვევა, მოქალაქეებიც იძენდნენ მათთვის საქირო წამლებს. ეს აფთიაქი მაშინდელი თბილისის პლანშეტის თანახმად მდებარეობდა პირველ ნაწილში № 439-ში. შესაძლებელია ცნობილი ფოტოხელოვანის ერშაკოვის კოლექციის ნეგატივებში შემონახულიც იყოს თბილისში 1806 წლის 28 თებერვალს გახსნილი აფთიაქის საერთო ხედი. მაგრამ ასეთი ნეგატივი ჭერჭერობით ხელთ არა გვაქვს. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა (1832 წლის 12 დეკემბრის ცნობა) რუსეთიდან შემოტანილი სამკურნალწამლო საშუალებანი ეყარა პირდაპირ ღია ცის ქვეშ, შესანახი ადგილის უქონლობის გამო. ბუნებრივია იბადება კითხვები: რა მოხდა? რატომ გაიხსნა მუნტოევის ბინაში აფთიაქი? და რატომ არ ჰყოფნიდათ 1832 წელს „აფთიაქის გახსნიდან 26 წლის შემდეგ“ სამკურნალო საშუალებების შესანახად სასაწყობო მეურნეობები?

ცნობილია, რომ ინფანტერიის გენერალ ციციანოვის — ციციშვილის ზრუნვის შედეგად მიაღწიეს აფთიაქის შენობის ასაშენებლად სოლიდური თანხის

გამოყოფას 8000 მანეთის რაოდენობით, ამ თანხით მაშინდელი ფულის კურსის შესაბამისად, კარგა მოზრდილი სათავსოებით უნდა აშენებულყოფო აფთიაქი. გამოყოფილი იყო საკმაო საშტატო ერთეულიც აფთიაქში სამუშაოდ (იხილეთ მონოგრაფია „საფთიაქო საქმისა და სამედიცინო მრეწველობის განვითარება და პერსპექტივები საქართველოში“ ს. სალუქვაძე, რუსულ ენაზე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1978). ცნობილია, რომ გენერალი პ. ციციანოვი ბაქოში მუხანათურად იქნა მოკლული 1806 წელს. მისმა უდროო სიკვდილმა, რა თქმა უნდა, ხელი შეუშალა აფთიაქის მშენებლობას. მაგრამ აფთიაქის გახსნა მაინც მოხერხდა. ამგვარად, თბილისში გახსნილი აფთიაქის ინიციატორად გვევლინება გენერალი ციციანოვი, რომელიც გენერალ-ლეიტენანტი შთამომავალია ცნობილი ფანასკერტელ-ციციშვილებისა, რომლებიც 1465-67 წლებში იწყებენ მოღვაწეობას, „მკურნალი დიდი ზაზა ფანასკერტელის“ მეთაურობით და რომელიც ტაო-კლარჯეთიდან შუა ქართლში გადმოასახლა მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონმა.

გენერალ პ. ციციშვილის ერთ-ერთი სასიკეთო საქმე გახლავთ აფთიაქის გახსნა. მისივე ინიციატივით მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შესაბამისი განათლების მისაღებად, ყოველწლიურად 12 ახალგაზრდა იგზავნებოდა.

როგორც ცნობილია, ალა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევისას დაინგრა თბილისში ზარაფხანაც. 1804 წლის 15 სექტემბერს ზარაფხანა ინჟინტერიის გენერალ პ. ციციშვილს აღუდგენია და ამასთან დაკავშირებით გამოუციათ მედალიონი, რომელსაც ერთ მხარეს ეწერა „იბერია“, მეორე მხარეს „კოლხიდა“. საფთიაქო დარგის მუშაკთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება მაინც აფთიაქის გახსნის საკითხია, რომელსაც, როგორც ვიცით, ვეღარ მოესწრო პ. ციციშვილი. პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი დაბადებულია 1754 წლის 8 სექტემბერს ქ. მოსკოვში¹. იგი სამხედრო განათლების მიღების შემდეგ მსახურობდა ტობოლსკის ქვეით ლეგიონში. ამიტომაც ანალოგიური საფთიაქო საშტატო ერთეულების განსაზღვრისას ტობოლსკის აფთიაქის საშტატო-საორიენტაციო ერთეულები, რომელიც გამოყენებული იქნა თბილისში გახსნილი აფთიაქისათვის. პავლეს პაპა — პაატა ზაქარიას ძე ციციშვილი, ვახტანგ VI დაახლოებული პირი ყოფილა, უახლოესი ნათესაური შტოთი ციციშვილები მეფე გიორგი XII მეუღლის, მარიამ დედოფლის ნათესავეები ყოფილან, ხოლო უძველესი ფანასკერტელები ვახტანგ IV-დან მოყოლებული, საერთოდ ბაგრატიონების ნათესავეები. ჩვენთვის ცნობილია, რომ დიდი ზაზა ფანასკერტელის ყველაზე უმცროს მე-5-ე ვაჟიშვილს ზაქარია ერქვა. საფიქრებელია, ეს პავლე ციციშვილი XV საუკუნეში მოღვაწე ზაზა ფანასკერტელის ვაჟის ზაქარიათ შთამომავალი იყოს. პავლეს მამა დიმიტრი, დაბადებული 1723 წელს, გრაფ რუმიანცევის სამხედრო სკოლის აღზრდილი ყოფილა და გარდაიცვალა 1777 წელს. პავლე ნიკიერი მხედარმთავარი ყოფილა. 1793 წელს 39 წლის ასაკში

¹ შ. მეგრელიძე, „ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები“, მეცნიერება, 1979 წ.

მას გენერალ-მაიორის ჩინი მიუღია. 52 წლის პ. ციციშვილი 1806 წ. ბაქოში ლალატი მოკლეს. სიკვდილის შემდეგ თავი მოჰკვეთეს და სპარსეთში აბას მიოზას გაუგზავნეს, 5 წლის შემდეგ 1811 წელს პ. ციციშვილის ნეშთი სიონის ტაძარში გადმოსვენეს და იქ დაკრძალეს. მისი დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობდა ცნობილი პოეტი --- ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ჩვენი კომენტარები ხელნაწერთა ინსტიტუტის

ხელნაწერი ფონდი A — 904-ის შესახებ

„ხელნაწერი ფონდი A-904 ქალაქზე 13×9,5 დაწერილია წერილი სტრიქონით ხუცურით. ხელნაწერს დასაწყისი აკლია. შეიცავს მთლიანად 205 ფურცელს. გადაწერილია 1688 წელს. მისი გადამწერია ვინმე საბა. ზოლო 42-ე და 163-ე გვერდებზე ნახსენებია ნიკოლოზ მაღალაძე. ნიკოლოზ მაღალაძის სახელი ნახსენებია 129-ე და 176-ე გვერდის ფურცლებზე. მუზეუმს ხელნაწერი შემოსწირეს თავადებმა ალექსანდრე და დავით მაჩაბელებმა“. ასეთია მოკლე საცნობარო მიმოხილვა ამ ხელნაწერისა. ხელნაწერის შინაარსი გამიზნულია სასულიერო პირთათვის. მასში გამოსახულია 63-ე გვერდზე აკაკი მორჩილი. 129-ე გვერდზე: „**შეიწყალე მღვდელი ნიკოლოზ მაღალაძე**“, 86-ე გვერდზე არის ასეთი შინაარსის მხედრული მინაწერი: „ქ. თვესა ფებერვალსა: ცხრასა დღესა: ოთხშაბათსა. ჟამსა წესამესა დღისასა წავიდა ბატონისშვილი ერეკლე ისპაპანს (ლაპარაკია ერეკლე მეორეზე, რომელიც 1744-1798 წ.წ. ქართლ-კახეთში მეფობდა) მპყრობელობასა, მძლავრისა ველინამდისასა, რომელსა ეწოდა პირველ თამაზხან. ქორონიკონს უკე: (1737 წელი). თარიღი.

163-ე გვერდზე არის წარწერა: „**ღმერთო აღღვარძელე მამაჲ ნიკოლოზ მცხეთის სუცტის ცხოვლისა: ღმერთო შეიწყალე საბა**“.

ხელნაწერი დიდი მონდომებით არის შედგენილი. ხელნაწერი დაწერილია ხუცურით, შავი მელნით, სიტყვების და წინადადებების დასაწყისი გამოსახულია წითელი მელნით, ე. ი. სინგურით ასომთავრული ასოებით. ხელნაწერი ისეთი მონდომებით და ნატიფად არის შედგენილი, რომ სტამბური წესით გამოცემულის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც მაღალკვალიფიციური პროფესიონალ კალიგრაფის ნამუშევარია უსათუოდ. საინტერესოა მეორე მოქმედი პირის ხსენება ხელნაწერში. ვინ არის „ღმერთო შეიწყალე საბა?“ ხომ არ არის სულხან-საბა ორბელიანი? იგი დაიბადა 1658 წელს, გარდაიცვალა 1725 წელს მოსკოვში. თარიღი მისი მოღვაწეობისა ემთხვევა ამ ისტორიულ მონაკვეთს. 1688 წელს საბა 30 წლის იქნებოდა (?). ხომ არ მოღვაწეობდნენ ერთობლივად სულხან-საბა ორბელიანი და მაღალაძეები? ასეთი ვერსია არ არის გამორიცხული და ამას დამატებითი გამოკვლევა სჭირდება. 1698-1703 წლებში სულხან-საბა მოღვაწეობდა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცხებლის მონასტერში.

როგორც ირკვევა ამ A-904 ხელნაწერზე მინაწერები სხვადასხვა საუკუნეში გაუკეთებიათ. ხელნაწერები მაღალაძეების საგვარეულო საკუთრება

ყოფილა და, ამავე დროს, ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის ნიკოლოზ მაღალაძის მიერ გადაწერილი. ისიც ირკვევა, რომ სოლომონ მაღალაძე მდივან-მწიგნობარ-ქადაგ-მგალობელი, რევავ მაღალაძის ვაჟიშვილი იყო. რევავ მაღალაძე ნიკოლოზის უმცროსი ძმა XVII საუკუნის მოღვაწეა და, თუ 1744 წელს 20 ოქტომბერს მღვდლად ეკურთხა ნიკოლოზი: „ეკურთხე მე მღვდლად მაღალაძე მდივნის სოლომონის ძე. მდივანი ნიკოლოზის პატრონისა და ყოვლად სანატრელის ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა კათალიკოზ პატრიარქის“, მაშასადამე, ეს წარწერა XVIII საუკუნეშია მიწერილი წიგნზე, რამეთუ ნიკოლოზ სოლომონის ძე მაღალაძე, რევავ მაღალაძის შვილისშვილი, მღვდლად კურთხევის თარიღის აღსანიშნავად წიგნზე აკეთებს კალენდარულ წარწერას. ჩვენს ყურადღებას იქცევს 1737 წელს ამ ხელნაწერზე გაკეთებული წარწერა. ეკუთვნის თუ არა იგი XVIII საუკუნის მოღვაწეს ნიკოლოზ მაღალაძეს და ამ დროს იყო თუ არა ცოცხალი ნიკოლოზ პაპუას ძე მაღალაძე — მცხეთის სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი? მცხეთის სვეტიცხოველზე (კედელზე) გაკეთებული წარწერა თარიღდება 1677-1678 წლებით. თანაც ეს წარწერა თანამდებობრივად პრივილეგირებული ისტორიული პიროვნების მიერ არის გაკეთებული. მაშასადამე, ამ დროს ნიკოლოზ მაღალაძე ქართლის კათალიკოსი იყო. თორემ მცხეთის სვეტიცხოვლის კედელზე ასეთი ისტორიული წარწერა ხომ ერთადერთია (?) მაშასადამე. სვეტიცხოვლის კედელზე წარწერის თარიღი სწორია და იგი ნიკოლოზის სიცოცხლეშია გაკეთებული. მაღალაძეთა საგვარეულოში XVIII საუკუნეში კვლავ ჩნდება სამოღვაწეო ასპარეზზე ნიკოლოზ სოლომონის ძე მაღალაძე პროტოპაპ-მდივან-მორდილის ეპითეტებით. ჩვენ ხელთა გვაქვს ხელნაწერთა ინსტრუქტორ ფონდის ხელნაწერი XVI საუკუნის ძეგლი „იადიგარ დაუდი“, ავტორი დავით ბატონიშვილი. იგი გადაწერილია XVIII საუკუნეში, რომელსაც ბოლოს აწერია: „ღმერთო შეიწყალე მონა ღვთის ნიკოლოზი“. ამ ორი ხელნაწერის გვერდებიდან ურთიერთშედარებითი პალეოგრაფიული ანალიზის შედეგები არაპროფესიონალური თვალით ასეთია: ამ ორი ხელნაწერის ფრაგმენტების შედარებისას ირკვევა. მხედრული ნაწერები აშკარად სხვადასხვა ისტორიულ კალენდარულ-წერებს ეკუთვნით.

ისტორიული მონაცემების მიხედვით აკად კ. კეკელიძის მიერ, დადგენილია, რომ ეს საეკლესიო რიტუალების ზატყვი დაწერილია ნიკოლოზ მაღალაძის მიერ XVII საუკუნეში და მაშასადამე, ჩვენამდე მოღწეულია 205 ფურცლიანი ხუტური წიგნი, რომელიც ეკუთვნის ნიკოლოზ პაპუას ძე მაღალაძეს.

ხელნაწერი ფონდი H — 1058-ის კომენტარი

ხელნაწერი ფონდი H — 1053 არის მხედრული ნაწერი, გადამწერია ნიკოლოზ სოლომონის ძე მაღალაძე:


„იადიწერა ესე სამეცნიერო სამეფოსა ქალაქ პეტერბურხს ნუსხათ ჩემ მიერ მაღალაძის პროტოპაპ-მდივან-ქადაგ ნიკოლოზისაგან თვესა მარტსა ლა: ჩლ ა ქორონიკონსა უმთ“. ამ ხელნაწერს ჰქვია „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოს-

თან და სიტყვანი ფრიად სარგებელნი სულ-სხეულთანი არისტოტელ თქვა“. არის ასეთი მინაწერი ამ მხედრული ხელნაწერი რეეულის 21-ე გვერდზე (იხილეთ შესაბამისი ფოტო). მაშასადამე, ეს მხედრული ხელნაწერი ეკუთვნის ნიკოლოზ პაპუას ძე მალალაძის ძმისწულს ნიკოლოზ სოლომონის ძე მალალაძეს. ამ ორივე ხელნაწერის პალეოგრაფიულმა შედარებამ ალადაშვილების ვარიანტის „იადიგარ დაუღთან“, დაგვარწმუნა, რომ არც XVII საუკუნის მოღვაწეს ნიკოლოზ პაპუას ძე მალალაძეს და არც XVIII საუკუნის მოღვაწეს ნიკოლოზ სოლომონის ძე მალალაძეს პალეოგრაფიულად საერთო არაფერი აქვთ XVIII საუკუნეში ალადაშვილისეულ ვარიანტიდან გადაწერილ „იადიგარ დაუღთან“. მაშასადამე, წარწერა „ქ. შეიწყალე მონა ღვთისა ნიკოლოზი“ ეკუთვნის სხვა კალიგრაფ ნიკოლოზს და არა მალალაძეების სავგარეულოს წარმომადგენელ ნიკოლოზს. შესაძლებელია იგი მიქაძეების სკოლის წარმომადგენელია.

ძველი ქართული საიდუმლო, ანუ კრიპტოგრაფიული კარაბადინება

ძველმა ქართულმა საიდუმლო დამწერლობამ, ანუ კრიპტოგრაფიამ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში მიიქცია ქართველ მკვლევართა ყურადღება. დადგენილია, რომ ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, „საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების საიდუმლო დამწერლობათა მსგავსად, თავიდანვე გარკვეულ სისტემად ჩამოყალიბებულია“¹. საიდუმლო დამწერლობას გარკვეული გასაქანი მიეცა ძველ ქართულ სამედიცინო ხასიათის კარაბადინების შედგენისას. ფაქტობრივი მასალით ირკვევა, რომ გარკვეული სასულიერო პირები საიდუმლო ანბანით აღგენდნენ კარაბადინებს და მისი სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, ვინც ეს კრიპტოგრაფიული დამწერლობა იცოდა. სხვა დანარჩენი მუდპერსონალი კრიპტოგრაფიულ კარაბადინებში — დედნებში ვერც წაიკითხავდნენ სამკურნალწამლო საშუალებებს და ვერ გამოთქმდნენ რეცეპტს ავადმყოფს — მით უმეტეს მათ არ შეეძლოთ ესარგებლათ ამ საიდუმლო კარაბადინების შინაარსით და წამლის მოსამზადებელი რეკომენდაციები მათთვის სრულიად უცნობი იყო. ამ შემთხვევაში ასეთი შინაარსის კრიპტოგრაფიული კარაბადინები სრულიად საიდუმლო ხასიათისა იყო. ასეთი წიგნები თავისთავად ზებუნებრივი მაგიური შესაძლებლობების წიგნებად ითვლებოდა იმ პირთათვის. ვინც არ იცოდა კრიპტოგრაფიული ანბანი. ეს კი ხელს აძლევდა ისეთ ჯასულიერო პირებს, რომლებიც იოლი გამდიდრების გზით იყვნენ შეპყრობილნი, ასეთი ქურუმების მიერ „სენთა კურნება“ მონოპოლიურ ხასიათს ატარებდა. რაც ხელს უწყობდა აბსოლუტური სულის დაშვების იდეას და ავად-

¹ ლ. ათანელიშვილი. ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა. „მეცნიერება“, თბ. 1982, გვ. 5.



კრიპტოგრაფული კარაბადინის ხატიტული გვერდი და შესავალი. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q N: 243.

მყოფი თუ გადარჩებოდა, უზენაეს ძალას — ღმერთს მიაწერდნენ. თუ მოკვდებოდა, უღმერთობას. ეს კი იწვევდა ადამიანთა გაყვლევას. გონებრივი სიბრძნე და ყოველი ასეთი მოვლენა რელიგიის ბატონობის ხანგრძლივი პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი.

ლალი ათანელიშვილის მონოგრაფიაში დაწყებული 360 გვერდიდან 364 გვერდის ჩათვლით საიდუმლო კარაბადინების ნიმუშებია გაშიფრული. ამ ხელნაწერის რამდენიმე გვერდი შესრულებულია კრიპტოგრაფული ანბანით და ამ საიდუმლო ხელნაწერის (H-396) გადამწერად მიჩნეულია დავით თუმანიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ეს ხელნაწერი (1805 წ.), რომლის 38-ე რექტო გვერდზე კრიპტოგრაფულად დაწერილია: სახელნი წამლისანი. ლათინურად, რუსულად და ქართულად. ასე მაგალითად:

1. ალოე საუკოტრინი, ჩისტალო საბრა, განწმენდილი საბრა (ალოე).
2. შაფრონგ — ზაფრანა.
3. აღარიცი ალბი, ლისტვენნო იღები, თეთრი ყარიყონი.
4. სერნალო ცვეტ, გოგირდი ყვითელი(იხილეთ შესაბამისი ფოტო).

1864 წლის თარიღით შედგენილია კრიპტოგრაფული კარაბადინი. ანუ ფონდი Q-243 „საეპიშო წიგნი“. „გინაიდან ყოველნი ქვემოთ აღწერილნი წამალნი და შეტყობანი და გარემოებანი ყ ნი გამოცდილ არს და განმართლებული არიან ნამდვილთა ექიმთაგან. მაშასადამე, ჯერ არს მიმართვად მისდა.

და ახლა ამისათვის გადმოვწერე შვილმან კოლეესკი რელისტრატორის ფორტიგნატ ცეხანოვსკის ამბროსიმ 1864-სა წელსა მაისსა 15 დღესა ქალაქ ქუთაისში“. ეს ხელნაწერი საექიმო წიგნი დაწერილია კრიპტოგრაფული ანბანით და აკადემიკოს აკაკი შანიძის გამოკვლეული მასალების მიხედვით ანდერძში მოხსენიებულია გადაწერი ამბროსი ცეხანოვსკი. შექმნილია ვინმე შიხიელ ნასიძისაგან თბილისში 1938 წელს (იხილეთ შესაბამისი ფოტო). მაშასადამე, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში დაცული ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ საქართველოს მედიცინის ისტორიის გარდამავალ პერიოდში პრაქტიკაში დამკვიდრებულა, ე. წ. საიდუმლო ანუ კრიპტოგრაფული კარაბადინების გამოყენება. ეს კარაბადინები ადვილი სატარებელი ყოფილა ჭიბითაც, რომლითაც როგორც ჩანს, სარგებლობდნენ მხოლოდ და მხოლოდ კრიპტოგრაფიული შიფრის მცოდნე მედპერსონალის წარმომადგენლები.

რეპოლუციამდე სპარტველოში პერმანელი და ესტონელი პროვიზორების როლისა და ღვაწლის საპითხისათვის

საქართველოში სააფთიაქო საქმის დასაწყისი შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. ისტორიული მნიშვნელობის ლიტერატურულ წყაროში — იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ — საყურადღებოა მკურნალობის მანიპულაციის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა.

„და მე ვარქუ წმინდისა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო, სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალითა შენთა შთაცუელ არს და სალბუნი და წამალი დაგადეა, რათა ჰე, ღამე თუ განიკურნო!“ მაშასადამე. V საუკუნეში სალბუნი — მალამო უკვე არსებობდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იქნებოდა მათი დასამზადებელი ადგილიც. V საუკუნის უფლისციხის ისტორიულ ძეგლის ნანგრევებში აღმოჩენილია თახჩებიანი კედლები, რომლებშიც სავარაუდოა, რომ წამლები და წამლის ფორმების მოსამზადებელი კომპონენტები ინახებოდა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (მე-2 ტომი, მე-16 გვერდი) მითითებულია, რომ „საქართველოში წამლების მომზადების წესებს ფლობდნენ და აფთიაქის ტიპის დაწესებულება არსებობდა ფეოდალურ ხანაში. ვარძიის კედლებში ამოკვეთილია სათავსოები, რომლებიც აფთიაქის დანიშნულებას ასრულებდა“. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ფეოდალურ და შუა საუკუნეების ეპოქაში სამკურნალო საქმეს რელიგია განაგებდა და სწორედ რელიგიურ დაწესებულებებში შენდებოდა ქსენონები — სასნეულოები და წამლების სასახლეები — აფთიაქები. ამას ადასტურებს არაერთი წერილობითი წყარო და ნიშანდობლივი ფაქტი, რომლებიც ჩვენ არგუმენტებით დავასაბუთებ წინა ქვეთავებში.

საქართველოს ძნელბედობის პერიოდში აფთიაქების ფუნქციონირების შესახებ ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება: ცნობილია, რომ 1740 წელს

კათოლიკე მისიონერებმა თეიმურაზ II სასახლესთან გახსნეს აფთიაქი, ხოლო სპარსეთიდან მოწვეულმა იაკობ რეინესმა, ეროვნებით გერმანელმა და უნგრეთის მოქალაქემ 1779-83 წლებში გახსნა ერეკლე მეორის სასახლეში აფთიაქი და სამედიცინო სკოლა.

სამედიცინო მომსახურების და აფთიაქების აღდგენაზე ზრუნვა იწყება XIX საუკუნის დასაწყისში. სანკტ-პეტერბურგიდან მიღებული იქნა ნებართვა აფთიაქის გახსნაზე 1805 წლის 5 მაისს თარიღით. ხოლო 1806 წლის 28 თებერვლიდან მუშაობა დაიწყო პირველმა სამხედრო აფთიაქმა ჰოსპიტალში. საარქივო მასალაზე დაყრდნობით, აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის მიერ დადგენილი თარიღით პირველი ღია ტიპის სამოქალაქო აფთიაქი თბილისში გაიხსნა სოლოლაქში, პროფიზორ ფლორ შონბერგის მიერ 157 წლის წინათ — 1829 წელს.

თუ როგორ მოხდა ფლორ შონბერგი საქართველოში, სპიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ისტორიული ფაქტის მოშველიება და გაანალიზება.

ცნობილია, რომ XVIII-XIX საუკუნეებში რუსებსა და გერმანელებს შორის არსებობდა სამედიცინო კავშირი. წარმოშობით გერმანელი პროფიზორების მიგრაციას განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში და შემდეგ საქართველოში. ესტონელი და გერმანელი პროფიზორების ემიგრაცია და გარდამავალ პერიოდში სააფთიაქო ქსელის განვითარების პირველი ნაბიჯები უშუალო ანარეკლია რუსებსა და გერმანელებს შორის სამედიცინო კავშირის განვითარებისა. რადგან საქართველოში არ გვყავდა ნაციონალური კადრები, გარდამავალ პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სააფთიაქო საქმის მონოპოლია ესტონელ და გერმანელ პროფიზორების ხელში იყო. შონბერგი, შმიდტი, გეინი, აიზრიხი, ოტტენი, ზემელი, შემახი, შონგარტი, ვილარეტი და სხვები, ეს ის პროფიზორები არიან, რომელთა მოღვაწეობასთან დაკავშირებულია საქართველოში და კერძოდ თბილისში სააფთიაქო ქსელის განვითარება. ისინი, რა თქმა უნდა, კერძო აფთიაქების მფლობელები — მონოპოლისტები და კაპიტალისტები იყვნენ, რომელნიც წამლის ღირებულებას განსაზღვრავდნენ სუბიექტურად. პირველი აფთიაქის გახსნა საქართველოში იყო ევროპული, პროგრესული მედიცინის დამკვიდრების პირველი ნაბიჯები, რასაც თან ახლდა ბერძნული, სპარსული, არაბული და თურქული მოძველებული. მისტიკურ-რელიგიური მედიცინის გავლენისაგან განთავისუფლება. ამიტომ ესტონურ-ქართულ სამედიცინო კავშირს და ამ პროფიზორთა მოღვაწეობას საქართველოში უსათუოდ დადებითი შედეგი ჰქონდა.

1829 წელს გახსნილი ღია ტიპის აფთიაქის კერძო მფლობელმა პროფიზორმა ფლორ შონბერგმა 1838 წელს ეს აფთიაქი მიჰყიდა პროფიზორ კარლ შმიდტს 7 წლის მონოპოლიის შენარჩუნების ვადით, მაშასადამე — 1845 წლამდე. კარლ შმიდტმა ითხოვა მონოპოლიის ვადის გაგრძელება 10 წლით, თანაც იმ პირობით, რომ იგი კიდევ ერთ ახალ აფთიაქს გახსნიდა თბილისში.



შეფე ერეკლე შიორე. რუსეთ-საქართველოს დამოზბილღებისათვის დღუცხრომელი მებრძო-
ლი, გეორგიესკის ტრაქტატის გაფორმების ინიციატორი. მისი წინადაღებით სამეფო კარზე
1779-83 წლებში გაიხსნა სამედიცინო განათღების მისაღები სკოლა და სამეფო კარის აფ-
თიაქი დონ რეინეჟსის ხელშეწოღით. იჟამღე კი, 1740 წელს კათოლიკე მისიონერებს ჰქონ-
ღათ გახსნიღი სამეფო აფთიაქი.

აღნიშნული აფთიაქი შმიდტმა გადაიტანა დღევანდელი ლერმონტოვის ქუჩაზე, ამჟამად № 15-ში მდებარე სახლში, რომელიც მის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. 1872 წელს შმიდტმა ხსენებული აფთიაქი მიჰყიდა მიხეილ შახპაროიანს, რომელმაც აფთიაქი გადაიტანა სერგიევის ქუჩაზე მდებარე № 9 შენობაში. 1881 წელს ამ აფთიაქში მუშაობას იწყებს ფარმაციის მაგისტრი ფერდინანდ ოტტენი.

საინტერესოა ოტტენის ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობა. მან საქართველოს აფთიაქში იმუშავა 1878 წლიდან. — 1930 წლამდე 52 წლის მანძილზე.

ფერდინანდ კარლოს ძე ოტტენი რაველში (ტალინში) დაიბადა 1850 წელს. ფერდინანდი იყო ოჯახის მეოთხე შვილი და თანაც ერთადერთი ვაჟი. ფერდინანდმა სკოლა რაველში დაამთავრა, ოცნებობდა უნივერსიტეტში მათემატიკურ ფაკულტეტზე მოხვედრილიყო, მაგრამ ამ ოცნებიდან არაფერი გამოვიდა. საჭირო იყო ლუქმანპურის შოვნა. ფერდინანდმა გადაწყვიტა, ფარმაცევტი გამხდარიყო. ის საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში და აფთიაქში დაიწყო მუშაობა. აქ მან გაიარა დიდი ფარმაცევტული პრაქტიკა, დაახლოებით 1869 წელს იგი გადავიდა დერბტში (იუბრიევი) და იქ უნივერსიტეტში მოეწყო ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. როცა უნივერსიტეტი დაამთავრა და მიიღო პროვიზორის წოდება, ფერდინანდი დაბრუნდა პეტერბურგში იმავე აფთიაქში სამუშაოდ. 1875 წელს მან დაიცვა დისერტაცია სარსაპარილის — ეკალას (ძიგურას) სამკურნალო თვისებებზე. ფერდინანდს შესთავაზეს თბილისში მთავარი ქიმიკოსის თანაშემწის მოვალეობა გ. ვ. სტრუვეს ლაბორატორიაში. ეს სამუშაო ხელს აძლევდა ფერდინანდს; მას თბილისის კლიმატი ძალიან მოეწონა და სამუშაოდ დარჩა თბილისში. 1881 წლის 31 მაისს მან არენდად მიიღო ქალაქ თბილისის დღევანდელი № 28-ე აფთიაქის შენობა, რომელიც სერგიევის ქუჩაზე № 15 სახლში მდებარეობდა. 12 წელი მუშაობდა ფერდინანდ ოტტენი ქალაქის ამ აფთიაქში, რომელიც 1893 წელს იყიდა ექიმ შახპაროიანცისაგან, ხოლო 1902 წელს ეს აფთიაქი გადაიტანა საკუთარი სახლის პირველ სართულზე კიროვის ქუჩა № 8-ში. ეს გახლავთ ქ. თბილისის უძველესი აფთიაქი, რომელიც დღეს საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ სააფთიაქო სამმართველოს, ქ. თბილისის სააფთიაქო სამმართველოს № 28-ე აფთიაქია. იგი ამ აფთიაქს ფლობდა 1921 წლის 15 მაისამდე ე. ი. სანამ მოხდებოდა აფთიაქების ნაციონალიზაცია, ასე რომ, ფერდინანდ ოტტენი თბილისში მართავდა აფთიაქს ზუსტად 40 წლის განმავლობაში. იგი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 80 წელს მიტანებულ¹.

პროფ. ბ. პეტროვის აზრით რუსულ-გერმანული სამედიცინო კავშირი

¹ ს. სალუქაძე, დ. ქემერტელიძე, „150 წლის აფთიაქი“, ჟურნალი „დროშა“, 1979 წელი ივნისი. № 6. გვ. 12-13. ავტორი უდიდეს მადლობას მოახსენებს ფერდინანდ ოტტენის შვილისშვილის შვილს ნატამა ოტტენს, ბაბუის მამის ფერდინანდ ოტტენის შესახებ მასალების გადმოცემისათვის, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში წამათმცოდნეობაში ლექციების წაყვებისას გავეცანით.

„სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ვითარდებოდა ორმხრივად და სხვადასხვა ფორმებში. ეს კავშირები არ იყო ერთმაგი მნიშვნელობის. ერთსადაიმთხვე პერიოდში ეს სამედიცინო კავშირები სხვადასხვა ფორმით გვხვდებოდა, რომელიც წარმოდგენილი იყო არაერთგვარ სტადიაში, ეტაპობრივად და მას განსაზღვრავდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები. რუსულ-გერმანულ სამედიცინო კავშირებს სხვადასხვა ეტაპზე სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში ბიძგს აძლევდნენ იმდროინდელი მოღვაწეები ყველაზე ნაყოფიერი ასპექტებით.

ყველაზე გავრცელებული და ყველაზე უპირველესი დამახასიათებელი ფორმა იყო რუსეთში მოპატიჟება ექიმებისა, ან მოსვლა თავისავე სურვილით გერმანელი მეცნიერებისა და ექიმებისა, რომლებსაც სურდათ სულით და გულით, მთელი პასუხისმგებლობით, მომსახურებოდნენ იმ საქმეს, რისთვისაც ისინი მოვიდნენ რუსეთში — გაეზიარებიათ თავიანთი ცოდნა, მაგრამ მოღვაწეები იყვნენ სხვადასხვაგვარნი... იყო გარკვეული კატეგორია ამ ხალხისა, რომლებიც რუსეთში მოდიოდნენ სამუშაოდ, მხოლოდ ფული ეშოვნათ და გულგრილად ეკიდებოდნენ ხალხის ნება სურვილს. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს გაეწმინდოთ ეს ისტორიული მასალა ბალასტიისაგან და შემთხვევითი ფაქტებისაგან, გამოვავლინოთ კანონზომიერებანი, განსაკუთრებით ისინი ვისაც უფრო მეტი წვლილი შეჰქონდათ ამ სამედიცინო კავშირების განვითარებაში“¹.

გარდამავალი პერიოდის საქართველოს მედიცინა ძნელბედობის პერიოდის მედიცინა გახლდათ. საქართველო მეფის რუსეთის პროტექტორიატად იყო გამოცხადებული. ნაციონალური კადრები ამ დროს ჩვენს ქვეყანას არ ჰყავდა. ფარმაცევტული კადრები უქირდა რუსეთსაც. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს არაქართველ პროვიზორთა მიგრაცია ხდებოდა მხოლოდ ფულის შოვნის და გამდიდრების გაშიშვლებული ინტერესის გამო. პროფ. ბ. პეტროვი წერს „იყო კატეგორია ხალხისა, რომლებიც მოდიოდნენ რუსეთში ფულის საშოვნელად და ისინი გულგრილად ეკიდებოდნენ ხალხის ნება სურვილს“. ანალოგიური მდგომარეობა იყო რევოლუციამდელ საქართველოში. გერმანელი და ესტონელი პროვიზორები ჩვენთან მედიკამენტებზე მონოპოლისისათვის მოდიოდნენ, რაც უსათუოდ მათ პირად გამდიდრებას უწყობდა ხელს. ეს არაქართველ პროვიზორთა ძირითადი მისწრაფება იყო. გერმანულ-რუსული სამედიცინო კავშირების ობიექტური ანალიზის ჩატარებისას პროფ. ბ. პეტროვი წერს: „ჩვენს ამოცანას წარმოადგენს გაეწმინდოთ ეს ისტორიული მასალა ბალასტიისაგან, გამოვავლინოთ კანონზომიერებანი, განსაკუთრებით ისინი, ვისაც უფრო მეტი წვლილი შეჰქონდა ამ რუსულ-გერმანული კავშირების განვითარებაში“. მაშასადამე, როცა საქართველოს არ ჰყავდა კვალი-

¹ Тезисы докладов симпозиумов по истории медицины СССР-ГДР, русско-советско-немецкие связи. Б. Д. Петров. Основные этапы направления немецко-русских медицинских связей. Москва — 1977, стр. 7—13.

ფიციური სააფთიაქო დარგის კადრები, როცა მოსახლეობის მედიკამენტებით მომსახურება გაძნელებული იყო, არამარტო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სხვა ქალაქებში, ამ დროს ჩვენთან დაიწყო ესტონელი და გერმანელი პროვიზორების მიგრაცია. იხსნებოდა აფთიაქები მონოპოლიის შენარჩუნების გარკვეული ვადით, რაც ხელს აძლევდათ და აწყობდათ კერძო აფთიაქის მფლობელ კაპიტალისტ პროვიზორებს, მაგრამ მათი როლისა და ღვაწლის განსაზღვრისას, სოციოლოგიური თვალსაზრისით საჭიროა სიფხიზლე და ობიექტურობა. „მთავარია“ — ამბობს ბ. პეტროვი, „გავწმინდოთ ისტორიული მასალა ბალასტისაგან“.

1 მასასადავამე, ესტონურ-ქართული სამედიცინო კავშირები თავის დროზე პროგრესული მოვლენა იყო, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა გარდამავალ პერიოდში წამალთმომსახურების და სააფთიაქო ქსელის ჩასახვისა და განვითარების საქმეში.

1901 წლის შემდეგ პერიოდს და საერთოდ XX საუკუნის საქართველოს ფარმაციის და წამალთმომსახურების ისტორიას, ჩვენ განსაზღვრული გვაქვს, ცალკე გამოკვლევა მიუძღვნათ.

ისტორიული ცნობები საპარტოვლოში ყვავილის აცრის შესახებ

ძველად როცა ადამიანს რაიმე ინფექციური სენი შეეყრებოდა (დასნე-ბოვდებოდა) და დაავადების სიმპტომები მედიკოსებისათვის ცნობილი იყო, ასეთ დიაგნოზს სუამდნენ — „სახადიაო“. გამოთქმა „სახადის“ ქვეშ ისეთი ინფექციური დაავადება იგულისხმებოდა, რომელიც ერთსა და იმავე ავადმყოფს მეორედ არასოდეს შეეყრებოდა. ერთ-ერთი ასეთი ინფექციური დაავადება იყო „ყვავილი“. ყვავილს, როგორც სწრაფად გავრცელებად ინფექციურ დაავადებას საქართველოში იცნობდნენ პირველი ათასწლეულის შეოთხე-მესამე საუკუნეებში და კაცობრიობისათვის ძლიერ საშიშ ინფექციურ დაავადებად ითვლებოდა, რომელიც მუსრს ავლედდა მოსახლეობას. იგი ამჟამად მთლიანად ლიკვიდირებულია და თუ სადმე მისი თითო-ოროლა შემთხვევა იფეთქებს, იგი კაცობრიობისათვის საშიშ დაავადებად აღარ ითვლება, ვინაიდან ყვავილის აცრის, ანუ ხელოვნურად ყვავილით დასნებოვნების მეოთხე ევროპულ მედიცინაში 1796 წელს შემოიტანა ინგლისელმა მეცნიერმა ე. ჯენერმა. იგი ვირულენტობა შესუსტებული ყვავილის მიკრობს იღებდა მსხვილფეხა რქოსან საქონლიდან, რითაც ადამიანს ხელოვნურად აავადებდა. ყვავილის დაავადებას ადამიანთან შედარებით ადვილად იტანს მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, და თუ ადამიანს საქონლისაგან გადაედება ყვავილი, იგი იოლ ფორმებში მოიხდის ყვავილის დაავადებას. როგორც ჩანს, ადამიანის ორგანიზმში და სისხლში ამ დროს ხდება ძირეული მიკრობიოლოგიური ცვლილებები, წარმოიქმნება ე. წ. დაცვითი ბუფერული ფუნქციის მატარებელი ანტისხეულები, რომლებიც ფაგოციტოზის პრინციპით ებრძვიან

ორგანიზმში მეორედ მოხვედრილი ყვავილის გამომწვევ მიკრობს და სხეულში ხდება მისი ადგილზევე ლიკვიდაცია. იმუნიტეტი ეწოდება ისეთ მიკრობიოლოგიურ პროცესს, რომლის შედეგად ცოცხალი ორგანიზმი გამოიმუშავებს უნარს, რაც ხელს უშლის დაავადების ხელმეორედ განვითარებას. მაშასადამე, ორგანიზმი იმუნურია. მიკრობიოლოგიის ფუძემდებლად ითვლება ცნობილი ფრანგი მეცნიერი ლუი პასტერი. პასტერი აღფრთოვანდა ე. ჯეხერის ევრიკით და ყვავილის ასაცრელ მასალას — ვაქცინა უწოდა. „ვაქა“ ძროხის ლათინური სახელწოდებაა.

ისტორიული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ ყვავრის აცრის საკითხში პრიორიტეტი ეკუთვნით სახალხო მკურნალებს ძველ საქართველოში. ყვავილის შესახებ მეცნიერული გამოკვლევები, წიგნები და თარგმანები დაბეჭდილია მოსკოვის სინოდის სტამბაში. მაგალითად: 1808 წელს გამოცემული გოდერძი ფირალიშვილის წიგნი „ლონე და შეწვენილება რომლითაც იხსენიებს ერთ ყვავილის სნეულების სრვისაგან“.

1815 წელს დაბეჭდილია გიორგი ელიოზიშვილის წიგნი „სწავლა აცრისათვის წინადამცველისა და ყუავილისა“ და ნიკოლოზ ჩუბინაშვილის, „მოდღერება აცრის წინათ დამცულისა ძროხის ყვავილისა“, 1830 წლის გამოცემა. ყვავილის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიის საკითხებს ყურადღება მიაქცია აგრეთვე მ. თიკანაძემ. ამ მიმართულებით გამოკვლევები და მეცნიერული ნაშრომები გამოაქვეყნეს 1958 წელს პროფ. მ. სააკაშვილმა და პროფ. ა. გელაშვილმა.¹ 1963 წელს ამ საკითხს შეეხო პროფ. მ. შენგელია წიგნში „ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან“.

ყვავილის აცრის საკითხებს მრავალმხრივი გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ა. იოსელიანმა. მან 1977 წელს გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი გამოკვლევა სათაურით: „აცრით ყვავილის მკურნალობის ისტორიიდან ძველ საქართველოში“. „ჩვენი მიზანია, — წერს ამ გამოკვლევაში ავტორი, — წამოვჩინოთ ქართველი ხალხის როლი და დამსახურება ყვავილის ეპიდემიის წინააღმდეგ — ამ პროგრესული საყოველთაო სახალხო ბრძოლის საქმეში ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, ისე როგორც ამას ჰქონდა ადგილი სინამდვილეში“². ქ. თბილისის ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ — თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მ. გიგიტაშვილი 1970 წელს გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე წერდა: „როგორც სათანადო დოკუმენტებიდან ირკვევა ქართველმა ხალხმა ყვავილის აცრა ძველთაგანვე იცოდა... ჯერ კიდევ 1713

¹ „საქართველოს მედიცინის ისტორია“ (წიგნი II, თბილისი, 1958 წ.).

² ა. იოსელიანი, „ყვავილის მკურნალობა საქართველოში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს საისტორიო სამეცნიერო საზოგადოების კრებული მიძღვნილი აკ. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი. გამომცემლობა „განათლება“ თბილისი. 1977. გვ. 134—154).

წელს ბერძენი ავტორების წიგნებიდან ცნობილი გახდა, რომ ქართველები აკეთებდნენ ყვავილის საწინააღმდეგო აცრას ვარიოლაციის სახით“. საქართველოში ყვავილის საწინააღმდეგო აცრის ცოდნის პრიორიტეტს ადასტურებენ არაქართველი ავტორებიც, მაგალითად: ცნობილი გერმანელი მეცნიერი კურტ შპრენგელი მიუთითებს თავის მონოგრაფიაში „მედიცინის ისტორია“ (1815—1832 წწ.), რომ ყვავილის აცრის ჩვეულება საქართველოში უსსოვარი დროიდან იყო გავრცელებული. „დე მოტრეს თვითონვე უნახავს ეს ოპერაცია 1712 წელს“. პროფ. ა. იოსელიანის მიერ დამოწმებულია ექიმი გიულდენშტედტის მასალები, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა 1772 წელს და თავისი თვალით ნახა ყვავილით ბავშვების აცრა.

მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოებისათვის ცნობილია მხოლოდ ინგლისელი მეცნიერის ედუარდ ჯენერის დამსახურება. მან 1796 წელს პირველად ყვავილის ვაქცინით საჯაროდ აცრის დემონსტრირება ჩაატარა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ამ საკითხში ე. ჯენერის აბსოლუტურ პრიორიტეტს. გაცილებით ადრე, საქართველოში, — განსაკუთრებით მესხეთ-ჯავახეთში, სახალხო მკურნალები დანის წვერით ბავშვებს ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს შუა უკეთებდნენ ჯვრის ფორმის ზრეღე ჰრილობას, ამავე დანის წვერს ასველებდნენ ხარის რქაში, რომელშიც ვირულენტობა შესუსტებული ყვავილის გამომწვევი მიკრობი ჰქონდათ მოთავსებული ვაქცინის (შრატას) სახით და ჰრილობაში აწარმოებდნენ მის დათესვას, ე. ი. ხელოვნურად საქონლისაგან ბავშვს დაეადებდნენ ყვავილის ინფექციით. ქართველი და არაქართველი მკვლევარების ნაშრომებიდან ერთხმად აღიარებულია, რომ ყვავილის აცრის საიდუმლოება საქართველოდან გავრცელდა ევროპაში და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში. მაშასადამე, ცნობილი ინგლისელი მეცნიერის ე. ჯენერის აღმოჩენამდე, მკურნალობის ხელოვნების ეს საიდუმლოება, ქართველი სახალხო მკურნალებისათვის გაცილებით ადრე ყოფილა ცნობილი.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ეხება იმუნიტეტსა და ადაპტაციას. ქართული მედიცინის ისტორიის ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ „მითრიდატე პონტოელის სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული ადამიანის ბუნების ისეთი საიდუმლოების გამოცნობა, როგორცაა იმუნიტეტი“¹. დავძენთ, რომ იმუნიტეტი აშკარა მიკრობიოლოგიური ცხებაა, რომელიც ანტიგენის, ანტისხეულის და ცოცხალ ბიოლოგიურ სითხეში — სისხლში ფაგოციტოზის მექანიზმთან არის დაკავშირებული. „მითრიდატემის“ ქიმიურ კომპლექსში ყოვლად დაუშვებელია რაიმე იმუნური სხეული ყოფილიყო. თანაც რომელიმე ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არ არის დასახელებული ცნობა, რომ „მითრიდატუში“ იწვევდეს რომელიმე და-

¹ პროფ. მ. შენგელის მონოგრაფია „უძველესი კოლხურ — იბერიული მედიცინა“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979 გვ. 191.

ვადების იმუნიტეტს. აქ უსათუოდ საწმე გვაქვს ანტიდოტ „მითრიდატუმის“, იგივე „თერიაკის“ („თერიაყის“) საშუალებით შხამის განეიტრალების მომენტთან, რომელიც, აგრეთვე შეჩვევას, შეგუებას, ანუ ადაპტაციას უფრო შიგვანიშნებს, ვიდრე იმუნიტეტს. ადაპტაცია და იმუნიტეტი ძლიერ ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მათი ერთიმეორეში არევა სერიოზული შეცდომაა. ეს საკითხი ჩვენ გავარკვიეთ სტატიაში „რამდენიმე შენიშვნა „უძველესი კოლხური ბერძული მედიცინის“ ავტორს“¹

რაც შეეხება ყვავილის აცრის და იმუნიტეტის საკითხს, ეს უდავოდ სხეულის იმუნიტეტის კლასიკური ნიმუშია, და ყვავილის ვაქცინის შემუშავებაში პრიორიტეტი უსათუოდ ძველ ქართველ სახალხო მკურნალებს ეკუთვნით.

ისტორიული ცნობები თურმანიძეების შესახებ

თურმანიძეების გვარი საქართველოში ცნობილია უპირველესად იმ მალამოს გამო, რომელსაც ისინი ამზადებენ. ბევრმა იცის ამ მალამოს არსებობა. საყურადღებოა, რომ იგი საქართველოს ფარგლებს გარეთაც ყოფილა ცნობილი. გაზეთ „დროების“ 1876 წლის 20 აგვისტოს № 38-ში 1 გვერდზე ვკითხულობთ: „სერბიაში დაპირილებების სამკურნალოდ თურმანიძეების გაგზავნა განზრახული“.

ხალხში დიდი ხანია არსებობს შეხედულება, რომ თურმანიძის მალამო უებარია დამწვრობის, კრილობის და მოტეხილობის სამკურნალოდ.

ძველი ქართული მედიცინის წარსულის შესახებ არსებულ გამოკვლევაში საერთოდ არაფერია ნათქვამი თურმანიძეების სამედიცინო ღვაწლის შესახებ, რაც გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს. ამ ნაშრომში გვინდა მკითხველს გავაცნოთ ჩვენ მიერ მოკვლეული ცნობები თურმანიძეების საგვარეულოს შესახებ. ეს ცნობები არ არის ამომწურავი, მაგრამ გარკვეულად ნათელსა ჰფენენ თურმანიძეების გვარის ისტორიას და აღძრვენ ინტერესს საკითხისადმი.

ხელნაწერთა „A“ კოლექციის ტ. I (თბ. 1973 წ.) XI საუკუნის სეინაქსარი შეიცავს მინაწერს. ამ პალეოგრაფიულ საბუთში 84-ე გვერდზე შემდეგი წერია: „შეუნდოს ღმერთმან სულსა თურმანიძესა“. აქვეა მეორედ ნახსენები „სული თურმანიძესი“.

კომპეტენტური სპეციალისტები: ნ. მარი და სხვები ვარაუდობენ, რომ ხელნაწერზე მინაწერი შეიძლება უფრო მოგვიანებით გაკეთდა. ამიტომ თურმანიძეების სამოღვაწეო სარბიელზე XI საუკუნეში გამოჩენის ფაქტი სხვა საბუთითაც უნდა დამტკიცდეს. ამ მხრივ საინტერესოა „Bibliotheca Armeno-Georgica“ III წიგნი „აღაბნი ჭუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“.

გამოსცა ნიკო მარმა 1914 წელს. აქ იხსენიება „ესენბულა და ნინო თურმანიძეები“, ხოლო ამავე წყაროს 29 ივნისის აღაპში ვკითხულობთ: „პანაშვიდი თურმანიძისა ნინოს და მეუღლისა ჯავარასი“. 31-ე გვერდზე 22 დეკემბრის


¹ ს. სალუქვაძე, „ერნალისტიკის საკითხები“ თსუ-ს გამომცემლობა, ტ. 7—8, გვ. 540—547.



„გიორგი თურმანიძე მუღლე გულფიქრა და ძე მათი თურმანი“, ასეთი შინაარსის ასომთავრული ქარაგმული წარწერები შემოგვრჩა მაიაკოვსკის რაიონის სოფ. წითელი ზღვის დევიძეების და დემეტრაძეების ეკლესიაში, რომელიც ადრე თურმანიძეების საგვარეულო ეკლესია ყოფილა.

აღაპში ვკითხულობთ: „აღაპი საუკუნოი თურმანისძისა ესენბლაისი“. იმავე პიროვნებების შესახებ მეორდება ცნობები აკადემიკოს ელენე მეტრეველის მიერ გამოცემულ წიგნში — „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“ (XI-XVIII ს.). „თურმანის ძე ესენბულა“ და „ნინო თურმანიძე“ აკადემიკოს ე. მეტრეველს დასვენით XIV საუკუნის გვიანდელი არ შეიძლება იყოსო, ხოლო აღაპი დაწერილია XIII საუკუნის დამლევს ხაჭიკის (იგივე საჭიკის) მიერ. XV საუკუნეში ფიგურირებენ ნინო თურმანიძე და მუღლე ჭავარისთავი. არსებობს არაპირდაპირი საბუთები იმ მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ თურმანიძეები თავდაპირველად სამხრეთ საქართველოში ცხოვრობდნენ, შემდეგ დასახლებულან დასავლეთ საქართველოში და კერძოდ იმერეთშიაც გადმოსახლებულან სხვადასხვა ისტორიული მიზეზების გამო¹.

¹ ნიკო ბერძენიშვილი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“. III ტ. თბ. 1953 წ. გვ. 287.



სოფელ წითელი ხევის ეკლესიაში ჭვრის სამკაოეებზე ტალღისებური ზიგზაგებია გველის მსგავსი გამოსახულებით. ლეგენდის მიხედვით ეს შეიძლება წმინდა ნინოს თმაა, რომლითაც მან დაწნა ჭვარი ვაზისა. მეორე თქმულების მიხედვით ამ ჭვრით წმინდა ნინო გველს შეეხო, ჭვრით გველი აიყვანა და ნინოს გველმა არ უკბინა. სავარაუდოა, ამ ჭვარზე ეს ეპიზოდია აღბეჭდილი. სხვა მოსაზრებით ჭვარზე გველის გამოსახულება თურმანიძეების სამკურნალო ტრადიციებსაც ესადაგება. გველის თავი თვალითურთ ჭვარზე აშკარად შეიმჩნევა უფრო დაზუსტებული მოსაზრებისათვის, სიტყვა ხელოვნებაშიცოღნეებს და მედიცინის ისტორიკოსებს ეკუთვნის.

ნიკო მარს გვარი თურმანიძე სოფელ ტბეთში შეხვედრია (იხ. მისი გამოცემა „გ. ხანძთელი“, 1911 წ. და მასზე თანდართული დიოურები, გვ. 26).

სცსს არქივში დაცულია მეტად მნიშვნელოვანი დედნების № 1448 ფონდში 10,212 საბუთი. ასევე შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ასლების ფონდი № 1449-ე და ისინი ჭერჭერობით მთლიანად გამოქვეყნებული და გაშიფრული არ არის. ამ ისტორიული პირველწყაროების მიხედვით თურმანიძეების შესახებ ცნობების გამოვლინება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა, რომლებშიაც შესაძლებელია გამოქვეყნებულ იქნეს მნიშვნელოვანი ცნობები თურმანიძეების შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს ზუსტად დავადგინოთ მათი სამოღვაწეო სარბიელზე გამოჩენის თარიღი და თუ როდის, რა ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი მკურნალობის მიზნით ამ ტრადიციულ და მე-

ტად შედეგიან სამკურნალო მალამოს დამზადებას. ასევე, მხედველობაში მისაღები ეთნოგრაფიული მასალები, რომლის კვალს შუა საუკუნეების „საეკლესიო მედიცინისაკენ“ მივყავართ.

სანამ თურმანიძეების საგვარეულო ეკლესიაზე და ჩვენ მიერ აღმოჩენილი თურმანიძეების ფრესკების შესახებ ვისაუბრებდეთ, სასურველია შევხებოთ ქართლში თურმანიძეების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენას. თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში, 349-ე გვერდზე „ბარათაშვილების გაყრის“ სიგელ-გუჯარში ნახსენებია როსტევან თურმანიძე. ეს საბუთი თედო ჟორდანიას მიერ დათარიღებულია 1523 წლით. იგი დაწერილია ქალაქში იზნდრული ვარიანტი, ლამაზი მსხვილი ასოებით: „ხელითა მცხეთის საყდრისა ქადაგისა მარკოზისათა“. მასასადამე, კალიგრაფი „ბარათაშვილების გაყრის“ საბუთისა არის მარკოზ მალალაშვილი¹. ამ საბუთში ვკითხულობთ: „...დავისხდით ჩვენ ბარათაშვილთა სახლისა და მამული გაყოფად თუით პატრონი მფეთა-მეფე დავით და პატრონი ლუარსაბ, ამილახორი თაყა, ციციშვილი მერაბ (ზაზა ფანაკერტელის ერთ-ერთი ვაჟი. ს. ს.) ბარათიანი იარალ და ორბელი, თურმანიძე როსტევან. (ეს ქრონიკების ერთად-ერთი საბუთია, სადაც თურმანიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი როსტევანი იხსენიება ქართლში XVI საუკუნის დასაწყისში. ს. ს.) ტფილელი ანტონი, სოლდაშვილი შალვა, წითელაშვილი გიორგი, ქეთარაძე შალვა და შატბერაშვილი ბურნაში-გუგუნიასა, ქუმისისა და გერმანოზისა, თაყასა, გოსტასაბისა, ფალავანხოსროსა საქმისა გასაჩენლად“. ამ საბუთით ირკვევა, რომ XVI საუკუნის დასაწყისში და კერძოდ 20-იან წლებში ფიგურირებს როსტევან თურმანიძე ქართლში. რა თქმა უნდა, სავარაუდოა, რომ თურმანიძეები ქართლში უფრო ადრე იყვნენ წამოჩინებულნი სამოღვაწეო სარბიელზე, მაგრამ საამისო საბუთი ჩვენთვის ხელმისაწვდომად ჯერჯერობით არ ჩანს. სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში ნახსენებია ვახტანგ თურმანიძე, ხოსრო თურმანიძე, ხოლო XVII საუკუნეში ხოსრო თურმანიძე „შაჰ-ნამეს“ მთარგმნელად იხსენიება.

ძველ ბაღდადში, დღევანდელ მაიაკოვსკის რაიონში, სოფელ წითელხევში დღემდე შემორჩენილი მცირე მოცულობის ბაზილიკა — ეკლესია, რომელიც დევიძეების და დემეტრაძეების საგვარეულო ეკლესიად არის მიჩნეული. როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა ამ ძეგლს სწავლობს ხელოვნებათმცოდნე იუზა ხუსკივაძე, მაგრამ ლიტერატურა ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის! ამ ავტორს ჩვენ პირადად გავეცანით, რომელმაც საინტერესო ლიტერატურულ ხელნაწერ წყაროზე მიგვითითა ამ ეკლესიის შესახებ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს მეცნიერ თანამშრომელ თათა ბრეგვაძესთან საუბრისას გაირკვა, რომ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევში არსებული დევიძეების და დემეტრაძეების საგვარეულოდ მიჩნეული ბაზილიკის (ეკლესიის) კედელზე, არის ფრესკები შესაბამისი ქარაგმული ასომთავრული წარწერებით. აქვე ყოფილა ფრესკებზე გველის გამოსახულება, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამორეცხილა. ამ საქმის გარ-

¹ თ. ჟორდანიას „ქრონიკები“, II ტ. 1897 წ. გვ. 349.

კვევაში ჩვენ დაგვეხმარა ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, სოფელ წითელხევის მკვიდრი, ამირან ცინცაძე, რომელმაც გადაგვიღო ეკლესიის ფრესკები. ფოტომასალის დამუშავებისათვის ჩვენ საკონსულტაციოდ მივმართეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებს: ლამარა ქაჭაიას, ვალერი სილოგავას, თათა ბრეგვაძეს. შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ცნობილ მეცნიერ-თანამშრომელს, პროფ. იოსებ მეგრელიძეს. ინტუიციამ და ძიებამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. ხელთა გვაქვს შარავანდელით მოსილი ბიბლიური პიროვნებების გვერდით ისტორიულად ცნობილი ჩვენი წინაპრები — თურმანიძეები საომარი მუზარადებით და შესაბამისი ქარაგმული ასომთავრული წარწერები: „წმინდაო გრიგოლ საბა კვირიას ძე შეუნდოს ღმერთმან ამინ“. შემდეგ ქარაგმულ წარწერაზე ვკითხულობთ: „გიორგი თურმანისძე მოეკლა გოლიათი ღმერთმა შეუნდოს“. აქვე გიორგის ფრესკის გვერდით მანდილოსნის ძლიერ დაზიანებული ფრესკაა დედოფალი „გულფიქრა და ძე მათი თურმანი“. აქვეა ჭკრის მეტად უცნაური გამოსახულება. უნდა ვიფიქროთ, რომ გველის კონფიგურაცია ჭკრის მკლავების ირგვლივ გარკვეული სიმბოლიკის მატარებელია. თურმანიძეების ფრესკა ქვეყნდება პირველად. თუ ვივარაუდებთ, რომ თურმანიძეების საგვარეულოს ყველა წარმომადგენელი ფლობდა მალამოს მომზადების სამკურნალო ხელოვნების საიდუმლოებას და იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შამისიული გვარის მატარებლები მხოლოდ ვაჟიშვილები იყვნენ, გიორგი და თურმან თურმანიძეების ფრესკების აღმოჩენა შესაბამისი ქარაგმული ასომთავრული წარწერით ქართული ხალხური სამედიცინო წარსულის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. აქვეა, კიდევ ერთი ფრესკა, წმინდანი — წამლის თასით ხელში, რაც საინტერესოა მედიცინის თვალსაზრისით. თუ როდის არის აგებული ეს ეკლესია, ამისთვის რა თქმა უნდა, ხელოვნებათმცოდნეების დასკვნაა საჭირო. წინასწარი მონაცემებით ამ ბაზილიკის მშენებლობა XVI ს-ნის დასაწყისით თარიღდება. ფრესკებით და შესაბამისი ქარაგმული წარწერებით ირკვევა, რომ ეს ეკლესია თურმანიძეების საგვარეულო ნაგებობა იყო. როგორ გადაიქცა შემდეგ ეს ნაგებობა დევიძეების და დემეტრაძეების საგვარეულო ეკლესიად?

ამის შესახებ ჭერჯერობით ჩვენ რაიმე პირველწყარო და შესაბამისი ლიტერატურა ვერ ვნახეთ. იბადება კითხვა, ხომ არ ფლობდნენ თურმანიძეები ერისთავის თანამდებობას?

ამ კითხვაზედაც პასუხისგამცემი საბუთი ჭერჯერობით უცნობია, მაგრამ ეს, რომ ასე ყოფილიყო, ეკლესია უფრო დიდი მოცულობის და უფრო ნატიფად ნაგები იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ფანასკერტელების ძვალშესალაგ ყინწვისის (ქარელში) და მაღალაძეების საგვარეულო ეკლესიებთან (სოფ. წინარეხში) შედარებით, ეს საშუალო მოცულობის ბაზილიკა მდარედ გამოიყურება. ეს ეკლესია მარადმწვანე სუროთი და ხავსით ყოფილა დაფარული. ამ სოფლის ერთ-ერთი უხუცესი მკვიდრის არსენ ცინცაძის მონაყო-

ლიდან ირკვევა, რომ XX საუკუნის დასაწყისში სოფელ წითელხევის სამონადირეო სავარგულებში მონადირე ნადირობდა. ძალი კვალში ჩასდგომია ქობულდა ირემს. მას თავი შეუფარებია სუროთი დაფარულ „გამოქვაბულში“. ეს გამოქვაბული სუროსა და ხავისისაგან გაუწმენდათ და იგი სოფელ წითელხევის ტერიტორიაზე სრულიად უცნობი საეკლესიო ნაგებობა აღმოჩენილა. ასეთია ძუნწი ეთნოგრაფიული ცნობები წამალმცოდნეობის თვალსაზრისით ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაგებობის შესახებ, სადაც თურმანიძეების საგვარეულოს წარმომადგენელთა ფრესკები იქნა აღმოჩენილი და თუ დღეს ეს ეკლესია დევიძეებისა და დემეტრაძეების საგვარეულო ეკლესიის სახელითაა ცნობილი, ფრესკებით და შესაბამისი ასომთავრული ქარაგმული წარწერებით ირკვევა, რომ თავიდან ეს ნაგებობა თურმანიძეების საგვარეულოს ძვალშესალაგი ყოფილა. ისტორიული მოვლენების ფონზე არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ერთი საგვარეულოს ეკლესია გადასულა სხვა ფეოდალურ საგვარეულოს გამგებლობაში უშუალო მემკვიდრის დაღუპვის ან უმემკვიდრედ გადაშენების გამო, ან ქალიშვილზე მზითვად გადამტკიცების გამო. ასეთი შემთხვევების მაგალითი არა ერთია ქართული მატერიალური ძეგლების ისტორიაში. ამით აიხსნება, რომ ეთნოგრაფიული წყაროები სხვა ცნობებს გვაწვდის, ხოლო ფრესკებზე ასომთავრული ქარაგმული წარწერები უტყუარი საბუთია იმისა, რომ ეს ეკლესია თავიდან თურმანიძეების ძვალშესალაგი ყოფილა. ძნელია იმის მტკიცება, რომ ფრესკებზე თურმანიძეების საგვარეულოს დამწერები ისტორიული პიროვნებებია გამოსახული, მაგრამ უდავოა, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს თურმანიძეების ერთ-ერთი შტოს ფრესკები: გიორგის, გულფიქრას და თურმან თურმანიძეების გამოსახულებები.

ახალგამოვლენილი ძველი ქართული საეკლესიო მედვიციონის კერა კავთუბას ხეობაში

დასავლეთ საქართველოში და კერძოდ კოლხეთის დაბლობზე ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებში (მეორე ათასწლეულში) ყოფილა გაშენებული სამკურნალო მცენარეების ბაღი — წალკოტი, რამაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა და ეს ფაქტი აისახა მრავალ უცხოურ პოეტურ ქმნილებაში. კ. შპრენგელმა ამ ფაქტის გამო ძველი კოლხური მედიცინა უძველესი ცივილიზებული ერების მედიცინის გვერდით დააყენა.

საფიქრებელია, ხომ არ არსებობდა სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი ბაღი — წალკოტი აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე რეგიონში, როგორც წარმართულ ეპოქაში. ასევე ახ. წ. შემდეგაც?

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული სამედიცინო წერილობითი წყაროები საქმაოდ არის მოღწეული ჩვენამდე, დღემდე მაინც უცნობი იყო რომელიმე საკლდევი რეგიონი, რომელიც აშკარად მიგვანიშნებდა საეკლესიო მედიცინის კერის არსებობაზე.

1945 წელს ქ. გორკის (ნიკინოვგოროდის) სიძველეთა საცავებში მეცნიერული პალეოგრაფიული ძიებისათვის საკუთარი ინიციატივით გაემგზავრა თ. ქყონია. ადგილობრივი კოლეგის პროფ. დ. ბალიკას დახმარებით ქ. გორკის საოლქო ბიბლიოთეკაში მან აღმოაჩინა ვახტანგ VI სურათი, ბაგრატიონების გენეალოგია (საბუთი) და ორიოდ ხელნაწერი, მათ შორის ერთი ტყავგადაკრულ ხის მკვარეზე ჩამოსული — 1368 გვერდიანი უნიკალური კარაბადინი, რომელიც მაშინ საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებას გადმოეგზავნა. ამჟამად ეს უნიკალური ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში¹. იმ დღიდან ქართველი მეცნიერები დაინტერესდნენ ამ ნაწერის შესწავლით.

ავტორად მიიჩნიეს „ბრძენთმთავარი“ და „მკურნალი“ ზაზა ფანასკერტელი, ხოლო კონიექტურით პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის ჩატარების გარეშე მჩხრეკალი გადამწერად მახარებელ „ივანიასძე“ მალაღძე. (ვარაუდით, თორემ სათანადო საბუთი მაშინ არ იყო აღმოჩენილი, ს. ს.).

ჩვენს წინამორბედი მკვლევარებისათვის არ იყო ცნობილი მახარებელ მალაღძის მიერ დაწერილი რაიმე სხვა დამატებითი საბუთი — დედანი, რომ პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის საფუძველზე ყოფილიყო გამოტანილი მეცნიერული დასკვნა ხელნაწერზე მახარებლის თანამონაწილეობის შესახებ. პროფ. კოტე გრიგოლია 1950 წელს ხელნაწერის პუბლიკაციაზე თანდართული აპარატის ტექსტში, მე-12 გვერდზე წერდა: „სამწუხაროდ, მახარებლის მიერ დაწერილ საბუთთა დედნებს ჩვენამდე აღარ მოუღწევია და ამდენად მისი ხელის შედარების საშუალება არა გვაქვს. მაგრამ საფიქრებელია (დაუკვირდეთ პროფ. ქ. გრიგოლიას სავარაუდო გამოთქმას „საფიქრებელიაო“—ო, ს. ს.) წინამდებარე კარაბადინიც კონსტანტინე მეფეთა-მეფის დროს ცნობილი მწიგნობრის მახარებლის ხელითაც იყო დაწერილი“. „დაწერილი“ და არა „გადაწერილი“, ამბობდა ქართული პალეოგრაფიული საზრისის ცნობილი და კომპეტენტური მკვლევარი პროფ. კოტე გრიგოლია. საჭიროა აღინიშნოს, რომ დღემდე არსებული მონაცემების საფუძველზე ამ ხელნაწერის ავტორად ზაზა ფანასკერტელის გამომცხადებისათვის არავითარი საბუთი არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ ხელნაწერი სამედიცინო ხასიათისაა თავიდან ბოლომდე და ზაზა ფანასკერტელს მახარებელი უწოდებს: „ბრძენთმთავარს“ ერთხელ (177 რ გვ.). „მკურნალს“ ორჯერ (339 V გვ. და 391 V გვ.). და „ჩვენს პატრონს“ ორჯერ (339 V და 391 რ გვერდზე).

პროფესორების: ქ. გრიგოლიას, ი. აბულაძის და მ. სააკაშვილის ვარაუდით, რომ მახარებელი თანამონაწილეა კარაბადინის შედგენისა და მისი გვარი მალაღძეა, პალეოგრაფიულად იქნა დადასტურებული, ხოლო მამის სახელი „ივანიასძე“, როგორც უკვე ავღნიშნეთ (იხ. „ახალი მასალები მახარებელი მალაღძის შესახებ“) არ დადასტურდა.

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. ახალი Q კოლექცია, ტომი II, გვ. 281 ხელნაწერი № 877 ფ. 684 (1368 გვერდი) 1958 წ.

16 11 17 14

19763

2

3

1

1

4

7

15

14

13

17

2

10

6

5

9

4

1

12

18

13

17

2

10

6

9

შეკვამი
3KCRFPT

საქართველოს სსრ ცსხ არქივის დედნების ფონდი № 1448, საბუთი № 08, „უანიაშვი-
ლების გუჯარი“, გაცემული მეფეთ-მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის მიერ 1401 წელს, გუ-
ჯრის ტექსტი თავიდან ბოლომდე დაწერილია მახარებელ ოქროპირის ძე მალაღამის მიერ.
დადასტურებულია კარაბაღისის ო ფონდი, № 877-ის 1008 გვერდთან ილენტურობა. საბუთი
მიგნებულია ჩვენს მიერ. ფოტო ქვეყნდება პირველად. შეადარეთ კარაბაღისის 177 რეკტო
გვერდს.

6

18

12

7

13

1891 წელს იქვე გამოვიდა, და
 სკოლის სემინარიის უძველესი წიგნი
 და მასწავლებლის ყრბის წიგნი
 მასწავლებლის უძველესი წიგნი
 სახელად მანქანის მოწყობა
 და მოხატვის წიგნი და სხვა
 და სხვა წიგნები და სხვა
 და სხვა წიგნები და სხვა

მისი
 ЭКСПЕРТ

ფანაშელიძის გუჯარი 1491 წელს გაცემულია მეფეთ-მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის მიერ, იგი კალიგრაფ მახარებელ II მაღალაძის ხელით არის დაწერილი. აქვეა მისი და მეფეთ-მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის ფაქსიმილი.


მთავარი ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ. რადგან ამ უნიკალურ სამედიცინო ხანლაწერზე დადასტურდა ცნობილი ქართლის ფეოდალების მალალაძეების საგვარეულოს XV ს. II ნახევრის მოღვაწის, მახარებელ მალალაძის თანამონაწილეობა და დღევანდელი კასპის რაიონის სოფელ წინარენში დგას XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე აგებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი „მალალაანთ ეკლესია“, ბუნებრივია დაგეგმულა კითხვა, ხომ არ შემორჩა ამ ეკლესიის მიდამოებში რაიმე არგუმენტები, რაც შუა საუკუნეების საეკლესიო მედიცინისათვის იყო დამახასიათებელი?

დაე თითოეული ჩვენგანი დავბრუნებულიყავით ყოველი სპორტული ლაშქრობიდან თუ არქეოლოგიური საექსპედიციო ძიებიდან ისე ხელდამშვენებული, როგორც ჩვენ დავბრუნდით კავთურას ხეობიდან.

მდ. კავთურას ხეობა ჩვენთვის საინტერესო და უნიკალურად მრავლისმომცველი საკვლევი რეგიონი აღმოჩნდა, ხოლო მიკვლევულმა პირველწყაროებმა თვით ძეგლის „მალალაანთ ეკლესიისა და კოშკების“ შესწავლისას აღმოჩენილმა სიახლეებმა ყოველგვარ ვარაუდს და მოლოდინს გადააქარბა. არქიტექტორებისა და ხელოვნებათმცოდნეების მიერ „მალალაანთ ეკლესია“ მიჩნეულია XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე აშენებულ ძეგლად.

1978 წელს გამოცემულა „ხელოვნებაში“ ჩვენ გამოვეცით ბროშურა „ვარძია — წამლის სასახლე“. წინამორბედ მკვლევართა მოსახრება, რომ ვარძიაში წამლის სასახლე-აფთიაქი არსებობდა, ჩვენ წამალთმცოდნე სპეციალისტის პოზიციებიდან დავაპაბუთეთ, გავაძლიერეთ და დეტალურად აღვწერეთ ეს თახჩებიანი ნაგებობა.

სამწუხაროდ, ვარძიაში არსებული თახჩებიანი გამოქვაბული რომ აფთიაქის ფუნქციას ასრულებდა, ამის შესახებ არავითარი წერილობითი საბუთი არ გავაჩნია. მალალაძეების ეკლესიის და კოშკების შემოგარენში, ჩვენ მიერ საზოგადოებრივ საწყისებზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ვარძიაში არსებული თახჩებიანი გამოქვაბულის ანალოგიური ნაგებობის „წამლის სასახლის“ ფუნქციონირებას ადასტურებს, ამ მოსახრებას აღრმავებს პალეოგრაფიული საბუთი, წამლების მომზადების წესების საკრებულო წიგნის — კარაბადინის შედგენაში მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენლის, მახარებელ II მალალაძის თანამონაწილეობის ფაქტი. ხელნაწერის 1368 გვერდიდან, 1008 გვერდი მახარებელ მალალაძის ხელით დაწერილი აღმოჩნდა. ეს საბოლოოდ დადგენილი იქნა, ჩვენ მიერ საქართველოს ცსს არქივში დედნების ფონდი № 1448, საბუთი № 63-ს აღმოჩენით, რაც დასკვნისათვის, პალეოგრაფიულ ექსპერტიზისთვის გადავგზავნეთ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ლაბორატორიაში. ექსპერტიზის ჩატარებით და შესაბამისი წერილობითი დადებითი დასკვნის გამოგზავნით დადასტურებული იქნა „ფანიაშვილების გუჯარის“ დედანთან კარაბადინის 1008 გვერდის იდენტურობა. კერძოდ, ეს საბუთი გახლავთ მეფეთა-მეფის კონსტანტინე II ბაგრატიონის (1479-1505 წ.) მიერ 1491 წელს ქართლის ფეოდალ ფანიაშვილების მისამართით საგელ-გუჯარის გაცემის ფაქტი, რომე-



„დედალეთისას“ ეკლესიაში (მდებარეობდა კავთურას ხეობაში) ესვენა „ძუმუს ხატი“ სერგი მაკალათიას, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. სურათი გადმოხედილია მისივე ნარკვევიდან (იხ. ს. მაკალათია, კავთურას ხეობა).

ლიც თავიდან ბოლომდე მახარებელ ოქროპირისძე მაღალაძის ხელით არის დაწერილი. მახარებელი ოქროპირისძეა და არა „ივანიასძე“, ვინაიდან უმემკ-კვიდრედ გადაშენებული ივანიძეების ადგილ-მამულის ახლად ჩამბარებელი მაღალაძეები XIV-XV საუკუნეში იწოდებოდნენ „ახალ ივანიძეებად“. თანაც თედო ყორღანაის „ქრონიკების“ II ტომის 1472 წლის მაღალაძეების სიგელ-გუჯარში, რომელიც კალიგრაფ ივანე ლიპაძის მიერ არის დაწერილი, პირდაპირ აღნიშნულია ასეთი ფრაზა: „თქვენ მცხეთისავე ყმათა, მაღალაშვილსა ოქროპირსა და თქვენთა შვილთა: მღვდელსა მახარებელსა, ზოსიმესა, ალექსანდრესა, გერმანოზსა, დავითსა, გრიგოლსა და ეგნატისა“. (იხ. თ. ყორღანაის „ქრონიკების“ II ტომი, გვ. 290). ამიტომ მახარებელი ოქროპირისძეა, და არა „ივანიასძე“, თანაც არა მარტო ვადამწერია ამ კარბადინისა, არამედ პალეოგრაფიულად დედნების ფონდთან შედარებითი ანალიზით, დადასტურებული თანაავტორია „პატრონი ზაზა ფანასკერტელისა“. იხილეთ ამ საკითხზე

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დასკვნა და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მიერ გამოგზავნილი პასუხი, სადაც შემდეგ ვკითხულობთ: „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, 10. 09. 84 წ. № 185/პ.

ც ნ ბ ა

1984 წლის 20 აგვისტოს, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციიდან, მთავარი რედაქტორის ო. კაციაძის № 109/51 მომართვით, საქართველოს სსრ ცენტრალურ — რესპუბლიკურ სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში, გამოსაკვლევად მიღებულია: ქართული სამედიცინო კარაბადინის 177-ე რექტო გვერდი და „ფანიაშვილების გუჯარი“.

გამოკვლევით უნდა დადგინდეს:

ქართული სამედიცინო კარაბადინის 177-ე რექტო გვერდზე არსებული ხელნაწერი და „ფანიაშვილების გუჯარი“-ს ხელნაწერი ტექსტი შესრულებულია თუ არა ერთი და იგივე პირის მიერ?

გამოკვლევაზე წარმოდგენილი ქართული სამედიცინო კარაბადინის 177-ე რექტო გვერდის ხელნაწერი (ფოტოპირი), რომელიც იწყება სიტყვებით: „სახელითა ღეთისათა დაიწყოთ ყოველთა...“ და მთავრდება სიტყვებით: „...მადლი დაფარვა შენმიერი“ — შესრულებულია საშუალო ტემპში, მოძრაობის ძირითადი ფორმა — რკალისებური და კუთხისებურია, დაუხრელი და ზოგერთი ასოს ელემენტები მარცხნივ დახრილი, გადაბმის დონე საშუალო.

ამ ხელნაწერის გამოკვლევითა და შედარებით: „ფანიაშვილების გუჯარი“-ს ხელნაწერ ტექსტთან, დადგენილი იქნა თანადადამთხვევა: შესრულების ტემპში, მოძრაობის ძირითად ფორმაში, დახრაში, გადაბმის დონეში და ხელის შემდეგი ვარიანტის კერძო ნიშნებში:

— აგებულება ასოების შესრულებისას (სირთულის ხარისხის მიხედვით) „ო“ გამარტივებულია, (მის წინამდებარე ასოებთან გადაბმისას) დაკარგულია პირველი და მეორე ელემენტების შემაერთებელი შტრიხი.

„შ“ — გამარტივებულია, დაკარგულია პირველი ელემენტის საწყისი ნაწილი.

— მოძრაობის ფორმა ხაზზე მდებარე შესრულებისას ასო „ა“-ში, კუთხისეულია (მომდევნო ასოებთან გადაბმისას). ასო — „წ“ სამკუთხა ფორმისაა.

— მოძრაობის ფორმა ასოს ელემენტების და ასოების გადაბმისას:

„რ“ ვარიაციული, მარყუჟით და კუთხით, „ვ“ — კუთხით, „ლ“ რკალით, „ტ“-ანი ორმაგი მარყუჟით. ასოების: „ესი“, „ერი“, „ენი“ „ვანი“, „ფანი“ „ყალი“, „ები“.

— მოძრაობის სახე ასოების გადაბმისას: „ებ“ — შერწყმული (ასო „ე“-ს სტრიქონის ხაზის ქვევითი ელემენტი განლაგებულია ასო „ბ“-ს წრე-ხაზისებური ელემენტის ზევით, პირობითად შუა ნაწილში).

— ასობის გადაბმის წერტილის განლაგება: „ვი“, ასო „ე“-ს მეორე ელემენტის დამამთავრებელ ნაწილთან არის განლაგებული ასო: „ი“, „ელ“ — სტრიქონის ხაზის ზევით მდებარე ელემენტთან.

— მოძრაობის ფორმა და გადაბმის წერტილის განლაგება ასობში:

„ნი“ — ორმაგი მარყუჟით, ასო „ენ“-ს დამამთავრებელი ელემენტის ნაწილთან. და კიდევ მთელ რიგ ხელის კერძო ნიშნებში.

ზემოთ ჩამოთვლილი თანადამთხვევები ხელის ნიშნების მიხედვით, ადგილი ერთობლივად, საკმარისია კატეგორიული დასკვნისათვის იმის შესახებ, რომ გამოკვლევაზე წარმოდგენილი ქართული სამედიცინო კარაბადინის 177-ე რექტო გვერდის ხელნაწერი ტექსტი და საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივში დედნების ფონდიდან (№ 1448) № 88-ე საბუთი მეფეთა მეფის კონსტანტინე II ბაგრატიონის (1479—1505 წ.წ.) მიერ 1491 წელს გაცემული „ფანიაშვილების გუჯარის“-ს ხელნაწერი ტექსტი (ფოტობირი) შესრულებულია ერთი და იგივე პირის მიერ.

საქართველოს ცრსესკლ-ის ხელნაწერის გამოკვლევის განყოფილების

უფროსი სპეციალისტი: ხელმოწერილია (ანდრიაშვილი), დადასტურებულია ბლანკზე მრგვალი ბეჭდის დასმით.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია 10.09.84 წ. № 185/პ.

ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მთავარ რედაქტორს აშხ. ო. კაციტაძეს გადაეგზავნა შემდეგი შინაარსის დასკვნა:

„გეგზავნებათ თქვენს მიერ გადმოგზავნილი მასალა: ქართული კარაბადინის 177-ე რექტო გვერდი, 219-ვერსო გვერდი და საბუთი № 63-ის ფოტო ბირები. სპეციალისტის ცნობა ერთ ფურცელზე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ცრსესკლ-ს უფროსი ლირიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი: თ. ანდრიაშვილი

ხელმოწერილია მრგვალი ბეჭდის დასმით (ო. ჟღენტ)

ხოლო თავის მხრივ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციამ № 09/296 ჩვენ ასეთი პასუხი გამოგვიგზავნა „ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის საფთაქო ქსელის რ/ც № 27-ე აფთაქის გამგეს, პროვიზორ ს. სალუქვაძეს. ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია გაცნობებთ, რომ თქვენი წერილი საექსპერტიზო დასკვნისათვის გადაეგზავნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას.

გიგზავნით საექსპერტიზო დასკვნას, რომელიც შესრულებულია თ. ანდრიაშვილის მიერ.

ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ხელმოწერილია (ო. კაციტაძე).

ეს დასკვნა თავის მხრივ, იმიტომ არის საინტერესო, რომ ფანიაშვილების გუჯართან კარაბადინის არა მარტო ერთი და ორი გვერდის მსგავსებაა დადგენილი, არამედ პალეოგრაფისტების მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე კარაბადინის 1368 გვერდიდან 1008 გვერდი ერთი კალიგრაფის მიერ არის დაწერილი, ხოლო 360 გვერდი სხვა კალიგრაფის ხელით (თანაც პალეოგრაფიული შედარებისას თანდამთხვევა მოხდა დედნების ფონდ № 1448-ის № 63-ე საბუთთან და არა ასლების ფონდ № 1449-ის რომელიმე საბუთთან?! ექსპერტიზის საფუძველზე რაც „ფანიაშვილის გუჯარს“ ტექსტს ეყრდნობა, დადგენილია, რომ 1008 გვერდი მხარებელ ოქროპირისძე მაღალაძის ხელით არის დაწერილი. სავარაუდოა, რომ 360 გვერდი ზაზა ფანასკერტელის ხელით არის დაწერილი. მაგრამ სხვა დედანი ზაზას ხელით დაწერილი ჩვენ არ გაგვიჩნია, რომ ეს პრობლემა გადაწყვეტილად ჩაითვალოს. ამიტომ ისიც სავარაუდოა, რომელიმე სხვა კალიგრაფი ხომ არ ესმარებოდა მხარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძე. ზაზას დაკვეთის შესრულებაში?

შუა საუკუნეებში, როცა მაკიავრის ტიპის დანადგარები არ ჰქონდათ თერმოლაბილური საფთვიაქო კომპონენტების შესანახად, კლდეში გამოკვეთილ თაროებში, გრილ ადგილებში ინახავდნენ მედსაქონელს, რთული წამლის ფორმების მომზადებისათვის საჭირო ინგრედიენტებს. ამ ევრსიას აძლიერებს წერილობითი საბუთი, მხარებლის თანამონაწილეობის ფაქტი, კარაბადინის შედგენაში. მაგრამ მაღალაძეების კოშკების შემოგარენში, რომ შუა საუკუნეების მედიცინის კერა მოქმედებდა სხვა არგუმენტებიც გვიდასტურებენ. კერძოდ აკადემიკოს ი. დოლიძის რედაქციით 1970 წელს გამოქვეყნებულ „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომის 213 გვერდზე 1470 წლის დათარიღებით გამოქვეყნებულია „წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მხარებელ მაღალაძისადმი“. ტექსტში ვკითხულობთ: „ესე სოფელი მსწრაფლ წარმავალ და უხანო არს... და მოგეცით კეთის ხეცს სასახლე ეკლესიით და მისითა მოწყობილობითა... ქალითა ქვათახევს სასაფლაო მისითა ბოსტნითა და წალკოტითა, სენაკითა“. წალკოტის ნაშთების აღმოჩენისათვის 1979 წელს კავთურას ხეობაში გაზაფხულზე და შემოდგომაზე მოვაწყვეთ ფარმაკობოტანიკური ექსპედიცია, რომელსაც თსუ-ს ბიოლოგიის კათედრის გამგე დოც. ზურაბ შენგელია მეთაურობდა. აღმოჩენილ იქნა სუბალპური და ალპური ზონისათვის დამახასიათებელი 80-მდე ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარე და სარწყავი სისტემის ნაშთები. კავთურას ხეობაში იყო და არის შესაძლებლობა სუბალპური და ალპური ზონისათვის დამახასიათებელი მცენარეების მოშენებისათვის. ეს მოსაზრება დადასტურდა ნიადაგმცოდნეობის თვალსაზრისითაც და რაც მთავარია „წალკოტის ნომენკლატურა“ მოცემულია ბატონიშვილ ვახუშტის „ქართლის ცხოვრების“ IV ტომის მე-40-ე გვერდზე „ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი“. წალკოტში ბაზჩა-ბოსტნეულის გარდა ტრადიციულად აშენებდნენ სამკურნალო მცენარეებს — ზეთის ხილს, ბრო-

წეულს. უნაბს, კომშს, კამას, ცერეცოს, ნიახურს, პიტნას, კოწახურს, მოცეს, აყიროს, ვარდს, შროშანას... „ვიდრე ას ფერამდე, ას გუართამდე“...

გარდა სამკურნალო მცენარეების მოშენებისა კავთურას ხეობაში ყოფილა გაუვალი ტყე, რომელიც გარს ერტყა ტბა „თვალადს“. ტბა თბილისის საგვამო ყოფილა სამედიცინო წურბლებით, რაც მნიშვნელოვანი არგუმენტია. ეს მაშინ როცა გულსინახობის დაავადებას, მალალ წნევას, სისხლის გამოშვებით, „ხელის გახსნით“ და სამედიცინო წურბლებით მკურნალობდნენ. არქეოლოგიური გათხრების წარმოებისას აფთიაქის თახჩებიდან მიწის გადმოყრისას აღმოჩენილი იქნა მეტალის ბორწყალი. თავისებური პინცეტი და ბრინჯაოს ნიჟარები, რომლებიც მედტექნიკის თანამედროვე პრაგმატული ფუნქციონის მინიჭების თვალსაზრისით მთლიანად გარკვეული არ არის, მაგრამ სავარაუდოა, რომ ბრინჯაოს ნიჟარებს კერამიკის ყალიბად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები. ეკლესიის შემოგარენში დღემდეა შემორჩენილი ფალოსის კულტი, რაც უშვილო ქალების მკურნალობასა და შვლოცვებზე მიგვანიშნებს. და ისევ არაერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც სიმბოლიკის ტრადიციების და სავარაუდო პერალდიკის თვალსაზრისით არის საინტერესო. მახარებლის კოშკში აღმოჩნდა უნიკალური ფრესკა, რომელიც საინტერესოა მედიცინის და წამალმეცოდნეობის თვალსაზრისით. ფრესკების გადაღებაში დაგვეხმარა ცნობილი მედიკოსი იგორ ივლინოვი, რომელიც ფრესკების გადაღებისას იყენებს: ულტრაიისფერ, ინფრაწითელ და რენტგენოსკოპულ სხივებს.

ასეთი სხივებით კედლის განათებისას აღმოჩნდა წმინდანი-ბერი, მის მარჯვნივ დაკანკალი კედლის გამოსახულება, წმინდა ბერის ირგვლივ კი 7 ცხვარი. წმინდანის ფეხთან ახლოს ერთ-ერთი, მამაბარამის ბატყანი უნდა იყოს, ქერში გამოსახულია „ყოვლად წმინდა იესო ქრისტე“, შესაბამისი ბერძნული წარწერებით. ასეთი შეწირვის ფრესკა (სცენა) ჭერჭვრობით ერთადერთია საქართველოს „საეკლესიო მედიცინის“ ისტორიაში.

სოლომონ მალალაძის კოშკზე აღმოჩნდა ირმის გამოსახულებიანი ჩუქურთმა შინდისფერ ქვაში, რაც სამედიცინო ტრადიციების მიხედვით თავისებური ამულეტი იყო. რომელიც წარმართული დროიდან ქრისტიანული წელთაღრიცხვის შემდეგაც იქნა შენარჩუნებული, რასაც ენდროკრინოლოგიურ, რეალურ სამკურნალწამლო ნედლეულის მინიშნების სათავეებთან მივყავართ. მიგნებულ იქნა აგრეთვე მალალაძეების: ოქრობირის და მისი 7 ვაჟიშვილის XV საუკუნის ძლიერ დაზიანებული ფრესკები. ფრესკებიდან მხოლოდ ხუთი ძმის გამოსახულებაა შემორჩენილი. მახარებლის კოშკის დასავლეთ მხარეს, აღმოვაჩინეთ ცნობილი ფრესკა: აზნაური „პაპუა მალალაძის დედანი“, კერძოდ 1679 წელს კედელზე მხატვარ აპოსტელოს მიერ მოხატული პაპუა მალალაძის ოჯახის წევრები, რომლებიც 1847 წელს გადმოხატა გ. გაგარინმა და პარიზში ფერადი რეპროდუქციის სახით გამოსცა. მდ. კარტურას ხეობაში, რომ საეკლესიო მედიცინის კერა არსებობდა, დადასტურებულია სხვა დამატებითი უტყუარი არგუმენტებით. 1829 წლის აღწერილობაში, რომელიც კვითხულობთ: „ზემო

წინარებს საკუთარი ჩვენი ნასახლარი და ნაბაღვარი თავისი შემოზღუდულებითა და შთენილი წინაპართა ჩვენგან, რომელიც აწ გატყვევებულ არს¹! (ნაბაღვარი — ბალ-ვენახებს, ბალჩა-ბოსტნეულს, წალკოტს და ამგვარ ადგილმდებარეობას უნდა მიგვეანიშნებდეს, ს. ს.), ხოლო კავთურას ხეობაში რომ წალკოტი იყო გაშენებული ეს ჩვენ საკამათოდ აღარ მიგვეჩინია. გარდა აქ შოყვანილი ციტატისა, მდინარე კავთურას ხეობაში საეკლესიო მედიცინის კერა რომ არსებობდა, იმითაც დასტურდება, რომ სოფ. წინარეხში ყოფილა ე. წ. „მუნის სამკურნალო ეკლესია“, რომლის მხოლოდ ნანგრევებილა შენოგვჩა ხალხური — ეთნოგრაფიული თქმულებების თანახმად „მუნის სამკურნალო საყდარში“ მოდიოდნენ მუნით შეპყრობილი — მუნით დასნებოვნებული ადამიანები, მოჰყავდათ წითელი მამლები და ხატს განკურნებას შესთხოვდნენ. იქვე მუჭით მიწას იღებდნენ თურმე, ტანზე ისვამდნენ. რომ განკურნებულეყვენ მუნის დაავადებისაგან. სავარაუდოა, რომ ამ მიდამოებში, რაღაც სამკურნალო გოგირდის შემცველი ტალახის საბადო არის, რომელსაც შედეგი ჰქონდა მუნით დაავადებულთა მკურნალობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით „მუნის საყდარი“ მშენებლობაც კი უაზრობა იქნებოდა. გოგირდის შემცველი სამკურნალო ტალახის საბადოს დადგენა ამ ტერიტორიულ რეგიონში და თვით „მუნის ეკლესიის“ შემოგარენში მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

კავთურას ხეობაში, რომ „მუნის სამკურნალო საყდარი“ მოქმედებდა, ამის შესახებ მასალები გამოქვეყნებული აქვს სერგი მაკალათიას ნარკვევებში „კავთურას ხეობა“¹.

სერგი მაკალათიას ამავე ნარკვევის 28-29 გვერდებზე გამოქვეყნებულია უფრო დიდი მნიშვნელობის ცნობა, რომლისთვისაც დღემდე საქართველოს მედიცინის ისტორიის მკვლევარებს არ მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება. მაღალანთ ეკლესია-კოშკებიდან ქვათახევისაკენ მიმავალ გზაზე მარჯვნივ, „დაახლოებით სამი კილომეტრის დაშორებით მაღალანთ ეკლესიიდან, ერთ გორაკზე მოთავსებულია ძველი ეკლესია ე. წ. „ღვთის ღვთისა“. ეკლესია პატარაა, კლდის ქვით ნაგები, ნახევრად დაშლილი, იგი დაფარულია ტყით. აქ ესევნა „ძუძუს ხატი“, რომელიც წარმოადგენს ქვისაგან ლამაზად გამოქანდაკებულ ქალის ძუძუს, ეს ქვა ჯიდაც ბერს აქედან გადაუტანია ქვათახევის მონასტერში და დღესაც იქ ინახება“ — წერს ავტორი. ამ „ძუძუს ხატის“ სიმაღლე 22 სმ-ია, ვანი 25 სმ-ია. „ძუძუს ხატი“ ამჟამად თითქოს კასპის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება (იხ. შესაბამისი ფოტო) „ძუძუს ხატის“ არსებობა დედა ღვთისას ეკლესიაში ჯერ კიდევ წარმართული ეპოქის ტრადიციების ქრონოლოგიურ გაგრძელებლად უნდა მივიჩნიოთ ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ კავთურას ხეობის ტერიტორიულ რეგიონში საეკლესიო მედიცინის კერის არსებობის უტყუარ საბუთად. ამავე დროს დედათა და ბავშვთა დაცვის და პედიატრიის განვითარების მნიშვნე-

¹ სერგი მაკალათია, „კავთურას ხეობა“, გამოცემლობა „ნაკაულა“, თბილისი, 1960 წ., გვ. 19-20.

ლოვან ეტაპად ჯერ კიდევ რელიგიის ბატონობის ხანაში — გვიანი შუა საუკუნეების საეკლესიო მედიცინის ბატონობის პერიოდში.

„მლოცველი მოდიოდა „დედა ღვთისაში“ და შესთხოვდა მას რძეს, თუ ძუძუში რძე არ ჰქონდა, ან გაუშრებოდა იგი, მიდიოდა „დედა ღვთისასთან“ აუნთებდა სანთელს, მიუტანდა შესაწირავს და მას შესთხოვდა რძის მოცემას“ — ეს მომენტი გვიანი შუა საუკუნეების მედიცინის ცრუმორწმუნეობის შთამბეჭდავი შტრიხია. თუ დღეს ფუტკრის რძეს, ვიტამინებს და სხვა ბიოგენურ სტიმულატორებს ვიყენებთ დედის რძის მომატებისათვის, ეკლესია მხოლოდ ჰუმორალურ, ზებუნებრივ ფაქტორს მიმართავდა, რაც ყველა შემთხვევაში სასურველი შედეგით, რა თქმა უნდა, არ მთავრდებოდა.

კავთურას ხეობაში სოფ. წინარესში „დედა ღვთისას“ საყდარში მოდიოდნენ აგრეთვე იმ შემთხვევაში „თუ ძროხას რძე გაუშრებოდა, სთხოვდნენ რძის მოცემას. ამისათვის სრულდებოდა შესაბამისი რელიგიური რიტუალი. მლოცველი ამ ძუძუს ქვას გაბანდა, ნაბან წყალს უხმარ ქურკელში ჩაქსამდა და რძეგამშრალს შეასმევდა“. რა თქმა უნდა, ქვაში გამოთლილ დედის ძუძუს გამოსახულება და მისი ჩამონაბანი წყალი, რანაირ უხმარ ქურკელში ჩასხმული არ ყოფილიყო იგი ვერაუთარ რეალურ ბიოგენურ ცალილებებს ვერ შეიტანდა ძუძუგამშრალი დედის ორგანიზმში — მაგრამ ეს მკვლევართა და მკვლევართა მედიცინის ცრუმშენის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც წარმართული ეპოქიდან მომდინარეობდა. ყოველივე აქ მოთხრობილი საინტერესოა ძველი მამაპაპური, რელიგიური ცრუმორწმუნეობის რიტუალების შესწავლის თვალსაზრისით, თორემ თანამედროვე გათვითცნობიერებული მეცნიერული მედიცინა კრიტიკული ვადასინჯვის შემდეგ იღებს მხოლოდ რაციონალურ მარცვალს რელიგიის ბატონობის ეპოქაში არსებული მედიცინისაგან, ათავისუფლებს მას იდეალისტური ჩენჩოსაგან და იყენებს მხოლოდ ბიოლოგიურად აქტიურ, პრეპარატად ქცეულ ფარმაცოლოგიურად სრულფასოვან საშუალებას, როგორც კაცობრიობის წარსულის გაზოცდილებას.

პროვინორცს კომენტარით, ანუ წამალმცოდნეობის თვალსაზრისით ეს 1368 გვერდიანი სამედიცინო ხელნაწერი ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებს შორის უნიკალური განძია. მასში მოცემულია „თავის თმითგან ვიდრე ფერკისა ფრჩხილთაჲი კაცთა ყველა ჰირის სამკურნალო“ რეკომენდაციები. აშკარაა, რომ ზაზა ფანასკერტელი გაცილებით პრივილეგირებული ფეოდალია, ვიდრე მახარებელ მალაქე. ამიტომ თუ არა ზაზა ფანასკერტელი, თანამედროვე შთამომავლობას ხელთ არ ექნებოდა 500 წლის წინად დაწერილი ეს უნიკალური კარაბადინი. ზაზა ფანასკერტელის პირადი ფაქსიმილე საერთოდ, და მით უმეტეს ამ წიგნზე არ იქნა აღმოჩენილი. თუნდაც იმიტომ, რომ ეს ხელნაწერი თავფურცლის გარეშეა ჩვენამდე მოღწეული. „ფანაშვილების გუჯარის“ და „კარაბადინის“ 1008 გვერდის იდენტურობა პალეოგრაფიულად იქნა დადასტურებული. მასასადამე, მახარებელი ზაზას თანაშემწეა, მისი სკოლის წარმომადგენელია, თანაავტორია და „პატ-

რონის“ მითითებათა შემსრულებელი „მჩხრეკალი“ და „მშრომელია“ ამ კარაბადინისა, ამიტომ ეს უნიკალური ხელნაწერი ქართული მედიცინის და წამალთმცოდნეობის ისტორიაში უნდა შევიდეს, როგორც მახარებელ მაღალადის და ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი“ სემისტურად და „ფარმაკოპეა“ ბერძნული და ლათინური სინონიმით ვინაიდან კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხი ჯერ კიდევ 1800 წელს ქ. პალეში გააკვირა კურტ შპრინგელმა, ხოლო არაბულ-ირანულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონებით, კარაბადინები — გაიგივებულია ფარმაკოპეისთან. საკითხის დაზუსტების მიზნით ჩვენ 1983 წლის 23 ივლისს წერილთა მიმართეთ ქ. თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის შოადგილეს სამეცნიერო ნაწილში ამხ. ოთარ გიგინეიშვილს. მიმართვაში ჩვენ ვწერდით: „მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნებისათვის, ცნობილმა მეცნიერმა, კურტ შპრინგელმა ჯერ კიდევ 1800 წელს ქ. პალეში გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში არგუმენტირებულად დაასაბუთა კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხი, ზოგიერთ ქართველ მედიცინის ისტორიის მკვლევარს ეს აქსიომა კვლავ საორჟოფოდ და საკამათოდ მიაჩნია. ჩვენი აზრით, საჭიროა კომპეტენტური სპეციალისტების, სემიტოლოგების და ირანისტ-ლინგვისტების მეცნიერული დასკვნა საქართველოში ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში სტატია „კარაბადინი“ ისეა დაწერილი, რომ მხედველობის არედან გამორჩენილია ფარმაკოპეისა და კარაბადინის იდენტურობის საკითხი. საქმე შემდეგშია: ლათინურად ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში წამლების მოსამზადებელი წესების საკრებულო წიგნს ეწოდებოდა „ფარმაკოპეა“ („ფარმაკონ“ წამალი, „პოია“ ვაკეთებ) როცა რომის იმპერია დაემხო და მის შემდეგ სემიტები აღორძინდნენ, დაპყრობილ და ვასალურ ქვეყნებში ადმინისტრაციულ და სახელმწიფო ენად არაბული ენა ითვლებოდა. როგორც ცნობილია, საქართველოში არაბები 400 წ. ბატონობდნენ, რამაც გამოიწვია ქართული გამოთქმის „სამკურნალო წიგნის“ არაბული „კარაბადინით“ შეცვლა. ეს ალბათ თავის დროზე გარკვეულ ცივილიზაციადაც ითვლებოდა. ამ საკითხის გარკვევისათვის ჩვენ გავეცანით ი. დ. იაგელოს „სპარსულ-არაბულ-რუსული“ ლექსიკონის 1174 გვერდზე გამოქვეყნებულ განმარტებას, ასევე ი. ა. რუბინჩიკის სპარსულ-რუსული ლექსიკონის 261 გვ. კარაბადინი — ფარმაკოპეა არისო. და ხ. კ. ბარანოვის „არაბულ — რუსულ“ ლექსიკონებშიაც ვნახეთ განმარტება: არაბული „კარაბადინისა“ და ლათინური „ფარმაკოპეის“ იდენტურობია შესახებ. ასევე კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხს შეეხო თავის მონოგრაფიაში „წამალთმცოდნეოლოგია“ ცნობილი რუსი მეცნიერი პროფ. ი. ა. მურავიოვი: „როგორც ჩანს, წერს ავტორი, პირველ ფარმაკოპეად, ანუ უფრო სწორად, პირველ ოფიციალურ დოკუმენტად უნდა მივიჩნიოთ 502 წელს ჩინეთში დაწერილი წიგნი ტაო ხუნ ცაზინის „მინ-ი-ბე-ლუ“.

ასეთივე საკანონმდებლო დოკუმენტი იყო სპარსეთში 840 წელს არაბი ექიმის საბორ-იბნ-საპელის მიერ დაწერილი „კარაბადინი“¹. წინამდებარე ჩვენი განცხადების მიზანია ერთხელ კიდევ ქართულმა სემიტოლოგებმა, ინსტიტუტის ლინგვისტებმა გულდასმით გადახედონ ზემოთ ჩამოთვლილ ლექსიკონებს, სხვა ლექსიკონები და წყაროებიც არსებობს ალბათ ამ საკითხის იდენტურობის საბოლოოდ გარკვევისათვის, გთხოვთ მოგვეცეთ შესაბამისი მეცნიერული ლინგვისტური, ობიექტური წერილობითი დასკვნა, რომელსაც ჩვენ გამოვამყვანებთ მონოგრაფიაში, რომელიც ახლო მომავალში დაისტამბება. ჩვენი აზრით ისლამური ენციკლოპედიის მასალების შინაარსიც იქნება გასათვალისწინებელი თქვენი დასკვნის დაწერისას“. ამ წერილის პასუხად აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტიდან მივიღეთ სემიტოლოგის, კომპეტენტური სპეციალისტის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. წაქაძის შემდეგი შინაარსის დასკვნა: „სიტყვა „კარაბადინის“ ეტიმოლოგია მოცემულია ისლამის ენციკლოპედიაში. იქვე დაწვრილებით არის გადმოცემული ტერმინის ხმარების ისტორია.

ქართულში ეს სიტყვა არაბულიდან შემოსულად ითვლება, თანახმად არაბული ლექსიკონებისა, „კარაბადინი“ იგივეა რაც „ფარმაკოპეა“.

ამის შემდეგ ჩვენ უფლებამოსილი ვართ, შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: კავთურას ხეობაში მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში, ვარძიაში არსებული წამლის სასახლის ანალოგიურა თხჩებიანი ნაგებობის — აფთიაქის აღმოჩენა, ისტორიულ ჩანაწერებში — სიგელგუჯარში სიტყვა „წალკოტის“ ხსენება და ფარმაკოტანიკური ექსპედიციის მოწყობის შემდეგ წალკოტის ნაშთების აღმოჩენა, ტბა „თვალადში“ სამედიცინო წურბლების მოშენების ფაქტი, ფალოსის კულტის ეკლესიაში დღემდე შემორჩენის ფაქტი, რაც შელოცვებთან და უშვილო ქალების მკურნლობასთან ყოფილა დაკავშირებული, ასევე ირმის და ცხვრის სიმბოლიკისათვის დამახასიათებელი ფრესკის და ჩუქურთმის აღმოჩენის ფაქტი. აქვე ყოფილა „მუნის სამკურნალო ეკლესია“, დღემდეა შემორჩენილი „დედა ღვთისას“ ეკლესიის ნაშთები, რომელშიც „ძუძუს ხატი“ ესვენა.

კავთურას ხეობაში ყოფილა ბაგრატიონების რეზიდენცია საზაფხულო აგარაკებით, ხოლო ქვათახევის ეკლესიის შემოგარენში ახლაც არის დასასვენებელი სახლების ნანგრევები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს მიდამო-ადგილები საკურორტო ზონა იყო. და ბოლოს, მაღალაძეების საგვარეულოს XV ს. II ნახევრის მოღვაწის მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძის თანამონაწილეობა ზაზა ფანასკერტლის მითითებათა საფუძველზე წამლების მომზადების წესების საკრებულო წიგნის, კარაბადინის იგივე ფარმაკოპეის შედგენაში და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტები გვაფიქრებინებს, რომ კავთურას ხეობაში შუა საუკუნეების საეკლესიო მედიცინის კერა მოქმედებდა XV სა-

¹ პროფ. ი. ა. მერავიოვი, „წამალტექნოლოგია“, გამომცემლობა „მედიცინა“, მოსკოვი 1971 წ. გვ. 26. (რუსულ ენაზე).

უკუნეში მაღალაძეების თაოსნობით და შესაძლებელია ეს ტრადიცია მათ ივანიძეებიდან გაღმოეცათ, ვინაიდან ვარძიაში და მის მიდამოებში ფიგურირებენ XII—XIII საუკუნეებში ივანიძეები; და რადგან ვარძიის და მაღალაძეების თახჩებიანი ნაგებობა წამლის სასახლე (აფთიაქი) ანალოგიურია, იქნებ ქართლის და სამცხის ივანიძეებსაც ნათესაური კავშირი ჰქონდათ და ეს ტრადიცია მაღალაძეებს ივანიძეებისაგან XIV საუკუნის ბოლოს გაღმოეცათ?

ეკლესია და მედიცინა

კავთურას ხეობაში და ქართლის სხვა საინტერესო რეგიონებში საკულტო დაწესებულებებთან რომ საეკლესიო მედიცინის კერა მოქმედებდა, ამის დასადასტურებლად სხვა ფაქტებთან ერთად საჭიროა გავეცნოთ სერგი მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევს — „თემის ხეობა“.¹ ამ ნარკვევში ავტორი ეხება „საეკლესიო მედიცინის“ ზოგიერთ რიტუალს, რომელიც ამ გამოკვლეულ რეგიონში ყოფილა გავრცელებული. კერძოდ თემის ხეობაში მდებარეობს ერთაწმინდის ეკლესია, რომლის კედელში გამოჭრილი ყოფილა ხვრელი, სადაც გაღმოკიდებული ყოფილა ჭაჭვი „დღიანური“. „აქ თურმე მოჰყავთ სულით ავადმყოფები, რომლებსაც ღამეს უთევდნენ. ავადმყოფს ჭაჭვით შეკრავდნენ, სკამზე დასვამდნენ და ჭაჭვის „ორივე ბოლოს კედელში გაუყრიდნენ. (ან კიდევ სულით ავადმყოფი ეკლესიას ჭაჭვით სამჯერ შემოუვლიდა) მეორე ღღეს ავადმყოფს აუშვებდნენ, იგი ადგებოდა და თავისუფლად გაივლიდა“. ან კიდევ სხვა ფაქტი. „თემის ხეობაში მდინარე თემის ნაპირას ღვას „მეხის ეკლესია“. აქ სალოცავად მოდიოდნენ მეხისაგან დაზარალებულნი. ზოგჯერ მოჰყავდათ მეხდაცემულებიც. ავადმყოფს სამჯერ შემოატარებდნენ ეკლესიის გარშემო და შესთხოვდნენ განკურნებასო“, ხოლო „რკონში“ მოჰყავდათ სულით ავადმყოფები და ბნედიანები, რომლებსაც ალოცვინებდნენ საორბისის წმინდა გიორგის ხატზე... იმ შემთხვევაში, თუ ბნედიანსა და სულით ავადმყოფს საორბისის წმინდა გიორგის შელოცვა არ უშველიდა, მაშინ ავადმყოფი ფიცხიდან მოჰყავდათ „თავგერში“. ხალხური ცრუმორწმუნეობით გერი, ანუ თავგერი, ითვლებოდა სულით ავადმყოფის, ბნედიანებისა, მუნჯებისა და დახუთულების მკურნალ ღვთაებად. მათი რწმენით ამგვარი ავადმყოფები გერის ხატის დამიზნეებით ეშმაკებისაგან იყენენ შეპყრობილი. ამიტომ ისინი სალოცავად გერში მიჰყავდათ... სულით ავადმყოფს გერში კლდეში თავდღმა დაკიდებდნენ თურჱი, მას მუხლებზე მნათე ხელს მოჰკიდებდა და ეტყოდა: „თქვი შენი ეშმაკის ცოლის სახელიო“. ეშმაკის შიშით ავადმყოფი ღუმდა თურმე და არ უპასუხებდა. მაშინ ხანჯლებითა და თოფის სროლით ანიშნებდნენ, რომ ეთქვა მისი ეშმაკის ცოლის სახელი. ეშმაკები ამ ღროს ავადმყოფებს თითქოს ჩასჩურჩულებდნენ: არ გატყდე, სახელი არ თქვა, ნუ შეგეშინდება ჩამოვარდნისა,

¹ იხ. ს. მაკალათია, „თემის ხეობა“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959 წ.


ჩვენ აქა ვართ და გიშველითო. ბოლოს ავადმყოფს მაგრად სცემდნენ და ატირებული დაიძახებდაო: სალუმხან, კატუმხან, ქეთუმხან, ტარუმხან და სხვა. მნათე ავადმყოფს მაინც არ ეშვებოდა და ეტყოდა: „თქვი ქალკუდიანის ქმრის სახელიო“. სულით ავადმყოფი დაიძახებდა: ილისხან, ზელიმხან, გელი- ხან და სხვა. შემდეგ ავადმყოფს კლდიდან ამოიყვანდნენ, თოქს შეხსნიდნენ და თანისუფლად გაიგლიდა, ავადმყოფი რჩებოდა და შინ ბრუნდებოდაო“. ყოფილა „რკონის“ ეკლესიაში სხვა ცრურწმენის რიტუალიც: „რკონში მო- ყავდათ სულით ავადმყოფებიც, რომელთა განკურნებას შეავადრებდნენ რკო- ხის ღვთის მშობელს“-ო. სრულიად მარტივად შეიძლება განვსაზღვროთ, რომ ამ ცრურწმენის რიტუალის შესრულების შედეგად სულით ავადმყოფი არ განიკურნებოდა, ამ ფაქტის მოშველიებით მტკიცდება, რომ ძველად „საეკლე- სიო მედიცინისათვის“ დამახასიათებელი კონსტიტუციური სტატუსი — „სენ- თა კურნება“, „ჯვარისმტვირთველთა“ კომპეტენციაში შედიოდა. აქ მოყვანი- ლი ცრურწმენის რიტუალები აშკარად გვიდასტურებს აგრეთვე ქსენონების და სამკურნალო დაწესებულებების არსებობას რელიგიურ საკულტო ცენტრებთან და ამ მხრივ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროები არა მარტო თქმის და კავთურას ხეობაში შეიძლება შეგროვდეს, არამედ ნებისმიერ საკულტო დაწესებულებებთან, როგორც ქართლში, ასევე ფეოდალური საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. ამიტომ „სენთა კურნების“ ისტორიულ ეთნოგრაფი- ული მასალები, რელიგიურ-საკულტო დაწესებულებებთან უნდა ვეძიოთ, ხო- ლო წერილობითი წყაროების — კარაბადინების შედგენის ფაქტი, ღვთისსა- ხურ ჯვარისმტვირთველთა, კალიგრაფთა და მღვდელმთავართა საქმიან- ხობაში, რომელიც კრითიკულად უნდა განვიხილოთ, ვინაიდან ყველა ეს ცრურწმენის რიტუალები რელიგიური რწმენის ბატონობის ხანაში ხდებოდა.

ლ. კოტეტიშვილი საეკლესიო მედიცინის შესახებ

„თვითონ ქართული ჩუქურთმების ხეეულებშიაც მოიპოვება მრავალი ნიშანი წვალების, გაჭირვების, გაჯანსაღებისა და გამარჯვების, მწუხარების და ზეიმისა“ — წერდს 1936 წელს ექიმი ლადო კოტეტიშვილი „იადიგარ და- ულის“ გამოცემისას თანდართული აპარატის ტექსტის მე-5 გვერდზე.

„...საზოგადოებრივი წყობილების ცვლილებათა და ხალხთა საერთო კულ- ტურული განვითარების წყალობით იცვლება საექიმო აზროვნებაც... უკვე იბა- დება სურვილი ტაძრებიდან გამოყვანისა და მკურნალობის საქმის მოგვების და ქურთუმების ხელიდან გამოკლავისა“. ეს ხანგრძლივი დრო ჩვენი მიგ- ვაჩნა საერო და ექსპერიმენტული მედიცინის განვითარების პროცესად. თა- ვიდან მისტიციზმის ბატონობიდან განთავისუფლების, ხოლო გვიანი შუა საუ- კუნების პერიოდში რელიგიისა და „აბსოლუტური სულის“ დაშვების პერი- ოდიდან განთავისუფლების პროცესად, ექსპერიმენტული — მეცნიერული მე- დიცინის საბოლოოდ გამარჯვების და დამკვიდრების პროცესად, რასაც ესო-

დენ ხანგრძლივი დრო დასჭირდა. მკურნალობის საქმეში რელიგიურმა ცრურწმენამ XX საუკუნემდე მიაღწია... „საკმარისია ვთქვათ, წერს ლადო კოტეტიშვილი, რომ დღემდის მთელ საქართველოში დარჩენილი იყო უძველესი ჩვეულებანი როგორც მაგალითად: ავადმყოფის ხატის კარზე მიყვანა, ღამის თევა, მამალის და მსხვერპლის შეწირვა, ხარის, ან ცხვრის სახით და მრავალი სხვა“. აქ მოყვანილი ციტატებიდან ნათლად ირკვევა „საეკლესიო მედიცინის“ ძლიერი გავლენა, მაგრამ საზოგადოებრივ-სამედიცინო აზროვნების განვითარების კვალდაკვალ ადამიანი თავისუფლდება რელიგიური ცრურწმენისაგან. პროგრესული მედიცინა ამკვიდრებს ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში ექსპერიმენტულ მეცნიერულ სამკურნალო აზროვნების ახალ კლინიკურ კეშმარიტ მეთოდებს.



საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის შესახებ ჩვენ მიერ გამოკვეთული მასალები გამოქვეყნდა ჟურნალ „სოვიეტ ლაიფში“ (აშშ). 1962 წ.

რეკომენდაციები და წინადადებები

ძველი ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლები: ქანანელის „უსწორო კარაბადინი“, ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲ“, მახარებელ მალაღამის და ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“ მრავალმხრივ საინტერესო პირველწყაროებია. ამ სამკურნალო წიგნებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენება, სხვადასხვა სითხოვანი წამლის ფორმების მომზადებისას. რა თქმა უნდა, ხელნაწერებში, ცალკე: თავისუფალი სახით გამოყოფილად არ აღინიშნება, ამჟამად კარგად ცნობილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების: ალკალოიდების, გლიკოზიდების, საპონინების, ტანინების და სხვა ნივთიერებათა გამოყენება, მაგრამ ის მცენარეები, რომლებსაც სამკურნალოდ იყენებდნენ, შეიცავდნენ აღნიშნულ ნივთიერებებს და ცხადია მათი მოქმედება ორგანიზმზე სითხოვანი წამლის ფორმებში ჩვენი წინაპრებისათვის ცნობილი იყო. ისინი იყენებდნენ სამკურნალო მცენარეების: ფესვებს, ფოთლებს, ნაყოფს, ყვავილს, ასევე: ქერქს, ღეროს, მცენარეულ ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს. ამ ხელნაწერ წიგნებში სამკურნალო მცენარეები დასახელებულია არაბულად, სპარსულად და მოცემულია ძველი ქართულით მათი შესატყვისები. ამ მხრივ აღსანიშნავია, სამკურნალო წიგნი კარაბადინის პირველი ნაწილის ბოლოს და მეორე ნაწილის დასაწყისს შორის ჩანართი განმარტებითი ლექსიკონის სახით. ამ კარაბადინებში ტექსტის 60 %-ზე მეტი წამლის ფორმების მომზადების წესებსა და რეკომენდებული ხასიათის დარიგებებში ძირითადი აქცენტი მცენარეული წარმოშობის კომპონენტზეა გამახვილებული. ასევე, ხელნაწერებში ხშირად არის საუბარი ორგანოთერაპიული საშუალებების პრიმიტიული წესით გამოყენებაზე. ძველი სამედიცინო ხელნაწერიდან ყველაზე სრულყოფილი სახით ჩვენამდე მოღწეულია „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, ამ ისტორიული ძეგლის დი მისი ერთ-ერთი შემდგენლის, მახარებელის საგვარეულო ეკლესიის დეტალურად შესწავლის საფუძველზე, დავადგინეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მცხეთის არმაზთან ახლოს მდინარე კავთურას ხეობაში დღევანდელი სოფ. წინარეხის დასახლების გაგარქლებზე მალაღამეების ეკლესიის ტერიტორიაზე და ქვათახევის ეკლესიის მიდამოებში გაშენებული ყოფილა ედემის ბაღი ყვავილნარი — წალკოტი. აგბედითი პერიოდის და განსაკუთრებით შონლოების შემოსევის დროს ეს მიდამოები ცეცხლით გადაბუგულა. ცნობილია, რომ თემურლენგმა ქვათახევის ეკლესიის ქრისტიანი „მოწესენი“ — ბერები ცოცხლად დაწვა. ასეთი უღმობელი წარსულის გამო კულტურის ბევ-

რი ნიმუში განადგურდა. კავთურას ხეობის ეს ტერიტორიული მიდამო დღეს უმთავრესად საძოვრად არის გამოყენებული. და ეს ციკლიანი სუბალპური ზონის ნიადაგები მიზანდასახულად გამოყენებული და ათვისებული არ არის. წინამდებარე ჩვენს გამოკვლევებში ვრწმუნდებით, რომ მთელი რიგი პრობლემები სახალხო ჯანმრთელობის საქმეში ჭერჭერობით გადაუწყვეტელია. ამიტომ მოსახლეობის მედიკამენტებით მომსახურების შემდგომი სრულყოფის მიზნით დღის წესრიგში ვაყენებთ შემდეგ რეკომენდაციებსა და წინადადებებს:

1. 1978 წელს ჩვენ გამოვეცით მონოგრაფია „საფთოთაქო საქმისა და ხამელიცინო მრეწველობის განვითარება და პერსპექტივები საქართველოში“¹. ამ მონოგრაფიაში ჩვენ მკვეთრად ჩამოვყალიბეთ საქართველოში სამედიცინო მრეწველობის განვითარება და პერსპექტივები. გამოვჩინებთ რეალური გზები ჩვენს რესპუბლიკაში მზა წამლის ფორმების გაზრდისა და მდიდარი სამკურნალწამლო ნედლეულის მიზანდასახულად გამოყენების შესახებ. ჩვენი წინადადებების საფუძველზე 1978 წლიდან ჩამოყალიბდა და მოქმედებს საკავშირო სამედიცინო მრეწველობის გაერთიანება „საქსამკმცენარევაპარატი“, რომლის ეკონომიკური კაპიტალდაბანდების და ფონდ-ამოგების შესახებ გაანგარიშება გაკეთებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. ამავე მონოგრაფიაში ჩვენ დავსვით საკითხი აგრეთვე სამრეწველო გაერთიანების „საქსამკმცენარევის“ ჩამოყალიბების შესახებ. ასეთი წინადადება მიზანდასახავს ქობულეთის, შუა ხოგის, წებელდის და შირაქის საბჭოთა მეურნეობებში სამკურნალო მცენარეების კულტივაციის გაფართოებას, რასაკვირველია, გათვალისწინებულია სუბტროპიკული და სუბალპური ზონის ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები. მით უმეტეს ბუნებრივი შენაერთების ჭიმის მსოფლიო სიმპოზიუმის მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების უპირატესობას სამკურნალო ხელოვნებაში, სინთეზური გზით მიღებულ პრეპარატებთან შედარებით. აღმოსავლეთ საქართველოში სუბალპურ და ალპურ ზონაში სამკურნალო მცენარეების კულტივაციის გაძლიერების მიზნით, ასეთი ერთ-ერთი საბჭოთა მეურნეობის დაარსების რეალური საშუალება არის კავთურას ხეობაში სოფელ წინარების ზემოთ. დღესდღეობით მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ქობულეთსა და შუა ხორაში მოქმედებს სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი მძლავრი საბჭოთა მეურნეობები, ასევე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკ. ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკო-ჭიმის ინსტიტუტის ადმინისტრაცია აშენებს სამკურნალო მცენარეებს შირაქის დამხმარე მეურნეობაში. ჩვენი აზრით, ყველა საბჭოთა მეურნეობები, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, გარდა შირაქის ველზე არსებული ფარმაკოჭიმის ინსტიტუტის დამხმარე საცდელი ექსპერიმენტული მეურნეობისა, უნდა გაერთიანდეს ერთი ტრეს-

¹ С. С. Салуквадзе, Развитие и перспективы аптечного дела и медицинской промышленности в Грузии. Изд., «Сабчота Сакартвелო», Тбилиси, 1978 г.

ტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელსაც ერქმევა აგრა-
ლურ-სამრეწველო გაერთიანება „საქსაქმცენარმრეწვი“. ამ მიზნით გამოვიყე-
ნოთ და მდინარე კავთურას ხეობაში დაარსდეს ერთ-ერთი საბჭოთა მეურ-
ნეობა, სადაც შესაძლებელი იქნება, კულტივაციის გზით მოვაშენოთ სუბალ-
პური და ალპური ზონის სამკურნალო მცენარეები. მდინარე კავთურას
წყლის დებეტი შეგროვდეს ზამთრის პერიოდში, რისთვისაც მოეწყოს წყალსა-
ცავი. ეს გამოუყენებელი ნიადაგები მოვრწყათ და მოვაშენოთ სამკურნალო
მცენარეები, რაც ეკონომიკურად, სოციოლოგიურად და ფარმაცოგნოზიის თვალ-
საზრისით მეტად სსსარგებლო საქმე იქნება. ასეთ საბჭოთა მეურნეობაში მო-
შენებული სამკურნალო მცენარეები ხელს შეუწყობს სააფთიაქო დეფექტურის
შეესებას. სამკურნალოწამლო ნედლეულით უზრუნველყოფთ ფარმაცევტულ
საწარმოო გაერთიანებას — „საქქიმფარმპრეპარატს“. გავზრდით მზა წამლის
ფორმების საერთო ხვედრით წონას რესპუბლიკაში და ამით მცირეოდენ
წვლილს შევიტანთ ამ საქმეში კავშირის მასშტაბით.

2. მდინარე კავთურას ხეობა მწვანეშია ჩაფლული, გამოირჩევა ჭანსალი
პავით და კარგი იქნება თუ ქვათახევის ეკლესიის მიდამოებში აშენდება და-
სახეუნებელი სახლი პიონერთა და მოსწავლეთათვის, რომლებიც საბჭოთა მეურ-
ნეობას დაეხმარებიან სამკურნალო მცენარეების შეგროვებაში. ასევე, მხედვე-
ლობაში მაქვს სამკურნალო მცენარეების კულტივაცია: სააფთიაქო გვირილა,
სააფთიაქო ტუხტი, ვალერიანა, ანუ კატაბალახა, შროშანა, აქ შეიძლება შეგ-
როვდეს მუხის ქერქი, ასკილი და სხვა სამკურნალო მცენარეები, რომლებიც
ველურ პირობებში იზრდება, რომელთა გაშრობა, სტანდარტული შეფუთვა
და სამედიცინო მდსაქონლის პროდუქციის გამოშვება უნდა დაეკისროს სა-
კავშირო სამედიცინო სამრეწველო გაერთიანება „საქქიმფარმპრეპარატს“.

3. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მთავარი სააფთიაქო სამმართველო განიც-
დის სამედიცინო წურბლების ნაკლებობას, იგი ბაქოდან შემოგვაქვს და ხში-
რად არასაკმარისი რაოდენობით. ყოველ შემთხვევაში რესპუბლიკის ტერი-
ტორიაზე სამედიცინო წურბლების მოშენება არც ერთ ბუნებრივ ტბაში არ
ხდება. კასპის რაიონის სოფელ წინარეხთან და სოფელ თვალადთან ყოფილა ტბა,
რომელშიაც ჩვენი წინაპრები სამედიცინო წურბლებს აშენებდნენ. კარგი
იქნებოდა ამ ბუნებრივი ტბის მომარაგება წყლით და წურბელების მოსაშენე-
ბელი მეურნეობის აღდგენა, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ აფთია-
ქებში სამედიცინო წურბელებზე დეფიციტი. წურბელების მოსაშენებელი
მეურნეობის დაარსება გათვალისწინებულია ზემდგომი ორგანოების დადგენი-
ლების საფუძველზე. მაგრამ დღემდე ამ დადგენილების ეს პუნქტი შეუსრუ-
ლებელია. კარაბადინებში არაერთხელ არის წურბელებით მკურნალობის შე-
სახებ საუბარი. პიპერტონის და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების
სამკურნალო სამედიცინო წურბელებზე მოთხოვნილება დღესაც დიდია.

4. დასვენას კასპის რაიონის რაიადმასკომის და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინაშე საკითხი, რათა გამოინახოს თანხები მალაქაძეების აფთიაქის შენობის რესტავრირებისათვის, ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან შეთანხმებით, კვალიფიციური არქიტექტორების დახმარებით შედგეს აფთიაქის შენობის გადახურვის და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებისათვის პროექტი. აღდგენილი იქნეს არქეოლოგიური გათხრების და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად აფთიაქის პირვანდელი სახე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, გამოცხადდეს მალაქაძეების აფთიაქი — წამლის სასახლე — აფთიაქ-მუზეუმად ნაკრძალად. შეტანილ იქნეს იგი ტურისტების სამგზავრო სვლაგეზში და გამოცემული იქნეს გზამკვლევი ბუკლეტი: ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ყველა მონაცემის შიხედვით მალაქაძეების ეკლესიის შემოგარენში აღმოჩენილი აფთიაქის საკარაუდლო ასაკი 600 წელია, ხოლო წამლების ფორმების მომზადების წიგნის — ფარმაკოპეის, იგივე კარაბადინის დაწერიდან მიახლოებით 500 წელია გასული. მხედველობაშია ისაღლები კიდევ ერთი არგუმენტი. ისტორიულ პირველად წყაროში (Hd № 1352-ში ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი) „წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა, მახარებელ მალაქაძისადმი“ 1470 წელსაა გაკემული, სადაც ნახსენებია სიტყვა „წალკოტი“. წალკოტი მალაქაძეებს ივანძიძეებისაგან გადაეცა. ჩვენამდე მოაღწია მალაქაძეების მრავალმა სიგელ-გუჯარმა, „წალკოტი“ კი ნახსენებია მხოლოდ მახარებლის მიმართ გაცემულა სიგელ-გუჯარის ტექსტში. სავარაუდოა, რომ მახარებელ მალაქაძე ამ მხრივ განსაკუთრებული ისტორიული პიროვნება იყო სამედიცინო ასპექტების თვალსაზრისით (!). თუ წალკოტთან ერთად, წამლის სასახლეც გადაეცათ მალაქაძეებს და კერძოდ მახარებელს, მაშინ ეს აფთიაქი ვარძიის წამლის სასახლის თანამოასაკე უნდა იყოს, რასაც გვაფიქრებინებს ამ ორი წამლის სასახლის ნაგებობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული მსგავსება. როგორც ჩანს, XII საუკუნეში საეკლესიო მედიცინის ტრადიციები და წამლის სასახლის მშენებლობის პროექტი ტიპიურ-შაბლონური ყოფილა. ყველა მონაცემების მიხედვით ხელოვნებათმცოდნეებში ეჭვს არ იწვევს, ის ფაქტი, რომ ივანძიძეების ეკლესია, რომელიც XIV საუკუნის მიწურულიდან მალაქაძეების გამგებლობაში გადავიდა, აგებული XIII საუკუნის დასაწყისში. ქართლის აზნაურების — ივანძიძეების სამოღვაწეო სარბიელზე გამოჩენის თარიღად სწორედ XII საუკუნის მიწურულია მიჩნეული, ამიტომ სავარაუდოა, რომ ეს წამლის სასახლაც XII საუკუნის მიწურულში შეიძლება იყოს აშენებული. ყოველ შემთხვევაში: ვარძიაში, მალაქაძეების ეკლესიასა და თბილისში ერეკლეს II-ის სასახლესთან აფთიაქ-მუზეუმის სარესტავრაციო პროექტის შედგენა და ამ სფეროში მუშაობის დაწყება ჩვენი ეროვნული საგანძურის წარმოჩინების თვალსაზრისით პერსპექტიულ საქმედ მიგვაჩნია. ასევე, პერსპექტიულია უფლისციხეში 1500 წლის წამლის სასახლის — თახჩებანი ნაგებობის აფთიაქის სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების დაწყება.

მახარებელ მაღალადის კოშკში აღდგენილ უნდა იქნეს კედლის ფრესკები, როგორც XV საუკუნისა, ასევე XVII და შემდგომი საუკუნეებისა, რამდენადაც ეს შესაძლებელია ისტორიული სინამდვილის შესაბამისად. საერთოდ, ეს ერთი ოთახი მოცულობით 6-8 მ² ფართობია, რომლის სარესტავრაციო ხარჯები მინცდამინც დიდ ეკონომიკურ სახსრებთან არ იქნება დაკავშირებული, რათა მიეცეს კედლის იკონოგრაფიულ მხატვრობას პირვანდელი სახე, რომლის დათვალიერება ხელმისაწვდომი იქნება მსურველებისათვის და საერთოდ მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენი გამოცხადდეს ნაკრძალად. და ექსკურსიამძღოლები უზრუნველყოფილ იქნენ, შესაბამისი საცნობარო ლიტერატურით, როგორც საქართველოს ისტორიის, ხუროთმოძღვრების, ხელოვნებათმცოდნეობის, ასევე მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის თვალსაზრისით.

5. 1978 წლის აგვისტოში თხოვნით მიემართეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს ადმინისტრაციას ვარძიის ციხე-ქალაქის კომპლექსში 800 წლის წამლის სასახლის-აფთიაქის მუზეუმად გამოცხადების შესახებ. ზემოთ დასახელებული უწყების სამეცნიერო საბჭომ 1978 წლის 9 ოქტომბერს მოისმინა ჩვენი მოხსენება აფთიაქის მუზეუმად გამოცხადების შესახებ. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა, პროფესორმა ო. ციცივილიმა საჭიროდ ჩათვალა აფთიაქ-მუზეუმის მშენებლობა და სარესტავრაციო საქმის დაწყება, ასევე, დადებითი აზრი გამოთქვეს არქეოლოგმა, პროფესორმა პ. ზაქარაიამ, არქიტექტორ-რესტავრატორმა რუსულან გვერდწითელმა და სხვებმა.

ვარძიაში აფთიაქს გაუკეთდა მისასვლელი კიბე. მისი დათვალიერება ხელმისაწვდომი გახდა დანტიერესებულ პირთათვის (სპეციალისტებისათვის), მაგრამ კვლავ ბევრი სამუშაოებია ჩასატარებელი ამ ობიექტზე, რათა აფთიაქმა მიიღოს ნამდვილი მუზეუმის სახე. პირველ რიგში, საჭიროა შედგეს სარესტავრაციო პროექტი, საჭიროა აფთიაქის შენობას გაუკეთდეს მემორიალური დაფა: ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ძირითადი ოთახის მეზობელი ოთახი გაიწმინდოს ნანგრევებისაგან.

თვით ვარძიის ნაგებობის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვია არაერთი კერამიკული და მინის ჭურჭელი, რომლებიც უნდა იქნეს გამოფენილი აფთიაქის შენობაში. საგულისხმოა, რომ ვარძიაში მეორე ადგილას აღმოჩნდა თახჩებიანი ანალოგიური ნაგებობა. იქნებ ვარძიაში ორი აფთიაქი მოქმედებდა?

საერთოდ, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მდიდარი კოლექციიაა დაგროვილი, რომელიც გვარწმუნებს, რომ მტკვრის ხეობაში ცივილიზებული დასახლება ყოფილა ძველთაგანვე, მათ შორის მედიცინის და ფარმაციის ისტორიის თვალსაზრისით ფრიად საინტერესო.

6. საინტერესო ისტორია გააჩნია ქ. თბილისის აფთიაქებს. ჩვენს დედაქალაქში აფთიაქის არსებობის ყველაზე ძველი თარიღია 1740 წელი. ცნობილია, რომ კათოლიკე მისიონერების მიერ 1740 წელს გახსნილი ყოფილა მეფე თეიმურაზ II-ის კარზე აფთიაქი, რომელიც რაღაც რელიგიური სექტის კონფლიქტის გამო დახურულა. შემდეგ კი 1779—83 წლებში მეფე ერეკლე II სასახლის კარზე იაკობ რეინგესმა გახსნა სამედიცინო სკოლა და აფთიაქი, რომელიც ალბათ ზღა-მაჰმადხანის შემოსევის დროს 1797 წელს დაინგრა.

ამჟამად მოქმედი თბილისის უძველესი აფთიაქი გახლავთ კიროვის ქუჩა № 6 შენობაში მოთავსებული № 28 აფთიაქი, რომელიც 1829 წელს გაიხსნა გერმანელი პროვიზორის შონბერგის მიერ, ეს აფთიაქი ამჟამად 157 წლისაა, რა თქმა უნდა, 1500 წლის წინათ დაარსებულ დედაქალაქ თბილისში სხვა უფრო ძველი თარიღით მოქმედი აფთიაქების გახსნის ისტორიის ფურცლები უნდა იქნეს გადაშლილი. ისიც სავარაუდოა, რომ 1500 წლის დედაქალაქ თბილისში უსათუოდ არსებობდა უფრო ძველი ასაკის წამლების სასახლე, მაგრამ უფრო ძველი და რეალური თარიღი აფთიაქის მოქმედების შესახებ დაიკარგა. ამიტომ ჭრეკერობით ყველაზე ძველი თარიღი აფთიაქის გახსნის შესახებ 247 წლის წინანდელია. ფრიად სასურველია 1740 წლის წინათ კათოლიკე მისიონერების მიერ გახსნილი აფთიაქის რესტავირება ძველი თბილისის იმ უბანში, სადაც მეფე ერეკლე II სასახლეა. კარგი იქნებოდა აფთიაქის შენობის რესტავირება და ქ. თბილისის აფთიაქ-მუზეუმის გახსნა. ფაქტიურად ამ შენობაში მოთავსდებოდა საქართველოს ფარმაციის ისტორიის მუზეუმის ექსპონატები. ასეთი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება, ჩვენ რეალურად და აუცილებელ ღონისძიებად გვეჩვენება. ამ მხრივ საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებში ასეთი ღონისძიებები უკვე გატარდა ცხოვრებაში. ასე მაგალითად: ესტონეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქი ტალინი დაარსებულია XII საუკუნეში, უკრაინის სს რესპუბლიკის ქალაქი ლვოვი XIII საუკუნეში. „ტალინის რატუშების (ბუხარტების) მაგისტრატის აფთიაქი დაარსებულია 1422 წელს, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი აფთიაქია და მრავალი წლის მანძილზე მოქმედებდა ერთსა და იმავე შენობაში. ასეთი აფთიაქები ნამდვილად თითებზე ჩამოსათვლელია“¹ — წერს ესტონეთის მედიცინისა და ფარმაციის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ზეინო გუსტავსონი. იური კოვალი წერს: „რა თქმა უნდა, თუ შევადარებთ ჩვენს აფთიაქს (იგულისხმება ქ. ლვოვის აფთიაქ-მუზეუმი) ტალინის ცნობილ რატუშების აფთიაქს, რომელიც განუწყვეტლივ ერთსა და იმავე კედლებში მოქმედებდა 1422 წლიდან, „ლვოვიანკას“ აფთიაქი მას შვილიშვილად გამოადგება, მით უმეტეს იგი ცარიელ ადგილზე ხომ არ აღმოცენდებოდა, მასაც თავისი წინამორბედი ეყოლებოდა“². აქ მოყვანილი ფაქტების მიხედვით ქ. ტალინის ბუხარ-

¹ გუსტავსონ ზეინო, ტალინის მაგისტრატის აფთიაქი, „ნესტორამატ“, ტალინი, 1972, გვ. 1 (რუსულ და ესტონურ ენაზე).

² იური კოვალი, აფთიაქ-მუზეუმი ლვოვი. ილუსტრაციული მონახაზი „კომენიარ“, ლვოვი, 1976, გვ. 39 (უკრაინულ და რუსულ ენაზე).

ტების აფთიაქი 564 წლის წინათაა გახსნილი, ლგოვის ნატორპის აფთიაქი 250 წლის წინათ, ერეკლე მეორის სასახლეში კათოლიკე მისიონერებს აფთიაქი 247 წლის წინათ გაუხსნიათ, დონ რიხნექსს, ისევე აღუდგენია აფთიაქი ერეკლე II-ის სასახლესთან 200 წლის წინათ. როგორც იური კოვალი შენიშნავს: ტალინის 564 წლის ბუხარტების მიერ გახსნილ აფთიაქს, ლგოვის 250 წლის წინათ გახსნილი „ნატროპის აფთიაქი „ლგოვიანკა“ შვილიშვილად გამოადგებაო“, მაშინ გამოდის, რომ ვარძიის ციხე-ქალაქში წამლის სასახლე-აფთიაქი 800 წლისაა, ერთ-ერთი უძველესია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ჩვენ პლანეტაზეც, ხოლო მაღალაძეების აფთიაქი 600-ზე მეტი წლისაა.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაცო-ქიმიის ინსტიტუტს, სემიტოლოგების, ირანისტების, ფარმაცო-ბოტანიკოსების, მედიცინის ისტორიის სპეციალისტ-ექიმების და წამალთმცოდნეების თანამონაწილეობით შედგენილ იქნეს სამკურნალო მცენარეების თანამედროვე ბოტანიკის და ფარმაცოგნოზის ტერმინოლოგიის შესაბამისად ზუსტი განმარტებითი ლექსიკონები და შეტანილი იქნეს ეს თანამედროვე ფარმაცო-ბოტანიკური განმარტებითი ლექსიკონის სიტყვები სამკურნალო წიგნი-კარბადინის ძირითადი ტექსტის გამოცემისას, ან გამოინახოს უფრო დახვეწილი ფორმა.

8. მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკ. ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაცო-ქიმიის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკების თემატიკურ სამეცნიერო პერსპექტიულ გეგმაში გათვლისწინებულ იქნეს ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერ კარბადინებში მოცემული ზოგორთი ძველი რეკომენდაციების თანამედროვე მეცნიერული ანალიზი.

განსაკუთრებით საჭიროა:

სამკურნალო მცენარეებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების გამოყოფა თავისუფალი სახით და მათი ფარმაცოლოგიური სამკურნალო თვისებების დადგენა. რა თქმა უნდა, ამ ასპექტში დიდი ხანია მიმდინარეობს საქართველოს სამკურნალწამლო ფლორის შესწავლა. გამოვლინებულია მრავალი სამკურნალო ნედლეული, მაგრამ კარბადინებში მოცემულ რეკომენდაციებში შესაძლებელია კვლავ შემოგვრჩა მეცნიერული თვალსაზრისით ჭერჯერობით უცნობი საკითხები. ამ მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის: ფარმაცოგნოზის, წამალთმეტქნოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიის კათედრის მეცნიერ თანამშრომლებისაგან მრავალი საინტერესო საკითხის გამოვლინებას უნდა ველოდეთ. ცნობილია, რომ აწ განსვენებული აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე ამ სფეროში შრომატევად სამუშაოებს ასრულებდა. მისი საქმის გამგრძელებლების წინაშე ამ ასპექტში საკითხის დაყენება ხელს შეუწყობს მთავარ მიზანსწრაფვას: სამკურნალო ეფექტური საშუალებების გამოვლინებას და სამკურნალო პრაქტიკაში ახალი პრეპარატების დანერგვას.

ფრიად საჭიროა შეერთებული ძალით, ბიოლოგებთან, ექიმებთან და წამალთმცოდნეებთან ერთად შესწავლილ იქნეს ამ ხელნაწერებში მოცემული მეცნიერული ღირებულების რეკომენდაციები, აღდგენილ იქნეს ზოგიერთი მკურნალობის ის მეთოდები, რომლებიც მეცნიერულად დასაბუთებული და რაციონალური აღმოჩნდება.

9. „სამკურნალო წიგნ — კარაბადინში“ მოცემულია ქვეთავეები: „თუ სიმსივნე და მღიერი იყოს, ლუიძლზედან“, „წამალი სიმსივნისათვის“ და „კარი და ნიშანი ყოვლის ფერისა სიმსივნისა“ და „წამალი მისნი“ და ისევ „წამალი სარგო სიმსივნისა მხურვალათათვის“. ამ ქვეთავეების ტექსტებს ძალიან ღრმა დაკვირვება სჭირდება, შესაძლებელია შუა საუკუნეების ქართული მედიცინისათვის ცნობილი იყო რაიმე საიდუმლოება ავთვისებიან სიმსივნეთა სამკურნალოდ და ამჟამად, როცა ავთვისებიან სიმსივნეთა საწინააღმდეგო სამკურნალო ფარმაცოლოგიური ეფექტური პრეპარატის შექმნაზე და აღმოჩენაზე ასე გაცხოველებული მუშაობაა ყველა ქვეყნის მედიკოსებს შორის, საჭიროა გადაისინჯოს ამ ხელნაწერში მოცემული რეკომენდაციები. იქნებ მიგნებული იქნეს რაიმე რადიკალური და ეფექტური სამკურნალო საშუალება კიბოს წინააღმდეგ. ამ მხრივ „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“ ჯერჯერობით შეუსწავლელია. ამიტომ ონკოლოგებთან ექსპერიმენტული კონტაქტების საფუძველზე უნდა გადაისინჯოს წინამდებარე ეს ძველი ფარმაცოპეული რეკომენდაციები. ეს მაგალითი მხოლოდ ონკოლოგიური დავადების საწინააღმდეგო პრეპარატების სამკურნალო პრაქტიკაში დანერგვას როდი ეხება (?) ამ კრილში წინამდებარე კარაბადინი უნდა შედარდეს შუა საუკუნეების თანამოასაკე არაბულ, სპარსულ და სხვა ცივილიზირებულ ქვეყნების კარაბადინებს, თუ ამ ქვეყნებში ასეთი ძეგლები დღემდე არსებობს (!?). ამიტომ ეს წიგნი უნდა ითარგმნოს რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და მედიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის BO3-ის კვლევის თემატიკაში ჩაერთოს ამ კარაბადინის ზოგიერთი ფრიად საინტერესო და ყურადსაღები რეკომენდაციები. შეერთებული ძალით გადასინჯულ იქნეს საუკუნეების მანძილზე დაგროვილი კაცობრიობის ეს საგულისხმო რეკომენდაციები, რომლებიც საერთოდ, ამ ხელნაწერებში უხვად არის მოცემული.

10. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრომ, საქართველოს მედიცინის ისტორიის საზოგადოებამ და ფარმაცევტულმა სამეცნიერო საზოგადოებამ, აღნიშნეს ზაზა ფანასკერტელის დაბადების 550 წლისთავი. მახარებელი და ზაზა, როგორც ჩვენამდე მოღწეული პირველადი წერილობითი წყაროებით ირკვევა, თითქმის თანამოასაკენი ყოფილან და მათი დაბადების თარიღებში დიდი სხვაობა არ აღინიშნება, ამიტომ აუბილე ზაზა ციციის ძე ფანასკერტელს და მახარებელ ოლოპირის ძე მძალაძეს მომავალში ერთად გადაუხადოთ. რაც მთავარია ამ ხელნაწერის დაწერიდან 500 წლისთავის იუბილე შესაძლებელია იუნესკოს ხაზით აღინიშნოს.

მახარებლის სახით საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიას შემატა ახალი მოღვაწე, რომელსაც დიდი წვლილი შეუტანია ქართული სამე-

დიცინო აზროვნების განვითარებაში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ „მკურნალი“ და „ბრძენთმთავარი“ ზაზა ფანასკერტელი ამ უნიკალური ხელნაწერის შექმნაზე მარტო არ მოქმედებდა, ამიტომ მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძეს ჯეროვანი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ საქართველოს მედიცინის და ფარმაციის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და ეს იუბილე ამ ორ სახელოვან მედიკოსს: ზაზა ციცის ძე ფანასკერტელს და მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეს, ანუ მახარებელ II-ს მომავალში ერთდროულად უნდა გადაუხადოთ.

საკითხის დასმის წესით საჭიროა მომზადდეს ასეთი საზოგადოებრივი აზრი, მით უმეტეს, ამ სამედიცინო ხელნაწერის დაწერიდან 500 წელი მრგვალი თარიღია, რომელიც იუნესკოს დებულებას კარგად ესადაგება და ამ ქართული კარაბადინი-ფარმაკოპეის შედგენის თარიღი 200-250 წლით უსწრებს ევროპის ბევრი ცივილიზებული ქვეყნების ფარმაკოპეის გამოცემის თარიღებს.

ამიერიდან „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“ საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიაში უნდა შევიღწეხ, როგორც ზაზა ფანასკერტელისა და მახარებელ მაღალაძის „სამკურნალო წიგნი“- „კარაბადინი“ — „ფარმაკოპეა“.¹

¹ ასე მაგალითად: „წიგნის საჰიმოი“ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ნათარგმნი ხოჯაყოფილის მიერ. ჩვენამდე მოღწეული ერთად-ერთი ვარიანტი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე გადაწერილი. რა თქმა, უნდა, ამ შემთხვევაში ხელნაწერმა ჩვენამდე გადამწერლის წყალობით მოაღწია.

ზაზა ფანასკერტელი და მახარებელ II მაღალაძე XV ს-ის II ნახევარში მოღვაწეობდნენ(?). ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრების მხრივ არის მოსაზრება, რომ Q ფონი № 795, ანუ ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ თითქოს მახარებელ მაღალაძის ხელით იყო გადაწერილი², მაგრამ ჩვენ როცა პალეოგრაფიული შედარებით ანალოზი ჩავატარეთ, ეს მოსაზრება არ დადასტურდა. ამიტომ ჯერ-ჯერობით მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძის ხელით დაწერილი ერთად-ერთი დედანი ვახლავთ, „ფანასკერტელის გუჯარი“ და თქმა უნდა Q ფონი № 877-ის — ფარმაკოპეის, იგივე კარაბადინის 1008 გვერდი.

² იხ. თ. კუონია, ლიტერატურული ძიებანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, თბილისი 1948 წ. გვ. 263. მართალია მასარებლის ხელსა და ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრების“ გადაწერის ხელს შორის მსგავსება არ იქნა დადასტურებული, მაგრამ კარაბადინის შედგენის დიორე თანამონაწილის და „ქართლის ცხოვრების“ ამ ვარიანტის ტექსტს შორის ძალიან დიდი მსგავსებაა, რომლის დადგენა ძალიან საინტერესოა, რაც მომავალი კვლევა-ძიების საგანია.

აკადემიკოს ს. ჭანაშვიას მიერ გაანალიზებული სარწმუნო პირველწყაროებით დადგენილია, რომ ციციშვილების განშტოება ფანასკერტელების საგვარეულოში XVI საუკუნის I ნახევარში წარმოშობილა. ეს კი ფრიად საყურადღებო და ანგარიშგასაწევი დებულებაა, რომელსაც მომავალში მედიცინის ისტორიის მკვლევარებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიუქციონ. ს. ს.

გოლოთჰმა და ისევ სამხრელის, კოლუმბარიუმის და წამლის სახსლის — ავთიაჰის შესახებ

წინამდებარე გამოკვლევას, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, საქართველოს წამალმცოდნეობის ისტორიის I ტომის პრეტენზია გააჩნია. კაცმა რომ თქვას, ასეთი ვრცელი ისტორიული მონაკვეთი ძნელია ჩატიო 650 გვერდიანი მოცულობის მონოგრაფიაში. ამიტომ უფრო უპრიანი იქნება აქ მოყვანილი მასალებისათვის თეზისების ფუნქცია მიგვენიშებინა, რაც თავისთავად მომავალში კვლევა-ძიების გარმავეებასა და გაფართოებას გულისხმობს. ფაქტობრივად, ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოს ფარმაცევტული სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებიდან ამ მნიშვნელოვანი საქმის კვლევა-ძიებისათვის ჭერ-ჭერობით ვერავინ მოიცალა და ამიტომ გადაწყვიტეთ ყამირზე პირველი ღნული ჩვენ გაგვევლო.

ბევრ ისტორიულ საკითხს, რომ ნათელი მოფენოდა, ჩვენ არ ვითაკილეთ კომპეტენტურ სპეციალისტებთან კონსულტაციის მიღება, ზოლო საბოლოოდ ჭერ კიდევ დაუდგენელი პრობლემები მონოგრაფიაში საკითხის დასმის წესით შევიტანეთ, რაც მომავალში უთუოდ დაინტერესებს საქართველოს წამალმცოდნეობის ისტორიის მკვლევარებს. შეიძლება მკითხველს ზედმეტად მოეჩვენოს „პაბუა მაღალაძის ანდერძის“, ასევე „ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი გიორგი სააკაძის თანამებრძოლი“, ასევე ზოგიერთი ქვეთავების და ზოგიერთი სურათებისაკი ამ მონოგრაფიაში შეტანა, მაგრამ ამით ჩვენ გვსურდა უფრო შთამბეჭდავად წარმოგვედგინა მაღალაძეებისა და ფანასკერტელის გენეალოგიის საკითხები, რითაც მეტ-ნაკლებად მოეფინებოდა შუქი საქართველოს წამალმცოდნეობის ისტორიის აღწიშნულ პერიოდს. მონოგრაფიაში წამოჭრილია მთელი რიგი საკითხებისა რომელთა დაფუძნებას, ან უარყოფას ესაჭიროება გარკვეული დრო და კეთილსინდისიერი მეცნიერული გააზრება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ისტორიული პირველწყაროების საფუძვლიანობის გარეშე არც ერთი ახალი კონცეფცია დღის წესრიგში არ დაგვიყენებია. პირველწყაროს მომველიების გარეშე ყოველგვარი ჰიპოთეზის წამოყენებასაც კი ვერიდებოდით და მომავალშიც მკაცრად მოვერიდებით. ანალოგიური ფაქტების შედარებისა და ანალიზის მეთოდი მონოგრაფიაში სშირადაა გამოყენებული, რაც ჩვენი აზრით, წამოჭრილი საკითხების დამტკიცების შესაძლებლობას უფრო მეტ საფუძვლიანობას ანიჭებს. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომათა კრებულში და ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“ ამ ბოლო დროს დაიბეჭდა წერილები საქართველოს წამალმცოდნეობის

ისტორიის საზიანოდ. მიზანშეწონილად მიმაჩნია შევეხო ამ წერილების შინა-
არსს, წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარის პოზიციებიდან.

ჩვენი მონოგრაფიის ერთ-ერთ ქვეთავში (იხ. გვ. 126, 127, 128, 129), ობი-
ექტურად განვიხილეთ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წომამათა
კრებულში (№ XVI, 1985 წ.) პროფ. ლ. მარუაშვილისა და კ. ხარაძის წე-
რილი: „ქვის სამტრედეები შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში“,¹ სადაც ავტო-
რები ეხებიან ვარძიაში და კავთურას ხეობაში (მაღალაძეების ეკლესიის შე-
პოგარენში) თახჩებიანი ნაგებობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრის სა-
კითხს. ისინი კატეგორიულად უარყოფენ, რომ ეს უცნაური შენობები წამლის
მოსამზადებელი და სააფთიაქო კომპონენტების შესანახი საწყობი, ან აფთიაქი
კი არ იყო, არამედ მათ „სამტრედეებს“ ანუ „კოლუმბარიუმებს“ — „საფოს-
ტო მტრედების“ გამოსაზრდელ სათავსოს ფუნქციას ანიჭებენ. ჩვენ ზედმი-
წევნით ნათლად დავსაბუთეთ, რომ ზემოხსენებული ავტორების მიერ მოყ-
ვანილი „ფაქტები“ სრულებით ვერ ადასტურებენ თავისთავად მოსაზრებას იმის
თაობაზე, რომ თითქოს ეს თახჩებიანი შენობები სამტრედეები ყოფილიყო და
არც გვაძის კრემაციის შედეგად მიღებული ფერფლის შესანახ ნაგებობის ფუნ-
ქციას ასრულებდნენ შუა საუკუნეების ამიერკავკასიაში, ვინაიდან გვაძის კრე-
მაცია საქართველოში არასოდეს არ ყოფილა ტრადიციული რელიგიური რი-
ტუალი.

უურნალ „საბჭოთა მედიცინის“ ფურცლებზე (№ 3 მაისი-ივნისი 1986 წ.
გვ. 58—62) გამოქვეყნდა პროფ. მ. შენგელიას წერილი სათაურით: „აფთიაქი,
კოლუმბარიუმი, თუ სამტრედე?“, ამ სტატიის დეტალურ ანალიზს საქარ-
თველოს წამალთმცოდნეობის ისტორიისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება,
თუმცა ყველა სადავო საკითხზე, არქეოლოგიური გათხრების ჩატარებამდე
ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია. თუ გავიხსენებთ ვარძიაში წამ-
ლის სასახლის-აფთიაქის არსებობას, 1952 წ-ს, პირველად ამ საკითხს შეეხო
დოც. ზ. შენგელია, 1958 წ. ექიმი პ. ფირფილაშვილი, 1970 წ. პროფ. მ. შენ-
გელია, 1979 წ. წამალთმცოდნის პოზიციებიდან ჩვენ ამ საკითხს მივუძღვევით
პრცელი გამოკვლევა (იხ. ს. სალუქვაძე „ვარძია — წამლის სასახლე“, „ხელოვ-
ნება“, 1979 წ.). შემდეგ 1982 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომათა
კრებულში (გვ. 188—195) ამ საკითხს შეეხო მკვლევარი ანდრო ლეკიაშვილი.
ასეთია მკვლევართა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, რომლებიც გამოთქე-
მენ დასაბუთებულ მოსაზრებას ამ ადგილებში აფთიაქის არსებობის შესახებ,
რასაც ემატება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტის, პროფ. დ. ხახუტაშვილის შედარებითი ანალიზი უფლისციხის თახ-
ჩებიანი ნაგებობისა და ვარძიის წამლის სასახლის-აფთიაქის შესახებ. პატივ-

¹ მე ბოდოში უნდა მოვიხადო ამ სტატიის ავტორებს წინაშე, თუნდაც იმ პრიმიტიული
მსჯელობის გამო, რომ „სამტრედე-კოლუმბარიუმები“ მტრედების გამოსაზრდელი სათავსოები
და გვაძის კრემაციის შედეგად მიღებული ფერფლის, ურნების შესალაგებელი უჯრებიანი თა-
ოკები-კოლუმბარიუმები ვერ განუსხვავებიათ ერთი-მეორისაგან, რომლის კრიტიკაში სიმარ-
თულ უდავოდ პროფ. მ. შენგელიას მხარეზეა.

ცემული მკვლევარი გამოთქვამს (იხ. დ. ხახუტაშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი. გამომცემლობა „ნაქადული“ 1965 წ.) მოსაზრებას, რომ ეს უცნაური უჯრები შეიძლება სამეფო კარის, ან ეკლესიის ზიბლიოთეკის ფუნქციას ასრულებდა ფეოდალურ საქართველოში, მაგრამ იქვე, ბიბლიოთეკასთან შედარებით, აფთიაქის არსებობის შესახებ მოსაზრებას ანიჭებს ავტორი უპირატესობას.

ჩვენდა სამწუხაროდ, ვარძიასა და უფლისციხეში აღმოჩენილი თახჩებთან ნაგებობა, რომ წამლის სასახლის ფუნქციას ასრულებდა ამის დამამტკიცებელი არავითარი პალეოგრაფიული საბუთი დღემდე არ შემონახულა. სამაგიეროდ, სულ სხვაგვარად გამოიყურება მაღალაანთ კოშკების ახლოს, კავთურას ხეობაში, ჩვენ მიერ აღმოჩენილი თახჩებთან ნაგებობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრის საკითხი, რომელიც ძირითადად ავსენით (გავარკვეით), ამავე მონოგრაფიის ქვესათაურში: „ახალგამოვლენილი ძველი ქართული საეკლესიო მედიცინის კერა“. საკითხის ანალიზს ვებრუნდებით პროფ. მ. შენგელიას მიერ ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ № 3-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიის გამო. სასიამოვნოა პროფ. მ. შენგელიას პრინციპული დასკვნა იმის თაობაზე, რომ ვარძიის ციხე-ქალაქის კომპლექსში 800 წლის წინათ აფთიაქი არსებობდა. ავტორი აღნიშნავს: „ხრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი იყო ვარძიაში აფთიაქის არსებობა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ვარძია აშენებულია თამარის დროს. ბუნებრივია, საქართველოს მეფეს უშუალო კონტაქტი ექნებოდა აღნიშნულ ქალაქთან და მისი საექიმო მომსახურებისადმი უზრუნველობა ამ უბანზეც გამოვლინდებოდა“, და შემდეგ განაგრძობს ავტორი „ამრიგად ის (წამლის სასახლე — ვარძიის აფთიაქი, ს. ს.) განლაგებით, თახჩების ხიმრავლით სიდიდით და გვერდით არსებული დამხმარე სათავსოთა თავისებურებით „აფთიაქის“ შთაბეჭდილებას ტოვებს“. როგორც ზემოთ ვიუწყებოდით ასეთი დასკვნისათვის ჩვენ წერილობითი საბუთი არ გავაჩნია. მიუხედავად ამისა პროფ. მ. შენგელია ამავე სტატიაში სათაურით: „აფთიაქი, კოლუმბარიუმში, თუ სამტრედიე“ წერს: ამრიგად ვარძიაში აფთიაქის არსებობის საკითხი, ჩვენ საკმაოდ მისაღებად მიგვაჩნიაო“ და შემდეგ ჩვენს გვარს პროვიზორ ს. სალუქვაძეს არ ასახელებს. მაგრამ ჩვენი მისამართით ასეთ ფრაზას წარმოთქვამს: „რასაკვირველია, აქ არ უნდა გადავჯაბროთ, აფთიაქის როლი არ უნდა გავზარდოთ და ვარძია — წამლის სასახლედ არ უნდა გამოვაცხადოთ, რადგან აფთიაქისათვის ვარძიაში მხოლოდ ერთი ოთახი იყო განკუთვნილი, 2 პატარა დამხმარე სათავსოთი, მისი სასახლედ გამოცხადება მკითხველის დაეკვირვებას გამოიწვევს რეალურად არსებულის მიმართაც კი“.

აქ სავესებით გასაგები არ არის? შენგელიას მოსაზრება და პოზიცია!

ჯერ ერთი: წინასწარ იგი მკითხველის მაგივრად ასე რატომ განიცდის „რეალურად არსებულის“ საექვოდ მიჩნევის საკითხში?

მეორე: ვარძიაში, რომ აფთიაქი მოქმედებდა „მისი როლი რატომ არ უნდა გავზარდოთ“?

და მესამე: ვინა თქვა, რომ ვარძიაში წამლის სასახლის არსებობით ჩვენ ვარძიის ციხე-სიმაგრე მთლიანად წამლის სასახლედ გამოვაცხადეთ?

ასეთი ბრალდება ჩვენი მისამართით უსაფუძვლოა, მით უმეტეს, საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული პიროვნებისაგან რომელიც აფთიაქის აღმოჩენის ფაქტს, როგორც ისტორიულ მოვლენას, უდიდეს მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს! ფაქტების კონსტატაციის საფუძველზე ვარძიაში 800 წლის წინათ წამლის სასახლის — აფთიაქის აღმოჩენას და აღიარებას არც „გაზვიადებდალ“ და არც „გადაჭარბებდალ“ არ უნდა გვითვლიდეს ჩვენ, მის მომხრეს, საქართველოს მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარი პროფ. მ. შენგელია.

1986 წლის ოქტომბერში აღინიშნა ციხე-ქალაქ ვარძიის დაარსებიდან 800 წლისთავის იუბილე. და თუ (აქ სათუო არაფერია, ს. ს.) ვარძიაში 800 წლის წინათ აფთიაქი არსებობდა, ჩუმად რატომ უნდა ვიყოთ? რატომ არ უნდა გავაგებინოთ ცივილიზებულ მსოფლიოს ვარძიაში აფთიაქის არსებობის ფაქტი? პირიქით: რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ და სხვა მოწინავე ერების ენებზე უნდა გამოვავქვეყნოთ ოფიციალური ინფორმაციები, რათა ყველამ გაიგოს ვარძიაში აფთიაქის არსებობის შესახებ. ასეთი მსჯელობა საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის პროპაგანდის უვალსაზრისით უფრო მართებული იქნება, ვიდრე ჩვენი ისტორიული წარსულის წარმოჩინების საკითხი ჩავეკეტოთ ვიწრო რესპუბლიკურ ჩარჩოებში და საჩოთირო როლი ვიკისროთ მისი დაქინებითა და უმართებულო დამცირებით. სწორედ ვარძიის 800 წლისთავის იუბილის შემდეგ უნდა დაკანონდეს აფთიაქის არსებობის 800 წლისთავის მრგვალი თარიღიც. მთავარია პრინციპის ერთგული დავრჩეთ ბოლომდე. თუ, ვარძიაში აფთიაქი გვექონდა, ამის შესახებ ოფიციალური პროპაგანდა არც გადაჭარბებაა, არც გაზვიადებაა და ასეთი აღიარება არც „რეალურად არსებულის მიმართაც კი“ დაეჭვებას არ გამოიწვევს, როგორც პატ. მ. შენგელიას აქვს წარმოდგენილი. ჩვენ კი პირიქით გვეგონა, ასეთი ინფორმაციების გამოქვეყნება ფრიად საჭირო და სასარგებლოა საქართველოს მედიცინის ისტორიის პროპაგანდის თვალსაზრისით.

სულ სხვაგვარად გამოიყურება მალაქის მალაქის კომპიდან 70—80 მეტრით დაშორებული თახჩებიანი ნაგებობა? ეს პრაგმატიული ფუნქციის განსაზღვრის საკითხი. პროფ. მ. შენგელია ამავე სტატიის 61-ე გვერდზე წერს: „რაც შეეხება ქვათახვის (საიდან გაჩნდა ტერმინი „ქვათახვი“? მალაქაძეების ეკლესიიდან და კერძოდ სოლომონ მალაქის კომპიდან „ქვათახვი“ 3—4 კმ. არის დაშორებული. ჩვენ მიერ წამლის სასახლე-აფთიაქი მალაქაძეების ეკლესიასთან იქნა აღმოჩენილი და არა „ქვათახვიში“! ს. ს.) უჯრებიან ნაგებობას ავტორები: (პროფ. ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე, ს. ს.) არ თვლიან აფთიაქად, რაშიაც ისინი ჩვენი აზრით მართლები არიან“. „დასკვნის“ პროფ. მ. შენგელია. აქ კი პროფ. მ. შენგელიას უზუსტობა აშკარაა და აი რატომ. უფლისციხესა და ვარძიაში არსებული თახჩებიანი ნაგებობის — აფთიაქის უარყოფის საკითხში იგი არ ეთანხმება პროფ. ლ. მარუაშვილს და კ. ხარაძეს, ხოლო მალაქაძეების

ეკლესიის შემოგარენში ანალოგიური თახჩების (ჩვენ მიერ აღმოჩენილი, ს. ს.) პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისას მხარს უჭერს ზემოხსენებულ ავტორებს, რომლებიც „არ თვლიან აფთიაქად, რაშიც ისინი, მ. შენგელიას აზრით, მართლები არიან“. შემდეგ კი მ. შენგელია თავის აზრს ასეთნაირად ანვითარებს: „ფართობის სიმცირის გამო იქ (მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში არსებულ თახჩებიან ნაგებობაში და არა ქვათახევიში, ს. ს.) ვერ მოთავსდება ვერც წამლის მკეთებელი და ვერც მომხმარებლისათვის წამლის გამცემი პირი“. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხში დაიმეტრულად საწინააღმდეგოა.

ჯერ ერთი, ვარძიის აფთიაქად აღიარებულ № 70-ე ოთახს 20 მ² ფართობი უჭირავს, კავთურას ხეობაში აღმოჩენილ თახჩებიან სათავსოს კი 10 მ² ფართობი, რომლებსაც (ორთავეს) მეზობელ ოთახთან დამაკავშირებელი კარები ჰქონდათ და ეს თავისუფალი სივრცე დღესაც სახეზეა.

სად არის ლოჯიკა?

თურმე ვარძიაში 20 მ² ფართობის ოთახში წამლის მომზადებელი პერიონალი და გამცემი პირი მოთავსდება, 10 მ² მოცულობის ოთახში კავთურას ხეობაში კი მ. შენგელიას აზრით, ასეთი პროცედურების შესრულება შეუძლებელია (?), განა რა განზომილების წამლის მკეთებელი — მედპერსონალი გვყავდა, რომ 10 მ² ფართობის ოთახში ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობას? თანამედროვე სტერილური ხსნარების მოსამზადებელ ბოქსებში, რომელთა ფართობი 10 მ²-ია, თავისუფლად ხერხდება ურთულესი ფარმაცევტული პროცედურების შესრულება. სოლომონ მაღალაძის კომპის მახლობლად, სადაც თახჩებიანი ნაგებობა დღემდე შემორჩა ყამთა სვლას, ერთ ჰექტარამდე ზონდორია გადაჭიმული, განსაკვიფრებელია მხოლოდ პროფ. მ. შენგელიას ის უხერხული არგუმენტი, რომ ვარძიის კლდე-ქარაფებში წამლის მომზადებელი პერსონალი თავისუფლად მოთავსდებოდა წამლის სასახლეში, ხოლო ანალოგიურ წამლის სასახლეში კავთურას ხეობაში არქეოლოგიური გათხრების ჩატარებამდე, წინასწარ როგორ განსაზღვრა დღევანდელი მდგომარეობით ასეთი უარყოფელი ვარაუდი, 600 წლის წინათ რა ხდებოდა კავთურას ხეობაში, როგორ შეიძლება ასე დაბეჭითებით „წარმოიდგინოს“ XX საუკუნის მკვლევარმა? თურმე ნუ იტყვი!

„ვერ მოთავსდებოდა ვერც წამლის მკეთებელი და მომხმარებლისათვის წამლის გამცემი პირი!“ წარსულის ასეთნაირად წარმოდგენა მართლაც რომ გაცეხას იწვევს. ასეთი პრიმიტიული არგუმენტი თუ გამოდგება წამლის სასახლის ფუნქციის მინიჭების, ან უარყოფისათვის, დაე ეს მკითხველმა თავად განსაჯოს. ეს კიდევ რა, ტექსტის 62-ე გვერდზე სრული ალოგიურობაა დაბეჭდილი პროფ. მ. შენგელიას მიერ. „მაგრამ, ჩვენი აზრით, ის (მაღალაძეების აფთიაქი, ს. ს.) არც სამტრედეა ეს უთუოდ „კოლუმბარიუმი“... ამ სიტყვის თანამედროვე განმარტება ასეთია: „კოლუმბარიუმი“ (ლათ. Columbarium) აავადპირველი მნიშვნელობა სამტრედეა (Columba — მტრედე)“. განა ქართული გამოთქმა „სამტრედე“ და ლათინური „კოლუმბარიუმი“ ერთი და იგივე მნიშვნელობის სინონიმები არ ყოფილა? მაშ ფრაზა — „მაგრამ ჩვენი აზრით ის არც სამტრე-

დეა და არც „კოლუმბარიუმი“, ეს როგორღა გავიგოთ? სამტრედე — სამტრედე არ ყოფილა (!) ამ გაურკვეველობაში ან რედაქციული შეცდომა უნდა ვივარაუდოთ ან ავტორის საკუთარ ლოგიკასთან დაშორება! სამტრედე კოლუმბარიუმის შესახებ უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან, ცნობილია რომ, „თავიანთი პირვანდელი ისტორიული მნიშვნელობა დროთა ვითარებაში ძველ რომში დაუკარგავს და იგი (გვამის) კრემაციის შემდეგ მიცვალებულის ფერფლიანი ურნის შესანახი ადგილი გამხდარა“¹. და შემდეგ ამ სტატიაში პროფ. მ. შენგელიას საბოლოო დასკვნა ასეთია: „მისაღებია ავტორთა (პროფ. ლ. მარუაშვილის და კ. ზარაძის) მოსაზრება, რომ ქვათახევის (განსაცვიფრებელია, რომ ქვათახევეში არავითარი უჯრებიანი ნაგებობა არ არის, ს. ს.) უჯრებიანი ნაგებობა არ არის აფთიაქი, მაგრამ მისი აღიარება სამტრედედ სწორი არ არის. აქ უსათუოდ (დაუფკვირდეთ პროფ. მ. შენგელიას კატეგორიულ მტკიცებას „უსათუოდ“, ს. ს.) კოლუმბარიუმის არსებობასთან გვაქვს საქმე“. გოცებას იწვევს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. რატომ შეიძვეალა „მაღალაძეების ეკლესია“ და სოლომონ მაღალაძის კოშკი, სადაც ჩვენ მიერ აფთიაქი იქნა აღმოჩენილი „ქვათახევით“ პროფ. მ. შენგელიას კონცეფციით?

როგორც ირკვევა ასეთი თვითნებური კორექტივა ერთი მეტად ულოგიკო „დასკვნის“ გამოტანისათვის განდა საჭირო:

საქმე შემდეგშია:

ვინაც საქმის ვითარებას იცნობს, მისთვის ნათელია, რომ ეს უცნაური უჯრებიანი ნაგებობა სოლომონ მაღალაძის კოშკიდან 70-80 მეტრის მანძილზეა დაშორებული, ხოლო ქვათახევის ეკლესიასთან არავითარი უჯრებიანი ნაგებობა არ არსებობს (!), პროფ. მ. შენგელია კი წერს: „ქვათახევის უჯრებიანი ნაგებობა კი თავისი აღნაგობით სიფიწროვითა და სიღრმით, შეუძლებელია სამტრედე ყოფილიყო. ის უსათუოდ კოლუმბარიუმი თანამედროვე და თვით შუა საუკუნეების გაგებით“. ვიმეორებ, რომ ქვათახევის ეკლესიასთან არავითარი უჯრებიანი ნაგებობა არ არსებობს.

მკითხველი, რომ ჩაწედეს საქმის ნაღმევი არსში, საჭიროა, გავარკვიოთ სოლომონ მაღალაძის კოშკიდან 3—4 კმ-ის ზევით ქვათახევის ეკლესიასთან რატომ გადააქვს თვითნებურად პროფ. მ. შენგელიას „უჯრებიანი ნაგებობა?“

აქ აუცილებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტის გახსენება. პროფ. მ. შენგელია ჩვენ სპეციალურად წაიყვანეთ მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში უჯრებიანი ნაგებობის დასათვლიერებლად საკავშირო მედიცინის ისტორიკოსთა ქ. თბილისის თათბირ-სემინარის შეკრების მონაწილეებთან ერთად. ფაქტია, რომ ოფიციალური მოსაწვევით ჩვენ მონაწილეობა მივალბინეთ მას მაღალაძეების კოშკების და კავთურას ხეობის ტერიტორიული ნაწილის დათვლიერებაში, როგორღა 1984 წელს მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის მედ.

¹ Словарь иностранных слов под редакцией И. В. Лехина и проф. Ф. Н. Петрова, издание пятое стереотипное. Госиздательство иностранных и национальных словарей. Москва, 1955, стр. 336..

მეცნიერებათა აკად. წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ბ. პეტროვი, მოსკოველი დოც. ე. გრიბანოვი, აწ განსვენებული პროფ. ი. ქურჩიშვილი, პროფ. ა. გელა-შვილი, და ჩვენი ქვეყნის სამედიცინო ინსტიტუტების მედიცინის ისტორიის კათედრის მთელი რიგი წამყვანი სპეციალისტები. შედეგი გაშუქდა საქართველოს ტელევიზიით: უფროსი „მოამბეში“ და „ექსტრემში“. გაკეთდა მნიშვნელოვანი ტელეინტერვიუები ჩანაწერები და ამის შემდეგ მაღალაძეების წამლის სასახლის-აფთიაპის ქვათახევის უჯრებიან ნაგებობად „გადაკეთება“, ცოტა არ იყოს უღელმეორეობადაც უნდა მივიჩნიოთ პატ. მ. შენგელიას მხრივ. აი თურმე საქმე რაში ყოფილა. „მაღალანთ კარში მონღოლების შემოსევის დროს მტრებმა ცეცხლზე დაწვეს ეკლესიის სამასი ქართველი მსახური“. ჭერ ერთი არავეს დაუდგენია ეკლესიის მსახურთა რიცხვი სამასი რომ იყო.

მეორე. ეს მოხდა არა მაღალანთ კარში, არამედ ქვათახევის ეკლესიაში. ამ არეულ-დარევეს, რომ თავი დავანებოთ, ნამდვილად რა მოხდა, ამის დამადასტურებლად იხილეთ „ქართლის ცხოვრების“ მეოთხე ტომის (თბ. 1973 წ.) 340 გვ-ზე გამოქვეყნებული ტექსტი: „ქვათახევეს... ამასშინა შეჰყარა ლანგთემურმა მოწესენი... და გამოსწუნა ყოველი ეკლესიასა შინა და ჩანს დღესა იატაკსა ზედა ბელნი, ფერხნი. თავნი და გუამნი, არაენი შევალს ფეხცმული, არამედ ფერხშიშველნი სიწმინდისათვის“.

თუ სამასი მოწესე დაწვეს, მაშინ 500 თახჩიანი ნაგებობა, რატომ ააშენეს? თანაც, თუ ქვათახევეში დასწვეს მონღოლებმა „მოწესენი“ — ქართული ეკლესიის მსახურნი, მაშინ 3-4 კმ-ის დაშორებით რატომ ააგეს სოლომონ მაღალაძის კოშკთან უჯრებიანი ნაგებობა?

განა ქვათახევის ეკლესიასთან არ შეიძლებოდა უჯრებიანი კოლუმბარიუ-ნის აშენება? ასეთი მსჯელობა აშკარა ულოგიურობაა პროფ. მ. შენგელიას მხრივ!

აქვე მოშველიებულია ასეთი ყალბი ფრაზა: „ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების გამოჩენილ მკვლევარს, პროფ. ი. ციციშვილს მიაჩნია ეს არქიტექტურული ძეგლების „ნაგებობა“ არაა „სამტრედე“, ის „კოლუმბარ-იუმია““.

რატომ ვაბრალებთ პატ. ირაკლი ციციშვილს იმას, რაც მას არსად დაუწერია და არც გამოუქვეყნებია?

იყო ასეთი ფაქტი.

როცა საქართველოში ამ რამდენიმე წლის წინათ ხელოვნების საკითხებზე საერთაშორისო სიმპოზიუმში მიმდინარებდა, იტალიელ სპეციალისტს. პროფ. ემანუელ ანატის ბატონმა ირაკლიმ ვარძიაში ყოფნისას შეკითხვით მიმართა ეს უჯრებიანი ნაგებობა მისი აზრით რა უნდა ყოფილიყო?

იტალიელმა სტუმარმა უპასუხა, „კოლუმბარიუმი“ სავარაუდოაო. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ რომში კოლუმბარიუმის მშენებლობა ტრადიციული იყო, დაბეჯითებით, პროფ. ე. ანატის არ განუცხადებია, რომ ვარძიაში არსებული თახჩები კოლუმბარიუმიაო და ამას ირაკლი ციციშვილს რატომ მიაწერს პროფ. მიხეილ შენგელია ჩვენთვის გაუგებარია. მით უმეტეს

ასეთი მოსაზრების დასადასტურებლად არავითარი ლიტერატურული წყარო და სქოლიო არ არის მიითვებული. რაც არ არის როგორ უნდა მიეთითებია? უკრებიანი ნაგებობა კავთურას ხეობაში ქვათახევის ეკლესიიდან 3—4 კმ-ით არის დაშორებული და ამ ორი ძეგლის: ქვათახევისა და მალალაძეების ეკლესიების ერთიმეორეში არევა საქმეში ჩაუხედაობით უნდა იქნას ახსნილი, რაც უფლებას გვაძლევს ეჭვის ქვეშ დავაყენოთ მ. შენგელიას კვალიფიკაცია უკრებიანი ნაგებობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრის საკითხში. ვენდოთ ისეთ ავტორ-მკვლევარს თახჩების პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრის საკითხში, ვინც ერთიმეორისგან ვერ არჩევს „ქვათახევის“ ეკლესიას „მალალაძეების“ ეკლესიისაგან?

რა თქმა უნდა, აქ ბევრი რამ არის დამაფიქრებელი და დასაზუსტებელი პროფ. მ. შენგელიას პოზიციების გასარკვევად. პირველ რიგში მეცნიერული კეთილსინდისიერება! აი როგორია პატ. მ. შენგელიას საბოლოო დასკვნის სავარაუდო არგუმენტი: „აღვილი შესაძლებელია (ე. ი. „შესაძლებელია“ და დამტკიცებული არ არის, ს. ს.), რომ ქვეთახევის ზემოთხსენებული თახჩებიანი ნაგებობა (ქვათახევაში არავითარი თახჩებიანი ნაგებობა არ არსებობს, ჩვენმა ოპონენტმა ვერ გააჩნია ქვათახევი და მალალაძანთ ეკლესია ერთიმეორისაგან. ს. ს.) კოლუმბარიუმი იყოს, სადაც ინახებოდა ძათი, (300 „მოწესენის“ ფერფლი. მაშ 500 თახჩა რატომაა დღეს სახეზე? სავარაუდოა, რომ თახჩების რაოდენობა თავიდან მეტიც იყო ს. ს.) კრემაციის შედეგად დარჩენილი ფერფლიც შემცველი ურნები“. მაშასადამე, მკითხველი ადვილად მიგვიხვდება იმ ფაქტს, რომ ქვათახევაში არ არსებულ უკრებიან ნაგებობაზეა ლაპარაკი, ხოლო სოლომონ მალალაძის კოშკთან ახლი მდებარე თახჩებიანი ნაგებობის ქვათახევაში თვითმიზნურად გადაადგილება რა მიზანსაც ემსახურება, ესეც თავისთავად ცხადად ცხადია. ლოგიკურობას, რომ არ დავშორდეთ და ქეშმაჩიტების ძიების გზას არ ავცდეთ, საჭიროა გავცხსენოთ საყოველთაოდ მიღებული ფრაზა: „ობიექტურ პაექრობასა და აზრთა კიდილის პროცესს მივეყვართ ქეშმაჩიტების დადგენამდე“. ქეშმაჩიტების მოგება კი ყოველი მკვლევარის სანუკვარი ოცნებაა. ჩვენ კავთურას ხეობაში მალალაძეების ეკლესიის შენობასთან ახლო აღმოჩენილ უკრებიან ნაგებობას სანამ წამლის სასახლის — აფთიაქის ფუნქციას მივანიჭებდით უამრავი დასაშვები ალბათობა გავითვალისწინეთ. საინტერესოა, მაინც ისეთი რა არგუმენტი გვაქვს ასე დაბეჭითებით რომ ვაცხადებთ ეს უკრებიანი უცნაური ნაგებობა აფთიაქის ტიპის დაწესებულება იყო შუა საუკუნეებში? გავცეთ პასუხი ამ შეკითხვას: კავთურას ხეობის ტერიტორიული რეგიონის დაბეჭითებით შესწავლას ჩვენ შევუდექით ამ 10—12 წლის წინათ, როცა სამედიცინო ხელნაწერ ჯ. ფონდ № 877-ში მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი მახარებელი იხსენიება, „მჩხრეკელის“ და „მშრომელის“, ეპათეტებით! აქ ჩვენ გავგვახსენდა „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, იგივე ფარმაკოპეა, სადაც ზაზა ფანასკერტელთან ერთად ნახსენებია მახარებელ მალალაძე. ბუნებრივია, ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ორი საგვარეულოს: ყინწვისის და მალალაძეების ეკლესიების ტერიტო-

რიული მონაკვეთების შესწავლა საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიის თვალსაზრისით. ყინწვისის ეკლესიის შემოვარენში „საეკლესიო შედევრებისათვის“ დამახასიათებელი მაინცა და მაინც კერაფერო ვერ ვნახეთ, გარდა იმისა, რომ ეკლესიის დამატებით ეგვიპტურში ზაზა ფანასკერტელის ფრესკა სამკურნალო მცენარეებით არის დამშვენებული. ცნობილია, რომ XVII საუკუნეში მუხრანის ბაგრატიონებს: მეფე ვახტანგ V (შაჰნავაზს), მის შვილებსა და ძლიერ ფეოდალურ გვარს ფანასკერტელ-ციციშვილებს შორის საქმე იქამდე გამწვავებულა, რომ საბარათიანოს სპასპეტი, სახლთუხუცესი ზაზა პაპუნას-იე ფანასკერტელ-ციციშვილი მოუკლავთ სამეფო კარზე, რასაც შედეგად მოჰყოლია ამ საგვარეულოს ფეოდალური პრივილეგიების დაკარგვა, მთელი რიგი ისტორიული სიველ-გუჟარების მოსპობა და ქონების კონფისკაცია. შესაძლებელია, „დიდი წინაპრის ზაზა ფანასკერტელის“ გამოსახულება ყინწვისის ეკლესიაში ბათქაშით რომ იყო განკუთვნილი და მხოლოდ მისი გადაფხეკვის შემდეგ იქნა აღდგენილი — ეს სწორედ მუხრანის ბაგრატიონებსა და ფანასკერტელ-ციციშვილებს შორის შინაგანმა ომმა და ანტაგონისტურმა განწყობილებამ გამოიწვია. ამიტომ პირველწყაროება და ზაზას მიერ დაარსებული სამედიცინო განათლების მისაღები დაწესებულება აქ თუ არსებობდა, აშკარაა, იგი ხელოვნურად გაუნდგურეს ფანასკერტელ-ციციშვილებს მუხრანის ბაგრატიონებმა. ყინწვისის ეკლესია არ დაანგრეს. მაგრამ ზაზას ფრესკას, დამატებით ეგვიპტურში ბათქაშში გადაუსვენეს (?).

მალაქების მიმართ კი. როგორც პ.პ.უა მალაქის ანდერძის ტექსტიდან ნათლად ირკვევა, ასეთ ფაქტს ადგლი არ ქონა... პირიქით, ბაგრატიონების სამეფო საგვარეულოს და მალაქების წარმომადგენლებს შორის საუკუნეების მანძილზე მეგობრული ურთიერთობა სუფევდა. აქ ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ უცხო ტომების შემოსევის შედეგად უმოწყალოდ ნადგურდებოდა ეროვნულ-კულტურული საგანძურის იშვიათი ნიმუშები. ჩვენდა საბედნიეროდ, კავთურას ხეობაში ზოგიერთი რამ გადარჩა. გადარჩა ის ნაგებობა, რომელიც დღეს საქართველოს მედიცინის და ფარმაციის ისტორიის მკვლევარებისათვის ფრიალ მნიშვნელოვანია. ეს გახლავთ თახჩებიანი ნაგებობა, წამლის სასახლე-აფთიაქი. ბუნებრივია, ისმება კითხვა — რა არგუმენტები გაგვაჩნია, რომ ამ უჯრებიან ნაგებობას აფთიაქის ფუნქცია მივანიჭოთ?

ერთ-ერთი უპირველესი და გადამწყვეტი არგუმენტი ის ფაქტი გახლავთ, რომ მალაქების საგვარეულოს წარმომადგენელს, მახარებელ ოქროპირისძე მალაქაძეს XV საუკუნის მეორე ნახევარში, „მკურნალ“ და „ბრძენთმთავარ“, დიდი ზაზა ფანასკერტელის მითითებათა საფუძველზე მონაწილეობა მიუღია წამლის ფორმების მოსამზადებელი წესების საკრებულო წიგნის — კარაბადინის, იგივე ფარმაკოპეის შედგენაში.

კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხი ჩვენ მიერ იმდენად დამაჯერებლად იქნა გარკვეული და ისტორიული პირველწყაროებით ახსნილი, ასევე, ირანული, არაბული ლინგვისტური ლექსიკონების ზეშველიებით დამტკიცებული, რომ მათი იგივეობის გარკვევა სპეციალისტთა შორის დავას 35. ს. სალუქიაძე.

გამოსაწვავად არის საჭირო, ფერფლის მეტი არა დარჩებოდა რაო! ასე ვფიქრობდით. რომ ეს თახჩები წიგნების დასაწყობი თაროები — ბიბლიოთეკა ხომ არ იყო შუა საუკუნეების საქართველოში, მაგრამ ასეთი მოსაზრება უსუსური აღმოჩნდა, სამტრედე, რომ არ იყო ეს თახჩებიანი ნაგებობა ჩვენ ეს არგუმენტირებულად დავამტკიცეთ (იხილეთ პროფ. მ. მარუაშვილისა და კ. ხარაძის კონცეფციების საფუძვლიანი კრიტიკა), კოლუმბარიუმიც რომ არ იყო, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გვამის კრემატია და ფერფლის შენახვა საქართველოში არასოდეს ყოფილა ტრადიციული რელიგიური რიტუალი და რატომ უნდა აეშენებინათ ჩვენს წინაპრებს ვარძიაში, უფლისციხესა და მალაღანთ კოშკების შემოგარენში ფერფლის შესანახი „კოლუმბარიუმები“? აწ განსვენებულმა პროფ. იოსებ ქუჩიჩიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს თახჩებიანი შენობა შეიძლება წყლის გასაფილტრავი ნაგებობა იყო შუა საუკუნეების საქართველოში. მაგრამ წყლის გაყვანილობის მსგავსი არაერთი ნაშთები არ იქნა აღმოჩენილი ამ შენობის ირგვლივ და წყლის გამფილტრავი სანიტარული, პიგიენტური ნაგებობის ფუნქციის მინიჭების ვერსია იმთავითვე იქნა უარყოფილი. ჩვენ იმასაც ვფიქრობდით, ამ თახჩებში ზარბაზნის ქურგებს ხომ არ იწახვდნენ ჩვენი წინაპრები და აღმოჩენილი მამა-ბორწყალი — პინცეტი „დაურჯავის“ ფუნქციას ხომ არ ასრულებდა? მაგრამ ასეთი მოსაზრებები ძირშივე იქნა უარყოფილი. მხოლოდ იმიტომ, რომ კარაბადინის შედგენაში მახარებელ მალაღანის თანამონაწილეობის ფაქტი და ვარძიაში არსებული თახჩებიანი, ნაგებობის, წამლის სასახლის — აფთაქის ანალოგიური შენობის აღმოჩენის ფაქტი, მალაღანეების ეკლესიის შენობიდან 700—800 მეტრის მანძილზე უარყოფს სხვა დანარჩენ ვერსიებს. ამით, ერთხელ კიდევ, წერილობითი საბუთით დასტურდება, რომ სხვა, ანალოგიური დღემდე ცნობილი თახჩებიანი ნაგებობა აფთაქად უნდა მივიჩნიოთ. არქეოლოგიური ძიების შედეგად მოსალოდნელი აღმოჩენები ალბათ კიდევ უფრო განამტკიცებს ასეთ მოსაზრებას. პატ. მ. შენგელიას უფრო დაშვებდებოდა ჩვენ მიერ გამოქვეყნებული შრომების მიმოხილვა, რომელიც „ძეგლის მეგობარში“ იყო გამოქვეყნებული ჯერ კიდევ 1981 წელს (იხილეთ ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, № 57, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. სოკრატ სალუქვაძე „მალაღანთ ტაძრის საიდუმლოებანი“, გვ. 54—59), ასევე, ჩვენი პლაკატების ტექსტების სრული, კრიტიკული, ობიექტური ანალიზი იყო საჭირო პატ. მ. შენგელიას მხრივ. ასევე, აუცილებელი იყო კავთურას ხეობის 10 წლის კვლევა-ძიების შედეგების გაცნობისათვის პატ. მ. შენგელიას მოწვევა საქართველოს მედიცინის ისტორიის საზოგადოების პლენარული სხდომა, მოეცა ჩვენთვის მოხსენებები გამოსვლის საშუალება, სპეციალისტებს ემსჯელათ ჩვენი გამოკვლევების ავტორიანობის შესახებ. მას, როგორც წამყვან სპეციალისტს, ობიექტურად შეეჯამებინა ყოველივე და მეცნიერული დასკვნა გამოქვეყნებინა პრესაში. ეს იქნებოდა სამართლიანი და კანონზომიერი მოვლენა. მაგრამ ასეთი ოღონისძიებები, სამწუხაროდ, არ ტარდება საქართველოს მედიცინის ისტორიის საზოგადოებაში.


მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში ჩვენ მიერ აღმოჩენილი თახჩებიანი ნაგებობა იმავეთვე წამლის სასახლედ — აფთიაქად მივიჩნიეთ, ვინაიდან ამ მოსაზრებას ადასტურებს არაერთი მტიციე არგუმენტი.

პროფ. მ. შენგელია ამ ნაგებობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრის მცდელობისას აშკარად ცდება, როცა აცხადებს, რომ ეს წამლის სასახლე კი არა კოლუმბარიუმიაო, ამასთან, ერთმანეთში ურევს და ვერ განუსხვავებია ქვათახევისა და მაღალაძეების ეკლესია. როგორც მსგავს შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, აქ კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია. კიდევ მეტი, დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ პატ. მიხეილ შენგელიამ 50-იანი წლების ბოლოს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა „სამკურნალო წიგნ — კარაბადინზე“ (პირველ ნაწილზე — თავიდან 176 გვერდამდე) და დღემდე ვერ არის გარკვეული კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხში.

დიდ მადლობას მოვასხენებ საქართველოს სსრ კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და პატივცემულ გიორგი აფრიდონიძეს იმ მზრუნველობისათვის, რომელიც მათ გაიწიეს ამ მონოგრაფიისათვის საკუთარ ლიტერატურის შერჩევასა და მოწოდებაში. ასევე, ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის სექტორის განგეს ქალბატონ ციალა თაყაიშვილს ბიბლიოგრაფიულად იშვიათი ლიტერატურის მოწოდებისათვის.

ფასდაუღებელია ამ მონოგრაფიაში გამოქვეყნებული ფოტომასალების და საერთოდ საქართველოს წამალმცოდნეობის ისტორიის ფოტოკოლექციის შექმნის საქმეში ჩემი გულითადი მეგობრის, ჟურნალისტ ედუარდ გიგილაშვილის ღვაწლი.

სააფთიაქო მუზეუმისათვის განკუთვნილი ჩვენ მიერ შეგროვებული 100-ზე მეტი ფოტოკოლექტი გამოფენილია თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკევტული საქმის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის საგაზოფენო დარბაზში, პეროვსკაიას ქუჩის № 22-ის შენობაში.



არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ჩვენ მიერ მაღალაძეების ეკლესიასთან აღმოჩენილი იქნა თახჩებიანი ნაგებობა. ამ მონოგრაფიის 123-ე და 207-ე გვ-ზე გამოკვეთებულია ვარძიის აფთიაქის და უფლისციხის თახჩებიანი ნაგებობის ფოტოები. 124-ე გვერდზე დაბეჭდილი ეტრუსკული და რომაული კოლუმბარიუმის პრაგმატული ფუნქცია და კონსტრუქცია დიამეტრიულად განსხვავდება უფლისციხის, ვარძიისა და მაღალაძეების თახჩებიანი ნაგებობისაგან. ამიერდან ეს 500 თახჩიანი ნაგებობა საქართველოს მედიცინისა და წამალმცოდნეობის ისტორიაში შევა, როგორც „მაღალაძეების წამლის სასახლე — აფთიაქი“.

გამოსაწვავად არის საჭირო, ფერფლის მეტი არა დარჩებოდა რაო! ასე ვფიქრობდით, რომ ეს თახჩები წიგნების დასაწყობი თაროები — ბიბლიოთეკა ხომ არ იყო შუა საუკუნეების საქართველოში, მაგრამ ასეთი მოსაზრება უსუსური აღმოჩნდა, სამტრედე, რომ არ იყო ეს თახჩებიანი ნაგებობა ჩვენ ეს არგუმენტირებულად დავამტკიცეთ (იხილეთ პროფ. მ. მარუაშვილისა და კ. ხარაძის კონცეფციების საფუძვლიანი კრიტიკა), კოლუმბარიუმშიც რომ არ იყო, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გვამის კრემაცია და ფერფლის შენახვა საქართველოში არასოდეს ყოფილა ტრადიციული რელიგიური რიტუალი და რატომ უნდა აეშენებინათ ჩვენს წინაპრებს ვარძიაში, უფლისციხესა და მალაღანთ კოშკების შემოგარენში ფერფლის შესანახი „კოლუმბარიუმები“? აწ განსვენებულმა პროფ. იოსებ ქუჩიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს თახჩებიანი წენობა შეიძლება წყლის გასაფილტრავი ნაგებობა იყო შუა საუკუნეების საქართველოში. მაგრამ წყლის გაყვანილობის მსგავსი არავითარი ნაშთები არ იქნა აღმოჩენილი ამ შენობის ირგვლივ და წყლის გამფილტრავი სანიტარული, ჰიგიენური ნაგებობის ფუნქციის მინიჭების ვერსია იმთავითვე იქნა უარყოფილი. ჩვენ იმასაც ვფიქრობდით, ამ თახჩებში ზარბაზნის ჭურვებს ხომ არ ინახავდნენ ჩვენი წინაპრები და აღმოჩენილი მასა-ბორწყალი — პინცეტი „დაურყაის“ ფუნქციას ხომ არ ასრულებდა? მაგრამ ასეთი მოსაზრებები ძირშივე იქნა უარყოფილი. მხოლოდ იმიტომ, რომ კარაბაღინის შედგენაში მახარებელ მალაღანის თანამონაწილეობის ფაქტი და ვარძიაში არსებული თახჩებიანი, ნაგებობის, წამლის სასახლის — აფთაქის ანალოგიური შენობის აღმოჩენის ფაქტი, მალაღანეების ეკლესიის შენობიდან 700—800 მეტრის მანძილზე უარყოფს სხვა დანარჩენ ვერსიებს. ამით, ერთხელ კიდევ, წერილობითი საბუთით დასტურდება, რომ სხვა, ანალოგიური დღემდე ცნობილი თახჩებიანი ნაგებობა აფთაქად უნდა მივიჩნიოთ. არქეოლოგიური ძიების შედეგად როსალონდელი აღმოჩენები ალბათ კიდევ უფრო განამტკიცებს ასეთ მოსაზრებას. პატ. მ. შენგელიას უფრო დაშენდებოდა ჩვენ მიერ გამოქვეყნებული შრომების მიმოხილვა, რომელიც „ძეგლის მეგობარში“ იყო გამოქვეყნებული ჯერ კიდევ 1981 წელს (იხილეთ ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, № 57, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. სოკრატ ხალუქვაძე „მალაღანთ ტაძრის საიდუმლოებანი“, გვ. 54—59), ასევე, ჩვენი პლაკატების ტექსტების სრული, კრიტიკული, ობიექტური ანალიზი იყო საჭირო პატ. მ. შენგელიას მხრივ. ასევე, აუცილებელი იყო კეთურას ხეობის 10 წლის კვლევა-ძიების შედეგების გაცნობისათვის პატ. მ. შენგელიას მოეწვია საქართველოს მედიცინის ისტორიის საზოგადოების პლენარული სხდომა, მოეცა ჩვენთვის მოხსენებით გამოსვლის საშუალება, სპეციალისტებს ემსჯელათ ჩვენი გამოკვლევების აკვარგიანობის შესახებ. მას, როგორც წამყვან სპეციალისტს, ობიექტურად შეეჯამებინა ყოველივე და მეცნიერული დასკვნა გამოქვეყნებინა პრესაში. ეს იქნებოდა სამართლიანი და კანონზომიერი მოვლენა. მაგრამ ასეთი ღონისძიებები, სამწუხაროდ, არ ტარდება საქართველოს მედიცინის ისტორიის საზოგადოებაში.


მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში ჩვენ მიერ აღმოჩენილი თახჩე-
ბიანი ნაგებობა იმთავითვე წამლის სასახლედ — აფთიაქად მივიჩნიეთ, ვინაი-
დან ამ მოსაზრებას ადასტურებს არაერთი მტკიცე არგუმენტი.

პროფ. მ. შენგელია ამ ნაგებობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრის
მცდელობისას აშკარად ცდება, როცა აცხადებს, რომ ეს წამლის სასახლე კი
არა კოლუმბარიუმიაო, ამასთან, ერთმანეთში ურევს და ვერ განუსხვავებია
ქვათახევისა და მაღალაძეების ეკლესია. როგორც მსგავს შემთხვევაში ამბობენ
ზოლმე, აქ კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია. კიდევ მეტი, დამაფიქრბე-
ლია ის ფაქტი, რომ პატ. მიხეილ შენგელიამ 50-იანი წლების ბოლოს სადოქ-
ტორო დისერტაცია დაიცვა „სამკურნალო წიგნ — კარაბადინზე“ (პირველ ნა-
წილზე — თავიდან 176 გვერდამდე) და დღემდე ვერ არის გარკვეული კარა-
ბადინისა და ფარმაკოპიის იდენტურობის საკითხში.

დიდ მადლობას მოვახსენებ საქართველოს სსრ კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და პატივცემულ გიორგი აფრიდონიძეს იმ
მზრუნველობისათვის, რომელიც მათ გამოიწიეს ამ მონოგრაფიისათვის საჭირო ლიტერატურის
შერჩევასა და მოწოდებაში. ასევე, ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სა-
ხელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის სექტორის განგეს ქალ-
ბატონ ცილა თაყაიშვილის ბიბლიოგრაფიულად იშვიათი ლიტერატურის მოწოდებისათვის.

ფასდაუღებელია ამ მონოგრაფიაში გამოქვეყნებული ფოტომასალების და საერთოდ სა-
ქართველოს წამალმცოდნეობის ისტორიის ფოტოკოლექციის შექმნის საქმეში ჩემი გუ-
ლითადი მეგობრის, ეურნალისტ ედუარდ გიგილაშვილის ღვაწლი.

საფთაიქო მუზეუმისათვის განკუთვნილი ჩვენ მიერ შეგროვებული 100-ზე მეტი ფო-
ტოკოლექტენტი გამოყენილია თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკევტული საქ-
მის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის საგამოფენო დარბაზში, პეროვსკაის ქუჩის
№ 22-ის შენობაში.



არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ჩვენ მიერ მაღალაძეების ეკლესიასთან აღმოჩე-
ნილ იქნა თახჩებიანი ნაგებობა. ამ მონოგრაფიის 123-ე და 207-ე გვ-ზე გამოქვეყნებულია
ვარძიის აფთიაქის და უფლისციხის თახჩებიანი ნაგებობის ფოტოები. 124-ე გვერდზე და-
ბეჭდილი ეტრუსკული და რომაული კოლუმბარიუმის პრაგმატული ფუნქცია და კონსტრუქცია
ლიამეტრიულად განსხვავდება უფლისციხის, ვარძიისა და მაღალაძეების თახჩებიანი ნაგებო-
ბისაგან. ამიერიდან ეს 500 თახჩებიანი ნაგებობა საქართველოს მედიცინისა და წამალმცოდ-
ნეობის ისტორიაში შევა, როგორც „მაღალაძეების წამლის სახახლე — აფთიაქი“.

ქართული მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ისტორიის ზოგიერთი პრობლემის გამო*

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ქართული მედიცინის ისტორია მეცნიერული კვლევის საგანი არ ყოფილა — მაშინ, როცა ქართულ ხალხურ მედიცინასა და წამალთმცოდნეობას ისტორიულად უაღრესად დიდი ტრადიციები მოეპოვებოდა.

საგულისხმოა, რომ ამ ტრადიციების ძლიერმა ექიმ შორეულ, — წინაანტიკური ხანის — კოლხეთის სამეფოში არგონავტების ლაშქრობისა და მოგვიანებით მითრიდატე პონტოელის ეპოქების (ძველ-ბერძნულ-რომაულ ისტორიულ-ლიტერატურულ ცხოვრებიდან მომდინარე) მთელმა ამ, უკვე ლეგენდებში გადაზარდილმა შემკვიდრებამ, წარმატებულმა გამმოცემებისა და წყაროთა სახით ჩვენამდე მოაღწიეს.

გრძნეული კოლხი — მკურნალი ქალის, მეფე აიეტის ასულ მედეას ბინდაკრული ცხოვრება და სამედიცინო მოღვაწეობა საგრძნობლად გასცდა ისტორიული კოლხეთის ფარგლებს და იგი (მედეა), ძველი წინაანტიკური სამყაროს სამედიცინო ტრადიციების ერთ-ერთ ალიარებულ ემბლემურ სახედ წარმოგვიდგება.¹

მედეას სახელთან დაკავშირებული სამედიცინო ცოდნა-გამოცდილებანი და სამკურნალო მცენარეთმცოდნეობა, მედიცინის მსოფლიო ისტორიაში *Cura Mediana*-ს სახელითაა დამკვიდრებული.²

ა. იოსელიანი „პირველი ქართული სამედიცინო ჟურნალი“ — ქართული სამკურნალო ფურცელის სახელწოდებით (ექიმ ვ. ღამბაშიძის რედაქტორობით) ჟურნალის გარეგან ყდაზე მედეაა გამოხატული დაფნის გვირგვინით, გაშლილი წიგნით მარჯვენა ხელში და მარცხენა მკლავზე შემოხვეული გველით.³

არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად მივიჩნიოთ, ასევე ის ფაქტი, რომ

* რამდენამე შენიშვნა პროფიზორ ს. სალუქვაძის ძიებებზე.

¹ კურტ შპრენგელი თავის ნაშრომში — „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორია“, რომელიც ხუთ ტომად გამოიცა ჰალეში, I ტომში განხილულია ძველი კოლხური მედიცინის ისტორიული მნიშვნელობა. Kurt Sprengel - versuch einer pragmatischen Geschichte der Arzneykunde, Halle, 1800.

² Грибанов Э. Д., Георгадзе В. И. «Эмблемы медицины», Тбилиси, «Сач-чота Сакарთველო», 1979.

³ იხ. „საბჭოთა მედიცინა“, 1978 წ. № 2, გვ. 53.

მედვას სამედიცინო მოღვაწეობის ერთ-ერთ გამგრძელებლად 1-ლ საუკუნეში ძვ. წ-ით მითრიდატე პონტოელი, ასევე კოლხეთის და კაბადოკიის მპყრობლად გვევლინება. მითრიდატე რომის უზარმაზარ იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლებში დამარცხდა, რის შედეგადაც მტერმა ხელთ (ნადავლის სახით) იგდო მითრიდატეს სამეცნიერო ლაბორატორია. სადაც პირველად ჩაეყარა საფუძველი აქაპტაციის მეთოდით მკურნალობას, რაც ერთ-ერთ მონაპოვრად რჩება მედიცინის ისტორიაში „მითრიდატიუმის“ შექმნასთან ერთად.

პონტოს ქვეყნის შემადგენელი ნაწილი იყო შავიზღვისპირეთის კოლხურიბერულ ქართველურ ტომთა სამკვიდრო. ეს ადგილები ძველ წ. VI საუკუნიდან, წყაროებში, ასევე კაბადოკიად იწოდებოდა, სადაც ცხოვრობდნენ ტაბალტიბარენები (იბერები), ხალიბები, მოსინიკები, მოსხები, რომლის შვილად და კანონიერ ნაშიერად თვით მეფე მითრიდატე გვევლინება. მითრიდატეს სატახტო ქალაქი სინოპე იყო, ხოლო მის სამეფოს შემადგენლობაში სხვა ქვეყნებიც შედიოდა. მის ერთ ვაჟს მახარეს მინდობილი ჰქონდა ბოსფორის სამეფოს მართვა-გამგეობა.

ქართველ ტომთა სამედიცინო კულტურის მაღალი დონის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები ბრინჯაოსა და რკინის იარაღები და თიხის ქურქელი, რომელნიც ძვ. წ. მე-2 ათასწლეულით თარიღდებიან. ამასთანავე, წინა ანტიკური ხანის ბერძნულ და შოგვიანებით ბერძნულ-რომაულ კულტურასთან ორგანულად დაკავშირებულ ძველ კოლხურ სამყაროზე, რომელზეც წარმტაცი თქმულებანი შეიქმნა არგონავტებისა სათანადოდ აისახა, ასევე ბერძნულ-რომაულ მწერლობაში.¹

მეცნიერული მედიცინა საქართველოში, ისე როგორც სხვა მოწინავე ქვეყნებში, ისტორიულად ხალხური მედიცინის უმდიდრეს ტრადიციულ გამოცდილებათა პრაქტიკასთან კავშირის გაღრმავებით იკაფავდა გზას. ქართული ტომები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი წინა აზიის უძველესი ცივილიზაციის მონათესავე შუმერულ, ხეთურ-სუბარულ ხალხებთან და ბუნებრივია ისინი უზიარებდნენ, ასევე მედიცინის დარგში მპოვებულ გამოცდილებებს.²

ხალხური მედიცინის განვითარების გარკვეულ საფეხურებზე, კერძოდ, საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების ეპოქაში, საფუძველი ეყრება პროფესიულ მედიცინასა და ფარმაკოლოგიას. ჩნდება ხელნაწერი სამედიცინო წიგნები. ასეთებია: „უსწორო კარაბადინი“ (XI ს.), „წიგნი საეჭიო“ (XIII ს.), „სამკურნალო წიგნი“ ზაზა ფანასკერტელისა და მახარებელ მაღალაძისა (XV ს.), „იადიგარ დაუდი“ დ. ბაგრატიონისა (XVI ს.) და სხვა.

რუსთაველის ეპოქის საქართველოში მედიცინას განვითარების მაღალ საფეხურისათვის მიუღწევი. ვეფხისტყაოსანი, ასევე მოიცავს და

¹ Латышев В. В., Известия древних писателей греческих и латинских о скифии и Кавказе — «Вестник древн. истории 1948, № 1.

² Б. შინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ. 1981 წ.

ნათლად წარმოაჩენს მდიდარ მემკვიდრეობას და დიდ ტრადიციებს, რომლის-თვისაც ქართველ ხალხს მედიცინის დარგში უკვე რუსთაველის ეპოქაში მიულ-წევია.¹

ქართული ხალხური მედიცინის დაწინაურება-განვითარების მრავალსაუ-კუნოვანი ისტორიიდან ჩვენ აქ მოკლედ მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერ-დებით, ესაა ყვავილის აცრით მკურნალობის საკითხი.²

ყვავილის აცრით ეფექტურად მკურნალობის ცოდნა-გამოცდილების საქ-ვეში ძველ ქართულ მედიცინას დიდი ტრადიციები: მოეპოვება. მაგ. XVI საუ-კუნეში მესხეთ-ჯავახეთში აღუაშვილები და შეზღვევ ხარისჯირაშვილები იცნო-ბდნენ „ხარის ჳირით“ მკურნალობის მეთოდით ყვავილის აცრის ხელოვნებას და იყენებდნენ კიდევ პრაქტაკაში.

გიულდენშტედტის ცნობით 1772 წელს აბილისში ყვავილის ეპიდემია გაჩენილა. 15 მაისს თბილისში 100-ზე მეტი ბავშვისთვის „აუჭრიათ“, ანუ აუტრიათ ყვავილი, ქართული, ადგილობრივი წესით. „მე ვადევნებდი თვალ-ყურსო“ წერს ავტორი, როგორც აცრის პროცესს, ასევე აცრილთა მოვლა-პატრონობის წესს და 100-ვე ბავშვი 19 მაისამდე გამოჯანსაღდა. სიკვდილი-ანობის, ან გართულების შემთხვევის გარეშე ისე, რომ თვით ბავშვებს ნაყ-ვაილარიც კი აღარ აჩნდათო.“³

1867 წელს სანკტ-პეტერბურგში პირველად გამოქვეყნდა ი. ვეროიკინის სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც განხილულია ყვავილით დაავადების ის-ტორიის საკითხები. ავტორი დიდი გულმოდგინებით სწავლობს ყვავილის გავრცელებისა და აცრით მკურნალობის ისტორიას. მისი დაკვირვებით ევ-როპელ მედიკოსებს არ მიუქცევიათ ყურადღება ყვავილის აცრით მკურნალო-ბაზე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთი და აღმოსავ-ლეთის ზოგ სხვა ქვეყნებში. იგი სათითაოდ სწავლობს აცრის ამ წესებს აღ-ნიშნულ ქვეყნებისას,—მათ თავისებურებებს. ი. ვეროიკინი საგანგებოდ ჩერ-დება საქართველოსა და კავკასიაში ყვავილის აცრით მკურნალობის წესზე და დასძენს, რომ: „Нигде, по видимому оно не было в таком громадном употреблении...“. როგორც ამას საქართველოსა და კავკასიაში ვხვდებით და უჭონდა ადგილიო. „...операцию эту производили там старухи“. შენიშნავს ავტორი ი. ვეროიკინი და თავისი მოსაზრების საბუთიანობისათვის არაერთ ნარკვევს და წყაროს ემყარება. მაგ. 1715 წელს ვენეციაში და 1717 წელს ლაიპციგში გამოცემულ პილორინოს ნაშრომებს — „два трактата о но-вом средстве как прививанием заражато оспу“. იგი ამასთანავე უთითებს

1 მ. შენგელია, ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ. 1981 წ., გვ. 97-187.

2 И. Веревкин. История оспы в России и меры к ее уничтожению. С.-П., 1867, стр. 60—61.

3 გიულდენშტედტი ნოგზაურობა საქართველოში, ტ. 1. თბ. 1962, გვ. 63—67.

თიმონის, ბოიერის, კასტროს, კენედის და სხვათა ნაშრომებს, რომელთაც მიიპყრეს ევროპელ ექიმთა ყურადღება, ყვავილის აცრით მკურნალობის ადრე მათთვის უცნობი ქართული ხერხებით აცრა-გადანერგვის მეთოდის გამოყენების სასურველ შედეგებზე, ავტორი აქვე ეხება რუსეთში ყვავილის მკურნალობის აცრის მეთოდის გავრცელებას, ჩერდება ეკატერინე II-სა და მისი მემკვიდრის „ცარსკოე სელოში“ ინგლისელ თომა დიმზარის მიერ ყვავილის აცრის ფაქტზე, მის დადებით შედეგებზე და სხვა. ავტორი ცდილობს მიზნობრივად ახსნას, თუ რატომ გავრცელდა რუსეთში აცრის ეს წესი, იმ დროს, თავისი დადებითი შედეგებით.

ი. ვერიოვკინი უარყოფს ზოგიერთების მოსაზრებას, რომ, თითქოს, აცრით ყვავილის მკურნალობა, მაგ. ინგლისში ზინეთოდან იქნა შეტანილიო. იგი ემყარება 1755 წლის ნოემბერში და 1758 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ წაშრომს. „О прививании оспы князицею“ (იხ. გვერდი 271—281), სადაც ყვავილს მკურნალობდნენ სისსლის გამოშვებით და ოპიუმის მიღებით, რომელსაც საერთო არაფერი არ აქვს არც საქართველოსა და არც ევროპაში იმ დროს გავრცელებულ ყვავილის მკურნალობასთანო.¹

ფეოდალური საქარაველოს განვითარების მაგისტრალური გზები ისტორიულად დასავლურ-აღმოსავლურ სამყაროს სავალ გზებზე გადიოდა. იგი დაკავშირებული იყო ძველ სპარსულ-არაბულ და ბერძნულ-ბიზანტიურ ქვეყნებთან უშუალოდ თავისი ეროვნულ ადგილობრივი და საზღვარგარეთული — კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებითაც და არასოდეს ყოფილა იზოლირებული მსოფლიო ცივილიზაციისაგან.

ფეოდალური ხანის საქართველოში გარდა იმისა, რომ წარმატებით გრძელდებოდა და ვითარდებოდა მედიცინისა და წამალმეცოდნეობის ადრინდელი ტრადიციები, ამერიდან ქვეყნის ახალი, — შედარებით უფრო პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების კვალდაკვალ, მედიცინის განვითარება თვისებრივად ახალ სტადიაში შედიოდა.

შლა საუკუნეების ქართული მედიცინა ემყარებოდა მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს და ძირითადად გალენის წესით მომზადებული წამლის ფორმებით მკურნალობდნენ. იყენებდნენ აგრეთვე, რა თქმა უნდა, პრიმიტიული ხერხებით, ენდროკრინულ — ცხოველური წარმოშობის ორგანოთერაპიულ საშუალებებს, რომელიც მედიცინის ისტორიაში „ვევიდა როგორც „მსგავსის — მსგავსით“ მკურნალობა. ასე მაგალითად: თუ ღვიძლი სტკიოდათ, ან ელენთა, საქონლის ღვიძლს, ან ელენთას აჭმევდნენ. იყენებდნენ ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც ღვთიურ, ზებუნებრივ, რელიგიურ, ასტრალურ სიმბოლური მკურნალობის მეთოდებს, შელოცვებს და ასე შემდეგ. კერძოდ, ფეოდალიზმის ეპოქაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის არაერთ

¹ ვრცლად იხ. ა. იოსელიანი, აცრით ყვავილის მკურნალობის ისტორიიდან ძველ საქართველოში, საიუბილეო კრებული. ივანე ჯავახიშვილი, თბ. 1977 წ., გვ. 134—154.

ქვეყანაში აღმოცენებული ქართული სამონასტრო და საეკლესიო საგანმანათლებლო ცენტრები, თავისთავადაც იყვნენ მოწოდებულნი, ასევე ეზრუნათ სამედიცინო განათლების, როგორც ეროვნული ტრადიციების განვითარებაზე, ასევე ამ სფეროში სხვა მეზობელ ხალხში დაგროვილ გამოცდილებათა და მსოფლიოში სახელგანთქმულ მედიკოსთა ნაშრომების ქართულ ენაზე გადმოთარგმნისა და საქართველოში დანერგვა-გავრცელებისათვის.

საგულისხმოა და სიმპტომატურიც ის ფაქტი, რომ საქართველოს ძნელ-ზედობის ხანაშიაც კი XVI ს-ის I ნახევარში მოსკოვიდან ათონში წარგზავნილ საგანგებო პირს ათონის ივერიის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავისაგან მიღებულ 156 წიგნთა შორის მოხსენებულია ისეთი უნიკალური ხელნაწერი სამედიცინო ძეგლები, როგორებიცაა — ორიბაზის სამედიცინო წიგნი 4 ტომად (XVI ს), გალენის სამედიცინო თხზულებანი (XV—XVI სს) და სხვ. (იხ. ბელოკუროვის „არსენ სუხანოვი“ ნაწ. 1-ლი, 1891).

XII—XVI საუკუნეებში და განსაკუთრებით რუსთაველის ეპოქის საქართველოს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის აღორძინებასთან ერთად, მედიცინის დარგებისა და წამალთმცოდნეობის საქმეს განვითარების საკმაოდ მაღალ დონისათვის მიუღწევია.

სამკურნალო მცენარეების შერჩევასა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩაყენებას ძველი ქვეყნების ხალხური მედიკოს-ფიტოთერაპევტები უხსოვარ ღრვიდან მიმართავდნენ. ფეოდალიზმის ეპოქაში მიწათმოქმედების განვითარების კვალდაკვალ სამკურნალო ველური მცენარეების გამოყენებასთან ერთად, ასევე ხორციელდებოდა მათი მოშინაურობა და კულტურული ჯიშების გამოყვანა-განაშენიანება.

ძველი აღმოსავლეთის, ეგვიპტისა და ბაბილონის მდიდარი ტრადიციები ნაირსახოვან სამკურნალო მცენარეებით მკურნალობის შესახებ, განვითარების ახალ თვისებრივობაში გადაიზარდა ბერძნულ-რომაულ-ანტიკურ სამყაროში. პერძენი ექიმი და ფილოსოფოსი, მედიცინის მამად მიჩნეული პიპოკრატე ასობით სამკურნალო მცენარის აღწერით: და მისი გამოყენების განსაზღვრით. ასევე იგი გვევლინება მეცნიერული ფიტოთერაპიის საფუძველჩამყრელად.

საქართველო მდიდარი ფლორით, ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური ხელსაყრელი პირობების გამო მცენარეებით მკურნალობასთან ერთად სანელსაცხებლო-სურნელოვან სუნამოთა, ზეთისა, ხილის წვენებისა და უმეტესად ვაზის კულტურის პირველხარისხოვანი პროდუქტების, — ბადაგისა, ღვინისა და სხვა წარმოების იმთავითვე დიდ კერად ითვლებოდა. ქართულ ხალხურ მედიცინაში, დაახლოებით 372 სახეობის სამკურნალო მცენარეა აღრიცხული.

სამკურნალო მცენარეების გავრცელება და ასევე სამყოფელ ადგილებში სამკურნალო მცენარეთა მოზრდილ, ან მცირე წალკოტების გაშენება იმ დროს და ისეთ პუნქტებში, სადაც ნაკლებად არსებობდა სამედიცინო დახმარების კერები და საექიმო პერსონალი, სრულებითაც არ წარმოადგენდა უჩვეულო მოვლენას.

სამკურნალო მცენარეთა წალკოტის გაშენების მედეასეული წესი ხალხის

ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამომხატველ ტრადიციულ საშუალებად წარმოგვიდგება.

ფეოდალურ საქართველოში, როგორც ეს მიღებულია უძველეს დროიდან ყმა გლეხებით დასახლებულ ფეოდალს დიდ მამულში საკუთარ სასახლესთან ერთად, ჰქონდა ციხე და ეკლესია საძვლე-სამარხით. შაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ისინი, ასევე თავიანთ ჯანმრთელობაზედაც ზრუნავდნენ. ასეთი კომპლექსები უმეტეს წილად აღმოსავლეთ საქართველოში მრავლად მოიპოვებდა. რომელთა ნაშთებმა XIX ს-მდეც კი მოაღწია. ისტორიულად აღმოსავლეთ საქართველოში მედიცინისა და წამალთმცოდნეობის საქმე, როგორც ირკვევა გვიან ფეოდალურ ხანაში მცხეთის ეკლესიის უწყებას უფრო ექვემდებარებოდა, ვიდრე საერო მედიცინას (?!).

გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოში კი ჩვენ რამდანადმე სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. აქ სასოფლო ეკლესიის მშენებლებად უმეტესწილად თვით გლეხები გვევლინებიან. გლეხები აშენებდნენ და მხატვრები ამშენებელ პატრონ თავკაცთა ხსოვნასაც უკვდავოფდნენ, მათი სახის ეკლესიაშივე მოხატვითა და გვიარის წარწერით. მაგ. სოფელ ხომულში (XV ს.). ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე გამოხატულია გლეხი ჩაკვეტამე, ასომთავრული წარწერით. ასე მოხატულ საყდრებს ქუთაისისა და წყალტუბოს სოფლებში ჩვენ საქმაოდ ვხვდებით. სასოფლო ეკლესიებს, როგორც ირკვევა მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ფუნქციები ჩამოშორებული უნდა ჰქონოდა.

გარკვეული პირობების გამო იმ ძნელ დროში, როცა სოფელს არც ექიმი ჰყავდა, არც აფთიაქი გააჩნდა და ხალხური სამედიცინო ტრადიციებითა და კარაბადინით ხელმძღვანელობდნენ, ირკვევა, საქართველოს მთელ რიგ სოფლებში გავლენიან ფეოდალ-მემამულეს კეთილმოწყობილ კარმიდამოებში, სათანადო ყურადღება ექცეოდა სამკურნალო მცენარეების საოჯახო ბაღ-წალკოტთა მოშენებას. ეს სამკურნალო მცენარეები, ასევე გამოიყენებოდა მკვიდრი მოსახლეობისადმი სამედიცინო სამკურნალო პირველადი დახმარების გასაწევად, რაც ზრდიდა მემამულეს გავლენას გლეხზე სოფლის სინამდვილეში.

ამ ისტორიული სინამდვილის გადმონაშთებმა, იმერეთის რეგიონში ზოგ ფეოდალთა ოჯახებსა და მამულებში XIX—XX ს-მდეც კი მოაღწია, როცა აფთიაქები საქმაოდ გამრავლებული იყო.¹ მაგ. სოფ. გუშტიბში, რევოლუციამდე შემორჩენილი იყო კონსტანტინე იესეს ძე იოსელიანის კარმიდამო.

ამ კარმიდამოში იდგა ქვის სასახლე (სადაც დღეს საშუალო სკოლა არსებობს), და ქვის დიდი, ძველი აბაზანის გარდა შემორჩენილი სამკურნალო მცენარეთა წალკოტის ნაშთები იყო, დღემდე იმათგან უკვე, მხოლოდ გველურებულმა, რამდენიმე ჯიშმა მოაღწია, მაგ.: ძირტკბილამ, ბროწეულამ, უნაბის დიდმა ხეებმა, მელისკულამ, ასკილამ, მრავალძარღვამ, მაყვალმა და ზოგ-მა სხვამ.

¹ აფთიაქი, — „აფთიაქი“ — პირველად ქართულ წყაროებში XI ს. იოანე და ეფთვიანის ცხოვრებაში იხსენიება...

ამ სამკურნალო მცენარეებით ტრადიციულად, ძველად ამ ოჯახისა და მის მახლობელთა გარდა, ასევე მეზობელი გლეხებიც მკურნალობდნენ სათანადო რჩევის მიღებისა და წამლის მომზადების საფუძველზე.

აკაკი წერეთლის დედის, ეკატერინეს მიერ, სოფელ სხვიტორში გაშენებული დიდი ბაღი, ასევე სამკურნალო მცენარეებსაც შეიცავდა. ცნობილია, რომ ეკატერინე თავის ქალიშვილ ანასთან ერთად უსასყიდლოდ მკურნალობდა საჩხერის მხარის მოსახლეობას. (გაზეთი „თემი“, 1915 წელი, № 204).

სამკურნალო მცენარეების ბალ-წალკოტის მოტანილი მაგალითი როდია მხოლოდ ერთი სოფლის ლოკალური მოვლენა. უდავოა, რომ ასეთი კერები დასავლეთ საქართველოს სხვა სოფლებშიაც არსებობდა მეტ-ნაკლებად, როგორც ხალხური ტრადიცია. ეს უდაოა; ოღონდ საჭიროა ამ ფაქტის მეცნიერულად შესწავლა ისტორიულად და დროულად, — ვიდრე გვიან არაა, ცალკე სოფლების ყოფილ მემამულე-მფლობელთა კარმიდამოს მიხედვით, ხალხში შემორჩენილი გადმოცემისა და მოგონებების შეგროვების საფუძველზე.

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც მაღალაძეთა მოღვაწეობის მაგალითზე დასტურდება, სამკურნალო მცენარეების გავრცელებისა და მკურნალობის საქმე საეკლესიო მედიცინის უწყებას და მათ მსახურთ ექვემდებარებოდა. გვიანფეოდალური ხანის მთელ მანძილზე, როგორც წესი ფეოდალური მამული და თვით ფეოდალი თითქოს განთავისუფლებულია ამ ფუნქციისაგან, თუმცა გამონაკლისიც საკმაოდ უნდა ყოფილყოს იქ, სადაც საამისო ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა.

დასავლეთ საქართველოს ძველი — კოლხური (მედეასეული) ეს უმდიდრესი ტრადიცია ვერ ურიგდებოდა ლოკალურ შეზღუდულობას. იგი მთელ საქართველოში ცოცხლობდა, ოღონდ კლიმატურ სუბტროპიკული ბუნებრივი ზელსაყრელი პირობები იმერეთში, ბერძნების მიერ შექმბულ „მოხერისად“ წოდებულ ამ წარმატაც მხარეში ისტორიულად ხომ იმთავითვე ყველგან არსებობდა.

ამ მიმართულებით კვლევა-ძიება ჩვენში სამწუხაროდ არავის უწარმოებია; მაგრამ თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს და რაოდენ დიდი შედეგები შესაძლებელია მოპყვეს ამ სფეროში წამოწყებული მუშაობის გაღრმავებას, მეცნიერული კვლევა-ძიება კარგად ადასტურებს, მაგალითად მცხეთის საკათალიკოსო საყდრის ქადაგის მახარებელის მოღვაწეობა წინარეხში, სადაც სამკურნალო მცენარეების წალკოტი ყოფილა გაშენებული მაღალაძეების საგვარეულოს სახელთანაა დაკავშირებული და აქვეა აღმოჩენილი მაღალაძეების აფთიაქის ნაშთები¹.

¹ იხ. ს. სალუქვაძე, — „მაღალაანთ ტაძრის საიდუმლოებანი“. დაიბეჭდა „ძველის მეგობარში“, 1981 წ. № 58. ვიკლეულია მთელი რიგი სახეობანი და ჭიშები უკვე გველურებულ სამკურნალო მცენარეებისა, რომელთაგან ავტორის დაკვირვებით, წარსულში სამკურნალო პრეპარატებს ამზადებდნენ.

ახლად მოძიებულ მასალებით ირკვევა, რომ მცხეთის ქადაგის მაღალაძეების საგვარეულო საყდარსა და კარ-მიდამოში, წინარეხში სამკურნალო მცენარეებით გაშენებულ წალკოტისაგან მიღებული ნედლეულის გადამუშავება ხდებოდა და სააფთიაქო თანხებში მაშინდელი წესის მიხედვით ხორციელდებოდა თითქოს. ასევე, წერილობითი, ახლად მიკვლეული წყაროებით მტკიცდება, რომ მცხეთის საკათალიკოსო საყდართან დაკავშირებული მაღალაძეები, ამ სამკურნალო თავიანთ პრაქტიკას ოსტატურად უთავსებდნენ ასევე სამეცნიერო მოღვაწეობას მედიცინის სფეროში, „სამკურნალო წიგნ — კარაბადინს“ შემუშავებაში.

რაც შეეხება მაგ. გელათისა და იყალთოს სამკურნალო კერებს ე. წ. „საეკლესიო მედიცინას“ საკუთარი ქსენონით, ამის შესახებ საინტერესო წყაროები და უტყუარი ცნობებია გადარჩენილი. მაგალითად: დავით აღმაშენებლის მიერ ახლად აგებულ გელათის მონასტერთან შემატანეს ცნობით, ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეზე დაუარსებიათ საავადმყოფო, სადაც, ბუნებრივია, მკურნალ ექიმთან ერთად აფთიაქიც მოქმედებდა, მედიცინის სამეცნიერო დარგის მწიგნობარნიც მოღვაწეობდნენ.

ეს ტრადიცია, უპირველეს ყოვლისა, მცხეთის საკათალიკოსო ტაძრისაგან მომდინარეობდა ძველთაგანვე, მაგრამ თურქ-სელჯუკიანთა და მონღოლთათართა შემოსევების შედეგად შერყეულა. თ. ჟორდანიას „ქრონიკებით“ XII—XIII საუკუნეებში ეს ტრადიცია კვლავ აღმდგარა. მაგ. მცხეთის საკათალიკოსო ეკლესია მცხეთა არმაზის მიდამო-ადგილების გარდა სხვაგანაც ეწეოდა, როგორც ჩანს, სამკურნალო მცენარეების მოშენებას. ასეთი იყო კერძოდ წინარეხი. მაგ.: სამკურნალო-სამედიცინო მოღვაწეობას ირკვევა, წინათ „პატიოსანი ივანიძეების საქადაგო სახლი“ თაოსნობდა. მაგრამ „სოფლის ერთარებისაგან პატიოსანი ივანიძის საქადაგო სახლი და სახელო უმემკვიდრეო ქმნილიყო“, „ივანიძეების ტაძრითურთ“.

ასეთ პირობებში მცხეთის ქადაგის ივანიძეების სახელოს, — ტაძრისა და მამულების მფლობელად აღექსანდრე დიდისა (1412—1414) და მისი ძის გიორგის მეფობაში (1446—1466 წლები) მაღალაძეთა საგვარეულო დაუმკვიდრებიათ, მათ მემკვიდრეს სოლომონ მაღალაძეს წინარეხში მოგვიანებით ტაძრის მახლობლად კოშკი აუშენებია, სადაც საგანგებოდ მოუხატავს თავისი დიდი ოჯახის შემადგენლობა და წარმატებულადაც შეუშვია.¹

პროფ. კ. გრიგოლია და პროფ. ი. აბულაძე თავიანთ შესავალ წერილში „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 1950 წელს გამოცემულ თანდართულ ტექსტის ნარკვევში ვარაუდობენ, რომ მახარებელი ისტორიულად მხოლოდ ჩაღალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელთა საკუთარი სახელია. მაგრამ აღნიშნულის დამადასტურებელ წყაროზე არ მოუთითებიათ. მათ ასევე აღნიშნეს მხოლოდ, რომ „სამწუხაროდ მახარებლის: მიერ დაწერილ საბუთთა სხვა

¹ იხ. საქართველოს მუზეუმის მოამბის XIV ბ. ტომში 1947 წ. დაბეჭდილი ვ. ბერიძის ნარკვევი. წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVII-XVIII ს-ში, გვ. 196.

დედნებს ჩვენამდე არ მოუღწევია და ამდენად მისი ხელის შედარების საშუალება არ გვაქვსო“ (იხ. ზემოთ დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 21).¹

პროვიზორმა ს. სალუქვაძემ საქართველოს ძველი საბუთების არქივთსაცავში (სცსს არქივში) მიაკვლია ისეთ საბუთებს, რომელშიც მახარაბელ მალაღაძის მიერაა დაწერილი, და არაერთ მალაღაძეს XIV—XV საუკუნეებში მახარებელი რქმევია. I მოღვაწეობდა XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, II მახარებელ მალაღაძე XV საუკუნის II ნახევარში. ავტორმა საარქივო მასალებსა და თ. ჟორდანიას „ქრონიკებზე“ დაყრდნობით მოიძია, არა ერთი საბუთი, სადაც XIV—XV—XVI საუკუნეებში მალაღაძეთა გვარიდან, არა ერთი მახარებელია მოხსენებული, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდნენ, როგორც საეკლესიო უწყებაში, ასევე სამეფო კარზე და მის სამდივანმწიგნობრო უწყებაში.

ჩვენამდე მოღწეულ (1377 წ. „მაყაშვილების გუჯარი“, 1441—1442, 1477—1488, 1491 წ.წ.) ხელნაწერების შესწავლამ ნათელყო, თუ რომელი მახარებელი იყო „სამკურნალო წიგნის“ (კარაბადინის) დედნის გვერდებზე მოხსენიებული „მჩხრეკალის“ და „მშრომელის“ ეპითეტებით, ანუ მისი შექმნის თანამონაწილე. მაგ. 1401 წელს გიორგი მეფის აღაპის წიგნსა, რომელიც მახარებელ მალაღაძის მიერაა დაწერილი და კარაბადინის ხელნაწერს (ფონდი Q № 877) შორის კალიგრაფიული მსგავსება, რომ არ არსებობს, ეს ავტორმა ს. სალუქვაძემ გაარკვია.

ავტორი ამ გზით და სხვა არა ერთი დამაჯერებელი არგუმენტით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინში“ ორჯერ მოხსენიებული მახარებელი არის არა უბრალო მექანიკური გადამწერი, არამედ თანაავტორია კარაბადინისა და „საეკლესიო მედიცინის“ თვალსაჩინო წაქმომადგენელია. მცხეთის ქადაგის სახელო, ირკვევა, რომ, ოდითვანვე საეკლესიო სამედიცინო საქმის უწყებას ექვემდებარებოდა, ხოლო მათი მფლობელნი XIV—XV საუკუნეებში მალაღაძენი სამკურნალო წიგნისა და წამალთმცოდნეობის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას დიდ ღროს და ენერჯიას ახმარდნენ. ამ მიმართულებით, როგორც ეს ჩვენამდე მოღწეულ წყაროებით ირკვევა, განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის მახარებელ II ოქროპირისძე მალაღაძეს (და არა მახარებელ „ივანიას-ძე“ მალაღაძეს, როგორც აქამდე ეგონათ).

ქართულ ხელნაწერთა საცავებში, როგორც ვიცით, არა ერთ სამკურნალო წიგნს, ანუ კარაბადინს მოუღწევია. ამთვან ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იმსახურებს ვანტანგ VI მიერ 1724 წელს რუსეთში თან წაღებული „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“.

ეს წიგნი 1945 წ. ქ. გორკის საოლქო ბიბლიოთეკაში თ. ჭყონიამ აღმოაჩინა და ამჟამად დატულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კე-

¹ იხ. ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), საქმედგამი, თბილისი, 1950, გვ. 21.

კელიძის საჩუქრის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ჩხ. ფონდი Q № 877).

დასახელებული კარაბადინი — ხელნაწერი თავნაკლულია და უთარილო. ქართული სამეცნიერო ფართო საზოგადოება სავსებით ბუნებრივია, რომ დიდად დაინტერესდა ახლად აღმოჩენილი „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“, როგორც სამეცნიერო მნიშვნელობით, ასევე მისი შემდგენელ-ავტორის ზაზა ფანასკერტელისა, ამ წიგნის გადამწერ „მჩხრეკელად“ და „მშრომელად“ მიჩნეულ მახარებლის, — (ჩვენი ეროვნული მედიცინის ამ დიდ მოღვაწეთა) როგორც ვინაობით, ასევე იმის დადგენით: თუ რა წვლილი მიუძღვის თითოეულ მათგანს სამკურნალო წიგნის — ესოდენ სრულყოფის სახით შეთხზვა-შედგენის საქმეში.

ასეთ პირობებში სავსებით ბუნებრივად წარმოგვიდგება ამ სამედიცინო ეროვნული ძეგლის ყოველმხრივ შესწავლის საქმეში მეცნიერების სხვა დარგის მუშაეთა ჩაბმა და მათი მონაწილეობა. მეკლევარები: პროფ. ი. აბულაძე და პროფ. კ. გრიგოლია „სამკურნალო წიგნს“ XV-ის II ნახევრით ათარიღებენ. იგი ჩვენამდე მოღწეულ სხვა კარაბადინებისაგან გამოირჩევა თავისი სრულყოფით და შემოქმედებითი განსრულებით ხასიათდება. აღიარებულია, რომ ამ კარაბადინის ტექსტი ემყარება ძველ ქართულ სამკურნალო წიგნთა წყაროებს და ენობრივი რიგის ნიშნებითაც ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის (XII—XIII სს.) ფარგლებს არ სცილდება.

ამ ხელნაწერის თავფურცელს დაზიანების გამო, როგორც აღინიშნა, არც ამ წიგნის შემდგენელ-დამწერს ვინაობაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ სამაგიეროდ ხელნაწერ ტექსტში არაერთგზის იხსენიება „მკურნალი“ ზაზა ფანასკერტელი. „მჩხრეკალი“ (ანუ მწერალი) „ამისა უღირსი მახარებელი“ (მაღალაძე) ზაზა ფანასკერტელს უწოდებს, სინამდვილეში „პატრონს“, „ბრძენთ-მთავარს“ და „მკურნალს“. ეს კი საფუძველი გახდა აღრევისა: — მახარებელისა და ზაზას პიროვნებისა, იმისა, რომ ზაზა ფანასკერტელი, — ეს უგავლენიანესი თავადი და ასევე სახელმწიფო გამოჩენილი მოღვაწე (ავტორად ჩაეთვალათ), რომელიც საქართველოს ერთიანობისათვის იბრძოდა და ვაჟკაცურად უპირისპირდებოდა სამცხის ათაბაგს ყვარყვარე ჯაყელს, ამიტომ გაღმოსახლდა იგი ქართლში, და კერძოდ მზოვრეთში. ამის მიზეზი უნდა ექძიოთ ზაზას პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში, ერთიანი საქართველოს ძლიერებისათვის ბრძოლის მგზნებარე სურვილში, და ამავე დროს სამეფო კართან — ბაგრატიონებთან სიახლოვეში.

ამგეარ გულმოდგინე კომპლექსურ თანამშრომლობას ზაზა ფანასკერტელის სახელთან დაკავშირებულს უაღრესად ვრცელი ძეგლისა და ასევე მისი პეტად რთული ტექსტის მეცნიერულად დადგენისა და შესწავლის საქმეს სასურველი შედეგი მოჰყვა.

ფანასკერტელები ისტორიულ წყაროებში X საუკუნის მეორე ნახევრიდან იხსენიებიან. ასევე XV საუკუნის I-ლ ნახევარის წყაროებში ამ სახლის ორი საუკეთესო შვილი — თაყა და ციცი ფანასკერტელი — ლები იხსენიება. მაგ.: სამეფო კარის დიდი მოსახელე გამხდარა ციცის ძე ზაზა, რომელიც XV ს-ში კვლავ ფანასკერტელია. ამას, რო-

გორც ვაჩიძორის მღვიმეში (ტაო) ე. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი სიგელით დასტურდება, მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ეჭირა. (იხ. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩახვლში 1897 წლისა. პარიზი 1938, გვ. 61—67), მაგრამ XV ს. 60-იან წლებიდან ზაზა ფანასკერტელთა სახლი ტაოდან აყრილა, როგორც ითქვა ათაბაგთან უთანხმოებისა და სხვა გარკვეული მიზეზების გამო და ქართლის სამეფოში გადმოსახლებულა. იგი მხოვრეთ-ხვედურეთში, ჭამსა და ნიჩბისის ხეობის სანახებში და მის მიდამო ადგილებში მეფეს გაუძლიერებია, დამკვიდრებულა მხოვრეთში და აქ დიდი სამშენებლო, კულტურული კერები შეუქმნია. ზაზა ფანასკერტელს, იოანე ოქროპირის „სწავლანი“ გადაუწერიანებია და დიდ სახელმწიფო მოღვაწეობასთან ერთად, ეტყობა ის მეცნიერულ-ლიტერატურულ ნაყოფიერ კოლექციონერულ საქმიანობა-საც ეწეოდა.

ზაზა, საბუთებში — XV საუკუნის წყაროებში ფანასკერტელად იწოდება; მხოლოდ ზაზას მემკვიდრეებს, თავიანთ პაპის ციციის სახელიდან ახალ ადგილზე დამკვიდრების ვითარებაში „ფანასკერტელობაზე“ ხელი აუღიათ და ზაზას ვაჟის ქაიხოსროს ბრძანებით, ერთობლივად ფანასკერტელ-ციციშვილები გამხდარან. ამის შესახებ აწკურულ მარხვანის 1538 წლის ხელნაწერის ანდერძში მითითებულია „ფანასკერტელთა და აწ ციციშვილისა პატრონის სულკურთველის ზაალის შვილნი“-ოი (იხ. ი. აბულაძე ქართული წერის ნიმუშები თბ. 1949 წ. გვ. 207). ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ციციშვილებად ამრიგად ზაზას შვილები იწოდა. ჩვენამდე ჭერხნობით არაა მოღწეული საბუთი, სადაც ზაზა ფანასკერტელი XV საუკუნეში ციციშვილის გვარიითაც იწოდებოდეს, მაგრამ ციციშვილები, რომ ფანასკერტელთა ნაშიერ-შთამომავალნი არიან ეს იმდენად ცხადია, რომ არ შეიძლება სადაოდ იქცეს.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ მკვლევართა ამ დაუცხრომელ ძიების საფუძველზე მეცნიერულად გაირკვა და დაზუსტდა არა ერთი გადაუწყვეტელი, ბუნდოვანი და სადავო საკითხი, მაგრამ ამ ისტორიული მნიშვნელობის სამედიცინო დიდი ძეგლის არაერთი საკითხი, შეიძლება ითქვას, მაინც შეუსწავლელი რჩება: მაგ.: აქამდე განუხორციელებელი რჩება ამ ძეგლის ტექსტთა კრიტიკული შედარებითი შესწავლა, ჩვენამდე მოღწეულ სხვა კარაბადინებთან შედარებითი ანალიზის (მსგავსება-განსხვავების) დადგენის თვალსაზრისით, ისე როგორც ეს ი. აბულაძეს და კ. გრიგოლიას ჰქონდათ წარმოდგენილი. მათივე, აზრით ბურუსით იყო მოცული და საჭირო დამატებით დამამტკიცებელ საბუთებს მოითხოვდა ამ კარაბადინის ზეტორად ძეგლში მოხსენიებული პიროვნების აღიარება და სხვა. მაგალითად პროფ. ი. აბულაძე აღნიშნავდა,

1 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H 1x 1698, გვერდი 131.

რომ „ზაზას კარაბადინის ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის ასეთივე მოცულობის ხელნაწერი კარაბადინის პირი, ანუ კოპიო არ უნდა იყოს“. ავტორის აზრით „ზაზას კარაბადინი... უეკველია, როგორც ითქვა, სხვადასხვა წყაროს ნაკრებს უნდა წარმოადგენდეს... მათი დედანი კი რომელიღაც ქართული კარაბადინი უნდა იყოსო“. ი. აბულაძის ვარაუდითვე ასეთად „უსწორ კარაბადინი“ შეიძლება იყოსო.

ი. აბულაძე განმარტავს „მჩხრეკას“ და დასძენს, რომ ეს იხსენიება ძველი ხელნაწერების მინაწერებში და მათ სხვადასხვა წყაროს შეხამებაში, წეჯერება მოეთხოვებოდა დამოუკიდებლად, ან სხვისი დავალებით წერდნენ. მართლაც, მათ საქმიანობას კარგად ახასიათებს მათი სახელწოდებაც „მჩხრეკალი“, რომელიც ამსახველია წერის ტექნიკის ძველის-ძველ მანერისა“ (იხ. შესავალი, გვ. XXII).¹

აღნიშნული გარემოებანი გარკვევით მიგვანიშნებს „სამკურნალო წიგნის“ ასლებურად წამოჩენისაყენ. მაგრამ მახარებელ მაღალაძის პიროვნებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ცნობები ჩვენში 1950-იან წლებში ნაკლებად იყო ცნობილი, და ჯერ კიდევ მიუქვლეველი იყო მახარებლის ავტოგრაფი, მისი ხელით დაწერილი დედანი, მახარებლის მიერ დაწერილ კარაბადინის ტექსტის შედარებითი შესწავლისათვის, ამიტომ საფუძველი არ არსებობდა და გარკვეული დასკვნების გაკეთება ძნელდებოდა. „სამწუხაროდ, მახარებლის მიერ დაწერილ საბუთთა სხვა დედნებს ჩვენამდე აღარ მოუღწევია და ამდენად მისი ხელის შედარების საშუალება არა გვაქვს“, წერდნენ პროფ. კ. გრიგოლია და პროფ. ი. აბულაძე თავიანთ აქ დასახელებულ ხელნაწერის პუბლიკაციაზე თანდართულ აპარატის ტექსტის შესავალ წერილში. (იხ. გვ. XVI).

ამრიგად კ. გრიგოლიას და ი. აბულაძეს, რომ ხელთ ჰქონოდათ მახარებლის მიერ დაწერილი საბუთების ერთი დედანთაგანიც კი, ეკვი არაა მაშინ ისინი სრულიად სხვაგვარ დასკვნებს გააკეთებდნენ, ზაზა ფანასკერტელისა და მახარებელ მაღალაძის თანამშრომლობისა და მათი თანავტორობის შესახებ „სამკურნალო წიგნის“ (კარაბადინის) ერთობლივად შემუშავების საქმეში.

„სამკურნალო წიგნის -- კარაბადინის“ ამ მეტად საინტერესო საკითხების მეცნიერულად შესწავლისა და ძველი ქართული მედიცინის (უმეტესწილად წამალმცოდნეობის) ისტორიის პრობლემებისადმი გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან ჩვენი ყურადღება მიიპყრო საარქივო საბუთებმა „მჩხრეკალი“ მაღალაძის შესახებ და მასზე დამყარებულმა მოსაზრებებმა. მაგ.: ავტორმა ს. სალუქვაძემ საქართველოს არქივსაცავენსა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მოიძია, იპოვა და შეისწავლა სამკურნალო წიგნის შემუშავების მონაწილე მახარებელ მაღალაძის ხელით დაწერილი დედანი (ავტოგრაფი) და დაადგინა, მახარებლისა და მისი შთამომავლობის გენეალოგიური — ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და თავის

¹ ზაზა ფანასკერტელი სამკურნალო წიგნი „კარაბადინი“, „საქმედგამი“, თბილისი, 1950, 36. ს. სალუქვაძე

აქლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში — „ვინ იყო მახარებელ მალაქაჲ“ (იხ. საქცენტრარქივის სამეცნიერო საინფორმაციო ბიულეტენი გვ. 75—80, 1983). წარმოადგინა მახარებელ ოქროპირისძე მალაქაძის მიერ დაწერილი დედანი (ავტოგრაფი), 1491 წლისა — „ფანიაშვილების გუჯრად“ წოდებული. საბ. № 63.

ამ საბუთით პალეოგრაფიულად დადგინდა და გაიჩვენა, რომ „ციციშვილის“ „კარაბადინის“ არა მხოლოდ ძირითადი ნაწილია გადაწერილი მახარებელ მალაქაძის მიერ, არამედ უშუალოდ მის მიერაა დაწერილი წიგნის 1008 გვერდი. ამის საფუძველზე ს. სალუქვაძის მსჯელობა ლოგიკურია და სრც დამაჯერებლობასა მოკლებული, როცა იგი ახლებურად აყენებს საკითხს, ზაზა ფანასკერტელის სახელთან დაკავშირებულ „სამკურნალო წიგნის კარაბადინის“ თანავტორობის შესახებ.

პროვიზორ ს. სალუქვაძეს თავისი მოსაზრების გასამაგრებლად სხვადასხვა სახის საყურადღებო ახალი ცნობები და მასალები შეუგროვებია. მას კავთურას ხეობაში დამკვიდრებულ მალაქაძეთა კარმიდამოში აღმოუჩენია სააფთაქო თახჩები და სამკურნალო გველეურებული მცენარის სახეები.

დაუცნობელი შრომა მცხეთის საკათალიკოსო კარზე მახარებელისა, როგორც ქადაგისა, საეკლესიო მედიცინისა და მდივან-მწიგნობრული დარგის ამაღლარი მოღვაწისა. მალაქანთ საკარმიდამოში მოხატული ეკლესიის, კოშკისა და მათ შემოგარენში ბევრი სხვა საყურადღებო ძეგლებისა და პირველწყაროების შესახებ ცნობების მოძიების და მათი განზოგადოების საფუძველზე ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ მახარებელ ოქროპირისძე მალაქაძე არის „სამკურნალო წიგნის“ ანუ „კარაბადინის“ არა მხოლოდ მექანიკურად გადაწერილ-კალიგრაფი, არამედ ამ წიგნის თანავტორი, — ზაზა ფანასკერტელთან ერთად. ხოლო კავთურას ხეობის ტერიტორია მთლიანად XV საუკუნიდან და შეიძლება უფრო ადრეც, იყო „საეკლესიო მედიცინის“ ერთ-ერთი უძველესი კულტურის კერა.

რაც შეეხება მალაქაძეთა ვინაობას, ზემოთ აღნიშნულის გარდა მათ შესახებ მოგვეპოვება ასეთი ცნობებიც: მცხეთის საკათალიკოსო ქადაგის და მდივანობის სახელო მემკვიდრეობითად რჩებოდა მალაქაძეების გვარს. XIV-XVIII საუკუნეების მანძილზე, მათ ეჭირათ კარის-მწიგნობრის და მდივან-მწიგნობრის თანამდებობა მეფეების მცხეთის საეკლესიო კარზე, ხოლო მახარებელ I-ის სეხნიამ, მახარებელ II ოქროპირისძემ (XV ს.). დიდი კვალი გაავლო ქართული მედიცინის ისტორიაში, მაგრამ მალაქაძეების დაწინაურებულ გვარს, გარდა მდივანობისა სხვადასხვა სახელო ეჭირათ — საკათალიკოსო კარზე. ისინი მორდალის და სახლთუხუცესობის სახელოსაც ფლობდნენ. მაგ.: ქადაგის თანამდებობა 1543 წელს დიმიტრი მალაქაძესაც ეჭირა, 1501 წელს მახარებელი მალაქაძეს! საინტერესოა, რიგით რომელი მახარებელი მალაქაძეა ეს პიროვნება? მალაქაძეთა საგვარეულოდან პაპუამ, სვეტიცხოვლის ქადაგთან ერთად 1673 წელს პირველმა დაიმკვიდრა სახლთუხუცესის სახელიც. ეს სამკვიდრო სახელონი შემდეგ მისავე შვილებმა გაინაწილეს, როგორც საგვარეულოს სახელოები, მაგ.: რევაზიც სახლთუხუცესია, მისი ერთი ძმა ნი-

კოლოზი ქადაგი, ხოლო უმცროსი ძმა აღამი — მდივანი (ან გრძელდებოდა 1808 წლამდე). ვახტანგ VI კარზე თავი გამოიჩინა სახლთუხუცესი რევაზის შვილმა სახლთუხუცესმა მდივანმა სოლომონმა, რომელსაც დიდი წვლილი შეუტანია ვახტანგ VI სტამბის მოწყობის საქმეში. მას მხედრული სასტამბო შრიფტის ხელნაწერი ნიმუშების ესკიზები დაუმზადებია (იხ. 1712 წ-ს დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ტექსტი).

მაღალაძეთა საგვარეულოდან უაღრესად საყურადღებო მოღვაწედ მანუკ პაპუა მაღალაძე წარმოგვიდგება, 1681 წ-ს მეტად საყურადღებო ანდერძით, იგი გვევლინება შაჰნავაზის დროს მამადიანების გამუდმებული შემოსევებით დაქცეულ-გატიალებულ დაბა-სოფლების აღმდგენელ-გამშენებლად: მაგ.: სოფ. წინარეხში დამკვიდრებულს. იორი სასახლე, ბაღ-ზოსტნით გაუშენებია, ცხე-კოშკი აუგია სასახლის გვერდით, 1677 წელს და 1679 წ. „მაღალანთ ეკლესია“ მოუხატავს და მოუკაშმავს კანკელით“ მაგრამ XVIII ს. ყიზილბაშებისა და ოსმალების თარეშის შედეგად — „წინარეხის მაღალაშვილების სასახლე ზარბადადა ქცეული და გადამწვარია“. მიუხედავად ამისა ვახტანგ VI სამეფო კარზე ნამსახური მაღალაძეები 1740-იან წლებიდან აღდგენილ ქართლ-კახეთის სამეფოში კვლავ ნაყოფიერად აგრძელებენ მოღვაწეობას თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე.

პროვიზორი ს. სალუქვაძე მცხეთის საყდრის ქადაგ მაღალაძეების მდივან-მწიგნობრულ სამედიცინო საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან ერთად გულდასმით სწავლობს ზაზა ფანასკერტელის შესახებ არსებულ წყაროებს და გვთავაზობს საკმაოდ საინტერესო ნაშრომებს, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში დაგროვდა. იგი ყურადღებას ამახვილებს ამასთანავე ზაზა ფანასკერტელის ბიოგრაფიისა და საგვარეულო წიგნთსაცავის ისტორიის ზოგიერთ საკითხებზე, ყინწვისის ეკლესიის ეგვტერის — ზაზა ფანასკერტელის იკონოგრაფიულ ფრესკაზე შემორჩენილ სამკურნალო მცენარეების იმდროინდელ სტილიზირებულ გამონახულებებზე და ცდილობს, ეს ფაქტი მედიცინის თვალსაზრისით — უმთავრესად ფარმაკოგნოზით ახსნას. და საერთოდ კი სწორად იქნეს გაგებული საქართველოს მედიცინის ისტორიაში ზაზა ფანასკერტელის როლისა და ღვაწლის საკითხი. იგი იყო „ბრძენთმთავარი“ „მკურნალი“ და „პატრონი“. ამავე დროს ამ უნიკალური კარაბადინის შექმნის ინიციატორი, თუ არა ზაზა ჩვენს დღევანდელ შთამომავლობას ხელთ აღარ გვექნებოდა ეს კარაბადინი. ამიტომ ზაზა ფანასკერტელის ადგილი განუზომელია ქართველი ერის ისტორიაში.

პროვიზორ ს. სალუქვაძე ამასთანავე დაინტერესებულა, მახარაბელ მაღალაძესაც ჭეროვანი ადგილი მიუუჩინოთ საქართველოს მედიცინის და წამალთმცოდნეობის ისტორიაში. ეს მოსაზრება კი არგუმენტირებულია პალიოგრაფიული-შედარებითი ანალიზით და პირველწყაროებით. ამიერიდან ამ დიდი წვლილისა და ღვაწლის გამო, მახარაბელ ოქროპირისძე მაღალაძემ ჭეროვანი ადგილი უნდა დაიკავოს საქართველოს მედიცინის ისტორიაში.

ესაა სიახლე, რომელიც ჩვენის აზრით ამდიდრებს ქართულ სამედიცინო

დიდ მემკვიდრეობას. ირკვევა და დოკუმენტურად მტკიცდება, რომ „ბრძენთ-მთავარ“ ზაზას... გვერდით უდგა ასევე „ბრძენი“ და „მჩხრეკალი“ მახარებელ მაღალაძე, რომელიც შთამომავლობისაგან საუკუნეების მანძილზე ამაოდ ვლოდა მოხსენიებას და წარმოჩინებას. ამასთანავე ინტერესს იწვევს ავტორის დაკვირვება, დამყარებული მედიცინის ისტორიის დიდი მკვლევარის კურტ შპრენგელის გამოკვლევებზე, კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის შესახებ, რაც ლინგვისტური ასპექტით არაბულ-სპარსულ-რუსული ლექსიკონების განმარტებით ახლებურადაა არგუმენტირებული. ამ რიგისა და მასთან დაკავშირებული არა ერთი საკითხის დაყენება პროვიზორ ს. სალუქვაძის მიერ და ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომი გაძლიერება, თავისთავად, ჩვენი აზრით, ქართული მედიცინის და წამალმცოდნეობის ისტორიის დღემდე შეუსწავლელი პრობლემების მეცნიერულად გაშუქების კეთილშობილურ საქმეს ემსახურება.

ჩვენ საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ავტორის, — პროვიზორ ს. სალუქვაძის დაუცხრომელი ინტერესი, ქართული მედიცინისა და წამალმცოდნეობის ისტორიის საკითხებით, ჩვენ შემთხვევა გვექონდა მაღალაძეების კოშკის მოხატულობაზე ჩამოგვედგო მასთან საუბარი, გაგვეხსენებინა სოლომონ მაღალაძის მიერ ვახტანგ VI-ის სტამბისათვის მხედრული შრიფტის შემუშავების ისტორიაზე და ტრადიციებზე — რომ ავტორს ს. სალუქვაძეს, თავის მხრივ სწრაფი რეაგირება მოუხდინა და დიდი ინტერესი გამოეჩინა, თითოეულ აქ აღძრულ საკითხის შესახებ, როგორც არსებული ლიტერატურისადმი, ასევე ადგილობრივად განხორციელებინა მაღალაძეთა კოშკის მოხატულობის უახლესი ტექნიკური საშუალებებით ხელახალი ფოტო-გადაღება, მისი უფრო ღრმად გაშიფრვის მიზნით. ს. სალუქვაძე, მოგეხსენებათ არაა პროფესიონალი ისტორიკოსი, მაგრამ თავისი დარგისადმი სიყვარულმა ბიძგი მისცა მას ისტორიისა და პირველწყაროების საფუძვლიანად შესწავლისათვის. ენერგიული შრომითა და ერთუხიანობით იგი იმდენად დაუფლებია ძველ ქართულ ისტორიულ პირველწყაროებსა და მასალებს, რომ ბევრს ვერ შევხვდებით ქართველ სპეციალისტ პროვიზორთა შორის ისეთს, რომელიც იჩენდეს ასე დაუცხრომელ ინტერესს წამალმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიის შესწავლის საკითხებისადმი.

ძველ საქართველოში წამალმცოდნეობისა და მისი განვითარების ეტაპების ისტორიის საკითხების მეცნიერულად შეფასება მედიცინისა და ფარმაცევტული დარგის მუშაკთა კომპეტენციაში შედის. წინამდებარე შრომის ავტორი — პროვიზორი ს. სალუქვაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პროფესიონალი ისტორიკოსი არ არის, მაგრამ, თუ რამდენად სწორად შესძლო მან საკვლევი პრობლემის გაშუქებისას ისტორიულ პირველ წყაროების მოშველიება და სპეციალური ლიტერატურის გამოყენება, ამაში თვით მკითხველი დარწმუნდება.

ფანასკერტელებისა და მაღალაძეების ურთიერთთანამშრომლობისა და პოლვაწიობის შესახებ საყურადღებო მასალებს ჩვენ ვხვდებით პლ. იოსელიან-

ნის შრომებში — „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცნობრება“, — ზომელსაც თან ერთვის „ქვათახევის მონასტრის აღწერა“, პირველ წყაროზე დამყარებული. ამ წერილების მიხედვით ვგებულობთ, რომ მონასტრის წინამძღოლად 1517 წელს ყოფილა „აზნაური სილიბისტრო მალაღაძე“ (იხ. ამ ნაშრომის გვ. 94). ეს უკვე ახალი სახელია მალაღაძეებს შორის.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ მცხეთის ტაძრის ქადაგს, არქიმანდრიტს, ნიკოლოზ მალაღაძეს კათისხევის ბეაუმის ეკლესიის სახელზე XVII საუკუნეში სინოდის შეუწირავს, მისი მშობლების პაპუას და ელენეს სულის საცხონებლად.

პლ. იოსელიანი ამავე ნაშრომში იხსენიებს მონასტრისადმი მირთმეულ „ფანასკერტელის თავადის ზაზას შვილის მერაბ ციციშვილის დიპტიქს, მიცემულს 1562 წელს, რაც დამტკიცებულია კათალიკოს ბასილის და სხვების მიერ (იხ. გვ. 102). ამავე მერაბს, დიდი ზაზა ფანასკერტელის ძეს — „ციციშვილს“ შეწირულ გლეხებისადმი ბეგარად დაუდვია ქვათახევის მონასტრისათვის მიეტანათ „ოთხასი პური გორული ჩარქვითა, თორმეტი კოკა ღვინო, ორი ზურგიელი, ყველა ჭიმის მუხუღო დიდი რაოდენობით, ასევე თაფლი, სახაბული, საკმეველი, ზეთი საშუქებელი და სხვა (იხ. გვ. 101).

აქ მოტანილი ცნობები მკურნალ-მწიგნობარ მალაღაძეთა და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილების მეგვიდრეთა კავშირისა და სამსახურის შესახებ სახელგანთქმულ ქვათახევის მონასტრისადმი ერთგვარად ავსებენ და კარგადაც ესადაგებიან ზაზა ფანასკერტელისა და მალაღაძეთა მოღვაწეობის შესახებ ზემოთ მოტანილ ისტორიულ ცნობებსა და პირველწყაროებს. ადასტურებენ იმ ფაქტსაც, რომ მათი სამწერლობო — სამეცნიერო თანამშრომლობა სრულებითაც არაა შემთხვევით მომხდარი მოვლენა, რომელთაც ეხება თავის გამოკვლევაში პროფიზორი ს. სალუქვაძე. პლ. იოსელიანის მიერ ამასთანავე გამოკვლეულია ქვათახევე-კვათურას ხეობისა და მალაღაძეების ადგილ-საცხოვრებლის გვიან ფეოდალური ხანის აღწერა, რომლის შესახებ ბევრი რამ XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი. ბუნებრივია ყოველივე ეს ღრმად გვახედებს ისტორიულ სინამდვილეში.

საგულისხმოა ისიც, რომ პლ. იოსელიანმა მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია კვათურას ხეობაში და ქვათახევის მონასტერში აკადემიკოს მ. ბროსესთან ერთად 1847 წლის შემოდგომაზე. იმოგზაურეს და დიდი გულმოდგინებითაც აღწერეს მალაღაძეთა კარმიდამოს ნაგებობანი. მაგ.: პლ. იოსელიანი მონასტერში მისასკელი გზის ნახევარ მანძილზე, შესანიშნავ ადგილას, თვალს აპყრობს მდიდრულად ნაშენ საყდარს აზნაურ მალაღაძეებისას და წერს, რომ დიდი ხნის წინათ დაცარიელებული საყდარი თავადაა ქცეულიო (გვ. 66-86) და პირველმა შენიშნა, რომ დამატებითი ეგვტერის კედლებზე გამოხატულია და შემორჩენილია 1679 წლის წარწერა ნიკოლოზ მალაღაძის დედისა და მამის პაპუას მოხსენებით.

პლ. იოსელიანს ყურადღება მიუქცევია, ასევე მალაღაძეთა მსახურის დათუნას საფლავის ქვაზე, რომ სასმისია — აზარფეშისა და კულას გამოხატუ-

ლებით, რომელიც ავტორის სიტყვით თავადის კარზე მისი თანამდებობის მაჩვენებელია (მოურაობისა ან მეღვინეთუხუცესობისა) (დათუნა გარდაიცვალა 1675 წელს).

ეკლესიის მარჯვნივ, მაშინ შემორჩენილი ყოფილნ მალალაძეთა ორსართულიანი სახლი, აქვეა მარანის ნანგრევები ქვევრებით. 1726 წელს აქვე აუშენებია სამრეკლო მდივან-მწიგნობარ-მგალობელ სოლომონ მალალაძეს შესაბამისი ვრცელი წარწერით (იხ. ტექსტი აქვე — 88 გვ.). ეკლესიიდან გორაკზე რამდენიმე საყენის მოშორებით ციხის კოშკის ნანგრევებია ყოფილა იმ დროს შემორჩენილი. მაგრამ დაცული ყოფილა ბეთლემის ეკლესია და სამრეკლო. პლ. იოსელიანი შენიშნავს, — „გადაკრით ვერ ვიტყვით დღევანდელი თავადი მალალაშვილი, წინაპარნი არიან თუ ამავე წყაროებში მოხსენიებული მალალაძენიო“?

თედო ყორდანია კი მალალაძეებს და მალალაშვილებს იდენტურ გვარებად მიიჩნევს, თუმცა როდიდან გადაკეთდა მალალაძეთა გვარი მალალაშვილებად ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის.

ავტორი ასევე გულდასმით აღწერს მალალაძეთა კარმიდამოს ბაღნარს. ბაღნარის ანუ წალკოტის მნიშვნელობის შესახებ ვრცელი საუბარია ს. სალუქვაძის გამოკვლევებში. პლ. იოსელიანი ჩერდება მალალაძეთა ჩაცმულობის ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, სამეცნიერო მნიშვნელობაზე, თვით ქსოვილებიცა და ფესხაცემელთა სახეობებსა, მათ ფორმებსა და სადაურობაზე. პლ. იოსელიანი ერთაწმინდის ტაძრისა და მისი სიძველეების აღწერისას ჩვენთვის საყურადღებო ერთ მომენტზედაც ჩერდება, რომელმაც პროვიზორ ს. სალუქვაძის ნაშრომში სათანადო ადგილი დაიკავა. ესაა ირმის სიმბოლიკის და ერთაწმინდის საყდრის ერთმანეთთან ტრადიციულ-სიმბოლოური კავშირ-ურთიერთობა, რომლის შესახებაც პლ. იოსელიანი წერს: „ტაძრის სახურავი დაფარულია ირმის რქებით, რაც განსაკუთრებით შეეფერება ტაძარს. წ. მ. ესტატესას, რომლის ხსენებისას უნებლიეთ იგონებს ქრისტიანული განათლების, სასწაულებრივ ნიშანს, მას, თითქოს, ირმის რქებზეა მაცხოვარი ჯვრის სახით, რომ მოევლინა.

„ძველად, — განაგრძობს ავტორი — ირმის რქებისაგან საეკლესიო ჭაღებს, შანდლებს, კიდობნებსა და სხვა ნივთებს აკეთებდნენ“ (იხ. დას. ნაშრ. 33. 80 გვ.). ირმის სიმბოლიკას, როგორც ირკვევა მჭიდრო კავშირი ჰქონდა მალალაშვილების საგვარეულოსთან.

ამრიგად, ირკვევა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს წარმართულ ეპოქის საკულტო ძეგლთან დაკავშირებულ ირმის კულტის გადმონაშთან, რომელიც ქრისტიანულ ჯვარ-საყდართან დაკავშირებული სახეცვლილებით განაგრძობს არსებობას და სიმბოლოურ შეთანხმებულ თანამზღვრებას. ყოველივე ეს კი საეკლესიო სასაყდრო სამედიცინო და წამალთმცოდნეობის ძველთა-ძველი პრაქტიკის მანიშნებელიც შეიძლება იყოს. ამდენად პროვიზორი ს. სალუქვაძე ირმის სიმბოლიკასა და წამალთმცოდნეობას შემთხვევით არ უნდა უკავშირებდეს ურთიერთს. იგივე და კიდევ მეტი შეიძლება ითქვას ცხვრის სიმბოლი-

კის „ოქროს ვერძის“ კულტის არსებობის საკითხებზე ძველ საქართველოში, რომელსაც ცალკე გამოკვლევა ეძღვნება პროვიზორ ს. სალუქვაძის ამ მონოგრაფიაში.

ყოველივე აქ აღნიშნული ზედმიწევნით ბევრის მთქმელია და იმედის მომცემია იმისა, რომ პროვიზორი ს. სალუქვაძე ემსახურება კეთილ საქმეს. აქ თქმულის საილუსტრაციოდ ისიც იკმარებდა, რომ ამ მიმართულებით ავტორს თავისებურად წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ერთგვარად უკვე განხორციელებული აქვს. იგი ზემოთ დასახელებულ მედიცინის ისტორიული ნაშრომების გარდა ავტორია საბჭოთა პერიოდის საქართველოს სამედიცინო მრეწველობის ამსახველ, უაღრესად აქტუალურ, არა ერთი ნაშრომისა. მაგალითად პროვიზორმა ს. სალუქვაძემ 1978 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია: „სააფთიაქო საქმისა და სამედიცინო მრეწველობის განვითარება და პერსპექტივები საქართველოში“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1978 წელი (რუსულ ენაზე).

ამ ნაშრომში ისტორიულ ფონზე კარგადაა გადმოცემული სააფთიაქო საქმისა და სამედიცინო მრეწველობის, როგორც განვითარება, ასევე მისი პერსპექტივები საბჭოთა საქართველოში.

ავტორის ყურადღება, უმეტეს წილად, როგორც წესი, მაინც სააფთიაქო საქმისა და მედიცინის ისტორიის საკითხებზეა აღმზა მიქცეული. ეს ასევე კარგად ჩანს მისსავე მთელ რიგ სამკურნალო, ისტორიული ხასიათის სტატეჯის ორიგინალურად შედგენილ პლაკატებიდან და კალენდრებიდანაც. რომლებიც გამოცემულია სათაურით: „ძველი ქართული სამედიცინო წყაროები და ზღვსაწყობები“, მთავარ სააფთიაქო სამმართველოს ყოფილი უფროსის, გ. ხანთაძისა და ქალაქ თბილისის რ/ც № 24-ე აფთიაქის გამგე, პროვიზორ ვ. საყვარელიძესთან თანაავტორობით.

პროვიზორ ს. სალუქვაძის მონაწილეობით დაიწერა და გამოქვეყნებულია თსუ გამომცემლობაში მედღების მოსამზადებელი სახელმძღვანელო. ასევე მის შიერაა გამოცემული საყურადღებო, ჯერხნობით მაინც პრობლემატური ნაშრომი, — „გარბია — წამლის სასახლე“ 1979 და 1981 წლებში ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ამ პუბლიკაციებით ავტორი საჭირო სამსახურს უწევს ქართული სამედიცინო კულტურის პროპაგანდასა და მის გატანას მსოფლიო ასპარეზზე.

ქართული მედიცინა და წამალმცოდნეობა ისტორიულად ქართული მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ავტორი წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოაჩენს საქართველოში წამალმცოდნეობის განვითარების უმთავრეს მომენტებს. იგი იყენებს საჭირო ისტორიულ წყაროებს და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებს, — ბრინჯაოს, კერამიკის და მინის ჭურჭლებს და ცდილობს, მიანიჭოს და დაუმკვიდროს მათ სამედიცინო გამოყენებითი ფუნქციები. ამ მიმართულებით საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყ-

ნა სათაურით: „ზოგიერთი არქეოლოგიური მასალის სამედიცინო ასპექტის შესახებ“ (იხი. „საბჭოთა მედიცინა, № 6, 1984 წელი, გვ. 56—59).

ახლებურადა გაშუქებული ფეოდალურ საქართველოში მალაქების როლისა და ღვაწლის საკითხი. საქართველოს მედიცინის ისტორიაში, დამაჯერებლად არგუმენტირებულია და ყურადღებაა გამახვილებული ავტორის მიერ სოფელ წინარეხში და მდინარე კავთურას ხეობაში 600 წლის წინანდელი საეკლესიო სამედიცინო კულტურის ერთ-ერთი კერის არსებობაზე, სადაც ავტორის აზრით მოქმედებდა ვარძიაში არსებული წამლის სასახლის ანალოგიური აფთიაქი. აქვე ავტორმა წარმოაჩინა გადმონაშთები სამეურნალო მცენარეების მოსაშენებელი წალკოტისა და განსაზღვრა ფუნქცია თვალადის ტბისა, როგორც სამედიცინო „საწურბლისა“. მახარებლის კოშკის კედელზე ავტორმა მიაქცია ყურადღება შემორჩენილ იკონოგრაფიულ ფრესკას: „წმინდანის ვედრების კომპოზიციას“, შვიდი ცხვრისა და გველის გამოსახულებით. მანვე წამალთმცოდნეობის ფონზე განიხილა სიმბოლიკისა და ჰერალდიკის ზოგი საკითხი (ცხვრის და ირმის სიმბოლიკა).

წინამდებარე ნაშრომი, თავის დადებით მხარეებთან ერთად, როდია უნაკლო. იგი საჭიროებს და მოითხოვს საკვლევი პრობლემების ისტორიოგრაფიის უფრო ნათლად წარმოჩენას. მოკლედ გაანალიზებას იმისას, თუ ვინ რა გააკეთა წამალთმცოდნეობის სფეროში. ასევე საჭიროებს საკვლევი პრობლემის მიზანდასახულობის უფრო ნათლად გამოკვთასთან ერთად, მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზის მოკლედ მიმოხილვას. ჩვენის აზრით, აქ აღნიშნული აჯობებდა, უფრო ნათლად ეჩვენებინა ჩვენს ავტორს.

აქ მოტანილი შენიშვნები ნაკლებად ამცირებს ნაშრომის ღირსებას. ნაშრომში გათვალისწინებული დებულებანი, როგორც აღინიშნა საკმაოდ დასაბუთებულია და ინტერესითაც იკითხება.

რასაკვირველია, ნაშრომში აღძრული და თავისებურად გააზრებული ზოგიერთი საკითხი ძნელია, ჭერჭერობით გადაწყვეტილად მივიჩნიოთ, მაგრამ ჩვენი ავტორის პიპოტეტურ მოსაზრებასაც კი შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს.

ბუნებრივია, აზრთა სხვაობა და ჰიდილი ქართული კულტურის ისტორიის ამ საპატიო სფეროშიაც კი სასურველია და ვიტყვოდი საჭიროა არსებობდეს. იგი მხოლოდ ჰეშმარიტების მეცნიერულად დადგენას შეუწყობს ხელს. ამიტომ ბუნებრივია ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიაც უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს, ვინაიდან იგი ემსახურება სიკეთეს, — ქართველი ხალხის უმდიდრესი სამედიცინო ტრადიციების მეცნიერულად შესწავლის უკეთილშობილეს საერთო სახალხო საქმეს.

აბთაწდილ იოსალიანი.

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**დასკვნა-რეზიუმე პროვიზორ ს. სალუქვაძის ნაშრომზე
„ახალი მასალა მახარებელ მაღალადის შესახებ“**

„სამკურნალო წიგნის (კარაბადინის)“ აღმოჩენისთანავე ქართული სამედიცინო საზოგადოებრიობა დაინტერესდა მისი ავტორის — ჩვენი ეროვნული მედიცინის სახელოვანი წარმომადგენლის ვინაობით. ხელნაწერში შემონახული რამდენიმე მინაწერის საფუძველზე იმთავითვე გამოითქვა ვარაუდი, რომ წიგნის ავტორია ზაზა ფანასკერტელი, ხოლო გადაწერი (კრებულის ნაწილისა) მახარებელი. ეს ვარაუდი დროთა განმავლობაში განმტკიცდა და ზოგიერთი დამატებითი ცნობის მოხმობით რამდენადმე დადასტურდა კიდევ, შეიძლება ითქვას, რომ ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის (კარაბადინის)“ ავტორად აღიარება საყოველთაო მოვლენად რქვა. უკანასკნელ წლებში ინტერესი „სამკურნალო წიგნისადმი“ („კარაბადინისადმი“) შესამჩნევად გაიზარდა. ამ საყურადღებო თხზულების შესწავლაში ჩაებნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევართა გულმოდგინე შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო, გაირკვა, თუ დაზუსტდა არა ერთი საკითხი, მაგრამ შესასწავლი ჯერ კიდევ ბევრი დარჩა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ დამატებით საბუთებს საჭიროებს თხზულების ავტორად ამა თუ იმ პიროვნების აღიარება.

ამ პრობლემისადმი კარგა ხანია ინტერესს იჩენს პროვიზორი ს. სალუქვაძე, რომელმაც არაერთი წერილი უძღვნა ძველი ქართული მედიცინის (უპირატესად წამალთმცოდნეობის) ისტორიის ძირეულ საკითხებს. კერძოდ, მან მწვავედ დასვა „სამკურნალო წიგნის (კარაბადინის)“ ავტორის ვინაობის საკითხი.

სარეცენზიო ნაშრომი — „ახალი მასალები მახარებელ მაღალადის შესახებ“ საინტერესო სიახლეს გვთავაზობს. ამდენ ხანს მახარებელ მაღალადეს მიეწერებოდა კარაბადინის ნაწილის გადაწერა, მას მხოლოდ კალიგრაფად აღიარებდნენ. ს. სალუქვაძემ მოიწადინა მახარებელ მაღალადის დეაწლისა და დამსახურების სრულიად წარმოჩენა და ამ, — შედარებით ნაკლებად ცნობილი — პიროვნებისათვის კუთვნილი ადგილის მიჩენა ქართული მედიცინის ისტორიაში. მან გულმოდგინედ იმუშავა ჩვენი სიძველეების საცავებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს სსრ ცენტრალურ სახ. საისტორიო არქივში გაიცნო V IV—XV საუკუნეების მრავალი საბუთი, დაქებხა და შეისწავლა მაღალადეთა მიერ დამზადებული სიგელ-გუჯარი. გამოავლინა რამდენიმე მახარებელ მაღა-

ლამე, მოიპოვა კარაბადინის დამზადების მონაწილე მახარებელ მაღალადის ჩანაწერი, დაადგინა მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი ფაქტი. ერთი სიტყვით, გაცილებით წინ წასწია მახარებელ მაღალადის მოღვაწეობის შესწავლის საქმე, საკმაოდ სრულად. — და რაც მთავარია, ახლად მიკვლეული მასალების საფუძველზე, — გაგვაცნო ძველი ქართული მედიცინის ერთ-ერთი თავდადებული ბუშაის საქმიანობა. ამასთანავე, გაითვალისწინა რა მაღალაანთ ეკლესიაში, აგრეთვე მის შემოგარეში მოპოვებული მასალები, წამოაყენა უაღრესად საყურადღებო მოსაზრება: მახარებელ ოქროპირისძე მაღალამე არის არა მხოლოდ კალიგრაფი, „სამკურნალო წიგნის (კარაბადინის)“ ერთ-ერთი გადამწერი, არამედ უფრო ღვაწლმოსილი პიროვნება — ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორი ზაზა ფანასკერტელის თანაავტორი.

ამ დებულების დასამტკიცებლად ს. სალუქვაძეს მოჰყავს იმდენი საბუთი (ზოგჯერ სრულიად უცნობი, მის მიერ მიკვლეული), რომ არ შეიძლება მას ანგარიში არ გაეწიოს.

სარეცენზიო ნაშრომში წამოჭრილ საკითხს ჭერჭერობით საბოლოოდ გადაჭრილად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ კატეგორიულად უნდა განავცხადოთ, რომ ს. სალუქვაძის კვლევა-ძიება ყურადღებას იმსახურებს და მან ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც უნდა გააგრძელოს.

ს. სალუქვაძის დებულება საკმაოდ დასაბუთებულია, მას უსათუოდ აქვს არსებობის უფლება. ამიტომ სარეცენზიო ნაშრომის — „ახალი მასალები მახარებელ მაღალადის შესახებ“ — გამოქვეყნება მიგვაჩნია სასურველად და „უცილებლადაც კი, რათა სხვა მეცნიერებმა გაიცნონ და გაითვალისწინონ იგი.

ეგებ მართლაც დადგა დრო, რომ მახარებელ მაღალამეს მივაგოთ შესაფერი პატივი და აღუდგინოთ დამსახურებული სახელი?

ასევე, ს. სალუქვაძის მეორე ნაშრომი „ფანასკერტელ-ციციშვილთა წიგნთ-საცავის ისტორიიდან“ ქართული სულიერი კულტურის ფრიალ საყურადღებო საკითხს ეხება. სამეცნიერო ლიტერატურაში (და ფართო საზოგადოებაშიც კი) კარგადაა ცნობილი ორი ძვირფასი ხელნაწერი: ზაზასეული „ვეფხისტყაოსანი“ და ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“. ფილოზოფიური მათგანის მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიისათვის განუსაზღვრელია. გასაგებია, რომ მათი შექმნა-დამზადებისა და შემდგომი თავგადასავლის ყოველი დეტალი ცხოველ ინტერესს იწვევს. ამიტომ ს. სალუქვაძის მიერ ამ ხელნაწერებზე, კერძოდ, მათ თავგადასავალზე ყურადღების გამახვილება საესებით ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია.

კარგა ხანია გარკვეულია, თუ როგორ მოხვდა ზაზასეული „ვეფხისტყაოსანი“ ბაგრატიონთა ოჯახში. ს. სალუქვაძეს სურს, გაარკვიოს თუ როგორ მოხვდა ბაგრატიონთა ოჯახში მეორე ხელნაწერი — „სამკურნალო წიგნი“. სათანადო საისტორიო წყაროების მომარჯვებისა და შესაბამისი ანალიზის სა-

ფუძველზე იგი გვთავაზობს საყურადღებო ვარაუდს ამ საკითხზე. ვფიქრობთ, ეს ვარაუდი საგულისხმო და ანგარიშგასაწვეია.

ს. სალუქვაძის ნაშრომი „ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო წიგნსაცავის ისტორიიდან“ აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს. (მას ნიცირე რედაქციული ჩასწორება დასჭირდება), კარგი იქნება, თუ მკითხველთა საზოგადოება მას „სამკურნალო წიგნს“ საიუბილეო დღეებისთვის მიიღებს.

ლევან მენაბდე,

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი.



1829 წელს პროვიზორმა შონბერგმა სოლოლაქში გახსნა „ლია ტაბის I აფთიაქი, ხოლო 1881 წელს ამ აფთიაქში მუშაობას იწყებს ფარმაციის მაგისტრი, ფერდინანდ ოტენი. 1902 წელს ეს აფთიაქი ფ. ოტენმა გადმოატანა საყუთარი სახლის I სართულზე. დღევანდელი კიროვის ქუჩის № 8 სახლში

სურათზე: ქ. თბილისის სააფთიაქო სამმართველოს № 28-ე აფთიაქის წინა ხედი. ფოტო მ. გიგილაშვილისა.

დასკვნები

ცნობები სამკურნალო ნედლეულის მოპოვების და გამოყენების შესახებ საქართველოში ძვ. წ. III ათასწლეულიდან გვხვდება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია მასალები, რომლებიც დაკავშირებულია წამალთმცოდნეობასთან, რაც იმ დროისათვის მაღალი სამედიცინო კულტურის ერთ-ერთი არსებითი მაჩვენებელია. შემდგომი დროის ქართული მითოლოგიური წყაროები, ლინგვისტური მონაცემები, ფოლკლორული მასალები და ანტიკური წერილობითი ცნობები ნათლად ადასტურებენ, რომ სამედიცინო საქმიანობა და წამალთმცოდნეობა საქართველოში დიდად განვითარებული ყოფილა. ირკვევა, რომ II ათასწლეულში კოლხეთის დაბლობზე გაშენებულ წალკოტში (ჰეკატეს ბაღში), რამდენიმე ათეული სამკურნალო მცენარე იყო მოშენებული.

მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი და სისტემატიკოსი, ცნობილი გერმანელი მეცნიერი კურტ შპრენგელი საქვეყნოდ აღიარებულ „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორიის“ პირველი ტომის (გამოიცა პალეში 1792 წელს) პირველსავე ქვესათაურში, „უძველესი კოლხური მედიცინა“ ამ მოსაზრებას იზიარებს. კურტ შპრენგელმა კოლხური-იბერიული მედიცინა უძველესი ცივილიზებული ერების მედიცინის გვერდით დააყენა და კიდევ მეტი, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მიაკუთვნა სრულიად მიუკერძოებლად.

ძვ. წ. I ათასწლეულში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის მოღვაწეობას. მის მიერ მომზადებული ანტიდოტის „მითრიდატუმის“ სამკურნალო ხელოვნების გავლენა იმდენად დიდი ყოფილა აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნების მედიცინაზე, რომ ახ. წ. სხვადასხვა პერიოდში და კერძოდ გვიანი შუა საუკუნეების ყველა წერილობით წყაროში — კარაბადინებში საგანგებოდ არის შეტანილი ამის მომზადების წესი. ცნობილია, რომ XVII, XVIII და XIX საუკუნეებში ანტიდოტი „მითრიდატუმის“ მომზადების რეკომენდაციები ამშვენებდა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ფარმაცოპეის ფურცლებს. ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში მითრიდატუმის მომზადება იხსენიება XI საუკუნიდან. მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ისტორიაში მნიშვნელოვანია კოლხური-იბერიულ მედიცინასთან და განსაკუთრებით მედეას სახელთან დაკავშირებული ცნობები, რომლის თანახმადაც, კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვი-

ლის, მედეას სახელი ეტიმოლოგიურად მედიცინას უკავშირდება. არსებობს ვერსია, რომ თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი დარგს ვენეროლოგია ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია მითოლოგიურ პერსონაჟის ვენერას სახელთან, ვენერა — ვენეროლოგია, ასევეა, ჰიგეასი — ჰიგიენასთან, კლავდიუს გალენისა — გალენიკასთან, ხოლო ზოგადი ცნება, თვით ფარმაცია დაკავშირებულია ძველ ეგვიპტეში იკონოგრაფიული ფრესკის ტოტას გამოსახულების ქვეშ არსებულ წარწერასთან — „ფარმაკონ“, რაც მშინდელი გაგებით „მფარველს“, „მხსნელს“ ნიშნავდა, ხოლო მედიცინის მამამთავარ ჰიპოკრატეს ეპოქიდან სიტყვა „ფარმაკონის“ ქვეშ წამალი იგულისხმებოდა. მითოლოგიური წყაროებით, ცნობილია, რომ მედეა კოლხეთიდან ცოლად გაჰყვა იაზონს საბერძნეთში, და მისი ცხოვრების მეორე ნახევარი მკიდროდ არის დაკავშირებული საბერძნეთთან. მედიცე წოდებით ბრუნვაში ბერძნული გამოთქმა და ექიმს ნიშნავს. მედიცე — ბრძენსაც ნიშნავს. ძველად ფილოსოფოსებს მკურნალეკიმებს და მეცნიერებს ზოგადად ბრძენს უწოდებდნენ. ბრძენი, როგორც ზემოთ ავლენიშნეთ ნიშნავდა მკურნალ ექიმსაც. კ. შპრენგელი მედეას ბოლკაწიობას და მის პიროვნებას მედიცინის ისტორიაში დიდ ადგილს უთმობს. იგი აღნიშნავდა რომ „ყველა ის სამკურნალო მანიპულაცია, სამკურნალო მცენარეთა ცოდნა და გამოყენება, მათი ტექნოლოგიური პროცესები შხამების დამზადება და მრავალი სხვა, რომელიც მედეას სახელთან არის დაკავშირებული (კურტ შპრენგელის მიხედვით, ს. ს.) ცნობილია მსოფლიო მედიცინის ისტორიაში (Cura Mediana-ს სახელწოდებით“ — წერს პროფ. მ. შენგელია, (იხ. მ. შენგელია „უძველესი კოლხური-იბერიული მედიცინა“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1979, გვ. 50).

თანამედროვე ფარმაციის ისტორიის ცნობილი მკვლევარი პროფესორი ვალერი კრიკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბერძნულ წერილობით წყაროებში გამოთქმა (ტერმინი) „მედიცინა“ გვხვდება ძვ. წ. XII საუკუნიდან, ე. ი. მას შემდეგაც, როცა კოლხეთის მეფის აიეტის სამეფოში იმოგზაურეს არგონავტებმა და დაახლოებით ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების მიჯნაზე მედეა ცოლად გაევა იაზონს კოლხეთიდან საბერძნეთში. საგულისხმოა, რომ ამ ეპოქამდე ბერძნულ წერილობით წყაროებში ტერმინი „მედიცინა“ არ გვხვდება (?), თუ ჰიგიენა-ჰიგეას სახელს უკავშირდება. გალენიკა-გალენს, ვენეროლოგია-ვენერას, „მითრიდატუმი“ პონტოს მეფე მითრიდატე VI-ს ეუპატორს, ტოტი — „ფარმაკი“ — ფარმაცია, ფარმაკოგნოზია, გარმაკოლოგია, ფარმაცევტული ქიმია შესაბამისი სიტყვის ფუძიდან არის ნაწარმოები, აშკარად დასაშვებია ანალოგიური ვერსია, რომ დღეს როცა, მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას „მედიცინა“ ეწოდება, იგი კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილის მედეას სახელთან იყოს დაკავშირებული. ასე რომ, შესაძლებელია მედეა და მედიცინა ერთი და იგივე სიტყვის ფუძით, ურთიერთ შინაარსობრივად დაკავშირებული გამოთქმებია, მითუმეტეს ვნ საუკუნის შემდეგ არგონავტების მოგზაურობა ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე — ფაზისამდე, —

კოლხეთამდე როცა გაიმეორა ტიმ სევერინმა, ვანში ტელეინტერვიუს გაცემის დროს თქვა: „...უფლებამოსილი ვართ, განვაცხადოთ რომ, მითი არგონავტების შესახებ სინამდვილეს შეესაბამებაო“.

კოლხურ-იბერიული მედიცინის სიძველის და ტრადიციების გაგრძელების წესახებ მეტყველებს ახ. წ. პერიოდში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ნეიტრალური რეაქტივის მქონე მინის სხვადასხვა ჭურჭელი, რომლებიც თავის დროზე, როგორც ჩანს სამედიცინო კომპონენტების და სამკურნალ-წამლო ნედლეულის შესანახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მცხეთის სამთავროს № 164 სამარხში აღმოჩენილი მსხლის ფორმის მინის ჭურჭელი, სამი გველის რელიეფური გამოსახულებით, რომელსაც შევიწროებულ ყელთან მინისავე დიადრამა და წერტილისოდნა ნახვრეტი აქვს ამ ჭურჭელს სამედიცინო პრაგმატულ ფუნქციას ანიჭებს — იგი სანელსაცხებლედ იყო და ამავე დროს სითხოვანი წამლის ყორმების დოზატორი — წვეთმზომი. მინის წარმოების ტრადიციები საქართველოში, საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ასეთი მოსაზრება მედტექნიკოსის პოზიციებიდან.

„დასანანია, რომ „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“ თანამედროვე მსოფლიოს არც ერთ სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიაში, თანმიმდევრული ისტორიის დიდ ტომეულებში, ცნობარებსა და ენციკლოპედიებში, როგორც ძველსა, ისე ახალში, არსად არაა შეტანილი“, — წერს საქართველოს მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარი პროფ. მ. შენგელია თავისი მონოგრაფიის, „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის“ 195-ე გვერდზე. „მაშინ როდესაც, როგორც წინა თავებში ვნახეთ, კოლხურ-იბერიულმა მედიცინამ მთელი ეტაპები შექმნა სამედიცინო-ბიოლოგიურ აზროვნების განვითარებაში. მან თავისი გავლენა მოახდინა მედიცინის განვითარების მომდევნო ეტაპებსა და სხვა ხალხების სამედიცინო კულტურაზე. ამგვარად, კოლხურ-იბერიული მედიცინა წარმოადგენს, რა უძველესი სამედიცინო კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას, მან თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს მსოფლიო მედიცინის თანმიმდევრულ ისტორიაში მესოპოტამური და ეგვიპტური კულტურის შემდეგ“.

ჩვენ საცხებით ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა ჭეოვან ადგილს დაიკავებს მსოფლიო მედიცინის ისტორიაში, ამისათვის საჭიროა საერთაშორისო მეცნიერული ინფორმაციების და კონტაქტების გაძლიერება. მედიცინის არა ერთი სპეციალისტის მიერ აღიარებულია, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კოლხეთის დაბლობზე, მედიცინის მნიშვნელოვანი კერა არსებობდა წარმართულ ეპოქაში, სახელდობრ II ათასწლეულის ბოლოს. შესაძლებელია ანალოგიური სამედიცინო კერები არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ უცხო ტომების შემოსევამ და ყამთა სიაყემ გაანადგურა არა ერთი ქართული კულტურის ცენტრი. მიუხედავად ამისა, V საუკუნის კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხე-

ში, მაინც შემორჩა კვალი თახჩებიანი ნაგებობისა, რომელიც ა. წ. დამდეგიდან ერთ-ერთი უპირველესი არქიტექტურული ძეგლია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც, როგორც ჩანს, კლდეში გამოკვეთილ თახჩებზე სააფთი-ქო დანიშნულების კომპონენტებს ინახავდნენ, გამიზნულს სხვადასხვა წამლის ფორმების მოსამზადებლად. ასეთივე თახჩებიანი აფთიაქის ნაშთებია შემორჩენილი ციხე-ქალაქ ვარძიის აღმოსავლეთ კედლის ნანგრევებში და ზედა ვარძიაში. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიული სამედიცინო კერის არსებობის აშკარა კვალს, მაინც მაღალაანთ ეკლესიისა და მდინარე კავთურას ხეობის ტერიტორიულ რეგიონში მიეყვართ. ამ მხრივ XII საუკუნეიდან ივანიძეების საგვარეულო ეკლესია ფრიად საინტერესო არქიტექტურული ნაგებობა აღმოჩნდა, რომელიც XIV საუკუნის მიწურულიდან მაღალაძეების გამგებლობაში გადასულა. ძველ საქართველოში წამალმცოდნეობის საკითხების დაკავშირება მაღალაძეების საგვარეულოსთან შემთხვევითი არ აღმოჩნდა. პირიქით, მიგნებულ იქნა არაერთი წერილობითი საბუთი და არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც უფლებას გვაძლევს, რომ განვაცხადოთ: თუ ძველ კოლხეთში II ათასწლეულის ბოლოს სამკურნალო მცენარეების მოსაწინებელი ბალი ყოფილა გაშენებული, შუა საუკუნეებში მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში გაშენებული ყოფილა წალკობი, სადაც არა ერთი სამკურნალო მცენარის მოშენება ხდებოდა. დადასტურდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და კერძოდ დღევანდელ კასპის რაიონის სოფელ წინარეხში, ყოფილა მძალვრი საეკლესიო მედიცინის კერა, სადაც ნაპოვნია არქეოლოგიური გათხრების შედეგად უფლისციხეში და ვარძიაში არსებული თახჩებიანი ნაგებობის ანალოგიური შენობა „მაღალაძეების აფთიაქი“ — ასე შევა ეს ნაგებობა დღეიდან საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში. მაღალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელმა მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძემ XV საუკუნის საეკლესიო მედიცინის მოღვაწემ, მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგმა, მეფეთ-მეფე კონსტანტინე II მდივან-მწიგნობარმა, საეკლესიო მედიცინის ქურუმმა და ჭუარისმტვირთველმა, ზაზა ფანასკერტელთან ერთად მონაწილეობა მიიღო წამლის ფორმების მომზადების წესების საკრებულო წიგნის — ფარმაცოპიის. იგივე კარაბადინის შედგენაში. პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის საფუძველზე კარაბადინის ფურცლებისა და სცსს არქივის დედნების ფონდი № 1448, საბუთი № 63-ით (ფანაშვილების გუჯარი) დადგენილია ამ კარაბადინის 1008 გვერდის მახარებელ მაღალაძის პირად ხელწერასთან იდენტურობა. ეს დღემდე უცნობი, მეტად მნიშვნელოვანი პირველადი საბუთი — დედანია და იგი ძირფესვიანად ცვლის დღემდე არსებულ მეცნიერულ მოსაზრებებს. თუ დღემდე მახარებელ მაღალაძეს მხოლოდ კარაბადინის — ხელნაწერი Q ფონდი № 877-ის მექანიკურად გადაწერის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული, ამიერიდან იგი ზაზა ფანასკერტელის თანამოაზრედ, თანავეტორად და მისი სკოლის წარმომადგენლად წარმოგიდგება. ამ მოსაზრების სხვა დამატებითი არგუმენტებით დამტკიცებაა აუცილებელი.

ზაზა ამ წერილობით საბუთში — კარაბადინში, მახარებელის მიერ შემკობილია „მკურნალის“ და „ბრძენთმთავარის“ ეპითეტებით. ბუნებრივია იბადება კითხვა, როგორ იქნებოდა ზაზა ფანასკერტელი ბრძენთმთავარი, თუ მას მახარებელის მსგავსი ბრძენთა ჯგუფის და თანამოაზრეთა სკოლის მეთაურის პოსტი არ ეკირა ქართლში?

ამიტომ ზაზა ფეოდალურად გაცილებით პრივილეგიური თავადია, ვიდრე მახარებელ მალალაძე. ზაზა არის კარაბადინის დამკვეთი მომგებელი და ავტორი, ამავე დროს ხელნაწერის შექმნის ინიციატორი, მახარებელი კი კალიგრაფი და იმ ბრძენთა სკოლის წარმომადგენელი რომელიც ქართლში უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ზაზა ტაოდან მზოვრეთში გადმოსახლდებოდა. საგულისხმოა, რომ პროფ. იუსტინე აბულაძის გამოკვლეული მასალების მიხედვით, ძველი ქართული სიტყვების განმარტებით ლექსიკონში ბრძენი — მკურნალ ექიმს ნიშნავდა ქართლში. ამიტომ ბრძენთმთავარი — მთავარ ექიმს, მთავარ მკურნალს ნიშნავს, რაც აძლიერებს ზაზას ავტორობის ვერსიას.

საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში მალალაძეების საგვარეულოს როლისა და ღვაწლის საკითხი საერთოდ არ იყო გარკვეული, გარდა იმისა, რომ ამ საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელს — მახარებელს, მხოლოდ კარაბადინის გადამწერის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. ამიტომ დასკვნით ნაწილში მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელთა ისტორია ავტომატურად თხოულობს დეტალურ ანალიზს და შესაბამის შეფასებას. რა თქმა უნდა, ღრმა დეტალური ანალიზი ისტორიკოსების, ფილოლოგების და მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტთა კომპეტენციებში შედის. ჩვენ კი შეეხებით მალალაძეების საგვარეულოს ისტორიის ზოგიერთ მომენტს, თანაც საკითხის დასმის წესით. მალალაძეების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენის თარიღად ამიერიდან უნდა მივიჩნიოთ XIV საუკუნის 70-იანი წლები და კერძოდ 1377 წელი, როცა მახარებელმა დაწერა „გუჯარი მაყაშვილთა“ და ამავე წლიდან იგი მოხსენიებულია „კარის მწიგნობრის“ ეპითეტით. ასევე დღეისათვის ნათელია, რომ მალალაძეების ქრონოლოგიური რიგი იწყება არა ადამ მალალაძით, როგორც აქამდე ეგონათ, არამედ მახარებელ პირველი მალალაძით, რომელიც XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. მახარებელ I მალალაძის პირადი ხელნაწერის ჩვენ მიერ აღმოჩენით და შედარებითი ანალიზით პალეოგრაფიულად მტკიცდება, რომ მას საერთო არაფერი აქვს ამ კარაბადინის, არც გადამწერასთან და არც შედგენასთან. თუმცა იგი „კარის — მწიგნობარი“ და კალიგრაფია. ახალი მასალების შესწავლით ასევე დადგინდა, რომ სამედიცინო ხელნაწერის, Q ფონდი № 877-ის გადამწერი არ არის მახარებელი I მალალაძე, როგორც მას აქამდე თვლიდნენ. 1978 წელს „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ პუბლიკაციაზე თანდართული გამოკვლევების ტექსტის მე-11 გვერდზე პროფ. მ. შენგელია წერს: „ირკვევა, რომ ის კონსტანტინე მეფის კარზე მდივან-მწიგნობრის როლს ასრულებდა, მისი გვარია მალა-

ლაძე, მამის სახელია ივანია, თანამდებობით მცხეთის ქადაგი“. ასეთი განცხადება საარქივო მასალებზე დაკვირვების და ანლად აღმოჩენილი საბუთების საფუძველზე სწორი არ აღმოჩნდა. ჩვენ მიერ განალიზებული საბუთი რომელიც გამოქვეყნებულია თედო ჟორდანის „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე (გო. 290-ე), მეფეთ-მეფე ბაგრატის და დავით კათალიკოსის მიერ გაცემული „მტკიცე და უცვლელი წიგნი მეფეთ-მეფისა ბაგრატისათა ოქროპირ მალალაძისადმი“, იძლევა საშუალებას იმის გასარკვევად, რომ მახარებელის მამის სახელად ერქვა ოქროპირი და არა „ივანია“. 1391 წლის თარიღით მალალაძეების ოჯახის მისამართით გაცემულია ორი სიგელ-გუჯარი, და რაც მთავარია XIV საუკუნის ბოლოს მახარებელ I უკვე ქადაგის თანამდებობა სჭერია. ამიტომ მახარებელი I XV საუკუნის ბოლოს კარაბადინის გადაწერაში ფიზიკურადაც ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას, ამიტომ ამ ხელნაწერის პირველ მკვლევარებს მხედველობაში არ ჰქონდათ მიღებული ის გარემოება, რომ მოღვაწეობდნენ: მალალაძეების საგვარეულოდან მახარებელი პირველი და მხარებელი მეორე. Q ფონდების ცნობარში, ხელნაწერი № 877-ის შესახებ განმარტებულია, რომ მისი მომგებელი — ავტორი ზაზა ფანასკერტელია, ხოლო ერთ-ერთი გადამწერი მახარებელი მალალაძე. ასეთი ვერსიის დაშვება, პალეოგრაფიული შედარებით ანალიზის შედეგებს ვერ ემყარებოდა, ამიტომ ეს კონცეფცია იმთავითვე საორქოფო იყო, ვინაიდან ფეოდალურად ჰრივილეგიური თავადები, როცა დაკვეთას აძლევდნენ ხელნაწერის შექმნის თაობაზე კალიგრაფებს, უშუალო მონაწილეობას აღარ ღებულობდნენ ხელნაწერის შექმნაში. სავარაუდოა ვერსია, რომ ზაზა კარნახობდა და მახარებელი წერდა. ეს ვერსიაა, რომელსაც დამტკიცება სჭირდება, თუმცა ზაზას მიმართ, როგორც „მეკურნალის“ და „ბრძენთმთავარის“ ეპითეტებით მოხსენიებული პიროვნებისათვის დასაშვებია ვერსია, რომ იგი უშუალო თანამონაწილეა ამ ხელნაწერის შექმნისა. დღესდღეობით მტკიცე საფუძველი მისი ავტორობის შესახებ არ გავაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ თუ, არა ზაზა, საქართველოში ეს ხელნაწერი საერთოდ არ გვექნებოდა. და მინც, არც ერთი ქარაგმული წარწერის შინაარსი მის ავტორად გამოცხადების საშუალებას არ გვაძლევს, თუმცა იგი აღიარებული მომგებელი — ავტორია. იგი იყო „ერისთავთ-ერისთავი“, „მეკურქლეთუხუცესი“, „მეკურნალი“, მაგრამ ის, რომ მან ჰქონეს ხელნაწერი დაწერა და შემდეგ გადასცა იგი გადასაწერად მახარებელ მალალაძეს, ძნელი წარმოსადგენია (!) უაზრობა იქნებოდა, ფიქრიც კი იმის შესახებ, რომ ჩვენს წინაპრებს ამ ერთი ხელნაწერის შექმნის თაობაზე ორმაგი ქალაქი დაეხარჯათ, მით უმეტეს მეკურნალობის საკითხები გასაიდუმლოებულ საგვარეულო ფეოდალურ ტრადიციას ექვემდებარებოდა. სააღრიცხვო სავარაუდო რაოდენობა საწერი ქალაქისა Q ფონდი № 877-ისათვის ამჟამად 1368 გვერდია. ეს XV საუკუნეში კოლოსალური თანხა დაჯდებოდა. თანაც საეკლესიო საკანონმდებლო სტატუსის თანახმად ხელნაწერთა შექმნის საკითხი საეკლესიო მსახურების მხრეკელ ქადაგების კომპეტენციაში

შედიოდა. მახარებელი II მაღალაძე ამ დროს საკმაოდ ავტორიტეტული, სოლიდური სტაჟის მქონე მდივან-მწიგნობარი იყო. იგი კალიგრაფი-დამწერია ზაზას მითითებათა საფუძველზე და ამავე დროს თანაავტორია ზაზა ფანასკერტელისა. ჯერ ერთი, ამას აღიარებს მდივან-მწიგნობრის ტრადიციები მაღალაძეების საგვარეულოდან, მეორეც, 177 რ და 219 V გვერდებზე ნუსხურით მიწერილი ქარაგმული წარწერების შინაარსი: „ქ. შეიწყალე მჩხრეველი ამისა უღირსი მახარებელი, ამინ“ და „მშრომელისა მახარებლისათვის შენდობაი ყავთ“. საკუთარ თავს, მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძე მოკრძალებით „მჩხრეველის“ და „მშრომელის“ ეპითეტებით წარმოადგენს. თანაც შუა საუკუნეებში, „სენთა კურნება“ „ჯუარისმტვირთველთა“ კომპეტენციაში შედიოდა. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული საბუთებით დადგენილია, რომ მახარებელს ეჭირა „ჯუარისმტვირთველის“ თანამდებობა. შემდეგ, მაღალაძეების ეკლესიის შემოგარენში აღმოჩნდა „საეკლესიო მედიცინისათვის“ დამახასიათებელი ნაგებობა — წამლის სისახლე, თანაც მდინარე კავთურას ხეობაში ვაშენებული ყოფილა წალკოტი, სადაც ივანიძეები XII საუკუნის მიწურულიდან, როგორც ჩანს, ეწეოდნენ სამკურნალო მცენარეების მოშენებას. სავარაუდოა, რომ ამ „წალკოტში“ სამკურნალო მცენარეების მოშენებას აგრძელებდნენ მაღალაძეებიც. აქვე ყოფილა „მუნის სამკურნალო ეკლესია“ და „ძუძუს ხატი“ დედა ღვთისას ეკლესიაში. „საეკლესიო მედიცინის“ თვალსაზრისით საინტერესო და ანალოგიური ტერიტორიული რეგიონია „თეძმის ხეობა“.

მახარებელ მაღალაძის კოშკში დღემდეა შემორჩენილი „საეკლესიო მედიცინისათვის“ დამახასიათებელი იკონოგრაფიული ფრესკა „წმინდანის ვედრების კომპოზიცია“ ავი სენისაგან დამცველი ავგაროზის 7 ცხვრისა და ოდითგანვე მედიცინის ემბლემის დაკლაკნილი გველის გამოსახულებით. მაღალაძეების ეკლესიის ტერიტორია იმითაც არის საინტერესო, რომ აქვე ახლოს მდებარეობდა სამედიცინო წურბელებით სავსე თვალადის ტბა. რომელიც ირგვლივ გარშემორტყმული ყოფილა ხშირი ტყე-პარკით. ასეთია უახლოესი ეთნოგრაფიული ცნობები თვალადის ტბის შესახებ. ქვათახევის ეკლესიაში ფალოსის გამოსახულებაა, რაც უშვილო ქალების მკურნალობის და შთამომავლობაზე ზრუნვის მიზნით უნდა ყოფილაყო ქვაში გამოქანდაკებული. რაც მთავარია, ჰერალდიკის თვალსაზრისით „სოლომონ მაღალაძის“ მერყევაშის ტიპის კოშკში ჩაშენებულია ირმის გამოსახულებიანი ქვა, რაც გვიან ფეოდალურ ხანაში წარმართული ეპოქის სამედიცინო ტრადიციების გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ მახარებელი საეკლესიო მედიცინის ქურუმი იყო, თანაც მაღალაძეების ეკლესია, და საერთოდ მაღალაძეების საფეოდალო მიკროტერიტორიული ნაწილი შედიოდა „ერისთავთ-ერისთავის“, „მეტურტლეთუხუცესის“, „მკურნალ“ და „ბრძენთ-მთავარ“ ზაზა ფანასკერტელის მაკროფეოდალურ ტერიტორიულ რეგიონში, რომელიც მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის სიგელ-გუჯარის შესაბამისად გადაჭიმული იყო მზოვრეთიდან ნიჩბისამდე, მისი საბრძანებელი ქვემო ქართ-

ლის და კერძოდ დღევანდელი სოფელი წერაქვის იქეთაც აღწევდა. „დიდი ზაზა ფანასკერტელის“ შესახებ ცნობილია, რომ იგი იყო „უთავადესი თავადი“ საქმოდ პრივილეგიური ფეოდალი. ეს იგარძობა ყინწვისის ეკლესიის ზეონოგრაფიულ ფრესკაზედაც. ზაზა ფანასკერტელის ფრესკა დამშვენებულია სამკურნალო მცენარეებით და განსაკუთრებული პრივილეგიის გარეშე ასე შთამბეჭდავად არ გამოსახავდნენ მის პორტრეტს ყინწვისის ეკლესიის ეგვტერში ეკლესიის მკაცრით ხელში. სავარაუდოა, რომ ყინწვისში სამედიცინო განათლების მისაღები სკოლა არსებობდა, სადაც ამავედინო განათლების მისაღები სახელმძღვანელო ზელნაწერის შექმნა ერთ-ერთი აუცილებელი საჭიროება იყო. ამიტომ, ჩვენი აზრით, ზაზა ფანასკერტელი ამ ზელნაწერის დამკვეთი მომგებელი ავტორია, მახარებელ მაღალაძე თანაავტორი — კალიგრაფი. ამ იდეას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ მახარებელ მაღალაძე სასულიერო-საეკლესიო პირია და შუა საუკუნეებში ზელნაწერების შექმნის ტრადიციები საეკლესიო პირების კომპეტენციაში შედიოდა. და თუ ამ ზელნაწერის უპირველესმა მკვლევარებმა მხოლოდ ზაზა აღიარეს ავტორ მომგებლად და მახარებელ მაღალაძეს მხოლოდ გადამწერის ფუნქციები მიანიჭეს, ეს მხოლოდ იმ გარემოებით აიხსნება, რომ მაშინ ასე დეტალურად არ იყო შესწავლილი მაღალაძეების ეკლესია და მისი ტერიტორიული შემოგარენი. არ იყო ცნობილი მახარებელ II მაღალაძის ორიგინალი — ნაწერი, ფანიაშვილების გუჯარი. მონოგრაფიაში „პალეოგრაფიული ძიებანი“ წერია: „ყველაზე ადრინდელი ცნობა საკათალიკოსო კარის მდივნის შესახებ ეხება XVI საუკუნის 40-იან წლებს“¹, როგორც ირკვევა ამ თარიღმა XIV საუკუნეში გადაინაცვალა და 1391 წლის სიგელგუჯარში მახარებელ I უკუცაქადაგის და კარის მწიგნობრის თანამდებობაზე იხსენიება. ასე რომ, ამავე წყაროს მე-10 გვერდზე მოცემულმა თარიღმა „ყველაზე ადრინდელი ცნობა ამ გვარის შესახებ მე-15 საუკუნისა“ XIV საუკუნეში გადაინაცვალა. ამავე ნაშრომის მე-12 გვერდზე მაღალაძეების საგვარეულოს გენეალოგია ნიკოლოზ მაღალაძით იწყება. ყველა მონაცემით (მხედველობაში მაქვს თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები და ასევე „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში გამოქვეყნებული მასალები), მაღალაძეების ისტორიული ქრონოლოგიური რიგი XIV საუკუნეში: ამაღბარით, დიმიტრით და გიორგით იწყება. კარის-მწიგნობრობა კი XIV ს-ში მახარებელ I მაღალაძით. XV საუკუნეში გამოჩენილი პირია ოქროპირ მაღალაძე და მისი 7 ვაჟიშვილი, როგორც ამას ისტორიულ სინამდვილეზე დაფუძნებული საბუთი გვიკარჩხავს. ანა ბაქრაძის ამავე ნაშრომში მე-16 გვერდზე ასეთი ფრაზაა დაბეჭდილი: „ამგვარად მაღალაძეთა გვარში სამი სახელი ჩანს: ქადაგობა, სახლთუხუცესობა და მდივნობა“. ჩვენ მიერ გამოკვლეული მასალებით მა-

¹ პალეოგრაფიული ძიებანი I, „მენიერება“, თბ. 1965, ა. ბაქრაძე XVI-XVIII სს., საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი გვ. 7.

მალაქები იყვნენ: ჭუარისმტვირთველები,¹ სახლთუხუცესები, მდივან-მწიგნობარ-ქადაგ-მგალობლები და ბეჭდის მტარებელი, ანუ შორღალი. საფიქრებელი კიდევ მალაქების საგვარეულოს ერთი დამატებითი ეპითეტი. საეკლესიო მედიცინის ქურუმი — მახარებელ ოქროპირის ძე მალაქაძე. ისტორიული ფაქტებით დადგენილია, რომ 1676—77 წლებში ნიკოლოზ მალაქაძეს საქართველოს კათალიკოსის თანამდებობა ეკირა, ასევე ისტორიულ წყაროებში იგი იწოდება „არქიმანდრიტი ნიკოლოზის“ სახით. საკითხავია ვინ იყო „არქიმანდრიტი გერმანე?“ ჩვენი აზრით არქიმანდრიტი გერმანე ოქროპირ მალაქაძის ერთ-ერთი ვაჟიშვილი უნდა იყოს, რომელიც XV-XVI საუკუნეების ზიჯნაზე მოღვაწეობდა. ასე რომ, არქიმანდრიტობა მალაქაძეების საგვარეულოს სახელი იყო. ხშირია მღვდელ-მონაზნის, ეპითეტის ტყენება მალაქაძეების საგვარეულოს მისამართათ (1).

„სამკურნალო წიგნ-კარაბადინზე“ ჩვენი წინამორბედი მკვლევარები ერთხმად აღიარებენ მახარებელის პირად ხელს, და მისი ანდერძით იწყება 177 r გვერდზე კარაბადინი. თანაც ხელნაწერში გვხვდება სათაურების ასომთავრული წარწერები, ლამაზად გაფორმებული სინგურით. არის დედნის ხელით მიწერილი ქარაგმებიც. ასეთი უნივერსალ კალიგრაფი, რომელმაც იცოდა წერა: ასომთავრულით, ხუცურიით და მხედრულით, როგორც ჩანს, იყო ჭუარისმტვირთველი, ქადაგ-მდივან-მწიგნობარ-სახლთუხუცესი მახარებელ ოქროპირის ძე მალაქაძე. თანაც საკითხს ამ ქრილში ვსვამთ: კარაბადინი ტოლკლარაჟეთში დაიწერა თუ ქართლში და კერძოდ სვეტიცხოველში?

ჩვენ ვფიქრობთ მხოლოდ ქართლში და რატომ?

იმიტომ, რომ სვეტიცხოველი საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ცენტრი იყო ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებიდანვე.

რაც მთავარია, პალეოგრაფიული შედარებითი ანალიზის მონაცემების მიხედვით 1008 გვერდი ამ ხელნაწერისა მახარებელის ხელით არის დაწერილი. როგორც ირკვევა მალაქაძეების ეკლესია შუა საუკუნეებში საეკლესიო მედიცინის მძლავრი კერა ყოფილა. ფრიად საგულისხმოა პროფესორების: ი. აბულაძის და კ. გრიგოლიას პალეოგრაფიული ანალიზი, რომლის მიხედვით 1368 გვერდიდან 360 გვერდი ერთი ხელით არის შესრულებული, 1008 გვერდი სხვა ხელით, რომელია აქედან მახარებელ მალაქაძის ხელი? ეს საკითხი ჩვენ საბოლოოდ გადაწყვეტილად მოგვაჩნია. 1008 გვერდის დაწერა ეკუთვნის მახარებელ მალაქაძეს. სამწუხაროდ, ზაზა ფანასკერტელის პირად ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. და დღეისათვის რაიმე სარწმუნო საბუთი და პალეოგრაფიული მონაცემები არ გვაქვს იმისა, რომ ამ ხელნაწერის 360 გვერდი ზაზა ფანასკერტელს მივაკუთვნოთ. ეს შემდგომი კვლევა ძიების საქმეა.

ჩვენს რეზიუმეში კვლავ ზაზასმით უნდა აღვნიშნოთ ფარმაკოპეისა და კარაბადინის იდენტურობის შესახებ, ვინაიდან საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეული და გადაწყვეტი-

1 თ. ჟორჯანია, „ქრონიკები“, II ტ. 1897 წ., გვ. 249.

2 იგივე წყარო, გვ. 348. „ხელითა ქვათხევის წინამძღურის მახარებლისათა“.

